საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია

დამხმარე სახელმძღვანელო

ტომი I

განვითარების ძირითადი ტენდენციების დახასიათება
აკად. ო. ა. კოლობოვის საერთო რედაქციით

ნაწილი 1. ძველი დროის, შუა საუკუნეების და ახალი დროის დიპლომატია

შესავალი

დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში განიხილება ქრონოლოგიურად საკმაოდ დიდი პერიოდი, დაწყებული ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების (ეგვიპტე, ასურეთი და სხვ.) და დამთავრებული საერთაშორისო ურთიერთობებით, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის წლებში ჩამოყალიბდა.

სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად ანალიზდება ანტიკური პერიოდის, შუა საუკუნეების და ახალი დროის საერთაშორისო კავშირების სისტემათა ფორმირება და განვითარება, შეისწავლება მათი სპეციფიკა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა პოლიტიკური ორგანიზაციის კონკრეტული ისტორიული ფორმისა, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ავტორები დიდ ყურადღებას აქცევენ საერთაშორისო კავშირების განვითარების საშინაო და საგარეო ფაქტორების ურთიერთქმედების ანალიზს, აგრეთვე შეისწავლიან გეოპოლიტიკური და ეთნოპოლიტიკური ფაქტორების გავლენას სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე.

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი შეიცავს 3 ძირითად თავს, მიძღვნილს:

ძველი აღმოსავლეთის დესპოტიების საერთაშორისო კავშირების განხილვას, ძველბერძნული საზოგადოების პოლისური ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში რომის ექსპანსიონისტური პოლიტიკის, ელინისტურ სახელმწიფოებთან და პართიის სამეფოსთან მისი ურთიერთობების ანალიზს; საერთაშორისო ურთიერთობათა იმ სისტემის შესწავლას, რომელიც შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა დასავლეთ და აღმო-

სავლეთ ევროპაში, აგრეთვე მახლობელ აღმოსავლეთში, შუა საუკუნეების სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე დინასტიათაშორის დავების გავლენის ანალიზს; იმ ცვლილებების განხილვას, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მოხდა ახალ დროში და რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული სახელმწიფოების შექმნასთან.

ახალი დროის ისტორიული სიუჟეტების განხილვისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ვესტფალიის სისტემის ფორმირებისა და განვითარების პროცესებს, რომლებმაც მრავალი წლით განსაზღვრეს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები. თავში განიხილება აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკა, შეისწავლება წინააღმდეგობები, რომლებიც ევროპულ ქვეყნებს შორის წარმოიქმნებოდა რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

ამა თუ იმ ეპოქის საერთაშორისო პროცესების აღწერისას ავტორებმა აქცენტი გააკეთეს იმ საგარეო-პოლიტიკური პროცედურების და დიპლომატიური ტრადიციების შესწავლაზე, რომელთა თანახმად, ხდებოდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და გაწყვეტა, ხელშეკრულებების და შეთანხმებების ხელმოწერა, ომის გამოცხადება და მშვიდობის დამყარება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოები არ იძლევა საშუალებას შეზღუდული მოცულობის სახელმძღვანელოში განხილული იქნას აღნიშნული პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ეპიზოდი. ამასთან დაკავშირებით, ავტორებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს მოეცათ მხოლოდ ანტიკური ეპოქის, აგრეთვე შუა საუკუნეების და ახალი დროის საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა სისტემების არსებითი მახასიათებლები.

თავი I. ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთის და რომის საგარეო პოლიტიკის თავისებურებები

1. ძველი აღმოსავლეთი

საგარეო პოლიტიკა ძველი აღმოსავლეთის დესპოტიებისა, როგორებიცაა ძველი ეგვიპტე, ასურეთი, ხეთების სამეფო, ძველი ინდოეთის და ჩინეთის სახელმწიფოები, საკმაოდ აქტიური იყო და ტარდებოდა როგორც დიპლომატიური ძალისხმევით, ისე სამხედრო ხასიათის საშუალებათა გამოყენებითაც, რომლებიც უმთავრესად მიმართული იყო ახალი ტერიტორიების და მონების ხელში ჩაგდებაზე, რაც საჭირო იყო ჩამოთვლილი სახელმწიფო წარმონაქმნების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად საკმაოდ განვითარებული დიპლომატიური პრაქტიკისა, საგარეო პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტისას ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები უმრავლეს შემთხვევაში მაინც ომს ირჩევდნენ, უტოვებდნენ რა დიპლომატიას შედარებით ვიწრო ასპარეზს, სახელმწიფოებს შორის სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების და სამხედრო-პოლიტიკური დაზვერვის ორგანიზაციის ჩათვლით.

ეგვიპტოლოგების და ასირიოლოგების ძალისხმევით, რომლებმაც გაშიფრეს ჩვენამდე მოღწეული იეროგლიფური და ლურსმული წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენს განკარგულებაშია ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიური მიმოწერის ძეგლები, საერთაშორისო ხასიათის შეთანხმებები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ რეგიონის სახელმწიფოთა შორის გაცხოველებულ ურთიერთობებს.

წყაროები საშუალებას გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ძველი აღმოსავლეთის ყველაზე მსხვილი და საგარეო-პოლიტიკური თვალთახედვით, უძლიერესი სახელმწიფო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში იყო ეგვიპტე. ეგვიპტელებს აქტიური სავაჭრო, პოლიტიკური და კულტურული კავშირები ჰქონდათ პრაქტიკულად მათთვის ცნობილ ყველა ქვეყანასთან: ხეთების სახელმწიფოსთან მცირე აზიაში, მესოპოტამიის სახელმწიფოებთან, სირიულ და პალესტინურ სამთავროებთან, კრეტას სამეფოსთან, ეგეოსის ზღვის კუნძულებთან.

ჩვენთვის ცნობილ მრავალრიცხოვან დოკუმენტებიდან უდიდეს ინტერესს ძველ აღმოსავლეთში სახელმწიფოთაშორისი კავშირების შესწავლის თვალსაზრისით, წარმოადგენს დოკუმენტების კომპლექსი, აღნიშნული ისტორიულ ლიტერატურაში როგორც „თელ-ამარნას მიმოწერა“ და ეგვიპტის ფარაონ რამზეს მეორის შეთანხმება ხეთების მეფე ხათუსილი მესამესთან, ხელმოწერილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1278 წელს.

თელ-ამარნას მიმოწერა აღმოაჩინეს 1887-1888 წლებში ამარნაში, სადაც მიმდინარეობდა ფარაონ ამენხოთეფ IV რეზიდenციის არქეოლოგიური გათხრები. დოკუმენტთა მოცემული კომპლექსი დიდი რაოდენობით შეიცავს მასალებს XVIII დინასტიის ფარაონთა (ამენხოთეფ III და მისი ვაჟის) დიპლომატიურ მიმოწერიდან (რომელიც განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV-XIV საუკუნეებს) სხვა სახელმწიფოების მმართველებთან და ეგვიპტისადმი მორჩილ სირიელ მთავრებთან. თელ-ამარნას არქივის მნიშვნელოვან დანამატად, რომელიც ეგვიპტური წყაროების კორექტირების საშუალებას იძლევა, იქცა ხეთების მეფის სუპილულიუმას დოკუმენტების კრებული, ასევე აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს. თელ-ამარნას არქივის მეტ ნაწილს წარმოადგენს სირიასა

და პალესტინაში მდებარე მცირე სახელმწიფოების მმართველების წერილები ფარაონების სახელზე, რომლებიც საშუალებას იძლევიან დადგინდეს ძირითადი ნიშნები იმ პოლიტიკისა, რომელსაც ეგვიპტე ატარებდა მასზე დამოკიდებულ ქვეყნების მიმართ. წერილები მოწმობენ, რომ აღნიშნული ქვეყნები წარმოადგენდნენ თავისებურ ბუფერს ძველ ეგვიპტესა და ხეთების სამეფოს - იმ დროის უდიდეს სახელმწიფოებს შორის, აგრეთვე იმას, რომ ეგვიპტელები და ხეთები ცდილობდნენ მუდმივი მტრობა შეენარჩუნებინათ ამ ქვეყნებს შორის, რათა ამ გზით გაეძლიერებინათ თავისი გავლენა კეთილმყოფელი ნახევართვარის სახელმწიფოებში. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენებოდა აგრეთვე დინასტიური ქორწინებები, სამხედრო დახმარება და ფულადი სესხები სირიისა და პალესტინის მმართველებზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში ხეთებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სირიისა და პალესტინის ტერიტორიაზე შეღწევაში, ფაქტიურად ჩართეს რა თავისი გავლენის სფეროში ბუნებრივი წიაღისეულით მდიდარი რაიონები და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები. შექმნილ ვითარებაში ეგვიპტის ფარაონებმა მიიღეს ზომები, რათა თავის მხარეზე გადმოეყვანათ მესოპოტამიის სახელმწიფოები - ბაბილონი და მითანი, რომლებიც ასევე უფრთხოდნენ ხეთების ძლიერების გაზრდას წინა აზიაში. თელ-ამარნას არქივში შენახულია რიგი წერილი, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ეგვიპტის საკმაოდ რთული ურთიერთობების შესახებ თავის ახალ მოკავშირეებთან, მათ ურთიერთქმედებასა და უთანხმოებებზე.

ხეთების ძლიერების გაზრდამ გამოიწვია გააფთრებული შეტაკებები მათსა და ეგვიპტელებს შორის, რომლებითაც პრაქტიკულად სავსე იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV-XIII საუ-

კუნეების მთელი პერიოდი. დამანგრეველმა ხასიათმა ომებისა, რომლებსაც რაიმე საგრძნობი შედეგი არ მოჰქონდათ, აიძულა მებრძოლი მხარეები დაეწყოთ მოლაპარაკება და ურთიერთ დათმობების საფუძველზე, ხელი მოეწერათ მეგობრულ შეთანხმებაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1278 წელს ასეთი შეთანხმება დაიდო ხეთების მეფე ხათუსილი III და ეგვიპტის ფარაონ რამზეს II შორის. წყაროები მოწმობენ, რომ ამ შემთხვევაში ინიციატივა ხეთების მხრიდან მოდიოდა.

შეთანხმება გულისხმობდა ერთობლივ თავდაცვით და შეტევით მოქმედებებს საერთო მტრების წინააღმდეგ, თანაც შეთანხმების ტექსტში არის მითითება იმაზე, რომ მოლაპარაკე მხარეები შეთანხმდნენ დაეხმარონ ერთმანეთს ეგვიპტეში ან ხეთების სამეფოში შიდაპოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის შემთხვევაშიც, მონების აჯანყების ან მღელვარებისას მათდამი დაქვემდებარებულ ლევანტში მდებარე ოლქებში. შეთანხმების ცალკე მუხლი ითვალისწინებდა გაქცეულების დაბრუნების ორმხრივ ვალდებულებას. წერილები, რომლებიც გარკვეულწილად განამტკიცებდნენ შეთანხმებას, ასევე გაუცვალა ერთმანეთს ორივე სახელმწიფოს დედოფალმა.

დიპლომატიური წერილების და საელჩოების გაცვლა გრძელდებოდა შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც, და როდესაც ეგვიპტის დედოფალი გარდაიცვალა, ეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი განმტკიცდა დინასტიური ქორწინებით: რამზეს II დაქორწინდა ხათუსილი III ქალიშვილზე.

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ 1278 წლის ხელშეკრულების ტექსტის ანალიზი იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ მოცემული ხელშეკრულება, შესაძლებელია, არ იყო პირველი და ის აგრძელებდა სამოკავშირეო ურთიერთობების ტრადიციას, რომ-

ელიც ჩამოყალიბდა ორ სახელმწიფოს შორის ხათუსილი III და რამზეს II წინამორბედების მმართველობისას.

აღნიშნულმა შეთანხმებამ, აგრეთვე მისმა წინარე დოკუმენტებმა, საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინეს ძველი მსოფლიოს სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური ინსტრუმენტარიუმის განვითარებაზე. მათი ფორმა, ფაქტობრივად იქცა ნიმუშად შემდგომი შეთანხმებების და ხელშეკრულებებისთვის, როგორც ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების, ისე ბერძნული პოლისებისა და რომისთვის. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმებაში ნათლად აისახა თვისება, დამახასიათებელი მხოლოდ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთათვის - საკუ-თრივ სახელმწიფოს გაიგივება მასში უზენაესი ხელისუფლების მატარებლის პიროვნებასთან, რაც მნიშვნელოვანწილად ახასიათებს აღნიშნული პერიოდის საერთაშორისო კავშირების სისტემის სპეციფიკას.

აღნიშნული შეთანხმების შემდგომ პერიოდში ეგვიპტე და ხეთების სამეფო თანდათან სუსტდებოდნენ და კარგავდნენ თავის საგარეო-პოლიტიკურ ძლიერებას. ამ პერიოდში წინა პლანზე გამოდის ასურეთი, სახელმწიფო, განლაგებული ტიგროსის შუა დინებაში. თავდაპირველად ასურეთი იყო მხოლოდ შედარებით მცირე სავაჭრო კოლონია ბაბილონის სამეფოს შემადგენლობაში, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი დამოკიდებულება ბაბილონზე სუსტდებოდა და უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის დასასრულს ასურეთის მეფეები წარწერებში თავისთავს უწოდებდნენ „სამყაროს მბრძანებლებს“, რომლებიც ღმერთებმა მოიხმეს ტიგროსის და ევფრატის შორის მდებარე ტერიტორიების სამართავად. ასურეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მოხსენიებულია თელამარნას მიმოწერაშიც, სადაც რიგ დოკუმენტებში საუბარია

იმაზე, რომ ეგვიპტეში ჩამოვიდნენ ასურეთის ელჩები და ამ ფაქტმა აღაშფოთა ბაბილონის მეფე; აგრეთვე იმაზე, რომ ბაბილონის მმართველი აპროტესტებდა ამ ელჩების მიღებას ფარაონის მიერ, რაც, თავის მხრივ, მოწმობს ამ ახალგაზრდა, დინამიურად განვითარებადი სახელმწიფოს ძლიერების ზრდას.

ასურეთის გაძლიერებამ ძლიერ შეაშფოთა ეგვიპტის და ხეთების სამეფოები. შესაძლებელია, რომ სხვა მიზეზებთან ერთად, ამგვარი საშიშროების გამოც იქნა ხელმოწერილი 1278 წლის შეთანხმება, რომელიც ასურეთის წინააღმდეგაც იყო მიმართული.

თავისი ძლიერების მწვერვალს საგარეო პოლიტიკის სფეროში ასურეთის სამეფომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებში მიაღწია, სარგონიდების დინასტიის მმართველობისას - სარგონის, სინაჰერიბის, ტიგლათფალესერ III და ასურბანიპალის დროს. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ასურეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლებმაც განაპირობეს მისი პოლიტიკური მოწყობის და წინა აზიის საერთაშორისო ცხოვრების ბევრი დამახასიათებელი თვი-სება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნის დასასრულამდე: 1. ჩრდილოეთი მიმართულება, რომლის ფარგლებში ასურეთი ეწეოდა საბრძოლო მოქმედებებს ურარტუს ტომების წინააღმდეგ; 2. სამხრეთი მიმართულება, რომლის ძირითადი მახასიათებელი იყო ომები ბაბილონის წინააღმდეგ; 3. აღმოსავლეთ-ხმელთაშუა ზღვის მიმართულება, რომლის ფარ-გლებში ხორციელდებოდა ურთიერთქმედება კეთილმყოფელი ნახევარმთვარის ქალაქ-სახელმწიფოების ვაჭრობის და ხელოს-ნობის ცენტრებთან.

მოცემული მიმართულებების არჩევანი განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით, ისეთებით, როგორებიცაა: საჭირო

წიაღისეულისა და სხვა ნედლეულის არარსებობა ასურეთის ტერიტორიაზე, ნაყოფიერი ოაზისების ფლობის აუცილებლობა, ძირითადი სავაჭრო მარშრუტების კონტროლისაკენ მისწრაფება. გარდა ამისა, ბევრი მკვლევარის აზრით, ასურეთის საგარეო-პოლიტიკური აქტიურობის მამოძრავებელ ძალებად იქცა ქვეყნის სამხედრო ზედაფენის მზარდი მოთხოვნილებები, პერიოდული სამხედრო ლაშქრობების მოწყობის აუცილებლობა, გამწვეული სურვილით მორჩილებაში ჰყოლოდათ დაპყრობილი ხალხები, ასურეთის ეკონომიკური ბაზის სისუსტე და სხვ.

ასურეთის ძლიერების საფუძვლები შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც მმართველი იყო ტიგლათფალესერ III (ჩვენ წელთაღრიცხვამდე 745-727 წწ.), რომელმაც რიგი რეფორმები გაატარა სამხედრო და ადმინისტრაციულ სფეროებში. ამ რეფორმებმა განამტკიცეს სახელმწიფოს შიდა სტრუქტურა, ამან კი შესაძლებელი გახადა მისი საგარეო პოლიტიკის გააქტიურება. VIII-VII საუკუნეებში ასურეთი გახდა ძველი აღმოსავლეთის ყველაზე მსხვილი სახელმწიფო. მისი დიდი ტერიტორია ხელს უწყობდა მუდმივ შეტაკებებს მეზობლებთან, რაც იწვევდა თითქმის განუწყვეტლივ ომებს. შექმნილ ვითარებაში ასურეთის მმართველები იძულებული იყვნენ განევითარებინათ და სრულყოფილი გაეხადათ არამარტო სამხედრო, არამედ დიპლომატიური ხელოვნებაც.

ასურეთის საგარეო-პოლიტიკური აქტიურობა იწვევდა წინა აზიის სახელმწიფოთა ძლიერ შეშფოთებას და აიძულებდა მათ, დაევიწყათ ურთიერთ უთანხმოებანი საერთო მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებისთვის. ასურეთის წინააღმდეგ აღნიშნულ პერიოდში შექმნილი იყო სახელმწიფოთა 3 კოალიცია: სამხრეთ-დასავლეთის, ეგვიპტის მეთაურობით, სამხრეთ-აღმოსავლეთის, ელამის მეთაურობით, ჩრდილოეთის, ურარტუს

მეთაურობით. კოალიციები საკმაოდ სუსტი იყო იმ უამ-რავი გადაულახავი წინააღმდეგობების გამო, რომლებიც არსე-ბობდა მოკავშირეებს შორის და მნიშვნელოვნად აიოლებდნენ ასურე-თის გამარჯვებას მათზე.

თავისი ძლიერების მწვერვალს ასურეთმა მიაღწია მეფე ასუ-რბანიპალის მმართველობისას, როდესაც ქვეყნის საზღვრები გაფართოვდა ურარტუდან ჩრდილოეთში ნილოსზე ნუბიის ჭორომებამდე სამხრეთში, და კვიპროსიდან და კილიკიიდან დასავლეთში ელამის საზღვრებამდე აღმოსავლეთში.

მაგრამ საგარეო-პოლიტიკურმა წარმატებებმა მნიშვნელო-ვანწილად დაასუსტა ასურეთი, დააჩქარა რა მისი დაშლა. ასურ-ბანიპალის მმართველობის დასასრულს ქვეყნის მორჩილებიდან გამოვიდა ბაბილონი, მიდია და ეგვიპტე, სახელმწიფოს ჩრდი-ლოეთ საზღვარზე კი ახალი მტრები გამოჩნდნენ - სკვითები და ქიმერიელები. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემ-დეგ, მიდიამ და ბაბილონმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, მიმა-რთულს ასურეთის წინააღმდეგ. სამხედრო მოქმედებები, გათ-ვალისწინებული ხელშეკრულებით და დაწყებული ჩვენს წელ-თაღრიცხვამდე 614 წელს, დასრულდა 612 წელს ასურეთის დამარცხებით და მისი ძირითადი ცენტრების განადგურებით.

ასურეთის მემკვიდრეები სხვადასხვა დროს გახდნენ ბაბი-ლონის ახალი სამეფო და აქემენიანთა სახელმწიფო, რომლებიც თავის საგარეო-პოლიტიკურ პრაქტიკაში იყენებდნენ ასურეთი-სთვის დამახასიათებელ ბევრ ხერხს.

აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ ძველი ინდოეთის მმართველებიც, რომლებსაც ურთიერთობები ჰქონდათ არამა-რტო ერთმანეთთან, არამედ ინდოსტანის ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყნებთანაც, კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეთა - დიადოხების სახელმწიფოებთანაც. ასე, ინდო-

ეთის მსხვილი სახელმწიფოს დამაარსებელმა მაურიამ და მისმა შთამომავლებმა მეგობრული ურთიერთობები დაამყარეს სელე-ვკიდებთან, რომლებმაც აღიარეს ინდოელმ მართველთა უფ-ლება ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი ინდოეთის ტერიტო-რიების ნაწილზე და ირანის ზეგანის ნაწილზე. წყაროებმა შემოინახეს ცნობები საელჩოების აქტიურ გაცვლის შესახებ მაურიას, სელევკიდების სირიის და მაკედონიის შორისაც კი, ასევე იმაზე, რომ მოლაპარაკებების შედეგები ერთხელ მაინც განმტკიცდა დინასტიური ქორწინებით. უფრო გვიან, უკვე ჩვე-ნი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ინდოეთის მეორე სახელ-მწიფოს - კუშანის სამეფოს - საელჩოებმა ურთიერთობები დაამყარეს რომის იმპერიასთან და არაერთხელ იყვნენ იქ ოქტავიანე ავგუსტუსის და ტრაიანეს დროს. გარდა ამისა, კუშანის სამეფოს წარმომადგენლები აქტიურად ავითარებდნენ ურთიერთობებს ეგვიპტესა და შუა აზიის სახელმწიფოებთან.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საგარეო პოლიტიკის გატარების ხელოვნება ვითარდებოდა ძველ ჩინეთშიც, სადაც უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუახანებში რიგი სახელმწიფოს მმართველები სამოკავშირეო ურთიერთობებში შედიოდნენ ერთმანეთთან, მათ აგრეთვე ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა უარის თქმას სადავო საკითხების სამხედრო გზით გადაჭრაზე და კონფლიქტში მყოფი ქვეყნების აუცილებელ მიმართვას მესამე მხარისადმი. ეს ფაქტობრივად იყო ერთ-ერთი პირველი ხელშეკრულება ურთიერთ თავდაუს-ხმელობის შესახებ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ჩინეთის წარმო-მად-გენლები ცდილობდნენ დაემყარებინათ პოლიტიკური და ეკო-ნომიკური კონტაქტები ბერძნულ-ბაქტრიულ სახელმწიფოსთან და სხვა ქვეყნებთან მომთაბარეთა წინააღმდეგ კავშირის შექმნის

მიზნით, ამ ცდებს ზოგიერთ შემთხვევაში წარმატება მოყვა, ამან კი შესაძლებელი გახადა შექმნილიყო სავაჭრო გზა ჩინეთიდან დასავლეთისკენ, რომელიც დაახლოებით სამი საუკუნის განმავლობაში მოქმედებდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში ჩინეთის მმართველები აქტიურად ავითარებდნენ თავის ურთიერთობებს პართიის სამეფოსთან, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში კი თავისი გავლენა განავრცეს შუა აზიის რიგ ოლქზე, მოაგვარეს საელჩოების გაცვლა ირანის, კორეის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგი მცირე სახელმწიფოების მმართველებთან. ამასთანავე, ჰუნების ტომებს შორის წინააღმდეგობების გამოყენების დახმარებით შეძლეს მათი შემოსევებისგან თავისი ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ასევე აღვნიშნავთ, რომ ახალი წელთაღრიცხვის I-II სს. მიჯნაზე ჩინეთის ელჩები შეეცადნენ დაემყარებინათ ურთიერთობები რომის იმპერიასთან, მაგრამ ეს ცდები წარუმატებლად დამთავრდა პართიელთა წინააღმდეგობის გამო, რამეთუ ამ უკანასკნელთ ეშინოდათ ჩინეთის მეგობრული ურთიერთობების დამყარებისა პართიის მიმართ მტრულად განწყობილ რომთან.

2. საბერძნეთი

ძველი საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს დაპირისპირება ორი ტენდენციისა - ერთი მხრივ, მისწრაფება ერთიანობისკენ, მეორე, იზოლაციისკენ. მოცემული თვისება მნიშვნელოვანწილად აიხსნება მიზეზებით, როგორც გეოგრაფიული ხასიათისა (ადგილის მთიანი ლანდშაფტი, რომელიც ყოფს ნოყიერ დასახლებულ ხეობებს), ისე ეთნიკურის: ა) ელინებს ესმოდათ, რომ ეკუთვნიან ერთიან ხალხს, გაერთიანებულს წარმოშობით, ენითა და კულტურით და ისინი მუდამ უსვამდნენ ხაზს თავის განსხვავებას უცხო ტომის ბარბაროსებისგან, ბ) გარკვეულ როლს ბერძნებს შორის ურთიერთობებში ასრულებდა მათი კუთვნილება ამა თუ იმ სუბეთნიკური ჯგუფისადმი - აქეურის, იონიურის, დორიულის და სხვ., რომლებიც სხვებისგან განსხვავდებოდნენ ბერძნული ენის დიალექტური ფორმებით და მთლიანობაში ცხოვრების წესის ელემენტებით. აღნიშნული ფაქტორები გარკვეულ გავლენას ახდენდა ურთიერთობებზე როგორც საკუთრივ ბერძნულ პოლისებს შორის, ისე სხვა ხალხების წარმომადგენლებთან.

ძველი საბერძნეთის გარე კავშირების განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა ე. წ. „დიდმა კოლონიზაციამ“ (VII-VI საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელიც შორს გასცდა ეგეოსის ზღვის აუზის ფარგლებს და გამოიწვია უამრავი ბერძნული ქალაქის დაარსება ხმელთაშუა და შავი ზღვის ნაპირებზე. ყოველი კოლონია წარმოადგენდა დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოს (პოლისს), მაგრამ რომელიც, როგორც წესი, მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს ინარჩუნებდა თავის მეტროპოლიასთან. სხვადასხვა სტატუსის მქონე პოლისების ზრდამ გამოიწვია მათ შორის არსებული ურთიერთობების სისტემის გართულება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეებში, რამაც თავის მხრივ გამოიწვია პოლისებს შორის ახალი შეთანხმებების წარმოქმნა, რომლებიც არეგულირებდა მათ შორის არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ,

რელიგიურ და სამხედრო ურთიერთობებს, აგრეთვე გამოიწვია კავშირების სისტემები.

უნდა აღინიშნოს, ასევე, საერთო ბერძნული რელიგიური დღესასწაულების და ღონისძიებების დიდი მნიშვნელობა ელადის ტერიტორიაზე პოლისებს შორის არსებული კავშირების სისტემის განვითარებისთვის (ოლიმპიური თამაშები, ისტმიის თამაშები და სხვ.).

პოლისთაშორისი კავშირების უძველეს ფორმად საბერძნეთში მიღებულია „პროქსენია“, ანუ, სტუმართმოყვარეობა. პროქსენია გამოიყენებოდა კონტაქტების დამყარებისთვის როგორც ცალკეული პირების, გვარების და ტომების, ისე მთელ ქალაქსახელმწიფოების შორის. მოცემული პრინციპი ხორციელდებოდა სპეციალური ადამიანების პროქსენების მეშვეობით, რომლებიც, იყვნენ რა რომელიმე პოლისის მცხოვრებლები, საშუამავლო მომსახურებას უწევდნენ სხვა პოლისების წარმომადგენლებს, ღებულობდნენ თავისთან როგორც კერძო პირებს, ისე ელჩებს და თავისთავზე იღებდნენ მოცემული პოლისის ინტერესების დაცვას თავისი ქალაქის ხელისუფალთა წინაშე. - დიპლომატიური მოლაპარაკებებიც წარმოებდა პროქსენების თანდასწრებით. თავის მხრივ, ის პოლისი, რომლის ინტერესებს იცავდა პროქსენი, ამლევდა მას რიგ შეღავათს ვაჭრობის, გადასახადების, სასამართლოს წარმოების და სხვა სფეროებში.

საბერძნეთში სახელმწიფოთაშორისი კავშირების სხვა ძველი ინსტიტუტი იყო ამფიქტიონები - რელიგიური კავშირები, რომლებიც წარმოიქმნებოდა რომელიმე ღმერთის საკურთ-ხევლთან. ამ კავშირებში შედიოდა თემები, მცხოვრები საკურთხევლის რაიონში, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სუბეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ისინი. ითვლება, რომ ამფიქტიონების თავდაპირველი მიზანი იყო ერთობლივი საერთო

რელიგიური დღესასწაულების მოწყობა, მსხვერპლის შეწირვა, ტაძრების დაცვა, აგრეთვე წმინდა ჩვეულებების დამრღვევთა დასჯა. გარდა ამისა, თემების წარმომადგენლები, შეკრებილნი დღესასწაულებზე, თათბირობდნენ საზოგადოებ-რივი ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე; დღესას-წაულების დროს იკრძალებოდა ომები და ცხადდებოდა „სა-ღვთო მშვიდობა“ (იერომენია), რაც ხელს უწყობდა ამფიქტიონების გადაქცევას რელიგიურ-პოლიტიკურ ინსტიტუტად, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მთელი ძველი საბერძნეთის მასშტაბებში.

წყაროებში ნახსენებია რამდენიმე ბერძნული ამფიქტიონია, რომელთაგან ყველაზე ძველი და მძლავრი იყო დელფოს-თერმოპილესი, შექმნილი დელფოსის (აპოლონის ტაძართან დელფოსში) და თერმოპილეს (დემეტრას ტაძართან) ამფიქტიონების ბაზაზე. აღნიშნულ კავშირში საკმაოდ ბევრი ქალაქსახელმწიფო შედიოდა. თითო მათგანს 2 ხმა ჰქონდა საერთო საბჭოში - ამფიქტიონიების უმაღლეს ორგანოში - საკითხების ერთობლივად განხილვისას. კრებას ორჯერ წელიწადში იწვევდნენ და ის იკრიბებოდა ჯერ თერმოპილებში, შემდეგ დელფოსში. კრების უმნიშვნელოვანესი ვალდებულება იყო „საღვთო მშვიდობის“ დაცვა და რელიგიური დღესასწაულების ორგანიზება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნის ბოლოში კავშირის ჩარჩოებში გამოჩნდა თანამდებობის პირთა ახალი ჯგუფი - პილაგორები, რომლებიც მოკავშირე სახელმწიფო- თა პოლიტიკურ წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. პილაგორების და კრების წევრთა (იერომონების) შუამავლობით ამფიქტიონიაში შემავალი ქალაქ-სახელმწიფოები თავისთავზე იღებდნენ გარკვეულ ვალდებულებებს მოკავშირეთა წინაშე, ერთმანეთს ეფიცებოდნენ და ა. შ. თუკი რომელიმე პოლისი დაარღვევდა თავისთავზე აღებულ ვალდებულებებს, დამ-

რღვევი ექვემდებარებოდა მოკავშირეთა სასამართლოს, რომლებსაც შეეძლოთ მისთვის „წმინდა ომის“ გამოცხადება, მაგრამ ტრადიციების მიხედვით, ამფიქტიონიას არ შეეძლო ჩარევა თავისი წევრების საშინაო საქმეებში.

მიუხედავად ამიქტიონიების ფორმალური დამოუკიდებლობისა ერთმანეთის მიმართ, კავშირი ფაქტობრივად იყო ერთერთი თავისი ყველაზე ძლიერი წევრის გავლენის ქვეშ. პოლისები, რომლებიც ამფიტრიონიების ფარგლებში უპირატესობის მოპოვებისკენ მიისწრაფოდნენ, აქტიურად ცდილობდნენ თავის მხარეზე გადაეყვანათ დელფოსის ორაკული, რომლის წინასწარმეტყველებანი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ელადის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახდენდნენ რა მისი საშუალებით ზეგავლენას მოვლენათა მსვლელობაზე როგორც პოლისების საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში. გარდა ამისა, ჩვეულების მიხედვით, ყველა პოლიტიკური შეთანხმება, დადებული ბერძნულ თემებს შორის, უნდა დაემტკიცებინათ დელფოსის ქურუმებს. აღვნიშნავთ ასევე, რომ დელფოსის ორაკულს ხშირად მიმართავდნენ პოლისებს შორის ურთიერთობებში აღმოცენებული დავების გადასაწყვეტად.

რელიგიურ-პოლიტიკურ გაერთიანებებთან ერთად, ელადაში სამხედრო-პოლიტიკური კავშირებიც - „სიმახიები“ არსებობდნენ. ისინი უფრო გვიანდელი და უფრო რთული სამოკავშირეო წარმონაქმნები იყო. ყველაზე მნიშვნელოვანს მათ შორის წარმოადგენდნენ ლაკედემონის და დელოსის (ათენის) სიმახიები.

ლაკედემონის სიმახია წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში, როგორც პელოპონესის ქალაქებისა და თემების კავშირი, სპარტით სათავეში. სიმახიის უმაღლესი ორგანო იყო „სილოგოსი“, ე. ი. საერთო კრება, რომელსაც კავშირის მთავარი

ქალაქი ერთხელ წელიწადში იწვევდა. კავშირის წევრ-თემებს, მიუხედავად მათი სიდიდის, ძალისა და ეკონომიკური სიძლიერისა, კრებაზე მხოლოდ თითო ხმა ჰქონდათ. საკითხები კრებაზე ხმათა უმრავლესობით წყდებოდა, როგორც წესი, საკმაოდ ხანგრძლივი დავის შემდეგ.

ათენის სიმახია შეიქმნა ბერძენ-სპარსული ომების დროს სპარსეთის მუქარის მოსაგერიებლად და ლაკედემონის სიმახიასგან განსხვავდებოდა ორი ნიშნით: 1. ათენის სიმახიის წევრები იხდიდნენ სპეციალურ შესატანს (ფოროსს) საერთო საკავშირო ხაზინაში, რომელიც კუნძულ დელოსზე მდებარეობდა; 2. კავშირის წევრები უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებული თავის ჰეგემონ - ათენზე. შექმნილმა ვითარებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დელოსის სიმახია თანდათან ათენის საელმწიფოდ (არქედ) გადაიქცა.

ურთიერთობები აღნიშნულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს შორის საკმაოდ დაძაბული იყო, რამაც საბოლოოდ საქმე მიიყვანა პელოპონესის ომამდე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის მეორე ნახევარი), რომელმაც პრაქტიკულად საბერძნეთის ყველა ქალაქი-სახელმწიფო ჩაითრია. ომში ათენის დამარცხების შემდეგ, დელოსის სიმახია განადგურებული იქნა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 404 წელი), მაგრამ მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 378 წელს, ათენმა თავის გარშემო კვლავ გააერთიანა კუნძულების პოლისები, შექმნა რა ათენის მეორე საზღვაო კავშირი. შესაბამისად ხელმოწერილი შეთანხმებისა, რომლის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია, ათენმა თავისთავზე აიღო ვალდებულება არ ჩარეულიყო მოკავშირეების საშინაო საქმეებში და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაეწყვიტა მათი აზრის გათვალისწინებით. ამ გაერთიანებამ საკმაოდ მოკლე ხანი იარსება. მისი შექმნის შემდეგ, მცირე ხანში

ათენმა დაიწყო თავისთავზე აღებული ვალდებულებების დარღვევა, რამაც გამოიწვია კავშირის დაშლა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 355 წელს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებში იყო ცდები შეექმნათ საერთო ბერძნული საკავშირო გაერთიანებები, მაგრამ ურთიერთ წინააღმდეგობების გამო, პრაქტიკულად არც ერთი მათგანი არ დასრულებულა წარმატებით. დადებით შედეგს ამ მიმართულებით მხოლოდ მაკედონიის მეფე ფილიპე მეორემ მიაღწია, როდესაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 338 წელს, კორინთოში შეიქმნა საერთო ბერძნული თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყველა პოლისმა, სპარტის გარდა. ამ თათბირის თავმჯდომარემ, ფილიპე მაკედონელმა გამოაცხადა ომის შეწყვეტა საბერძნეთში. მან შეძლო გარკვეული ხნით და-ეძლია ტრადიციული ბერძნული დაქსაქსულობა. გაერთიანე-ანების ჰეგემონი თვით ფილიპე გახდა, მაგრამ ჩვენს წელ-თაღრიცხვამდე 336 წელს ის მოკლეს და მისი გეგმების შე-სრულება თავისთავზე აიღო მისივე ვაჟმა ალექსანდრე დიდმა (მმართველობის წლები: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 336-323 წწ.). მას 10 წელი დასჭირდა, რათა დაემორჩილებინა სპარსეთი და ინდოეთამდე მისულიყო. დიპლომატიის გამოყენებით, ალექ-სანდრე იღებდა ინდოეთის ქალაქებს, შედიოდა რა კავშირში ადგილობრივ ქურუმებთან და იყენებდა მტრობას, არსებულს რაჯებს შორის. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ დარჩა უზა-რმაზარი მემკვიდრეობა. ტახტზე პრეტენზია ჰქონდა ბევრ ვინმეს იმპერატორის გარემოცვიდან. საბოლოო შედეგად, უზე-ნაესი მმართველი პერდიკა გახდა, ალექსანდრეს სარდლებიდან უფროსი. მაგრამ ამან ალექსანდრეს ბევრი თანამებრძოლის უკ-მაყოფილება გამოიწვია, რამეთუ ისინი თავისთავს წაგე-ბულად თვლიდნენ. ელინისტური ეპოქა დაიწყო ხელისუ-ფლებისთვის

ხანგრძლივი ბრძოლით (სწორედ ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე 301 წელს იფსთან შემდგარ ბრძოლამდე). ამ ეპოქამ დატოვა ბევრი ძეგლი, რომელიც მიეკუთვნება დიპ-ლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს. ეს იყო კავშირები, შეთანხმებების ტექსტები, წერილები და ზოგიერთი სხვა დოკუმენტი.

ამ პერიოდის ელინისტური დიპლომატიის ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს პოლისპერხონის მანიფესტი ბერძნულ ქალაქებისადმი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 319 წელი). პერდიკას სიკვდილის შემდეგ, ის გახდა რეგენტი. მის წინააღმდეგ შეიქმნა მძლავრი კოალიცია, რომლის სათავეში იდგნენ კასანდრი, ანტიგონე, პტოლემაიოსი და სელევკი. კოალიცია მთელი თავით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე პოლ-ისპერხონი. ამ გარემოებამ აიძულა კიდეც ის წასულიყო ნატიფ დიპლომატიურ მანევრზე. მოკავშირეთა ძებნის მიზნით, პოლისპერხონმა მიმართა მანიფესტით ბერძნულ ქალაქებს. პირდებოდა რა მათ დემოკრატიისა და თავისუფლების აღდგენას. ის გამოვიდა ფილიპეს და ალექსანდრეს დინასტიის კანონიერი მემკვიდრის და დამცველის როლში, თავის მტრებს კი ბრალი დასდო უზურპაციის ცდაში. მანიფესტის შესავალი სიტყვები ამბობენ: „რადგან ჩვენი წინაპრები ყოველთვის პატივს სცემდნენ ელინებს, ჩვენც უნდა გავაგრძელოთ მათი საქმე და წარმოვადგინოთ ბერძენი ხალხისადმი კეთილგანწყობის მტკიცებულებები. ელინებს უბრუნდებათ სახელმწიფო მოწყობა, რომელიც მათ გააჩნდათ ფილიპესა და ალექსანდრეს დროს“, - ნათქვამია მანიფესტში.

მეამბოხე სარდლების ყველა განკარგულება უქმდებოდა. განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო ათენის უფლებები. მისი ყველა სამფლობელო ხელშეუხებლად ცხადდდებოდა, გარდა ამისა, ათენს გადაეცემოდა სამოსი და ოროსი.

თავისი მანიფესტით პოლისპერხონმა მიაღწია დასახულ მიზნებს, დროებით დაასუსტა რა მტრული კოალიცია. მისმა დიპლომატიამ მხარდაჭერა ჰპოვა დემოსისა და ოლიგარქების მხრიდან. მაგრამ კოალიცია მაინც გაუმკლავდა შოკს და საბოლოო შედეგად, მან გაიმარჯვა. რიგი ომის შედეგად, ალექსანდრეს მემკვიდრეობა განაწილდა სამ მსხვილ ბერძნულ სამეფოს შორის: პტოლემაიოსების სამეფო ეგვიპტეში, სელევკიდების სამეფო აზიაში, ანტიგონიდების სამეფო ევროპაში.

ამ სამეფოთა ისტორია ორ საუკუნეზე მეტს მოიცავს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნემდე, როდესაც ელინისტური სამეფოები დაეცა სხვა ანტიკური სახელმწიფოს - რომის დარტყმების შედეგად.

ელინიზმის ეპოქამ უცნობამდე შეცვალა საბერძნეთის პოლიტიკური რუკა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის ბოლოსთვის უკვე არ მოაგონებდა სხვადასხვა ფერის მოზაიკას, შემდგარს პატარა ქალაქ-სახელმწიფოებისგან. ამ პერიოდში მატერიკის საბერძნეთის თითქმის მთელი ტერიტორია დანაწილებული იყო რამდენიმე მსხვილ სახელმწიფოს შორის, რომლებიც თავის შემადგენლობაში ითვლიდნენ ათეულ ადრე დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებს, სასოფლო თემებსა და გაერთიანებებს. ამ ახალი პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურ განსახიერებას წარმოადგენდა აქეის და ეთოლიის კავშირები, ყველაზე ვრცელი და გავლენიანი ახალშექმნილ სახელმწიფოებიდან, რომლებმაც ისტორიულ მეცნიერებაში ფედერაციის სახელწოდებები მიიღეს. ანტიკური პერიოდის შემსწავლელ რიგ ისტორიკოსთა აზრით, სწორედ ელადაში იყო პირველად გამოყენებული ფედერალიზმის პრინციპი, რომე-ლიც ერთადერთი შესაძლებელი აღმოჩნდა ცალკეული პოლი-სების

ერთიან დამოუკიდებელ სახელმწიფოში მდგრადი და ხანგრძლივი გაერთიანებისთვის.

ინტეგრაციულ პროცესებს, რომლებიც აქტიურად ვითარდებოდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის პირველ ნახევარში, გარკვეული კავშირი ჰქონდათ როგორც იმ დროის სოციალ-ეკონომიკურ პროცესებთან, ისე პოლიტიკურ ვითარებასთან.

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ფედერაციული კავშირების სწრაფი ზრდა ელინისტურ საბერძნეთში განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა, ვიდრე ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთ ოლქში ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის საბერძნეთში დაიწყო სერიოზული ეკონომიკური სიძნელეები, გამოწვეული დიადოხების დროის განუწყვეტელი ომებით, რომლებმაც თავისი გაგრძელება ჰპოვეს ელინისტური სახელმწიფოების შედარები- თი სტაბილიზაციის ეპოქაშიც. ელინისტური აღმოსავლეთის ქალაქების ძალზე სწრაფი ზრდის შესაბამისად, ბალკანეთის საბერძნეთის ქალაქ-პოლისები კარგავდნენ თავისი ხელოსნობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ტრადი-ციულ ბაზრებს, რამაც გამოიწვია მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება. ეკონომიკის აღმავლობას ასევე არ უწყობდა ხელს მოსახლეობის ყველაზე ინიციატივიანი ნაწილის აღმოსავლეთში გადინების პროცესი, რომელიც გრძელდებოდა.

აღნიშნულ პერიოდში ასევე გამოიკვეთა კრიზისული მოვლენები საზოგადოების პოლისური მოწყობის ჩარჩოებში, რაც გამოიხატა მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის განსხვავებების წაშლაში. შიდა წინააღმდეგობების სიმწვავე, ურთიერთ უნდობლობა თანამოქალაქეებს შორის წარმოშობდა სხვა პოლისებიდან მოსამართლეების მოწვევის საყოველთაო პრაქტიკას.

პოლიტიკური შეთანხმებების განმტკიცებისთვის დაიწყო მოქალაქეობის გაცვლის პრაქტიკის ფართოდ გამოყენება - ეგრეთ წოდებული ისოპოლიტია. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი, ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, პოლისური სისტემის დეფორმაციას, მეორე მხრივ კი, შესამჩნევად აცოცხლებდა კონტაქტებს პოლისებს შორის.

პოლისებს შორის კულტურული და სამეურნეო კავშირების გაძლიერება, პანელინისტური იდეებისა და წარმოდგენების გავრცელება - ყველაფერი ეს სრულიად შესაძლებელს ხდიდა ბალკანეთის საბერძნეთის ქალაქების გაერთიანებას მსხვილ სახელმწიფოებად, ამასთან, თავდაპირველად არ გამოირიცხებოდა ბერძნული პოლისების და მაკედონიური მონარქიის თანდათანობითი ინტეგრაციის შესაძლებლობა, მაგრამ მაკედონიის მეფეთა პოლიტიკა არ უწყობდა ხელს ამგვარ გაერთიანებას.

აღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია ელინისტური ფედერაციების საკმაოდ სწრაფი ზრდა. ისტორიულ მეცნიერებაში ასევე არსებობს თვალსაზრისი, რომ ელინიზმის ეპოქის ინტეგრაციული პროცესები წარმოადგენდა ტომობრივი ერთიანობის ძველი ტრადიციის უბრალო გაგრძელებას, როდესაც გაჩნდა ხელსაყრელი პირობები მისი განახლებისთვის.

ახალი პოლიტიკური გაერთიანებები საკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ, ურთიერთობდნენ რა არამარტო ერთმანეთთან, არამედ უმსხვილეს ელინისტურ მონარქიებთანაც - ანტიგონიდების მაკედონიასთან, სელევკიდების სირიასთან და პტოლემაოსების ეგვიპტესთან. მათ შორის წინა-აღმდეგობებს ფედერაციები იყენებდნენ თავისი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში პოლისების ფედერაციები განაგრძნობდნენ მნიშვნელოვანი როლის თამაშს საერთაშორისო პოლიტიკაში, აფართოებდნენ რა

თავის საზღვრებს, მაგრამ ამ პერიოდში ისინი უკვე მაკედონიის ან რომის სატელიტებად გამოდიან, რომლებიც მათ ერთმანეთს შორის ბრძოლაში იყენებდნენ.

კავშირების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო საერთო საკავშირეო კრება, რომელიც დაახლოებით იმავე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც სახალხო კრება პოლისში. კრებებზე წყდებოდა საგარეო-პოლიტიკური საკითხებიც, რომლებიც შეეხებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის სამხედრო ან პოლიტიკური დახმარების გაწევას, ომის გამოცხადებას, მშვიდობის დამყარებას, ხელშეკრულების რატიფიცირებას და სხვ. კრებები ასევე იღებდა და აგზავნიდა საელჩოებს, ისმენდა ელჩების ანგარიშებს, ღებულობდა უცხოელ მმართველთა საჩუქრებს, ან უარს ამბობდა ამაზე, წყვეტდა ტყვეების ბედს, ხელმძღვანელობდა მოკავშირე პოლისებს შორის არსებული ტერიტორიული დავების მოწესრიგებას და ა. შ.

საგარეო-პოლიტიკური ფუნქციები გააჩნდა კავშირის სტრატეგსაც (აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელს), რომელსაც უფლება ჰქონდა, საჭირო შემთხვევაში დაეშვა თავდასხმები მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, აგრეთვე მოლაპარაკება ეწარმოებინა საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, მათ წარმომადგენლებთან პირადი შეხვედრების გამოყენებით, ელჩების გაგზავნით, ან დიპლომატიური მიმოწერის საშუალებით. გარდა ამისა, სტრატეგს უფლება ჰქონდა, გამოსულიყო საკავშირო კრებაზე ომის გამოცხადების ან მშვიდობის დამყარების ინიციატივით, თანაც, სტრატეგის პოზიცია, როგორც წესი, განსაზღვრავდა კენჭისყრის შედეგს. სტრატეგის უფლებამოსილების მოცულობა, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში, შეზღუდული იყო ისეთი თანამდებობის პირებით, როგორებიცაა დამიურგები, უფლება რომ ჰქონდათ,

აღეკვეთათ სტრატეგის ის მოქმედებები, რომლებიც მთლიანობაში არ ეწინააღმდეგებოდნენ კავშირის საგარეო პოლიტიკის გეზს. უცნობია, და, რა თქმა უნდა, დაუშვებელი იყო შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მოკავშირე პოლისი დამოუკიდებლად იწყებდა სამხედრო მოქმედებებს უცხოური სახელმწიფოს წინააღმდეგ; მეორე მხრივ, ფედერაცია თავის წევრებს არ უშლიდა ხელს, შეენარჩუნებინათ ორმხრივი ურთიერთობები მოკავშირე სახელმწიფოებთან.

მთლიანობაში, დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ პოლისების ერთიან მთელად ინტეგრაციის სწორედ ეს ხერხი დაეხმარა მათ მიესადაგათ თავისი არსებობა ახალ საშინაო და საგარეო პირობებისადმი და უზრუნველეყოთ შედარებით მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა შიდაპოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისას.

წყაროების მდიდარი მასალა მოწმობს, რომ ანტიკური საბერძნეთის პოლისებსა და კავშირებში არსებობდა საკმაოდ განვითარებული დიპლომატიური პრაქტიკა, შესაძლებლობას რომ იძლეოდა მშვიდობიანი გზით, ელჩების მეშვეობით, გადაეჭრათ მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტები. ჰომეროსის საბერძნეთში ელჩებს მაცნეებს (ამბის მომტანებს) უწოდებდნენ, კლასიკურში კი - უხუცესებს. ბერძნული პოლისების უმრავლესობაში ელჩებს სახალხო კრება ირჩევდა შედარებით მაღალი ასაკის (არანაკლებ 50 წლისა) ადამიანებისგან, რითაც აიხსნება კიდეც ცნება „უხუცესი“-ს გაჩენა.

ჩვეულებრივად, ელჩებს ირჩევდნენ შეძლებულ მოქალაქეებისგან, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობდნენ და პროქსენები ჰყავდათ სხვა პოლისებში. ერთ-ერთი აუცილებელი თვისება, რომელსაც ელჩის არჩევისას ითვალისწინებდნენ, იყო კანდიდატის მჭერმეტყველება. ყველაზე ხშირად, ელჩობას ავა-

ლებდნენ პოლისების უმაღლესი თანამდებობის პირებს. ხანდახან ელჩის მოვალეობა ეკისრებოდათ კერძო პირებს, რომელთაც ადრე ეკავათ არჩევითი თანამდებობები და შენა-რჩუნებული ჰქონდათ გავლენა თემის პოლიტიკურ ცხოვ-რებაზე. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ელჩებად ნიშნა-ვდნენ ორატორებს ან მსახიობებს, რომელთა ხელოვნება მეტ წონას და დამაჯერებლობას ანიჭებდა ელჩის სიტყვებს სხვა ქალაქ-სახელმწიფოს სახალხო კრების წინაშე გამოსვლისას.

საელჩო მისიის წევრთა რიცხვი სხვადასხვა იყო. ყველა ელ-ჩი თანასწორი უფლების იყო, მხოლოდ მოგვიანებით შემოვ-იდა წესად საელჩოს მეთაურის - „არქიუხუცესის“, არჩევა, რომელიც ასევე ასრულებდა ელჩების კოლეგიის მეთაურის მოვალეობას. ელჩების შენახვაზე, მათი მოვალეობის შესრულების პერიოდში, გამოიყოფოდა განსაზღვრული ოდენობის ფულადი სახსრები, ეგრეთ წოდებული „საგზაო ფული“; მათ ასევე ჰქონდათ უფლება, კმაყოფაზე ჰყოლოდათ მოსამსახურეთა გარკვეული შტატი.

ელჩების გაგზავნისას მათ ეძლეოდათ სარეკომენდაციო წერილები („სიმბოლოები“) მასპინძელი ქალაქის პროქსენებთან. ელჩობის მიზნები და მოლაპარაკებებზე დიპლომატიური მანევრის თავისუფლება განისაზღვრებოდა ინსტრუქციებით, რომლებიც ელჩებს ეძლეოდათ. საბერძნეთში არსებობდა ინსტრუქციების გაფორმების დადგენილი წესი: ისინი წარმოადგენდნენ სიგელს, შემდგარს ორ ერთად დადებულ გასანთლულ ფიცრის მცირე ფირფიტის - „დიპლომატისგან“ (აქედან წარ-მოიშვა კიდეც თვით ტერმინი „დიპლომატია“).

ელჩები, ჩამოსული დანიშნულების ადგილზე, როგორც წესი, ხვდებოდნენ პროქსენს და მასთან ერთად მიემართებოდნენ პოლისის იმ თანამდებობის პირებთან, რომლებიც განაგებდნენ თემის საგარეო ურთიერთობებს, წარუდგენდნენ თავის სიგე-

ლებს და იღებდნენ მათგან შესაბამის მითითებებსა და რჩევებს. გარკვეული დროს შემდეგ ელჩებს ეძლეოდათ სიტყვა საბჭოში ან სახალხო კრებაზე, სადაც ისინი ასახელებდნენ თავისი ჩამოსვლის მიზანს. ამის შემდეგ, იხსნებოდა საჯარო დებატები ან საკითხი განსახილველად გადაეცემოდა სპეციალურ კომისიას. როგორც წესი, ელჩებს სათანადო პატივისცემით ეპყრობოდნენ, უზრუნველყოფდნენ მათ კარგ მიღებას, ასაჩუქრებდნენ, იწვევდნენ თეატრალურ წარმოდგენებზე, თამაშებსა და დღესასწაულებზე.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისას საელჩოს წევრები სახალხო კრებას აბარებდნენ ანგარიშს თავისი მისიის შედეგების შესახებ, ამასთან, თითოეულ მოქალაქეს ეძლეოდა უფლება, ელჩის ანგარიშის მოსმენის შემდეგ შეეფასებინა ჩატარებული მუშაობა და ბრალდებითაც კი გამოსულიყო ელჩობის წევრთა მისამართით. ელჩების საქმიანობის დადებითად შეფასების შემთხვევაში მათ მიეცემოდათ საპატიო ჯილდოები.

ანტიკურ პოლისებში ელჩების ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება იყო კავშირების შექმნა სხვა ქალაქ-სახელმწიფოებთან და შესაბამისი შეთანხმებების დადება. ძველი ადამიანები შეთანხმებას როგორც რაღაც წმინდას უყურებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ შეთანხმების დარღვევა იწვევდა სასჯელს ღმერთების მხრიდან, ამიტომ ხელშეკრულების დადებას და დიპლომატიურ მოლაპარაკებებს თან ახლდა მკაცრი ფორმალობები. სახელშეკრულებო ვალდებულებებს ამაგრებდნენ ფიცის დადებით, რომლის მოწმედ იწვევდნენ ზებუნებრივ ძალებს, ვინც აკურთხებდა ხელმოწერილ შეთანხმებას. ფიცს ორივე მხარე დებდა იმ ქალაქის ხელმძღვანელ პირთა თანდასწრებით, სადაც ხელს აწერდნენ შეთანხმებას. როგორც წესი, ფიცს თან ახლდა

მუქარაც იმ წყევლისა, რომელიც თავს უნდა დაცემოდა შეთანხმების პოტენციურ დამრღვევს.

ხელშეკრულების პირობების მიღების შემდეგ, ყოველი მხარე ვალდებული იყო ამოეჭრა მისი ტექსტი ქვის სტელაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო შენახული ერთ-ერთ ტაძარში. ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებების ასლები ინახებოდა სიწმინდეთა საერთობერძნულ სანახში (დელფებში, დელოსში და სხვ.). ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი მიდიოდა შეთანხმების ხელმომწერი პოლისების არქივებში. ხელშეკრულების დარღვევის და ომის გამოცხადების შემთხვევაში სტელას, მასზე დატანებული შეთანხმების ტექსტით, ამტვრევდნენ, რაც შეთანხმების გაუქმების სიმბოლო იყო.

დავები და შეჯახებები, რომლებიც წარმოიშობოდა სახელშეკრულებო პირობების დარღვევის ნიადაგზე, განსახილველად გადაეცემოდა მესამეულ კომისიას, რომელიც ბრალდებულ მხარეს ფულად ჯარიმას აკისრებდა. ეს ფული რომელიმე ტაძრის ხაზინაში შედიოდა (აპოლონისა დელფოსში, ზევსისა ოლიმპიაში და ა. შ.). შემორჩენილი წარწერებიდან ცნობილია სასჯელები, რომლებიც 10 და მეტ ტალანტს შეადგენდნენ, რაც იმ დროს საკმაოდ დიდი თანხა იყო. თუ რომელიმე პოლისი კატეგორიულად არ ასრულებდა მესამეული სასამართლოს მოთხოვნებს, ასეთის მიმართ ატარებდნენ დაძალებით ღონისძიებებს, „წმინდა ომის“ გამოცხადების ჩათვლითაც კი.

აღნიშნული დიპლომატიური პროცედურები გარკვეული ცვლილებებით არსებობდნენ ელინისტურ ეპოქაშიც.

ამრიგად, ძველი საბერძნეთის სახელმწიფოთაშორისი კავშირების ისტორია გვიჩვენებს მაგალითებს საკმაოდ განვითა- რებული დიპლომატიური პრაქტიკისა, რომელიც პოლისებს შორის ურთიერთობების მშვიდობიანი მეთოდებით დარე-გული-

რების საშუალებას იძლეოდა. რა სიახლე შეიტანა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა პრაქტიკაში რომის პერიოდმა? განვიხილოთ ძველი რომის საგარეო პოლიტიკის სპეციფიკა.

3. რომი

ძველი რომის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა საკმაოდ აქტიური იყო ამ სახელმწიფოს არსებობის მთელ პერიოდში. რომაელები თავის გავლენას ავრცელებდნენ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონს, კეთილმყოფ ნახევარმთვარის ქვეყნებს, ცენტრალურ, სამხრეთ და დასავლეთ ევროპის ოლქების ნაწილს, აგრეთვე ზოგიერთ ტერიტორიას აზიის შიდა ოლქებში. ისტორიული წყაროები იძლევიან იმის მტკიცების საფუძველს, რომ კონტაქტები რომაელებს დამყარებული ჰქონდათ ინდოეთში მდებარე ზოგიერთ სახელმწიფოსთან, აგრეთვე ჩინეთთან. მოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს შეზღუდული მოცულო- ბა არ იძლევა საერთაშორისო ასპარეზზე ძველი რომის მოღვაწეობის ყველა სიუჟეტის განხილვის საშუალებას; ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რომის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მისი ყველაზე დამახასიათებელი ნიშნების შესწავლით, აგრეთვე განვიხილავთ იმ სიახლეებს, რომლებიც რომაელმა დიპლომატებმა შემოიტანეს საგარეო-პოლიტიკურ პრაქტიკაში.

რომის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობას რესპუბლიკის არსებობის ხანაში სენატი ახორციელებდა. სწორედ მას ჰქონდა გამორჩეული უფლება, განესაზღვრა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები, რომის სტრატეგია და

ტაქტიკა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში. სენატი იღებდა გადაწყვეტილებას იმ საელჩოების გაგზავნის შესახებ, რომლებიც დიპლომატიურ საქმიანობას ახორციელებდნენ რომის ფარგლებს გარეთ, იღებდა მისიებს სხვა ქვეყნებიდან, ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ძალებს, საგანგებო შემთხვევებში კი ნიშნავდა დიქტატორს, რომელსაც დროებით მთელი ხელისუფლება გადაეცემოდა, მათ შორის, უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის სფეროში.

რომაული ელჩობა ყოველთვის მინიმუმ სამი ადამიანისგან შედგებოდა. მის სათავეში იდგა ლეგატი (ელჩი), რომლის კანდიდატურას, როგორც წესი, კონსულები ან პრეტორები წამოაყენებდნენ და რომელიც აუცილებლად უნდა დამტკიცებულიყო სენატის მიერ. სენატის და რომის ხალხის სახელით ლეგატები აცხადებდნენ ომს, ხელს აწერდნენ დაზავებას და მშვიდობიან შეთანხმებებს, წყვეტდნენ საკითხებს, დაკავშირებულს პროვინციების მართვასა და კონფლიქტების და დავების მოწესრიგებასთან. სენატი საელჩოებს უზრუნველყოფდა ხელ-შეუხებლობის საგანგებო სტატუსით, რომის სამფლობელოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების და გზაში ყველაფერი იმის მიღების უფლებით, რაც საჭირო იყო მათზე დაკისრებული მისიის შესასრულებლად.

სენატს უფლება ჰქონდა არამარტო გაეგზავნა, არამედ მიეღო ელჩები. რომში ჩამოსული უცხოელი ელჩები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: მტრული ქვეყნების ელჩები და მეგობარი ქვეყნების ელჩები. მტრულ სახელმწიფოთა ელჩებს ქალაქში არ უშვებდნენ, ისინი ქალაქის ხაზის გარეთ, მარსის მოედანზე ჩერდებოდნენ. სხვაგვარი იყო დამოკიდებულება მეგობარი ქვეყნების ელჩების მიმართ, რომელთაც მთელი შესაბამისი პატივით ღებულობდნენ. მსხვილი ქვეყნების ელჩებს ხვდებოდა

ერთ-ერთი პირი რომის უმაღლეს მაგისტრატებისგან, რომელიც მათ ახლდა იტალიაში მოგზაურობის და სამშობლოში გამგზავრების დროს. ელჩებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ: მათ პატივსაცემად აწყობდნენ დღესასწაულებს, თეატრალურ და საცირკო წარმოდგენებს, რომლის დროს მათ საპატიო ადგილები გამოეყოფოდათ. აღვნიშნავთ შემდეგსაც: რომში წესად იყო ელჩებისთვის მდიდრული საჩუქრების მირთმევა; თავის მხრივ, რომში ჩამოსულ ელჩებსაც მდიდარი ძღვენი შეჰქონდათ რომის ხაზინაში.

იმპერიის პერიოდში საგარეო პოლიტიკა სულ უფრო მეტად ხდებოდა საიმპერატორო კარის საქმედ. საგარეო-პოლიტიკური გეზის შემუშავებისა და განხორციელების ფუნქცია სულ უფრო მეტად გადადის იმპერატორის პირადი კანცელარიის ხელში, რის გამო სახელმწიფოთაშორისი კავშირების საკითხები უკვე არ წარმოადგენდა ფართო წრის ადამიანების განხილვის საგანს, ისინი იქცევიან იმპერატორთან დაახლოებული დაჯგუფებების საქმედ. თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას ლეგატის ფიგურა, უმთავრესად იმის გამო, რომ მისი ურთიერთობა იმპერატორთან მნიშვნელოვნად რთულდება.

საგარეო-პოლიტიკურ ღონისძიებებს (ომის გამოცხადება, მშვიდობიანი ხელშეკრულების დადება და ა. შ.) თან რთული ცერემონიები ახლდა. ამ რიტუალების ფორმალობებს ახორციელებდნენ ფეციალების ქურუმთა კოლეგიის წარმომადგენლები. ისინი პასუხს აგებდნენ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შენახვისთვის.

თანამდებობის პირებს, რომლებიც რომაულ თემს წარმოადგენდნენ უცხოელებთან ურთიერთობებში, მიეკუთვნებოდნენ ე. წ. რეკუპერატორებიც - არჩევითი მოსამართლეები, რომლებიც განიხილავდნენ დავებს რომაელებსა და იტალიის სხვა

ტომების წარმომადგენლებს შორის ურთიერთ-მატერიალური პრეტენზიების გამო. მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I საუკუნეებში, რეკუპერატორების სასამართლომ დაიწყო პროვინციების მოსახლეობის საჩივრების განხილვა ნაცვალთა მოქმედებებზე.

საერთაშორისო კავშირების განვითარებასთან ერთად, ძველ რომში გაჩნდა საერთაშორისო სამართლის ელემენტებიც. მათ უკვე ფეციალური სამართალი (jus fetiale) შეიცავდა. მეზო-ბლებთან ურთიერთობების გართულების შესაბამისად ძველ "სამოქალაქო სამართალთან" ერთად (jus civile) ჩნდება "ხალ-ხების სამართალიც" (jus gentum), რომელიც ურთიერთობებს აწესრიგებდა რომაელთა და უცხოელთა შორის.

ჩვენს დრომდე მოღწეული ისტორიული წყაროები შესაძლებელს ხდის ძველი რომის საგარეო პოლიტიკის ისტორიის გაყოფას 4 პერიოდად, მთლიანობაში რომ ემთხვევიან რომაული სახელმწიფოს განვითარების ძირითად ეტაპებს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 509 – 265 წლები. ეს პერიოდი ხასიათდება რომის აქტიური პოლიტიკით იტალიაში და რომაულ-იტალიური კავშირის შექმნით.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 263 – 201 წლები. ხასიათდება რომისა და კართაგენის დაპირისპირებით, რომელიც დასრულდა რომაელთა ბატონობის დამყარებით დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 200 – 66 წლები ძირითადად ხასიათდება რომის ბრძოლით აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში დომინირებისთვის და მოცემული რეგიონის ჩართვით რომის გავლენის სფეროში.

ამ უკანასკნელის განმასხვავებელი ნიშანია რომაელთა ურთიერთობების გააქტიურება პართიასთან იმ დროს, როდესაც

რომის საგარეო-პოლიტიური აქტიურობა მცირდებოდა, და იმპერიის საზღვრების გამაგრება.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 509 – 265 წლების პერიოდი ძირითადად ხასიათდება შუა იტალიის სხვა პოლისებთან რომის კავშირების განვითარებით. ე. წ. „ლეგენდარული პერიოდის“ დასასრულისთვის, რომის რესპუბლიკის ჩამოყალიბების მომენტისთვის ლაციუმში სახელმწიფოთაშორისი კავშირების სისტემის ძირითადი ელემენტი იყო ქალაქ-სახელმწიფოთა კავშირები, დამახასიათებელი საზოგადოების პოლისური ორგა-ნიზაციისთვის და აუცილებელი აგრესიისადმი ერთობლივი დაპირისპირებისთვის იმ პირობებში, როდესაც ცალკეული პოლისი სუსტია გარე მუქარის წინაშე. მაგრამ წყაროები იძლევა საშუალებას ფიქრისა, რომ ამგვარი კავშირები არამყარი და დროებითი ხასიათის იყო. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუ-კუნის დასასრულისთვის რომი შედიოდა 30 ლათინური ქალ-აქის კავშირში, რომელიც პირველი ლათინური ომის (508 წელს) შედეგად დაიშალა. ომის შედეგი გახდა ახალი - არიციის ფე-დერაციის შექმნა, რომელშიც 8 ლათინური პოლისი შევიდა, მათ შორის, რომიც. პოლისებს შორის დადებული ხელშეკრ-ულების მიხედვით, ფედერაციის ყველა წევრი ითვლებოდა თანასწორუფლებიანად, ისინი ვალდებული იყვნენ, არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, სამხედრო დახმარება გაეწიათ მოკავშირეებისთვის და თანაბრად გაეყოთ სამხედრო ნადავლი. შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ ფედერაციისთვის უნდა ეხელმძღვანელა არჩეულ დიქტატორს.

არიციის ფედერაციამ 100 წელზე ცოტა მეტი იარსება და ფაქტიურად დაიშალა გალების შემოსევის პერიოდში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 390 წელი). ამ რთულ პირობებში მხოლოდ რომი და ტუეკული დარჩა თავისი სამოკავშირეო ვალდებუ-

ლებების ერთგული. მაგრამ დროთა განმავლობაში, გალების ექსპანსიის გაფართოებამ შუა იტალიაში და გარკვეულმა წარმატებებმა, რომლებსაც რომმა მიაღწია მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, აიძულა ფედერაციის ყოფილი წევრები განეახლებინათ კავშირი რომთან და აეღორძინებინათ ძალადაკარგული არიციის ფედერაცია (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 358 წელს).

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საკავშირო გაერთიანება თვისობრივად განსხვავდებოდა თავისი წინამორბედისგან. განახლებული ფედერაციის დამახასიათებელი ნიშანი გახდა რომ- ის უპირობო უპირატესობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 348 წელს რომმა მეგობრული შეთანხმება კართაგენთან დადო თავისი და არა ფედერაციის სახელით.

აღნიშნულმა შეთანხმებამ მნიშვნელოვანწილად შეცვალა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემა დასავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში, ერთი მხრივ, აამაღლა რა რომაული დიპლომატიის პრესტიჟი და გააძლიერა რომის პოზიციები ლაციუმში, მეორე მხრივ კი, დაყო რა გავლენის სფეროები რეგიონში რომსა და კართაგენს - ორ ყველაზე სწრაფად განვითარებად სახელმწიფოებს შორის. ასევე აღვნიშნავთ, რომ მოცემული შეთანხმება, რომელმაც განსაზღვრა რომაელთა ინტერესების სფერო იტალიის სამხრეთში, გახდა თავისებური ათვლის წერტილი ამ დინამიურად განვითარებად პოლისის ეკონომიკური და სამხედრო ექსპანსიის განვითარებისთვის, აგრეთვე თავისებური საფარი ძველი რომის ომისა ე. წ. სამნიტთა ფედერაციასთან (ლაციუმის სამხრეთი ნაწილის ქალაქ-სახელმწიფოთა გაერთიანება), უზრუნველყო კართაგენის ჩაურევლობა კონფლიქტში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 341 წელს რომის ჯარებმა გაიმარჯვეს სამნიტებზე და გაბატონდნენ კამპა-

ნიის ოლქზე. რომის გავლენის ამგვარმა გაძლიერებამ სერიოზულად შეაშფოთა მისი მოკავშირეები. არიციის ფედერაციის წევრებმა, გამოიყენეს რა მათ შორის დადებული შეთანხმების დებულება, მოითხოვეს, აერჩიათ რომის სენატის ნახევარი და ერთ-ერთი კონსული ლათინების წარმომადგენლებისგან. რომა-ლებმა კატეგორიული უარით უპასუხეს.

წინააღმდეგობებმა რომსა და მოკავშირეებს შორის გამოიწვიეს მეორე ლათინური ომის დაწყება, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 338 წელს დამთავრდა რომაელთა გამარჯვებით ლათინების, ვოლსკებისა და კამპანიელების კოალიციაზე. ამ გამარჯვებას იტალიელთათვის ძალზე შორს მიმავალი პოლიტიკური ხასიათის შედეგები ჰქონდა, შეცვალა რა სახელმწიფოთაშორისი კავშირების სტრუქტურა ქვეყანაში. არიციის ფედერაცია დაიშალა და შეიცვალა სისტემით ორმხრივი შეთანხმებებისა, რომელთა პირობა რომმა თავის მოკავშირეებსა და დამარცხებულ მოწინააღმდეგებს უკარნახა იქიდან გამომდინარე, თუ რა პოზიცია ეკავა მათ ომის დროს. ამრიგად, ლაციუმში (შუა იტალია) ჩამოყალიბდა პოლისებსშორისი ურთიერთობების ახალი სისტემა, რომლის საკვანძო რგოლი რომი გახდა. ამ სისტემის ჩარჩოებში პოლისებმა რომის მიმართ სხვადასხვაგვარი სამართლებრივი სტატუსი მიიღეს. მოცემული სისტემა საკმაოდ მოქნილი იყო, აძლევდა რა საშუალებას რომს მოეწესრიგებინა მოკავშირეთა ურთიერთობები ქალაქ-სახელმწიფოებს შორის არსებული იმ წინააღმდეგობების გამოყენებით, რომლებიც მათი განსხვავებული სტატუსიდან გამომდინარეობდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 290 წელს შუა იტალიის დამორჩილება მთლიანობაში დასრულებული იყო. რომის ექსპანსიის შემდეგ ობიექტად იქცნენ აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ

ნაწილში მდებარე ბერძნული კოლონიები. იტალიის ამ რაიონში რომის შეღწევის საბაბი გახდა მიმართვა ქალაქ ფურიისა, რომელმაც რომს დახმარება სთხოვა ლუკანების ტომთან ომში. რომაელთა ურთიერთობამ ამ ქალაქთან საშუალება მისცა რომს თავისი გავლენა გაევრცელებინა იტალიის იონიის სანაპიროს ნაწილზე. შექმნილ ვითარებაში რომთან ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ქალაქი ტარენტი, რომელმაც შექმნა ბერძნული ქალაქების ძლიერი კოალცია და სამხედრო მოქმედებათა ხელმძღვანელობისთვის მოიწვია იმ დროს ცნობილი მხედართმთავარი, ეპირის მეფე პიროსი. ამ უკანასკნელის მხედართმთავრულმა ნიჭმა კოალიციას დაპირისპირების პირველ ეტაპზე რამდენიმე გამარჯვება მოუტანა რომაულ ლეგიონებზე.

ამ პირობებში რომმა გააქტიურა თავისი ურთიერთობები კართაგენთან, რომელიც ასევე შეშფოთებული იყო ბერძნების გაძლიერებით იტალიის სამხრეთში, განსაკუთრებით, სიცილიაში. მოლაპარაკების შედეგი გახდა სამხედრო კავშირის შექმნა პიროსის წინააღმდეგ, თუმცა ამან არ შეუშალა ამ უკანასკნელს, ხელი წარმატებული ექსპედიცია მოეწყო კუნძულ სიცილიაზე და სადესანტო ოპერაცია მოემზადებინა კართაგენის აფრიკული სამფლობელოების წინააღმდეგ. თავისი სამხედრო წარმატებების განვითარებაში პიროსს ხელი შეუშალა მისმა დაუფარავმა პრეტენზიებმა შეექმნა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მსხვილი ელინისტური იმპერია. აღნიშნულმა გარემოებამ მას ჩამოაცილა მოკავშირეები, რომლებმაც არჩიეს მოლაპარაკებოდნენ კართაგენს ან ჩაბარებოდნენ რომს. ბერძნული კოლონიების კოალიციის დაშლაში არც თუ ისე უმნიშვნელო როლი შეასრულა რომაულმა დიპლომატიამ, რომელმაც თავის მიზნებში გამოიყენა მტრის ბანაკში არსებული წინააღმდეგობები.

მთლიანობაში, პიროსის ომის შედეგებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მან ხელი შეუწყო რომისა და კართაგენის გავლენის განმტკიცებას სამხრეთ იტალიაში და მათ შორის გავლენის სფეროების გაყოფას. ამასთან, სიცილიაში ეს სფეროები უშუალოდ ეხებოდა ერთმანეთს, რაც ქმნიდა მდგომარეობას, რომელსაც შეეძლო უახლოეს მომავალში კონფლიქტი გამოეწვია ამ ორ სახელმწიფოს შორის.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 265 წელს რომაელებმა უკანასკნელი დამოუკიდებელი ქალაქი - ვოლსინიი, ეტრურიის ოლქში, დაიმორჩილეს. კიდევ გარკვეულ ხანს თავისუფალი რჩებოდა იტალიის ალპური ოლქი მდინარე პოს ხეობით, გალებით დასახლებული, მაგრამ რომმა ეს ტერიტორიაც დაიპყრო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 219 წელს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნებოდა, რომის მიერ იტალიის დაპყრობას თან ახლდა შექმნა სამოკავშირეო ურთიერთობათა სისტემისა, რომლის ძირითადი ელემენტი იყო რომი, მისი მოკავშირეები კი არათანაბარ ურთიერთობებში იყვნენ არა-მარტო რომთან, არამედ ერთმანეთთანაც. მოცემული სისტემა ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის შუახანებისთვის ჩამოყალიბდა და გარკვეული ცვლილებებით მან პრაქტიკულად რომაული დაპყრობების მთელი პერიოდის განმავლობაში იარსება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებში შექმნილ რომაულ-იტალიურ კავშირში შეიძლება 6 ძირითადი სამარ-თლებრივი კატეგორიის გამოყოფა:

უმაღლესი რანგის მუნიციპიები (ლაციუმის ძველი პოლისები და რომის კოლონიები, გატანილი აპენინის ნახევარ-კუნძულის სტრატეგიულად მნიშვნელოვან უბნებზე), რომლე-ბმაც რომის სრული მოქალაქეობა მიიღეს;

უმდაბლესი რანგის მუნიციპიები (ლათინები, ეტრუსკები და სხვ.), რომლებმაც რომის არასრული მოქალაქეობა მიიღეს ხმის მიცემის უფლების გარეშე, მაგრამ შიდა თვითმმართველობის უფლებით;

პრეფექტურები - ქალაქები, რომლებმაც მიიღეს რომის მოქალაქეობა ხმის მიცემის უფლების გარეშე ნაწილობრივი თვითმმართველობით, რომელიც რომის პრეფექტის მიერ იყო შეზღუდული;

იტალიის შიდა ოლქების ქალაქებისა და კოლონიების უმრავლესობამ მიიღო ლათინური მოქალაქეობა, რომელიც გარკვეულ პირობებში (გადასახლება რომში, ქორწინება რომის მოქალაქესთან) შეიძლება რომის მოქალაქეობაში გადასულიყო;

არასრული ლათინური მოქალაქეობა მიიღეს სამხრეთ იტალიის ბერძნულმა ქალაქებმა. მოცემული სტატუსი მათ არ აძლევდა საშუალებას გამხდარიყვნენ რომის სრულფასოვანი მოქალაქეები;

უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ქალაქები, სამნიტთა ყოფილი ფედერაციის წევრები და გალები, რომლებსაც პრაქტიკულად არ მიუღიათ არანაირი უფლებები და იმართებოდნენ რომაელი მოხელეების მიერ.

ყველა მოკავშირეს ჩამოერთვა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების უფლება და ისინი ვალდებული იყვნენ, მიეწოდებინათ რომის არმიისთვის შეიარაღება, სამხედრო კონტინგენტები და გემების ეკიპაჟები.

სამოკავშირეო ურთიერთობათა აღნიშნულმა სისტემამ იტალიაში იარსება ჩვენი წელთაღრიცხვის 88 წლამდე, როდესაც აპენინის ნახევარკუნძულის ყველა მცხოვრებმა მიიღო რომის სრული მოქალაქეობის უფლებები.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ თავის მოკავშირეთა-დაყოფისთვის რომაელები, გარდა წინააღმდეგობებისა, რომლებიც დაფუძნებული იყო მოკავშირეთა სამართლებრივი სტატუსების სხვაობაზე, იყენებდნენ ეგრეთ წოდებულ „რომის ველს“, ანუ მიწებს, რომლებიც მათ საკუთრებაში გადასცეს თავის მოკავშირეებს. „რომის ველი“ იმნაირად იყო ჩამოყალიბებული, რომ მასში შემავალი მიწები მდებარეობდა ნახევარკუნძულის დასავლეთი სანაპიროს გასწვრივ და აპენინის ქედს შუაში გადასერავდნენ ერთი ზღვიდან მეორემდე, ყოფდნენ რა რომის ჩრდილოეთ მოკავშირეებს სამხრეთ მოკავშირეებისგან.

როგორც უკვე აღინიშნებოდა, რომსა და კართაგენს შორის კონფლიქტის წარმოშობის ნიადაგის ფორმირება ჯერ კიდევ პიროსის ომის პერიოდში დაიწყო, როდესაც ორივე მხარ- ემ ფაქტობრივად განაცხადა თავისი პრეტენზიები დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში უპირატესობაზე. გადასვლა მეგობრული, სამოკავშირეო ურთიერთობებიდან კონფლიქტურზე გამოიკვეთა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 272 წელს, როდესაც კართაგენელები შეეცადნენ დაეპყროთ ტარენტი. ამ უკანასკნელმა არჩია შექმნილ პირობებში ჩაბარებოდა რომს. კონფლიქტმა რომსა და კართაგენს შორის თავის მწვერვალს პუნიკური ომების პერიოდში მიაღწია.

საბაბი პირველი პუნიკური (სიცილიის) ომისა, რომელიც გრძელდებოდა ჩვენი წელთაღრიცხვის 264-დან 241 წლამდე, გახდა ქალაქ სირაკუზების და კართაგენის მიერ ალყაში მოქცეული ქალაქ მესანას მიმართვა დახმარების თხოვნით რომისადმი. სენატმა დააკმაყოფილა თხოვნა და გაგზავნა ჯარები სიცილიაში.

უკვე ომის პირველ ეტაპზე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 264-255 წლები) ინიციატივა რომაელებს ეკუთვნოდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 263 წელს მათ შეძლეს ომიდან გამოეყვანათ სირაკუზები - კართაგენის მთავარი მოკავშირე, და სიცილიის დიდი ნაწილის დაკავება. კართაგენმა შეინარჩუნა კუნძულის მხოლოდ დასავლეთი სანაპირო, სადაც განლაგებული იყო მისი საზღვაო ბაზები. რომაელებმა წარმატებას საზღვაო ბრძოლებშიც მიაღწიეს.

ავითარებდნენ რა მიღწეულ წარმატებებს, რომაელები გადმოსხდნენ აფრიკაში და ალყა შემოარტყეს კართაგენს, მაგრამ მიუხედავად შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, ალყაში მოქცეულებმა უარი განაცხადეს დაზავების შეთავაზებულ პირობებზე. ქალაქის დაცვის ხელმძღვანელობისთვის მოიწვიეს სპარტელი მხედართმთავარი ქსანტიპი. ჩვენს წელთაღრიც-ცხვამდე 256-255 წლებში მან შეძლო ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა და ალყის მოხსნა. ამის შედეგად, რომის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა გაუარესდა და საბრძოლო მოქ-მედებები კვლავ გადაიტანეს სიცილიაზე.

ომის მეორე ეტაპი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 255-241 წლები) აღინიშნა ძალების დაახლოებით თანაბრობით, მაგრამ რომაელთა ჯარმა თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და სიცილიაზე დაპყრობილ ტერიტორიებზე დაყრდნობით, შეცვალა ვითარება თავის სასარგებლოდ. 241 წელს ორ ქვეყანას შორის დაიდო მშვიდობიანი შეთანხმება, რომლის მიხედვით, კართაგენს გაჰყავდა თავისი საზღვაო ბაზები სიცილიიდან, ის აბრუნებდა ტყვედ აყვანილ რომაელებს, აგრეთვე ვალდე-ბულებას იღებდა, დიდი კონტრიბუცია გადაეხადა რომისთვის. როგორც ჩანს, ხელშეკრულებამ იმდენად დაასუსტა კართაგენი, რომ რომაელებმა შესაძლებლად ჩათვალეს, დაეკავებინათ კუნძულები

სარდინია და კორსიკა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 227 წელს რომმა ეს კუნძულები თავის პროვინციებად გამოაცხადა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 226 წელს კი რომმა და კართაგენმა დააკანონეს თავისი ახალი ტერიტორიული საზღვრები, ხელი მოაწერეს რა შეთანხმებას თავისი ექსპანსიის საზღვრების შესახებ.

მაგრამ პირველმა პუნიკურმა ომმა არ აღმოფხვრა ყველა წინააღმდეგობა ორ სახელმწიფოს შორის და რომის დომინირება დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში არ იყო აბსოლუტური.

გადამწყვეტი შეტაკება ორ მოწინააღმდეგეს შორის მოხდა მეორე პუნიკური ომის დროს (ცნობილია ასევე ჰანიბალის ომის სახელით). ამ ომისთვის მზადება კართაგენმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 237 წელს დაიწყო, როდესაც მისი ჯარები მხედართმთავარ ჰამილკარ ბარკას მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, გადმოსხდნენ იბერიაში (ესპანეთში). მოცემული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროს მოწყვლადობას სამხედრო თვალსაზრისით, გულისხმობდა ომის ჩატარებას ევროპაში, პირინეების ნახევარკუნძულის პლაცდარმად გამოყენების პირობებში.

მეორე პუნიკური ომი პირობითად შეიძლება 4 ეტაპად და-. იყოს. პირველი ეტაპი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 219-216 წწ.) ხასიათდება კართაგენის უპირატესობით სამხედრო სფეროში, რაც გამოიხატა რიგ მის გამარჯვებებში რომსა და მის მოკავშირეებზე. მეორე ეტაპზე კართაგენის სამხედრო და დიპლომატიური წარმატებების შეხამებამ გამოიწვია რომის მდგომარეობის კრიტიკულამდე მიყვანა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 215 წელს ჰანიბალმა და მაკედონიის მეფე ფილიპე მეხუთემ დადეს შეთანხმება, რომ გაიყოფდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთს გამარჯვების შემთხვევაში. მოკლე ხანში ამ კოალიციას სირაკუზები და სირია შემოუერთდა.

შექმნილ რთულ ვითარებაში რომმა გააქტიურა თავისი დიპლომატიური ძალისხმევა, მიმართა რა ის საწინააღმდეგო კოალიციისგან მაკედონიის ჩამოცილებაზე. ფილიპე მეხუთე-სთან გაგზავნეს ტიბერიუს სემპრონი გრაკხის მისია, რომელმაც შეძლო დაერწმუნებინა მაკედონიის მეფე, რომ კართაგენთან კავშირი მისთვის არ არის მომგებიანი. ამავე დროს, რომის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ ბერძნულ სახელმწიფოებთან, რათა კონფლიქტი გამოეწვიათ ეთოლიის კავშირსა და მაკედონიას შორის. ეს ძალისხმევა წარმატებით დასრულდა და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 212 წელს კონფლიქტი გაჩაღდა, რამაც უზრუნველყო მაკედონიის ჩაურევლობა მეორე პუნიკურ ომში. მაკედონიის მიერ კართაგენთან კავშირის გაწყვეტა მოხერხებულად გამოიყენა რომაელებმა. დიქტატორმა ფაბიუს მაქსიმმა რომაელთა ჯარი დაყო რამდენიმე შედარებით მცირე რაზმად, რომლებმაც შებოჭა ჰანიბალის ძალები სიცილიაში, იბერიასა და იტალიაში. ამან კი ომს გაჭიანურებული ხასიათი შესძინა.

ომის მესამე ეტაპზე (211-204 წლები) რომის წარმატებულმა დიპლომატიურმა ძალისხმევამ გამოიწვია რომაელთა საწინააღმდეგო კოალიციის დაშლა: ჰანიბალს განერიდნენ ადრინდელი მოკავშირეები, აგრეთვე დაქირავებულ რაზმთა ნაწილი. კართაგენის არმიის რიცხოვნობა შეიკვეცა, კომუნიკაციები გაჭიმული იყო. შექმნილი მდგომარეობა ეფექტურად გამოიყენეს რომაელმა სარდლებმა, რომლებმაც ინიციატივა ჩაიგდეს ხელში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 211 წელს ლეგიონებმა ალყა შემოარტყეს კაპუას და დაიპყრეს სირაკუზები, 209 წელს კი აიღეს პორტი ტარენტი. კართაგენელთა ჯარები, რომლებიც ჰანიბალის დასახმარებლად მოიჩქაროდნენ იბერიიდან, დამარცხდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 207 წელს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 204 წელს, რომის სენატის გადაწყ-

ვეტილების შესაბამისად, რომაელმა სარდალმა სციპიონმა მოამზადა და განახორციელა სადესანტო ოპერაცია ჩრდილოეთ აფრიკაში და დაიწყო შეტევა კართაგენზე, მიიჩნევდა რა, რომ ეს გამოიწვევდა ჰანიბალის წასვლას იტალიიდან. ამ პერიოდში რომაელებმა შეძლეს მიეღოთ ნუმიდიის მეფე მასინისის მხარდაჭერა, რომელსაც ისინი ხელისუფლებისთვის ბრძოლაში დაეხმარნენ. გადამწყვეტ ბრძოლაში ზამთან (202 წელი) მან სერიოზული სამხედრო დახმარება აღმოუჩინა რომაელებს, რამაც ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.

განცდილი სამხედრო დამარცხებების, პრაქტიკულად ყველა მოკავშირის დაკარგვის შედეგად კართაგენმა კაპიტულაცია მოახდინა იმ პირობებზე, რაც მას რომმა უკარნახა: უარის თქმა ზღვის გაღმა მდებარე ყველა ტერიტორიაზე, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე, საკუთარ სამხედრო ფლოტზე და ა. შ. კართაგენელები ასევე ვალდებული იყვნენ, 50 წლის მანძილზე ეხადათ დიდი კონტრიბუცია რომისთვის.

მეორე პუნიკური ომის შედეგებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კართაგენზე გამარჯვების შემდეგ რომის ბატონობა დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში პრაქტიკულად აბსოლუტური გახდა. დაპყრობილი ტერიტორიები გამოცხადდა რომის პროვინციებად. მათ ევალებოდათ რომის ხაზინაში იმოდენა შენატანის გაკეთება, რომლის ზომა ფიქსირდებოდა ორმხრივ შეთანხმებაში მუდმივი თანხის სახით ან დადგენილი პროცენტი საერთო შემოსავლების ჯამიდან, ისინი ვალდებულიც იყვნენ, შეენახათ მათ ტერიტორიაზე მყოფი რომაელთა ჯარი და ნაცვალის ადმინისტრაციული აპარატი.

გადაწყვიტა რა თავის სასარგებლოდ წინააღმდეგობები კართაგენთან და გააძლიერა თავისი პოზიციები დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რომმა შესაძლებლად ჩათვალა გაეა-

ქტიურებინა თავისი პოლიტიკა ამ რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში და დაიწყო ჩარევა ელინისტური სამყაროს საშინაო საქმეებში, ისევე, როგორც ამას აკეთებდნენ მაკედონია და სელევკიდების სახელმწიფო. ამ ორ გავლენიან მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებაში რომი სარგებლობდა მეორეხარის-ხოვანი ელინისტური სახელმწიფოების მხარდაჭერით, ისეთე-ბის, როგორებიც იყო როდოსი და პერგამი, რომლებიც იბრ-ძოდნენ გავლენის თავისი წილისთვის.

რომის მხარდაჭერით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 200 წელს შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი როდოს-პერგამისა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაკედონიისა და სელევკიდების სირიის დასუსტებაში. იმავე წელს რომი ამ კავშირს დაეხმარა მაკედონიასთან კონფლიქტში, რის შედეგად, მაკედონია დამარცხდა. მოკავშირეებსა და ფილიპე მეხუთეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მაკედონია აღიარებდა ბერძნული ქალაქების დამოუკიდებლობას, 5 ათას ადამიანამდე ამცირებდა თავის შეიარაღებულ ძალებს და უარს ამბობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებაზე.

სირიამ არ დააყოვნა, გამოეყენებინა თავისი ბალკანელი მეზობლის დასუსტება და ძალის გამოყენებით დაიპყრო რიგი გამაგრებული ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სრუტეების რაიონში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 197 წელს კუნძულ როდოსის წარმომადგენლებმა ინფორმაცია ამის შესახებ მიაწოდეს სენატს, რომელმაც ზეწოლის სამხედრო და დიპლომატიური ბერკეტების გამოყენებით, აიძულა სირიის მმართველი ანტიოქ მესამე დაეთმო საკუთარი პოზიციები მცირე აზიაში და შეეკვეცა თავისი არმია და ფლოტი. ამ მომენტიდან დაიწყო სეპარა-ტიზმის გაძლიერებით და სხვადასხვა დაჯგუფებას შორის ხელისუფლებისთვის ბრძოლით გამოწვეული ღრმა კრიზისის ზოლში შესული სელევკიდების სახელმწიფოს დაცემის პერიოდი.

მაგრამ რომაელთა ბატონობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჯერ არ იყო აბსოლუტური. მაკედონიის მეფე ფილიპე მეხუთე საკმაოდ სწრაფად მოეგო გონს დამარცხებისგან და მნიშვნელოვანი ზომები გაატარა, რათა თავისი მიზნებისთვის მაქსიმალურად სრულად გამოეყენებინა მშვიდობიანი შესვენება. მან შეძლო გვერდის ავლა შეთანხმების იმ მუხლებისთვის, რომლებიც ზღუდავდა მაკედონიის შესაძლებლობებს სამხედრო სფეროში და თავისი მმართველობის დასასრულისთვის მიაღწია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და დისციპლინირებული არმიის შექმნას, ოქროს, სურსათის და სამხედრო აღჭურვილობის დიდი მარაგის დაგროვებას. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 171 წელს მისმა ვაჟმა პერსეიმ სოლიდურ წარმატებებს მიაღწია დიპლომატიის სფეროში, ჩამოაყალიბა რა რომის წინააღმდეგ მძლავრი კოალიცია, რომელშიც შევიდნენ ილირია, ეპირი და სხვა ბერძნული ქალაქები.

მაკედონიელ მეფეთა ჩამოთვლილი მოქმედებები გახდა რომის სენატის დახურული სხდომის განხილვის საგანი. ამ სხდომამ, რომელსაც პერგამის მეფეც ესწრებოდა, გადაწყვიტა, ომი გამოეცხადებინა მაკედონიისთვის. მოვლენათა ამგვარი განვითარება მოულოდნელი იყო მაკედონიელთათვის: მათ ვერ შეძლეს სწორედ შეეფასებინათ თავისი მდგომარეობის ყველა უპირატესობა და წავიდნენ მოლაპარაკებაზე. რომის სენატმა პერსეისთან გაგზავნა მარციუს ფილიპი, რომელმაც მოლაპარაკებების მსვლელობისას შეძლო პერსეის დარწმუნება რომის უპირატესობაში. დაიწყეს რა მოლაპარაკება, რომაელები შეეცადნენ მოეგოთ დრო ძალების შეგროვებისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შეცვლისთვის. დაიწყო სამხედრო მოქმედებები და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 168 წელს პიდნასთან

ბრძოლაში რომის საწინააღმდეგო კოალიციის ძალები დამარცხდნენ, პერსეი კი ტყვედ ჩავარდა.

ომის მოგების შემდეგ, რომაელებმა მაკედონია 4 ოლქად გაყეს. ილირია - 3 ოლქად, ეპირის მოსახლეები კი ტყვედ გაყიდეს. აღვნიშნავთ ასევე, რომ ათასამდე ბერძენი მძევლად გაასგზავნეს რომში.

რომის საგარეო პოლიტიკის შემდეგი მნიშვნელოვანი წარმატება იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 168 წელს ლეგიონების მიერ სირიის მეფე ანტიოქ მეოთხის ჯარების დამარცხება. მანამდე კი ანტიოქ მეოთხემ ისარგებლა რომ-ანტიოქიის კონფლიქტით და გადაწყვიტა ეგვიპტის დაპყრობა. რომაელთა ჯარების აქტიური მოქმედებების შედეგად, სირიელებმა დატოვეს ეგვიპტე, რომელშიც მოხდა პტოლემაოსთა დინასტიის აღდგენა. ამ მომენტიდან ელინისტური ეგვიპტე შევიდა რომის გავლენის სფეროში და გახდა მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოკავშირე სელევკიდების სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეგვიპტის, როგორც საიმედო მოკავშირის შეძენამ, შეცვალა რომაელთა დამოკიდებულება პერგამი-როდოსის კავშირისადმი, რომელიც უკვე საჭირო აღარ იყო. ამიტომ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 168 წლის შემდეგ, რომის სენატმა მიიღო რიგი გადაწყვეტილება, მიმართული მის დასუსტებაზე. იმ საბაბით, რომ მაკედონია-რომის ომის დროს როდოსზე გაძლიერდა რომის საწინააღმდეგო განწყობა, რომმა მას ჩამოართვა ყველა სამფლობელო მცირე აზიაში, ამასთან, მან ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა ზოგიერთ ქალაქს, რომელიც პერგამისა და როდოსის სავაჭრო კონკურენტი იყო.

დაასუსტა რა თავისი ძირითადი მოწინააღმდეგები რეგიონში, რომმა აქტიური ჩარევა დაიწყო ბალკანეთის საბერძნეთის საქმეებში, ცდილობდა რა, დაეშალა იქ არსებული კავშ-

ირების სისტემა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 147 წელს აქეის კავშირის კონგრესში მონაწილეობისთვის კორინთოში გაგზავნა ავრელიუს ორესტის მისია. კონგრესზე რომის ელჩმა გამოაცხადა კავშირის ხელისუფლების გამგებლობიდან სპარტის, არგოსის, ორქომენისა და კორინთოს გათავისუფლების შესახებ. კავშირის წევრებმა რომაელთა დეკლარაცია შეაფასეს როგორც უხეში ჩარევა საბერძნეთის საშინაო საქმეებში და კონგრესის წევრებმა ელჩებს შეურაცხყოფა მიაყენეს.

საბერძნეთში მეორე ელჩობას სათავეში სექსტ იულიუს ცეზარი ჩაუდგა, რომელმაც მოლაპარაკებების დროს ბერძნებს ურჩია არ ყოფილიყვნენ მტრულად განწყობილნი რომის მიმართ. მაგრამ ბერძნებმა გააჭიანურეს მოლაპარაკებები და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 146 წელს სენატმა ელადაში კიდევ ერთი მისია გააგზავნა. მის სათავეში იყო ცნობილი ორატორი გნეუს პოპირი, რომელსაც დაევალა აქეის კავშირის ფარგლებში შეექმნა რომის მომხრეთა პარტია, მაგრამ ამ მისიამაც მარცხი განიცადა.

რომის დაჟინებულმა ცდებმა დაემორჩილებინა აქეელები, საბერძნეთში გამოიწვია უკმაყოფილება, რომელიც რომაელ ჯარისკაცებთან ღია შეტაკებებში გადაიზარდა. გადამწყვეტ ბრძოლაში მდ. ისტმაზე რომის ლეგიონებმა დაამარცხეს აქეის კავშირის ჯარები. ამ დამარცხების შედეგად ბალკანეთის საბე-რძნეთი პრაქტიკულად მთლიანად დაემორჩილა რომს. ბევრ პოლისის ხელისუფლებაში რომის მომხრეები მოიყვანეს, კორინთო კი - დაანგრიეს. ფორმალურად დამოუკიდებელი მხოლოდ სპარტა და ათენი დარჩნენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნის დასაწყისი აღინიშნებოდა რომის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური აქტიურობის შესუსტებით, რაც შედეგი იყო სამოქალაქო ომისა და

სპარტაკის მეთაურობით მონათა აჯანყებისა, რომლებმაც მოახდინეს სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია. რომის პასიურობა ამ პერიოდში გამოიყენა პონტის მმართველმა მითრიდატე მეოთხე ევპატორმა, რომელმაც გადაწყვიტა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ელინისტური იმპერიის აღდგენა. ამ მიზნის მისაღწევად მითრიდატემ ბალკანეთის საბერძნეთის და მცირე აზიის ქვეყნებისგან რომის წინააღმდეგ შეადგინა მძლავრი კოალიცია, რომელმაც 70-ანი წლების შუახანებისთვის შეძლო იმ დროისთვის უზარმაზარი არმიის შექმნა, რიცხოვნობით რამდენიმეჯერ რომ აღემატებოდა რომაულს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 74 წელს მითრიდატეს მოკავშირემ, სომხეთის მეფე ტიგრან მეორემ რამდენიმე ოლქი დაიპყრო მცირე აზიის აღმოსავლეთში, აგრეთვე სირია და ფინიკია. რომის მხრიდან რეაქციის არარსებობამ საბოლოოდ დაარწმუნა მითრიდატე რესპუბლიკის სისუსტეში და სომხეთთან და პართიასთან კავშირზე დაყრდნობით პონტოს მეფემ ომი გამოუცხადა რომს. სამხედრო მოქმედებები გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა. რომაელთა არმიამ გარკვეულ ეტაპზე შეძლო კიდეც პონტოს სამეფოს ოკუპირება, რის შედეგად მითრიდატე იძულებული იყო თავისი არმიითურთ გადაელახა საზღვარი სომხეთის სამეფოსთან და თავშესაფარი ეთხოვა ტიგრან მეორესთვის, მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის 67 წელს მან გამანადგურებელი მარცხი მიაყენა რომაელებს ქალაქ ზიელთან.

შექმნილ ვითარებაში რომის დიპლომატიას კვლავ მოუწოდეს, მოეხდინა სამხედრო წარუმატებლობების კომპენსირება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 66 წელს სენატმა მცირე აზიაში გაგზავნა გნეუს პომპეი, რომელმაც შეძლო რომის წინააღმდეგ შექმნილი კოალიციიდან პართიის გამოყვანა, დადო რა მასთან სა-

მოკავშირეო ხელშეკრულება. ორ ფრონტზე ომის პერსპექტივამ მითრიდატეს ჩამოაცილა ტიგრან მეორე, რომელმაც რომის წინაშე კაპიტულაცია არჩია (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 63 წელი). იმავე წელს მითრიდატეს ჩამოცილდნენ მისი ბერძენი მოკავშირეები, შეწუხებულნი გაჭიანურებული ომით და დაქვემდებარებულები რომაული დიპლომატიის ზემოქმედებას. დარჩა რა პოლიტიკური, მატერიალური და სამხედრო მხარდაჭერის გარეშე, მითრიდატე სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მითრიდატეს ომების შედეგად, რომის იმპერიის ტერიტორია გაფართოვდა აღმოსავლეთით და ისეთი ოლქები შეიერთა, როგორებიცაა: სირია, პალესტინა, პონტი და ბიფინია. რომაელთა გამარჯვებამ მითრიდატე ევპატორზე მთლიანობაში დაასრულა რომის ბრძოლა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში უპირატესობისათვის. მითრიდატეს სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, რომაელების მიერ სელევკიდების სახელმწიფოს დაპყრობის და მათი საგარეო პოლიტიკის სფეროში ელინისტური ეგვიპტის შესვლის შემდეგ პრაქტიკულად მთელი ხმელთაშუაზღვის რეგიონი გახდა რომის სახელმწიფოს ნაწილი.

როგორც უკვე აღინიშნებოდა, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის შუახანებისთვის ხმელთაშუა ზღვის მთელი რეგიონი აღმოჩნდა რომაელთა ხელისუფლების ქვეშ და ძველი რომის დაპყრობითი ომები ძირითადად დასრულდა. შემდგომ წლებში რომის სახელმწიფოს საზღვრები სტაბილური გახდა და არ განიცდიდა არსებით ცვლილებებს. რესპუბლიკის, შემდეგ კი იმპერიის ხელმძღვანელობის ძირითადი ყურადღება დაეთმო დაპყრობილ ტერიტორიებზე ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მუშაობას და პროვინციების მართვის აწყობილი მექანიზმის

შექმნას. აქტიური საგარეო პოლიტიკის მცირე რაოდენობის მიმართულებებიდან ერთ-ერთი გახდა პართიის მიმართულება.

მითრიდატეზე გამარჯვების შემდეგ პირველ წლებში რომაელები ცდილობდნენ თავისი ექსპანსიის განვითარებას აზიის სიღრმეში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 54 წ. მარკუს ლიცინიუს კრასმა, სომხეთის მეფე ართავაზდის დახმარებით, გადალახა ევფრატი და შეიჭრა პართიის სამფლობელოებში. მაგრამ რომის არმია რთულ პირობებში აღმოჩნდა, დაიწყო რა ლაშქრობა უდაბნოში შესაბამისი მომზადების გარეშე. ქალაქ კართან რომაელებს შეუტია პართიელთა მძიმე ცხენოსანმა ჯარმა და დიდი მარცხი მიაყენა მათ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 36 წელს რომაელებმა მარკუს ანტონიუსის მეთაურობით მოაწყეს კიდევ ერთი წარუმატებელი ლაშქრობა პართიაში. მათ მიერ აქ განცდილმა დიდმა დანაკარგებმა აიძულა ისინი პართიის მიმართულებაზე ძირითადად გადასულიყვნენ თავდაცვით ტაქტიკაზე და გაეაქტიურებინათ თავისი ძალისხმევა დიპლომატიურ სფეროში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 20 წელს ოქტავიან ავგუსტმა მართებულად გამოიყენა პართიაში მიმდინარე შიდაპოლიტიკური ბრძოლა, რათა მომგებიანი შეთანხმება დაედო მეფე ფრაატ მეოთხესთან. ამ შეთანხმების მიხედვით, ფრაატი იღებდა რომის მხარდაჭერას ტახტისთვის ბრძოლაში, ნაცვლად ამისა, ის ვალდებულებას კისრულობდა დაებრუნებინა რომაელთა დროშები და დარჩენილი რომაელი სამხედრო ტყვეები, პართიელებს ხელში რომ ჩაუვარდათ კრასუსის და ანტონიუსის ლაშქრობების დროს. ავგუსტსა და პართიელ მეფეს შორის მიღწეული იყო აგრეთვე პირადი შეთანხმება, რომლის მიხედვით ფრაატი რომაელებს გადასცემდა თავის ვაჟებს, იმის შიშით, რომ მის მტრებს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში არ გამოეყენებინა ისინი თავის მიზნებში. როგორც რომაული წყაროები მოწმობენ,

აღნიშნული შეთანხმება იყო ოქტავიანეს ერთ-ერთი უდიდესი საგარეო-პოლიტიკური მიღწევა.

ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის შუახანებში ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა რომისა და პართიის ურთიერთობების სიმწვავეს, იყო სომხეთის ირგვლივ შექმნილი ვითარება. 66 წელს მხარეები მივიდნენ კომპრომისამდე, მიაღწიეს რა შეთანხმებას, რომლის მიხედვით, სომხეთის მეფედ გახდებოდა პართიის მეფის ვაჟი ტირიდატი, მისი გვირგვინით შემკობა კი უნდა მოეხდინა რომის იმპერატორ ნერონს. ამის შედეგად, სომხეთი ფაქტობრივად გამოვიდა რომის გავლენის სფეროდან.

114-116 წლებში, იმპერატორ ტრაიანეს ლაშქრობისას, რომაელებმა რაღაც დროით, შეძლეს ვითარების შეცვლა თავისა სასარგებლოდ, ჩაიგდეს რა ხელში პართიის დედაქალაქი კტეზიფონი. მაგრამ მათ ვერ განავითარეს მიღწეული წარმატება თვით იმპერიაში მდგომარეობის გამწვავების გამო. რომსა და პართიას შორის სამხედრო მოქმედებათა შემდგომი ეტაპი დაიწყო პართიის მეფის, ვოლოგეზ მესამის ინიციატივით, რომელმაც გამოიყენა რომში დაწყებული შიდაპოლიტიკური ბრძოლა, დაიპყრო სომხეთი და შეიჭრა სირიაში. პართიელთა წინააღმდეგ გამოვიდნენ პრინცეპსი ლუციუს ვერი და სარდალი კასიუსი. 165 წელს ისინი კტეზიფონამდე მივიდნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ შეეჩერებინათ თავისი შეტევა შავი ჭირის გამო. და ახლაც, სამხედრო წარუმატებლობა კვლავ იქნა კომპენსირებული დიპლომატიური წარმატებებით: 166 წელს მეომარ მხარეებს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვით, სომხეთი იღებდა ფორმალურ დამოუკიდებლობას, მაგრამ ფაქტობრივად, ვარდებოდა რომის გავლენის ქვეშ.

195-198 წწ. კვლავ განახლდა ომი პართიასთან: იმპერატორმა სეპტიმიუს სევერმაჯარები გაგზავნა სირიაში პართიელთა შემოტევის მოსაგერიებლად. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის შედეგები წარმატებული იყო, რომაელებმა ვერ გამოიყენეს ის ღრმა შიდაპოლიტიკური კრიზისის გამო.

216 წელს იმპერატორმა კარაკალამ პართიას შესთავაზა ახალი მშვიდობიანი ხელშეკრულება, მაგრამ შემდეგ დაესხა ამ ქვეყანას, მთელი რიგი გამარჯვებაც მოიპოვა და პართიის მეფეთა - არშაკიდების - სამარხიც კი გაძარცვა. შეთქმულების შედეგად კარაკალას დაღუპვამ (217 წელს) არეულობა გამოიწვია რომის ჯარში, რამაც ნულამდე დაიყვანა კამპანიის წარმატება. ახალი იმპერატორი მაკრინი იძულებული იყო ხელი მოეწერა პართიასთან მშვიდობიან ხელშეკრულებაზე, რომელიც საკმაოდ მძიმე პირობებს შეიცავდა.

226 წელს პართია დაეცა სპარსელთა შემოსევის შედეგად და რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე წარმოიშვა სასანიანთა იმპერია, ურთიერთობა რომელთანაც გახდა კიდეც აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) საგარეო პოლიტიკის საკვანძო პრობლემა.

****

ანტიკურ სახელმწიფოთა დიპლომატიის განხილვისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ანტიკურმა ეპოქამ ძველი აღმო-სავლეთის სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ ტრადიციებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაამდიდრა დიპლომატიური ხერხებისა და საშუალებების არსენალი. ამგვარ მიღწევებს შეი-ძლება მიეკუთვნოს საშუამავლო დიპლომატიაც, რომელიც ანტიკურ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა, გადაეწყვიტა წარმოქმნილი დავები მშვიდობიანი გზით, მესამე მხარის მოწვევის დახმარებით, რომელიც მოწოდებული იყო ხელი შეეწყო კონფლიქ-

ტის დარეგულირებისთვის. საერთაშორისო სამართა-ლსა და დიპლომატიას მიძღვნილ თანამედროვე ლიტერატურაში ამგვა-რი მოვლენების აღწერისთვის გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „შუამავლობა“ და „არბიტრაჟი“.

წყაროები მოწმობენ, რომ ამგვარი დიპლომატიური ხერხები ცნობილი იყო ძველ დროში და, უფრო მეტიც, მათ ასახვა პოვეს ანტიკურ სამართლებრივ ინსტიტუტებში.

ანტიკური პერიოდის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ სა-ხელმწიფოთაშორისი დავების გადაწყვეტა მესამე, ნეიტრა-ლური სახელმწიფოების მოწვევის დახმარებით ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო საბერძნეთში. რიგი მეცნიერის აზრით, მესა-მეული სასამართლოები იყო ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკულად ერთადერთი წარმატებული ფორმა. სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გადაწყვეტის ამ ხერხმა ბერძნებში ყველაზე ფართო გავრცელ-ება ჰპოვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკუნის პირველ ნახევარში, ელინიზმის პერიოდში. ბერძნულ-ელინისტური არბიტრაჟისთვის დამახასიათებელია ის, რომ მის ფარგლებში განიხილებოდა როგორც პოლისების სუფთა სამართლებრივი უთანხმოებები, ისე საკამათო პოლიტიკური საკითხებიც. უმ-რავლეს შემთხვევაში არბიტრები და შუამავლები განიხილავდ-ნენ დავებს ტერიტორიის შესახებ, რადგან ანტიკურ სამყაროში ყველაზე უფრო ხშირი და გადაჭრისთვის რთული იყო დავები სახელმწიფო საზღვრების შესახებ. ამის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს ისეთი პოლისების კონფლიქტი, როგორებიცაა: ეპიდავრი და კორინთო, სასაზღვრო ტერიტორიის გამო (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის დასაწყისი); ამ შემთხვე-ვაში არბიტრად ქალაქი მეგარა გამოდიოდა.

ამგვარადვე წყდებოდა საკითხი სასაზღვრო ტერიტორიების კუთვნილების შესახებ, რომლებზეც პრეტენზია ერთდროულად მესენას და ფეგალიას ჰქონდათ.

ხანდახან მესამეული განხილვის ცენტრში იყო საკითხი იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ქალაქი, პორტი ან კუნძული. ასე, დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 220 წელს წყდებოდა დავა, რომლის ერთ-ერთ მხარეს ეთოლია წარმოადგენდა, იმის გამო, თუ ვის ეკუთვნოდა პორტი პანორმა ეპირში, ჩვენს წელ-თაღრიცხვამდე მესამე საუკუნის დასასრულს კი ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი მეფე გამოდიოდა შუამავლად კონფლიქტ-ში კნოსსა და გორტინას შორის, რომლებიც ერთმანეთს ედავე-ბოდნენ კრეტას ქალაქ მილეთს.

ფორმალური მიმართებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის მესამეული გადაწყვეტილებები ბერძნებთან ჯერ ვერ აღწევდა განვითარების უმაღლეს საფეხურს, ჩვენს წელთაღ-რიცხვამდე მეორე საუკუნის წყაროების ვრცელი მასალა კი მოწმობს, რომ იმ დროს მესამეული სამართალწარმოება და საშუამავლო დიპლომატია თითქმის სრულყოფამდე მივიდა. წყაროებში აღინიშნება მოდავე მხარეები, მოყვანილია არბიტ-რების ან შუამავლების სიები, განისაზღვრება უთანხმოების საგანი, ჩამოთვლილია მხარეების ოფიციალური წარმომადგ-ენლები, მოყვანილია არბიტრების გადაწყვეტილებები და აღნ-იშნულია ადგილები, საითაც უნდა გაიგზავნოს გადაწყვე-ტი-ლებათა ასლები, არის აგრეთვე სხვა ცნობები, რომლებიც საშუალებას იძლევიან დახასიათებული იქნას მესამე განხილვის პროცესუალური მხარე, როგორც ძალზე რთული და განვითა-რებული. შუამავლობის პროცედურა ხორციელდებოდა სპეც-იალური პირების მიერ, რომლებიც არჩეული იყვნენ იმ ქალაქის სახალხო კრებაზე, მოწინააღმდეგეები რომ ირჩევდნენ, როგორც

ნეიტრალურ მხარეს დავის გადაწყვეტისთვის. წყაროების მიხედვით, მესამე მხარის წარმომადგენლების წინაშე იდგა ამოცანა თანმიმდევრულად შეასრულონ განსხვავებული ხასიათის ორი ვალდებულება. ჯერ მათ, კომპრომისის საფუძველზე უნდა შეერიგებინათ მოწინააღმდეგე მხარეები პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტის შეთავაზების და მოლაპარაკებისთვის ხელის შეწყობით. თუ დავის გადაწყვეტა ამ გზით შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენლები საქმეს სასამართლო წესით იხილავდნენ და შედეგად გამოჰქონდათ გადაწყვეტილება, აუცილებლად შესასრულებელი მოდავე მხარეების მიერ (არბიტრაჟი). ამრიგად, თუ არბიტრაჟი ბერძნებთან წარმოადგენს სახელმწიფოთა-შორისი დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საერთაშორისო-სამართლებრივ საშუალებას განხილვისა და დავების მშვიდობიანი გადაწყვეტილების გამოტანის კარგად შემუშავებული პროცედურით, შუამავლობა არის სუფთა პოლიტიკური აქცია, რომელიც არ შედის საერთაშორისო სამართლის სფეროში, არამედ მიეკუთვნება მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობების სფეროს. როგორც ჩანს, ძველი ბერძნები განასხვავებდნენ ამ ორ ინსტიტუტს, თვლიდნენ მათ ორ მხარედ ერთი და იმავე პროცესისა, რომელიც დაკავშირებული იყო კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებასთან. ბერძნული პოლისების საგარეო-პოლიტიკურ პრაქტიკაში ორივე საშუალება თანაარსებობდა, იყო რა განუყოფელ კავშირში.

არის ვარაუდის საფუძველი, რომ შუამავლობა და არბიტრაჟი გამოიყენებოდა ძველი რომის საგარეო-პოლიტიკურ პრაქტიკაშიც. რომში ამ პროცედურების დანერგვა, როგორც ჩანს, დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის დასასრულს და იყო დაკავშირებული ბერძნულ-რომაული ურთიერ-

თობების გააქტიურებასთან. საგარეო პოლიტიკის ისეთი ხელსაწყოების დახმარებით, როგორებიცაა არბიტრაჟი და შუამავლობა, რომაელები ცდილობდნენ ელადის საშინაო საქმეებში ჩარევას, არეგულირებდნენ რა ურთიერთობებს ცალკეულ პოლისებსა თუ კავშირებს, აგრეთვე ბერძნულ სახელმწიფოებსა და მაკედონიას შორის. უკანასკნელ შემთხვევაში რომაული დიპლომატია იყენებდა ისეთ პროპაგანდისტულ საშუალებას, როგორიც იყო ბერძნების განთავისუფლების ლოზუნგი. სრულიად შესაძლებელია, რომ მაკედონიის მიმართ მესამეული სასამართლოს პროცედურის გამოყენების ინიციატორად თვითონ ბერძნები გამოდიოდნენ, ამასთან, წყაროებში არის შემდეგი ინფორმაცია: რომაელთა მესამეული სასამართლო არ იყო ყოველთვის ეფექტური იმის გამო, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენლებს არასწორად ესმოდათ ბერძნული არბიტრაჟის არსი, აფასებდნენ რა მას როგორც საშუალებას კონფლიქტის გამჩა-ღებლის პოვნისა და არა როგორც საშუალებას ამ კონფლიქტის დაძლევისა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მცირეა შემთხვევები, როდესაც რომაელები გამოდიოდნენ არბიტრებად სახელმწიფოთა-შორის კონფლიქტებში. მკვლევარები ითვლიან საერთაშორისო საქმეების რვა მესამეულ განხილვას, სადაც რომი არბიტრად გამოდიოდა.

ასე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 184 წელს რომაელებმა მესამეული სასამართლოს დახმარებით, მოაწესრიგეს კონფ-ლიქტი კრეტას ქალაქებს შორის. როგორც ჩანს, ამან გამოიწვია ვითარება, როდესაც კრეტას რამდენიმე თემმა ხელი მოაწერა შეთანხმებას პერგამის მეფესთან მეგობრობასა და კავშირის შესახებ, რითაც გაამაგრეს რომის მომხრეთა კოალიცია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წყაროებში არ არის აღნიშნული არცერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოთაშორისი დავების მესამეულ განხილვაში რომი გამოდის ერთ-ერთ მოდავე მხარედ. რომაელები ყოველმხრივ აღკვეთდნენ ბერძენთა ყველა ცდას გადაეცათ რომისა და მისი მოწინააღმდეგის დავა განსახილველად მესამე მხარისთვის. ასე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 250 წელს, რომმა უარყო წინადადება ეგვიპტის მეფე პტოლემაიოს მეორისა, რომელსაც უნდოდა გამოსულიყო არბიტრად პირველ პუნიკურ ომში და როდესაც რომისა და მაკედონიის მესამე ომის დროს როდოსის წარმომადგენლებმა გაბედეს მოეთხოვათ, რომ რომაელებს მესამეული სასამართლოსთვის გადაეცათ პერსეისთან თავისი კონფლიქტის გადაწყვეტა, ამას კატასტროფული შედეგები მოყვა როდოსისთვის. სხვაგვარი იყო რომაელთა დამოკიდებულება მათ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებსა და ომებში მესამე მხარის შუამავლობის მიმართ. არის საკმაო მაგალითი, როდესაც რომი იყენებდა ბერნულ სახელმწიფოთა შუამავლობას. რომი-მაკედონიის პირველ ომში ბერძნები ოთხჯერ შეეცადნენ შუამავლებად გამოსულიყვნენ: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 209, 208, 207 წლებში უშედეგოდ, 205 (ან 206) წელს კი, ეპიროტების საშუამავლო საქმიანობის შედეგად შედგა მშვიდობიანი კონფერენცია ფენიქსში და შესაძლებელი გახდა მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერა, რომელმაც ომი de jure დაასრულა. მეორე მხრივ, თვითონ რომი არაერთხელ გამოსულა შუამავლად სელევკიდების და პტოლემაიოსების, პერგამის და ბიფინიის, სპარტისა და აქეის კავშირის კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაში. შესაბამისად, რომაელთა დიპლომატიური პრაქტიკა გარკვეულად მოწმობს, რომ ისინი მკაფიოდ განასხვავებდნენ არბიტრაჟსა და შუამავლობას.

ბერძნებისა და რომაელების დამოკიდებულება სახელმ-წიფოთაშორისი კონფლიქტების მოწესრიგების მშვიდობიანი საშუალებების მიმართ ფუნდამენტურად განსხვავდებოდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეა, რომელსაც ბერძნებთან ეფუძნებოდა საერთაშორისო სამართალი და დიპლომატია, იყო არსებითად რაციონალისტური იდეა ნეიტრალიტეტისა. ამ იდეას ეყრდნობოდა ბერძნული შუამავლობაც და ბერძნული არბიტრაჟიც საერთაშორისო საქმეებში. რომაელთა საგარეო პოლიტიკაში, მათი არსებობის განსხვავებული პირობებიდან გამომდინარე, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ნეიტრალიტეტის იდეა. რომი სხვა სახელმწიფოს უდგებოდა ან როგორც მეგობარსა და მოკავშირეს, ან როგორც პოტენციურ მოწინააღმდეგეს და მტერს. ამგვარი დამოკიდებულება მოჩანს რომის ბევრ საშუამავლო აქციაში, ეს გასაგებს ხდის იმ მუქარებსა და ძალისმიერ ზეწოლას, რომლებსაც რომაელები ხშირად თან აყოლებდნენ თავიანთ მესამეულ გადაწყვეტილებებსა და შუამავლობას.

იმ ფაქტის შეგნება, რომ ბერძნებსა და რომაელებს სხვადასხვანაირად ესმოდათ შუამავლობა და არბიტრაჟი, ეხმარება იმ ბევრი დიპლომატიური გაუგებრობის უკეთესად გარკვევაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ელინისტური სახელმწიფოების და რომის ურთიერთობებში.

ამგვარად, ანტიკური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის განხილვის შეჯამებისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ ანტიკური ისტორიის მაგალითები მოწმობენ არსებობას საერთაშორისო კავშირების საკმაოდ განვითარებული სისტემისა, რომლის სფეროში პრაქტიკულად შედიოდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველა სახელმწიფო და ამ რეგიონის გარეთ მდებარე რიგი სახელმწიფოები. ბერძნულ-რომაული სამყაროს ისტორია აჩვენ-

ებს საერთაშორისო ხასიათის პრობლემათა გადაწყვეტისადმი მიდგომის მრავალფეროვნებას: ძალისმიერი ზემოქმედებით დაწყებული, დამთავრებული პრობლემის მშვიდობიანი საშუალებებით, დიპლომატიური დარეგულირებით, მათ შორის, მესამე მხარის შუამავლობით. წყაროები ასევე იძლევიან საფუძველს მტკიცებისა, რომ ამ პერიოდს მიეკუთვნება საერ- -თაშორისო სამართლის ნორმების ჩასახვა, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა საქმიანობის გააზრების პირველი ცდები, შეთანხმებებისა და სამოკავშირეო ხელშეკ-რულებების პრინციპები, ურთიერთობები მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის და ა.შ. ანტიკური სამყაროს ისტორიის მიერ წარმოდგენილი მდიდარი მასალის საფუძველზე უკვე ახალ დროში დაიწყო ფორმირება ეროვნული სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური კონცეფციების და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა. ჩვენი აზრით, რომის საგარეო ოლიტიკის ისტორია გარკვეულწილად ნიმუში გახდა იმ სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებაში, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ რეგიონულ და მსოფლიო ბატონობაზე. ეს პრეტენზიები აშკარა გახდა უკვე შუა საუკუნეების ხანაში, რომელიც ჩვენ ახლა უნდა განვიხი- ლოთ კიდეც.

თავი 2. საბერძნეთისა და რომის საერთაშორისო ურთიერთობათა თავისებურებები შუა საუკუნეებში

1. ბარბაროსული სახელმწიფოები და ბიზანტია. ხალხების დიდი გადასახლების დროის დიპლომატია

ხალხების დიდი გადასახლების პერიოდის დიპლომატია ასახავდა ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების თანმიმდევრულ ეტაპებს. დასაწყისში ის ემსახურებოდა იმ ბარბა,-როსული სახელმწიფოების ინტერესებს, რომლებიც წარმოიშვა რომის იმპერიის ნანგრევებსა და შუა, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ნაწილებში. ამ სახელმწიფოების დაშლის შემდეგ, შუა საუკუნეების დიპლომატიის საქმიანობა განისაზღვრებოდა ევროპის ფეოდალური დაქუცმაცების პროცესში წარმოქმნილი იზოლირებული პოლიტიკური სამყაროების ურთიერთობით. და ბოლოს, მსხვილ ფეოდალურ-აბსოლუტური მონარქიების წარმოქმნასთან დაკავშირებით, შუა საუკუნეების დიპლოტია ხდება მათი გამაერთიანებელი პოლიტიკის იარაღი. შუა საუკუნეების წყობა დაფუძნებული იყო ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობებზე. ესენი კი მთლიანობაში წარმოადგენდნენ პროგრესულ საზოგადოებრივ სისტემას ძვე-ლი მსოფლიოს მონათმფლობელურ წყობასთან შედარებით. მათი ჩამოყალიბება დაიწყო უკვე ადრეული შუა საუკუნეების ბარბაროსულ სახელმწიფოებში. ეს სახელმწიფოები, ცდილობდნენ რა ხელში ჩაეგდოთ რაც შეიძლება მეტი მიწა, მოეპოვებინათ სამხედრო ნადავლი და ბატონყმური ექსპლუატაციისთვის საჭირო ადა-

მიანები, განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს. ისინი ეჯახებოდნენ აღმოსავლეთ რომის იმპე-რიასაც (ბიზანტიას) - ადრინდელი დიდი რომის იმპერიის ნატეხს. მაგრამ ნებით თუ იძულებით, ბარბაროსულ სახელმწიფოებს უწევდათ ერთმანეთთან თუ მეზობლებთან შეთანხმება, რათა როგორმე დაერეგულირებინათ თავისი საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები. ასე წარმოიშვა მათი დიპლომატია, რომელსაც აჩნდა ადრეული შუა საუკუნეების ახალი პოლიტიკური წარმონაქმნების პრიმიტიულობის კვალი. დიდი გავლენა ახალგაზრდა ბარბაროსულიქვეყნების დიპლომატიაზე მოახდინა ბიზანტიამ, რომელიც ინახავდა გვიანდელი რომის იმპერიის დიპლომატიურ ტრადიციებს. ამ აღმოსავლური დიპლომატიის მაღალგანვითარებულმა ორგანიზაციამ, მისმა საზეიმო ცერემონიალმა, მოქნილობამ, ვერაგობამ, ნებისმიერი კომბინაციის გამოგონების, მტრების განცალკევების, თავის ინტერესებში სავაჭრო, კულტურული, რელიგიური კავშირების გამოყენების უნარმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინა შუა საუკუნეების საგარეო პოლიტიკაზე.

შუა საუკუნეების დიპლომატიაზე რომაული ტრადიციების გავლენის მეორე მძლავრი გამტარებელი იყო ეკლესია რთული საერთაშორისო კავშირების მქონე პაპობის სახით. პაპობა იყო არამარტო რელიგიური, არამედ სახელმწიფო ძალაც. ეყრდნობოდა რა საკუთარ ტერიტორიას, გააჩნდა რა უდიდესი მატერიალური სახსრები და თავისი აგენტების ფართო ქსელი, პაპობა თავის ერთიანობას და საერთაშორისო ავტორიტეტს უპირისპირებდა შუღლსა და ბრძოლას, ფეოდალურ ევროპაში რომ დუღდა. პაპობა, აღვივებდა რა ამ წინააღმდეგობებს, რათა გამოეყენებინა ისინი თავისი ბატონობის ინტერესებში, ავითარებდა ძალზე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას და მასში იყენებდა მისთვის ხელმისაწვდომ ყველა საშუალებას, დაწ-

ყებული დიდი რომის პოლიტიკის გამოცდილი მეთოდებიდან, დამთავრებული ეკლესიისგან განკვეთით, ინტერდიქტებით, მოსყიდვით, ჯაშუშობითა და საიდუმლო მკვლელობებით. პაპების დიპლომატია წარმატებით მონაწილეობდა შუა საუკუნეების ისეთი საერთაშორისო ინიციატივების ორგანიზაციაში, როგორებიც იყო ჯვაროსნული ლაშქრობები. მან უდიდესი ენერგია და მოქნილობა გამოიჩინა რომის საღმრთო იმპერიასთან ბრძოლაში. მაგრამ ვერც მან შეძლო დაეძლია ცენტრიდანული ტენდენციები, რომლებიც ძირს უთხრიდა როგორც იმპერატორების ხელისუფლებას, ისე პაპების ძლიერებასაც. შუა საუკუნეების სახელმწიფო წარმონაქმნები ხანგრძლივ მოვლენას არ წარმოადგენდნენ და იოლად იშლებოდნენ. ასეთი იყო ყველა ბარბაროსული სამეფოს ბედი. ასეთივე იყო ადრეული შუა საუკუნეების უფრო მსხვილი სახელმწიფო გაერთიანებების დასასრულიც: დასავლეთში - კარლოს დიდის იმპერიისა, აღმოსავლეთში - რიურიკოვიჩების სახელმწიფოსი. გვიანდელმა ცდებმა: შეექმნათ პაპის მსოფლიო სახელმწიფო და რომის საღმრთო იმპერია - ახევე კრახი განიცადეს.

შუა საუკუნეების ევროპის დაქუცმაცების პერიოდის დიპლომატიას აჩნდა ჩამოყალიბებული ფეოდალური სისტემის კვალი. ევროპა წარმოადგენდა დამოუკიდებელ მცირე სამყაროთა (ქვეყნების, მთარგმ.) დიდ სიმრავლეს. სენიორია იგივდებოდა სახელმწიფოსთან. მსხვილი მიწათმფლობელი ხელმწიფე იყო, სახელმწიფო კი მისი მამული. საზღვარი სახელმწიფოსა და კერძო სამფლობელოებს შორის იშლებოდა. გაქრა სხვაობა საჯარო და კერძო სამართალს, კერძო და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის. ყოველი მსხვილი სენიორია დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. გამოცხადებული იყო კერძო ომის უფლება.

შუა საუკუნეების საკვლევი ეპოქის დიპლომატია დადიოდა იმ დავებისა და შეჯახებების დარეგულირებამდე, რომლებიც წარმოიქმნებოდნენ ხელმწიფე - მამულების მფლობელთა შორის მუდმივი ბრძოლის ნიადაგზე მეზობელი სამფლო-ბელოების ძარცვის ან ფეოდალური რენტის გადამხდელთა რაოდენობის გაზრდის მიზნით სხვისი ქვეშევრდომების შეპყრობისთვის. ხანდახან დიპლომატია უფრო მსხვილ საკითხებსაც წყვეტდა, იმ საკითხებს, რომლებიც წარმოიქმნებოდნენ ხელმწიფე-მამულების მფლობელებს შორის რომელიმე საერთო მტრის გამოჩენის გამო - მუსლიმანებისა, დასავლეთ ევროპისთვის, ან ყივჩაღებისა და თათრებისა ფეოდალური რუსეთისთვის. ამგვარი საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელ ნიმუშს წარმოადგენდნენ ურთიერთობები მთავრებს შორის ფეოდალური პერიოდის ძველ რუსეთში.

მსხვილ ფეოდალურ მონარქიებში - საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, მოსკოვის რუსეთში - საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია მიმართული იყო სახელმწიფო ტერიტორიების დაქუცმაცებულობის დაძლევაზე, გაერთიანებასა და გაფართოებაზე, მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაზე სამხედრო და სავაჭრო უპირატესობისთვის, ამ ამოცანების გადაჭრისთვის საჭირო მოკავშირეების ძებნაზე, შუა საუკუნეების ევროპის საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში განსაკუთრებულ როლს ქალაქები თამაშობდნენ (ძველ რუსეთში, იტალიაში, ჩრდი-ლოეთ ევროპაში, არაბებთან).

IV საუკუნის ბოლოს ბარბაროსები ბატონ-პატრონობდნენ რომის ტერიტორიებზე და მუდმივი ქალაქი ბოლოს და ბოლოს დაეცა მათი შემოტევის გამო. ალარიხის ვესტგოთებმა აიღეს მუდმივი ქალაქი და გააპარტახეს ოდესღაც უძლიერესი იმპერიის პროვინციები. ესპანეთში ვესტგოთებმა დაარსეს თავისი

სამეფო. შემდეგ ვანდალები, სვევები, ბურგუნდები, ფრანკები ჯიჯგნიდნენ იმპერიის ოლქებს და ბოლოს, ჰუნებმა, რომლებიც მონღოლურ ტომებს წარმოადგენდნენ, დაიპყრეს უდიდესი სივრცე ვოლგიდან რაინამდე, შექმნეს რა IV-V საუკუნეებში შუა საუკუნეების პირველი იმპერია. დაიწყო რომსა და ბარბაროსულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა დარეგულირება ხელშეკრულებებით.

ჩვენამდე მოაღწია აღმოსავლეთ-რომაული (კონსტანტინეპოლის) კარის და ჰუნების უმაღლეს ბელად ატილას შორის დადებული შეთანხმებების აღწერამ, შედგენილმა ვინმე პრისკის - კონსტანტინეპოლში გავლენიანი პირის - მიერ. პრისკი აღწერს აღმოსავლეთის იმპერატორ თეოდოსი მეორის ერთ-ერთ ელჩობას ჰუნებთან 443 წელს. იმპერატორის შეხვედრა ჰუნებთან მოხდა საზღვრის მახლობლად. ჰუნებმა განაცხადეს, რომ სურდათ იმპერატორთან მოლაპარაკების წარმოება ცხენებიდან ჩამოქვეითებისა გარეშე. რომაელი დიპლომატები, თავისი ღირსების შენარჩუნების მიზნით, ასევე მოიქცნენ. შეთანხმება ხელმოწერილი იქნა. ეს იყო შეურაცხმყოფელი ხელშეკრულება იმპერიისთვის, რომელიც პირდებოდა გაეცა ჰუნებისთვის მათგან რომის მხარეზე ყველა ადრე გადმოსული და ყოველწლიურად ეხადა 700 ფუნტი ოქრო. პრისკი აღწერს ასევე ატილას, ჰუნების ბელადის ელჩობას თეოდოსი მეორესთან. 448 წელს ატილას ელჩი ჰუნი ედიკონი იყო, მასთან ერთად გამოგზავნეს რომაელი ორესტი, რომელიც ცხოვრობდა ერთ-ერთ სასაზღვრო ოლქში, ცოტა ხნის წინ რომ გადავიდა ჰუნების ხელში. ედიკონი წარუდგინეს იმპერატორს, რომელსაც მან სიგელი გადასცა. ამ სიგელში ატილა ჩიოდა, რომ ჰუნებს არ აძლევენ მათგან წასულებს და მოითხოვდა ახალი პუნქტების გახსნას იმპერიასა და ჰუნებს შორის ვაჭრობისთვის. იმპერა-

ტორმა წაიკითხა ლათინურად დაწერილი სიგელი. შემდეგ ედიკონმა კიდევ რაღაც დაუმატა ზეპირად სიგელს, რაც თარგმნა იმპერატორის ერთ-ერთმა მსახურმა, ჰუნების ენა რომ გაეგებოდა.

ამ ელჩობის ბედი საინტერესოა ბიზანტიური დიპლომატიის მზაკვრობის დახასიათებისთვის. ზოგიერთი ბიზანტიელი დიდმოხელე, რა თქმა უნდა იმპერატორის ნებართვით, ცდილობდა დაეყოლიებინა ედიკონი ატილას მკვლელობაზე, რის გამოც მას უდიდეს სიმდიდრეებს სთავაზობდა. ედიკონი თითქოსდა დათანხმდა ამ წინადადებაზე და გაემართა ჰუნების ქვეყანაში იმპერატორის საელჩოსთან ერთად, მასში კი ვიგილაც შევიდა, რომელსაც უნდა გამხდარიყო კიდეც მკვლელობის მთავარი შემსრულებელი. ედიკონმა ატილას აუწყა შეთქ-მულების შესახებ. საინტერესოა, რომ ატილას არ გადაუწყვეტია ვიგილას მოკვლა, თუმცა მიმართა მას ბრაზით სავსე სიტყვით, განუცხადა რა, რომ ის დასასმელია სარზე და გადასაგდებია, რათა ჩიტებმა დაკორტნონ, ამით რომ არ ირღვეოდეს ელჩობის უფლება. აქედან ჩანს, რომ ბარბაროსებში განმტკიცებული იყო წარმოდგენა ელჩების ხელშეუხებლობის შესახებ. წელს რომის იმპერიამ შეწყვიტა თავისი არსებობა. გერმანულ-ბარბაროსული რაზმის ბელადმა ოდოაკრმა ჩამოაგდო უკანასკნელი იმპერატორი რომულ-ავგუსტული. იტალიის დამპყრობი ოდოაკრის პირველივე აქტი გახდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ბიზანტიის იმპერიასთან. მას ძალიან სურდა პატრიციის ტიტულის ტარება და იტალიის მართვა, მაგრამ აღმოსავლეთის იმპერატორმა ზენონმა მის წინააღმდეგ ძალზე რთული ინტრიგა წამოიწყო, მიმართა რა იტალიის დასაპყრობად ოსტგოთების ბელადი ტეოდორიხი, რომელიც მანამდე კონსტანტინეპოლს უქმნიდა მუქარას. ამით მოიხსნა მუქარა,

მიმართული იმპერიის წინააღმდეგ და ერთმანეთს მიუსიეს ორი მოუსვენარი მეზობელი-ბარბაროსი. ტეოდორიხმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში, აჩვენა, რომ საკმაოდ კარგად აითვისა ბიზანტიური დიპლომატიის პრინციპები. მან, ვერ მიაღწია რა გადამწყვეტ გამარჯვებას, შეს-თავაზა ოდოაკრს გაეყოთ იტალიაზე ბატონობა, შემდეგ კი თავისი ხელით მოკლა ის. ცბიერების შედეგად იტალია ოსტგოთების ხელში აღმოჩნდა. ტეოდორიხი რომაულ პოლიტიკურ ნორმებისადმი მიდრეკილი აღმოჩნდა: მას ხელის მოწერაც კი არ შეეძლო, მაგრამ მის გარშემო მრავალი სწავლული ადამიანი იყო (მისი მთავარი დიპლომატი ცნობილი კასიოდორი იყო). ბარბაროსებს უკვე ჰქონდათ წარმოდგენა ელჩების ხელშეუხებლობაზე. სალიკურმა სამართალმა ელჩის მოკვლისთვის დააწესა უზარმაზარი ვერგელდი 1800 სოლიდის ოდენობით. უბრალო ადამიანის მკვლელობისთვის ვერგელდი 200 სოლიდს შეადგენდა; მეფის რაზმის წევრის - 600 სოლიდს. იგივე იყო ალამანურ, საქსონურ და ფრიზის სამართალში. მოცემულმა დოკუმენტებმა დაადგინეს ელჩების უფლება უფასო ცხოვრებასა და საკვებზე, აგრეთვე შემოიღეს სასჯელი იმათთვის, ვინც მათ უარს ეტყოდა ამაზე. ბარბაროსული სახელმწიფოები, რომლებიც იქმნებოდნენ, ეძებდნენ დიპლომატიურ კავშირებს აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან (ბიზანტიასთან). მან უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების მთელ საერთაშორისო ურთიერთობებზე. ბიზანტიის დიპლომატიას საფუძვლად ედო რომაული ტრადიციები და ვერაგული ინტრიგები. ბიზანტიის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული დიპლომატი იყო იმპერატორი იუსტინიანე, რომელიც ამისთვის თავის მეუღლეს, მსახიობ თეოდორას უნდა უმადლოდეს. მეუღლის გარეშე იუსტინიანე ნაბიჯს არ დგამდა. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ იუსტინიანეს მმართველობისას

თავისი გარე ძლიერების პიკს მიაღწია. საერთაშორისო კავშირები მოიცავდნენ სივრცეს ჩინეთიდან და ინდოეთიდან ატლანტის ოკეანემდე, ეთიოპიიდან შავიზღვისპირა სტეპებამდე. იუსტინიანე იყო კომბინაციების ოსტატი, უთავსებდა რა ერთმანეთს რთულ დიპლომატიურ თამაშს და ზუსტ სამხედრო დარტყმებს, რომლებმაც მისი იმპერიის ფარგლები შორს დასავლეთით გააფართოვეს, ბიზანტიის მთავარი ამოცანა იყო შეეჩერებინა მის საზღვრებს ყოველ მხრიდან მომდგარი ბარბაროსების შემოტევა. გამოიყენებოდა ყველაფერი: მოსყიდვა, ჯაშუშობა, მეცნიერებაც კი იყო შემუშავებული ბარბაროსებზე. მათ ოქროს უხდიდნენ იმისთვის, რომ ეომათ იმპერიის ინტერესებისთვის. ბარბაროსების ბელადებს ანიჭებდნენ ტიტულებს, წარჩინების ნიშნებს, მანტიებს, კვერთხს. თვითონ ატილამ მიიღო იმპერიის მხე-დარმთავრის წოდება. ბარბაროსებს აძლევდნენ მიწებს, სადაც ისინი ფუძნდებოდნენ ვასალ-მოკავშირეების (ფედერატები) სახით. ლანგობარდებმა მიიღეს მიწები ნორიკსა და პანონიაში (ავსტრიასა და უნგრეთში), გერულებმა დაკიაში (რუმინეთში), ჰუნებმა თრაკიაში (ბულგარეთში), ავარებმა მდინარე სავაზე. ბარბაროსების მთავრები ქორწინდებოდნენ წარჩინებული ბიზანტიური გვარების ქალიშვილებზე. ბიზანტიელები მუდამ ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ ერთმანეთთან ბარბაროსები divide et impera-ს წესით (ბულგარელთა წინააღმდეგ ისინი ჰუნებს იყენებდნენ, ჰუნების წინააღმდეგ - ავარებს, ვანდალებს ოსტგოთების დახმარებით სძლიეს, ოსტგოთებს კი ფრანკების, თანაც, იუსტინიანეს ჯარებში ყოველთვის იყვნენ სლავები, რომლებიც განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდნენ). სავაჭრო კავშირების გაფართოება იყო ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის უძლიერესი ინსტრუმენტი. იმპერიის საზღვრებს ახლო მდებარე ქალაქები წარმოადგენდა ბიზანტიის ფორპოსტს მსოფლიოში. ვაჭრები ხშირად გამოდიოდნენ მზვერავების როლში (მთელი ინფორმაცია ბარბაროსებზე მათგან მოდიოდა). ბიზანტიურ საქონელთან ერთად, ბარბაროსებთან ბიზანტიის გავლენაც მიდიოდა. ვაჭარს მისიონერი მიყვებოდა, რომელიც ქრისტიანობას ავრცელებდა. მისიონერები იყვნენ კავკასიის მთებშიც, შავიზღვისპირეთის დაბლობზე, აბისინიაში, საჰარის ოაზისებში, ჩვენთან რუსეთშიც. შემდგომ აქტიურად ხდებოდა ქრისტიანობის გავრცელება. ცნობილია ბიზანტიელ და გერმანელ მისიონერთა შეტაკებები მორავიაში დასავლეთ სლავებზე გავლენის მოსაპოვებლად. დროთა განმავლობაში კონსტანტინეპოლი გახდა წმინდა ქალაქი ახლად მოქცეული ხალხებისთვის. თუ პაპის რომი მოქმედებდა მკაცრად, კონსტანტინეპოლი უადვილებდა თავის მისიონერებს ქრისტიანობის გავრცელებას, რთავდა რა ნებას ღვთისმსახურება ადგილობრივ ენებზე ჩაეტარებინათ და ეთარგმნათ წმინდა წერილი ახლად მოქცეული ხალხების ენებზე (ბულგარელთა, ჰუნების, ეთიოპურზე და სხვ.).

ბერძნები მასწავლებლობდნენ ბარბაროსებთან, სწორედ მათი დახმარებით იქმნებოდა სკოლები, ვრცელდებოდა ცოდნა, რის მეოხებით ბარბაროსულ სახელმწიფოებში შედიოდა ბერძნული კულტურა, მასთან ერთად კი ბიზანტიის პოლიტიკური გავლენაც. ბიზანტიის კარზე თავს იყრიდნენ საელჩოები ევროპის, აზიის და აფრიკის ყველა კუთხიდან, საგარეო საქმეთა უწყება, რომელიც პირველი მინისტრის (magister officiorum), შემდგომ დიდი ლოგოფეტის კონტროლის ქვეშ იყო, გამოირჩეოდა უზარმაზარი შტატით და ისე მიყავდა საქმეები, რომ ბრწყინვალებით დაეჩრდილა უცხოელები. რომაული დიპლომატიის ხერხები არამარტო ბიზანტიამ, არამედ პაპის კურიამაც აითვისა. დასავლეთში იმპერატორის ხელისუფლების დაცემის

შემდეგ, ურთიერთობდნენ კონსტანტინეპოლ- თან და ყავდათ აქ მუდმივი კარდინალები, ეგრეთ წოდებული აპოკრისიარიები. იყო ლეგატებიც, რომლებსაც პაპები საეკლესიო და პოლიტიკური ხასიათის სპეციალურ დავალებებს აძლევდნენ. პაპები ისეთივე ვერაგები იყვნენ, როგორც იმპერატორები. მათ სიყალბის, ინტრიგებისა და პოლიტიკური თამაშების გამოყენებით, იტალიაში პაპის ხელისუფლება (პაპების საერო სახელმწიფო) შექმნეს. ფრანკების მეფე პიპინ მოკლემ ეს სამფლობელოები აჩუქა მას, მაგრამ პაპმა ზაქარიამ არ ისურვა ამის ფორმალური აღიარება. და გაჩნდა დოკუმენტი, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ პაპმა მხოლოდ მიიღო ის, რაზეც მას ოდინდელი და განუყოფელი უფლება ჰქონდა. აამოქმედეს ისტორიაში ყველაზე ცნობილი ყალბი დოკუმენტი - „კონსტანტინეს საჩუქარი“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა პაპების შემდგომი საუკუნეების დიპლომატიაშინ (ამ დოკუმენტში მოთხრობილია იმაზე, თუ როგორ გადასცა პაპს კეთრისგან საოცრებით განკურნებულმა კონსტანტინემ იმპერატორის ხელისუფლება მთელ დასავლეთზე, თვითონ კი გაემართა აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლში). პაპებთან დიდხანს აგებდა ურთიერთობებს ფრანკთა ლიდერი, კარლოს დიდი, რომლის იმპერია გახდა უდიდესი ძალა ევროპაში, სადაც მასთან მეტოქეობა მხოლოდ ბიზანტიის იმპერიას შეეძლო. აღმოსავლეთში, იმ დროს გამოჩნდა და აქტიურად მოქმედებდა არაბთა ხალიფატი, რომელმაც შესთავაზა საერთაშორისო საქმიანობის თავისი “ხელწერა“.

2. არაბების დიპლომატია

შუა საუკუნეებში არაბები ძალზე აქტიურ პოლიტიკას ეწეოდნენ მსოფლიო არენაზე. ფრანკთა ქრონიკები ამტკიცებენ, რომ კარლოს დიდმა და ბაღდადის ხალიფამ ჰარუნ ალ-რაშიდმა საელჩოები გაუგზავნეს ერთმანეთს. VII საუკუნის 30-იან წლებიდან საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა არაბთა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც ძველ რომის იმპერიაზე უფრო დიდი იყო. ხალიფატს ჰქონდა ურთიერთობები დასავლეთთან და აღმოსავლეთთანაც, ჩინეთის ჩათვლით. ელჩობის საქმე დეტალებამდე იყო გათვლილი. ელჩობაში ჩვეულებრივად ორ ადამიანს აგზავნიდნენ (ერთი ცნობილი გვარიდან, მეორე - მოლებიდან). მათ ანდობდნენ ორ წერილს, აგრეთვე საჩუქრებს. ელჩების საქმიანობა ყურანზე იყო დაფუძნებული. არაბთა ელჩებს ყოველთვის ჰქონდათ საიდუმლო დავალება; დაზვერვითი ხასიათის (როგორია გზების, გასასვლელების, მდინარეების, სასმელი წყლის საცავების მდგომარეობა, შეუძლია თუ არა იქ გავლა, სად უნდა იარონ ურმებით და სხვა). შუა საუკუნეების საერთაშორისო ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოსკოვის სახელმწიფოს და რუსეთის იმპერიის წინამორბედი კიევის რუსეთის პოლიტიკას. რუსეთის საგარეო პოლიტიკა უჩვეულოდ დინამიურად ვითარდებოდა, მას თავისი ეტაპები, გეოგრაფიული მიმართულებები და საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური აქტიურობის მეთოდები გააჩნდა.

3. კიევის რუსეთის საგარეო პოლიტიკა (IX-XIII საუკუნეები)

კიევის მთავართა საგარეო პოლიტიკაში შეიძლება სამი პერიოდის გამოყოფა. რიურიკიდან იაროსლავ ბრძენამდე (862 – 1054 წლები). გამორჩეულად პირადი, დინასტიური საგარეო პოლიტიკის პერიოდი. მუდმივი ტერიტორიული შენაძენები, სახელმწიფოს გაფართოება დასუსტებული და გაღარიბებული მთავრების უდელების ხარჯზე,. ეს არის აქტიური შეტევითი საგარეო პოლიტიკის და საკმაოდ ხშირი ომების დრო.

იაროსლავ ბრძენიდან ვლადიმერ მონომახამდე (1054 -1125 წლები), საგარეო-პოლიტიკური კურსის სტაბილიზაციის პერიოდი. კიევის დიდი მთავარი სხვა რიურიკოვიჩებს არ აძლევს უფლებას ჩაერიონ გადაწყვეტილებების მიღებაში და იმავე დროს უდელების (ადგილობრივი, არა დედაქალაქის) მთავრებისგან მოითხოვს სრულ მორჩილებას თავისი პოლიტიკისადმი.

მსტისლავ პირველიდან გალიციის მთავარ დანიილ რომანის ძემდე (1162 – 1237 წლები). საგარეო პოლიტიკის თავდაცვითი მიმართულების პერიოდი. მთავარი ამოცანა არის ადრინდელი ტერიტორიული შენაძენების შენარჩუნება, არ მიეცეს საშუალება უდელების მთავრებს დაიტაცონ და დააქუცმაცონ კიევის სახელმწიფო. ამ მიზნით, ძლიერდება საერთოევროპული „შორეული“ საგარეო პოლიტიკა და ეს იმ დროს, როდესაც უახლოესი მეზობლების მიმართ ტარდება თავდაცვის და კონფრონტაციის ხაზი. საგარეო პოლიტიკის ერთიანი კონცეფცია იკარგება (სხვადასხვა მეზობელთან, სხვადასხვა მთავართან სხვადასხვანაირად აწყობენ თავის ურთიერთობებს). კიევის მთავრები თანდათან კარგავენ მონოპოლიას საგარეო პოლიტიკაზე და ყოფენ მას მონომახის მემკვიდრეებთან. მთავრებს, რომლებიც

ხშირად იცვლებიან, არ შეუძლიათ საერთაშორისო ურთიერთობათა სტრატეგიის გარკვევა. შედეგად, კიევის სახელმწიფო ეცემა თათარ-მონღოლთა ჯარების დარტყმების გამო 1237- 1238 წლებში.

რუსების სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო ბიზანტიური. ქვეყანა ინტენსიურად ვაჭრობდა ბიზანტიასთან, კონსტანტინეპოლის მეშვეობით ღებულობდა ევროპულ კულტურასა და ქრისტიანობას, აღწევდა თავისთავის პოლიტიკურ აღიარებას იმ დროის დიდი სახელმწიფოების მიერ. განვიხილოთ ამ ურთიერთობათა ყველაზე მსხვილი მოვლენები.

907 წელს კიევის მთავარმა, ოლეგმა, მოაწყო ლაშქრობა კონსტანტინეპოლზე. 860 წლის პირველი რუსული დიდი ლაშქრობის დროიდან, რომელიც სარფიანი ზავით დამთავრდა, ვითარება ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში შეიცვალა. რუსების სახელმწიფო აღმოჩნდა დინასტიური ბრძოლის მარწუხებში. ოლეგს სერიოზული ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული, რათა კიევისთვის დაემორჩილებინა სლავური ტომები. რუსებმა განიცადეს უნგრელების შემოსევა და ხელი მოაწერეს მათთან შეთანხმებას. როგორც ჩანს, რომელიღაც მომენტში ბერძენმა იმპერატორებმა, ჩათვალეს რა კიევი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულად, შეუწყვიტეს მას ხარკის გადახდა. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ბიზანტიელებს შეეძლოთ შეეზღუდათ რუსი ვაჭრების უფლებები. შესაბამისად, კიევის მთავარმა ოლეგმა, რომელიც ცდილობდა რუსი ტომების გაერთიანებას, გადაწყვიტა აღედგინა და განემტკიცებინა ის მონაპოვარი, რასაც მიაღწია 860 წლის ლაშქრობის შედეგად.

მომენტი, შერჩეული ბიზანტიაზე თავდასხმისთვის, კარგად შერჩეული აღმოჩნდა. X საუკუნის დასაწყისში იმპერია განი-

ცდიდა შინაარეულობას. ეს ტენდენცია იმაში გამოვლინდა, რომ 907 წელს, როდესაც ბიზანტიის ჯარები სალაშქროდ გაემართნენ არაბების წინააღმდეგ, ამბოხება მოაწყო ერთ-ერთმა დიდებულმა ანდრონიკ დუკამ, რომელიც შევიდა საიდუმლო მოლაპარაკებებში არაბებთან. რთული რჩებოდა ბიზანტიის ურთიერთობები ბულგარეთთანაც, მიუხედავად ცოტა ხნის წინ მათ შორის დადებული შეთანხმებისა. თავდასხმის მომენტის შერჩევა მოწმობს რუსების კარგი დაზვერვის არსებობას, რუსული აგენტურის რაღაც ქსელზე, რომელიც იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედებდა.

რუსების გარდა, მთავარს თან მოჰყავდა ვარიაგები, ნოვგოროდის სლოვენები, კრივიჩები, დრევლიანები, რადიმიჩები, პოლიანები, სევერიანები, ვიატიჩები, ხორვატები, დულებები, ტივერელები, აგრეთვე ჩუდი და მერია. მოკა-ვშირეთა მთელმა ამ კოალიციამ მიიღო მატიანეში „დიდი სკუფის“ სახელწოდება. ჯარი მიდიოდა „ცხენებსა და გემებზე“, ესე იგი, ზღვით და ნაპირით. 2000 ხომალდი ზღვით მოდიოდა, ცხენოსნები კი ნაპირით. ტრადიციულად მეომრების და ვაჭ-რების გზა მიდიოდა დნეპრის გაყოლებით ქვემოთ, შემდეგ შავი ზღვისკენ და მისი დასავლეთი ნაპირით ბოსფორისკენ. რათა გაევლო ბულგარეთის ტერიტორია, ოლეგმა საიდუმლო შეთა-ნხმება დადო მეფე სიმეონ დიდთან.

ბერძენმა სარდლებმა, გაიგეს რა რუსების ლაშქრობაზე, ბრძანება გასცეს ჩაეკეტათ ნავსადგური ჯაჭვით და მოემზადნენ თავდაცვისთვის კონსტანტინეპოლში. იმის შემდეგ, რაც რუსების ჯარმა დაწვა და გაძარცვა ბიზანტიის დედაქალაქის გარეუბნები და თავისი ნავები ნაპირზე გამოაგორა, ბერძნებმა სწრაფად ითხოვეს ზავი. ოლეგის ბანაკში გამოჩნდა ბერძენი

ელჩები, რომლებიც ამბობდნენ: „არ დაღუპოთ ქალაქი, მოგცემთ ხარკს, რამდენსაც მოითხოვთ“.

დაიწყო მშვიდობიანი მოლაპარაკებების ეტაპი. პირველი მოლაპარაკებების დროს ოლეგმა მოითხოვა ხარკი 2000 გემისთვის, 12 გრივნა თითო ადამიანზე, ყოველ ნავში 40 მეომარი იყო. ბერძნები დათანხმდნენ და ოლეგმა ჯარი ქალაქს მოაცილა. შემდეგ კონსტანტინეპოლში მოვიდა 5 რუსი ელჩი - კარლოსი, ფარლოფი, ველმუდი, რულავი და სტემიდი. როგორც ჩანს, დიპლომატიურ სამსახურში უცხოელები იყვნენ. საელჩოს ხელმძღვანელი იყო ვარიაგი კარლოსი. მან იცოდა უცხოური ენები, ჰქონდა მოლაპარაკებების ჩატარების გამოცდილება, შეეძლო დიპლომატიური დოკუმენტების გაფორმება. რუსმა ელჩებმა წამოაყენეს ხარკის გადახდის ახალი პირობები, რომლებიც ადრინდელზე უფრო რბილი იყო. ახლა ოლეგი ითხოვდა 12 გრივნას „საკეტზე“, რაც ნიშნავდა ან ნიჩბის პალოს, ან ნავის საჭეს. გარდა ამისა, რუსებმა მოითხოვეს, რომ იმპერიას ამიერიდან ეხადა“ დადგენილი”რუსების ქალაქების - კიევის, ჩერნიგოვის, პერეიასლავლის, პოლოცკის, როსტოვის, ლიუბეჩისა და სხვ., ანუ ყველა იმ ქალაქისთვის, ოლეგს რომ ემორჩილებოდნენ. ეს მოთხოვნა სრულიად ახსნადია, რადგან კოალიციის წევრები, ბუნებრივია, ელოდნენ წილს ბიზანტიის მიერ გადასახდელი ხარკიდან. ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ, მხარეებმა შეიმუშავეს ხელშეკრულების შეთანხმებული ტექსტი. 907 წლის შეთანხმების ძირითადი პირობები შემდეგი იყო: ბიზანტიამ რუსებს კონტრიბუცია გადაუხადა - 12 გრივნა ნავის ნიჩბის ერთ პალოზე. ბიზანტია რუსეთს ყოველ წელს უხდიდა ფულად „დადგენილს“ - ხარკს. ასე, ბერძნებმა „ფული გადაიხადეს“, რათა რუსებს მეტი არ მოეწყოთ მათზე თავდასხმა. რუს ელჩებს კონსტანტინეპოლში უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ „საელჩო,“

„საკვების“ სახით იმდენი ხნით, რამდენიც მათ დასჭირდებოდათ. ხშირად ელჩები ვერ ასწრებდნენ თავისი საქმეების დამთავრებას ახალ ნავიგაციამდე და ზამთარს კონსტანტინეპოლში ატარებდნენ, რათა გაზაფხულზე გამგზავრებულიყვნენ სახლში.

რუს ვაჭრებს ჰქონდათ უფლება 6 თვის განმავლობაში, ანუ ერთი ნავიგაციის მანძილზე, აეღოთ თავის სარჩენი სურსათ-სანოვაგე ღვინის, პურის, ხორცის, თევზის, ხილის სახით. ელჩებსაც და ვაჭრებსაც უფლება ეძლეოდათ თავისუფლად გამოეყენებინათ ბიზანტიური აბანოები („და დაიბანონ, რამდენიც მოესურვებათ“). თუ რუსები ბიზანტიაში არა ვაჭრობისთვის მოდიოდნენ, თვიური სარჩენი მათ არ ეძლეოდა. ყველა რუსს კონსტანტინეპოლში უნდა ეცხოვრა რუსულ ეზო-კარში წმინდა მამანტის მონასტერთან. ყველა მათგანს რეგისტრაცია უნდა გაევლო - ვინ და რა მიზნით ჩამოვიდა, ვის უნდა მიეცეს ვაჭრის თვიური სურსათ-სანოვაგე. კონსტანტინეპოლში რუსები ერთი ჭიშკრით უნდა შესულიყვნენ, უიარაღოდ და იმპერატორის მოხელის თანხლებით.

რუსებს ეკრძალებოდათ ძარცვადა უკანონობის ჩადენა.

რუსმა ვაჭრებმა ბიზანტიაში უბაჟო ვაჭრობის უფლება მიიღეს. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიელებმა ხელშეკრულება შეადგინეს იმპერატორის მიერ გაცემული წყალობის სიგელის სახით, ასეთ სიგელს „ხრისოვული“ ეწოდება. დამარცხების შემთხვევაშიც, გინდ სამხედრო, გინდ დიპლომატიური, ბერძნები არ ამბობდნენ უარს თავის ამბიციურობაზე, თავის განსაკუთრებულ, რჩეულ ადგილზე იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში.

მოლაპარაკებები დასრულდა მთავარ ოლეგის შეხვედრით ბიზანტიის იმპერატორებთან - ლევ მეექვსესა და ალექსანდრესთან. იმპერატორებმა ფიცი დადეს და, როგორც ქრისტიანებში მიღებული იყო, აკოცეს ჯვარს ხელშეკრულებისადმი ერთგულების ნიშნად. ოლეგმაც დაიფიცა, მან და მისმა მეომრებმა დაიფიცეს თავისი იარაღით, თავისი ღმერთით პერუნით, და ვოლოსით, საქონლის ღმერთით. ცერემონიის დასასრულს, ოლეგმა კონსტანტინეპოლის კარებზე დაკიდა თავისი ფარი მშვიდობის ნიშნად. ეს ტრადიცია გავრცელებული იყო ძველ ნორმანებში.

907 წლის ხელშეკრულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. კიევის რუსეთმა ბიზანტიასთან დადო წერილობითი შეთანხმება განსხვავებით ადრინდელი ზეპირი ფიცებისა და საველე ზავებისგან. ამრიგად, რუსეთი ჩადგა ერთ რიგში იმ დროის მსხვილ სახელმწიფოებთან. 907 წლის ხელშეკრულებას ეწოდებოდა „ღრმა“, ანუ იყო ხანგრძლივი, მრავალწელზე გათვლილი, მან საფუძველი დაუდო რუსულ-ბიზანტიურ ურთიერთობებს. რუსებმა მიიღეს ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ძალზე დიდი სარგებელი და შეღავათები. ახალი წერილობითი ხელშეკრულება დაიდო 911 წ. 2 სექტემბერს. მთავარი ოლეგი აპირებდა „დაემყარებინა“ მშვიდობა, ანუ სრულყოფილი გაეხადა შეთანხმება და მოეწესრიგებინა ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის.

ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებამდე შედგა წინასწარი თათბირები ბიზანტიის იმპერატორ ლევ მეექვსესა და კიევის დიდ მთავარ ოლეგს შორის, შემდეგ კი ელჩების კონფერენცია. კონსტანტინეპოლში ჩამოვიდნენ რუსი ელჩები მშვიდობის ახალი პირობების შესამუშავებლად.

ფორმულა კიევის რუსეთის ურთიერთობებისა უცხოურ სახელმწიფოებთან „мир–ряд» („მშვიდობა-შეთანხმება“). რა არის „რიადი“? მხარეები მორიგდნენ, შეიმუშავეს „რიადი,“ ანუ კომპლექსური შეთანხმება სადავო საკითხებსა და თანამშრომ-ლო-

ბის პრობლემებზე. რუსულ ნავებს, რომლებზეც დიპლომატები იყვნენ, დახვდნენ საიმპერატორო მოხელეები ლეგარიტარის მეთაურობით, რომელიც პასუხისმგებელი იყო რუსი ელჩების აქ ყოფნაზე. აქვე ყველა ჩამოსულის სია შეადგინეს, რათა გაერკვიათ, თუ ვის დასჭირდებოდა საზღაური იმპერტორისგან. რუსების დელეგაციაში 15 ადამიანი იყო (იგივე სახელები), რომელთაც მოსამსახურეები, დაცვა, ნავების ეკიპაჟების წევრები ახლდათ. კარლოსი პირველია სიაში, სტემიდი კი მე-15-ე, 907 წელს ის მეხუთე იყო. ანუ, უკვე არსებობდა რაღაც გრადაცია, იერარქია დიპლომატიური თანამდებობებისა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტემიდი იყო ჩამწერი ან თარჯიმანი. ელჩების სიაში გაჩნდა ახალი ადამიანი, ინეგელდი. საელჩოს სათავეში კვლავ კარლოსი იყო, კადრის დიპლომატი, როგორც ახლა იტყვიან, მოლაპარაკებების გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც რამდენიმე უცხოური ენა იცოდა.

მრავალ კამათში, საუბრებში, განხილვებში თანდათან გამოვლინდა ის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია, როგორც 911 წლის ხელშეკრულება. ეს დოკუმენტი სამ ნაწილად იყოფოდა - პოლიტიკური შესავალი, ან ოქმი, ან როგორც ჩვენ ვიტყოდით, პრეამბულა, კონკრეტული სტატიები („შეთანხ-მება“) და დასკვნა, რომელსაც ასევე პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. ეს არის გარკვეული დიპლომატიური „შტამპი“, რომ-ელიც განსაზღვრავდა შუა საუკუნეების (და უფრო გვი-ანდელის) დიპლომატიური ურთიერთობების ფორმას, მთა-ვარმა ოლეგმა თავისი ელჩები გააგზავნა ბიზანტიასა და რუ-სებს შორის „მშვიდობის დამყარებისა და შეთანხმების დასა-დებად“. “მშვიდობა და ხელშეკრულება“ მიღწეული იქნა.

ხელშეკრულების პირობები შეიძლება სამ ძირითად ბლოკად გაიყოს. ორივე მხარე ფიცს დებს დაიცვას „სიყვარული ჭეშმარიტი და შეურცხვენელი, სამუდამოდ და ყველა წლებისთვის“. „შეთანხმება“ - რიგი სტატიებისა, რომლებიც არეგულირებენ რუსებისა და ბიზანტიის ურთიერთობებს: პასხისმგებლობას მკვლელობისთვის, განზრახ ცემისთვის, ქურდობის, ძარცვის, ვალის გადაუხდელობისთვის; ვალდებულება, დახმარება გაეწიოს ორივე ქვეყნის ვაჭრებს მათი გემების ჩაძირვის შემთხვევაში; დადგენილია გაქცეული მოსამსახურეების, მონების, ფეოდალურად დამოკიდებული ადამიანების დაბრუნების წესი. რუსები თავისთავზე იღებდნენ სამოკავშირეო ვალდებულებას დახმარებოდნენ ბიზანტიას სამხედრო სფეროში. რუს მეომრებს შეეძლოთ ემსახურათ იმპერატორის არმიაში ომების დროს და შეეძლოთ იქვე ემსახურათ შემ-დგომაც. 912-913 წლებში რუსებმა ილაშქრეს ამიერკავკასიაში; 700 რუსი მეომარი მონაწილეობდა ბერძნების ლაშქრობაში კრიტელი არაბების წინააღმდეგ. სწორედ ეს ლაშქრობა არის მაგალითი სამხედრო სამოკავშირეო ვალდებულების შესრულებისა რუსების მხრიდან.

მნიშვნელოვანია, რომ 911 წლის ხელშეკრულება დადებულია ორ თანასწორუფლებიან მხარეს შორის, ანუ, მას არ ჰქონდა ხრისოვულის - იმპერატორის წყალობის ფორმა. ეს იყო კიევის დიპლომატიური გამარჯვება. შეთანხმება შედგენილი იყო ორ ერთნაირ ეგზემპლარად ბერძნულ და რუსულ ენებზე. მხარეებმა გაცვალეს ეს სიგელები, დატოვეს რა ამასთან ასლები თავისი ტექსტებიდან.

მაგრამ შეთანხმებას, რა თქმა უნდა, ჰქონდა ნაკლოვანებები, რუსებისთვის წამგებიანი დებულებები. პირველი, სხვადასხვა სადავო საკითხის გადასაჭრელად რუსი ელჩები იძულებული იყვნენ ჩასულიყვნენ ბიზანტიაში, და არა ბერძენი ელჩები კიევში. მეორე, კიევის მთავარი ოლეგი შეთანხმებაში იწოდებოდა „ბრწყინვალემთავრად“ და დაყენებული იყო ხაზართა

ხაკანის, ბულგარეთის მეფის, ფრანკთა იმპერატორის, სპარსეთის შაჰის შემდეგ. მესამე, სამოკავშირეო ვალდებულება სამხედრო სფეროში ეკისრებოდა მხოლოდ რუსულ მხარეს.

941 – 944 წლებში ადგილი ჰქონდა ახალ ომს ბიზანტიას და რუსებს შორის. ის, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო ბიზანტიელების მიერ რუსებისთვის ხარკის გადახდის შეწყვეტით. ომის დაწყების მეორე მიზეზი, შესაძლებელია, გახდა ბერძნების მიერ რუსი ვაჭრების გარკვეული შევიწროვება. ამ ომის შედეგი გახდა ახალი, 944 წლის ხელშეკრულება. წინასწარი პოლიტიკური საუბრები კიევში ჩატარდა, რაც იყო რუსების აშკარა დიპლომატიური გამარჯვება. ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი დაამტკიცეს კონსტანტინეპოლში.

რუსების ელჩობა კონსტანტინეპოლში 51 ადამიანის შემადგენლობით ჩამოვიდა. მისიას სათავეში ედგა „დიდი რუსი მთავრის ელჩი“, ასე ვთქვათ, პირველი ელჩი, მას ივორი ერქვა. დანარჩენს ჩვეულებრივ, რიგით წევრებს უწოდებდნენ («оны чии ели»), მაგრამ მათაც „ხმამაღალი“ ტიტულები ჰქონდათ. მაგალითად, ვუეფასტი, რომელიც იგორის ვაჟის, სვიატოსლავის ელჩი იყო. მესამე ნომერი სიაში იყო ისკუსევი, ელჩი ოლგასი, დიდი მთავრის იგორის მეუღლისა. შემდეგ სიაში მოდიოდნენ ელჩები იგორის ძმისწულებისა, დიდი მთავრის სახლის სხვა წევრებისა, ცნობილი რუსი ბოიარებისა. აღსანიშნავია ასევე, რომ თუ 911 წელს ელჩები წარმოსდგებოდნენ სიტყვებით: „ჩვენ რუსული გვარისა ვართ“, ახლა ისინი წარგზავნილი იყვნენ „რუსების დიდ მთავარ იგორის და რუსუ- ლი მიწების ყველა მთავრისა და ადამიანისგან“.

მისიის შემადგენლობაში 26 ვაჭარი შევიდა, რაც ასევე მიუთითებდა მომავალი მოლაპარაკებების ეკონომიკურ ხასიათზე. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მომზადდა ხელშეკ-

რულების ტექსტი, რომელსაც შემდეგი თავისებურებები ჰქონდა: მხარეებმა დაადასტურეს „მშვიდობის და სიყვარუ- ლის“ ურთიერთობები. მშვიდობა „ყველა წელზე“, ანუ სამუ-დამოდ მყარდებოდა.

რუსი ელჩები და ვაჭრები ვალდებულნი იყვნენ წარმოედგინათ ბიზანტიელი მოხელეებისთვის სპეციალური სიგელები, გაცემული კიევის დიდი მთავრის მიერ და მიმართული იმპერატორისადმი. თუ რუსს ამგვარი სიგელი არ ჰქონდა, ის შეიძლება დაეპატიმრებინათ ან მოეკლათ კიდეც და რუსი მთავარი ამისთვის ბერძნებს პასუხს არ მოსთხოვდა. მოცემული სტატია ასახავდა კიევის მთავრის ხელისუფლების გაძლიერებას, მის გარეშე ხომ ვაჭრებს არ შეეძლოთ განევითარებინათ
კავშირები კონსტანტინეპოლთან.

რუსებს არ ჰქონდათ უფლება გაეტარებინათ ზამთარი კონსტანტინეპოლში არსებულ თავის დასახლებაში. ეს ნიშნავდა, რომ საელჩო და ბერძნების ქარავნებს ერთი ნავიგაციის გან-მავლობაში უნდა დაესრულებინათ თავისი საქმეები და დაბ-რუნებულიყვნენ სამშობლოში. უქმდებოდა რუსების უბაჟო ვაჭრობა ბიზანტიაში. მხარეებმა თავისთავზე აიღეს თანაბარი ვალდებულებები, გააგზავნონ ჯარი ერთმანეთის დასახმარებლად. ამრიგად, სამხედრო კავშირმა მიიღო თანაბარუფლებიანი თანამშრომლობის ფორმა.

ხელშეკრულება ორ ეგზემპლარად იყო შედგენილი - ბერძნულ და რუსულ ენებზე. ყოველი მხარე ფიცს თავის ტექსტზე დებდა. რუსებმა თავისი იარაღი, ფარები და ოქრო დადეს ბორცვზე პერუნის ძეგლთან, დაიფიცეს იარაღსა და ოქროზე, ქრისტიანმა ბერძნებმა კი დაიფიცეს ჯვარზე.

აღმოსავლეთი ტრადიციულად იყო რუსული საქონლის გასაღების ბაზარი.თავის მხრივ, აქედან რუსულ მიწებზე მო-

დიოდა ქსოვილები, სპეციალურად დამზადებული ფოლ-ადის იარაღი, ჯიშიანი ცხენები, ნაკეთობები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან, ძვირფასი ქვები, სანელებელი, სუნელი, საოცრად დამზადებული ხალიჩები. სამხედრო ლაშქრობებს ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგაზე, ამიერკავკასიაში მდიდარი ნადავლი მოჰქონდათ მთავრების, ბოიარებისა და მთავრის სამხედრო რაზმის წევრებისთვის.

მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რუსებს არ ჰქონდათ აღმოსავლეთში თავისუფალი გასვლის საშუალება. რუსმა ვაჭრებმა კარგად შეისწავლეს და გაკვალეს შემოწმებული სავაჭრო კომუნიკაციები ბიზანტიაში, უნგრეთში, გერმანულ მიწებში, ბულგარეთში, პოლონეთში, მაგრამ აღმოსავლეთთან ვაჭრობის გზებს აკონტროლებდა ხაზართა სახელმწიფო. ის მყარად იდგა სავაჭრო გზებზე შავი ზღვის ჩრდილოეთი ნაპირების გასწვრივ, ქვედა ვოლგასა და დონზე. სავაჭრო გზებს ოკასა და შუა ვოლგაზე აკონტროლებდნენ ვოლგის ბულგარები და ბურტასები - ხაზართა სახელმწიფოს ვასალები. ამასობაში, კიეველმა ვაჭრებმა საუცხოოდ იცოდნენ თავის ევროპელ პარტნიორთაგან კასპიისპირა მდიდარი ქალაქების აბესგუნის და სარის შესახებ, საიდანაც შეიძლებოდა ქარავნით გასვლა ხორასანსა და მავერანახრში, შემდეგ კი ხორეზმში. რუსი ვაჭრების მიერ აუთვისებელი რჩებოდა ტაბარისტანის და გილანის უმდიდრესი მიწები. ამიერკა-ვკასიაში, მდინარე მტკვარზე, რუსებს თავისი ვაჭრობით იზი-დავდა ქალაქი ბერდაა.

მეშვიდე საუკუნიდან დასახელებული აღმოსავლური მიწები იქცნენ არაბების თავდასხმების ობიექტად. არაბულმა ხალიფატმა IX-X საუკუნეებისთვის ფაქტიურად დაუმორჩილა თავის გავლენას ამიერკავკასიის რაიონები, შუა აზიის ნაწილი, ზედ მიადგა ბიზანტიის სამფლობელოებს სირიასა და მცირე

აზიაში. კონფლიქტმა ხალიფატსა და ბიზანტიას შორის, მათმა ბრძოლამ გავლენის სფეროებისთვის მიიღო ანტაგონისტური, ყველაზე შეურიგებელი ფორმები. იმპერია ეწეოდა სუროგატულ ომებს, იყენებდა რა ყველაზე მოულოდნელ მოკავშირეებს, მათ შორის ხაზართა სახელმწიფოს, რომელიც თვითონ იყო განადგურებისა და ტერიტორიული დაპყრობის საფრთხის ქვეშ. 737 წელს არაბი სარდალი მურვანი თავისი არმიით შეიჭრა ხაკანატის ტერიტორიის სიღრმეში. არაბებმა შეძლეს ხაზარ- თა დედაქალაქ სემენდერის აღება. ხაკანი გაიქცა ქალაქიდან და თავი შეაფარა „სლავების ნახრ-მდინარის იქით“ (ამ სახელის ქვეშ მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს მდინარე დონს).

ბიზანტიის წინააღმდეგ რუსების წარმატებული ლაშქრობების დროისთვის ხაზარა სახელმწიფოს ძლიერება მნიშვნელოვნად შესუსტდა. ჯერ კიდევ IX საუკუნის 60-იან წლებში რუსებმა პირველი დარტყმა განახორციელეს აღმოსავლეთისკენ. ეს იყო დაპყრობითი ლაშქრობა ქალაქ აბესგუნზე - შუა აზიისკენ სავაჭრო გზაზე გასვლის საკვანძო პუნქტზე. რუსებმა მიაღწიეს კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს და გაძარცვეს ზღვისპირა დასახლებები. ტაბარისტანის მმართველმა, ჰასან იბნ ზაიდმა, არაბი ხალიფას ვასალმა, რუსებს თავისი არმია დაუპირისპირა. სპარსული წყაროს მოწმობით, რუსები გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ. იბადება კანონზომიერი კითხვა - როგორ და რა პირობებში შეძლეს რუსებმა გაევლოთ ხაზართა მიწები და მოხვედრილიყვნენ ამიერკავკასიაში? სავარაუდოდ, ხაზარებმა რუსთა რაზმები აღმოსავლეთით იმიტომ გაატარეს, რომ ასრულებდნენ მოკავშირის ვალდებულებას ბიზანტიის მიმართ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთავარ დარტყმას რუსები აყენებდნენ არა არაბულ ჯარებს მცირე აზიაში, არამედ სავაჭრო

პორტ აბესგუნს, საიდანაც იშლებოდა გზა ხორეზმისკენ. რუსების კავშირი ხაზარებთან არამყარი, მოკლევადიანი, მყიფე იყო. ბიზანტიასთან შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ, რუსების ლაშქრობები აღმოსავლეთისკენ ერთი მეორის მიყოლებით ეწყობოდა. 909–910 წლებში რუსები კვლავ აწყობენ ლაშქრობას აღმოსავლეთისკენ, ისინი 16 გემით მიადგნენ აბესგუნს და სახლში დიდი ნადავლით დაბრუნდნენ. 910 წელს რუსების უფრო მეტი გემი გამოჩნდა აბესგუნთან, რუსებმა დაწვეს ქალაქი სარი, გაიყოლიეს ტყვეები და დაბრუნებისას ებრძოდნენ გილანშაჰის და შირვანშაჰის, ადგილობრივი მმართველების რაზმებს. ხაზარები იძულებით ატარებდნენ რუ-სებს თავის ტერიტორიაზე, რამეთუ ეს უკანასკნელები წარმოადგენდნენ ბუნებრივ მოკავშირეს საერთო მტრის - არაბთა ხალიფატის წინააღმდეგ. 912 – 913 წლებში რუსების 500 ხომალდი (ნავი - ?) დაიძრა აღმოსავლეთისკენ ხაზართა ტერიტორიით. ხაკანმა მისცა მათ უფლება გაევლოთ დონით და გასულიყვნენ ვოლგაზე იმ პირობით, რომ მოპოვებული ნადავლის ნახევარს რუსები მას მისცემდნენ.

რუსთა რაზმებმა საშინელი დარტყმა მიაყენეს აბესგუნს (კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთი), მათ გააუკაცრიელეს გილანის (ჩრდილოეთ ირანი) ნაპირები: აჰყავდათ ტყვეები, იტაცებდ- ნენ ქონებას. ზამთარს რუსები ატარებდნენ კასპიის ერთ-ერთ კუნძულზე, რომელიც ბაქოს მახლობლად მდებარეობდა. დაბრუნებისას მათ ხაკანს დათქმული ფული და ნადავლი გაუგზავნეს. მაგრამ ხაზარმა მუსლიმებმა (ხაკანის გვარდია) გადაწყვიტეს შური ეძიათ რუსების მიერ აღმოსავლეთში განადგურებული მუსლიმებისთვის. მართალია, ხაკანმა მოასწრო რუსების გაფრთხილება მათზე მომზადებული თავდასხმის შესახებ, მაგრამ 30 ათასი რუსი მაინც დაიღუპა ხაზართა ხელის-

გან, კიდევ 5 ათასი დაიღუპა ვოლგის ბულგარების და ბურტასების თავდასხმების შედეგად. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დაბრუნდა სახლში.

ამრიგად, 912–913 წლების ლაშქრობა დაიწყო ბიზანტიასთან სამოკავშირეო ურთიერთობების შესაბამისად და ხაზარების თანხმობით და ტრაგიკულად დასრულდა. ძველი წინააღმდეგობები ხაკანატსა და რუსეთს შორის გამოვლინდა იმაში, რომ ხაზარები ვერაგულად დაესხნენ თავს რუსებს, თავის დროებით მოკავშირეებს, და ნახევარი კი არა, მთელი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. რუსი მეომრების ნაწილი დააკავეს და მოკლეს ბულგარებმა და ბურტასებმა. რუსების შემდეგი მსხვილი ლაშქრობა ამიერკავკასიაში მოდის X საუკუნის 40-ანი წლების შუა ხანებზე. ამ დროისთვის ხაკანატმა დაკარგა თავისი როლი (ბიზანტიის ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი მოკავშირისა). ხაზარებმა მიიღეს იუდაიზმი სახელმწიფო რელიგიად, რამაც გამოიწვია ბიზანტიის ქრისტიან იმპერატორთა უარყოფითი რეაქცია, ამასთან, ხაზარებმა დაიწყეს თავდასხმები იმპერიის სამფლობელოებზე ყირიმში, ასევე რუსულ მიწებზე. ბიზანტიასთან 941–944 წლების ომის დასრულებისთანავე, რუსებმა მოაწყვეს მორიგი ლაშქრობა აღმოსავლეთში. ამ ლაშქრობას ხელს უწყობდა რუსულ-ბერძნული ხელშეკრულების საგანგებო მუხლი, რომელიც ცხადყოფდა: თუ რუს მთავარს სადმე ექნება ომი და ის ბიზანტიას მოსთხოვს დახმარებას, იმდენ დახმარებას მიიღებს, რამდენიც დასჭირდება. რა მიზნებში დასჭირდება დახმარება? როგორც ნათქვამია ხელშეკრულებაში, „ომობს რა იმ ქვეყნებში და ის ქვეყანა არ ემორჩილება მას, და რუსი მთავარი გვთხოვს ჩვენ მეომრებს და იბრძვის, მივცემ მას, რამდენიც დასჭირდება“. ამრიგად, 944 წლის ხელშეკრულებამ თითქმის ღიად მიმართა ხაზარების წინააღმდეგ რუსულ-

ბიზანტიური სამხედრო კავშირი. იბნ-მისკავეიხის, სპარსელი ავტორის ცნობით, 945 წელს „ჯარი იმ ხალხისა, რომელსაც რუსები ჰქვია, აზერბაიჯანისკენ გაემართა. გაემართნენ ისინი ბერდაასკენ, აიღეს ის და დაატყვევეს მისი მოსახლეები... რუსები შავი ზღვიდან გავიდნენ მტკვრის შესართავთან და ზემოთ გაჰყვნენ მდინარეს ამ ქალაქამდე, იმ დროს რომ იყო კავკასიის ალბანეთის, მომავალი აზერბაიჯანის დედაქალაქი და დაიპყრეს ის“. აიღეს რა მდიდარი ნადავლი, რუსები ამე-რკავკასიაში რამდენიმე თვით შეჩერდნენ. საინტერესოა, რომ რუსების რაზმები აღმოსავლეთისკენ ახლა არ მიდიოდნენ ტრადიციული გზით - აზოვის ზღვის, დონისა და ვოლგის გავლით. მტრულმა დამოკიდებულებამ ხაზარების მხრიდან რუსი ბელადები იძულებული გახადა წაეყვანათ ჯარი ბიზანტიის მოკავშირე ალანების ჩრდილო კავკასიის მიწების გავლით. ცხადია, რომ იქმნებოდა ახალი დროებითი კავშირი - რუსულ - ბიზანტიურ - ალანური. რუს - ალანების მეგობრული ურთი-ერთობების დამყარებას წინ უსწრებდა დიპლომატიური მუშაობა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე რუსული რაზმების გავლის კონკრეტული პირობების განხილვა. ბიზანტია ყოველმხრივ უწყობდა ხელს რუსების მოძრაობას აღმოსავლეთისკენ, რადგან ეს საბოლოო ჯამში მიმართული იყო არაბთა ხალიფატის წინააღმდეგ. ქრონისტები გვაცნობებენ რუსი მეომრების მძიმე, სისხლისმღვრელი ბრძოლების შესახებ ხალიფატის ვასალების მუსულმანურ ჯარებთან. გარდა ამისა, რუსები ასუსტებდნენ სამხრეთ საზღვრებს ხაზართა ხაკანატისა, რომელიც უკვე არ იყო ბიზანტიის მოკავშირე. რუსების აღ-მოსავლური პოლიტიკა უფრო აქტიური გახდა მთავარ სვიატოსლავის დროს. სვიატოსლავ იგორის ძე ეყრდნობოდა იგორის ძველი სამხედრო წინამძღოლების მისდამი ერთგულ წარმართულ სამხედრო რაზმს. რუსი მემატიანე

საკმაოდ კოლ-ორიტულად აღწერს მთავრის მეომრულ სულს და სპარტანულ ჩვევებს: „არც ურემი სჭირდებოდა თან, არც ქვაბი, არც ხორცსა ხარშავდა; ჭამდა ნახშირზე შემწვარ ცხენის, თუ გარეული ცხოველის, თუ ძროხის წვრილად დაჭრილ ხორცს; არც კარავი ჰქონდა, მაგრამ რაიმეს დააფენდა, თავქვე უნაგირს შემოიდებდა და ისე ეძინა; ასეთივენი იყვნენ მისი მეომრები“. რუსების 964–968 წლების სამხედრო პოლიტიკას უწოდებენ სვიატოს-ლავის „ხმლის დარტყმას“. 964 წლის გაზაფხულზე რუსების ჯარი დაიძრა ვოლგისა და ოკას შუამდინარეთში, ვიატიჩების მიწისკენ, რომლებიც იმხანად ხარკს ხაზარებს უხდიდნენ. ამის შემდეგ ვიატიჩები ხარკს უკვე კიევს უხდიდნენ. შემდეგ სვიატოსლავმა შეუტია ვოლგის ბულგარებს და ბურტასებს - ხაზარების მოკავშირეებს. რუსმა მეომრებმა დიდი ნადავლი მოიპოვეს. 965 წელთან დაკავშირებით მატიანეში გაკეთებულია ჩანაწერი: „სვიატოსლავი კოზარებზე მიდის“. ხაზარები, ჩვეულებისამებრ, რუსების თავდასხმას ელოდნენ წყლით, აზოვის ზღვიდან, დონის ნაპირებიდან. სვიატოსლავის ჯარმა კი ჩრდილოეთიდან შეუტია, წინასწარ მიაყენა რა სასტიკი დამარცხება ხაზართა მოკავშირეებს. ბურტასები დაამარცხეს და გაფანტეს, ვოლგის ბულგარების ქალაქები დაიპყრეს, მათი დედაქალაქი - გაძარცვეს, მოსახლეობა გაფანტეს. რუსთა რაზ-მები ჩამოყვნენ ვოლგას და შევიდნენ ხაკანატის სამფლო-ბელოებში. ხაზარებმა მოასწრეს ბრძოლისთვის მომზადება. არმიას სათავეში თვით ხაკანი ჩაუდგა. ხაკანატის დედაქალაქ იტილის მახლობლად, ვოლგის ნაპირებზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. როგორც წერს მემატიანე, „დაიწყეს ბრძოლა და იბრძოლეს, და სვიატოსლავმა გაიმარჯვა.“ ამ სისხლისმღვრელ ბრძოლაში სვიატოსლავის ჯარებმა დაამარცხეს ხაზართა ხაკანის არმია. რუსებმა დაიპყრეს ხაზარეთის

დედაქალაქი იტილი, განლაგებული ვოლგის შესართავში, დაწვეს ხაკანატის ყოფილი დედაქალაქი სემენდერი, გააპარტახეს ხაზართა ჩრდილოკავკასიური სამფლობელოები. ლაშქრობა სემენდერზე ძალზე ხანმოკლე იყო. რუსებმა გაავერანეს ქალაქი, დაწვეს მისი ვენახები, რომელთა რაოდენობა 40 ათასს აღწევდა. უფრო სამხრეთით სვიატოსლავის მეომრები არ წასულან, მათ არ აინტერესებდათ კასპიისპირეთის მდიდარი ქალაქები. ცხადია, რომ ლაშქრობის მიზანი იყო სწორედ ხაზართა სახელმწიფოს დანგრევა, მისი განადგურება, როგორც გეოპოლიტიკური დაბ-რკოლებისა რუსების ვაჭრობის და აღმოსავლეთისკენ ექსპანსიაში. ხაზართა ციხე-სიმაგრე სარკელი ფაქტიურად აღგვილი იყო პირისაგან მიწისა. სარკელი იყო ხაზარ ყაჩაღთა ძველი ბუდე, საიდანაც ხაკანატი მუდამ ემუქრებოდა რუსების საზღვრებს. რუსულ მატიანეებში სარკელს ბელაია ვეჟა ეწოდება. ამ ლაშქრობამ ხაზართა სახელმწიფოს ბედი გადაწყვიტა. მან დაასრულა მისი, როგორც პოლიტიკური ძალის არსებობა. ამ დროს კი ბიზანტია სრულ სიჩუმეს ინარჩუნებდა, რამეთუ 944 წლის ხელშეკრულების მიხედვით მოქმედებდა სამხედრო კავშირი რუს-ბიზანტიელებისა. რუსებმა დაიმორჩილეს ხაზართა მიწები. ამგვარად, სამწლიანი ლაშქრობის შედეგად სვიატოსლავმა დაიმორჩილა უზარმაზარი ტერიტორია ოკისა და ვოლგის შუამდინარეთიდან ვოლგის შესართავსა და კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე. დამორჩილებული ხალხე-ბის წარმომადგენლებთან რუსებმა დადეს ხელშეკრულება მათზე ამ ხალხების დამოკიდებულების შესახებ. 968 წელს წარ-მატებული ლაშქრობის შემდეგ, რუსებმა მშვიდობა დაამყარეს პაჭანიკებთან. სვიატოსლავის წარმატებულმა ლაშქრობამ ბოლო დაუდო ხაზართა სამხედრო ძლიერებას აღმოსავლეთის სავაჭრო გზებზე, ხაზართა ბატონობას სამხრეთი სლავების მიწე-

ბზე. ვითარება რეგიონში მკვეთრად შეიცვალა. რუსეთი არამარტო გამოდიოდა შავი და კასპიის ზღვების მიჯნაზე: დგებოდა კიევის რუსეთის და ბიზანტიის იმპერიის დაპირისპირების ახალი ეტაპი. ამრიგად, თანდათან ყალიბდებოდა კიევის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. დასავლეთის მიმართულებაზე, ომების შედეგად, დაიდო რუსეთისთვის მომგებიანი ხელშეკრულებები, აღმოსავლეთის მიმართულებით კი შესაძლებელი გახდა მთავარი კონკურენტის, ხაზართა ხაკანატის მოცილება. იმ წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ კიევში ყალიბდება მთავრის დიპლომატების და საგარეო პოლიტიკის დარგში მისი მრჩევლების ინსტიტუტი. კიევთან ერთად, ძალზე მოკლე ხანში გაიზარდა რუსული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დამოუკიდებელი ცენტრი. ეს იყო ნოვგოროდის რესპუბლიკა თავისი მძლავრი სავაჭრო პოტენციალით და პოლიტიკური მმართველობის რესპუბლიკური სისტემით.

4. ნოვგოროდის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების თავისებურებები (1136–1471 წლები)

ნოვგოროდის გამოყოფა დანარჩენ რუსულ მიწებისგან დაიწყო XI საუკუნის 30-იან წლებიდან. ეს პროცესი იმის შემდეგ დაიწყო, რაც 1035 წელს კიევის მთავარმა იაროსლავ ბრძენმა გასცა სიგელი დიდი კიევის მთავრისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდისგან ნოვგოროდის და მისი „გარეუბნების“ განთავისუფლების შესახებ. აღნიშნული შეღავათი იყო იაროსლავის მხრიდან ნოვგოროდის მოსახლეობისთვის მადლიერების

გამოხატულება იმ დახმარებისთვის, რაც ნოვგოროდის პოლკებმა გაუწიეს მას სვიატოპოლკ წყეულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნოვგოროდელებმა კიეველ მთავრებისგან თანდათან მრავალი სხვა შეღავათი მოიპოვეს, რამაც 1136 წელს გამოიწვია სრულიად დამოუკიდებული რუსული სახელმწიფოს შექმნა ნოვგოროდის რესპუბლიკისა, რომელსაც სპეციფიკური საგარეო პოლიტიკა გააჩნდა. 1136 წლიდან დაიწყო მთავრის არჩევა ვეჩეზე. რესპუბლიკის საერთო მდგომარეობა აიხსნებოდა ნოვგოროდის მიწების გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული კავშირებით, სამეურნეო თავისებურებებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნოვგოროდის რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტი, წარმოადგენდა ერთიანობას ნოვგოროდისა და მისი „გარეუბნებისა“, ანუ, სხვადასხვა სავაჭრო-სახელოსნო ქალაქებისა, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ ნოვგოროდზე, როგორც მეტროპოლიაზე (იხილეთ სქემა).

ნოვგოროდი და მისი „გარეუბნები“. განვიხილოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ნოვგოროდის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე, მიმართულებებსა და თავისებურებებზე. გეოგრაფიული ფაქტორის გავლენა რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ნოვგოროდის მიწები უშუალოდ გადიოდნენ ბალტიის ზღვაზე. აქედან იწყებოდა რუსული მდინარეები: დნეპრი, დასავლეთი დვინა, სვირი, ნევა, ვოლგა, ვოლხოვი, ონეგა, ჩრდილოეთი დვინა. ტყიანი, ჭაობიანი, უგზო ადგილის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ვაჭრობა საწყლოსნო გზების გამოყენებით, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთი და ჩრდილოეთი მიმართულებებით.

ისტორიულად ნოვგოროდი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სკანდინავიასთან. იქედან მოვიდნენ ვარიაგი მთავრები, იქედან ჩამოდიოდნენ დაქირავებული რაზმელები. ნათესავებთან სტუმრად ჩამოდიოდნენ სკანდინავიელები თავისი მოსამსახურეებით, ვაჭრებით და საქონლით (აქედან მიიღო ფართო გავრცელება ტერმინმა - „სტუმარი“ = „ვაჭარი“ = „სოვდაგარი“). ნოვგოროდში იზრდებოდნენ განდევნილი ნორვეგიელი და სკანდინავიელი კონუნგების ოჯახების შვილები. აქტიურად ჩამოდიოდნენ სავაჭროდ გერმანელები, ჰოლანდიელები. ინტენსიურად მიდიოდა ნოვგოროდის ვაჭრობა რიგასთან, სტო-3.კჰოლმთან, დანციგთან, ლიუბეკთან, ნარვასთან, რეველთან. ამ ვაჭრობას მოწმობენ სკანდინავიასთან და განზასთან დადებული ხელშეკრულებების შემორჩენილი ტექსტები (1195, 1252 – 1256, 1270, 1323, 1326). ქვეყნის განვითარება უმთავრესად ხდებოდა საგარეო ვაჭრობის ხარჯზე.

სამეურნეო თავისებურება თუ ეკონომიკური ფაქტორი.

ნოვგოროდის ეკონომიკა ორ ფუძეზე იდგა:

ა) ბუნებრივი რესურსების ექსტენსიური გამოყენება და დამორჩილებული ხალხების ძარცვა;

ბ) საგარეო ვაჭრობა და დასავლური საქონლის რეექსპორტი (სპეკულაციური) რუსეთის სიღრმეში, რუსული და აღმოსავლური საქონლის კი - დასავლეთში.

თვითონ ნოვგოროდი კი თითქმის არაფერს აწარმოებდა, ყიდულობდა რა, მაგალითად, პურს გერმანიაში ან რუსულ სამთავროებში (სუზდალის, ნიჟნი (ქვედა) ნოვგოროდის, მოსკოვის).

შედეგად, შეინიშნებოდა პარადოქსული ვითარება. დასავლეთთან და აღმოსავლეთთან ინტენსიურად მოვაჭრე ნოვგოროდი განიცდიდა ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრ

ცვლილებებს - აყვავებით დაწყებული სასტიკ შიმშილამდე. ბუნებრივი რესურსების სარეწების ექსპლუატაციის მასშტაბები უჩვეულოდ დიდი იყო. გავრცელებული იყო ნადირობა ბეწვიან ცხოველებზე: ციყვზე, კვერნაზე, ყარყუმზე, სიასამურზე, ფოცხვერზე, მელაზე, მგელსა და დათვზე. უკვე XIII საუკუნეში რუსეთის ევროპულ ნაწილში გაქრა სიასამურის პოპულაცია. ნადირობა წითელ და ფრთოსან არსებებზე გამანადგურებელი ხასიათის იყო (რამდენადმე შემცირდა მარხვის მკაცრი შემოღების გამო). აგროვებდნენ კენკრას ტყეებში, იჭერდნენ თევზს. თაფლის მოპოვების პრიმიტიული ფორმა (რიგოს გამოყენებით) იწვევდა ფუღუროებში რიგოს (გეჯას) სრულ განადგურებას.

ნოვგოროდის მიერ მისივე კოლონიების ძარცვა ძვირფასი ქვებისა და ლითონის, ვერცხლის, ბეწვეულის, ზღვის პროდუქტების მიღების მიზნით გახდა რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი იყო ევროპაში ექსპორტის სტატიები. ნოვგოროდი ასევე საექსპორტოდ აწარმოებდა სელსა და ქერელს. ნოვგოროდის საიმპორტო სტა-ტიები შეიცავდნენ: პურს, ტყვიას, კალას, ბრინჯაოს, რკინას, საღებავებს, სასურსათო პროდუქტებს (ხილს, გამხმარ ხილს, ღვინოს, ყველს და კალას), ხელსაწყოებს. ამგვარად, ნოვგოროდის საგარეო ვაჭრობა უმთავრესად საშუამავლო ხასიათის იყო და ის არ უკავშირდებოდა საქონლის წარმოებას. საერთაშორისო ორიენტაცია ანტირუსული ხასიათის იყო, რადგან ძირს უთხრიდა საკუთარი ეკონომიკის განვითარებას დასავლური საქონლის იმპორტის და „მოჩვენებითი კეთილდღეობის“ ხარჯზე. ასევე განვითარდა დამახინჯებული ხასიათის „ფხიანობა“ - მოტყუება ვაჭრობისას, არასწორი აწონვა, არაზუსტი გაზომვა, მოტყუება ანგარიშისას, ყალბი ფულის დამზადება. ქვეყნის კაპიტალური

რესურსები ფაქტიურად დასავლეთს მიეცა ძარცვისთვის, თუმცა ყველაფერი ეს სავაჭრო გაცვლად გამოიყურებოდა.

ნოვგოროდის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური ორგანოების სისტემა

დიდი ნოვგოროდის რესპუბლიკაში საგარეო-პოლიტიკური ორგანოების ფუნქციონირების სისტემა შეიძლება შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი:

ვეჩე ამტკიცებდა ან უარყოფდა **სამთავრობო საბჭოს,** რომელიც შედგებოდა საბჭოს თავმჯდომარის, იგივე ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის, აგრეთვე პოსადნიკის (ქალაქის გამგებლის), ათასისთავის (ჯარის მეთაურის) და მთავრისაგან.

ვეჩე. მთავარ საქმეთა გადაწყვეტა ფორმალურად ვეჩეს ეკუთვნოდა. ის საბოლოო დასტურს იძლეოდა ომის გამოცხადებასა ან უცხოურ (რუსულ) სახელმწიფოსთან, მიწასთან, ტომთან მშვიდობის დამყარებაზე. მხოლოდ ვეჩე იძლეოდა სანქციას კონტრიბუციის გადახდაზე სამხედრო დამარცხების შემთხვევაში, განსაზღვრავდა კოლონიებისგან მისაღები ხარკის ოდენობას. მაგრამ ნოვგოროდელთა სტიქიურ ნების გამოვლენას ოსტატურად წარმართავდნენ ბოიართა და ვაჭართა სხვადასხვა პარტიები, რომლებსაც არ შეუწყვეტიათ თავისი მეტოქეობა მანამ, სანამ მოსკოვმა არ დაიმორჩილა ნოვგოროდი.

სამთავრობო საბჭო. საგარეო პოლიტიკის მმართველობა ფაქტობრივად იყო სამთავრობო საბჭოს - რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს - ხელში. სწორედ, საბჭო ამზადებდა კულისებს მიღმა პროფესიულ გადაწყვეტილებებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, შემდეგ კი ატარებდა მათ ვეჩეზე, როგორც „სახალხოდ“ მიღებულებს.

საბჭოს თავმჯდომარე იყო ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი. მისი წამყვანი როლი შემდეგით აიხსნება: ძალზე ხშირად არ-

ქიეპისკოპოსი ვეჩეზე არბიტრად გამოდიოდა დავების დროს, ნოვგოროდის პარტიებისა და „ბოლოების“ (ქალაქის თავისებური გარეუბნების) შორის კონფლიქტებისას. ხშირად ეს სასულიერო პირი სწორედ რომ ფიზიკურად აკავებდა მოდავეებს, თუმცა, ხდებოდა, რომ ქუჩაში მიმდინარე სისხლიანი შეტაკებები, გამოწვეული დაპირისპირებული პარტიების მიერ, სწორედ რომ არქიეპისკოპოსს ეხებოდა. ასე იყო, მაგალითად, 1218 წელს, როდესაც ნოვგოროდში მთავრებად „იყვნენ“ სვიატოსლავი და ვსევოლოდი, მსტისლავ რომანის ძე კიეველის ვაჟები. ნოვგოროდის უახლოესი მეზობლები იყვნენ რიგის საარქიეპისკოპოსო და ლივონიის ორდენი. მათთან „თანაბარ დონეზე“ საქმიანობისთვის საჭირო იყო ეკლესიის მმსახური, თანაც, მსახური იმავე საეკლესიო რანგისა და სწორედ ამ რანგის იყო არქიეპისკოპოსი.

ამ თანამდებობის ადამიანი, განათლებული, ორი უცხოური ენის - ლათინურის და ბერძნულის - ცოდნით, რომლებიც შუა საუკუნეების ეპოქაში წარმოადგენდნენ საერთაშორისო ურთიერთობის ენებს (ბერძნული - ბიზანტიასთან და აღმოსავლეთთან, ლათინური კი დასავლეთთან ურთიერთობისთვის). უცხოელების მხრიდან უფრო მაღალი ნდობით სარგებლობდა, ვიდრე საერო პირები.

მართლმადიდებელი ეკლესია დიდ ნოვგოროდში რეალურ ეკონომიკურ ძალას ფლობდა. ასე, ნოვგოროდის წმინდა სოფიის ტაძარში ინახებოდა ნოვგოროდის რესპუბლიკის სახელმწიფო ფასეულობები: ოქროს და ვერცხლის მარაგი, სახელმწიფო კანცელარია და არქივი, საგარეო-პოლიტიკური და საგარეო ვაჭრობის დოკუმენტაცია (სიგელები შეღავათების შესახებ, საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან რატიფიცირებული ხელშეკრულებები, გაცვლისა და ფასების საანგარიშო წიგნები);

თანამდებობის პირების ბეჭდები (არქიეპისკოპოსის, პოსადნიკის, ათასისთავის, მთავრის და დიდი ნოვგოროდის ვეჩეს დიდი ბეჭედი).

ზემოაღნიშნულ გარემოებებს ემატებოდა წესი, რომლის მიხედვით, არქიეპისკოპოსი პირველი აწერდა ხელს საერთაშორისო შეთანხმებას და დოკუმენტზე ამაგრებდა თავის კუსტოდიას (ანუ, კოლოფს, ხშირად ოქროსგან დამზადებულს, რომელშიც იყო დატანებული სანთლის ბეჭედი არქიეპის-კოპოსის პირადი ბეჭდის ანაბეჭდით). აბრეშუმის ზონრებზე ბეჭედი მაგრდებოდა ხელშეკრულების პერგამენტზე არსებ-ული საგანგებო ღრმულების მეშვეობით. გარდა ამისა, ნოვგოროდელ სასულიერო პირს საკუთარი სამხედრო ძალა ჰყავდა - ეგრეთ წოდებული არქიეპისკოპოსის პოლკის სახით.

რა თქმა უნდა, ეს პოლკიც იყო პოლიტიკური გავლენის ბერკეტი. და ბოლოს, არქიეპისკოპოსის კურთხევის გარეშე ვეჩეც კი ვერ წყვეტდა ომის დაწყების ან მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერის საკითხს.

პოსადნიკი - ნოვგოროდის უმაღლესი სახელმწიფო თანადებობის პირი, რომელიც ერთმანეთს უთავსებდა რესპუბლიკის დედაქალაქის მეთაურის და ბურგომისტრის ფუნქციებს, ის აგრეთვე მონაწილეობდა საგარეო-პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში.

პოსადნიკს ირჩევდა და ათავისუფლებდა ვეჩე. ტრადიციულად პოსადნიკები წარმოშობით ნოვგოროდელ ბოიართა ერთსა და იმავე გვარებიდან იყვნენ. პოსადნიკების გვარებს განეკუთვნებოდნენ: მიროსლავიჩები, ივანკოვიჩები, მიხალკოვიჩები, კლიმოვიჩები, დანილოვიჩები, ზახარინიჩები. ამ ოჯახების შვილებს ბავშვობიდანვე გულმოდგინედ ზრდიდნენ, უნერგავდნენ ისტორიულ ტრადიციებს, სასწავლებლად უცხოეთში აგზავ-

ნიდნენ. მომავალი პოსადნიკები გაცნობით მოგზაურობებს აწყობდნენ რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ. როგორც წესი, ყველა პოსადნიკმა იცოდა უცხოური ენები (სალაპარაკო) - გერმანული, შვედური, პოლონური. თავისი შესაძლო არჩევის მომენტისთვის პოსადნიკთა გვარის შვილს ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობათა აუცილებელი ცოდნა იმ სფეროში, რომელშიც ვითარდებოდა დიდი ნოვგოროდის საგარეო ვაჭრობა და ვრცელდებოდა მისი საგარეო-პოლიტიკური ინტერესები. მას ასევე არც თუ ისე იშვიათად ჰქონდა ვაჭრის გარკვეული კვალიფიკაცია ან უცხოურ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების მსვლელობაზე თვალყურის დევნების გამოცდილება.

უეჭველია, რომ დიდ ნოვგოროდში პოსადნიკების ოჯახების არსებობის ფაქტს უარყოფითი მხარეც ჰქონდა. ყველა ეს ოჯახი უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა ერთმანეთთან სახელმწიფო თანამ-დებობებისთვის, ისე, რომ პოსადნიკი ხშირად იცვლებოდა და ნოვგოროდის უცხოელ პარტნიორებს სჭირდებოდათ მოქნილი ყოფილიყვნენ და ბრძნულად შეგუებოდნენ ნოვგოროდის სამთავრობო საბჭოს ახალ პირებს. ისტორიამ იცის პოსადნიკის თანამდებობიდან თავისი სურვილით წასვლის ფაქტი. 1218 წლის შემდეგ პოსადნიკი ტვერდისლავი, რომელსაც არ სურდა, რომ მის გამო სისხლი დაღვრილიყო, თანაც ის მძიმედ ავად იყო, ფარულად წავიდა მონასტერში და ბერად აღიკვეცა.

1354 წლამდე ნოვგოროდში ერთი პოსადნიკი იყო, ამ წლიდან კი შემოიღეს პოსადნიკების კოლეგია, რომელიც 6 ადამიანისგან შედგებოდა და ყოველი მათგანი თითო წლის განმავლობაში ასრულებდა ამ მოვალეობას.

პოსადნიკი იყო მეორე იმათგან, ვინც ხელს აწერდა შეთანხმებას, ის თავის კუსტოდიას (ან ბეჭედს) ამაგრებდა მასზე და

კოცნიდა ჯვარს მოცემული შეთანხმებისადმი ერთგულების ნიშნად.

ათასისთავი. ის განაგებდა ერობას („ზემშჩინას“), სოფლის და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის საქმეებს. ათასისთავი მეთაურობდა საერო ჯარს, ანუ, სამოქალაქო ლაშქარს, რომელსაც ომის შემთხვევაში იწვევდნენ. ის თვალყურს ადევნებდა სიმაგრეების მდგომარეობას, პასუხს აგებდა არმიის ზურგის მუშაობაზე, ტრანსპორტის, ჯარის მომარაგების, კავშირგაბმულობის საკითხების გადაჭრაზე. ათასისთავი მონაწილეობდა მოლაპარაებებში, - იყო მესამე იმათ შორის, ვინც ხელს აწერდა შეთანხმებას და დოკუმენტებს თავის ბეჭედს ასვამდა. ათასისთავს ვეჩეზე ირჩევდნენ ერთი წლით, მაგრამ მხოლოდ „შავი“ ადამიანების ხმებით. ათასისთავები ხშირად იცვლებოდნენ ბოიართა სხვადასხვა პარტიების ერთმანეთში მტრობის გამო, რაც, რა თქმა უნდა, ასევე აძლიერებდა დიდი ნოვგოროდის საგარეო-პოლიტიკური გეზის უთანაბრობას, არასტაბილურობას.

1136 წლიდან ვეჩემ დაიწყო თავისთვის მთავრის არჩევა. კანდიდატურას ჩვეულებრივად მმართველი სამეული - არქიეპისკოპოსი, პოსადნიკი, ათასისთავი - წარმოადგენდა. ნოვგოროდს მთავარი, უპირველეს ყოვლისა, როგორც მხედართმთავარი სჭირდებოდა, საკუთარი დაქირავებული ჯარის პროფესიულ სარდლად. მთავარი ასევე საჭირო იყო რესპუბლიკის პრესტიჟის და ლეგიტიმურობისთვის, რამეთუ მონარქიული მმართველობა, მონარქიული მენტალიტეტი ბუნებრივი იყო შუა საუკუნეებისათვის.

ვეჩე მთავართან სპეციალურ ხელშეკრულებას დებდა, რომელშიც დეტალურად იყო განსაზღვრული მთავრის სამსა-ხურის უფლება-მოვალეობები. აი ზოგიერთი თავისებურება ვეჩეს და მთავრის შორის ხელშეკრულებითი ურთიერ-თობებისა:

მთავარი, რომელიც დათანხმდა მხედართმთავრობას, ნოვგოროდში უნდა დარჩენილიყო იმ დრომდე, სანამ ვეჩეს სურდა, ან იმ ვადით, რაც ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო. ვეჩეს შეეძლო ვადამდე ადრე გაეძევებინა მთავარი.

მთავარს სრული უფლება ჰქონდა სამხედრო რაზმის ორგანიზაციის, სამხედრო მოქმედებების სტრატეგიის და ტაქტიკის შერჩევის სფეროში.

ის ვალდებული იყო შინაგანი წესრიგი დაეცვა სახელმწიფოში. შესაბამისად, მმართველ პარტიებს შეეძლოთ მთავრის გამოყენება რესპუბლიკაში წარმოქმნილი სოციალური არეულობების ჩახშობისას.

მთავარი მონაწილეობდა საერთაშორისო მოლაპარაკებებში ტერიტორიულ, სასაზღვრო და მშვიდობის საკითხებზე. მაგრამ მისი სიტყვა არა გადამწყვეტი, არამედ სათათბირო, ექსპერტის სიტყვა იყო. ის იყო მოლაპარაკების მონაწილეთა გუნდის წევრი, და არა უფრო მეტი რამ. რა თქმა უნდა, მთავრები ცდილობდნენ გათავისუფლებას ზედმეტ დამოკიდებულებისგან და საქმიანობის „დამოუკიდებელ“ ველზე გასვლას.

ასე, ვსევოლოდ იურის ძე სუზდალელის სიკვდილის შემდეგ ნოვგოროდში მსტისლავ გაბედული იჯდა. ის წარმატებით ლაშქრობდა ჩუდზე ვარიაგების ზღვისკენ, სჯიდა მას და დიდ ხარკს იღებდა, რომლიდანაც ორ მესამედს ნოვგოროდს აძლევდა, ერთ მესამედს კი თავის რაზმს. ნოვგოროდელებიც და მთავარიც ძალზე მეგობრულად ცხოვრობდნენ, როდესაც უცებ, 1214 წელს, მსტისლავს ქალაქიდან მოუწია გასვლა, რათა დაეცვა თავისი გარე ბიძაშვილის რიურიკ როსტისლავის ძის შვილები ოლეგის მემკვიდრე მთავრებისგან. ანუ, დაიწყო მთავართა მორიგი შინაომი, რომელშიც მსტისლავი იძულებული იყო მიეღო მონაწილეობა. მაშინ კი, როდესაც მთავარი ნოვგოროდში

დაბრუნდა, გაიგო, რომ სუზდალის მთავართა მომხრეების პარტია აპირებს მის გაგდებას ქალაქიდან და აპირებს ვეჩეს მოწვევას. მაშინ მსტისლავმა მოულოდნელად თვითონ შეკრიბა ვეჩე და განუცხადა მას: „მე საქმეები მაქვს კიევის რუსეთში, თქვენ კი ვინც გსურთ, ის აირჩიეთ მთავრად“ - და დატოვა ქალაქი. ნოვგოროდის მცხოვრებლებმა მოიწვიეს გარდაცვლილი ვსევოლოდის მესამე ვაჟი - იაროსლავი (ალექსანდრე ნეველის მამა), რომელიც დაქორწინებული იყო მსტისლავის უფროს ქალიშვილ ფეოდოსიაზე. ამრიგად, იაროსლავის მოწვევით კმაყოფილი იქნებოდნენ სუზდალის პარტიაც და მსტისლავის მომხრეებიც.

საგანგებო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შექმნისას მთავარს უფლება ჰქონდა მოეწვია ვეჩე და ყოფილიყო მის „პრეზიდიუმში“.

ნოვგოროდში მთავრის საქმიანობა გარკვეულწილად შეზღუდული იყო. მთავარს არ შეეძლო ურთიერთობა ჰქონოდა უცხოელებთან, ეწარმოებინა საერთაშორისო ვაჭრობა, ჩარეოდა პოსადნიკის არჩევნებში, მოეწვია ეპისკოპოსი მისთვის ნაცნობ პირთაგან.

მას ეკრძალებოდა სასამართლო საქმეების და უცხოელთა საჩივრების გარჩევა, ხელის მოწერა საერთაშორისო შეთანხმებებზე, ესე იგი, ნოვგოროდის იერარქიაში ის ათასისთავზე დაბლა იდგა. მასვე აკრძალული ჰქონდა გასვლა ნოვგოროდის რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში: კარელიაში, იჟორაში, ვოლოკის გაღმა, ფინეთის ყურეს ნაპირებისკენ.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მთავარი, განსაკუთრებით ძალიან საქმიანი და ენერგიული, თავს შებოჭილად გრძნობდა ნოვგოროდის კანონების გამო. ზემოთ უკვე ხსენებული იაროსლავ ვსევოლოდის ძე ვერ შეურიგდა ნოვგოროდის წესებს.

ჩამოვიდა რა ნოვგოროდში, მან დააპატიმრა ორი ცნობილი ბოიარი და ჩასვა ისინი საპატიმროში ტვერში. ნოვგოროდში დაიწყო დანაშაულებები და მკვლელობები. მაშინ იაროსლავი გადავიდა ტორჟოკში და გახდა იქ მთავარი, ნოვგოროდში კი, ანდრია ბოგოლიუბსკის მაგალითით, გააგზავნა თავისი პოსადნიკი. კონფლიქტში მსტისლავ გაბედული ჩაერია და დაიწყო ძალიან მსხვილი დაპირისპირება მთავრებს შორის.

მთავართა ხშირი ცვლა, ნოვგოროდის პარტიების განუწყვეტელი ბრძოლა რესპუბლიკის გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმატების ძალზე მცირე შანსს აძლევდნენ. ამ მტრებს შორის, გარდა ლიტვისა და ჩუდისა, სულ უფრო მეტად იჩენდნენ თავს შვედები და გერმანელები.

შესაბამისად, ნოვგოროდის რესპუბლიკაში მთავარს არ გააჩნდა ხელმძღვანელი როლი საგარეო პოლიტიკაში, მას მხოლოდ სათათბირო და ექსპერტის მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, ნოვგოროდის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცენტრალიზებული არ იყო. სხვადასხვა ორგანო და პოლიტიკური ფიგურა, ხშირად ერთმანეთში რომ ქიშპობდნენ, მონაწილეობდნენ საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. რეალობაში, ნოვგოროდის მთავარი ცდილობდა ემოქმედა თავისი სურვილით, სამთავრობო საბჭოსგან დამოუკიდებლად. სახეზე იყო საგარეო-პოლიტიკური ორგანოების არაკოორდინირებული მოქმედება, რომელიც ხშირად იწვევდა ნოვგოროდის მარცხს საერთაშორისო არენაზე.

5. რუსული და ევროპული დიპლომატია ფეოდალური დაქუცმაცების ხანაში

ფეოდალური დაქუცმაცებულობა ევროპაში იწყებს ჩამოყალიბებას IX-XI საუკუნეებში. საგარეო პოლიტიკის საფუძვლად ძალა იქცა. სენიორს გააჩნდა სასამართლოს, მართვის, ფულის მოჭრის უფლება, მას შეეძლო ეომა იმასთან, ვისთანაც სურდა, შეეძლო მშვიდობიანი ხელშეკრულების დადება, ამიტომ ყველაფერი აირია. ბევრ ფეოდალს მიწები სხვადასხვა სახელმწიფოში გააჩნდა: საფრანგეთსა და ესპანეთში, გერმანიასა და იტალიაში. ცნება „სენიორია“-მ გამოდევნა ცნება „სახელმწიფო“. ყველგან დამყარდა კერძო ომის უფლება და ყველგან გამოიყენებოდა კერძო დიპლომატია. გამოიკვეთა ომის გამოცხადების ფორმალური ხერხები, აგრეთვე ხერხები მშვიდობის დამყარებისა საგანგებო მაცნის მეშვეობით, რომელსაც დავალება მიჰქონდა ზეპირი ან წერილობითი ფორმით. მათ ჰეროლდები ეწოდებოდათ (მათი პიროვნება ხელშეუხები იყო, ისევე, როგორც ელჩებისა).

ეკლესია ცდილობდა რამენაირად მოეწესრიგებინა საერთაშორისო ურთიერთობები ქაოსის პირობებში. XI საუკუნიდან გამოიცა „საღვთო მშვიდობის“ დადგენილება, რომელიც ფეოდალებს უკრძალავდა გლეხებისა და საქონლის მოკვლას, ვაჭრების შეჩერებას და სხვ. ამ პირობების დამრღვევებს ემუქრებოდნენ ეკლესიისგან განკვეთით, გარდა ამისა, იკრძალებოდა ომიანობა გარკვეულ დღეებში (ოთხშაბათის საღამოდან ორშაბათამდე, დღესასწაულების და მარხვის დროს). მაგრამ აკრძალვები ცოტა რაიმეს თუ იძლეოდა. XV საუკუნემდე კერძო ომები საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო, იფეთქებდნენ რა აქ თუ იქ მთელ ევროპაში. ასეთ პირობებში ქალაქები, კავ-

შირებში გაერთიანებული, განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში.

ასე, ძველ რუსეთში XII საუკუნეში ნოვგოროდს გააჩნდა ხელშეკრულებების მთელი სერია გერმანიის ქალაქებთან (1195, 1257, 1270 წწ.). მათ საფუძვლად დაედოთ „რუსკაია პრავდას“ დებულებები. სმოლენსკის ხელშეკრულება ბალტიისპირეთის გერმანულ ქალაქებთან კი ეფუძნებოდა „სმოლენსკაია პრავდას“. ამ ხელშეკრულებებში განსაზღვრული იყო ქალაქებს შორის ვაჭრობისა და ურთიერთობების პირობები. მიღწეული იყო ორმხრივი თანხმობა, რომ ვაჭრები არ დაეპატიმრებინათ და მათთვის ყველანაირად შეეწყოთ ხელი.

ძველი რუსეთის პოლიტიკურ დაქუცმაცების ხანის დიპლომატიური ურთიერთობები განსაკუთრებული წესით რეგულირდებოდა. ეს ხდებოდა ყრილობებზე, სადაც ყველა მთავარი იყრიდა თავს და სადაც საერთო ძალისხმევით წყვეტდნენ პრობლემებს. ფეოდალთა შორის ურთიერთობათა სუბიექტებად ხშირად გამოდიოდნენ ეპისკოპოსები და მონასტრების წინამძღვრები.

ჩრდილო-აღმოსავლეთის სამთავროების საგარეო პოლიტიკაში გადამწყვეტი მომენტი XIII-XIV საუკუნეებში იყო ურთიერთობები ოქროს ურდოსთან. სამთავროებს ხარკი უნდა ეხადათ, მაგრამ რუსული ულუსის საქმეებში ყაენი მხოლოდ მაშინ ერეოდა, როდესაც ისინი უშუალოდ ეხებოდნენ ოქროს ურდოს. დანარჩენ შემთხვევებში მთავრები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. თუმცა, თავის თანამდებობებზე ისინი მტკიცდებოდნენ ყაენის იარლიყით (სიგელით), ტახტზე ადიოდნენ მხოლოდ პირები, უფლებამოსილები ყაენის მიერ. მთავრები ყაენის მოთხოვნისას დაუყონებლივ უნდა გამოცხადებულიყვნენ ურდოში. მოცემულ პირობებში რუსი მთავრების რთული

თამაშის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა პოლიტიკა ივანე კალიტასი, რომელიც თამაშობდა ყაენის ხელში მორჩილი იარაღის როლს და, ამავე დროს, პირმოთნეობით, მოსყიდვით და სხვა საშუალებებით ჩაიგდო რა ხელისუფლება, იყენებდა ამ ხელისუფლებას სხვა მთავრების წინააღმდეგ. ასე გამოიხატებოდა რუსების ქცევის განსაკუთრებული სტილი.

XII-XIV საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში დიდ როლს ასრულებდნენ წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მამები. კერძოდ, გამოჩენილი დიპლომატი იყო მიტროპოლიტი ალექსი, წარმოშობით რუსი, რომელსაც კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ბრალიც კი დასდო იმაში, რომ ის ძალზე დიდ დროს უთმობდა პოლიტიკას საეკლესიო საქმეების საზიანოდ. მის წარმატებაზე მიუთითებდნენ ოქროს ურდოში მიღებული იარლიყი და ბეჭედი. სწორედ მან დაიჯინა, რომ დიმიტრი დონელი, გარდაცვლილი მთავრის ივანე ივანეს ძეს უმცროსი ვაჟი, გამხდარიყო მოსკოვის დიდი მთავარი. ალექსი ახშობდა სეპარატისტულ ტენდენციებს მთავრებს შორის. მისი მარჯვენა ხელი იყო სამების მონასტრის იღუმენი სერგი. მაგალითად, როდესაც სუზდალი-ნიჟნი ნოვგოროდის მთავარი ბორის კონსტანტინეს ძე არ დაემორჩილა დიმიტრი დონელის მოთხოვნებს, ნიჟნი ნოვგოროდში ჩამოვიდა იღუმენი სერგი, რათა შეეთავაზებინა ბორისისთვის მოსკოვში წასვლა. იმის შემდეგ, რაც ბორისმა ამაზე უარი განაცხადა, ჩარაზა ეკლესიები, ანუ, ინტერდიქტი დაადო მთელ ნიჟნი ნოვგოროდს. მეორედ სერგი რიაზანში გაემგზავრა და იქ აწყნარებდა მთავარ ოლეგს. ნოვგოროდის მეუფეც ასევე იქცეოდა. ევროპაში პრაქტიკულად ასეთივე, ან უფრო მეტი გავლენით სარგებლობდნენ კათოლიკე მღვდლები და, რა თქმა უნდა, რომის პაპები.

შუა საუკუნეებში დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები მსოფლიოს ყველა ქვეყნებს შორის უკეთესად იყო დაყენებული ვენეციაში, განსაკუთრებით XV საუკუნეში, როდესაც მილანში მმართველი ჰერცოგი ფრანჩესკო სფორცა იყო. ვენეციის დიპლომატიას ყველა ხერხი ბიზანტიიდან აღებუ- ლი ჰქონდა. რესპუბლიკის წარმომადგენლები მსოფლიოს ყვე-ლა ქვეყანაში იყვნენ. გამოიყენებოდა არასასურველი პოლი-ტიკოსების დაკვეთით მოკვლის მთელი სისტემა. მისიები ფუფუნებით იყო გაწყობილი, მიმოწერას შიფრავდნენ, ელჩობის შედეგებზე კი ანგარიშები იწერებოდა. მივლინებიდან დაბრუნებისას ელჩი ვალდებული იყო სიტყვა (relazione) წარმოეთქვა საზეიმო სხდომაზე. ეს ჩვეულება არსებობდა ვენეციის რესპუბლიკის უკანასკნელ დღემდე (1797).

6. რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობები XVI საუკუნეში

თავისი პირველი აქტიური ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაში ივანე მეოთხემ აღმოსავლეთისკენ გადადგა. ყირიმისა და ყაზანის სახანოებმა თურქეთის მხარდაჭერით შეადგინეს ძლიერი ანტირუსული კოალიცია. თათართა შემოსევები მოსკოვის სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვრებისა და სავაჭრო ურთიერთობებისთვის მუდმივ მუქარად იქცა. ამასთან ერთად, გრძელდებოდა აღმოსავლეთი მიწების რუსული კოლონიზაცია, რომელიც გაფართოებას მოითხოვდა.

1549 წელს მეფის ჯარმა ყაზანზე წარუმატებელი ლაშქრობა მოაწყო. მტრის ტერიტორიაზე, მდინარეების ვოლგას და სვიაგის შერწყმის ადგილზე დააფუძნეს ქალაქი სვიაჟსკი, აღმოსავლეთისაკენ რუსების შემდგომი შეტევის ბაზა.

1552 წელს ივანე მეოთხე კვლავ მიადგა ჯარებით ყაზანს. მეფემ გამოიყენა უცხოელი ინჟინრები, რომლებმაც გაზარ- დეს არტილერიის დამანგრეველი მოქმედება. გათხარეს საი-დუმლო სანგარი ციხე-სიმაგრის კედლის აფეთქებისთვის. კედელში გაჩნდა ნაპრალი, რომლიდანაც შეიჭრნენ კიდეც ქალაქში რუსი ჯარისკაცები. ყაზანი დაეცა.

ამრიგად, რუსეთმა შეიძინა ყაზანის სახანო, რომლის ტერიტორიაზე, სადაც დაიწყო რუსული კოლონიზაცია და ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანება. მოსკოვის გავლენის ორბიტაში შევიდნენ „ველური“ ხალხები - ჩერემისები, მორდოველები, ჩუვაშები, ბაშკირები. რუსულ ვაჭრობას შუა ვოლგაზე უკვე არაფერი არ უშლიდა ხელს. ასტრახანის სახანოში ხელისუფლების სათავეში იდგა მოსკოვის „ადამიანი“, ანუ, თანდათან მიმდინარეობდა ქვედა ვოლგის ათვისებაც.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ბრძოლა ბალტიის ზღვაზე გასვლისათვის. რუსეთი, დანია, პოლონეთი და შვედეთი ცდილობდნენ დაეპყროთ ლივონია, გერმანული კოლონია, სადაც ფინური და ლიტვური წარმოშობის ადგილობრივი მოსახლეობა ძალდატანებით კათოლიკურად მონათლეს. ლივონიის ორდენი, ამ სახელმწიფოს სამხედრო ძალა, დაცემის ზღვარზე იყო. კარს იყო მომდგარი მსხვილი საერთაშორისო კონფლიქტი, რომელიც დაიწყო კიდეც 1557 წელს და რუსულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, როგორც ლივონი- ის ომი.

მოსკოვის რუსეთის ჩართვა ლივონიისათვის ბრძოლაში რამდენიმე გარემოებამ და სახელმწიფო ინტერესებმა განაპირობა:

რუსული კოლონიზაციის გაფართოებამ დასავლეთის მიმართულებით;

ბალტიის ზღვაზე რუსეთის გასვლის აუცილებლობამ;

მტრული სახელმწიფოს და მისი სამხედრო ძალის - ლივონიის ორდენის ლიკვიდაციის აუცილებლობამ (რომელიც მუდმივად იმუქრებოდა მოსკოვის სამეფოს დასავლეთი რაიონების დაპყრობით).

1557 წელს მოსკოვის მოკავშირე, თათართა დაქირავებუ- ლი რაზმები ხარკის აღების საბაბით, თავს დაესხნენ ლივონი- ას. მათ შეუერთდნენ რუსეთის ჯარებიც და დაიწყო მტრის ქალაქების ერთი მეორეს მიყოლებით აღება. როდესაც მხოლოდ რამდენიმე ციხე-სიმაგრე დარჩა ასაღები, კონფლიქტში პოლონეთი (1559) და შვედეთი (1261) ჩაერივნენ. ომში დახმარების გაწევისთვის ლივონია მათ მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობებს პირდებოდა. თავისი პრეტენზიები დანიამაც წამოაყენა. ასე დაიწყო ევროპული სახელმწიფოების რთული, დახლართული ბრძოლა, რომელსაც თან დიპლომატიური ინტრიგები და კომბინაციები ახლდა.

ომის პირველი ეტაპი მთავრდება 1564 წელს. ივანე მეოთხე ამ დროს ატარებდა ფრთხილ პოლიტიკას დანიასთან და დაამარცხა პოლონეთი. მეორე ეტაპი განეკუთვნება 1564 – 1568 წლებს. მოცემულ ეტაპზე მოხდა რუსეთის დაახლოება შვედეთთან, რომელიც ხმელეთზე ებრძოდა დანიას. გასა-თვალისწინებელია, რომ ამ დროს რუსეთში განვითარდა ოპრიჩნინა, რომელმაც გარკვეულწილად გაართულა ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზაცია სამხედრო მიზნებისთვის. 1568 წლიდან მესამე ფაზა დაიწყო. შვედეთი და დანია მორიგდნენ პოლონეთის შუამავლობით. 1572 წლიდან დაიწყო ომის მეოთხე პერიოდი. პოლონეთი დამარცხებებისა და სა-შინაო მოვლენების

შედეგად გამოყვანილი იქნა ბრძოლიდან. 1575 წ. სტეფანე ბატორის პოლონეთის მეფედ არჩევით დაიწყო მეხუთე ეტაპი. პოლონეთი კვლავ ჩაება მოსკოვთან ომში. შვედეთმა მხარი დაუჭირა ბატორის, დანიამ და თურქეთის სულთანმა კი, ორივემ საკუთარი მიზეზებით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას თავი აარიდეს. პოლონეთის ჯარებმა აიღეს პოლოცკი, ველიკიე ლუკი. პოლონეთის მეფეს თან მოყვებოდნენ კათოლიკე მისიონერები. პოლონელებმა 1581 წ. ალყა შემოარტყეს ფსკოვს, მაგრამ ვერ აიღეს ქალაქი. მხარეები მშვიდობიან ხელშეკრულებას ეძებდნენ. იამ-ზაპოლსკში შედგა რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკებები, რომელთა შედეგად ხე-ლი მოეწერა 1582 წლის იამ-ზაპოლსკის შეთანხმებას.

ომის შედეგები შემდეგი იყო:

რუსეთი უარს ამბობდა ლივონიაზე;

რუსეთი კარგავდა გასასვლელს ბალტიის ზღვაზე, მაშასადამე, გასასვლელს ევროპისკენ მიმავალ საზღვაო კომუნიკაციებისაკენ;

განადგურდა ლივონიის ორდენი, მოსკოვის ძველი მოწინააღმდეგე;

გერმანია კარგავდა ძალაუფლებას ლივონიაზე;

მწიფდებოდა კონფლიქტი პოლონეთსა და შვედეთს - ლივონიის ომის დროინდელ მოკავშირეებს შორის.

თავი 3. მსოფლიო სახელმწიფოთა შესაძლებლობების დინამიკა ახალ დროში

1. XVII-XVIII საუკუნეებისსაერთაშორისო ურთიერთობე- ბის ძირითადი მონაწილეები და მსოფლიო ასპარეზზე მათი ქცევის სპეციფიკა

XVII საუკუნის შუახანებისთვის იწყებს ჩამოყალიბებას საერთაშორისო ურთირთობათა ახალი საერთოევროპული სისტემა. მისი სტიმული გახდა ოცდაათწლიანი ომი, რომელშიც პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იყო ევროპის ქვეყნების უმრავლესობა.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაჩენის ერთად, ხდება შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავება და, როგორც შედეგი, ძლიერდება საერთაშორისო კავშირები ცალკეულ სახელმწიფოთა შორის. იმავდროულად წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკა უკვე არ იზღუდება მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების ფარგლებით, მათი საგარეო-პოლიტიკური აქტიურობა მთელ ევროპაზე ვრცელდება. ძირითადი ევროპული ქვეყნები თანდათან გადადიან საელჩო სამსახურის ორგანიზაციის თანამედროვე სისტემაზე - მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე. XVIII საუკუნის ომების უმრავლესობა კოალიციური იყო, რაც ასევე ხელს უწყობდა დიპლომატიის განვითარებას. ევროპის ბევრ სახელმწიფოში იქმნება საგარეო საქმეთა უწყებები ნათელი და სულ უფრო რთული სტრუქტურით, რომელშიც ახლა ჩართულია თარჯიმნები, დაშიფვრის სპეციალისტები და არქივისტები. იზრდება რაოდენობა მაღალკვალიფიცირებული პერსონალით და-

კომპლექტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების და მისიებისა, მაგრამ დიპლომატიით ადრინდელივით ჯერ კიდევ დაკავებულია უმაღლესი მოხელეების ძალზე ვიწრო წრე. ფრანგული ენა XVIII საუკუნეში ხდება დიპლომატების ძირითადი საერთაშორისო ენა.

XVII საუკუნისთვის ხდება ერთიანი ქრისტიანული ევროპის გახლეჩა. რეფორმაციის და კონტრრეფორმაციის შემდეგ ეს გახლეჩა განამტკიცეს რევოლუციებმა ნიდერლანდებსა და ბრიტანეთში. ოცდაათწლიანმა ომმა საბოლოოდ გადაწყვიტა ეკლესიის ადგილის საკითხი ევროპული ქვეყნების ცხოვრებაში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გადაწყდა ოდინდელი დავა პაპის, იმპერატორის და მეფეების უზენაესი ხელისუფლების საზღვრებზე, და, შესაბამისად, ცალკეული სახელმწიფოების სუვერენიტეტზე. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ მხოლოდ იწყებოდა და იყო ხანგრძლივი და ძალზე მტკივნეული. კერძოდ, საკითხი ისეთი ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის შესახებ, როგორებიცაა გერმანელი, იტალიელი და რიგი სლავი ხალხები, გადაიდო ზედ XIX საუკუნის ბოლომდე.

ევროპაში რაღაც „ქრისტიანული უნივერსუმის“ შექმნის გეგმები საბოლოოდ დასამარდა პაპების ავინიონის ტყვეობით ჯერ კიდევ XIV საუკუნის დასაწყისში. მისი რეანიმაციის უკანასკნელი ცდა კარლოს მეხუთეს ეკუთვნის, რომელიც ევროპაში თავისი ჰეგემონისტური მისწრაფებების რეალიზაციისას სწორედაც რომ ეყრდნობოდა, წარმოდგენას იმპერატორის უზენაეს ხელისუფლებაზე, როგორც კათოლიკური სამყაროს საერო მეთაურისა, ანალოგიურად პაპის სულიერი ხელისუფლებისა.

ყველა ევროპელ მონარქს შორის სწორედ ის იღებდა გვირგვინს რომის პაპის ხელიდან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს

ცდები აღემატებოდა ესპანეთის, იმ დროს ევროპის უდიდესი სახელმწიფოს ძალებს. ამასთან, რელიგიური ფაქტორის როლი ძალზე საგრძნობი იყო XVIII საუკუნემდე, კერძოდ, განაგრძნობდა არსებობას დაყოფა კათოლიკურ და პროტესტანტულ (ერეტიკულ) სახელმწიფოებზე. XVIII საუკუნისთვის რელიგიური ფაქტორი არ თამაშობდა რაიმე არსებით როლს. უკ-ვე ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს პროტესტანტული სახელმწიფოები - ინგლისი და ჰოლანდია - კავშირში შევიდნენ ავსტრიელ ჰაბსბურგებთან. ავსტრიის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში კი, XVIII საუკუნის 40 წლებში, პროტესტანტული პრუსია თანამშრომლობდა საფრანგეთთან, ბავარიასა და ესპანეთთან იმპერატორისა და ინგლისის წინააღმდეგ.

სულ უფრო მეტად ვრცელდებოდა „სახელმწიფო ინტერესის“ დოქტრინა, რომელსაც არ გააჩნია არანაირი რელიგიური შეფერილობა. XVII საუკუნეში ევროპულ დიპლომატიაში მკვიდრდება იდეა „ძალთა ბალანსისა“, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა გაბატონებული თეორიისა. XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში საფრანგეთი, რომელიც მიისწრაფის ჰეგემონიისკენ, იწყებს „ძალთა წონასწორობის“ დოქტრინის განხილვას, როგორც თავისთავისთვის მიუღებლისა. მაგრამ 1697 წელს, რისვიკის ზავის ხელმოწერის შემდეგ, ბრიტანეთის თემთა პალატამ განაცხადა, რომ მან ინგლისს საშუალება მისცა, შეენარჩუნებინა ძალთა ბალანსი ევროპაში.

ძალთა ბალანსის იდეამ თავისი განვითარება პოვა უტრეხტის ზავის შემდეგ, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობ- აში ევროპაში არ არსებობდა მკაფიოდ გაფორმებული ორი ბანაკი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების ეგიდით. ამ იდეის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს განმანათლებლობის უდიდესმა მოღვაწეებმა - აბატ მაბლის რეალიზმიდან („საჯარო

სამართალი, დაფუძნებული ხელშეკრულებებზე“, 1773 წ.) რუსოს („პროექტი მუდმივ მშვიდობაზე“ 1756 და 1762 წწ., „აზრები მუდმივ მშვიდობაზე“, 1756 წ.) და ბენტამის („გეგმა უნივერსალური და მუდმივი მშვიდობი-სთვის“, დაწერილი 1786 და 1789 წლებს შუა) პაციფისტური ორიენტაციის კონტრპროექტებამდე.

თავის გავლენას ინარჩუნებდნენ ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ თეორიად ჯერ კიდევ არ გადაქცეულნი მერკა-ნტილისტური დოქტრინებიც, ნაკრებს რომ წარმოადგენდნენ პრაქტიკული რეკომენდაციებისა, დამყარებულების რწმენაზე, რომ სიმდიდრის მთავარი ფორმა არის ძვირფასი ლითონები და რომ ამ უკანასკნელთა მოცულობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს გაფურჩქვნა და ძლიერება. ასეთი სიმდიდრის შექმნის მთავარ სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობა.

ყველა ამ მიდგომამ, გარდატეხილმა კონკრეტული ისტორიული რეალიების პრიზმაში, ასახვა პოვა ევროპეიზმში, „გაერთიანებული ევროპის“ საზოგადოებრივი და პოლიტიკ-ური მოწყობის მრავალრიცხოვან კონკრეტულ პროექტში, ერთმანეთს მრავალი საუკუნის მანძილზე რომ ცვლიდნენ.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური განვითარების და სახელმწიფოთაშორისი სამეურნეო კავშირების ფორმირების პროცესმა ევროპაში ასახვა პოვა იმ დროის უნიკალურ პროექტში, რომლის ავტორი იყო პარიზის კოლეჟის მათემატიკის მასწავლებელი ემერიკ კრიუსე (1590 – 1648). ის 1623 წელს ის აქვეყნებს ტრაქტატს „ახალი კინეი, ანუ პოლიტიკური გამოსვლა, ხსნის მთელ მსოფლიოში საყოველ- თაო მშვიდობისა და ვაჭრობის თავისუფლების დამყარების შესაძლებლობასა და საშუალებებს. ჩვენი დროის მონარქებსა და სუვერენულ ხელმწიფეებს“. ის მიმართავს პაპს და ევროპ-ელ მონარქებს მოწოდებით შექმნან სახელმწიფოთაშორისი ასამბ-

ლეა, რომელიც განლაგდებოდა ვენეციაში და გააერთიანებდა როგორც ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებს, მართლმადიდებელი მოსკოვის ჩათვლით, ისე არაქრისტიანულ ქვეყნებსა და რეგიონებსაც - ჩინეთს, სპარსეთს, ინდოეთს, იაპონიას და ჩრდილოეთ აფრიკას.

პროექტის უნიკალურობა იმაში იყო, რომ კრიუსე მსოფ- ლიო წესრიგის საფუძველს ხედავდა ეკონომიკაში. განსაკუთ-რებული მნიშვნელობა ენიჭებოდა თავისუფალ ვაჭრობას, როგ-ორც ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

ამ პერიოდში წარმოიქმნება ევროპეიზმის კიდევ ერთი მიმართულება, რომლის ძირითადი ნიშანი პოლიტიკური პრაგმატიზმი იყო. დაუსრულებელი ეთნიკური და ეროვნული პროცესები, ახალი სახელმწიფო საზღვრები - ყველა ეს კონკრეტულ-ისტორიული პირობა ხელს უწყობდა ტერიტორიებისა და გავლენის სფეროებისთვის ბრძოლის გამწვავებას (ოცდაათწლიანი ომი). მაგრამ იმავდროულად ამ ომებმა აჩვენა, თუ რამდენადაა ურთიერთდაკავშირებული ევროპელი ხალხებისა და სახელმწიფოების ბედი.

ერთ-ერთი პირველი პროექტი, დაფუძნებული „ევროპული წონასწორობის“ იდეაზე, იყო ჰერცოგ დე სიულის (1559-1641), ანრი მეოთხის სუპერ-ინტენდანტის „დიდი გეგმა“. არსებითად, ეს იყო ევროპული სახელმწიფოების გაერთიანებული ძალისხმევით (საფრანგეთის მეთაურობით) გერმანიიდან, იტალიასა და ნიდერლანდებიდან ჰაბსბურგების გაძევების, ევროპის ტერიტორიული გარდაქმნის პრაქტიკული გეგმა.

ყველაზე დიდ ინტერესს წარმოდგენდა სიულის მსჯელობები ევროპულ წესრიგზე. ის მიზანდასახულად თვლიდა ევროპის დანაწილებას 6 მემკვიდრეობით მონარქიად, 5 არ-

ჩევით მონარქიად და 4 რესპუბლიკად. ევროპის 15 სახელმწიფო ერთმანეთს შორის შეკრავდა კავშირს, რომელიც, სხვას გარდა, იქნებოდა ვაჭრობის თავისუფლების გარანტი. მოცემული ევროპული კონფედერაცია, ბერძნული ამფიქტიონების ანალოგიით, უნდა ემართა საბჭოს, რომელშიც შევიდოდნენ წარმომადგენლები ყველა ევროპულ სახელმწიფოდან ამ უკანასკნელების ზომისა და ძალის პროპორციულად.

XVII საუკუნის ბოლოს გაჩნდა პირველი ტრაქტატები ევროპის ერთიანობაზე, დაფუძნებული პროტესტანტიზმისა და მისთვის დამახასიათებელი პრაგმატიზმის პრინციპებზე. აქ პირველ რიგში უნდა დასახელდეს უ. პენნი, რომელიც მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სთავაზობდა საერთოევროპული კრების შექმნას, რომლის ამოცანა იქნებოდა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების გადაწყვეტა, თუ თვით ეს სახელმწიფოები ამას ვერ გააკეთებდა.

არ დაუკარგავს თავისი მიზიდულობა მონარქისტულ იდეას, და XVII საუკუნე გახდა ევროპული აბსოლუტიზმის გაძლიერების და, ამასთან ერთად, წინამორბედი ეპოქის რიგი პოლიტიკური დოქტრინისა და შეხედულების შენარჩუნების საუკუნე. ევროპული აბსოლუტიზმის განმტკიცებამ გააძლიერა დინასტიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში. მაგრამ იმ პირობებში, როდესაც XVIII საუკუნისთვის არსებობდა ადრებურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც სულ უფრო მეტად ძლიერდებოდნენ, ეს, ერთი შეხედვით მსგავსი, დინასტიური მოტივები ემსახურებოდნენ სხვადასხვა სოციალური ინტერესების გამოხატვას და მათ ობიექტურად განსხვავებული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ, მათით დასაბუთებული იყო, ერთი მხრივ, მისწრაფება აბსოლუტიზმის შენარჩუნებასა და რესტავრაციისკენ, და მე-ორე მხრივ, ახალი ბურ-

ჟუაზიული წესრიგის განმტკიცების და გავრცელების, ევროპელი ხალხების დანაწილების ან პირიქით, კონსოლიდაციისკენ. ამასთან, დინასტიური მოტივები ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ჩვეულ საფარად კოლონიებისა და ახალი ტერიტორიებისთვის, აგრეთვე სავაჭრო მონოპოლიისთვის ბრძოლაში, რომელშიც ერთნაირი მონდომებით მონაწილეობდნენ აბსოლუტისტური და ადრებურჟუაზიული სახელმწიფოები.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხანგრძლივი დროით განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობები, გახდა კოლონიების, მათთან ერთად კი კოლონიური იმპერიების გაჩენა. კოლონიების ექსპლუატაცია ეკონომიურად უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ინგლისისა და ჰოლანდიის წინანდელი ცდები ხელში ჩაეგდოთ და გაეძარცვათ ესპანეთის სავაჭრო გემები. და თუ ადრე კოლონიებისთვის ესპანეთისა და პორტუგალიის მეტოქეობაში, შემდეგ კი ჰოლანდია-ესპანეთის ბრძოლაში სხვა სახელმწიფოები მხოლოდ პერიოდულად მონაწილეობდნენ, XVII საუკუნიდან იწყება მრავალმხრივი უმწვავესი ბრძოლა მდიდარი კოლონიების ხელში ჩასაგდებად ესპანეთ, ჰოლანდია, ინგლის, საფრანგეთის მონაწილეობით, რომლის არენა მთელი მსოფლიო ხდება. ეს ბრძოლა მჭიდროდ ჩაექსოვა ქვეყნების ურთიერთობათა სისტემაში საკუთრივ ევროპის კონტინენტზე, იმ ქვეყნებისა, რომელთა გავლენა და ამბიციები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათი კოლონიების სიმდიდრესა და ფართობთან.

ასე, მაგალითად, XVII საუკუნის შუახანებისთვის, პორტუგალია გადადის ევროპის მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა რანგში. ამის მთავარი მიზეზი გახდა ქვეყნის უუნაროობა გადასულიყო კოლონიური პოლიტიკის ახალ პრინციპებზე. პორტუგალიის მთავრობა თავის კოლონიებს დასაწყისიდანვე განიხილავდა, როგორც მონოპოლიური სახელმწიფო ექს-პლუატაციის ობიექტს. ამ კოლონიებს არაფერს არ აძლევდნენ, მაშინ, როდესაც იქიდან მიჰქონდათ ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა. სასტიკად იზღუდებოდა ადგილობრივი მცხოვრებლების დამოუკიდებელი სამეურნეო საქმიანობა. და, ბოლოს, პორტუგალიურმა ბატონობამ ვერ შეძლო რაიმე მყარი და რაციონალური ბაზის შექმნა ინდოეთსა და კუნძულებზე მდებარე თავისი სამფლობელოების ეკონომიკური გამოყენებისთვის. მოახდინა რა კონცენტრირება მტაცებლურ მეთოდებზე, პორტუგალიას არ გააჩნდა ამისთვის საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსები.

რაც შეეხება ესპანეთის კოლონიური იმპერიის დაცემას, მისი მთავარი მიზანი იყო შენარჩუნება ფეოდალური წყობისა (რასაც, სხვასთან ერთად, ადუღაბებდა კათოლიკობა), რომელიც ხელს უშლიდა სამფლობელოების ეფექტურ გამოყენებას და კაპიტალის გაზრდას. მიწათმოქმედება ესპანეთში მიშვებული იყო, სარეწები და მანუფაქტურული წარმოება სუსტად ვრცელდებოდა. ამიოს შედეგად, ესპანეთს არ ჰქონდა საკმაო რაოდენობის გასატანი საქონელი და ამერიკაში მოპოვებული ოქრო შეუჩერებლად მიდიოდა ინდოეთში, როგორც ინდური საქონლის საფასური, აგრეთვე ევროპულ ქვეყნებში, სადაც განვითარებული მანუფაქტურული მრეწველობა საქონელს გაილებით უფრო იაფად აწარმოებდა, ვიდრე ესპანეთი. გემთმშენებლობაც კი უმნიშვნელო იყო, და ესპანეთი იძუ-ლებული იყო გემები ეყიდა იმავე ჰოლანდიელებისა და ინგლისელებისგან. ამრიგად, ესპანელები თვითონ ზრდიდნენ თავის მომავალ კონკურენტებს.

კოლონიების ექსპლუატაციის სრულიად განსხვავებულ ხერხს, და როგორც დრომ აჩვენა, ყველაზე წარმატებულს ამ პერიოდში, იყენებდა ინგლისი. მისი კოლონიური ექსპანსია ემყა-

რებოდა თავისი სამფლობელოების სიმდიდრეთა გამოყენების გააზრებულ და ხანგრძლივ ვადაზე გათვლილ პერსპექტივას. ჰოლანდიისა და საფრანგეთისგან განსხვავებით, ინგლისმა შეძლო უზრუნველეყო სტაბილური და მრავალრიცხოვანი მიგრაცია თავის ოკეანისგაღმა კოლონიებში, რითაც შეუქმნა მათ სწრაფი სამრეწველო განვითარების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ, XVII საუკუნეში, კოლონიებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონოპოლიისთვის ბრძოლის გავლენით იწყება იმის ჩამოყალიბება, რასაც ახლა საერთაშორისო სამართლის ისტორიას უწოდებენ. ის წარმოიშვა ინგლის-ჰოლანდიის გააფთრებული მეტოქეობის პერიოდში, დაწყებული მეცნიერული პოლემიკიდან, რომელსაც ინგლისელებმა „წიგნების ომი“ უწოდეს. კამათი გახურდა ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე: ჰოლანდიელთა უფლებაზე დაეჭირათ თევზი ინგლისის ნაპირებთან, ინგლი სის წყლებში. რა არის ინგლისის წყლები? შეიძლება თუ არა ზღვა ან მისი ნაწილი ეკუთვნოდეს ინგლისს ან ნებისმიერ სხვას, თუ ზღვა თავისი ბუნებით ყოველთვის თავისუფალია ყველასთვის?

საფრანგეთში XVII საუკუნის შუახანებისთვის, აბსოლუტიზმმა თავის კულმინაციას მიაღწია, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებში. მეფის ავტონომია გაბატონებული ფენების მიმართ აქ ყველაზე დიდი იყო. უფრო მეტი, საფრანგეთში შესაძლებელი გახდა ყველაზე უფრო სწრაფად მომხდარიყო უნიფიცირება მეფისა და მისი ქვეშევრდომების ურთიერთობებისა. საფრანგეთი სხვა ევროპულ სახელმწიფოებს აღემატებოდა ტერიტორიით, მოსახლეობის რიცხოვნობით, მმართველი რეჟიმის უნარით მობილიზაციის მოხდენისა, მას აგრეთვე გააჩნდა მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა. და, ბოლოს, XVII საუკუნის შუახანებისთვის საფრანგეთში

შექმნილი იყო ევროპაში უდიდესი მუდმ- ივი არმია (მშვიდობიან დროს - 200 ათასი ადამიანი, ომისას - 500 ათასი), მნიშვნელოვნად გაიზარდა, აგრეთვე, სამხედრო და სავაჭრო ფლოტი.

XVII საუკუნის 60-იან წლებიდან ლუდოვიკო XIV-ს საფრანგეთი ღია ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე გადადის. მისი დიპლომატიის ძირითად მიმართულებად ევროპულ კონტინენტზე გახდა ესპანეთის დასუსტება, აგრეთვე ჰოლანდიის გავლენის შესუსტება საფრანგეთთან სამხრეთ ჰოლანდიის მიერთების გზით. საფრანგეთსა და ესპანეთს შორის კონფლიქტი არ ჩამქრალა ოცდაათწლიანი ომის დასრულებასთან ერთად. ინგლისთან გაერთიანებულმა საფრანგეთმა ესპანეთს მთელი რიგი საგრძნობი დარტყმა მიაყენა. თავისი როლი შეასრულა პორტუგალიამ, რომელმაც ამ დროისთვის დამოუკიდებლობა მიიღო და აიძულა ესპანეთი თავისი ჯარების დიდი ნაწილი გაეგზავნა არა ძირითადი მოწინააღმდეგების, არამედ პორტუგალიის წინააღმდეგ.

1659 წელს მოხდა პირინეის ზავის ხელმოწერა, რომლის მიხედვით ესპანეთი საფრანგეთს გადასცემდა თავისი ტერიტორიების ნაწილს. საფრანგეთის მეფის და ფილიპე IV-ს ქალიშვილ მარია ტერეზას ქორწინება ითვალისწინებდა ინფანტას უარს ესპანეთის ტახტზე ნაცვლად ესპანეთის კარის მიერ მისთვის 500 ათასი ეკიუს გატანებისა მზითვად.

იმ დროს, როდესაც ინგლისი განიცდიდა სამოქალაქო ომის მთელ სიმძიმეს, საფრანგეთის კარის ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ფრონდასთან ბრძოლაზე, გერმანული სამთავროები კი დასუსტებული იყო ოცდაათწლიანი ომით. ხდება ნიდერლანდების როლის გაძლიერება ევროპის ძალთა ბალანსში. XVII საუკუნის შუახანებისთვის ჰოლანდიას უფრო მეტი საზღვაო გემი ჰყავდა, ვიდრე ევროპის ყველა სხვა ქვე-

ყანას, ერთად აღებულს. ამან მას შესაძლებლობა მისცა გაეკონტროლებინა ევროპის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები და წამყვანი მდგომარეობა შეენარჩუნებინა საზღვაო ვაჭრობაში. ამსტერდამის ბანკი ყველაზე მსხვილი გახდა ევროპაში. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის და ვესტ-ინდოეთის კომპანიებმა დაიწყეს საგარეო სავაჭრო ექსპანსია მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჰოლანდიის ძლიერება ძალზე არამყარი იყო საზღვრების მოწყვლადობის, ტერიტორიის და მოსახლეობის სიმცირის, არასაკმარისად განვითარებული მანუფაქტურული წარმოების გამო.

1662 წლის აპრილში საფრანგეთმა და ჰოლანდიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც მათი სამფლობელოების უცვლელობის გარანტიას იძლეოდა. მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ ლუდოვიკო XIV-მ ხელი მოაწერა შეთანხმებას ინგლისთან, რომლის მიხედვით, ინგლისი საფრანგეთს დიდი თანხის საზღაურად გადასცემდა დიუნკერკს. 1664 წელს დაიწყო ინგლის-ჰოლანდიის ომი, ურთიერთ რომ დაასუსტა მეომარი მხარეები და შესაძლებლობა მისცა ფრანგებს, მცირე სისხლით დაეპყროთ სამხრეთ ნიდერლანდები. 1667 წელს ინგლისის საქმიანი წრეების ზეწოლით კარლ მეორე უმოკლეს ვადაში ხელს აწერს შეთანხმებას ჰოლანდიასთან, რომელსაც სუბსიდიების დაპირების სანაცვლოდ მზად იყო შეერთებოდა შვედეთი. სამთა კავშირის მონაწილეები მიისწრაფოდნენ შუამავლად გამოსულიყვნენ საფრანგეთის და ესპანეთის დავაში და, უარის შემთხვევაში, მზად იყვნენ, ომი გამოეცხადებინათ საფრანგეთისთვის.

მაგრამ საფრანგეთის ყოლა მოკავშირედ გაცილებით უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე მასთან ომი, ამიტომ ლუდოვიკო თავს საკმაოდ მშვიდად გრძნობდა. მისთვის მთავარი მუქარა იყო

თვით ცდა ადრებურჟუაზიული საზღვაო ქვეყნების გაერთიანებისა. მაგრამ ეს გაერთიანება არ იყო ხანგრძლივი სავაჭრო და კოლონიური წინააღმდეგობების გამო.

1668 წელს ხელი მოეწერა აახენის ზავს, რომლის მიხედვით, საფრანგეთმა შეინარჩუნა ფლანდრია და ამ უკანასკნელს განიხილავდა როგორც ევროპაში მომავალი დაპყრობითი ომების პლაცდარმს. სამხრეთ ნიდერლანდების დარჩენილი ნაწილი კი, ფრანშ-კონტესთან ერთად, ესპანეთს გადაეცემოდა. 1668 წელს დადგენილი საზღვარი აშკარად დროებითი ხასიათის იყო.

1670 წლისთვის კვლავ იწყებს თავის საქმიანობას სამთა კავშირი, რომლის ყველაზე სუსტ რგოლად რჩებოდა ინგლისი (ჰოლანდიასთან სავაჭრო წინააღმდეგობების გამო). ლუდოვიკო XIV-მ ლონდონთან საიდუმლო დუვრის შეთანხმების ხელმოწერით შეძლო მოცემული კოალიციის დაშლა და, უფრო მეტი, დაავალდებულა ინგლისი, ომი დაეწყო ჰოლანდიასთან.

1672 წელს საქმე ჰოლანდიის განადგურებისკენ მიდიოდა, საფრანგეთის არმია სწრაფად მიიწევდა წინ, იკავებდა რა ჰოლანდიის სულ ახალ და ახალ პროვინციებს, ინგლის-საფრანგეთის ფლოტი კი ბატონობდა ჩრდილოეთის ზღვაზე. მაგრამ 1673 წლისთვის სიტუაცია შეიცვალა, ხელისუფლებაში მოსულმა ვილჰელმ ორანელმა შეძლო გაეხლიჩა მოწინააღმდეგის ბანაკი და, უფრო მეტიც, დაეწყო ახალი ანტიფრანგული კოალიციის ფორმირება. 1674 წლისთვის საფრანგეთი მთლიანობაში იძულებული იყო, თავდაცვაზე გადასულიყო. ვითარების ესოდენ რადიკალური შეცვლა იმ გარემოებით აიხსნება, რომ ჰოლანდიის საბოლოო განადგურება არღვევდა ევროპულ წონასწორობას და ხელს უწყობდა ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას, რასაც არცერთი სახელმწიფო არ დაუშვებდა.

1678 წელს ხელი მოეწერა ნიმვეგენის შეთანხმებას, რომელიც ძალზე მძიმე იყო ჰოლანდიისთვის და ძალზე ცოტა რამის მიმცემი საფრანგეთისთვის. XVII საუკუნის ბოლო მეოთხედისთვის საფრანგეთის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი გახდა არა ახალი ტერიტორიების შეძენა, არამედ ამ ქვეყნის „საზღვრების მოწესრიგება“. ამაში გაიგებოდა ანკლავების ლიკვიდაცია, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა, შეექმნა ფორტიფიკაციების ერთიანი ჯაჭვი. ამ თვალსაზრისით, მოცემული შეთანხმება შეიძლება განხილული იქნას როგორც ლუდოვიკო XIV-ს პოლიტიკის მიღწევების მწვერვალი. საფრანგეთმა შეიძინა თავდაცვისათვის უფრო მოხერხებული საზღვარი და შემოიერთა ფრანშ-კონტე და რიგი სხვა ტერიტორია. მთლიანობაში, თუ ვერსალის მიზნებიდან გამოვალთ, ხელშეკრულება უფრო წარუმატებლობა იყო. ომის შედეგად ძირითადად უკვე ჩამოყალიბდა ჰოლანდიის, ესპანეთის, ინგლისის და ავსტრიის კავშირი, მიმართული ვერსალის წინააღმდეგ.

ლუდოვიკო XIV-ს ცდებმა, ეკარნახა თავისი პირობები ევროპაში, სხვისი მიწების დაპყრობამ საეჭვო ძველი უფლებების არსებობაზე დაყრდნობით, გამოიწვია აღშფოთების ტალღა ავსტრიისა და მთელი რიგი გერმანული სამთავროების მხრიდან. ამან აიძულა იმპერატორი ლეოპოლდ პირველი, დაედო სამოკავშირეო ხელშეკრულება რამდენიმე გერმანელ მთავართან, რომლის თანახმად ისინი ვალდებული იყვნენ გამოეყვანათ 30-ათასიანი არმია. 1683 წლის დასაწყისისში კი ხელი მოეწერა თავდაცვით კავშირს, რომელშიც შევიდნენ იმპერატორი, ჰოლანდია, ესპანეთი, ბავარიისა და ჰანოვერის კურფიურსტები.

ლუქსემბურგის ალყის შემდეგ, საერთოევროპული ომი გარდაუვალი ხდებოდა. გადარჩენა მოვიდა ოსმალთა იმპერი-

ისგან, როდესაც 200 ათასიანი თურქეთის არმია ვენას მოადგა. ეს შეტევა მომზადებული იყო თვით ლუდოვიკო XIV-ს მი- ერ, რომელიც აპირებდა ევროპის გადამრჩენად გამოსვლას და საფრანგეთის უპირატესობის დამყარებას კონტინენტზე.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალთა იმპერიამ, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორიები გააჩნდა სამ კონტინენტზე და ევროპის უდიდესი სახელმწიფო იყო (ბალკანეთი, ვლახეთი, მოლდავეთი, უნგრეთის ნაწილი), XVII-XVIII საუკუნეებში მნიშვნელოვანწილად უკვე დაკარგა შეტევითი ძლიერება ევროპულ მიმართულებაზე. ეს პირველ რიგში აიხსნებოდა ევროპაში სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის, გაჩენით. თავის მხრივ, თვით ოსმალთა იმპერიაში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება მნიშვნელოვნად გაუარესდა. ახლა რის იმედიც შეიძლება ჰქონოდა იმპერიას, იყო ნებისმიერი საშუალებით შეენარჩუნება თავისი სამფლობელოებისა ევროპაში. მით უმეტეს, რომ ყოველთვის ჩნდებოდა სახელმწიფოები, კერძოდ, საფრანგეთი, რომლებიც არ იყვნენ წინააღმდეგი ურთიერთსასარგებლოდ მხარი დაეჭირათ სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით თურქეთის ამა თუ პრეტენზიისთვის ევროპაში. XVIII საუკუნიდან დაწყებული, სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება წამყვანი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკა (რომელსაც მოგვიანებით დაარქმევენ „აღმოსავლურ პოლიტიკას“), ერთი მხრივ, მიმართული თურქეთის, როგორც რუსეთის საპირწონედ გამოყენებაზე, მეორე მხრივ კი, კონტროლის დამყარებაზე თურქეთის ვრცელ სამფლობელოებზე.

ვენაზე ალყის მოხსნა და ოსმალების უკანდახევა იძლეოდა შანსს, გაზრდილიყო იმპერატორის სამფლობელოები ბალკანეთში და კვლავ შეცვლილიყო ძალთა ბალანსი. ევგენი სა-

ვოიელის წარმატებების წყალობით თურქები საბოლოოდ განიდევნენ უნგრეთიდან, იმპერატორის ხელისუფლბის ქვეშ გადავიდა სერბიის, ვლახეთის და ბოსნიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან, ავსტრიამ ვერ მიაღწია სერიოზულ წარმატებებს საფრანგეთთან ბრძოლაში.

„სახელოვანი რევოლუციის“ წინა ათწლეულში ინგლისის ტახტის მემკვიდრეობის საკითხს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც თავის დროზე საკითხს „ესპანეთის მემკვიდრეობის“ შესახებ. საერთაშორისო ასპექტში ეს საკითხი შემდეგნაირად იდგა: გახდებოდა თუ არა ინგლისი ანტი-ფრანგული კოალიციის მუდმივი წევრი და ლიდერი, თუ ის ითამაშებდა საფრანგეთის მეფის სატელიტის როლს.

XVII საუკუნის 80-ანი წლების შუახანებში საფრანგეთი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა - მის წინააღმდეგ გამოვიდნენ ესპანეთი, ავსტრია, ჰოლანდია, ინგლისი და შვედეთი, გაერთიანებულები აუგსბურგის ლიგაში. ამასთან, საფრანგეთის მდგომარეობა სულაც არ იყო უიმედო, რამეთუ ლუდოვიკო XIV-ს გავლენა ჰქონდა იაკობ მეორეზე და მას შეეძლო დესანტი გადაესხა ინგლისში, რაც რეალურ მუქარას შეუქმნიდა ჰოლანდიას და უშუალოდ, ვილჰელმ ორანელს. საფრანგეთის დიპლომატიის გაუბედაობამ და შეცდომებმა, აგრეთვე პოზიციამ თვით იაკობ მეორისა, რომელიც წინააღმდეგი იყო საფრანგეთის ღია სამხედრო მოქმედებებისა რეინის მიწებზე, არ მისცეს შესაძლებლობა ლუდოვიკო XIV-ს გამოეყენებინა ხელსაყრელი მომენტი. ვითარება შეიცვალა 1688 წლის „სახელოვანი რევოლუციის“ შემდეგ, რომელმაც არ გამოიწვია ფართო სამოქალაქო ომი და საშუალება მისცა ვილჰელმ ორანელს დამკვიდრებულიყო ინგლისის ტახტზე, და ამით გაეერთიანებინა ორი ადრებურჟუაზიული პროტესტანტული სახელმწიფო ევროპაში საფ-

რანგეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ. 1689 წლის მაისში დაიწყო საფრანგეთის ომი ჰო-ლანდიასა და ინგლისის წინააღმდეგ, რომლებსაც მხარი დაუჭირეს ესპანეთმა, სავოიამ, რიგმა სამხრეთ გერმანულმა სამთავრომ ბავარიის მეთაურობით.

1690 წლის ზაფხულისთვის საფრანგეთი ისე იმყოფებოდა მძლავრ კოალიციასთან ომში, რომ მას არ გააჩნდა გამარჯვების არანაირი შანსი. თუმცა, თვით კოალიციამ, გაერთიანებულმა მხოლოდ ვერსალის გეგმებისადმი დაპირისპირებით, ვერ შეძლო მოლაპარაკება საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებებზე. საფრანგეთის ომი აუგსბურგის ლიგის წინააღმდეგ 9 წელი გაგრძელდა (1688-1697). და, თუმცა, ლიგის მთავარი მიზანი იყო არ მიეცა საფრანგეთისთვის ჰეგემონიის ხელში ჩაგდების და ესპანეთის ნიდერლანდების მიღების საშუალება, დიდი მნიშვნელობა შეიძინა ვაჭრობის და კოლონიებისთვის ბრძოლის საკითხებმა.

1697 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა მშვიდობიან შეთანხმებას საფრანგეთსა და ინგლის, ესპანეთს, ჰოლანდიას შორის. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი ინარჩუნებდა თავისი დაპყრობების უმეტეს ნაწილს, ფრანშ-კონტეს ჩათვლით, შეთანხმება მის დამარცხებას ასახავდა. ამ შეთანხმებამ, ფორმალურად, მხოლოდ დააფიქსირა ლუდოვიკო XIV-ს მხრიდან ინგლისის ტახტზე ვილჰელმ ორანელის უფლებების კანონიერების აღიარება. რისვიკის შეთანხმების ხელმოწერით ევროპაში დამყარდა ძალთა გარკვეული წონასწორობა. მაგრამ მას არ გადაუწყვეტია ცენტრალური საკითხი, რომელზეც დამოკიდებული იყო ევროპაში ძალთა შეფარდება, კერძოდ კი, „ესპანეთის მემკვიდრეობის“ და ინგლისის ან საფრანგეთის კოლონიური უპირატესობის დამტკიცებისა.

რისვიკის ზავის შემდეგ მეომარი მხარეები მნიშვნელოვნად დასუსტებულნი იყვნენ. ჰორიზონტზე გაჩნდა ახალი, გაცილებით უფრო სარფიანი პარტია, კერძოდ კი - ევროპის წინაშე უეცრად დადგა ესპანეთის მემკვიდრეობის საკითხი.

ლუდოვიკო XIV-ს პოლიტიკა ესპანეთის მიმართ საკმა- ოდ წააგავდა მისივე პოლიტიკას ჰოლანდიის წინააღმდეგ: ხელში ჩაიგდოს მეტროპოლია არა მხოლოდ იმიტომ, რომ საკ-კუთრივ მეტროპოლია არის უდიდესი სიმდიდრე და ფართო ასპარეზი მომავალი ეკონომიკური ექსპლუატაციისთვის, არამედ იმიტომაც, რომ მადრიდის დაპყრობით შეიძინება კოლოსალური, თვით ევროპაზე რამდენიმეჯერ უფრო დიდი ტერიტორიები, რომლებსაც ესპანეთი ფლობდა კოლუმბის დროიდან და რომლების დაკარგვა მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო, განსხვავებით იმისა, რაც XVIII საუკუნის დასაწყისში დაემართა პორტუგალიას.

ლუდოვიკო XIV-ს და კოლბერის აზრით, საფრანგეთი უნდა გამხდარიყო მემკვიდრე ორივე მაშინ არსებული მდიდარი იმპერიისა - როგორც ჰოლანდიის, ისე ესპანეთის. ორი დამანგრეველი ომის მიუხედავად, ჰოლანდიამ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა 1678 წლის ნიმვეგენის და 1697 წლის რისვიკის ზავების შემდეგაც, რომლებმაც შეარყიეს მისი ეკონომიკური ძლიერება და საკმაოდ შეუწყეს ხელი მის გადასვლას მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა რანგში.

ესპანეთის წინააღმდეგ ტაქტიკა უპირველეს ყოვლისა იყო დიპლომატიური, დინასტიური და მშვიდობიანი. ლუდოვიკო XIV ცდილობდა ესპანეთის ტახტზე აეყვანა თავისი შვილიშვილი ფილიპე, რომელიც, მისი აზრით, იქნებოდა საფრანგეთის ნაცვალი, ესპანეთის და მისი სამფლობელოების მმართველი.

როდესაც 1700 წელს ლუდოვიკომ განახორციელა ეს გეგმა, ინგლისი, ჰოლანდია და ავსტრია გაერთიანდნენ ფრანგი და

ესპანელი ბურბონების წინააღმდეგ. ბრძოლის მთავარი მიზნები იყო ევროპაში ძალთა თანასწორობის შენარჩუნება და ესპანეთის სამფლობელოებთან რომელიმე ერთი სახელმწიფოს არ მიშვება. 1701 წლისთვის დაიწყო ახალი საერთოევროპული ომი.

1713 წლის უტრეხტის ზავმა, რომლითაც დასრულდა ეს ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლა, ყველაზე სერიოზული სახით შეცვალა ძალთა განლაგება ევროპის კონტინენტზე. არსებითად, მან ბოლო დაუდო ვერსალის გეგმას, მიეღწია საფრანგეთის ჰეგემონიისთვის ევროპაში. და თუმცა ლუდოვიკოს შვილმა, ფილიპე მეხუთემ შეინარჩუნა ესპანეთის მეფის გვირგვინი, შეთანხმების პირობების მიერ შექმნილმა სისტემამ არარეალური გახადა ამგვარი ჰეგემონისტური პრეტენზიების წამოყენება. რუსეთის გაძლიერებამ აღმოსავლეთ ევროპაში გამოიწვია კერძოდ ის, რომ თუ ადრე ვენასთან ბრძოლაში საფრანგეთი ხშირად იყენებდა ოსმალთა იმპერიას, ახლა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა რუსეთი. გარდა ამისა, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ომის შემდეგ, დასუსტდა შვედეთი, რომელიც ასევე ხშირად გამოდიოდა საფრანგეთის მოკავშირედ ავსტრიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეკონომიკურად ძლიერდება ინგლისი, რომელიც დაინ-ტერესებული იყო იმით, რომ ევროპულ კონტინენტზე არცერთ სახელმწიფოს არ დაეკავა გაბატონებული მდგომარეობა, იმითაც, რომ თვითონ მას ეთამაშა არბიტრის როლი საერთაშორისო დავების დროს. პრუსიის გაძლიერება ასევე შეუძლებელს ხდიდა რომელიმე სახელმწიფოს გაძლიერებას ცენტრალურ ევროპაში. ინგლისელები დარჩნენ ზღვების უპირობო ბატონებად. უტრეხტის ზავის დროისთვის, ჰოლანდია მსოფლიოში სიმდიდრით პირველ სახელმწიფოდან გადაიქცა მეორეხარისხოვან, თავისი არსებობისთვის მებრძოლ პატარა ქვეყანად. ამის მი-

ზეზები იყო არა იმდენად მისი მუდმივი ომები ინგლისთან ზღვაზე და საფრანგეთთან ხმელეთზე, რამდენადაც ჰოლანდიის მთელი ეკონომიკური განვითარების პირობები. უზარმაზარი სიმდიდრეების უდიდესი ნაწილი შემოდიოდა ვაჭრობიდან, მაშინ, როდესაც ინგლისის მზარდი სიდიადე ეფუძნებოდა მის სამრეწველო განვითარებას.

საფრანგეთი 1715 წლისთვის, როდესაც გარდაიცვალა ლუდოვიკო XIV, ნაკლებად წააგავდა იმ სახელმწიფოს, რომ-ელიც ევროპაში ბატონობდა XVII საუკუნის 60-80-იან წლებში. თუკი ვინმე დარჩა მოგებული, ეს ინგლისი იყო. ამ ქვეყნის ბურჟუაზია ემზადებოდა ხანგრძლივი ეკონომიკური შეჯი-ბრისთვის ჰოლანდიასთან და უფრო ხანგრძლივ როგორც ეკონომიკურ, ისე სამხედრო ბრძოლისთვის საფრანგეთთან. ორივე მეტოქეზე გამარჯვების შანსები ახლა მეტი იყო, ვიდრე XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში.

ვესტფალიის, შემდეგ კი პირინეის ზავებმა ესპანეთი დატოვეს მისი ოდინდელი სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების გარეშე. უტრეხტის შეთანხმებით, დაკარგული ესპანური მიწები ავსტრიის ხელში გადავიდა. მაგრამ ესპანეთის ახალი მეფე ფილიპე მეხუთე ამ დათმობებს დროებითად თვლიდა. ესპანეთის კაპიტალი, თუმცაღა დასუსტებული იყო, სულაც არ აპირებდა თავისი პოზიციები გაეყო ვინმესთან, კერძოდ, ფრანგებთან. სამხრეთ ნიდერლანდების დაბრუნება არარეალური იყო, ამიტომ ყველაზე მწვავე ბრძოლა დაიწყო იტალიის მიწებისთვის. 1717 წლისთვის ესპანეთმა უკან დაიბრუნა სარდინია და შეავიწროვა ავსტრიელები სიცილიაზე. ამ სიტუაციამ, რომელსაც შეეძლო დაერღვია ძალთა ბალანსი ევროპაში, გამოიწვია ოთხთა კავშირის წარმოშობა საზღვაო სახელმწიფოების, ავსტრიის და საფრანგეთის მონაწილეობით

(ურთიერთობები ბურბონების სასახლეებს შორის ლუდოვიკოს გარდაცვალების შემდეგ რთული იყო). ესპანეთს წარმატების არანაირი შანსი არ ჰქონდა შექმნილი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოლაპარაკებების შემდეგ, მან გადასცა სარდინია ავსტრიას ნაცვლად მისგან მიღებული სიცილიისა. ოთხთა კავშირი დროებითი კოალიცია იყო, რომელიც ემყარებოდა ძალზე მერყევ საფრანგეთ-ინგლისის თანამშრომლობას, მიმართულს ძალთა ბალანსის შენარჩუნებაზე უტრეხტის ზავის შემდეგ. სწორედ ეს გარემოება XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იწვევდა რიგი არამყარი დიპლომატიური კომბინაციების გაჩენას. კერძოდ, მადრიდი ცდილობდა ეპოვა ვერსალის, შემდეგ კი ვენის მხარდაჭერა. 1725 წელს ხელი მოეწერა ვენის შეთანხმებას. 1731 წელს ინგლისი ხელშე-კრულებას დებს ავსტრიასთან, ისევ „ევროპული წონასწო-რობის“ მხარდასაჭერად. მოცემული შეთანხმების მთავარი პუნქტი იყო ინგლისის თანხმობა ავსტრიის სამფლობელოე- ბის ტახტმემკვიდრეობის წესზე (1719 წლის პრაგმატული სანქციით მარია ტერეზია ცხადდებოდა ესპანეთის ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ).

1733 წელს, ესპანეთი, არ დაკმაყოფილდა რა მისთვის პარმის გადაცემით, შეთანხმებას დებს საფრანგეთთან. პოლონეთის მემკვიდრეობისთვის ბრძოლის დროს ავსტრიას, რომელიც რუსეთთან ერთად გამოდიოდა და გაჭირვებით აჩერებდა თურქების შემოტევას, არ შეეძლო სრული ძალით დაპირისპირებოდა საფრანგეთსა და ესპანეთს. ვენის 1738 წლის შეთანხმებით, ლოტარინგია დაეთმო პოლონეთიდან გამოძევებულ სტანისლავ ლეშჩინსკის. ნეაპოლი და სიცილია გადაეცა დონ კარლოსს, რომელმაც უხალისოდ განაცხადა უარი პარმაზე ავსტრიის სასარგებლოდ. ავსტრიისთვის ამ უკიდურესად არახელსაყრელ შეთანხმებას დაემატა 1739 წლის ბელგრადის

მშვიდობიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ავსტრიამ დაკარგა ბალკანეთში თავისი ტერიტორიების მნი-შვნელოვანი ნაწილი.

ამ დროისთვის წინა პლანზე კვლავ გამოვიდა მწვავე სავაჭ-რო-ეკონომიკური მეტოქეობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ ამერიკაში, ინდოეთსა და ა. შ. მდებარე კოლონიებისთვის. 1739 წელს იფეთქა ინგლის-ესპანეთის ომმა. ესპანეთი ცდილობდა თავისი კოლონიების დაცვას ინგლისელთა კონტრაბანდული ვაჭრობისგან. ეს სავაჭ-რო ომები მიდიოდა ძალთა უკვე შეცვლილი შეფარდების ფონ-ზე. უპირველეს ყოვლისა, ფონზე რუსეთის როლის მკვეთრი გაძლიერებისა და პრუსიის პირველხარისხოვან სახელმწიფოთა რიგში ჩადგომისა.

გადახლართვამ ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირების და ავსტრია-პრუსიის მეტოქეობისა შორს მიმავალი შედეგები მო-უტანა გერმანულ მიწებს. ერთი მხრივ, ის მუდამ აქცევდა მათ სამხედრო მოქმედებების თეატრად და, მეორე მხრივ, საფრან-გეთს არ აძლევდა საშუალებას მოეხდინა გერმანიის მნიშვნე-ლოვანი ტერიტორიების ანექსია.

XVIII საუკუნის 40-იანი წლების ომების საბაბი გახდა ავს-ტრიის დასუსტება და პრაგმატული სანქციის არაღიარება ევ-როპის ბევრი სახელმწიფოს მხრიდან, რაც მუქარას უქმნიდა ავსტრიის იმპერიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს არსე-ბობას. 1740 წელს პრუსია იჭრება სილეზიაში, იწყებს რა სი-ლეზიის პირველ ომს, რომელიც გადაიზარდა ომში ავსტრი-ის მემკვიდრეობისთვის. 1742 წელს პრუსიამ განაახლა კავში- რი საფრანგეთთან და ბავარიასთან და დაიპყრო ჩეხეთი. მაგ-რამ იმის შემდეგ, რაც ომიდან გამოვიდა ბავარია, ფრიდრიხ მეორე იძულებული იყო, ხელი მოეწერა სეპარატულ ზავზე ავსტრიას-

თან. ამ დრეზდენის ზავის მიხედვით, სილეზია პრუსიას რჩე-ბოდა, თავის მხრივ, პრუსიის მეფე აღიარებდა ფრანც სტეფანის - მარია ტერეზიის მეუღლის არჩევას გერ-მანიის იმპერატორად.

გამოიყენეს რა ავსტრია-პრუსიის ომი, საფრანგეთმა და ინგლისმა, 1743 წელს დაიწყეს ომი სავაჭრო და კოლონიური უპირატესობისთვის. საფრანგეთ-ინგლისის მეტოქეობა, დაწ-ყებული ომიდან ავსტრიის მემკვიდრეობისთვის, და, გან-საკუთრებით, 1743 წელს პარიზსა და მადრიდს შორის საოჯ-ახო პაქტის ხელმოწერის შემდეგ, მრავალი წლით გამოდის საერთაშორისო ურთიერთობების წინა პლანზე. საფრანგეთი გამარჯვების მოპოვებას ვარაუდობდა ინგლისის იმ მოკავ-შირეების განადგურებით, რომლებიც კონტინენტზე იყვნენ. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა ამგვარი მიდგომის სიმცდარე, რადგან ინგლისი სხვადასხვა ხერხის, მათ შორის მოსყიდვის, გამოყენებით ყოველთვის ახერხებდა მოკავშირეების პოვნას.

ავსტრიის მემკვიდრეობისთვის ომს არაფერი გადაუწყვე-ტია ინგლის-საფრანგეთის დავაში. მაგრამ საფრანგეთის მიერ სამხრეთ ნიდერლანდების ოკუპაციამ და ჰოლანდიის დაპ-ყრობის მუქარამ მაინც აიძულა ინგლისი უარი ეთქვა თავის დაპყრობებზე ამერიკაში და იმ უპირატესობებზე, რომლებსაც იძლეოდა ინგლისელთა ბატონობა ზღვაზე. მრავალწლიანი ბრძოლის ამ გამოცდილებამ გამოავლინა წამყვანი ევროპული სახელმწიფოების ძალთა შეფარდება, აგრეთვე მათი ძირით-ადი საგარეო- პოლიტიკური მიზნები.

ავსტრიის მთელი პოლიტიკა 1748 წლის აახენის ზავის შემ-დეგ მიმართული იყო დაპირისპირებაზე ფრიდრიხ მეორის დაპყრობითი გეგმების წინააღმდეგ. კაუნიცს, რომელიც სათ-ავეში ჩაუდგა ავსტრიის საგარეო პოლიტიკას, ესმოდა, რომ ინგ-ლისის დახმარებას პრუსიის წინააღმდეგ, რომელთანაც პირ-

ველს არ აქვს არანაირი წინააღმდეგობა, გარდა იმისა, რომ პრუსია არის საფრანგეთის მოკავშირე, ძალზე შეზღუდული იქნება. ნაკლებად მოსალოდნელი იყო სრული დახმარება რუ-სეთის მხრიდანაც, სადაც იყვნენ რუსეთ-ავსტრიის თანამშრომლობის თავისი მომხრეებიცა და მოწინააღმდეგებიც.

ახალი ევროპული კონფლიქტის საბაბი გახდა ინგლისის მისწრაფება უსაფრთხო გაეხადა ჰანოვერის მომავალი, რომლის კურფიურსტები 1714 წლიდან იმავდროულად ინგლისის მეფეები იყვნენ. ჰანოვერი ინგლისისთვის მნიშვნელოვან ფორპოსტს წარმოადგენდა კონტინენტზე. იმავდროულად ითრევდა რა ინგლისს კონფლიქტებში, რომლებიც ევროპის ჩრდილოეთში ხდებოდნენ. ეშინოდა რა იმის, რომ ჰანოვერი არ დაეპყრო საფრანგეთის მოკავშირე ფრიდრიხ მეორეს, ინგლისი შეეცადა დაყრდნობოდა რუსეთის დახმარებას, რომელიც, თავის მხრივ, სიფრთხილით უყურებდა პრუსიის გაძლიერებას. სწორედ, ამაზე იყო მიმართული 1755 წელს ხელმოწერილი სანქტ-პეტერბურგის კონვენცია.

ავსტრია ამ პირობებში ცდილობდა საფრანგეთის გადმობირებას, სთავაზობდა რა მას სილეზიის დაბრუნების შემთხვევაში ფლანდრიას, რომლის დაპყრობას ვერსალი უშედეგოდ ცდილობდა რამდენიმე კონფლიქტის მსვლელობაში. გარდა ამისა, ვერსალში გაძლიერდა ეგრეთ წოდებული „ავსტრიის პარტია“, რომელსაც მარკიზა პომპადური თავობდა. მაგრამ ლუდოვიკო XV-ს ვერანაირად ვერ გადაეწყვიტა წასვლა კავშირების ძველი სისტემის კარდინალურ გადასინჯვაზე.

პრუსია, თავის მხრივ, ცდილობს შეინარჩუნოს კავშირი საფრანგეთთან. იმავე დროს, 1755 წელს, ფრიდრიხ მეორე ცდილობს კავშირის მიღწევას ინგლისთან. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისთან კავშირის საფუძველი უნდა გამხდარიყო ჰანოვერის დაცვა საფრანგეთის თავდასხმისგან.

1756 წლის იანვარში ხელი მოეწერა ვესტმინსტერის კონვენციას, რომლის შესაბამისად, პრუსიამ აიღო ვალდებულება, თვითონ დაეცვა და სხვა გერმანულ სახელმწიფოებისგანაც მიეღწია ნეიტრალიტეტის დაცვისთვის ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომის შემთხვევაში. ამ კონვენციის დახმარებით ინგლისი ცდილობდა, გამოეყვანა ევროპული კონფლიქტი მომავალი ინგლის-საფრანგეთის ომის სფეროდან. მიუხედავად იმისა, რომ საქმის ამგვარი ვითარება საშუალებას აძლევდა საფრანგეთს, არ დაეხარჯა თავისი ძალები კონტინენტზე მოქმედებებისთვის, ის ლონდონსაც აძლევდა საშუალებას, არ ჩაბმულიყო კონფლიქტებში, რომლებშიც მისი პერსპექტივები სულაც არ იყო ბრწყინვალე. ვესტმინსტერის კონვენცია არ იყო ხელშეკრულება ინგლის-პრუსიის კავშირის შესახებ, მაგრამ მან ბოლო დაუდო ჯერ კიდევ არსებულ საფრანგეთ-პრუსიის კავშირს.

1756 წლის 1 მაისს ვერსალში ხელი მოეწერა საფრანგეთ-ავსტრიის შეთანხმებას ნეიტრალიტეტის და თავდაცვის შესახებ, რომლის მიხედვით, მხარეები ვალდებული იყო დახმარებოდნენ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი გახდებოდა თავდასხმის ობიექტი ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან, გარდა ინგლისისა. ეს ხელშეკრულება ხსნიდა საფრანგეთის მიერ სამხრეთ ნიდერლანდების ოკუპაციის შესაძლებლობას, რითაც გამორიცხავდა ჰოლანდიის მონაწილეობას ანტიფრანგულ კოალიციებში. საფრანგეთი უარს ამბობდა ფრიდრიხ მეორესთვის მიცემულ გარანტიაზე, რომ სილეზია შენარჩუნებული იქნებოდა პრუსიის შემადგენლობაში.

მოკლე ხანში მიღწეული იქნა შეთანხმება ვენასა და სანქტ-პეტერბურგს შორის და დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთ-

რუსეთის კავშირის შექმნაზე. სამთა კავშირი, რომელსაც „კაუნიცის კოალიცია“ ეწოდა, ძალზე რეალური გახდა. 1756 წლის მაისში ხელი მოეწერა რუსეთ-ავსტრიის კონვენციას პრუსიის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების შესახებ.

ფრიდრიხ მეორე 7-წლიან ომს იწყებს საქსონიის დაპყრობით. მიუხედავად პირველი გამარჯვებებისა, პრუსიას არ შეეძლო ეფიქრა სერიოზულ უპირატესობებზე. ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ომის ფონზე დაიწყო ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ორთაბრძოლა კოლონიებში. 1756 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისელთა მოქმედებების საპასუხოდ საფრანგეთმა დაიპყრო ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძული მენორკა, რომელსაც უტრეხტის ზავის დროიდან ინგლისი აკონტროლებდა. 1757 წელს ინგლისის ჯარები დამარცხდა ფრანგებთან ჰანოვერში და მხოლოდ შემდეგ წელს მათ შეძლეს დაებრუნებინათ კონტროლი ამ ტერიტორიებზე. მიუხედავად ამისა, უილიამ პიტი უმცროსი, რომელიც დადგა ინგლისის საგარეო პოლიტიკის საჭესთან, მოქმედებებს ევროპაში მეორეხარისოვან საქმედ თვლიდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა მოეგო ომები ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში.

ომი კოლონიებში ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა, მაგრამ თანდათან იჩინა თავი ინგლისის ეკონომიკურმა და საზღვაო უპირატესობამ. 1758 წელს მისმა ჯარებმა დაიკავეს ლუისბორგი და მონრეალი. კანადა ინგლისელთა ხელში გადავიდა. ერთი წლით ადრე ინგლისის ჯარებმა დაიპყრეს ბენგალია, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს სრულ ბატონობისკენ ინდოეთში. მათ ხელში ჩაიგდეს ზოგიერთი კოლონიაც დასავლეთ აფრიკაში. ინგლისის ამ წარმატებებმა სრულიად რეალური გახადა ანტიინგლისური კოალიციის ჩამოყალიბება ევროპის კონტინენტურ სახელმწიფოებისგან, რომლებიც

ინგლისის კოლონიური იმპერიის გაფართოებას თვლიდნენ ევროპაში „ძალთა ბალანსის დარღვევად.“

1761 წლის აპრილში დაიწყო მოლაპარაკებები ინგლისსა და საფრანგეთს შორის, მაგრამ მშვიდობა არცერთ მხარეს არ უნდოდა. ესპანეთი, რომელიც საუცხოოდ უწყოდა, რომ ინგლისი საფრანგეთის შემდეგ ხელს ესპანური კოლონიური იმპერიისკენ წაიღებს, დათანხმდა ოჯახური ხელშეკრულების (საფ-რანგეთისა და ესპანეთის ბურბონებისა) განახლებაზე. 1762 წელს მადრიდმა ომი ინგლისის წინააღმდეგ დაიწყო აგრესიით ინგლისთან მჭიდროდ დაკავშირებული პორტუგალიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს გამოსვლები წარუმატებლად დამთავრდა ესპანეთისთვის.

1763 წლის 10 თებერვალს ინგლისმა მის მიერ დაპყრობილი ფრანგული დესპანური კოლონიების მხოლოდ ნაწილი დააბრუნა, დაიტოვა რა კანადა და ინდოეთში შეძენილის უმეტესი ნაწილი, აგრეთვე ესპანეთის ფლორიდა. საფრანგეთმა დაიბრუნა მარტინიკა და გვადელუპა, კუბა დაუბრუნდა ესპანეთს. მიუხედავად იმისა, რომ პონდიშერი საფრანგეთმა დაიბრუნა, საკითხი, თუ ვინ გააკონტროლებს ინდოეთს, უკვე გადაწყვეტილი იყო.

იმპერატრიცა ელისაბედის გარდაცვალებამ და ტახტზე ფრიდრიხ მეორეს თაყვანისმცემელი პეტრე მესამის ასვლამ გამოიწვიეს პრუსიის საწინააღმდეგო კოალიციის დაშლა. 1763 წლის 15 თებერვალს საფრანგეთ-ავსტრიას და პრუსიას შორის სტატუსკვოს შენარჩუნების საფუძველზე, დაიდო გუბერტსბურგის ზავი.

პარიზის ზავის შემდეგ, XVIII საუკუნის ბოლომდე, ევროპაში არ ყოფილა ომი წამყვან სახელმწიფოებს შორის. ეს მთელი რიგი მიზეზებით აიხსნებოდა. ჯერ ერთი, რუსეთ-პრუსიის და-

ახლოებით რომლებსაც მოგვიანებით ავსტრია შეუერთდა. ეს დაახლოება ეყრდნობოდა პოლონეთის დანაწილებაზე მიმართულ საერთო ინტერესებს. მეორე, ინგლისი იძულებული იყო, ებრძოლა თავისი გავლენის შენარჩუნებისთვის ჩრდილოამერიკულ კოლონიებში, ამიტომ, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ევროპაში დამყარებულიყო გარკვეული სტაბილურობა.

შვიდწლიანი ომის შედეგად ევროპის რუკა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ტახტზე ასულმა იოსებ მეორემ შეინარჩუნა კაუნიცის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ინარჩუნებდა რა კავშირს საფრანგეთთან, რომელიც 1770 წელს დაიდო, ვენა შეეცადა გაეძლიერებინა თავისი მდგომარეობა ბავარიის შემოერთებით, რომლის კურფიურსტს სანაცვლოდ უნდა მიეღო სამხრეთი ნიდერლანდები. იოსებ მეორის შეხედულებით, ამას შეეძლო ხელი შეეწყო კონსოლიდაციისთვის ჰაბსბურგების სამფლობელოებისა, რომლებიც არა იმდენად ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდნენ, რამდენადაც სხვადასხვაგვარ ელემენტებისგან შეკოწიწებულ რთულ ორგანიზმს.

1777 წელს ისე გარდაიცვალა ბავარიის კურფიურსტი, რომ პირდაპირი მემკვიდრე არ დაუტოვებია, მაგრამ, ვენის გეგმებს ხელი შეუშალა ფრიდრიხ მეორემ, რომელიც გადაჭრით გამოვიდა ავსტრიის განზრახვათა წინააღმდეგ. ის თვლიდა, რომ ამ უკანასკნელთან ბავარიის შეერთება დაარღვევდა ძალთა ბალანსს გერმანულ მიწებზე. ფრიდრიხმა შეძლო იმპერატო- რის წინააღმდეგ გერმანელ მთავართა კავშირის შეკვრა.

თავის მხრივ, ფრიდრიხ მეორე არ თვლიდა მყარად ავსტრია-რუსეთის კავშირს ბალკანეთში რუსეთის გაძლიერების გამო და თვითონ მიისწრაფოდა ჰქონოდა რუსეთთან სტაბილური ურთიერთობები (მით უმეტეს, რომ რუსეთსა და პრუსიას შორის არ იყო გადაუწყვეტელი წინააღმდეგობები), იმედოვნებდა რა რუსეთის გამოყენებას ვენის წინააღმდეგ შესაძლო ომში.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო ჩრდილოეთამერიკული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. ჩარლზ დევენანტი, XVII საუკუნის დასასრულის - XVIII საუკუნის დასაწყისის ინგლისელი ეკონომისტი, რომელიც ძლიერ იყო დაკავებული საგარეო ვაჭრობის საკითხებით და გარდაიცვალა 1714 წელს იმპორტისა და ექსპორტის მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე, წერდა, რომ თუ კოლონიები (ამერიკაში) ინგლისისგან დამოუკიდებლად ივაჭრებენ, მაშინ ისინი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდებიან. სწორედ, ვაჭრობის თავისუფლება იყო მთავარი წყარო მეტროპოლიის ბრძოლისა თავის კოლონიებთან ამერიკაში. ინგლისის მიერ კანადის დაპყრობამ კიდევ უფრო გააღრმავა ეს კონფლიქტი, რამეთუ მოიხსნა მუქარა საფრანგეთის მხრიდან, რომელიც განსაზღვრავდა კოლონისტების დამოკიდებულებას მეტროპოლიის სამხედრო ძლიერებაზე.

მთავარი, რის იმედი შეიძლება ჰქონოდა ლონდონს, იყო მეორეხარისხოვანი სახელმწიფოების სამხედრო მხარდაჭერა პოლიტიკური ან სუფთა ფინანსური ხასიათის კომპენსაციის სანაცვლოდ. მაგრამ დასაწყისიდანვე საუბარი წავიდა ევროპის მონარქისტული სახელმწიფოების შეიარაღებულ გამოსვლაზე აჯანყებული კოლონიების მხარდასაჭერად.

ასე, საგარეო საქმეთა მინისტრი ვერჟენი თვლიდა, რომ ამერიკული კოლონიების მხარდაჭერა საფრანგეთს შესაძლებლობას მისცემს რევანში აიღოს შვიდწლიანი ომისთვის და დაიბრუნოს ოდინდელი ძლიერება და სიდიადე. მით უმეტეს, რომ საფრანგეთს შეუძლია მიაღწიოს ყველაფერ ამას ინგლისთან ღია სამხედრო კონფლიქტში ჩაბმის გარეშე, რაც საშიში იყო სერიოზული ფინანსური სიძნელეების გამო.

ესპანეთი, რომელსაც არ სურდა ინგლისისთვის დახმარების გაწევა, ამ კონფლიქტისადმი მეტი სიფრთხილით იყო განწყობილი, სამართლიანად მიიჩნევდა რა, რომ ახლო მომავალ- ში თვით ამერიკული კოლონიები გახდებოდა ესპანეთის მეტოქეები ამერიკის კონტინენტზე. ავსტრიის მიმართ კი უნდა ითქვას, რომ იოსებ მეორე, „მონარქიული სოლიდარობის“ საფარქვეშ, მიისწრაფოდა მაქსიმალური სარგებლობის მიღებისკენ შექმნილ ვითარებაში.

რუსეთმა, რომელთანაც შეთანხმებას დაჟინებით ცდილობდა ინგლისი, განაცხადა თავისი ნეიტრალიტეტის შესახებ, შექმნა რა შეიარაღებული ნეიტრალიტეტის ლიგა, რომელშიც ასევე შევიდნენ ავსტრია და პრუსია. მოცემულ პირობებში კოლონიების გამარჯვება სრულიად შესაძლებელი იყო. და თუ ინგლისმა 1783 წლის პარიზის ზავით, აღიარა რა ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობა, შეძლო მთლიანობაში ვითარების შენარჩუნება, ეს მხოლოდ იმ შიშზე თამაშით, რომელსაც ამერიკელებში იწვევდა საფრანგეთის და ესპანეთის ექსპანსიონისტური გეგმები.

ფაქტიურად კი, რეალური ვითარების, ჩრდილოეთ ამერიკაში რევოლუციის შედეგების შეუქცევადობის აღიარებამ გზა გაუხსნა მსოფლიო არენაზე ინგლისის პოზიციების აღდგენას, რომელიც ეყრდნობოდა ქვეყნის სწრაფ სამრეწველო განვითარებას.

2. რევოლუციური და ნაპოლეონის ომები (1792 – 1815 წწ.)

რევოლუციურმა მოვლენებმა საფრანგეთში, განსაკუთრებით, საფრანგეთის რევოლუციის იდეებმა, სერიოზული გავლენა მოახდინეს ევროპულ საზოგადოებასა და ევროპაში სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე XIX საუკუნეში. უკვე 1792 წლის გაზაფხულიდან დაიწყო ომების გრძელი რიგი, რომელიც თითქმის მეოთხედ საუკუნეზე გაგრძელდა და თანდათან მთელი ევროპას მოიცვა. ხანგრძლივმა და სისხლისმღვრელმა ომებმა დააუძლურეს ევროპა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ყველა ქვეყანა მიისწრაფოდა მყარ და მდგრად მშვიდობისკენ. ამგვარი, შედარებით საიმედო მსოფლიო წესრიგი დამყარდა ვენაში. საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემა საკმაოდ სტაბილური და მყარი აღმოჩნდა. ვენის სისტემის წყალობით, შესაძლებელი გახდა ევროპის გადარჩენა დიდი სახელმწიფოების პირდაპირი შეტაკებებისგან.

1789 წლის დიდი საფრანგეთის რევოლუციის დაწყების შედეგად, ფაქტიური ხელისუფლება ქვეყანაში აღმოჩნდა დამფუძნებელი კრების ხელში, რომლის უმრავლესობა წარმოადგენდა დედაქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის და ლიბერალური თავადაზნაურობის ინტერესებს. დეპუტატები თავის მთავარ ამოცანად თვლიდნენ საფრანგეთში კონსტიტუციური მმართველობის შემოღებას. მეფე ლუდოვიკო XVI და მისი ოჯახი აღმოჩნდნენ რევოლუციის მძევლები: მონარქია უხალისოდ ღებულობდა მისი ხელისუფლების ახალ-ახალ შეზღუდვებს. 1791 წლის 21 ივნისის ღამეს მეფის ოჯახი უშედეგოდ ცდილობდა პარიზიდან გაქცევას აღმოსავლეთ საზღვრისკენ, სადაც თავმოყრილი იყო კონტრრევოლუციის ძალები. ამოცნობილი

ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრებლის მიერ, მეფე და მისი თანამგზავრები დააკავეს ვარენთან და უკან პარიზში დააბრუნეს. ზომიერი კონსტიტუციონალისტების მიერ პროპაგანდირებულმა კავშირმა ერისა და მონარქისა, ვერ გაუძლო დროით გამოცდას და ჩამოიშალა - მათი ვერსია მეფის „მოტაცების“ შესახებ აბსოლუტური აბსურდი აღმოჩნდა. ნათლად გამოაშკარავდა დინასტიის კავშირი კონტრრევოლუციურ ემიგრაციასა და მის მხარდამჭერ უცხოეთის სასახლეებთან (პირ-ველ რიგში, ავსტრიასა და პრუსიასთან).

პარიზში გაიშალა აგიტაცია რესპუბლიკისა და მეზობელ მონარქიებთან რევოლუციური ომის მხარდასაჭერად, რომელიც, როგორც ელოდნენ, ჩაშლის კონტრრევოლუციის გეგმებს და, სრულიად შესაძლებელია, გააქრობს ტახტიდან ლუდოვიკო XVI-ს. ამ იდეის ყველაზე მხურვალე მხარდამჭერი გახდა პუბლიცისტი ჟან პიერ ბრისო, რომელმაც მაშინ პოპულარობა მოიპოვა. 17 ივლისს კი, ლაფაიეტის ეროვნულმა გვარდიამ დახვრიტა რესპუბლიკური მანიფესტაცია მარსის მოედანზე. ზომიერ კონსტიტუციონალისტებსა და ხალხს შორის კავშირის გაწყვეტა სისხლით აღინიშნა.

27 აგვისტოს გაისმა ვარენის კრიზისის კიდევ ერთი ექო. ავსტრიის და პრუსიის მეფეებმა პილნიცეში ხელი მოაწერეს დეკლარაციას მოწოდებით ევროპის ყველა სახელმწიფოსადმი დახმარება გაეწიათ საფრანგეთში მონარქისტული მმართველობის აღდგენაში. ქვეყანას ახალი გამოცდები და რევოლუციის ახალი, უფრო რადიკალური ფაზა ელოდა.

1791 წლის სექტემბერში დამტკიცდა კონსტიტუციის სრული ტექსტი. დეპუტატებმა შეასრულეს თავისი მისია და ხელისუფლება საკანონმდებლო კრებას გადასცეს. ძალთა შეფარდება ხელისუფლების ამ ახალ ორგანოში სრულიად განსხვავებულად ჩამოყალიბდა. მისი მარჯვენა ფლანგი შეადგინეს იაკობინელთა კლუბიდან გამოსულმა ზომიერმა კონსტიტუციონალისტებმა, რომლებმაც ცალკე კლუბი შექმნეს ფელიანების მონასტერში. მარცხენა ფლანგზე უმრავლესობაში აღმოჩნდნენ ბრისოს მომხრეები, ანუ, ჟირონდისტები (რიგი დეპუტატი წარმოადგენდა ჟირონდის დეპარტამენტს), რომლებიც საპორტო ქალაქების - მარსელის, ბორდოს, ნანტის მსხვილი და, ნაწილობრივ, საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. პროვინციის ბურჟუაზია არ იყო ისე დაკავშირებული მონარქიასთან, როგორც დედაქალაქის. დაინტერესებული თავისი პოზიციების განმტკიცებაში როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე, ის გადაჭრით იცავდა ლიბერალიზმის პრინციპებს, მზად იყო რევოლუციის გაღრმავებისა და მისი ექსპორტისთვის საფრანგეთის საზღვრებს გარეთ.

იმის იმედით, რომ ომი გამოიწვევს კონტრრევოლუციის გამარჯვებას და ძველი წესრიგის რესტავრაციას, ლუდოვიკო XVI-მ ჟირონდისტებს მინისტრთა პორტფელები მისცა. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა, საკვანძო ახალ მთავრობაში, დაიკავა გენერალმა დიუმურიემ, რომელიც რევოლუციური ომის მომხრეებს კარიერისტული მოსაზრებებიდან გამომდინარე მიემხრო. 1792 წლის 20 აპრილს საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ავსტრიას; პრუსიამ ამ უკანასკნელს მხარი დაუჭირა. ომისთვის ცუდად მომზადებული ფრანგული არმია შეიჭრა ბელგიაში, რომელიც ავსტრიელ ჰაბსბურგთა სამფლობელოს წარმოადგენდა და მოკლე ხანში დამარცხდა. ივლისისთვის საფრანგეთს რეალურად დაემუქრა უცხოური ინტერვენცია. საკანონმდებლო კრება იძულებული იყო გამოეცხადებინა მოწოდება: „სამშობლო საფრთხეშია“. მთელ ქვეყანაში იქმბოდა მოხალისეთა (ფედერატების) რაზმები, რომლ-

ებიც პარიზისკენ მიემართებოდნენ. ფართოვდებოდა მოძრაობა სამხედრო დამარცხებების პოლიტიკური მიზეზის - მონარქისტული ხელისუფლების მოცილებისთვის. ინიციატივა რესპუბლიკურ პროპაგანდაში გადავიდა იაკობინელთა კლუბის მემარცხენე ნაწილის, მაქსიმილიან რობესპიერის და მისი მომხრეების ხელში, რომლებიც ძალადობრივი მოქმედებების წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ როდესაც პრუსიის ჯარების სარდალი, ბრაუნშვეიგის ჰერცოგი პარიზელებს ანგარიშსწორებით დაემუქრა, თუკი ისინი თუნდაც უმცირეს შეურაცხყოფას მიაყენებდნენ მეფეს, და დაპირდა, რომ საფრანგეთში სრული მოცულობით აღადგენდა მონარქისტულ ხელისუფლებას, სანკიულოტებმა და ფედერატებმა აჯანყება დაიწყეს. 1792 წლის
10 აგვისტოს მათ მეფის სასახლეს - ტიუილრის შეუტიეს.

ლუდოვიკო გადააყენეს, მონარქია ჩამოაგდეს, მასთან ერთად კი დაეცა ძველი ყაიდის რეჟიმი მსხვილი ბურჟუაზიის - საკანონმდებლო კრების მემარჯვენე უმრავლესობის ხელისუფლებისა. ფელიანები კონტრრევოლუციის ბანაკში გადავიდნენ. რობესპიერის წინადადებით გადაწყდა ახალი კონსტიტუციის შემუშავებისთვის საყოველთაო კენჭისყრით აერჩიათ ეროვნული კონვენტი. 1792 წლის სექტემბერში, მას შემდეგ, რაც ციხე-სიმაგრეები ლონგვი და ვერდენი ჩააბარეს, უცხოური შემოსევის მუქარა უფრო მეტად მიუახლოვდა პარიზს. მაგრამ მოხალისე სანკიულოტებმა და ფედერატებმა, ფრონტზე წასვლასა და ამ მუქარის მოხსნამდე, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ჩაატარეს პარიზის ციხეებში, რათა „შეთქმულებს“ (მათ შორის კი აღმოჩნდნენ არამარტო კონტრრევოლუციონერები და არანაფიცი მღვდლები, არამედ, უბრალოდ, სისხლის სამართლის დამნაშავეები, მაწანწალები და მეძავეები) „ზურგში დანა არ ჩაერტყათ პატრიოტებისთვის“. 2-5 სექტემბრის ხოცვა-ჟლეტა

წარმოადგენს მწვერვალს იმ სტიქიური „პირველი ტერორისა“, რომელმაც მთელ ქვეყანას გადაუარა, პროლოგს ორგანიზებული ტერორისა.

20 სექტემბერს, ვალმისთან, საფრანგეთის არმიამ, რომელსაც პარიზიდან ჩამოსული მოხალისეები დაემატა, მოიგერია ბრაუნშვეიგის ჰერცოგის ჯარისკაცების შეტევა. 10 დღის შემდეგ მან გასცა ბრძანება უკანდახევის შესახებ. კამპანიაში დადგა გარდატეხის მომენტი. მოკლე ხანში ფრანგი პატრი-ოტები შევიდნენ ბელგიაში, რეინის სამთავროებში, ნიცასა და სავოიაში. რევოლუციის მონაპოვარი ტერიტორიულად ფართოვდებოდა: აქ უქმდებოდა წოდებრივ-ფეოდალური წყობა, ყალიბდებოდა მუნიციპალიტეტები და ა. შ. ცხადდებოდა რევოლუციური ომის პრინციპი: “მშვიდობა ქოხმახებს, ომი სასახლეებს“. აღნიშნული მიწების ანექსიის საფუძველი მისცა ჟორჟ დანტონის დოქტრინამ საფრანგეთის „ბუნებრივი საზღვრების“ შესახებ, შემოფარგლული რაინით, ალპებით და პირენეებით.

1793 წელს სიკვდილით დასჯამ მეფისა, რომელსაც ბრალი სახელმწიფო ღალატში ედებოდა, საბაბი მისცა პირველი კოალიციის შექმნას კონვენტის მიერ გამოცხადებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელმაც დიდ სამხედრო წარმატებებს მიაღწია. კოალიციის შემადგენლობაში, გარდა ავსტრიისა და პრუსიისა, შევიდნენ ინგლისი (საფრანგეთის ბატონობა რეინზე ძირს უთხრიდა მის სავაჭრო ინტერესებს კონტინენტზე), ესპანეთი და ჰოლანდია. რესპუბლიკამ მათგან მარცხი განიცადა ბელგიასა და რეინის მიწებზე. გენერალმა დიუმურემ ღალატი ჩაიდინა. სამხედრო მარცხს აძლიერებდა გლეხთა აჯანყება როიალისტებისა და კათოლიკე მღვდლების ხელმძღვანელობით ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, ვანდეაში.

1793 წლის ზაფხულში რესპუბლიკის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გახდა. ვანდეას კერა გაფართოვდა, კოალიციის ჯარები შეტევას განაგრძნობდნენ. პროვინციაში მოხდა განდევნილი ჟირონდისტების მიერ გამოწვეული „ფედერალისტური ამბოხება“ პარიზის „ტირანიის“ წინააღმდეგ, რომელმაც მოიცვა 50-დე დეპარტამენტი 83-დან. მათ შორის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქები: ლიონი, მარსელი, ბორდო, ნანტი. ტულონი და მისი სამხედრო-საზღვაო ესკადრა მეამბოხეებმა ინგლისელებს ჩააბარეს.

ამ საგანგებო პირობებში კონვენტში მთის ლიდერების ირგვლივ შეიქმნა ბლოკი, რომელიც იაკობინელთა გარშემო პირობითად აერთიანებდა რევოლუციის ყველა მომხრეს. იაკობინელთა ბლოკი იყო პოლიტიკური ძალების დროებითი და წინააღმდეგობრივი კოალიცია. მათი საერთო ამოცანა იყო რესპუბლიკის დაცვა შიდა და გარეშე მტრებისგან, მაგრამ სხვა ყველაფერში ისინი ნაკლებად შეთანხმებულები იყვნენ. მაგრამ ეს გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, იმის გათვალისწინებით, რომ მათი ნაწილი ორიენტირებული იყო ლუმპენებისა და მათთან დაახლოებული ფენების მოთხოვნებზე, მეორე ნაწილი იცავდა ინტერესებს ახალი ბურჟუაზიისა, რომელიც გამდიდრდა ეროვნული ქონების ფონდიდან მიწების შესყიდვაზე, სამხედრო მიწოდებებსა და რესპუბლიკისთვის მიცემულ კრედიტებზე.

1793 წლის შემოდგომა-ზამთარში რესპუბლიკამ მიაღწია ვითარების რადიკალურ შეცვლას თავის სასარგებლოდ შიდა და გარე ფრონტებზე. ამ გამარჯვებათა მიზეზებს შორის, გარდა რევოლუციური ძალადობისა (ტერორი, მდიდრებზე შეწერილი იძულებითი სესხები, რეკვიზიციები ანაზღაურების გარეშე), უნდა დასახელდეს ახალი თვისება საფრანგეთის არმიისა, რომლის მშენებლობა დაიწყო საყოველთაო სამხედრო ვალდებუ-

ლების და ოფიცერთა თანამდებობების თავისუფლად დაკავების პირველად შემოღებულ პრინციპებზე. 1794 წლის 26 ივნისს ფლერიუსთან დამარცხდნენ ავსტრიელთა ძირითადი ძალები და ბელგიაზე შეტევისთვის გზა გაიხსნა. იაკობინელ-თა დიქტატურამ თავისი ამოცანა შეასრულა და ისტორიის სცენიდან წავიდა.

1795 წლის აგვისტოში კონვენტმა დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია ქონებრივი ცენზით, ორპალატიანი საკანონმდებლო კორპუსით (500-ის საბჭო და უხუცესთა საბჭო) და 5-ადამიანისგან შემდგარი დირექტორიით აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში. მაგრამ მას არ შეეძლო, მიეცა ახალი მესაკუთრეებისთვის უსაფრთხოების შეგრძნება, სრულიად მოეხსნა, ერთი მხრივ, კონტრრევოლუციური რესტავრაციის, მეორე მხრივ, იაკობინიზმის მუქარა. ქვეყანას არყევდა ხან მემარცხენე, ხან მემარჯვენე ხასიათის “შეთქმულებები“, ძლიერდებოდნენ ვანდეას მომხრეები. დირექტორია მერყეობდა, გამომდინარე ძალთა შექმნილი შეფარდებიდან.

მოცემულ პირობებში სტაბილურობის ერთადერთი ფაქტორი რესპუბლიკის არმია იყო. იაკობინელების მიერ შექმნილი მოწინავე პრინციპებზე, ის წარმატებით იბრძოდა ევროპის ქვეყნების ჯარების წინააღმდეგ. 1795 წლის განმავლობაში კოალიციას ჩამოსცილდნენ, მოაწერეს რა ხელი ზავს საფრანგეთთან, ჯერ პრუსია, რომელმაც აღიარა მისი უფლებები რეინის მარცხენა ნაპირზე, შემდეგ კი ესპანეთი. ჰოლანდიის ტერიტორიაზე საფრანგეთმა შექმნა პირველი „შვილობილი“ (ვასალური) ბატავის რესპუბლიკა, აგრეთვე მოახდინა ბელგიის ანექსია. 1796-1797 წლების კამპანიის მსვლელობისას, იტალიაში მყოფმა საფრანგეთის არმიამ, 27 წლის გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს მეთაურობით, დაამარცხა ავსტრიის ჯარი და ვენა

იძულებული იყო, ხელი მოეწერა დაზავებაზე კამპო-ფორმიოს მახლობლად, ეღიარებინა საფრანგეთის საზღვარი რეინზე და ბელგიის ანექსია. ამის საკომპენსაციოდ ავსტრიას გადაეცა გაუქმებული ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორიები (გარდა იონიის კუნძულებისა, რომლებიც საფრანგეთმა ჩაიგდო ხელში). იტალიასა და შვეიცარიაში ფუძნდებოდა რიგი „შვილობილი“ რესპუბლიკებისა, რომელთა მთელი სიმდიდრე, დაწყებული ხელოვნების ნიმუშებით და დამთავრებული მრავალმილიონიანი კონტრიბუციებით, გახდა ფრანგი გენერლების, ხელისუფალთა და მათი კრედიტორების საკუთრება.

პირველი კოალიცია დაიშალა, მაგრამ ინგლისი განაგრძნობდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომს ზღვაზე. 1798 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა მეორე კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელშიც შევიდნენ რუსეთი, ავსტრია, შვედეთი, ნეაპოლიტანიის სამეფო, თურქეთი და თვით ინგლისი. ავსტრიისა და რუსეთის გაერთიანებულმა ჯარებმა ა. ვ. სუვოროვის სარდლობით დაამარცხეს ფრანგები იტალიაში, „შვილობილი“ რესპუბლიკები დაეცა. რუსეთ-თურქეთის ფლოტილიამ კი თ. თ. უშაკოვის მეთაურობით გაათავისუფლა იონიის კუნძულები. ეგვიპტეში გაგზავნილი ნაპოლეონის არმია, რომელსაც უნდა შეერყია ინგლისის საზღვაო ძლიერება და ამ ქვეყნის კავშირი მის უმდიდრეს კოლონია - ინდოეთთან, უფრო ადრე ხაფანგში აღმოჩნდა: ინგლისის ფლოტმა ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით გაანადგურა საფრანგეთის ფლოტი.

სამხედრო წარუმატებლობებმა დააჩქარა სამხედრო გადატრი-ალება, რომლის მამოძრავებელი ძალა გახდა არმია, სიმბოლო კი განთქმული გენერალი ბონაპარტე, დაბრუნებული ეგვიპტიდან. VIII-წლის 17-18 ბრიუმერს (1799 წლის 9-10 ნოემბერი) დირექტორიის ხელისუფლება ჩამოაგდეს, 1795 წლის

კონსტიტუცია კი გააუქმეს. ეს რევოლუციის დასასრულს ნიშნავდა.

ნაპოლეონის მეორე იტალიური ლაშქრობისას საფრანგეთმა აღადგინა მის მიერ ევროპაში დაკარგული პოზიციები. ავსტრიასთან ლიუნევილის 1801 წლის მშვიდობიანი ხელშეკრულება მეტწილად იმეორებდა კამპო-ფორმიოს შეთანხმებას. საფრანგეთის საზღვრის გასწვრივ აღადგენდნენ „შვილო-ბილი“ რესპუბლიკების ჯაჭვს. უფრო ადრე რუსეთი გამოვიდა კოალიციის შემადგენლობიდან. 1802 წლის მარტში კი საფრანგეთს ამიენში დაუზავდა მისი ყველაზე თავგამოდებული მოწინააღმდეგე ინგლისი. ის დათანხმდა დაებრუნებინა საფრანგეთის ზოგიერთი კოლონია, მაგრამ მას არ უღიარებია არც საფრანგეთის „ბუნებრივი საზღვრები“, არც მისი „შვილობილი“ რესპუბლიკები. ამრიგად, ამიენის ზავი იყო დროებითი შეჩერება ორი დიდი სახელმწიფოს ბრძოლაში სტრატეგიული, სავაჭრო და კოლონიური ჰეგემონიისთვის. მაგრამ, ისე ჩანდა, თითქოს რესპუბლიკამ საბოლოოდ გაიმარჯვა ყველა თავის მტერზე.

ნაპოლეონის - ერის მშვიდობისმყოფელის და გადამრჩენის სახელი - ცამდე ამაღლდა. 1802 წელს საყოველთაო სახალხო კენჭისყრის შედეგად, ის გახდა კონსული მუდმივი ვადით, 1804 წელს კი საფრანგეთის იმპერატორი. ეს არ იყო ძველი ყაიდის მონარქიის რესტავრაცია, თუმცა ზოგიერთი გარეგნული ფორმა, მაგალითად, არისტოკრატიული წოდებები, სწორედ იქიდან იყო აღებული. ნაპოლეონი-იმპერატორი სიმბოლო გახდა გვირგვინშემკობილი, ესე იგი, სამუდამოდ ქცეული რევოლუციისა, მისი პირადი ხელისუფლება ბურჟ-უაზიული მონაპოვრების გარანტია იყო.

ნაპოლეონის ომებს, რომლებიც მოკლე ხანში დაიწყო, წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა. საფრანგეთის არმიას თან

მოჰქონდა რევოლუციის იდეები და განწყობა, მაგრამ მას ამოძრავებდა მისწრაფება ძარცვასა და ტერიტორიულ დაპყრობებისკენ. საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციების მონაწილეები ძირითადად მისდევდნენ ძველი წესრიგის რესტავრაციის და საკუთარი აგრესიის მიზნებს. ამავე დროს ფეოდალური მონარქიები იძულებული იყვნენ ადაპტაცია მოეხდინათ დროის მოთხოვნებთან. ისინი ბურჟუაზიულ რეფორმებზე მიდიოდნენ, გარდაქმნიდნენ თავის იდეოლოგიას. ნაპოლეონისეული ბატონობა აღვიძებდა დამორჩილებული ხალხების პატრიოტულ გრძნობებს, იწვევდა განმათავისუფლებელ, სულით ბურჟუაზიულ მოძრაობებს. ასე, საფრანგეთის ომებში ევროპულ კოალიციებთან „რეაქციულობის სული“ ეხამებოდა „აღორძინების სულს“ (კ. მარქსი). გზა ბურჟუაზიული ცივილიზაციისკენ გარდაუვლად გადიოდა სამხედრო ხოცვა-ჟლეტაზე.

ომი ინგლისთან უკვე 1803 წელს განახლდა. 1805 წელს კი ჩამოყალიბდა საფრანგეთის საწინააღმდეგო მესამე კოალიცა, რომელშიც ინგლისი, რუსეთი, ავსტრია და ნეაპოლიტანიის სამეფო შევიდნენ. 1805 წლის ოქტომბერში ნელსონმა გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტზე ტრაფალგარის ბრძოლაში, სამაგიეროდ ნაპოლეონმა დეკემბერში აუსტერლიცთან ბრძოლაში აანადგურა ავსტრია-რუსეთის ჯარები. მესამე კოალიცია დაიშალა. ავსტრიამ ხელი მოაწერა პრესბურგის მშვიდობიან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, საფრანგეთს გადაეცემოდა ყოფილი ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორიები. ნაპოლეონის იმპერია ბალკანეთამდე გაიშალა, ესაზღვრებოდა რა თურქეთის სულთნის იმპერიას.

ახლადშექმნილ მეოთხე კოალიციაში შევიდნენ ინგლისი, რუსეთი, შვედეთი და პრუსია, რომელსაც შეეშინდა ნაპოლეონის დამკვიდრებისა რეინის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მან 16

სახელმწიფოს კავშირი შექმნა. ბრძოლებში იენასთან და აუერშტადთან პრუსია განადგურდა. ამის შემდეგ, 1806 წლის ნოემბერში, ბერლინში ნაპოლეონმა ხელი მოაწერა დეკრეტს კონტინენტური ბლოკადის შესახებ. იმპერატორი დარწმუნებული იყო, რომ ბრიტანეთის კუნძულების სრულიად ევროპული ბლოკადის მიღწევისას, მას შეეძლო ომი მოგებულად ჩაეთვალა. ინგლისი, საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციების სულისჩამდგმელი და დამფინანსებელი, დამარცხებული იქნება, რამეთუ მთელი მისი სიძლიერე დამყარებულია საზღვაო ვაჭრობაზე, რომლის საბოლოო წერტილი ევროპის კონტინენტია.

ფრიდლანდთან (აღმოსავლეთი პრუსია) მძიმე ბრძოლის შემდეგ, ნაპოლეონთან დაზავებაზე დათანხმდა რუსეთი. შეთანხმებას ხელი 1807 წლის ივლისში ტილზიტში მოეწერა, მეოთხე კოალიცია დაიშალა. მხოლოდ ალექსანდრე პირველის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად პრუსიამ განაგრძნო თავისი არსებობა, თუმცა, შეკვეცილი სახით. პრუსიის მფლობელობაში ყოფილ პოლონურ ტერიტორიებზე შეიქმნა საფრანგეთზე დამოკიდებული ვარშავის საჰერცოგო, რომელმაც მოგვიანებით პრეტენზია განაცხადა იმ მიწებზე, პოლონეთის დანაწილების შედეგად პეტერბურგს რომ ერგო. ტილზიტის შემდეგ, რუსეთი უნდა შეერთებოდა კონტინენტურ ბლოკადას, რაც მის სავაჭრო ინტერესებს უპირისპირდებოდა. მშვიდობა საფრანგეთთან ომით იმუქრებოდა, რომელიც მხოლოდ გადაიდო 1812 წლამდე.

1808 წელს საფრანგეთმა დაიპყრო პირინეის ნახევარკუნძული, მაგრამ ესპანელი ხალხი აჯანყდა და დაიწყო განმანთავისუფლებელი პარტიზანული ომი. ნაპოლეონის სიძნელეები იმწამსვე გამოიყენეს ინგლისმა და ავსტრიამ, რომლებმაც მორიგი, მეხუთე კოალიცია შეადგინეს. ვაგრამთან ბრძოლაში 1809 წლის ივლისში ფრანგებმა ისევ გაიმარჯვეს. შენბრუნის ზავის

მიხედვით, ავსტრია, რომელმაც დაკარგა გალიცია და თავისი ბალკანური სამფლობელოების ნაწილი და გახდა მორჩილი პაიკი ნაპოლეონის თამაშში, მიუერთდა კონინენტურ ბლოკადას.

საფრანგეთის „დიდი არმიის“ განადგურებამ რუსეთში (1812 წელი) და რუსეთის არმიის საზღვარგარეთის ლაშქრობების დაწყებამ გამოიწვია მეექვსე კოალიციის შექმნა ინგლისის, რუსეთის, პრუსიის, შვედეთის, ესპანეთის, პორტუგალიის და (1813 წლის აგვისტოდან) ავსტრიის შემადგენლობით. 1813 წლის ოქტომბერში ლაიპციგთან შედგა „ხალხების ბრძოლა“, მთავარი მოცემულ კამპანიაში. ნაპოლეონმა რაინის იქით დაიხია. შემდეგ, 1814 წლის მარტში კი კოალიციის წევრები შევიდნენ პარიზში. საფრანგეთში ტახტზე აღადგინეს ბურბონთა დინასტია (მეფე გახდა სიკვდილით დასჯილის ძმა - პროვანსის გრაფი - ლუდოვიკო XVIII). ნაპოლეონი გაემართა ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძულ ელბაზე, შეინარჩუნა რა სიცოცხლის ბოლომდე იმპერატორის ტიტული.

მაგრამ რესტავრაცია შეფერხდა. ნაპოლეონი, რომელმაც მოახერხა 1000-კაციანი დესანტით გადმოსხმა ქვეყნის სამხრეთში, 1815 წლის მარტში დაბრუნდა პარიზში და ახალი არმია შეკრიბა. ლეგენდამ კვლავ შეიძინა სისხლი და ხორცი. საფრანგეთი კვლავ იყო თავისი იმპერატორის, რევოლუციის იმპერატორის მხარეზე. ნაპოლეონის უპრეცედენტო „100 დღე“ შეწყვიტა დამარცხებამ, განცდილმა 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოოსთან უკანასკნელ, მეშვიდე კოალიციასთან ბრძოლაში. ამჯერად „ურჩხული“ გადაასახლეს შორეულ წმინდა ელენეს კუნძულზე, საიდანაც გამოქცევა შეუძლებელი იყო.

იმპერიის განადგურებამ გამარჯვებული სახელმწიფოების წინაშე რთული ამოცანა დააყენა - როგორ მოქცეოდნენ საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის ომების მემკვიდ-

რეობას? დარეგულირების მთავარ პრინციპად ითვლებოდა ლეგიტიმიზმი (ლათინურ legos- კანონისგან), რომლის მიხედვით, უნდა ყოფილიყვნენ აღდგენილი ყველა კანონიერი ხელისუფლება. მაგრამ ის ეწინააღმდეგებოდა ევროპის დაშოშმინების, ომებისა და რევოლუციების შეწყვეტის აშკარად გამოკვეთილ მიზანს. ცვლილებები, რომლებიც მოხდა განვლილი საუკუნის მეოთხედის განმავლობაში, იმდენად რადიკალური და, იმავდროულად, ადეკვატური იყო რეალობასთან, რომ ადრინდელი წესრიგის სრული აღდგენა ფაქტობრივად ახალ რევოლუციურ აფეთქებას და ახალ ომს ნიშნავდა. საჭირო იყო, კომპრომისის სათანადო დონის მონახვა და კონტინენტზე ძალთა მყარი ბალანსის შექმნა უპირატესობაზე ოთხი დიდი სახელმწიფოს - ინგლისის, რუსეთის, ავსტრიის, პრუსიის პრეტენზიის გათვალისწინებით.

ამ თავსატეხის გადაჭრით დაკავდა კიდეც ვენის კონგრესი, რომელიც შესვენებებით მუშაობდა 1814 წლის სექტემბრიდან 1815 წლის ივლისამდე. მისი მუშაობის შედეგებმა, აგრეთვე ზოგიერთმა წინანდელმა და შემდგომი დროის აქტებმა, შეადგინეს ჩონჩხი „ვენის სისტემისა,“ რომელმაც ევროპაში დაახლოებით 40 წლის განმავლობაში, უფრო სწორედ, ყირიმის ომამდე იარსება. საფრანგეთი დაუბრუნდა ომისწინანდელ საზღვრებს და გახდა კონსტიტუციური მონარქია, ცვლილებები საკუთრების მიმართ დამოკიდებულებაში ხელშეუხებლად აღიარეს. ცენტრალურ ევროპაში ტერიტორიები ნაწილობრივი გადანაწილდა ავსტრიასა და პრუსიას შორის (იხ. თავი, მიძღვნილი გერმანიისა და იტალიის გაერთიანებისადმი). რუსეთმა დაადასტურა ადრინდელი ტერიტორიული შენაძენები (ბესარაბია, ფინეთი) და მიიღო ვარშავის საჰერცოგოს მიწები, როგორც საკუთარი კონსტიტუციის მქონე პოლონეთის სამეფო.

ინგლისმა გაზარდა საკუთარი კოლონიების რიცხვი საფრანგეთის, ჰოლანდიის, ესპანეთისა და პორტუგალიის ზღვისგაღმა სამფლობელოების ხარჯზე.

ვენის კონგრესმა მიიღო დეკლარაცია, რომელიც გმობდა მონებით ვაჭრობას, დაადგინა ნაოსნობის თავისუფლება ევროპის მდინარეებზე (რეინი, ვისლა) და დაამტკიცა ძირითადად ამჟამადაც მოქმედი კონვენცია დიპლომატიური რანგების უფროსობის შესახებ.

„ვენის სისტემის“ ფუნქციონირების თავისებური ინსტრუმენტი გახდა მონარქიებისა და ხალხების წმინდა კავშირი, შექმნილი რუსი იმპერატორის ინიციატივით. დროთა განმავლობაში, ამ კავშირში გაწევრიანდა ევროპის ყველა მონარქია, რომის პაპის, თურქეთის სულთნის და ინგლისის გამოკლებით. წმინდა კავშირმა რევოლუციურ ძალადობას იდეურად დაუპირისპირა სიკეთისა და სამართლიანობის ქრისტიანული პრინციპები. უფრო მეტი, დასაწყისში მისი საქმიანობის ერთერთი მიმართულება იყო ევროპის მშვიდობიანი ადაპტაცია დროის მოთხოვნებთან ზომიერი კონსტიტუციების ამოქმედების გზით. მაგრამ მოგვიანებით, წმინდა კავშირმა დაიწყო ევროპული რევოლუციისა და ეროვნული მოძრაობების საწინააღმდეგო „ჯენდარის“ როლის შესრულება, ცდილობდა რა გადაერჩინა ისტორიის მიერ სიკვდილისთვის განწირული რეჟიმები.

3. საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა

ნაპოლეონის საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები მივიდნენ დასკვნამდე,

რომ იმდროინდელი ევროპის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა საერთოევროპული კონგრესის მოწვევა, სადაც შეიძლებოდა კიდეც ყველა პრობლემის განხილვა და ომისშემდგომი დარეგულირების კონსენსუსით მიღებული ვარიანტის შემუშავება. 1814 წლის გაზაფხულზე რუსეთმა პირველმა წამოაყენა კონგრესის იდეა, მაგრამ მოკავშირეები ცდილობდნენ მისი გახსნა შემოდგომამდე გაეჭიანურებინათ.

კონგრესი გაიხსნა 1814 წლის 1 ოქტომბერს და გაგრძელდა 1815 წლის ივლისამდე. რთული დისკუსიების მსვლელობისას მოხერხდა შეთანხმება საერთო პრინციპებზე, რომლებზეც აიგო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი მოდელი.

პირველი, საჭირო იყო საფრანგეთის ირგვლივ შექმნა ჯებირისა, რომელიც რაიმე გართულებების შემთხვევაში შესაძლებელს გახდიდა მის იზოლირებას.

მეორე, საჭირო იყო შენარჩუნება ძალთა ბალანსისა, რომელიც ჩამოყალიბდა ნაპოლეონზე მოკავშირეთა გამარჯვების შედეგად.

მესამე, გადაწყდა, რომ საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიციის წევრებმა უნდა მიიღონ კომპენსაცია ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისთვის.

მეოთხე, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების საფუძლად დაიდო ლეგიტიმიზმის პრინციპი.

ამ საერთო პრინციპების საფუძველზე, წყდებოდა ომისშემდგომი დარეგულირების კონკრეტული საკითხები.

9 ივლისს ხელი მოეწერა 121 მუხლისა და 17 დანართისგან შემდგარ „დასკვნით აქტს“ ვენის კონგრესისა. მათი არსი შემდეგში იყო:

საფრანგეთი კარგავდა ყველა დაპყრობილ ტერიტორიას და მისი საზღვრები უბრუნდებოდა 1790 წლის მდგომარეობას. საფრანგეთში უნდა აღმდგარიყო ბურბონთა დინასტია და მის ტერიტორიაზე დროებით რჩებოდა მოკავშირეთა ჯარები.

ავსტრიამ დაიბრუნა ლომბარდია და მიიღო ვენეცია. პრუსიას უერთდებოდა რაინის ოლქი, პომერანია და ჩრდილოეთ საქსონია. ინგლისმა გააფართოვა თავისი კოლონიური იმპერია ტობაგოს, ტრინიდადის, ცეილონის. მალტის, გვიანის და კაპის კოლონიის ხარჯზე.

პოლონეთის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყდა. ვარშავის საჰერცოგოს ადგილზე იქმნებოდა პოლონეთის სამეფო, რომელსაც ალექსანდრე პირველმა კონსტიტუცია აჩუქა. ასევე აღიარეს რუსეთის ადრინდელი შენაძენები: ბესარაბია და ფინეთი.

ჰოლანდიის შემადგენლობაში შევიდა ბელგია. დანიამ მიიღო შლეზვიგი და ჰოლშტინია. აღდგა პაპის ოლქი, ნეაპოლიტანიის სამეფო და შვეიცარია, რომელიც ნეიტრალურ ქვეყანად ცხადდებოდა. რამდენადმე გაფართოვდა სარდინიის სამეფოს საზღვრები, დაშვებული იქნა შვედეთისა და ნორვეგიის უნია.

გერმანიის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული წინააღმდეგობები არ ყოფილა: ყველა დიდ სახელმწიფოს სურდა გერმანიის დაქუცმაცების განმტკიცება. ამის შედეგად შეიქმნა 38 სახელმწიფოსგან შემდგარი ე. წ. გერმანული კავშირი. საერთო-გერმანულ საკითხებს წყვეტდა გერმანული სეიმი, რომელშიც პრუსიაც და ავსტრიაც შევიდნენ, მაგრამ წამყვან როლს ამ გაერთიანებაში მაინც ავსტრია თამაშობდა. მეტერნიხის ჩანაფიქრით, კავშირი უნდა ქცეულიყო ჯებირად საფრანგეთის ექსპანსიონისტური ჩანაფიქრების რეალიზაციის გზაზე, სეიმი განლაგებული იყო მაინის ფრანკფურტში, მას ავსტრიის წარმო-

მადგენელი თავმჯდომარეობდა. ხმები ისე ნაწილდებოდა, რომ ყველაფერს ავსტრია წყვეტდა. ამრიგად, კავშირის შექმნის მიზანი იყო არა გერმანელი ხალხის, არამედ პირიქით, მისი დაქუცმაცებულობის კონსოლიდაცია. ვენის კონგრესზე, გარდა ტერიტორიული პრობლემებისა, განიხილებოდა რიგი ეკონომიკური და დიპლომატიური საკითხი. ასე, მიიღეს გადაწყვეტილება მონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ (1815 წლის 8 თებერვლის დეკლარაცია „ზანგებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“), ხელი მოაწერეს კონვენციას ევროპულ მდინარეებზე ნაოსნობის თავისუფლების შესახებ, მიაღწიეს შეთანხმებას უცხოელ მოქალაქეთა საკუთრების უფლებათა პატივისცემის შესახებ. 1815 წლის 19 მარტს ხელი მოეწერა „დებულებას დიპლომატიური წარმომადგენლების რანგების შესახებ“. ის ამჟამადაც მოქმედებს. მან ბოლო დაუდო დავებს დიპლომატიური კონფესიების საკითხების გამო. მისი მიხედვით, დგინდებოდა დიპლომატიური რანგები:

ელჩი, პაპის ლეგატი და ნუნცი;

დესპანი (1818 წლიდან ასევე შემოიღეს მინისტრ-რეზიდენტის რანგი); რწმუნებული საქმეებში.

კონგრესზე რუსეთი ასევე ცდილობდა დაეყენებინა საკითხი ოსმალეთის იმპერიასთან დამოკიდებულების შესახებ. მაჰმუდ მეორე არ იყო დაშვებული არც კონგრესზე, არც წმინდა კავშირში. არავის, რუსეთის გარდა, არ აინტერესებდა ქრისტიანი ხალხების მდგომარეობა თურქეთში. 1815 წლის თებერვალში ალექსანდრე პირველი გამოსცემს ნოტას ბალკანეთზე აუტანელი მდგომარეობის შესახებ. რუსეთის იმპერატორი სთავაზობდა, ვენის კონგრესზე განეხილათ ბალკანეთის საკითხი, აგრეთვე საკითხი ოსმალთა იმპერიის მხეცური დამოკიდებულების შესახებ თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომები-

სადმი. მან შესთავაზა, რომ ევროპულ სახელმწიფოებს მისცემოდათ თურქეთის საქმეებში ჩარევის უფლება. რუსი დიპლომატები ვარაუდობდნენ, რომ მოცემული ცირკულარის მიღება განამტკიცებდა რუსეთის მდგომარეობას ბალკანეთში, მაგრამ დანარჩენმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ამ საკითხის განხილვაზე.

იმ დროს, როდესაც დიდი სახელმწიფოები წყვეტდნენ ომისშემდგომი ევროპის ბედს, მოვლენები მოულოდნელად განვითარდა. ნაპოლეონმა ფარულად დატოვა კუნძული ელმბა, აღმოჩნდა პარიზში და აღადგინა საფრანგეთის იმპერია. დაიწყო ნაპოლეონის ასი დღე (1815 წლის 20 მარტი - 18 ივნისი). ლუდოვიკო XVIII გაიქცა პარიზიდან. 1815 წლის 18 ივნისს მოხდა ბრძოლა ვატერლოოსთან, რომელშიც ინგლის-პრუსია-ავსტრიის ერთიანმა ჯარმა დაამარცხა ნაპოლეონი, რის შემდ- ეგ მოხდა ბურბონთა მეორე რესტავრაცია საფრანგეთში.

კონგრესზე განსაკუთრებული ადგილი ეკავა პრობლემას, დაკავშირებულს წინადადებასთან შექმნილიყო წმინდა კავშირი - მონარქიული სახელმწიფოების ორგანიზაცია, რომელსაც უნდა დაეცვა ევროპა რევოლუციური იდეებისგან.

1815 წლის 26 სექტემბერს პარიზში, შეთანხმებას წმინდა კავშირის შექმნის შესახებ ხელი მოაწერეს ალექსანდრე პირველმა, ფრანც პირველმა და ფრიდრიხ ვილჰელმ მესამემ.

თავდაპირველად, წმინდა კავშირი წარმოადგენდა შეთანხმებას რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის ურთიერთდახმარების შესახებ. კავშირში შესვლას სხვა ქვეყნებსაც სთავაზობდნენ. საბოლოო შედეგად კავშირს არ შეუერთდნენ მხოლოდ თურქეთი, ასევე დიდი ბრიტანეთი, რამეთუ მისი პრინცრეგენტი კონსტიტუციური ვალდებულებებით იყო შებოჭილი.

მიუხედავად ამისა, ინგლისმა განუცხადა ალექსანდრე პირველს, რომ ეთანხმება წმინდა კავშირის პრინციპებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა მოდელს, შექმნილს ვენაში, გააჩნდა როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ვენის სისტემა საკმაოდ სტაბილური და მდგრადი აღმოჩნდა. მისი წყალობით ათეული წლების მანძილზე შესაძლებელი გახდა, ევროპის გადარჩენა დიდი სახელმწიფოების პირდაპირი შეჯახებისგან. თუმცა სამხედრო კონფლიქტები დროდადრო ხდებოდა. კონგრესის მიერ შემუშავებული მექანიზმი საშუალებას იძლეოდა, საკმაოდ სწრაფად და დიდი დანაკარგების გარეშე მოეწესრიგებინათ სადავო საკითხები.

მეორე მხრივ, ვენის სისტემა სუსტად ითვალისწინებდა საფრანგეთის რევოლუციის იდეების გავლენას ევროპულ ცივილიზაციაზე. ლეგიტიმურობის პრინციპი სულ უფრო ხშირ- ად მოდიოდა წინააღმდეგობაში ლიბერალურ იდეასთან, ეროვნული თვითშეგნების ზრდასთან.

წმინდა კავშირის შექმნა არ წყვეტდა იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის არსებობდა.

პირველი, ავსტრიას და რუსეთს შორის. მეტერნიხს ეშინოდა როგორც რევოლუციური მოძრაობის, ისე რუსეთის, ამასთან, ეს უკანასკნელი ავსტრიისთვის უფრო საშიშიც იყო. ავსტრიელებს ასევე აწუხებდათ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. როდესაც საფრანგეთის მეფე გახდა კარლოს მეათე, რუსეთის იმპერატორი კი ნიკოლოზ პირველი, ეს კავშირი უფრო მჭიდრო გახდა. რუსეთს ასევე აშინებდა რევოლუციური მოძრაობაც (დეკაბრისტთა აჯანყება და აჯანყებები პოლონეთში) და წმინდა კავშირის სხვა მონაწილეების (მათ შორის, ავსტრიის) გაძლიერება.

მეორე, პრუსიის პოზიცია სტაბილური არ იყო. იქაც ეშინოდათ რევოლუციის შესაძლებლობისა და საფრანგეთ-რუსეთის კავშირისა, ამიტომ პრუსიამ დაიწყო ავსტრიასთან დაახლოება და რუსეთისგან დაშორება.

კავშირის ყველა წევრს ეშინოდა რუსეთის, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ მას შეუძლია თავისი ჰეგემონიის გავრცელება მთელ კონტინენტზე. ამრიგად, წინააღმდეგობები გამოვლინდა წმინდა კავშირის არსებობის პირველივე წლებიდან და მისი ყურადღება თავდაპირველი მიზნებიდან სხვებზე გადაჰქონდათ. შემდგომმა მოვლენებმა სერიოზულად გამოსცადეს საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემის სიმტკიცე.

1818 წელს აახენში შედგა წმინდა კავშირის პირველი კონგრესი. იქ საფრანგეთმა მიაღწია თავისი ტერიტორიიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანას და შეუერთდა ოთხ გამარჯვებულ სახელმწიფოს. მწვავე კამათი გაიმართა იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც ეხებოდა ესპანეთისთვის ერთობლივი დახმარების გაწევას მის ბრძოლაში აჯანყებული კოლონიების წინააღმდეგ. საფრანგეთი და ავსტრია მზად იყვნენ დახმარება გაეწიათ ესპანეთის მეფისთვის, მაგრამ აქ ბევრი რამ დამოკიდებული იყო ინგლისის პოზიციაზე.

დიდი ბრიტანეთი, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელი არ მოუწერია ოქმზე, ყოველთვის იყო კავშირის მხარეზე, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ის არჩევდა თავისი ინტერესების შესაბამისად ემოქმედა. ამ ქვეყანაში ძლიერდებოდა დემოკრატიული მოძრაობა სრული რეფორმებისთვის. ეროვნული ბურჟუაზია საყოველთაო საარჩევნო უფლებას მოითხოვდა. მმართველი წრეები, ლორდ კესტლრის, პრინც-რეგენტ გეორგის სახით, მხარს უჭერდნენ ეროვნული ბურჟუაზიის მოთხოვნებს. ინგლისი არ იყო დაინტერესებული ესპანური კოლონიური იმპერიის

შენარჩუნებით, რადგან თვითონ ცდილობდა შეღწევას ლათინურ ამერიკაში, ასევე არ იყო დაინტერესებული ავსტრიისა და საფრანგეთის გაძლიერებით. საბოლოოდ, ინგლისმა შეძლო ესპანეთისთვის დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების დაბლოკვა.

მეორე კონგრესი შედგა 1820 წელს ტროპაუში. იმ დროს ევროპის პერიფერიაში აჯანყებებმა იფეთქა (ესპანეთი, ნეაპოლი, პიემონტი). ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, მიიღეს ოქმი, რომელიც პრინციპში ამართლებდა ინტერვენციას იმ ქვეყნებში, სადაც რევოლუცია მიმდინარეობდა. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ავსტრიამ მოახდინა ინტერვენცია აპენინის ნახევარკუნძულზე.

მესამე კონგრესზე ლაიბახში (1821 წელი, 12 მაისი) იგივე საკითხები იხილებოდა. თუ იტალიურ სახელმწიფოებში მოხერხდა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობა, ესპანეთსა და პორტუგალიაში რევოლუციები გრძელდებოდა. მდგომარეობა ამ ქვეყნებში გახდა ვერონის კონგრესზე (1822 წელი, ნოემბერი) განხილვის საგანი. 1 დეკემბერს ხელი მოაწერეს (ინგლისმა უარი განაცხადა ამაზე) ვერონის ოქმს ესპანეთის მეფისთვის შეიარაღებული დახმარების გაწევის შესახებ. 1823 წელს საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ ესპანეთში და იქ მოახდინეს მონარქიის რესტავრაცია.

დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებული პოზიცია შემდეგში მდგომარეობდა: რეპრესიული ზომებით შეუძლებელია რევოლუციის ტალღის შეჩერება, კი არ უნდა ებრძოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, პირიქით, მხარი უნდა დაუჭირო მას. ამ თეზისის შესაბამისად, ინგლისმა აღიარა ლათინური ამერიკის ახალი ქვეყნები და გადაჭრით გამოვიდა ესპანეთში ინტერვენციისთვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ.

დიდი სახელმწიფოების ურთიერთობებში გაჩნდა წინააღმდეგობა. მაგრამ რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ეს წინააღმდეგობა არ იზრდებოდა. რადგან გაჩნდა ახალი რთული პრობლემა. 1821 წელს დაიწყო ბერძნების აჯანყება ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. თურქებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიები გაატარეს. დიდ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ ბერძნული საკითხის იგნორირება, თუმცა ის საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო. ერთი მხრივ, ბერძნები აუჯანყდნენ თავის კანონიერ მონარქს და ამრიგად დაარღვიეს ლეგიტიმიზმის პრინციპი. მეორე მხრივ, ოსმალთა იმპერია შედიოდა კრიზისის ზოლში და არ შეეძლო თავისი პერიფერიის გაკონტროლება. დადგა მისი მემკვიდრეობის განაწილების საკითხი.

1823 წელს ინგლისმა ბერძნები მეომარ მხარედ აღიარა. ამის წინააღმდეგ ავსტრია გამოვიდა, რამეთუ აჯანყებულებს მეამბოხეებად თვლიდა. რუსეთის პოზიცია ორგვარი იყო. რუსეთს სერიოზული ინტერესები გააჩნდა ბალკანეთში, და რეალური სახელმწიფო ინტერესები ბერძნების დახმარებისკენ უბიძგებდნენ მას, მაგრამ იდეოლოგიური დოგმები განაწყობდნენ ბერძნების წინააღმდეგ.

1826 წლის გაზაფხულზე რუსეთის ახალმა იმპერატორმა წამოაყენა აღმოსავლეთის საკითხის თავისი გაგება: ვითარება ბალკანეთში, საბერძნეთის გამოკლებით, რუსეთის საქმედ ცხადდებოდა, ბერძნული საკითხი - ყველა სახელმწიფოს საქმედ. ამ საფუძველზე დაისახა ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის პოზიციების დაახლოება ბერძნულ საკითხში. 1827 წელს მოკავშირეთა გაერთიანებულმა ესკადრამ ნავარინოსთან სასტიკად დაამარცხა თურქეთის ფლოტი.

1828 წლის მაისში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1829 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა ადრიანოპოლის ზავს. მის შესაბამისად, სერბია, ვლახეთი და მოლდავეთი ღებულობდნენ ავტონომიას, საბერძნეთი კი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ევროპულმა ქვეყნებმა ის აღიარეს.

ევროპის წამყვან სახელმწიფოებს ესმოდათ, რომ ვენის სისტემის სტაბილურობისთვის მთავარ მუქარას აღმოსავლური საკითხი წარმოადგენდა. მაგრამ 1830 წელს საფრანგეთში დაიწყო რევოლუცია. იმავე წელს რევოლუციები მოხდა ბელგიასა და პოლონეთში. მიუხედავად ამისა, ვენის სისტემის სტაბილურობა შენარჩუნდა.

4. პოლონეთის საკითხი XIX საუკუნის ევროპულ დიპლომატიაში

XIX საუკუნის პოლონეთის საკითხის ახსნისთვის საჭიროა ამ საკითხის ისტორიისადმი, დიპლომატიურ არენაზე მისი გამოსვლის პირობებისკენ დაბრუნება. XVI საუკუნეში მეფის ხელისუფლება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული შლიახეტური სეიმის მიერ, სახელმწიფო ადმინისტრაციის უფლებები ასევე შეზღუდული იყო შლიახტის შეღავათებით. 1572 წელს შეწყდა ჰიპონების დინასტია და დაიწყო არჩევითი მეფეების პერიოდი. მეფეთ შორისი და არჩევნების ხანა თითქმის ყოველთვის ემუქრებოდა სახელმწიფოს შიდა რყევებით, გზას უხსნიდა მაგნატების თვითნებობასა და უცხოური სახელმწიფოების ჩარევას. შლიახტა, რომელსაც ეშინოდა მეფის აბსოლუტური ხელისუფლებისა, იცავდა თავის პრივილეგიებს, ხელს უშლიდა შექმნას რეგულარული, კარგად გაწვრთნილი ჯარისა, რომლის ძალა სახელმწიფოს სიდიდესთან შესაბამისობაში იქნებოდა და უზ-

რუნველყოფდა მისი საზღვრების უსაფრთხოებას. გლეხთა ყმად ყოფნა და მძიმე ვალდებულებები წარმოადგენდნენ სოფლის მეურნეობაში უძრაობის მიზეზს და ამუხრუჭებდნენ ქალაქების ზრდას. საშინელმა ნგრევამ, გამოწვეულმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ომების (შვედების, თათრებისა და თურქების შემოსევები) შედეგად, ეკონომიკური დაცემა გამოიწვია. XVIII საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთის ომის დროს, პოლონეთი გახდა შვედეთის თავდასხმის ობიექტი. ღრმა შიდა განხეთქილების პირობებში პოლონეთს არ ძალუძდა, ქმედითი წინააღმდეგობის გაწევა მტრული ძალების გაძლიერებული მოწოლისთვის. უკანასკნელი ორი მეფის არჩევნები (ავგუსტ მესამის, საქსონიის კურფიურსტის (1733) და სტანისლავ ავგუსტ პონიატოვსკის (1764) ჩატარებული იყო პოლონეთში მდგარი უცხოური ჯარების კონტროლის ქვეშ. პრუსიისა და რუსეთის შემდგომმა ჩარევამ პოლონეთის საშინაო საქმეებში გამოიწვია პარტიზანული ომი, რომლის მიზნები ჩამოყალიბებული იყო შლიახტის წარმომადგენელთა მიერ შექმნილი 1768 წლის ბარის კონფედერაციის მიერ. თუმცა მან თავისი გავლენა ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე გაავრცელა, მისი სოციალური ჩარჩოები ძალიან ვიწრო იყო იმისთვის, რომ გადაზრდილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კონფედერატების დრამატული ბრძოლა, რომელიც 4 წელს გაგრძელდა, დასრულდა იმით, რომ ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა დაიპყრეს რეჩ პოსპოლიტას ტერიტორიის მეოთხედი, სადაც ცხოვრობდა ქვეყნის მთელი მოსახლეობის მესამედი. პოლონეთის პირველი დანაწილების შემდეგ პატრიოტთა ჯგუფმა გაშალა ბრძოლა არსებული წყობის „გასწორების“, საზოგადოებრივი რეფორმების და სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებისთვის. 1791 წლის 3 მაისს დიდმა 4-წლიანმა სეიმმა (1788-1792)

დაამტკიცა კონსტიტუცია, განსაზღვრა ახალი წყობის საფუძვლები. მან გააუქმა მეფეების არჩევითობა და შემოიღო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა, განაახლა და გააძლიერა სახელმწიფო ადმინისტრაცია, გააუქმა „Liberum veto“-ს უფლება, პირობა დადო, რომ შემოიღებდა კანონისა და მთავრობის მეურვეობას გლეხობაზე, გარკვეული უფლებები მიანიჭა მესამე წოდებას. 3 მაისის კონსტიტუციას შეეძლო დახმარებოდა პოლონეთს დაეძლია თავისი დაცემა და უზრუნველეყო საკუთარი დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს არ მოხდა. ანტიფეოდალური რეფორმები, რომლებიც ზღუდავდა მსხვილი მიწათმფლობელების გავლენას ქვეყნის მმართველობაზე, მაგნატების წინააღმდეგობას ეჯახებოდა. ამ უკანასკნელთა შეთქმულებამ (ე. წ. ტარგოვიცეს კონფედერაცია), რომელსაც სამხედრო დახმარება რუსეთმა გაუწია, ფაქტობრივად გააცამტვერა ყველაფერი ის, რაც მიღწეული იყო 4-წლიანი სეიმის მიერ. კონსტიტუციის მომხრეთა წინააღმდეგობა ჩაახშეს, პრუსიამ და რუსეთმა კი 1793 წელს პოლონეთი მეორედ გაიყვეს. ერთი წლის შემდეგ, იფეთქა აჯანყებამ ტადეუშ კოსტიუშკოს მეთაურობით. მისი ჩახშობის შემდეგ, 1795 წელს, ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა დაინაწილეს პოლონეთის დარჩენილი მიწები. რუსეთმა მიიღო ლიტვა, კურლანდია, დასავლეთ ვო-ლინი და დასავლეთი ბელორუსია. პოლონეთმა ხანგრძლივი - 122 წლით დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა.

ევროპულ სახელმწიფოებს 1804-1815 წლების პერიოდის მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური შეტაკებების პირობებში არ შეეძლოთ პოლონეთის საკითხის იგნორირება. მხედველობაში მიიღებოდა პოლონური მიწების გეოგრაფიული მდებარეობა, სტრატეგიული მნიშვნელობა, მსხვილი პოლიტიკური როლი, რომლის შესრულება შეეძლო პოლონეთს იმ დროს არსებულ

ვითარებაში. პოლონეთის საკითხი კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში ნაპოლეონის ომების პერიოდში.

თავადი ადამ ჩარტორიისკი გამოდიოდა პოლონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის ინიციატორად. ის სთავაზობდა რეჩ პოსპოლიტას აღდგენას მის ადრინდელ საზღვრებში (ესე იგი უკრაინის, ბელორუსიის და ლიტვის მიწების ერთად) ალექსანდრე პირველის, როგორც პოლონეთის მეფის სკიპეტრის ქვეშ. ალექსანდრე პირველი ამ გეგმას უყურებდა არა როგორც რეალურ პოლიტიკურ პროგრამას, არამედ როგორც დიპლომატიური ზეწოლის საშუალებას მერყეობაში მყოფ პრუსიაზე. რუსეთის იმპერატორმა შეძლო კავშირის დამყარება ფრიდ- რიხ ვილჰელმ მესამესთან. მაგრამ ის პარალელურად ცდილო-ბდა თავისი პოზიციების განმტკიცებას პოლონეთის შლიახტის წრეებშიც. ნაპოლეონს კი პოლონეთი აინტერესებდა მხოლოდ როგორც სამხედრო პლაცდარმი და სარფიანი კარტი დიპლომატიურ თამაშში. როდესაც ფრანგების გამარჯვებას ფრიდლანდთან (1807 წლის 14 ივლისს) მოყვა რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებები ტილზიტში, ნაპოლეონი ცდილობდა გამოეყენებინა პოლონური მიწები და პოლონური გვირგვინი, როგორც სატყუარა რუსეთის იმპერატორისთვის. მშვიდობიანი მოლაპარაკების დროს ნაპოლეონმა და ალექსანდრემ დადეს ხელშეკრულება ვარშავის საჰერცოგოს შექმნის შესახებ. ის იქმნებოდა რეჩ პოსპოლიტას მეორე და მესამე განაწილების დროს პრუსიის მიერ დაპყრობილი პოლონური მიწების ნაწილიდან. საჰერცოგოს სათავეში დააყენეს საქსონიის მეფე ფრიდრიხ ავგუსტი. გდანსკი ოლქიანად ცხადდებოდა თავისუფალ ქალაქად, ბელოსტოკის ოლქი რუსეთს გადაეცემოდა. პრუსიამ შეინარჩუნა ნაწილი იმ მიწებისა, რომლებიც მას ხელში ჩაუვარდა რეჩ პოსპოლიტას მეორე და მესამე განაწილების დროს. 1807

წლის 22 ივლისს ნაპოლეონმა პოლონელებს კონსტიტუცია მისცა, რომლის მიხედვით, ის თვითონ იყო ნამდვილი მმართველი, ვინც მოქმედებდა თავისი ერთგული მთავრისა და მინისტრების მეშვეობით.

ის განუწყვეტლივ მოითხოვდა საჰერცოგოსაგან ჯარსა და სახსრებს. პოლონეთმა ნაპოლეონის განკარგულებაში გადასცა 40 ათასი ჯარისკაცი. 1808 წლის შემოდგომაზე პოლონელთა სამი პოლკი ჩამოვიდა ესპანეთში აქაურ აჯანყებულებთან საბრძოლველად. ნაპოლეონი კი ავსტრიასთან ახალი ომისთვის ემზადებოდა და მსხვილ ძალებს უყრიდა თავს მის სამხრეთ და დასავლეთ საზღვრებთან, ტოვებდა რა ამგვარად პოლონეთს დაცვის გარეშე. 23 აპრილს ავსტრიელები ვენაში შევიდნენ. მაგრამ მთლიანობაში ომი წარმატებული იყო პოლონეთისთვის. და, თუმცა ვარშავის საჰერცოგო არ იქცა სუვერენულ პოლონურ სახელმწიფოდ, 1809 წლის 14 ოქტომბერს ვენაში ხელმოწერილი მშვიდობიანი შეთანხმების მიხედვით, ავსტრია ვარშავის საჰერცოგოს გადასცემდა დასავლეთ გალიციას, ზამაის ოლქს და ზოგიერთ მიწებს ვისლას მარჯვენა ნაპირზე.

1809 წლის შემდგომი პოლიტიკური ვითარება ევროპაში მოწმობდა დაძაბულობის გაზრდას რუსეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობებში. ნაპოლეონის გეგმებში, რომლებიც მიმართული იყო რუსეთთან ომის მზადებაზე, ვარშავის საჰერცოგოს მნიშვნელოვანი როლი ეთმობოდა. მან რუსეთის ყურადღება ორი მიმართებით მიქცია: პირველი, როგორც მტრის სამხედრო პლაცდარმმა; მეორე, როგორც ოდესღაც რეჩ პოსპოლიტას ხელისუფლებაში მყოფ ლიტვის, ბელორუსიის და უკრაინის მიწებზე შლიახტის წევრთა მღელვარების წყარომ. ალექსანდრე პირველს აწუხებდა საჰერცოგოში საფრანგეთის

საოკუპაციო ჯარების ყოფნა, აგრეთვე პრუსიისა და ავსტრიის დასუსტება, რომლებსაც ის კვლავ თვლიდა თავის მომავალ მოკავშირეებად ნაპოლეონთან ბრძოლაში. საფრანგეთის უზარმაზარი არმია იყო თავმოყრილი პრუსიაში რუსეთისა და ვარშავის საჰერცოგოს საზღვრებზე. ნაპოლეონი უარს ამბობდა 1810 წლის საფრანგეთ-რუსეთის კონვენციის რატიფიცირებაზე, რომელშიც საფრანგეთი ვალდებულებას იღებდა, არ გაეფართოებინა ვარშავის საჰერცოგოს საზღვრები და განაგრძნობდა ალექსანდრე პირველის შანტაჟირებას „პოლონეთის აღდგენის“ მუქარით.

1812 წლის 24 ივნისს საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ რუსეთის იმპერიის საზღვრებში. დაიწყო რუსი ხალხის სამამულო ომი (1812 წლის ივნის - დეკემბერი). განიცადა რა მასში დამარცხება, ნაპოლეონი გაიქცა საფრანგეთში, რუსეთის არმიამ კი დაიწყო თავისი საზღვარგარეთული ლაშქრობები. 1813 წლის მარტში რუსეთის არმიამ დაიკავა ვარშავის საჰერცოგოს ტერიტორია. ალექსანდრე პირველმა დანიშნა საჰერცოგოს დროებითი მთავრობა. პოლონეთის მომავალი ბედის საკითხი ღიად რჩებოდა, ის გადაიქცა ევროპული სახელმწიფოების დიპლომატიური ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ობიექტად.

ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ, რუსული არმიის შეტევის შესაბამისად შეერთებოდნენ ნაპოლეონის საწინააღმდეგო კოალიციას. პირველ რიგში ეს რუსეთის მოწინააღმდეგე პრუსიამ და ავსტრიამ გააკეთეს. ამ პირობებში ალექსანდრე პირველი თავდაპირველად ფარავდა თავის განზრახვას ამ საკითხში. მას არ სურდა ურთიერთობის გართულება პრუსიასა და ავსტრიასთან. ამ უკანასკნელთან მოლაპარაკებებისას რეიტენბახში ალექსანდრე პირველი ძალიან ფრთხილობდა, როდესაც იწყებოდა საუბარი პოლონეთზე. რუსეთ-პრუსიის კონვენ-

ცია ითვალისწინებდა პრუსიის აღდგენას 1806 წლამდე არსებულ საზღვრებში. სანამ საფრანგეთთან ომი მიდიოდა, ინგლისი მხარს უჭერდა პოლონეთის სამეფოს შექმნის გეგმას, მაგრამ 1813 წლის ზაფხულში, ინგლისმა, შეშფოთებულმა რუსული არმიის სწრაფი წინსვლით, დაიწყო აქტიური დაპირისპირება ალექსანდრე პირველის გეგმებისადმი პოლონეთის მიმართ. ვილსონი ურჩევდა პრუსიას მიეღწია იმისთვის, რომ უკანასკნელს გდანსკი შერჩენოდა; ავსტრიას ურჩევდა არ დათანხმებულიყო რუსებისთვის ზამოსტიეს გადაცემაზე; ჩარტორიისკის - ორიენტაცია პრუსიაზე აეღო. ინგლისი ცდილობდა, არ დაეშვა პოლონეთის საკითხის გადაწყვეტა, რათა ის გამოეყენებინა თავისი დიპლომატიური ინტრიგებისთვის რუსეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების წინააღმდეგ. არსებითად, ძირითადი წინააღმდეგობები წამყვან სახელმწიფოებს შორის ვენის კონგრესზე ვლინდებოდა სწორედ პოლონეთის საკითხის განხილვისას. მწვავე დაპირისპირებამ საქსონიის საკითხთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, ინგლის-საფრანგეთის და, მეორე მხრივ, პრუსიას შორის, და იმავე დროს პრუსიისთვის დახმარების გაწევის დაპირებამ რუსეთის მხრიდან გადახარა ბერლინი ალექსანდრე პირველისკენ პოლონეთის საკითხში. საპასუხოდ, 1815 წლის იანვარში ინგლისმა, საფრანგეთმა და ავსტრიამ ხელი მოაწერეს საიდუმლო კონვენციას, მიმართულს რუსეთის და პრუსიის წინააღმდეგ. ალექსანდრე პირველი თანხმდებოდა ავსტრიის მიმართ ტერიტორიულ დათმობებზე (უარის თქმა კრაკოვზე, ველიჩკიზე, ავსტრიისთვის ტერნოპოლის ოლქის გადაცემა). 1815 წლის მაისში ხელი მოეწერა ვარშავის საჰერცოგოსთან დაკავშირებულ შეთანხმებებს რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის. 9 ივნისს კი ვენის კონგრესის გენერალურ აქტს.

პოლონეთის საკითხში რუსეთის წარმატების მთავარი მიზეზები იყო რუსეთის მყარი პოზიცია კონგრესზე, რომელსაც ძირს უმაგრებდა მისი სამხედრო ძლიერება და რუსეთის გადამწყვეტი როლი ნაპოლეონის საფრანგეთის განადგურებაში, სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობის გონივრული გამოყენება და პოლონეთის შლიახტური საზოგადოების თანაგრძნობა ალექსანდრე პირველის გეგმებისადმი. პრუსიამ მიიღო ვარშავის საჰერცოგოს პოზნანის და ბიდგაცის დეპარტამენტები, ავსტრიამ კი - ველიჩკის რაიონი. კრაკოვი, მიმდებარე გარეუბნებით, გადაიქცა „თავისუფალ რესპუბლიკად“ ავსტრიის, პრუსიის და რუსეთის პროტექტო-რატის ქვეშ, დარჩენილი ტერიტორია შეუერთდა რუსეთს და შეადგინა პოლონეთის სამეფო. 1815 წელს ალექსანდრე პირველმა პოლონეთს კონსტიტუცია მისცა.

მეორე აჯანყებამ პოლონეთში (1830-1831) გააუარესა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა და გადაჭრით გააძლიერა ნიკოლოზ პირველის პოზიციები. პოლონეთის შლიახტის დაპყრობითი მისწრაფებები ლიტვის, ბელორუსიის, უკრაინის მიმართ უკვე 1831 წლის 25 იანვრამდე (როდესაც ნიკოლოზ პირველი ჩამოაგდეს პოლონეთის ტახტიდან) აადვილებდა რუსეთის მოლაპარაკებას დასავლეთ ევროპის დიპლომატებთან. მეფის მთავრობამ განაცხადა, რომ მეამბოხეებმა იარაღი ხელში აიღეს არა 1815 წლის ქარტიების შენარჩუნების, არამედ რუსეთის გუბერნიების დაპყრობის მიზნით. მეტერნიხმა და ფრიდრიხ-ვილჰელმ მესამემ ხელი მოაწერეს კონვენციას ნიკოლოზ პირველთან. ის მიმართული იყო აჯანყებული პოლონელების წინააღმდეგ. ინგლისს პოლონეთი არ აინტერესებდა. საფრანგეთს თავდაპირველად სურდა, ერჩია მეფისთვის, მიეცა ამნისტიის პირობა თავისი „აჯანყებული ქვეშევრდომებისთ-

ვის“, დაემტკიცებინა საკონსტიტუციო უფლებები პოლონეთისთვის და გაევრცელებინა ისინი ლიტვაზე, მაგრამ ნიკოლოზ პირველის ჩამოგდების შემდეგ, საფრანგეთმა უარი განაცხადა პოლონეთის მხარდაჭერაზე.

1831 წლის 6-7 სექტემბრის შეტევების შემდეგ ვარშავამ კაპიტულაცია მოახდინა.

1848 წლის გაზაფხულზე პოზნანში მზადდებოდა პოლონური აჯანყება. აჯანყებულები იმედოვნებდნენ, რომ ის გავრცელდებოდა რუსეთის პოლონურ გუბერნიებზე. პრუსიის მეფე ემუდარებოდა ნიკოლოზ პირველს დაეძრა რუსეთის ჯარები პრუსიის პოზნანის საზღვრებისკენ პოლონური მოძრაობის ერთობლივი ძალებით ჩაქრობისთვის. რუსეთის პოლონურ გუბერნიებში მეფემ თავი მოუყარა 420-ათასიან არმიას და აჯანყების ნებისმიერი ცდა იქ შეუძლებელი გახდა. აჯანყებამ მხოლოდ პოზნანი მოიცვა. ის სწრაფად ჩაახშო პრუსიის ჯარებმა. ამან ხელი შეუწყო მეფის რუსეთსა და პრუსიას შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებას. ინგლისი და საფრანგეთი უარყოფდნენ ნებისმიერ აზრს აჯანყებულთა მხარდაჭერის შესახებ.

პოლონეთის 1863 წლის აჯანყების დროს ბისმარკმა გამოაქვეყნა პეტერბურგის კონვენციის შინაარსი, რომლის შესაბამისად რუსეთის ჯარებს პრუსიის ტერიტორიაზეც კი ემლეოდათ უფლება პოლონელი აჯანყებულების დევნისა. ნაპოლეონ მესამე და ინგლისი აცხადებდნენ, რომ პოლონეთი იქცა რუსეთისა და პრუსიის სამართლებრივი შეთანხმებების და დიპლომატიური მოლაპარაკებების საგანი და მათ სურთ მოლაპარაკებების გამართვა ალექსანდრე მეორესთან პოლონეთთან დაკავშირებით. საფრანგეთის მთავრობას პოლონეთის დაცვის საბაბით სურდა ომის დაწყება, რათა რეინის მარცხენა ნაპირზე

მდებარე ტერიტორიები ხელში ჩაეგდო და ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია განემტკიცებინა. საფრანგეთის, ინგლისისა და ავსტრიის პირველი ნოტები გორჩაკოვმა არ მიიღო, ამ დროს კი საზეიმოდ გამოაცხადეს ამნისტია, იმ პირობით, რომ დათქმულ დროისთვის აჯანყებულები დაყრიდნენ იარაღს. ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა რუსეთში თავიანთ მთავრობებს აცნობეს, რომ ალექსანდრე მეორე არ დათმობს შეიარაღებული ბრძოლის გარეშე და თუ ისინი არ აპირებენ ომს, მაშინ თავი უნდა გაანებონ ამ საშიშ თამაშს. მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა მეორეჯერ გააგზავნეს ნოტები, რომელთა მოთხოვნები რუსეთმა უკვე კატეგორიულად და უპირობოდ უარყო. პოლონეთის საკითხი გამოცხადდა საქმედ, რომელიც მხოლოდ რუსეთს და არა ევროპას ეხებოდა. 1863 წლის 26 სექტემბერს ინგლისმა განაცხადა, რომ მას ვერაფერი ვერ აიძულებს, დაიწყოს ომი რუსეთთან პოლონეთის გამო. ამგვარად, საქმე დასრულდა რუსეთის დიპლომატიური გამარჯვებით. ამ აჯანყების შედეგები პოლონეთისა და პოლონელებისთვის ფაქტობრივად კატასტროფული აღმოჩნდა. პოლონეთის სამეფომ, როგორც ავტონომიურმა წარმონაქმნმა, შეწყვიტა თავისი არსებობა.

80-იანი წლებისთვის პოლონეთი ამოვარდა ევროპული სახელმწიფოების ინტერესთა უშუალო სფეროდან. თვით ცნება „პოლონეთის საკითხი“ დარჩა მიმავალ XIX საუკუნეში. ახალმა, XX საუკუნემ კი მოიტანა „ბლოკური პოლიტიკის“ ცნება. დიდი სახელმწიფოების ერთ-ერთ პირველი ბლოკი, გაერთიანება გახდა ანტანტა.

რუსეთის იმპერიას აწუხებდა არამარტო პოლონეთის, არამედ ე. წ. აღმოსავლეთის საკითხიც. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ აღნიშნული საკითხი წარმოშობა მიეკუთვნება ეკატერინე მეორის დროის რუსეთ-თურქეთის ომებს. სწორედ, მაშინ გა-

მოიკვეთა რუსეთის მყარი ინტერესი სრუტეებისა და ხმელთაშუა ზღვისადმი, მისწრაფება მფარველობა გაეწია ახლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელ და ბალკანეთის სლავი ხალხებისთვის, ასევე, წმინდა ადგილების მისაწვდომობის შესაძლებლობა. აღმოსავლეთის საკითხი გამწვავდა XIX საუკუნის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში.

5. აღმოსავლეთის საკითხი წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკაში XIX საუკუნეში. პალესტინა, როგორც წამყვანი ევროპული სახელმწიფოების დაპირისპირების კვანძი

პალესტინა წარმოადგენს სამი რელიგიის - ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის წარმოშობისა და თავშეყრის ადგილს. აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსი ხალხის ურთიერთობათა წარსული და აწმყო არის ამ უძველესი მიწის შესწავლის მნიშვნელობის მაჩვენებელი. გამორჩეულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობის მქონე პალესტინა ყოველ-თვის იწვევდა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ინტერესს. წმინდა ადგილების ფლობის პრობლემა, რომლის დასაბამი იერუსალიმში ჯვაროსნების ლაშქრობების დროში იღებს სათავეს, თავის აპოგეას აღწევს XIX საუკუნის შუა ხანებში და ამოსავალი წერტილი ხდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ბევრი საერთაშორისო კონფლიქტის აღმოცენებისა.

პალესტინის არაბების მიერ დაპყრობის დროიდან (636 წელი), ხანის იმ მცირე მონაკვეთის გამოკლებით, როდესაც ის გათავისუფლებული იყო მუსულმანთა ბატონობისგან ჯვაროსნების მიერ (1099-1187 წწ.), წმინდა მიწა იყო ასპარეზი მუ-

სულმანთა და ქრისტიანთა შორის ბრძოლისა უფლის კუბოს, აგრეთვე ბეთლემის ტაძრის გასაღებებისათვის. ჩვეულებრივად, საფრანგეთის მეფეები თავისთავს თვლიდნენ აღმოსავლეთში კათოლიკური რწმენის მფარველებად. 1740 წლიდან, როდესაც ხელი მოეწერა საგანგებო კაპიტულაციებს, რომლებშიც განმტკიცებული იყო კათოლიკეთა უფლებები წმინდა ადგილებში ღვთისმსახურებაზე, 1744 წლამდე (ქუჩუქ კაინარჯის ზავის ხელმოწერამდე), არავინ ღიად არ ედავებოდა მათ ამ უფლებებს. ამ ზავის ხელმოწერის შემდეგ კი აღმოსავლეთი ქრისტიანები იწყებენ „ფრანკებთან“ ბრძოლას წმინდა ადგილების ფლობისთვის. ყველა დაჩაგრული მართლმადიდებლის მზერა მიმართული იყო რუსეთისკენ, როგორც აღმოსავლეთში მართლმადიდებელი რწმენის ერთადერთ დამცველზე. მაგრამ წინამდებარე ხელშეკრულება არ აძლევდა რუსეთს მართლმადიდებლების პირდაპირი მფარველობის უფლებას. მას შეეძლო მხოლოდ არაპირდაპირი მოქმედება, პორტას მეშვეობით. XVIII საუკუნის მანძილზე თურქეთის მთავრობის ფირმანებით ოსმალთა იმპერიის ქრისტიანთა უფლებების განმტკიცებას არ შეჰქონდა სიცხადე წმინდა ადგილების ფლობის საკითხში. კათოლიკეები, რომლებიც იცავდნენ თავის უფლებებს უფლის საფლავზე და აღდგომის ტაძარზე, საკმაოდ პასიურები იყვნენ იმ მოვლენების მიმართ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. საჩვენებელია ის ფაქტი, რომ როდესაც 1807-1808 წლებში ხანძარმა გაანადგურა აღდგომის ტაძრის ნახევარი, პორტამ აღიარა უფლის საფლავზე გუმბათის აღდგენის უფლების მქონედ ბერძნული სამღვდელოება. დასავლეთ ევროპა, ოდესღაც სისხლის მდინარეებს რომ ღვრიდა ამ სიწმინდის ფლობისთვის, ამჟამად გულგრილად შესცქეროდა მის ნანგრევებს.

როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, 1808 წლის კონფლიქტი, თითქმის 50 წელს რომ შეუმჩნევლად ღვივდებოდა, კვლავ იფეთქებს და იქცევა დიდ საერთაშორისო სკანდალად, რომელშიც ჩაერთვება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები.

XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში ოსმალთა იმპერია ჯერ კიდევ სარგებლობდა სუვერენული სახელმწიფოს ყველა უფლებამოსილებით და ძალიან უარყოფითად უყურებდა მის შიდა საქმეებში ჩარევის ნებისმიერ ცდას. 1826 წელს სულთან მაჰმუდ მეორემ გამოკვეთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებდა კატეგორიულ უარყოფას ნებისმიერი ჩარევისა იმპერიის საშინაო საქმეებში. ამიტომ, თურქეთთან ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობების ერთადერთ ლეგალურ არხად რელიგიური საკითხი რჩებოდა. წმინდა ადგილების ფლობის პრობლემა იყო დისკუსიებისა და განხილვის თემა ევროპული სახელმწიფოების ხელისუფლების კულუარებში და თავის პრაქტიკულ გადაწყვეტას ელოდებოდა.

XIX საუკუნის 30-40-ან წლებში ადგილი ჰქონდა რიგ მოვლენას, რომლებმაც რუსეთს საშუალება მისცა განემტკიცებინა თავისი გავლენა თურქეთში. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო 1832 წელს თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტის მსვლელობაში რუსეთის დესანტის ჩარევა, რომელმაც ბევრი მღელვარება მოუტანა დასავლეთ სახელმწიფოებს, როდესაც ინგლისის და საფრანგეთის ელჩებმა კონსტანტინეპოლში მთელი თავისი გავლენა გამოიყენეს, ითხოვდნენ რა რუსეთის დესანტის სასწრაფო გაყვანას ბოსფორის ნაპირებიდან. თურქეთისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მეფის მთავრობის საერთო პოლიტიკური ხაზით, მიმართულით ოსმალთა იმპერიის მდგრადობის შენარჩუნებაზე, მეორე მხრივ, მისწრაფებით გაემ-

ლიერებინათ რუსეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში. 1833 წლის 8 ივლისის უნქიარ-ისქელესის ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის თავდაცვითი კავშირის შესახებ იყო რუსეთის დიპლომატიის დიდი წარმატება მახლობელ აღმოსავლეთში. შეთანხმებამ გააძლიერა რუსეთის მდგომარეობა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში, გაუხსნა რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას გზა წმინდა ადგილებისკენ, დაასუსტა საფრანგეთის გავლენა. ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის ცდები, მიმართული აღნიშნული შეთანხმების გაუქმებაზე, წარუმატებელი იყო.

XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში მახლობელ აღმოსავლეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა დაპირისპირების ორი კვანძი. პირველი შეიცავდა წინააღმდეგობებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის, გამოწვეულს კონსტანტინეპოლში პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისათვის ბრძოლით. მეორე მიეკუთვნება ეგვიპტეში, სირიასა და ლიბანში ინგლის-საფრანგეთის კოლონიალურ წინააღმდეგობებს. რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგედ მახლობელ აღმოსავლეთში მაშინ გამოდიოდა ინგლისი, რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა სულთანზე, რის შედეგად გარკვეულწილად შესუსტდა რუსების პოზიციები თურქეთში. ამრიგად, საერთაშორისო მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და 30-იანი წლების ბოლომდე რუსეთის მთავრობა ამჯობინებდა, შეენარჩუნებინა თავისუფალი მოქმედების უფლება მახლობელ აღმოსავლეთში. უფრო მეტი, რუსეთის მმართველი წრეები ვერ იტანდნენ სხვა სახელმწიფოების ჩარევას თავის საერთაშორისო საქმეებში.

40-იანი წლების შუახანებისთვის გამოვლინდა ახალი ტენდენცია. ის დაკავშირებული იყო რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების შესუსტებასთან თურქეთში, თანაც

ცარიზმი შეცდომით ვარაუდობდა წასვლას დიდ ბრიტანეთთან შეთანხმებაზე და მისი სახით მოკავშირის პოვნას მახლობელი აღმოსავლეთის საქმეების გადაწყვეტაში. ერთადერთი, რაც რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს აერთიანებდა, იყო ურთიერთქმედება საფრანგეთის დასუსტებაში.

1840 წლის კონვენცია, ხელმოწერილი ლონდონში ინგლისის, რუსეთის, თურქეთის, ავსტრიისა და პრუსიის მიერ, მიმართული იყო საფრანგეთისა და ეგვიპტის წინააღმდეგ. ეს იყო ბრიტანული დიპლომატიის გამარჯვება და რუსეთ-ბრიტანეთის დაახლოებაზე მიმართული ახალი კურსის დასაწყისი. 1840 წლის პირველ კონვენციას მოყვა 1841 წლის ლონდონის მეორე კონვენცია - ხუთი ქვეყნის და თურქეთის ეს ხელშეკრულება სრუტეების დახურვის პრინციპების შესახებ იყო დასუსტების მაჩვენებელი ოსმალთა იმპერიისა, მისი უნარისა შეენარჩუნებინა სრუტეები თავის კონტროლქვეშ, აგრეთვე მაჩვენებელი რუსეთის დასუსტებისა და, მის, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნის, სუვერენულ უფლებებზე დარტყმის მიყენებისა.

ამრიგად, ლონდონის 1840-1841 წლების კონვენციებმა რუსეთს ჩამოართვა ბევრი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლება მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში. მაგრამ რუსეთის მთავრობას არ სურდა ამასთან შერიგება და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მან ნახა აღმოსავლეთში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციების გამაგრებაში, ვისი უფლებები შეზღუდული იყო, მაგრამ მაინც ტოვებდნენ გარკვეულ შესაძლებლობებს მართლმადიდებლობის მხარდაჭერისთვის პალესტინაში. ლონდონის კონვენციებმა რადიკალურად შეცვალეს ცხოვრების პირობები პალესტინაში, რომელზეც ახლა მიპყრობილი იყო დასავლეთის სახელმწიფოების განსაკუთრებული ყურადღება. რიგი შიდა ომის შემდეგ, მეჰმედ

ალი ეგვიპტელი იძულებული იყო დაეტოვებინა პალესტინა, რომელიც ლონდონის 1840 წლის ტრაქტატით დაუბრუნდა თურქეთის მთავრობას. ამ მომენტიდან აღმოსავლეთის საკითხი მწვავე ხასიათს ღებულობს და წმინდა ადგილების პრობლემა ხდება ქვაკუთხედი ბევრი საერთაშორისო პროექტისა, რომელთა მიზანი იყო აღმოსავლეთ ქრისტი-ანებზე მფარველობის მიღება.

იმის შემდეგ, რაც რუსეთმა დათმო თავისი პოზიციები აღმოსავლეთში ქრისტიანი მოსახლეობის დაცვის საკითხში, ყველა წამყვანი სახელმწიფო რიგრიგობით ცდილობდა მისი ადგილის დაკავებას.

აღმოსავლეთში პროტესტანტების დაცვის საკითხში ინგლისისა და პრუსიის პოზიციების, კათოლიკეების დაცვის საკითხში საფრანგეთის პოზიციების გაძლიერების შესაბამისად, მართლმადიდებელთა უფლებები ყველაზე დაუცველი რჩება, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციები კი - საკმაოდ არამყარი. დადგა მომენტი, როდესაც პოლიტიკურ-რელიგიური ფაქტორი გადამწყვეტი გახდა მახლობელ აღმოსავლეთში იერუსალიმის სიწმინდეების ფლობისა და მფარველობისთვის იმპერიალისტთა შორის წინააღმდეგობების გამწვავებაში. ამ საკითხის გამწვავება დაიწყო 1847 წლის მოვლენებით, როდესაც მეტოქე რელიგიების წარმომადგენლებმა ნამდვილი ჩხუბი მოაწყეს ბეთლემში. მხილველთა მოწმობით, გამოყენებული იქნა ჯვრები და სასანთლეები; დაიჭრა ბერძენი ეპისკოპოსი; უკვალოდ გაქრა კათოლიკური ვერცხლის ვარსკვლავი, რომელიც იესოს დაბადების მითიურ ადგილს აღნიშნავდა. 1850 წელს იერუსალიმის პატრიარქმა მიმართა წმინდა პორტას თხოვნით შეეკეთებინათ ღვთის ტაძრის მთავარი გუმბათი. იმავდროულად, ბელგიის მისიამ კონსტანტინეპოლში

დააყენა იერუსალიმის მეფე-ჯვაროსნების საფლავების აღდგენის საკითხი. იმავე დროს პარიზში გაჩნდა კათოლიკე მღვდლის ბორეს ბროშურა, რომელშიც მან ბრალი დასდო პალესტინის მართლმადიდებლურ სამღვდელოებას ზოგიერთი წმინდა ადგილის უკანონოდ დაკავებაში. პრინც ლუდოვიკო-ნაპოლეონმა, რომელსაც სურდა უმძლავრესი კათოლიკური სამღვდელოების მხარდაჭერის მოპოვება, განკარგულება მისცა საფრანგეთის ელჩს კონსტანტინეპოლში გენერალ ოპიკს ენერგიული გამოთქმებით შეეხსენებინა სულთან აბდულმეჯიდისთვის ლათინელთა უფლებების ხელშეუხებლობაზე იერუსალიმში.

თურქეთის მთავრობამ, ჩავარდა რა რთულ მდგომარეობაში, გადაწყვიტა შეექმნა კომისია ქრისტიანული სიწმინდეების ფლობის უფლებებზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. ამ სერიოზული პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. მართლაც, 1740 წელს კათოლიკეებს ეკუთვნოდათ მაცხოვრის სასაფლაო ორივე გუმბათის ქვეშ და არკადა, რომელიც გამოყოფდა მას ბერძნულ ეკლესიისგან, გოლგოთას სამხრეთ ნახევარი, ადამის სამლოცველო, წმინდა ჯვრის სამყოფელი და ბევრი სხვა წმინდა ადგილი იერუსალიმში და მის ფარგლებს გარეთ. მათ ეკუთვნოდათ აგრეთვე დიდი ბეთლემის ტაძარი, რომლის სამი გასაღები (ცენტრალური და გვერდითი შესასვლელების) იყო ლათინელ ბერთა მფლობელობაში. მაგრამ ბერძნულ სამღვდელოებას გააჩნდა რიგი უპირატესობა, განმტკიცებული სულთანთა ფირმანებით. პორტამ, რომელიც ცდილობდა რა მოენახა გამოსავალი რთულ ვითარებიდან, გადაწყვიტა წასულიყო დათმობაზე ორივე მხარის მიმართ.

1851 წელს რუსეთის წარგზავნილმა კონსტანტინეპოლში ტიტოვმა აცნობა, რომ „პორტა იღებს მხედველობაში თავისი ბერძენი ქვეშევრდომების ინტერესს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მხარი დაუჭიროს მართლმადიდებლურ რწმენას“. იმპერატორ ნიკოლოზ პირველმა ასევე პირადი წერილით მიმართა სულთანს, რომელშიც დაჟინებით მოითხოვდა ამ საკითხის გადაწყვეტას მართლმადიდებელთა ღირსების დამცირების გარეშე.

ფრანგების მხრიდან კათოლიკეთა ინტერესებს ენერგიულად იცავდა კონსტანტინეპოლში ახლად ჩამოსული საფრანგეთის ელჩი ლავალეტი. ფრანგმა, უპირველეს ყოვლისა, დასვა საკითხი ეროვნული ღირსების შესახებ, ღიად დაემუქრა რა პორტას მოქმედებაში საფრანგეთის ესკადრის მოყვანით. თურქეთის მთავრობამ, მიიღო რა მხედველობაში რუსეთის ხელმწიფის „შეწუხებულ-მეგობრული“ წერილი და თავისე-ბური ყოყოჩობა საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისა, გადაწყვიტა დათმობაზე წასულიყო რუსეთთანაც და საფრან-გეთთანაც. სულთნის ფირმანში უარყოფილი იყო კათოლიკეთა პრეტენზიების ნაწილი და დადასტურებული ბერძნების შეღავათები. მაგრამ საიდუმლო ინსტრუქციები, გაცემული რუსეთის ელჩზე თურქეთის მთავრობის მიერ, შეიცავდნენ რიგ შენიშვნას წმინდა ადგილების ფლობაზე კათოლიკეთა პრეტენზიების უსამართლობაზე. სულთნის ფირმანის ტექსტი, გაგზავნილი პეტერბურგში, გარკვეულ ხანს უცნობი იყო ფრანგებისთვის, მაგრამ ის დიდხანს არ დარჩენილა საიდუმლოდ და მოკლე ხანში პორტამ მიიღო წერილობითი შეტყობინება საფრანგეთის მთავრობის უკმაყოფილების შესახებ. ამიტომ, გაურკვეველი ვადით გადაიდო მართლმადიდებელთათვის სასარგებლო ფირმანის საზეიმო გაცხადება იერუსალიმში. დადგა

კრიტიკული მომენტი, როდესაც დავა წმინდა ადგილების გამო არ რჩება მხოლოდ ბერძნულ-ლათინურ საქმედ და საერთაშორისო დონეზე გამოდის.

6. აღმოსავლეთის საკითხის გამწვავება და რუსეთის პოლიტიკის გააქტიურება

ყირიმის (აღმოსავლეთი) ომი (1853-1856 წლები) გარდატეხის მომენტი გახდა არამარტო ევროპული სახელმწიფოების ურთიერთობებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ. საერთაშორისო პოლიტიკის და საიდუმლო დიპლომატიის საფუძველში იდო ორი ძირითადი წინააღმდეგობა: ინგლისის და რუსეთის ინტერესების შეჯახება მახლობელ აღმოსავლეთში ოსმალთა სამფლობელოებში უპირატესი გავლენისთვ- ის ბრძოლაში, საფრანგეთ-რუსეთის მეტოქეობა პალესტინ- აში წმინდა ადგილების ფლობის საკითხში.

ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია სერიოზული ცვლილებები რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის შუახანებისთვის რუსეთმა საკმაოდ მყარი პოზიციები დაიკავა ევროპაში და მთლიანად აღმოსავლეთში. ჩაება რა კამათში საფრანგეთთან წმინდა ადგილებში კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების უფლებათა შესახებ, ნიკოლოზ პირველი თვლიდა, რომ დადგა ხელსაყრელი დრო, რათა გამორჩეულად რუსეთისთვის მომგებიანი სახით გადაწყვეტილიყო დიდი ხნის განმავლობაში არსებული და მტკივნეულამდე მისული საკითხი. რუსეთის იმპერატორმა, ჩათვალა თურქეთი „ავადმყოფ ადამიანად“ და გადაწყვიტა, დაეწყო ნია-

დაგის მოსინჯვა ოსმალეთის სამფლობელოების დანაწილებასთან დაკავშირებით.

მალავდა რა თავის პოლიტიკურ ამბიციებს რელიგიურ საფარქვეშ, რუსეთის ხელმწიფემ გადაწყვიტა გაეგზავნა კონასტანტინეპოლში თავისი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, რათა მოეხდინა ზეწოლა სულთანსა და პორტაზე მათგან დათმობების მიღების მიზნით. მისიის სათავეში დაყენებული იყო თავადი ალექსანდრე სერგის ძე მენშიკოვი. დავალება, რომელიც მას უშუალოდ იმპერატორმა მისცა, ორგვარ მიზანს ისახავდა: მას უნდა მიეღო სათანადო ზომები, რათა მოეწესრიგებინა აღმოცენებული შეჯახება თურქეთსა და ჩერნოგორიას შორის, აგრეთვე მხარი დაეჭირა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის და აღედგინა მისი წინად არსებული შეღავათები. გარდა ოფიციალური ზომებისა, ა. ს. მენშიკოვს უფლება ეძლეოდა, შეეთავაზებინა სულთნისთვის საიდუმლო თავდაცვითი კავშირის შეკვრა საფრანგეთის წინააღმდეგ. მას მიეცა ინსტრუქციები ამ საკითხთან დაკავ-შირებით უცხოურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის. ინსტრუქციებში სპეციალურად იყო მითითებული, რომ ელჩი საფრანგეთის მიმართ უნდა მოქცეულიყო „მეგობრულად, მშვიდობიანად, გულთბილად, მაგრამ იმავდროულად ფრთხილად და მტკიცედ, ყოველგვარი უსარგებლო გამოწვევების, მაგრამ ამასთან, ყოველგვარი დათმობების გარეშე“.

თავად ა. ს. მენშიკოვის სამთვიანი უშედეგო მოლაპარაკებები 1853 წლის 22 მაისს კონსტანტინეპოლიდან გამგზავრებ-ით დასრულდა. გამგზავრების წინ მან განაცხადა, რომ თავის დავალებას დასრულებულად თვლის, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს არ შეუძლია თავისი ღირსების ხელყოფის, ახალი შეურაცხყოფების მიღების პირობებში დატოვოს თავისი ელჩობა კონსტანტინეპოლში და ადრინდელ საფუძვლებზე გააგრძოს პოლიტიკური ურთიერთობები ოსმალეთის მთავრობასთან. ამ მოვლენების შედეგად, რუსეთს ორი გზა რჩებოდა: ან წასულიყო თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტაზე, ან დაეწყო ომი. ნიკოლოზ პირველის პოლიტიკის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მას ადრინდელივით ჰქონდა ინგლისთან კავშირის იმედი ავსტრიის მხრიდან სრული მხარდაჭერის და საფრანგეთის ნეიტრალიზაციის პირობებში. არანაკლებად მნიშვნელოვანი როლი ამ პოლ-იტიკურ ინციდენტში შეასრულა პიროვნულმა ფაქტორმაც. საქმე იმაშია, რომ ნიკოლოზ პირველი უშუალო ინიციატორი იყო ყველა იმ დიპლომატიური განცხადებების და მოქმედებებისა, რომლებმაც ომი გამოიწვიეს. ამასთან, არ იყო თანხმობა წყნარ, ზომიერ სახელმწიფოს კანცლერ ნესელროდესა და ადვილად გაღიზიანებად და თავის მოქმედებებში არა-თანმიმდევრულ მონარქს შორის. ამგვარად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რუსეთს ამ პერიოდში არ გააჩნდა ერთიანი საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია, მიმართული მსოფლიოში 1815 წლიდან დამყარებული, მაგრამ უკვე კარგა ხანია მოძ-ველებული მონარქიული სისტემის გადასინჯვაზე.

წმინდა ადგილების გამო კამათი, რომელშიც მთავარი როლი თავიდანვე რელიგიურ ფაქტორს - დაჩაგრული ქრისტიანების დაცვას - ენიჭებოდა, გადაიზარდა ჯერ დიპლომატიურ სკანდალში, შემდეგ კი გაჭიანურებულ საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ კრიზისში, რომლის საფუძველი გახდა საკითხი რუსეთის პოლიტიკური უპირატესობის შესახებ აღმოსავლეთში, რასაც, ბუნებრივია, ვერ დაეთანხმებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოები.

ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ნიკოლოზ I, რომელიც მიყვებოდა წმინდა კავშირის საწყისებს, თავისი მეფობის უმეტესი ნაწილი დახარჯა ევროპის ინტერესების გულწრფელ სამსახურზე, რის გამო არ ჰქონდა დრო დაკავებულიყო რუსეთის სახელმწიფო მოწყობის შიდა რეფორმებით, და მხოლოდ ნახევარ ევროპასთან წარუმატებელმა ბრძოლამ აიძულა ის, დაენახა თავისი საშინაო პოლიტიკის ნაკლოვანებები. მაგრამ მან ვერ მოასწრო რუსეთის სახელმწიფო საქმიანობის სფეროში გარდაქმნების განხორციელება. ეს ამოცანები დაევალა ალექსანდრე II, რომლის მმართველობის წლებმა (1855 – 1881) ახალი ერა გახსნეს რუსეთის ისტორიაში.

შიდა რეფორმებთან ერთად, ალექსანდრე II აგრძელებდა აღმოსავლურ პოლიტიკასაც, სადაც წინა პლანზე, მისი აზრით, ადრინდელივით რჩებოდა რელიგიურ-ეროვნული და მატერიალური ინტერესები რუსეთის ამთლიანად აღმოსავ- ლეთში. შიდასახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინა-რე, ვიცეკანცლერის ადგილი, ნესელროდეს რომ ეკავა, 1856 წელს დაიკავა თავადმა გორჩაკოვმა, რომელიც იყო რუსეთის ელჩი ვენაში. ალექსანდრე II მმართველობის წლებში რუსეთის აღმოსავლურმა პოლიტიკამ ორი ეტაპი გაიარა: ა) 1856 – 1870 წწ. - შემზღუდავი და დამამცირებელი პარიზის ზავის ლი-კვიდაციის ცდები; ბ) 1870 – 1881 წწ. - აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის აღდგენის დასაწყისი, რომელსაც თან ახლდა შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის პრობლემის გადაჭრა.

ყირიმის ომის შემდეგ, დაიწყო რუსეთისა და საფრანგეთ- ის იმპერატორების დაახლოება. ალექსანდრე II არ ჰქონდა პი-რადი ანტიპათია ნაპოლეონ III მიმართ, რომელსაც სჭირდე-ბოდა რუსეთის ნეიტრალიტეტი, რათა დაესრულებინა თავისი ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური პროექტი - გაეთავისუფლებინა იტალია და შეეძინა სავოია და ნიცა. რაც შეეხება ალექსანდრე II, მას სჭირდებოდა „მოქმედების თავისუფლება“ მთლიანად აღმოსავლეთში. 1857 წლის ივლისში ალექსანდრე II მეორე და ნაპოლეონ III შეხვდნენ ერთმანეთს შტუტგარტში, სადაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას. ამასთან, ალექსანდრე II მიიღო პირობა, რომ არ იქნება გაკეთებული ახალი ცდები პარიზის ზავის დებულებების სრულად შესრულებისთვის. თავის მხრივ, ალექსანდრე II ივალდებულა, რაც მას არაფერს არ უღირდა, არ შეეშალა ხელი ნაპოლეონის მოქმედებებისთვის ავსტრიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს შეთანხმება საფრანგეთ-რუსეთის შორის მოკლე ხანში დაირღვა. პოლონეთის 1863 წლის ამბებმა გამოიწვიეს მისი ჩაშლა და პრუსია-რუსეთის ახალი შეთანხმება, რომლის ხელმოწერაში არც თუ ისე უმნიშვნელო როლი ითამაშა პრუსიის კანცლერ ბისმარკმა. პრუსიის და რუსეთის დაახლოების საფუძვლად მან წამ-ოაყენა დინასტიური ინტერესების ერთიანობის იდეა. ბისმარ- კი საკმაოდ ენერგიულად გამოხატავდა მხარდაჭერას რუსეთის პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო პარიზის ზავის დამამცირებელი დებულებების გაუქმებაზე.

თავის ძირითად მიზანს - შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმებას - რუსეთმა 1871 წელს ლონდონის კონფერენციაზე მიაღწია. ალექსანდრე II ევროპის სახელმწიფოებს აცნობა, რომ რუსეთი უარყოფს ვალდებულებას, მიღებულს ყირიმის ომის შემდეგ და იწყებს ფლოტის მშენებლობას.

ამ მომენტიდან იწყება მეორე ეტაპი ალექსანდრე II საგარეო პოლიტიკაში, მიმართული აღმოსავლეთში რუსეთის იმპერიის პრესტიჟის აღდგენაზე.

ლონდონის 1871 წლის ტრაქტატმა, რომელმაც მოსპო რუსეთის შეურაცხმყოფელი დებულებები პარიზის ზავისა, გადაწყვიტა რუსი ხალხის მატერიალური ინტერესების საკითხი, მაგრამ ეროვნულ-რელიგიური ინტერესები ადრინდელივით დარჩა დაუკმაყოფილებელი.

შემდგომმა მოვლენებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (სერბების აჯანყება ჰერცოგოვინასა და ბოსნიაში) ცხადყო რელიგიური ტენდენციების პრევალირება მეფის მთავრობის მიერ ოსმალეთის იმპერიის მიმართ საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმში. რუსეთი, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ატარებდა აღმოსავლეთში მართლმადიდებლობის მხარდაჭერის თანმიმდევრულ პოლიტიკას და იყო დაინტერესებული ბალკანელი ქრისტიანების ბედით, პირველი გამოვიდა მათ დასაცავად. მასთან ერთად კონფლიქტში ჩაება ინგლისი და ავსტრიაც, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოზიციები განსხვავდებოდა.

ალექსანდრე II იმ დროს იყო ცნობილი დიპლომატის ნ. პ. იგნატიევის გავლენის ქვეშ, რომელმაც შეიმუშავა ბალკანეთში მოქმედებების თავისი პროგრამა, გამოდიოდა თურქეთთან საომარი მოქმედებებისა დაწყების მომხრედ და იყო წარმომადგენელი ე. წ. „ეროვნული“ საგარეო პოლიტიკისა, რომლის საფუძველი იყო რუსეთის მოქმედებების გააქტიურება საერთაშორისო არენაზე და უარის თქმა გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან კავშირზე. მისი პოზიცია აშკარად არ ემთხვეოდა საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციებს კანცლერ გორჩაკოვისა, რომელიც იყო ფრთხილი და მომლოდინე პოლიტიკის მომხრე და ცდილობდა ყველა საკითხის გადაჭრას ევროპული კონცერტის ჩარჩოებში. მიუხედავად კანცლერის პროტესტისა, ალექსანდრე II სწორედ ნ. პ. იგნატიევი დანიშნა წარმომადგენლ- ად

თურქეთში. 1876 წლის 15 ოქტომბერს ის ჩამოვიდა კონსტანტინეპოლში, სადაც პორტას გადასცა ულტიმატუმი აჯანყებული თურქული პროვინციებისთვის ავტონომიის მინიჭების, ქვეყანაში რეფორმების განხორციელებაზე ევროპული კონტროლის დაწესების და ჩერნოგორიასა და სერბეთთან დაზავების მოთხოვნით. იგნატიევი კონსტანტინეპოლში იმავე ტონით საუბრობდა, რითაც თავის დროზე თავადი მენშიკოვი, ოღონდ მეტი წარმატებით. კონსტანტინეპოლში რუსეთის წარმომადგენლის ჩასვლამ ძლიერი აღელვება გამოიწვია ევროპაში. უპირველეს ყოვლისა, შეწუხდა ინგლისი. რუსეთის იმპერატორი იძულებული იყო მიემართა ევროპული თანამეგობრობისთვის განცხადებით, რომ მისი „ერთადერთი მიზანია გაუმჯობესდეს ხვედრი ქრისტიანული მოსახლეობისა, რომლის მფარველიც არის და თუ ის იარაღს მოკიდებს ხელს, არ დაიწყებს დაპყრობით ომს“.

ინგლისის წარგზავნილ სოლსბერის ცდა, გადაექცია გერმანია თავის მოკავშირედ რუსეთის წინააღმდეგ, წარუმატე-ბლად დამთავრდა.

1876 წლის 23-25 დეკემბერს კონსტანტინეპოლში შეიკრიბა დიდი სახელმწიფოების კონფერენცია რათა შეემუშავებინა თურქეთის მთავრობასთან ბალკანეთის ქვეყნების შერიგების პირობები. თუმცა 1877 წლის იანვარში ის დამთავრდა მიზნის მიღწევის გარეშე. როგორც ცნობილია, შემდგომმა მოვლენებმა საქმე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე მიიყვანეს.

1877 წლის ბოლოს ინგლისის შუამავლობით დაიწყო ზავის შესახებ მოლაპარაკებები, რომლებიც 1878 წლის 31 იანვარს ადრიანოპოლის ზავის ხელმოწერით დამთავრდა, იმავე წლის 14 თებერვალს კი დაიწყო საბოლოო მოლაპარაკებები სან-სტეფანოში. სან-სტეფანოს შეთანხმების შესრულება თურქეთს

დარტყმას აყენებდა და მთელ გავლენას მახლობელ აღმო-სავლეთში რუსეთს გადასცემდა. ეს იყო მეფის მთავრობის უეჭველი დამსახურება ოსმალთა იმპერიის ქრისტიანი მოსა-ხლეობის უფლებათა და პრივილეგიების უზრუნველყოფის საქმეში. მაგრამ ევროპაში ყველაზე ნაკლები ორი სახელმწიფო არსებობდა, რომლებმაც მტკიცედ გადაწყვიტეს არ დაეშვათ ოსმალთა იმპერიის დამორჩილება რუსეთისადმი: ეს ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი იყო. სწორედ, ისინი გამოვიდნენ საერ-თაშორისო კონგრესის მოწვევის ინიციატორებად, მიიჩნევდნენ რა, რომ 1856 წლის ტრაქტატის და 1871 წლის შეთანხმების ცვლილებები შეიძლება დამტკიცებული ყოფილიყო მხოლოდ იმ სახელმწიფოთა თანდასწრებით, რომლებიც მათში მონაწილეობდნენ. ამ პირობებით მოიწვიეს ბერლინის კონგრესი, რომლის მიზანი იყო რუსეთი გავლენის შემცირება თურქეთში.

შედეგად, ოფიციალური მფარველების უფლებების მქონედ აღიარეს სახელმწიფოთა დიპლომატიური და საკონსულო აგენტები თურქეთში, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი პირების, ისე მათი სასულიერო, საქველმოქმედო და სხვა დაწესებულებების მიმართ წმინდა ადგილებსა და სხვაგან. Status quo-ს უფლებები წმინდა მიწაზე გადეცა საფრანგეთს და უნდა მკაცრად ყოფილიყო დაცული. აღმოსავლეთში რუსული ეკლესიის უფლებები მართლმადიდებელთა დაცვის სფეროში გადაეცა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანიზაციებს, რომლებიც იმ დროს იერუსალიმში არსებობდა: რუსეთის საკონსულოს და პალესტინის კომისიას, აგრეთვე ერთადერთ საეკლესიო ორგანოს მახლობელ აღმოსავლეთში - სასულიერო მისიას, რომელიც ასევე სახელმწიფოს ემორჩილებოდა. მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის სახელმწიფოს პოზიციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ წარმოადგენდა რა ოსმალთა იმპ-

ერიის დაჩაგრულ ქრისტიანთა დამცველს, ის არ აყენებდა თავისი პოლიტიკის ქვაკუთხედად პალესტინაში რუსული მართლმადიდებლობის უშუალო მხარდაჭერას. ამით დაკავებული იყვნენ წმინდა მიწაზე მომუშავე ცალკეული სამოქალაქო და სასულიერო პირები.

ამრიგად, XIX საუკუნის 70-იანი წლების ახლო აღმოსა-ვლეთის კრიზისმა, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომ- მა და 1878 წლის ბერლინის კრიზისმა მნიშვნელოვნად შეც-ვალეს საერთაშორისო მდგომარეობა, მოახდინეს რა არსებითი გავლენა რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების შემდგომი პერიოდის საგარეო პოლიტიკაზე. ალექსანდრე II მმართვე-ლობის ბოლო წლებში (1878-1881) საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო ომის შემდგომ ძალების აღდგენაზე, საგარეო პოლიტიკა კი - ინგლის-თან ანტაგონიზმის დაძლევასა და გერ-მანიასთან დაახლოე-ბაზე, რაც დასრულდა ავსტრია-რუსეთ-გერმანიის შეთანხმების ხელმოწერით 1881 წელს.

ტახტზე ალექსანდრე III მმართველობის (1881-1894) პერი-ოდი იყო მთელი რიგი საშინაო და საგარეო ცვლილებების ხანა. ამ რუსი თვითმპყრობლის საშინაო პოლიტიკის თავისებურ-ება, თანამედროვეთა განსაზღვრებით, მდგომარეობდა რუსუ-ლი მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციების გააქტიურე-ბასა და უშუალოდ სახელმწიფოს, ანუ მეფისადმი მის სრულ დამორჩილებაში.

რუსეთის მთავრობის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება მთლიანად დამოკიდებული იყო საერთაშო-რისო ვითარებასა და დიდი სახელმწიფოების პოზიციებზე. ამასთან, საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშა-ვების მექანიზმზე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა ალექსანდ-რე III უახლოეს გარემოცვას: კ. პ. პობედონოსცევს, დ. ა. ტოლს-

ტოის, მ. ნ. კატკოვს. მოცემულ შემთხვევაში, საერთაშორისო არენაზე რუსეთის პოლიტიკური ნაბიჯების ერთიანობა შეიძლება განხილული იქნას ორი საგარეო-პოლიტიკური დაჯგუფების - პროგერმანულის და პროფრანგულის ბრძოლის პრიზმაში. იმპერატორის თანაშემწეები გერმანიის საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ, გამოდიოდნენ ბისმარკის წინააღმდეგ. რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობები სულ უფრო მეტად მწვავდებოდა. ბისმარკი განაგრძნობდა ტარიფის გაზრდას ხორბალზე, რითაც მაღალ საბაჟო ზღუდეს უყენებდა რუსულ ექსპორტს. თავის მხრივ, რუსეთის მთავრობა მუდმივად აწესებდა მაღალ ამკრძალავ ტარიფებს გერმანულ საქონელზე, არსებითად, რუსეთსა და გერმანიას შორის ეკონომიკური ომი ჩაღდებოდა. ეკონომიკურ წინააღმდეგობებს რუსეთის ურთიერთობებში გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან ადგილი ჰქონდა არამარტო ევროპის ტერიტორი-აზე, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. თუ XIX საუკუნის შუახანებში მოცემულ რეგიონში რუსეთის ეკონომიკის ძირითადი მეტოქეები საფრანგეთი და ინგლისი იყო, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეკონომიკური პრიორიტეტები შეიცვალა. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ეკონომიკური უპირატესობისთვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი. მათ შემდეგ კი იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჩრდილოეთ ამერიკა მოდიან. ობიექტური ეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე, რუსეთს წამყვან ქვეყნებს შორის უკანასკნელი ადგილი ეჭირა ამ ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რეგიონში, რაც, უეჭველია, აისახებოდა რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაშიც.

რუსეთ-გერმანიის გამწვავებულ წინააღმდეგობებს არ შეეძლო არ გამოეწვია ძალთა ახალი საერთაშორისო გადაჯგუფება

ევროპის კონტინენტზე. კავშირმა გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და მათთან 1882 წელს მიერთებულ იტალიას შორის (სამთა კავშირი), მიმართულმა რუსეთსა და საფრანგეთის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელებში გამოიწვია დაახლოების სურვილი. 1887 წელს რუსეთის მთავრობა სესხს იღებს პარიზში, შემდგომ, 1891 წელს ხელს აწერს თავდაცვით შეთანხმებას საფრანგეთთან, 1892 წელს კი - მასთანვე სამხედრო კონვენციას.

მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების ამოცანის გადაჭრას, რაც 90-იან წლებამდე ხორციელდებოდა ჯერ სამი იმპერატორის კავშირზე, შემდეგ კი გერმანიასთან კავშირზე დაყრდნობით, რუსეთის დიპლომატია, იმის შემდეგ, რაც არ იქნა გაგრძელებული შეთანხმება „გადაზღვევის“ შესახებ, გარკვეულწილად ცდილობდა საფრანგეთის მხარდაჭერის გამოყენებით. გასათვალიწინებელია ისიც, რომ სრუტეების საკითხი და ამ მიმართებით საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება 80-90-იან წლებში ყოველთვის ემთხვეოდა მახლობელ აღმოსავლეთში მსხვილ საერთაშორისო გართულებებს. იმპერატორი ალექსანდრე III და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ნ. ნ. ობრუჩევი ერთიანად ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ სრუტეების ხელში ჩაგდებისთვის ღირს რუსული სისხლის დაღვრა, მაგ- რამ ასევე ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ რუსეთი ამ დაპყრობისთვის მზად არ არის.

ნიკოლოზ II, რომელიც ტახტზე ალექსანდრე III გარდაცვალების შემდეგ ავიდა, არამარტო არ გააგრძელა მამის ხაზი საგარეო პოლიტიკაში, არამედ პირიქით, მკვეთრად მოაბრუნა უკან, მონარქიული სოლიდარობის და ევროპული კონცერტისკენ.

რუსეთის იმპერიის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლას, რომელიც ახალი ხელმწიფის დროს მოხდა, ბევ- რი მიზეზი ჰქონდა:

პირველი, სირთულეები მრეწველობაში, სახელმწიფო საფინანსო სისტემის კრიზისი, უცხოურ კაპიტალზე დამოკიდე-ბულება და, აქედან გამომდინარე, საზღვაო სავაჭრო ფლოტის სისუსტე, რომელიც რუსეთს საშუალებას არ აძლევდა განე-ვითარებინა ვაჭრობა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, სადაც მოცემულ პერიოდში გაძლიერდა კონკურენცია წამყვან იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის;

მეორე, ამის გამო განისაზღვრა შორეული აღმოსავლეთის რეგიონის პრიორიტეტულობა როგორც ყველაზე პერსპექტიულისა იქ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარების გამო;

მესამე, პიროვნული ფაქტორი - უშუალოდ ნიკოლოზ II, თავისი ჭკუითა და გრძნობებით უფრო მეტად იხრებოდა აღმოსავლეთისკენ, თანაც შორეულისკენ, ვიდრე მახლობელ აღმოსავლეთის და საერთოდ დასავლეთისკენ;

მეოთხე, გავლენა სამთავრობო დაჯგუფებისა, რომელიც „რუსული ინტერესების ფოკუსს“ აუცილებლად ევროპაში, „ევროპული კონცერტის“ შემადგენლობაში ხედავდა;

უნდა აღინიშნოს, რომ ლამზდორფი, რომელსაც ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მრჩევლის თანამდებობა, ისევე, როგორც მინისტრები, რომლებთანაც ის მუშაობდა - გირსი და ლობანოვ-როსტოვსკი, იყვნენ მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის მოქმედებების წინააღმდეგ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სრუტეების ხელში ჩაგდება რუსეთის მიერ კვლავ შეკრავს ანტირუსულ კოალიციას, მხარს უჭერდნენ მახლობელ აღმოსავლეთში სტატუს-კვოს შენარჩუნებას, იყვნენ წინააღმ-

დეგნი სრუტეების რომელიმე ევროპული ქვეყნის ხელში გადასვლისა;

მეხუთე, საერთაშორისო ურთიერთობები XIX საუკუნის ბოლოს - XX საუკუნის დასაწყისში გამწვავდა იმის გამო, რომ გერმანიამ, მიუხედავად რუსეთის მშვიდობისმყოფლური ძალისხმევისა, დაიწყო გამალებული შეიარაღება, და იაპონიამ, რუსეთის უახლოესმა მეზობელმა შორეულ აღმოსავლეთში, გააძლიერა თავის აგრესია. ამრიგად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ყურადღების გადატანამ აღმოსავლეთიდან შორეულ აღმოსავლეთზე, გარკვეული დროით შეასუსტა ყურადღება მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონისადმი, რაც გამოვლინდა ქვეყნიდან წმინდა მიწაზე პილიგრიმული მოძრაობის წევრთა შემცირებაში.

ამრიგად, XIX საუკუნის შუახანების საერთაშორისო ურთიერთობათა მყარი სისტემა, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში მიიღო განვითარების ძლიერი იმპულსი, ანაქრონიზ- მად იქცა. მისი უკანასკნელი წარმომადგენელი აღმოჩნდა რუ-სეთის იმპერატორი ნიკოლოზ II. მისი მმართველობის წლე- ბი გახდა თავისებური გარდატეხის მომენტი როგორც წამყვან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა სტრუქტურაში (რომლებიც შეფარდებით სტაბილურობას ინარჩუნებდნენ ევროპაში, სხვა რეგიონებში თავის მოქმედებების მნიშვნელოვანი თავისუფლების პირობებში), ისე რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში, რომლის დინამიკა პირდაპირ დამოკიდებულებაში დგება საერთაშორისო ვითარებასთან.

60-იანი წლებიდან დაწყებული, საუკუნის ბოლომდე, რუ-სეთის მთავრობა თავისი საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდა ბრძოლის ყველა მეთოდს: დიპლომატიურ კომბინაციებს (რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები ცნო-ბილი

დიპლომატები იყვნენ - ა. გორჩაკოვი, ნ. პ. იგნატიევი, ა. ა. გირსი, ა. ბ. ლობანოვ-როსტოვსკი, ვ. ნ. ლამზდორფი და სხვ.);

ძალისმიერ ზეწოლას (ძალის დემონსტრაცია XIX საუკუნის 90-იან წლებში მახლობელ აღმოსავლეთში კრიზისის დროს); ომებს; რელიგიურ შეღწევას;

ეკონომიკურ ექსპანსიას (დასავლეთ სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სადაც მატერიალური მხარე პრიორიტეტული იყო, რუსეთი იშვიათად იყენებდა ამ მეთოდს).

მთლიანად XIX საუკუნეში რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა დაძლეულიყო დასავლეთის დამკვიდრებული ანტირუსული მიმართულება, დაკავშირებული რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდასა და მის იმპერიულ ინტერესებთან მთელი ისტორიის მანძილზე, აგრეთვე ცდასთან, გაეფართოებინათ პოტენციური მართლმადიდებლობის ზონა.

7. საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა XIX საუკუნის 30-იან - 70-იანი წლების დასაწყისში

1830 წელს ევროპას გადაუარა რევოლუციების მთელმა სერიამ (საფრანგეთი, ბელგია, პოლონეთი), მაგრამ ვენის სისტემის სტაბილურობა მაინც შენარჩუნებული იქნა. სამივე რევოლუციის შედეგები დარეგულირდა დიდი სახელმწიფოების გლობალური შეტაკებების გარეშე. თუმცა ევროპის პოლიტიკურმა რუკამ მაინც განიცადა სერიოზული ცვლილებები: შეიქმნა ახალი სახელმწიფო - ბელგია. და მაინც, საერთოევროპულ რევოლუციურ აფეთქებაზე, რომლის თავიდან აცი-ლებაზე იყო გამიზნული ვენის სისტემა, საუბარიც არ იყო. უმრავლესი ევ-

როპელი პოლიტიკოსების აზრით, მთავარ მუქარას ვენის სისტემას, წინანდელივით უქმნიდა აღმოსავლური საკითხი (იხ. 6).

სანამ პოლიტიკოსთა და დიპლომატების ყურადღება მიპყრობილი იყო აღმოსავლეთის საკითხისადმი, თვით ევროპაში თვისობრივი ცვლილებები ხდებოდა. ინდუსტრიულ ურთიერთობათა სწრაფი განვითარება იწვევდა ჩამოყალიბებას მსხვილი სამრეწველო რაიონებისა, ისეთების, როგორებიც იყო რური, ელზასი, საარი, სილეზია. სამრეწველო პოტენციალის ზომას ახლა პირდაპირ უკავშირებდნენ სახელმწიფოს სიძლიერის დონეს. არ არის გასაკვირი, რომ სწორედ ის რეგიონები, სადაც კონცენტრირდება ძირითადი სამრეწველო პოტენციალი, იქცევა გაზრდილი ყურადღების საგნად დიდი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც ცდილობენ აიყვანონ ისინი თავისი მტკიცე კონტროლის ქვეშ. სამრეწველო გადატრიალება პრინციპულად ახალ პრობლემებს წარმოშობდა, რომელთა გადაჭრის ეფექტურობაზე იყო დამოკიდებული სახელმწიფოთა შიდა სტაბილურობა, შესაბამისად კი მათი შესაძლებლობებიც საერთაშორისო არენაზე. ყველა დიდი სა-ხელმწიფოს წინაშე მთელი სიმაღლით დადგა ახალ პირობებ-თან ადაპტაციის პრობლემა. და იმაზე, თუ რამდენად ეფე-ქტურად წყვეტდნენ ისინი მას, დამოკიდებული იყო მათი ურთიერთობების ხასიათი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში და თვით ამ სისტემის ბედი.

1848 წელს ევროპას გადაუარა რევოლუციური გამოსვლების მძლავრმა ტალღამ, რომელმაც მთელი რიგი ახალი კონფ-ლიქტების სერია წარმოშვა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში.

1848 წლის მარტში შლეზვიგმა და ჰოლშტეინმა სცადეს გამოყოფოდნენ დანიას. პრუსია შეეცადა თვისი ეგიდის ქვეშ შეექმნა ჩრდილოეთ გერმანიის სახელმწიფოთა უნია, რამაც

მკვეთრი უთანხმოება გამოიწვია დიდ სახელმწიფოთა ბანაკში. თუმცა პრუსიამ ვერ მიაღწია თავის მიზანს, საკითხი გერმანიის გაერთიანების შესახებ სულ უფრო მეტად მწვავდებოდა.

ევროპის ცენტრში ვითარება მკვეთრად გართულდა ავსტრიის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში აფეთქებული რევოლუციების გამო. მათ ეს სახელმწიფო დაშლის ზღვარზე დააყენეს. ავსტრია მხოლოდ იმ დახმარებამ გადაარჩინა, რომელიც მას რუსეთის მეფემ აღმოუჩინა. რუსეთის მიერ გაგზავნილი ჯარების დახმარებით შესაძლებელი გახდა ჩახშობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის მებრძოლ უნგრელთა გამოსვლებისა. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ნიკოლოზ I, მოხვედრილმა იდეოლოგიური დოგმების ტყვეობაში, დაუშვა შეცდომა. ავსტრიის იმპერიის დაშლა და უნგრეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა არ ეწინააღმდეგებოდა და, მით უმეტეს, სულაც არ ემუქრებოდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს. შედეგად, წინააღმდეგობის კვანძი ევროპის ცენტრში კიდევ უფრო დაიხლართა. და, ბოლოს, მკვეთრად გა-რთულდა ვითარება ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც, ერთი მხრივ, იზრდებოდა მისწრაფება დამოუკიდებელი იტალიური სახელმწიფოს შექმნისკენ, მეორე მხრივ, მკვეთრად გამწვავდა საფრანგეთ-ავსტრიის წინააღმდეგობები, გამოწვეული ორივე სახელმწიფოს მისწრაფებით გაემაგრებინათ თავისი პოზიციები ამ რეგიონში. ყველა ამ კოლიზიის შედეგად ვითარება ევროპაში შესამჩნევად შეიცვალა. მძლავრი იმპულსი მიიღო ეროვნული სახელმწიფოების შექმნის იდეამ, გერმანიაში, იტალიასა და ბალკანეთში ის პრაქტიკულ სიბრტყეში გადავიდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ვენის სისტემის მყარი განვითარების პერიოდი დასასრულამდე მივიდა. ახალ ძალებს, რომლებიც ევროპულ არენაზე გამოდიოდნენ „ინდუსტრიული რევოლუ-ციის“ პროცესში, ჯერ არ შეეძლოთ

ძველი ელიტის ჰეგემონიის მოშლა, მაგრამ ცხადია, რომ 1848-1849 წლების მღელვარე მოვლენების შემდეგ, ევროპა უკვე არ იყო ისეთი, როგორიც ვენის სისტემის გაფურჩქვნის პერიოდში. ევროპული ცივილიზაციის განვითარება გარდაუვლად წარმოშობდა ახალ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზების მონახვა მსოფლიოს ადრინდელი მოწყობის ჩარჩოებში სულ უფრო რთული ხდებოდა.

მიწყნარდა თუ არა რევოლუციური ბატალიები, ორი წლის განმავლობაში რომ აზანზარებდნენ ევროპას, 1853 წელს მოხდა აღმოსავლეთის საკითხის მორიგი გამწვავება. დაიწყო ყირი- მის ომი, რომელიც რუსეთის დამარცხებით დასრულდა.

1856 წლის მარტში ხელი მოეწერა პარიზის შეთანხმებას. ეს გახდა მნიშვნელოვანი მიჯნა ვენის სისტემის გარდაქმნის დაწყებულ პროცესში. რუსეთი დამარცხდა ომში და მისი სამხედრო-პოლიტიკური პოზიციები დასუსტდა, რასაც არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა ძალთა საერთოევროპულ ბალანსზე: ის დაირღვა. რუსეთმა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო ძალის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი, დროებით დაკარგა ამ ფუნქციის შესრულების შესაძლებლობა. ეს კი, თავის მხრივ, ამცირებდა ვენის სისტემის საერთო შესაძლებლობებს კონტინენტზე სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში.

ყირიმის ომმა გახსნა მთელი სერია ლოკალური სამხედრო კონფლიქტებისა, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიცვეს. ამ, როგორც წესი, მოკლევადიანი, არასაკმაოდ მკაცრ შეტაკებების დროს, ძალის გამოყენებით ხდებოდა იმ ჩახლართული პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც წარმოშობილი იყო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის წინარე განვითარებით. ყირიმის ომის დასრულების შემდეგ, აღმოსავლური საკითხი დროებით გადავიდა მეორე პლანზე, ევროპული პოლიტიკის

ავანსცენაზე კი გამოვიდა პრობლემები, დაკავშირებული იტალიის და გერმანიის ერთიან ქვეყნებად ჩამოყალიბებასთან (უფრო დაწვრილებით, იხ.: „გერმანიისა და იტალიის ერთიანი სახელმწიფოების შექმნა“).

ამის შემდეგ, 60-იანი წლების დასაწყისში, კონფლიქტების ზონა ევროპიდან ამერიკაში გადაადგილდა. შეერთებულ შტატებში კონფლიქტი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომელიც დიდი ხანია მწიფდებოდა, გადაიზარდა სამოქალაქო ომში (1861-1865 წლები). 1865 წლის 9 აპრილს სამხრეთელები იძულებული გახდნენ, მოეხდინათ კაპიტულაცია.

XIX საუკუნის 60-იან წლებში რამდენიმე სამხედრო კონფლიქტს ჰქონდა ადგილი აზიასა (ინდოჩინეთი, სირია, ჩინეთი) და ამერიკაში (მექსიკა). მათში აქტიური მონაწილეობა მიიღო საფრანგეთმა, თუმცა მან ამ კონფლიქტებში, თუ არ ჩავთვლით ინდოჩინეთს, წარუმატებლობა განიცადა.

მაგრამ მთავარი მოვლენები საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში 60-იან წლებში ხდებოდა ევროპის ცენტრში, სადაც პრუსია დაჯინებით ცდილობდა გერმანული მიწების გაერთიანებას თავისი ეგიდის ქვეშ. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია სახელთან იმ ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის, ოტო ბისმარკისა, რომელიც 1862 წელს სათავეში ჩაუდგა პრუსიის მთავრობას. ის მიზანდასახულად და თანმიმდევრულად მიდიოდა დასმულ მიზნისკენ. მას, საუცხოო სტრატეგს, კარგად ესმოდა, რომ მოცემული ამოცანის გადაჭრა უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად, რათა ვადამდე ადრე არ გამოწვიათ დიდი სახელმწიფოების ეჭვები.

1863 წელს, პოლონეთის აჯანყების დროს, პრუსია გარკვეულწილად დაეხმარა რუსეთს აჯანყებული პოლონელების დაწყნარებაში, რითაც უზრუნველყო შემდგომ მისი კეთილ-

მოსურნე პოზიცია გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებულ კონფლიქტებში.

იმავე 1863 წელს დანიამ მოახდინა შლეზვიგისა და ჰოლშტეინის ავტონომიის ლიკვიდაცია, რამაც ბისმარკს ჩარევის საბაბი მისცა. პრუსიას, ბუნებრივია, თვითონაც ადვილად შეეძლო დანიის დამარცხება, მაგრამ ბისმარკმა, ავსტრიის იმპერიის ნეიტრალიზაციისთვის, შესთავაზა ამ უკანასკნელს ერთობლივად გამოსულიყვნენ დანიის მიერ „დაჩაგრული გერმანელების დასაცავად“. ავსტრია დათანხმდა და 1864 წელს პრუსიისა და ავსტრიის ჯარებმა ადვილად დაამარცხეს დანია. შლეზვიგი პრუსიამ, ჰოლშტეინი კი ავსტრიამ შეიერთეს. ამ შეთანხმებაში უკვე იყო ჩადებული ავსტრია-პრუსიის მომავალი კონფლიქტის მარცვლები. ბისმარკს ეს საუცხოოდ ესმოდა, მაგრამ ამნაირი რამ შედიოდა მის გეგმებში. ის მხოლოდ ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა ავსტრიისთვის გადამყვეტი დარტყმა მიეყენებინა.

საბაბი მოკლე ხანში გამოჩნდა. იტალიის სამეფო დაჯინებით ცდილობდა ვენეციის შემოერთებას. ბისმარკმა შესთავაზა იტალიის მეფეს, ერთობლივად ემოქმედათ ავსტრიის წინააღმდეგ. საერთო ვითარება ევროპაში ხელს უწყობდა ბისმარკის გეგმებს. რუსეთი მათში ვერაფერს ხედავდა თავისთავისთვის საშიშს. ინგლისი დაკავებული იყო კოლონიური ექსპანსიის პრობლემებით და ტრადიციულად თავს არიდებდა უკიდურესი აუცილებლობის გარეშე კონტინენტის კონფლიქტებში ჩარევას. გადამწყვეტი ხდებოდა საფრანგეთის პოზიცია. შექმნილი ვითარების ანალიზისას ნაპოლეონ III ფატალური შეცდომა დაუშვა: მან გააკეთა დასკვნა, რომ მომავალი ავსტრია-პრუსიის ომი გაჭიანურებული იქნება, რამეთუ მისი აზრით, მხარეთა ძალები თანაბარი იყო. ეს კი ნიშნავდა, რომ ორივე მხარე დასუსტდება

და საფრანგეთს შეეძლება მათი ურთიერთდასუსტების გამოყენება თავის სასარგებლოდ.

1866 წლის ზაფხულში დაიწყო ავსტრია-პრუსიის ომი, რომელიც უაღრესად მოკლევადიანი აღმოჩნდა. 1866 წლის 3 ივლისს სადოვაიასთან ბრძოლაში ავსტრიელებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს, ამან მთელი კამპანიის ბედი გადაწყვიტა. ბისმარკს საშუალება მიეცა ეკარნახა ზავის პირობები. შედეგად, იქმნებოდა ჩრდილო-გერმანული კავშირი, რომელშიც პრუსია დომინირებდა. ავსტრია კი უარს აცხადებდა თავის პრეტენზიებზე ჰეგემონი ყოფილიყო გერმანულ მიწებზე. ავსტრიის განადგურებამ სერიოზული შინაპოლიტიკური კრიზისი გამოიწვია ამ ქვეყანაში, დაძაბულობის მოხსნისთვის, იმპერატორი იძულებული იყო, წასულიყო სერიოზული შიდა რეფორმების გატარებაზე. 1867 წელს ფრანც იოსები ოპოზიციური ძალების ზეწოლის გამო, დათანხმდა ავსტრიის იმპერიის დუალისტურ მონარქიად - ავსტრია-უნგრეთად გარდაქმნაზე. მასში ერთიანი მონარქი რჩებოდა, რომელიც კონტროლს ახორციელებდა საგარეო პოლიტიკაზე, მასვე ემორჩილებოდნენ შეიარაღებული ძალები. საშინაო საკითხების გადაწყვეტაში კი იმპერიის უნგრულმა ნაწილმა ავტონომია მიიღო.

ავსტრია-პრუსიის ომის შემდეგ, საფრანგეთ-პრუსიის კონფლიქტი ხდება მთელი ევროპული პოლიტიკის ღერძი. 60-იანი წლების დასასრული სავსე იყო რთული დიპლომატიური მანევრებით. ბისმარკი მიისწრაფოდა იმისკენ, რომ მომავალ შეტაკებაში საფრანგეთი იზოლირებული ყოფილიყო და წარმომდგარიყო აგრესიული ზრახვების მქონე ქვეყნად. ბისმარკმა პირწმინდად დაამარცხა ნაპოლეონ III. მან მიაღწია იმას, რომ სწორედ, საფრანგეთმა 1870 წლის 19 ივლისს გამოუცხადა ომი პრუსიას. მაგრამ ეს ნაბიჯი კატასტროფით დასრულმისთვის.

1870 წლის 2 სექტემბერს საფრანგეთის არმიამ იმპერატორის მეთაურობით კაპიტულაცია მოახდინა. ომის შედეგების შეჯამება გაიწელა, რადგან სამხედრო კატასტროფამ საფრანგეთში რევოლუციური აფეთქება გამოიწვია, რომლის ცენტრი პარიზი გახდა. 1870 წლის 4 სექტემბერს საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

1871 წლის თებერვალში შედგა საფრანგეთის ეროვნული კრების არჩევნები. ახალი პარლამენტი ბორდოში დაფუძნდა. მიუხედავად პარლამენტის წევრების ცეცხლოვანი გამოსვლებისა, საფრანგეთს არ გააჩნდა წინააღმდეგობის გაწევის ძალა და 1871 წლის 26 თებერვალს ახალი მთავრობის მეთაურმა ტიერიმ ხელი მოაწერა გერმანიასთან დაზავების წინასწარ პირობებს, მაგრამ საბოლოო მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერა მაინც გადაიდო, რადგან პარიზის მცხოვრებლებმა მთავრობის ეს ნაბიჯი ეროვნულ ღალატად აღიქვეს. როდესაც ტიერიმ გასცა ბრძანება ეროვნული გვარდიის განიარაღების შესახებ, ქალაქში აჯანყებამ იფეთქა. ტიერიმ პარიზი მეამბოხე ქალაქად გამოაცხადა და ალყაში მოაქცია. არსებითად, საფ-რანგეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა. პარიზის კომუნამ 72 დღე იარსება.

1871 წლის 28 მაისს კომუნა დაეცა, ცოტა ადრე კი, 10 მაისს, ფრანკფურტში გერმანიასა და საფრანგეთს შორის მშვიდობიანი შეთანხმების საბოლოო ტექსტს ხელი მოეწერა. დაზავების პირობები ძალზე მძიმე იყო საფრანგეთისთვის: მან დაკარგა ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ოლქები - ელზასი და ლოტარინგია, ივალდებულა გერმანიისთვის 5 მილიარდი ფრანკის ოდენობის უზარმაზარი კონტრიბუციის გადახდა; გარდა ამისა, მის ტერიტორიაზე სამი წლის ვადით რჩებოდნენ საოკუპაციო ჯარები. ეს მოვლენა ნიშნავდა, რომ დასრულდა გერმანიის გაერთიანების პროცესი,

რომელიც ახლა იმპერია გახდა. თითქოს და ბის-მარკს ზეიმის ხანა დაუდგა: მან ცხოვრების მიზანს მიაღწია. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ზეიმის საათი იმავდრო-ულად გახდა ახალი პრობლემების ამოსავალი წერტილი - ამიერიდან ფრანგულ-გერმანული ანტაგონიზმი მრავალი წლით იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა ღერძად.

იტალიისა და გერმანიის ერთიან ქვეყნებად გაერთიანება

ამ ორი ქვეყნის ისტორიული ბედი ბევრი რამით წააგავს ერთმანეთს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაგნა-ცია და დაქუცმაცებულობის დაკონსერვება იქ, სადაც ბურჟ-უაზიული განვითარების ელემენტები ყველაზე ადრე გაჩნდა, ჯერ კიდევ XIV საუკუნეში - ეს იყო კანონზომიერებათა ჯაჭვის (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად მთავარი სავაჭრო გზების გადაადგილება ატლანტიკაში, მანუფაქტურის რეგრე-სი, კაპიტალდაბანდებების მიმართვა უძრავ ქონებაში, ეკონო-მიკის აგრარულ ყაიდაზე გადაყვანა) უკანასკნელი რგოლები. „ნომერ პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის“ - გერმანიაში რეფორმაციის და გლეხთა ომის წარუმატებლობამ გამოიწვია თავადური სეპარატიზმის ზეიმი და ქვეყნის რელიგიური ნიშნით გახლეჩა, რაც გამოიხატებოდა პრინციპით “ვისი ხელი-სუფლება არის, იმისია რწმენაც“.

დაქუცმაცებულობის განმტკიცებას ორივე ქვეყანაში ხელს უწყობდნენ გამანადგუებელი ომები. იტალიაში - XV საუკუნ-ეში საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, რომლებიც დასრულდა ამ უკანასკნელის ბატონობის დამყარებით (XVIII საუკუნეში ის ავსტრიამ შეცვალა). გერმანიისთვის კი ნამდვილი ეროვ-ნული უბედურება გახდა 1618-1648 წლების ოცდაათწლიანი ომი,

რომელიც გადაიქცა ქვეყნის მტაცებლურ ძარცვად, „კაპ-იტალის თავდაპირველი დაგროვების“ თავისებურ ხერხად.

ვესტფალიის (1648 წელი) ზავის შემდეგ, გერმანიის ტერი-ტორიაზე იყო 300-ზე მეტი დამოუკიდებელი სამთავრო, 50-მდე თავისუფალი ქალაქი, არაფერი რომ არ ითქვას რაინდთა უამ-რავ უწვრილეს სამფლობელოზე. გერმანული ერის საღვთო რომის იმპერია, რომელშიც ყველა ისინი შედიოდნენ, იყო მხოლოდ ფიქცია სრულიად გერმანული ერთიანობისა, სტრუ-ქტურა, რომელიც აკანონებდა დაქუცმაცებულობას. იმპერიის რაიხსტაგში კენჭისყრისას ყველა დეპუტატის ერთიანობის პრი-ნციპს არარამდე დაყავდა მისი მუშაობის შედეგიანობა, იმპ-ერატორის გვირგვინი კი, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად ავსტრიელ ჰაბსბურგთა სახლის კუთვნილება იყო, უფრო საშუ-რი პრესტიჟის სიმბოლო იყო, ვიდრე რეალური ხელისუფ-ლებისა.

ოცდაათწლიანმა ომმა განამტკიცა სამეურნეო სხვაობა გერ-მანიის ორ ნაწილს შორის. დასავლეთში უპირატესად წვრილ მამულზე აგებული მეურნეობა იყო, ან აზნაურები საერთოდ არ იყვნენ ამ საქმით დაკავებულნი, გლეხები, ძირითადად, პირა-დად თავისუფალი იყვნენ. რაინისპირა დასავლეთ გერმანია და საქსონია XVIII საუკუნეში შევიდნენ ევროპის ყველაზე განვითა-რებული სამრეწველო რაიონების რიცხვში. გერმანიის აღმოსავ-ლეთ, ელბის გაღმა ნაწილში, პირიქით, გაბატონებული იყო მსხვილი მემამულური (იუნკრული) მეურნეობა, დაფუძნებული პირადად დამოკიდებული გლეხების შრომით ბეგარაზე და, ამასთან, ორიენტირებული ბაზარზე. სამაგიეროდ, მანუფაქ-ტურამ სერიოზული სახელმწიფო მხარდაჭერა მიიღო. სწორედ, აქ, XVIII საუკუნისთვის ჩამოყალიბდა გერმანული მიწების ახალი ძალის ცენტრი - ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფო,

1701 წლიდან - პრუსიის სამეფო. ტერიტორია, რომლის სახელიც ეწოდა ახალ სახელმწიფოს, არ შედიოდა იმპერიის შემადგენლობაში, და ეს ათავისუფლებდა მის მმართველებს (ჰოჰენცოლერნების დინასტიიდან) იმპერატორზე ვასალური დამოკიდებულებისგან. პრუსიის მონარქია, რომელიც ეყრდნობოდა სამხედრო საქმიანობაზე მიჩვეულ იუნკრობას და წარმატებით იკვალავდა გზას დიდ სახელმწიფოებს შორის, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რიგ ევროპულ ომში და თვითონ შევიდა უძლიერესთა წრეში.

იტალიის აგრარულ სამხრეთში დამკვიდრდა მსხვილი ლატიფუნდიები, თუმცა გლეხთა პირადი დამოკიდებულება უკვე არ არსებობდა. ცენტრალურ იტალიასა და ჩრდილოეთში უპირატესად იყო მოსავლის წილზე გათვლილი არენდა. ჩრდილოეთი უფრო სწრაფად შედიოდა ბაზარზე ორიენტირებულ მეურნეობაში. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გააქტიურდა საოჯახო წარმოება აბრეშუმის ძაფისა, ნახევარ-ფაბრიკატისა, რომელიც უპირატესად გაჰქონდათ ინგლისსა და საფრანგეთში. სამხრეთში ლატიფუნდიების საქონელზე სპეციალიზაციამ გამოიწვია სათემო მიწების ექსპროპრიაცია და გლეხთა მასების გაღატაკება. წარმოიქმნა მწვავე სოციალური კონფლიქტის კვანძი. იტალიურ სახელმწიფოებს შორის აშკარა ლიდერი XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო, გაბატონებული პოზიცია აქ გარე ძალას, ავსტრიელ ჰაბსბურგებს ეკავათ.

ეკონომიკური და პოლიტიკური დაქუცმაცება (წონის, ზომისა და ფულის სხვადასხვა სისტემა, საბაჟო ჯებირები, სამართლებრივი გაურკვევლობა) იტალიაშიც და გერმანიაშიც იყო საზოგადოებრივი განვითარების მთავარი შემაკავებელი. მხოლოდ ძლიერ, ერთიან სახელმწიფოს შეეძლო უზრუნველეყო ხელშემწყობი პირობები ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარე-

ბისთვის და დაეცვა ეროვნული კაპიტალის ინტერესები ქვეყნის გარეთ. ორივე ქვეყანაში გაერთიანებას უნდა დაესრულებინა ერის ჩამოყალიბების პროცესი, ხელი შეეწყო ეროვნული კულტურის განვითარებითვის.

იტალიური რისორჯიმენტოს ეტაპები და მიმდინარეობები

იტალიის გაერთიანებისთვის ბრძოლის ეპოქამ ისტორიოგრაფიაში მიიღო რისორჯიმენტოს (იტალიურად ნიშნავს აღორძინებას) სახელწოდება. მის დასაწყისს მიაკუთვნებენ XVIII-XIX სს. მიჯნას, რევოლუციური და ნაპოლეონის ომების ხანას.

ომების მსვლელობისას იტალიის მიწებზე გატარდა ბურჟუაზიული ხასიათის გრანდიოზული გარდაქმნები: ლიკვიდირებული იქნა გლეხების პირადი ვალდებულებების ნარჩენები და შემოიღეს მიწასთან დაკავშირებული გადასახადების გამოსყიდვის წესი, გააუქმეს შემოსავლის მეათედის გადახდა ეკლესიისთვის, დაყიდეს ეკლესიის მიწები; გააუქმეს მონოპოლიები, საბაჟო ბარიერები, ამქრის შეზღუდვები, მოაწესრიგეს ფულადი სისტემა; მოსახლეობა, რომელსაც ქონებრივი ცენზი გააჩნდა, დაშვებული იქნა ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებასთან, თუმცა ამ უკანასკნელებს ფრანგები აკონტროლებდნენ. შესამჩნევად შემცირდა იტალიური მიწების დანაწილება. ბოლოს და ბოლოს, ნაპოლეონმა, ჩართო რა ზოგიერთი მათგანი უშუალოდ საფრანგეთის იმპერიის შემადგენლობაში, დარჩენილ ტერიტორიებზე ორი მარიონეტული სახელმწიფო დააფუძნა: იტალიის სამეფო, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში, და ნეაპოლიტანიის სამეფო, რომელიც ჯერ თავის ძმა ჟოზეფს გადასცა, შემდეგ კი სიძეს, მიურატს.

ნაპოლეონის ბატონობის სხვა, ნეგატიური შედეგი გახდა იტალიის გადაქცევა იმპერიის აგრარულ-ნედლეულ დანამა-

ტად, რომელსაც დამატებით დაევალა კაბალური გადასახადები და ვალდებულებები. წინააღმდეგობრივი შეხამება კეთილმყოფელი ცვლილებებისა, რომლებიც აქ საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონმა შემოიტანეს, და იტალიის მიერ განცდილი ეროვნული დამცირებისა გახდა კიდეც იმპულსი პატრიოტული მოძრაობისა უცხოური ბატონობის გადაგდებისთვის. მაგრამ მის მონაწილეებს განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდათ იტალიის შემდგომ პოლიტიკურ ბედზე. პატრიოტ- თა ყველაზე მებრძოლი ნაწილი გააერთიანა კარბონარიების საზოგადოებამ, რომლის უჯრედები (ვენტები) იქმნებოდა მასონური ლოჟის პრინციპით.

ვენის კონგრესმა იტალიაში აღადგინა ადრინდელი მონარქიები: ბურბონთა - ნეაპოლიტანიის სამეფოში (1816 წლიდან ორივე სიცილიის სამეფო), ჰერცოგებისა, რომლებიც დინასტიური კავშირებით იყვნენ დაკავშირებული ჰაბსბურგებთან, პარმაში, მოდენასა და ტოსკანაში, რომის პაპის საერო ხელისუფლება, სავოიას დინასტია სარდინიის სამეფოში (მის შემადგენლობაში შევიდნენ პიემონტი, სავოია, გენუა და კუნძული სარდინია). ნაპოლეონის ბატონობის პერიოდის კანონმდებლობა გაუქმდა, თუმცა ზოგიერთი იმდროინდელი გარდაქმნები ძალაში დარჩა. მაგრამ მთავარი - იტალიის პოლიტიკური და ეკონომიკური დაქუცმაცება კვლავ რეალობად იქცა. მისი დაძლევის წინაღობას კი ავსტრიელი ჰაბსბურგები წარმოადგენდნენ, რომლებმაც მიიღეს ლომბარდო-ვენეციის ოლქი და სამხედრო-პოლიტიკური მიმართებით დაიმორჩილეს იტალიის ყველა რეჟიმი, პიემონტის გამოკლებით.

პატრიოტული მოძრაობა იტალიაში, ისევე სხვადასხვაგვარი, სოციალურ-პოლიტიკური შეფერილობით, როგორც ადრე იყო, ახლა ავსტრიის საწინააღმდეგო ლოზუნგებით მოქმედებდა. მაგრამ ორი რევოლუციური შეტევის წარუმატებლობამ, 20-იანი წლების დასაწყისის (რევოლუცია ორივე სიცილიის სამეფოსა და პიემონტში) და 30-იანი წლების დასაწყისისა (მოდენაში, პარმასა და პაპის სახელმწიფოში), დღის წესრიგში დააყენა ბრძოლის ადრინდელი მეთოდების და ორგანიზაციულო ფორმების გადასინჯვის საკითხი. კარბონარიების ეპოქა წარსულს ჩაბარდა, დაიწყო რისორჯიმენტოს ახალი ეტაპი, რომლის მიმდინარეობისას ორი ძირითადი მიმდინარეობა გამოიყო.

დემოკრატიულმა მიმდინარეობამ, წარმოდგენილმა ჯუზეპე მაზინის ორგანიზაციით „ახალგაზრდა იტალია“, წამოაყენა ამოცანა ავსტრიელ ოკუპანტთა და ჰაბსბურგებისადმი დაქვემდებარებული მონარქიების წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყების გზით ალპებიდან სიცილიამდე („ბუნებრივი საზღვრების“ პრინციპი), შექმნილიყო იაკობინური ტიპის იტალიის უნიტარული რესპუბლიკა. მაძინისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პროპაგანდას და აღზრდას, განსაზღვრავდნენ რა პატრიოტულ სამსახურს, როგორც ყოველი იტალიელის რელიგიურ ვალს. მათი დევიზი იყო: „ღმერთი და ხალხი“. მაგრამ დემოკრატიული მიმდინარეობა პოლიტიკური საკითხის (იტალიის გაერთიანება) გადაწყვეტას არ უკავშირებდა სოციალური საკითხების (უპირველეს ყოვლისა, აგრარულის) გადაჭრას, რადგან შიშობდა, რომ ეს ჩამოაცილებდა მას ლიბერალურ თავადაზნაურობას და მიწის მფლობელ ბურჟუაზიას, რაც, თავის მხრივ, ასუსტებდა „ახალგაზრდა იტალიის“ სოციალურ ბაზას.

რისორჯიმენტოში ზომიერ-ლიბერალური პროგრამის წამოყენება განპირობებული იყო გაზრდით ბურჟუაზიული ფენებისა, მათ შორის ახლებურად მეურნე თავადაზნაურობის

ხარჯზე. მისი იდეოლოგები წინა პლანზე აყენებდნენ იტალიურ სახელმწიფოებში იმ რეფორმების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მეწარმეობის და ვაჭრობის თავისუფლებას და იმავდროულად შეკრავდნენ იტალიას ერთიან სამეურნეო ორგანიზმად. პოლიტიკურ ასპექტში ლიბერალები მხარს უჭერდნენ იტალიური მონარქიების ფედერაციას, შექმნილს ეგიდით რომის პაპისა ან სარდინიის მეფე კარლოს ალბერტისა, რომელიც ამ იდეისკენ იხრებოდა. ამ მიმართულების აზრთა გამომხატველი გახდა გაზეთი „რისორჯიმენტო“, რომელსაც 1847 წლიდან გამოსცემდა პიემონტში გრაფი კამილო კავური.

1848-1849 წლების რევოლუციის მსვლელობისას, რომელაც საყოველთაო იტალიური ხასიათი მიიღო, ორივე მიმდინარეობის პროგრამამ გაიარა გამოცდა პრაქტიკით. გამოვლინდა დემოკრატიული პლატფორმის სისუსტე, ჩაიფუშა იმედები რომის პაპზე და მონარქიების კეთილ ნებაზე გაერთიანებულიყვნენ იტალიურ ფედერაციაში. სამაგიეროდ, სავოიას დინასტიამ ხმამაღლა გამოაცხადა, რომ არის ერთიანი იტალიის მომხრე.

1850-60-იან წლებში რისორჯიმენტო თავის დასკვნით ფაზაში შევიდა. სარდინიის სამეფოში, რომელმაც კონსტიტუცია მიიღო, პრემიერ მინისტრი გახდა გრაფი კავური. მისი ლიბერალური რეფორმების წყალობით, პიემონტი გახდა იტალიის ეკონომიკური ლიდერი, ყირიმის ომში მონაწილეობის მიღებით კი საჭირო წონა შეიძინა საერთაშორისო არენაზე. დემოკრატიული მიმდინარეობა გაიხლიჩა, და მისმა ნაწილმა, რომელიც მზად იყო პიემონტის მთავრობასთან თანამშრომლობისთვის, შექმნა ახალი „იტალიის ეროვნული საზოგადოება“. მისი ვიცე-თავმჯდომარე გახდა „ახალგაზრდა იტალიის“ სახელგანთქმული გმირი ჯუზეპე გარიბალდი, რომელმაც შეინარჩუნა თავისი რესპუბლიკური შეხედულებები.

1859 წელს, სარდინიის სამეფო, კავშირში საფრანგეთთან, რომელსაც დაპირდნენ პიემონტის შემადგენლობაში შემავა- ლი ნიცა და სავოია, ჩაება ომში ჰაბსბურგთა დინასტიას- თან ლომბარდიისა და ვენეციისათვის. ამასთან, ავსტრიელთა დამარცხებებმა გამოიწვიეს პატრიოტული აღმავლობა ცენტ-რალურ იტალიაში, დემონსტრაციები და აჯანყებები. ჰერ-ცოგები გაიქცნენ, მოგვიანებით კი, პლებისციტების შემდეგ, პარმა, ტოსკანა და მოდენა, აგრეთვე პაპის სახელმწიფოს ნაწილი შეუერთდა პიემონტს. საფრანგეთის იმპერატორმა, ნა-პოლეონ III, შეშინებულმა გაუთვალისწინებელი მოვლენებით, შეაჩერა ომი და დაუზავდა ავსტრიელებს. ისე რომ, შედეგად, ავსტრიელებმა პიემონტს მხოლოდ ლომბარდია მისცეს.

1860 წლის აპრილში დაიწყო აჯანყება იტალიის სამხრეთში. გენუიდან სიცილიაში ორი ხომალდით გაემართა მოხალისეთა რაზმი გარიბალდის მეთაურობით. სულ რამდენიმე თვეში გარიბალდის „ათასეულმა“ დაამარცხა ბურბონთა შეიარაღებული ძალები და დაიკავა ნეაპოლი. ფანტასტიკურმა წარმატებამ გარიბალდისა, რომელიც არ ჩქარობდა სამხრეთის გადაცემას პიემონტისთვის და განზრახული ჰქონდა ლაშქრობა რომზე, ააღორძინა იმედები გაერთიანების დემოკრატიულ ვარიანტზე და საშინლად შეაშინა კავური, რომელმაც იქვე მიიღო ნაპოლეონ III ლოცვა-კურთხევა და შეიყვანა ჯარი პაპის სახელმწიფოს კიდევ ორ პროვინციაში - მარკესა და უმბრიაში, შეაჩერა რა გარიბალდის წინსვლა. 1861 წელს გამოცხადდა იტალიის სამეფო, რომლის ფარგლებს გარეთ რჩებოდა მხოლოდ რომი ლაციოს ოლქით, დაკავებული საფრანგეთის ჯარების მიერ, და ვენეცია.

დემოკრატიული ალტერნატივის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გახდა აგრარული ამბოხება იტალიის სამხრეთში. გლეხთა ბრძოლამ სათემო მიწებისთვის ვერ ჰპოვა საჭირო გაგება

გარიბალდის მხრიდან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გლეხთა გამოსვლების ჩახშობაში და შემდგომ (1865 წლამდე) ამბოხება გრძელდებოდა უკვე განდევნილი ბურბონების მხარდაჭერის ლოზუნგებით.

1866 წელს ავსტრია-პრუსიის ომის შედეგად, რომელშიც პიემონტი გამარჯვებული პრუსიის მხარეზე გამოდიოდა, მან მიიღო ვენეცია. 1870 წელს კი, საფრანგეთ-პრუსიის ომის მსვლელობისას, ნაპოლეონ III რეჟიმის დამხობის შედეგად, როდესაც რომიდან გაიყვანეს საფრანგეთის კორპუსი, მუდმივი ქალაქი გახდა იტალიის სახელმწიფოს დედაქალაქი.

გერმანიის გაერთიანება „ზემოდან“.

ევროპაში ნაპოლეონის ბატონობის დროს გერმანულმა მიწებმა ასევე განიცადეს დიდი ცვლილებები: რომის საღვთო იმპერია გაქრა, შეიკვეცა პოლიტიკური დაქუცმაცებულობა (ნაპოლეონმა შექმნა გერმანულ სახელმწიფოთა გაერთიანება - რეინის კავშირი - და ვესტფალიის სამეფო, რომლის სათავეში თავისი ძმა ჟერომი დააყენა), ჩატარდა ანტიფეოდალური გარდაქმნები. ტილზიტის ზავის შემდეგ, ტერიტორიულად ძლიერ შეკვეცილ პრუსიაში მმართველი წრეები წავიდნენ ზომიერ რეფორმებზე: გაუქმდა გლეხთა პირადი დამოკიდებულება და განსაზღვრული იქნა პირობები, თუმცა ძალიან მძიმე, მიწასთან დაკავშირებული გადასახადების გამოსყიდვისა. მთავრობამ საგადასახადო რეფორმა ჩაატარა, მოახდინა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია, შექმნა თვითმმართველობის ორგანოები ქალაქებში, შემოიღო საყოველთაო სამხედრო ვალდებულება და მოახდინა არმიის რეორგანიზაცია. იმავე, რაც იტალიაში, ნარევმა გამაჯანსაღებელი ცვლილებებისა და სამხედრო დამარცხებებით, ოკუპაციით და საფრანგეთისადმი ეკონომიკური დამორჩილებით

შეურაცხყოფილი ეროვნული გრძნობისა, ბიძგი მისცა პატრიოტული მოძრაობის დაწყებას გერმანულ მიწებზე. მაგრამ აქედან ყველაზე დიდი სარგებელი ნახა პრუსიის მონარქიამ. ვენის კონგრესმა აღიარა რომის საღმრთო იმპერიის ლიკვიდაცია. მის ნაცვლად შეიქმნა გერმანიის კავ-შირი (37 მონარქია და 4 თავისუფალი ქალაქი). პრუსია და ავსტრია მასში მხოლოდ ნაწილებად შედიოდნენ, ისევე, როგორც ადრე იმპერიაში შედიოდნენ. პრუსიამ რიგი ტერიტორიული შენაძენი ჰპოვა. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკურად განვითარებული ოლქები რეინსა და ვესტფალიაში მდიდარი რურის აუზით. ამან, აგრეთვე აგრარული საკითხის გადაჭრამ პრუსიელ მემამულეთა სასარგებლოდ, რომლებმაც თავისი ლატიფუნდიები შეინარჩუნეს და იმავდროულად მოახდინეს მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების აკუმულირება (სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების იუნკრული გზა, რომელმაც შეადგინა იუნკრობისა და ბურჟუაზიის ზედაფენის კლასობრივი კომპრომისის ბაზა), გადააქცია პრუსია სამრეწველო გადატრიალების ლიდერად გერმანულ მიწებზე. 1830-იან წლებში პრუსიის ეგიდით, შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომელიც ითვლიდა ორ ათეულ სახელმწიფოს და ეს გახდა პირველი ნაბიჯი ქვეყნის ეკონომიკური გაერთიანების გაფორმებაში.

1848-1849 წლების მღელვარე მოვლენების მთავარი შედეგი გერმანულ მიწებში იყო გერმანიის „ქვემოდან“ გაერთიანების რევოლუციური ვარიანტის წარუმატებლობა. ამის მიზეზი გახდა დემოკრატიული მოძრაობის სისუსტე და დაქსაქსვა, წვრილბურჟუაზიული რესპუბლიკელების მერყეობა, პროლეტარ- თა მასების გამოუცდელობა, შიში, რომელსაც მათ მიმართ ლიბერალური ბურჟუაზია გრძნობდა, მიდრეკილი მონარქიასთან შეთანხმებაზე. გამოიკვეთა გერმანიის „ზევიდან“ გაერთიანე-

ბის ორი ვარიანტი: დიდგერმანული, ავსტრიის ეგიდით, და მცირეგერმანული, პრუსიის ეგიდით, მრავალეროვნული დუნაის იმპერიის გარეშე. ვენის დამარცხება პრუსიასთან ბრძოლაში შეიძლება დაუკავშირდეს პრუსიის გაცილებით უფრო წარმატებულ ნაბიჯებს ბურჟუაზიული პროგრესის გზაზე და ერთაშორის წინააღმდეგობებს, რომლებიც ასუსტებდნენ ავსტრიას.

მწვავე შეტაკება ორ სახელმწიფოს შორის გერმანიის საკითხზე მოხდა 40-50-იანი წლების მიჯნაზე. ავსტრიის უარის შემდეგ, განეხილა ბერლინის გეგმები, დაკავშირებული გერმანული კავშირის რეორგანიზაციასთან, პრუსიამ 1849 წელს ხელი მოაწერა ცალკე შეთანხმებას საქსონიასა და ჰანოვერთან („სამი მეფის უნია“, ან პრუსიის უნია). საქმე კინაღამ მივიდა სამხედრო კონფლიქტამდე ავსტრიასა და პრუსიას შორის, მაგრამ უცხოური დიპლომატიების, პირველ რიგში ნიკოლოზ I პოზიციის გამო, რომელმაც მხარი ავსტრიის იმპერატორს დაუჭირა, ყველაფერი დასრულდა პრუსიის „ოლმიუცის შეურაცხყოფით“ - ოლმიუცში მან ფაქტიურად უარი თქვა ჰეგემონიაზე მთელ გერმანიაში.

გასაგები გახდა, რომ გერმანული მიწების გაერთიანება პრუსიის გვირგვინის გარშემო შესაძლებელია მხოლოდ „სისხლით და რკინით“, ამისთვის კი საჭიროა ყველაზე ძლიერი და ბრძოლისუნარიანი არმია. თავის მხრივ, მისი რეორგანიზაცია და გადაიარაღება მნიშვნელოვან თანხებს მოითხოვდა, მათი გამოყოფის საკითხი კი უნდა გადაეწყვიტა წარმომადგენლობით ორგანოს - პრუსიის ლანდტაგს. იქაურმა ლიბერალებმა დიდი სამხედრო ბიუჯეტის მიღების პირობად დააყენეს ხელისუფლებაში მათი დაშვება. მაგრამ ეს შანტაჟი ჩაიფუშა. ოტო ფონ ბისმარკმა, 1862 წელს დანიშნულმა პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტად, გაატარა სამხედრო რეფორმა კონსტიტუციურ სიძნელეებზე ყურადღების მიქცევის გარეშე. მისმა წარმატებებმა კი გერმანიის გაერთიანების საქმეში ლიბერალები შემდგომ მადლიერების შემცველ თანხმობამდე მიიყვანა.

1864 წელს პრუსიამ, გააერთიანა რა ძალები ავსტრიასთან, რაც ეშმაკური ხრიკი იყო, დაამარცხა დანია, ამასთან, ამ უკანასკნელის შემადგენლობაში მყოფი შლეზვიგი პრუსიას ერგო, ჰოლშტაინი კი ავსტრიას. შემდეგ აქტში ბისმარკმა, მიაღწია რა საფრანგეთის ნეიტრალიტეტს და ხელი მოაწერა საიდუმლო შეთანხმებას პიემონტთან, აიყვანა პრუსიის კონტროლქვეშ ჰოლშტაინი და დაესხა ავსტრიას. პრუსიის ჯარებმა 1866 წლის 3 ივლისს გაანადგურეს ავსტრიელები სადოვაიასთან (ჩეხია) ბრძოლაში. ვენა გამოვიდა გერმანულ კავშირიდან და უკვე არ იყო ბარიერი მისი ლიკვიდაციის გზაზე.

ბისმარკმა, მოახდინა რა დემონსტრირება უმაღლესი დიპლომატიური „პილოტაჟისა“, შეძლო პრუსიის აგრესიული ქმედებების მიმართ რუსეთის წინააღმდეგობის და ზოგიერთ გერმანულ მიწაზე საფრანგეთის პრეტენზიების ნეიტრალიზ-ება. ძველი გერმანული კავშირის ნაცვლად პრუსიის მეფის მეთაურობით შეიქმნა ახალი, ჩრდილოეთგერმანული კავშირი ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით. კავშირის ფარგლებს გარეთ დარჩა სამხრეთგერმანული სახელმწიფოები: ბავარია, ბადენი, ვიურტემბერგი და ნაწილი ჰესენ-დარმშტადტის, რომლებსაც ნაპოლეონ III მფარველობდა. და, ბოლოს, საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომის შე- დეგად, ისინი შევიდნენ 1871 წლის 18 იანვარს გამოცხადებ-ული გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში. გერმანიის გაე-რთიანება დასრულდა იმით, რომ პრუსიის მონარქიის ეგიდით შეიქმნა

ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მძლა- ვრი ცენტრალურ-ევროპული სახელმწიფო.

8. ვითარების შეცვლა საერთაშორისო არენაზე. დიდი სახელმწიფოების ბლოკების შექმნა. სამთა (ოთხთა) კავშირის შექმნა

საფრანგეთ-პრუსიის ომმა, რომელიც საფრანგეთის დამარც- ხებით დასრულდა, ახალი ფურცელი გადაშალა საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში, შეცვალა რა ძალთა შეფარდება მსოფლიო არენაზე. ეს მთელმა რიგმა ფაქტორებმა განაპირობა:

გერმანიის გაერთიანებამ, რომელმაც ხელი შეუწყო მისი ეკო- ნომიკური პოტენციალის ზრდას და, შედეგად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებას როგორც ევროპაში, ისე კოლონიებ- ში.

დასრულებამ იტალიის გაერთიანებისა, რომელმაც თავისი, როგორც ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნის მომენტიდან, ისევე, როგორც გერმანიამ, დიდი აგრესიულობა გამოავლინა, გახდა რა საფრანგეთის მეტოქე ხმელთაშუა ზღვის აუზში.

დაახლოებამ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთისა, რომელიც დაინტერესებული იყო იმით, რომ გერმანიას მხარი დაეჭირა ვენის პოლიტიკისთვის ბალკანეთზე.

ამრიგად, საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად, შეირყა იმ სახელმწიფოთა მდგომარეობა, რომლებიც პრაქტიკულად მთე- ლი XIX საუკუნის მანძილზე დომინირებდნენ ევროპასა და კოლონიებში. მსოფლიო არენაზე გამოჩნდა ახალი, დინამიუ- რად განვითარებადი სახელმწიფო, რომელიც ასევე აცხადებდა

პრეტენზიას დომინირებაზე მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონო- მიკურ ურთიერთობებში.

ომის შედეგად მიღწეული წარმატების განსამტკიცებლად, გერმანიის ხელმძღვანელობამ დაიწყო შექმნა პროგერმანული სამხედრო-პოლიტიკური კოალიციისა, რომლის ძირითადი ამოცანა უნდა გამხდარიყო საფრანგეთის (ევროპაში გერმანიის იმპერიის ძირითადი მოწინააღმდეგის) იზოლაცია და გერ- მანიის ძლიერების შემდგომი განვითარებისთვის ხელსაყრ- ელი პირობების შექმნა. ასეთმა პოლიტიკამ თავისი ასახვა პოვა ეგრეთ წოდებული სამი იმპერატორის კავშირის შექმნაში, რომ- ელიც იყო დაფუძნებული მონარქიული სოლიდარობის იდე- აზე და მოწოდებული საფრანგეთისგან ჩამოეცილებინა მისი შესაძლო მოკავშირეები რუსეთისა და ავსტრიის სახით. სამ იმპერატორთა კავშირი შეიქმნა 1872 წლის სექტემბერში ბერ- ლინში რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის იმპერატორთა შეხ- ვედრის დროს. კავშირის საბოლოო გაფორმება მოხდა 1873 წელს, როდესაც სამ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა სამხედრო კონვენციებს.

გერმანიის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამი იმპერატორის კავშირს, მაგრამ უფრო მეტ მნიშვნელობას ის ანიჭებდა გერმანია-ავსტრიის ორმხრივი ურთიერთობების გან- ვითარებას. ოტო ფონ ბისმარკი, გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერი, არსებითად უკვე 1866 წლიდან, ჯერ კიდევ გერმა- ნიის გაერთიანებამდე, ავსტრიას განიხილავდა როგორც გერ- მანიის ბუნებრივ მოკავშირეს. ავითარებდა რა ურთიერთობებს რუსეთთან, გერმანია ასევე მოლაპარაკებას აწარმოებდა ავსტ- რია-უნგრეთთან და სთავაზობდა მას დაედოთ სამოკავშირეო ხელშეკრულება, მიმართული რუსეთისა და საფრანგეთის წი- ნააღმდეგ. მაგრამ ავსტრიის კანცლერ, გრაფ ანდრაშის დაჟინე-

ბით, ორი სახელმწიფოს დიპლომატები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ანტირუსული შეთანხმების განხილვით, რომელიც მოაწერეს კიდეც ხელი 1879 წლის 7 ოქტომბერს ვენაში. მოცემული შეთანხმება საიდუმლო იყო და ფორმალურად თავდაცვით სახეს ატარებდა, მაგრამ, ბევრი მკვლევარის აზრით, ის ფაქტობრივად შეიცავდა შესაძლებლობებს აგრესიული გერმანულ-ავსტრიული პოლიტიკის განვითარერებისა. მთლიანობაში, 1879 წლის გერმანია-ავსტრიის შეთანხმება შეიძლება დახასიათდეს, როგორც პირველი სამხედრო ბლოკი, ჩამოყალიბებული ევროპაში მსოფლიო არენაზე ძალთა ახალი განლაგების პირობებში.

გერმანიის ხელმძღვანელობის შემდგომმა საქმიანობამ, მიმართულმა იმპერიის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებასა და, შესაბამისად, საფრანგეთის პოზიციების დასუსტებაზე, გამოიწვია ახალი ბლოკის - სამთა კავშირის - შექმნა, რომელშიც, გარდა გერმანიის და ავსტრია-უნგრეთისა, მონაწილეობა მიიღო იტალიამ, დაინტერესებულმა საფრანგეთის პოზიციების დასუსტებით ჩრდილოეთ აფრიკაში. მოცემულ შემთხვევაში, ბისმარკის დიპლომატიურმა ტალანტმა შესაძლებლობა მისცა მას შეერბილებინა იტალია-ავსტრიის წინააღმდეგობები, წარმოშობილი პორტების ტრენტინოს და ტრიესტის გამო. 1882 წლის 20 მაისს გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება, რომლის მიხედვით, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ვალდებულებას იღებდნენ გამოსულიყვნენ იტალიის მხარეზე, თუ ეს უკანასკნელი „თავის მხრიდან გამოწვევის გარეშე აღმოჩნდებოდა საფრანგეთის თავდასხმის ობიექტი“, იტალია კი თავისთავზე იღებდა ანალოგიურ ვალდებულებას გერმანიის მიმართ; შეთანხმების სამივე მონაწილე რომელიმე მათგანზე ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთ-

ვალდებულებას იღებდა ჩაბმულიყვნენ ომში თავდამსხმელ სახელმწიფოებთან. მაგრამ იტალიამ დაამატა კიდევ ერთი პირობა: გერმანიასა ან ავსტრია-უნგრეთზე ინგლისის თავდასხმის შემთხვევაში იტალია არ იქნებოდა ვალდებული დახმარებოდა თავის მოკავშირეებს. ამ შეთანხმების ხელმოწერით გაფორმდა სამთა კავშირი.

იმავე წელს ავსტრია-გერმანიის ბლოკმა შეძლო თავის მხარეზე გადაეყვანა რუმინეთი. იმავდროულად მოხდა გერ-მანიისა და ესპანეთის დაახლოება. მეფე ალფონს XII მოიწვიეს ბერლინში, და მასთან აქ დაიდო „ჯენტლმენური შეთანხმება“, რომლის თანახმად, ესპანეთს საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში პირენეებში საფრანგეთის წინააღმდეგ უნდა გამოეყვანა 100 ათასიანი არმია.

ამრიგად, შექმნილი სამხედრო ბლოკი მნიშვნელოვნად ამლიერებდა გერმანიის პოზიციებს, ქმნიდა რა ხელსაყრელ პირობებს გერმანიის გავლენის გავრცელებისთვის ევროპის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე, ასევე, უზრუნველყოფდა მის შედარებით უსაფრთხოებას როგორც დასავლეთში საფრანგეთისგან, ისე აღმოსავლეთში, რუსეთისგან.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის იმპერიის მმართველი წრეები, დგამდნენ რა პოლიტიკურ ნაბიჯებს, მიმართულს რუსეთის წინააღმდეგ, იმავდროულად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მეგობრული ურთიერთობები რუსეთთან, უმთავრესად იმისთვის, რომ არ დაეშვათ მისი დაახლოება საფრანგეთთან. ამ მიზნით, ბისმარკმა რუსეთის მთავრობას შესთავაზა დაედოთ საიდუმლო ორმხრივი შეთანხმება, რომელსაც უნდა შეეცვალა სამი იმპერატორის კავშირი, დაშლილი 1887 წელს იმის შედეგად, რომ გამწვავდა ურთიერთობები რუსეთ-ავსტრიას და რუსეთ-გერმანიას შორის. რუსეთ-ინგლისის

ურთიერთობების გამწვავებამ ავღანეთში აიძულა მეფის მთავრობა მიეღო ეს წინადადება. იმავე 1887 წელს გერმანიასა და რუსეთს შორის სამი იმპერატორის კავშირის ნაცვლად ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელსაც ეწოდა ხელშეკრულება გადაზღვევის შესახებ. მის თანახმად, რუსეთი იღებდა ვალდებულებას შეენარჩუნებინა მეგობრული ნეიტრალიტეტი გერმანიაზე საფრანგეთის თავდასხმის შემთხვევაში, სანაცვლოდ კი მიიღო გერმანიის დაპირება, რომ ის დაუჭერდა მხარს რუსეთს მახლობელ აღმოსავლეთში ინგლისის რაიმე ისეთი მოქმედების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება შეხებოდა რუსეთის ინტერესებს ამ რეგიონში. მაგრამ გადაზღვევის შეთანხმება იყო გერმანიის დიპლომატიის მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება, რადგან რუსეთი არ იძლეოდა გერმანიისთვის სამხედრო დახმარების გაწევის გარანტიას მის ბრძოლაში საფრანგეთთან, პეტერბურგის მიერ დაპირებული ნეიტრალიტეტი კი პირობითი იყო. იმავე დროს ეს შეთანხმება ხელს უწყობდა რუსეთისა და საფრანგეთის დაახლოების შენელებას, და ეს მაშინ, როდესაც ორივე ქვეყანაში ამ დროს დიდი იყო მისწრაფება ამ დაახლოებისკენ. გადაზღვევის შეთანხმება ძალაში რჩებოდა 1890 წლამდე.

9. ბრიტანეთ-გერმანიის წინააღმდეგობათა განვითარება 1904-1907 წლებში. ანტანტის შექმნა

გერმანიისა და მისი მოკავშირეების საგარეო პოლიტიკის გააქტიურებამ მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოიწვია საფრანგეთის და, განსაკუთრებით, ინგლისის (რომელსაც შიში ჰქონდა თავისი დომინირების გამო კოლონიურ სფეროში) მმართველ

წრეებში. ამრიგად, ძირითადი ჯგუფი წინააღმდეგობებისა, რომლებიც საერთაშორისო არენაზე ვითარდებოდნენ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, გახდა ინგლის-გერმანიის წინა აღმდეგობები, რომლებმაც განსაზღვრეს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარება უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე.

დინამიკურად განვითარებად გერმანიას და ძველ ინდუსტრიულ სახელმწიფო ინგლისს შორის წინააღმდეგობების განვითარებას ბიძგი მისცა ორმა ძირითადმა მომენტმა: 1. ინგლის-იაპონიის საზღვაო კავშირის შეკვრამ (1902 წელი), რამაც უზრუნველყო დიდი ბრიტანეთის ინტერესები შორეულ აღმოსავლეთში; 2. ინგლის-ბურების ომის დასრულებამ, რამაც ინგლისს საშუალება მისცა უარი ეთქვა გერმანიასთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებაზე ნებისმიერი საშუალებით.

ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ზრდის ერთ-ერთი პირველი მაჩვენებელი გახდა ინგლისის პოზიციის შეცვლა ბაღდადის რკინიგზის აშენების გერმანული პროექტის მიმართ. ამ მომენტამდე (1902 წლის დასასრული - 1903 წლის დასაწყისი) ინგლისი არ უშლიდა ხელს მოცემული პროექტის განხორციელებას, უფრო მეტი, გერმანელ და ინგლისელ საქმიან წრეებს შორის მიდიოდა ინტენსიური მოლაპარაკებები ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის შესახებ პროექტის რეალიზაციის საქმეში. 1903 წელს მოლაპარაკებები შეწყდა და ინგლისის ხელმძღვანელობამ დაიწყო ზომების მიღება ამ პროექტის რეალიზაციის წინააღმდეგ, ატარებდა რა საზოგადოებრივი აზრის დამუშავებას ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ბრიტანეთის ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ გერმანელი კონცესიონერების შეღწევა მახლობელ აღმოსავლეთში ხელს შეუწყობს გერმანიის გავლენის გაზრდას ამ რეგიონში

და ამგვარად, შექმნის თავისებურ სასტარტო მოედანს გერმანული ექსპანსიის შემდგომი განვითარებისთვის აზიაში ბრიტანული კოლონიებისკენ; გარდა ამისა, ინგლისი შეწუხებული იყო გერმანიის გავლენის ზრდით ევროპაში. აღნიშნულმა ფაქტორებმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი ბრიტანეთის იმპერიის საგარეო-პოლიტიკური კურსის გადასინჯვის და საერთაშორისო არენაზე მოქმედებათა ისეთი ტაქტიკის შემუშავების შესახებ, რომელიც შეესაბამებოდა შეცვლილ პირობებს და ეფექტურად შეუწყობდა ხელს ბრიტანეთის სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციას.

ამრიგად, გერმანიის გაძლიერებამ და მისი საგარეო პოლიტიკის გააქტიურებამ გამოიწვიეს ინგლის-გერმანიის ურთიერთობათა გაცივება, ბრიტანული ხელისუფლება კი მიიყვანეს დასკვნამდე, რომ საჭიროა უარის თქმა „ბრწყინვალე იზოლაციის“ პოლიტიკაზე და დაახლოება თავის ოდინდელ მეტოქეებთან ევროპასა და კოლონიებში გავლენისთვის ბრძოლაში - საფრანგეთთან და რუსეთთან. ინგლისი, რომელსაც არ სურდა დაეშვა კოლონიური სამფლობელოების გადანაწილება გერმანიის სასარგებლოდ, ამ გზით აპირებდა გერმანიისთვის წაერთვა შესაძლებლობა, აეგო თავისი დიპლომატია ინგლის-რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენებაზე, ცდილობდა რა მიეღწია ინგლისის მთავრობისგან დათმობებისათვის საგარეო-პოლიტიკურ და კოლონიურ სფეროებში. გარდა ამისა, ინგლის-საფრანგეთის დაახლოება ნაკარნახევი იყო აუცილებლობით, უზრუნველეყოთ საფრანგეთის ნეიტრალიტეტი 1904 წელს დაწყებული რუსეთ-იაპონიის ომის დროს, მით უმეტეს, რომ ამ კონფლიქტში საფრანგეთის გამოსვლას რუსეთის მხარეზე, ინგლის-იაპონიის ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა მოყოლოდა

ომში ინგლისის ჩაბმა. რუსეთ-ინგლისის დაახლოების აუცილებლობა კი ნაკარნახევი იყო უმთავრესად იმით, რომ იაპონიასთან ომში დამარცხების შედეგად (ამ ომში იაპონიას საკმაოდ აქტიურად ეხმარებოდა ინგლისი), სრულიად შესაძლებელი იყო რუსეთის იმპერიის მიერ გერმანიასთან კონსტრუქციული დიალოგის გამართვის ცდა, რაც გააძლიერებდა გერმანიის პოზიციებს მსოფლიო არენაზე ინგლისის გავლენის საზიანოდ.

შექმნილ პირობებში, დიდ ბრიტანეთთან დაახლოების საკითხი უფრო მეტ სიმწვავეს იძენდა საფრანგეთისთვის, ვიდრე თვით ინგლისისთვის, რადგან ომს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილი გადაყავდა გერმანიის საზღვრებიდან, რასაც არ შეეძლო არ გამოეწვია გარკვეული შეშფოთება საფრანგეთის მმართველ წრეებში. საფრანგეთმა, მიდიოდა რა დაახლოებაზე ინგლისთან, ასევე გააქტიურა ურთიერთობა იტალიასთან, იმ მიზნით, რომ ჩამოეცილებინა ის სამთა კავშირისგან. 1902 წელს ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვით, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, დაეცვათ მკაცრი ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ ერთი მათგანი, პირდაპირ თუ ირიბად გახდებოდა ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს თავდასხმის ობიექტი. უფრო მეტი, შეთანხმება ადგენდა, რომ მკაცრი ნეიტრალიტეტი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ერთ-ერთი მხარე პირდაპირი გამოწვევის შედეგად იძულებული გახდებოდა თავისთავზე აეღო ომის გამოცხადების ინიციატივა. არ ეწინააღმდეგებოდა რა მთლიანობაში სამთა კავშირის შეთანხმებას, საფრანგეთ-იტალიის ხელშეკრულებას ფაქტობრივად მინიმუმამდე დაყავდა მისი მნიშვნელობა, რადგან შეთანხმების პირობების მიხედვით, იტალია პირდებოდა სამხედრო დახმარებას გერმა-

ნიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აღმოჩნდებოდა საფრანგეთის მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი „პირდაპირი გამოწვევის გარეშე“. ახლა კი, დადო რა ხელშეკრულება საფრანგეთთან, იტალია იღებდა ვალდებულებას შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი გერმანიის მხრიდან პირდაპირი გამოწვევის შემთხვევაში, თანაც, იტოვებდა უფლებას განესაზღვრა გამოწვევის არსებობა კონფლიქტის მონაწილეთა მხრიდან.

1902 წლის ხელშეკრულება გახდა საფრანგეთის დიპლომატიის დიდი მიღწევა, მაგრამ იტალიის ნეიტრალიტეტი იყო ცუდი შემცვლელი რუსული დახმარებისა, რომელიც სულ უფრო პრობლემატური ხდებოდა შორეულ აღმოსავლეთში ვითარების გართულებასთან დაკავშირებით. ამ პირობების გათვალისწინებით, საფრანგეთი 1903 წელს გახდა ინიციატორი ინგლისთან მოლაპარაკებებისა, რომელთა მიზანი იყო ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული კოლონიური უთანხმოებების მოგვარება. მოლაპარაკებების შედეგი გახდა შესაბამისი შეთანხმება, ხელმოწერილი ლონდონში 1904 წლის 8 აპრილს. ამ მომენტიდან არის მიღებული ისტორიულ ლიტერატურაში ანტანტის, „გულითადი შეთანხმების“, ისტორიის ათვლა.

შეთანხმება, ხელმოწერილი ანტანტის მონაწილეთა მიერ, ორ ძირითად ნაწილისგან შედგებოდა, ერთი რომელთაგანაც გათვლილი იყო პუბლიკაციისთვის, მეორე კი კონფიდენციალური რჩებოდა. შეთანხმების ღია ნაწილი ითვალისწინებდა გავლენის სფეროთა განაწილებას ჩრდილოეთ აფრიკაში, აღიარებდა ინგლისის დომინირებას ეგვიპტეში და აძლევდა ფრანგებს საშუალებას დაეპყროთ მაროკოს დიდი ნაწილი. რაც შეეხება დოკუმენტის დახურულ ნაწილს, ის ეწინააღმდეგებოდა პირველს, რადგან ითვალისწინებდა პოლიტიკური ვითარების შეცვლის შესაძლებლობას როგორც ეგვიპტეში, ისე მაროკოში და იძლეო-

და მხარეთა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების გარანტიას. დოკუმენტის დახურული ნაწილი ითვალისწინებდა აგრეთვე გავლენის სფეროების განაწილებას სიამში, ასევე აწესრიგებდა რიგ მეორეხარისხოვან კოლონიურ საკითხებს.

მთლიანობაში დოკუმენტს წინააღმდეგობრივი, კომპრომისული ხასიათი ჰქონდა და ის არ წყვეტდა ძირეულ წინა-აღმდეგობებს ინგლისსა და საფრანგეთს შორის, მაგრამ პასუხობდა აღნიშნული სახელმწიფოთა იმდროინდელ ინტერესებს და აძლევდა მათ შესაძლებლობას გაენაწილებინათ აფრიკის ჯერ კიდევ თავისუფალი ტერიტორიები, მოეწესრიგებინათ რიგი წინააღმდეგობა და შეექმნათ საფუძველი გერმანიის წინააღმდეგ მიმართული ერთიანი საქმიანობისთვის. მაგრამ თვით შეთანხმების ტექსტში არ არის რაიმე მინიშნება გერმანიის წინააღმდეგ მისი მიმართულების შესახებ.

აღნიშნულმა შეთანხმებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ბერლინში. გერმანიის ხელმძღვანელობისთვის უსიამოვნო იყო როგორც თვით ფაქტი საფრანგეთ-ინგლისის თანამშრომლობისა, ისე კოლონიების ტერიტორიული დანაწილების განმტკიცებაც, რომელიც ართულებდა გერმანიის მიერ ახალი ტერიტორიების შეძენას.

შეშფოთების დამატებითი საბაბი გახდა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ 150-ზე მეტი სამხედრო ხომალდის გადმოყვანა ხმელთაშუა ზღვიდან, სადაც საფრანგეთთან შეთანხმების შემდეგ, ბრიტანული კომუნიკაციები შედარებით უსაფრთხოებაში აღმოჩნდნენ.

გერმანელების საპასუხო რეაქცია გამოიხატა ცდებში, შექმნილიყო გერმანია-რუსეთის კავშირი, მით უმეტეს, რომ რუსეთს, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მარცხდებოდა შორეულ აღმოსავლეთში, ძალიან სჭირდებოდა ეკონომიკური და

პოლიტიკური მხარდაჭერა. იყენებდა რა ამას, გერმანიის მთავრობამ ხელი მოაწერა რუსეთთან სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც ამცირებდა ასაკრებელს გერმანული წარმოშობის მთელ რიგ სამრეწველო საქონელზე. მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. რუსეთის მთავრობას არ სურდა ურთიერთობების გაფუჭება ინგლისთან და საფრანგეთთან, მით უმეტეს, რადიკალურად გადაესინჯა ისინი, და მან უარყო ვილჰელმ მეორეს წინადადება, ხელი მოეწერათ სამოკავშირეო შეთანხმებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთ სამხედრო დახმარებას ევროპაში კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ამ უარის მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის საფინანსო სისტემის დამოკიდებულება ფრანგულ სესხებზე, გერმანული ბანკების კაპ-იტალი ვერ გახდებოდა რუსეთის იმპერიის ეკონომიკაში ფრანგული ინვესტიციების ადეკვატური შემცვლელი, რამაც განაპირობა კიდეც რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკებათა უარყო-ფითი შედეგები.

განიცადა რა მარცხი რუსეთთან მოლაპარაკებებში, გერმანულმა დიპლომატიამ თავისი ძალისხმევა წარმართა ფრანგულ მიმართულებაზე, ცდილობდა რა დაეშინებინა საფრანგეთის ხელმძღვანელობა მაროკოს საშინაო საქმეებში ჩარევით. გერმანელმა დიპლომატებმა დაიწყეს ზემოქმედება მაროკოს სულთანზე, სტიმულს აძლევდნენ რა საფრანგეთის საწინააღმდეგო განწყობას მის გარემოცვაში, 1905 წლის მარტში კი, ვილჰელმ II, რომელიც ამ ქვეყანაში იმყოფებოდა, მიმართა ინგლისსა და საფრანგეთს მოთხოვნით, უარი ეთქვათ თავისი გარიგებაზე მაროკოს მიმართ, რომელიც ხელმოწერილი იყო 1903 წელს. ცოტა უფრო გვიან, გერმანიის კანცლერმა ბიულოვმა, რომელიც ავითარებდა კაიზერის აზრს, მიმართა მადრიდის 1880 წლის შეთანხმების ყველა მონაწილეს წინადა-

დებით, დაეყენებინათ მაროკოს საკითხი განსახილველად სპეციალურად მოწვეულ კონფერენციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მადრიდის შეთანხმება ადგენდა სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობების თანასწორობას ამ ქვეყანაში. გერმანიის მიერ შეთავაზებულ კონფერენციას უნდა დაედასტურებინა ამ შეთანხმების მიერ გაცხადებული პრინციპები და ამრიგად, ძირი გამოეთხარა ჩამოყალიბებულ ინგლის-საფრანგეთის კავშირისთვის. ბიულოვის წინადადებას თან ახლდა მინიშნებები ომის გაჩაღების შესაძლებლობაზე, თუ საფრანგეთი უარს იტყოდა კონფერენციის მოწვევაზე. სიტუაციამ, რომელიც მაროკოს გამო საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობების გამწვავების შედეგად წარმოიშვა, ლიტერატურაში მაროკოს კრიზისის სახელწოდება მიიღო. ეს კრიზისი თითქმის მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. შედეგად, გერმანიის დიპლომატიამ შეძლო მიეღწია კონფერენციის მოწვევისთვის, რომელიც გახდა კიდეც მაროკოს კრიზისის ფინალური აკორდი. ის 1906 წლის იანვარში გაიხსნა ალხესირასში (ესპანეთი). ამ კონფერენციაზე მიმდინარე დისკუსიები საკმაოდ ცხარე იყო და, გერმანელ დიპლომატთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ხელს უწყობდნენ არა შესუსტებას, არამედ გაძლიერებას ანტანტის პოზიციებისა, გამოავლინეს რა გერმანული პოზიციის შეფარდებითი სისუსტე: ინგლისმა, აშშ-მ, რუსეთმა და იტალიამ ფაქტობრივად მხარი საფრანგეთს დაუჭირეს, მაშინ, როდესაც გერმანიის ინტერეს-ებს მხოლოდ ავსტრია-უნგრეთი და თვითონ გერმანია იცა- ვდა. ასეთ პირობებში გერმანიის მმართველმა წრეებმა ვერ გაბედეს ვითარების შემდგომი გამწვავება, მით უმეტეს, რომ ომი მაროკოსთვის აშკარად არაპოპულარული იყო გერმანიაში.

ალხესირასის კონფერენციამ თავისი მუშაობა დაასრულა 1906 წლის 7 აპრილს, როდესაც ხელი მოეწერა მაროკოს მდგომარეობის განმსაზღვრელ ტრაქტატს. დოკუმენტი ადგენდა მაროკოს სასულთნოს დამოუკიდებლობას და მთლიანობას, აგრეთვე აცხადებდა ყველა ერების ეკონომიკური შესაძლებლობების თანასწორობას მის ტერიტორიაზე. ტრაქტატი ასევე ითვალისწინებდა მაროკოს სახელმწიფო ბანკის შექმნას ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და ესპანეთის სახელმწიფო ბანკების კონტროლქვეშ. აღსანიშნავია ასევე, რომ ალხესირასის ტრაქტატი ფორმალურად საერთაშორისო კონტროლის ქვეშ აყენებდა მაროკოს საპოლიციო ნაწილების და საბაჟო სამსახურების ფორმირებას, მაგრამ ეს ფუნქციები ფაქტობრივად აღმოჩნდა საფრანგეთის და ესპანეთის წარმომადგენლების ხელში. ამრიგად, მიუხედავად ფორმალური კომპრომისისა ორ ბლოკს შორის, მაროკოს კრიზისი გადაწყდა ანტანტის სასარგებლოდ, იქცა რა გერმანიის დიპლომატიის შესამჩნევ დამარცხებად.

გერმანია, აგრძელებდა რა აქტიურ დიპლომატიურ მანევრებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, განაგრძნობდა ასევე თავის ცდებს მიეღწია რუსეთთან კავშირისთვის, უმთავრესად იმ მიზნით, რომ არ დაეშვა მისი დაახლოება ანტანტასთან და უზრუნველეყო თავისი აღმოსავლეთი საზღვრებ- ის უსაფრთხოება. გერმანული მხარის ინიციატივით, 1905 წლის ივლისში ფინეთის შხერებში კუნძულ ბიორკთან შედგა ვილჰელმ მეორის და ნიკოლოზ მეორის შეხვედრა, რომელზეც მონარქებმა ხელი მოაწერეს სამოკავშირეო შეთანხმების პროექტს. მაგრამ რუსეთის დიპლომატებმა დაიჯინეს, რომ ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიდოდა ძალაში, თუ მიიღებდა საფრანგეთის მხარდაჭერას, რაც პრინციპში, უარს ნიშნავდა, ოღონდ გამოხატულს დაფარულ ფორმაში. უარის

თქმის მიზეზი ისევ და ისევ გახდა რუსეთის მთავრობის სურვილი არ დაეკარგა ფრანგული და ინგლისური ინვესტიციები რუსულ ეკონომიკაში, რომლებიც მას ამ პერიოდში კიდევ უფრო მეტად სჭირდებოდა თავისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების აღსადგენად, რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად რომ შესუსტდა.

თავის მხრივ, ინგლისმა, დაინტერესებულმა რუსეთთან თავისი წინააღმდეგობების დარეგულირებით, რიგი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართებით, მიიღო რა მონაწილეობა იმ სესხში, რომელიც საფრანგეთის ბანკებმა მისცეს რუსეთის მთავრობას 1906 წლის დასაწყისში. რუსეთ-ინგლისის ანტაგონიზმის დასუსტებას ხელს უწყობდა გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური შეჭრა მახლობელი აღმოსავლეთის იმ ქვეყნების საქმეებში, რომლებზეც პრეტენზიები ზემოთ მოყვანილ ორ ქვეყანასაც ჰქონდა. ადრინდელ სიმწვავეს ინარჩუნებდა მხოლოდ ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობები ავღანეთსა და შუა აზიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ალხესირასის კონფერენციაზე ინგლისელმა დიპლომატებმა დაიწყეს ნიადაგის მოსინჯვა რუსეთთან პოლიტიკური შეთანხმების დადების შესაძლებლობის საკითხზე, რომელსაც უნდა შეევსო ინგლის-საფრანგეთის 1903 წლის ხელშეკრულება. მოცემული შეთანხმების მიღწევისთვის საჭირო ნაბიჯი უნდა გამხდარიყო ინგლისის შუამავლობა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობათა დარეგულირებაში, მით უმეტეს, რომ ინგლისი დაინტერესებული იყო რუსეთის საზღვრების ხელშეუხებლობით შორეულ აღმოსავლეთში, რაც შესაძლებლობას მისცემდა სრულად ყოფილიყო გამოყენებული რუსეთის სამხედრო პოტენციალი გერმანიის წინააღმდეგ. გაწეული დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად, 1907 წლის ივლისში ინგლისის შუამავლობით ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა

პოლიტიკურ შეთანხმებას და კონვენციას თევზჭერის შესახებ, რომლის შესაბამისად, ქვეყნებმა გამიჯნეს თავისი ინტერესების სფეროები შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთ-იაპონიის შეთანხმებამდე ინგლისელთა ხელშეწყობით მსგავსი ხელშეკრულება დაიდო საფრანგეთსა და იაპონიას შორის.

აღვნიშნავთ ასევე, რომ ინგლისელი დიპლომატები, არეგულირებდნენ რა რუსეთ-იაპონიის წინააღმდეგობებს, აქტიურად ავითარებდნენ ორმხრივ ურთიერთობებს იაპონიასთან, განაახლეს რა ინგლის-იაპონიის საზღვაო სამოკავშირეო შეთანხმება და გაავრცელეს იაპონიის სამოკავშირეო ვალდებულებები ინდოეთზე რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმამდე და თავის მხრივ, აღიარეს იაპონიის პროტექტორატი კორეაზე. ამრიგად, შექმნილ ვითარებაში, ინგლისის დიპლომატიას შეეძლო იაპონიის გამოყენება როგორც გერმანიის, ისე, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ.

საგარეო პოლიტიკის შემდეგი წარმატება, რომელმაც გაამლიერა რუსეთის ორიენტაცია ანტანტაზე, იყო 1907 წლის აგვისტოში ხელმოწერილი ინგლის-რუსეთის შეთანხმება. ის ეხებოდა სადავო საკითხების დარეგულირებას ავღანეთში, ტიბეტსა და სპარსეთში, თანაც ეს უკანასკნელი სამ ნაწილად იყო დაყოფილი: ჩრდილოეთზე, რომელიც რუსეთზე იყო მიმაგრებული; სამხრეთ-აღმოსავლეთზე, რომელიც ინგლისზე მიმაგრებული იყო და შუაზე, რომელიც ნეიტრალურად ითვლებოდა. ყოველი მხარე ვალდებულებას იღებდა, არ ეცადა, მიეღო პოლიტიკური ან ეკონომიკური ხასიათის კონცესიები სხვისი გავლენის სფეროს საზღვრებში და არ შეეშალა ხელი პარტნიორის მიერ კონცესიის მიღებისთვის თავისივე ზონაში. ნეიტრალურ ზონაში ყოველი მხარე ინარჩუნებდა უფლებას ცდილიყო კონცეფციების

მიღებას და არ შეეშალა ხელი ასეთივე საქმეში თავისი პარტნიორისთვის.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა კონტროლის უფლებას სპარსეთის მთავრობის შემოსავლებზე რუსეთისა და ინგლისის ზონებში, რომლის შემოღება ნავარაუდევი იყო იმ შემთხვევაში, თუკი შეჩერდებოდა სპარსული გადასახადების შეტანა ინგლისურ შაჰინშაჰის და რუსულ სააღრიცხვო-საკრედიტო ბანკებში. კონტროლის მიზნით გასატარებელი ზომები უნდა ყოფილიყო შეთანხმებული ხელისმომწერ მხარეებს შორის.

ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, რუსეთი ავღანეთს აღიარებდა ინგლისის გავლენის სფეროს ნაწილად და ვალდებულებას იღებდა ამ ქვეყანასთან ყველა კონტაქტისას გამოეყენებინა ბრიტანელთა შუამავლობა. რაც შეეხება ტიბეტს, მოლაპარაკების ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა არ დაერღვია მისი ტერიტორიული მთლიანობა და მასთან კონტაქტები მხოლოდ ჩინეთის მთავრობის მეშვეობით დაემყარებინა.

1907 წლის შეთანხმებამ განამტკიცა ანტიგერმანული კოალიცია, გახდა რა საფუძველი ეგრეთ წოდებული სამმხრივი შეთანხმებისა (სამმხრივი ანტანტისა), რომელიც შედგებოდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთისგან და უპირისპირდებოდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის სამთა კავშირს. ამასთან, იტალია ფაქტობრივად ნეიტრალიზებული იყო საფრანგეთ-იტალიის 1902 წლის ხელშეკრულებით. ამრიგად, 1907 წლისთვის გერმანია აღმოჩნდა გარკვეულ პოლიტიკურ იზოლაციაში, მას ჰქონდა მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობები მხოლოდ ავსტრია-უნგრეთთან, რომელიც დასუსტების პროცესს განიცდიდა. ამგვარ სიტუაციაში ანტანტის ყველა წევრის ხელშეკრულება იაპონიასთან საფრთხეს უქმნიდა გერმანიის ინტერესებს შორეული აღმოსავლეთის რეგიონში და

უზრუნველყოფდა სამმხრივი შეთანხმების მონაწილე წევრ-ქვეყნების ზურგის უსაფრთხოებას.

მაგრამ ხელშეკრულებათა ჩამოყალიბებული სისტემა არ წყვეტდა წინააღმდეგობებს, არსებულს მსოფლიო პოლიტიკაში, პირიქით, ის ხელს უწყობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობათა შემდგომ გამწვავებას. გარდა ამისა, ანტანტის ფარგლებში ჩამოყალიბებული ხელშეკრულებათა სისტემა არ წყვეტდა ბოლომდე წინააღმდეგობებს, არსებულს თვით ამ ბლოკის წევრებს შორის (განსაკუთრებით, ინგლისსა და რუსეთს, იაპონიასა და რუსეთს შორის), რამაც შესაძლებელი გახადა გერმანიის დიპლომატიური ბრძოლა სამმხრივი შეთანხმებისგან რუსეთის მოწყვეტის მიზნით.

1910-1911 წლებში გერმანულმა დიპლომატიამ, რომელიც იყენებდა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობებს სპარსეთში, წამოიწყო ანტანტისგან რუსეთის მოწყვეტის მორიგი ცდა. ვილჰელმ II და ნიკოლოზ II შეხვედრისას პოტსდამში კანცლერმა ბეტმან-გოლვეგმა და კიდერლენ-ვეხტერმა, საგარეო საქმეთა სტატს-მდივანმა, დაიწყეს მოლაპარაკებები რუსეთის საგარეო საქმეთა ახალ მინისტრ საზონოვთან. გერმანიის მთავრობა სთავაზობდა ჩრდილოეთ ირანის რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარებას, თუ რუსეთი არ შეუშლიდა ხელს გერმანელებს ბაღდადის რკინიგზიდან მაგისტრალის გაყვანაში თურქეთ-ირანის საზღვარზე მდებარე ხანეკენისკენ. ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო რუსეთისა და გერმანიის ურთიერთვალდებულება, არ შესულიყვნენ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ დაჯგუფებებში. რუსეთის მთავრობა ცდილობდა გადაიარაღებისთვის საჭირო დროის მოგებას და ამიტომ უნდოდა გერმანიასთან ურთიერთობების გაუმჯობესება. მაგრამ ეს შეთანხმება არსებითად ნიშნავდა ინგლისთან ურთი-

ერთობების გაწყვეტას, რაც საბოლოო შედეგად არ შედ-იოდა რუსეთის გეგმებში. შეთანხმებას, რომელმაც მიიღო პოტ-სდამის სახელწოდება, საზონოვმა 1911 წელს მაინც მოაწერა ხელი, თუმცა შეცვლილ რედაქციაში (ის ეხებოდა მხოლოდ თურქეთის და სპარსეთის საკითხებს; პუნქტი გერმანიის და რუსეთის არმონაწილეობის შესახებ მტრულად განწყობილ დაჯგუფებებში უარყოფილი იქნა). გერმანიის დიპლომატიის ძალისხმევა ამჯერადაც წარუმატებელი აღმოჩნდა.

იმავე წელს გერმანია ინიციატორი გახდა მაროკოს მეორე კრიზისისა. გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა გამოსულიყო იმასთან დაკავშირებით, რომ 1911 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის ჯარებმა მოსახლეობის აჯანყების ჩახშობის საბაბით დაიკავეს მაროკოს დედაქალაქი ფეცი. ამრიგად, მაროკო ხდებოდა საფრანგეთის კოლონია. გერმანიის მმართველი წრეები მაროკოს ორი პორტის - აგადირის და მაგოდარის ოკუპაციით, აპირებდნენ აეძულებინათ საფრანგეთი მიეცა მათთვის დიდი კომპენსაცია.

მაგრამ ანტანტამ კვლავ აჩვენა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. ინგლისის მთავრობამ, რომელსაც არ სურდა დაეშვა გერმანიის გაძლიერება მაროკოში, განაცხადა, რომ მზად არის იომოს საფრანგეთის მხარეზე. ასევე, მიიღეს ზომები ინგლისის ფლოტის საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად. და გერმანიამ ვერ გაბედა ომის დაწყება - მისი ფლოტი არ იყო იმდენად ძლიერი, რომ ჩაბმულიყო ბრძოლაში ინგლისის ფლოტთან. ხანგრძლივი და დაძაბული მოლაპარაკებები ქვეყნებს შორის მაროკოს საკითხზე იმით დასრულდა, რომ გერმანიის მთავრობამ ცნო საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე, მიიღო რა სანაცვლოდ საფრანგეთის კონგოს ის ნაწილი, რომელიც ეკვროდა გერმანულ კამერუნს.

საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავებამ 1911 წელს ხელსაყრელი ვითარება შექმნა იტალიის მიერ ორი აფრიკული პროვინციის: ტურუნი-ტრიპოლის და კირენაიკის დაპყრობისთვის. არც სამთა კავშირმა, არც ანტანტამ, დაინტერესებულებმა იტალიით, როგორც შესაძლო მოკავშირით, არ შეუშალეს ხელი მისი გეგმის განხორციელებას. საფრანგეთის თანხმობა ტრიპოლის დაპყრობაზე იტალიას უკვე რახანია ჰქონდა. ომი თურქეთსა და იტალიას შორის, დაწყებული 1911 წლის სექტემბერში, დასრულდა თურქების სუსტი ძალების სწრაფი დამარცხებით. 1912 წლის 15 ოქტომბერს ლოზანოში ხელი მოეწერა მშვიდობიან შეთანხმებას, რომლის შესაბამისად სულთანი იტალიას გადასცემდა ტრიპოლსა და კირენაიკას. იტალიამ ახალი კოლონია - ლიბია მიიღო.

10. ორი მტრული ბლოკის პოლიტიკა ბალკანეთში. ბალკანეთის ომები

თურქეთის დამარცხება იტალიასთან ომში გახდა კიდევ ერთი ნიშანი ოსმალეთის იმპერიის სისუსტისა, რომელიც სტიმულს აძლევდა საგარეო-პოლიტიკურ აქტიურობას ბალკანეთის ქვეყნებისა, რომლებიც მიისწრაფოდნენ თავისი ტერიტორიების გაფართოებისკენ თურქეთის ევროპული სამფლობელოების ხარჯზე და ასევე აძლევდა სტიმულს ბალკანეთში დიდი სახელმწიფოების აქტიურობას, მიმართულს ახალი მოკავშირეების მოზიდვაზე მტრულად განწყობილ ბლოკებში. ანტანტის წევრ-ქვეყნების ზემოქმედებით, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებმა დაიწყეს თურქეთის წინააღმდეგ მიმართული საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ჩამოყალიბება.

ბალკანური ბლოკის ფორმირებისას განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა რუსეთმა, რომელიც ტრადიციულად სარგებლობდა ავტორიტეტით ბალკანელ ხალხებში და ცდილობდა მოცემული სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება გამოეყენებინა არამარტო თურქეთის, არამედ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგაც.

მოლაპარაკებები ბალკანეთის ბლოკის შექმნის შესახებ დაიწყო სერბიის ინიციატივით 1911 წლის აპრილში, როდესაც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბელგრადში ბულგარეთის რწმუნებულის მეშვეობით შესთავაზა ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას შეთანხმებულიყვნენ მაკედონიაში გავლენის სფეროების განაწილებაზე. სერბიის მმართველი წრეების აზრით, მოცემული შეთანხმება შეიძლება საფუძველიც გამხდარიყო ორი სახელმწიფოს ერთობლივი მოქმედებებისა თურქეთის წინააღმდეგ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მთლიანობაში მოიწონა სერბია-ბულგარეთის ბლოკის შექმნის იდეა, დაინახა რა მასში შესაძლებლობა უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებისა ბულგარეთთან, რითაც თავიდან შეიძლება აეცილებინა ამ ქვეყნის შესაძლო ორიენტაცია ავსტრია-გერმანიის ბლოკზე. საფრანგეთის მთავრობამ ასევე დადებითად შეაფასა სერბების ინიციატივა.

ორი დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერამ სტიმული მისცა მოლაპარაკებებს და 1912 წლის 13 მარტს ხელმოეწერილი იქნა სერბია-ბულგარეთის შეთანხმება. მის შესაბამისად, მხარეები იძლეოდნენ ურთიერთ გარანტიას თავისი ტერიტორიების მთლიანობისა და ხელშეუხებლობისა, ვალდებულებას იღებდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს რომელიმე დიდი სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში, აგრეთვე მაშინაც, როდესაც ევროპის სახელმწიფოები შეეცდებოდნენ მოეხდინათ ანექსია

ბალკანეთის იმ ტერიტორიების ნაწილისა, რომელიც შეთანხმების ხელმოწერის დროს იყო თურქული ხელისუფლების ქვეშ. შეთანხმებას თან ახლდა საიდუმლო დანართი, რომელიც ითვალისწინებდა აქტიურ მოქმედებებს ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ (რუსეთის თანხმობით), იმ შემთხვევაში, თუ ამ სახელმწიფოს შიდა და საგარეო-პოლიტიკური პრობლემები ხელს შეუწყობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სტატუს-კვოს დარღვევას. დანართი შეიცავდა აგრეთვე ჩამონათვალს იმ ტერიტორიების განაწილების პირობებისა, რომელიც უნდა წაერთვათ თურქეთისთვის. გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებდა სამხედრო კონვენციის ხელმოწერას.

პრაქტიკულად, სერბეთ-ბულგარეთის მოლაპარაკებების პარალელურად, მოლაპარაკებები საბერძნეთ-ბულგარეთს შორისაც მიდიოდა. ისინი 1912 წლის მაისში დასრულდა სამოკავშირეო შეთანხმების ხელმოწერით. მის თანახმად, მხარეები ვალდებული იყვნენ სამხედრო დახმარება აღმოეჩინა ერთმანეთისთვის თურქეთის თავდასხმისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი დაარღვევდა მათ უფლებებს, გამომდინარეს საერთაშორისო შეთანხმებებიდან და მთლიანად, საერთაშორისო სამართლიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სამამულო და უცხოელი მკვლევარის აზრით, ბალკანეთის ქვეყნების თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობები, დასახელებულები როგორც სერბია-ბულგარეთის, ისე საბერძნეთ-ბულგარეთის ხელშეკრულებებში, საკმაოდ გაურკვეველი იყო, რითაც ფაქტობრივად დაშვებული იყო ომის დაწყების საბაბის განუსაზღვრელი არჩევანი.

რუსეთი და საფრანგეთი, აქტიურად მონაწილეობდნენ რა ბალკანეთის ბლოკის შექმნაში, ვარაუდობდნენ, რომ საკმაოდ მკაცრად გააკონტროლებენ მოვლენათა განვითარებას ბალკა-

ნეთის ნახევარკუნძულზე, მაგრამ მათ ვერ შეძლეს სიტუაციის მართვა და 1912 წლის ოქტომბერში ბალკანეთის ბლოკის მონაწილე ქვეყნებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებები თურქეთის წინააღმდეგ. ბრძოლების მსვლელობისას თურქეთის არმიამ სწრაფი და გამანადგურებელი დამარცხება განიცადა. უკვე 1912 წლის 3 ნოემბერს ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ, შეაფასა რა ვითარება, მიმართა დიდ სახელმწიფოებს წინადადებით შუამავლობის შესახებ მშვიდობიან მოლაპარაკებებში სამხრეთ სლავურ სახელმწიფოებთან და საბერძნეთთან. ამ წინადადებას პრაქტიკულად უმალვე გამოეხმაურნენ რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი, რომლებიც შიშობდნენ, რომ ძალთა განლაგების შეცვლა ბალკანეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში დარტყმას მიაყენებს მათ სახელმწიფო ინტერესებს.

რუსეთის მთავრობამ მეომარ მხარეებს შესთავაზა მოეწყოთ საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც, რუსი დიპლომატების აზრით, შეიძლებოდა ყველა სადავო საკითხის განხილვა და წარმოშობილი სამხედრო კონფლიქტის დარეგულირება. რუსეთის წინადადება მიიღეს და ბალკანეთის ქვეყნების და თურქეთის კონფერენცია 1912 წლის დეკემბრის შუახანებში შედგა ლონდონში. პარალელურად, აქ მიმდინარეობდა დიდი ქვეყნების წარმომადგენელთა სხდომები, რომლებზეც ასევე იხილებოდა ბალკანეთის საკითხი. როგორც თურქეთი, ისე მისი მოწინააღმდეგები სარგებლობდნენ ევროპის წამყვანი ქვეყნების ამა თუ იმ ბლოკის მფარველობით: თურქეთის ინტერესების დამცველებად გამოვიდნენ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოთა ინტერესების დამცველებად კი - ანტანტის ქვეყნები, და უპირველეს ყოვლისა, რუსეთი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ბლოკმა დაუჭირა მხარი ტერიტორიულ პრეტენზიებს ბულგარეთისა (იმ მიზნით, რომ ეს ქვეყანა

თავის მხარეზე გადაეყვანა), რომელიც მერყეობდა ანტანტასა და სამთა კავშირს შორის.

მშვიდობიან შეთანხმებას, რომელიც გახდა ბალკანეთის ომის დასკვნითი აკორდი, ხელი მოეწერა ლონდონში 1913 წლის 30 მაისს. მის თანახმად, ევროპული თურქეთის თითქმის მთელი ტერიტორია, სტამბოლისა და სრუტეების სანაპიროების გამოკლებით, გადადიოდა ბალკანეთის ბლოკის სახელმწიფოების ხელში. რიგი სადავო საკითხი, რომელთა გადაწყვეტა კონფრენციაზე არ მოხერხდა, გადაეცემოდა დიდ დიდი სახელმწიფოებს განხილვისათვის.

ბალკანეთის ომმა გარკვეულწილად დაასუსტა ავსტრია-გერმანიის დაჯგუფების პოზიციები, რადგან სერბიის მნიშვნელოვანი გაძლიერება ავსტრია-უნგრეთს აიძულებდა ევროპაში ფართომასშტაბიანი კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში, მეტი ყურადღება მიექცია ბალკანეთის ფრონტისთვის, რუსეთის ფრონტზე აქტიური სამხედრო ოპერაციების ჩატრების საზიანოდ. გარდა ამისა, თურქეთი, რომელსაც ავსტრია-გერმანიის ბლოკი განიხილავდა თავის მოკავშირედ მომავალ ომში, დასუსტებული იყო დამარცხების შედეგად და უკვე არ შეეძლო ეფექტური მოქმედება რუსეთის ჯარების წინააღმდეგ.

შექმნილ ვითარებაში ავსტრია-გერმანიის ბლოკის ქვეყნები შეეცადნენ დაეშალათ ბალკანეთის ბლოკი და თავის მხარეზე გადმოეყვანათ ბულგარეთი, რომლის სათავეში გერმანული დინასტია იდგა და რომელმაც ვერ შეძლო მიეღწია ევროპული თურქეთის ხარჯზე ყველა თავისი ტერიტორიული პრეტენზიის რეალიზებისთვის. თავის მხრივ, ამან გაართულა სერბია-ბულგარეთის ურთიერთობები. უნდა აღინიშნოს, რომ ბალკანეთში ავსტრიელი და გერმანელი დიპლომატების საქ-მიანობის პირობები საკმაოდ ხელსაყრელი იყო, რადგან ბალკანეთის ბლოკის

წევრთა ნაწილი (საბერძნეთი, სერბია, ჩერნოგორია, აგრეთვე მათ მიმხრობილი რუმინეთი) ცდილობდა ბულგარეთის მხრიდან ტერიტორიული დათმობებისთვის მიეღწია. ეს კი ავსტრია-გერმანიის ბლოკს საშუალებას აძლევდა აქტიურად წარემართა ბულგარეთი თავის ყოფილ მოკავშირეებთან ომისკენ. ამ მიზნით, ავსტრია-უნგრეთი პირდებოდა ბულგარეთის მთავრობას სესხს, ასევე ამ უკანასკნელის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიას, აგრეთვე პირდებოდა, რომ მოახდენდა ბულგარეთისთვის ალბანეთის მხრიდან სამხედრო დახმარების ორგანიზებას, ალბანეთისა, რომელიც ბალკანეთთის ნახევარკუნძულზე სერბიის - ბულგარეთის ძირითადი მეტოქისთვის - ზურგიდან მუქარას წარმოადგენდა.

ავსტრიელ დიპლომატთა ძალისხმევა წარმატებით დამთავრდა და 1913 წლის 29 ივნისს ბულგარეთის ჯარებმა, დარწმუნებულმა ავსტრიელთა მხარდაჭერაში, დაიწყეს სამხედრო მოქმედებები სერბიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ, გააჩაღეს ბალკანეთის მეორე ომი. მაგრამ ავსტრიამ, მიუ-ხედავად თავისი დაპირებებისა, არ აღმოუჩინა ბულგარეთს სამხედრო დახმარება, რაც გახდა კიდეც ამ უკანასკნელის ჯარების დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. განიცადა რა მარცხი, ბულგარეთმა დაზავება მოითხოვა და შესაბამისმა კონფერენციამ ლონდონში გააგრძელა თავისი მუშაობა. 1913 წლის 10 აგვისტოს ბუქარესტში ხელი მოეწერა მშვიდობიან შეთანხმებას, რომლის მიხედვით, ბულგარეთმა დაკარგა არა-მარტო დიდი ნაწილი იმ შენაძენისა, რაც მიიღო ბალკანეთის პირველი ომის მსვლელობისას, არამედ ზოგიერთი თავისი ისტორიული ტერიტორიებიც. ბულგარეთის დამარცხებამ ბალკანეთის მეორე ომში და მისი ტერიტორიების ნაწილის გადასვლამ ანტანტის ბალკანელ

მოკავშირეებთან განამტკიცა ბულგარეთის ხელმძღვანელობის პროგერმანული ორიენტაცია.

ამრიგად, ბალკანეთის მეორე ომის შედეგებმა გამოიწვიეს ცვლილებები ამ რეგიონის ძალთა განლაგებაში. ნაცვლად ბალკანეთის ერთიანი ბლოკისა, რომელიც იქმნებოდა ანტანტის აქტიური მონაწილეობით (ბალკანეთში მისი გავლენის გაძლიერების და ავსტრია-გერმანიის პოლიტიკისადმი დაპირისპირებისათვის), ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახლა არსებობდა ორი დაჯგუფება: ერთი მხრივ, სერბია, საბერძნეთი და რუმინეთი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ანტანტის პოლიტიკას და, მეორე მხრივ, ბულგარეთი, რომელიც მოკლე ხანში ჩაება მოლაპარაკებებში თურქეთთან, დაახლოებული ავსტრია-უნგრეთის ბლოკთან. შექმნილი ვითარება იყო მაჩვენებელი იმისა, რომ იზრდება დიდი სახელმწიფოების მტრულ ბლოკებს შორის წინააღმდეგობები, რომლებიც აიძულებდნენ გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს სხვადასხვა დიპლომატიური კომბინაციის გზით გადაეყვანა თავის მხარეზე რაც შეიძლება მეტი მოკავშირე.

11. საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის წინ და მისი მსვლელობისას

უკანასკნელი ომისწინა ათწლეულის საერთაშორისო კრიზისებმა და ბალკანეთის ომებმა ხელი შეუწყეს უკიდურეს გამწვავებას ძირითადი იმპერიალისტური წინააღმდეგობებისა: ინგლის-გერმანიას შორის, რუსეთ-გერმანიას შორისა და რუსეთ-ავსტრიას შორის. ომის წინ ინგლისის კაბინეტი შევიდა

მოლაპარაკებებში გერმანიასთან კოლონიალურ საკითხებზე. მიაღწიეს შეთანხმებას აფრიკაში პორტუგალიის კოლონიების განაწილების (1913 წ.) და ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის შესახებ (1914 წ.). გერმანიის მთავრობამ, რომელმაც ცნო ინგლისის „სპეციალური ინტერესები“ სპარსეთის ყურის რაიონში, მიიღო კონცესია ბაღდადიდან ბასრამდე გზის სამხრეთი უბნის მშენებლობაზე. ინგლისელებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა გერმანიისთვის ბაღდადის გზის დაფინანსების საკითხში. ბრიტანეთის დიპლომატია ამ მოლაპარაკებებს ეწეოდა ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმის სიმწვავის დაფარვის, გერმანიასთან შეტაკების მომენტის გადაწევის მიზნით. რეალურად კი, ეს პოლიტიკა ახალისებდა გერმანიის მისწრაფებებს მსოფლიოს გადანაწილებისაკენ და ბერლინს უქმნიდა ომში ინგლისის არ ჩაბმის ილუზიას. 1914 წლის დასაწყისისთვის გამალებულმა შეიარაღებამ დაპირისპირებულ ბანაკებში უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია. ამ საქმეში გერმანია ლიდერობდა. ომის წინ რაიხსტაგმა სამჯერ მიიღო კანონი არმიის რიცხოვნობის გაზრდის შესახებ მშვიდობიან დროს. ჰქონდა რა ეკონომიკის განვითარების ყველაზე მაღალი ტემპები ევროპის მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, გერმანიამ მოასწრო ყველაზე უკეთესად და ყველაზე ადრე მომზადებულიყო ომისთვის.

მსოფლიო ომი დაიწყო 1914 წლის 1 აგვისტოს და გაგრძელდა 1918 წლის 11 ნოემბრამდე. მისი მასშტაბები 1917 წლის ბოლომდე განუწყვეტლივ ფართოვდებოდა. ერთმანეთის მტერი კოალიციები მწვავედ საჭიროებდნენ ახალ მოკავშირეებს, განსაკუთრებით ცენტრალური სახელმწიფოები. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ომში სხვა სახელმწიფოების ჩაბმას. და ეს გერმანიამ შეძლო. 1914 წლის 2 აგვისტოს თურქეთის ხელ-

მძღვანელებმა ხელი მოაწერეს გერმანიასთან საიდუმლო შეთანხმებას, მიიჩნევდნენ რა, რომ გერმანიის დახმარებით შეიძლება თურქეთის ძლიერების აღდგენა და მეზობელი ქვეყნების რიგი მიწების ხელში ჩაგდება. 11 აგვისტოს კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა გერმანიის ორი კრეისერი. გერმანიის მთავრობამ მოისყიდა სულთნის ფულის მოყვარული მოხელეები, რომლებმაც მოაწყვეს გერმანულ-თურქული ესკადრის ყაჩაღური თავდასხმა რუსეთის პორტებზე. 1914 წლის 4 ნოემბერს რუსეთმა, 5-ში და 6-ში ინგლისმა და საფრანგეთმა თურქეთს ომი გამოუცხადეს. თურქეთის არმიის მთავარმა ძალებმა შეუტიეს რუსებს ამიერკავკასიაში, მაგრამ სარიყამიშის ბრძოლაში განიცადეს დიდი დამარცხება. ჩაიშალა თურქების შეტევაც სუეცის არხზე, წამოწყებული 1915 წელს. ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა 1914 წლის ბოლოს გამოაცხადეს კვიპროსის და ეგვიპტის ანექსიის შესახებ და თავისი მზერა პალესტინას, მესოპოტამიას და სხვა მიწებს მიაპყრეს. დაპყრობითი გეგმები მახლობელ და შუა აღმოსავლეთში სხვა დიდ სახელმწიფოებსაც გააჩნდათ. ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა აზიური თურქეთის განაწილების შესახებ საქმე რამდენიმე საიდუმლო შეთანხმების ხელმოწერამდე მიიყვანა, მაგრამ მმათ ვერ მოხსნეს ურთიერთუნდობლობა.

1915 წლის გაზაფხულზე ინგლისი და საფრანგეთი მეფის რუსეთს პირდებოდნენ განსაკუთრებულ უფლებებს შავი ზღვის სრუტეების ზონაში. მოკავშირეები იტყუებდნენ მეფეს და რუსეთის ბურჟუაზიას კონსტანტინეპოლით, მაგრამ ამავდროულად, თვითონ ცდილობდნენ დაესწროთ რუსებისთვის. ამ წრეების ტიპური წარმომადგენელი იყო საკმაოდ ინიციატივიანი საზღვაო მინისტრი ჩერჩილი.

1915 წლის თებერვლიდან ინგლისის ესკადრა, რომელსაც მხარს ფრანგები უჭერდნენ, რამდენიმეჯერ უნაყოფოდ შეეცადა დარდანელის ფორსირება, მაგრამ შედეგად მიიღეს გალიპოლის ნახევარკუნძულზე გადასხმული ინგლისელი, ახალზელანდიელი და ავსტრალიელი ჯარისკაცების სისხლის მდინარეები. 1916 წლის გაზაფხულზე ბრიტანელთა საექსპედიციო კორპუსმა, ალყაშემორტყმულმა მესოპოტამიაში თურქების მიერ, კაპიტულაცია მოახდინა. უფრო ადრე, მოკავშირეები იძულებული გახდნენ მოეხდინათ საექსპედიციო ძალების ნარჩენების ევაკუაცია გალიპოლიდან.

ამრიგად, ანტანტამ ვერ შეძლო სწრაფად დაემარცხებინა შედარებით სუსტი მოწინააღმდეგეც კი. თავი იჩინა წინააღმდეგობებმა მის წევრ-ქვეყნებს შორის და მოქმედებათა სრულიად უვარგისმა კოორდინაციამ, გერმანული ბლოკისგან განსხვავებით, სადაც დამკვიდრდა გერმანელთა უმაღლესი სარდლობის დომინირება და ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის, ბულგარეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული იყო დამორჩილებოდა ბერლინიდან მიღებულ მითითებებს.

მსოფლიო ომის დაწყებამ იტალიას მიუსწრო ძლიერი შიდა მღელვარების და სერიოზული ეკონომიკური სიძნელეების ვითარებაში. ნეიტრალიტეტის მომხრეები ეყრდნობოდნენ გერმანულ კაპიტალს, რომელიც მსხვილ ბანკ „ბანკო კომერჩიალეს“ და სხვა ბანკებსა და ფირმებს აკონტროლებდა. „ნეიტრალისტებს“ ხელმძღვანელობდა გამოცდილი პოლიტიკოსი, ყოფილი პრემიერი ჯოლიტი. ის მიიჩნევდა, რომ იტალია ომში ჩაბმის გარეშეც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწევდა.

ანტანტასთან მიერთებას მოითხოვდნენ „ინტერვენტისტები“, რომლებიც ცდილობდნენ ავსტრია-უნგრეთთან გაესწორე-

ბინათ ანგარიში, ხელში ჩაეგდოთ მიწები ადრიატიკასა და მცირე აზიაში. ისინი თვლიდნენ, რომ ომი გაზრდის მოგებას, შოვინისტური ციებ-ცხელება დაასუსტებს პროლეტარიატის რევოლუციურ აქტიურობას. დიდ როლს ის გარემოება თამაშობდა, რომ ფრანგულ კაპიტალს ძლიერი პოზიციები ეკავა იტალიის მრეწველობაში, ინგლისი კი ეფექტურად მოქმედებდა ვაჭრობის სფეროში. მთავრობას სალანდრას მეთაურობით მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ გაეშვა ხელიდან ეს „ოქროს შემთხვევა“. პრემიერმა ღიად გააცხადა, რომ მისი კაბინეტი იხელმძღვანელებს „წმინდა ეგოიზმით“. ეწეოდა რა ერთდროულად მოლაპარაკებებს ანტანტასთან და ცენტრალურ სახელმწიფოებთან, ის ორივე მეომარ მხარეს აშანტაჟებდა. ამ მარჯვე ტაქტიკას გარკვეული წარმატებაც მოჰყვა - 1915 წლის დასაწყისში მსოფლიო საზოგადოება, რომელსაც ცუდად ჰქონდა გააზრებული იტალიის სამხედრო ძალების რეალური ძლიერება, დაძაბული ყურადღებით ელოდებოდა რომის შემდგომ ნაბიჯებს. იტალიური იმპერიალიზმი ცდილობდა თავისი კონტროლის დამყარებას ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილზე, ასევე ხელი შეეშალა, ჰაბსბურგთა მონარქიის დაცემის შემთხვევაში, ერთიანი და სიცოცხლისუნარიანი სამხრეთ სლავების სახელმწიფოს შექმნისთვის. იტალიის პრეტენზიებს სტიმული ლონდონიდან ეძლეოდა. ინგლისი და საფრანგეთი მას პირდებოდა ტრენტინოს, ტრიესტს და ექსპანსიის სფეროს ბალკანეთზე.

გერმანიის მთავრობა ყველანაირად ცდილობდა შეეკავებინა იტალია ანტანტასთან დაახლოებისაგან, ისე, რომ რეალურად თითქმის არაფერს არ პირდებოდა მას.

ამ დროს კი იტალიაში ინტერვენციონისტების კამპანია სულ უფრო მეტ გაქანებას ღებულობდა. „დიდი იტალიის“ ისეთ

პროპაგანდისტთა გუნდს, როგორიც იყო მწერალი დ ანუნციო, მიემხრო მუსოლინიც. პირველ მსოფლიო ომამდე ის რედაქტორობდა სოციალისტების გაზეთ „ავანტის“,1914 წელს კი მხარი დაუჭირა ომში ჩაბმას. რენეგატი გარიცხეს სოციალისტური პარტიიდან. მან დააფუძნა ახალი გაზეთი „პოპოლო დე იტალია“, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საფრანგეთის ხარჯზე. ამ გაზეთმა უკიდურესად მემარჯვენე პოზიციები დაიკავა.

1915 წლის გაზაფხულზე იტალიის მოლაპარაკებები ანტანტასთან სრული სვლით წავიდა. ინგლისმა და საფრანგეთმა დაძლიეს წინააღმდეგობა რუსი დიპლომატებისა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ სლავების მიწების გადაცემას იტალიის ეგიდის ქვეშ. 26 აპრილს ლონდონში ხელი მოეწერა საიდუმლო შეთანხმებას, რომელიც იტალიას პირდებოდა ომის შემდეგ ჰაბსბურგების სახელმწიფოს, ალბანეთის და თურქეთის რიგი ტერიტორიის მიღებას. 1915 წლის 3 მაისს იტალიამ გააუქმა ხელშეკრულება სამთა კავშირის შესახებ, 23 მაისს კი ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს.

თითქმის ერთი წლის განმავლობაში გერმანიასთან და ანტანტასთან „მიფარებული“ „ვაჭრობა“ ჰქონდა გაჩაღებული ბულგარეთის მთავრობას. მეფე ფერდინანდ კობურგელის ხროვა და ბულგარეთის ბურჟუაზიის ნაციონალისტური ფრაქცია ფიქრობდა დაპყრობებზე მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. გერმანიის და ავსტრიის დიპლომატიები ყველანაირად ამწვავებდნენ ბულგარეთ-სერბიის წინააღმდეგობებს და, საბოლოოდ, ბულგარეთი 1915 წლის 1 ოქტომბერს ოფიციალურად შეუერთდა გერმანიის ბლოკს.

ჯერ კიდევ 1915 წლის დასაწყისში რუსეთის გენერალური შტაბი სთავაზობდა ანტანტის ყველა სახელმწიფოს ძალებით განეხორციელებინათ დიდი ოპერაცია ბალკანეთში. წარმატების

შემთხვევაში შესაძლებელი იყო თურქეთის მთლიანად იზოლირება და სერბიისა და ჩერნოგორიის მდგომარეობის შემსუბუქება. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა არაფერი გააკეთეს სერბიისა და ჩერნოგორიის გადასარჩენად. რაც შეეხება რუსულ სარდლობას, პოლონეთში მის მიერ განცდილი კატასტროფული წარუმატებლობების შემდეგ, ის უკვე უძლური იყო, რაიმე გაეკეთებინა.

1915 წლის1 ოქტომბერს ბულგარეთის მთავრობამ ომი გამოუცხადა სერბიას. მოკლე ხანში ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის და ბულგარეთის ჯარები (500 ათასამდე ადამიანი) დაესხა თავს სერბიის არმიას, რომელიც სულ 250 ათას ადამიანს ითვლიდა. მხოლოდ მაშინ გადმოსხდა სალონიკში რამდენიმე ფრანგული და ბრიტანული დივიზია. მაგრამ სალონიკის ფრონტის შექმნამ უკვე ვერ უშველა სერბიას. მთელი მისი ტერიტორია ოკუპირებული იყო მტრის არმიების მიერ. სერბიის არმიის დარჩენილმა ნაწილმა, ზამთრის პირობებში მთებში მძიმე გადასვლის შემდეგ, ადრიატიკის ზღვას მიაღწია და ანტანტის გემებით გადაყვანილი იქნა კუნძულ კორფუზე. 1916 წლის დასაწყისში თავისი ქვეყნის კაპიტულაციის აქტს ხელი მოაწერა ჩერნოგორიის მთავრობამ. სერბიის დამარცხებამ კი, თავის მხრივ, გერმანიას საშუალება მისცა პირდაპირი კავშირი დაემყარებინა თურქეთთან. გერმანიის უმაღლესი სარდლობა და საქმიანი წრეები ცდილობდნენ, მთლიანად თავის ინტერესებში გამოეყენებინათ მოკავშირე და დაპყრობილი ქვეყნების რესურსები. 1915 წლიდან გაიშალა გერმანიის კონტროლის ქვეშ დიდი საბაჟო ბლოკის უსწრაფესად შექმნის პროპაგანდა. გახმაურებულ პამფლეტში - „შუალედი ევროპა“ - პუბლიცისტი ნაუმანი მხარს უჭერდა იდეას, რომ თურქეთიც უნდა შესულიყო ამ „ევროპაში“. მოკლე ხანში გერმანიამ თავის მოკავშირეებს თავს

მოახვია ოფიციალური მოლაპარაკებები ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებზე.

ამრიგად, 1915 წელს სამთა კავშირი გადაიქცა ოთხთა კავშირად. იტალია საბოლოოდ გადავიდა ანტანტის მხარეზე, ცენტრალური ღერძის სახელმწიფოებს კი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი) შეუერთ-დნენ თურქეთი და ბულგარეთი. მაგრამ ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ბლოკის გაფართოებას არ შეეძლო უზრუნველეყო ცენტრალური სახელმწიფოების უპირატესობა ომში. ანტანტის სახელმწიფოების ჯამური სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე სამთა კავშირისა. სამხედრო და ეკონომიკური მიმართებით სუსტი ბულგარეთი, „დაუძლურების გზაზე დამდგარი“ იმპერიები - თურქეთი და ავსტრია-უნგრეთი, დაშლის პერიოდს რომ განიცდიდნენ მათი ძალაუფლების ქვეშ მყოფი ხალხების მზარდი ეროვნულ-განმანთავისუფლებელიმოძრაობის შედეგად, ვერ იქნებოდნენ გერმანიის საიმედო მოკავშირეები მსოფლიოს გადანაწილების მისი გეგმების რეალიზაციაში. მიუხედავად მთელი რიგი საკმაოდ წარმატებული სამხედრო ოპერაციების ჩატარებისა როგორც დასავლეთ, ისე რუსეთის ფრონტებზე, გერმანიის მდგომარეობა 1917 წლისთვის მაქსიმალურად გართულდა და პრაქტიკულად გარდაუვალი გახდა ავსტრია-უნგრეთის ბლოკის მოწინააღმდეგეთა გამარჯვება. მიუხედავად ამისა, საბრძოლო მოქმედებები გრძელდებოდა, აყენებდა რა მეომარ ქვეყნებს მნიშვნელოვან ზიანს ეკონომიკური და დემოგრაფიული მოსვლის შესაძლებლობების ძებნა და ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის პროექტების დაზუსტება.

****

ძველი დროის საერთაშორისო ურთიერთობებმა აჩვენეს წარმოქმნა ძირითადი ნიშნებისა, სპეციფიკური მოვლენებისა, რომ-

ლებიც კაცობრიობის ისტორიის შემდგომ პერიოდებში იქცნენ ტენდენციებად სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ურთიერთობებში. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების დოკუმენ-ტები გვიჩვენებენ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების კლასი-კურ მაგალითს: ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 1280 წლის მშვიდობიან ხელშეკრულებას რამსეს II და ხატუსილისის შო-რის. მოცემულ შეთანხმებაში წერილობითი ფორმა შეიძინეს საერთაშორისო სამართლის და ქცევის ისეთმა პრინციპებმა, როგორებიცაა ურთიერთთავდაუსხმელობა, მოლაპარაკე მხარე-თა ჩაურევლობა ერთმანეთის საქმეებში, ურთიერთდახმარე-ბის და სამხედრო კავშირის ვალდებულების აღება, შეთანხმება დამნაშავეების გაცემის შესახებ. შეთანხმებას აჩნდა კვალი სამხედრო ძალის პრიმატისა სამართლის ძალაზე. ძველმა საბერძნეთმა და ძველმა რომმა აჩვენეს საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების, აგრეთვე დიპლომატიური ღონისძიებე-ბის შემუშავების, მიღების და გატარების გარკვეული გართუ-ლება. პოლიტიკური პრაქტიკა უკვე შეიცავდა კავშირების (ელინისტური საბერძნეთის კავშირები) სისტემებს. დიპლომა-ტიამ დაიწყო თვითიდენტიფიკაციის ნათელი კონტურების მიღება სახელმწიფოებს, პოლისებს, ტომთა გაერთიანებებსა და ხალხებს შორის საკამათო პრობლემების გადაწყვეტისას სამხე-დრო მეთოდებთან და საშუალებებთან შედარებით. ანტიკური ხანის დოკუმენტებში აისახა სახელმწიფოების სავაჭრო და სამხედრო-საზღვაო ინტერესები. ცხადია, რომ ძველმა საბერ-ძნეთმა, მიუხედავად თავისი საგარეო-პოლიტიკური ქცევის მთელი გამორჩეულობისა, მაგალითად ათენისა, ვერ შეძლო სოლიდური იურიდიული საფუძვლით გაემყარებინა თავისი დიპლომატია.

ძველმა რომმა, განსხვავებით ძველი საბერძნეთისგან, შემ-ლო სრულყოფილებამდე მიეყვანა იურიდიული ფორმა საგა-რეო პოლიტიკის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის და საე-რთაშორისო ვაჭრობის სფეროში. დიპლომატიის ძველბერძ-ნული და ძველრომაული გეოპოლიტიკური ასპექტები მჭიდ-როდ აღმოჩნდა დაკავშირებული „მეტროპოლია - კოლონიის“ დონეზე პრობლემის გადაჭრასთან, რომელიც განსაზღვრავდა საზღვაო სახელმწიფოების ქცევის სპეციფიკას საერთაშორისო არენაზე.

რომის იმპერიამ, საგარეო-პოლიტიკური თვითდამკვიდრე-ბის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, როგორებიცაა მაგალი-თად, კოლონიური ექსპანსია, თვისობრივად ახალი მოვლენა - არბიტრაჟი და შუამავლობა - შემოიტანა, რომელმაც მრავალი საუკუნით „ნათელყო“ საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა ქცევის მშვიდობისმყოფელი მხარე.

შუა ხანებსა და ახალ დროში რადიკალურად შეიცვალა სა-ხელმწიფოთა ქცევის და კონფლიქტების მოწესრიგების ფო-რმე-ბი და მეთოდები, აღმოცენდა კერძო ომის სხვადასხვა ვარიანტი. საერთაშორისო საქმეებმა თანდათან შეიძინა ერთიანი სისტემის კონტურები. მაგალითად, ფორმულა „მშვიდობა - მოლაპარაკე-ბა“ ამოწურავდა იმ დროს აღმოსავლეთსა და დასავლეთში უდიდესი გავლენის მქონე ბიზანტიის ურთიერრთობებს კიევის რუსეთთან, ახალგაზრდა სახელმწიფოსთან, რომელიც ავითა-რებდა დინამიურ საგარეო პოლიტიკას და ღრმა, შორეულ ტე-რიტორიულ ექსპანსიას, აგრეთვე იმ მცირე სახელმწიფოებსა და ტომობრივ გაერთიანებებთან, რომლებიც შედიოდა კონსტანტი-ნეპოლისა და კიევის გავლენის სფეროში.

ხაზართა ხაკანატის განადგურებამ და მსოფლიო რუკიდან გაქრობამ აჩვენა. რომ მდგომარეობა ბუფერული სახელმწი-

ფოსი, რომელიც მდებარეობს და ცხოვრობს ცივილიზაცია-თაშორის საზღვრებზე, არამყარია და იცვლება სუპერსახელმწიფოთა ინტერესებიდან გამომდინარე. ხაკანატის კრახი ასევე მოწმობდა ბერძენ დიპლომატთა სტრატეგიულ ხედვას და ოპერატიულ „მოქნილობას“. ბიზანტია ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ყოფილი მოკავშირე - ხაზართა ხაკანატი ექსპანსიური კიეველი მთავრების ინტერესების სასარგებლოდ და სამხრეთიდან მუსულმანთა სულ უფრო მზარდი სამხედრო-პოლიტიკური შემოტევის პირობებში.

მეორე მაგალითად საერთაშორისო ურთიერთობათა ერთიანი სისტემისა, მაგრამ უკვე ახალი დროის, წარმოსდგება ცნობილი ვესტფალიის მშვიდობიანი სისტემა. ვესტფალიის 1648 წლის ზავმა არამარტო „გადააკეთა“ ევროპის პოლიტიკური რუკა და გამარჯვებულებად საფრანგეთი და შვედეთი აღიარა. ოცდაათწლიანი ომის დასასრული ნიშნავდა საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ძალების, ახალი მოქმედი პირების გამოჩენას. ეროვნული სახელმწიფო, ტერიტორიული მთლიანობით აღმოჩნდა ახალი სისტემის უმნიშვნელოვანესი სუბიექტი.

სწორედ ტერიტორია, მომგებიანი სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკური, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, იყო დაპყრობის ობიექტი და მიზანი ოცდაათწლიანი ომის მონაწილეთათვის. სწორედ ტერიტორიული სახელმწიფოები - საფრანგეთი და შვედეთი - გამოცხადდა ვესტფალიის ზავის მთავარ გარანტებად. სიმბოლურია, რომ ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთ მწვავე მომენტში საფრანგეთში გამოვიდა იურისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, ჰუგო გროცის ფუნდამენტური ნაშრ-ომი „სამი წიგნი ომისა და მშვიდობის უფლებაზე“ (1625 წე-ლი“). ნაშრომში გროციმ ასახა ბევრი ადამიანის (ვინც ამუშავებს და იღებს გადაწყვეტილებებს) მისწრაფება ომის წარმოების ჰუმანიტარული წესე-

ბის ფორმალიზაციისკენ, აგრეთვე კონფლიქტების მოწესრიგების პრინციპები.

თუ XIX საუკუნეში ბატონობდა რევოლუციისა და დამოუკიდებლობისთვის ეროვნული სახელმწიფოების ბრძოლის ტენდენციები, XX საუკუნეში დაიწყო ღია ბრძოლა დიდ კოლონიალურ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ოდეს წარმოადგენდნენ საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდული მასშტაბების მქონე ნაციონალურ სახელმწიფოებს.

წინააღმდეგობებმა დიდ ევროპულ სახელმწიფოებს შორ- ის ანტაგონისტური ფორმა შეიძინეს. გაჩნდა სახელმწიფოთა ბლოკები - ანტანტა და სამთა კავშირი, რომლებიც განუწყვეტლივ ზრდიდნენ თავის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალსა და პოლიტიკურ შესაძლებლობებს, ითვისებდნენ საქონლის გასაღების და კაპიტალის გატანის ახალ ბაზრებს. სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახება გარდაუვალი აღმოჩნდა. კაცობრიობას პირველი მსოფლიო ომი მოახვიეს თავს.

ნაწილი 2. ომის და მშვიდობის საკვანძო პრობლემები XX საუკუნის პირველ ნახევარში და სახელმწიფოთაშორის და გლობალურ დონეზე მათი გადაწყვეტის ვარიანტები

შესავალი

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი ეძღვნება ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდის მოვლენებსა და ძირითად ტენდენციებს. პერიოდი, რომელსაც სამამულო (ანუ რუსულ, მთარმგმ.) და მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ომებსშორისი ეწოდება, გაჟღენთილია კარდინალური ცვლილებებით საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ეს იყო ვერსალის სისტემის ჩამოყალიბების, თანდათანობითი რევიზიის, მზარდი კრიზისისა და მსხვრევის დრო, ასევე იყო დრო, როდესაც დიდი სახელმწიფოები ცდილობდნენ შეექმნათ ერთა ლიგა - მშვიდობისმყოფელი და მარეგულირებელი თვისებების ორგანიზაცია.

მოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორებმა უპირველეს ყოვლისა განიხილეს პირველი მსოფლიო ომის შედეგები, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდნენ 1919 წლის ვერსალის (პარიზის) მშვიდობიანი კონფერენციის მუშაობასა და გადაწყვეტილებებში. ამასთანავე, იდგა ამოცანა გამოკვლეული ყოფილიყო შედეგები სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციებისა და თათბირებისა, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს 1920 – 1930-იან წლებში ძალების განლაგებასა და მსოფლიო წესრიგის სისტემის გაფორმებაზე. კონკრეტულად, მეორე ნაწილი შეისწავლის გენუის, ჰააგის, მოსკოვის (განიარაღების), ლოზანოს კონფერენციებს.

ვერსალის სისტემა შექმნისთანავე განიცდიდა სხვადასხვა კორექტივას. სისტემამ სერიოზული ცვლილებები და გამოცდები განიცადა ცალკეული ევროპული სახელმწიფოების ინიციატივიანი მოქმედებების შედეგად. ამიტომ ავტორებმა მიმართეს საფრანგეთის, ნაცისტური გერმანიის, ფაშისტური იტალ-

იის, მილიტარისტული იაპონიის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ევოლუციას.

მეორე ნაწილი შეიცავს დაწვრილებით ანალიზს საერთაშორისო ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი ტენდენციებისა, როგორებიცაა რეპარაციების საკითხის განვითარება, ოთხთა პაქტის მნიშვნელობა, ვერსალის სისტემის, როგორც ასეთის რევიზია, საფრანგეთის უსაფრთხოების სისტემის მშენებლობა, დუნაის ანტანტის ფენომენი, იაპონიის აგრესიული ძალისხმევის ზრდა შორეულ აღმოსავლეთში, ავსტრიის ანშლუსი და სუდეტების პრობლემის გამწვავება მესამე რეიხის „ცხოვრებისეული სივრცის“ გაფართოების პოლიტიკის კონტექსტში, სსრკ - ფინეთის 1939-1940 წლების კონფლიქტის ესკალაცია და რიგი სხვ.

თავი 1. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა

1. ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ს პოზიციები მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხებზე

ომის ოფიციალური დასრულების მომენტისთვის გერმანულ ბლოკს დაპირისპირებული მოკავშირე სახელმწიფოთა ერთიანობა მნიშვნელოვანწილად შერყეული იყო. ეს ქვეყნები დაინტერესებული იყვნენ განემტკიცებინათ თავისი გამარჯვება გერმანიის ბლოკზე, მაგრამ მათი შეხედულებები ომისშემდგომი დარეგულირების რიგ მნიშვნელოვან საკითხზე განსხვავდებოდა:

თითოეული ძირითად გამარჯვებულ სახელმწიფოთაგან მიისწრაფოდა გაეძლიერებინა თავისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე როგორც დამარცხებული ქვეყნების, ისე თავისი მოკავშირეების ხარჯზე. ყველა დიდმა სახელმწიფომ ჩამოაყალიბა მსოფლიოს ომისშემდგომი გარდაქმნის თავისი გეგმა.

გერმანიის და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ სამხედრო უპირატესობა საფრანგეთის მხარეზე აღმოჩნდა: საფრანგეთის არმია, რომელმაც სტრატეგიულად მომგებიანი პოზიციები დაიჭირა რეინზე, ყველაზე შთამბეჭდავ ძალას წარმოადგენდა ევროპაში. საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს გარემოება, რათა მოეხდინათ მშვიდობიანი დარეგულირების თავისი პროგრამის რეალიზაცია. ამ პროგრამის ძირითადი პუნქტი იყო საფრანგეთის ტრადიციული მეტოქის, გერმანიის, მაქსიმალური დასუსტება, რაც მდგომარეობდა მისგან ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონების (ელზასი, ლოტარინგია, რურის ოლქი, საარის ქვანახშირის აუზის) ჩამორთმევასა და უზარმაზარი

კონტრიბუციის ამოღებაში. საფრანგეთის მმართველი ელიტის ყველაზე აგრესიული წარმომადგენლები მოითხოვდნენ, გერმანიის საზღვრების გადამოწმებას ვესტ-ფალიის 1648 წლის ზავის მაგალითის მიხედვით, რაც ნიშნავდა გერმანიის დანაწილებას რიგ მცირე სახელმწიფოდ, აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის გაყვანას რეინზე. თავისი მიზნების მისაღწევად, საფრანგეთის ხელმძღვანელობა აქტიურად უჭერდა მხარს სეპარატისტულ დაჯგუფებებს რეინის ოლქსა და ბავარიაში.

გარდა ამისა, ფრანგები გეგმავდნენ, გერმანიის ირგვლივ შეექმნათ ბლოკი სახელმწიფოებისა, რომლებიც მოწოდებული იყვნენ, გამხდარიყვნენ საფრანგეთის საიმედო პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეები და სრულფასოვანი შემცვლელები რუსეთის იმპერიისა, ანტანტის ბანაკიდან რომ გამოვიდა. ბლოკში უნდა შესულიყვნენ: ახლადშექმნილი პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია, აგრეთვე რუმინეთი და იუგოსლავია, რომლებთანაც საფრანგეთს ტრადიციულად ჰქონდა კარგი ურთიერთობები. ფრანგი ლიდერები, გამოდიოდნენ რა ამ ქვეყნებისთვის გერმანული მიწების ნაწილის მიერთების იდეის მომხრედ, მიიჩნევდნენ, რომ ახალი მოკავშირეები, გერმანული რევანშის შიშით, ხელს შეუწყობდნენ ევროპაში ჩამოყალიბებული ძალთა შეფარდების შენარჩუნებას.

საფრანგეთის მიერ წამოყენებული პროგრამა ომისშემდგომი მოწყობისა,ასევე შეიცავდა პრეტენზიებს ზოგიერთ გერმანულ კოლონიაზე და ოსმალთა იმპერიის არაბული ტერიტორიების ნაწილზე, რომელთა შემოერთება აძლიერებდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრესტიჟს და მის მდგომარეობას მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების სისტემაში.

მშვიდობიანი დარეგულირების ინგლისური გეგმა მნიშვნელოვანწილად ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთისას. ინგლისის

მმართველი წრეები, რომლებმაც მიაღწიეს გერმანიის განადგურებას, აპირებდნენ წინააღმდეგობის გაწევას საფრანგეთის პრეტენზიებისთვის ევროპაში დომინირებაზე და პირობების შექმნას საფრანგეთსა და გერმანიას შორის ძალთა ბალანსის აღდგენისთვის. ბრიტანეთი გამოვიდა საფრანგეთისა და მისი მოკავშირეებისთვის გერმანიის მიწების გადაცემის, აგრეთვე გერმანიის ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, შორს მიმავალი დასუსტების წინააღმდეგ. იმავდროულად ინგლისი მოითხოვდა ჩამოერთვათ გერმანიისთვის მისი სამხედრო და სავაჭრო ფლოტის ძირითადი ნაწილი და აეძულებინათ ის, გადაეხადა დიდი რეპარაციები. ინგლისის ინტერესები ეჯახებოდნენ საფრანგეთისას ოსმალეთის იმპერიის დანაწილების და გერმანიის კოლონიების საკითხშიც. ინგლისის ხელმძღვანელობა, რომელიც იმ დროს მიისწრაფოდა თავისი აფრიკული და აზიური კოლონიების დამაკავშირებელი პროტექტორატების ჯაჭვის შექმნისკენ, არ იყო დაინტერესებული საფრანგეთის გავლენის სფეროს გაფართოებაში აფრიკასა და მახლობელ აღმოსავლეთში.

რაც შეეხება აშშ-ს, ისიც მიისწრაფოდა, წარმოედგინა მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის თავისი პროგრამა, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება ხელს უწყობდა მის საგარეო-პოლიტიკურ აქტიურობას, აიძულებდა ევროპის საქმეებში ჩარევას. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ი ომში მის დასკვნით სტადიაზე ჩაება, მის ხელმძღვანელობას განზრახული ჰქონდა, ომის მონაწილეთათვის თავს მოეხვია მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის თავი-სი გეგმა. ამას დამაჯერებლად მოწმობს ვ. ვილსონის „14 პუნ-ქტი“. ამრიგად, აშშ-ს ურთიერთობათა გამწვავება მის ევროპელ მოკავშირეებთან პრაქტიკულად გარდაუვალი იყო. თუ პირველი

მსოფლიო ომის ძირითადი გამომწვევი მიზეზები იყო ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობები, გერმანიის დამარცხების შემდეგ ძირითადი საშიშროება ინგლისის ბატონობისთვის კო-ლონიებ-სა და ზღვებზე წარმოსდგებოდა უკვე აშშ-გან, სწრაფი ტემპე-ბით მსხვილ სამხედრო-საზღვაო ფლოტს რომ აგებდა და მოით-ხოვდა ჰეის დოქტრინის გამოყენებას ყველა კოლონიური სამფლობელოს მიმართ. აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ აშშ-ს წი-ნააღმდეგობა ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარების წინააღმდეგ იწვევდა მისი ურთიერთობების გამწვავებას საფ-რანგეთთანაც.

მაგრამ აშშ-ს, მიუხედავად მისი გაზრდილი ეკონომიკური ძლიერებისა, ისევე, როგორც ინგლისსა და საფრანგეთს, არ შეეძლო თავისი პროგრამის სრულად განხორციელება, რადგან აშშ-ის შეიარაღებული ძალების იმდროინდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამებოდა ამ ქვეყნის ხვედრით წილს მსოფ-ლიოს ეკონომიკაში, ამერიკის ფლოტი სერიოზულად ჩამორჩე-ბოდა ინგლისურს ტონაჟის მიხედვით, ქვეყანას არ გააჩნდა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზების განვითარებული ქსელი, ამერიკის საექსპედიციო არმია ევროპაში კი არ წარმოად-გენდა სამხედრო ძალას, რომელსაც შეეძლო მეტოქეობა საფრან-გეთის არმიასთან.

მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის თავისი გეგმა წამოაყ-ენა იაპონიამაც. ომის წლებში ამ ქვეყანამ ხელში ჩაიგდო გე-რმანიის სამფლობელოები ჩინეთსა და წყნარი ოკეანეს ჩრდი-ლოეთ ნაწილში და თავს მოახვია ჩინეთს არათანასწორუფ-ლებიანი შეთანხმება. მან მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი ეკონომიკური პოზიციებიც, დაიკავა რა არსებითად, გაბატო-ნებული მდგომარეობა სამხრეთ აზიის ეკონომიკაში. გამოიყენა რა სხვა ქვეყნების გავლენის შესუსტება შორეულ აღმოსავლეთ-

ში, იაპონიამ მოითხოვა არამარტო დაემკვიდრ-ებინათ მისთვის ყველა დაპყრობილი ტერიტორია, არამედ ეღიარებინათ მისი დომინირება ჩინეთში. იაპონიას პრეტენზიები ჰქონდა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში მდებარე რიგ ტერიტორიაზეც.

იტალია, რომელიც, მიუხედავად თავისი სისტემატური სამ-ხედრო დამარცხებებისა, აღმოჩნდა გამარჯვებულ სახელმწი-ფოთა შორის, ასევე გამოვიდა მოთხოვნით გადაეცათ მისთვის რიგი ტერიტორია, ადრე რომ წარმოადგენდა გერმანიის ბლო-კის ქვეყნების საკუთრებას. მას პრეტენზია ჰქონდა ყოფილი ავსტრია-უნგრეთის ვრცელ ტერიტორიებზე და მოითხოვდა მსხვილი წილის გამოყოფას ოსმალეთის იმპერიის განაწილე-ბისას. იტალიის სამთავრობო წრეებს, რომლებსაც არ გააჩნდათ მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური ძალა, უმთავრესად ჰქონდათ ინგლისის მხარდაჭერის იმედი, რადგან ეს უკანასკ-ნელი დაინტერესებული იყო საერთაშორისო არენაზე იტალიის პოზიციების განმტკიცებით საფრანგეთის საწინააღმდეგოდ.

ამრიგად, ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთზე წარმოშვა მთელი რიგი ტერიტორიული, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის პრობლემა, რომელთა გადაწყვეტამ გამარჯვებულ სახელმწიფოთა ბანაკში გამოიწვია მთელი რიგი მნიშვნელოვანი სირთულეები, განპირობებული, უმთავრესად, მათი ინტერესების კარდინალური განსხვავებე-ბით. განხილვა მოკავშირეთა შორის წარმოქმნილი პრობლე-მებისა გათვალისწინებული იყო ერთობლივ მშვიდობიან კონ-ფერენციაზე, რომლის მოწვევა ნავარაუდევი იყო 1919 წლის დასაწყისისთვის. იმ ამოცანათა შორის, რომლებიც უნდა გა-დაეჭრა კონფერენციას, იყო გერმანიასთან მშვიდობიანი შე-თანხმების ხელმოწერაც, რომლის პირობებს მნიშვნელოვან-

წილად უნდა განესაზღვრა კიდეც მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის ხასიათი.

2. საერთაშორისო ურთიერთობათა ომისშემდგომი სისტემის ფორმირება. პარიზის მშვიდობიანი კონფერენცია და ვერსალის ზავი

მშვიდობიანი კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა პარიზში 1919 წლის 18 იანვარს. ის ერთ წელზე ცოტა მეტ ხანს გრძელდებოდა და მუშაობა დაასრულა 1920 წლის 21 იანვარს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 27 გამარჯვებული ქვეყანა. წამყვან როლს მის მუშაობაში 3 სახელმწიფო თამაშობდა: ინგლისი, საფრანგეთი და აშშ. იაპონიას, რომელსაც უმთავრესად შორეული აღმოსავლეთის საკითხების გადაწყვეტა აინტერესებდა, არ გამოუვლენია დიდი აქტიურობა ევროპული საკითხების განხილვისას.

კონფერენციის ძირითადი მუშაობა კონცენტრირებული იყო მის ხელმძღვანელ ორგანოებში, რომელთა შემადგენლობაში მხოლოდ წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენლები შედიოდნენ. დასაწყისში მთავარ როლს კონფერენციის მუშაობაში თამაშობდა ე. წ. „ათის საბჭო“, შემდგარი აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის მთავრობათა მეთაურების, საგარეო საქმეთა მინისტრების ან სპეციალური წარმომადგენლებისგან. 1919 წლის მარტში შეიქმნა უფრო კომპაქტური ორგანო - “ოთხთა საბჭო“, რომელშიც შედიოდნენ აშშ-ს პრეზიდენტი ვ. ვილსონი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლოიდ-ჯორჯი, საფრანგეთის მთავრობის მეთაური კლემანსო და იტალიის პრემიერ-მინისტრი ორლანდო. კონფერენციის უფრო

გვიანდელ სტადიაზე ფუნქციონირებდა კონფერენციის სხვა ხელმძღვანელი ორგანო - „ხუთთა საბჭო“, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე იაპონიის სპეციალური წარმომადგენელი.

კონფერენციის პლენარულ სხდომების და ხელმძღვანელი საბჭოების მიერ განიხილებოდა შემდეგი ძირითადი საკითხები: რუსეთის საკითხი, გერმანიის საკითხი, ერთა ლიგის შექმნის საკითხი, აგრეთვე ერთა ლიგასთან დაკავშირებული საკითხი გერმანიის და ყოფილი ოსმალეთის იმპერიის კოლონიების შესახებ.

რუსეთის საკითხის განხილვა განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით და, უმთავრესად, მსოფლიო ეკონომიკაში რუსეთის როლის იმ ცვლილებებით, რომლებიც გამოწვეული იყო ოქტომბრის 1917 წლის რევოლუციის მიერ. დისკუსია, გამართული კონფერენციაზე რუსეთის საკითხთან დაკავშირებით, მიძღვნილი იყო რუსეთის ახალ ხელმძღვანელობაზე იმ ზემოქმედების ფორმებისა და მეთოდებისადმი, რომლის მიზანი იყო რუსეთის ომამდელი და ომისდროინდელი ვალების, აგრეთვე რუსეთში არსებული უცხოური საკუთრების დაბრუნება. დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა 2 ძირითადი მიდგომა. პირველის მომხრეები (ინგლისი და აშშ) მხარს უჭერდნენ პირდაპირი ინტერვენციიდან გადასვლას საბჭოთა ტერიტორიაზე კონტრრევოლუციური მოძრაობების მხარდაჭერაზე და სხვა არაპირდაპირი ზემოქმედების ნაბიჯებს. მეორე მიდგომას, რომელიც ითვალისწინებდა ბოლშევიკებზე პირდაპირი სამხედრო ზემოქმედების გაგრძელებას, აქტიურად უჭერდნენ მხარს საფრანგეთის წარმომადგენლები.

რუსეთში ანტიბოლშევიკური ძალების კონსოლიდაციისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად პარიზის მშვიდობიანი კონფერენციის ხელმძღვანელებმა რიგი დიპლომატიური მანევრი გამოიყენეს. 1919 წლის იანვარში „ათთა საბჭოში“ განიხილებოდა ლოიდ-ჯორჯის და ვილსონის წინადადება რუსეთში მებრძოლი ყველა დაჯგუფების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამგვარი კონფერენციის მოწვევის წინაპირობად დაისვა სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის მოთხოვნა. საბჭოთა ხელმძღვანელობა დათანხმდა კონფერენციაში მონაწილეობაზე, აგრეთვე მოლაპარაკებებზე ვალების და კონცესიების შესახებ, მაგრამ საფრანგეთის დიპლომატიის ძალისხმევის შედეგად კონფერენცია არ შედგა.

ამ დროს კი ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ამერიკული დელეგაციის აპარატის თანამშრომელი უ. ბულიტი, რომელიც გამოდიოდა არამარტო აშშ-ს, არამედ ინგლისის სახელითაც. მოლაპარაკებების შედეგად შემუშავდა ბოლშევიკებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის შეთანხმების პროექტი, ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთიდან გაყვანილი იქნებოდა უცხოური ჯარები. რუსეთის მიერ მისი ადრინდელი სესხების გადახდა უნდა განაწილებულიყო რუსეთის ტერიტორიაზე იმ დროს არსებულ ყველა მთავრობაზე. მთლიანობაში, მოცემული შეთანხმება, მისი განხორციელების შემთხვევაში, ხელს შეუწყობდა ანტისაბჭოთა მოძრაობების დასუსტებას, რომლებიც ძირითადად დასავლეთის ფულის ხარჯზე არსებობდნენ. როგორც ჩანს, შეიგნეს რა ეს პერსპექტივა, ინგლისმა და აშშ-მ მოახდინეს ბულიტის დეზავუირება.

მოლაპარაკებების პარალელურად, სახელმწიფოები განიხილავდნენ რუსეთის გავლენის სფეროებად განაწილების პრო-

ექტებს, რაც შესაბამის შეთანხმებებში აისახა. აღვნიშნავთ, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე პრეტენზია ჰქონდა არამარტო დიდ სახელმწიფოებს, არამედ ირანსაც კი, რომელიც ცდილობდა დაებრუნებინა რიგი ტერიტორია, დაკარგული რუსეთთან წაგებული ომების შედეგად, კერძოდ, აზერბაიჯანი. მთლიანობაში, მოცემული საკითხი არ იყო გადაწყვეტილი კონფერენციაზე.

რუსეთის საკითხი არ იყო ძირითადი პარიზის კონფერენციაზე. წინააღმდეგობები გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის ყველაზე აშკარად გამოიკვეთა სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების განხილვისას.

დიდი აზრთა სხვაობა გამოიწვია საკითხის განხილვამ დაპროექტებული საერთაშორისო ორგანიზაციის - ერთა ლიგის - სტრუქტურასა და უფლებამოსილების შესახებ. გარდა სხვა ყველაფრისა, ეს საკითხი დაკავშირებული იყო გერმანიის კოლონიების და ოსმალთა იმპერიის ტერიტორიების დანაწილებასთან. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ერთა ლიგის შექმნით, რომელიც მოწოდებული იყო მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობები, გამარჯვებულ სახელმწიფოთა მთავრობები ხარკს უხდიდნენ მსოფლიო საზოგადოებების პაციფისტურ განწყობილებას, და იმავე დროს უპირისპირებდნენ ამ ორგანიზაციას მშვიდობისმყოფელ ძალისხმევას ბოლშევიკებისა, რომლებიც აცხადებდნენ დემოკრატიული და სამართლიანი მშვიდობის პრინციპებს.

საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის სხვადასხვა პროექტის შემუშავება ანტანტის ქვეყნებში დაიწყო ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, თუმცა ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ ლიგა არის ვილსონის პირმშო.

ერთა ლიგის პროექტს, შემუშავებულს საფრანგეთში სპეციალური სამთავრობო კომისიის მიერ (შრომის მინისტრ ლ. ბურჟუას ხელმძღვანელობით), აშკარად გამოხატული ანტიგერმანული მიმართულება ჰქონდა. ფრანგული სქემის მიხედვით, ნავარაუდევი იყო საერთაშორისო გენერალური შტაბის შექმნა ლიგის წევრ-სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისთვის, აგრეთვე ამ შტაბის განკარგულებაში გამოყოფილი საერთაშორისო შეიარაღებული ძალების ფორმირება. ფრანგული პროექტი ვერც ინგლისს, ვერც აშშ-ს ვერ დააკმაყოფილებდა. ორივე ეს სახელმწიფო წინააღმდეგი იყო შექმნილიყო საერთაშორისო შეიარაღებული ძალები და გენერალური შტაბი, რომლებიც გარდაუვლად მოხვდებოდნენ საფრანგეთის, როგორც გერმანიის დამარცხების შემდეგ ევროპის უძლიერესი სამხედრო სახელმწიფოს, კონტროლქვეშ.

ერთა ლიგის ინგლისური პროექტი, მომზადებული სამთავრობო კომისიის მიერ ლორდ ფილიმორის თავმჯდომარეობით, თავის პირველ ვარიანტში არსებითად ითვალისწინებდა შექმნას არა საერთაშორისო ორგანიზაციისა, არამედ მსხვილ სახელმწიფოთა ახალი კავშირისა, იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ვალდებული იქნებოდნენ არ დაერღვიათ სტატუს-კვო კოლონიებისა და გავლენის სფეროების მიმართ. ამ პროექტის ძირითადი მიზანი იყო ინგლისის კოლონიალური იმპერიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა (სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრიდან).

ამერიკული პროექტი, შემუშავებული კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვილსონის მრჩეველი პოლკოვნიკი ჰაუზი, გულისხმობდა ლიგის ყველა წევრის ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ურთიერთ გარანტიებს. ამასთან, მასში გათვალისწინებული იყო იმ დროს

არსებული სახელმწიფო წარმონაქმნების საზღვრების გადასინჯვის შესაძლებლობა, თუ ერთა ლიგის დელეგაციათა წევრები აღიარებდნენ, რომ ისინი არ პასუხობენ შეცვლილ ეროვნულ პირობებს და მისწრაფებებს ერთა თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად. ამ პროექტის უკან იმალებოდა აშშ-ის მისწრაფება დამკვიდრებულიყო იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც იმხანად ინგლისი და საფრანგეთი აკონტროლებდნენ.

კონფერენციის მიერ მიღებული ერთა ლიგის წესდება გახდა კომპრომისის შედეგი, რამეთუ შეითავსა ინგლისური და ამერიკული პროექტების დებულებები. წესდება განსაზღვრავდა ორგანიზაციის სტრუქტურას, მისი ხელმძღვანელი ორგანოების უფლებამოსილებას. წესდების შესაბამისად, ხელმძღვანელი როლი მოცემულ საერთაშორისო ორგანიზაციაში უნდა ეთამაშა ასამბლეას, რომელიც ლიგის ყველა წევრს წარმოადგენდა; გარდა ამისა, იქმნებოდა აგრეთვე საბჭო, რომელსაც პრაქტიკულად ანალოგიური უფლებამოსილება გააჩნდა და მის შემადგენლობაში იყვნენ წარმომადგენლები 5 მთავარი გამარჯვებული სახელმწიფოდან, აგრეთვე ასამბლეის მიერ არჩეულ 4 „არამუდმივ წევრ-სახელმწიფოდან“.

აშკარად ომის საწინააღმდეგო განწყობების ზეგავლენით, რაც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ევროპის საზოგადოებრივი აზრისთვის, კონფერენციამ ერთა ლიგის წესდებაში ჩართო სტატია, რომელიც ითვალისწინებდა მოცემული ორგანიზაციის წევრთა ეკონომიკური სანქციების და კოლექტიური სამხედრო გამოსვლის შესაძლებლობას აგრესიის ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ იმის გამო, რომ ერთა ლიგის საბჭოში და ასამბლეაში გადაწყვეტილება ყველა საკითხზე, გარდა პროცედურულისა, უნდა გამოეტანათ ერთხმად, ლიგის მოქმედების ეფექტურობა აგრესორის წინააღმდეგ აშკარად

უმნიშვნელო იყო. პრაქტიკულად, ნებისმიერ მცირე სახელმწიფოს, არაფერი რომ არ ვთქვათ დიდ სახელმწიფოზე, შეეძლო ჩაეშალა კოლექტიური მოქმედებები აგრესორის წინააღმდეგ. აღვნიშნავთ ასევე, რომ ერთა ლიგის წესდების შესაბამის მუხლებში არ იყო ცნება „აგრესორის“ განსაზღვრება, რაც ამცირებდა სანქციების გამოყენების შესაძლებლობას ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში.

ერთა ლიგის შემქმნელთა ჩანაფიქრით, ამ საერთაშორისო ორგანიზაციას ხელი უნდა შეეწყო საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალის სისტემის მხარდაჭერასა და განმტკიცებისთვის, ამიტომ მის წესდებაში უნდა შეეტანათ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ხელმოწერილი ყველა მშვიდობიანი შეთანხმების ტექსტი, თანაც, დამარცხებული ქვეყნები, რომლებთანაც ეს შეთანხმებები იდებოდა, თავდაპირველად არ შეყავდათ ერთა ლიგაში.

კონფერენციაზე მძაფრი კამათი გაიმართა ვილსონის წინადადების გამო, გადაეცათ ერთა ლიგისთვის გერმანიის ყოფილი კოლონიები და თურქეთის ტერიტორიის ნაწილი, და ეს იმ დროს, როდესაც ინგლისი, საფრანგეთი და იაპონია, რომ-ლებმაც ომის დროს ძირითადად მოასწრეს მოლაპარაკება მოცემული ტერიტორიების დანაწილების შესახებ, მხარს მათ პირდაპირ ანექსიას უჭერდნენ.

იცავდა რა თავის პოზიციას ამ საკითხში, აშშ-ის დელეგაციამ გამოიყენა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის უარყოფითი დამოკიდებულება კოლონიური სამფლობელოების გაფართოებისადმი. 1919 წლის 27 იანვარს, „ათეულის საბჭოს“ სხდომაზე ვილსონმა განაცხადა, რომ ერთა ლიგის მანდატების სისტემის შექმნის იდეა „დაფუძნებულია მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ სურვილზე არ იქნას დაშვებული ახალი ანექსია“ და,

ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტი მოითხოვდა, რომ ამ ტერიტორიებზე არ იქნას დაშვებული ლიგის წევრთა დისკრიმინაცია საბაჟო მოსაკრებლის,ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომლობის და სხვა თვალსაზრისით. ამრიგად, აშშ-ს პრეზიდენტმა ფაქტობრივად მოითხოვა, უზრუნველეყოთ ამერიკული კაპიტალის ექსპანსიის შესაძლებლობა ამ ტერიტორიებზე.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არცერთი მხარე არ მიდიოდა დათმობებზე, მაგრამ საბოლოო ჯამში ამერიკელებმა დათმეს. გადაწყდა, რომ გერმანია ფორმალურად უარს იტყვის თავის კოლონიებზე, თურქეთი კი თავის არაბულ ტერიტორიებზე ერთა ლიგის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი კი, თავისი სახელით შესაბამის სახელმწიფო-მანდატარიებს გადასცემს მანდატებს ამ ტერიტორიების უშუალო მართვაზე. მანდატები უნდა განაწილდეს საფრანგეთ, ინგლისს, იაპონიასა და ბელგიას შორის. არსებითად, ერთა ლიგის მანდატების სისტემის საფარქვეშ მოხდა დამარცხებული სახელმწიფოების კოლონიალური სამფლობელოების დანაწილება. აშშ-ის მიმართ დათმობის სახით სახელმწიფო-მანდატურებმა აიღეს ვალდებუ-ლება, დაეცვათ მათზე გადაცემულ ტერიტორიებზე „ღია კარების“ პრინციპი, რამაც შედარებით ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ამერიკის ეკონომიკური გავლენის შეღწევას რაიონებში, რომლებზეც გაცემული იყო მანდატები. მაგრამ ეს არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ გერმანიის ყოფილი კოლონიები და ყოფილი ოსმალეთის იმპერიის არაბული ტერიტორიები პრაქტიკულად შეუერთეს ინგლისის, იაპონიის და საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოებს.

გერმანული კოლონიების დანაწილება მოხდა 1919 წელს. აღმოსავლეთ აფრიკის ძირითადი ნაწილი, რიგი ტერიტორიის

გამოკლებით, რომლებიც ბელგიასა და პორტუგალიას მიუერთეს, ინგლისმა მიიღო. ტოგო და კამერუნი ინგლისმა და საფრანგეთმა გაიყვეს, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის გერმანული ნაწილი კი გადავიდა ინგლისის დომინიონის, სამხრეთ-აფრიკის კავშირის ხელში. ახალი გვინეის გერმანული ნაწი- ლი მიიღო ინგლისის დომინიონმა - ავსტრალიამ, სამოას კუნძულები კი ასევე მისმა დომინიონმა ახალმა ზელანდიამ. იაპონიას გადეცა გერმანიის ყოფილი სამფლობელოები წყნარი ოკეანეს ცენტრალურ ნაწილში - მარშალის, მარიანის და კაროლინის კუნძულები. ოსმალეთის იმპერიის არაბული ტე-რიტორიების ბედი გადაწყდა უფრო გვიან, თურქეთთან მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერისას.

რამდენადმე განცალკევებით იდგა საკითხი ჩინეთის პროვინციის - შანდუნისა, რომელიც ომამდე ფაქტობრივად გერმანიის კოლონია იყო. ჩინეთი, რომელმაც ომი გამოუცხადა გერმანიას 1917 წელს, მოითხოვდა მისთვის ამ ტერიტორიის დაბრუნებას. თავისი პრეტენზიები ამ ტერიტორიაზე იაპონიამაც წამოაყენა, საბუთად მოიტანა რა დაპირებები, რომლებიც მას ინგლისმა და საფრანგეთმა მისცეს და დაფიქსირებული რომ იყო 1917 წლის საიდუმლო შეთანხმებებში. იაპონიის პრეტენზიის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს, ინგლისის და საფრანგეთის ინტერესებს, რომლებიც მეტოქეობას უწევდნენ იაპონიას აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში.

ყველაზე მკვეთრად იაპონიის პრეტენზიების წინააღმდეგ გამოდიოდა აშშ, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა „ღია კარების დოქტრინის“ გამოყენებას ჩინეთის მთელი ტერიტორიის მიმართ. უფრო თავდაჭერილი პოზიცია ამ საკითხში ეკავა ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ, იაპონიის გამოყენება ჩინეთში აშშ-ს შეღწევის წინააღმდეგ. რაც

შეეხება იაპონიას, მას არ სურდა უკანდახევა თავის მოთხოვნებიდან. ამ საკითხში თავისი პოზიციების გაძლიერების და თავის მხარეზე აზიის ხალხების სიმპათიების მოზიდვისთვის იაპონიის დელეგაციამ მოითხოვა ერთა ლიგის წესდებაში ჩაერთოთ სპეციალური დებულება, რომელიც აცხადებდა უფ-ლებისა და რელიგიების თანასწორობას.

კამათი იაპონიის მიერ წამოყენებული საკითხების ირგვლივ რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. როდესაც 1919 წლის აპრილში პარიზში გამოიძახეს გერმანიის დელეგაცია, რომელიც უნდა გაცნობოდა შეთანხმების პირობებს, იაპონიის დელეგაციამ გადაჭრით განაცხადა, რომ ხელს არ მოაწერდა შეთანხმებას და დატოვებდა პარიზს, თუ შანდუნის საკითხი არ გადაწყდება იაპონიის სასარგებლოდ. ეს მუქარა გამოითქვა კონფერენციის მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ მომენტში. შექმნილ ვითარებაში აშშ-ს დელეგაციამ მიზანშეწონილად ჩათვალა, წასულიყო გარიგებაზე იაპონიასთან: ვილსონი დათანხმდა, მიეცათ შანდუნი იაპონიისთვის, რათა ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, უარი ეთქვა თავის მოთხოვნაზე რასების თანასწორუფლებიანობის საკითხში.

მწვავე კრიზისი წარმოიშვა კონფერენციაზე ევროპაში გერმანიის ახალი საზღვრების საკითხის განხილვის დროსაც.

საფრანგეთი მოითხოვდა გერმანიის დასავლეთი საზღვრის გადატანას რაინზე და მოკავშირეთა მიერ რაინის მარჯვენა ნაპირზე გადასასვლელისწინა სიმაგრეების დაკავებას. ეს მოთხოვნები საფრანგეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1918 წლის ბოლოს ჩამოაყალიბა.

საფრანგეთი, რომელიც ვერ ბედავდა ღიად მოეთხოვა ანექსია გერმანელების მიერ დასახლებული და ისტორიულად გერმანიის განუყოფელი ნაწილის - რეინის მარცხენა სანაპი-

როსი, სთავაზობდა ამ ტერიტორიის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გადაქცევას. ამასთან, ახალი სახელმწიფოს სტატუსი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო არა მისი მოსახლეობით, არამედ საფრანგეთის, ბელგიის და ლუქსემბურგის მთავრობების მიერ. გათვალისწინებული იყო ახალი რესპუბლიკის მუდმივი ოკუპაცია უცხოეთის ჯარების მიერ მანამდე, სანამ გერმანია არ შეასრულებდა მშვიდობიანი შეთანხმების ყველა პირობას. რაინის რესპუბლიკას არ შეეძლო, ჰყოლოდა საკუთარი შეიარაღებული ძალები, მაგრამ მის მოსახლეობას უნდა მოეხადა სამხედრო ვალდებულება საფრანგეთის და ბელგიის არმიების შემადგენლობაში. ახალი სახელმწიფოს ეკონომიკური და სხვა კავშირები გერმანიასთან შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ იმ ფორმებსა და მასშტაბებში, რომლებიც არ იქნებოდნენ მიმართული საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ.

არც ინგლისს და არც აშშ-ს არ შეეძლოთ დათანხმებოდნენ საკითხის გადაჭრის ამნაირ ვარიანტს. ფრანგული გეგმის მიღება ნიშნავდა გერმანიის სერიოზულ დასუსტებას და ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარების რეალურ მუქარას. ინგლისი, თავის მხრივ, სთავაზობდა საფრანგეთისთვის გადაეცათ მხოლოდ ელზასი და ლოტარინგია, რომლებიც გერმანიამ 1871 წელს დაიპყრო, და მისთვისვე მიეცათ უფლება 10 წლის განმავლობაში მოეხდინა საარის ქვანახშირის მაღაროების ექსპლუატაცია. რაინის ზონა, ინგლისის გეგმის მიხედვით, დემილიტარიზებული უნდა ყოფილიყო. ამერიკამ საფრანგეთ-გერმანიის საკითხში, მხარი ძირითადად ინგლისს დაუჭირა.

სამი დელეგაციიდან არცერთს არ სურდა დათმობაზე წასვლა. მაგრამ საფრანგეთის წარმომადგენლები, აღმოჩნდნენ რა გარკვეულ პოლიტიკურ იზოლაციაში, იძულებული გახდნენ

წასულიყვნენ კომპრომისზე. ახალი პროექტის შესაბამისად, საფრანგეთი ღებულობდა ელზასსა და ლოტარინგიას, საარის ქვანახშირის აუზი კი 15 წლით გადადიოდა ერთა ლიგის მართვაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, საარის ბედი უნდა გადაეწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობის პლებისციტს. საფრანგეთს უფლება მიენიჭა 15 წლის განმავლობაში ეკონომიკური კონტროლი განეხორციელებინა საარის ქვანახშირის მაღაროებზე. გამარჯვებულები უფლებას იღებდნენ, ამავე ვადით მოეხდინათ რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია. მარჯვენა ნაპირის გასწვრივ იქმნებოდა 50-60 კმ სიფართის დემილიტარიზებული ზონა. ბელგიას გადაეცემოდა ოლქები: ეიპენი, მალმედი და მორენე. აშშ-მ და ინგლისმა კი, თავის მხრივ, ვალდებულება იკისრეს საფრანგეთისთვის, რაინზე გაყვანილი სტრატეგიული საზღვრის ნაცვლად მიეცათ გარანტიები გერმანიის მხრიდან ნებისმიერი არაპროვოცირებული აგრესიის წინააღმდეგ. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ აშშ-ის სენატმა, რომელმაც მოგვიანებით უარი თქვა ვერსალის შეთანხმების რატიფიცირებაზე, მის გარეშე დატოვა საფრანგეთ-აშშ-ს შეთანხმებაც გარანტიების შესახებ. ასეთ პირობებში, ინგლისმაც ჩათვალა, შესაძლოდ უარი ეთქვა თავის ვალდებულებებზე საფრანგეთის მიმართ.

არანაკლებ გააფთრებულ ბრძოლებში, ერთი მხრივ, ინგლის-აშშ-ს და, მეორე მხრივ, საფრანგეთს შორის წყდებოდა საკითხიც გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრების შესახებ. საფრანგეთი დაინტერესებული იყო პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენით, რომელიც მისი გავლენის ქვეშ იქნებოდა. ამისთვის, კერძოდ, გამოიყენეს ტერიტორიული წინააღმდეგობები პოლონეთსა და გერმანიას შორის. საფრანგეთი და სხვა გამარჯვებული სახელმწიფოები დაინტერესებული იყვნენ ამ რაიონში საერთაშორისო დაძაბულობის თავისებური კერის შექმნით,

რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემდა, ზეწოლა მოეხდინათ როგორც გერმანიაზე, ისე, საჭირო შემთხვევაში, პოლონეთზე. შედეგად, პოლონეთ-გერმანიის საზღვარი ვერსალის შეთანხმების მიხედვით, ისე იქნა გაყვანილი, რომ ოდინდელი პოლონური მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი პომერანიაში, სილეზიაში, ბრანდენბურგსა და აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანიას დარჩა. ზღვისკენ გასავალი პოლონეთმა მხოლოდ დასავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე გამავალი ვიწრო დერეფნის სახით მიიღო. გდანსკის პორტი პოლონეთს არ შეუერთეს, მას მიანიჭეს ერთა ლიგის კომისრის მმართველობის ქვეშ მყოფი „თავისუფალი ქალაქის“ სტატუსი. ბედი ზედა სილეზიისა, რომლის მოსახლეობა უდავოდ პოლონელებად აღიარებული იქნა, უნდა გადაწყვეტილიყო პლებისციტის გზით. პლებისციტმა, ჩატარებულმა 1921 წელს პროგერმანული ელემენტების მხრიდან ტერორის პირობებში, გამოიწვია პოლონეთის ამ უძველ-ესი ტერიტორიის გაყოფა გერმანიასა და პოლონეთს შორის. 1919 წლის 26 ივნისს გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა სანქცია მისცეს აღმოსავლეთ გალიციის ოკუპაციას პოლონეთის მიერ. მთლიანობაში კი პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრები არ იყო ზუსტად დაფიქსირებული.

გერმანიის ნაწილი გადაეცა ასევე ჩეხოსლოვაკიას, ლიტვა- სა და დანიას. საერთო ჯამში გერმანიამ დაკარგა თავისი ადრინდელი ტერიტორიების 1/7-დი, რომელზეც ცხოვრობდა მისი მოსახლეობის 8,5%.

რაც შეეხება რეპარაციების საკითხს, კონფერენციაზე მან ასევე გამოიწვია მწვავე დისკუსიები, რომლებმაც საქმე საბოლოო გადაწყვეტამდე მაინც ვერ მიიყვანა. სხვადასხვა დელეგაციების მიერ დასახელებული თანხები, რომლებიც გერმანიას რეპარაციის სახით უნდა გადაეხადა, ფანტასტიკურ

ზომებს აღწევდა. ამ პრეტენზიების საერთო ჯამმა ათას მილიარდამდე ფრანკი შეადგინა. ასეთი მოთხოვნების შესრულების არარეალურობა მალე აშკარა გახდა და დაიწყო კამათი იმაზე, თუ რა თანხით შეიზღუდოს მატერიალური და ფინანსური პრეტენზიები გერმანიის მიმართ. საფრანგეთი მოითხოვდა იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მის სამოქალაქო მოსახლეობას მიაყენეს, რადგან ამ შემთხვევაში მას შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა გერმანიის გადასახადების 60%-ზე; ინგლისი მოითხოვდა სამხედრო დანახარჯების კომპენსაციას, რადგან ასეთ შემთხვევაში ის ყველაზე მეტს მიიღებდა.

საბოლოო ჯამში მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, გერმანიას უნდა აენაზღაურებინა ზარალი, მიყენებული მოკავშირეთა სამოქალაქო მოსახლეობისთვის, და დაეფარა ხარჯები, გაწეული ანტანტის ქვეყნების ჯარისკაცების და დაღუპულთა ოჯახის წევრების პენსიების დასაფარავად.

ამაზე შორს რეპარაციის საკითხის გადაჭრაში პარიზის სამშვიდობო კონფერენცია ვერ წავიდა. არ იქნა მიღწეული შეთანხმება მის მონაწილეთა შორის გერმანული რეპარაციების საერთო ჯამზე, არც სარეპარაციო გადასახადების პროცენტულ განაწილებაზე გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის. ამ საკითხების გადაწყვეტა გადაეცა სარეპარაციო კომისიას, რომლის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიის წარმომადგენლები. ცალკეულ შემთხვევაში, ამ კომისიაში მუშაობისთვის ბელგიის წარმომადგენლის ნაცვლად უნდა მოეწვიათ იაპონიის და იუგოსლავიის წარმომადგენლები. ამრიგად, პარიზში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გერმანიას დააკისრეს არსებითად შეუზღუდავი სარეპარაციო ვალდებულებები. გარკვევით განი-

საზღვრა მხოლოდ ის თანხა, რომელიც გერმანიას უნდა გადაეხადა 1921 წლის 1 მაისამდე - 20 მილიარდი მარკა. რესტიტუციის - ნაძარცვი ქონების დაბრუნების - პუნქტის მეშვეობით შეთანხმებაში ჩაიწერა გერმანიის ვალდებულება გადაეცა გამარჯვებულთათვის რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მნიშვნელოვანი და სავაჭრო ფლოტის ძირითადი ნაწილი. მოკავშირეებმა ასევე მიიღეს შეუზღუდავი ტრანზიტის უფლება გერმანიის ყველა სახმელეთო, საჰაერო და საწყლოსნო მარშრუტზე.

იმისთვის, რომ გაეძნელებინათ გერმანიის მხრიდან რევანშის შესაძლებლობა, მშვიდობიან ხელშეკრულებაში, გარდა დადგენილებებისა მისი საზღვრების შეცვლის, სარეპარაციო და სხვა ვალდებულებების შესახებ, ჩართული იყო რიგი მუხლი, მიმართული ამ ქვეყნის სამხედრო ძლიერების შეზღუდვაზე: გერმანიის არმიის რიცხოვნობა შემოიფარგლებოდა 100 ათასი ოფიცრითა და ჯარისკაცით, გერმანიას უნდა მოეშალა სანაპირო თავდაცვის ყველა ნაგებობა იმ ზონის გარეთ, რომელიც უშუალოდ ეკვროდა მის სანაპიროს, აგრეთვე ყველა სიმაგრე თავის დასავლეთ საზღვრის გასწვრივ.

1919 წლის 28 ივნისს გერმანიის და მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მშვიდობიან ხელშეკრულებას, რომელიც მნიშვნელოვანწილად წარმოადგენდა კომპრომისს გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის.

გერმანიასთან მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ პარიზის კონფერენციამ დაიწყო მუშაობა ავსტრიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან და თურქეთთან მშვიდობიანი შეთანხმებების ტექსტებზე. ეს დოკუმენტები, ისევე, როგორც შეთანხმება გერმანიასთან, წარმოადგენდა კომპრომისს გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის, და ასახავდა ძალთა არსებულ შეფარდებას.

ომის დამთავრების შემდეგ, ყველაზე ძლიერი პოზიციები აღმოსავლეთ ევროპაში (მათ შორის, დუნაის აუზში და ბალკანეთზე) ეკავა საფრანგეთს, რომლის შეიარაღებული ძალები იმყოფებოდნენ ბულგარეთში, სერბების, ხორვატების და სლოვენების სამეფოში და სხვა ქვეყანაში. საფრანგეთი, უჭერდა რა მხარს რუმინეთის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის პრეტენზიებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ადრე შედიოდნენ რუსეთის, გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების და ბულგარეთის შემადგენლობაში, ვარაუდობდა ამ ქვეყნების გამოყენებას ევროპაში თავისი პოლიტიკის გატარებისას. საფრანგეთის ინტერესები აღმოსავლეთ ევროპაში ეჯახებოდნენ ინგლისის და აშშ-ის ინტერესებს. ინგლისი ცდილობდა, რომ საბერძნეთს, მის ძირითად მოკავშირეს ხმელთაშუა ზღვის აუზში, მიეღო მსხვილი ტერიტორიები დამარცხებული თურქეისა და ბულგარეთის ხარჯზე. გარდა ამისა, ის იმის წინააღმდეგი იყო, რომ აღმოსავლეთ ევროპის ახალ სახელმწიფოებს მიეღოთ ვრცელი ტერიტორიები, ადრე რომ შედიოდნენ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში, რადგან იმედოვნებდა, ერთმანეთთან დაეპირისპირებინა დამარცხებული სახელმწიფოები და საფრანგეთი თავისი მოკავშირეებით (პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია). პარიზის კონფერენციაზე ასევე ადგილი ჰქონდა შეჯახებებს ერთი მხრივ, იტალიას და, მეორე მხრივ, აშშ-ის, საფრანგეთის და ინგლისის შორის. იტალია ცდილობდა, განემტკიცებინა თავისი პოზიციები ცენტრალურ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში სლავებითა და ავსტრიელებით დასახლებული ზოგიერთი ტერიტორიის პირდაპირი ანექსიის გზით. 1915-1917 წლებში მოკავშირეებს შორის დადებული საიდუმლო

შეთანხმებების მიხედვით, იტალიას უნდა მიეღო ტრენტინოს და სამხრეთ ტიროლის რაიონები, ასევე ისტრია პორტებით ტრიესტი და პოლა, დალმაცია და დოდეკანეზის კუნძულები, პროტექტორატი ალბანეთზე, თურქეთის ტერიტორიების არსებითი ნაწილი და მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანამატები თავის კოლონიებზე აფრიკაში.

მას შემდეგ, რაც დასრულდა ომი, რომელმაც აჩვენა იტალიის ეკონომიკური და სამხედრო სისუსტე, სხვა გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს მისი პრეტენზიების აღიარებაზე. მიუხედავად ამისა, იტალიური მხარე განაგრძნობდა საიდუმლო შეთანხმებების პირობების შესრულების მოთხოვნას. მიიღო რა უარი, იტალიის დელეგაციამ დემონსტრაციულად დატოვა სამშვიდობო კონფერენცია და დაბრუნდა რომში. მაგრამ ამ ეფექტურმა ჟესტმა საჭირო შედეგი არ მოიტანა. უფრო მეტი, მან დაასუსტა იტალიის პოზიციები კონფერენციაზე.

ასეთ რთულ პირობებში მიდიოდა კიდეც მშვიდობიანი შეთანხმებების ხელმოწერა გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან.

1919 წლის 10 სექტემბერს პარიზთან ახლოს მდებარე სენ-ჟერმენის სასახლეში ხელი მოეწერა ავსტრიასთან მშვიდობი- ან შეთანხმებას, რომელმაც განამტკიცა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლა ომში დამარცხების და მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შედეგად. ავსტრიამ აღიარა მისგან უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ტერიტორიის ნაწილის ჩამოცილება, ასევე დათანხმდა ტერიტორიების დათმობაზე იუგოსლავიისა და რუმინეთის სასარგებლოდ.

პოლონეთმა მიიღო დასავლეთ გალიცია, ჩეხოსლოვაკიამ კარპატებს მიღმა უკრაინა.

ტრანსილვანია და ბანატის ნაწილი, ადრე რომ ავსტრია-უნგრეთში შედიოდნენ, გადაეცა რუმინეთს, მასვე გადაეცა ბუკოვინა, მოგვიანებით კი, 1920 წელს, ბესარაბიაც.

ავსტრიამ უარი თქვა სამხრეთ სლავების მიერ დასახლებულ ტერიტორიებზე, სლოვენიის რაიონების ნაწილის გამოკლებით. ზუსტი საზღვარი სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოსა და იტალიას შორის მშვიდობიან შეთანხმებაში დაფიქსირებული არ იყო, რადგან პარიზის კონფერენციის მონაწილენი ამ საკითხზე კომპრომისამდე ვერ მივიდნენ. შეთანხმების შესაბამისად იუგოსლავიის შემადგენლობაში შევიდა ჩერნოგორია, იტალიამ კი მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონი - სამხრეთ ტიროლი მიიღო.

გარდა ყველაფრისა, ავსტრიამ დაკარგა სამხედრო და სავაჭრო ფლოტი ადრიატიკასა და დუნაიზე, აიღო ვალდებულება გადაეხადა რეპარაციები გამარჯვებულთათვის და თანხმდებოდა შეუფერხებლად გაეტარებინა მოკავშირეთა ნებისმიერი სატრანზიტო ტვირთები თავის ტერიტორიაზე. შეთანხმების სამხედრო მუხლები უკრძალავდნენ ავსტრიას მუდმივი არმიის ყოლას.

1919 წლის 27 ნოემბერს პარიზის გარეუბან ნეიში ხელი მოეწერა მშვიდობიან შეთანხმებას ბულგარეთთან, რომლის შესაბამისად, ამ უკანასკნელმა დაკარგა მნიშვნელოვანი ტერიტორიები: დობრუჯა გადაეცა რუმინეთს, მაკედონიის ნაწილი, ადრე ბულგარეთის შემადგენლობაში რომ შედიოდა, მიიღო იუგოსლავიამ, დასავლეთ თრაკია საბერძნეთს გადაეცა. ბულგარეთი ამ გზით კარგავდა თავის ტერიტორიებს, რომელთა ფართი 11 ათასი კვადრატულ კილომეტრს აღემატებოდა და კარგავდა ასევე გასასვლელს ეგეოსის ზღვაზე. მასვე დაეკისრა მძიმე სარეპარაციო გადასახადები, რომლებიც უდრიდა მისი ომამდელი

ეროვნული სიმდიდრის კინაღამ მეოთხედს. ასევე, ნავარაუდევი იყო ბულგარეთის შეიარაღე-ბული ძალების რიცხოვნობის შეზღუდვა 20 ათასი ადამიანით.

სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა უნგრეთთან დაგვიანდა ამ ქვეყანაში რევოლუციური მოვლენების გამო და მოხდა მხოლოდ 1920 წლის 4 ივნისს ტრიანონის დიდ სასახლეში. ეს შეთანხმება ფაქტობრივად აახლებდა სენჟერმენის შეთანხმების პირობებს. უნგრეთი აღიარებდა ახალი სახელმწიფოების - ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მემკვიდრეების და მისი მეზობლების საზღვრებს, გარდა ამისა, უნგრეთმა ავსტრიის სასარგებლოდ უარი თქვა თავის პროვინცია ბურგენლანდზე. შედეგად, მისი ტერიტორია შემცირდა უფრო მეტად, ვიდრე სამჯერ, მოსახლეობა კი 2,5-ჯერზე მეტად. შეთანხმება ითვალისწინებდა გამარჯვებულთათვის საკმაოდ დიდი რეპარაციების გადახდას, მათი ვადები და ოდენობა კი დაფიქსირებული არ იყო.

განსაკუთრებით მძიმე შეთანხმება თავს თურქეთს მოახვიეს. ის ხელმოწერილი იქნა სევრში 1920 წლის 10 აგვისტოს. შეთანხმებამ დააფიქსირა, რომ თურქეთი კარგავდა სირიას, ლიბანს, პალესტინას და ერაყს, რომელთა მართვის მანდატი ერთა ლიგამ გადასცა ინგლისსა და საფრანგეთს. კარგავდა თურქეთი რიგ სხვა არაბულ ტერიტორიასაც, რომლებმაც ფორმალურად პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიიღეს. დანაწილებას დაექვემდებარა ოსმალეთის იმპერიის საკუთრივ თურქული ნაწილიც. სხვადასხვა იურიდიული სახით თურქეთს ჩამოაცილეს ისეთი ტერიტორიები, როგორებიცაა იზმირი მიმდებარე ვრცელი რაიონით, ტერიტორიები ევროპაში (საბერძნეთის სასარგებლოდ), კილიკია და მისი მეზობელი ოლქები სამხრეთ ანატოლიაში (საფრანგეთის სასარგებლოდ), აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილი (დამოუკიდებელი სომხეთის სასარგებლოდ), ნაწილი

სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიისა (ფაქტობრივად, ინგლისზე დამოკიდებული, მაგრამ ფორმალურად დამოუკიდებელი ქურთისტანის სასარგებლოდ). გარდა ამისა, ანატოლიაში იქმნებოდა საფრანგეთისა და იტალიის გავლენის სფეროები. სტამბოლი თურქებს მხოლოდ პირობითად რჩებოდა - იმ ვალდებულებით, რომ ის ზუსტად შეასრულებდა შეთანხმების უკლებლივ ყველა მუხლს. მტკიცდებოდა კაპიტულაციის რეჟიმი; გამარჯვებულ სახელმწიფოებს მიეცათ კონტროლის უფლება თურქეთის ფინანსებზე, განახლებას ექვემდებარებოდა მათი უფლება კონცესიებზე.

ხელშეკრულების შესაბამისად, ბოსფორი და დარდანელი მუდმივად გახსნილი უნდა ყოფილიყო ყველა ქვეყნის სამხედრო და სავაჭრო გემებისთვის. კონტროლი ამ პირობის შესრულებაზე გადაეცემოდა სპეციალურ კომისიას, შემდგარს ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ს, იტალიისა და იაპონიის (თითოეულ მათგან 2-2 ხმა ჰქონდა) და საბერძნეთისა და რუმი-ნეთის (თითო ხმა ჰქონდათ) წარმომადგენლებისგან.

ამრიგად, ვერსალის შეთანხმება, რომელიც კომპრომისის შედეგს წარმოადგენდა, იქცა ომისშემდგომი მშვიდობიანი დარეგულირების საფუძვლად. ის ამოდიოდა მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტის იმპერიალისტურ პრინციპებიდან და ფაქტობრივად, აფიქსირებდა ძალთა განლაგებას, ჩამოყალიბებულს მსოფლიო ომში გერმანიის განადგურების შემდეგ.

მთლიანობაში, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე შემუშავებული და გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებს შორის ხელმოწერილი შეთანხმებების სისტემას უნდა უზრუნველეყო ანტიგერმანული კოალიციის ქვეყნების დომინირება ევროპაში, მახლობელ და შუა აღმოსავლეთში, აგრეთვე აფრიკაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმებათა ვერსალის

სისტემა საერთაშორისო ურთიერთობებში ქმნიდა სიტუაციას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია წინააღმდეგობათა ხშირი გამწვავება და კონფლიქტები და, შესაბამისად, იგი არ შეიძლება დარჩენილიყო უცვლელი ხანგრძლივ პერსპექტივაში, კერძოდ, სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დინამიკაში არსებული განსხვავების გამო, რაც იწვევდა საერთაშორისო პროცესებზე ერთი ჯგუფის სახელმწიფოთა გავლენის გაზრდას და მეორე ჯგუფის სახელმწიფოთა გავლენის შემცირებას. ჩამოყალიბებული სისტემის არამდგრადობის მაჩვენებელი გახდა ის, რომ აშშ-მ, მსოფლიოს ყველაზე დინამიკურად განვითარებადმა სახელმწიფომ, პრაქტიკულად უარი განაცხადა გამხდარიყო მისი სტაბილურობის გარანტი, არ მოახდინა რა ვერსალის შეთანხმების რატიფიცირება, როგორც შეთანხმებისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის ინტერესებს. 1921 წლის 25 აგვისტოს აშშ-მ ხელი მოაწერა სეპარატულ შეთანხმებას გერმანიასთან. ვერსალის შეთანხმებიდან მასში შევიდა მხოლოდ ის პუნქტები, რომლებშიც გარკვეულად დაფიქსირებული იყო აშშ-ის უფლებები. ანალოგიური ხასიათი ჰქონდა აშშ-ის შეთანხმებებს გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან, რაც იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ვერსალის სისტემის ერო-ზია დაიწყო პრაქტიკულად მისი შექმნისთანავე.

3. საერთაშორისო ურთიერთობები შორეულ აღმოსავლეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ვაშინგტონის კონფერენცია.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე არ შეხებიან შორეულ აღმოსავლეთში არსებული საერთაშორისო ურთიერთობების

ბევრ საკითხს და ურთიერთობათა მოწესრიგება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილ ძალთა შეფარდების შესაბამისად, არ ჩატარებულა ამ რეგიონში.

როგორც უკვე აღინიშნებოდა, აშშ-ი ომიდან მნიშვნელოვნად გაძლიერებული გამოვიდა, რის შედეგად არსებითად გაიზარდა მისი პრეტენზიებიც წამყვან პოზიციებზე მსოფლიოში. მაგრამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ არ გაამართლა მათი იმედები: ამერიკული დიპლომატიის მისწრაფება, ეთამაშა მთავარი როლი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში, შეეჯახა აქტიურ წინააღმდეგობას ინგლისის, საფრანგეთის და იაპონიის მხრიდან.

ამრიგად, აშშ-მ ვერ შეაღწია თავისუფლად სხვა სახელმწიფოთა კოლონიალური სამფლობელოებში, ვერ მიაღწია დომინირებას ზღვებზე, ერთა ლიგის წესდებამ კი არ უზრუნველყო მისი ხელმძღვანელი როლი ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

იმავე დროს, ვერსალის სისტემა დიდ უპირატესობას ანიჭებდა იაპონიას, აშშ-ს მთავარ მოწინააღმდეგეს შორეულ აღმოსავლეთში, რასაც არ შეეძლო არ გამოეწვია ძლიერი შეშფოთება ამერიკის მმართველ წრეებში. ვერსალის სისტემას არ გაუუქმებია საზღვაო კავშირი ინგლის-იაპონიისა, რომელიც თავის დროზე რუსეთის, გერმანიის და აშშ-ს წინააღმდეგ შეიქმნა. ამერიკაში კარგად ესმოდათ მოცემული კავშირის ჭეშმარიტი არსი. იმ დროის ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე სენატორი ლოჯი 1922 წელს ამბობდა, რომ „ინგლის-იაპონიის“ კავშირი წარმოადგენს ყველაზე უფრო საშიშ ელემენტს ჩვენს ურთიერთობებში შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარ ოკეანესთან ... ის იწვევს მზარდ შიშს არამარტო აშშ-ში, არამედ კანადაშიც... ის ხელს უწყობს იაპონიაში სამხედრო სულისკვეთების

შენარჩუნებას და ამ ქვეყნის მომზადებას ახალი კონფლიქტებისთვის ხმელეთსა და ზღვაზე“.

მთლიანობაში, მსოფლიო გადანაწილება, ფაქტობრივად განხორციელებული პარიზის კონფერენციაზე, არ შეიძლებოდა, ჩათვლილიყო დასრულებულად მანამ, სანამდე თუნდაც დროებით, არ იქნებოდა დარეგულირებული შორეული აღმოსავლეთის პრობლემები. ამასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად უმალვე მას შემდეგ, რაც იქნა ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმებები გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, აშშ-ის ხელმძღვანელობაში დაიწყო წარმოშობა გეგმებისა ახალი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელსაც შეეძლებოდა აშშ-ის სასარგებლოდ გადაესინჯა პარიზში მოკავშირეების მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება. აღვნიშნავთ ასევე, რომ იაპონიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების აუცილებლობა განაპირობა აშშ-ის შიდაპოლიტიკურმა პრობლემებმაც, რომლებიც დაკავშირებული იყო მმართველი რესპუბლიკური პარტიის ბრძოლასთან დემოკრატებთან: 1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამარჯვებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ განაცხადა, რომ მზად არის, მიიღოს ზომები შეიარაღების და, შესაბამისად, გადასახადების გარკვეული შემცირების შესახებ.

იაპონიაც ეძებდა შესაძლებლობას მშვიდობიანად მოეწესრიგებინა თავისი წინააღმდეგობები ამერიკელებთან, რადგან ინგლისის კონკურენციის ზეწოლის და ჩინეთის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობის გამო, იაპონიის ვაჭრობა ჩინეთში შეიკვეცა, ინტერვენცია ციმბირსა და საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში ხდებოდა სულ უფრო უიმედო საქმედ, ცუდად რომ აისახებოდა იაპონიის ბიუჯეტის შემოსავლებზე.

დიდი ბრიტანეთიც გამოხატავდა დაინტერესებას, გადასინჯულიყო შორეული აღმოსავლეთის ზოგიერთი საკითხი და, ასევე, ზოგიერთი საკითხი, დაკავშირებული საზღვაო შეიარაღებასთან. 1921 წლის მარტში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი ლორდი ლი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც შესთავაზა პარიტეტის დამყარება ინგლისისა და აშშ-ის ფლოტებს შორის სათანადო შეთანხმების ხელმოწერით. ერთი თვის შემდეგ ლორდმა ლიმ ამერიკის მთავრობამდე მიიყვანა ცნობა, რომ ინგლისი მზად არის „უარი თქვას თავის ტრადიციულ პოლიტიკაზე იყოლიოს ფლოტი, რომელიც უდრის მსოფლიოში იმ დროს არსებულ სხვა ორ უდიდეს ფლოტს, და მოელაპარაკოს აშშ-ს ამ ფლოტების თანაბრობაზე“. ამასთან, ინგლისი სთავაზობდა ატლანტიკაში აშშ-ის უსაფრთხოების გარანტიას, რათა ამერიკელებს ჰქონოდათ წყნარ ოკეანეში თავისი ფლოტის კონცენტრირების საშუალება.

აშშ-ინგლისის მოლაპარაკებებში, ამ ამბებს რომ მოყვა, აშშ-მ წამოაყენა წინადადება ინგლის-იაპონიის კავშირის გაუქმების შესახებ. ინგლისის წარმომადგენელთა ცდა მოძებნილი ყოფილიყო ამ საკითხის კომპრომისული გადაწყვეტა, წარუმატებელი აღმოჩნდა. ინგლისზე ზეწოლისთვის აშშ-მ კანადა გამოიყენა, რომლის პრემიერი მეიგენი გამოვიდა წინადადებით - ნაცვლად ინგლის-იაპონიის საზღვაო კავშირისა, დაედოთ 4 სახელმწიფოს (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და იაპონია) შეთანხმება. 1921 წლის ზაფხულში აშშ-მ ინგლისზე ზეწოლისთვის გამოიყენა ირლანდიის პრობლემა. კონგრესში ირლანდიის რესპუბლიკის აღიარების შესახებ საკითხის განხილვისას ამერიკის სახელმწიფო მდივანმა იუზმა განუცხადა ინგლისის ელჩს, რომ კონგრესის გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება ინგლისსა და იაპონიას შორის ურთიერთობათა ხასიათზე. შექმნილ ვითა-

რებაში ინგლისელ დიპლომატებს დათმობაზე წასვლა მოუწიათ.

1921 წლის ივლისში ინგლისის მთავრობამ შესთავაზა აშშ-ის პრეზიდენტ ჰარდინგს თავისთავზე აეღო საზღვაო შეიარაღებების, აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის და წყნარი ოკეანეს საკითხების განსახილველად კონფერენციის მოწვევის ინიციატივა. 10 ივლისს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი იუზი გამოვიდა ოფიციალური წინადადებით, ვაშინგტონში მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია.

1921 წლის 12 ნოემბერს გაიხსნა კონფერენცია აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, პორტუგალიის, ჩინეთის წარმომადგენლების შემადგენლობით. ინგლისის დომინიონებსა და ინდოეთს კონფერენციაზე დამოუკიდებელი წარმომადგენლობა ჰქონდათ. კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგი შემდეგ საკითხებს შეიცავდა:1. საზღვაო შეიარაღების შეზღუდვა; 2. წყნარი ოკეანეს და შორეული აღმოსავლეთის საკითხების მოწესრიგება. თუმცა საკითხი ინგლის-იაპონიის კავშირის შესახებ არ იდგა დღის წესრიგში, ფაქტობრივად ის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა კონფერენციაზე, რადგან მისი გადაწყვეტის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო შეთანხმება სხვა საკითხებზე.

1921 წლის 10 დეკემბერს აშშ-ის წარმომადგენელმა სენატორმა ლოჯმა გააცხადა პროექტი 4 სახელმწიფოს - აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის და იაპონიის - შეთანხმებისა წყნარ ოკეანეში მფლობელობაში მყოფი კუნძულების ხელშეუხებლობის ურთიერთ გარანტიის შესახებ. გადაჭრით უარყვეს-იტალიის ცდები მიეღწია ხელშეკრულებაში მონაწილეობის-თვის, პროექტი კი პრაქტიკულად განხილვის გარეშე მიიღეს.

4 სახელმწიფოს შეთანხმება მიღებული იქნა ხანგრძლივი ფარული ბრძოლის შედეგად. მოლაპარაკებები ამ შეთანხმებაზე ჯერ კიდევ 1921 წლის 1 დეკემბერს დაიწყო და სრულიად საიდუმლოდ მიდიოდა ამერიკის, ინგლისის და იაპონიის დელეგაციების ხელმძღვანელთა შორის. ინგლისური მხარე დასაწყისში მოითხოვდა ინგლის-იაპონიის საზღვაო კავშირის ნაცვლად ხელი მოეწერათ აშშ-ის, ინგლისს, იაპონიას შორის სამმხრივი შეთანხმებისათვის. ინგლისური პროექტი ორი მოლაპარაკე მხარისთვის ითვალისწინებდა შესაძლებლობას, შესულიყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებაში იმ პირობით, რომ ამ შეთანხმებებს თავდაცვითი ხასიათი ექნებოდათ. მაგრამ ინგლისის ცდები ამა თუ იმ ფორმით შეენარჩუნებინათ ინგლის-იაპონიის კავშირი, წააწყდა წინააღმდეგობას აშშ-სა, რომელმაც მოითხოვა საფრანგეთის მოწვევა ამ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის. ინგლის-საფრანგეთის შორის არსებული სერ-იოზული უთანხმოებები მახლობელ აღმოსავლეთში სამანდატო ტერიტორიების დანაწილების, აგრეთვე გერმანიის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, აშშ-ის მიმართ საფრანგეთის სა-ხელმწიფო ვალის დიდი მოცულობა ამერიკელ დიპლომატებს საფუძველს აძლევდა ეფიქრათ, რომ ამ შეთანხმებაში საფრა-ნგეთის ჩართვით ისინი გააძლიერებენ თავის პოზიციებს ინგლისისა და იაპონიის მიმართ.

4 სახელმწიფოს შეთანხმება, ხელმოწერილი 1921 წლის 13 დეკემბერს, გახდა ვაშინგტონის კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ის ითვალისწინებდა მის მონაწილეთა ერთობლივ მოქმედებებს წყნარ ოკეანეში მათი ინტერესების დაცვის მიზნით. შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნების უფლებებს „დაემუქრება საშიშროება რომელიმე სახელმწიფოს შეტევითი მოქმედებების გამო“,

მოლაპარაკე მხარეები „შევლენ სრულ და ღია ურთიერთ აზრთა გაცვლაში იმ მიზნით, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ყველაზე ქმედით ზომების შესახებ, რომლებიც უნდა იქნას მიღებული“. შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო, რომ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, ინგლის-იაპონიის კავშირი დაკარგავდა თავის ძალას.

ინგლისის იძულებული უარის თქმა იაპონიასთან კავშირზე გახდა ამერიკის დიპლომატიის დიდი წარმატება, რომელმაც საფუძველი ჩაუდო აშშ-ს ბატონობას წყნარი ოკეანეს რეგიონში.

კონფერენციამ დიდი ყურადღება მიაქცია საზღვაო შეიარაღების პრობლემას. გამალებული შეიარაღება უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო შორეულ აღმოსავლეთში არ-სებულ ვითარებასთან. სწორედ აქ იყო მოუწესრიგებელი მრავალი საერთაშორისო წინააღმდეგობა, ზოგიერთმა მათგანმა კი (ძირითადად, იაპონია-აშშ-ს) უკიდურეს სიმწვავეს მიაღწია.

აშშ-ს წინადადებები, დაკავშირებული ამ საკითხთან, გახმოვანდა კონფერენციის პირველ სხდომაზე იუზის სიტყვაში. საზღვაო შეიარაღებათა დონე, შემოთავაზებული აშშ-ს მიერ, ითვალისწინებდა უმსხვილესი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალების ტონაჟის პროპორციული შეფარდების საერთო პრინციპის დადგენას ხომალდების უმნიშვნელოვანეს კატეგორიების მიხედვით და პროპორციული ნორმების შემუშავებას დამხმარე საბრძოლო ძალებისთვის, და ამ გზით მთავარი საზღვაო სახელმწიფოების ძალების შეფარდების მოყვანას თავის ინტერესებთან შესაბამისობაში, და საერთაშორისო შეთანხმების საშუალებით ამ ვითარების განმტკიცებას. ამერიკული წინადადება იმაზე იყო გათვლილი, რომ აშშ-ის, გამალებული შეიარაღების დროებით შეჩერებით, შეძლებოდა, მიეღწია თავისი სახაზო ფლოტზე ინგლისის სახაზო ფლოტის უპირატესობის ლიკვიდაციისთვის. გარდა ამისა, აყენებდა რა ასეთ პროგრამას, ამერიკული დიპლომატია ითვალისწინებდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ომის საწინააღმდეგო განწყობას და ცდილობდა ამით გარკვეული პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას.

ინგლისის და იაპონიის დელეგატებისთვის ძნელი იყო არ დათანხმებოდნენ აშშ-ს პროგრამას, ამასთან, ინგლისი ამერიკაზე მეტადაც იყო დაინტერესებული საზღვაო შეიარაღებების შემცირებით. მას ყავდა უდიდესი ფლოტი, რომლის შენახვა დიდ ხარჯებს ითხოვდა, ძალზე მძიმეს ბრიტანეთის ეკონომიკისთვის. იაპონიის დელეგატი ადმირალი კატო ასევე თანახმა იყო აშშ-ს წინადადებებზე.

მაგრამ როდესაც კონფერენცია გადავიდა ფლოტების შეკვეცის კონკრეტული საკითხების განხილვაზე, გამოვლინდა დიდი უთანხმოებები. იაპონია მოითხოვდა ინგლისის, აშშ-ს და თავისი სახაზო ფლოტების შეფარდებას პროპორციით 10:10:7, მაშინ, როდესაც იუზის წინადადება იყო 10:10:6 და თანახმა იყო უარი ეთქვა თავის წინადადებაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ აშშ არ ააშენებდა თავის სამხედრო-საზღვაო ბაზებს წყნარ ოკეანეში. ამერიკელები, თავის მხრივ, ეწინააღმდეგებოდნენ ამ მოთხოვნას. საფრანგეთსა და იტალიას ასევე არ აწყობდათ პროექტის ზოგიერთი დებულება.

აშშ-ს და ინგლისის ერთობლივმა ზეწოლამ აიძულა ფრა-ნგები დათანხმებოდნენ სამხედრო-საზღვაო ტონაჟის შემოთავაზებულ პროპორციებს. ამავე დროს საფრანგეთმა კატეგორიული უარი განაცხადა თავისი სახმელეთო ჯარების შეკვეცაზე, რის მიღწევასაც აქტიურად ცდილობდა ინგლისი. ეს უკანასკნელი, მოითხოვდა რა საფრანგეთის სახმელეთო შეიარაღებების შეკვეცას, ცდილობდა შეესუსტებინა ამ ქვეყნის პოზიციები ევროპაში,

ასევე გაეღრმავებინა წინააღმდეგობები საფრანგეთსა და აშშ-ს შორის. ამერიკელები დაინტერესებულნი იყვნენ სახმელეთო შეიარაღებული ძალების შეკვეცით საერთაშორისო მასშტაბით, რადგან სურდათ შეესუსტებინათ იაპონიის ძლიერი არმია, თუმცა მათ არაფერი ჰქონდათ საწინააღმდეგო საფრანგეთის სახმელეთო ჯარებისა, რომლებიც ევროპაში ინგლისის გავლენის თავისებურ საპირწონეს წარმოადგენდნენ.

სახმელეთო შეიარაღებების შეზღუდვის საკითხით გამოწვეული მწვავე წინააღმდეგობების შედეგად, ეს საკითხი მოიხსნა განხილვიდან. ასევე, ვერ მიაღწიეს რაიმე შეთანხმებას წყალქვეშა ფლოტის და სამხედრო-საჰაერო ძალების რეგლამენტაციის საკითხზე.

რაც შეეხება საზღვაო შეიარაღებებს, აქ, დამაბული ბრძოლის შედეგად, 1922 წლის 6 თებერვალს აშშ-მ, ინგლისმა, საფრანგეთმა, იაპონიამ და იტალიამ ხელი მოაწერეს მათ შეკვეცას. შეთანხმება შემდეგი პროპორციით ადგენდა სახაზო გემებისა და ავიამზიდების ტონაჟის შეფარდებას: 5:5:3:1,73:1,75 (აშშ, ინგლისი, იაპონია, საფრანგეთი, იტალია შესაბამისად). ასევე იქნა მიღებული ამერიკის წინადადება 35 ათასი ტონა წყალწყვაზე მეტის სახაზო გემების აგების აკრძალვის შესახებ. შეთანხმება, რომელმაც ლიტერატურაში „5 სახელმწიფოს შეთანხმების“ სახელწოდება მიიღო, დაიდო 1936 წლის 31 დეკემბრამდე ვადით.

5 სახელმწიფოს შეთანხმება ნიშნავდა დამტკიცებას ინგლისის ოფიციალური თანხმობისა მისი და აშშ-ის სახაზო ფლოტების პარიტეტის პრინციპზე, რაც მიანიშნებდა მნიშვნელოვან ცვლილებებზე მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა ძალების შეფარდებაში. მაგრამ ინგლისი ინარჩუნებდა უპირატესობას უმნიშვნელოვანეს საზღვაო კომუნიკაციების კონტროლის საქმეში, ფლობდა რა კრეისერების მძლავრ ფლოტს,

რომელიც არ შეკვეცილა შეთანხმების პირობებით, მიუხედავად ამერიკელი დიპლომატების ყველა ცდისა.

იაპონიის მოთხოვნით შეთანხმების ტექსტში ჩართული იქნა პუნქტი, რომლის თანახმად იკრძალებოდა ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნა წყნარ ოკეანეში გარდა აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის ნაპირის ახლოს მდებარე კუნძულებისა, პანამის არხის ზონისა და ჰავაის კუნძულებისა, აგრეთვე კუნძულებისა 110 მერიდიანის დასავლეთით. ამ პუნქტის მიღებით იყო განპირობებული იაპონიის თანხმობა აშშ-ის მიერ შემოთავაზებულ პროპორციაზე სახაზო ფლოტების შეფარდებაში. იაპონიას, რომელსაც გააჩნდა კარგად აღჭურვილი სამხედრო ბაზები თავის კუნძულებზე წყნარ ოკეანეში, მიაღწია აშშ-ის მხრიდან უარის თქმას ფილიპინებზე, გუამსა და ალეუტის კუნძულებზე სამხედრო ბაზების აგებაზე. ამრიგად, ამერიკას და ინგლისს შეეძლოთ სამხედრო-საზღვაო ბაზების აგება იაპონიის ნაპირებიდან არანაკლებ 5-6 ათასი კილომეტრის მანძილზე. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ამგვარმა სიტუაციამ უზრუნველყო იაპონიის ფლოტისთვის შესაძლებლობა, ებატონა აზიის წყლებში და შეუქმნა საფუძველი ამ ქვეყნის ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

****

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა შეთანხმებებსაც, მიძღვნილს მდგომარეობისადმი ჩინეთში, რომელმაც თავის დროზე იმის გამო თქვა უარი ხელი მოეწერა ვერსალის შეთანხმებაზე, რომ გერმანიის ყოფილი სამფლობელოები მის ტერიტორიაზე გადაეცა იაპონიას.

ჩინეთის დელეგაციამ კონფერენციაზე წამოაყენა, როგორც განხილვისთვის გამიზნული ძირითადი პრინციპები, 10-მუხლიანი პროგრამა. მასში დასმული იყო საკითხი ჩინეთის ტერ-

იტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემის შესახებ დიდი სახელმწიფოების მხრიდან. პროგრამა ითვალისწინებდა, რომ ჩინეთი, თავის მხრივ, არ გაასხვისებს და არ გადასცემს რომელიმე სახელმწიფოს თავისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილს. ჩინეთის წარმომადგენლები, ეთანხმებოდნენ რა „ღია კარების და თანაბარი შესაძლებლობის“ პრინციპს, მოითხოვდნენ უცხოურ სახელმწიფოთა ყველა შეღავათებისა და სპეციალური უფლებების ლიკვიდაციას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ჩინეთისთვის გერმანიის მფლობელობაში ყოფილი თავისი ტერიტორიების დაბრუნებას, გავლენის სფეროების ლიკვიდაციას, უცხოეთის ჯარების გაყვანას და ა. შ.

აშშ-ის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ჩინეთის იმ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო იაპონელთა მონოპოლიური მდგომარეობის ლიკვიდაციისთვის ჩინეთის რიგ რაიონში, და ეს იმ დროს, როდესაც იაპონიამ უარი განაცხადა განეხილათ ეს საკითხები კონფერენციაზე და მოითხოვა მათი განხილვა ჩინეთსა და იაპონიას შორის ორმხრივი მოლაპარაკებების ჩარჩოებში. აშშ-მ და ინგლისმა მიიღეს ეს პროცედურა, მაგრამ მათ მიაღწიეს თავისი წარმომადგენლების, როგორც დამკვირვებლების, მონაწილეობას ამ მოლაპარაკებებზე.

შედეგად ფარული ბრძოლისა, რომელიც შეიცავდა იაპონელთა ცდებს, შეეცვალათ მთავრობა პეკინში, 1922 წლის 4 თებერვალს იაპონიასა და ჩინეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავდა შანდუნის პროვინციის დაბრუნების პირობებს, და ითვალისწინებდა, კერძოდ, იაპონიის უარს გამორჩეულ უფლებაზე მიეცა ჩინეთისთვის სესხები გადასახადებით უზრუნველყოფის პირობით და გაეგზავნა თავისი მრჩევლები და ინსტრუქტორები ჩინეთის მთავრობაში

და ა. შ. მოცემული შეთანხმება ნიშნავდა ამ საკითხზე ვერსალის დადგენილებების გადასინჯვის დაწყებას, რაც შეიძლება შეფასებულიყო იაპონიის დიპლომატიის დამარცხებად და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წარმატებად, რომელმაც გარკვეულწილად შეასუსტა იაპონიის გავლენა ჩინეთში.

კონფერენციაზე ჩინეთის საკითხთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცა შეთანხმება 9 სახელმწიფოსი - აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ბელგიის, იტალიის, ჰოლანდიის, პორტუგალიის და ჩინეთისა, ხელმოწერილი 1922 წლის 6 თებერვალს. შეთანხმება ავალდებულებდა მის ხელმომწერ ქვეყნებს პატივი ეცათ ჩინეთის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობისთვის, დაეცვათ „ღია კარის“ პრინციპი. მისი ხელისმომწერნი ვალდებული იყვნენ, თავი შეეკავებინათ სპეციალური უფლებების და უპირატესობის მიღების მიზნით, ჩინეთში არსებული ვითარების გამოყენებისგან და არ ეცადათ ჩინეთის რომელიმე ნაწილში მოეპოვებინათ მონოპოლია ან შეღავათები მესამე სახელმწიფოების ინტერესების საზიანოდ.

მოცემული შეთანხმებაც შეიძლება მიეკუთვნოს ამერიკული დიპლომატიის მიღწევებს, რამეთუ ის ხელს უშლიდა ჩინეთის დანაწილებას გავლენის სფეროებზე, შესაბამისად კი ეწინააღმდეგებოდა ინგლისისა და იაპონიის ინტერესებს, ასუსტებდა რა შორეულ აღმოსავლეთში მათ გავლენას. იაპონია კი, თავის მხრივ, იმიტომ მიუერთდა ამ შეთანხმებას, რომელიც მიმართული იყო მისი ინტერესების წინააღმდეგ, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ის ფაქტობრივად იზოლირებული იყო კონფერენციაზე, მაგრამ აწერდა რა ხელს 9 სახელმწიფოს შეთანხმებას, იაპონია მთლიანობაში ინარჩუნებდა მანევრის გარკვეულ თავი-

სუფლებას, რამეთუ მოცემული დოკუმენტი არ ითვალისწინებდა ზემოქმედების რაიმე ზომ-ებს მისი დამრღვევების მიმართ.

დასკვნის გაკეთებისას შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონის კონფერენციამ ფაქტობრივად დაასრულა მსოფლიოს გადანაწილება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დაადგინა რა გარკვეული ვადით ძალთა ახალი ბალანსი წყნარი ოკეანეს რეგიონში. კონფერენციის გადაწყვეტილებები გახდა ერთ-ერთი საფუძველი ომისშემდგომი დარეგულირებისა საერთაშორისო არენაზე, შემადგენელი ნაწილი ვერსალ-ვაშინგტონის სისტემისა, რომელმაც განსაზღვრა სართაშორისო ურთიერთობების განვითარების ძირითადი ტენდენციები და წინააღმდეგობები მომავალი ორი ათეული წლით. კონფერენციის შედეგები ნიშნავდა ამერიკული დიპლომატიის მნიშვნელოვან წარმატებებს დომინირებისთვის ბრძოლაში, წყნარ ოკეანეში მაინც.

4. რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში 1920-იან წლებში. რსფსრ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნიშნები 1918-1921 წლებში. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მაწლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან

ახალი ბოლშევიკური ხელისუფლების პოზიციის შედეგად, რომელმაც სეპარატული ზავი დადო გერმანიასთან, ცალმხრივად უარი განაცხადა უცხოური ვალების გადახდაზე და ნაციონალიზაცია უყო უცხოელთა საკუთრებას რუსეთში, საბჭოთა სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე აუტსაიდერის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლშევიკების პოლიტიკამ გამარჯვებულ სახელმწიფოებს მისცა საბაბი ვერსალის კონფერენციაზე, რუსეთის საკითხის განხილვისას, შეემუშავებინა გეგმები, დაკავშირებული რსფსრ-ზე ძალისმიერ ზეწოლასთან როგორც პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის გამოყენებით, ისე რუსეთში მყოფი ანტიბოლშევიკური ძალებისთვის დახმარების გაწევის გზით. ყველაფერ ამის შედეგი გახდა რუსეთის ეკონომიკური და დიპლომატიური ბლოკადა დასავლეთის ქვეყნებისა მხრიდან.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ, საგარეო-პოლიტიკურ იზოლაციიდან გამოსვლის მიზნით, შექმნილ პირობებში გადადგა რიგი პოლიტიკური ნაბიჯი, მიმართული მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასა და მათთან ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიურ განვითარებაზე.

ჯერ კიდევ 1917 წლის ბოლოს - 1918 წლის დასაწყისში რსფსრ-ს სახკომსაბჭომ რამდენიმე დიპლომატიური ნოტით აცნობა ირანის მთავრობას, რომ რუსეთის მხარე მზად არის განიხილოს საკითხი ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიიდან ჯარების გამოყვანის, აგრეთვე, 1907 წლის ინგლის-რუსეთის და ირანის სუვერენიტეტის მზღუდავი რიგი სხვა შეთანხმებების დენონსაციის შესახებ. ირანის მთავრობამ ცნობად მიიღო საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება და, თავის მხრივ, ყველა მხრივ ძალადაკარგულად გამოაცხადა ყველა შეთანხმება და ხელშეკრულება, რომელიც ირანს თავს მოახვიეს დიდმა სახელმწიფოებმა. მაგრამ დეკლარაციებს იქით საქმე არ წასულა, რადგან 1918 წლის შუახანებისთვის ინგლისმა თავისი ჯარები შეიყვანა ირანში, სადაც ჩამოყალიბდა ინგლისის მომხრე მთავრობა, რომელმაც შეწყვიტა მოლაპარაკებები ბოლშევიკებთან.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ ანებებდა თავს ცდებს, დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობები თეირანთან. ასეთი დაჯინება იმით აიხსნება, რომ ირანი განლაგებულია რსფსრ-ს საზღვრებიდან უშუალო სიახლოვეზე და მაშინ სრულიად რეალური ჩანდა საფრთხე, რომ მას გამოიყენებდნენ პლაცდარმად საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეტევისათვის. 1918-1919 წლებში ირანში გაიგზავნა რუსეთის კიდევ ორი მისია, რომელთა ძირითადი ამოცანა იყო შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერა, მაგრამ მოლაპარაკებები ჩაიშალა ირანული მხარის გამო.

მოლაპარაკებების ჩაშლა აწყობდა ინგლისელებს, რადგან იმ დროსვე მათ მოლაპარაკება ჰქონდათ ირან-ინგლისის ახალი შეთანხმების ხელმოწერის შესახებ, რომლის პირობების მიხედვით შენარჩუნებული იქნებოდა ირანის დამოკიდებულება ინგლისზე. მოცემულ შეთანხმებას ხელი 1919 წლის 9 აგვისტოს მოეწერა. ამ დოკუმენტით ინგლისი უფლებას ღებულობდა თავისი მრჩევლები დაენიშნა ირანის სახელმწიფო აპარატსა და არმიაში. ირანს მიეცა სესხი ამ ქვეყნის საბაჟოების შემოსავლების გარანტიით; საბაჟო ტარიფები გადაისინჯა ინგლისის სასარგებლოდ.

ასეთ პირობებში საბჭოთა რუსეთი გამოვიდა მიმართვით ირანის ხალხისადმი (1919 წლის 28 აგვისტო). გადაწყვიტა რა ეთამაშა ინგლისის საწინააღმდეგო განწყობაზე, საბჭოთა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არ ცნობს ინგლის-ირანის შეთანხმებას, რადგან მას საქმე მიყავს ირანის დაკაბალებისკენ. „სპარსეთი გამორიცხულია დამოუკიდებელი ქვეყნების რიცხვიდან. სპარსეთის ხალხი გამორიცხულია თავისუფალი ხალხების რიცხვიდან, მისი საკუთარი დესპოტები და მჩაგვრელები იღებენ ფულს ინგლისისგან და საბოლოოდ ხდებიან ამ ქვეყნის

მოსამსახურეები...“, - ნათქვამი იყო მიმართვაში. გაკიცხა რა ამგვარად ეს შეთანხმება, საბჭოთა მთავრობამ კვლავ შესთავაზა დაედოთ საბჭოთა რუსეთ-ირანის თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის საფუძველზე.

1920 წლის 20 მაისს ირანის მთავრობა გამოეხმაურა ამ მოწოდებას, აცნობა რა, რომ აპირებს ბაქოსა და მოსკოვში გააგზავნოს დელეგაციები საბჭოთა მხარესთან მოსალაპარაკებლად ძველ პირობებზე. 1920 წლის ნოემბერში მოსკოვში რსფსრ-სთან მოლაპარაკებისთვის ჩამოვიდა ირანის საგანგებო ელჩი ალიგული-ხან ანსარი, 1921 წლის 26 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთ-ირანის შეთანხმებას ხელი მოეწერა მოსკოვში. იმავე დღეს ირანის მთავრობამ განაცხადა, რომ უარს აცხადებს მეჯლისში განსახილველად ინგლის-ირანის შეთანხმების შეტანაზე, მეჯლისმა მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას.

საბჭოთა მთავრობამ დაადასტურა თავისი უარი მეფის რუსეთის იმ საკუთრებაზე, რომელიც ირანის ტერიტორიაზე იყო, აგრეთვე განაცხადა, რომ ყველა შეთანხმება, კონვენცია და ხელშეკრულება, რომელიც მეფის მთავრობამ დადო ირანთან და რომელიც ზღუდავდა ირანის უფლებებს, გაუქმებულად და ძალადაკარგულად ცხადდებოდა. ყველა ის შეთანხმებაც, რომელიც რუსეთს ჰქონდა ხელმოწერილი მესამე ქვეყნებთან ირანის საზიანოდ, ასევე გაუქმებული იქნა; საბჭოთა რუსეთმა უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც არღვევდა ირანის სუვერენიტეტს. მოლაპარაკე მხარეები შეთანხმდნენ ეცნოთ და დაეცვათ საზღვარი, დადგენილი რუსეთ-სპარსეთის 1881 წლის შეთანხმებით; ხაზი გაესვა ორივე ქვეყნის უფლებას ერთობლივად გამოიყენოს სასაზღვრო მდინარეები.

საბჭოთა რუსეთ-ირანის შეთანხმებაში ჩართული იყო ასევე მუხლები, რომლებიც აცხადებდნენ მხარეთა ვალდებულებას არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, აგრეთვე მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საბჭოთა რუსეთის უსაფრთხოებას. შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად (პუნქტი 1), ორივე მხარე ვალდებული იყო „არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე ჩამოყალიბება ან ყოფნა ორგანიზაციების, ცალკეული ჯგუფების თუ ცალკეული პირებისა, რომლებიც თავის მიზნად ისახავენ ბრძოლას ირანის ან რუსეთის წინააღმდეგ, აგრეთვე ბრძოლას ამ უკანასკნელის მოკავშირეების წინააღმდეგ, ასევე, არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე არმიის ან ამგვარი ორგანიზაციების შეიარაღებულ ძალებში პირადი შემადგენლობის დაქირავება ან მობილიზაცია“.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამი იყო ირანის და რუსეთის ვალდებულებაზე არ დაეშვათ თავის ტერიტორიაზე რომელიმე მესამე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა, რათა თავიდან აცილებული იქნას მუქარა ამ ორი სახელმწიფოს საზღვრების მიმართ.

მე-6 მუხლი ითვალისწინებდა შემდეგს: „იმ შემთხვევაში, თუ მესამე ქვეყნების მხრიდან ადგილი ექნება ცდებს შეიარაღებული ჩარევის მეშვეობით სპარსეთის ტერიტორიაზე განხორციელდეს დაპყრობითიო პოლიტიკა ან სპარსეთის ტერიტორია გადაიქცეს რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლების ბაზად... და თუ სპარსეთის მთავრობას... თვითონ არ ექნება შესაძლებლობა აიცილოს თავიდან ეს საფრთხე, რუსეთის საბჭოთა მთავრობას უფლება ექნება შეიყვანოს თავისი ჯარები სპარსეთის ტერიტორიაზე, რათა თავის დაცვის ინტერესებში მიიღოს საჭირო სამხედრო ზომები“. მუქარის თავიდან აცილების შემდეგ საბჭოთა მთავრობა ვალდებულებას იღებდა დაუყონებლივ გაეყვანა თავისი ჯარები.

აშკარაა, რომ მოცემული შეთანხმების მე-6 მუხლი გარკვეულწილად ზღუდავდა ირანის სუვერენიტეტს, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს იყო სავალდებულო ზომა იმ დროის პირობებში რსფსრ-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

ირან-რუსეთის შეთანხმება გახდა სერიოზული ზღუდე ირანში იმპერიალისტური სახელმწიფოების გავლენის გაზრდის გზაზე, გარდა ამისა, ეს იყო პირველი თანასწორუფლებიანი შეთანხმება ირანსა და დიდ სახელმწიფოს შორის, რომელზე დაყრდნობითაც ირანმა შეძლო გაეუქმებინა 1919 წლის შეთანხმება ინგლისთან და მიაღწია ინგლისის ჯარების გაყვანას თავის ტერიტორიიდან. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა პრო-საბჭოთა განწყობის გაძლიერებას ირანში და ქმნიდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა შემდგომი განვითარების საფუძველს.

საბჭოთა ხელმძღვანელობა, ეწეოდა რა მოლაპარაკებებს ირანთან, ასევე ცდილობდა მოეწესრიგებინა ურთიერთობები ავღანეთთან, სადაც იმ ხანებში აქტიურად ვითარდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბრიტანეთის წინააღმდეგ.

1919 წლის თებერვალში ავღანეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალგაზრდა, ენერგიული ამანულა-ხანი, ქვეყანაში რეფორმების გატარების მომხრე. 28 თებერვალს მან გამოაცხადა ავღანეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რომელიც დაუყონებლივ იქნა აღიარებული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ. 1919 წლის 7 აპრილს ამანულა-ხანმა ცაკ-ის თავმჯდომარეს მ. ი. კალინინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოხატავდა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამ-

ყარების სურვილს. ამის კვალად, ტაშკენტში ჩამოვიდა ავღანეთის საგანგებო მისია მუჰამედ ვალი-ხანის ხელმძღვანელობით, იმავე წლის ზაფხულში კი ავღანეთში ჩამოვიდა ი. ზ. სურიცი, დანიშნული რსფსრ-ს საგანგებო და სრულუფლებიან წარმომადგენლად ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

მოლაპარაკების შედეგად მოხდა ჯერ პარაფირება, შემდეგ კი ხელის მოწერა 1921 წლის 28 თებერვალს რსფსრ-ავღანეთს შორის დადებული შეთანხმებისა. მთელი რიგი დოკუმენტებისა მოწმობს, რომ „იმპერიალისტური დესპოტიზმის ჩამოგდების საერთო პოლიტიკა“ იყო ერთ-ერთი ძირითადი იმ ფაქტორთაგან, რომლებმაც განაპირობეს შეთანხმების ხელმოწერა.

შეთანხმების მიხედვით, მხარეები აღიარებდნენ ერთმანეთის დამოუკიდებლობას და იღებდნენ ვალდებულებას, არ შესულიყვნენ მესამე ქვეყანასთან იმნაირ სამხედრო ან პოლიტიკურ შეთანხმებაში, რომელსაც შეეძლო ზიანის მიყენება მეორე მხარისთვის. რუსეთი თავის ტერიტორიაზე ავღანეთს უფლებას აძლევდა თავისუფლად და საბაჟო გადასახადების გარეშე გაეტარებინა საქონელი, შესყიდული როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ, საბჭოთა მხარე დათანხმდა ასევე, აღმოეჩინა თავისი სამხრეთელი მეზობლისთვის მატერიალური და ფინანსური დახმარება, მიეცა ანაზღაურების გარეშე 1 მლნ ოქროს მანეთის კრედიტი.

მოცემულ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისთვის. თვითონ ის ფაქტი, რომ ავღანეთმა რუსეთთან დადო თანასწორუფლებიანი შეთანხმება, დიდწილად ხელს უწყობდა ავღანეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებამ კი თავისი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის, მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, აგრეთვე ავღანეთის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. ავღანეთის დამოუკიდებლობის და ინგლისელების მიმართ საკმაოდ მტრულ ამანულა-ხანის რეჟიმის განმტკიცება უზრუნველყოფდა საბჭოთა სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრების შედარებით უსაფრთხოებას, აგრეთვე ამაღლებდა საბჭოთა რუსეთის ავტორიტეტს აღმოსავლეთ ხალხებში.

ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, ფართოვდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებიც. ავღანეთის გეოგრაფიული მდგომარეობა, მისი უშუალო სიახლოვე საბჭოთა რუსეთის საზღვრებთან, საქონლის მიწოდების სიჩქარე გახდნენ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ საბჭოთა-ავღანურ ვაჭრობას, განსაკუთრებით მომგებიანს ავღანეთისთვის, რადგან რსფსრ-ს იმპორტი ავღანეთიდან პრაქტიკულად შეიცავდა ავღანეთის ეკონომიკის მთელ საექსპორტო პროდუქციას, რაც სტიმულს აძლევდა მის ზრდას. რსფსრ-ში ავღანეთის ექსპორტის გაფართოებას ხელს უწყობდა საბჭოთა მთავრობის ზოგიერთი სპეციალური ზომებიც, კერძოდ, ავღანეთის საქონლის უმთავრესი სახეობების ულიცენზიო შემოტანაზე ნების დართვა, სხვა საქონლის უმეტეს ნაწილზე კი შეღავათიანი ტარიფების დაწესება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საბჭოთა მთავრობა ძირითად ყურადღებას აქცევდა ურთიერთობათა განვითარებას თურქეთთან, სადაც ამ პერიოდში სამხედრო დამარცხებების და რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გავლენით მიმდინარეობდა ინტენსიური რევოლუციური პროცესები, რომლებიც ხასიათდებოდა ანტიდასავლური განწყობის და პროსაბჭოური სიმპათიების ზრდით თურქეთის საზოგადოებრივ აზრში.

1920 წ. აპრილში თურქეთში შეიქმნა რევოლუციური მთავრობა მუსტაფა ქემალ-ფაშას მეთაურობით. მისი რეზიდენცია

ანკარა (ანგორა) გახდა. იმ პირობებში, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოებმა არ მიიღეს თურქეთის რევოლუცია, ქემალ-ფაშამ, რომელსაც სურდა განემტკიცებინა ახლადშექმნილი რეჟიმი, უკვე 1920 წლის 26 აპრილს მიმართა საბჭოთა რუსეთს წინადადებით, დაემყარებინათ დიპლომატიური ურთიერთობები და ხელი მოეწერათ სამხედრო შეთანხმებისთვის ორ ქვეყანას შორის. საბჭოთა მთავრობა დათანხმდა დაუყონებლივ დაემყარებინა თურქეთთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები და დაეწყო მოლაპარაკებები. გარდა ამისა, მან გამოხატა მზადყოფნა შუამავლად გამოსულიყო თურქეთ, სომხეთსა და ირანს შორის მოლაპარაკებებში ამ ქვეყნებს შორის არსებული სადავო საკითხების მოწესრიგების მიზნით. ამან კიდევ უფრო მეტად განაწყო თურქეთის საზოგადოებრივი აზრი რუსეთის სასარგებლოდ, მით უმეტეს, რომ შექმნილ ვითარებაში რსფსრ, რომელმაც თავისთავი გამოაცხადა „დაჩაგრული ხალხების დამცველად და იმპერიალისტების შეურიგებელ მტრად“, ჩანდა ერთადერთ მოკავშირედ.

2 ივლისს რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მუსტაფა ქემალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც თურქეთის მთავრობის მეთაურს აცნობდა ანკარაში საბჭოთა წარმომადგენლობის გაგზავნას. თავის მხრივ, თურქეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრ ბექირ სამი-ბეის ხელმძღვანელობით ჩამოვიდა მოსკოვში, სადაც შემუშავებული იქნა კიდეც საბჭოთა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების პროექტი. 1920 წლის შემოდგომაზე ბექირ სამი-ბეი ანკარაში დაბრუნდა შეთანხმების პროექტით, მაგრამ მისი ხელმოწერა გადაიდო თურქეთში მომხდარი შიდაპოლიტიკური ცვლილებების გამო.

ბერძენთა ჯარების შეტევამ, დაწყებულმა 1920 წლის დასასრულს, კვლავ დასვა საკითხი საბჭოთა რუსეთის მიერ თურ-

ქეთის მხარდაჭერის შესახებ. 1921 წლის თებერვალში თურქეთის დელეგაცია კვლავ გაემგზავრა მოსკოვში მოლაპარაკებების დასრულებისთვის. თურქეთის ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ შეძლებდა ამ მოლაპარაკებების გამოყენებას როგორც მნიშვნელოვანი არგუმენტისა, უფრო დამყოლს რომ გახდიდა დასავლეთის დიპლომატიას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად მოსკოვში დელეგაციის გაგზავნასთან ერთად, თურქეთის მეორე დელეგაცია გაგზავნილი იქნა ლონდონში გამარჯვებულ სახელმწიფოთა კონფერენციაზე.

მოლაპარაკებები მოსკოვში 1921 წლის 16 მარტს დასრულდა საბჭოთა რუსეთ-თურქეთს შორის მეგობრობისა და ძმობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით. მის პრეამბულაში ნათქვამი იყო, რომ ორივე მთავრობა, „იზიარებს რა ერთა შორის ძმობის პრინციპებს და ხალხების უფლებას თვითგამორკვევაზე, აღნიშნავს რა მათ შორის არსებულ სოლიდარობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში... და სრულად აღფრთოვანებული სურვილით დაამყარონ მათ შორის მუდმივი გულითადი ურთიერთობები და განუყრელი გულწრფელი მეგობრობა, დაფუძნებული მხარეთა ურთიერთ ინტერესებზე, ღებულობს გადაწყვეტილებას ხელი მოაწერონ შეთანხმებას მეგობრობის და ძმობის შესახებ“.

შეთანხმების 1-ლი მუხლის შესაბამისად, ყოველი მხარე ვალდებული იყო პრინციპში „არ ეღიარებინა არანაირი მშვიდობიანი შეთანხმება და სხვა საერთაშორისო აქტი, რომელთა მიღებას აიძულებდნენ მოლაპარაკების მეორე მხარეს“. მუხლი მე-2 განსაზღვრავდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებს და წყვეტდა რიგ სადავო ტერიტორიულ საკითხს.

ორივე მხარე გაუქმებულად აცხადებდა ყველა ძველ შეთანხმებას, ამასთან, საბჭოთა მთავრობამ გააცხადა, რომ თვლი-

და თურქეთს თავისუფალს ყველა იმ ფულად და სხვა ვალდებულებებისგან, რომლებიც დადგენილი იყო რუსეთ-თურქეთის ადრინდელი შეთანხმებებით. მოლაპარაკე მხარეებმა ივალდებულეს, არ დაეშვათ თავის ტერიტორიაზე იმ ორგანიზაციების ან ჯგუფების შექმნა ან არსებობა, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ სხვა ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწი-ლის მთავრობის როლზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მუხლი მე-5, რომელიც სრუტეებს ეძღვნება: "რათა უზრუნველყოფილი იქნას სრუტეების გახსნა და სავაჭრო გემების გასვლის თავისუფლება ყველა ხალხებისთვის, ორივე მოლაპარაკე მხარე თანახმაა, გადასცეს შავი ზღვის და სრუტეების საერთაშორისო სტატუტის საბოლოო შემუშავება მომავალ კონფერენციას, შემდგარს ზღვისპირა ქვეყნების დელეგატებისგან, იმ პირობით, რომ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არ მიაყენებენ ზიანს თურქეთის სრულ სუვერენიტეტს, ისევე, როგორც თურქეთის და მის დედაქალაქ კონსტანტინეპოლის უსაფრთხოებას".

საბჭოთა რუსეთმა თავისთავზე აიღო ვალდებულება, ის ნაბიჯები გადაედგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც საჭირო იყო ამ შეთანხმების მუხლების მათ მიერ უცილებელი აღიარებისთვის.

1921 წლის საბჭოთა რუსეთ-თურქეთის შეთანხმებას, ხელმოწერილს საბერძნეთის ინტერვენციის და ანტანტის ქვეყნების ზეწოლის წინააღმდეგ, ქემალისტური თურქეთის ბრძოლის დროს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნისთვის. მან განამტკიცა თურქეთის პოზიციები თავის ბრძოლაში დამოუკიდებლობისთვის და უზრუნველყო შესაძლებლობა, რათა მიეღწია ასეთივე ხელსაყრელი პირობებისთვის სხვა სახელმწიფოებ-

თან მოლაპარაკებებისას, და ხელი შეუწყო რუსეთის მიმართ მეგობრულად განწყობილი რეჟიმის განმტკიცებას.

მოსკოვის შეთანხმების ხელმოწერისას რსფსრ-ს და თურქეთის წარმომადგენლებს შორის ადგილი ჰქონდა შეთანხმების შემავსებელი ნოტების გაცვლას. ნოტებში მხარებმა ვალდებულება აიღეს, ეცნობათ ერთმანეთისთვის სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების, მათთან შეთანხმებების ხელმოწერის შესახებ, აგრეთვე იმაზე, რომ პრინციპულად იცვლება ერთი მხარის პოლიტიკური კურსი მეორეს მიმართ. ერთდროულად შეთანხმების ხელმოწერასთან, მიღწეული იქნა, რუსეთის თანხმობა გაეწია თურქეთისთვის 10 მლნ ოქროს მანეთის ოდენობის უსასყიდლო დახმარება.

ამრიგად, დახმარებას, რომელსაც საბჭოთა რუსეთი (1922 წლიდან საბჭოთა კავშირი) და თურქეთი უწევდნენ ერთმანეთს პირველი მსოფლიო ომიდან გამოსვლის შემდეგ, პრინციპული ხასიათი ჰქონდა თურქეთში ქემალის და რუსეთში ბოლშევიკების რეჟიმებისთვის. მეზობლები დაუბრუნდნენ თანამშრომლობას, რომელიც აუცილებელი იყო საერთო გარეშე მტერთან დაპირისპირებისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: საბჭოთა რუსეთმა, საპირისპიროდ ინგლისის არათანაბარუფლებიან ხელშეკრულებებზე აგებული პოლიტიკისა, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს შესთავაზა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, შეძლო გაერღვია დიპლომატიური და ეკონომიკური ბლოკადა, რომელშიც აღმოჩნდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. უსასყიდლო დახმარებამ, გაწეულმა ამ ქვეყნების ხალხებისთვის იმ ისტორიულ პირობებში, არსებითი გავლენა მოახდინა სსრკ-ს ირგვლივ არსებული ვითარების ნორმალიზაციაზე. საბჭოთა სახელმწიფომ, დაეხმა-

რა რა მეზობელი სახელმწიფოების ხალხებს მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, უზრუნველყო ამით სტაბილურობა თავისი სამხრეთი საზღვრების დიდი ნაწილზე, მონახა რიგი სადავო ტერიტორიული საკითხის კეთილმეზობლური გადაჭრის გზები. მინიმუმამდე დაიყვანა ის საფრთხე, რომ რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოები შეძლებდნენ, გამოეყენებინათ მისი მეზობელი ქვეყნების ტერიტორია როგორც პლაცდარმი დარტყმის მიყენების, ომის გაჩაღებისთვის. ეს კი საშუალებას იძლეოდა მოეხდინათ ძალისხმევის უმთავრესად კონცენტრირება შიდა პრობლემების გადაწყვეტაზე.

5. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არაოფიციალური მიმართულება 20-იანი წლების დასაწყისში

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა, ამყარებდა რა ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ცდილობდა, მოეწესრიგებინა კონტაქტები განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ოფიციალური დიპლომატიური არხების მეშვეობით, ინტენსიურად ავითარებდა თავისი საგარეო პოლიტიკის მეორე, არაოფიციალურ მიმართულებას, რომელიც ხორციელდებოდა კომინტერნის არალეგალური აპარატის გამოყენებით. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მოცემული მიმართულება საშუალებას იძლეოდა, გავლენა მოეხდინათ პოლიტიკურ ვითარებაზე იმ ქვეყნებშიც კი, რომლებთანაც რსფსრ-ს ჯერ არ ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი თავისი არსებობის დასაწყისშივე ძირითადად ორიენ-

ტირებული იყო დასავლეთის ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე, რომელსაც, მოცემული ორგანიზაციის დამფუძნებელთა აზრით, უნდა გამოეწვია მსოფლიო წეს-რიგის შეცვლა პრაქტიკულად მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ იმის შემდეგ, რაც რევოლუციები გერმანიასა და უნგრეთში დამარცხდნენ, კომინტერნი იძულებული გახდა ორიენტაცია აეღო თავის პოლიტიკის აღმოსავლეთი მიმართულების გააქტიურებაზე, შეზღუდა რა თავისი მუშაობა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის დამუშავებით რსფსრ-ს აღიარების, სამხედრო ინტერვენციის შეწყვეტის სასარგებლოდ და სხვა.

საკითხი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არაოფიციალური მიმართულების განვითარების შესახებ აღმოსავლეთში დაისვა 1920 წელს კომინტერნის მეორე კონგრესზე. ეს დაკავშირებული იყო როგორც სიძნელეებთან, რომლებსაც განიცდიდა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთში, ისე წარმატებებთან, რომლებიც იწყებდნენ გამოკვეთას საბჭოთა რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში. ამგვარი პოლიტიკის წარმატების საწინდრად ითვლებოდა აღმოსავლეთის კომუნისტურ პარტიების პარალელურად მასობრივი არაპარტიული ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც უნდა გამხდარიყვნენ საბჭოთა გავლენის დასაყრდენი რეგიონში.

კომინტერნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობა რსფსრ-ს საგარეო პოლიტიკის საერთო კონტექსტში 20-იანი წლების დასაწყისში, უმთავრესად განისაზღვრებოდა იმით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები - „არასრულუფლებიანი ერები და კოლონიები მათი ნედლეულით, სათბობით და სურსათით, ადამიანური რესურსის უზარმაზარი მარაგით“ (ი. ბ. სტალინი) წარმოადგენდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ მტრულად

განწყობილი დასავლეთის ქვეყნების ზურგს, რეზერვს. იმ დროს, როდესაც მსოფლიო რევოლუციის იდეა ჯერ კიდევ განხორციელებადი ჩანდა, საბჭოთა რუსეთის და კომინტერნის ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ რევოლუციური ომის მოგებისთვის „საჭიროა არამარტო გამარჯვება ფრონტზე, არამედ მტრის ზურგის რევოლუციონიზირება... ამიტომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს უზრუნველყოფილად, როდესაც პროლეტარიატი შეძლებს თავისი საკუთარი ბრძოლის შეხამებას არასრულ-უფლებიანი ერების და კოლონიების განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან“.

მთლიანობაში, თავისი აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების პროცესში კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გააქტიურა და თავისი საქმიანობის სფეროში ჩართო პრაქტიკულად ყველა სოციალური ფენა როგორც დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოებისა, ისე აღმოსავლეთის დამოკიდებული ქვეყნებისა, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობები, რელიგიური თემები და მოძრაობები. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არაოფიციალური მიმართულების საქმიანობა ხელს უწყობდა გაფორმებას და შედარებით სწრაფ განვითარებას პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში, ლოიალურად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა რუსეთის მიმართ და რეალური შესაძლებლობა მიიღეს, გავლენა მოეხდინათ რეგიონში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. მმართველ ელიტას და კოლონიების (მანდატის მქონე) ხელისუფლებას უკვე არ შეეძლოთ არ მიეღოთ მხედველობაში ის სოციალური იმპულსები, რომლებიც მოდიოდა პოლიტიკური პროცესის ახალ სუბიექტე-

ბისგან და იძულებული იყვნენ, წარემართათ თავისი პოლიტიკა ამ ფაქტორის გათვალისწინებით.

ყურადღება უნდა მიექცეს კომინტერნის და მასთან დაახლოებული ორგანიზაციების აღმოსავლური პოლიტიკის ცენტრალიზაციის მაღალ ხარისხს, რომელიც გამოიხატა მათ ცდაში დაემყარებინათ მკაცრი კონტროლი კომუნისტური პარტიების და სხვა მისდამი დამორჩილებული ორგანიზაციების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროზე, რა მიზნითაც პრაქტიკულად კომინტერნის დაფუძნების მომენტიდან დაიწყო სპეციალიზირებული ქვედანაყოფების სისტემის შექმნა. ამ ქვედანაყოფებს, რომლებსაც თავისი ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპზე გააჩნდათ ანალიტიკური და აღმასრულებელი ფუნქციები, რომლებიც თავის მუშაობაში ეყრდნობოდნენ კვალიფიცირებულ ექსპერტთა შტატს და კავშირის საიმედო არხებს, უნარი გააჩნდათ, დაკავებულიყვნენ კომუნისტური და ნაციონალისტური პარტიების ტაქტიკისა და პროგრამული დოკუმენტების შემუშავებით, პროპაგანდისტული კამპანიების მომზადებით, მათი ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობით ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამგვარი სპეციალიზაცია ეხმარებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის მართვის უმაღლეს ორგანოებს, განესაზღვრათ კომუნისტების ქცევის ხაზი და ზემოქმედება მოეხდინათ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე კომუნისტური ორგანიზაციების სისუსტის პირობებშიც კი.

კომინტერნის ტაქტიკა სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში და მისი რეგიონული სექციების საქმიანობის ხასიათი პირდაპირ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ ქვეყნის სიახლოვესთან საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებთან, აგრეთვე იმასთან, თუ რამდენად ლოიალურად იყო განწყობილი ქვეყნის მმართველი რეჟიმი

რუსეთის ახალი ხელმძღვანელობისადმი. ეს ნიშანი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობის პირველ წლებში, როდესაც მოცემული ორგანიზაცია, ცდილობდა რა, უზრუნველეყო რსფსრ-ს უსაფრთხოება, - აჩვენებდა სრულიად განსხვავებულ მიდგომებს, დაწყებული მთავრობის საწინააღმდეგო მსხვილი გამოსვლების ორგანიზაციით და შეიარაღებული მხარდაჭერით (ირანი, გერმანია), რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობების სტიმულირებით (არაბული ქვეყნები), ომის საწინააღმდეგო, აგრეთვე „მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს“ მხარდასაჭერად გამოსვლების ორგანიზაციით (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ-ი), დამთავრებული კომუნისტური პროპაგანდის შეზღუდვით და არსებული რეჟიმის მხარდაჭერით (თურქეთი). შემდგომში, კომინტერნმა, რომელიც იყენებდა ერთიანი (კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში - ანტიიმპერიალისტური) ფრონტის ტაქტიკას, გონივრულად მოქმედებდა ევროპის, მახლობელი, შუა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის, მიაღწია ხელსაყრელი პირობების შექმნას საბჭოთა შეღწევისთვის იმ ქვეყნებში, რომლებიც საინტერესო იყო რსფსრ-ს საგარეო პოლიტიკისთვის, ასევე საბჭოთა სახელმწიფოსადმი ლოიალური მმართველი რეჟიმების განმტკიცებას რიგ ქვეყნებში.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მასობრივ მოძრაობებს ევროპაში, ამერიკასა და აღმოსავლეთში, როგორც 20-იანი წლების დასაწყისში, ისე კომინტერნის არსებობის მთელ პერიოდში არსად არ ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური პარტიები. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიული და ნაციონალისტური დაჯგუფებები განაგრძნობდნენ თავისი პოზიციების განმტკიცებას, კომუნისტური პარტიები რჩებოდნენ მო-

მხრეთა საკმაოდ ვიწრო წრის შედარებით პატარა ორგანიზაციებად. კომუნისტების გამოსვლებს არ ჰქონდათ მასობრივი ხასიათი, მათი რეაქცია კი თავისი ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ბევრ მოვლენაზე ხშირ შემთხვევაში დაგვიანებული იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტურ ორგანიზაციებს გააჩნდათ განვითარების გარკვეული პოტენციალი, რომელიც შეიძლება, გამოენენებინა კომინტერნს პოლიტიკური ვითარების შეცვლის და ამა თუ იმ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში ისეთი რეჟიმის მოსვლის შემთხვევაში, რომელიც ნეგატიურად იქნებოდა განწყობილი საბჭოთა რუსეთისადმი. ამ შემთხვევაში, კომინტერნს, შესაბამისი სექციების საქმიანობის გააქტიურებით, შეეძლო გამოეყენებინა მოცემული რეჟიმის პოლიტიკური ან ეკონომიკური სიძნელეები მისი დესტაბილიზაციისთვის. გარდა ამისა, კომუნისტური პარტიები, რომლებიც ბევრ შემთხვევაში წარმოადგენდნენ პატარა და საკმაოდ კარგად კონსპირირებულ ორგანიზაციებს, შეიძლება გამოყენებული ყოფილიყვნენ როგორც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების არხები, რაც საბჭოთა ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევდა აეწყო თავისი საგარეო პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის განსხვავებული სოციალური ჯგუფებისა და პოლიტიკური დაჯგუფებების განწყობისა და სიმპათიების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურმა პარტიებმა და ჯგუფებმა მოცემულ პერიოდში ვერცერთ ქვეყანაში ვერ შეძლეს ხელისუფლების სათავეში მოსვლა, კომინტერნის საქმიანობას საერთაშორისო არენაზე არ შეიძლება წარუმატებელი ეწოდოს. პოლიტიკა, რომელსაც ეს ორგანიზაცია ატარებდა, ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, პროსაბჭოთა განწყობის გაზრდას

ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში და, მეორე მხრივ, ანტიდასავლური განწყობის გაზრდას აღმოსავლეთის კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ის ასევე ხელს უწყობდა საბჭოთა გავლენის შეღწევას იმ ქვეყნებშიც კი, რომლებთანაც რსფსრ-ს ოფიციალური ურთიერთობები ჯერ არ ჰქონდა.

6. ვითარების შეცვლა საერთაშორისო არენაზე 1922-1923 წლებში. გენუის კონფერენცია

1920-1922 წლებში საერთაშორისო არენაზე მოხდა ცვლილებები, დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნის პოზიციების განმტკიცებასა და მასსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის გარკვეული წონასწორობის დამყარებასთან, რამაც გავლენა მოახდინა ევროპაში საერთაშორისო ვითარების სტაბილიზაციაზე, რომლის შედეგად წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, დაინტერესებულებმა რუსეთის დაბრუნებით მსოფლიო მეურნეობის მიმოქცევაში და დარწმუნებულებმა ბოლშევიკებზე ძალისმიერი ზეწოლის ცდების უნაყოფობაში, დაიწყეს რსფსრ-სთან ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების შესაძლებლობის განხილვა.

დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელობა ამ ურთიერთობათა მოწესრიგების აუცილებელ პირობად თვლიდა შეთანხმებას რუსეთში დაკარგული ქონების კომპენსაციის მიღების შესახებ და რუსეთის მიერ აღებული ვალების დაბრუნებას. საბჭოთა მთავრობამ, ასევე დაინტერესებულმა დასავლეთთან ეკონომიკურ კავშირებში, 1921 წლის 28 ოქტომბერს მიმართა დასავლეთის ქვეყნებს ნოტით, რომელშიც აცხადებდა თანხმობას გარკვეულ პირობებზე ეცნო ომამდელი ვალები მეფის რუსეთისა.

თავის მხრივ, დასავლეთის ქვეყნებს უნდა შეექმნათ საბჭოთა მთავრობისთვის ვალების დაფარვის შეღავათიანი პირობები. ასევე, გათვალისწინებული იყო, რომ საბჭოთა რუსეთის თანხმობას, წასულიყო არსებით დათმობებზე ვალების საკითხში, თან უნდა ხლებოდა სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელმოწერა ანტანტის ქვეყნებთან და მათი მხრიდან ბოლშევიკური მთავრობის აღიარება. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, საბჭოთა მთავრობა სთავაზობდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას.

საბჭოთა წინადადებებმა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია დასავლეთში, განსაკუთრებით ინგლისში, რომელიც დიდ სიძნელეებს განიცდიდა თავისი სამრეწველო საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით და იმედოვნებდა ეკონომიკური პრობლემების დაძლევას რუსეთის დახმარებით. გარდა ამისა, ინგლისის მთავრობას ესმოდა, რომ თავისთავზე ამგვარი კონფერენციის ორგანიზატორის როლის აღებით, ის განამტკიცებდა თავის პრესტიჟს საერთაშორისო არენაზე. ინგლისის ლიდერები ასევე იმედოვნებდნენ, რომ გერმანია კონფერენციაზე შევიდოდა ბლოკში დიდ ბრიტანეთთან და ამგვარად, დაეხმარება მას ევროპაში საფრანგეთის პოზიციების დასუ-სტებაში.

კონფერენციის მოწვევას მხარს უჭერდნენ გავლენიანი წრეებიც იტალიისა, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა ასევე მძიმე იყო. სხვა პოზიცია დაიკავა საფრანგეთის მმართველმა წრეებმა, რომელთაც ეკუთვნოდათ რუსეთში ბოლშევიკების მიერ ნაციონალიზებული საკუთრების დიდ ნაწილი. გარდა ამისა, საფრანგეთის მრეწველები და ფინანსისტები არ განიცდიდნენ ექსპორტთან დაკავშირებულ დიდ სიძნელეებს, რადგან საწარმოების პროდუქცია და ბანკების კაპიტალი მიდიოდა

ქვეყნის იმ რაიონების აღდგენაზე, რომლებიც დან-გრეული იყო ომის შედეგად.

საკითხი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, უნდა გადაეწყვიტა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს, რომლის სხდომები გაიხსნა 1922 წლის 6 იანვარს კანში. აქ დაისვა წინადადება თებერვალში ან მარტის დასაწყისში მოეწვიათ ევროპის ყველა ქვეყნის კონფერენცია ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე. 1922 წლის 7 იანვარს იტალიის მთავრობამ საბჭოთა მხარეს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც ამ უკანასკნელს იწვევდნენ კონფერენციაში მონაწილეობისთვის. 8 იანვარს საბჭოთა მთავრობამ მიიღო ეს მოწვევა.

ამ დროს კი ანტანტის ბანაკში გრძელდებოდა ბრძოლა საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხთან დაკავშირებით. საფრანგეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა რ. პუანკარემ მოითხოვა, რომ საბჭოთა რუსეთში შემოეღოთ კაპიტულაციების რეჟიმი, როგორც პირობა ამ ქვეყნის მონაწილეობისა ეკონომიკური კონფერენციის მუშაობაში. გარდა ამისა, ის მოითხოვდა ამ კონფერენციის გადადებას არანაკლებ სამი თვის ვადით, რადგან, როგორც ჩანს, ცდილობდა მის ჩაშლას. კომპრომისი ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეული იქნა პუანკარესა და ლოიდ ჯორჯის შეხვედრაზე 1922 წლის 25 თებერვალს, რომელზეც პუანკარე დათანხმდა კონფერენციის გარდაუვალობაზე, ბრიტანეთის პრემიერი კი, თავის მხრივ, წავიდა დათმობებზე, რის შედეგად გადაწყდა განხილვიდან მოეხსნათ საკითხები, დაკავშირებული გერმანიის რეპარაციებსა და სამშვიდობო შეთანხმებების გადასინჯვასთან. კონფერენციის გახსნა გადაიდო 10 აპრილისთვის, ასევე, შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა რუსეთის მოწვევა გენუაში არ უნდა ნიშნავდეს ავტომატურად მის აღიარებას; ვარაუდობდნენ, რომ

აღიარების საკითხი გადაწყდებოდა გამომდინარე იქიდან, მიიღებდა თუ არა საბჭოთა მთავრობა ყველა იმ ეკონომიკურ მოთხოვნას, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები მას წაუყენებდნენ. ამ მოთხოვნების შემუშავებისთვის იქმნებოდა ექსპერტთა კომიტეტი, რომლის მუშაობა დაიწყო 20 მარტს ლონდონში.

უარყოფითი პოზიცია კონფერენციის მიმართ აშშ-მ დაიკავა: მან უარი განაცხადა ოფიციალურ მონაწილეობაზე მის მუშაობაში, იმ მოტივით, რომ მას, სავარაუდოდ, ექნება არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათი. გენუის კონფერენციისადმი ამერიკის მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი მოტივი იყო შემდეგი: ლოიდ ჯორჯის ენერგიულმა საქმიანობამ, მიმართულმა კონფერენციის მოწვევაზე, გამოიწვია იმის შიში, რომ საკუთრივ კონფერენციაზე ხელმძღვანელი როლი დარჩება ინგლისს, აშშ-ი კი აღმოჩნდება უკანა პლანზე.

რაც შეეხება საბჭოთა ხელმძღვანელობას: ის თვლიდა, რომ მოცემულმა კონფერენციამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საბჭოთა რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის კონსტრუქციული დიალოგის დაწყებასა და განვითარებაში, იმავდროულად საბჭოთა მხარემ განუცხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, რომ ის არ წავა არანაირ შეთანხმებაზე, რომელიც მისი ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული. თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, 1922 წლის 29 მარტს მოსკოვმა რიგაში მოიწვია ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც ბალტიისპირეთის ქვეყნების დელეგატებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა მთავრობის იურიდიულ აღიარებას და მიზანშეწონილად ჩათვალეს შეეთანხმებინათ თავისი დელეგაციების მოქმედებები გენუაში. თუმცა თვით კონფერენციაზე ესტონეთის, ლატვიის და პოლონეთის დელეგაციებმა რიგ სა-

კითხში გადაუხვიეს რიგის შეთანხმებებს, ამ თათბირმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამ ქვეყნების მოწყვეტას ანტისაბჭოთა ბლოკისგან.

***

გენუის კონფერენცია გაიხსნა 1922 წლის 10 აპრილს 34 ქვეყნის წარმომადგენლის მონაწილეობით. კონფერენციის ორგანიზატორ-სახელმწიფოთა დელეგაციების მეთაურთა გამოსვლებში პირველ პლენარულ სხდომაზე გაისმა მოწოდებები შეერთებოდნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს კანის რეზოლუციებს, აგრეთვე მშვიდობის დამყარების, შეთანხმებების მიღწევის და უკვე ხელმოწერილი შეთანხმებების გადასინჯვაზე უარის თქმის მოწოდებები. ამ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური გ. ჩიჩერინიც, რომლის სიტყვაში გამოვლინდა 20-იანი წლების საბჭოთა საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგობრიობა: კონსტრუქციული წინადადებები, მიმართული დასავლეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებაზე, ეხამებოდა უტოპიური სოციალიზმის სულისკვეთებით მსოფლიოს სამართლებრივად გარდაქმნის საკმაოდ ფანტასტიკურ პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ევროპის ქვეყნების წარმომადგენლების უარყოფითი რეაქცია. გ. ჩიჩერინი, აღიარებდა რა მთლიანობაში კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობას, იმავდროულად გამოდიოდა მთელ რიგ მათ მიერ წამოყენებული წინადადების წინააღმდეგ, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა უარის თქმას კანის რეზოლუციაში აღნიშნულ პირობებზე, და, ასევე არ უწყობდა ხელს ურთიერთობათა გაუმჯობესებას საბჭოთა რუსეთსა და ანტანტის ქვეყნებს შორის, ამცირებდა კონსტრუქციული დიალოგის შესაძლებლობას.

მეორე დღეს, 11 აპრილს, დაიწყო კონფერენციის 4 კომისიის მუშაობა: პოლიტიკური, ეკონომიკური, საფინანსო და სატრანსპორტო. ძირითადი დატვირთვა მოდიოდა პოლიტიკურ კომისიაზე, სადაც ნავარაუდევი იყო „რუსული საკითხის“ განხილვა. კომისიაში საბჭოთა დელეგაციას მისცეს მემორანდუმი, შემუშავებული ექსპერტების მიერ ლონდონში. ის შეიცავდა მოთხოვნას ბოლშევიკებისადმი დაეფარათ მეფის და დროებითი მთავრობების ყველა ფინანსური ვალდებულება, აგრეთვე მოეხდინათ კომპენსირება მთელი იმ ზარალისა, რომელიც უცხოელებმა განიცადეს რუსეთის ახალი ხელმძღვანელობის პოლიტიკის შედეგად. გარდა ამისა, ექსპერტების დასკვნა მოითხოვდა საგარეო ვაჭრობაზე მონოპოლიის გაუქმებას, ანუ იმ წინაღობის მოხსნას, რომელიც საბჭოთა რუსეთს იცავდა უცხოური კაპიტალის და, მთლიანობაში, უცხოური გავლენისგან. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ექსპერტთა მოცემული დასკვნის შესაბამისად, საბჭოთა საფინანსო სისტემის ხელმძღვანელობა უნდა გადასულიყო ანტანტის ქვეყნების ხელში.

მოლაპარაკება ექსპერტების მიერ დასმულ საკითხებზე მიმდინარეობდა როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ გარემოში ინგლისის დელეგაციის ხელმძღვანელის ვილაზე, სადაც მოწვეული იყვნენ საბჭოთა დელეგაციის ლიდერები: ჩიჩერინი, კრასინი და ლიტვინოვი. მოლაპარაკებების მსვლელობისას საბჭოთა მხარემ უარყო ექსპერტთა მოთხოვნები, რომელთა მიღება, ზღუდავდა საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს; უფრო მეტი, მან წამოაყენა თავისი პრეტენზიები იმ ზიანის აღდგენაზე, რომელიც მოკავშირეებმა მიაყენეს რუსეთის ეკონომიკას სამხედრო ინტერვენციის მსვლელობაში; დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმაც შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს. იმ შემთხვევა- ში,

თუ საბჭოთა დელეგაცია უარს იტყოდა ანტანტის მოთხოვნათა მიღებაზე, ლოიდ ჯორჯი სთავაზობდა, გამოეცხადათ მოლაპარაკებების უშედეგობის შესახებ. იმავე დროს, ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებს არ სურდათ თავისთავზე აეღოთ პასუხისმგებლობა კონფერენციის ჩაშლაზე, ამუშავებდნენ რა რუსეთის მიმართ მატერიალური და ფინასური პრეტენზიების ახალ ვარიანტებს. დისკუსიის ბოლოს ლოიდ ჯორჯმა წამოაყენა წინადადება: დასავლეთის სახელმწიფოები უარყოფენ საბჭოთა კონტრწინადადებებს, მაგრამ თანახმა არიან შეამცირონ რუსეთის სამხედრო ვალი და გააგრძელონ ვალების პროცენტების გადახდის ვადა. წინადადება ულტიმატუმის ფორმით იყო გაკეთებული და საბჭოთა დელეგაციამ, ვერ წავიდა რა მისი უარყოფის რისკზე, განაცხადა, რომ საბოლოო პასუხისთვის მას სჭირდება მოსკოვიდან ინსტრუქციების მიღება. მოლაპარაკებები შეჩერებული იქნა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დიპლომატები, ატარებდნენ რა მოლაპარაკებებს ანტანტის ქვეყნებთან, იმავდროულად აქტიურად ავითარებდნენ ურთიერთობებს გერმანიის წარმომადგენლებთან გენუაში, რომლებიც კონფერენციაზე ასევე აღმოჩნდნენ გარკვეულ პოლიტიკურ იზოლაციაში. 16 აპრილს, გენუის ახლოს მდებარე დასახლება რაპალოში, ხელი მოეწერა საბჭოთა რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას, რომელიც მთლიანად აღადგენდა დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობებს ორ ქვეყანას შორის. გერმანია და რუსეთი უარს ამბობდნენ სამხედრო დანახარჯებისა და ზარალის ანაზღაურებაზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ბერლინი აღიარებდა გერმანიის სახელმწიფო და კერძო საკუთრების ნაციონალიზაციას რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტების შესაბამისად. თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთი უარს ამბობდა გერმანიისგან

რეპარაციების მიღებაზე, მას რომ ვერსალის შეთანხმების შესაბამისი მუხლების საფუძველზე ერგებოდა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერ-თობების განვითარებას მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპის საფუძველზე.

როგორც უკვე აღინიშნებოდა ზევით, მოლაპარაკებები ამგვარი შეთანხმების ხელმოწერის შესახებ გერმანიისა და რსფსრ-ს მთავრობებს შორის უკვე მიმდინარეობდა გარკვეული ხნის განმავლობაში და მათი წარმატებით დასრულება გენუაში მნიშვნელოვანწილად აიხსნებოდა კონფერენციაზე არსებული მწვავე წინააღმდეგობებით გერმანიასა და ანტანტას შორის. რაპალოს შეთანხმების ხელმოწერა იყო საბჭოთა და გერმანული დიპლომატიის მსხვილი წარმატება, რომელმაც ხელი შეუწყო ორი ქვეყნის გამოსვლას პოლიტიკური იზოლაციიდან. ეს შეთანხმება შესამჩნევად ურთულებდა ანტანტის ქვეყნებს ლონდონში ექსპერტების მიერ შედგენილი იმ გეგმების შესრულებას, რომლებიც მიმართული იყო რუსეთის მიერ ნაციონალიზებული საწარმოების მფლობელთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასა და მეფის (და დროებითის) მთავრობის ვალების გადახდაზე. შექმნილი იყო პრეცედენტი, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებდა საბჭოთა რუსეთის პოზიციებს როგორც კონფერენციაზე, ისე მთლიანად საერთაშორისო არენაზე.

ამ შეთანხმებამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია კონფერენციის ორგანიზატორთა მხრიდან, რომლებმაც გერმანიას გაუგზავნეს ნოტა, ხელმოწერილი რიგი დელეგაციების ხელმძღვანელთა მიერ. ამ ნოტაში გერმანელებს აცნობებდნენ, რომ თავისი ნაბიჯით მათ განაპირობეს გერმანიის ჩამოშორება კონფერენციაზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების პირობების შემდგომ შემუშავებიდან. გერმანელი დიპლო-

მატები იცავდნენ თავისი მოქმედების კანონიერებას, უსვამდნენ რა ხაზს იმ გარემოებას, რომ ეს შეთანხმება არ ეხებოდა მესამე სახელმწიფოების ინტერესებს. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის წარმომადგენლები მოითხოვდნენ რაპალოს შეთანხმების დენონსირებას, იმუქრებოდნენ რა საწინააღმდეგო შემთხვევაში შეეწყვიტათ ურთიერთობა საბჭოთა დელეგაციასთან. მაგრამ ფრანგების ამგვარმა პოზიციამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა მათი ინგლისელი და იტალიელი კოლეგების მხრიდან, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ, მიეღწიათ ეკონომიკური შეთანხმებისთვის ბოლშევიკებთან.

ამ პირობებში, 20 აპრილს, საბჭოთა დელეგაციამ გადასცა კონფერენციის ორგანიზატორებს პასუხი ექსპერტთა ლონდონის თათბირის მემორანდუმზე, რომელშიც უარყოფილი იყო დასავლეთის სახელმწიფოების მოთხოვნები, ზიანის მიყენებით რომ ემუქრებოდნენ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ამასთან, რსფსრ-ს მთავრობა აღიარებდა, რომ უცხოეთის ქვეშევრდომებს, რომელთა მატერიალური ინტერესები დაზარალდა უცხოური საკუთრების ნაციონალიზაციის და ომამდელი ვალების გადახდაზე უარის თქმის შედეგად, უფლება აქვთ ზარალის ანაზღაურებაზე. საბჭოთა რუსეთმა, დათანხმდა რა ამნაირად ეღიარებინა ომამდელი ვალები, თავის მხრივ წამოაყენა ფინანსური კონტრპრეტენზიები ანტანტის ქვეყნების მიმართ, მოითხოვა იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მას მიაყენა მოკავშირეთა ინტერვენციამ და ბლოკადამ.

1922 წლის 2 მაისს დასავლეთის ქვეყნებმა საბჭოთა რუსეთს წაუყენეს ახალი მემორანდუმი, რომელიც მთლიანობაში იმეორებდა ლონდონის ექსპერტთა მოხსენების პოზიციებს კაპიტულაციების მსგავსი რეჟიმის დამყარების ჩათვლითაც კი. თუ

საბჭოთა მთავრობა ყველა ამ მოთხოვნას შეასრულებდა, მოკავშირეები თანახმა იქნებოდნენ, გადაევადებინათ რუსეთის ვალების გადახდა.

11 მაისს საბჭოთა წარმომადგენლებმა გენუაში მოკავშირეთა მემორანდუმზე გასცეს ოფიციალური პასუხი, რომელიც შეიცავდა მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა გულდასმით ანალიზს და მათი უსაფუძვლობის მტკიცებულებებს რუსეთის ახალი ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. 13 მაისს საბჭოთა დელეგაციის პასუხი რუსეთის წარმომადგენლების იქ არყოფნის პირობებში განიხილეს დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა. ლოიდ ჯორჯმა წინადადება შემოიტანა, რომ კონფერენციას დაესრულებინა თავისი მუშაობა სამი კომისიის (რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით) შექმნით - ვალების, უცხოური საკუთრების რესტიტუციის, კრედიტების საკითხებზე. ამ კომისიებში უნდა გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები მხარეთა ფინანსური პრეტენზიების დარეგულირების საკითხზე. კომისიების მუშაობის დროისთვის ინგლისის დელეგაციის ხელმძღვანელი სთავაზობდა, ხელი მოეწერათ თავდაუსხმელობის პაქტზე და შეთანხმებაზე პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ. პროექტმა მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია საფრანგეთის დელეგაციის მხრიდან, მაგრამ კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ ის სრულიად მისაღებად ჩათვალა. მეორე დღეს მოკავშირეებმა მოილაპარაკეს, რომ გენუის კონფერენციაზე დასმული საკითხების კვლევა გაგრძელდებოდა მოკავშირეთა და ნეიტრალური ქვეყნების ექსპერტთა კომისიის მიერ ჰააგაში, 1922 წლის ზაფხულში. ექსპერტთა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისთვის მოწვეული იქნა გენუის კონფერენციის ყველა მონაწილე, გერმანიის გარდა, და აშშ-ს წარმომადგენლები. ასევე იქნა მიღებული კონფერენციის მონაწილეთა ურთიერთვალდე-

ბულება თავდაუსხმელობის შესახებ ჰააგის კონფერენციის მუშაობის და შემდგომი 4 თვის ვადით.

19 მაისს საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციის მუშაობა გენუაში დასრულდა. მთლიანობაში მისმა შედეგებმა არ გაამართლა იმედები, რადგან პრაქტიკულად არ გადაჭრილა არცერთი საკითხი, რომელიც იქ განიხილებოდა. მაგრამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა დიპლომატიამ, რადგან საბჭოთა რუსეთის თვენახევრიანი მოლაპარაკებები მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან თავისთავად იყო დიდი წარმატება, რამეთუ ნიშნავდა საბჭოთა სახელმწიფოს დე-ფაქტო აღიარებას. გარდა ამისა, საბჭოთა მხარემ მიაღწია შეთანხმების ხელმოწერას ევროპის ერთ-ერთ მსხვილ ქვეყანა - გერმანიასთან, რაც ხელს უწყობდა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური იზოლაციის შემდგომ შესუსტებას და მისი პოზიციების განმტკიცებას საერთაშორისო არენაზე, მთლიანობაში კი საერთაშორისო ვითარების სტაბილიზაციას ომისშემდგომ ევროპაში.

7. ჰააგის კონფერენცია

როგორც უკვე აღინიშნებოდა, გენუის კონფერენციამ არ გადაწყვიტა რიგი არსებითი საკითხი, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ომისშემდგომ მოწყობას, კერძოდ, რუსეთის საკითხი, რომელიც გართულდა რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ. ამასთან დაკავშირებით, კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ყურადღებით შეესწავლათ მოცემული პრობლემები ექსპერტთა კომისიებში, რომლებიც შეიქმნებოდა მოკავშირე და ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებისგან. 1922 წლის 18 მაისს დამტკიცდა დადგენილება 26 ივნისს ჰააგაში ექსპერტების 2 კომისიის - „რუსული“ და „არარუსული“-ს მოწვევის შესახებ, რათა მათ განეხილათ ყველა არსებული საფინანსო უთანხმოება და საბჭოთა რუსეთის და სხვა სახელმწიფოების ურთი- ერთ პრეტენზიები. ასევე იქნა მიღებული კონფერენციის მონაწილეთა ურთიერთვალდებულება თავდაუსხმელობის შესახხებ ჰააგაში კომისიების მუშაობის და შემდგომი 4 თვის განმავლობაში. 19 მაისს ეს დადგენილებები დამტკიცდა გენუის კონფერენციის უკანასკნელი პლენარული სხდომის მიერ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა დამოკიდებულება ჰააგის მომავალი კონფერენციის მიმართ სხვადასხვა იყო. ასე, მაგალითად, რსფსრ კონფერენციის მოწვევას დადებითად შეხვდა, განიხილავდა რა მას, ისევე, როგორც გენუის კონფერენციას, როგორც დასავლეთის ქვეყნების მხრიდან მოწყობილი დიპლომატიური და პოლიტიკური იზოლაციის გარღვევის შესაძლებლობას. სხვანაირად უყურებდნენ ამ ღონისძიებას აშშ-ს პოლიტიკური მოღვაწეები: ამ ქვეყნის მთავრობამ ჯერ კიდევ გენუის კონფერენციის დაძაბული მუშაობის დღეებში გადაწყვიტა, არ მიეღო ოფიციალურად მონაწილეობა შემდეგ კონფერენციაში. აშშ-ს სახელმწიფო მდივან იუზის ნოტაში, რომელიც 1922 წლის 16 მაისს გადაეცა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ნათქვამი იყო, რომ ამერიკას „არ შეუძლია სარგებლობის მოტანით მიიღოს მონაწილეობა ჰააგის თათბირში, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ გაგრძელება იქნება გენუის კონფერენციისა და გარდაუვლად შეეჯახება იმავე სიძნელეებს, თუ რუსეთის პოზიცია, დაკავებული მის მიერ 11 მაისის მემორანდუმში, უცვლელი დარჩება“.

მთავრობა საფრანგეთისა, ქვეყნისა, რომელიც წარმოად-გენდა რუსეთის უმსხვილეს კრედიტორს რევოლუციამდელ პე-

რიოდში და რომელსაც ყველაზე დიდ ზიანი მიადგა უცხოური ვალების მიმართ საბჭოთა რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, მოითხოვდა, ზეწოლა მოეხდინათ ბოლშევიკებზე და აეძულებინათ ისინი, დაეკავათ პოზიცია, უფრო მისაღები ანტანტისთვის. საფრანგეთის ხელმძღვანელობის აზრით, საბჭოთა მხარეს უარი უნდა ეთქვა 11 მაისის მემორანდუმზე და დათანხმებოდა ყველა ომისწინა და სამხედრო ვალების აღიარებაზე, აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ნაციონალიზებული უცხოური საკუთრების დაბრუნებაზე. განიხილავდა რა საბჭოთა რუსეთისთვის კრედიტების მიცემის საკითხს, საფრანგეთის მთავრობა შესაძლოდ თვლიდა რუსეთის ეკონომიკის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დარგების დაკრედიტებას. მთლიანობაში საფრანგეთის მთავრობის შეხედულებები ასახავდნენ მის მისწრაფებას, დაებრუნებინა საფრანგეთის გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე საფინან- სო ინსტიტუტების მეშვეობით. იმ პირობებში, როდესაც საფრანგეთის უსაფრთხოება გერმანიის მხრიდან უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ფორმალური ხასიათის მქონე ხელშეკრულებათა სისტემით, საფრანგეთის მთავრობას, ისევე, როგორც საზოგადოებრივ აზრს, სურდა ამ გზით აღედგინა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი, რომელიც შეიძლება გამოეყენებინა გერმანიის წინააღმდეგ სიტუაციის ახალი გამწვავების შემთხვევაში.

შექმნილ ვითარებაში საბჭოთა რუსეთის დიპლომატია განაგრძნობდა თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვას.

1922 წლის 15 ივნისს ჰააგაში მუშაობა დაიწყო ექსპერტთა „არარუსულმა“ კომისიამ, რომლის შემადგენლობაში, გარდა დიპლომატებისა, შედიოდნენ მსხვილი ევროპელი მონოპოლისტები, რომელთაგან ბევრი იყო რუსეთში ბოლშევიკების მიერ ნაციონალიზებული საწარმოების მფლობელები. გარდა დიდი

სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლებისა, ჰააგაში არაოფიციალური მისიით ჩამოვიდა ბევრი ცნობილი ბიზნესმენი, განსაკუთრებით ნავთობის კომპანიების წარმომადგენლებიდან (“Royal Dutch Shell”, “Standard Oil” და სხვ.). 300-მდე მსხვილი ბიზნესმენი, ბანკირი და ჟურნალისტი ჩამოვიდა აშშ-დან, ამასთან, ამერიკის ელჩი ჰოლანდიაში, მიუხედავად თავისი ქვეყნის ოფიციალური პოზიციისა, აქტიურად ერეოდა კონფერენციის მუშაობაში.

26 ივნისს ჰააგაში ჩამოვიდა საბჭოთა მისია და 27 ივნისს მუშაობა დაიწყო კრედიტების, ვალების და კერძო საკითხების ქვეკომისიებმა. მათ სხდომებზე განხილული იყო საკითხები, რომლებიც ეხებოდნენ რუსეთის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას, მისი მეურნეობის აღდგენის შესაძლო გზებს და ა. შ. ჩამოთვლილი პრობლემების განხილვისას საბჭოთა დელეგაციამ შესთავაზა დასავლეთის კრედიტების რუსეთის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში განაწილების (უპირატესად საქონლის ფორმით) გეგმა 1923–1925 წლებზე. საერთო ჯამში კრედიტების ოდენობას, საბჭოთა სპეციალისტების გათვლით, უნდა შეედგინა 3224 მლნ ოქროს მანეთი. ასევე აღვნიშნავთ, რომ კერძო საკუთრების ქვეკომისიის სხდომაზე საბჭოთა დიპლომატებმა გააცხადეს სია იმ საწარმოებისა, რომლებსაც რუსეთის მთავრობა გარკვეული პირობებით გადასცემდა უცხოელ კონცესიონერებს. ამ სიაში შევიდა მომპოვებელი, მეტალურგიული და მრეწველობის სხვა დარგების რიგი მსხვილი საწარმო. მაგრამ მოლაპარაკება კონცესიების და კრედიტების შესახებ საგრძნობი შედეგების გარეშე დასრულდა. უფრო მეტი, 10 ივლისს საბჭოთა დელეგაციას წაუყენეს მოთხოვნები, სრულიად მიუღებელი რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით: დასავლეთის ქვეყნები მოითხოვდნენ უცხოური საკუთრების რესტიტუ-

ციას და რუსეთის ეკონომიკაში ისეთი რეჟიმის დამყარებას, რომელიც წააგავდა კაპიტულაციების რეჟიმს აღმოსავლეთის დამოკიდებულ ქვეყნებში. 1922 წლის 19 ივლისს შედგა კონფერენციის პლენუმი, რომელზეც მ. ლიტვინოვმა, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, წამოაყენა წინადადება მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ, დათანხმდა რა დასავლეთელი დიპლომატებისა და ექსპერტების მიერ წამოყენებულ რიგ პირობაზე, ისეთებზე, როგორებიც იყო ომამდელი სესხების გადახდა, კომპენსაციები ყოფილი უცხოელი მესაკუთრეებისთვის და ა. შ. სანაცვლოდ საბჭოთა დელეგაცია მოითხოვდა რსფსრ-ს დეიურე აღიარებას. ამ წინადადებების მიღების შემთხვევაში, საბჭოთა დიპლომატები თანახმა იყვნენ, ეთხოვათ თავისი მთავრობისთვის მოლაპარაკებების გაგრძელების შესაძლებლობა კრედიტების დაუყონებლივ მიცემის წინაპირობის გარეშე. ასეთმა პოზიციამ გამოიწვია ინგლისის დელეგაციის დადებითი რეაქცია, მაგრამ ის გადაჭრით უარყვეს ფრანგებმა და ბელგიელებმა. პლენუმის შედეგების შესაბამისად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებდა შეთანხმების შეუძლებლობას დაყენებული პირობების საფუძველზე, მაგრამ მიუთითებდა, რომ საბჭოთა დელეგაციის დეკლარაციას „შეუძლია შექმნას ხელშემწყობი ატმოსფერო შემ-დგომ მოლაპარაკებებზე“.

მეორე დღეს, 20 ივლისს, მიიღეს კიდევ ერთი რეზოლუცია, რომელიც ავალდებულებდა კონფერენციის მონაწილეებს, არ წასულიყვნენ საბჭოთა რუსეთთან სეპარატულ შეთანხმებაზე კონცესიების შესახებ და წინანდელ მფლობელთათვის უცხოური საკუთრების დაბრუნების საკითხზე.

ამრიგად, ეკონომიკური კონფერენცია ჰააგაში ჩიხში შევიდა, რამეთუ ვერ შეიმუშავა მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, მოეწესრიგებინათ სადავო საკითხები და აეწყოთ

კონსტრუქციული ეკონომიკური თანამშრომლობა დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებსა და საბჭოთა რუსეთს შორის და მთლიანობაში სტაბილური გაეხადათ ვითარება ომისშემდგომ ევროპაში.

მაგრამ კონფერენციის მონაწილეთათვის რსფსრ-სთან სეპარატული შეთანხმებების ფორმალური აკრძალვა არ ნიშნავდა ამ პრობლემაზე მოლაპარაკებების სრულ შეწყვეტას როგორც სახელმწიფო, ისე ცალკეული კომპანიების დონეზე. 1922 წლის აგვისტოში საკითხი რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, დააყენა ბრიტანეთის წარმომადგენელმა მოსკოვში. ამას მოყვა ცნობილი ინგლისელი ბიზნესმენის ლ. ურკვარტის ინტერვიუ, რომელშიც მან აღიარა რუსეთის ახალ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის აუცილებლობა. ამ ინტერვიუმ უამრავი გამომახილი ჰპოვა მსოფლიოში.

საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების დამყარებით დაინტერესებული საქმიანი წრეების ზემოქმედებით, გარკვეული აქტიურობა გამოავლინა აშშ-ც. 1922 წლის აგვისტოს შუახანებში ამერიკის სამთავრობო წრეებმა არაოფიციალური შეკითხვით მიმართეს იმის თაობაზე, თუ რა პირობებზე იქნება შესაძლებელი მოლაპარაკებები რუსეთ-ამერიკის საქმიანი კავირების აღდგენის შესახებ. საბჭოთა ხელმძღვანელობამ ამაზე დადებითი რეაგირება მოახდინა. ფაქტობრივად, ამგვარი ნოტების გაცვლისთანავე, რსფსრ-ს მთავრობამ ამერიკის ერთ-ერთ ნავთობკომპანიასთან დაამტკიცა 15-წლიანი კონტრაქტი.

საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობათა დამყარებისადმი დიდი ინტერესი გამოავლინა საფრანგეთის საქმიანი წრეების გარკვეულმა ნაწილმაც. მათი ინტერესების გამომხატველი გახდა 1922 წლის სექტემბერში რუსეთში ნამყოფი ე. ერიო, მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე რომ გამოსცა წიგნი „ახალი რუსე-

თი“, რომელიც მოუწოდებდა, დაუყონებლივ დაემყარებინათ საქმიანი ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის.

1922 წელი აღნიშნული იყო აგრეთვე იმით, რომ გარკვეულწილად გამოცოცხლდა რსფსრ-ს ეკონომიკური ურთიერთობები ჩეხოსლოვაკიასთან, მცირე ანტანტის აქტიურ მონაწილესთან, და კანადასთან, ბრიტანეთის დომინიონთან, რომელიც შეუერთდა რსფსრ-ინგლისის 1921 წლის შეთანხმებას. სულ 1922 წელს ხელი მოეწერა მხოლოდ 10 შეთანხმებას კონცესიების შესახებ დასავლეთის ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, რამაც დაგეგმილის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შეადგინა. მაგრამ ეს გახდა მაჩვენებელი საბჭოთა რუსეთის და მის მოწინააღმდეგეს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გარკვეული სტაბილიზაციისა, რომელსაც უნდა მოყოლოდა პოლიტიკური ურთიერთობების სტაბილიზაცია და მუდმივი დიპლომატიური კონტაქტების დამყარება, რასაც, თავის მხრივ, მთლიანობაში ხელი უნდა შეეწყო საერთაშორისო ურთიერთობათა გამყარებისთვის.

8. მოსკოვის კონფერენცია შეიარაღებების შეკვეცის საკითხზე

საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომელიც ინტენსიურ ძალისხმევას ახმარდა დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარებას, გარკვეულ ნაბიჯებს დგამდა, რათა მოეწესრიგებინა ურთიერთობები თავის უახლოეს მეზობლებთან, რომლებიც ოდესღაც შედიოდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და რომელთაგან ზოგიერთი, ომის შემდეგ, შევიდა მცირე ანტანტის შემადგენლობაში.

1922 წლის 2 დეკემბერს, ამ მიზნით, მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი შეიარაღებების და სამხედრო ხარჯების საკითხებისადმი. ერთი მხრივ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული ხაზის განვითარების თვალსაზრისით, ამ კონფერენციას ხელი უნდა შეეწყო ომის შემდგომ ევროპაში რსფსრ-ს პრესტიჟის ამაღლებისთვის, აგრეთვე რუსეთის შიდა განვითარებისათვის საჭირო ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური კლიმატის შექმნისთვის, მეორე მხრივ, საბჭოთა მხარემ, რომელიც გახდა ამგვარი კონფერენციის ინიციატორი, გამოავლინა თავისი მშვიდობისმოყვარეობა უახლოესი მეზობლების მიმართ, რითაც უზრუნველყოფდა თავისი საზღვრების უსაფრთხოებას.

გარდა საბჭოთა რუსეთისა, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთმა, ფინეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა. რუმინეთის მთავრობამ უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ მისი მოთხოვნა, დაეკანონებინათ ბესარაბიის ოკუპაცია - უარყოფილი იქნა. პირველ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ გაახმოვანა დეკლარაცია, რომელიც შეიცავდა შეიარაღებების შეკვეცის გაშლილ პროგრამას. მის შესაბამისად, კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს უნდა შეემცირებინათ თავისი არმიების პირადი შემადგენლობა 75 პროცენტით. შეთავაზებული იყო აგრეთვე, ირეგულარული სამხედრო ფორმირებების დათხოვნა, სამხედრო ხარჯების შეზღუდვა და მონაწილესახელმწიფოებს შორის სამხედრო ქვედანაყოფებისგან თავისუფალი, ნეიტრალური ზონების შექმნა.

კონფერენციის მონაწილეებმა, რომლებიც მთლიანობაში არ გამოდიოდნენ წამოყენებული პრინციპების წინააღმდეგ, შესთავაზეს ამ ღონისძიებების განხორციელების გადადება იმ დრომდე, სანამ ევროპაში არ დამყარდება „ნდობის ატმოსფერო“

და არ იქნება შესაძლებელი უსაფრთხოების პოლიტიკური გარანტიები. პოლონეთის დელეგაციამ წარმოადგინა თავდაუსხმელობის შეთანხმების პროექტი, რომლის შესაბამისად პრაქტიკულად ყველა კონფლიქტი უნდა გადაცემულიყო ერთა ლიგის საარბიტრაჟო განხილვაზე. პროექტი განხილვას დაექვემდებარა, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. შეთანხმებული გადაწყვეტილება შეიარაღებებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების თაობაზე არ მიუღიათ. და მაინც, მოცემულმა კონფერენციამ გამოავლინა საბჭოთა რუსეთის მზადყოფნა ანტანტის ქვეყნებთან და მათ აღმოსავლეთევროპელ მოკავშირეებთან კონსტრუქციული დიალოგისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომ სტაბილიზაციას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

9. ლოზანის კონფერენცია

როგორც უკვე აღინიშნებოდა, პირველმა მსოფლიო ომმა არ გადაჭრა მთელი რიგი პრობლემა, რომლებმაც 1914 წელს გამოიწვიეს ანტანტის და ბლოკ ავსტრია-უნგრეთ - გერმანიის შეჯახება. მათ შორის იყო შავი ზღვის სრუტეების საკითხიც, რომელიც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში წარმოადგენდა ფაქტორს, მუდმივად რომ ართულებდა ურთიერთობებს ევროპულ ქვეყნებს შორის, აგრეთვე მათ ურთიერთობებს თურქეთთან. ომისშემდგომ პერიოდში აღმოსავლეთის საკითხმა ახალი შინაარსი შეიძინა ოსმალთა იმპერიის დაშლის და ანტანტის ბანაკიდან რუსეთის გამოსვლასთან დაკავშირებით. 1922 წლის სექტემბრის დასაწყისში თურქეთის ჯარებმა გამარჯვება მოიპოვეს ინგლისელ-ბერძენ ინტერვენტებზე, რითაც გამორიცხეს ძალისმიერი მეთოდით ამ საკითხის გადაჭრის შესაძლებლობა და ამით დასვეს ახლო აღმოსავლეთის საქმეებში არსებული სადავო საკითხების დარეგულირების მიზნით საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის პრობლემა. უკვე 1922 წლის 20-24 სექტემბერს პარიზში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ რ. პუანკარეს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ დ. კერზონის და საფრანგეთში იტალიის ელჩის, სფორცას თათბირზე გადაწყდა ამგვარი კონფერენციის მოწვევა.

შესაბამისი მომზადების შემდეგ, კონფერენცია გაიხსნა ლოზანოში 1922 წლის 20 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის და იაპონიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. აშშ-მ არ მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში, შემოიფარგლა მხოლოდ თავისი მეთვალყურეების გამოგზავნით.

კონფერენციის გახსნას წინ უძღოდა შეუპოვარი დიპლომატიური ბრძოლა კონფერენციის ორგანიზატორებსა და საბჭოთა რუსეთს შორის კონფერენციის მუშაობაში ამ უკანასკნელის მონაწილეობის საკითხზე. რსფსრ-ს მთავრობამ, გაიგო რა უცხოეთის პრესის ფურცლებიდან, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს განზრახული აქვთ მახლობელი აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებული კონფერენციის მოწვევა, 1922 წლის 24 სექტემბერს ორგანიზატორი ქვეყნების მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც გამოხატავდა მოსკოვის შეშფოთებას მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების გამო და გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ არა შავიზღვისპირა სახელმწიფოებს მიეთვისებინათ სრუტეების რეჟიმის რეგულირების უფლება. საბჭოთა ხელმძღვანელობამ ასევე განაცხადა, რომ არ

აღიარებს რაიმე გადაწყვეტილებას ამ პრობ-ლემაზე, მიღებულს მისი მონაწილეობის გარეშე და შესთავაზა, დაუყონებლივ მოეწვიათ კონფერენცია ძირითადად შავიზღვისპირა სახელმწიფოების მონაწილეობით.

საბჭოთა დიპლომატიის ესოდენ მტკიცე დემარში გამოწვეული იყო მოსკოვამდე მისული ცნობებით კერზონის თავდაპირველი სურვილის შესახებ საერთოდ არ დაეშვათ რუსეთი კონფერენციაზე. ამით კერზონი იმედოვნებდა, ჯერ ერთი, გაერთულებინა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები, მეორე, თურქებთან სეპარატული მოლაპარაკების შედეგად მიეღწია ისეთი გადაწყვეტილებისთვის სრუტეების შესახებ, რომლის მიხედვით, ინგლისის ფლოტს ნებისმიერ დროს შეეძლებოდა შესვლა შავ ზღვაში, რაც გახდებოდა თურქეთსა და საბჭოთა რუსეთზე დიდი ბრიტანეთის მუდმივი ზეწოლის ფაქტორი. საკითხის ამგვარი გადაჭრა, რა თქმა უნდა, არ აწყობდა რუსულ მხარეს, რაზეც მან გააფრთხილა კიდეც დასავლეთი.

ეს მოვლენები მიმდინარეობდა მოსკოვსა და ანკარას შორის ურთიერთობათა გარკვეული გართულების ფონზე: 1922 წლის 4 ოქტომბრის ნოტაში, თურქეთის მთავრობამ, პასუხობდა რა ანტანტის წინადადებაზე სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ, გვერდი აუარა საკითხს მის მუშაობაში რსფსრ-ს, უკრაინის და საქართველოს სრულუფლებიანი მონაწილეობის შესახებ. რიგი რუსი მკვლევარის აზრით თურქეთის ამგვარი პოზიცია აიხსნება, ერთი მხრივ, სურვილით რაღაც დონით გამოევლინა ლოიალობა კონფერენციის ორგანიზატორებისადმი და ამით წინასწარ შეერბილებინა მათი პოზიცია, მეორე მხრივ კი, იმ დროს არსებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა გარკვეული გაუარესებით, რაც იყო შედეგი თურქების აშკარა გაღიზიანებისა, გამოწვეულის საბჭოთა ჩარევით ანკარის საშინაო საქმეებში (ოპტუ-ს და კომინტერნის შესაბამისი ქვედანაყოფების მეშვეობით), აგრეთვე იმით, რომ საბჭოთა მხარემ ფაქტიურად ჩააგდო თურქეთისთვის იარაღის მიწოდებები და რიგი სხვა ფაქტორით.

როგორც ჩანს, ევროპული სახელმწიფოების დედაქალაქებში კონფერენციის საკითხზე საბჭოთა მხარის არაერთი დაჯინებული განცხადებების შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მასში რსფსრ-ს წარმომადგენელთა მონაწილეობა. 1922 წლის 27 ოქტომბერს ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებმა საბჭოთა რუსეთს გადასცეს ნოტა, რომელშიც მას ოფიციალურად აცნობებდნენ კონფერენციის შესახებ და იწვევდნენ მასზე სრუტეების საკითხის ერთობლივად განხილვისთვის. ამრიგად, ნოტა შეიცავდა პირდაპირ უარს მიენიჭებინათ საბჭოთა დელეგაციისთვის კონფერენციის მონაწილეთა თანაბარი უფლებები, ზღუდავდნენ რა მის უფლებამოსილებას მხოლოდ სრუტეების საკითხის განხილვით. 2 ნოემბერს ჩიჩერინმა გააგზავნა საპასუხო ნოტა, რომელშიც გააპროტესტა რუსეთის დელეგაციის უფლებათა შეზღუდვა და ხაზი გაუსვა, რომ მახლობელ აღმოსავლეთთან დაკავშირებულ სხვა საკითხებისგან მოწყვეტით სრუტეების საკითხის გადაჭრის ცდები, დადებით შედეგებს არ მოიტანენ. კონფერენციის ორგანიზატორებმა საპასუხო ნოტაში დაადასტურეს თავისი განზრახვა კონფერენციაზე პირველ რიგში მოეწვიათ ის ქვეყნები, რომლებიც არ იყვნენ თურქეთთან საბოლოოდ მშვიდობას მიღწეული, და ასევე დაადასტურეს საბჭოთა დელეგაციის უფლება მოლაპარაკებასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე მხოლოდ სრუტეების საკითხზე. გარდა ამისა, აღინიშნებოდა, რომ ანტანტის ქვეყნები არ არინ წინააღმდეგი საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში უკრაინისა და საქართველოს წარმო-

მადგენლობის შეყვანისა, როგორც ეს იყო გენუის კონფერენციაზე.

20 ნოემბერს კონფერენციამ მუშაობა დაიწყო. პლენარულთან ერთად, სხდომები ტარდებოდა რამდენიმე სპეციალური კომისიის მიხედვითაც, მათ შორის, სრუტეების კომისიის. 4 დეკემბერს, ამ კომისიის სხდომაზე გ. ჩიჩერინმა გააცხადა რუსეთის დელეგაციის დეკლარაცია. შეახსენა რა, რომ რუსეთის მთავრობის ძირითადი მიზანი, როგორც ახლო აღმოსავლეთის საკითხში, ისე მთელ საგარეო პოლიტიკაში, არის ხელის შეწყობა საყოველთაო მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცებისათვის, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ დელეგაცია იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომელთა განხილვაში მიიღებს მონაწილეობას, ეცდება განახორციელოს ორი ძირითადი პრინციპი: რუსეთის და მისი მოკავშირეების თანასწორუფლებიანობისა სხვა სახელმწიფოებთან, აგრეთვე რუსეთის ტერიტორიის უსაფრთხოების და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების თავისუფლების უზრუნველყოფისა. სრუტეების პრობლემაზე საუბრისას, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რსფსრ არის მომხრე ბოსფორში, მარმარილოს ზღვაში და დარდანელის სრუტეში სავაჭრო გემების მუდმივი გასვლის თავისუფლების და მშვიდობიანი საზღვაო მიმოსვლის უზრუნველყოფისა, აგრეთვე მომხრე შავ ზღვაზე მშვიდობისა და მისი ნაპირების უსაფრთხოების შენარჩუნების, ისევე, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში მშვიდობის და კონსტანტინეპოლის უსაფრთხოების შენარჩუნების მტკიცე გარანტიების დამყარებისა. ეს ნიშნავდა, რომ, როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს სრუტეები უნდა ყოფილიყო დახურული ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისა და სამხედრო თვითმფრინავებისთვის, გარდა თურქეთისა.

6 დეკემბერს კერზონი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც პასუხი გაეცა საბჭოთა წარმომადგენლებს: ბრალი დასდო რა საბჭოთა რესპუბლიკებს შავ ზღვაზე ბატონობისკენ მისწრაფებაში, სრუტეებზე კონტროლის დაწესების მეშვეობით, და, ამასთან, სხვა სახელმწიფოთა კანონიერი ინტერესების იგნორირებაში, კერზონმა წარმოადგინა ანტანტის წინადადებები, ჩამოყალიბებულები ორ პროექტში - „სრუტეების თავისუფლება“ და „სრუტეების ზონის დემილიტარიზაცია“. პირველ პროექტში გათვალისწინებული იყო სრუტეებში ყველა სამხედრო და სავაჭრო გემის გასვლის და ავიაციის გაფრენის სრული თავისუფლება როგორც მშვიდობიან ვითარებაში, ისე იმ ომის დროსაც, როდესაც თურქეთი ნეიტრალური იქნება. ომის დროს, თუ მასში თურქეთიც მონაწილეობს, სრუტეებში გასვლის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ ნეიტრალური ქვეყნების სამხედრო გემებს. იმ შემთხვევაში, თუ შავიზღვისპირა სახელმწიფოებს შორის იქნება მიღწეული შეთანხმება შავ ზღვაზე სრული განიარაღების შესახებ, არა შავიზღვისპირა სახელმწიფოები იტოვებდნენ უფლებას, გაეგზავნათ სრუტეების გავლით სამი სამხედრო ხომალდი, რომელთა შორის ერთ-ერთის წყალწყვა შეიძლებოდა ყოფილიყო 10 ათას ტონაზე მეტი.

მეორე პროექტში გათვალისწინებული იყო ბოსფორისა და დარდანელის აზიური და ევროპული ნაპირების და მათი მიმდებარე კუნძულების დემილიტარიზაცია; დემილიტარიზებულ ზონაში გამორიცხული იყო სამხედრო ნაწილების ყოფნა და გათვალისწინებული მხოლოდ პოლიციური ძალების არსებობა, რომლებიც საჭირო იქნებოდა შიდა წესრიგის შესანარჩუნებლად. გამონაკლისი კეთდებოდა მხოლოდ კონსტანტინეპოლის რაიონისთვის, სადაც დაშვებული იყო 10 ათასამდე სამხედრო პირის რაოდენობის თურქული გარნიზონის განლაგება. დემი-

ლიტარიზებულ ზონაში კონტროლის განსახორციელებლად, შემოთავაზებული იყო საერთაშორისო კომისიის შექმნა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, რუმინეთის, იტალიის, საბერძნეთის, იაპონიის, იუგოსლავიის, ბულგარე-თის და რუსეთის წარმომადგენლებისგან.

თურქეთის დელეგაციის მეთაური ისმეთ-ფაშა, რომელიც სიტყვით გამოვიდა 8 დეკემბერს, პრინციპში, არ იყო წინააღმდეგი სრუტეებში სამხედრო გემების გასვლისა, თუმცა მხარს უჭერდა იმას, რომ გაეშვათ მხოლოდ მსუბუქი ხომალდები, რომლებსაც თან იახლებდნენ კომერციული გემები. თურქული მხარე თანხმდებოდა დარდანელის დემილიტარიზაციაზეც, მაგრამ პროტესტს გამოთქვამდა ბოსფორის დე-მილიტარიზაციაზე. ამავე სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ჩიჩერინიც, რომელიც სრუტეებში სამხედრო ხომადების გატარების წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ მისი წინადადება არცერთმა მხარემ არ მიიღო. ინგლისელებმა, იგრძნეს რა, რომ თურქები მზად არიან კომპრომისისთვის, განაცხადეს, რომ დეტალების გასარკვევად, აუცილებელია მოკავშირე ქვეყნების და თურქეთის ექსპერტების ცალკე შეხვედრა, რომელსაც, კერზონის აზრით, ხელი უნდა შეეწყო უსწრაფესი სეპარატული შეთანხმებისთვის. საბჭოთა დელეგაციის არაერთგზის პროტესტი უშედეგო აღმოჩნდა.

ამრიგად, მთლიანობაში, კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციისთვის იქმნებოდა ჩიხის ვითარება, გამოწვეული როგორც იმით, რომ მოკავშირეებს არ სურდათ ყურადღების მიქცევა მისი მოთხოვნებისთვის, ისე თურქეთის დელეგაციის გაორებული პოზიციითაც, ანტანტასთან შეთანხმებისკენ რომ იხრებოდა. შექმნილ ვითარებაში საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო, რამდენადმე შეერბილებინა თავისი

პოზიცია. 1922 წლის 18 დეკემბერს სრუტეების საკითხის კომისიის მორიგ სხდომაზე რსფსრ-ს წარმომადგენლებმა შესთავაზეს განსახილველად ახალი პროექტი გემების გავლისა დარდანელის სრუტეში, მარმარილოს ზღვასა და ბოსფორში. ამასთან, საბჭოთა დელეგაცია გამოვიდა განცხადებით, რომ ამ პროექტის მიღების შემთხვევაში, რუსეთი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკები ვალდებულებას იღებენ, შესთავაზონ შავიზღვისპირა სახელმწიფოებს კონფერენციის მოწვევა, რათა მიღებული იქნას ურთიერთ გარანტიები მათი ნაპირების უსაფრთხოების ეფექტური უზრუნველყოფისათვის. რუსეთის წინადადებების არსი შემდეგი იყო: 1. მსუბუქ სამხედრო ხომალდებს შეიძლება ჰქონდეთ სრუტეების თავისუფალი გავლის უფლება, მაგრამ ყოველ ასეთ შემთხვევაში თურქეთის პარლამენტმა უნდა მიიღოს ცალკე გადაწყვეტილება; 2. შავ ზღვაში შესვ- ლა უნდა აეკრძალოს მეომარი ქვეყნების გემებს.

დასავლეთის ქვეყნებმა საბჭოთა მხარის დათმობები უმშვნელოდ ჩათვალეს და გააგრძელეს ზეწოლა თურქეთზე, რათა აეძულებინათ ის, დათანხმებოდა ანტანტის მიერ წამოყენებულ წინადადებებს. ვითარება არ იყო საბჭოთა დიპლომატიის სასარგებლოდ, მით უმეტეს, რომ 20-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მისი მოწინააღმდეგისა, რამაც, მკვლევართა აზრით, გადაწყვიტა კიდეც განხილვის ბედი რუსეთის საწინააღმდეგოდ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არც დასავლეთის ქვეყნების მდგომარეობა იყო ბრწყინვალე. თუ ინგლისის და თურქეთის დელეგაციებმა შესძლეს თავისი პოზიციების დაახლოება სრუტეების საკითხთან დაკავშირებით, თურქეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებში, რომლებიც ფინანსურ-ეკონომიკურ

საკითხებს და კაპიტულაციების რეჟიმს, და ტერიტორიულ საკითხებს ეხებოდა, კონფერენციაზე მწვავე დისკუსია გაიმართა, რომლის მსვლელობისას მხარეები ვერავითარ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ. თურქეთის დელეგაციაზე ზემოქმედებისთვის, აგრეთვე ფრანგებზე ზეწოლისთვის, რომლებთანაც ინგლისელებს ამ დროისთვის უკვე ჰქონდათ რურის კრიზისის მიერ გამოწვეული სერიოზული უთანხმოებები, კერზონმა მოახდინა ლოზანაში მიმდინარე მოლაპარაკებათა შეწყვეტის პროვოცირება. 1923 წლის 1 თებერვალს, მან ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა თურქე-თის წარმომადგენლებს, ხელი მოეწერათ ანტანტის ექსპერტ- თა მიერ შემუშავებულ საერთო შეთანხმების პროექტზე, თან დაიმუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში წავიდოდა კონფერენციიდან. 4 თებერვალს კერზონმა დემონსტრაციულად დატოვა ლოზანა. მას კვალად მიყვა სხვა დელეგაციებიც, საბჭოთას ჩათვლით.

კონფერენციის მეორე ეტაპი დაიწყო 1923 წლის 23 აპრილს და ხასიათდებოდა იმით, რომ მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციები უკვე მეორეხარისხოვან პირებისგან შედგებოდა. ანტანტის წარმომადგენლები ამ ეტაპზე შეეცადნენ, არ დაეშვათ საბჭოთა წარმომადგენლები მოლაპარაკებებზე, მოყავდათ რა ამის არგუმენტად ის გარემოება, რომ სრუტეების საკითხი აწი არ დაისმებოდა, აგრეთვე ის, რომ საბჭოთა დელეგაციამ უკვე ოფიციალურად განაცხადა უარი მოეწერა ხელი სრუტეების კონვენციაზე. არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარება, რომელიც კონფერენციის ამ ეტაპზე წარმოიქმნა, კერძოდ, იყო შედეგი ინგლის-რუსეთის ურთიერთობათა გაუარესებისა ამ პერიოდში.

ამის საპასუხოდ, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ბოროვსკიმ ნოტით მიმართა ბენიტო მუსოლინის - კონფერენციის ერთ-ერთი მომწყობი ქვეყნის მეთაურს. ნოტაში გამ-

ოთქმული იყო პროტესტი საბჭოთა დელეგაციის თვითნებურ ჩამოცილებაზე კონფერენციის მუშაობიდან სრუტეებზე შეთანხმების ხელმოწერამდე. ვ. ბოროვსკიმ ასევე აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას არასოდეს არ უთქვამს უარი, ხელი მოეწერა სრუტეების შესახებ კონვენციაზე, ამასთან დაკავშირებით გ. ვ. ჩიჩერინის გამოსვლას კი რაც შეეხება, მასში მხოლოდ იმის კონსტატაცია იყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი პროექტი, შემუშავებული საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობის გარეშე, ეწინააღმდეგება რუსეთისა და მისი მოკავშირეების ინტერესებს.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, რომლებიც ძირითადად ეკონომიკურ, ფინანსურ და ტერიტორიულ საკითხებს ეხებოდა, კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას მოკავშირე სახელმწიფოებსა და თურქეთს შორის, აგრეთვე რიგ მის დანართს (კონვენცია სრუტეების შესახებ, კონვენცია თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოსახლეობის გაცვლის შესახებ და ა. შ.). შეიძლება ითქვას, რომ კონფერენციის შედეგები ხელსაყრელი იყო ქემალისტური თურქეთისთვის: ანკარამ მიაღწია თურქეთის რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას, რომელმაც შეუნარჩუნა მას ერთიანობა ეთნოგრაფიულ საზღვრებში, უზრუნველყო სახელმწიფოთა ჩაურევლობა მის საშინაო საქმეებში და, ამრიგად, მოახდინა სევრის შეთანხმების დენონსირება.

რაც შეეხება სრუტეების საკითხს - აქ ინგლისის დიპლომატიამ შეძლო მიეღწია მნიშვნელოვანი დათმობებისთვის თურქეთის ხელმძღვანელობის მხრიდან. კონვენცია შავი ზღვის სრუტეების შესახებ, ითვალისწინებდა მათში საზღვაო და საჰაერო გემების გავლის თავისუფლებას მშვიდობისა და ომის დროს და ბოსფორისა და დარდანელის დემილიტარიზაციას.

სახელმწიფოებმა მიიღეს უფლება, ნებისმიერ გარემოებაში გაეგზავნათ შავ ზღვაში არაუმეტეს 3 გემისა, ყოველი 10 ათას ტონამდე წყალწყვით. კონვენციის შესრულებაზე კონტროლისთვის იქმნებოდა საერთაშორისო კომისია შტაბ-ბინით კონსტანტინეპოლში; მასში შედიოდნენ თურქეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენლები. კომისიას თურქეთის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა.

რაც შეეხება საბჭოთა ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას მოცემული კონვენციის მიმართ, მოსკოვში ის დასაწყისში შეფასდა, როგორც სრულიად საწინააღმდეგო რუსეთის ინტერესებისა, რადგან:

1. შავი ზღვის და სრუტეების გახსნა დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ხომალდებისთვის, მიუხედავად მათი რაოდენობის შეზღუდვისა, საბჭოთა ნაპირებს მუდმივი სამხედრო მუქარის ქვეშ აყენებდა. ეს კი იწვევდა სამხედრო ხარჯების გაზრდას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;

2. უცხოური სამხედრო ხომალდების თავისუფალი შესვლა სრუტეებში და ამ უკანასკნელების ნაპირების დემილიტარიზაცია არღვევდა ინტერესებს თურქეთისა, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად მოკავშირეს მახლობელ აღმოსავლეთში და გარდაუვალს ხდიდა მის ჩაბმას ომში შავი და ეგეოსის ზღვებში სამხედრო შეტაკების შემთხვევაში;

3. საბჭოთა ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო იმითაც, რომ ერთა ლიგამ თავისთავზე აიღო სრუტეების კომისიის საქმიანობაზე მეთვალყურის როლი.

და მაინც, ყველაფერი დადებითის და უარყოფითის გათვალისწინებით, საბჭოთა დიპლომატიამ გადაწყვიტა გაეგრძელებინა თავისი ცდები, რათა შეძლებისდაგვარად, აეცილებინა საფრთხეები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკებს დაემუქრებოდა. ამასთან, საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ თუ კონვენციის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა მუქარას შეუქმნის საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ, თუ ეკონომიკურ ინტერესებს, სსრკ-ს მთავრობა იძულებული იქნება, დააყენოს მისი მოქმედების შეწყვეტის საკითხი.

თუმცა, მთლიანობაში, ლოზანას კონფერენციამ არ გადაჭრა ყველა პრობლემა, დაკავშირებული მახლობელ აღმოსავლეთში პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობათა მოწესრიგებასთან, მან მაინც შექმნა გარკვეული პირობები მოცემულ რეგიონში საერთაშორისო ვითარების სტაბილიზაციისთვის, ხელი შეუწყო რა თურქეთის ინტეგრირებას ომისშემდგომ მსოფლიო წესრიგში, გარკვეულწილად კი ინტეგრირებას საბჭოთა რუსეთისაც.

თავი 2. 20-იანი წლების შუახანებიდან და 30-იანი წლების დასაწყისის საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციფიკა

1. რეპარაციების საკითხი ომებსშუა პერიოდში

მსოფლიო მოწყობის ვერსალის სისტემის საბოლოო ჩამოყალიბება, ზემოაღნიშნული კონფერენციების მსვლელობისას გამარჯვებულ სახელმწიფოთა ბანაკში წარმოქმნილი რიგი სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობების შეფარდებითი მოწესრიგება, აგრეთვე ომისშემდგომ მსოფლიო წესრიგში ინტეგრირება იმ სახელმწიფოებისა, რომელთა წიაღში მოხდა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური ცვლილებები (რუსეთი, თურქეთი), ხელს უწყობდნენ საერთაშორისო არენაზე ურთიერთობების შეფარდებით სტაბილიზაციას. მაგრამ თვით საფუძველში საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალის სისტემისა, რომელიც დიდ სახელმწიფოთა შორის კომპრომისის ნაყოფი გახდა, ჩადებული იყო წინააღმდეგობები, რომელთა გადაჭრა შეუძლებელი იყო - ისინი გამოიწვია სახელმწიფოთა შორის ბრძოლამ ევროპაში ბატონობისთვის, აგრეთვე დასავლეთის ინდუსტრიული სახელმწიფოების მეტოქეობამ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის.

წინააღმდეგობათა სისტემა, რომელიც ომებსშორის პერიოდში ჩამოყალიბდა მსოფლიო არენაზე, შეიცავდა სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობების სამ ძირითად კატეგორიას:

წინააღმდეგობები ინგლისსა და საფრანგეთს შორის, გამოწვეული ევროპაში დომინირებისთვის;

წინააღმდეგობები, ერთი მხრივ, დასავლეთევროპულ სახელმწიფოებსა, და, მეორე მხრივ, ომის შედეგად გაძლიერებულ აშშ-ს შორის მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში დომინირებისთვის;

წინააღმდეგობები, ერთი მხრივ, გამარჯვებულ სახელმწიფოთა და, მეორე მხრივ, ვერსალის სისტემის აუტსაიდერებს - გერმანიისა დ საბჭოთა სახელმწიფოს შორის, რომლებიც, ამასთანავე, ცდილობდნენ ერთმანეთთან დაახლოებას, რის მაჩვენებელიც გახდა 1922 წლის რაპალოს შეთანხმება.

წინააღმდეგობათა მოცემულმა კომპლექსმა ფაქტობრივად განმსაზღვრელი როლი ითამაშა განხილვად პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში და ის ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა საერთაშორისო უსაფრთხოების იმ სისტემის შექმნის პროცესში, რომელიც მოწოდებული იყო, უზრუნველეყო არსებული მსოფლიო წესრიგის სტაბილურობა, გამოვლინდა, ასევე, მასთან დაკავშირებული გერმანიის სარეპარაციო გადასახადების საკითხის გადაჭრისას. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი ორი მსოფლიო ომის პრაქტიკულად მთელ შუა პერიოდში, გახდა რეპარაციების პრობლემა. რეპარაციების თავისთავად სამართლიანი იდეა - აგრესორის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება - გამოიყენეს გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით, საფრანგეთმა. გერმანიისადმი წარდგენილი სარეპარაციო მოთხოვნები დაახლოებით სამჯერ აღემატებოდა ფაქტობრივ ზარალს, რომელიც ომმა გამარჯვებულ სახელმწიფოებს მიაყენა.

ვერსალის შეთანხმების სარეპარაციო დადგენილებების უსაფუძვლობა ნაჩვენები იყო ჯ. მ. კეინსის მიერ თავის წიგნში „ვე-

რსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები“.

რეპარაციების საკითხის გადაჭრა რთულდებოდა საბოტაჟით გერმანიის მონოპოლისტური წრეების მხრიდან. გადახდისუნარიანობის შესუსტებისთვის ისინი იყენებდნენ „კაპიტალის გაქცევას“ საზღვარგარეთ, ფორსირებულ ინფლაციას. 1920 წლის 1 ივლისს ანტანტის უმაღლეს საბჭოს წარედგინა გერმანიის მსხვილი კაპიტალის 22 წარმომადგენლის მემორანდუმი მოთხოვნით, შეემცირებინათ სარეპარაციო ვალდებულებები გადახდის უუნარობის გამო.

კონფერენციაზე სპა-ში (1920 წლის 7-16 ივლისს), ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა პირველ შეხვედრაზე გერმანიის დელეგაციასთან, გამოიკვეთა გამარჯვებულ სახელმწიფოთა ნაწილის მზადყოფნა დათმობისთვის. მაგრამ საფრანგე- თის გავლენა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი იყო იმისთვის, რომ მას მოეთხოვა ვერსალის შეთანხმების პრინციპების დაცვა. აქ შესაძლებელი გახდა მხოლოდ მოლაპარაკება მოკავშირეებისთვის რეპარაციების გადახდის პროცენტულ შეფარდებაზე. საფრანგეთმა მიიღო გერმანიის რეპარაციების 52 პროცენტი, ინგლისმა კი 22 პროცენტი.

ანტანტის ქვეყნების, გერმანიის და თურქეთის ლონდონის კონფერენციისთვის (1921 წლის 21 თებერვალი - 14 მარტი) ინგლისი, რომელიც მიისწრაფოდა მიეღო საფრანგეთის მხარდაჭერა ახლო აღმოსავლეთში, წავიდა საფრანგეთთან კომპრომისზე რეპარაციების საკითხში და მხარი დაუჭირა საფრანგეთის სანქციებს გერმანიის მიმართ გადასახადების საბტაჟისთვის. საფრანგეთის ჯარებმა მოახდინეს დუისბურგის, რურორტის და დუსელდორფის ოკუპაცია. 1921 წლის 5 მაისს ლოიდ ჯორჯმა გერმანიის ელჩს ლონდონში გადასცა მოკავშირეთა ულტიმატუმი, რომელიც სარეპარაციო ვალს საზღვრავდა 132 მილიარდი ოქროს მარკით; ყოველწლიური გადასახადები პირველ ეტაპზე განისაზღვრებოდა 3,5 მილიარდი ოქროს მარკით, პირველი შესატანი, 1 მილიარდი ოქროს მარკის ოდენობით, დანიშნული იყო 1921 წლის 31 აგვისტოსთვის.

სარეპარაციო გადასახადების რევიზიამ მხარდაჭერა ჰპოვა აშშ-ის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელსაც განზრახული ჰქონდა მისი გამოყენება ევროპაში თავისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის, კერძოდ კი კონტინენტზე არ ყოფილიყო დაშვებული ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ჰეგემონია და მათ მიერ ანტიამერიკული პოლიტიკის გატარება. ბანკირების საერთაშორისო კომიტეტმა ჯ. პ. მორგანის თავმჯდომარეობით (მორგანის კომიტეტი) თავის სხდომაზე პარიზში, 1922 წლის ივნისში, განაცხადა თანხმობა, მიეცა გერმანიისთვის სესხი იმის შემდეგ, რაც მისი სარეპარაციო ვალდებულებები დაყვანილი იქნებოდა „გონივრულ ზომამდე“. 7 ოქტომბერს ამას მოყვა თეთრი სახლის განცხადება, რომ ჰარდინ- გის მთავრობას მონაწილეობა სურს ევროპის აღდგენაში.

ამ დროს კი რეპარაციების საკითხის გადაჭრა ჩიხში შევი- და. ვირტის მთავრობამ გადახვევა დაიწყო სამშვიდობო ხელშეკრულების პირობების შესრულების გზიდან. 1921 წლის აგვისტოს ბოლოს რეპარაციების კომისიამ გერმანიას მორატორიუმი გამოუცხადა 1922 წლის 15 დეკემბრამდე, 1922 წლის ოქტომბერში კი ეს ქვეყანა გათავისუფლდა ნაღდი ფულით გადახდისგან 1923 წლის ივლისამდე. გადადგომისას კი ვირტ- ის მთავრობამ რეპარაციების კომისიაში გააგზავნა ნოტა გერმანიის გადახდის უუნარობის შესახებ, რომელშიც ითხოვდა 3-4 წლით მორატორიუმს და გერმანიისთვის სესხის მიცემას.

ამ ვითარებიდან გამოსვლის ცდა გახდა რურის ოკუპირება საფრანგეთის და ბელგიის სამხედროების მიერ (1923 წლის იანვარში), როგორც სანქცია გერმანიის მიერ თავისი სარეპარაციო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის. კუნოს მთავრობამ უპასუხა „პასიური წინააღმდეგობის“ პოლიტიკით, საფრანგეთიდან და ბელგიიდან თავისი წარმომადგენლების გაწვევით და ამ ქვეყნებში სარეპარაციო მიწოდებების შეწყვეტით. ცხადია, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების მიზეზს წარმოადგენდა პოლიტიკა აშშ-ის და ინგლისისა, რომლებმაც გადაწყვიტეს გერმანიის აღორძინება საფრანგეთის საპირწონედ.

რურის კონფლიქტი საფრანგეთს შემოუბრუნდა თავისი ევროპული პოლიტიკის მიმართ ინგლისის და აშშ-ის მხრიდან წინააღმდეგობის გაძლიერებით, დასრულებით საფრანგეთ-ინგლისის ანტანტისა, ევროპაში მის ჰეგემონიაზე პრეტენზიების კრახით. იძულებითი კომპრომისი დაფიქსირდა 1923 წლის 23 ნოემბერს საფრანგეთ-ბელგიის კომისიის (მიკუმ-ი) და რურის მაღაროთა მფლობელების შეთანხმებით გერმანიის მიერ ქვანახშირის მიწოდების განახლების და რურის ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ.

საფრანგეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ე. ერიო დაუყოვნებლივ შეუდგა რეპარაციების საკითხზე კონფერენციის მომზადებას. საფრანგეთი ისევ საუბრობდა შეთანხმებით გათვალისწინებული თავისი უფლებების დაცვის და რურის ოკუპაციის მანამდე შენარჩუნებაზე, სანამ არ დაფუძნდება ექსპერტების მიერ გათვალისწინებული დაკვირვების და კონტროლის კომისია ქმედითი გარანტებით. 21-22 ივნისს შედგა აზრთა გაცვლა ერიოს და მაკდონალდს შორის, სადაც გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოლიტიკა გერმანიის მიმართ უკავშირდებოდა ამ ქვეყნის პოლიტიკას. ამან საქმე იქამდე მიიყ-

ვანა, რომ გერმანიამ უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე რურის ოკუპაციის საბოლოო მოხსნამდე.

ამასობაში ლონდონსა და პარიზში გაემგზავრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იუზი, რათა მოემზადებინა კონფერენცია და გადაელახა დარჩენილი უთანხმოებანი. რაც მან შეძლო კიდეც, უმძლავრესი ზეწოლით საფრანგეთის ხელმძღვანელობაზე.

1924 წლის 16 ივლისს გაიხსნა ლონდონის კონფერენცია, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა რეპარაციების ახალი გეგმა. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იყო რურის ოკუპაციის მოხსნის საკითხი. ამერიკის ელჩ კელოგის დახმარებით, ჩატარებული ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, შესაძლებელი გახდა მისვლა საერთო აზრამდე, რომ ერთი წლის შემდეგ მოხდებოდა უცხოური ჯარების ევაკუაცია რურის ოლქიდან.

მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო დამტკიცება რეპარაციების ახალი გეგმისა, რომელიც შეიმუშავა ექსპერტთა კომიტეტმა ამერიკული საფინანსო წრეების წარმომადგენლის, ჩიკაგოელ ბანკირ ჩ. დაუესის მეთაურობით და ისტორიაში „დაუესის გეგმის“ სახელით შევიდა. 1924 წლის 10 ოქტომბერს ლონდონის შეთანხმებების მონაწილე ქვეყნების ბანკები მოიგდნენ გერმანიისთვის 800 მლნ ოქროს მარკის ოდენობის კრედიტის გამოყოფის შესახებ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ასპექტი დაუესის გეგმისა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაზე, იყო მისი ტრანსფორმირება საფრანგეთის ძალის პოლიტიკის იარაღიდან გერმანიაზე გავლენის მოხდენის მძლავრ ბერკეტად უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის მხრიდან.

დაუესის გეგმა ითვალისწინებდა უდიდესი რაოდენობის ვალუტის ინვესტირებას გერმანიის ეკონომიკაში, რამაც მოახ-

დინა ამ უკანასკნელის არამარტო სტაბილიზაცია, არამედ სამრეწველო სიმძლავრის გაზრდაც.

მან ასევე გამოიწვია რეპარაციების საკითხის გარკვეული მოწესრიგება, დააფიქსირა რა ყოველწლიური გადასახადების ზუსტი ოდენობა, უფრო მისაღები, ვიდრე ადრე იყო დადგენილი. გეგმა გერმანიის სუვერენიტეტის სერიოზულ შეზღუდვებს შეიცავდა, აწესებდა რა კონტროლს ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რიგ უმნიშვნელოვანეს მხარეზე. ამასთანავე, დაუესის გეგმა სერიოზულად აძლიერებდა არამარტო ვაიმარის რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ, და ეს მთავარია, მის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობასაც, რაც შემდგომ დაადასტურეს ლოკარნოს შეთანხმებებმა. 1924 წლის 29 აგვისტოს რაიხსტაგმა მოახდინა „დაუესის გეგმის“ რატიფიცირება.

1928 წლის 16 სექტემბერს ჟენევაში შედგა გამარჯვებული სახელმწიფოების და გერმანიის მორიგი კონფერენცია. მიუხედავად გერმანიის მოთხოვნისა გაეთავისუფლებინათ რაინის ზონა, ა. ბრიანი ხაზს უსვამდა არამარტო კავშირს ევაკუაციის საკითხსა და რეპარაციების გადახდას შორის, არამედ წამოაყენა კიდეც იდეა დემილიტარიზებულ ზონაში ინსპექციის ჩატარების შესახებ. ნაპოვნი კომპრომისი აისახა კონფერენციის კომუნიკეში, რომელშიც მხარეები თანხმდებოდნენ, დაეწყოთ ოფიციალური მოლაპარაკებები რაინის ოლქიდან ჯარების გამოყვანაზე, შეექმნათ საფინანსო ექსპერტების კომიტეტი რეპარაციების პრობლემაზე საბოლოო და სრული შეთანხმების შემუშავებისთვის.

1929 წლის თებერვალში პარიზში დაიწყო მუშაობა საფინანსო ექსპერტთა კომიტეტმა, რომელშიც ამერიკელ ფინანსისტ იუნგის მეთაურობით, შევიდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ბელგიისა და აშშ-ის წარმომადგენლები.

დაუესის კომიტეტისგან განსხვავებით, ახალ კომიტეტში ერთად მუშაობდნენ ექსპერტები - გერმანიის კრედიტორები და გერმანელი ექსპერტები. პირველ სხდომაზე შახტმა განაცხა- და, რომ გერმანიას არ აქვს საშუალება, ყოველწლიურად იხა-დოს 2,5 მილიარდი ოქროს მარკის ოდენობის რეპარაცია. ის მოითხოვდა გადასახადის შემცირებას და რეპარაციების გად-ახდის ვადების შეცვლას.

საფრანგეთის წარმომადგენელი მკვეთრი პროტესტით გამოვიდა და მოითხოვა, რომ გერმანიას ყოველწლიურად ეხადა იმ ოდენობის რეპარაციები, საკმარისი რომ იქნებოდა საფრანგეთს დაეფარა თავისი ვალები აშშ-სა და ინგლისისთვის და დაეფარა ხარჯები მეურნეობის აღდგენაზე. მხოლოდ 1929 წლის ივნისისთვის ექსპერტებმა მიაღწიეს შეთანხმებას და გამოიტანეს რეკომენდაცია შეეცვალათ დაუესის გეგმა შეთანხმებით, რომელმაც მიიღო „იუნგის გეგმის“ სახელწოდება.

წარმოდგენილი გეგმა ითვალისწინებდა ყოველწლიური სარეპარაციო გადასახადების შემცირებას 2 მილიარდ ოქროს მარკამდე, რომელიც უნდა ყოფილიყო გადახდილი 37 წლის განმავლობაში,

შემდგომი 22 წლის განმავლობაში კი გერმანიას უნდა შემოეტანა იმ მოცულობის თანხა, რამდენიც ამ წლებში უნდა გადაეხადათ მის კრედიტორებს თავისი ვალების დასაფარად. სარეპარაციო ყოველწლიური გადასახადები იყოფოდა ორ ნაწილად: უპირობოზე, რომლის გადავადება შეუძლებელი იყო (აქედან 500 მილიონს საფრანგეთი ღებულობდა), და პირობითზე, რომლის 2 წლით გადავადება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ გერმანია მოხვდებოდა ეკონომიკური სიძნელეების ფაზაში. ახალი გეგმა ზუსტად აფიქსირებდა რეპარაციების ვადებს და საერთო ჯამს, აღადგენდა გერმანიის ფინასურ დამოუ-

კიდებლობას, აუქმებდა მოკავშირე სახელმ-წიფოების მაკონტ-როლებელ ორგანოებს.

რეპარაციების პრობლემის ძირითადი წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიაზე შეწერილი კონტრიბუცია სანა-ხევროდ უნდა ყოფილიყო გადახდილი მსოფლიო ბაზარზე გა-ყიდვადი საქონლის სახით. იმავდროულად, ვერსალის ხე-ლ-შეკრულების პირობები სერიოზულ წინააღმდეგობებს უქმ-ნიდა გერმანული პროდუქციის გატანას. მეორე მხრივ, გამარჯვებულ სახელმწიფოებს სურდათ გერმანიისგან მისაღები რეპარაციების რაც შეიძლება მეტი ნაწილი ვალუტის სახით მიეღოთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ გაიზრ-დებოდა გერმანიის საქონლის გაყიდვა მსოფლიო ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სერიოზულ კონკურენციას გერმანიასა და რეპარაციის მიმღებ ქვეყნებს შორის.

ჰააგის კონფერენციაზე, რომელიც 1929 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა, სადაც 12 სახელმწიფო იყო წარმოდგენილი, ნამდვი-ლი კონფლიქტი დაიწყო არა რეპარაციების მოცულობასა და რაინის ზონიდან ჯარების გამოყვანის, არამედ გერმანიის კრე-დიტორებს შორის რეპარაციების განაწილების საკითხზე. მთა-ვარი მოწინააღმდეგები იყვნენ, ერთი მხრივ, ინგლისის ფინა-ნსთა მინისტრი ფ. სნოუდენი და, მეორე მხრივ, ყველა სხვა სა-ხელმწიფოების მინისტრები ფრანგ შერონის მეთაურობით. სნოუდენი მოითხოვდა იუნგის გეგმის გადასინჯვას, რადგან ის ითვალისწინებდა ინგლისის წილის შემცირებას ყოველწლიუ-რად შესატანი რეპარაციების საერთო ჯამში. ორივე მხრიდან დაპირებების და კომპრომისების შედეგად, 31 აგვისტოს ხელი მოეწერა ოქმს, რომლის თანახმად კონფერენციის მონაწილე ყვე-ლა სახელმწიფომ პრინციპში მიიღო იუნგის გეგმა.

1930 წლის 3-20 იანვარს მიმდინარეობდა ჰააგის კონფერ-ენციის მეორე სესია, რომლის მუშაობაზე დიდი გავლენა მოა-ხდინა დაწყებულმა მსოფლიო კრიზისმა. მასზე თითქმის შე-სწორებების გარეშე საბოლოოდ მიიღეს იუნგის გეგმა. მთლი-ანობაში ჰააგის კონფერენცია წარმატებული იყო გერმაიის-თვის, რადგან მოცემული გეგმის მიღება დარტყმას აყენებდა ვერსალის სისტემას და იმავე დროს გერმანიას ახალ შესა-ძლებლობებს უხსნიდა ვერსალის შეზღუდვების მთლიანად მოხსნაზე სხვა სფეროებშიც. პარიზში შედგა მისი რატიფი-ცირება ყველა სახელმწიფოს მიერ, 17 მაისს კი ის მოქმედებაში შევიდა. მაგრამ მალე, ფინანსური მდგომარეობის გაუარესე - ბასთან დაკავშირებით, გერმანიამ ახალი მოთხოვნები წამო-აყენა. 1931 წლის 6 ივნისს გერმანიის მთავრობა გამოვიდა გან-ცხადებით, რომელშიც საუბარი იყო რეპარაციების გადახდის-გან გერმანიის გათავისუფლების აუცილებლობის შესახებ.

გერმანიისთვის დაუყონებლივ დახმარების გაწევა თავის-თავზე აიღო აშშ-მ. ჰუვერმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომ მზად არის 1931-1932 წლებისთვის მორატორიუმი გამოუცხა-დოს თავისი ქვეყნის მოვალეებს მოკავშირეთაშორისო სამ-ხედრო ვალებზე.

ინგლისმა წამოაყენა წინადადება, 1932 წლის იანვარში ლო-ზანაში მოეწვიათ კონფერენცია რეპარაციებისა საკითხზე. მა-გრამ რიგი მიზეზის გამო მისი ჩატარება ორჯერ გადაიდო. არცთუ ისე უმნიშვნელო როლი ამაში ითამაშა გერმანიამ. მი-უხედავად ამისა, მან თავისი მუშაობა დაიწყო 1932 წლის 16 ივნისს და აქ ყველაზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ინგლისი მზად იყო მონაწილეობა მიეღო რეპარაციების საერ-თო გაუქმებაში, მართალია, იმ პირობით, რომ ყველა სხვა დაინტერესებული მთავრობა ასევე მოიქცეოდა. საფრანგეთმა

განაცხადა რეპარაციების შეკვეცის შესაძლებლობაზე, მაგრამ მთლიან გაუქმებაზე საუბარიც კი არ შეიძლებაო. გარდა ამისა, საკითხი რეპარაციების გადახდის გაუქმების შესახებ მჭიდროდ უკავშირდებოდა პოლიტიკურ დათმობებს, კერძოდ, განიარაღების საკითხში. აშშ-ც მხარი ამ საკითხში საფრანგეთის დელეგაციას დაუჭირა.

მოლაპარაკებები გამარჯვებულ სახელმწიფოებსა და გერმანიას შორის რეპარაციების საკითხებზე სამი ძირითადი მიმართულებით იყო კონცენტრირებული. კრედიტორი სახელმწიფოები, განსაკუთრებით საფრანგეთი, ხაზს უსვამდნენ ახალი სარეპარაციო შეთანხმების დამოკიდებულებას იმ დათმობებზე, რომელთა მიღწევა მათ შეეძლოთ აშშ-გან მოკავშირეთა შორის არსებული სამხედრო ვალების საკითხში, და მოითხოვდნენ შესაბამისი ჩანაწერის შეტანას მომავალი შეთანხმების ტექსტში. გერმანია კატეგორიულად გამოდიოდა ამის წინააღმდეგ. მეორე სადავო პრობლემა იყო საკითხი მო-მავალი სარეპარაციო გადასახადების ფორმაზე. გერმანია სთავაზობდა ფულად შესატანებს ნაღდ ფორმაში, საგარანტიო ვალდებულებების გარეშე, კრედიტორი სახელმწიფოები მოითხოვდნენ გამოეშვათ ბონები, რომლებიც გარანტირებული იქნებოდა გერმანიის შემოსავლების გარკვეული კატეგორიებით.

მესამე, დავა იყო საბოლოო გადასახადის ოდენობის გამოც. საფრანგეთი დასაწყისში მოითხოვდა 8 მილიარდ მარკას, შემდეგ შეამცირა ის 6 მილიარდამდე. გერმანია კი სთავაზობდა 2 მილიარდ მარკას და იმავდროულად, მოითხოვდა ვერსალის შეთანხმების 231-ე მუხლის გაუქმებას, რომელიც ომის გაჩაღებისთვის პასუხისმგებლობას გერმანიას აკისრებდა და წარმოადგენდა რეპარაციების სამართლებრივ საფუძველს.

1932 წლის 9 ივლისს ხელი მოეწერა ლოზანის კონფერენციის დასკვნით პაქტს. შეთანხმება გერმანიასთან შემდეგს ადგენდა: გერმანიას შეაქვს საერთაშორისო ანგარიშების ბანკში 3 მილიარდი მარკის 5 პროცენტიანი ობლიგაციები, რომლებიც უნდა გამოესყიდა 37 წლის ვადაში. ობლიგაციები მიმოქცევაში უნდა გაეშვათ არაუადრეს 3 წლისა (ამ ვადით გერმანიას მორატორიუმი გამოუცხადეს). ეს შეთანხმება მთლიანად ცვლიდა გერმანიის წინანდელ ვალდებულებებს, განსაზღვრულს იუნგის გეგმის მიხედვით.

2. უსაფრთხოების ევროპული სისტემის უზრუნველყოფის პრობლემები ორი მსოფლიო ომის შუა პერიოდში. საგარანტიო პაქტების სისტემის ფორმირება

ერთ-ერთ ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრა ვერა და ვერ მოხერხდა საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალის სისტემის ფარგლებში, იყო ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა, რომლის გადაჭრაზე, პრინციპში, დამოკიდებული იყო უსაფრთხოება პრაქტიკულად მსოფლიო მასშტაბით. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეებმა ვერ შეიმუშავეს ეფექტური მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა შეზღუდულიყოფილიყო გერმანიის სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების ზრდა და უზრუნველყოფილი სტაბილურობა სახელმწიფო საზღვრებისა, რომლებიც ევროპაში დადგინდა დამარცხებულ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სამშვიდობო შეთანხმებების ხელმოწერის შედეგად. ევროპული

უსაფრთხოების სისტემა ორი მსოფლიო ომის შუა პერიოდში ეყრდნობოდა ორ ძირითად ელემენტს:

1. სისტემას ორმხრივი შეთახმებებისა, რომლებიც დაიდო საფრანგეთს, ინგლისსა და აშშ-ს შორის და რომლებიც ით-ვალისწინებდნენ ურთიერთდახმარებას ნებისმიერი არაპრო-ვოცირებული აგრესიის წინააღმდეგ;

2. ერთა ლიგის წესდების დებულებებს, რომლებიც გმობდნენ აგრესიის ნებისმიერ ფორმებს და ითვალისწინებდნენ ერთა ლიგის წევრ-სახელმწიფოთა მხრიდან ეკონომიკური სანქციების შემოღებას და კოლექტიურ სამხედრო ზემოქმედებას აგრესორ-ზე.

მაგრამ ამ ელემენტებს მეტწილად ფორმალური ხასიათი ჰქონდათ, რაც აშკარა იყო თვით იმათთვის, ვინც ეს სისტემა შექმნა. შესაბამისად, ეს ელემენტები ვერ გახდებოდა იმის გა-რანტია, რომ არ მოხდებოდა შეიარაღებული კონფლიქტები იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობ-ები კიდევ უფრო გაიზარდა და გართულდა ომისწინა პერი-ოდთან შედარებით, რამეთუ გაძლიერდა აშშ-ს საგარეო-პოლი-ტიკური აქტიურობა ევროპაში და საერთაშორისო არენაზე გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ძალა საბჭოთა კავშირის სახით, რომელიც აღმოჩნდა საერთაშორისო ურთიერთობათა ჩამო-ყალიბებული სისტემის ფარგლებს გარეთ და ცდილობდა ურ-თიერთობების აწყობას ვერსალის სისტემის მეორე „დევნილ“ - გერმანიასთან.

ვითარება, შექმნილი წინააღმდეგობათა კომპლექსის ზემო-ქმედებით, შეიცავდა ხილვად პერსპექტივაში მწვავე საერ-თაშორისო კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობებს და, შესაბამისად, მოითხოვდა მსოფლიო მოწყობის ვერსალის სი-სტემის გარანტ-სახელმწიფოებისგან საერთაშორისო უსაფრთ-

ხოების არსებული სისტემის განმტკიცებას. ეს პრობლემა გა-ნსაკუთრებით აქტიური საფრანგეთისთვის იყო, რომელიც ყვე-ლაზე მოწყვლადი იყო გერმანიაში რევანშისტული განწყობის ზრდის შესაძლო მუქარის წინაშე.

საფრანგეთის ხელმძღვანელობაში ამ პრობლემის გადაჭრის მიმართ ორი მიდგომა არსებობდა. პირველი, რომლის მომხრე ა. ბრიანი იყო, მდგომარეობდა ვერსალის წესრიგის, როგორც საფუძვლის, შენარჩუნებაში და მსოფლიო სახელმწიფოებს შო-რის უთანხმოებების შერბილებაში აშშ-ან და ინგლისთან სა-ფრანგეთის კავშირების განმტკიცების გზით. მეორე მიდგომა მდგომარეობდა ვერსალის ხელშეკრულების ყველა მუხლის მკაცრ შესრულებაში, კერძოდ, გერმანიის მიერ, და საფრანგე-თის სამხედრო ძლიერების გაზრდაში.

ვერსალში საფრანგეთი შეუპოვრად ცდილობდა, მაგრამ ვე-რა და ვერ მიიღო თავის საზღვრების ხელშეუხებლობის გარა-ნტიები აშშ-სა და ინგლისისგან. საფრანგეთის საზღვრები არ იყო დაცული საიმედო სიმაგრეებით, და გერმანელთა მხრი-დან რევანშის მუქარა არ იყო მოხსნილი. თუ პირველი ჯგუფი, განსაკუთრებით, დიპლომატიური წრეები, იმედოვნებდნენ გერმანიის მუქარის უკუგდებას იმ ქვეყნებთან კავშირების სის-ტემების შექმნით, რომლებიც მდებარეობდნენ გერმანიის აღმო-სავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე (ე. წ. Alli-ances-de revers - ზურგის კავშირები), ინგლისთან მეგობრობის აუცი-ლებლად შენარჩუნების პირობით და იმავდროულად ბერლინ-თან შერიგების პოლიტიკის გატარებით, მეორე ჯგუფი, კერძოდ, სამხედრო წრეები, უსაფრთხოების მთავარ ზომად, გარდა თავი-სი სამხედრო ძლიერების გაზრდისა, თვლიდა გერმანიის განია-რაღებასა და დასუსტებას.

საერთაშორისო არენაზე შექმნილ პირობებში გაიმარჯვა პირველმა მიდგომამ, რომლის მომხრეები იცავდნენ დებულებას, რომ აუცილებელია ევროპაში უსაფრთხოების დაცვა დიპლომატიური საშუალებებით.

ევროპაში საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, 1924 წლის 2 ოქტომბერს ჟენევაში საფრანგეთის ხელმძღვანელობის ინიციატივით ხელი მოეწერა ოქმს „კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ“, რომელიც გულისხმობდა ვერსალის შეთანხმებით დადგენილი ტერიტორიული სტატუს-კვოს შენარჩუნებას და ერთა ლიგის საბჭოს კონტროლს დემილიტარიზებულ ზონებზე. ოქმის შესაბამისად, საფრანგეთის მთავრობა შესაძლებლობას იღებდა ჰქონოდა ინგლისის დახმარების იმედი იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა გერმანიის კონფლიქტი საფრანგეთთან ან ამ უკანასკნელის მოკავშირე მცირე ანტანტის ქვეყნებთან.

მაგრამ მოცემული ოქმის მოქმედების ვადა ხანმოკლე აღმოჩნდა. ინგლისში ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლდუინ-ჩემბერლენის კონსერვატული მთავრობა ერთ-ერთ თავის უმთავრეს საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნევდა უარის თქმას ჟენევის ოქმის შესრულებაზე. ბოლდუინის კაბინეტი, რომელსაც მხარს უჭერდნენ დომინიონების მთავრობები, მოწინააღმდეგენი დიდი ბრიტანეთის რაიმე ვალდებულებებისა ევროპის კონტინენტზე, გადაჭრით გამოვიდა მაკდონალდის ლეიბორისტული მთავრობის მიერ ხელმოწერილი ოქმის რატიფიცირების წინააღმდეგ. ინგლისს არ სურდა თავისთავზე აეღო კავშირების საფრანგეთის სისტემაში არსებული ყველა საზღვრის დაცვა, თანახმა იყო რა დაეცვა უსაფრთხოება მხოლოდ იმ საზღვრებისა, რომლებშიც ის დაინტერესებული იყო. 1925 წლის 12 მარტს ერთა ლიგის საბჭოში გაკეთდა ოფი-

ციალური განცხადება, რომ დიდი ბრიტანეთი უარს აცხადებს ჟენევის ოქმის რატიფიცირებაზე.

ნაცვლად ამისა, ბრიტანეთის ხელმძღვანელობა საგარანტიო პაქტის ხელმოწერის დახმარებით, რომელიც უზრუნველყოფდა გერმანიის დასავლეთი საზღვრის სტაბილურობას, ვარაუდობდა ამ ქვეყნის ჩართვას საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრისა. ამ შემთხვევაში მუქარა ექმნებოდა საფრანგეთის აღმოსავლეთევროპელ მოკავშირეებს, რასაც, თავის მხრივ, არ შეეძლო არ გამოეწვია საფრანგეთის პოზიციების დასუსტება ევროპაში. გარდა ამისა, ამგვარი პაქტის ხელმოწერა, ინგლისის კონსერვატული პარტიის ლიდერთა აზრით, შესაძლებლობას იძლეოდა არ დაეშვათ გერმანიის და სსრკ-ს შემდგომი დაახლოება.

მოლაპარაკებები საგარანტიო პაქტის ხელმოწერის შესახებ ოფიციალურად დაიწყო 1925 წლის 20 იანვარს, მაგრამ მისი დაწყება ფაქტიურად 1924 წლის დეკემბერს ეკუთვნის.

საგარანტიო პაქტის შესახებ მოლაპარაკების დაწყებიდანვე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები გერმანიის ერთა ლიგაში შესვლას თვლიდნენ ნებისმიერი პაქტის ხელმოწერის აბსოლუტურად აუცილებელ პირობად. ანალოგიურად თვლიდ- ნენ აშშ-ს სამთავრობო წრეებიც.

თავის მხრივ, გერმანიის მთავრობა თვლიდა, რომ ერთა ლიგაში შესვლა გერმანიას საშუალებას მისცემს დაიკავოს ჭეშმარიტად თანასწორუფლებიანი მდგომარეობა ევროპულ სახელმწიფოებს შორის, „შევა რა თავდაცვის დასავლეთის სისტემაში“.

ჰქონდათ რა მიზნად ერთა ლიგაში შესვლა და იმავდროულად სსრ კავშირთან ურთიერთობების შენარჩუნება, გერმანიის მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს მიეღწიათ ინგლისის

და საფრანგეთის თანხმობისთვის, რათა ერთა ლიგაში შესულიყვნენ გარკვეული პირობებით. ეს განსაკუთრებით ეხებოდა საკითხებს ერთა ლიგის მხრიდან იმაზე კონტროლს, თუ როგორ ასრულებს გერმანია ვერსალის შეთანხმების პირობებს და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს ლიგის წესდების 16-ე მუხლიდან და რომლებსაც შეეძლო დაევალებინათ, გერმანიისთვის მონაწილეობა მიეღო სსრკ-ს წინააღმდეგ მიმართულ სანქციებში. 1924 წლის დეკემბერში გერმანიამ ერთა ლიგას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვდა ნეიტრალიტეტს გერმანიისთვის ერთა ლიგაში მისი შესვლის შემთხვევაში.

შტრეზემანის ხელმძღვანელობით ასევე დაიწყო მომზადება უსაფრთხოების მემორანდუმის ტექსტისა. 1925 წლის 20 იანვარს ეს მემორანდუმი გადაეცა ინგლისის ელჩს და გაიგზავნა ლონდონში. გერმანიის მთავრობის წინადადების შესაბამისად, პაქტი იძლეოდა გარანტიას რაინზე სტატუს-კვოსი, ანუ, საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის უსაფრთხოებისა. ამასთან, „აღმოსავლეთ საზღვრების“ საკითხი ღიად რჩებოდა.

გერმანიის მთავრობას სურდა, რაც შეიძლება სწრაფად მიეღო ინგლისის მთავრობის თანხმობა მანამდე, სანამ ანალოგიური მემორანდუმით საფრანგეთს მიმართავდა. ცდილობდნენ რა დაეჩქარებინათ ინგლისის მთავრობასთან თანხმობის მიღწევა, გერმანიის მმართველმა წრეებმა მზადყოფნაც კი გამოხატეს, მიეცათ ინგლისისთვის გარკვეული უპირატესობები სარეპარაციო გადასახადების განაწილებაში, რაზეც ადრე უარი უთხრეს საფრანგეთს.

ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ ერთადერთ შესაძლებლად თვლის საგარანტიო პაქტს გერმანიის მონაწილეობით. ასევე, შეთავაზებულია გერმანიის მიღება ერთა ლიგაში და

მისთვის ადგილის გამოყოფა ლიგის საბჭოში, თუ გერმანი- ის მთავრობა დათანხმდებოდა უპირობოდ შეაესრულებინა ერთა ლიგის წესდების ყველა მუხლიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებები. ინგლისი თანახმა იყო თავისთავზე აეღო მხოლოდ საფრანგეთ-გერმანიის საზღვრების გარანტია.

ინგლისის სავარაუდო უარმა მიეცა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრების გარანტია, უკიდურესი შეშფოთება გამოწვია პოლონეთში. ამასთან დაკავშირებით, პოლონეთის მთავრობა ცდილობდა ყველანაირად მოეხდინა ზემოქმედება ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებზე.

შეშფოთება თავისი საზღვრების მიმართ სავარაუდო პაქტთან დაკავშირებით გამოხატეს ასევე იტალიის მთავრობამ (იტალია-ავსტრიის საზღვარი ბრენერის რაიონში) და ჩეხოსლოვაკიამ (ავსტრია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარი), რომლებმაც მოითხოვეს, საგარანტიო პაქტში გაცხადებული იქნას გერმანიის მიერ ავსტრიის „ანშლუსის“ აკრძალვა.

მაგრამ გერმანიის მთავრობა არ თვლიდა მიზანდასახულად დისკუსიის დაწყებას საკითხზე, რომელიც საგარანტიო პაქტის გაფართოებას ეხებოდა, რადგან ამ უკანასკნელს (გაფართოებას) აბსოლუტურად მიუღებლად თვლიდა. თუ გერმანია დათანხმდებოდა იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის მოთხოვნებს პაქტში დაეფიქსირებინა თავის უარი „ანშლუსზე“, ეს ასეთივე საფუძველს მისცემდა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას პრეტენზია განეცხადებინათ გერმანიასთან თავისი საზღვრების „ხელშეუხებლობაზე“. გერმანიის პოზიცია კი ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთთან თავისი საზღვრების მიმართ უცვლელი იყო; ის აბსოლუტურად გამორიცხავდა თავის მონაწილეობას პაქტში, თუ ის არ გახსნიდა მის წინაშე ვერსალის გადაწყვეტილებების რევიზიის რეალურ პერსპექტივებს.

ინგლისის მთავრობა ასევე ცდილობდა ზემოქმედების მოხდენას საფრანგეთზე, აიძულებდა რა მას თანახმა გამხდარიყო იმაზე, რომ ინგლისის ვალდებულებები პაქტში არ ვრცელდებოდა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებზე.

გერმანიის მთავრობამ, რომელიც ითვალისწინებდა საფრანგეთის არახელსაყრელ პოზიციას, გადაწყვიტა „რუსული კარტის“ გამოყენება. შტრეზემანმა, 1925 წლის მაისში რაიხსტაგში სიტყვით გამოსვლისას, ხაზი გაუსვა იმას, რომ თუ არ მოხერხდება მოლაპარაკება საფრანგეთთან, გერმანიის მთავ-რობა წავა ახალ დაახლოებაზე საბჭოთა კავშირთან, გერმანიის ურთიერთობებში აღმოსავლეთთან ჯერ კიდევ რომ წარმოადგენს „გადამწყვეტ ფაქტორს“, რომელთანაც „არ გვაქვს უთანხმოება არცერთ პოლიტიკურ სფეროში“.

გერმანიის მთავრობის ტაქტიკა წარმატებული აღმოჩნდა. აქტიურმა მიმოწერამ ლონდონსა და პარიზს შორის საბოლოო ჯამში საქმე მიიყვანა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების შეთანხმებამდე უსაფრთხოების პაქტის შესახებ გერმანიის მემორანდუმის ძირითად საკითხებში. რა თქმა უნდა, საფრანგეთის თანხმობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-ს საფინანსო წრეების ზეწოლამ. 1925 წლის მაისში მოწოდებით - მიღწეული იქნას ევროპის „დაშოშმინება“ - გამოვიდა აშშ-ს ელჩი ინგლისში ა. ხაუტონი. მომავალ საგარანტიო პაქტს მხარი დაუჭირა აშშ-ს პრეზიდენტმა კულიჯმა.

ლოკარნოს კონფერენცია მუშაობდა 1925 წლის 5-16 ოქტომბერს. როგორც მოსალოდნელი იყო, შეთანხმებების პროექტის განხილვისას ძირითადი საკითხები გახდა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრების გარანტია და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა.

მიუხედავად უმწვავესი ბრძოლისა, რომელიც დაიწყო გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრებისა გარანტიის ირგვლივ და იმ ზეწოლისა, რომელსაც ინგლისსა და საფრანგეთზე ჩეხოსლოვაკია და, განსაკუთრებით, პოლონეთი ახდენდნენ, საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

ხელი მოეწერა გერმანიის საარბიტრაჟო შეთანხმებებს პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან, რომლებშიც საუბარი იყო იურიდიული და პოლიტიკური დავების მოწესრიგებაზე, მაგრამ არ იყო რაიმე ვალდებულები ამ ქვეყნებს შორის საზღვრების გარანტიის შესახებ სხვა სახელმწიფოების მხრიდან. ეს შეთანხმებები არ იყო დაკავშირებული კონფერენციაზე ხელმოწერილ ძირითად დოკუმენტთან - რეინის საგარანტიო პაქტთან, რომლის შესაბამისად, ინგლისი და იტალია იძლეოდნენ გარანტიას გერმანია-საფრანგეთის და გერმანია-ბელგიის საზღვრებისა.

ცალკე ხელი მოეწერა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან საფრანგეთის საგარანტიო ხელშეკრულებებს, რომლებიც საერთოდ არ შედიოდა ლოკარნოს შეთანხმებათა სისტემაში. მაგრამ მოცემული შეთანხმებების მიხედვით, საფრანგეთის მთავრობას ამ ქვეყნებისთვის დახმარების გაწევა შეეძლო მხოლოდ ერთა ლიგის საბჭოს სანქციით, ამ საბჭოში კი წამყვან როლს ინგლისი თამაშობდა. არ იქნა მიღებული საფრანგეთის მოთხოვნა, გერმანია-პოლონეთის ომის შემთხვევაში მისთვის მიეცათ უპირობო უფლება, შეეყვანა ჯარები რეინის დემილიტარიზებულ ზონაში. ეს საკითხიც უნდა გადაეწყვიტა ერთა ლიგის საბჭოს.

ლოკარნოს კონფერენციაზე საფრანგეთის მთავრობის დამარცხება გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრების გარანტიის

საკითხში განპირობებული იყო ამ საკითხში ინგლისის და გერმანიის მხარეების ერთსულოვნებით.

გერმანიის მთავრობისთვის კონფერენციაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საკითხი ერთა ლიგაში გერმანი-ის შესვლის პირობების შესახებ. დასავლეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მოითხოვდნენ მის უპირობო მონაწილეობას ლიგაში. მაგრამ გერმანიის მთავრობისთვის მიუღებელი იყო თანხმობა ლიგის სანქციებზე. ამასთან, არ შეიძლებოდა მთლიანად უარის თქმაც ლიგის სანქციებში მონაწილეობაზე. გაცილებით მოსახერხებელი ჩანდა მეორე ვარიანტი, რომელიც გამომდინარეობდა ერთა ლიგის წესდების 16-ე მუხლის ნაწილობრივი გაურკვევლობიდან. გერმანიის წინაშე საკითხი ასე დგას: არ დაუშვას, რომ შეძლონ მისი, როგორც ერთა ლიგის წევრის, იძულებით ჩაბმა მისი მეზობელი ქვეყნების სამხედრო კონფლიქტებში, განსაკუთრებით, კონფლიქტში სსრკ-ს და პოლონეთს შორის. გერმანული მხარის ძირითადი არგუმენტი ფეთქებას თვით გერმანიაში, და შესაბამისად, ევროპის ცენტრში. მაგრამ იყო სხვა მნიშვნელოვანი მიზეზიც, რომლის გამო გერმანიას არ უნდოდა უპირობოდ შესვლა ერთა ლიგაში. ეს მიზეზი იყო გერმანიის დაინტერესება სსრკ-თან ურთიერთობების შენარჩუნებაში. საბჭოთა კავშირის მთავრობის 1925 წლის 2 ივნისის განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა გარკვეული შენიშვნების გარეშე გაართულებს, თუ შეუძლებელს არ გახდის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების რაპალოში ჩადებული საფუძვლების შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას.

ინგლისი მკვეთრად გამოვიდა გერმანიის ამგვარი პოზიციის წინააღმდეგ, და თუმცა მას მხარი საფრანგეთმა დაუჭირა, გერმანიის წარმომადგენლები არ დათანხმდნენ აეღოთ თავი-

სთავზე რაიმე გარკვეული ვალდებულება, დაკავშირებული ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლთან. მაგრამ, გაკეთებული იქნა შენიშვნა, რომ ეს არ ნიშნავდა ნებისმიერ პირობებში გერმანიის უმოქმედოდ დარჩენას. 1925 წლის 1 დეკემბერს ლოკარნოს შეთანხმებას ხელი მოეწერა.

ლოკარნოს საგარანტიო პაქტის ხელმოწერა გერმანიისთვის გახდა პირველი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ვერსალის სისტემის რევიზიის გზაზე. მნიშვნელოვანი იყო უკვე თვითონ ის ფაქტი, რომ გერმანიის წარმომადგენლები გამარჯვებული სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ერთად, როგორც თანასწორუფლებიანები, მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ევროპულ პაქტში. გარდა ამისა, ამ პაქტის ხელმოწერამ განამტკიცა დასავლეთ ევროპაში ძალთა განლაგების გარკვეული ცვლილებები, რომლებიც გამოიკვეთა საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავდა მნიშვნელოვან ნაბიჯს გერმანიისა, კვლავ რომ იქნა ჩართული სახელმწიფოთა „ევროპულ კონცერტში“ საფრანგეთის საზიანოდ, რომლის პოზიციები მნიშვნელოვნად დასუსტებული აღმოჩნდა. თავის მხრივ, ეს პასუხობდა ინგლისის ინტერესებს, რადგან ძირს უთხრიდა საფრანგეთის ბატონობას კონტინენტზე. ამ ვითარებაში ინლისი ხდებოდა არამარტო მთავარი გარანტი, არამედ, ფაქტიურად (და ეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო), მთავარი არბიტრი დასავლეთ ევროპაში. გერმანიის აღმოსავლეთ საზ-ღვრებზე შექმნილი დაძაბულობა კი არ ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ინტერესებს, რადგან ზიანს აყენებდა საფრანგეთის გავლენას კონტინენტზე.

*****

საფრანგეთის რესპუბლიკის ინტერესების შეზღუდვამ, რომელიც მოხდა ლოკარნოს საგარანტიო შეთანხმების ხელმო-

წერის შედეგად, ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა აიძულა, მიეღო რიგი ზომები, მიმართული საფრანგეთის დიპლომატიის აღნიშნული მარცხის კომპენსირებაზე. ამ მიზნით, 1927 წლის აპრილში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბრიანმა მიმართა აშშ-ის სახელმწიფო მდივან კელოგს წინადადებით, დაედოთ აშშ-საფრანგეთის შეთანხმება მუდმივი მეგობრობის და ომის კანონგარეშე გამოცხადების შესახებ. საფრანგეთის მმართველი წრეების აზრით, ამგვარ შეთანხმებას შეეძლო, შეეცვალა საფრანგეთის უსაფრთხოების ფორმალური გარანტიები, რომლებიც მას შეერთებულმა შტატებმა მისცეს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, მაგრამ ძალა დაკარგეს იმის შემდეგ, რაც კონგრესმა უარი განაცხადა სამშვიდობო შეთანხმების რატიფიცირებაზე.

აშშ-მ, რომელიც მსხვილ ინვესტიციებს აბანდებდა ევროპის ეკონომიკაში და ამასთან დაკავშირებით დაინტერესებული იყო ამ კონტინენტზე სტაბილურობის შენარჩუნებით, თანხმობა განაცხადა შეთანხმების ხელმოწერაზე, მაგრამ მხარი დაუჭირა მისი მონაწილეების წრის მაქსიმალურ გაფართოებას. შეთანხმების ტექსტის განხილვა და მისი პოტენციური მონაწილეების პოზიციების შეთანხმება საკმაო ხანს გაგრძელდა. შეთანხმების საბოლოო ტექსტს 15 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა 1928 წლის აგვისტოში პარიზში. ის შეიცავდა პუნქტს ომზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტზე უარის თქმის შესახებ, ასევე პუნქტს ყველა საერთაშორისო დავის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრის შესახებ. მოცემული პაქტის რატიფიცირება და მისი ძალაში შესვლა მოხდა 1929 წლის ივლისში.

ხელმოწერამ ამ შეთანხმებისა, რომელიც ცნობილია, როგორც ბრიან-კელოგის პაქტი, დადებითი როლი შეასრულა, დაგმო რა აგრესიული პოლიტიკა და ამგვარად დააკისრა გარკვეული მორალური ვალდებულებები მის ხელმომწერ მხარეებს. უნდა აღინიშნოს ბრიან-კელოგის პაქტის კიდევ ერთი დადებითი მნიშვნელობა საერთაშორისო არენაზე სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართებით - მან ევროპული უსაფრთხოების სისტემაში ჩართო სსრკ, რომელმაც ასევე თანხმობა განაცხადა, ხელი მოეწერა მოცემულ შეთანხმებაზე.

ამასთან, პაქტს გამორჩეულად ფორმალური ხასიათი ჰქონდა, აპელირებდა რა ძირითადად მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისადმი და არ ხსნიდა ღრმა წინააღმდეგობებს, რომლებიც საერთაშორისო არენაზე არსებობდა სახელმწიფოებს შორის.

სწორედ, ამიტომ იყო იძულებული საფრანგეთი, ეძება თავისი უსაფრთხოების რეალური გარანტიების მიღების შესაძლებლობები. ამ მიზნით, 1929 წლის 5 სექტემბერს, ერთა ლიგის 10-ე ასამბლეაზე ა. ბრიანმა წარმოადგინა „პან-ევროპის“ შექმნის პროექტი, რომლითაც ცდილობდა გაეძლიერებინა ევროპაში საფრანგეთის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები. თანაც, იგეგმებოდა საფრანგეთის ირგვლივ შემოეკრიბათ არამარტო მისი აღმოსავლეთევროპელი მოკავშირეები, არამედ ეგრეთ წოდებული „ნეიტრალური სახელმწიფოებიც“ - ესპანეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, აგრეთვე საფრანგეთის გავლენის მიღმა მყოფი ბალკანეთის ქვეყნები. ბრიანის გეგმა მიმართული იყო ევროპაში ამერიკული კაპიტალი შემოღწევის წინააღმდეგ, ამასთან, მას ხელი უნდა შეეშალა უკვე გამოკვეთილი დაახლოებისთვის ინგლისსა და აშშ-ს შორის.

1930 წლის მაისში საფრანგეთის მთავრობამ ევროპის სახელმწიფოებს - ერთა ლიგის წევრებს დაუგზავნა „მემორანდუმი ფედერაციული ევროპული კავშირის რეჟიმის ორგანიზაციის შესახებ“. მაგრამ მწვავე წინააღმდეგობებმა „პანევროპის“ სავარაუდო წევრებს შორის გამოიწვიეს ამ იდეის ჩავარდნა. არც

ინგლისს, არც გერმანიას, არც იტალიას არ სურდათ, დაეშვათ საფრანგეთის გავლენის გაძლიერება კონტინენტზე. 1930 წლის სექტემბერში, როდესაც ერთა ლიგის სესიაზე ჟენევაში კვლავ შეიკრიბნენ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლები, ოპოზიცია ბევრი სახელმწიფოს მხრიდან ესოდენ დიდი იყო, რომ ამ თათბირის რეზოლუციაში არც კი იყო „ევროპული კავში-რი“-ს ხსენება.

*****

1920-1930-იანი წლების მიჯნაზე გასაგები გახდა, რომ ვერსალის ფარგლებში შექმნილი უსაფრთხოების სისტემა არ პასუხობს საერთაშორისო არენაზე ჩამოყალიბებულ ვითარებას და საჭიროა ევროპულ კონტინენტზე სტაბილურობის შენარჩუნების ახალი გზების ძებნა. ამასთან დაკავშირებით, ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მმართველ წრეებში იწყება კონსენსუსის ჩამოყალიბება მსოფლიოს ახალ რეალიებთან საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული სისტემის ადაპტაციის პრობლემაზე. ეს ადაპტაცია უნდა მომხდარიყო ვერსალის სისტემის „რბილი“, კონტროლირებადი რევიზიის გზით, უმთავრესად გერმანიასა და იტალიისთვის უფრო ფართო უფლებების მინიჭებით ევროპული პოლიტიკის რთული საკითხების გადაჭრისას. როგორც ცნობილია, ვერსალის შეთანხმების შესაბამისად, აღნიშნულ ქვეყნებს ასეთი შესაძლებლობა არ გააჩნდათ.

1930-იანი წლების დასაწყისიდან გერმანია სულ უფრო დაჟინებით იწყებს „თანაბარი უფლებების“ მოთხოვნას. 1932 წლის თებერვალში ჟენევაში შედგა კონფერენცია განიარაღების საკითხებზე. მასზე წარმოდგენილი იქნა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში საუბარი იყო იმაზე, რომ ნებისმიერ ფასად უზრუნველეყოთ

თავისი ქვეყნის უპირატესობა შეიარაღებაში თავის მეზობ-ლებზე და პოტენციურ მოწინააღმდეგეზე.

ინიციატივის ხელში აღებას შეეცადა საფრანგეთი, რომელმაც წარმოადგინა „ტარდიეს გეგმის“ სახელით ცნობილი პროექტი. მისი თავისებურება გახლდათ ის, რომ შეთავაზებული იყო საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნა, რომლებიც არსებითად, საფრანგეთის გენერალურ შტაბს უნდა დამორჩილებოდნენ. ევროპაში საფრანგეთის არმიის გაძლიერება და ბატონობა, ბუნებრივია, არ აწყობდა კონფერენციის მონაწილეებს. საფრანგეთის წინადადებები სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ გერმანიისა და იტალიის მხრიდან.

თავის მხრივ, გერმანიის წინადადებას მისთვის შეიარაღების საკითხში თანაბარი უფლებების მინიჭების შესახებ, ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს ინგლისის და აშშ-ის წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, ბესანჟში (ჟენევის გარეუბანი) შედგა არაოფიციალური მოლაპარაკებები გერმანიის, ინგლისის და აშშ-ის დელეგაციებს შორის, სადაც მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც გერმანიას ფაქტობრივად აძლევდა შეიარაღების უფლებას. მაგრამ ოფიციალურად შეთანხმება არ იყო ხელმოწერილი, რადგან საფრანგეთმა უარი განაცხადა ბესანჟის მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე.

ინგლისელები არ ფარავდნენ თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას გერმანიის წინადადებებისადმი და აცხადებდნენ, რომ მათი მიღება იქნება მშვიდობის საუკეთესო გარანტია. იტალიის მმართველი წრეები ასევე აღიარებდნენ გერმანიის მოთხოვნების სამართლიანობას.

თუ ერიოს მთავრობა პრინციპში უარს ამბობდა გერმანიისთვის „თანაბარი უფლებების“ მინიჭების საკითხზე, მოლაპარაკებების ჩატარებაზე, ინგლისელები ცდილობდნენ, მხოლ-

ოდ ხელი შეეშალათ საფრანგეთის და გერმანიის ორმხრივი მოლაპარაკებებისთვის. ინგლისის ხელმძღვანელობას სურდა, მოლაპარაკებებში გერმანიისთვის თანასწორი უფლებების მინიჭების შესახებ მონაწილეობა მიეღო, ყველაზე ნაკლები, კიდევ ორ სახელმწიფოს - დიდ ბრიტანეთს და იტალიას. ამას ასაბუთებდა მისწრაფებით მიეღწია სოლიდაროზისთვის იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც 13 ივლისს ლოზანოში ხელი მოაწერეს „შეთანხმებას ნდობის შესახებ“, თუმცა არა ყველას შორის, ვინც შეუერთდა შეთანხმებას, არამედ მხოლოდ ამ 4 სახელმწიფოს.

1932 წლის 3 ოქტომბერს, მაკდონალდმა შესთავაზა ლონდონში მოეწვიათ ოთხი სახელმწიფოს - ინგლისის, გერმანი- ის საფრანგეთის, იტალიის - კონფერენცია (აშშ-ის წარმომა-დგენლის, როგორც დამკვირვებლის მონაწილეობით), რათა გადაეწყვიტათ პრობლემები, წარმოშობილი ჟენევის კონფერენ-ციაზე. ინგლის-საფრანგეთის 1932 წლის 13-14 ოქტომბრის მოლაპარაკებების შემდეგ, საფრანგეთი დათანხმდა ოთხმხრი-ვი მოლაპარაკებების ჩატარებაზე.

იტალია დადებითად შეხვდა მაკდონალდის წინადადებას, მუსოლინიმ კი ოთხი სახელმწიფოს მომავალი თანამშრომლობა შეაფასა, როგორც „ევროპის დაშოშმინების“ აუცილებელი პირობა. იტალიის მთავრობის ხელმძღვანელს ეს წინადადება (მაკდონალდის) ძლიერ აწყობდა, რადგან სავარაუდო კონფერენციაზე იტალია ინგლისთან ერთად შეიძლება გამხდარიყო არბიტრი საფრანგეთ-გერმანიის დავაში.

საფრანგეთმა, შიშობდა რა იზოლაციაში მოხვედრისა, 1932 წლის ოქტომბერში შეიმუშავა „მსოფლიოს ორგანიზაციის“ ახალი გეგმა, რომელსაც ორი ვარიანტი - „მაქსიმუმი“ და „მინიმუმი“ გააჩნდა. პირველი გულისხმობდა ყველა მუდმივი ერო-

ვნული არმიის შეცვლას საერთაშორისო შეიარაღებული ძალებით, მეორე შეიცავდა კონკრეტულ წინადადებებს, მიმართულს შეიარაღებული ძალების შემადგენლობის, სამხედრო ხარჯების შეკვეცაზე და ა. შ.

„მსოფლიოს ორგანიზაციის: საფრანგეთის გეგმა, რომელიც 1932 წლის 14 ნოემბერს გადაეცა კონფერენციის თავმჯდომარე ა. გენდერსონს, წინააღმდეგობრივი იყო და მას მხარდაჭერის მცირე შანსები ჰქონდა. ის არ შეიცავდა რაიმე ახალ წინადადებას შეიარაღებების შემცირების სფეროში.

საფრანგეთის ახალმა გეგმამ, რომელიც ჟენევაში წარმოდგენილი იყო „ერიო-ჰოლ გონკურის გეგმის“ სახელწოდებით, ასევე ვერ მიიღო მხარდაჭერა. ის მხოლოდ საფრანგეთის მოკავშირეებმა მოიწონეს.

3 დეკემბერს ჟენევაში შედგა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა, მაგრამ აქ საფრანგეთმა გადაჭრით განაცხადა უარი ეცნო გერმანიისთვის „თანაბარი უფლებები“ შეიარაღებაში. უმწვავესი ბრძოლის მსვლელობისას 11 დეკემბერს გაჩნდა „ხუთი სახელმწიფოს დეკლარაცია“, ხელმოწერილი ხუთი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მიერ. დეკლარაციის პირველი მუხლი აცხადებდა, რომ განიარაღების კონფერენციის ერთერთი ძირითადი პრინციპი უნდა იყოს გერმანიისა და სხვა ქვეყნებისთვის, ვისაც ეხებოდა ვერსალის დადგენილებები განიარაღების შესახებ, მიცემა „უფლებების თანასწორობისა სისტემაში, რომელიც ერებს უსაფრთხოებას ანიჭებს“. არსებითად, ეს იყო გერმანიის დიპლომატიის გამარჯვება და საფრანგეთის დიპლომატიის დამარცხება.

მაგრამ „ოთხთა პაქტის“ შექმნის იდეა არ იყო მივიწყებუ- ლი, მისი ინიციატორი ამჯერად იტალია იყო, რომელმაც 1933 წლის

18 მარტს დააგზავნა „ოთხ დასავლეთ სახელმწიფოს შო-რის შეთანხმების და თანამშრომლობის პაქტის“ პროექტი.

მუსოლინი ჯერ კიდევ 1920-ან წლებში გამოდიოდა მშვი-დობიანი შეთანხმებების წინააღმდეგ (წინააღმდეგ vit-toria mut-ilate - შეკვეცილი გამარჯვების). 1930-იან წლებიდან დაწყებუ-ლი, მისი თავდასხმები სამშვიდობო შეთანხმებებზე განსა-კუთრებით მკვეთრი გახდა. ცხადი იყო, რომ იტალიას არ აწ-ყობს ევროპაში შექმნილი სტატუსკვო. გარდა ამისა, იტალია ცდილობდა მოეგო გერმანიის გული, რათა შეენარჩუნებინა კო-ნტროლი ავსტრიასა და მთლიანად ბალკანეთზე. და ბოლოს, „ოთხთა პაქტი“ ასუსტებდა საფრანგეთის პოზიციებს ევროპაში.

პროექტი ითვალისწინებდა ოთხი სახელმწიფოს თანამშრო-მლობას „ყველა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ, ევროპულ და არაევროპულ საკითხებში, აგრეთვე კოლონიურ სფეროში; ის ექვსი მუხლისგან შედგებოდა. შემოთავაზებულ შეთანხმებაში ოთხი სახელმწიფო ადასტურებდა მშვიდობიანი შეთანხმებებ-ის რევიზიის პრინციპს ერთა ლიგის წესდების მე-19 მუხლის შესაბამისად და აღიარებდა, რომ გერმანიას, განიარაღების შესა-ხებ კონფერენციის ჩაშლის შემთხვევაში, ექნება თანაბარი უფ-ლება განიარაღების სფეროში, რომლის რეალიზაცია მას თან-დათან შეეძლო. იგივე უფლება ვრცელდებოდა ბულგარეთზე, უნგრეთსა და ავსტრიაზე. ნავარაუდევი იყო შეთანხმების ხელმოწერა 10 წლის ვადით; ის უნდა ყოფილიყო აღრიცხული ერთა ლიგის სამდივნოში. პაქტის ძირითადი იდეა მდგო-მარეობდა დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს ისეთი კავშირის შექმნაში, ევროპის უმაღლესი ორგანო რომ გახდებოდა. მას უნ-და მიეღო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხებოდა არამარტო შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს, არამედ საერთოდ ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

ოთხი სახელმწიფოს თანამშრომლობის იდეა იყო ასევე ინგ-ლისის დიპლომატიის სტრატეგიული მიზანი ომებს შუა პე-რიოდში. მაკდონალდი ნამდვილად მიისწრაფოდა დასავლეთ ევროპის ოთხი სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობის დამყა-რების, მათი შეთანხმებული პოლიტიკისკენ. პაქტი ინგლისს აძლევდა კონტინენტზე წონასწორობის შენარჩუნების შესაძ-ლებლობა. ვერსალის შემდეგ გაძლიერებული საფრანგეთი, ევროპის მცირე ქვეყნებთან მისი კავშირების სისტემა, მიოსი არმიის წამყვანი როლი - ყველაფერი ეს აიძულებდა ინგლისელ პოლიტიკოსებს მოეძებნათ ევროპაში საფრანგეთის გავლენი-სადმი დაპირისპირების გზები და საშუალებები.

ოთხი სახელმწიფოს დაგეგმილ შეთანხმებას, ინგლისელთა აზრით, არამარტო უნდა შეესუსტებინა საფრანგეთის პოზი-ციები ევროპაში, არამედ მოეგვარებინა ინგლის-იტალიის უთა-ნხმოებები კოლონიურ საკითხებში. “ოთხთა კავშირი“ ინგლ-ისს იმიტომაც აწყობდა, რომ არ მოითხოვდა მისგან დამატებ-ით ვალდებულებებს (ლოკარნოს ვალდებულებებთან შედ-რებით). ასეთი შეთანხმება, ინგლისელთა აზრით, გამორიცხ-ავდა ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული დაჯგუფებების შექმნის საფრთხეს. 1930-იანი წლების დასაწყისის პირობებში ინგლისს არ შეეძლო ეფიქრა, რომ განზე დარჩებოდა, ის აუცი-ლებლად ჩაერთვებოდა ერთ-ერთ მათგანში.

საფრანგეთის მთავრობა იმ დროს პრინციპში შესაძლებლად თვლიდა გერმანიისთვის შეიარაღებაში თანაბრობის მინიჭებას, მაგრამ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ჩარჩოებში და ურთიერთდახმარების ვალდებულებით აგრესიის შემთხვევაში.

როდესაც საფრანგეთის მთავრობამ 1933 წლის 18 მარტს მიიღო შემოთავაზებული შეთანხმების ტექსტი, მისთვის ცხა-დი გახდა შეთანხმებას აშკარა ანტიფრანგული მიმართულება.

„ოთხთა პაქტი“ დარტყმას აყენებდა ერთა ლიგას, რომელშიც საფრანგეთი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ფაქტობრივად ენაცვლებოდა ერთა ლიგას, მცირე სახელმწიფოებს აშორებდა ევროპული საქმეების გადაწყვეტის პროცესს, ანგრევდა კავშირების ფრანგულ სისტემას, ახდენდა საფრანგეთ- ის იზოლირებას საერთაშორისო საქმეებში.

შედეგად გაიშალა გააფთრებული დიპლომატიური ბრძოლა არამარტო „ოთხთა პაქტის“ ოთხ მონაწილეს, არამედ ევროპის მცირე სახელმწიფოებს შორისაც, რომლებიც ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ. ოთხ კვირაში მუსოლინის და მაკდონალდის მოლაპარაკების შემდეგ, მცირე ანტანტის მუდმივმა საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც გამოვიდა ვერსალის სისტემის რევიზიის წინააღმდეგ.

1933 წლის 10 აპრილს საფრანგეთის მთავრობამ დიპლო- მატიური არხებით გადასცა რომში, ლონდონსა და ბერლინში კონტრპროექტი და მემორანდუმი. აცხადებდა რა მემორან- დუმში, რომ განზრახული აქვს მჭიდრო თანამშრომლობა სამ სახელმწიფოსთან, ის ხაზს უსვამდა, რომ ეს თანამშრომლობა უნდა ვითარდებოდეს ადრე ოთხი სახელმწიფოს მიერ ხელ- მოწერილი შეთანხმებების და ერთა ლიგის პაქტის ჩარჩოებ- ში. გამოტოვებული იყო მუხლი შეთანხმებების რევიზიის შესახებ და მის ნაცვლად აღნიშნული იყო, რომ შესაძლებელია საშუა- ლებების წინასწარი შესწავლა 19-ე მუხლის (სამშვიდობო ხელ- შეკრულებების გადასინჯვის შესაძლებლობის შესახებ) შეცვ- ლის მიზნით. მცირე ანტანტის ქვეყნების აზრის გათვალისწინე- ბით, კონტრპროექტში არ იყო ნახსენები უფლებების თანასწო- რობის პრინციპის გავრცელება ავსტრიაზე, უნგრეთსა და ბულ- გარეთზე. ამ კონტრპროექტს დაემატა საგარანტიო ოქმი. მასში ნათქვამი იყო, რომ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება არანაირად

არ ასუსტებს იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც საფრანგეთს და- დებული აქვს თავის მოკავშირეებთან. საფრანგეთს განზრა- ხული აქვს გამოვიდეს ტერიტორიული საზღვრების რევიზიის ნებისმიერი ცდის წინააღმდეგ, საპროცედურო საკითხების გან- ხილვისას კი ის მოითხოვს მათ განხილვას ერთა ლიგაში და ხმის მიცემისას დაიცავს ერთ-სულოვნების პრინციპს, დაინტე- რესებული სახელმწიფოების კენჭისყრაში მონაწილეობის ჩათვ- ლით. ინგლისის, გერმანიის და იტალიის დაინტერესება პაქ- ტით იმდენად დიდი იყო, რომ ისინი დაეთანხმნენ საფრანგე- თის პროექტს და შეიტანეს მასში უმნიშვნელო ცვლილებები.

1933 წლის 7 ივნისს რომში მოახდინეს „შეთანხმების და თანამშრომლობის პაქტის“ საბოლოო ვარიანტის პარაფირება. მან მნიშვნელოვანწილად დაკარგა თავდაპირველი აზრი და კომპრომისული ვარიანტის სახე შეიძინა. ივლისში რომში პაქტს ხელი მოეწერა. მაგრამ ძალაში ის არც შესულა, პირველ რიგში, უმწვავესი იმპერიალისტური წინააღმდეგობების გამო, ერთი მხრივ, საფრანგეთსა და, მეორე მხრივ, გერმანიასა და იტალიას შორის. საფრანგეთის მთავრობას „ოთხთა პაქტი“ არც კი შეუტანია რატიფიკაციისთვის საფრანგეთის პარლამენტში.

ამრიგად, ბევრი მკვლევარის აზრით, საერთაშორისო არე- ნაზე ძალთა გაძლიერებული პოლარიზაციის შედეგად, მსო- ფლიო მოწყობის ვერსალის სისტემის „რბილი“ რევიზიის იდეა თავიდანვე იყო განწირული მარცხისთვის, რამაც აიძულა ევრო- პის სახელმწიფოები-ვერსალის გარანტები დაბრუნებოდნენ ადრინდელ პოლიტიკას.

3. უსაფრთხოების ევროპული სისტემის ევოლუცია 1930-იანი წლებში

დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და „ოთხთა პაქტის“ ხელმოწერის გზით ვერსალის სისტემის რევიზიის წარუმატებელმა ცდებმა, აიძულეს საფრანგეთი, როგორც ევროპის ყველაზე მოწყვლადი სახელმწიფო, კვლავ დაბრუნებულიყო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ევროპული სისტემის შექმნისკენ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სისტემის ახალი ელემენტი გახდა მასში სსრკ- ის ინტეგრაცია.

1933 წლის ბოლოს - 1934 წლის პირველ ნახევარში დაიწყო სსრკ-საფრანგეთის მოლაპარაკებები აღმოსავლეთ ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების რეგიონულო სისტემის - აღმოსავლეთის პაქტის - შექმნის შესახებ. მისი წევრები უნდა გამხდარიყვნენ ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, სსრ კავშირი, საფრანგეთი, ფინეთი.

საფრანგეთის ზეწოლის შედეგად იწყება მცირე ანტანტის ქვეყნების დაახლოება სსრ კავშირთან. 1934 წელს ზაგრებში შედგა მცირე ანტანტის მუდმივი საბჭოს სხდომა, რომელზეც მიიღეს პრინციპული გადაწყვეტილება სსრკ-თან ურთიერთობების მოწესრიგების შესახებ. მაგრამ ზაგრების სესიის გადაწყვეტილება არ იქნა ბოლომდე რეალიზებული ცხოვრებაში, რადგან რუმინეთისა და იუგოსლავიის მთავრობები საბჭოთა კავშირთან დაახლოების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

1934 წლის 9 ივნისს ოფიციალურად დამყარდა საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობები რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან.

1934 წლის მაისში სსრკ-საფრანგეთის მოლაპარაკებებზე ფრანგულმა დელეგაციამ განხილვაზე დააყენა ურთიერთდახმარების რეგიონული პაქტის თავისი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მასში სსრ კავშირის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შეყვანას. ფრანგული პროექტი ითვალისწინებდა რეგიონული შეთანხმების მონაწილეთა რიცხვიდან საფრანგეთისა და ბელგიის ამოღებას და მასში გერმანიის ჩართვას. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გერმანიის გარეშე პოლონეთი არ დათანხმდებოდა პაქტში შესვლას.

პროექტის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი არ მონაწილეობდა პაქტში, ის საბჭოთა კავშირთან ცალკე პაქტს დებს, რომელიც საფრანგეთის მხრიდან დახმარების გარანტიას იძლევა და ფაქტობრივად ხდის სსრკ-ს ლოკარნოს შეთანხმების მონაწილედ საფრანგეთის სასარგებლოდ. ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით, თავდასხმის მსხვერპლს დახმარებას უწევს პაქტის არა ყველა მონაწილე, არამედ მხოლოდ უშუალო მეზობლები. ეს უკანასკნელი პირობა პაქტს რამდენადმე ხელოვნურს ხდიდა, რამეთუ ფაქტიურად არ ადგენდა რაიმე ურთიერთდახმარებას, მაგალითად, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

ფრანგული სქემა მნიშვნელოვნად ავიწროვებდა საფრანგეთის ვალდებულებებს. მას დახმარება უნდა გაეწია არა აღმოსავლეთის პაქტის ყველა მონაწილისთვის, არამედ მხოლოდ საბჭოთა კავშირისთვის.

1934 წლის ზაფხულში ბრძოლა აღმოსავლეთის პაქტის შექმნისთვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ძირითადი საკითხების შეთანხმების შემდეგ, სსრ კავშირმა და საფრანგეთმა დაიწყეს მოლაპარაკებები იმ ქვეყნების მთავრობებთან, რომლებიც მოწ-

ვეულნი იყვნენ ურთიერთდახმარების რეგიონულ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის. აღმოსავლეთის პაქტის პროექტი მაშინ ჟენევაში იქნა დაყვანილი პოლონეთისა და ჩეხოსლო-ვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრებამდე, აგრეთვე გაიგზავნა ლონდონსა და რომში. იმავე დღეებში საფრანგეთის ელჩმა ბერლინში ა. ფრანსუა-პონსემ მიიტანა ის გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომდე.

ლუი ბარტუ ჯერ კიდევ 1934 წლის აპრილში განიხილავდა რეგიონული პაქტის იდეას პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებთან. უკვე მაშინ ცნობილი იყო, რომ პოლონეთის ხელმძღვანელები საკმაოდ ცივად შეხვდნენ ამ იდეას. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ კი განაცხადა, რომ მზად არის მონაწილეობაზე აღმოსავლეთის პაქტში. იმ დროსვე ცხადი გახდა, რომ გერმანია არ აპირებს მონაწილეობას ამ პაქტში.

აღმოსავლეთის პაქტის იდეის განხორციელების საკითხში ბევრი რამ იყო დამოკიდებული ინგლისის პოზიციაზე. მისმა ხელმძღვანელებმა ლ. ბარტუსთან მოლაპარაკებებისას ლონდონში 1934 წლის 9-10 ივლისს რიგი პირობა წამოაყენეს. პირველი, მათ მოითხოვეს საფრანგეთის თანხმობა გერმანიის თანასწორუფლებიანობაზე შეიარაღების საკითხში. მეორე, ინგლისი მოითხოვდა, გერმანია გამხდარიყო მესამე თანასწორუფლებიანი მონაწილე საფრანგეთ-სსრკ-ის საგარანტიო პაქტისა. ამ მოთხოვნას მხარი საფრანგეთმაც დაუჭირა და სსრ კავშირმაც, ინგლისის დაპირების სანაცვლოდ, რომ ის გავლენას მოახდენდა იტალიისა და გერმანიის პოზიციებზე. მაგრამ, როგორც აჩვენა შემდგომმა მოვლენებმა, ეს მხოლოდ ფორმალურად გაკეთდა. საქმე იმაშია, რომ ინგლისის მთავრობა მტრულად იყო განწყობილი ურთიერთდახმარების პაქტის იდეისადმი.

იტალიის მთავრობა დიდხანს არაფერს ამბობდა აღნიშნული შეთანხმების პროექტზე. ის, „ოთხთა პაქტს“ თუ არ ჩავთვლით, არასოდეს უწყობდა ხელს პაქტების სისტემას. მაგრამ გაცხადებული იყო, რომ იტალიის პოზიცია „ინგლისურის იდენტური“ იქნება.

რაც შეეხება გერმანიის პოზიციას, ის მტკიცე იყო. ჰიტლერის მთავრობა არ აპირებდა შეერთებოდა არც ევროპაში ურთიერთდახმარების რეგიონულ პაქტს, არც საფრანგეთ-სსრკ-ის საგარანტიო შეთანხმებას. გერმანიას არ აწყობდა ურთიერთდახმარების ავტომატური ვალდებულებების სისტემა, ის მოითხოვდა, ჯერ ინგლისსა და საფრანგეთს მიეცა მისთვის თანხმობა შეიარაღების საკითხთან დაკავშირებით. 1934 წლის 8 სექტემბერს გერმანიამ პაქტის სავარაუდო მონაწილეებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც აცნობებდა მათ, რომ არ აპირებს მონაწილეობას ურთიერთდახმარების პაქტში.

გერმანიის კვალად აღმოსავლეთის პაქტი დატოვა პოლონეთმა. მისმა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არ შეიძლება დათანხმდეს პაქტში მონაწილეობაზე, თუ მასში არ იქნება გერმანია და იმავე დროს მისი მონაწილეები გახდება ჩეხოსლოვაკია და ლიტვა.

ძალთა განლაგება ისეთი იყო, რომ არ უტოვებდა ადგილს აღმოსავლეთევროპული პაქტის იდეის სრულად განხორციელების იმედს. მას მოწინააღმდეგეები ჰყავდა არამარტო თავის სავარაუდო წევრებს შორის (გერმანია, პოლონეთი, ფინეთი) - აღმოსავლეთ ევროპაში ურთიერთდახმარების რეგიონული პაქტის იდეას არ უჭერდნენ მხარს ინგლისის მმართველი წრეები, ამგვარი პაქტის ბევრი მტერი იყო საფრანგეთშიც. აღმოსავლეთის პაქტის შექმნის ცდა კიდევ უფრო ეფემერული გახდა

1934 წლის 9 ოქტომბერს მისი სულისჩამდგმელის ლ. ბარტუს მკვლელობის შემდეგ.

მიუხედავად ჟენევის პაქტის 1934 წლის 5 დეკემბრის ხელისმოწერისა, საფრანგეთის მთავრობა ფლანდენის მეთაურობით, ყველანაირად ცდილობდა მოლაპარაკებოდა ჰიტლერს, ჭიმავდა რა მოლაპარაკებებს აღმოსავლეთის პაქტზე. ინგლის-საფრანგეთის 1935 წლის თებერვლის შეხვედრაზე, აღმოსავლეთის პაქტის ხელმოწერა დამოკიდებული გახადეს გერმანიასთან „საერთო დარეგულირების მიღწევაზე“, მათ შორის, შეიარაღების საკითხებში. საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ პაქტს ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის მიეცა გარანტია გერმანიის თავდასხმისგან, რადგან ამ ქვეყნების ოკუპაცია უშუალო საფრთხეს უქმნიდა სსრკ-ის საზღვრებს. 1935 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირმა წინადადებით მიმართა ესტონეთის, ლიტვის და ლატვიის მთავრობებს, ხელი მოეწერათ აღმოსავლეთის პაქტზე თუნდაც გერმანიისა და პოლონეთის მონაწილეობის გარეშე, მაგრამ მათ ლოდინის პოზიცია არჩიეს. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი მთავრობა არ თანხმდებოდა ხელი მოეწერა აღმოსავლეთის პაქტზე გერმანიის და პოლონეთის მონაწილეობის გარეშე და მოლაპარაკებების დაწყებისთანავე უარს აცხადებდა დახმრების რაიმე გარანტია მიეცა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისთვის. იმ პირობებში, როდესაც აღმოსავლეთის პაქტის იდეა უარყოფილი იქნა მისი სავარაუდო ქვეყანა-მონაწილის უმრავლესობის მიერ, სსრ კავშირმა საფრანგეთის წინაშე დააყენა საკითხი საფრანგეთ-სსრკ-ჩეხოსლოვაკიას შორის ურთიერთდახმარების სამხრივი პაქტის ხელმოწერის შესახებ. მაგრამ პ. ლავალის მთავრობამ უარყო ეს წინადადება. მაშინ საბჭო- თა მთავრობამ ლავალს შესთავაზა დაბრუნებულიყვნენ 1933 წლის

თავდაპირველი იდეისკენ - სსრკ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტის ხელმოწერის შესახებ, განიხილავდა რა ამას როგორც პირველ პრაქტიკულ ნაბიჯს ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნაში. 1935 წლის 2 მაისს ამ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

ხელმოწერის ოქმის შესაბამისად, სსრკ-მა და საფრანგეთმა განაცხადეს, რომ ისევე, როგორც ადრე, სასურველად თვლიან ხელი მოეწეროს ურთიერთდახმარების რეგიონულ აქტს. მხარეები აცხადებდნენ, რომ მზად არიან შეასრულონ თავისი ვალდებულებები ურთიერთდახმარების გაწევის საქმეში იმ შემთხვევაშიც, თუ ერთა ლიგის საბჭო არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუმცა, საფრანგეთ-სსრკ-ს ურთიერთდახმარების პაქტის მნიშვნელობას აკნინებდა ის გარემოება, რომ არ იყო იმავდროულად ხელმოწერილი სამხედრო კონვენცია, რომელიც განსაზღვრავდა სამხედრო დახმარების აღმოჩენის პირობებსა და ფორმებს.

შეთანხმება არ ითვალისწინებდა ურთიერთდახმარების ვალდებულების ავტომატურად ამოქმედებასაც, რაც ასევე აკნინებდა მის ეფექტურობას. ორი კვირის შემდეგ, 1935 წლის 16 მაისს, ხელი მოეწერა შეთანხმებას ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორისაც.

ამ შეთანხმებას საბჭოთა კავშირ-საფრანგეთს შორის დადებულ ანალოგიურ პაქტისგან ერთი თავისებურება განასხვავებდა. ურთიერთდახმარების ვალდებულება მასში მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა, თუ დახმარებას აღმოუჩენდა ჯერ საფრანგეთი. ეს შენიშვნა ოქმში ჩართული იქნა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მოთხოვნით, მისი მიზანი კი იყო პაქტის ავტომატურად ამოქმედების აცილება თავიდან.

ომისწინა პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში პაქტებს ურთიერთდახმარების შესახებ სსრკ-სა და საფრანგეთის და სსრკ-სა და ჩეხოლოვაკიას შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან აღმოსავლეთის პაქტის შექმნის ცდებით იწყება რეალური აღიარება სსრკ-სა, როგორც ევროპის გავლენიანი სახელმწიფოსი, და მისი ჩართვა მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

4. საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკური კრიზისის პერიოდში (20-იანი წლების დასასრული - 30-იანი წლების დასაწყისი). საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალის სისტემის გადასინჯვის ცდები

პოლიტიკური სტაბილიზაციის პერიოდი საერთაშორისო არენაზე, მიღწეული მთელი რიგი საერთაშორისო კონფერენციების და ორმხრივი შეხვედრების შედეგად, რომლებიც, როგორც წესი, მთავრდებოდა სახელმწიფოთა შორის სხვადასხვა სადავო საკითხის მოწესრიგებაზე მიმართული ხელშეკრულებების, შეთანხმებების, კონვენციების ხელმოწერით, საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა. 1929 წელს დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ურთიერთობები გაამწვავა არამარტო ვერსალის სისტემის სტაბილურობის გარანტ-ქვეყნებს შორის, არამედ მათ და ყოფილი გერმანიის ბლოკის ქვეყნებს შორისაც და პრაქტიკულად, ნულზე დაიყვანა ევროპელი, ამერიკელი და რუსი დიპლომატების ყველა მიღწევა.

შექმნილ ვითარებაში, სახელმწიფოებს შორის არსებულმა ტრადიციულმა წინააღმდეგობებმა ადრინდელი სიმწვავე შეი-

ძინეს და მისცეს სტიმული - გერმანიას რევანშისა, იაპონიას - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბატონობისა, ასევე დააბრუნეს საფრანგეთი და ინგლისი ამ ქვეყნებისთვის ტრადიციული საგარეო პოლიტიკისკენ.

1929 წელს, დაჟინებული მოთხოვნის შედეგად ვაიმარის რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა, რომელიც ქვეყნის ფინანსურ კრიზისზე მიუთითებდა, მუშაობა დაიწყო ექსპერტთა კომისიამ, რომლის ძირითადი ამოცანა იყო დაუესის გეგმის შემცვლელი, რეპარაციების გადახდის ახალი გეგმის შემუშავება. ეს გეგმა, ცნობილი, როგორც იუნგის გეგმა, მნიშვნელოვნად ამცირებდა როგორც გერმანიის მიერ გამარჯვებული სახელმწიფოებისთვის საერთოდ გადასახადი რეპარაციების მოცულობას, ისე ყოველწლიური გადასახადების პროცენტსაც. გარდა ამისა, მოცემული გეგმის მიხედვით, უქმდებოდა საერთაშორისო კონტროლი გერმანიის ეკონომიკაზე, რაც ქვეყნის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევდა, გაეზარდა ხარჯები შეიარაღებული ძალების და სამხედრო მრეწველობის განვითარებაზე. ამ გეგმის (ამოქმედდა 1930 წელს) შემუშავების ერთდროულად, მოკავშირეთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გაეყვანა რაინის ზონიდან საფრანგეთის და ბელგიის სამხედრო ნაწილები.

ამრიგად, შეიქმნა საფუძველი სარეპარაციო რეჟიმის თანდათან ლიკვიდაციისთვის.

1931 წლის ივნისში აშშ-ს პრეზიდენტმა ჰ. ჰუვერმა, რომელიც ავითარებდა რეპარაციების გადახდისგან გერმანიის ეკონომიკის გათავისუფლების იდეას, შესთავაზა, გამოეცხადებინათ ერთწლიანი მორატორიუმი რეპარაციების და სახელმწიფოთაშორისი ვალების გდახდაზე, ასაბუთებდა რა ამას ევროპაში ფინანსური კრიზისის გამწვავებით. ევროპის ქვეყნებმა მიიღეს ეს წინადადება, 1932 წელს კი, მორატორიუმის ვადის გასვლის

შემდეგ, ლოზანაში შედგა უკანასკნელი საერთაშორისო კონ-ფერენცია რეპარაციების საკითხზე, რომელზეც ანულირებული იქნა გერმანიის ყველა სარეპარაციო ვალდებულება. პრაქტიკუ-ლად, იმავე დროს, იმავე არგუმენტებზე და-ყრდნობით, აშშ-ს შეუწყვიტეს ვალების დაბრუნება იმ ქვეყნე-ბმა, რომლებმაც მისგან სესხები აიღეს პირველი მსოფლიო ომ- ის დროს.

ამრიგად, 1929-1933 წწ. ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ევროპაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც მოახდინეს საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალის სისტე-მის გარკვეული დეფორმაცია: აღდგა გერმანიის სუვერენიტეტი განვითარებული მრეწველობის მქონე რაინის ოლქზე, რამაც, თავის მხრივ, შექმნა გერმანიის ეკონომიკის განვითარების პი-რობები, მათ შორის, მისი სამხედრო დარგებისა.

შექმნილ პირობებში მნიშვნელოვნად დასუსტდა საგარეო-პოლიტიკური პოზიციები საფრანგეთისა, ევროპაში გერმანიის მთავარი მოწინააღმდეგის, და გაძლიერდა პოზიციები აშშ-სა, რომელმაც გააქტიურა თავისი ჩარევა ევროპის საქმეებში.

გარდა ამისა, 30-იანი წლების დასაწყისში გერმანიამ გადა-დგა რიგი პოლიტიკური ნაბიჯი, რომლებიც გახდა ევროპა- ში ტერიტორიული ცვლილებების განხორციელებაზე გერმანული ხელმძღვანელობის პრეტენზიების მაჩვენებელი. 1930 წლის მარტში გერმანიასა და ავსტრიას შორის დაიდო შეთანხმება საბაჟო კავშირის შესახებ. საფრანგეთში, იტალიაში, მცირე ან-ტანტის ქვეყნებში მოცემული ფაქტი შეფასდა, როგორც გერმა-ნიის მიერ ავსტრიის შემოერთების დაწყების ცდა, რამაც მოკავ-შირეთა გარკვეული განგაში გამოიწვია. ინგლისის, საფრანგე-თის, იტალიის და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა კავშირის წი-ნააღმდეგ პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს საქმის გადა-ცემა საერთაშორისო სასამართლოში. ამ ძალისხმევის შედეგი

გახდა ის, რომ 1931 წლის სექტემბერის დასაწყისში გერმანიამ და ავსტრიამ უარი თქვეს ამ შეთანხმებაზე.

ამ მოვლენებმა ცხადად აჩვენა, რომ გაიზარდა წინააღმდე-გობები ერთი მხრივ, გერმანიასა და ავსტრიას, და, მეორე მხრივ, გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგობათა გაზრდის პროცესი ვითარდებოდა გერმანიის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც. იმ წლებში მათ შორის მეტოქეობის ერთ-ერთ სფერო გახდა სამხედრო შეიარაღებები. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძლიე-რება შეირყა: აშშ-ის სამრეწველო და საფინანსო პოტენციალი ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევდა მოკლე ხანში მიეღწია უპი-რატესობისთვის „ზღვის მეფეზე“. ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების პირობებში ინგლისი და ევროპის სხვა ქვეყნები განიცდიდნენ მოთხოვნილებას შეეზღუდათ თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობა. შექმნილ ვითარებაში, 1930 წლის დასაწყისში, ლონდონში მოიწვიეს კონფერენცია საზღვაო შეიარაღებების საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობა მიი-ღეს ინგლისმა, აშშ-მ, იაპონიამ, საფრანგეთმა და იტალიამ. პრობლემათა განხილვა საკმაოდ მწვავე იყო. საფრანგეთსა და იტალიას შორის წარმოქმნილი უთანხმოებების გამო ამ ქვეყნებ-მა უარი თქვეს შეთანხმების იმ ნაწილებზე ხელის მოწერაზე, რომლებშიც საუბარი იყო კრეისერების, საესკადრო ნაღმოსნე-ბის და წყალქვეშა ნავების რიცხვის შემცირებაზე. მოლაპა-რაკების მსვლელობისას იაპონიამ მიაღწია თანაბარ ნორმას აშშ-სთან და ინგლისთან წყალქვეშა ნავების რაოდენობის მიხედ-ვით, ხელსაყრელ რაოდენობრივ შეფარდებას კრეისერების და საესკადრო ნაღმოსნების კატეგორიებში. დიდი ბრიტანეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ატარებდა პოლიტიკას, მიმართულს ორმაგი უპირატესობის მიღწევაზე ნებისმიერი

სხვა სახელმწიფოს ფლოტზე, ახლა, შექმნილ პირობებში, დათანხმდა ინგლისის და აშშ-ის ყველა კატეგორიის სამხედრო ხომალდების თვისობრივ და რიცხო-ბრივ თანასწორობას.

ასევე აღვნიშნავთ, რომ საფრანგეთმა, რომელმაც ვერ დაიკმაყოფილა თავისი ინტერესები სამხედრო-საზღვაო სფეროში და რომელსაც არ ჰქონდა იმედი, რომ ორმხრივი შეთანხმებების სისტემის დახმარებით შეძლებდა, უზრუნველეყო თავისი უსაფრთხოება, 30-იანი წლების დასაწყისში შეეცადა წასულიყო გერმანიასთან დაახლოებაზე. პარიზში და ბერლინში შედგა ორი სახელმწიფოს ლიდერთა მოლაპარაკებები, რომელზეც საფრანგეთი გამოვიდა პროექტით გამოეყოთ გერმანიისთვის მსხვილი საერთაშორისო სესხი 500 მილიონი დოლარის ოდენობით იმ პირობით, რომ გერმანიის ხელმძღვანელობა უარს იტყოდა ვერსალის სისტემის რევიზიაზე. მაგრამ პარიზმა ამ მოლაპარაკებებზე ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია, რაც ასევე იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ეროზიის მაჩვენებელი.

ვერსალის სისტემის კრიზისული მდგომარეობა გამოვლინდა განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზეც (ჟენევა, 1932 წლის თებერვალი), რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 62 სახელმწიფოს წარმომადგენელი. კონფერენციაზე წამოაყენეს წინადადებები, რომლებსაც, მონაწილეთა აზრით, ხელი უნდა შეეწყოთ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისთვის, რაზეც უკვე იყო საუბარი მოცემულ პრობლემისადმი მიძღვნილ პარაგრაფში.

ამრიგად, 1929–1932 წლების განმავლობაში, შეიქმნა გერმანიის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის აღდგენის საფუძველი, რაც ნიშნავდა ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალის სისტემის დემონტაჟის დასაწყისს, უფრო მეტი,

განიარაღების საკითხების ჟენევის კონფერენცია გახდა ამ ფაქტის საერთაშორისო აღიარების მაჩვენებელი.

არანაკლებ დაძაბული იყო საერთაშორისო ვითარება შორეულ აღმოსავლეთში. ისიც ხასიათდებოდა დიდ სახელმწიფოებსა და იაპონიას შორის წინააღმდეგობების გაზრდით რაც, უმთავრესად, გამოწვეული იყო ექსპანსიის გააქტიურებით ამ უკანასკნელისა, რომელიც ცდილობდა ჩაერთო თავისი გავლენის სფეროში ჩინეთის პრაქტიკულად მთელი ტერიტორია, დაიკავა რა პირველი ადგილი ჩინეთის საგარეო ვაჭრობაში. ამ ქვეყანაში თავისი გავლენისა გაძლიერებისთვის, იაპონია აქტიურად იყენებდა ნანკინის ცენტრალური მთავრობის ბრძოლას მოხელეებთან და გენერლებთან, რომლებიც მართავდნენ ცალკეულ პროვინციებს. ცენტრალური მთავრობის ლიდერ გენერალ ჩან კაიშის და ჩრდილოეთ რაიონების ხელმძღვანელთა ჯგუფს (მანჯურიის მმართველ ჯაო ლინის მეთაურობით) შორის შეიარაღებული კონფლიქტის დროს იაპონიის ჯარებმა, ჩინეთში შიდაპოლიტიკური ვითარების არასტაბილურობის პერიოდში, უცხოეთის მოქალაქეთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის საბაბით, დაიკავეს ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული შანდუნის პროვინცია.

მოცემული პერიოდი აღნიშნული იყო ჩინეთში აშშ-ის შეღწევის გაძლიერებითაც. ამერიკის ხელმძღვანელობას საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ნანკინის მთავრობასთან და თავისი მრჩევლების მეშვეობით, გავლენას ახდენდა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კურსზე. ჩინეთში აშშ-ი გამო-დიოდა ქვეყნის ერთიანობის და შიდა კონფლიქტების შეწყ-ვეტის მომხრედ, ცდილობდა რა თავისი გავლენის განმტკიცე-ბას ამ სახელმწიფოში.

შანდუნის დაპყრობის შემდეგ, 30-იანი წლების დასაწყისისთვის, იაპონიამ მთლიანობაში დაასრულა მომზადება მანჯურიის ოკუპაციისთვის, რაც 1931 წელს განახორციელა კიდეც. შეჩრის საბაბად იაპონელებმა გამოიყენეს აფეთქება ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზაზე. მათი ჯარები, განლაგებული სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის გასწვრივ, პრაქტიკულად ამ ინციდენტის მოხდენისთანავე თავს დაესხნენ ქვეყნის მოცემულ რაიონში განლაგებულ ჩინეთის სამხედრო ნაწილებს. მანჯურიის სრულ ოკუპაციას რამდენიმე თვე დასჭირდა. იაპონელებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე 1932 წლის გაზაფხულზე შექმნეს მარიონეტული სახელმწიფო - მანჯოუგო, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო ტოკიოზე. მის სათავეში დააყენეს ჩინეთის ყოფილი იმპერატორი, ჩამოგდებული 1911 წელს.

მსოფლიო საზოგადოების რეაქცია იაპონიის ამგვარ პოლიტიკაზე საკმაოდ თავდაჭერილი, პრაქტიკულად არა ხელისშემშლელი იყო, რაც ხელს უწყობდა იაპონიის წარმატებების განმტკიცებას მანჯურიაში. უფრო მეტი, აშშ-ის პრეზიდენტმა ჰ. ჰუვერმა 1931 წლის ოქტომბერში აღიარა იაპონიის უფლება „ჩინეთში წესრიგის აღდგენაზე“, საფრანგეთის სამხედრო უწყების ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ იაპონიის ჯარების შეჩრა მანჯურიაში გახდება ბარიერი ბოლშევიკების შეჩრის წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში იაპონიის პოლიტიკას დადებითი შეფასება ასევე მისცა ინგლისის ზოგიერთმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ.

რაც შეეხება ერთა ლიგას, აქ აღვნიშნავთ შემდეგს: იაპონიის აგრესიაზე ნანკინის მთავრობის საჩივრის განხილვისას, ის შემოიფარგლა მხოლოდ იმედის გამოთქმით, რომ ეს ორი ქვეყანა თავის ურთიერთობებს მოაწესრიგებსო.

მთლიანობაში ვერსალის სისტემის სახელმწიფო-გარანტებმა მოცემულ შემთხვევაში აჩვენეს თავისი უუნაროობა, დაეცვათ სტატუსკვო შორეულ აღმოსავლეთში და წინააღმდეგობა გაეწიათ იაპონიის ექსპანსიონისტური პოლიტიკისთვის, რომელიც არღვევდა ვერსალის და ვაშინგტონის საერთაშორისო კონფერენციების მიერ დადგენილ ნორმებს. ერთა ლიგამ ასევე აღმოაჩინა, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც შეძლებს ზემოქმედებას საერთაშორისო მდგომარეობაზე არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში დიდმა სახელმწიფოებმა მოახდინეს თავისი ძალისხმევის კონცენტრაცია ჩინეთში თავისი მიზნების მიღწევაზე. ამ მიმართებით განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა აშშ-ი, რომელმაც შეძლო ჩინეთში განმტკიცებულიყო „ღია კარების და თანაბარი შესაძლებლობის“ პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობდა ჩინეთის ბაზარზე თავისუფალი წვდომის შენარჩუნებაში. ამერიკელმა დიპლომატებმა მოილაპარაკეს იაპონიის მთავრობასთან, რომ იმ შემთხვევაში არ ჩაერეოდნენ მანჯურიის მოვლენებში, თუ იაპონიის ექსპანსია არ განვითარდებოდა სამხრეთისკენ. მოგვიანებით, იმის გამო, რომ იაპონიის ხელმძღვანელობამ დაარღვია ეს შეთანხმება, აგრეთვე, იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკულ საზოგადოებაში გაიზარდა იაპონიის საწინააღმდეგო განწყობა, აშშ-ის მთავრობამ 1932 წლის იანვარში განაცხადა: ის არ აღიარებს ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც ზიანს აყენებს აშშ-ის ან მისი მოქალაქეების უფლებებს ჩინეთში. მაგრამ იმავდროულად, ამერიკულმა დიპლომატიამ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ ჩაერევიან იაპონიის მოქმედებებში ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში.

დიდი სახელმწიფოების რეაქცია მანჯურიის მოვლენებზე შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მათი ხელმძღვანელობა იმედო-

ვნებდა სსრკ-იაპონიის კონფლიქტის დაწყებას, რომელიც ხელს შეუწყობდა ორივე მხარის დასუსტებას, მით უმეტეს, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული პრობლემები ამგვარი მოლოდინის ბრწყინვალე საბაბს იძლეოდა. საბჭოთა მთავრობის არაერთი წინადადება ხელი მოეწერათ ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტზე, უარყო იაპონურმა მხარემ. სურდა რა მინიმუმამდე დაეყვანა იაპონიასთან ომის შესაძლებლობა, საბჭოთა მხარემ აპონიას შესთავაზა, ეყიდათ ჩინეთის აღმოსავლეთი რკინიგზა. თითქმის ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 1935 წლის მარტში ეს რკინიგზა გაიყიდა, მისი ფორმალური მფლობელი გახდა მანჯოუგო.

იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, საბჭოთა ხელმძღვანელობამ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა, რათა მოეწესრიგებინა ურთიერთობები ჩან კაიშის მთავრობასთან, დარღვეული 1929 წელს ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზაზე მომხდარი კონფლიქტის დროს. 1939 წლის დეკემბერში აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის; პრაქტიკულად, უმოკლეს ხანში, ამის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა შესთავაზა ჩინეთს დაედოთ ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, მაგრამ მოლაპარაკებები გაჭიანურდა ჩინეთის მიზეზით. საბჭოთა მხარემ ასევე ზომები მიიღო, რათა მოეხდინა ჩინეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევ-ოლუციური მოძრაობის სტიმულირება, რის შედეგი გახდა გამოსვლები შანხაიში, ჩახშობილი იაპონელების მიერ 1932 წლის ზამთარში.

აშშ-ი და დიდი ბრიტანეთი, მიუხედავად შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის პოლიტიკისადმი, მთლიანობაში ხელის არ შეშლის დამოკიდებულებისა, მაინც შეეცადნენ, გაეძლიერებინათ ზეწოლა ტოკიოზე. ორი ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა საზღვაო სწავლება წყნარ ოკეანეში, ერთა ლიგამ კი,

თავის მხრივ, რეკომენდაცია მისცა იაპონიას და ჩინეთს დაეწყოთ მოლაპარაკება მანჯურიის ინციდენტის მოსაგვარებლად.

1932 წლის თებერვალში შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების დეტალური შესწავლისთვის ერთა ლიგამ შექმნა სპეციალური კომისია ლორდ ლიტტონის (დიდი ბრიტანეთი) ხელმძღვანელობით. მუშაობისას კომისია ეწვია იაპონიას, ჩინეთს, მანჯოუ-გოს და იმავე წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა საანგარიშო მოხსენება, რომელიც შეიცავდა რეგიონში შექმნილი ვითარების საკმაოდ რეალისტურ შეფასებას. მოხსენების ავტორები აგრესიისა და მანჯურიის დაპყრობისთვის პასუხისმგებლობას იაპონიას აკისრებდნენ, ამასთან, მასში არ იყო აღიარებული მანჯოუგოს დამოუკიდებლობა. ასევე, კომისიის მოხსენებაში საუბარი იყო იაპონიის განსაკუთრებულ ინტერესებზე მანჯურიაში. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ტერიტორიების მომავალზე საუბრისას, ლიტტონის კომისიამ შესთავაზა კომპრომისული ვარიანტი, რომელსაც, მისი აზრით, უნდა დაეკმაყოფილებინა კონფლიქტის ყველა მონაწილე. მოხსენების შესაბამისად, მანჯურია უნდა ყოფილიყო ინტერნაციონალიზებული, დაყენებული ერთა ლიგის კონტროლქვეშ. იაპონიის და ჩინეთის ჯარები უნდა გასულიყვნენ ამ ტერიტორიიდან, რეგიონში შიდა წესრიგი კი დაეცვა სპეციალურ ჟანდარმერიას, ერთა ლიგის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით.

მოხსენების განხილვას ერთა ლიგის საბჭოებში და კომისიებში არ მოუტანია რაიმე კონკრეტული შედეგი მანჯურიის ინციდენტთან დაკავშირებით. ამ საკითხზე დისკუსიების დროს, იაპონიამ, დაარღვია რა ყველა შეთანხმება, დაიწყო ჩინეთის სიღრმისკენ მოძრაობა მანჯურიისგან სამხრეთი მიმართულებით, სწორედ, იმ დროს დაიკავა რა რიგი პროვინცია პეკინისგან უშუალო სიახლოვეში, როდესაც ნანკინის მთვრობის

ჯარები საბრძოლო მოქმედებებს ეწეოდნენ კომუნისტების მიერ კონტროლირებად რაიონებში. შექმნილ პირობებში 1933 წლის 31 მაისს, ქალაქ ტანგუში ხელი მოეწერა ჩინეთ-იაპონიის შეთანხმებას დაზავების შესახებ, რომელმაც განამტკიცა ჩან კაიშის უარი მანჯურიასა და მისგან სამხრეთით მდებარე ოლქებზე, რომლებიც იაპონიის მიერ იყო ოკუპირებული.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ ჩინეთთან დაზავებამდე რამდენიმე თვით ადრე, იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოსულიყო ერთა ლიგიდან ლიტტონის კომისიის მოხსენების განხილვის ხელახლა დაწყებასთან დაკავშირებით.

ამგვარად, შორეული აღმოსავლეთის 30-იანი წლების მოვლენები, დაწყებული იაპონიის ჯარების მიერ მანჯურიის დაპყრობით და დამთავრებული იაპონიის გამოსვლით ერთა ლიგიდან, ისევე, როგორც ევროპის მოვლენები, მოწმობდნენ, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის დემონტაჟის დაწყებას, რაც უქადდა საერთაშორისო არენაზე ძალთა განლაგების ცვლილებით და ახალი კონფლიქტური სიტუაციების აღმოცენებით.

5. საერთაშორისო ურთიერთობები 1930-ან წლებში. ვერსალის სისტემის დემონტაჟი

ვერსალის სისტემის ჩარჩოებში არსებული კრიზისული მოვლენების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერის, ადოლფ ჰიტლერის სახელთან. ნაციონალ-სოციალისტები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში 1933 წელს მოვიდნენ, თავის უახლოეს ამოცანად თვლიდნენ ყველა იმ შეზღუდვის სრულ

ლიკვიდაციას, რაც გერმანიას დაუწესეს ვერსალის შეთანხმებით, რათა მყარი საფუძველი შეექმნათ ლიდერის მიერ თავის „მაინ კამპფში“ დასახული პროგრამის რეალიზაციისთვის. ახალი ხელმძღვანელობა გერმანიის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისას ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად გეგმავდა ქვეყნის შემადგენლობაში ავსტრიის, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის იმ რაიონების შეყვანას, რომლებიც დასახლებული იყო გერმანელებით. რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, ის უნდა გადაქცეულიყო გერმანიის პროტექტორატად, ამასთან, მისი მომიჯნავე ქვეყნების (საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია) ნაწილი უშუალოდ გერმანიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. გარდა ამისა, აღვნიშნავთ, რომ ნაციონალ-სოციალისტებს სურდათ სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობაც.

ჰიტლერის მთავრობის ერთ-ერთი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი საგარეო პოლიტიკის სფეროში გახდა გერმანიის წარმომადგენლების გამოწვევა განიარაღების საერთაშორისო კონფერენციიდან, აგრეთვე გერმანიის გამოსვლა ერთა ლიგიდ- ან. უნდა აღინიშნოს. რომ ამ მოქმედებებს თან ახლდა აქტიუ-რი, კარგად დაგეგმილი პროპაგანდისტული კამპანია, რომლ- ის მიზანი იყო, დაერწმუნებინა საერთაშორისო საზოგადოებრიობა გერმანიის მშვიდობისმოყვარეობაში, ამ ქვეყნის მისწრაფებაში სხვა სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებისკენ, ასევე, იმაში, რომ გერმანიის სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღდგენა არ გულისხმობს მის გამოყენებას აგრესიული მიზნებით. ის წარმოადგენს მხოლოდ ნაბიჯს, რომელიც აუცილებელია, რათა გერმანიას მიეცეს სხვა სახელწიფოების დარი უფლებები. ამგვარად, იყო დახასიათებული

1935 წლის მარტში გამოქვეყნებული კანონიც გერმანიაში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოღების შესახებ.

გერმანიის უარი, შეესრულებინა ვერსალის სამშვიდობო შეთანხმების მიერ დადგენილი ნორმები, საკმაოდ გულგრილად იქნა აღქმული დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთის და აშშ-ის მთავრობების მიერ, უფრო მეტი, ამ ქვეყნების მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების და დაჯგუფებების წარმომადგენლებმა გავლენა მოახდინეს თავის მთავრობებზე გერმანიასთან შეთანხმების სასარგებლოდ. მათი ძალისხმევის შედეგი გახდა ის, რომ 1935 წლის ივნისში დაიდო ინგლის-გერმანიის შეთანხმება, რომელმაც ფაქტობრივად მოახდინა ლეგალიზება გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარებისა. მის შესაბამისად, გერმანელებმა უფლება მიიღეს, აეგოთ ფლოტი, რომელიც ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საერთო ტონაჟის 35 პროცენტს შეადგენდა. ამრიგად, გერმანიამ მიიღო შესაძლებლობა, შეექმნა ფლოტი, რომელიც თავისი სიდიდით თითქმის უახლოვდებოდა საფრანგეთისას. პარიზმა პროტესტი გამოხატა ამ შეთანხმების გამო, მაგრამ უშედეგოდ.

გერმანიის სამხედრო ძლიერების ზრდას ხელს მნიშვნელოვანწილად უწყობდა ამერიკელი და ინგლისელი მეწარმეების ინვესტიციები მრეწველობის შესაბამის დარგებში, აგრეთვე მის შემადგენლობაში გერმანელების მიერ დასახლებული საარის სამრეწველო რაიონის ჩართვა. ვერსალის შეთანხმების შესაბამისად, საარის ოლქში, რომელსაც 15 წლის განმავლობაში ერთა ლიგა მართავდა, 1935 წლის იანვარში ჩატარდა პლებისციტი რეგიონის მომავლის საკითხზე, რომლის შედეგად, მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი გერმანიასთან შერთებას დაუჭირა. ამრიგად, მოხდა ვერსალის სისტემის კიდევ ერთი ელემენტის ლიკვიდაცია.

გერმანია, ქმნიდა რა ხელსაყრელ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას თავისი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და შეიარაღებული ძალების მშენებლობისთვის, დგამდა გარკვეულ დიპლომატიურ ნაბიჯებსაც, მიმართულს იმ კავშირების სისტემის დაშლაზე, რომლებიც საფრანგეთმა დაამყარა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რათა დაესუსტებინა თავისი ძირითადი მეტოქე, ევროპაში ბატონობისთვის ბრძოლაში. გერმანიამ და პოლონეთმა 1934 წლის იანვარში დადეს შეთანხმება მათ შორის არსებული სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესახებ, რაც მოწმობდა პოლონეთის ხელმძღვანელობის გადახვევას საფრანგეთთან კავშირის გზიდან და მის ორიენტაციას გერმანიაზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლავ აქტიურად ცდილობდნენ ნაციონალ-სოციალისტები ავსტრიის წარმართვას ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირისკენ. 1934 წლის ივლისში ავსტრიის კანცლერი დოლფუსი მოკლეს ავსტრიელმა ფაშისტებმა, მაგრამ ავსტრიის შემოერთების ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა, უმთავრესად იმიტომ, რომ იმ დროს იტალია ჯერ კიდევ არ იყო დაინტერესებული ანშლუსით და მან აქტიური წინააღმდეგობა გაუწია ამგვარ გეგმებს, გასწია რა თავისი ჯარები იტალია-ავსტრიის საზღვრისკენ. შექმნილ ვითარებაში გერმანიას უკანდახევა მოუწია. ანშლუსის უფრო საფუძვლიანი მომზადებისთვის ავსტრიაში ელჩად გაიგზავნა გამოცდილი გერმანელი დიპლომატი ფ. ფონ პაპენი, რომელსაც როგორც ლეგალური, ისე არალეგალური დიპლომატიის სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა.

რაც შეეხება იტალიას - ისიც აქტიურად ავითარებდა ექსპანსიონისტურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, კერძოდ, ცდილობდა რა თავისი გავლენის გავრცელებას ბალკანეთის ნახევარ-

კუნძულზე და, პრაქტიკულად, დუნაის მთელ აუზზე. საფრანგეთის მთავრობამ, შექმნილ ვითარებაში შეწუხებულმა იტალიის საგარეო-პოლიტიკური აქტიურობით, რიგი ღონისძიებები გაატარა რათაის ჩრდილოეთ აფრიკისკენ წარემართა. 1935 წლის იანვარში, პ. ლავალმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მუსოლინისთან ერთად, ხელი მოაწერა რიგ დიპლომატიურ დოკუმენტს, რომლებშიც საუბარი იყო იტალიისადმი საფრანგეთის მხრიდან გაკეთებულ სერიოზულ დათმობებზე აფრიკის კონტინენტზე. მათ შორის იყო იტალიის მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი პრივილეგიების მინიჭება ტუნისში, იტალიისთვის რკინიგზა ჯიბუტი-ადის-აბებას ფრანგული აქციების ნაწილის გადაცემა, ეთიოპიაში იტალიის ეკონომიკური უპირატესობის, და, ამასთან, ამ ქვეყანაში იტალიის სამხედრო შეჭრის უფლების აღიარება.

1935 წლის ზაფხულში რომში მოსალაპარაკებლად ჩამოვ-იდა ინგლისის მინისტრი კოლონიების საკითხებში ე. იდენი, შეშფოთებული იტალიის აქტიურობით ჩრდილოეთ აფრიკაში, ინგლისის სამანდატო ტერიტორიების და პროტექტორატების მეზობლად მახლობელ აღმოსავლეთში. კომპრომისის მიღწევის მისი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა და მან ვერ შეარყია იტალიის ლიდერის გადაწყვეტილება დაეპყრო ეთიოპია. მოკლე ხანში ბრიტანეთის მთავრობამ აკრძალა იარაღის შეტანა იტალიასა და ეთიოპიაში, დააყენა რა ამგვარად ერთნაირ მდგომარეობაში აგრესორიც და მისი მსხვერპლიც, რითაც გაუადვილა იტალიის ჯარებს თავისი ამოცანის შესრულება. ზუსტად ასეთივე რეაქცია ეთიოპიაში იტალიის მოქმედებებზე ჰქონდა აშშ-ის მთავრობას, 1935 წლის აგვისტოში რომ მიიღო კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ, რომლის მიხედვით, სხვადასხვა სახელმწიფოს შორის ომის დაწყების შემთხვევაში ამერიკის პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა, აეკრძალა აშშ-ის შეიარაღებების და სამხედრო მასალების ექსპორტი მეომარ ქვეყნებში. ინგლისის და აშშ-ს მთავრობების მოქმედებებს მსოფლიო არენაზე ფაქტობრივად ნოლამდე დაყავდათ უსაფრთხოების ისედაც ეფემერული გარანტიები, გათვალისწინებული ბრიან-კელოგის პაქტით. 1935 წლის 3 ოქტომბერს იტალიის ჯარები შეიჭრა ეთიოპიაში. 5-ში კი აშშ-მ, ზემოთმოყვანილი კანონის შესაბამისად, გამოაცხადა როგორც იტალიის, ისე ეთიოპიისთვის იარაღის მიყიდვის აკრძალვის შესახებ.

ეთიოპიის დასაცავად გამოვიდა ერთა ლიგა, რომელმაც იტალია აგრესორად გამოაცხადა და ყველა თავის წევრს დაავალა მის მიმართ გამოეყენებინა სანქციები, გათვალისწინებული მოცემული ორგანიზაციის წესდების შესაბამისი მუხლით. ლიგის ყველა წევრს ევალებოდა, გაეწყვიტა იტალიასთან ყველა სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობები. მაგრამ სანქციები არათანმიმდევრულად გამოიყენეს, რამაც ფაქტობრივად მინიმუმამდე დაიყვანა მათი მნიშვნელობა: იმ მასალების ჩამონათვალში, რომელთა ექსპორტი იტალიაში, სავარაუდოდ, უნდა შეწყვეტილიყო, არ იყო შეტანილი ნავთობი; დიდმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა დაეხურა სუეცის არხი იტალიის ფლოტისთვის და ა. შ. როდესაც ერთა ლიგის ხელმძღვანელ ორგანოებში მაინც დადგა საკითხი იტალიის მიმართ სანქციების გამკაცრების შესახებ, ის დაბლოკეს ინგლისელმა და ფრანგმა დიპლომატებმა. უფრო მეტი, 1935 წლის დეკემბერში ამ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა პარიზში ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას იტალია-ეთიოპიის ომში ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ. მთლიანობაში კი, აღნიშნული შუამავლობა დაიყვანეს ცდამდე დაერწმუნებინათ ეთიოპია, რათა გადაეცა იტალიისთვის თავისი ტერიტორიის მნიშვ-

ნელოვანი ნაწილი. იტალიამ ეთიოპია საბოლოოდ დაიპყრო 1936 წელს.

ვითარებამ, შექმნილმა ეთიოპიის ირგვლივ, კიდევ ერთხელ აშკარად აჩვენა საერთაშორისო არენაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსებული ინსტრუმენტების არაეფექტურობა. ვერსალის სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბებული საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის კიდევ ერთი გამოცდა გახდა სამოქალაქო ომი ესპანეთში, რომლის მსვლელობისას ასევე გამოიკვეთა გერმანიისა და იტალიის აგრესიული მისწრაფებები, აგრეთვე ვერსალის სისტემის გარანტ-სახელმწიფო-თა უუნარობა უზრუნველეყოთ სტაბილურობა ევროპაში.

ესპანეთის მოვლენებში გერმანიის და იტალიის ჩარევის საკითხი მეამბოხე ესპანელმა გენერლებმა ჯერ კიდევ ფრანკისტების გადატრიალებამდე დააყენეს. ამბოხების მომზადების ეტაპზე ესპანელმა გენერლებმა შეძლეს, მოეპოვებინათ ნაცისტების პარტიული ხელმძღვანელობის მორალურ-პოლიტიკური მხარდაჭერა; იმავე დროს ცხადი იყო, რომ ეს მხარდაჭერა უნდა განხორციელებულიყო არა გერმანიის ოფიციალური სახელმწიფო დაწესებულების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხედრო სამინისტრო და სხვ.) მეშვეობით, არამედ დაზვერვის და საზღვარგარეთ არსებული ნაცისტური ორგანიზაციების არხებით.

1936 წლის 25 ივლისს ჰიტლერთან შედგა პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელების თათბირი, რომელზეც გადაწყდა, დახმარება გაეწიათ ფრანკოსთვის. თათბირის მონაწილეთა აზრით, გერმანიის ჩარევას ესპანეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეიარაღების ახალი სახეობების გამოცდისთვის, აგრეთვე ვერმახტის ზოგიერთი ტაქტიკური დებულების აპრობაციისთვის. გერმანიის სამხედრო დაზვერვის უფროსი, ადმირალი კანარისი თათბირის დასრულებისთანავე, რომში გაემგზავრა, რათა ზეწოლა მოეხდინა მუსოლინიზე ფრანკოსთვის დახმარების გაწევის საკითხში. კანარისის, იტალიის დაზვერვის ხელმძღვანელის როატტის და ფრანკოს ემისრების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა იტალიელი ლიდერის დარწმუნება, რომ აუცილებელია ჩარევა ესპანეთის მოვლენებში.

ამასობაში, პირენეის ნახევარკუნძულზე შექმნილი ვითარების შესასწავლად გერმანიაში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის ამოცანებში შედიოდა დახმარების მასშტაბების და მისი შესაძლო შედეგების განსაზღვრა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ გერმანიის და იტალიის ხელმძღვანელები ესპანეთის კონფლიქტში ჩარევის ესკალაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს მისდევდნენ: 1. პირენეის ნახევარკუნძულზე ხელისუფლების სათავეში მოეყვანათ მათ მიმართ მეგობრულად განწყობილი ავტორიტარული რეჟიმი, რაც მნიშვნელოვნად გაართულებდა მდგომარეობას საფრანგეთისა, რომელიც ევროპაში მასშტაბური კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში ერთდროულად ორ ფრონტზე მებრძოლი ქვეყნის ვარდებოდა; 2. დაეწესებინათ კონტროლი ჰიბრალტარის სრუტეზე, რაც ინგლისსა და საფრანგეთს ართმევდა იმ სტრატეგიულ კომუნიკაციებთან წვდომის საშუალებას, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდნენ მათ აზიურ და აფრიკულ კოლონიურ სამფლობელოებს. ფაშისტურ სახელმწიფოებს ესპანეთში გარკვეული ეკონომიკური ინტერესებიც გააჩნდათ, რამეთუ ისინი ამ ქვეყანას განიხილავდნენ, როგორც კაპიტალის დაბანდების შესაძლო სფეროს, აგრეთვე, როგორც სტრატეგიული რესურსების, მაგალითად, სპილენძის, წყაროს.

აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას, რომელმაც უბიძგა გერმანიას ესპანეთის საქმეებში ჩარევისკენ - ეს საშუალებას იძლეოდა გარკვეული ყოფილიყო ინგლისისა და საფრანგეთის დამოკიდებულება ევროპაში ფაშისტური ექსპანსიის მიმართ. ესპანეთის საქმეებში ჩარევა გახდა გარკვეული დამატება გერმანიის ჯარების მიერ დემილიტარიზებული რაინის ოლქის ოკუპაციისა (1936 წლის მარტი), რომელმაც მხოლოდ კონსტატაციის ხასიათის რეზოლუცია გამოიწვია ერთა ლიგის მხრიდან და რომელიც ამ ქმედებას გმობდა, როგორც იურიდიულად არამართებულს.

რიგი მკვლევარის აზრით, სამოქალაქო ომი ესპანეთში დიდი წარმატება გახდა ჰიტლერისთვის, რომელსაც ამ ვითარებაში (დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დიდ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობების გაძლიერების გამოყენებით) შეეძლო მოეხდინა თავისი არმიის გადაიარაღება. ამიტომ, გერმანიის ინტერესებში იყო არა ფრანკოს და მისი მომხრეების სწრაფი გამარჯვების უზრუნველყოფა, არამედ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ყურადღების ხანგრძლივი დროით მიპყრობა პირენეის ნახევარკუნძულის მოვლენებზე. გერმანიას უნდა ეზრუნა, რომ ფრანკო არ დამარცხებულიყო, იმავდროულად კი დახმარების ძირითადი სიმძიმე იტალიას აეღო თავისთავზე, მით უმეტეს, რომ რაც უფრო ღრმად ეფლობოდა იტალია ესპანეთის პრობლემის გადაჭრაში, მით უფრო რთულდებოდა მისი ურთიერთობები საფრანგეთსა და ინგლისთან, და მით უფრო სწრაფად მიდიოდა გერმანიის და იტალიის დაახლოების პროცესი, დაწყებული უკვე ეთიოპიაში ომისას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობა, ჰიტლერის და მუსოლინის ანალოგიურად, დაყენებული იყო აუცილებლობის წინაშე, განესაზღვრა თავისი

პოზიცია ესპანეთის მოვლენების მიმართ, თავისი ამა თუ იმ ნაბიჯის ყველა შედეგის აწონ-დაწონით, როგორც საგარეო-პოლიტიკური სარგებლის, ისე ინგლისის თუ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით.

ბრიტანეთის კონსერვატორული მთავრობა, მიუხედავად თავისი გარკვეული სიმპათიისა ფრანკისტების მიმართ, ცდილობდა, გაეტარებინა ნეიტრალური პოლიტიკა, თანაბრად დაშორებული როგორც რესპუბლიკელების, ისე ფრანკისტებისგან.

საფრანგეთში, სადაც ხელისუფლების სათავეში სახალხო ფრონტის მთავრობა იყო, ვითარება რამდენადმე უფრო რთული იყო, რადგან სახალხო ფრონტის ლიდერებმა თავის ერთერთ ძირითად მიზნად საგარეო-პოლიტიკურ სფეროში გამოაცხადეს ანტიფაშისტური ძალების მხარდაჭერა და წინააღმდეგობის გაწევა ევროპის ქვეყნებში დემოკრატიული რეჟიმების ძალისმიერი ჩამოგდებისთვის. და აქედან გამომდინარე, იძულებული იყვნენ წარემართათ თავისი პოლიტიკა საერთაშორისო არენაზე. სოციალისტებს და რადიკალ-სოციალისტებს, რომლებიც შედიოდნენ საფრანგეთის მთავრობაში, არ ჰქონდათ ილუზიები იმის მიმართ, თუ რა შეადგენდა ესპანეთის კონფლიქტში გერმანია-იტალიის ჩარევის ჭეშმარიტ მიზნებს, და რას უქადდა ეს ყველაფერი მათი ქვეყნის უსაფრთხოებას, ამიტომ იყო, რომ მთავრობა ამბოხების პირველ დღეებში, მზად იყო მიეღო გადაწყვეტილება ესპანეთის რესპუბლიკისთვის იარაღის მიყიდვის შესახებ. სახალხო ფრონტის მთავრობის ამგვარმა პოზიციამ გამოიწვია ნეგატიური რეაქცია როგორც ფრანგი მემარჯვენეების, ისე რომის, ბერლინის და ლონდონის მმართველი წრეების მხრიდან. შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ბრიტანეთის კონსერვატორული მთავრობის პოზიციამ. 23 ივლისს ლ. ბლუ-მი და საფრანგეთის საგარეო

საქმეთა მინისტრი ი. დელბოსი ჩამოვიდნენ ლონდონში, რათა მონაწილეობა მიეღოთ საერ-თაშორისო კონფერენციაში, რომლის მთავარი საკითხი იყო მდგომარეობა ესპანეთში. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბოლდუინმა ხანგრძლივი მოლაპარაკება გამართა ფრანგებთან, რომლის მსვლელობისას დაარწმუნა ისინი, რომ აუცილებელია მიიღონ ესპანეთის კონფლიქტში ჩაურევლობის პოლიტიკა და გამოვიდნენ შესაბამისი შეთანხმების ინიციატორებად. ლ. ბლუმის პოზიციის შეცვლა გახდა შედეგი მისი შიშისა, რომ ბრიტანეთი წავა გერმანიასთან და იტალიასთან თანამშრომლობაზე და საფრანგეთს მარტოდ დატოვებს შესაძლო ომის დროს.

პარიზში დაბრუნების შემდეგ, 1936 წლის 2 აგვისტოს, მთავრობის სხდომაზე, საფრანგეთის ლიდერმა განაცხადა, რომ შეიცვალა მისი პოზიცია ესპანეთის საკითხთან დაკავშირებით. ბრიტანეთის ხელმძღვანელობის აზრის დამოწმებით, მან შემლო კაბინეტის სხვა წევრების დარწმუნება და მათ მიიღეს გადაწყვეტილება, არ ჩარეულიყვნენ ესპანეთის საქმეებში და გამოსულიყვნენ ინიციატივით, ხელი მოწერილიყო საერთაშორისო შეთანხმებაზე ჩაურევლობის შესახებ. 8 აგვისტოს, მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ესპანეთში იარაღის ნებისმიერი მიწოდების აკრძალვის შესახებ. ეს გადაწყვეტილება თანაბარ უფლებებს ანიჭებდა ესპანეთის მთავრობას და მეამბოხეებს და, შესაბამისად, არღვევდა საფრანგეთის საერთაშორისო ვალდებულებებს.

ჩაურევლობის შესახებ შეთანხმების თავდაპირველი პროექტი, შემუშავებული საფრანგეთის მიერ, ითვალისწინებდა მის ხელმოწერას ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის მიერ და შემდგომ, მასზე სსრკ-ს მიერთებას. ეს დოკუმენტი მთლიანობაში ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის

იმ დროს არსებულ ნორმებს, რომლებიც კრძალავდნენ, მეამბოხეებისთვის იარაღის, სამხედრო მასალების, ფინანსური დახმარების მიწოდებას და მომიჯნავე ქვეყნების ტერიტორიების დათმობას ტვირთების ბაზირებისა და ტრანსპორტირებისთვის.

საფრანგეთის მთავრობის ინტენსიური საქმიანობა წარმატებით დასრულდა 1936 წლის აგვისტოს ბოლოსთვის. მოლაპარაკების მსვლელობისას გადაწყდა, მოეწვიათ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის ევროპის ყველა ქვეყანა და გაეფორმებინათ ეს როგორც დიპლომატიური ნოტების გაცვლა საფრანგეთსა და ევროპის ყველა ქვეყანას შორის (ცალ-ცალკე). ნოტების პირველი გაცვლა - საფრანგეთსა და ინგლისს შორის - მოხდა 1936 წლის 15 აგვისტოს, უკანასკნელი - საფრანგეთსა და გერმანიას შორის - 24 აგვისტოს. იმავე დღეს შეთანხმებამ კანონიერი ძალა შეიძინა.

სსრ კავშირი შეთანხმებას 1936 წლის 23 აგვისტოს შეუერთდა. იმ პერიოდში სსრკ-ი, აწერდა რა ხელს მოცემულ შეთანხმებას, ძირითადად ხელმძღვანელობდა მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებით, რამეთუ ნებისმიერი, თუნდაც ლოკალური სამხედრო კონფლიქტი შექმნილ პირობებში, საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული სისტემის ფარგლებში, მსოფლიო ომში გადაზრდით იმუქრებოდა. ამ პოზიციის ახსნისას, მ. ლიტვინოვმა თავის გამოსვლაში ერთა ლიგის პლენუმზე 1936 წლის 28 სექტემბერს განაცხადა: „საბჭოთა მთავრობა მხოლოდ იმიტომ შეუერთდა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის დეკლარაციას, რომ მეგობარ ქვეყანას (საფრანგეთს, მთარმგ.), წინააღმდეგ შემთხვევაში ეშინოდა საერთაშორისო კონფლიქტისა“.

ესპანეთის პრობლემის განხილვაში არაევროპული ქვეყ-ნებიდან ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლათინური

ამერიკის ქვეყნებმა, აგრეთვე აშშ-მ და კანადამ, თანაც განხეთქილება საზოგადოებრივი აზრისა აქ სახელმწიფო დონეზეც გამოვლინდა. მექსიკის დემოკრატიული მთავრობა დასაწყისიდანვე მხარს რესპუბლიკელებს უჭერდა, უწევდა რა მათ შესაძლო სამხედრო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ დახმარებას და ეს მაშინ, როდესაც არგენტინის, ბრაზილიის, ჩილეს, და კანადის კონსერვატორთა მთავრობები ფრანკოს მხარეზე იყვნენ.

რაც შეეხება აშშ-ს, აქ იზოლაციის მომხრეებმა მიაღწიეს ესპანეთზე ნეიტრალიტეტის შესახებ კანონის გავრცელებას, რომლის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოებს შორის ომის შემთხვევაში ამერიკის მოქალაქეებს ეკრძალებოდათ იარაღის მიწოდება და სხვა სახის დახმარების გაწევა მეომარი მხარეებისთვის, თუმცა ფორმალურად ეს კანონი სამოქალაქო ომებზე არ ვრცელდებოდა.

ცხოვრებაში ჩაურევლობის შესახებ შეთანხმების გატარებისთვის, შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ლონდონში აკრედიტებული ევროპული სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლები. კომიტეტს სათავეში ედგა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლორდი პლიმუტი. კომიტეტს არ გააჩნდა კონტროლის რაიმე რეალური ფუნქცია, არ შეეძლო ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფუნქციების გატარება შესაძლო დამრღვევებისთვის. ბერლინში ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული აცნობებდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ეს კომიტეტი ინგლისის ხელმძღვანელობის მიერ განიხილება არა როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანო, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, არამედ, როგორც დაინტერესებული ქვეყნების ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დიპ-

ლომატიური წარმომადგენლების გაერთიანებას კონტროლის ფუნქციის და ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების უფლების გარეშე. ასეთი კომიტეტი, როგორც გარკვეული საფარი, ძლიერ აწყობდა გერმანიისა და იტალიის ხელმძღვანელობას, რასაც მოწმობს საიდუმლო ინსტრუქცია, რომელიც იტალიის მთავრობამ გაუგზავნა თავის წარმომადგენელს ლონდონში იმის მითითებით, რომ აუცილებელია, გაკეთდეს ყველაფერი, რათა კომიტეტის საქმიანობას მიეცეს „პლატონური“ ხასიათი და მისი ყურადღება გადატანილი იქნას იმ სხვადასხვა ხმის განხილვაზე, რომელიც შეეხებოდა რესპუბლიკელებისადმი ლოიალურად განწყობილი მთავრობების მიერ ჩაურევლობის პოლიტიკის დარღვევას.

მთლიანობაში კი, ევროპული სახელმწიფოების ამ პერიოდის მოქმედებები საერთაშორისო არენაზე, რომლებიც ხელს უწყობდნენ მეამბოხეთა გამარჯვებას და ესპანეთში ფრანკოს დიქტატურის დამყარებას, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების არასრულყოფილების მორიგ დადასტურებად იქცა.

იტალიელთა წარმატებამ ეთიოპიაში, აგრეთვე გერმანიისა და იტალიის მიერ აქტიურად მხარდაჭერილ ფრანკოს მომხრეთა წარმატებებმა ესპანეთში, სტიმული მისცეს იმ სახელმწიფოთა ბლოკის ფორმირებას, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ვერსალის სისტემის დემონტაჟით. ამგვარი ბლოკის ჩამოყალიბება დაიწყო 1936 წლის ოქტომბერში, როდესაც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ჩიანო ვიზიტით ჩავიდა ბერლინში; იქ შემდგარი მოლაპარაკებების შედეგად, ხელი მოეწერა იტალია-გერმანიის ოქმს თანამშრომლობის შესახებ. მხარეებმა მოილაპარაკეს ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და დუნაის აუზში ექსპანსიის სფეროების გამიჯვნის შესახებ, აგრეთვე, მოახდი-

ნეს ესპანეთის მიმართ თავისი მოქმედებების კოორდინაცია. ამავე ოქმით, გერმანიამ ოფიციალურად აღიარა იტალიის ჯარების მიერ ეთიოპიის ოკუპაცია.

მოცემული ბლოკის გაფართოებას ხელი შეუწყო შიდაპოლიტიკურმა პროცესებმა იაპონიაში, სადაც 1936 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ხიროტას უკიდურესად მემარჯვენე კაბინეტი, რომელმაც თავისი პროგრამის ერთ-ერთ პუნქტად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იაპონიის ექსპანსიის გაფართოება გამოაცხადა. 1936 წლის 25 ნოემბერს გერმანიამ და იაპონიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კომუნისტური ინტერნაციონალისთვის ერთობლივი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, ლიტერატურაში ცნობილს, როგორც კომინტერნის საწინააღმდეგო პაქტი. მისი მონაწილენი ვალდებულნი იყვნენ, ერთმანეთისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია კომინტერნის საქმიანობის შესახებ და ერთობლივად ებრძოლათ მის წინააღმდეგ. პაქტი ღია იყო სხვა დაინტერესებული ქვეყნებისთვისაც. მის საიდუმლო დანართში ნათქვამი იყო, რომ ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის ომის შემთხვევაში სსრკ-ს წინააღმდეგ, მეორე მონაწილე ვალდებული იყო არ წამოეწყო რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეეძლო შეემსუბუქებინა საბჭოთა სახელმწიფოს მდგომარეობა. 1937 წლის 7 ნოემბერს კომინტერნის საწინააღმდეგო პაქტს შემოუერთდა იტალია. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პაქტი ფორმალურად მიმართული იყო სსრ კავშირის და თვით პაქტის მონაწილე ქვეყნების მემარცხენე ორიენტაციის პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ, არსებული მსოფლიო წესრიგის შეცვლაში დაინტერესებული სახელმწიფოების გაერთიანება ფაქტობრივად წარმოადგენდა მუქარას ვერსალის სისტემის სტაბილურობის გარანტ-ქვეყნებისთვისაც.

ყველაზე აქტიური მოქმედებები ამ სფეროში წამოიწყო იაპონიამ, რომელმაც 1936 წელს ჩამოაყალიბა შემდგომი ექსპანსიის პროგრამის ძირითადი პუნქტები, მოწონებული მთავრობის მიერ. ისინი ითვალისწინებდნენ იაპონიის გავლენის შეღწევას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ დასავლეთის ქვეყნების კოლონიებსა და პროტექტორატებს. ამ მიზნის მისაღწევად ნავარაუდევი იყო იაპონიის ფლოტის გაძლიერება და წყნარი ოკეანის აუზის სხვა სახელმწიფოების, მათ შორის აშშ-ის, ფლოტებზე უპირატესობის უზრუნველყოფა. საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის საზღვარზე იაპონიის სამხედრო დაჯგუფების გაზრდის მეოხებით ვარაუდობდნენ აგრეთვე „მუქარის ლიკვიდაცია“-ს ჩრდილოეთიდან, სსრ კავშირის მხრიდან. იწყებდნენ რა მოცემული პროგრამის შესრულებას, იაპონიის ჯარებმა 1937 წლის 7 ივლისს დაიწყეს შეტევა ჩინეთში და, დაიპყრეს რა ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწი-ლის უმსხვილესი ცენტრები, დაიძრნენ მის ცენტრისკენ.

იაპონიის ამგვარმა მოქმედებებმა სერიოზული მუქარა შეუქმნეს სხვა სახელმწიფოების ინტერესებს შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში, მაგრამ დაინტერესებული ქვეყნები არ ეწინააღმდეგებოდნენ იაპონიის გეგმების შესრულებას, უფრო მეტი, განაგრძნობდნენ ამ ქვეყანაში სამხედრო მასალების ექსპორტს. თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ იაპონია და ჩინეთი, რომელთა შორის მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, ერთმანეთს ომს არ უცხადებდნენ, აშშ-მ იმისთვის გამოიყენა, რათა ამ კონფლიქტზე არ გაევრცელებინა ზემოთ დასახელებული კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ.

1937 წელს გერმანიაც ააქტიურებს თავის ექსპანსიონისტურ ძალისხმევას, იღებს რა ზომებს ავსტრიის შემოერთებაზე მიმართული მომზადების ფორსირებისთვის. ქვეყნის ხელმძღვანე-

ლობამ ჩაატარა შესაბამისი დიპლომატიური მომზადება: 1937 წლის სექტემბერში ბერლინში შედგა მოლაპარაკება ჰიტლერსა და მუსოლინის შორის, რომლის მსვლელობისას იტალიის ლიდერი დათანხმდა გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსზე. რამდენიმე ხნის შემდეგ, შედგა ჰიტლერის შეხვედრა ინგლისის წარმომადგენელ ჰალიფაქსთან, ამ უკანასკნელმა ჰიტლერს მიახვედრა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა გარკვეულ პირობებში არ იქნებოდა წინააღმდეგი გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსისა და ჩეხოსლოვაკიის და დანციგის დაპყრობისაც კი.

გერმანიის ხელმძღვანელობამ, გამოიყენა რა შექმნილი ხელსაყრელი პირობები, დაიწყო თავისი გეგმების განხორციელება. ჰიტლერმა წაუყენა რიგი მოთხოვნა ავსტრიის მთავრობას და ფაქტობრივად ისე, რომ არც კი დალოდებია მათ შესრულებას, 1938 წლის 12 მარტს მისცა სანქცია ამ ქვეყანაში გერმანიის ჯარების შეჭრას. მეორე დღეს, ავსტრიის ახალმა კანცლერმა, ნაციზმის მიმდევარმა, გამოაცხადა ავსტრიის შემოერთება გერმანიასთან.

ამას ფაქტობრივად დაუჭირეს მხარი აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის მმართველმა წრეებმა, რომლებმაც 1938 წლის აპრილში მოახდინეს ვენაში არსებული მათი დიპლომატიური წარმომადგენლობების ლიკვიდაცია, აღიარეს რა დეფაქტო ევროპის პოლიტიკური კარტის ცვლილება.

ამრიგად, 1938 წლის შუახანებისთვის, საერთაშორისო ურთიერთობებში მოხდა არსებითი ცვლილებები, რომლებიც ფაქტობრივად მოწმობდნენ, რომ მსოფლიო მოწყობის ვერსალის სისტემის გარანტ-სახელმწიფოები უარს ამბობდნენ შეენარჩუნებინათ მსოფლიო არენაზე არსებული სტატუსკვო.

ვერსალის სისტემის ჩარჩოებში კრიზისული პროცესების განვითარებამ შემდგომი ცვლილებები გამოიწვია მსოფლიო არ-

ენაზე ძალთა განლაგებაში და, შესაბამისად, ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიების საზღვრების შეცვლა.

ავსტრიის ანშლუსის შემდეგ, რომელსაც არ გამოუწვევია ნეგატიური რეაქცია მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან, გერმანიის ხელმძღვანელობამ დაიწყო თავის სახელმწიფოზე ჩეხოსლოვაკიის რიგი იმ ტერიტორიების შემოერთება, რომლებიც ეთნიკური გერმანელებით იყო დასახლებული (სუდეტის ოლქი). ბერლინის აქტიური დახმარების შედეგად, სუდეტისა ოლქში შეიქმნა სუდეტ-გერმანული პარტია, რომელიც ჯერ მოითხოვდა სუდეტის ავტონომიას, შემდეგ კი ამ ტერიტორიის საერთოდ გამოყოფას ჩეხოსლოვაკიისგან.

ჩეხოსლოვაკიაში პროგერმანული „მეხუთე კოლონის“ მოქმედებებს დაემატა მოქმედებები გერმანიის არმიისა, რომლის ნაწილები გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვართან წამოწეული იყო. ჩეხოსლოვაკიისა მთავრობამ რიგი ზომა გაატარა შესაძლო აგრესიის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ამ ქვეყნის შეზღუდული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალი არ აძლევდა მას შესაძლებლობას მარტოდ დაპირისპირებოდა გერმანიას, ჩეხოსლოვაკიის მოკავშირეთა უმრავლესობა კი, მათ შორის საფრანგეთიც, უარს ამბობდა მისთვის დახმარების გაწევაზე გერმანიის მხრიდან ჯარების თავდასხმის შემთხვევაში. უფრო მეტი, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს და საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლები პრაღაში ურჩევდნენ ე. ბენეშის მთავრობას წასულიყო გერმანიის მიმართ დათმობებზე და მიეღო სუდეტის გერმანელების მოთხოვნები, როგორც მომავალი მოლაპარაკებების საფუძველი. ამრიგად, დასავლეთის ქვეყნების სამთავრობო წრეები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ სუდეტის კრიზისი, რათა მიექციათ გერმანიის ფაშისტური ხელმძღვანელობის ყურადღება ექსპანსიის აღმოსავლეთ მიმარ-

თულებაზე და ამით დაეცვათ თავისი საზღვრები. ევროპის და ამერიკის დიპლომატიის ამ მოქმედებებმა საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში მიიღეს „აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკის“ სახელწოდება. ევროპაში აგრესორის დაშოშმინებისკენ ყველაზე მეტად მიისწრაფოდა დიდი ბრიტანეთი. ნ. ჩემბერლენის კაბინეტი, როგორც ჩანს, ვარაუდობდა, რომ ბრიტანეთის დიპლომატიის მოქნილობა და დამთმობლობა სუდეტის საკითხში ხელს შეუწყობს ინგლის-გერმანიის ურთიერთობათა დარეგულირებას და ორ ქვეყანას შორის კოლონიურ სფე-როში მეტოქეობის შესუსტებას. ამ მიზნით, 1938 წლის აგვისტოში, პრაღაში გაგზავნეს ინგლისის წარმომადგენელი ლორდი რენსიმენი. რომელსაც შესაბამისი გავლენა უნდა მოეხდინა ჩეხოსლოვაკიის ლიდერზე. ამავე მიზნით პრაღაში ჩამოვიდა აშშ-ს მისიაც. ამერიკული და ინგლისური მისიების მოქმედებები შეთანხმებული იყო გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყებებთან. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ნ. ჩემბერლენი, რომელმაც არასაკმარისად ჩათვალა მოქმედებათა კოორდინაცია საგარეო საქმეთა სამინისტროების დონეზე, 1938 წლის 15 სექტემბერს პირადად შეხვდა ა. ჰიტლერს. ამ შეხვედრაზე გერმანიის ფიურერმა მიიღო ინგლისის საბოლოო თანხმობა რეიხისთვის სუდეტების ოლქის გადაცემაზე.

საფრანგეთის დიპლომატია მიემართებოდა ინგლისის საგარეო პოლიტიკის კვალად, და რამდენიმე დღის შემდეგ, საფრანგეთმა აცნობა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობას, რომ უარს ამბობს თავის სამოკავშირეო ვალდებულებებზე, რომლებიც მან თავისთავზე აიღო 1935 წლის საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმებიდან გამომდინარე. 1938 წლის 20 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის საკითხი განიხილებოდა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირზე, რომელზეც შემუ-

შავდა ინგლის-საფრანგეთის წინადადებები ჩეხოსლოვაკიისადმი, რომლებიც ითვალისწინებდნენ გერმანიისთვის ჩეხოსლოვაკიის იმ ტერიტორიების გადაცემას, უპირატესად რომ გერმანელებით იყო დასახლებული. ამ წინადადებების შესაბამისად, დასავლეთის ქვეყნები თანახმა იყვნენ გამხდარიყვნენ ამ გადანაწილების შემდეგ ჩამოყალიბებული ჩეხოსლოვაკიის საზღვრების გარანტები. მაგრამ ამ გარანტიების ძირითადი პირობა უნდა გამხდარიყო ამ ქვეყნის უარი სხვა ქვეყნებთან, პირველ რიგში სსრ კავშირთან, ხელმოწერილი შეთანხმებების პირობების შესრულებაზე.

რაც შეეხება სსრკ-ს, მისი ხელმძღვანელობა სრულიად სამართლიანად განიხილავდა დასავლეთის ქვეყნების მანევრებს, დაკავშირებულს სუდეტის საკითხთან, როგორც მუქარას თავისი უსაფრთხოებისთვის და, აქედან გამომდინარე, აგებდა თავის ქცევას საერთაშორისო არენაზე. რამდენიმეჯერ 1938 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელმძღვანელობის მაღალი დონის წარმომადგენლებმა, ჩეხოსლოვაკიის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე გააკეთეს განცხადება, რომ მზად არიან შეასრულონ ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ 1935 წლის შეთანხმებიდან მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ და მიმართული არის ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფაზე. ამასთან, სსრკ-ის ხელმძღვანელობა მზად იყო წასულიყო შეთანხმების პირობების ცალმხრივად შესრულებაზე ისე, რომ არც დაელოდებოდა საფრანგეთის შესაბამის მოქმედებებს.

მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ლიდერმა ე. ბენეშმა, რომელსაც, როგორც ჩანს, არ სურდა დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაფუჭება, უარი განაცხადა დახმარებაზე სსრ კავშირის

მხრიდან. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კი, თავის მხრივ, განაგრძნობდნენ აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკას, რამაც გამოიწვია ჩეხოსლოვაკიის მიმართ გერმანიის ტერიტორიული პრეტენზიების გაფართოება და ასევე მოთოვნების დაყენება უნგრეთის და პოლონეთის მხრიდან (ცხადია, რომ პოლონეთის და უნგრეთის მთავრობების ეს ნაბიჯი შეთანხმებული იყო გერმანიის ხელმძღვანელობასთან). შექმნილ ვითარებაში, საბჭოთა კავშირმა, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა უსაფრთხოების არსებული სისტემა, გარკვეულწილად მის ინტერესებსაც რომ უზრუნველყოფდა ევროპაში, პოლონეთის მთავრობას განუცხადა თავდაუსხმელობის შესახებ (1932 წ.) პოლონეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის შესაძლო დენონსაციის შესახებ, თუ პოლონეთის პრეტენზიები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მიმართ შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზრდებოდა. უფრო მეტი, საბჭოთა ხელმძღვანელობამ, გამომდინარე ევროპაში სამხედრო კონფლიქტის შესაძლო დაწყებიდან, მიიღო გადაწყვეტილება საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანა სამხედრო ნაწილები, განლაგებული ქვეყნის დასავლეთ საზღვარზე. გარდა ამისა, 1938 წლის სექტემბერში სსრკ-ის ხელმძღვანელობამ წამოაყენა წინადადება, მოეწვიათ საერთაშო-რისო კონფერენცია სუდეტების კრიზისის გადასაწყვეტად.

მოწოდებით, მშვიდობიანად გადაეწყვიტათ მოცემული პრო-0ბლემა, გამოვიდა აშშ-ის პრეზიდენტი ფ. რუზველტიც, მაგრამ მისი მიმართვა ჰიტლერისადმი ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, ჩათვალა თავისი საქმიანობის ფარულ მხარდაჭერად.

სუდეტების პრობლემა საბოლოოდ გერმანიის სასარგებლოდ გადაწყდა 1939 წლის 30 სექტემბერს მიუნხენში ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის მთავრობათა მეთაურების შეხვედრის დროს. მის მსვლელობისას, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის შესაბამისად, პრაღას 1938 წლის 10 ოქტომბრამდე უნდა გადაეცა გერმანიისთვის სუდეტის ოლქი, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ის კარგავდა თავისი ტერიტორიის, მოსახლეობის, სამრეწველო საწარმოების (მათ შორის, თავდაცვითი მნიშვნელობის) და სამხედრო ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს. ჩეხოსლოვაკის მთავრობამ ეს პირობები მიიღო.

აღნიშნული შეთანხმების გარდა, 1938 წლის 30 სექტემბერს ხელი მოეწერა ინგლის-გერმანიის დეკლარაციასაც, რომელიც ითვალისწინებდა კონსულტაციებს ხელმომწერ მხარეებს შორის ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის ყველა სადავო საკითხზე. მოგვიანებით, ასევე, ხელი მოეწერა ანალოგიურ შეთანხმებას საფრანგეთ-გერმანიას შორის. ბრიტანეთის და საფრანგეთის ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი დოკუმენტების ხელმოწერა ხელს შეუწყობდა წარმოქმნილი საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტას, და ამრიგად, თავიდან აცილებული იქნებოდა მათი გადაზრდა ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და გერმანიას შორის.

1939 წლის 15 მარტს ინგლისის და საფრანგეთის მოლოდინის საპირისპიროდ, გერმანიამ დაარღვია მიუნხენის შეთანხმება, შეიყვანა რა ჯარები ჩეხიისა და მორავიის ტერიტორიაზე და გამოაცხადა დაკავებული ტერიტორიები გერმანიის პროტექტორატად; ამაზე ცოტა ხნით ადრე, გერმანიამ მოახდინა სლოვაკიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების ინსპირირება. მოგვიანებით, მარტის 20-იან რიცხვებში, გერმანიის მთავრობამ პოლონეთისგან მოითხოვა დათანხმებულიყო მესამე რაიხისთვის გდანსკის გადაცემას და შეიყვანა თავისი ჯარები ლიტვის ზოგიერთ რაიონში. სულ მცირე ხნის შემდეგ, 1939

წლის აპრილში, გერმანიის მოკავშირე იტალიამ მოახდინა ალბანეთის ოკუპაცია.

ამრიგად, ერთი მხრივ, აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკამ, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები ატარებდნენ, გაამართლა, რადგან შესაძლებელი გახადა ჰიტლერის ყურადღების წარმართვა აღმოსავლეთისკენ, მეორე მხრივ კი, ზღვარს გასულმა აქტიურობამ ნაცისტთა ლიდერისა, რომელმაც მიუნხენის შეთანხმება დაარღვია, მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოიწვია როგორც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მმართველ წრეებში, ისე ამ ქვეყნების საზოგადოებრივ აზრშიც. შექმნილ ვითარებაში, 1939 წლის 22 მარტს, ინგლისმა და საფრანგეთმა ერთმანეთს გაუცვალეს ნოტები ურთიერთდახმარების შესახებ მათზე მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. იმავე დღეს, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ჰოლანდიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში დაარწმუნეს ამ ქვეყნების მთავრობები იმაში, რომ გაუწევენ მათ დახმარებას მათზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში.

ცოტათი მოგვიანებით ამგვარი დაპირება მიეცათ პოლონეთს, რუმინეთს, საბერძნეთსა და თურქეთს.

მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ცდილობდნენ რა თავი დაეზღვიათ დასავლეთისკენ გერმანიის ექსპანსიის განვითარების შემთხვევაში, განაგრძნობდნენ აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკას. ამის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ინგლის-გერმანიის საიდუმლო მოლაპარაკებები, რომლებიც მიმდინარეობდა ლონდონში სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისელი დიპლომატები პირდებოდნენ ევროპის მცირე ქვეყნების მთავრობებს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ მოლაპარაკებების მასალები პირდაპირ მოწმობენ, რომ დიდი ბრიტანეთი მზად იყო, ინგლისისა და გერმანიის დაახლოების

მიღწევისათვის უარი ეთქვა თავის ვალდებულებებზე მოკავშირეებისადმი.

მთლიანობაში, აგრესორის დაშოშმინების პოლიტიკამ გამოიწვია გერმანიის მნიშვნელოვანი გაძლიერება, ფაქტობრივად, მისი გადაქცევა ევროპის ყველაზე შესამჩნევ სამხედრო ძალად (რასაც დიდად შეუწყო ხელი ამ ქვეყნის მიერ ახალი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების შეძენამ), შეუქმნა რა პირობები მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის ბრძოლის გააქტიურებას. გერმანიის მმართველმა წრეებმა, რომლებიც გრძნობდნენ თავის ძალას და იყენებდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელების ანტისაბჭოთა განწყობას, დაიწყეს გერმანიის ომამდელი კოლონიების დაბრუნების და თავისი ფლოტის ოკეანეებში გასვლის უზრუნველყოფის მოთხოვნების წამოყენება. ვითარებას ის ამძიმებდა, რომ მთელი ჯგუფი პოლიტიკური რეჟიმებისა, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ 30-იანი წლების მეორე ნახევარში ან უკვე იყვნენ ხელისუფლებაში (ესპანეთი, უნგრეთი, ბულგარეთი), მთლიანობაში მხარს უჭერდა ჰიტლერის საგარეო-პოლიტიკურ კურსს და ასევე მოითხოვდა არსებული მსოფლიო წესრიგის გადასინჯვას.

6. საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში ვერსალის სისტემის რევიზიის პერიოდში

საერთაშორისო დაძაბულობის ესკალაცია და გერმანიაში რევანშისტული განწყობის ზრდა ძლიერ სადარდებელს უჩენდა სსრკ-ის ხელმძღვანელობას, რომელიც მხოლოდ 30-იან

წლებში გახდა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი და აღიარებული დიდ სახელმწიფოდ. ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირი დაინტერესებული იყო საერთაშორისო არენაზე სტაბილურობის შენარჩუნებით, რომელიც შესაძლებელს გახდიდა გამტკიცებულიყო მისი დიპლომატიური წარმატებები და წარმატებით დასრულებულიყო ქვეყნის სამრეწველო მოდერნიზაცია. აქედან გამომდინარე, საბჭოთა დიპლომატიამ გადადგა რიგი პოლიტიკური ნაბიჯი, რომლებსაც, ქვეყნის ხელმძღვანელობის შეხედულებით, ხელი უნდა შეეწყოთ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისთვის.

1933 წლის 6 თებერვალს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის გენერალური კომისიის სხდომაზე სსრკ-ის წარმომადგენლებმა წამოაყენეს აგრესორის განსაზღვრის დეკლარაციის პროექტი, რომლის შესაბამისად, საერთაშორისო კონფლიქტში აგრესორად აღიარებულია სახელმწიფო, რომლის ჯარები თუნდაც ომის გამოცხადების გარეშე შეიჭრებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეუტევენ მის საზღვაო და საჰაერო ძალებს, დაბომბავენ მის ტერიტორიას, მოაწყობენ მისი ნაპირების ან პორტების საზღვაო ბლოკადას. პროექტში სპეციალურად იყო აღნიშნული, რომ არანაირი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სტრატეგიული ხასიათის მოსაზრება არ შეიძლება გამოყენებული იქნას აგრესიის გამართლებად.

მიუხედავად საბჭოთა დიპლომატების ძალისხმევისა, მოცემული პროექტი არ იყო დაყენებული გენერალური კომისიის კენჭისყრაზე. ამასთან დაკავშირებით, სსრკ-ის მთავრობამ მთელ რიგ სახელმწიფოსთან დაიწყო მოლაპარაკებები ამ საკითხზე. 1933 წლის ივლისში ეს მოლაპარაკებები დასრულდა აგრესორის განსაზღვრების შესახებ კონვენციის ხელმოწერით სსრკ-სა და ათ იმ ქვეყანას შორის, ვისაც სსრ კავშირთან საერთო

საზღვარი ჰქონდა (პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, ირანი, ავღანეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა). მოგვიანებით, კონვენციას ფინეთი შეუერთდა. ეს ფაქტი გახდა მაჩვენებელი სსრკ-ის ურთიერთობების გაუმჯობესებისა თავის დასავლეთელ მეზობლებთან, მათ შორის, მცირე ანტანტის ქვეყნებთანაც.

საფრანგეთის მოკავშირეებთან კონვენციის გაფორმება ხელს უწყობდა სსრ-კავშირ-საფრანგეთის პოზიციების დაახლოებას-ევროპაში სტაბილურობის შენარჩუნების და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარების საკითხებზე. 1934-1935 წლებში მიმდინარეობდა საფრანგეთ - სსრკ-ს აქტიური მოლაპარაკებები აღმოსავლეთის პაქტის ხელმოწერის, აგრეთვე, სსრკ-საფრანგეთს შორის ურთიერთდახმარების შეთანხმების გაფორმების საკითხებზე, რაზეც უკვე იყო საუბარი ზემოთ.

მნიშვნელოვანი ელემენტი საბჭოთა პოლიტიკისა, მიმართულის ევროპული უსაფრთხოების სისტემის განმტკიცებაზე, გახდა სსრ კავშირის შესვლა ერთა ლიგაში (1934 წლის სექტემბერი), რაც მოწმობდა საბჭოთა ხელმძღვანელობის დაინტერესებას ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებით. უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირი აღმოჩნდა ერთადერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც მოითხოვდა სანქციების რეალურ გამოყენებას იტალიის წინააღმდეგ, განიხილავდა რა ამ უკანასკნელის საქმიანობას ეთიოპიაში, როგორც აგრესიას, და შესაბამისი განცხადებებით გამოდიოდა ერთა ლიგაში. საბჭოთა ოფიციალური წარმომადგენლები ზუსტად ასევე იცავდნენ ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობას, გმობდნენ რა გერმანიისა და იტალიის ჩარევას ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში. მკვლევარები თანხმდებიან იმაში, რომ სსრკ-ის ხელმძღვანელობას ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ესპანეთის მოვლენებს ფაშისტური სახე-

ლმწიფოებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ისინი საბრძოლო პირობებში შეიარაღების ახალი სახეობების და ტაქტიკური ხერხების გამოსაცდელად, იმ მიზნით, რათა შემდგომ, მსხვილი საერთაშორისო კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში, საქმეში გამოეყენებინათ ეს იარაღი და ტაქტიკა.

1936 წლის 7 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ ჩაურევლობის ლონდონის კომიტეტში მკაცრი პროტესტი განაცხადა გერმანიისა და იტალიის მოქმედებათა წინააღმდეგ და შესთავ- აზა კონტროლი დაეწესებინათ პორტუგალიის პორტებზე, რომელთა გავლით ჰიტლერი და მუსოლინი მეამბოხე ესპანელ გენერლებს უგზავნიდნენ თავისი სამხედრო დახმარების დიდ ნაწილს. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, ვერ მიიღო რა თავის პროტესტზე დამაკმაყოფილებელი პასუხი, განაცხადა ჩაურევლობის კომიტეტიდან გამოსვლის შესახებ და გაატარა ზომები ესპანეთის რესპუბლიკისთვის პოლიტიკური, მატერიალური და სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად.

ასევე აღვნიშნავთ, რომ სსრკ-ის დიპლომატია აქტიურად გამოდიოდა ფაშისტური სახელმწიფოების იმ სხვა მოქმედებების წინააღმდეგაც, რომლებიც მიმართული იყო ვერსალის მსოფლიო მოწყობის საფუძვლების გადასინჯვასა და ევროპაში სტაბილურობის მოშლაზე, კერძოდ, ავსტრიის ანშლუსის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის შესაბამის გამოსვლაში მითითებული იყო, რომ დაუშვებელია სახელმწიფო საზღვრების გადასინჯვა პირდაპირ ევროპის ცენტრში, და რომ ავსტრიის მიერთება გერმანიასთან ქმნის საშიშ პრეცედენტს, რომელიც მუქარას წარმოადგენს არამარტო აგრესორის მეზობელ 11 ქვეყნისთვის, არამედ ყველა ევროპული, და არამარტო ევროპული სახელმწიფოსთვის. ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად

არის, მონაწილეობა მიიღოს კოლექტიურ მოქმედებებში, რომლებიც მიმართული იქნება გერმანიისა და იტალიის აგრესიული პოლიტიკის განვითარების წინააღმდეგ და ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის გაჩაღების საშიშროების თავიდან აცილებაზე. ამ მიზნით, საბჭოთა დიპლომატებმა შესთავაზეს ერთა ლიგის ფარგლებში განეხილათ საკითხები, დაკავშირებული ევროპული უსაფრთხოების განმტკიცების პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის ხელშემწყობი პრაქტიკული ზომების შემუშავებასთან. მოცემული განცხადების ტექსტი ოფიციალური არხებით გაეგზავნა საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, დიდი ბრიტანეთის და აშშ-ს მთავრობებს, მაგრამ ამას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია.

სსრ კავშირი, ამუშავებდა რა ევროპაში მდგომარეობის სტაბილიზაციის სხვადასხვა ვარიანტებს, მიისწრაფოდა თავისი უსაფრთხოების განმტკიცებისკენ შორეული აღმოსავლეთის რეგიონშიც. ამ მიზნით, 1936 წლის მარტში ხელი მოეწერა სსრკ-მონღოლეთის ოქმს ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაშ, მეორე მხარე დაეხმარებოდა მას, მათ შორის, სამხედრო თვალსაზრისითაც. მოცემული ოქმი დაეხმარა მონღოლეთს დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა იაპონიის მუქარისგან, აგრეთვე, გარკვეულწილად უზრუნველყო სსრკ-ის შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიების უსაფრთხოება, შექმნა რა მონღოლეთისგან ბუფერი საბჭოთა საზღვარსა და იაპონიის მიერ კონტროლირებად ჩინურ ტერიტორიებს შორის.

ნავარაუდევი იყო ასევე ურთიერთდახმარების ამგვარი ხელშეკრულების დადება სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის, მაგრამ ჩან კაიშის მთავრობამ თავდაპირველად უარი განაცხადა ამ საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე. ოდნავ მოგვი-

ანებით, როდესაც იაპონიის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ჩინეთის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში, ამ უკანასკნელის მთავრობამ გადადგა საბჭოთა სახელმწიფოსთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე მიმართული ნაბიჯები. ჩინეთის მხარის ინიციატივით დაწყებული მოლაპარაკებების შედეგად, 1937 წლის 21 აგვისტოს ხელი მოეწერა სსრკ-ჩინეთის შეთანხმებას ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მხარეთა ურთიერთ ვალდებულებას არ გაეწიათ რაიმე დახმარება იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც თავს დაესხმოდნენ სსრკ-ს ან ჩინეთს. გარდა ამისა, შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, თავისი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამხედრო თანამშრომლობამ, რომელიც გამოიხატებოდა ნანკინის მთავრობისთვის საბჭოთა თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხების და სხვა სახის შეიარაღების მიწოდებაში, აგრეთვე ჩინეთში საბჭოთა სამხედრო სპეციალისტების გაგზავნაში.

საბჭოთა კავშირმა ჩინეთს მხარი ერთა ლიგაშიც დაუჭირა, რის შედეგად 1937 წლის სექტემბერში ამ ორგანიზაციამ მიი- ღო რეზოლუცია, რომელიც გმობდა იაპონიის აგრესიულ მოქმედებებს ჩინეთის მიმართ, კერძოდ, იაპონიის ავიაციის მიერ ჩინეთის ქალაქების დაბომბვას. მოგვიანებით, 1937 წლის ნოემბერში, კონფერენციაზე, ბრიუსელში, როდესაც იხილებოდა საკითხი იაპონიის აგრესიის შესახებ ჩინეთის წინააღმდეგ, საბჭოთა დელეგაციამ შესთავაზა გამოეყენებინათ იაპონიის წინააღმდეგ ერთა ლიგის წესდებით გათვალისწინებული სანქციები, რაც ასევე წარმოადგენდა ნანკინის მთავრობის პოლიტიკური მხარდაჭერის აქტს. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციამ უარყო ეს წინადადება, შემოიფარგლა რა რეზოლუციით, რომელიც იაპონიასა და ჩინეთს სთავაზობდა შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები, საბჭოთა დიპლომატების საქმიანობა ხელს უწყობდა მსოფლიო საზოგადოების აზრში გაძლიერებას წარმოდგენისა სსრ კავშირზე, როგორც სახელმწიფოზე, რომელიც დაინტერესებულია, შენარჩუნებული იქნას სტაბილურობა საერთაშორისო არენაზე. ამ წარმოდგენის განმტკიცებას ხელს უწყობდა აგრეთვე საბჭოთა ხელმძღვანელობის პოზიცია სუდეტების კრიზისის და „მიუნხენის გარიგების“ მიმართ, რაზეც უკვე იყო საუბარი ზემოთ.

თავი 3. დიდ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის (1939-1945) წლებში

1. ურთიერთობა სსრკ-ს და დასავლეთის ქვეყნებს შორის 1939 წელს

ის გარემოება, რომ 1939 წლის აპრილის შუახანებში ინგლისის და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა საბჭოთა ხელმძღვანელობას შესთავაზეს აღმოსავლეთ ევროპაში გერმანული აგრესიის განვითარების შემთხვევაში, მიეცათ ერთობლივი გარანტიები პოლონეთისა და რუმინეთისთვის, მნიშვნელოვანწილად იყო გამოწვეული დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის კეთილმყოფელი დამოკიდებულებით საბჭოთა კავშირისადმი. სსრკ-მა რეაგირება მოახდინა ამ წინადადებაზე, შესთავაზა რა თავის მხრივ, არამარტო მიეცათ პოლონეთისა და რუმინეთის უსაფრთხოების გარანტიები, არამედ დაედოთ ურთიერთდახმარების შესახებ პაქტიც იმ შემთხვევისთვის, თუ ევროპის უსაფრთხოებას შეექმნებოდა მუქარა. ამ პაქტის მიხედვით, უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული უსაფრთხოების გარანტია ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისთვის, რომლებიც სსრ კავშირს უშუალოდ ესაზღვრებოდნენ. დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობები დათანხმდნენ მოლაპარაკებაზე პაქტის საკითხზე, იმედოვნებდნენ რა, რომ გამოიყენებდნენ სსრკ-ს სამხედრო ძალას იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის აგრესია განვითარდებოდა დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ მათ არ სურდათ, თავისთავზე აეღოთ რაიმე ვალდებულება ბალტიისპირა სახელმწიფოებისთვის დახმარების გაწევის თვალსაზრისით, რითაც გერმანიის ჯარებს უხსნიდნენ თავისებურ დერეფანს საბჭოთა კავშირის საზღვრებთან მისვლისათვის. ანუ, ამ გზით ისინი განაგრძნობდნენ გერმანიისა და სსრკ-ის შეჯახების პოლიტიკას, რომლის ყველაზე ნათელი გამოვლინება „მიუნხენის გარიგება“ იყო.

საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმებოდა ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიის ამნაირ წინადადებებს და მან წამოაყენა შემხვედრი წინადადებები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა არამარტო სსრკ-ს უსაფრთხოებას, არამედ მთელი ევროპის სტაბილურობასაც. საბჭოთა ხელმძღვანელობის წინადადებები სამ ძირითად პუნქტზე დადიოდა: 1. ინგლისს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდახმარების პაქტის ხელმოწერა; 2. პაქტის შევსება შესაბამისი სამხედრო კონვენციით; 3. დამოუკიდებლობის გარანტიის მიცემა სსრკ-ს ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთვის მთელ მანძილზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა უარი განაცხადეს საბჭოთა წინადადებებზე, მოითხოვეს რა გარანტიების მიცემა მხოლოდ პოლონეთისა და რუმინეთისთვის. ოდნავ მოგვიანებით, 1939 წლის მაისის ბოლოს, ბრიტანეთ- ის საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში შემუშავდა ურთიერთდა-ხმარების პაქტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უსაფრთხოების უზრუნველყოფას არამარტო პოლონეთისა და რუ-მინეთისთვის, არამედ საბერძნეთისთვისაც. მაგრამ ამ პროექ- ტი ისევ არ იყო ჩადებული გარანტია ბალტიისპირეთის იმ სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა, რომლებიც გამოყოფდნენ გერმანიას სსრ კავშირისგან. გარდა ამისა, პაქტის პირობების შესრულება, ინგლისელთა პროექტის თანახმად, უკავშირდე-

ბოდა ერთა ლიგის შესაბამის გადაწყვეტილებას, რაც კიდევ უფრო აკნინებდა მოცემული პაქტის ეფექტურობას.

ინგლისური პროექტი უარყოფილი იქნა მოსკოვის მიერ, რომელმაც, თავის მხრივ, წამოაყენა საპირისპირო პროექტი, სადაც გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის და ინგლისის მხრიდან დაუყონებლივ ურთიერთდადახმარება ამ სახელმწიფოებიდან ერთ-ერთზე, აგრეთვე ბელგიაზე, საბერძნეთზე, თურქეთზე, რუმინეთზე, პოლონეთზე, ლატვიაზე, ესტონეთზე, ფინეთზე თავდასხმის შემთხვევაში, აგრეთვე ევროპის ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე თავდასხმისას, თუ ეს უკანასკნელი მიმართავდა პაქტის წევრებს დახმარებისთვის. ასეთ პროექტს, რომელიც არ იყო შეზღუდული აუცილებლობით მიეღო ერთა ლიგის სანქცია, შეეძლო, შეეზღუდა ფაშისტური სახელმწიფოების აგრესიული მისწრაფებები, შექმნიდა რა სიტუაციას, რომელშიც ძალზე გაძნელებული იქნებოდა ევროპაში ტერიტორიული საზღვრების გადასინჯვა.

პაქტის საკითხზე მოლაპარაკებების პროცესის დაჩქარების მიზნით სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვში მოიწვია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰალიფაქსი, მაგრამ ვიზიტი არ შედგა: ინგლისის მთავრობას გადაჰქონდა მოლაპარაკებების დაწყების ვადა, რადგან იმედოვნებდა, რომ შეძლებდა, თავიდან აეცილებინა იმ პაქტზე ხელის მოწერა, რომელიც ბრიტანეთის იმპერიას შებორკავდა ვალდებულებებით, მის ინტერესებს რომ არ პასუხობდა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა საკმაოდ კარგად იყო გათვითცნობიერებული ბრიტანული კაბინეტის განწყობაზე, ის განაგრძნობდა ურთიერთდახმარების პაქტის ხელმოწერის ცდებს. 1939 წლის 23 ივლისს საბჭოთა მხარემ შესთა-

ვაზა, დაეწყოთ მოსკოვში მოლაპარაკებები სამი ქვეყნის სამხედრო მისიებისა, რომელთა ამოცანა უნდა გამხდარიყო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ურთიერთობის მექანიზმის შემუშავება „ღერძის“ ქვეყნების რევანშისტული განწყობის გაძლიერების პირობებში. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა თავისი თანხმობა განაცხადეს მოლაპარაკებებზე, რომელიც დაიწყო კიდეც 1939 წლის 12 აგვისტოს. მოლაპარაკებების დასაწყისშივე საბჭოთა მხარისთვის აშკარა გახდა, რომ არც ინგლისის, არც საფრანგეთის მისიები, რომელთა სათავეში სამხედრო უწყებების მეორეხარისხოვანი წარმომადგენლები იდგნენ, არ იყო აღჭურვილიიმ უფლებამოსილებით, საჭირო რომ იყო საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამის დოკუმენტებზე ხელის მოწერისთვის.სამხედრო მისიები ასე იმიტომ იყო ჩამოყალიბებული, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს არ უნდოდათ თავისთავზე გარკვეული ვალდებულებების აღება არც სამხედრო, არც პოლიტიკურ სფეროე- ბში, რაც აისახა კიდეც სამხედრო წარმომადგენლების პოზიციაში სსრკ-ს, პოლონეთსა და რუმინეთს შორის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის მიმართ, ამ უკანასკნელის ეფექტურობა კი პირდაპირ დამოკიდებული იყო დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთზე. არსი სამხედრო თანამშრომლობის საკითხისა, რომელიც იქცა მოლაპარაკებების მთავარ პრობლემად, შემდეგში მდგომარეობდა: სსრკ-ს მხოლოდ მაშინ შეეძლო ეფექტური მონაწილეობის მიღება ევროპაში ფაშისტური სახელმწიფოების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ რუმინეთი და პოლონეთი გაატარებდნენ მის ჯარებს თავის ტერიტორიაზე გერმანიის მიმართულებით. ამასობაში, არც ინგლისელები და არც ფრანგები არანაირ კონკრეტულ ზომებს არ ღებულობდნენ ზემოქმედე-

ბის მოსახდენად თავის აღმოსავლეთევროპელ მოკავშირეებზე, იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელები დაერწმუნებინათ მათ ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების გავლის აუცილებლობაში. საკითხი ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებლობის გარანტიის შესახებ ასევე ჭიანურდებოდა, რაც სსრ კავშირის ხელმძღვანელობას უქმნიდა საფუძველს შიშისა, რომ ინგლის-გერმანიას და საფრანგეთ-გერმანიას შორის შეიძლება ხელმოწერილი ყოფილიყო მიუნხენისმაგვარი ახალი შეთანხმებები, რომლებსაც უნდა წარემართათ გერმანიის აგრესია საბჭოთა ტერიტორიისკენ.

დრომ აჩვენა, რომ ამგვარი შიშის ყველა საფუძველი არსებობდა, რადგან უკვე 1939 წლის ივლისში ინგლისელმა დიპლომატებმა საიდუმლო მოლაპარაკებები დაიწყეს გერმანიასთან, რათა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ყველა სადავო საკითხი გადაეწყვიტათ ევროპაში, სსრკ-ს ტერიტორიაზე და აღმოსავლეთში, ინგლისსა და მესამე რაიხს შორის, გავლენის სფეროების განაწილების გზით, თანაც, ინგლისელები პირდებოდნენ, რომ ინგლის-გერმანიას შორის შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში, ისინი შეწყვეტდნენ მოლაპარაკებებს საბჭოთა კავშირთან.

ამრიგად, საბჭოთა დიპლომატიის ძალისხმევა, მიმართული სსრკ-ს და მთლიანად ევროპის უსაფრთხოების განმტკიცებაზე, არ დასრულებულა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ბლოკის შექმნით, რომელსაც შეეძლებოდა თავიდან აეცილებინა ან თუნდაც შეეჩერებინა ევროპაში გერმანიის აგრესიის განვითარება. იმ საკითხების გადაწყვეტამ, რომლებიც დაკავშირებული იყო სსრკ-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, შექმნილ სიტუაციაში მოითხოვა ახალი მიდგომების შემუშავება, ანუ ისეთებისა, რომლებსაც შეეძლოთ თავიან აეცილებინათ ერთიანი ანტი-

საბჭოთა ბლოკის ფორმირება და გამოეყვანა საბჭოთა კავშირი საგარეო-პოლიტიკური იზოლაციის მდგომარეობიდან, რომელშიც ის დასავლეთის ქვეყნების მიერ გატარებული „აგრესორის დაშოშმინების“ პოლიტიკი შედეგ- ად აღმოჩნდა. ამ პირობებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლა გერმანიასთან ურთიერთობების დალაგებისკენ.

2. საბჭოთა-კავშირ - გერმანიის ურთიერთობები 1930-იანი წლების ბოლოს. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი

საბჭოთა დიპლომატიის წარუმატებლობებმა ინგლისთან და საფრანგეთთან ურთიერთობებში სტიმული მისცეს გერმანიასთან დიალოგის მოძებნას. როგორც ჩანს, წინასწარმეტყველებდა რა მოლაპარაკებათა წარუმატებლობას ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან, სტალინმა 1939 წლის 10 მარტს, სკპ(ბ) XVIII ყრილობაზე გამოსვლისას, განაცხადა, რომ სსრ კავშირი არ აპირებს „ცეცხლიდან წაბლების ამოღებას“ კაპიტალისტური ქვეყნებისთვის. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფონ რიბენტროპმა ამ სიტყვებში დაინახა საბჭოთა ხელმძღვანელობის ფარული სურვილი წასულიყო ბერლინთან ურთიერთობათა გაუმჯობესებაზე. მან ჰიტლერს გააცნო ყრილობაზე სტალინის გამოსვლის ტექსტი და ითხოვა, მიეცათ მისთვის მოსკოვში დიპლომატიური ზონდაჟის ჩატარების უფლებამოსილება. ჰიტლერი მერყეობდა და დასაწყისში მან დალოდების პოზიცია დაიკავა. დიპლომატიური ზონდაჟი ძალზე ნელა მიმდი-

ნარეობდა და მან მხოლოდ 1939 წლის ზაფხულში მიიღო ინტენსიური ფორმები.

გარკვეულწილად, გერმანიასთან ურთიერთობისადმი მოსკოვის ინტერესის ზრდის მაჩვენებელი გახდა საგარეო საქმეთა ყოფილი სახალხო კომისრის, მ. მ. ლიტვინოვის განთავისუფლება მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან (ლიტვინოვი, გერმანიასთან დაახლოების საპირისპიროდ, ითვლებოდა ევროპაში უსაფრთხოების კოლექტიური სისტემის მომხრედ) და ამ თანამდებობაზე ვ. მ. მოლოტოვის დანიშვნა.

სსრკ-გერმანიის პოლიტიკური დიალოგის გააქტიურება მოყვა ვაჭრობასა და კრედიტზე ორმხრივი შეთანხმების განხილვას. მოსკოვში დიპლომატიურ საუბრებს ატარებდნენ გერმანიის ელჩი ვ. ფონ დერ შულენბურგი და დესპანი კ. ი. შნურე, ბერლინში კი ი. რიბენტროპს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საუბარი ჰქონდა სსრკ-ს საელჩოს მრჩეველ გ. ა. ასტახოვთან. დიალოგი ორ ქვეყანას შორის საოცრად სწრაფად განვითარდა: თუ ჯერ კიდევ 1939 წლის 20 ივნისს ჰიტლერმა განაცხადა, რომ „გერმანიის მთავრობა ამჟამად არ არის დაინტერესებული განახლდეს რუსეთთან ეკონომიკური მოლაპარაკებები“, 29 ივლისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარმა მოლოტოვმა სსრკ-ს საქმეთა დროებით რწმუნებულს გერმანიაში გ. ა. ასტახოვს გაუგზავნა ტელეგრამა, რომელშიც გამოხატა კრემლის თვალსაზრისი ორმხრივი კავშირების შესაძლო განვითარებაზე. „სსრ კავშირსა და გერმანიას შორის, - წერდა ის, - რა თქმა უნდა, ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების შემთხვევაში, შეიძლება გაუმჯობესდეს პოლ-იტიკური ურთიერთობებიც... თუ ახლა გერმანელები გულწრფელად ცვლიან მიჯნებს და ნამდვილად სურთ გააუმჯობესონ პოლიტიკური ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან, ისინი ვალდებული არიან გვითხრან,

თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ კონკრეტულად ეს გაუმჯობესება... ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებოდით ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა ნების, ი. რიბენტროპს ჰქონდა ისტორიული საუბარი გ. ა. ასტახოვთან.

თავის ტელეგრამაში ვ. ფონ დერ შულენბურგის, მოსკოვში გერმანიის ელჩის სახელზე საგარეო საქმეთა მინისტრი ასე აცნობდა ამ შეხვედრის შესახებ: „მე დავიწყე საუბრით - მოლაპარაკებებზე სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ, რომელიც ამჟამად, ჩვენდა სასიხარულოდ, წარმატებით მიმდინარეობს, და დავახასიათე ასეთი შეთანხმება, როგორც კარგი ეტაპი გერმანია-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის გზაზე, თუ ის სასურველი არის... ვთვლი, რომ თუ რუსებს ასე-თივე სურვილი აქვთ, ჩვენი ურთიერთობების ახალი დარე-გულირება შესაძლებელია ორი წანამძღვრის გათვალისწინებისას:

ა) ჩაურევლობა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში (ბ-ნი ასტახოვი ამას სრულიად შესაძლებლად თვლის);

ბ) უარის თქმა ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკაზე. ამაზე ასტახოვმა საბოლოო პასუხი ვერ გამცა, მაგრამ გამოთქვა აზრი, რომ მის მთავრობას აქვს სურვილი გაატაროს გერმანიის მიმართ ურთიერთგაგებ- ის პოლიტიკა“.

ავითარებდა რა საუბარს, გერმანიის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა დაიწყო უფრო ღია ლაპარაკი ევროპის ტერიტორიების შესაძლო გაყოფაზე გავლენის სფეროებად. „მე ვთქვი, - წერდა ტელეგრამაში ი. რიბენტროპი, - რომ შავ ზღვაზე ადგილი ორივეს გვეყოფა და რუსეთის ინტერესები აქ არანაირად არ ეჯახება ჩვენებს... მივანიშნე, რომ ჩვენ შევძლებთ რუსეთთან შეთანხმებას პოლონეთის ბედზე“. ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტები, შეხვედრები, საუბრები გრძელდე-

ბოდა. გერმანიის და სსრკ-ს ელჩები განუწყვეტლივ აწვდიდნენ ინფორმაციას ჩატარებული საუბრების შესახებ.

1939 წლის 14 აგვისტოს, ი. რიბენტროპმა კვლავ გაუგზ- ავნა გრაფ შულენბურგს ტელეგრამა. ის თხოვდა გერმანიის ელჩს, ენახა სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი და საბჭოთა მხარემდე დაეყვანა, კერძოდ, შემდეგი:

1. სხვაობა ნაციონალისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიებს შორის არ გამორიცხავს გონივრულ ურთიერთობებს და თანამშრომლობის აღდგენას გერმანიასა და სსრკ-ს შორის.

2. გერმანიას არ გააჩნია აგრესიული ზრახვები სსრკ-ის მიმართ. არ არსებობს რეალური წინააღმდეგობები ორი ქვეყნის ინტერესებს შორის. პირიქით, შესაძლებელია პოლიტიკური თანამშრომლობა ბალტიის ზღვის, ბალტიისპირეთის, პოლონეთის, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის საკითხების სფეროებში და სხვ.

3. იმპერიის და საბჭოთა მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კაპიტალისტური, დასავლური დემოკრატიები შეურიგებელი მტრებია როგორც გერმანიის, ისე სსრ კავშირისა.

ინგლისის პოლიტიკა ამწვავებს გერმანია-პოლონეთის ურთიერთობებს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა სწრაფად გაირკვეს გერმანია-სსრ კავშირის ურთიერთობები.

დასასრულს, ი. რიბენტროპი აცნობდა, რომ მზად არის ჩამოვიდეს მოსკოვში ხანმოკლე ვიზიტით, რათა ჰიტლერის სახელით წარმოუდგინოს ი. ბ. სტალინს გერმანიის პოზიცია. ამგვარი მზადყოფნა სრულიად ახსნადი იყო, რადგან ჰიტლერი ჩქარობდა მოეწესრიგებინა „პოლონეთის საკითხი“, ანუ მოეხდინა პოლონეთის ტერიტორიის ანექსია სსრკ-ის თანხმობის ან კიდეც თანამშრომლობის პირობებში.

ევროპაში არსებული კოლექტიური უსაფრთხოების არასრულყოფილი სისტემის, ინგლის-საფრანგეთ-სსრკ-ის მოლაპარაკებების ფაქტიურად ჩაშლის პირობებში, საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობამ, გაანალიზა რა ბერლინსა და მოსკოვში ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტებისა და საუბრების შინაარსი, მიიღო გადაწყვეტილება გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერის შესახებ.

1939 წლის 19 აგვისტოს მ. ვ. მოლოტოვმა ოფიციალურად გადასცა გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში, გრაფ შულენბურგს, სსრკ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის პროექტი. ის რამდენიმე პუნქტს შეიცავდა. უპირველეს ყოვლისა, მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, თავი შეეკავებინათ ერთმანეთზე თავდასხმისგან და ნებისმიერი აგრესიული მოქმედებისგან, სხვა სახელმწიფოებთან კოალიციაში ყოფნის ჩათვლით. მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო მხარეთა თანხმობა მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ურთიერთ კონსულტაციების ან შემთანხმებელი კომისიების შექმნის მეშვეობით, გადაეწყვიტათ სადავო პრობლემები. მოსკოვი სთავაზობდა პაქტის ხელმოწერას 5 წლის ვადით. და ბოლოს, ტექსტი შეიცავდა პოსტსკრიპტუმს, რომელშიც იყო: „წინამდებარე პაქტი მოქმედებაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთად ხელი მოეწერება საგანგებო ოქმს იმ პუნქტების შესახებ, რომლებიც მოლაპარაკე მხარეებისთვის ინტერესს წარმოადგენენ საგარეო პოლიტიკის სფეროში“. ასე, ოფიციალურად გაიჟღერა იდეამ საგანგებო, საიდუმლო ოქმის, როგორც პაქტის ორგანული ნაწილის შესახებ, ოქმისა, ევროპული და მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიების გავლენის სფეროებად განაწილების შესახებ მესამე რაიხსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს ტექსტი გადაიცა ბერ-

ლინში გერმანული მხარის მიერ შესწავლისთვის, შემდეგ კი შეთანხმებული იქნა მოსკოვში ი. რიბენტროპის ვიზიტის თარიღი.

იმავე დღეს ბერლინში ხელი მოეწერა საკრედიტო ხელშეკრულებას გერმანიასა და სსრ კავშირს შორის. რაიხსკანცლერი ა. ჰიტლერი თავის წერილში ი. ბ. სტალინის სახელზე გულწრფელად მიესალმა შეთანხმების ხელმოწერას. მან ასევე აღნიშნა, რომ შემდგომში თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერა ნიშნავს „გერმანიის პოლიტიკის განმტკიცებას ხანგრძლივი ვადით“. ჰიტლერმა მთლიანობაში მხარი დაუჭირა ვ. მ. მოლოტოვის მიერ გრაფ შულენბურგისთვის გადაცემული პაქტის ტექსტს, შენიშნა რა, რომ აუცილებლად თვლის პაქტთან დაკავშირებული საკითხების „უსწრაფესი გზით“ გადაწყვეტას. ჰიტლერის აზრით, პაქტზე დართულ დამატებით ოქმზე ხელის მოწერა გერმანიის მხრიდან შეუძლია მხოლოდ პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეს. ამიტომ, ფიურერი მოითხოვდა მოსკოვში უსწრაფესად და არა უგვიანეს 23 აგვისტოსი, ჩასულიყო მინისტრი ი. რიბენტროპი, რომელსაც გააჩნდა „ყოვლისმომცველი და შეუზღუდავი უფლებამოსილებები“. აჩქარება, რომლითაც ჰიტლერი ცდილობდა მოწერილი ყოფილიყო ხელი პაქტზე, აიხსნებოდა ვერმახტის მომზადებით პოლონეთის ტერიტორიაზე შეჭრისთვის. შეჭრის გეგმის განხორციელებამდე დღეები რჩებოდა. ჰიტლერი აჩქარებდა სტალინს. პოლონეთის დაპყრობის ოპერაციის წარმატება, როგორც მინიმუმი, მხოლოდ სსრკ-ის მხრიდან ნეიტრალიტეტის დაცვის პირობებში იყო შესაძლებელი.

1939 წლისა 21 აგვისტოს ი. ბ. სტალინმა ა. ჰიტლერს საპასუხო წერილი გაუგზავნა, რომელშიც ის იმედს გამოხატავდა, რომ „გერმანია-სსრკ-ის შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ იქნება სერიოზული შემობრუნება ჩვენს ქვეყნებს შორის პოლი-

ტიკური ურთიერთობების სერიოზულ გაუმჯობესებისკენ. ჩვენი ქვეყნების ხალხებს სჭირდებათ მშვიდობიანი ურთიერთობები ერთმანეთთან. გერმანიის მთავრობის თანხმობა, ხელი მოეწეროს ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს, საფუძველს ქმნის, რათა ლიკვიდირებული იქნას პოლიტიკური დაძაბულობა, და, დამყარდეს მშვიდობა და თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის“. წერილის ბოლოს ი. ბ. სტალინი აცნობდა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა მოსკოვში 23 აგვისტოს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ი. ფონ რიბენტროპის ჩამოსვლაზე. ეს წერილი ფაქტობრივად ნიშნავდა კონფიდენციალური წინასწარი მოლაპარაკებების დასრულებას და სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების ოფიციალური ეტაპის დაწყებას.

22 აგვისტოს საბჭოთა გაზეთმა „იზვესტიამ“ მკითხველებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკრედიტო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, „დადგა საკითხი სსრ კავშირსა და გერმანიას შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ. ამასთან დაკავშირებულმა აზრთა გაცვლამ სსრკ-ის და გერმანიის მთავრობებს შორის დაადგინა, რომ ორივე მხარეს სურვილი გააჩნია მოხსნილი იქნას დაძაბულობა მათ შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში, ასევე ლიკვიდირებული ომის მუქარა და ხელმოწერილი თავდაუსხმელობის პაქტი. ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი მოლაპარაკებების ჩასატარებლად, ამ დღეებში მოსკოვში ჩამოვა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ფონ რიბენტროპი“. ამგვარად, სსრკ-ის მოსახლეობას და მსოფლიო საზოგადოებრიობას აცნობეს მომავალი მოვლენის შესახებ.

1939 წლის 23 აგვისტოს ი. რიბენტროპი ჩამოვიდა მოსკოვში. საღამოს 6 საათზე კრემლში შედგა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ოფიციალური მოლაპარაკებები. გერმანიის მხრიდან

მოლაპარაკებებში მონაწილეობდა თვით მინისტრი, გრაფი შულენბურგი და საელჩოს მრჩეველი გ. ჰილგერი, რომელიც იმავდროულად თარჯიმნის როლსაც ასრულებდა. საბჭოთა მხრიდან მონაწილეობდნენ ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, მისი თანაშემწე და თარჯიმანი ვ. ნ. პავლოვი.

საუბრის დასაწყისში ი. რიბენტროპმა გამოთქვა გერმანიის მისწრაფება, მისულიყვნენ ორი ქვეყნის ინტერესებს შორის პოლიტიკურ კომპრომისამდე და მიეღწიათ ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილ შეთანხმებისთვის. პასუხად, ი. ბ. სტალინმა არაორაზროვნად გამოხატა სურვილი მიეღწია ურთიერთგაგებისთვის გერმანიასთან. ი. ბ. სტალინის პასუხი იმდენად კონსტრუქციული იყო, რომ, ი. რიბენტროპის სიტყვებით, მხარეებმა უმალვე შეძლეს მოლაპარაკება გერმანია-პოლონეთის წინააღმდეგობების გადაჭრის და ურთიერთ ინტერესების გამიჯვნის შესახებ მსოფლიოს სხვა რაიონებში. ფინეთი, ბალტიისპირეთის დიდი ნაწილი, ასევე ბესარაბია, მიეკუთვნა საბჭოთა გავლენის სფეროს. პოლონეთში გერმანიის შეჭრის შემთხვევისთვის, შეთანხმებული იყო საგანგებო სადემარკაციო ხაზი, რომელიც მდინარეების - ვისლას, სანისა და ბუგის დინებაზე გადიოდა. მოლაპარაკებები მხოლოდ მოკლე ხნით შეწყდა: მოსკოვი მოითხოვდა პორტ ლიეპაიას ჩართვას თავისი გავლენის სფეროში. ი. რიბენტროპი იძულებული იყო, გაერკვია ფიურერის აზრი ამ საკითხზე. თანხმობა მიღებული იქნა და საღამოს 10 საათზე მოლაპარაკებები განახლდა. შუაღამისთვის პარაფირებული იყო თავდაუსხმელობის პაქტი და მასზე დართული საიდუმლო ოქმი.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ პაქტს ხელი მოეწერა იმ მომენტში, როდესაც მოსკოვში ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო მისიების წევრები. გარდა

ამისა, პაქტი, საერთოდ, არღვევდა სსრკ-საფრანგეთის 1936 წლის შეთანხმებას, რომლის მიხედვით საჭირო იყო ურთიერთ კონსულტაციები მესამე მხარესთან რაიმე ხელშეკრულების დადებისას.

1939 წლის თავდაუმსხმელობის პაქტი, ხელმოწერილი მინისტრ ი. რიბენტროპის და სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვის მიერ, ძირითად ნიშნებში იმეორებდა საბჭოთა მხრიდან შემოთავაზებულ პროექტს. 1 მუხლში მხარეებმა ვალდებულება იკისრეს როგორც ცალკე, ისე სხვა ქვეყნებთან ერთად, თავი შეეკავებინათ ნებისმიერი აგრესიული მოქმედებისგან და ნებისმიერი თავდასხმისგან ერთმანეთის მიმართ, როგორც ცალკე, ისე სხვა სახელმწიფოებთან ერთად. მუხლი 2 ითვალისწინებდა ერთი მხარის არმონაწილეობას მესამე მხარის აგრესიაში მეორე მხარის მიმართ. შეთანხმება მხარეებს ავალდებულებდა მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ კონფლიქტები და დავები. შეთანხმება 10 წლის ვადით იდებოდა და ძალაში შედიოდა მისი მოწერის მომენტიდან, რაც ასახავდა გერმანიის ციებ-ცხელებიან სამზადისს პოლონეთთან ომისთვის.

დამატებითი (საიდუმლო) ოქმი წყვეტდა ორივე მხარის ინტერესების სფეროთა გამიჯვნის საკითხს აღმოსავლეთ ევროპაში. პირველი, მაშინდელი ლიტვის ჩრდილოეთი საზღვარი ცხადდებოდა გერმანიისა და სსრკ-ის ინტერესთა სფეროების საზღვრად. ოქმში საუბარი იყო ბალტიისპირა სახელმწიფოების (ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) შემადგენლობაში შემავალი ოლქების „ტერიტორიულ-პოლიტიკური გარდაქმნის“ შესაძლებლობაზე. „გარდაქმნას“ ექვემდებარებოდა პოლნეთიც. ამ რაიონში გავლენის სფეროთა საზღვარი გადიოდა მდინარეების - ნარევის, ვისლასა და სანის ხაზზე. შესაბამისად, ბერლინმა და მოსკოვმა მოილაპარაკეს აღნიშნული რაიონების

დაპყრობის შესახებ უახლოეს მომავალში (ფორმალურად, წიგნის ავტორის ეს დასკვნა არ გამომდინარეობს საიდუმლო ოქმის ტექსტიდან; მთარგმნელი). სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა გავლენის სფეროში ხვდებოდა ბესარაბია (ეს უკვე ნათქვამია ზემოთ, მთარმგმნელი).

თავდაუსხმელობის პაქტმა, ანუ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა, რა თქმა უნდა, თავისი როლი შეასრულა სსრ კავშირის უსაფრთხოების განმტკიცებაში. წარუმატებელმა მოლაპარაკებებმა ინგლისთან და საფრანგეთთან, მესამე რაიხის შეუკავებელმა სვლამ მსოფლიო ომისკენ, აიძულა საბჭოთა ხელმძღვანელობა წასულიყო იძულებით ზომაზე - ხელი მოეწერა თავდაუსხმელობის პაქტზე იმ სახელმწიფოსთან, რომელიც ავითარებდა თავის ექსპანსიას აღმოსავლეთისკენ. აუცილებელი იყო სსრკ-ის მიმართულებით გერმანიის აგრესიის შეჩერება და დროს მოგება სამეთაურო შემადგენლობის მასობრივი „წმენდებით“ დასუსტებული შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციისთვის, გრეთვე დასავლეთ საზღვარზე გამაგრებული რაიონების შექმნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ი. ბ. სტალინმა გადაჭარბებით შეაფასა ჰიტლერის „პატიოსნება“ და მშვიდობიანი „შესვენების“ ვადები. და მაინც, 1939 წლის სექტემბრიდან 1941 წლის ივნისამდე, წითელ არმიას შესაძლებლობა ჰქონდა, გაეზარდა თავისი პოტენციალი. შეიძლება პარადოქსულად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა დიპლომატიამ შეძლო ხელი მოეწერა შეთანხმებისთვის გერმანიასთან - სახელმწიფოსთან, რომელმაც 1936 წელს ხელი მოაწერა კომინტერნის საწინააღმდეგო პაქტს იაპონიასთან და 1937 წელს კი - იტალიასთან. 1939 წლის შეთანხმება ფაქტობრივად ნიშნავდა სსრ კავშირის ხელმძღვანელობის უარს მსოფლიო პროლეტარული რევოლუ-

ციის მოხდენაზე და მისი საგარეო პოლიტიკის დაყენებას Real-politik-ის საფუძვლებზე.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს 1939 წლის შეთანხმების უარყოფითი მხარეც. მისი ფასი გახდა დამოუკიდებელი პოლონეთის ბედი. გერმანიას „ხელები გაეხსნა“ აღმოსავლეთში და მას შეეძლო დაეპყრო პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორია. გერმანიას უშიშრად შეეძლო სამხედრო მოქმედებების ჩატარება დასავლეთში ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგან მოსკოვი პატიოსნად იცავდა პაქტის პირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჰიტლერი არაფერს არ კარგავდა საბჭოთა კავშირისთვის აღმოსავლეთ ევროპის რიგი ტერიტორიის დათმობით. დასახელებულ ტერიტორიებს იმ მომენტში არ გააჩნდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. გარდა ამისა, ფიურერისთვის არსებობდა არა საბოლოო სახელმწი-ფოთაშორისი შეთანხმებები, არამედ, მხოლოდ რაიხის კონკრეტული ინტერესები, მიმართული ცხოვრებისეული სივრცის გაფართოებაზე.

გარდა ყველაფერ ამისა, დამატებითი ოქმი ითვალისწინებდა ბალტიისპირეთის და ბესარაბიის დაპყრობას, აგრეთვე ფინეთის შესაძლო გაყოფას, რაც კარდინალურად ცვლიდა გეოპოლიტიკურ ვითარებას ევროპის ცენტრში და დაპყრობილი ქვეყნების ხალხებს სწირავდა წვალებასა და უცხოელთა ძალაუფლების ქვეშ ცხოვრებისთვის.

3. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის არაოფიციალური მიმართულების ევოლუცია 1935-1940 წლებში

მსოფლიო არენაზე სსრკ-ის სტატუსის შეცვლამ, მისმა ჩართვამ ევროპის უსაფრთხოების სისტემაში საერთაშორისო დაძაბულობის ესკალაციის პირობებში, საბჭოთა ხელმძღვანელობისგან მოითხოვა მოეხდინა კორექტირება ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსისა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის არაოფიციალურ ნაწილში, რომელიც დაკავშირებული იყო კომინტერნის საქმიანობასთან. შექმნილ ვითარებაში კომუნისტურ ინტერნაციონალს უნდა გადაეხედა მთელ რიგ თავის ფუნდამენტურ სტრატეგიულ დებულებაზე და შეემუშავებინა ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ახალი ტაქტიკა, რომელიც მიმდინარე მომენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნებოდა და ხელს შეუწყობდა სსრ კავშირის დიპლომატიური წარმატებების განმტკიცებას. ამ მიზნით, 1935 წლის ზაფხულში მოსკოვში მოიწვიეს კომინტერნის VII კონგრესი, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება უარი ეთქვათ კონფრონტაციაზე სოციალ-დემოკრატიული ყაიდის პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებთან და შეექმნათ ეგრეთ წოდებული სახალხო ფრონტები, რომლებიც წარმოადგენდნენ სოციალისტებისა და კომუნისტების ბლოკს. მათი მთავარი მიზანი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე რეჟიმების მოსვლის თავიდან აცილება და ანტიფაშისტურად განწყობილი მთავრობების გაძლიერება.

სახალხო ფრონტის ტაქტიკამ ყველაზე დიდ წარმატებას საფრანგეთში მიაღწია, სადაც ხელისუფლების სათავეში საფრანგეთის კომპარტიის დახმარებით მოვიდა მთავრობა, რომ-

ლის საფუძველს წარმოადგენდნენ სოციალისტები და რადიკალები, სსრკ-საფრანგეთის თანამშრომლობის მომხრეებად რომ წარმოსდგებოდნენ. მოცემული მთავრობის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, სსრ კავშირის და კომინტერნის ხელმძღვანელებმა მიიღეს მთელი რიგი ზომები, რათა მარცხენა მხრიდან მომავალი კრიტიკისგან დაცული ყოფილიყვნენ ფრანგი ლიდერები, ლოიალურად განწყობილნი საბჭოთა კავშირის მიმართ.

საფრანგეთის ახალმა ხელმძღვანელობამ მოახდინა რატიფიცირება საფრანგეთ-სსრკ-ს შორის ურთიერთდახმარების შეთანხმებისა, რაც, უეჭველად, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის პოზიციების განმტკიცებას საერთაშორისო არენაზე.

მაგრამ 1936 წლის დასაწყისის დოკუმენტები იძლევიან საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კომინტერნის VII კონგრესზე (1935 წელი), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ერთიან ანტი-ფაშისტურ ბლოკს, არ იყო შემუშავებული ამ თეორიული დებულებების ცხოვრებაში გატარების კონკრეტული მექანიზმი. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის რიგ დოკუმენტში, აგრეთვე კომინტერნის ლიდერების გამოსვლების ოქმებში, არის მითითებები კომინტერნის დემონსტრაციული პოლიტიკის კრიზისზე და „ფაშიზმთან ბრძოლის სწორი მეთოდების არარსებობაზე“.

1936-1939 წლებში კომინტერნის და ცალკეული ეროვნული სექციების ხელმძღვანელები სთავაზობდნენ თავის ვარიანტებს სახალხო ფრონტის კონცეფციისა, რომელიც განსაზღვრავდა ფაშიზმთან ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს საერთაშორისო მასშტაბით და ყოველ ცალკეულ ქვეყანაში სპეციფიკური, დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით.

მთლიანობაში, კონცეფციის ბევრი ვარიანტი ევროპის ქვეყნებში ეფუძნებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის ინსტიტუ-

ტების და სოციალური მიღწევების შენარჩუნებასა და განმტკიცებას (იმ ქვეყნებში კი, სადაც ფაშიზმმა გაიმარჯვა - მათ აღდგენას), აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების თანამშრომლობის განვითარებას მცირე ანტანტის ფარგლებში, რომელიც, აერთიანებდა რა „ევროპის მცირე ერებს“, აძლევდა მათ უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს გერმანიის მუქარის მიმართ. მცირე ანტანტის პოზიციების განმტკიცებისთვის ხელი უნდა შეეწყო სახელმწიფო-მოკავშირეებში სახალხო ფრონტების შექმნას და მათ აქტიურ თანამშრომლობას ერთმანეთთან და საფრანგეთის სახალხო ფრონტთან.

კომინტერნის ევროპული პოლიტიკის კონცეფციაში ამ პერიოდში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჩეხოსლოვაკიას, რომელიც საკვანძო როლს თამაშობდა ევროპული უსაფრთხოების სისტემაში. კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს დადგენილებაში ჩეხოსლოვაკიის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მიიღეს მცირე ხნით ადრე ეგრეთ წოდებული „მიუნხენის გარიგებამდე“ (1938 წლის 25 მაისს), ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას სთავაზობდნენ „გამოეყენებინა პარტიის მთელი ძალები იმისთვის, რომ დაპირისპირებოდნენ ფაშიზმსა და ჩეხოსლოვაკიის დაპყრობას“. კომინტერნის ხელმძღვანელობა აუცილებლად თვლიდა ჩეხოსლოვაკიის დაცვაზე მიმართული საერთაშორისო კამპანიების მეშვეობით „აქტიური რეაგირება მოეხდინა ჰიტლერელთა ყოველ ნაბიჯზე, გადადგმულზე ამ ქვეყნის წინააღმდეგ“. ნავარაუდევი იყო ყველაზე ძლიერი პროპაგანდისტული ზემოქმედების მოხდენა დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში შესამჩნევ როლს თამაშობდნენ კომინტერნის მიერ შექმნილი სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მისივე წარმომადგენლებს ემორჩილებოდნენ. ამგვარი ორგანიზაციის ნათელ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო კომიტეტი, რომელიც, აერთიანებდა რა პოლიტიკური ძალების საკმაოდ ფართო სპექტრს (ქრისტიანული ორგანიზაციებისა და მოძრაობების ჩათვლით), აქტიურად გამოდიოდა ფაშისტური იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, კერძოდ, გერმანიის და იტალიის ჯარების მონაწილეობისა ესპანეთში მიმდინარე ბრძოლებში

მსოფლიო კომიტეტის ერთ-ერთ ძირითად ღირსებას წარმოადგენდა ის, რომ მოცემული ორგანიზაცია არ უწევდა კონკურენციას სხვა მშვიდობისმყოფელ ორგანიზაციებს, პირიქით, იზიდავდა მათ თავის მუშაობაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფორმალურად, ამ კომიტეტის სათავეში იდგნენ ცნობილი ანტიფაშისტი მოღვაწეები სხვადასხვა ქვეყნიდან, ლიბერალური ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც არანაირად არ იყვნენ უშუალოდ დაკავშირებული კომინტერნთან.

კომინტერნის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა თანამშრომლობას მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალთან, აწყობდა რა ერთიან გამოსვლებს კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა (საპარლამენტო და მუნიციპალური ფრაქციების გამოსვლების ჩათვლით) ესპანელი რესპუბლიკელების მხარდასაჭერად, აგრეთვე, ცდილობდა შეექმნა მუდმივი საკონტაქტო კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ამ ორგანიზაციების ანტიფაშისტურ საქმიანობას. კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს ინსტრუქციები, გაცემული კომინტერნის წარმომადგენლებისთვის მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალთან მოლაპარაკებებისთვის, დაჟინებით კარნახობენ მათ, არ დაუშვან მოლაპარაკებების შეწყვეტა

და მიაღწიონ დადებით გადაწყვეტილებებს თუნდაც ცალკეულ საკითხებში.

მთლიანობაში, ომისწინა წლებში კომინტერნის საქმიანობის შედეგებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყველა მისი ძალისხმევისა, მოცემულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო, შეექმნა ევროპაში ფაშისტური აგრესიის საწინააღმდეგო საიმედო სისტემა. ბევრმა ღონისძიებამ, ორგანიზებულმა კომინტერნის მიერ, ვერ პოვა მხარდაჭერა სოციალისტური პარტიების მომხრეთა მხრიდან, ან ვერ იქნა სწორად გაგებული მათ მიერ. ამაში თავისი როლი ითამაშეს: ქრონიკულმა წინააღმდეგობებმა, რომლებიც განსაზღვრავდნენ ურთიერთობებს კომუნისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის III ინტერნაციონალის არსებობის თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში; დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის მიერ იმ რეპრესიული პოლიტიკის მიუღებლობამ, რომელსაც საბჭოთა კავშირში ატარებდა სტალინისეული ხელმძღვანელობა და ბევრმა სხვა ფაქტორმა.

მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მიერ მიღებული ზომები გახდა თავისებური იდეოლოგიური და ორგანიზაციული ფუნდამენტი კომუნისტური და რეფორმისტული არალეგალური ორგანიზაციების შემდგომი თანამშრომლობისათვის ოკუპირებულ ქვეყნებში გაშლილი წინააღმდეგობის მოძრაობის ფარგლებში.

4. საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის წლებში

იმის შემდეგ, რაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია შეიჭრა პოლონეთის ტერიტორიაზე, ახალი ეტაპი იწყება XX საუკუ- ნის

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში. მსოფლიო შევიდა მეორე მსოფლიო ომში, რომელიც კარდინალურად ცვლიდა ამ დროისთვის წარმოქმნილ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას. დიდი ბრიტანეთი, სსრ კავშირი და აშშ-ი, მხარი მხართან, იწყებენ ახალი პარტიის გათამაშებას.

დიდი ბრიტანეთი. 1941 წლის ივლისში, ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, უინსტონ ჩერჩილი, ხელს აწერს მოსკოვთან შეთანხმებას, მიმართულს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. მაგრამ ჩერჩილი, მიდიოდა რა ამ ნაბიჯზე, თვლიდა ხანგრძლივ პერსპექტივაში, რომ ჰიტლერის დამარცხების შემდეგ, შეძლებდა სსრკ-ის შეჩერებას კონტინენტზე. ინგლისის პრემიერ-მინისტრის აზრით, სტალინიც გააგრძელებდა მოსკოვის ტრადიციულ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას შავი ზღვის სრუტეებისა და ხმელთაშუა ზღვის, ანუ ინგლისის ინტერესთა რეგიონის მიმართულებით. ამ შეხედულებების შესაბამისად, ჩერჩილი ითხოვდა მოკავშირეთა ძალების შეჭრას არა ნორმანდიაში (ფრანკლინ რუზველტის წინადადება), არამედ ევრო-პის სამხრეთში. ამ გეგმის მიხედვით, საბჭოთა არმია არ უნდა ყოფილიყო დაშვებული ევროპის გულში. ჩერჩილის აზრით, მოკავშირეთა წარმატებული შეტევა იტალიასა და საბერძნეთში შეაჩერებს წითელი არმიის წინსვლას დასავლეთისკენ და არ მისცემს საშუალებას სტალინს, მოახდინოს კონტინენტის ცენტრალური რაიონების ოკუპაცია.

მოკავშირეთა შეტევა სიცილიასა და იტალიის სხვა რაიონში დაიწყო 1943 წელს. მეორე ფრონტი გაიხსნა 1944 წელს, ნორმანდიაში ინგლის-აშშ-ის ჯარების გადმოსხმის შემდეგ. მაგრამ ჩერჩილის შიში გამართლდა: საბჭოთა არმიის გმირულმა და წარმატებულმა შეტევამ აღმოსავლეთ ფრონტზე მიიყვანა ის პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, გერმანიისა

და ავსტრიის ტერიტორიებზე. მოკავშირეთა შეხვედრა მდინარე ელბაზე შედგა.

უ. ჩერჩილი რუზველტს მოუწოდებდა არ გამოეყვანა ამერიკის ჯარები კონტინენტიდან, რადგან ეს შექმნიდაო ვაკუუმს კონტინენტზე, რომელსაც უმალვე შეავსებდა სსრ კავშირი ლონდონისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური მიზანი გახდა ევროპაში აშშ-ის ჯარების ყოფნის გაფორმება.

საბჭოთა კავშირი. ომამდე სტალინი ვერ ხედავდა დიდ სხვაობას ჩემბერლენის, ჰიტლერისა და რუზველტის პოლიტიკაში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც კი სსრ კავშირის ლიდერი უარყოფდა რაიმე განსხვავების არსებობას ლიბერალურ ამერიკასა და ფაშისტურ გერმანიას შორის. მისთვის ორივე ქვეყანა წარმოადგენდა საპირისპირო მხარეს, იმპერიალისტური, დაპყრობითად განწყობილი სახელმწი-ფოების ბანაკს. იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ შესამჩნევი გავლენა მოახდინა მოსკოვის საგარეო-პოლიტიკურ კურსზე. სტალინმა ბრწყინვალედ გაატარა საბჭოთა კავშირი არეულდარეულ დიპლომატიურ ბრძოლებში, ახორციელებდა რა სტრატეგიას, რომელშიც ნათლად იკვეთებოდა სამი შემადგენელი: გეოპოლიტიკური ინტერესები, ბლეფი და „გაყავი და იბატონეს!“ დიპლომატია.

ამერიკის შეერთებული შტატები. საგარეო-პოლიტიკური გეზი აშშ-ისა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირისა, ზედმეტად იდეოლოგიზირებული იყო. 1941 წელს რუზველტმა შეძლო იმ დოკუმენტზე მიეღო ჩერჩილის ხელმოწერა, რომელიც შემდგომ ცნობილი გახდა ატლანტიკური ქარტიის სახელით. რუზველტი იმედოვნებდა, რომ ლონდონი გულწრფელად იზიარებს ომის მიზნებს: დაცული იყოს ყველა ერის სუვერენიტეტი და მხარ-

დაჭერილი იქნეს თავისუფალი ზღვაოსნობა. თავდაპირველად, ქარტიაში საუბარი იყო „უსაფრთხოების საყოველთაო სისტემის“ ფორმირების, მსოფლიო ეკონომიკის სამართლიანი პრინციპების დამკვიდრების, მსოფლიო სიმდიდრეებისადმი ყველა ქვეყნისთვის თავისუფალი და თანაბარი მისაწვდომობის გარანტიის შესახებ. ამრიგად, საუბარი იყო ტრადიციულ ლიბერალურ ფასეულობებზე. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დოკუმენტი საკმაოდ „დაკოდილი“ იქნა, ჩერჩილმა მას ხელი მოაწერა. ატლანტიკური ქარტია, თუმცაღა მან გამოაჩინა უთანხმოება ვაშინგტონსა და ლონდონს შორის, აღიქმებოდა, როგორც ანტიფაშისტური კოალიციის განუყოფელი იდეური საფუძველი.

ატლანტიკური ქარტიის პრინციპების ნაწილი ეწინააღმდეგებოდა სტალინის პოლიტიკას და იწვევდა კრემლის სიფრთხილეს: სუვერენიტეტის აღდგენა იმ ერებისთვის, რომლებსაც ის დაკარგული ჰქონდათ. ამრიგად, დგებოდა საკითხი საბჭოთა კავშირის მიერ 1939-1941 წლებში ტერიტორიების შეძენის ლეგიტიმურობის შესახებ. მაგრამ, როგორც სტალინი წინასწარმეტყველებდა, ომის შემდეგ მოკავშირეებს არ დაუწყიათ ესოდენ რადიკალური პრინციპების „სიტყვა-სიტყვით“ განმარტება. 1941 წლის 24 სექტემბერს მოსკოვიც შეუერთდა ატლანტიკურ ქარტიას.

აშშ-ის ჩაბმა ომში. 1941 წლის 26 ნოემბერს ვაშინგტონმა იაპონიას წაუყენა ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვდა ჩინეთსა და ინდოჩინეთიდან იაპონიის ყველა სამხედრო ნაწილის გამოყვანას, აგრეთვე უარის თქმას ჩინეთში ნებისმიერი მთავრობის მხარდაჭერაზე, გარდა გომინდანის მთავრობისა. 10 დღის განმავლობაში აშშ-ი ელოდებოდა პასუხს. 7 დეკემბერს იაპონიის ავიაციამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზას ჰავაის არქიპელაგზე, პერლ-

ჰარბორში. ეს თავდასხმა სრულიად მოულოდნელი იყო შეერთებული შტატების აშშ-ის ფლოტისთვის, რის შედეგადაც მას მძიმე დანაკარგები ჰქონდა. აშშ-მ განაცხადა გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის შესახებ. 1941 წლის 8 დეკემბერს დიდმა ბრიტანეთმა ომი გამოუცხადა იაპონიას. მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიხლიჩა - ერთი მხრივ, ღერძის ქვეყნები: გერმანია, იაპონია, იტალია და მათი მოკავშირეები, მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთი, აშშ-ი, საბჭოთა კავშირი და მათი მოკავშირეები.

1942 წლის მაის-ივნისში ხელი მოეწერა შეთანხმებებს სსრკ-ინგლისსა და სსრკ-აშშ-ს შორის. სსრკ-ინგლისს შორის ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში კავშირის და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ 1942 წლის 26 მაისის შეთანხმების შესაბამისად, მხარეებმა აიღეს ვალდებულება „გაუწიონ ერთმანეთს სამხედრო და სხვა სახის დახმარება და აღმოუჩინონ ერთმანეთს ყოველგვარი მხარდაჭერა გერმანიის და ყველა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ უკანასკნელთან ევროპაში აგრესიის აქტებში“, და არ შევიდნენ არანაირ მოლაპარაკებაში ჰიტლერის მთავრობასთან. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტების განვითარება ომის შემდეგ.

სსრკ-აშშ-ის შეთანხმების მიხედვით, ამერიკელებმა აიღეს ვალდებულება, მოემარაგებინათ საბჭოთა კავშირი თავდაცვითი მასალებით, საბჭოთა მხარემ კი ვალდებულება - ხელი შეუწყოს აშშ-ის თავდაცვის განმტკიცებას. შეერთებული შტატების მიერ სათანადო მასალების მოწოდებამ ლენდლიზის ფარგლებში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საბჭოთა არმიას.

შეთანხმებები, რომელთა ხელმოწერას მოლოტოვმა მიაღწია ლონდონსა და ვაშინგტონში, იქცნენ მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის ფორმალურ საფუძვლად. ამასთან, მოლოტოვის მიერ ჩამოტანილ კომუნიკეს, რომელშიც დადასტურებული იყო მოკავშირეების მიერ სრული გაგება ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტის გახსნის საკითხში, სტალინი განმარტავდა, როგორც ვაშინგტონისა და ლონდონის ვალ-დებულებას ნამდვილად გაეხსნათ მეორე ფრონტი. მაგრამ მოსკოვში ჩერჩილის ვიზიტის დროს, ინგლისის პრემიერ-მინისტრი შეეცადა დაერწმუნებინა სტალინი, რომ შეუძლებელია მეორე ფრონტის გახსნა ევროპაში 1942 წელს. ამ წლის 8 ნოემბერს ამერიკელები გადმოსხდნენ მაროკოს სანაპიროზე ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც ჯერ კიდევ რჩებოდა მუქარა ინგლისის სამფლობელოებისთვის მახლობელ აღმოსავლეთში.

მოსკოვის კონფერენცია შედგა 1943 წლის 19-30 ოქტომბერს. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის, აშშ-ის და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები. კონფერენციას წინ უსწრებდა „დიდი სამეულის“ შეხვედრა თეირანში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ჩინეთის წარმომადგენელმა (ჩინეთის ელჩმა მოსკოვში). მოკავშირეებმა განიხილეს საკითხები: ომის ვადების შემცირების შესახებ (მეორე ფრონტის გახსნის შესახებ), გერმანიის ომისშემდგომი მოწყობის შესახებ, იტალიის მდგომარეობის შესახებ, ავსტრიის შესახებ, ომის შემდეგ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. შესაძლოა, კონფერენციის ერთადერთი რეალური შედეგი გახდა დაფუძნება ევროპული საკონსულტაციო კომისიისა, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრების აზრით, უნდა შეემუშავებინა და სამი მთავრობისთვის წარმოედგინა წინადადებები, დაკავშირებული ევროპაში სამხედრო მოქმედებების დასრულებასთან, აგრეთვე ღერძის ქვეყნების კაპიტულაციის პირობები.

მოსკოვის კონფერენციაზე პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა გაეროს შექმნისკენ. „ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციაში საყოველთაო უშიშროების საკითხზე“, საუბარი იყო მხარეების განზრახვაზე გაეგრძელებინათ ბრძოლა მოწინააღმდეგის უპირობო კაპიტულაციამდე. კონფერენციაზე მინისტრები ცდილობდნენ, არ გაეღიზიანებინათ ერთმანეთი რადიკალური წინადადებებით, რადგან მათ ესმოდათ, რომ მთავარი და პრინციპული საკითხები უნდა ყოფილიყო მიღებული ლიდერთა მიერ თეირანის შეხვედრაზე. ასე, ომისშემდგომი საზღვრების საკითხი თითქმის არ განხილულა. თავის მხრივ, მოკავშირეები შეეცადნენ დაერწმუნებინათ მოსკოვი იტალიაში მეორე ფრონტის გახსნის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაში. მოსკოვის კონფერენცია პირველი გახდა მოკავშირეთა კონფერენციების მთელი სერიიდან 1943 წლის შემოდგომიდან 1945 წლის ზაფხულამდე.

თეირანში მიმავალი ჩერჩილი და რუზველტი 1943 წლის 23 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდნენ ქაიროში. ამ შეხვედრის მთავარი საკითხი იყო შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მომავლის განხილვა. სწორედ, ამიტომ იყო მოწვეული ქაიროში ჩინეთის ლიდერი ჩან კაიში, რამაც ჩერჩილის გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია. ინგლისის ლიდერი ხედავდა, რომ რუზველტი ცდილობდა, ჩამოეყალიბებინა დიდ სახელმწიფოთა ახალი კლუბი, რომლიდანაც გამოირიცხებოდნენ „ძველი“ მოთამაშეები: ინგლისი და საფრანგეთი. კონფერენციის ფორმალური შედეგი იყო დეკლარაცია შორეული აღმოსავლეთის შესახებ, რომელშიც გაცხადებული იყო იაპონიის იმპერიის სრული ლიკვიდაცია. სტალინი დაეთანხმა ქაიროს დეკლარაციას; მან მხარი დაუჭირა აშშ-ის მისწრაფებას შეეყვანა ჩინეთი დიდი სახელმწიფოთა კლუბში, მაგრამ, ამასთან, მოითხოვა სსრ კავშირისთვის დადებითად გადაწყვეტილიყო ტე-

რიტორიული საკითხი, დაკავშირებული სახალინსა და კურილიის კუნძულებთან.

თეირანის კონფერენცია შედგა ირანის დედაქალაქში 1943 წლის 28 ნოემბერს - 1 დეკემბერს. ამ კონფერენციის თავისე-ბურება გახდა შესამჩნევი დაახლოება მოსკოვისა და ვაშინგტონისა, რომლებიც ამერიკაში მოლოტოვის 1941 წლის დეკემბრის ვიზიტის შემდეგ, გაცილებით უკეთესად უგებდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ პოზიციათა ერთიანობა მსოფლიოს მომავალი მოწყობის პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩერჩილი, პირიქით, რჩებოდა ინგლის-ამერიკის ბლოკის სტრატეგიის მომხრედ.

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახდა მეორე ფრონტის გახსნის საკითხი. ამ დროისთვის მოხდა ძირეული გარდატეხა აღმოსავლეთ ფრონტზე. წითელი არმია შეტევაზე გადავიდა და მოკავშირეები ხედავდნენ ევროპის ცენტრში საბჭოთა ჯარისკაცის გამოჩენის პერსპექტივას, და ეს სულაც არ შედიოდა მათ გეგმებში. ეს განსაკუთრებით ძლიერ აღიზიანებდა ინგლისის ლიდერს, რომელსაც არ სჯეროდა საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობისა. კონფერენციაზე ჩერჩილი და რუზველტი დათანხმდნენ მეორე ფრონტის გახსნაზე. „დიდი სამეული“ ასევე იხილავდა ევროპაში მომავალი საზღვრების საკითხს. ყველაზე მტკივნეული იყო პოლონეთის საკითხი. სტალინმა შესთავაზა პოლონეთის საზღვრის გადაწევა დასავლეთით, ოდერისკენ. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვარი უნდა გასულიყო 1939 წელს დადგენილ ხაზზე. იმ დროსვე სტალინმა განაცხადა მოსკოვის პრეტენზიების შესახებ კენიგსბერგზე და ფინეთთან ახალ საზღვრებზე. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, თანხმობა განეცხადებინათ მოსკოვის ტერიტორიულ მოთხოვნებზე. სტალინმა, თავის მხრივ, პირობა

დადო, რომ ჩაერთვებოდა იაპონიის წინააღმდეგ ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ. თეირანში ასევე განაცხადეს, რომ ომისშემდგომი მსოფლიოს მართვა გახდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მოქმედი ოთხი სახელმწიფოს საქმე (იმისა, რომლის წესდება 1944 წლის სექტემბერში მუშავდებოდა აშშ-ის, ინგლისის და სსრკ-ის წარმომადგენლების მიერ დუმბარტონ-ოქსში (აშშ). არაოფიციალური კონფერენცია დასრულდა იმით, რომ მიღებული იქნა „წინადადებები, დაკავშირებული უსაფრთხოების საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასთან“. დუმბარტონოქსში იქნა შეთანხმებული მომავალი ორგანიზაციის მიზნები, პრინციპები, წევრობა და სტრუქტურა.

1945 წლის 4-11 თებერვალს „დიდი სამეული“ იალტაში შეიკრიბა. ყირიმში ჩამოსვლის წინ ინგლისისა და აშშ-ის ლი-დერებმა ჩაატარეს წინასწარი კონსულტაციები მალტაზე. მაგრამ დასავლეთელმა ლიდერებმა ვერ მოხსნეს ის წინააღმდეგობები, რომლებიც იალტაში მოლაპარაკებათა მსვლელობისას გამოვლინდა. რუზველტს განზრახული ჰქონდა მოსკოვთან თანამშრომლობის გეზის გაგრძელება, იმედოვნებდა რა, რომ სსრ კავშირის დახმარებით შეძლებდა კოლონიური სისტემის დემონტაჟის დასრულებას. ჩერჩილი კი მოითხოვდა ატლანტიკური სოლიდარობის შენარჩუნებას, მითუმეტეს, რომ აშშ-ს და ინგლისის ლიდერებს აკავშირებდა ატომური პროექტის საიდუმლოება, რომლის რეალიზაცია დაწყებული იყო აშშ-ში.

კონფერენციის ძირითადი საკითხი იყო გერმანიის ბედი. შეთანხმებული იყო გერმანიის არმიის საბოლოო განადგურების გეგმები და ვადები. მიღებული იყო გადაწყვეტილება გერმანიის ტერიტორიაზე სამი საოკუპაციო ზონის და სამი სახელმწიფოს მთავარსარდლების ბერლინში განლაგებული სპეციალ-

ური საკონტროლო ორგანოს შექმნის შესახებ. მიუხედავად სტალინის პროტესტისა, მხარეები შეთანხმდნენ, საფრანგეთიც მოეწვიათ გარკვეული ზონის დასაკავებლად და საკონტროლო ორგანოს მუშაობაში მონაწილეობისთვის. რუზველტმა დაარწმუნა სტალინი, რომ ეს შესაძლებელს გახდის, შერბილდეს დე გოლის პოზიცია. მოკავშირეები შეთანხმდნენ რეპარაციების საკითხზეც, თუმცა საბოლოო თანხა არ დადგენილა.

კონფერენციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში კვლავ იყო პოლონეთის საკითხი. ჩერჩილი და სტალინი სხვადასხვანაირად ხედავდნენ პოლონეთ-გერმანიის საზღვარს. აღმოსავლეთი საზღვარი კერზონის ხაზზე უნდა გასულიყო.

საბჭოთა კავშირმა შეძლო მიეღო თანხმობა იმაზე, რომ ორი საბჭოთა რესპუბლიკა გამხდარიყო გაეროს წევრი. დამფუძნებელი კონფერენცია დაგეგმილი იყო 1945 წლის აპრილისთვის.

ამერიკული მხარის წინადადებით, შეთანხმებული იყო იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის ჩართვის საკითხიც. დადგინდა, რომ ეს მოხდებოდა არაუგვიანეს სამი თვისა გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, იმ პირობით, რომ შენარჩუნდებოდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის არსებული მდგომარეობა; აღდგებოდა რუსეთის უფლებები, დარღვეული პორტსმუტის 1905 წლის მშვიდობიანი ხელშეკრულებით; საბჭოთა კავშირს გადაეცემოდა კურილიის კუნძულები. ყველა ამ საკითხში მოსკოვისთვის დათმობების ინიციატორი იყო ფრანკლინ რუზველტი, რომელიც ატლანტიკურ ქარტიაში ჩადებული თავისი იდეების რეალიზაციისთვის ცდილობდა სტალინის მხარდაჭერის მიღებას.

კონფერენციაზე განხილული იყო ევროპის მცირე ქვეყნების ბედი. სტალინი, რომელსაც ესმოდა, რომ ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტა სსრ კავშირის სასარგებლოდ მისგან

საპასუხოს მოითხოვდა, ბევრ საკითხში წავიდა დათმობებზე. საბერძნეთი რჩებოდა ბრიტანული ინტერესების სფეროში, იტალიაში რჩებოდა აშშ-დიდი ბრიტანეთის კონტროლი, იუგოსლავიაში კი ჯერჯერობით პარიტეტი იყო შენარჩუნებული. არსებითად, იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სსრკ-ის გავლენის სფეროში გადასცეს. ყირიმში „დიდმა სამეულმა“ შეადგინა მსოფლიოს მომავალი რუკა, რომელმაც საბოლოო შედეგად მიიღო რამდენადმე განსხვავებული მოხაზულობა, ვიდრე ეს ესახებოდა ფრანკლინ რუზველტს, უინსტონ ჩერჩილს და იოსებ სტალინს.

1945 წლის 25 აპრილს სან-ფრანცისკოში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია. მან მიიღო გადაწყვეტილება (ამ ორგანიზაციის) უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობის შესახებ მშვიდობის შენარჩუნებისთვის, შეზღუდა რა ასამბლეის უფლებამოსილებები. მიუხედავად დიდი სახელმწიფოების პოზიციებში მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობების არსებობისა, მთავარი გაკეთდა. შეიქმნა ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იყო კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის.

1 მაისს საბჭოთა არმიამ აიღო ბერლინი და აიძულა გერმანია 1945 წლის 9 მაისს ხელი მოეწერა უპირობო კაპიტულაციისთვის. ომი ევროპაში დასრულდა. 1945 წლის 2 სექტემბერს ტოკიოს ყურეში, ამერიკულ სახაზო გემ „მისურის“ ბორტზე ხელი მოაწერეს აქტს იაპონიის უპირობო კაპიტულაციის შესახებ. მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. ბევრს იმედი ჰქონდა, რომ მეორე გაკვეთილს კაცობრიობა უფრო სერიოზულად აღიქვამდა. მაგრამ უკვე მოკავშირეთა კონფერენციის მუშაობის მსვლელობისას გროვდებოდა ფორმალური პრეტენზიები, რომლებმაც მისცეს კიდეც საბაბი ახალი, უკვე „ცივი ომის“ დაწყებისა.

იალტიდან დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა ფრანკლინ რუზველტი, ომისშემდგომი მსოფლიოს არქიტექტორი. ასეთი პოლიტიკოსის ცხოვრებიდან წასვლამ სერიოზული გავლენა მოახდინა მსოფლიოს მომავალ მოწყობაზე.

ნაწილი 3. საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნის მეორე ნახევარში

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იწყება საერთაშორისო პოლიტიკური პროცესის ახალი ეტაპი, რომლის საკვანძო დახასიათება გახდა ორპოლუსიანობის ცნება. ჰეგემონიისთვის ბრძოლა კონცენტრირებული იქნა ძალის ორი პოლუსის - აშშ-ის და სსრკ-ის, ანუ იმ სახელმწიფოების ირგვლივ, რომლებმაც უდავოდ წამყვანი პოზიციები დაიკავეს მსოფლიოში. საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათი რამდენიმე ათწლეულით დამოკიდებული გახდა ვაშინგტონსა და მოსკოვში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ორპოლუსიანობა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა მყარი მოდელი, ჩამოყალიბდა 1950-იანი წლების შუა ხანებში. 1955 წელს იქმნება ვარშავის ხელ-შეკრულების ორგანიზაცია, რომელიც გამოვიდა საპირწონედ 1949 წელს ჩამოყალიბებული ჩრდილოატლანტიკური კავშირისა (ნატო-ს). გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ იალტასა და პოტსდამში მიღწეული შეთანხმებები, თავიდან არ ნიშნავდა გარდაუვალ კონფრონტაციას, პირიქით, ამ დოკუმენტების თანახმად, ამ სახელმწიფოთა შორის უნდა განაწილებულიყო გავლენის სფეროები, როგორც ეს არაერთხელ ხდებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში. მაგრამ ბი-პოლარული სისტემა თავის ჩამოყალიბებასთან ერთად, კონ-ფრონტაციულ ხასიათს იღებდა, რაც დაღს ასვამდა საერ-თაშორისო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მართვის ამგვარი სისტემა - ორი ცენტრიდან - წააწყდა წინააღმდეგობას ევროპული პოლიტიკის ძალის „ტრადიციული“ ცენტრების, ინგლისის და საფრანგეთის მხრიდან. მათი

მოქმედებები მიმართული იყო აშშ-სა და სსრკ-ის შორის უნდობლობის გაღვივებაზე, რაც გარკვეულწილად, ხელს უწყობდა მსოფლიოს ორპოლუსიანი სამყაროს კონფრონტაციულობის გაძლიერებას.

აშშ-ის მისწრაფება, შეენარჩუნებინა ბირთვული მონოპოლია, მოსკოვის ტრადიციული ამბიციები შავიზღვისპირეთსა და ირანში, ტრუმენის დოქტრინა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უარი მარშალის გეგმის განხორციელებაში მონაწილეობაზე, პოლიტიკური კრიზისი ჩეხოსლოვაკიაში, 1948 წლის ბერლინის კრიზისი - ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ კონფრონტაციამ დაიწყო რეალობად გადაქცევა. თანდათან ვლინდებოდნენ კონტურები მომავალი „რკინის ფარდისა“, რომელიც გახდა „ცივი ომის“ განსახიერება. ორწელიწადნახევარში (1945-1947) ნათლად გამოვლინდა ძალის მომავალ ცენტრებს შორის კონფრონტაციის ხაზები. ჩინეთის 1949 და კორეის 1950 წლების მოვლენებმა გეოგრაფიული წერტილი დასვეს მსოფლიოს ორ „მტრულ“ პოლუსად დანაწილების ხაზზე. „კონფრონტაციის სულისკვეთებამ“ დაიწყო იმ კრიზისების გადდაჭრის მეთოდების განსაზღვრა, რომლებსაც უპირატესად ჰქონდათ სამხედრო-პოლიტიკური (ანუ, ძალისმიერი) ხასიათი.

აშშ-მ ისე დაასრულა ომი, რომ მას გააჩნდა უდიდესი უპირატესობა თავის ევროპელ მოკავშირეებზე (არაფერი რომ ითქვას დამარცხებულ ქვეყნებზე). მის ტერიტორიას სამხედრო მოქმედებები არ შეხებია, ომის წლებში აქ შეიქმნა სამხედრო-სამრეწველო ხასიათის მძლავრი პოტენციალი. მას გააჩნდა უდავო ფინანსური, ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და მორალური უპირატესობა ყველა სხვა ქვეყანაზე. მხოლოდ სსრ კავშირს შეეძლო კონკურენცია გაეწია აშშ-თვის სამხედრო-პოლიტიკური და მორალური პოტენციალის მიხედვით. სხვა

გამარჯვებული ქვეყნები „მსოფლიოს განაწილებაში“ მონაწილეობდნენ მხოლოდ მოკავშირეთა უფლებით, არ გააჩნდათ რა ის პოტენციალი, რომელსაც ფლობდნენ აშშ-ი და სსრკ-ი.

90-იანი წლების დასაწყისში „ცივი ომის“ პრობლემამ დიდი ყურადღება მიიპყრო როგორც სამამულო, ისე ამერიკელი მკვლევარების მხრიდან. სამწუხაროდ, რუსეთის ბევრი მკვლევარი რომელიც წერს ომისშემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებზე და აშშ-ის და სსრკ-ის საგარეო პოლიტიკაზე, ცდილობს, ახსნას მომხდარი უკვე ცნობილი მოვლენების კვლევით ადრე უცნობი წყაროების მასალის მოზიდვის მეშვეობით, ამასთან, ისე, რომ კონცეპტუალური თვალსაზრისით, არ სცილდება იდეოლოგიების ბრძოლის ჩვეულ კონცეფციას. უკანასკნელი წლების სამამულო ამერიკათმცოდნეობის მეორე უკიდურესობას წარმოადგენს ტრადიციული ბრალდებულის - აშშ-ის შეცვლა იმპერიალისტური საბჭოთა კავშირით და მისი ტოტალიტარული ლიდერით, ი. სტალინით. და მაინც, „ცივი ომის“ პრობლემა მოითხოვს ყველაზე გულდასმით შესწავლას, თანაც არამარტო ახალი წყაროების გამოყენების, არამედ ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზეც.

უკანასკნელ დროს თვით ტერმინი „ცივი ომი“ მნიშვნელოვანწილად გადაიქცა ჟურნალისტურ შტამპად. ამერიკელი ისტორიკოსები ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში ცდილობდნენ, გადაეფასებინათ ტერმინის მნიშვნელობა და მისი შემცვლელი მოენახათ, „გეოპოლიტიკოსების“ სკოლა კი საერთოდ არ ღებულობდა სერიოზულად მის ჩვეულებრივ განმარტებას. 20-30 წლის წინ დაწერილ უამრავ ნაშრომში (ავტორთა შორის აღსანიშნავია ლ. ჰოლე, მ. შულმანი, პ. სიბერი) საუბარი იყო იმის დასასრულზე, რასაც „ცივი ომი“ ეწოდებოდა და იმაზე, რომ აუცილებელია კიდევ და კიდევ დაბრუნება მისი მიზეზებისა და არსის ახსნისაკენ.

თავი 1. ბიპოლარული სამყარო

1. ბიპოლარული მსოფლიოს საწყისი პერიოდის ზოგადი დახასიათება

მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის გეგმები. ომისშემდგომი დარეგულირების და გერმანიის საკითხის გადაწყვეტის ყველა ძირითადი პრინციპი მიღებული იქნა სსრ კავშირის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მეთაურთა პოტსდამის კონფერენციაზე. ის მუშაობდა 1945 წლის ივლის-აგვისტოში ორდღიანი შესვენებით, რომელიც გამოწვეული იყო ინგლისში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებით. დელეგაციებს ხელმძღვანელობდნენ: საბჭოთას - ი. ბ. სტალინი, ამერიკულს - ჰ. ტრუმენი, ინგლისურს - უ. ჩერჩილი (არჩევნებზე ლეიბორისტთა გამარჯვების შემდეგ დელეგაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ის შეცვალა კ. ეტლიმ).

გერმანიის მიმართ შემუშავდა ერთიანი პრინციპები, მიმართული სახელმწიფოს დემილიტარიზაციაზე, დენაციფიკაციასა და დემოკრატიზაციაზე. გათვალისწინებული იყო ქვეყნის სრული განიარაღება და მთელი მისი იმ მრეწველობის ლიკვიდაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო შეიარაღების წარმოებისთვის. იკრძალებოდა მილიტარისტული და ნაცისტური პროპაგანდა.

სსრ კავშირმა, შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა მოილაპარაკეს გერმანიის რეპარაციებზე. სსრკ-ი რეპარაციების ანგარიშში ღებულობდა სამრეწველო მოწყობილობას ოკუპაციის თავის ზონიდან, აგრეთვე, კაპიტალური სამრეწველო მოწყობილობის 25 პროცენტს ოკუპაციის დასავლეთ ზონებიდან. აშშ-ი, ინგლისი და სხვა ქვეყნები რეპარაციებთან დაკავშირებულ თავის პრეტენზიებს იკმაყოფილებდნენ ოკუპაციის დასავლური ზონების და საზღვარგარეთ არსებული გერმანიის აქტივების ხარჯზე. გერმანიის სამხედრო-საზღვაო და სავაჭრო ფლოტი თანაბრად გაინაწილა სამმა. ინგლისმა მიაღწია გერმანიის წყალქვეშა ფლოტის დიდი ნაწილის ჩაძირვას.

ძალიან ძნელად წყდებოდა ტერიტორიული საკითხები. ქალაქი კენიგსბერგი მიმდებარე რაიონით გადაეცემოდა სსრ კავშირს, საზღვარი პოლონეთსა და გერმანიას შორის უნდა გასულიყო მდინარეების ოდერის და დასავლეთ ნეისეს ხაზზე, აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი და ქალაქი დანციგი პოლონეთს გადაეცემოდა.

ასევე მიიღეს გადაწყვეტილება პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან გერმანელი მოსახლეობის ნაწილის გერმანიაში გადასახლების შესახებ.

გადაწყდა საკითხი იტალიასთან, ფინეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან სამშვიდობო შეთანხმებების ხელმოწერის შესახებ. ამ შეთანხმების მოსამზადებლად ფუძნდებოდა საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო, რომელიც ასევე უნდა დაკავებულიყო იტალიის ყოფილი კოლონიების პრობლემით.

სამშვიდობო მოლაპარაკებების მომზადებისას, რიგი სახელმწიფო ცდილობდა, გადაეწყვიტა საკუთარი ტერიტორიული პრობლემები. ასე, საბერძნეთმა პრეტენზიები წაუყენა ბულგარეთს, ვაშინგტონმა და ლონდონმა შესთავაზეს გადაესინჯათ უკვე მიღებული გადაწყვეტილებები ფინეთსა და სსრკ-ს შორის, აგრეთვე, უნგრეთსა და რუმინეთს შორის საზღვრების შესახებ. მწვავე დისკუსია გამოიწვია საკითხებმა, დაკავშირებულმა საზღვართან იტალიასა და იუგოსლავიას შორის, მათ შორის იყო ქალაქ ტრიესტის პრობლემაც (აქ აშშ-ი აპირებდა

თავისი სამხედრო-საზღვაო ბაზის მოწყობას). მიუხედავად ამისა, მიიღეს გადაწყვეტილება ტრიესტისა და მიმდებარე ტერიტორიისთვის თავისუფალი ტერიტორიის სტატუსის მინიჭების შესახებ. 1954 წელს ეს ტერიტორია გაიყო იუგოს-ლავიასა და იტალიას შორის.

1947 წლის 10 თებერვალს პარიზში ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებებს იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთსა და ფინეთთან. ამავე წლის 15 სექტემბერს, იმის შემდეგ, რაც ეს შეთანხმებები რატიფიცირებული იქნა სსრ კავშირის, შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მიერ, ისინი ძალაში შევიდა. ისტორიულ ლიტერატურაში ეს შეთანხმებები სხვადასხვანაირადაა შეფასებული. განსაკუთრებით მკვეთრი კრიტიკის საგანი იყო პოზიცია მოსკოვისა, რომელიც, რიგი მკვლევარის აზრით, ხელს უშლიდა „სამართლიანი“ გადაწყვეტილებების მიღებას. სამამულო ლიტერატურაში სხვა თვალსაზრისი ბატონობდა. ამტკიცებდნენ, რომ მოკავშირეებს ძალზე მძიმე გადასახადების დაკისრება უნდოდათ ამ ქვეყნებზე, რაც გარდაუვლად აისახებოდა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. რა შეფასებებიც არ უნდა მიეცეს, უნდა აღინიშნოს, რომ პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებები და სამშვიდობო შეთანხმებები ამ ხუთ სახელმწიფოსთან, იყო ყოფილ მოკავშირეებს შორის უკანასკნელი კომპრომისული ხელშეკრულებები, რომელიც მუშაობდა ევროპის ქვეყნების მშვიდობიან განვითარებაზე. ამის შემდეგ დაიწყო დაპირისპირება, სადაც მთავარი ფსონი გაკეთდა გამალებულ შეიარაღებაზე.

აშშ-ს ომისშემდგომი საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა სერიოზული ფიქრი

ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე დაიწყეს ჯერ კიდევ 1943-1944 წლების მიჯნაზე. სამხედრო პირები ამუშავებდნენ სისტემას მომავალი (ზღვის გაღმა განლაგებული) სამხედდრო ბაზებისა, რომლებიც უნდა შეექმნათ ომის დასრულების შემდეგ. ამ ბაზებს უნდა გაეტარებინათ აშშ-ის ახალი „ეროვნული სტრატეგიული საზღვრები“. ამ საზღვრების ფარგლებში აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს უნდა ებატონათ და მათ უნდა შეძლებოდათ თავისუფალი გადაადგილება, ვითარების გასაკონტროლებლად, და ეს იმ დროს, როდესაც ამ ფარგლების გარეთ ამერიკას შეეძლო ძალის გამოყენება ეროვნული ინტერესებისათვის მუქარის გასანეიტრალებლად, ან მოწინააღმდეგე ქვეყნების მხრიდან აგრესიის ნებისმიერი აქტის თავიდან ასაცილებლად. 1944 წლის დასაწყისში პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა მხარი დაუჭირა ამ გეგმებს.

მოცემულ გეგმას საფუძვლად ედო ორი კონცეფცია: „ღრმა თავდაცვის“ და „ძალის პროექციის“. რადგან მუქარა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის შეიძლება (სამხედროთა აზრით) გამოჩენილიყო ევროპის ან აზიის ქვეყნების მხრიდან, აშშ-ს უნდა შეექმნა ბაზებისგან შემდგარი თავდაცვითი რკალი. გეოგრაფიულად ის ფორმირდებოდა ალეუტის კუნძულების, ფილიპინების, იაპონიის კუნძულ ოკინავას, აზორის ან კანარის კუნძულებიდან. სამხედროთა არსებობა ამ ადგილებში უზრუნველყოფდა პოტენციური მოწინააღმდეგის საკმაო მანძილით დაშორებას აშშ-ის ტერიტორიისგან, აგრეთვე უზრუნველყოფდა სრულ კონტროლს ატლანტიკურ და წყნარ ოკეანეებში მდებარე სავაჭრო გზებზე.

პირველი სამხედრო ბაზა, რომელმაც პოვა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირთა მხარდაჭერა, აშენდა ისლანდიაში. ეს მოხდა 1945 წლის ოქტომბერში, მოგვიანებით, სამხედროებმა

შეძლეს თეთრი სახლის დარწმუნება იმაში, რომ მძიმე ბომბდამშენების განსალაგებლად, საჭიროა ბაზის შექმნა გრენლანდიაში. მაგრამ სამხედროთა ბევრ გეგმას არ ეწერა განხორციელება 40-იანი წლების ბოლოს, რადგან დაიწყო სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი შეკვეცა. ეს დაკავშირებული იყო სამხედრო მოქმედებების შეწყვეტასა და არმიაში დემობილიზაციის დაწყებით. ომის დასასრულისთვის აშშ-ის არმია ითვლიდა 8,02 მლნ სამხედრო მოსამსახურეს, ერთი წლის განმავლობაში ის შეიკვეცა 1 889 690 ადამიანამდე. მიუხედავად იმისა, რომ იზრდებოდა დაძაბულობა ყოფილ მოკავშირეებ-თან, გრძელდებოდა სამხედრო მოსამსახურეთა დემობილიზაცია აშშ-ში გრძელდებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ამერიკა გეგმავდა თავისი საგარეო-პოლიტიკური ამბიციების „შეკვეცას“. ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად გამოვიდა „ტრადიციული“ იზოლაციონიზმის ფარგლებიდან.

ამას გარკვეულწილად უწყობდა ხელს სსრ კავშირის პოლიტიკაც, მიმართული კოლონიალიზმის სისტემის დასუსტებასა და დაშლაზე, რაც, თავის მხრივ, პასუხობდა აშშ-ის გრძელვადიან ინტერესებს. მაგრამ ხდებოდა სსრკ-ის გაძლიერება, იზრდებოდა მისი გავლენის სფერო, რაც ეწინააღმდეგებოდა ამერიკის ინტერესებს. 1945 წლის შემოდგომისთვის აშშ-ის სამხედრო ექსპერტებმა მოამზადეს სპეციალური მოხსენებები, რომლებშიც ნაჩვენები იყო, თუ რა ნეგატიური შედეგების მომტანი იყო ამერიკისთვის საბჭოთა კონტროლის შესაძლო დამყარება ევროპის დიდ ნაწილზე, რაც მოსკოვს საშუალებას მისცემდა, მიწვდომოდა სტრატეგიული ხასიათის ბევრ რესურსს. აშშ-ის უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდებოდა მის მისაწვდომობას ევრაზიის რესურსებზე, აგრეთვე რეგიონის

ქვეყნების ერთგულებას ლიბერალური კაპიტალისტური ფასეულობებისადმი.

თანაც, აშშ-ის ინტერესები არ შეიზღუდებოდა მხოლოდ დასავლეთ ევროპის, გერმანიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიებით. სამხედრო ექსპერტები სერიოზულ შეშფოთებას გამოხატავდნენ იმის გამოც, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ სწორედ კორეის კონფლიქტმა საბოლოოდ გააფორმა კონფრონტაციული შინაარსის ბიპოლარული სტრუქტურა.

მიუხედავად ამერიკის წამყვანი ექსპერტების შიშისა ევრაზიაში თავისი გავლენის შესაძლო დაკარგვის გამო, ისინი არ ელოდებოდნენ სამხედრო აგრესიას სსრ კავშირის მხრიდან. პროგნოზებიც კი კეთდებოდა იმაზე, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ათი წლის განმავლობაში სსრკ-ი ვერ შეძლებს სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას თავისი საზღვრების გარეთ. ეს დასკვნები კეთდებოდა მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის სამხედრო ნაწილები ირანში იდგა. 1946 წლის მარტშიც კი, კონგრესში ტრუმენის დოქტრინის განხილვისას, აშშ-ის არმიის დაზვერვის უფროსმა ვერ შეძლო, მოეყვანა ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდნენ მოსკოვის მხრიდან შესაძლო სამხედრო აგრესიის მზადებას. 1947 წ. სექტემბერში ცსს-ს ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სსრკ-ი არ შეეცდება, დაიპყროს დასავლეთ ევროპა. სამხედროების და მზვერავების შეფასებები არ შეიცვალა იმის შემდეგაც კი, რაც კომუნისტებმა 1948 წ. ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ჩეხოსლოვაკიაში. წამყვანი ექსპერტები მთლიანობაში საუბრობდნენ სსრ კავშირის შედარებით სისუსტეზე აშშ-ის პოტენციალთან შედარებით, რაც საბჭოთა ლიდერებს არ მისცემდა ევროპაში ახალი ომის დაწყების საშუალებას.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ამერიკელი ლიდერი მოითხოვდა ამერიკის პოზიციების განმტკიცებას ევროპაში. საქმე იმაშია, რომ მათ არა იმდენად ეშინოდათ სამხედრო ინტერვენციისა საბჭოთა კავშირის მხრიდან, რამდენადაც მემარცხენე ძალების გამარჯვებისა ევროპის ქვეყნებში. იმათ შორის, ვინც 1947-1948 წლებში მოითხოვდა საიდუმლო ოპერაციების განხორციელებას გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში, იყვნენ სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი, სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელი რობერტ პატერსონი, თავდაცვის მინისტრი ჯეიმს ფორესტოლი და სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული პოლიტიკური დაგეგმარების შტაბის დირექტორი ჯორჯ კენანი. მათი მიზანი იყო არ დაეშვათ იმ დროს ძალზე პოპულარული მემარცხენე პარტიების გამარჯვება. პრეზიდენტი ტრუმენი დაეთანხმა მათ რეკომენდაციებს, და ყველა შემდგომი პრეზიდენტი დიდ ყურადღებას აქცევდა სწორედ, საიდუმლო ოპერაციებს საბჭოთა კავშირის საქმიანობისათვის დასაპირისპირებლად.

სსრკ-ის მიმართ ომისშემდგომი წლების მთელი პოლიტიკა ეფუძნებოდა კენანის მიერ შემოთავაზებულ შეკავების სტრატეგიას, რომელიც პირველად იყო წარმოდგენილი 1946 წლის 22 თებერვლის მისივე „გრძელ ტელეგრამაში“. შეკავების სტრატეგია იმ ვარაუდიდან გამოდიოდა, რომ საბჭოთა პოლიტიკა „გარბილდება“, მოსკოვი შეასუსტებს თავის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს, თუ დარწმუნდება, რომ ისინი არ ამართლებენ მათზე გაწეულ ხარჯებს. ამ სტრატეგიის ჩარჩოებში მხარი დაუჭირეს „მარშალის გეგმას“ ევროპის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევის შესახებ, და გადაწყდა: ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აქ შენარჩუნებული იქნას აშშ-ის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი კონტინ-

გენტი. ეკონომიკური დახმარებისა და სამხედროების ყოფნის გარდა, არსებობდა რაღაც შუალედური ზონა, რომლის ფარგლებში აშშ-ი, დიპლომატიური აქციების დამატებით, იყენებდა საიდუმლო პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ძალისხმევას, რათა დაპირისპირებოდა საბჭოთა გავლენას ზომიერი არაკომუნისტური ჯგუფებისთვის დახმარების გაწევის მეშვეობით. ამ აქციების განხორციელება ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს დაევალა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს 1948 წლის ივნისის №10/2 დირექტივით. საიდუმლო აქციები ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზომებთან ერთად, აშკარად ითვალისწინებდნენ კვაზისამხედრო ოპერაციებსაც.

ტრუმენის დოქტრინა. 1947 წლის 12 მარტს პრეზიდენტ ჰ. ტრუმენმა განაცხადა, რომ აუცილებელია აშშ-ს მხრიდან ადეკვატური პასუხის გაცემა საბერძნეთსა და თურქეთში მიმდინარე მოვლენებზე (ინგლისმა ვერ შეძლო გაეგრძელებინა ფინანსური დახმარების გაწევა თურქეთისთვის, ის ასევე იძულებული გახდა, გაეყვანა თავისი ჯარები საბერძნეთიდან). პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ უნდა დაეხმაროს სხვა ქვეყნებს მათი დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში, არ დაუშვას მათ საქმეებში გარეშე ჩარევა ტოტალიტარული სახელმწიფოების მხრიდან. ეს იყო იმის აღიარება, რომ ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმები ცდილობენ, თავისი ნება და ფასეულობები მოახვიონ თავს თავისუფალ ხალხებს, რაც მუქარას უქმნის საერთაშორისო მშვიდობას და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება აშშ-ს ინტერესებს. ტრუმენმა ამერიკის კონგრესს მიმართა თხოვნით - გამოეყო 400 მლნ დოლარი საბერძნეთისა და თურქეთისთვის დახმარების გასაწევად. ტრუმენის დოქტრინის მიღება ნიშნავდა უარის თქმას ამერიკის ტრადი-

ციულ საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც ხასიათდებოდა მშვიდობიან დროს მინიმალური ჩარევით სხვა ქვეყნების საქმეებში.

მარშალის გეგმა (1948-1952). ტრუმენის ადმინისტრაციამ, რო-მელსაც უწევდა მძლავრი წინააღმდეგობის დაძლევა კონ-გრესის ნაწილის და საზოგადოებრიობის (რომელიც დიდ ინ-ტერესს იჩენდა საშინაო პრობლემებისადმი) მხრიდან, 1948 წელს დაიწყო ევროპული ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმ-არების გაწევის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელე-ება. თავდაპირველად, პროგრამა გათვლილი იყო ევროპის ყვე-ლა იმ ქვეყანაზე, რომლებიც დაზარალდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. მაგრამ სსრკ-მ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა უარი განაცხადეს ამ დახმარებაზე. თანამედროვე ისტორიულ ლიტერატურაში ამ ფაქტზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთნი თვლიან, რომ ეს გადაწყვეტილება სწორი იყო, მეორენი, რომ მოსკოვის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ამ პროგრამაში მონაწი-ლეობაზე, სერიოზულ შეცდომას წარმოადგენდა. დარწმუნებით შეიძლება ერთი რამის თქმა: სტალინის უარყოფითი პასუხი დაეხმარა თეთრ სახლს დაეძლია კონგრესში წინააღმდეგობა მემარჯვენეებისა, რომლებსაც ისედაც არ აწყობდა აშშ-ს სულ უფრო მეტი ჩართვა ევროპის საქმეებში და უზარმაზარი სახს-რების ხარჯვა უცხოელთათვის დახმარებაბზე, როდესაც, მათი აზრით, ეს ფული თვით ამერიკაშიც გამოდგებოდა.

მარშალის გეგმას უნდა გაეძლიერებინა აშშ-ის პოზიციები და მხარი დაეჭირა მისი ეკონომიკისთვის, რადგან ნავარაუ-დევი იყო იმ საქონლის რეალიზაცია, რომელიც ქვეყანაში დარჩენილი იყო ჯერ კიდევ ომის წლებიდან. 1948 წლის ივლისში ეს პროგ-რამა განიხილებოდა პარიზში დიდი ბრიტანეთის, საფრანგე-თისა და სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე.

ამავე წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენები და ბერლინის ბლო-კადა, რომლებიც მოყვნენ ფულის რეფორმას, ჩატარებულს მოკავშირეების მიერ მოსკოვთან შეთანხმების გარეშე გერმანიის ფრანგულ, ბრიტანულ და ამერიკულ საოკუპაციო ზონებში, დაეხმარა აშშ-ის ადმინისტრაციას, დაერწმუნებინა საზოგა-დოებრიობა, რომ ევროპაში კომუნისტური მუქარა რეალობას წარმოადგენს. 1949 წელს მოხდა კიდევ ორი მოვლენა, რომლებ-მაც გავლენა მოახდინეს სსრკ-აშშ-ს ურთიერთობების განვითა-რებაზე: საბჭოთა ატომური ბომბის პირველი გამოცდები და კომუნისტების გამარჯვება ჩინეთში. ამრიგად, აშშ-ის საზოგა-დოება მზად იყო მიეღო ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებუ-ლი კორექტივები სამხედრო რეფორმაში. სამხედროები მოით-ხოვდნენ შეკავების გამოცხადებულ სტრატეგიასთან შესაბამი-სობაში მოყვანილი ყოფილიყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და საბრძოლო მზადყოფნა. სახელმწიფო დეპარტა-მენტის და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისგან შედ-გენილმა გაერთიანებულმა კომიტეტმა მიიღო დავალება: მოეხ-დინა აშშ-ის სამხედრო და საგარეო პოლიტიკის ანალიზი და მსოფლიოს ახალი რეალიების შესაბამისად წარედგინა რეკომენ-დაციები, მიმართული მის შეცვლაზე. მოხსენებაში, რომელიც 1950 წლის აპრილში წარდგენილი იყო ეროვნული უსაფრ-თხოების საბჭოში, რეკომენდებული იყო გაეზარდათ შეიარაღე-ბული ძალების რიცხოვნობა, საერთოდ განემტკიცებინათ ქვეყ-ნის თავდაცვისუნარიანობა. განსაკუთრებული ყურადღება მი-ექცა სამოკავშირეო ურთიერთობების გაძლიერებას. დოკუმენტი ცნობილი გახდა, როგორც ეუს 68. მოხელეებმა, პირველად დე-მობილიზაციის შემდეგ, გაბედეს საუბარი სამხედრო მოთხოვ-ნილებებზე ხარჯების გაზრდის შესახებ. მაგრამ თეთრი სახლი იმავე პრობლემას შეეჯახა, რასაც შეეჯახა კონგრესში მარშალის

გეგმის წარდგენისას. საჭირო იყო იმის დემონსტრირება, რომ კომუნიზმის მხრიდან არსებობს რეალური მუქარა აშშ-ის უსაფრთხოებისთვის. 1950 წლის ივნისში კორეაში ომი დაიწყო.

ახალი ბლოკების და კავშირებისა შექმნა. სახელმწიფოები კავშირებში იმ მიზნით შედიან, რომ ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვიტონ საერთო პრობლემები წინასწარ განსაზღვრულ პირობებზე. „ცივი ომის“ წლებში კავშირები მოწოდებული იყო, აესახათ ზესახელმწიფოების ეროვნული ინტერესები, ნათლად დაეფიქსირებინათ მათი გარე საზღვრები. აუცილებელია აღინიშნოს, რომ არა ყველა კოალიციას, შექმნილს სსრკ-ის ან აშშ-ის მიერ, ეწერა ხანგრძლივი არსებობა და ერთნაირად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. და მაინც, მათ ცალსახად გამოხატეს ტენდენცია, მიმართული სხვა (პოტენციურად მტრულ) სახელმწიფოთა როლის მინიმიზაციაზე მსოფლიოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში.

საიმედო მოკავშირის ძიება ხდება აშშ-ის და სსრკ-ის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ქვაკუთხედი. ვაშინგტონელი სტრატეგების გეგმების მიხედვით, ასეთი ქვეყნები უნდა ყოფილიყვნენ რეგიონებში ამერიკის ინტერესების გამტარებლები, ასევე, მსოფლიოს საფინანსო ბაზრებზე აშშ-ის შეღწევის ხელისშემწყობნი. „ძლიერ ალიანსებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ეროვნული სტრატეგიისთვის, - განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჩეინიმ 1991 წელს, - საერთო ღირებულებები, საერთო პრობლემები თავდაცვის სფეროში, მეგობრული ქვეყნების გაერთიანებული ეკონომიკური პოტენციალი უქმნიან მყარ საფუძველს კოლექტიურ უსაფრთხოებას, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობასა და სტაბილურობას... ძლიერი კავშირები რჩება პოსტცივი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ელემენტად“.

ვაშინგტონის და მოსკოვის მიერ შექმნილი სისტემები, რომლებიც შედგებოდა მეგობრულ სახელმწიფოებთან ოფიციალური კავშირებისა და ნაკლებად ფორმალური შეთანხმებებისგან, ხელს უწყობდნენ მსოფლიოს „გაყოფას“ ორ ბანაკად, ქმნიდნენ რა იმავდროულად კოლექტიური თავდაცვის მექანიზმებს.

1948 წლის თებერვალში შედგა აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შეხვედრა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური ბლოკის შექმნის საკითხზე. 1948 წლის მარტში ლონდონმა შესთავაზა შექმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკისა, რომელშიც შევიდოდნენ: ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი. შემდგომში ის ცნობილი გახდა, როგორც დასავლეთი კავშირი.

1948 წლის 17 მარტს ბრიუსელში ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკურ პაქტს. მისმა მონაწილეებმა აიღეს ვალდებულება დახმარება გაუწიონ ერთმანეთს და მიიღონ კოლექტიური ზომები ევროპაში რაიმე საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში. 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელი მოეწერა შეთანხმებას ჩრდილოატლანტიკური კავშირის შექმნის შესახებ. ნატოს შემადგენლობაში შევიდნენ: აშშ-ი, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია, დანია, ნორვეგია, ისლანდია, ლუქსემბურგი და კანადა. 1952 წელს მათ შეუერთდნენ თურქეთი და საბერძნეთი, 1955 წელს - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ახალი ბლოკებისა და გაერთიანებების აქტიური მშენებლობის საპასუხოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა სსრკ-ის უეჭველი ლიდერობის პირობებში, შექმნეს 1949 წლის 25 იანვარს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო - საერთაშორისო მთავრობათშორისი ორგანიზაცია, რომელმაც

პირველ ეტაპზე გააერთიანა ექვსი სახელმწიფო: ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია. მოგვიანებით, საბჭოში შევიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მონღოლეთი, კუბა და ვიეტნამი.

1951 წლის სექტემბერში აშშ-მ, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ შექმნეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი (ანზიუსი). 1952 წლის 26 მაისს ბონში ხელს აწერენ შეთანხმებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ ევროპის თავდაცვით საზოგადოებაში, რომელშიც ასევე შევიდნენ, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი.

1954 წლის სექტემბერში მანილაში, აშშ-ი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ფილიპინები და ტაილანდი ხელს აწერენ შეთანხმებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლექტიური თავდაცვის შესახებ.

1954 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა პარიზის შეთანხმებებს გფრ-ს რემილიტარიზაციის და დასავლეთ კავშირსა და ნატოში მისი ჩართვის შესახებ. 1955 წელს იქმნება თურქეთ-ერაყის სამხედრო კავშირი (ბაღდადის პაქტი).

აშშ-ს და სსრკ-ს შორის დაპირისპირების გამწვავების პირობებში ვაშინგტონის ესოდენ აქტიური „ბლოკების“ პოლიტიკა არ შეიძლება, დარჩენილიყო ადეკვატური ზომების გარეშე. 1955 წლის 14 მაისს გაფორმდა სოციალისტური სახელმწიფოების კოლექტიური თავდაცვითი კავშირი - ვარშავის შეთანხმების ორგანიზაცია. ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული ნატოში გფრ-ის ჩართვის პასუხად. ვარშავის ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ, ხელი მოაწერეს ალბანეთმა, ბულგარეთმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, სსრკ-მა

და ჩეხოსლოვაკიამ. შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია ადეკვატური პასუხი გახდა ნატოს შექმნაზე.

ომი კორეაში (1950-1953 წლები). 1947 წელს ჩაიშალა სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებები კორეის საკითხზე. იმ დროს არ მოხერხდა შეთანხმება კორეის ნახევარკუნძულზე დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე. დავა კორეის მომავლის შესახებ ხშირად გადაადგილდებოდა გაეროში, სადაც აშშ-ს უპირატესობა ჰქონდა, რამეთუ მისი მოკავშირეები უჭერდნენ მხარს ვაშინგტონის ინიციატივებს. ამრიგად, აშშ-ს მორალური უპირატესობა ჰქონდა სსრკ-ზე, რომლის ინიციატივები ვერ ჰპოვებდნენ გენერალური ასამბლეის მხარდაჭერას. მიუხედავად გაეროს ყველა ცდისა, 1948-1949 წლებში კორეა გაყოფილი დარჩა. 1950 წლის ზაფხულისთვის, სამხრეთსა და დასავლეთს გააჩნდათ თავისი „დამოუკიდებელი“ მთავრობები, რომლებსაც, შესაბამისად, აშშ-ი და სსრკ-ი უჭერდნენ მხარს.

1950 წლის 3 ივნისს დაიწყო კორეის ომი. გაეროს სპეციალურმა კომისიამ სამხრეთ კორეა აღიარა მსხვერპლად, აგრესორად კი ჩრდილოეთი, და უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია მისცა ყველა ზომა მიეღო საბრძოლო მოქმედებების შესაწყვეტად. მიღებული რეზოლუცია (სსრკ-ი ბოიკოტს უწევდა უშიშროების საბჭოს სხდომებს, რადგან გაერო უარს აცხადებდა შეეცვალა ამ საბჭოში ტაივანში გაქცეული ჩან კაიშის მთავრობის წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლით) კრძალავდა ჩრდილოეთისთვის დახმარების გაწევას და მოითხოვდა შეიარაღებული ძალების დაბრუნებას 38-ე პარალელის ხაზზე. 7 ივლისს უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციას კორეაში გაეროს გაერთიანებული ძალების სარდლობის აშშ-თვის გადაცემის შესახებ. სსრკ-მა, თავისი მოკავშირეების ერთად, აშშ-ის მოქ-

მედებები შეაფასა როგორც სამხრეთის აგრესიული პოლიტიკის მხარდაჭერა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. აშშ-მ საერთაშორისო მხარდაჭერა მიიღო კორეის ნახევარკუნძულზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებისთვის.

კონფლიქტის დასაწყისში წინ კორეის სახალხო რესპუბლიკის ჯარებმა წაიწიეს, შემდეგ კი აშშ-ის სამხედრო ნაწილებმა (სამხრეთ კორეის სამხედროებთან ერთად), დაიწყეს მათი შევიწროება. კონფლიქტში ძალიან სწრაფად ჩაერია პეკინი, რომელმაც კორეაში მოხალისეთა რაზმები გააგზავნა. ჩინეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს გაეროს ჯარების წარმატებული შეტევის შეჩერება და მათი უკუგდება 38-ე პარალელზე გამავალ სადემარკაციო ხაზისკენ. ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო, ის 1953 წელს დამთავრდა. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ორი კორეა გაჩნდა.

გაეროს შექმნა. 1941 წლის 21 აგვისტოს ხელი მოეწერა ატლანტიკურ ქარტიას. ფ. რუზველტმა მოითხოვა მისი დაბეჭდვა, რათა ეჩვენებინა სსრ კავშირისთვის, რომელიც ეს-ესაა ჩაება ომში, დასავლეთის ქვეყნების გეგმები მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის თაობაზე. ვაშინგტონი მას ასევე განიხილავდა, როგორც ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის საპირწონეს. ქარტია აცხადებდა: ტერიტორიული ცვლილე-ბების აკრძალვას მასზე მცხოვრები ხალხების თანხმობის გა-რეშე, ამა თუ იმ ტერიტორიაზე „მმართველობის ფორმის“ არჩევის თავისუფლებას. ქარტიის ხელმომწერი ქვეყნები, ეკონომიკურ სფეროში აცხადებდნენ ვაჭრობისა და რესურსების მისაწვდომობის თავისუფლების პრინციპს. სამართლებრივი თვალსაზრისით, ქარტია არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მან აჩვენა ზოგიერთი მიმართულება, რომლებითაც განვითარდებოდა აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები. 1944 წლის 1 მარტს სახელმწიფო მდივანმა ჰელმა

გამოსცა მემორანდუმი „აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები“, ცნობილი, როგორც „ჩვიდმეტი პუნქტი“. მემორანდუმის მთავარი იდეები იყო: საგარეო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს აშშ-ის ინტერესებს, რომლებიც ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ მდგომარეობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების და სოციალ-ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნებაში. ეს ინტერესები ყველაზე უკეთესად შეიძლება იქნეს რეალიზებული საერთაშორისო კოოპერაციის მეშვეობით, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომლის საქმიანობაში ძალისმიერი ელემენტიც იქნება. ჰელის აზრით, ორგანიზაცია ხელს შეუწყობს პოლიტიკური უთანხმოებების გადაწყვეტას დისკუსიების, მოლაპარაკებების, კონსულტაციების, საერთაშორისო სასამართლოს შექმნის, შეიარაღებათა შეკ-ვეცის მეშვეობით. გათვალისწინებული იყო ასევე, რომ სახელმწიფოები უარს იტყვიან მსოფლიოს გავლენის სფეროებზე განაწილების ძველ პრინციპზე, წავლენ ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობისთვის ხელისშემშლელ ბარიერებისა და ტარიფების ლიკვიდაციაზე. ამრიგად, ატლანტიკურ ქარტიაში ჩადებული პრინციპების რეალიზაციის მიზნით, აშშ-ი მოუწოდებდა სხვა ქვეყნებს, თავისთავზე აეღოთ ერთიანი წესებითა და ნორმებით მოქმედების ვალდებულება.

ომის დასრულებამდე ორი კვირით ადრე, სან-ფრანცისკოში ტარდებოდა კონფერენცია, მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის და მისი წესდების შემუშავების საკითხებისადმი. მას ესწრებოდა 50 ქვეყნის დელეგაცია, რომელთაგან თითოეულს ხელმძღვანელობდა შესაბამისი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მწვავე დისკუსიის შედეგად, გაეროს წესდება შეთანხმდა და 1945 წლის 26 ივნისს მას

ხელი მოეწერა. წესდება ავალდებულებდა გაეროს წევრებს “მიეღოთ ეფექტური კოლექტიური ზომები“ მშვიდობისათვის მუქარის წარმოშობის და მისი თავიდან აცილების და აგრესიის აქტების ჩახშობის მიზნით, აგრეთვე, საერთაშორისო დავები გადაეწყვიტათ „მშვიდობიანი საშუალებებით, სამართლიანობის და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამის- ად“. საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად საწყისად წე-სდებამ პირველად დაადგინა ხალხების თანასწორუფლებია-ნობის და თვითგამორკვევის პრინციპი.

გაეროს ექვსი მთავარი ორგანო გააჩნია: გენერალური ასამლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. მათი უფლებამოსილება, ფუნქციები და საქმიანობა იძლევა საშუალებას მოცული იქნას საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენციაში შემავალი საკითხების მთელი კომპლექსი.

გაეროს მთავარ პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენს უშიშროების საბჭო. რომლის შემადგენლობაში არის ხუთი მუდმივი წევრი (სსრკ-ი, აშშ-ი, ინგლისი, ჩინეთი, საფრანგეთი) და გენერალური ასამბლეის მიერ ორი წლის ვადით არჩეული არამუდმივი წევრები. თვით გენერალური ასამბლეა წარმოადგენს სათათბირო ორგანოს. გაეროს ყოველ წევრს მხოლოდ ერთი ხმა აქვს. ასამბლეის გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანეს საკითხებში მიიღება იმ წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით, ვინც ესწრება და მონაწილეობას ღებულობს კენჭისყრაში, სხვა საკითხებში კი უბრალო უმრავლესობით.

თავისი არსებობის პირველ წლებიდანვე გაერო მონაწილეობდა სახელმწიფოთა შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტაში. პირველი სერიოზული პრობლემა გაჩნდა 1946 წელს, როდესაც სსრკ-მ უარი განაცხადა ჩრდილოეთ

ირანის ტერიტორიაზე მყოფი თავისი ჯარების გამოყვან-აზე. ირანმა მიაღწია ამ საკითხის განხილვას უშიშროების საბჭოზე. გაერო პირველად იქნა გამოყენებული, როგორც სახელმწიფოებზე საერთაშორისო ზეწოლის აკუმულაციის ინსტრუმენტი. მიუხედავად მოსკოვის ყველა ცდისა, მას მაინც მოუწია ჯარების გაყვანა.

1947 წელს გამწვავდა კრიზისი ინდონეზიასა და ჰოლანდიას შორის. უშიშროების საბჭომ მოუწოდა, შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები, დაწყებული ჰოლანდიის მიერ და შექმნა სპეციალური კომისია, რომლის მუშაობა დასრულდა ინდონეზიის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარებით. ჰოლანდიის შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს თავისი ყოფილი კოლონიის ტერიტორია.

შემდგომში, გაერო, ამა თუ იმ დონის წარმატებით, მონაწილეობდა კონფლიქტების გადაჭრაში საბერძნეთში (1946 წელი), პალესტინაში, ქაშმირში, კორეაში. ბერლინის 1948 წლის კრიზისთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება უშიშროების საბჭოში დაბლოკა სსრ კავშირმა. გამოსავალი მოინახა მხოლოდ პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის.

თუ გავაანალიზებთ გაეროს საქმიანობას თავისი არსებობის პირველ წლებში, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ გაერო, ისევე, როგორც 30-იანი წლების ერთა ლიგა, გახდა მხოლოდ კიდევ ერთი ინსტრუმენტი საერთაშორისო თანამეგობრობის ყველაზე გავლენიანი წევრების საგარეო პოლიტიკისა. ამაში, არსებითად, მდგომარეობდა, კიდეც, ორგანიზაციის შექმნის ფარული აზრი. სუვერენულმა სახელმწიფოებმა დამატებითი ბერკეტი მიიღეს თავისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ცალსახად შეიძლება საუბარი იმაზე, რომ გაერო არ

გადაიქცა ამა თუ იმ იდეოლოგიური ბანაკის ინტერესების გამომხატველად. ვერც აშშ-მა, ვერც სსრ კავშირმა ვერ მიაღწიეს მუდმივ უპირატესობას ორგანიზაციაში. ვეტოს უფლება, რომელიც უშიშროების მუდმივ წევრებს გააჩნდათ, სერიოზულად უშლიდა ხელს ამა თუ იმ მხარეს, გაეტარებინა უკომპრომისო გადაწყვეტილებები. გამონაკლისს წარმოადგენდა რეზოლუცია, დაკავშირებული კორეის საკითხთან, როდესაც მოსკოვმა, მიიღო არასაკმარისად გააზრებული გადადაწყვეტილება, მოახდინა რა უშიშროების საბჭოს მუშაობის ბოიკოტირება.

მსოფლიო მოწყობის გეოპოლიტიკური კონცეფციები. აშშ- ის ომისშემდგომი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის გეოპოლიტიკური დასაბუთება ჩადებული იყო ა. მეჰენის, გ. მაკინდერის, ნ. სპაიკმენის, ი. სევერსკის, ს. კოენის ნაშრომებში.

მეჰენმა, რომელიც იყო ცნობილი სამხედრო-საზღვაო ისტორიკოსი, XX საუკუნის დასაწყისში შეიმუშავა კონცეფცია, რომელშიც დაასაბუთა, რომ აუცილებელია აშშ-ის კონტროლის დამყარება ოკეანის სივრცეებზე. ადმირალმა ეს დასკვნა გააკეთა დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძლიერების ისტორიის შესწავლის საფუძველზე. მისი ძირითადი თეზისი იყო: კონტროლი საზღვაო სივრცეზე არის პოლიტიკური ძალის გაბატონებული ფორმა და უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში[1] (1).

სწორედ, ზღვების გამოყენებით და გაკონტროლებით, ქვეყნები აგროვებენ სიმდიდრეებს. მეჰენმა შეიმუშავა ზესახელმწიფოს უბრალო ფორმა: სამხედრო ფლოტს + სავაჭრო ფლოტი + სამხედრო-საზღვაო ბაზები = საზღვაო ძლიერებას და ზესახელმწიფოებრიობას. ის დაჟინებით ამტკიცებდა რეკომენდაციას აშშ-ს დაეწყო ფლოტის მშენებლობა და შეექმნა ბაზები, რომლებიც წარმოადგენს ოკეანეზე საზღვაო კონტროლის აუცილებელ პირობას. უფრო მეტი, მეჰენი იძლევა რეკომენდაციას, შეიძინონ ჰავაის კუნძულები, კონტროლი დააწესონ კარიბის ზღვის აუზზე და გაიყვანონ პანამის არხი.

[1] Ciccolo W. Geografi and Strategy //Militari Strategi: Theory and Application. Ed. bi Likke, r. A.Carlisle Barracs, PA.: U.S. Army War College, 1989. P. 72-73.

ჰაროლდ მაკინდერი, მეჰენის თანამედროვე, ასევე აღიარებდა საზღვაო ძალის მნიშვნელობას, რომელსაც შეეძლო გლობალური ეფექტის ქონა. მაგრამ მაკინდერი თვლიდა, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თავისი ძალის დაფუძნება კონტინენტების რესურსებზე. 1904 წელს, თავის მოხსენებაში „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“, მაკინდერმა ამნაირად განსაზღვრა აღმოსავლეთ ევროპა და ციმბირის სივრცეები, რომლებსაც უდიდესი სიმდიდრეები გააჩნდათ ის, ვინც ამ რაიონს აკონტროლებს, დაიკავებს ცენტრალურ სტრატეგიულ პოზიციებს. 1919 წელს, პასუხობდა რა პირველი მსოფლიო ომის მოვლენებს, ის წერდა: “ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას - აკონტროლებს ჰარტლენდს, ვინც აკონტროლებს ჰარტლენდს - აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ვინც აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ის აკონტროლებს მთელ მსოფლიოს“.

ომის შემდეგ, მაკინდერის წარმოდგენები გარკვეული ტრანსფორმაციის საგანი გახდა. 1943 წელს ის უარს ამბობს თავისი ცნობილი გამონათქვამის აბსოლუტიზაციაზე, აღიარებს, რომ დასავლეთ ევროპის და აშშ-ის პოტენციალების გაერთიანებას შეუძლია მძლავრი ძალის შექმნა, რომელიც შეერთებული იქნება კომუნიკაციის მტკიცე საზღვაო და საჰაერო საშუალებებით. ამ რაიონს მან უწოდა „შუალედური ოკეანე“, რომელიც დაუპირისპირდება კიდეც მზარდ გავლენას სსრ კავშირისა, ვინც მოახდინა ჰარტლენდის ოკუპაცია. მაკინდერის იდეებში ჩვენ შეგ-

ვიძლია ვნახოთ განვითარების თეორიული ბაზა „ატლანტიზმის“ კონცეფციისა, რომელიც ითვალისწინებდა „ამეროევროპის“ შექმნას სსრკ-სთან დაპირისპირებისთვის, ვინც ადრე თუ გვიან სერიოზულ ზეწოლას მოახდენს „მსოფლიო კუნძულზე“.

ნ. სპაიკმენმა, იელში საერთაშორისო ურთიერთობათა ყოფილმა პროფესორმა, მაკინდერის კონცეფციაში რამდენიმე სუსტი ადგილი განსაზღვრა. სპაიკმენი, რომელიც აშშ-ის გეოპოლიტიკის პოზიციებიდან გამოდიოდა (მაკინდერს ტრადიციულად თვლიან მსოფლიო რეალობის ბრიტანული ხედვის გამომხატველად), მსოფლიოზე კონტროლის გასაღებად თვლიდა არა ჰარტლენდს, არამედ ზღვისპირა ტერიტორიების ევრ0აზიულ სარტყელს, რომელმაც მოიცვა დასავლეთ ევროპის, მახლობელი აღმოსავლეთის, შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საზღვაო ქვეყნები. სპაიკმენი ამ რეგიონს რიმლენდს უწოდებდა და აშშ-ის მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად განსაზღვრა - არ დაეშვათ რიმლენდზე რომელიმე ერთი ძალის კონტროლი. მისი ჰიპოთეზა შემდეგნაირი სახისაა: „ვინც აკონტროლებს რიმლენდს - მართავს ევრაზიას, ვინც მართავს ევრაზიას - აკონტროლებს მსოფლიოს ბედს“. სპაიკმენი წინააღმდეგი იყო კონტინენტური და საზღვაო ძალების დაპირისპირებისა. საზღვაო სახელმწიფოები, საზღვაო ძალის გამოყენებით, ეფექტურად ეწინააღმდეგებიან კონტინენტალურ სახელმწიფოებს, რომლებიც რიმლენდს აკონტროლებენ. შეკავების პოლიტიკა, რომელსაც აშშ-ი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ატარებდა - არის სპაიკმენის თეორიის წარმატებული გამოყენების მაგალითი. მთელი რიგი სამოკავშირეო შეთანხმებების ხელმოწერამ, აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ბაზების ქსელის შექმნამ, შესაძლებლობა მისცეს აშშ-ს „ალყა შემოერტყა“ ევრაზიისთვის და შეექმნა პირობები კორეის, მალაიზიის, ვიეტნამის, სომალის,

ერაყის, ლიბიის, პანამის, ბოსნიის მოვლენებზე ეფექტური რეაგირებისთვის. მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ში ადგილი ჰქონდა გ. უაიჯერის, ვ. სტეფანსონის, რ. სტრაუსხუპეს, ო. ლოტიმერის და სხვის სახელებთან დაკავშირებულ აქტიურ ძალისხმევას, მიმართულს სტრუქტურირებული მსოფლიოს ახალი ამერიკული ხედვის შემუშავებაზე. ამ პერიოდის ყველა გამოკვლევის ამოსავალი იყო თეზისი ამერიკის გამორჩეულ როლზე მსოფლიოში. მკვიდრდებოდა აზრი, რომ ამ როლის რეალიზაციისთვის აუცილებელია განსაკუთრებული ამერიკული გეოპოლიტიკის შემუშავება. როგორც რ. სტრაუს-ხუპე თვლიდა, „გეოპოლიტიკა წარმოადგენს გულდასმით შემუშავებულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს, თუ რა და როგორ უნდა იქნას დაპყრობილი, მიუთითებს რა სამხედრო სტრატეგს დაპყრობის ყველაზე იოლ გზას“. ამერიკელმა გეოპოლიტიკოსებმა გამოყვეს მსოფლიო სიძლიერის სამი მსხვილი ცენტრი: ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტიკის სანაპირო, ევროპის სანაპირო და ევრაზიის შორეული აღმოსავლეთი. ითვლებოდა, რომ შესაძლებელია მეოთხე ცენტრის - ინდოეთის - გამოჩენა.

წარმატებებმა, მიღწეულმა სამხედრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, მოითხოვეს გარკვეული კორექტივების შეტანა ადრინდელ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში. გაჩნდა ახალი კონსტრუქციები, რომლებიც ითვალისწინებდა, რომ ავიაციის და, განსაკუთრებით, ბირთვული იარაღის და მისი მიტანის საშუალებების გაჩენის შედეგად ტრადიციული მოდელები, რომელთა საფუძველში იდო გეოგრაფიულ-სივრცობრივი დეტერმინიზმი, მოძველდა და სერიოზულ კორექტირებას ითხოვდა. ყველაზე საფუძვლიანი არგუმენტები წარმოდგენილი იყო ა. სევერსკის ნაშრომებში. მის გეოპოლიტიკურ წარმოსახვაში მსოფლიო გაყოფილი იყო აშშ-ის და სსრკ-ის

ინდუსტრიულ ცენტრებში კონცენტრირებულ საჰაერო ძლიერების ორ უზარმაზარ წრედ. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია მსოფლიოს ორპოლუსიანი ხედვა, რაც „ცივი ომის“ სულისკვეთებას შეესაბამებოდა.

მაგრამ უკვე 60-იან წლებში შეიმჩნევა გადასვლა მსოფლიო მოწყობის პოლიცენტრულ განმარტებაზე. ჯ. კროუნი, ბ. რა-სეტი, ლ. კონტორი წარმოადგენენ მოცემულ მიმართულებას. გეოპოლიტიკოსთა ამ ჯგუფის დამახასიათებელი იდეები წარმოდგენილია ს. კოენის ნაშრომებში, რომელიც მსოფლიოს გეოსტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ რეგიონებად ყოფს. მათ შორის განსხვავებას წარმნოადგენს სხვაობა გლობალურ და რეგიონულ სივრცობრივ-პოლიტიკურ მასშტაბებს შორის. გეო-სტრატეგიული რეგიონი ჩამოაყალიბეს ინგლისმა, აშშ-მ, სამხრეთ ამერიკამ, კარიბის აუზის ქვეყნებმა, დასავლეთ ევროპამ, მაღრიბის ქვეყნებმა, კუნძულოვანმა აზიამ. ყველა ისინი ორიენტირებულია ვაჭრობაზე და დამოკიდებული სამიმოსვლო გზების თავისუფლებაზე. გეოპოლიტიკური რეგიონი შეადგინეს აღმოსავლეთ ევროპამ და აღმოსავლეთ აზიამ, ყოველ რეგიონს საკუთარი თავისებურებები გააჩნია, მაგრამ ისინი კონტინენტური სპეციფიკით არის გაერთიანებული. დამოუკიდებელ რეგიონად გამოყოფილი იყო ინდოეთი. „ცივი ომის“ დასაწყისის მოვლენების ანალიზისას თავისთავს გარდაუვლად უსვამ შეკითხვას, თუ რა გავლენას ახდენდა იდეოლოგია ზესახელმწიფოების ქცევაზე 1945 წლის შემდეგ? უ. კარლსნე- სის აზრით, შეუძლებელია ამ ფაქტორის ხვედრითი წილის გაზომვა სხვებთან შედარებით. შეუძლებელია, ასევე, არ დაე-თანხმო აზრს მრავალი ამერიკელი და სამამულო მკვლევარისა, რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებენ პოლიტიკურ სფეროში ადამიანის ასპროცენტიანად რაციონალური ქცევის მკაფიო მტკიცებების არსებობას. ძნელია, მოინახოს პირ-

დაპირი კავშირის არსებობა ინდივიდის იდეებსა და მის ქცევას შორის. მაგრამ საგარეო პოლიტიკა არ შეიძლება მთლიანად თავისუფალი იყოს იდეოლოგიისგან, ისევე, როგორც მთლიანად „იდეოლო-გიზირებული“.

ასე იწყებოდა მსოფლიოს უნიკალური მოწყობის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც საოცრად დიდხანს არსებობდა სწორედ მაშინ, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებათა სიჩქარე უჩვეულოდ მაღალი იყო. მიუხედავად 40-60-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობათა მძლავრი კონფლიქტური პოტენციალისა, შეიძლება საუბარი კონსტრუქციული ელემენტების არსებობის შესახებაც. კარიბის კრიზისმა სსრკ-ი და აშშ-ი აიძულა გამოსულიყვნენ უხეში ძალისმიერი ზეწოლის კატეგორიებით აზროვნების ჩარჩოებიდან. 60-იანი წლების დასაწყისში პირდაპირმა სამხედრო კონფრონტაციამ დაიწყო ადგილის დათმობა ძლიერების არაპირდაპირ პროეცირებას რეგიონულ დონეზე. ვიეტნამის ომმა ახალ დონეზე გაიყვანა მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობები, რომელთა საკვანძო შინაარსი გახდა „სტრატეგიული პა-რიტეტი“.

მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკის ფორმირება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ აქვთ საერთაშორისო ურთიერთობებში დამოუკიდებელი მონაწილეობის უფლება. იაპონიის არმიასთან ბრძოლის პროცესში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს სტრუქტურები და ინსტიტუტები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესს.

1945 წლის აგვისტოში, სუკარნომ, ლიდერმა ინდონეზიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, გამოაცხადა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და გახდა მისი პირველი პრეზიდენ-

ტი. რადგან იაპონიის არმია დემორალიზებული იყო, ჰოლანდიის კოლონიალური არმიები კი არ იმყოფებოდნენ არქიპელაგის კუნძულებზე, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ წყნარ ვითარებაში ჩაიარა. მაგრამ მოკლე ხანში ინგლისი შეეცადა აღედგინა ძველი წესები, დანიშნა რა დროებითი გენერალ-გუბერნატორი. 1945 წლის 10 ნოემბერს ინდონეზიაში დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. კონფლიქტი 9 წელს ბობოქრობდა. ამ ხნის განმავლობაში გაერო ცდილობდა მის გადაწყვეტას, მაგრამ შეთანხმებას მხოლოდ 1954 წელს მიაღწიეს, როდესაც დაიშალა ინდონეზია-ჰოლანდიის კავშირი.

1956 წლის მაისში სუკარნომ ხელი მოაწერა მის გაუქმებას.

1948 წელს დამოუკიდებლობას აღწევს ბირმა. ინგლისის მთავრობა ეროვნული ძალების ზეწოლის გამო, იძულებული იყო წასულიყო დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარებაზე. ამ კრებამ მიიღო კიდეც კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა ახალი რესპუბლიკის - ბირმის კავშირის შექმნა.

1947 წლის 15 აგვისტოს დამოუკიდებელი ხდება ინდოეთი. თანხმდებოდა რა ამაზე, ინგლისი წავიდა თავისი ყოფილი კოლონიის ტერიტორიის ორ სახელმწიფოდ - ინდოეთსა და პაკისტანად გაყოფაზე. 1950 წლის 26 ივნისს დამფუძნებელი კრება ღებულობს ინდოეთის ახალ კონსტიტუციას, რომლის მიხედვით, ქვეყანა რჩება ბრიტანეთის თანამეგობრობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხდება სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკა. ინდოეთის და პაკისტანის საზღვრები იმგვარად იყო გაყვანილი, რომ მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში ამ ქვეყნებს შორის არ შეწყვეტილა კონფლიქტები და წინააღმდეგობები, რომლებიც სამხედრო მოქმედებებამდე მიდიოდნენ. ერთიანი ინდოეთის ტერიტორიის დანაწილების

მომენტიდან დაწყებული, ხდება დარბევები და შეტაკებები რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე. ინდუსები იძულებული იყვნენ, დაეტოვებინათ პაკისტანის ტერიტორია, მუსლიმები კი მიდიოდნენ ინდოეთიდან. ბრძოლა ჯამუ და ქაშმირის სამთავროებისთვის, აგრეთვე ჰაიდა-რაბადისა და ჯუნათარხის გამო ახლაც გრძელდება.

თავის მხრივ, პაკისტანის ტერიტორია ორ ნაწილად - აღმოსავლეთსა და დასავლეთზე გაიყო. ხმელეთით ეს ნაწილები ერთმანეთს 1500 კილომეტრით დაცილებული იყვნენ, წყლით კი, ნახევარკუნძულის შემოვლით, მანძილი მათ შორის 5000 კილომეტრამდეა. პაკისტანში განვითარებული მოვლენების შედეგად (ომი ქვეყნის მთავრობასა და აღმოსავლეთ ნაწილს შორის), მისი აღმოსავლეთი ნაწილი, ბენგალია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო - ბანგლადეში.

1948 წლის თებერვალში ინგლისი იძულებული იყო, დომინიონობა მიენიჭებინა კუნძულ ცეილონისთვის.

1946 წლის 4 ივლისს სუვერენული სახელმწიფო ხდება ფილიპინების რესპუბლიკა, თუმცა აშშ-მ აქ თავისი სამხედრო ბაზები დაიტოვა.

1957 წლის აგვისტოში დამოუკიდებლობა მიიღო მალაიამ.

1951 წელს ნეპალი ხდება კონსტიტუციური მონარქიის ფორმის სუვერენული სახელმწიფო.

ყველაზე დრამატულად ვითარდებოდა მოვლენები ვიეტნამში. იაპონიის კაპიტულაციის დღეს, 1945 წლის 2 სექტემბერს, ეს ქვეყანა დამოუკიდებლობას ღებულობს. მაგრამ ვიეტნამის, კამპუჩიის და ლაოსის ტერიტორია ხდება ბრძოლის ასპარეზი. ამ სივრცეზე ერთმანეთს საფრანგეთი, ჩინეთი, აშშ-ი და სსრკ-ი შეეჯახა. 1954 წელს პარიზში ხელი მოეწერა დასკვნით დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფა-

ლი არჩევნების ჩატარებას ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში. ვიეტნამში, 17-ე პარალელისგან ოდნავ სამხრეთით, დროებით დადგინდა სადემარკაციო ხაზი.

მაგრამ აშშ-ი არ აწერდა ხელს დეკლარაციას, ცდილობდა რა შეეცვალა აქ საფრანგეთი, რომელიც „ბინძური ომის“ შემდეგ იძულებული იყო წასულიყო ინდოჩინეთიდან. შეერთებულ შტატებში კომუნისტური მუქარის აბსოლუტამდე აყვანის პირობებში, დ. ეიზენჰაუერმა ლაოსი გამოაცხადა მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზონის გასაღებად და, სეატოს, როგორც ზეწოლის ინსტრუმენტის გამოყენებით, რეგიონში ატარებდა პოლიტიკას, მიმართულს აშშ-ის პოზიციების განმტკიცებაზე. მაგრამ რეგიონში დამანგრეველი იმპულსების ძირითად წყაროს სამხრეთ ვიეტნამი წარმოადგენდა, სწორედ აქ იყო კონცენტრირებული ამერიკის ინტერესები. 60-იანი წლების პირველ ნახევარში ქვეყანაში რამდენიმე გადატრიალება მოხდა. გამწვავდა ურთიერთობები ბუდისტებსა და კათოლიკეებს შორის. ოპოზიცია, უკმაყოფილო მთავრობის უუნარობით დაამყაროს წესრიგი, განაგრძნობდა მძლავრ ზეწოლას ოფიციალურ საიგონზე. ვაშინგტონი წავიდა კონფლიქტის ესკალაციაზე, დაიწყო რა 1964 წლის 4 აგვისტოს ინტერვენცია ვიეტნამში. უნდა აღინიშნოს, რომ ვაშინგტონთან ურთიერთობების გამწვავება ჩრდილოეთ ვიეტნამის გამო, მოსკოვის ინტერესებში არ შედიოდა. სამაგიეროდ, სამხრეთში მიმდინარე მოვლენებში ჩრდილოეთ ვიეტნამის ჩარევისთვის მზად იყო მხარი დაეჭირა ჩინეთი, რომელთანაც ჩრდილოეთ ვიეტნამს ამ დროს ყველაზე მეგობრული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა.

აშშ-ის ახალი პრეზიდენტ ლ. ჯონსონს ეშინოდა, მისთვის არ დაებრალებინათ „ვიეტნამის დაკარგვა“, ისევე, როგორც თავის დროზე „კორეის დაკარგვაში“ ბრალი დასდეს ჰ. ტრუმენს. ინტე-

რვენციას ვიეტნამში ლ. ჯონსონი თვლიდა „შეზღუდულ კონფლიქტად“, რომელიც სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის გლობალურ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე საქმეს არ მიიყვანდა. შემდგომ, მოსკოვმაც დაიწყო განრიდება კონფლიქტში მინიმალური მონაწილეობის ხაზისგან. ნ. ს. ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ, სსრ კავშირმა უფრო აქტიური პოზიცია დაიკავა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის დახმარების გაწევის საკითხში.

ვიეტნამის ომი, რომელმაც კარდინალურად შეცვალა ძალთა განლაგება რეგიონში, 1973 წლამდე გრძელდებოდა. აშშ-ი იძულებული იყო გაეყვანა თავის ჯარები ქვეყნიდან.

ასევე დრამატულად ვითარდებოდა მოვლენები მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. სირიამ, ლიბანმა, ეგვიპტემ, ერაყმა, იემენმა და იორდანიამ საკმაოდ სწრაფად მიაღწიეს დამოუკიდებლობას. ძირითადი წინააღმდეგობები წარმოიქმნა პალესტინასა და ისრაელის ირგვლივ. ებრაული სახელმწიფოს - ისრაელის - შექმნის მომენტიდან ხან ერთ, ხან მეორე მხრიდან წარმოიქმნება კონფლიქტები. გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. სერიოზულ პრობლემად იქცა იერუსალიმი, რომელიც ინტერნაციონალიზაციას უნდა დაქვემდებარებოდა. მაგრამ დღეს მთელი იერუსალიმი არის გამოცხადებული ისრაელის დედაქალაქად, რაც აბსოლუტურად არ აწყობს პალესტინელებს.

დიდი სახელმწიფოები მუდმივად ერეოდნენ მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლაში. არ შეიძლება არ დაეთანხმო იმ მკვლევარებს, რომლებიც ამ ჩარევაში დესტაბილიზაციის სერიოზულ ფაქტორს ხედავდნენ. ინგლისი, საფრანგეთი, სსრკ და აშშ-ი ამა თუ იმ დონით, მონაწილეობდნენ მრავალრიცხო-

ვან სისხლიან კონფლიქტებში, რომლებიც ახასიათებდა ამ რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას XX საუკუნის მეორე ნახევარში.

50-იან წლებში მიაღწიეს თავისუფლებას ლიბიამ (1952), სუდანმა (1956), ტუნისმა (1956), მაროკომ (1956). 1958 წლის ივნისის რევოლუციის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა ერაყი.

50-იანი წლების ბოლოს - 60-იანი წლების დასაწყისში აფრიკის მთელი კონტინენტი მოცული იყო ბრძოლით დამოუკიდებლობისთვის. 1957 წლის მარტში ინგლისის ყოფილი კოლონია - ოქროს ნაპირი გახდა ტროპიკული აფრიკის პირველი დამოუკიდებელი ქვეყანა. დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ კოლონიები, შემავალი საფრანგეთის დასავლეთ აფრიკისა და საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის შემადგენლობაში. კოლონიალური სისტემის დაცემამ ეკვატორულ აფრიკაში გამოიწვია ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გამოჩენა. 1960 წელს დამოუკიდებლობა მიიღო აფრიკის 18 ქვეყანამ, ეს წელი ისტორიაში შევიდა, როგორც აფრიკის წელი.

მაგრამ აფრიკის ბევრ ქვეყნაში დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სიწყნარე არ დამყარებულა. ყოფილ მეტროპოლიებს არ სურდათ, თავისი გავლენის დაკარგვა. ისინი მუდმივად ერეოდნენ უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების საქმეებში, რამეთუ მრავალს ამ ქვეყნებიდან გააჩნდა მდიდარი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები. სწორედ, ამ სიმდიდრეებზე კონტროლის დამყარებისთვის მიდიოდა კიდეც გააფთრებული ბრძოლა. უფრო მეტი, ახალგაზრდა სახელმწიფოები მოხვდნენ აშშ-ის და სსრკ-ის გავლენის ქვეშ. ეს უკანასკნელები კი ცდილობდნენ, გამოეკვეთათ თავისი ინტერესების სფერო, ახვევდნენ რა თავს მოუმწიფებელ რეჟიმებს გა-ნვითარების ამა

თუ იმ გზას. იდეოლოგიურმა ფაქტორმა, რომელიც დომინირებდა იმ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში, უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონის ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ჩამოყალიბების პროცესზე.

კონფრონტაციული სტაბილურობის პერიოდი. მკვეთრი კონფრონტაციის წლებში, რომლის მწვერვალი კარიბის კრიზისი გახდა, „ორივე სახელმწიფომ ისწავლა კეთილგო-ნიერების ზოგიერთი ფუნდამენტური წესი, რათა მოეხდინა თავის მეტოქეობის რეგულირება და ისე მოქცეულიყო, რომ არ დაჭირვებოდა იარაღი“. და მართლაც, იმის მიუხედავად, რომ სსრკ-ი და აშშ-ი ამ თუ იმ დონით მონაწილეობდნენ 50-60-იანი წლების თითქმის ყველა სამხედრო კონფლიქტში, ისინი არცერთხელ არ გადასულან ღია შეიარაღებული შეტაკების სტადიაზე. მოხერხდა საერთო მსოფლიო შეტაკების თავიდან აცილება, რაც ორი დიდი სახელმწიფოს დამსახურება იყო.

1962 წლიდან აშშ-ი გადავიდა რეგიონული ბიპოლარული სტრუქტურების დემონტაჟზე, მიუხედავად იმისა, რომ კონფრონტაციული სტაბილურობის (1962-1991 წწ.) და დაძაბულობის შენელების (1968-1978 წწ.) გლობალურ საფუძვლად რჩებოდა ბიპოლარულობა. საბჭოთა კავშირისთვის ეს არც თუ ისე სასიამოვნო მოულოდნელობა გახდა. აშშ-ის ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმალიზაციად გახდა რ. ნიქსონის დოქტრინა, აგებული კომუნიზმის შეკავებაზე, გათვლილი სამხედრო ვალდებულების გადანაწილებაზე აშშ-სა და იმ მთავრობებს შორის, რომლებსაც ამერიკა მხარს უჭერდა. პრეზიდენტმა ნიქსონმა ღიად განაცხადა, რომ შეუძლებელია აშშ-ის ინტერესების მსხვერპლად შეწირვა იმ ამოცანებისთვის, რომლებიც განისაზღვრა 40-იანი წლების რეალიებით.

ვითარება მსოფლიოში, ჩამოყალიბებული 60-იანი წლების დასაწყისისთვის, ხასიათდებოდა აშშ-სა და სსრკ-ს შორის დამყარებული სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტით, იმის შეგნებით, რომ უაზრობაა გამალებული შეიარაღება, დარჩენილი რეგულირების გარეშე. პირველად გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ კონკურენცია მსოფლიოში პირველობისთვის გადაყვანილი ყოფილიყო სტრატეგიული დაპირისპირების სფეროდან პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში. დიდი სახელმწიფოები შეეცადნენ, უფრო აქტიურად გამოეყენებინათ არა სამხედრო, არამედ კულტურულ-ფასეულობითი არგუმენტები სხვა ხალხების სიმპათიების მოპოვებისთვის. ეს გახდა საფუძველი დაძაბულობის შენელების მოკლევადიანი, მაგრამ ძალზე მკაფიო პერიოდისა. აშშ-მ უარი განაცხადა „მარტოდმარტოდ“ დაპირისპირებაზე, რაზეც მას უკვე არ ჰქონდა ძალა (ვიეტნამის ომმა ძალზე დაასუსტა ამერიკული საზოგადოების პოტენციალი და პოლიტიკურ-მორალური ერთგვაროვნობა). თავის ცდაში, არ დაეშვა ჰეგემონიის გადასვლა საბჭოთა კავშირის მხარეზე, ვაშინგტონი წავიდა კლასიკური ბიპოლარული სტრუქტურის დანგრევაზე, უხამებდა რა საბჭოთა-ამერიკულ ურთიერთგაგების პრიორიტეტულობას გლობალურ დონეზე და ევროპაში „ანტიბიპოლარული“ ტენდენციების ხისტ მხარდაჭერას რეგიონულ და სუბრეგიონულ დონეებზე. აშშ-ის დაახლოება ჩინეთთან, ა. დ. ბოგატუროვის აზრით, ყველაზე საუკეთესოდ ახასიათებს ამ ტენდენციას.

70-იანი წლების დასაწყისი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და აშშ-ს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის დრო. სამწუხაროდ, სსრ კავშირი, რომელიც გამოდიოდა რეგიონში სტატუსკვოს შენარჩუნების მომხრედ, სწრაფად კარგავდა ინიციატივას, რომელიც აშშ-ის, ჩინეთისა და, მოგვიანებით, იაპონიისკენ გადადიოდა. 1972 წლის 27 თებერვალს შანხაიში ხელი მოეწერა კომუნიკეს, რომელშიც მტკიცდებოდა ამერიკის შეერთებული შტატები - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობათა ნორმალიზაციის პირობები. აშშ-ი ადასტურებდა განზრახვას, მხარი დაეჭირა ჩინეთისთვის სსრ კავშირის მხრიდან მუქარის გაზრდის შემთხვევაში, ჩინეთი კი პირდებოდა, გაეგრძელებინა მოსკოვთან დაშორების ხაზი. ამ დროიდან დაწყებული, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი რეგიონული სტრუქტურა.

იმ დროს ევროპაში ასევე ხდება მნიშვნელოვანი მოვლენები, მაგრამ ისინი ტრადიციული სქემით ვითარდებოდა. ვენასა და ჰელსინკში აქტიურად გრძელდებოდა სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებები განიარაღების პრობლემებზე. უნდა აღინიშნოს, რომ თვით მოლაპარაკებები ძალზე რთულად მიმდინარეობდა. მათ ხან წყვეტდნენ, ხან იწყებდნენ.

ამის მიუხედავად, 1972 წლის 26 მაისს შესაძლებელი გახდა ხელის მოწერა უვადო შეთანხმებაზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ, რომლის შესაბამისად, მხარეებმა უარი თქვეს თავისი ტერიტორიების დასაფარად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გაშლაზე, გარდა ორი სისტემისა, რომლებზეც მხარეებმა ცალკე იმსჯელეს. იმავე დღეს, ხელი მოეწერა დროებით შეთანხმებას ზოგიერთი ღონისძიების შესახებ სტრატეგიული და შეტევითი შეიარაღებების სფეროში. მხარეებმა ვალდებულება აიღეს, 1973 წლის 1 ივლისიდან შეეწყვიტათ სახმელეთო ბაზირების დამატებითი სტაციონარული გამშვები დანადგარების მშენებლობა.

1969 წლის 18 მარტს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა გამოაქვეყნეს მიმართვა ყველა ევროპული ქვეყნისადმი, მოწოდებით, გაეზარდათ ძალისხმევა კონტინენტზე მშვი-

დობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისთვის. 1974 წლის მაისში ნატოს ქვეყნების მთავრობებმა განაცხადეს, რომ თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ კონსულტაციებში, რომლებიც ჰელსინკში ტარდებოდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მხარეები კომპრომისამდე მივიდნენ. 1975 წლის 30 ივლისს ფინეთის დედაქალაქში ხელი მოეწერა უმაღლეს დონეზე საერთოევროპული თათბირის დასკვნით აქტს. ამ დოკუმენტმა იურიდიულად დააკანონა ის ვითარება ევროპაში, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ჰელსინკში დაფიქსირებული იყო სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა პრინციპები: სუვერენული უფლება, პატივისცემა სუვერენიტეტის მახასიათებელი უფლებების მიმართ, ძალის ან ძალის მუქარის არგამოყენება, საზღვრების ურღვევობა, სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა, დავების დარეგულირება მშვიდობიანი გზით, ჩაურევლობა საშინაო საქმეებში, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა, თანამშრომლობა სახელმწიფოთა შორის, საერთაშორისო სამართლის მიერ განსაზღვრული ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება. ეუთს-ს შექმნა გახდა აპოთეოზი დაძაბულობის შენელების პერიოდისა, რომელიც შეიცვალა გამალებული შეიარაღების ახლი ეტაპით რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში.

2. ევროპული ინტეგრაცია

უეჭველია, რომ მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო მანამდე არსებული საერთაშორისო ურთიერთობების მთელი სისტემის რადიკალური შეცვლა. ორი ზესახელმწიფოს (აშშ-ი და სსრკ-ი) გამოჩენა და მათი მეტოქეობა გახდა მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა ამ ახალ სისტემას. ორ ანტაგონისტურ ბანაკად გაიყო მსოფლიო, სადაც არ დარჩა ადგილი ევროპას. „წინანდელი ევროპა გარდაიცვალა 1945 წელს, - წერდა თავის წიგნში („როდესაც ფიქრობ ევროპაზე“) ცნობილი ფრანგი სოციოლოგი და კულტუროლოგი, სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ე. მარანი, - იქცა რა ცივი ომის პერიოდში ორ ზესახელმწიფოს შორის ბრძოლის ველად“. „მაგრამ, ამასთანავე, - განაგრძნობს ის, - ახალი სუნთქვა შეიძინა მოძრაობამ ევროპის გაერთიანებისთვის“.

ევროპული იდეა არაერთხელ აღმოცენებულა კონტინენტის ისტორიის მანძილზე. წარსულში ის არც თუ ისე იშვიათად იყო გამოიყენებოდა იმპერიების შექმნისას ან ევროპული ცივილიზაციის დაცემის შესახებ პესიმისტური პროგნოზებისთვის დასაპირისპირებლად. საერთო ფონად, რომელზეც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღორძინდა ევროპული ერთიანობის იდეა, იქცა მწვავე გრძნობა ისტორიული ლიდერობის დაკარგვისა.

აზრს ევროპული ერთიანობის შესახებ, რომელიც შუა საუკუნეებში აღმოცენდა ქრისტიანობის ნიადაგზე, თავისი მიქცევები და მოქცევები ჰქონდა. აღორძინება, რეფორმაცია, განმანათლებლობა, რომანტიზმი - ყველა ამ მოვლენამ გადალახა საზღვრები, იქცა რა საერთოევროპულ კულტურულ ფენომენად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპამ ამ სპონტანურ და ცვალებად ერთიანობას, რომელიც იდეებს ეყრდნობოდა, არჩია სხვა ერთიანობა - სახელმწიფოთა და ინსტიტუტების დონეზე, რომლებიც ქმნიდნენ ერთიან ეკონომიკურ პირობებს, ხელისუფლების ახალ ორგანოებს, აღიარებულს სუვერენული ერების მიერ. „ევროპის შეერთებული შტატები“ - ძველი ლოზუნგი, რომელიც ომის შემდეგ ფართო გავრცელებას პოულობს.

ევროპულ იდეას მხარი დაუჭირეს და მას ცხოვრებაში აქტიურად ატარებდნენ იმ დროის გამოჩენილი პოლიტიკოსები. მათ შორის უნდა დასახელდეს უ. ჩერჩილი, რომელმაც თავის გამოსვლაში ციურიხში 1946 წლის სექტემბერში მხარი დაუჭირა „ევროპის გაერთიანებული შტატების“ ლოზუნგს, როგორც საფრანგეთ-გერმანიის ანტაგონიზმის და სხვა სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობების დაძლევის საშუალებას.

ევროპის ერთიანობისკენ გადადგმული ნაბიჯები, განხილული მთლიანობაში, საკმაოდ რთულ სურათს წარმოადგენდა. იქმნება მრავალი სხვადასხვა ორგანიზაცია: ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, დასავლეთევროპული კავშირი. ნატო, ევროპის საბჭო, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა. ევროპული ინტეგრაციის პროცესის (ომის მიერ დანგრეული ეკონომიკების აღდგენა, კონტინენტზე მშვიდობისა დამყარება და შენარჩუნება და სხვ.) დაჩქარების შიდა, სუფთა ევროპული ფაქტორების ერთად, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი აშშ-ის როლს. ეს სახელმწიფო გაერთიანებულ ევროპაში ხედავდა მნიშვნელოვან მოკავშირეს „საბჭოთა მუქარასთან“ ბრძოლაში. სწორედ, აშშ-ის ინიციატივით, 1948 წელს შეიქმნა ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მარშალის გეგმის რეალიზაცია. 1949 წელს შეიქმნა ნატო - სამხედრო პაქტი აშშ-ის, კანადას და ევროპის უმრავლეს ქვეყანას შორის. და მიუხედავად იმისა, რომ უფრო ადრე ხელი მოეწერა ბრიუსელის შეთანხმებას დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ბენილუქსის ქვეყნებს შორის, 1954 წელს კი მის საფუძველზე შეიქმნა დასავლეთევროპული კავშირი, სწორედ, ნატო ხდება უსაფრთხოების ევროპული სისტემის ცენტრალური რგოლი.

1949 წლის 5 მაისს შეიქმნა ევროპის საბჭო, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ქვეყნების მაქსიმალური რაოდენობის წევრობას და თავის მიზნად ისახავდა პოლიტიკური თანამშრომლობის წახალისებას. მის წესდებაში არ არის მინიშნება ისეთ მიზნებზე, როგორებიცაა ფედერაცია ან კავშირი, ის არ ითვალისწინებს ეროვნული სუვერენიტეტის გადაცემას ან გაერთიანებას. ამრიგად, ევროპის საბჭო წარმოადგენს მხოლოდ ინსტრუმენტს სამთავრობათაშორისი თანამშრომლობისა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის გაერთიანების პროცესში წამყვანი როლი ევროპულ სახელმწიფოებიდან, რა თქმა უნდა, საფრანგეთმა ითამაშა. მნიშვნელოვანწილად ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ მოცემული ქვეყანა იყო და არის ძველი სამყაროს უდიდესი კონტინენტალური სახელმწიფო, რომელმაც მნიშვნელოვანი პოტენციალი შეინარჩუნა. გარდა ამისა, გენერალ დე გოლის წყალობით, საერთაშორისო ასპარეზზე მას (გერმანიისგან განსხვავებით), გააჩნდა პოლიტიკური მანევრის გარკვეული თავისუფლება, რადგან სსრკ-ის, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთთან ერთად ის აქტიურად მონაწილეობდა ფაშიზმთან ბრძოლაში.

ახალი ევროპული სისტემის შექმნის აუცილებლობა, მომავალი „გაერთიანებული ევროპის“ ერთ-ერთი არქიტექტორის, ჟ. მონეს იდეების მიხედვით, რამდენიმე ფაქტორით იყო ნა-კარნახევი: იმ სახელმწიფოთა არქაული ბუნებით, რომლებმაც კრახი განიცადეს ფაშისტური შემოსევის წინაშე და უუნარონი არიან, უპასუხონ ახალი ტექნოლოგიების გამოწვევაზე; მზარდი განსხვავებებით ევროპელ ხალხებს შორის, რომლებმაც ეს უკანასკნელნი მიიყვანეს მეტოქეობის საშიშ ზღვართან; ეროვნული სახელმწიფოს თვით სტრუქტურაში ჩაბუდებული ნაციონალიზმის ზრდის მუქარით. აქ განსაკუთრებით უნდა გაესვას

ხაზი კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს - გარეშე მუქარის არსებობას, ამასთან, არა მხოლოდ სსრ კავშირის, არამედ შეერთებული შტატების მხრიდანაც. სწორედ, მსოფლიოს ბიპოლარული მოწყობის წყალობით აღმოჩნდა შესაძლებელი ევროპული ინტეგრაციის პროცესი.

ჩამოყალიბებული სისტემის გარდაქმნის მთავარი მიზნის - მშვიდობის, როგორც ერთადერთი მდგომარეობის - მიღწევა, შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობათა ბუნების და თვით ადამიანებს შორის ურთიერთობების შეცვლით. ეს გულისხმობს იმ მიზეზთა ლიკვიდაციას, რომლებიც მათ შორის მეტოქეობას იწვევენ. „მხოლოდ გარემოებების შეცვლით, - აღნიშნავდა თავის მემუარებში ჟ. მონე, - შეიძლება დაიძლიოს სიძნელეები, რომლებსაც ისინი ქმნიან. ამისათვის საჭიროა „გააერთიანო ადამიანები იმ პრობლემების გადაწყვეტით, რომლებიც მათ აცილებენ ერთმანეთს“, „ევროპელთა შორის უნდა შეიქმნას ფართო საერთო ინტერესი, რომელსაც მოემსახურებიან საერთო ევროპული ინსტიტუტები, მაშინ ეს საერთო ინტერესი შეუძლებელს გახდის კონფლიქტების წარ-მოშობას“.

ჟ. მონე საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ ფაქტორებს, თვლიდა რა, რომ სწორედ, ეკონომიკური აქტიურობა ქმნის ბუნებრივ გაერთიანებებს. ის დარწმუნებული იყო, რომ გზა ერთიანი ევროპისკენ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე გადიოდა. კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობა ქმნის ევროპული ფედერაციის საფუძველს, წარმოშობს ევროპელთა შორის სოლიდაროზის გრძნობას, შეიმუშავებს საერთო ინტერესს. ის არაერთხელ აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია ერთიანი ევროპის ერთბაშად შექმნა, ის იქნება თანდათანობით გადადგმული ნაბიჯების შედეგი. პოლიტიკური გაერთიანება მხოლოდ ეკონომიკურს შეიძლება მოყვეს, ამიტომ ჟ. მონემ უარყო ადენაუერის

1950 წლის მარტის წინადადება საფრანგეთ-გერმანიის კავშირის შესახებ, რომელიც ერთდროულად ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაახლოებას გულისხმობდა.

ქვანახშირის და მეტალურგიული მრეწველობის საერთაშორისო დასავლეთევროპული გაერთიანების შექმნის პროექტი პირველად საჯაროდ გააცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. შუმანმა 1950 წლის 9 მაისს (ისტორიაში შევიდა, როგორც „შუმანის დეკლარაცია“). ეს პროექტი ითვალისწინებდა საერთაშორისო მონოპოლიის შექმნას, რომელსაც უნდა მოეცვა მარშალის გეგმაში მონაწილე ყველა ევროპული ქვეყნის, ინგლისის ჩათვლით, შავი მეტალურგია, ქვანახშირის მრეწველობა და რკინიგზა, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ უარი განაცხადა შეერთებოდა ევროპის კარტელს. ეს უკანასკნელი შეიქმნა გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიის და ლუქსემბურგის შემადგენლობით.

ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმებას და მის დანართ დოკუმენტებს „ექვსეულის“ წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 1951 წლის 18 აპრილს. 1952 წლის განმავლობაში შეთანხმება ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანების შესახებ, რატიფიცირებული იქნა ზემოთ დასახელებული ქვეყნების პარლამენტების მიერ.

საფრანგეთისთვის ეს იყო ეროვნული ფოლადსადნობი მრეწველობის გადარჩენის და გერმანიის სამრეწველო პოტენციალის გარდაუვალ აღორძინებაზე კონტროლის უზრუნველყოფის საშუალება. გერმანიისთვის ეს იყო შესაძლებლობა, ისე აღედგინა თავისი, როგორც ევროპის წამყვანი სახელმ-წიფოს პოზიციები, რომ არ გამოეწვია მეზობელი ქვეყნების ყურადღება და ანტაგონიზმი. ბენილუქსის სახელმწიფოებისთვის ეს ევროპული

გაერთიანება იყო მათი უფრო მსხვილი და ძლიერი მეზობლებისგან თავდაცვის საშუალება.

ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანებას მინიჭებული ჰქონდა სტატუსი დამოუკიდებელი იურიდიული პირისა, რომელსაც უფლებაუნარიანობა გააჩნდა საერთაშორისო ურთიერთობებში. გაერთიანების მართვისთვის შეიქმნა ინსტიტუტების სისტემა, რომლის ძირითადი სქემა შენარჩუნებულია დღემდე. ის შეიცავდა უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს, საერთო ასამბლეას (ან ევროპის პარლამენტს), სპეციალურ მინისტრთა საბჭოს (ან უბრალოდ, საბჭოს) და სასამართლოს. ხელისუფლების ბალანსი ამ ევროპულ გაერთიანებაში აშკარად იყო გადაწეული ზეეროვნული უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს მხარეს.

ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანებასთან დაკავშირებულმა წარმატებამ ხელი შეუწყო „ექვსეულის“ ქვეყნების შემდგომ წინსვლას ინტეგრაციის გზაზე. უკვე სამი წლის შემდეგ, 1955 წლის ივნისში, „ექვსეულის“ წარმომადგენლების შეხვედრაზე მესინაში (იტალია) ბენილუქსის წარმომადგენელთა ინიციატივით მიიღეს რეზოლუცია საერთო ბაზრის შექმნის შესახებ. იმავდროულად მუშავდებოდა დასავლეთ ევროპის ატომური მრეწველობის ინტეგრაციის საკითხი. სწორედ, ამით ნარჩუნდებოდა ინტერესთა ბალანსი საფრანგეთისა, რომელიც მიისწრაფოდა დასავლეთ ევროპის ატომური მრეწველობის კოორდინირებული განვითარებისკენ და გერმანიისა, რომელიც თვლიდა, რომ სერიოზულ დივიდენდებს მიიღებდა საერთო ბაზრის შექმნიდან. ამან შესაძლებელი გახადა ამ ორივე პროექტის საკმაოდ სწრაფი განხორციელება.

მესინაში შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა „ექვსეულის“ ქვეყნებიდან 1956 წლის გაზაფხულზე წარმოადგინა თავისი მოხსენება, რომელსაც „სპააკის“ მოხსენება ეწოდა (ჯგუფის ხელმძღვანელის, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის გვარიდან გამომდინარე). 1956 წლის მაისში ვენეციაში ჩატარებულ თათბირზე, მას მხარი დაუჭირეს ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ერთი წლის შემდეგ, 1957 წლის 25 მარტს, რომში ხელი მოეწერა შეთანხმებებს ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობის (ევრატომის) და ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ.

რომის შეთანხმებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ინტეგრაციული მშენებლობის სფერო. ის წარმოადგენდა ეკონომიკური ინტეგრაციის კარგად გააზრებულ პროგრამას, სადაც პირველი ნაბიჯი უნდა გამხდარიყო საბაჟო კავშირი, საბოლოო შედეგი კი საერთო ბაზრის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ფიზიკური პირების თავისუფალ გადაადგილებას.

ამასთან, შეთანხმებაში ცალკე იყო გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის შექმნის პრინციპები, მიღებული საფრანგეთის, როგორც ევროპულ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მიმწოდებლის, ზეწოლის შედეგად. ისინი შეიცავდნენ: ერთიან ბაზარს, პრეფერენციებს „ექვსეულის“ ქვეყნების ფერმერთათვის და წევრ-სახელმწიფოების სოლიდარულ ფინანსურ პასუხისმგებლობას.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, ჯერ კიდევ რომის შეთანხმებების ძალაში შესვლამდე, წამოაყენა თავისი საკმაოდ მკაცრი წინადადებები, რომლებიც შეეხებოდა ევროპული ინტეგრაციის საუკეთესო გზის არჩევას. შემოთავაზებული იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ შექმნილიყო თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ზონა, რომელიც არ მოითხოვდა ეროვნული სუვერენიტეტის რაიმე შეზღუდვას. შეიძლებოდა მონაწილე ქვეყ-

ნებს შორის საბაჟო ტარიფების ლიკვიდირება, მაგრამ ეს ქვეყნები შეინარჩუნებდნენ მოქმედების თავისუფლებას იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ შევიდოდნენ ევროპის კავშირში. მაგრამ ამ ინიციატივამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა „ექვსეულის“ მხრიდან, ამიტომ 1959 წელს შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (ეასტ-ი), რომელშიც შევიდნენ ინგლისი, ნორვეგია, შვედეთი, დანია, ავსტრია, პორტუგალია, ისლანდია, შვეიცარია და ფინეთი, როგორც ასოცირებული წევრი.

ევროპის ეკონომიკური კავშირის პირველი წარმატებების შემდეგ, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მოკლე ხანში დაიწყო ევროპის ინტეგრაციულ პროცესში აქტიური როლის თამაშზე თავისი უარის თქმის გადასინჯვა. გასაგები გახდა, რომ მხოლოდ თანამეგობრობის ხელმძღვანელობა ვერ იქნებოდა მისთვის პოლიტიკური გავლენის შენარჩუნების გარანტია. არც ეასტი გამოდგა ამისთვის საკმარისი ინსტრუმენტი, რადგან მხოლოდ ეკონომიკურ მიზნებს ისახავდა. შედეგად, 1961 წლის აგვისტოში, ინგლისმა მიმართა თანამეგობრობას პირველი განცხადებით წევრობის შესახებ. მას მიბაძეს დანიამ და ნორვეგიამ, ასევე ისლანდიამ.

მიუხედავად ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატებებისა, სხვა სფეროებზე მისი გავრცელების ყველა ცდა წარუმატებელი იყო. საფრანგეთის ინიციატივით, ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანების შეთანხმების ხელმოწერის ერთდროულად, 1952 წელს პარიზში ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროპის თავდაცვითი თანამეგობრობის შექმნის შესახებ. შეთანხმება, რომელიც წარმოდგენილი იყო ჯერ კიდევ 1950 წელს საფრანგეთის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრ, რ. პლევენის მიერ, ითვალისწინებდა ასევე ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნას, რომელსაც თავისი აღმასრულებელი ორგანო, სასა-

მართლო და მინისტრთა საბჭო ექნებოდა - საერთო ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანების, ევროპის თავდაცვითი კავშირის და ევროპის პოლიტიკური კავშირისთვის. დასავლეთ ევროპაში თავდაცვითი და პოლიტიკური კავშირების შექმნის ცდები ჩაიშალა იმის შემდეგ, რაც 1954 წლის აგვისტოში საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო პარიზის შეთანხმება.

ამის კვალად წამოიწყეს კიდევ ერთი ცდა, წინ წაწეულიყვნენ პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე, მაგრამ ამჟამად, უფრო ტრადიციულ სახელმწიფოთაშორის საფუძველზე. „ექვსეულის“ პარიზის და ბონის 1961 წლის უმაღლეს დონეზე შეხვედრების გადაწყვეტილებით, კომისიამ ფრანგ დიპლომატ კ. ფუშეს ხელმძღვანელობით, შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ექვსი სახელმწიფოს კონსულტაციებს საგარეო პოლიტიკის, თავდაცვის და კულტურის სფეროებში. მაგრამ 1963 წლის მოლაპარაკებები, დაკავშირებული იმ დოკუმენტის შემუშავებასთან, რომელიც იურიდიულად გააფორმებდა თანამეგობრობის საფუძველზე საგარეო-პოლიტიკურ, სამხედრო და სხვა სფეროებში თანამშრომლობის მექანიზმის შექმნას, უშედეგოდ დასრულდა.

თუ 1954 წლის შეთანხმება ევროპის თავდაცვითი და ევროპის პოლიტიკური კავშირების შექმნის შესახებ ჩავარდა გერმანიისადმი ფრანგების შიშისა და უნდობლობის გამო. ახლა ის აიხსნებოდა მწვავე ბრძოლით თანამეგობრობაში ლიდეროზისთვის, კერძოდ, საფრანგეთის მხრიდან. თანამეგობრობის დიდმა და პატარა ქვეყნებმა ვერ შეძლეს შეთანხმება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს თანამშრომლობის პოლიტიკური მექანიზმი. მსხვილი ქვეყნები ნაკლები სიამოვნებით მიდიოდნენ იმაზე, რომ უფლებამოსილება საგარეო პოლიტიკის სფეროში, რომელზეც ისინი თავის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას

გრძნობდნენ, გადაცემულიყო თანამეგობრობის ნაკლებად მოქნილი ინსტიტუციური სტრუქტურისთვის. თავის მხრივ, ბენილუქსის მცირე ქვეყნები, რომელთაც ეშინოდათ მსხვილი სახელმწიფოების დიქტატის პერსპექტივისა, მხარს უჭერდნენ თანამეგობრობაში გადაწყვეტილებათა მიღების უფრო თანასწორუფლებიან პროცედურას, რომელიც უფრო მეტად ასახავდა ყველა მხარის ინტერესებს. ახალ წარუმატებლობას ხელს უწყობდნენ მწვავე უთანხმოებები, დაკავშირებული საერთო ბაზარში ინგლისის შესვლასთან, რასაც საფრანგეთიც ეწინააღმდეგებოდა (დე გოლი თვლიდა, რომ ინგლისი ევროპაში შეასრულებდა ამერიკის ტროას ცხენის როლს).

მთელი პროცესი ევროპის ინტეგრაციისა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განმსჭვალულია ორი შემადგენლის ბრძოლით: ზეეროვნულისა და ეროვნულის. და თუ ევროპის მშენებლობის პირველი ეტაპი (1945 – 1950-იანი წლების დასასრული) დაკავშირებული იყო პირველი კომპონენტას განვითარება-სთან, შემდგომი პერიოდი, განსაკუთრებით, დაკავშირებული საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში დე გოლის მოსვლა-სთან, მიმდინარეობს ეროვნული აღორძინების ნიშნით. და ეს რამდენიმე მიზეზით აიხსნება: პირველი, 1950-იანი წლების დასასრულისთვის, ევროპის ქვეყნებმა ძირითადად დაასრულეს ომით დანგრეული ეკონომიკების აღდგენა, ბევრი მათგანი კი განიცდიდა ეგრეთწოდებული „ეკონომიკური საოცრების“ პერიოდს. მეორე, ამ პერიოდისთვის წამყვანმა ევროპულმა ქვეყნებმა ნაწილობრივ შეძლეს, თავისი პოზიციების აღდგენა ყოფილ თავის კოლონიებში და მთლიანად მსოფლიოში. მესამე, დამოკიდებულება აშშ-ზე უსაფრთხოების საკითხებში, თავისებური სამხედრო-პოლიტიკური „სხვის კმა-ყოფაზე არსებობა“, არ

უტოვებდნენ ევროპის სახელმწიფოებს ფედერაციის შექმნის მთავარ სტიმულს.

1966 წელს მიღებულმა ეგრეთ წოდებულმა „ლუქსემბურგის კომპრომისმა“ ხაზი გაუსვა თანამეგობრობის ინსტიტუციონალური მშენებლობის საწყის ეტაპს. ის, მიღებული სა-ფრანგეთის ზეწოლის შედეგად, „ექვსეულის“ ყველა მონაწილეს აძლევდა უფლებას, გამოეცხადებინა თავისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად განხილვაზე მდგარი ნებისმიერი საკითხი და ვეტო დაედო შემოთავაზებულ გადაწყვეტილებაზე, თუნდაც მისთვის ყველა სხვა სახელმწიფოს დაეჭირა მხარი. ეს იყო შეთანხმება, რომელიც „ექვსეულის“ სახელმწიფოთა ურთიერთობებში კვლავ აყენებდა წინა პლანზე სახელმწი-ფოთაშორისო მიდგომას.

შემდგომმა პერიოდმა, 1980-იანი წლების შუახანებამდე, მიიღო „ევროსკლეროზის“ პერიოდის სახელწოდება, რადგან არ მომხდარა არავითარი სერიოზული ძვრა, რომელიც შეედრებოდა ინტეგრაციის საწყისი ეტაპის მოვლენებს. ამასთან ერთად, ეს პერიოდი არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო შემდგომი გარღვევისთვის ევროპის მშენებლობაში. ჯერ ერთი, გრძელდებოდა ეკონომიკური ინტეგრაცია (კერძოდ, სავალუტო სფეროში). მეორე, უფრო სრულყოფილ, დახვეწილ სახეს იღებდა გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი, მესამე, ფართოვდე-ბოდა ევროკავშირი და იზრდებოდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

1968 წლის 1 ივლისს გამოცხადდა საბაჟო კავშირის შექმ- ნის დასრულების შესახებ. ევროპის ეკონომიკური კავშირის შესახებ შეთანხმების მიერ დადგენილი გრაფიკის 18 თვის დასწრებით, გაუქმდა ყველა საბაჟო მოსაკრებელი, რომელსაც ადრე იღებდნენ წევრ-სახელმწიფოებს შორის ვაჭრობისას. იმავდროულად,

თანამეგობრობა ასრულებს ევროპის ეკონომიკური კავშირის გარე საზღვრებზე საბაჟო მოსაკრებლების საერთო სისტემის ფორმირებას.

მაგრამ ერთიანი ბაზრის შექმნა არ იყო დასრულებული ამ მოვლენის შემდეგ, 15 წლის განმავლობაშიც: მთავარ დაბრკოლებას ნორმალური ეკონომიკური საქმიანობისთვის წარ-მოადგენდნენ უფრო საბაჟო ფორმალობები და პროცედურები, ვიდრე საბაჟო მოსაკრებლები.

1969 წლის დეკემბერში ჰააგაში შედგა ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრ-სახელმწიფოთა და მათი მთავრობების მეთაურების შეხვედრა, რომელზეც გახმოვანდა ახალი ინიციატივები ევროპული ინტეგრაციის განვითარების საქმეში. კერძოდ, გაცხადდა მონაწილე-ქვეყნების გადაწყვეტილება შეექმნათ ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, ასევე დაუჭირეს მხარი თანამეგობრობის ინსტიტუტების გაძლიერების და მისი გაფართოების იდეას.

ისინი ასევე შეთანხმდნენ საერთო აგრარული პოლიტიკის დაფინანსებაზე, თანამეგობრობის საკუთარი რესურსების შექმნასა და ევროპული პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების გაფართოებაზე, ანუ, მათ გადაწყვიტეს ყველა საკითხი, რომელიც მანამდე იყო ურთიერთობათა მნიშვნელოვანი დაძაბულობის მიზეზი და საფუძვლად ედო 1965 წლის ივნისის ზემოხსენებულ კრიზისს.

მალე ამას მოყვა გადაწყვეტილებები თანამეგობრობის საკუთარი საფინანსო რესურსების შექმნის შესახებ. მას ამიერიდან გადაერიცხებოდა ყველა მოსაკრებელი ევროპის ეკონომიკური კავშირის გარედან იმპორტირებულ საქონლიდან, ყველა გადასახადი სასოფლო-სამეურნეო იმპორტიდან, აგრეთვე სახსრები, რომლებიც შეადგენდნენ 1 პროცენტს დამატებით ღირებულებაზე გადასახადის შემოსავლიდან. ამან თანამეგობრობას რეალური ფინანსური ავტონომია შესძინა.

1970 წლის ოქტომბერში წევრ-სახელმწიფოთა მეთაურები იწონებენ დავინიონის კომისიის დასკვნას პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ჰააგის შეხვედრის პირდაპირი შედეგი გახდა. ისინი ღებულობენ საგარეო საქმეთა მინისტრების და ამ სამინისტროთა პოლიტიკური დეპარტამენტების მეთაურთა რეგულარული შეხვედრების პრინციპს. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა შეეთანხმებინათ და რაც შეიძლება უფრო ჰარმონიული გაეხადათ სახელმწიფო-წევრთა მიდგომები და საქმიანობა საგარეო-პოლიტიკურ სფეროში.

მიზნები, ჩამოყალიბებული მოხსენებაში, რომელსაც ხშირად „ლუქსემბურგის მოხსენებას“ უწოდებდნენ (იმ ადგილის მიხედვით, სადაც ის მიიღეს), შემდეგი შინაარსის იყო: ინფორმაციის რეგულარული გაცვლა და კონსულტაციები მიმდინარე საგარეო-პოლიტიკური ცხოვრების ძირითად პრობლემებში ურთიერთგაგების მისაღწევად; წევრ-სახელმწიფოთა სოლიდარობის განმტკიცება მათი თვალსაზრისის შეთანხმების, პოზიციების კოორდინაციის და ერთობლივი აქციე-ბის მოწყობის გზით იმ შემთხვევებში, თუ ეს შესაძლებელი და სასურველია.

თანამეგობრობის გაფართოება და მის ფარგლებში ეკონო-მიკური და საბაჟო კავშირების შექმნა - ასეთი იყო ძირითადი პრიორიტეტები 1970-1973 წლებში.

1972 წლის იანვარში, ხანგრძლივი და ძნელი მოლაპარაკებების შემდეგ, ხელი მოეწერა შეთანხმებებს დანიის, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის შემოერთების შესახებ, ნორვეგიის გამოკლებით, სადაც მოსახლეობის უმნიშვნელო უმრავლესობამ (53 პროცენტი) რეფერენდუმზე შეერთების შესახებ უარი თქვა.

„ცხრიანის“ ახალმა თანამეგობრობამ არსებობა დაიწყო 1973 წლის 1 იანვრიდან.

უმაღლეს დონეზე ჰააგის შეხვედრამ იმპულსი მისცა ეკონომიკური და სავალუტო კავშირების შექმნას. აშკარა იყო, რომ ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაგრძელება ნიშნავს ერთიანი, ან უკიდურეს შემთხვევაში, კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას. 1970 წლის ოქტომბერში საფინანსო და სავალუტო საკითხებში ექსპერტთა კომისიამ, რომელსაც ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი პიერ ვერნერი ხელმძღვანელობდა, წარუდგინა მთავრობებს ეკონომიკური პოლიტიკის შემდგომი უნიფიკაციის და სავალუტო მექანიზმის შექმნის გეგმა, რომელშიც საუბარი იყო უკვე 1980 წელს ერთიანი ვალუტის მქონე სრული ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნაზე .

საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, „ვერნერის გეგმის“ პირველი ეტაპის დასაწყისად ჩაითვალოს 1971 წლის 1 იანვარი და იწყებს ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის გაძლიერებას. წევრი-სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, შეათანხმონ საბიუჯეტო პოლიტიკა და შეავიწროვონ თავისი ვალუტების კურსების მერყეობის ფარგლები.

მაგრამ ეკონომიკური და სავალუტო კავშირების შექმნის პროგრამის გაშლა მოკლე ხანში ჩაიშალა 1971 წელს დაწყებული სავალუტო კრიზისის გამო. თანამეგობრობის მოქმედებები არ იყო ამ კრიზისის მიზეზები, მაგრამ სწორედ, მან მიიღო თავისთავზე მისი ძირითადი დარტყმა. კრიზისი გამოწვეული იყო აშშ-ის დოლარის კურსის ამაღლებით ოქროს და ამ უკანასკნელთან მიბმული ვალუტების მიმართ. 1971 წლის აგვისტოში აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინა დოლარის თავისუფალი კონვერტაცია ოქროზე, რამაც

დარტყმის ქვეშ დააყენა მთელი ბრეტონ-ვუდის სისტემა და დასავლეთი ვალუტების უმრავლესობის საკურსო პარიტეტი. მხოლოდ 1971 წლის დეკემბერში მოხერხდა გარკვეული წესრიგის აღდგენა. მისი საფუძველი გახდა აშშ-ის დოლარის და იტალიური ლირის დევალვაცია, აგრეთვე რევალვაცია გერმანული მარკის, ჰოლანდიური გულდენის, ბელგიური და შვეიცარიული მარკების და იაპონური იენისა. ფრანგულმა ფრანკმა და ფუნტ სტერლინგმა შეინარჩუნეს თაისი ადრინდელი ოქროს პარიტეტები.

1972 წლის აპრილში „ექვსეულმა“ გადაწყვიტა, რომ მისი ვალუტების გაცვლის კურსის მაქსიმალური რყევა ერთმანეთის მიმართ არ უნდა იყოს 2,25 პროცენტზე მეტი, რის შედეგადაც შეიქმნა სავალუტო სისტემა, რომელსაც ეწოდა „სავალუტო გველი“.

მაგრამ, მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, რომელიც მყარ კავშირებს ადგენდა წევრ-სახელმწიფოთა ვალუტებს, შესაბამისად, მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კურსებს შორის, გარდაუვალი იყო იმის აღიარება, რომ ხელახლა დასაწყები გახდა მოძრაობა ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირისკენ,

დოლარის კრიზისი მხოლოდ ხილული მიზეზი იყო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის შექმნის პირველი ეტაპის ჩაშლისა. ნამდვილი მიზეზები კი უფრო ღრმა იყო - დაკავშირებული წევრ-სახელმწიფოთა სტრუქტურულ სხვაობასთან, განსხვავებებთან მათ მიერ გატარებულ კურსებს შორის, ასევე იმასთან, რომ ქვეყნებს არაერთნაირი დონით შეეძლოთ დაპირისპირებოდნენ გარეშე ფაქტორებს. თუმცა დოლარმა საკმაოდ სწრაფად დაიბრუნა თავისი პოზიციები, ევროპული ვალუტების მდგომარეობა საკმაოდ არამყარი რჩებოდა და 1973

წლის თებერვლისთვის „ვალუტების გველმა“ არსებობა შეწყვიტა.

1974 წლის დეკემბრისთვის პარიზის სამიტზე შეეცადნენ შეემცირებინათ ევროკავშირის შიდა ურთიერთობებში არსებული დაძაბულობა, გაეთავისუფლებინათ კავშირი ბევრ კერძო პრობლემისგან და წარემართათ ის რეალური მუშაობისკენ.

თანამეგობრობის არსებობის აღნიშნული პერიოდი ხასიათდებოდა ენერგეტიკული კრიზისით, სულ უფრო მზარდი ეკონომიკური სიძნელეებით, 1973-1974 წლების სავალუტო ქაოსით და თანამეგობრობის უუნარობით, გადასულიყო 1974 წლის დასაწყისში ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის მეორე ეტაპზე, როგორც ეს თავიდანვე დაგეგმილი იყო.

შეხვედრაზე შეთანხმდნენ იმ სახსრების შესახებ, თანამეგობრობას რომ უნდა გამოეყო რეგიონული განვითარების ევროპული ფონდისთვის, რომლის პრაქტიკული საქმიანობა 1975 წელს დაიწყებოდა. ამ უკანასკნელს უნდა მოეხსნა ევროპის სხვადასხვა რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონეში არსებული დისპროპორცია.

მიიღეს გადაწყვეტილება ევროპის კავშირის, როგორც უმაღლეს დონეზე რეგულარული შეხვედრების მექანიზმის, საქმიანობის წესის შესახებ. ის უნდა შეკრებილიყო არანაკლებ სამისა ერთი წლის განმავლობაში, და განეხილა არამარტო ევროპის პრობლემები, არამედ საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებიც. ევროპული საბჭო მოწოდებული იყო, შეეცვალა უმაღლეს დონეზე ნაკლებად რეგულარული შეხვედრების ადრე არსებული პრაქტიკა.

მაგრამ, პარიზის შეხვედრაზე მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეეხებოდა ევროპის პარლამენტის არჩევას საყოველთაო პირდაპირი ხმის მიცემით. გადაწყდა,

რომ პირველი არჩევნები ჩატარდებოდა 1978 წლის გაზაფხულზე. პარლამენტის პირდაპირი არჩევნები გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ შეთანხმებებით თანამეგობრობების შესახებ. საჭირო გახდა კიდევ 25 წელი, რათა მიეღწიათ ამ საკითხზე შეთანხმებისთვის.

სავალუტო ინტეგრაციის გაგრძელებისთვის ევროპულ საბჭოს 1979 წელს მოქმედებაში მოჰყავს ევროპული სავალუტო სისტემა, რომელიც ოთხ შემადგენელს შეიცავდა: ვალუტის ევროპულ ერთეულს (ეკიუს), ვალუტის გაცვლის და ინფორმაციის მექანიზმს, კრედიტების პირობებს და ტრანსფერტის მექანიზმს.

სისტემაში არასრული მონაწილეობის ვარიანტი აირჩიეს დიდმა ბრიტანეთმა (თავიდანვე) და საბერძნეთმა (რომელიც 1981 წელს შევიდა კავშირში).

ევროპის სავალუტო კავშირის საქმიანობას თან უნდა ხლებოდა ეკონომიკური პოლიტიკის კურსების დაახლოება (კონვერგენცია). სისტემამ შექმნისთანავე, დაამტკიცა თავისი ვარგისიანობა და მოქნილობა. მიუხედავად სერიოზული ეკონომიკური და ფინანსური არასტაბილურობისა, რომელიც იწვევდა პროცენტული განაკვეთის ზრდას და შესამჩნევ ინფლაციას, ევროპის სავალუტო კავშირში შესული ვალუტები 1972 წლიდან ინარჩუნებდნენ ურთიერთკავშირის უპრეცედენტო დონეს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამეგობრობის საერთაშორისო ავტორიტეტი. ჯერ კიდევ 1961 წელს ბრიუსელში შედგა კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის ეკონომიკური კავშირის ექვსი წევრი და მნიშვნელოვანი რაოდენობის აფრიკული ქვეყნები. რომის 1957 წლის შეთანხმებაში აისახა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ წევრ-ქვეყანას და მათ კოლონიებს შორის არსებობს განსაკუთრებული ურთიერთობები. ამ

ტერიტორიების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ევროპის ეკონომიკური კავშირის ზოგიერთ წევრ-ქვეყნის ინტერესების დაცვისთვის შეთანხმება ითვალისწინებდა ამ უკანასკნელების სავაჭრო ასოციაციას აფრიკულ ქვეყნებთან.

შედეგად, 1963 წლის 20 ივლისს იაუნდეში ხელი მოეწერა ოდესმე ხელმოწერილთაგან ყველაზე ფართო შეთანხმებას ევროპისა და აფრიკის ასოცირებული კავშირების შესახებ - იაუნდეს კონვენციას, რომლის მოქმედების ვადა 5 წლით იყო განსაზღვრული. მან თანამეგობრობა დააკავშირა აფრიკის 18 ქვეყანასთან, რომლებმაც შესაძლებლობა მიიღეს, გამოეყენებინათ თანამეგობრობასთან სავაჭრო, ტექნიკური და ფინანსური კოოპერაციის უპირატესობები.

1964 წელს იწყება მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებები გატტის ჩარჩოებში. თანამეგობრობა იღებს მასში მონაწილეობას. შედეგი ამ მოლაპარაკებებისა, რომლებსაც „კენედის რაუნდი“ ეწოდა, გახდა საერთაშორისო საბაჟო ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირება. თანამეგობრობის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერეს ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრ-ქვეყნებმა და ეეკ-ს კომისიამ.

ევროპის ეკონომიკური კავშირის გაფართოებას თავისი შედეგები მოაქვს. „ცხრიანის“ ეკონომიკური და სავაჭრო პოტენციალი აიძულებს ანგარიში გაუწიონ მას მსოფლიო არენაზე.

აშშ-ი იწვევს თანამეგობრობას მონაწილეობა მიიღოს გატტის ეგიდით მიმდინარე სავაჭრო მოლაპარაკებების ახალ რაუნდში. რომელიც 1973 წლის სექტემბერში. დაიწყო ტოკიოში.

მნიშვნელოვნად ფართოვდება თანამეგობრობის კავშირები „მესამე სამყაროსთან“. ის განაგრძნობს თანამშრომლობას ასოცირებულ სახელმწიფოებთან და აგრძელებს შეთანხმებებს ასოცირებული წევრობის შესახებ. 1973 წლის ივლისში მოლა-

პარაკებებში ერთობიან არამარტო იაუნდეს კონვენციის წევრი-ქვეყნები, არამედ აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანეს რეგიონის 27 სხვა განვითარებადი ქვეყანა.

იმავე წელს ძალაში შედის შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ თანამეგობრობასა და ესტის ქვეყნებს (ავსტრია, პორტუგალია, შვეიცარია, შვედეთი, ისლანდია, ნორვე-გია და ფინეთი) შორის. მათი შედეგი გახდა თანამეგობრობის ერთიანი საბაჟო ტარიფის არგამოყენება ამ ქვეყნებთან ვაჭრობაში. ამრიგად, ისინი შედიან თანამეგობრობასთან თავისუფალი ვაჭრობის ერთიან ზონაში, მაგრამ არ მონაწილეობენ ევროკავშირის საერთო პროგრამებში.

1975 წელში ევროპულმა თანამეგობრობამ და აკტ-ს 46 ქვეყანამ ხელი მოაწერეს ლომეს კონვენციას, რომელიც მოწოდებული იყო, შეეცვალა 1960-იან წლებში ხელმოწერილი კონვენციები. ის ითვალისწინებდა თანამშრომლობას ვაჭრობის სფეროში; პრაქტიკულად, მთლიანმა საქონელმა, წარმოებულმა კონვენციის ხელმომწერ განვითარებად ქვეყნებში, მიიღო თავისუფალი მისასვლელი თანამეგობრობის ბაზარზე.

1976 წელს შედგა პირველი კონტაქტები ეეკ-სა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) შორის ჩარჩო-შეთანხმებების ხელმოწერის მიზნით, მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა.

1976 წლის აპრილ - 1977 წლის იანვრის განმავლობაში თანამეგობრობა ხელს აწერს შეთანხმებას მაღრიბისა და მაშრიყის სახელმწიფოებთან (ეგვიპტე, სირია, იორდანია და ლიბანი). ამ შეთანხმებების, აგრეთვე ისრაელთან 1975 წლის 11 მაისის შეთანხმების ხელმოწერით, ევროკავშირის კომისიამ დაასრულა თავისი ხმელთაშუაზღვის პოლიტიკის მექანიზმის ფორმირება.

შეთანხმებები ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებთან ითვალისწინებდნენ საბაჟო ტარიფების შემცირებას იმ საქონლის უმეტეს ნაწილზე, რომელსაც თანამეგობრობა ამ რეგიონიდან ღებულობდა, აგრეთვე, ეკონომიკური, ფინასური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას. თანამედროვე პერიოდი, დაწყებული 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, აღინიშნებოდა არამარტო თანამეგობრობის შემადგენლობის შემდგომი გაფართოებით, არამედ, რაც მთავარია, მან შეიძინა ახალი თვისება, რასაც მოწმობს ევროპის ერთიანი აქტი (ეეა). შევიდა რა ძალაში 1987 წლის 1 ივლისიდან, ის აძლიერებს და მას ღრმა ცვლილებები შაქვს თანამეგობრობის ფუნქციონირების არსებულ პრინციპებში, რომლებიც თავისი მასშტაბებით შეიძლება შეედაროს რომის შეთანხმებებს. მისი დასრულების შემდეგ, როგორც ამას არაერთხელ უსვამდა ხაზს ევროპულ თანამეგობრობათა კომისიის თავმჯდომარე ჟაკ დელორი, უნდა წარმოიქმნას ერთიანი ევროპა, რომელსაც შეეძლება უპაუხოს XXI საუკუნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ გამოწვევებს.

ერთიანი ევროპული აქტი ოთხი ნაწილისგან შედგება. პირველში მოცემულია საერთო დებულებები, რომლებშიც განტკიცებულია კავშირი ევროპულ თანამეგობრობათა ფუნქციონირებასა და ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის მექანიზმს შორის (სტ. 1). ხაზგასმულია, რომ მათი ორგანული კავშირი ემსახურება ევროპული კავშირის შექმნის ხანგრძლივვადიან მიზანს. შეტანილია დებულება ევროპული საბჭოს შესახებ (სტ.2), რომელიც რეალურად მოქმედებს 1970 წლიდან და რომელიც არ იყო რომის შეთანხმებებში.

ეეა-ში შეერთდა ევროკავშირის წევრ-ქვეყნების ურთიერთობათა ორი განსხვავებული სისტემა საერთო მიზნის - ევროპული

კავშირის (გაერთიანების, რომელიც წარმოადგენს თანამეგობრობის წევრთა პოლიტიკურ ალიანსს და ითვალისწინებს არამარტო მათი ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო თანამშრომლობის მაღალ დონეს, არამედ საგარეო პოლიტიკის შეთანხმებასაც, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჩათვლით) შეთანხმებით გაფორმების მეშვეობით.

ამრიგად, კვლავ იყო დადასტურებული განზრახვა გაგრძელდეს მოძრაობა მთავარი მიზნის მიღწევის - ევროპული კავშირის შექმნისკენ.

მეორე ნაწილში ჩართულია დებულებები, რომლებიც შეეხება ევროპული თანამეგობრობების შექმნის შეთანხმებებს. დგინდება პროცედურა ევროკავშირის საბჭოს თანამშრომლობისა ევროპარლამენტსა და კომისიასთან, რაც ზრდის ამ უკანასკნელთა როლს პოლიტიკის შემუშავებაში (სტ. 6). ცვლილებათა მთავარ შინაარს შეადგენს ერთსულოვანი მხარდაჭერის პრინციპიდან გადახვევა კომუნიტარული კანონმდებლობის შემუშავებაში. ეეა-ს მესამე ნაწილში საუბარია თანამშრომლობაზე საგარეო პოლიტიკის სფეროში, რაც ასევე გათვალისწინებული არ იყო რომის შეთანხმებებში. დაისვა ამოცანა შემუშავდეს და გატარდეს ევროკავშირის ქვეყნების საერთო პოლიტიკა (სტ. 30). ამ მიზნით, გათვალისწინებულია სხვადასხვა მექანიზმი რეგულარული კონსულტაციებისა, რომლებშიც მონაწილეობენ ევროპარლამენტი და კომისია, აგრეთვე პოლიტიკური კომიტეტი და ამ მიზნით ბრიუსელში სპეციალურად შექმნილი სამდივნო. ცალკეა ხაზგასმული განზრახვა, მოხდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისადმი მიდგომის კოორდინაცია. ევროკავშირის საქმიანობის მთელი რეფორმის ცენტრალურ რგოლს, ერთიანი ევროპული აქტის

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას წარმოადგენს შიდა ბაზრის შექმნის პროგრამა.

ასეთი სერიოზული დოკუმენტის გაჩენა შედეგია, ერთი მხრივ, აუცილებლობისა, გადაიჭრას ის პრობლემები და წინააღმდეგობები, რომლებიც დაგროვდა თანამეგობრობის არსებობის ოცდაათი წლის განმავლობაში, მეორე მხრივ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იმ ცვლილებებისა, რომლებსაც მსოფლიოში ადგილი ჰქონდათ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში. ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ესოდენ სწრაფი განვითარება არის მხოლოდ ლოგიკური გაგრძელება, ერთ-ერთი რგოლი იმ მოვლენათა ჯაჭვში, რომლებიც გამოიწვია შეცვლამ საერთაშორისო-პოლიტიკური სისტემისა. დასავლეთევ-როპული ინტეგრაციის პერსპექტივებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირში 1986 წელს დაწყებული „გარდაქმნის“ პოლიტიკას და, როგორც მის შედეგს, რადიკალურ პოლიტიკურ ძვრებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს გაუქმებას, და, ბოლოს, 1991 წლის შემდეგ მომხდარ დაშლას ერთიანი საბჭოთა სივრცისა.

„რკინის ფარდის“ დაცემამ, ორი გერმანიის გაერთიანებამ, ახალი ევროპის სიმბოლოდ რომ იქცა, არნახულად შესაძლებელი გახადეს მანამდე შეუძლებელი - „ატლანტიკიდან ურალამდე“ ევროპის აშენების გეგმების რეალიზაცია. მართლაც, თავისი შიდა შესაძლებლობების თვალსაზრისით, ევროკავშირი უდავოდ გადაიქცა ისეთ წარმონაქმნად, რომელსაც ყველა საფუძველი გააჩნია პრეტენზია ჰქონდეს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი მონაწილის სტატუსზე. ტერიტორიის ზომის, მოსახლეობის რიცხოვნობის, საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით, თანამეგობრობა თანაზომიერია იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც მსოფლიო არენაზე წამყვან როლს თამაშობენ.

მაგრამ პრობლემები და სიძნელეები, რომლებიც ევროპის წინაშე ამ პერიოდში დგება, არანაკლებ მწვავეა. სსრკ-ის დაშლამ, მომხდარმა 1991 წლის აგვისტოს ამბოხების შემდგომ, ევროკავშირი დატოვა თხუთმეტი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირისპირ. ამასთან, ევროპულ ინტეგრაციაში ყოველი ყოფილი რესპუბლიკის რეალური მონაწილეობის დონე ისევე დაბალია, როგორც მთლიანად ყოფილი კავშირისა. ევროპა, რომელსაც არ გააჩნია უნარი დაამყაროს კონტროლი ესოდენ ვრცელ და სულ უფრო დაშლად ტერიტორიაზე, ცდილობს ეს გააკეთოს თანდათან, ავლენს რა მკაფიო თანმიმდევრობას და მიყვება 1980-იან წლების ბოლოში საკმაოდ პოპულარულ კონცეფციას „კონცენტრირებული წრეებისა“, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ინტეგრაციულ პროცესებში სახელმწიფოების ჩართვის ხარისხის სიმბოლოს. ამ კონცეფციის შესაბამისად, ცენტრალური ბირთვის (თანამეგობრობის წევრი-ქვეყნები) ირგვლივ განლაგებულია რკალი სხვა დასავლეთ ევროპული ქვეყნებისა, რომლებიც პირველებთან ერთად, ქმნიან ერთიან სამეურნეო სივრცეს. ცენტრიდან კიდევ უფრო შორს მდებარეობს რკალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა, რომლებიც ადრე თუ გვიან, შევლენ ევროკავშირში, შემდეგი, მაგრამ უკვე ბოლო რკალზე, არის ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსია და ბოლოს, რუსეთი.

გარდა ამისა, ევროპული თანამეგობრობა ცდილობს, გამოიმუშაოს კრიტერიუმების გარკვეული სისტემა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოები, ვინც ცდილობს მონაწილეობა მიიღოს ინტეგრაციულ პროცესში. პარალელურადვე იქმნება მთელი რიგი „ბუფერული ორგანიზაცია“ და ფორუმი, სადაც

სახელმწიფოები უნდა იმყოფებოდნენ მათ მიერ სათა-ნადო პირობების მიღწევამდე.

კიდევ ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას და, იმავდროულად, ევროპული ინტეგრაციის განვითარების სტიმულს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიუხედავად შთამბეჭდავი ეკონომიკური გავლენისა, ევროპულ თანამეგობრობას არ გააჩნია რაიმე სოლიდური საერთაშორისო-პოლიტიკური სტატუსი. საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი სფერო, რომელშიც თანამეგობრობა პრაქტიკულად არ იყო წარმოდგენილი, დაკავშირებულია სამხედრო საკითხებთან. რადგან ევროკავშირის კომპეტენციას არ მიეკუთვნება სამხედრო-პოლიტიკური სფერო, ის, სწორად რომ ითქვას, არ შეიძლება გამოვიდეს, როგორც სტრუქტურა, რომლის წევრი-სახელმწიფოები განსაზღვრავდნენ ერთობლივ მიდგომას ამ პრობლემატიკისადმი. ამიტომ ოფიციალურ დოკუმენტებში მის მიმართ დამოკიდებულება მხოლოდ ზოგადი სახით განისაზღვრებოდა, მაშინ, როდესაც კონკრეტული პოზიციების შემუშავება ხორციელდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ნატოს ფარგლებში.

ამის ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს დებატები ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების საკითხზე. ამასთან დაკავშირებით, ევროპული კომისიების პრეზიდენტი ჟაკ დელორი წერდა, რომ დიალოგი განიარაღების პრობლემებზე, ფაქტობრივად მიმდინარეობს „ევროპელების თავზე გადავლით“. ლოგიკა აიძულებს ევროპის თანამეგობრობას, ერთობლივად შეიმუშაოს უსაფრთხოების ახალი კონცეფცია და გაატაროს მის უზრუნველყოფაზე მიმართული ნათელი ერთიანი პოლიტიკა.

ევროკავშირის პოლიტიკური სტატუსის ამაღლების და, იმავდროულად, კონტინენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი შესაძლო გზა დევს „მესამე სამყაროსთან“ ურ-

თიერთობათა სფეროში, სადაც თანამეგობრობას დაგროვილი აქვს, შესაძლებელია, ყველაზე დიდი გამოცდილება. ჩამოყალიბდა მექანიზმი სპეციფიკური ორგანიზაციული კავშირებისა ევროკავშირსა და აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანეს აუზების 60-ზე მეტ განვითარებად ქვეყანას შორის (ლომეს კონვენციები). ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სწორედ, პრობლემები ღერძ ჩრდილოეთი-სამხრეთის გასწვრივ იძენენ სულ უფრო დიდ სიმწვავეს.

იმიფაციის პრობლემა, დაუწყნარებელი ლოკალური კონ-ფლიქტები, ტერორიზმი, „მესამე სამყაროს“ ქვეყნების სულ უფრო მზარდი გაღატაკება, ამ ურთიერთობებს ერთ-ერთ პირველ ადგილზე აყენებენ. სრულიად აშკარაა ეკონომიკური ქვეტექსტიც. პირველი, ნედლეულის თვალსაზრისით არსებობს ძველი სამყაროს დამოკიდებულება კაპიტალისტური მსოფლიოს პერიფერიაზე. მეორე, დიდია განვითარებადი ქვეყნების, როგორც გასაღების ბაზრის და კაპიტალის დაბანდების სფეროს როლი. მესამე, დიდია „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების გავლენა დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის შრომით დაკავებაზე.

ევროკავშირს წარუდგენენ განსაკუთრებულ მოთხოვნ-ებს, რადგან საკითხი ყოფილი სსრკ-ის მიერ „მესამე მსოფლიოსთვის“ დახმარების გაწევის შესახებ, ფაქტობრივად მოხსნილია დღის წესრიგიდან. ის პოლიტიკა კი, რომლის გატარებისკენ იხრება აშშ-ი, მხოლოდ აძლიერებს დისბალანსს ჩაორჩენილ და განვითარებულ ქვეყნებს შორის. გარდა ამისა, ევროპაში საუცხოოდ ახსოვთ 1973 წლის კრიზისი, დაკავშირებული ნავთობთან.

ევროპული თანამეგობრობის უფრო მასშტაბურ და ენერგიულ საერთაშორისო-პოლიტიკურ საქმიანობას სტიმულს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, აძლევს რეგიონული კონფლიქტებიც.

ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება იუგოსლავიასა და ახლო აღმოსავლეთს, გამომდინარე ამ რეგიონის ევროპასთან სიახლოვის, მათ შორის დიდი ხნის ტრადიციული კავშირების და სავაჭრო-ეკონომიკური გაცვლის მაღალი დონიდან. მაგრამ ამისათვის ინტეგრაციული გაერთიანების მონაწილეებმა გაცილებით უფრო მეტად უნდა აიღონ ორიენტაცია საერთო პოლიტიკური ხაზის გატარებაზე, და დაძლიონ „ბუნებრივი“ მისწრაფება ინდივიდუალური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ამასთან, მთელი თანამეგობრობის მხარდაჭერა ზრდის გასატარებელი პოლიტიკის ეფექტურობას.

ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტიმულს წარმოადგენს მთელი რიგი სახელმწიფო-კონკურენტების, და, პირველ რიგში, აშშ-ის და იაპონიის არსებობა. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ძალზე არამარტივად განვითარებადი ურთიერთობები აშშ-ს და დასავლეთ ევროპას შორის. მათი ნათლად გამოკვეთილი იერარქიულობა, რომელიც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ასახავს ძალთა შეფარდებას ატლანტიკურ პარტნიორებს შორის, უკვე დიდი ხანია ექვემდებარება პროგრესირებად ეროზიას. მის საფუძველშია, ერთი მხრივ, დასავლეთევროპული საერთაშორისო-პოლიტიკური ინტერესების ობიექტურად განპირობებული სპეციფიკა, მეორე კი, მათი დაცვის უფრო ფართო შესაძლებლობები. პირველი გამომდინარეობს ამერიკასა და ევროპას შორის არსებულ ცხადი გეოპოლიტიკური განსხვავებებიდან, იმ ამოცანების არაერთნაირი მასშტაბურობით და პრიორიტეტულობით, რომლებსაც ისინი გადაწყვეტენ გარე სამყაროსთან ურთიერთობებში. მეორე, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ევროკავშირის მზარდ ეკონომიკურ პოზიციებში, აგრეთვე, უფრო

მეტი თავისუფლების მოპოვებაში საგარეო-პოლიტიკურ სფეროში.

1990 წლის დეკემბერში თანამეგობრობის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად მოილაპარაკეს ორი სამთავრობათშორისო კონფერენციის ჩატარების შესახებ, ერთი - ეკონომიკური და სავალუტო კავშირის, მეორე კი - პოლიტიკური კავშირის შექმნის შესახებ. ორი კონფერენციის შედეგი გახდა შეთანხმება ევროპული კავშირის შესახებ, რომელსაც 1992 წლის თებერვალში ხელი მოაწერა შვიდმა სახელმწიფო-წევრმა.

სიძნელეები, წარმოქმნილი ერთიანი ევროპული აქტის და მაასტრიხტის შეთანხმების რატიფიკაციის პროცესში, მოწმობენ, რომ ტრადიციული ეროვნული ინსტიტუტები ჯერ კიდევ ძლიერებია და რომ თვითონ მოსახლეობა არ ჩქარობს მათზე უარის თქმას. სახეზეა არამარტო ნაციონალიზმის ზრდა ევროპის მცირე ქვეყნებში, არამედ ძალზე არამყარი თანასწორობა წამყვან სახელმწიფოებს, კერძოდ, საფრანგეთსა და გერმანიას შორის.

გაერთიანების შემდეგ, სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ევროპული ინტეგრაციული პროცესის თავისებური ძრავა. გერმანია არის ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყანა და მასზე მოდის მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ევროპული კავშირის ბიუჯეტის ფორმირებისას. სწორედ, ამიტომ არიან გერმანელები წინააღმდეგი ერთსულოვნების პრაქტიკისა. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს იმავე ჰოლანდიელებს კენჭისყრისას მხედველობაში აქვთ „გერმანული ინტერესები“, არაფერი რომ ვთქვათ უკვე ავსტრიაზე. იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებზე, ვის ინტერესებსაც გერმანია საკმაოდ აქტიურად იცავს ევროპულ თანამეგობრობაში.

3. საერთაშორისო ურთიერთობები აზიაში (1945-1960-იანი წლები)

საერთაშორისო ურთიერთობები აზიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვითარდებოდნენ მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედებით. მნიშვნელოვან, თუ არა განმსაზღვრელ, როლს კვლავ თამაშობდა პოლიტიკა დიდი სახელმწიფოებისა, რომელთა „კლუბი“ მნიშვნელოვნად შევიწროვდა გერმანიის, იაპონიისა და იტალიის დამარცხების შემდეგ. 1940-იან წლებში მწვავე მეტოქეობა გავლენის სფეროებისთვის დაიწყო ინგლისს, სსრკ-სა და აშშ-ს შორის. საერთაშორისო ურთიერთობათა მეორე ფაქტორი იყო საკუთრივ ადგილობრივი ტენდენციები, მათ შორის, აზიის ხალხების მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიმართული ძველი კოლონიური სისტემის დამსხვრევაზე. პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, უჩვეულოდ გაიზარდა აზიის რესურსული მნიშვნელობაც. 1970-იანი წლების დასაწყისისთვის, ძირითადად დასრულდა კოლონიური სისტემის მსხვრევის პერიოდი. აღმოცენდა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სუბიექტები - ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც დაჯინებით ეძებდნენ თავის ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში და თავისი საგარეო პოლიტიკის „სახეს“. გარდა ამისა, 1960-იანი წლების ბოლოს დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო დაძაბულობის შენელება. ორ მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს შორის დაძაბულობის შენელებამ, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა მოახდინა ვითარებაზე აზიის რეგიონებში, საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებასა და აზიის პოლიტიკური რეჟიმების გარკვეულ სტაბილიზაციაზე.

აშშ-ის სტრატეგიული ინტერესები და ბლოკური პოლიტიკა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ქვეყანა გახდა ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე აღმოსავლეთის რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობებში. ავითარებდა რა თავისი საგარეო პოლიტიკის აზიურ მიმართულებას, აშშ-ს გააჩნდა მიზნების საკმაოდ ვრცელი სპექტრი, რომელთაგან ძირითადები იყო: ბრძოლა საბჭოთა გავლენის ზრდის წინააღმდეგ აზიის კონტინენტზე, ნედლეულის წყაროებისადმი (უპირველეს ყოვლისა, ნავთობის) ამერიკის ტრანსეროვნული კომპანიების მისაწვდომობის უზრუნველყოფა, დაცვა იმ საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო კომუნიკაციებისა, რომელთა უსაფრთხოებაში დაინტერესებულნი იყვნენ ამერიკის საქმიანი წრეები, შეზღუდვა ან პირდაპირი ჩახშობა იმ პოლიტიკური და საზოგა-დოებრივი მოძრაობებისა, რომელთა განვითარებას შეეძლო მუქარა შეექმნა აშშ-ის ინტერესებისთვის აზიაში.

შეერთებული შტატების აღმოსავლური პოლიტიკის დოქტრინური საფუძვლები მუდმივ ევოლუციას განიცდიდა, გამომდინარე რეგიონებში ძალთა ცვალებადი განლაგებიდან, პოლიტიკური რეჟიმების ცვლიდან, გამალებული შეიარაღების ტემპებიდან. პირველი ასეთი დოქტრინა შემუშავებული იყო ჰ. ტრუმენის პრეზიდენტობისას და წარმოადგენდა თურქეთისა და საბერძნეთისთვის დახმარების გაწევის პროგრამას, რომლის მიზანი იყო: აშშ-ის მიმართ ლოიალურად განწყობილი რეჟიმების განმტკიცება, იმ „არეულობების“ არდაშვება, რომლებსაც შეეძლოთ ხელისუფლების სათავეში კომუნისტების მოყვანა და, საბოლოოდ, ამ ყველაფრის მეშვეობით ხმელთაშუაზღვისპირეთში ამერიკული გავლენისთვის საჭირო ბაზის შექმნა.

1950-იან წლებში, როდესაც შეერთებულ შტატებში შეიარაღებაზე მიიღეს „მასირებული შურისძიების“ დოქტრინა, რომე-

ლიც ითვალისწინებდა მასირებულ სარაკეტო-ბირთვულ დარტყმას სსრკ-სა და მის მოკავშირეებზე, აშშ-ის ეგიდით აღმოსავლეთში მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური კავში-რები ჩამოყალიბდა. მათი ძირითადი ამოცანა იყო მუქარა შეექმნათ საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებისთვის. აღმოსავლეთში ბლოკების პოლიტიკა დაიწყო 1955 წელს, როდესაც დაიდო ეგრეთ წოდებული ბაღდადის პაქტი, რომლის მონაწილეები გახდნენ: თურქეთი, ირანი, ერაყი, პაკისტანი და დიდი ბრიტანეთი. თუმცა, 1958 წელს ერაყში მოხდა ანტიმონარქისტული რევოლუცია. ერაყელმა ოფიცრებმა, რომლებმაც მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, სიკვდილით დასაჯეს მეფე ფეისალი (ჰაშიმიტი) და დიდი ბრიტანეთის მრავალწლიანი მომხრე, პრემიერ-მინისტრი ნური საიდი. ერაყელმა ოფიცრებმა გააცხადეს თავისი საგარეო-პოლიტიკური შეხედულებების ანტიდასავლურობა. ფაქტობრივად ეს ნიშნავდა ერაყის გამოსვლას ბაღდადის პაქტიდან. ამ კავშირის შტაბ-ბინა გადავიდა ანკარაში და შეიქმნა სახელმწიფოთა ახალი გაერთიანება, რომელმაც მიიღო ცენტრალური შეთანხმების ორგანიზაციის, ანუ სენტოს ბლოკის სახელწოდება.

1961 წელს, აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ (პრეზიდენტი ჯ. ფ. კენედი) გამოაცხადა ახალი დოქტრინის („მოქნილი რეაგირების“) მიღების შესახებ. კონფლიქტური სიტუაციის განვითარების პროცესში ახალი სტრატეგია უშვებდა სტადიების არსებობას - „ძალის პოზიციიდან“ მოლაპარაკებებით დაწყებული, „კრიტიკულ ზღურბლამდე“ მისვლით დამთავრერებული, რის შემდეგ იწყება მსოფლიო ომი. ამ დოქტრინის შესაბამისად, აშშ-მ 1960-იან წლებში დაიწყო სამხედრო მოქმედებები ლაოსში, კამბოჯასა და ვიეტნამში.

აშშ-ის იმ პერიოდის აზიურ პოლიტიკაში, ჩვენ რომ ვიხილავთ, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მდგრადი მეთოდი და საგარეო-პოლიტიკური ინსტრუმენტი.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის მისი შეიარაღებული ძალების ფიზიკური ყოფნა მყარი კრიზისების ან მათ ახლო რაიონებში. ასე, აშშ-მ უკვე 1946 წელს ხმელთაშუა ზღვაში მუდმივი ბაზირებისთვის შეიყვანა მეექვსე ფლოტი 21 ათასი სამხედრო მოსამსახურით ბორტზე. ამ ფლოტის ამოცანები შემდეგი იყო:

- იყოს ნატოს სამხრეთი ფლანგის დამრტყმელი ძალა;

- ჰყავდეს ბირთვული რაკეტებით შეიარაღებული წყალქვეშა და წყალზედა ხომალდები საბჭოთა კავშირის უშუალო სიახლოვეში;

- უზრუნველყოს აშშ-ის ინტერესების დაცვა ხმელთაშუ-აზღვისპირეთში;

- ზეწოლა მოახდინოს ამ აუზის ქვეყნების მთავრობებზე, ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებზე.

სამყაროს მეორე ბოლოში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, აშშ-ი აქტიურად იყენებდა სამხედრო-საზღვაო ძალებს, აგრეთვე განალაგებდა სამხედრო ბაზებს (საზღვაოს და საჰაეროს), გზავნიდა იქ სამხედრო მრჩევლების ჯგუფებს. ეს ინსტრუმენტი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა იაპონიაში.

მეორე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა სახელმწიფო გადატრიალებების ორგანიზაცია და განხორციელება. კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მოჰამედ მოსადეყის მთავრობის ჩამოგდება ირანში 1953 წელს. აშშ-მ აქტიური შეღწევა ამ ქვეყანაში დაიწყო ჯერ კიდევ 1940-იანი წლების ბოლოს. 1950 წელს ხელი მოეწერა ამერიკის გავლენის ზრდის თვალსაზრისით

ძალზე მნიშვნელოვან შეთანხმებას აშშ-ს და ირანს შორის, რომელიც ითვალისწინებდა იარაღის და საბრძოლო მასალის ახალ მიწოდებებს თეირანისთვის, ირანში მყოფი ამერიკული მისიის ორჯერ გაზრდას, ირანის რესურსების გამოყენებას აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში. იმ დროისთვის ამერიკელი სამხედრო მრჩევლები უკვე მუშაობდნენ და მათ კონტროლქვეშ ჰყავდათ ირანის შეიარაღე-ბული ძალები, პოლიცია და ჟანდარმერია. ირანის არმიაში - გენერალურ შტაბში, ჯარებში, სხვადასხვა შტაბსა და ქვედა-ნაყოფში - 80 ამერიკელი სპეციალისტი მსახურობდა, მთელი ჯგუფი, რომელსაც გენერალი ევანსი ხელმძღვანელობდა. ამე-რიკელი სამხედრო მოსამსახურეები აკონტროლებდნენ მშენე-ბლობას თუ რეკონსტრუქციას - 20 აეროდრომისა, ამასთან, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა (შაჰპურში, ბუშირში, ბენდერ-აბასში) და სტრატეგიული მნიშვნელობის შარაგზებისა. 1951 წლის ოქტომბერში თეირანმა და ვაშინგტონმა ხელი მოაწე- რეს შეთანხმებას ირანზე „ტრუმენის პროგრამის 4-ე პუნქტის“ გავრცელების შესახებ. შეერთებული შტატები ირანს უწევდნენ ტექნიკურ დახმარებას სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროში. 1951 წლის შეთანხმების უშუალო შესრულებით დაკავებული იყო სპეციალური მისია, რომლის შემადგენლობაში 120-ზე მეტი ადამიანი იყო. აშშ-ის ამ მისიამ თავის განყოფილებები დააფუძნა თებრიზში, რეშტში, მეშხედში, ისპაჰანში, ქერმანში, ქერმანშაჰში.

და მაინც, ბრიტანეთის გავლენა ირანში ჯერ კიდევ საკმაოდ სერიოზული იყო. უპირველეს ყოვლისა, ის ეყრდნობოდა ინგლის-ირანის სანავთობო კომპანიის (აინკ-ს) საქმიანობას. ეს თავისებური „სახელმწიფო სახელმწიფოში“ ნავთობის მოპოვების შედეგად ღებულობდა შემოსავალს 7-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე ირანი. აინკას ირანში თავისი აეროდრომები, რადიოსადგურები, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტის უზარმაზარი პარკი, სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულება ჰქონდა. გენერალი ალი რაზმარა, რომელიც 1950 წლის ივნისში დაინიშნა ირანის პრემიერ-მინისტრად, იყო დიდ ბრიტანეთთან და აშშ-სთან ურთიერთობების განვითარების მომხრე, მაგრამ მაინც უფრო პირველისკენ იხრებოდა. კერძოდ, მხარს უჭერდა იმას, რომ ირანის პარლამენტს მოეხდინა რატიფიკაცია აინკასთან ე. წ. „დამატებითი“ შეთანხმებისა, რომელიც ძალზე წამგებიანი იყო ირანისთვის. გენერლის შეხედულებათა ევოლუციაზე გავლენა მოახდინა იმ წარუმატებლობამ, რომელიც მან განიცადა მოლაპარაკებებში ამერიკული სესხის მიღების შესახებ. რაზმარა თავის პოლიტიკაში სულ უფრო სცილდებოდა ამერიკულ ხაზს. მან აკრძალა ირანში „ამერიკის ხმის“ ანტისაბჭოთა გადაცემების ტრანსლაცია. ირანის მთავრობამ გააუქმა შეთანხმება ამერიკულ საკონსულტაციო ფირმა „ოვერსის კონსალტანტს ინკორპორეიტედ“-თან. ამერიკელ მრჩევლებს ეკონომიკის დარგში შესთავაზეს ქვეყნის დატოვება. აშშ-დან გამოიწვიეს ირანელი ოფიცრები, რომლებიც სწავლობდნენ აშშ-ის შეიარაღებული ძალების საქმიანობას. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრმა ა. რაზმარამ ხელი მოაწერა სსრკ-ირანის შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განახლების შესახებ. ყველა ეს ნაბიჯი, რა თქმა უნდა, აღიზიანებდა ჰ. ტრუმენის ადმინისტრაციას და ხელს უშლიდა ამერიკის ნავთობკომპანიებს განემტკიცებინათ თავისი გავლენა ირანსა და მთლიანად, სპარსეთის ყურეში.

1951 წლის 7 მარტს გენერალი ა. რაზმარა მოკლეს. გაჩაღებული პოლიტიკური ბრძოლის, ირანის ნავთობის ნაციონალიზაციისთვის მოძრაობის ზრდის პირობებში პრემიერ-მინისტრად დაინიშნა მ. მოსადეყი. ირანის მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა აინკ-ას ნაციონალიზაცია.

ირანის ბურჟუაზიული პარტიის - ეროვნული ფრონტის ლიდერი მ. მოსადეყი ატარებდა საკმაოდ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, ცდილობდა რა მანევრირებას ინგლისის, აშშ-ის და სსრკ-ის ინტერესებს შორის შუა აღმოსავლეთში. აშშ-ს ადმინისტრაციას შეეძლო კიდეც აეტანა ინგლის-ირანის ნავთობკომპანიის ნაციონალიზაცია, მომხდარი 1951 წელს, რამეთუ ეს ნაბიჯი ნიშნავდა რეგიონში მისი კონკურენტის დასუსტებას. მაგრამ 1953 წელს ცხადი გახდა, რომ მ. მოსადეყი უარს ამბობს რომელიმე ანტისაბჭოთა სამხედრო ბლოკში მონაწილეობაზე. აშშ-ის და ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა მოამზადეს ეროვნული ფრონტის მთავრობის ჩამოგდების ოპერაცია. მას ხელმძღვანელობდა ცსს-ის რეზიდენტი თეირანში კიმ (კერმიტ) რუზველტი. ამერიკელ მზვერავთა (სპეციალისტებისა ირანის საკითხებში) ჯგუფმა მოამზადა მინისტრების, სამთავრობო დაწესებულებების ხელში ჩაგდების გეგმა, ის აკომპლექტებდა შეთქმულების მონაწილე ირანის ოფიცერთა ჯგუფებს. ოპერაციაში, რომლის კოდური სახელწოდება „აიაქსი“ იყო, აქტიურად მონაწილეობდა ნორმან შვარცკოპფ-უფროსი, მამა გენერალ ნ. შვარცკოპფისა, რომელიც სარდლობდა აშშ-ის ჯარებს სპარსეთის ყურის ზონაში 1990-1991 წლების კრიზისის დროს. მ. მოსადეყი დააპატიმრეს და ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. ირანში ხელისუფლების სათავეში გენერალი თ. ზაჰედი მოვიდა. ქვეყნის ნავთობის დარგი აღმოჩნდა ამერიკული და ინგლისური კომპანიების კონსორციუმის კონტროლქვეშ. ირანის საგარეო პოლიტიკამ სწრაფად მიიღო ანტისაბჭოთა მოხატულობა.

აზიური პოლიტიკის მეთოდებს შორის უნდა დასახელდეს ფინანსური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გაწევა.

ამერიკული დახმარების მნიშვნელოვანი მიმღები იყო თურქეთი და საბერძნეთი. აშშ-ის ადმინისტრაციამ, რომელიც იყენებდა თეზისს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ „საბჭოთა მუქარის“ არსებობის შესახებ, მიიღო რეგიონული პოლიტიკის ახალი კონცეფცია („ტრუმენის დოქტრინის“ სახ-ელწოდებით ცნობილი). ჰ. ტრუმენის პრეზიდენტობისას, 1947 წლის 22 მაისს ხელმოწერილი კანონის მიხედვით, თურქეთი და საბერძნეთი კომუნისტურ ელემენტებთან ბრძოლის და თავისი ეკონომიკური მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის იწყებენ აშშ-სგან მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების მიღებას. 1947-1950 წლებში აშშ-ის მთავრობამ ორ ქვეყანას გამოუყო 2 მილიარდ დოლარამდე, ეს თანხა, უპირატესად, სამხედრო მიზნებზე მიდიოდა. ხაზი უნდა გაესვას, რომ თურქეთი აშშ-ის ეკონომიკურ დახმარებას არამარტო ტრუმენის დოქტრინის ჩარჩოებში იღებდა. დახმარება ერთბაშად რამდენიმე არხით ხორციელდებოდა. პირველი, ეს იყო სახელმწიფო სესხები, კრედიტები და სუბსიდიები, რომლებიც მიდიოდა ქვეყნის ეკონომიკის მილიტარიზაციაზე, სამრეწველო საქონლის, პირველ რიგში, შეიარაღების და სამხედრო მასალების მოწოდებაზე. ამ არხით მოდიოდა სახსრები, მიღებული ტრუმენის დოქტრინის და მარშალის გეგმის ფარგლებში. ამ დოქტრინის ჩარჩოებში ხელი მოეწერა აშშ-თურქეთის 1947 წლის შეთანხმებას ანკარისთვის დახმარების გაწევის შესახებ. დახმარების ფულადი სახსრების ადმინისტრატორი გახდა აშშ-ის ელჩი ანკარაში. შეერთებულმა შტატებმა მიიღო შესაძლებლობა შეექმნა თურქეთში თავისი სამხედრო ბაზები. ქვეყანაში მუშაობდნენ ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების ჯგუფები. მარშალის გეგმის ჩარჩოებში, 1948 წელს ხელი მოეწერა აშშ-თურქეთის შეთანხმებას ეკონომიკური თანა-

მშრომლობის შესახებ. მოცემული შეთანხმება ითვალისწინებდა ეკონომიკური მხარდაჭერის ოთხ ფორმას:

1. „პირდაპირი დახმარება“, ანუ, სესხები, კრედიტები, რომლებიც თურქეთს უნდა გადაეხადა 35 წლის განმავლობაში წლიური 2,5 პროცენტის გათვლით.

2. „არაპირდაპირი დახმარება“. სახსრებს ბიუჯეტის ამ პაკეტიდან თურქეთი ხარჯავდა ამერიკაში მანქანებისა და მოწყობილობის შეძენაზე.

3. „ტექნიკური დახმარება“ ითვალისწინებდა ამერიკელი სპეციალისტებისა და მრჩევლების საქმიანობას თურქეთის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

4. „აუნაზღაურებელი დახმარება“. სახსრები ხარჯების ამ სტატიიდან მიდიოდა აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეძენაზე, თურქეთში არსებული ამერიკული მისიების, სამხედრო ბაზების და სხვა დაწესებულებების დანახარჯების დაფარვაზე.

შეერთებული შტატები არსებით დახმარებას უწევდა ისრაელის სახელმწიფოს. ჰ. ტრუმენის ადმინისტრაციის პერიოდში ფინანსური სახსრები ამ ქვეყანას მიეწოდებოდა მარშალის გეგმით, პრეზიდენტ ტრუმენის პროგრამის მე-4 პუნქტით („ტექნიკური“ დახმარება) და „ურთიერთ უსაფრთხოების და-ხმარების პროექტით“. აშშ-ის მიერ ისრაელისთვის 1950-იან წლებში გაწეული დახმარების ყველა სახელმწიფო პროგრამა კონტროლდებოდა ამერიკის ოპერაციების მისიით (იუსომ-ი), რომლის შტაბბინა თელავივში მდებარეობდა. ეს დაწესებულება უშუალოდ ანაწილებდა აშშ-ის პირდაპირ სახელმწიფო სუბსიდიებს და სესხებს, აგრეთვე ახორციელებდა ტექ-ნოლოგიური ხასიათის დაკვეთების განაწილებას ნოუ-ჰაუს ექსპორტის და აშშ-ის და ისრაელისთვის ყველაზე პერსპექტიული საქონლის წარ-

მოებაზე ლიცენზიების გაცვლის ჩარჩოებში. იმ ფულადი სახსრების საერთო ჯამმა, რომელთა განაწილება ისრაელში მთლიანად იყო ამ მისიის კონტროლქვეშ, 1952-1956 წლებში შეადგინა 276,2 მლნ დოლარი.

და, ბოლოს, ამერიკის პოლიტიკის კიდევ ერთი ეფექტური ინსტრუმენტი გახდა შუამავლობის დიპლომატია.

1953 წლიდან დაწყებული, აშშ-მ წამოიწყო ინიციატივათა მთელი სერია, მიმართული არაბეთის ქვეყნებსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის დავის მოწესრიგებაზე. დაშოშმინების ბერკეტად, აშშ-ი ეფექტურად იყენებდა პალესტინელ ლტოლვილთათვის დახმარების გაწევის და სამუშაოების ორგანიზაციის გაეროს ახლო აღმოსავლეთის სააგენტოს (ბაპორ-ს), შექმნილს 1949 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად. ემზადებოდა რა აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის დახურულ სხდომაზე გამოსვლისთვის 1955 წელს, სახელმწიფო მდივნის მოადგილე გ. ბიროუდმა საჭიროდ ჩათვალა, განსაკუთრებით გაესვა ხაზი დასახელებული ორგანიზაციის სარეაბილიტაციო პროგრამების მნიშვნელობისთვის ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის მხარდასაჭერად ახლო აღმოსავლეთში. მისი აზრით, აშშ-ს მაშინ უნდა გაეკეთებინა ყველაფერი, მასზე დამოკიდებული, რათა სათანადო ფინასურ-ეკონომიკურ დონეზე დაეჭირა მხარი ბაპორის პროგრამებისთვის, რადგან სწორედ ისინი ქმნიან „ვნებათა ღელვის“ დაცხრობის პირობებს სამშობლოდაკარგული პალესტინელების თავყრილობის ადგილებში.

შუამავლობის და რეგიონში დაძაბულობის საშიში კერის ლიკვიდაციის კიდევ ერთი ინსტრუმენტი უნდა გამხდარიყო ე. ჯონსტონის გეგმა, რომელიც შეეხებოდა არაბებსა და ისრაელის მცხოვრებლებს შორის არსებულ დავებს მდინარე იორდანის

რესურსების გამოყენების საკითხზე. გეგმა ასევე ითვალისწინებდა ხელშეწყობას იმისთვის, რომ ეკონომიკურად განვითარებულიყო იორდანის დაბლობი და ნეგევის ოლქის (ისრაელი) უკაცრიელი ტერიტორიები და მიმდებარე მიწები, სადაც ცხოვრობდა პალესტინელ ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ე. ჯონსტონი, რომელიც ნამყოფი იყო ახლო აღმოსავლეთში, თავის საიდუმლო მოხსენებაში პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის სახელზე (1953, 17 ნოემბერი) დაჯინებით იძლეოდა რეკომენდაციას "დაუყონებლივ ჩამოეყალიბებინათ მტკიცე პოზიცია არაბ-ისრაელის საზღვრების საკითხთან დაკავშირებით". აუცილებელია, აღინიშნოს, რომ აღნიშნული გეგმის წარმატებაზე იყო დამოკიდებული აშშ-ბრიტანეთის ერთობლივი საიდუმლო დიპლომატიური ოპერაციის „ალფას" განხორციელება. ეს პროგრამა მიმართული იყო დიდი სახელმწიფოების მეშვეობით ეგვიპტესა და ისრაელს შორის პრობლემათა ფართო სპექტრზე საიდუმლო მოლაპარაკებების უზრუნველყოფაზე არაბ-ისრაელის კონფლიქტის კონტექს- ტში. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი ასევე სთავაზობდა კონფლიქტში მყოფ ქვეყნებს, რომ ამერიკა იქნებოდა არაბული ქვეყნების და ისრაელის სახელმწიფო საზღვრების უცვლელობის უზრუნველყოფის გარანტი.

შუამავლობის მისია შეიცვალა 1956 წლის სუეცის კრიზი- სის პერიოდში. შეერთებული შტატები მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა ისრაელის მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ ომის მზადებას. სწორედ, 1956 წელს დ. ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ გააუქმა ემბარგო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის იარაღის მიწოდებაზე. აშშ-ი ისრაელს დაეხმარა კრედიტებით, სუბსიდიებით, სესხებით 69 მლნ დოლარის ოდ-ენობით. ოფიციალურ დონეზე ადმინისტრაციის წარმომად-გენლები აკრიტიკებდნენ იმ ქვეყ-

ნების პოლიტიკას, რომლებმაც თავდასხმა მოაწყვეს ეგვიპტეზე. შეერთებული შტატები, რომელიც უშუალო სამხედრო მოქმედებებისგან განზე დარჩა, რადგან ომი დაიწყო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ისრაელის საგარეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულე-ბისთვის, აქტიურად შუამდგომლობდა დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებიდან ისრაელის და ინგლისის ჯარების ევაკუაციის საქმეში. აშშ-ის დიპლომატიამ შეძლო დაერწმუნებინა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენ-გურიონი იმაში, რომ მას უნდა გამოეყვანა თავისი ჯარები სინას ნახევარკუნძულსა და ღაზას სექტორიდან, რადგან ძლიერი ეგვიპტის მოშორება ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ არენიდან არ შედიოდა იმათ გეგმებში, ვინც დაკავებული იყო პოლიტიკის შემუშავებით პენტაგონში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცსს-ში.

დამახასიათებელია, რომ 1967 წლის ივნისში, სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ, შეერთებული შტატები მიქცა განსხვავებულად, ვიდრე 1956 წლის სუეცის კრიზისის დროს. ლ. ჯონსონის ადმინისტრაციამ არ დაიწყო გავლენის მოხდენა ისრაელზე, რათა მას დაუყონებლივ გაეყვანა თავისი ჯარები ოკუპირებულ ტერიტორიებიდან. კონფლიქტში მყოფ მხარეებს შესთავაზეს „ლ. ჯონსონის ხუთი პრინციპი", რომლებიც შეიტანეს გაეროს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის № 242 რეზოლუციის ტექსტში. ეს პრინციპები შეიცავდა: „1. პალესტინელთა უფლების აღიარებას ეროვნულ ცხოვრებაზე; 2. სამართლიანობას ლტოლვილთა მიმართ; 3. ნაოსნობის თავისუფლებას სრუტეებში; 4. გამაკოტრებელი და დამანგრეველი გამალებული შეიარაღების შეზღუდვას; 5. პოლიტიკურ და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა სახელმწიფოსთვის". 1968-1970 წლებში აშშ-ი კვლავ მიუბრუნდა შუამავლობას. წამოვიდა სახელმწიფო მდივნების - დ. რასკის, უ. როჯერსის სამშვიდობო

ინიციატივები, პრეზიდენტის სპე-ციალური წარმომადგენლის, უ. სკრენტონის წინადადებები. ამერიკელი დიპლომატები ასევე მონაწილეობდნენ ოთხი სახელმწიფოს (სსრკ-ი, დიდი ბრიტანეთი, აშშ-ი, საფრანგეთი) მოლაპარაკებებში ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე.

დიდი ბრიტანეთის ცდები, შეენარჩუნებინა თავისი გავლენა მასზე დამოკიდებულ ქვეყნებში და უზრუნველეყო მისაწვდომობა ნედლეულის წყაროებთან. ბრიტანეთის იმპერიის სტრატეგიული ინტერესები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენიმე პარამეტრით განისაზღვრებოდა.

პირველი, კომუნიკაციების უსაფრთხოებით:

ა) საზღვაო გზა მეტროპოლიიდან კოლონიებამდე აღმოსავლეთში გადიოდა ხმელთაშუა ზღვაზე, სუეცის არხზე, წითელ ზღვასა და ინდოეთის ოკეანეზე.

ბ) საავიაციო საჰაერო გზა აზიაში გადიოდა ეგვიპტის, პალესტინის, ტრანსიორდანიის, ერაყის და სპარსეთის (ან არაბეთის სანაპიროს) გავლით.

გ) აფრიკული გზები გადიოდა კენიის გავლით სამხრეთ აფრიკაში და დასავლეთში, ლაგოსისკენ. ამასთან, ორივე „განშტოების“ სასტარტო პუნქტი იყო ეგვიპტე.

მეორე, ნავთობის მოწოდების უსაფრთხოებით.

ნავთობის წყაროები მდებარეობდა ერაყსა და სამხრეთ სპარსეთში, ნავთობი კი გადაჰქონდათ ან ტანკერებით წითელი ზღვისა და სუეცის არხის გავლით, ან ნავთობსადენით ხაიფაში.

აღნიშნული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ლონდონის აღმოსავლური პოლიტიკა იგეგმებოდა შემდეგი მიმართულებებით: ინგლისი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა მიეღწია სარგებლისთვის გაეროში მონაწილეობის მეშვეობით,

იყენებდა რა თავის,, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის, მდგომარეობას. აუცილებელი იყო ასევე, თავისი ურთიერთობების მოწესრიგება სსრკ-ან და თურქეთთან, გავლენის მოხდენა ხელისუფლების ახალი რეჟიმების ფორმირებაზე სირიაში, პალესტინასა და ტრანსიორდანიაში. პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს იარაღად რჩებოდა უცხოურ ტერიტორიაზე არსებული თავისი ბაზების გამოყენება. მხოლოდ ახლო აღ-მოსავლეთში ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალები გეგმავდნენ 21 საჰაერო ბაზის შექმნას, სუდანისა და ადენის ჩათვლით. ბუნებრივია, დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები ერაყთან, ირანთან, საუდის არაბეთთან, ეგვიპტესა და იემენთან. ინგ-ლისელთა სამხედრო ყოფნის უმსხვილეს ცენტრებად რჩე-ბოდნენ: ალექსანდრია, სუეცის არხის ზონა, ჰაბბანია და ბასრა ერაყში, ხაიფა, სამხრეთი ირანი, ჰონკონგი.

1950-იან წლებში ინგლისმა ახლო აღმოსავლეთში, ყვე-ლაზე მცირე, ორი სერიოზული მარცხი განიცადა. 1952 წელს ეგვიპტეში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ანტიმონარქისტული ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“. მეფე ფარუკი, რომელსაც სამოკავშირეო ურთიერთობები ჰქონდა ინგლისთან, ჩამოაგდეს. აშშ-მ და სსრკ-მა იჩქარეს მეგობრული ურთიერთობების დამყარება ახალ რეჟიმთან, რომლის ხელ-მძღვანელებს ჯერ კიდევ არ გაერკვიათ ნათლად თავისი მომავალი საგარეო პოლიტიკის ვექტორები. გარკვეული ხნის გამავლობაში „თავისუფალი ოფიცრების“ რიგებში მიდიოდა დაძაბული ბრძოლა პირველობისთვის. საბოლოო შედეგად გაიმარჯვა გამალ აბდელ ნასერის ჯგუფმა

1953-1955 წლებში ნასერი და მისი მომხრეები აქტიურად ავითარებდნენ თანამშრომლობას აშშ-ის მისიებთან და წარმომადგენლებთან. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ვაშინგტონმა გაზ-

არდა პროცენტი კრედიტზე, ეგვიპტეს რომ სჭირდებოდა ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი ასუანის კაშხალის ასაგებად, ამ ქვეყნების ურთიერთობებში გაჩნდა უთანხმოება. ჩანს რომ აშშ-ის წარმომადგენლებმა თავისი სხვა საგარეო-პოლიტიკური მიზნებიც გაიხსენეს. ამავე დროს, საკმაოდ აქტიურნი აღმოჩნდნენ საბჭოთა დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლებიც, რომლებიც ცდილობდა, მჭიდრო კავშირები დაემყარებინათ ეგვიპტურ რეჟიმთან და დაეკავათ აშშ-ის ადგილი სუეცის არხთან. მოხდა კურსის შეცვლა. გ. ა. ნასერმა და-იწყო მჭიდრო კავშირების დამყარება საბჭოთა კავშირთან.

1956 წლის 26 ივლისს ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა „სუეცის საზღვაო არხის საერთაშორისო კომპანიის“ ნაციონალიზაციის შესახებ. ამ ნაბიჯის შედეგად სერიოზულად დაზარალდნენ ინგლისელი და ფრანგი მეანაბრეები, ნაციონალიზებული კომპანიის აქციონერები. დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო კამპანია, მიმართული ნასერის რეჟიმის დისკრედიტაციაზე საერთაშორისო თანამეგობრობაში. ამ დროისთვის გამწვავდა ეგვიპტე-ისრაელის ურთიერთობები. პალესტინელი პარტიზანები, ღაზაში მდებარე თავისი ბაზებიდან აწყობდნენ რეგულარულ დივერსიულ რეიდებს ებრაელთა სა-ხელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან მსხვერპლს იწვევდა. ისრაელის სამხედრო სპეციალისტები თავის მთავრობისგან მოითხოვდნენ მკაცრი ზომების გატარებას და ღაზის სექტორის და სინას ნახევარკუნძულის დაკავებას „სტრატეგიული სიღრმის“ შესაქმნელად. 1956 წელს დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთთან და ისრაელთან კავშირში მოაწყო აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, მაგრამ გ. ა. ნასერის რეჟიმმა გაუძლო. კონფლიქტში ჩაერივნენ სსრ კავშირი და აშშ-ი. მოსკოვი სამ აგრესორ ქვეყანას დაემუქრა, რომ მიაყენებდა სამხედრო დარტყმას

სარაკეტო იარაღის გამოყენებით, ვაშინგტონმა კი დიპლომატიური არხებით ზეწოლა მოახდინა მათზე, რადგან არ იყო დაინტერესებული ვითარების დესტაბილიზაციით ნავთობით მდიდარ არაბულ აღმოსავლეთში. ამრიგად, ინგლისმა დაკარგა თავისი პოზიციები ალექსანდრიასა და სუეცის არხის ზონაში.

მეორე მარცხი კი ირანში მოხდა. 1951 წელს თეირანმა მოახდინა ინგლის-ირანის ნავთობკომპანიის (აინკ-ას) საწარმოების ნაციონალიზაცია. მ. მოსადეყის მთავრობა ატარებდა ცალსახად ბრიტანეთის საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკას. 1953 წელს მ. მოსადეყი ჩამოაგდეს, მაგრამ ირანში დომინირება აშშ-მ დაიწყო. ამრიგად, ლონდონმა დაკარგა შეღავათები ხუზისტანში ნავთობის მოპოვებასა და ირანის საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ბაზების გამოყენებაზე.

გაერთიანებული სამეფოს სერიოზულ დანაკარგებს შეიძლება მიეკუთვნოს 1948 წელს პალესტინაში ისრაელის სახელმწიფოს შექმნაც, რომელმაც თავიდანვე დაიკავა დასავლეთ და აღმოსავლეთ ბლოკებთან მიუმხრობლობის პოზიცია და, იმავდროულად, აქტიურად თანამშრომლობდა ვაშინგტონთან, და არა ლონდონთან. პალესტინის სამანდატო მმართველობის პერიოდში ხაიფა იყო ხმელთაშუა ზღვაზე ბრიტანული ხომალდების მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა. ერაყში ადგილი ჰქონდა 1958 და 1963 წლების სახელმწიფო გადატრიალებებს, რომლებმაც ინგლისს დააკარგვინეს მოხერხებულად განლაგებული სამხედრო ბაზები ჰაბანიასა და ბასრაში. ჰაშიმიტების მონარქიული რეჟიმი, ტრადიციულად, მეგობრულად განწყობილი ბრიტანეთისადმი, ჩამოაგდეს. მეფე ფეისალ ალ ჰაშიმი და ნური საიდი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დიდი ხნის განმავლობაში და ლონდონის მეგობარი, სიკვდილით დასაჯეს. სამხედრო ხუნტებმა, რომლებიც ერთმან-ეთს ცვლიდნენ, ანტი-

საბჭოთა კურსი შეცვალეს ჯერ მიუმხრობლობის პოლიტიკით, შემდეგ კი საბჭოთა კავშირთან სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით. ამგვარად, ინგლისურმა კომპანიებმა დაკარგეს სხვადასხვა შეღავათი იმ დარგებში, რომლებიც დაკავშირებული იყო ნავთობის და სხვა მნიშვნელოვანი რესურსების მოპოვება-დამუშავებასთან.

დიდი ბრიტნანეთი პრაქტიკულად ყველა პარამეტრის მიხედვით - საჯარისო ნაწილების განლაგებით, ეკონომიკური სიძლიერით, ნედლეულის წყაროთა მისაწვდომობით, მასზე დამოკიდებული მთავრობების არსებობით - თავის წინანდელ პოზიციებს უთმობდა აშშ-სა და სსრ კავშირს.

საბჭოთა გავლენის გაფართოება აზიაში. სსრკ-ის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვითარრდებოდა სხვადასხვა ძირითადი ფაქტორის ზეგავლენით:

1. საბჭოთა არმიას ეკავა ტერიტორია ბერლინიდან მანჯურიამდე, ცენტრალურ ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთამდე.

2. ი. ბ. სტალინი და მისი გარემოცვა იმედოვნებდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში აღმავლობის გზით განვითარდებოდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა და ხელისუფლებაში მოვიდოდნენ მოსკოვზე ორიენტირებული ძალები.

3. მტრული ანტისაბჭოთა ბლოკების არსებობა სამხრეთ საზღვრებზე სტიმულს აძლევდა საბჭოთა დაზვერვის აქტიურ საქმიანობას აღმოსავლეთში.

საბჭოთა არმიის მიერ მანჯურიის სამხედრო ოკუპაციის ფაქტორი ხელსაყრელი აღმოჩნდა ჩინელი კომუნისტებისთვის. მანჯურიაში შეიქმნა მსხვილი სამრეწველო რაიონი. იქ ვითარდებოდა სამხედრო ინდუსტრიის საწარმოები, შემოდიოდა საბჭოთა სამხედრო დახმარება, იქ, შემდგომში სახალხო-განმანთავისუფლებელ არმიის ნაწილებში მუშაობისთვის ჩამოდიოდნენ საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები, იქ მზადდებოდა მომავალი ჩინელი პოლიტიკოსების და სამხედროების, დიპლომატების კადრები. საბჭოთა მხარდაჭერის შედეგად, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შეძლო შეექმნა ძლიერი დაჯგუფება ჯარებისა, შეიარაღებული საბჭოთა და იაპონელთაგან ნადავლად მიღებული იარაღით. 1946-1949 წლების სამოქალაქო ომი დამთავრდა კომუნისტური ძალების გამარჯვებით. 1949 წლის აპრილში გომინდანის ჯარებს ჩინეთის სახალხო-განმანთავისუფლებელმა არმიამ გადამწყვეტი დამარცხება მიაყენა. ჩან კაიშის გომინდანის რეჟიმმა, რომელიც ამერიკულ დახმარებას ეყრდნობოდა, შეწყვიტა თავისი არსებობა. გომინდანის ჯარების ნარჩენები გაიქცა კუნძულ ტაივანზე, სადაც შექმნეს საკუთარი ანტიკომუნისტური სახელმწიფო. 1949 წლის 1 ოქტომბერს პეკინში გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც საბჭოთა კავშირმა უკვე მეო-რე დღეს ოფიციალურად აღიარა.

საბჭოთა გავლენა შორეულ აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად განმტკიცდა კორეის ორ ნაწილად: სამხრეთსა და ჩრდილოეთზე გაყოფის შემდეგაც. საბჭოთა დიპლომატები და მზვერავები აქტიურად მუშაობდნენ ლაოსში, ვიეტნამსა და კამბოჯაში. ასე ფორმირდებოდა სახელმწიფოთა სოციალისტური თანამეგობრობა ცენტრალურ ევროპიდან ინდოჩინეთამდე. მაგრამ, შევნიშნავთ, რომ 1960-იან წლებში ნ. ს. ხრუშჩოვის და ლ. ი. ბრეჟნევის დროს, გამწვავდა საბჭოთა კავშირ - ჩინეთის ურთიერთობები. საერთაშორისო ურთიერთობებში ჩინეთი გადაიქცა ეგრეთ წოდებულ „მესამე ფაქტორად“, „მესამე ძალად“, რომელიც იდგა კაპიტალიზმსა და საბჭოურ სოციალიზმს შორის.

ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარება თავდაპირველად, არ ყალიბდებოდა მოსკოვის სასარგებლოდ. 1956 წელს, დიდი ბრი-

ტანეთის ეგიდით, სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანდნენ თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ერაყი. მონარქიულ რეჟიმებს არაბულ ქვეყნებში ეშინოდათ სოციალიზმის და ისინი ბრიტანეთთან და აშშ-სთან თანამშრომლობდნენ.

ასეთ პირობებში, სტალინურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა პალესტინაში, 1948 წელს ებრაელთა სახელმწიფოს შექმნისთვის. ისრაელის მმართველი პარტია მაპაი (ისრაელის მიწის მუშათა პარტია) სოციალ-დემოკრატიული იყო და მოსკოვი თვლიდა, რომ პროინგლისური არაბული რეჟიმებით გარშემორტყმული ისრაელი გახდებოდა მისი მოკავშირე. გათვლა ტაქტიკური თვალსაზრისით სწორი აღმოჩნდა - ისრაელი თავს იკავებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკისგან, თუნდაც 1950-იან წლების შუა ხანებამდე. მაგრამ სტრატეგიულ ასპექტში გათვლამ არ გაამართლა. პოლიტიკურად გაძლიერებული ისრაელი იქცა ნატოს ქვეყნების მოკავშირედ.

მოსკოვის მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ქურთების საკითხის გამოყენება. ქურთები დაქუცმაცებული ხალხია, ისინი დღემდე ცხოვრობენ ერაყში, ირანსა და თურქეთში, ნაწილობრივ, სირიაში, აგრეთვე გაბნეულნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. 1947 წელს შეიარაღებულ ქურთთა რაზმებმა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერის, მოლა მუსტაფა ბარზანის მეთაურობით, გადაკვეთეს სსრკ-ირანის საზღვარი და აღმოჩნდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, საზღვრის ეს გადალახვა შეთანხმებული იყო საბჭოთა მხარესთან. სსრკ-ის სპეცსამსახურების, სამხედრო და დიპლომატიური უწყებების წარმომადგენლებმა მოლაპარაკებები ჩაატარეს მ. ბარზანისთან. შედეგად, ი. ბ. სტალინი დათანხმდა მ. ბარზანის ოფიცრების სწავლებაზე საბჭოთა სამხედრო სასწავ-

ლებლებსა და აკადემიაში. მუშავდებოდა პროექტი უზბეკეთში ქურთებისთვის ავტონომიური რაიონის გამოყოფის შესახებ.

მოსკოვში თვლიდნენ, რომ თავშესაფრის მიცემის საპასუხოდ, მ. ბარზანი ხელს შეუწყობდა ერაყში ინგლისის მომხრე მეფე ფეისალის რეჟიმის ჩამოგდებაში. საბჭოთა დაზვერვა გეგმავდა, ქურთების დახმარებით მწყობრიდან გამოეყვანა მოსულის (ერაყი) ნავთობსარეწები, რომლებიც ნავთობ-პროდუქტებით უზრუნველყოფდნენ ინგლის-აშშ-ის სამხედრო დაჯგუფებას ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში. ამ მიზნით, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ მოამზადა პროექტი ქურთებისგან შემდგარი სპეციალური ბრიგადის ფორმირების შესახებ, რომელსაც უნდა განეხორციელებინა დივერსიული ოპერაციები ახლო აღმოსავლეთში. საბჭოთა მზვერავი პ. სუდოპლატოვი თავის მემუარებში მიუთითებს, რომ ამ ბრიგადის სავარაუდო რიცხოვნობა დაახლოებით 1,5 ათასი ადამიანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ უცნობი მიზეზების გამო „ქურთული პროექტი“ არ გა-ნხორციელებულა.

1955 წლიდან დაიწყო სსრკ-ის აქტიური თანამშრომლობა ეგვიპტესთან, რადგან ამ სახელმწიფოს ხელმძღვანელმა გამალ აბდელ ნასერმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ამერიკულ დახმარებაზე. სსრკ-ეგვიპტის თანამშრომლობამ თანდათან მოიცვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სფეროები. ეს თანდათანობა დაკავშირებული იყო თვით გამალ აბდელ ნასერის შეხედულებათა ევოლუციასთან, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ევოლუციასთან. უეჭველია, რომ ნასერი იყო გამორჩეული და წინააღმდეგობრივი პიროვნება, იშვიათი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. მისი პოლიტიკის წინააღმდეგობრიობა იმაში გამოიხატა, რომ ერთი მხრივ, ეგვიპტელებს და არაბულ სამყაროს ის მოუწოდებდა იმპერიალიზმისა და კოლო-

ნიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ, მეორე მხრივ კი, იღებდა გადაწყვეტილებებს კომუნისტების დევნის შესახებ თავის ქვეყანაში, სსრ კავშირთან რომ თანამშრომლობდა. თავისი სიცოცხლის დასასრულს, 1960-ანი წლების ბოლოს, ნასერი დარწმუნდა, რომ ეგვიპტისთვის აუცილებელია არაკაპიტალისტური საზოგადოების განვითარება.

სსრკ-ეგვიპტის სამხედრო თანამშრომლობის დასაწყისად ითვლება 1955 წლის შემოდგომა, როდესაც ხელი მოეწერა შეთანხმებებს ეგვიპტისთვის საბჭოთა იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის მიწოდების შესახებ. შეთანხმებათა ამ კომპლექსს ისრაელში უწოდეს „ჩეხური გარიგება“. შემდეგ იყო ახალი შეთანხმებები. 1956 წლის სუეცის კრიზისის შემდეგ, თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში იწყებს დაჩქარებული ტემპებით განვითარებას. 1957-1960 წლებში მოხდა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების სრული რეორგანიზაცია, რომლის დროს გაითვალისწინეს 1956 წლის სამხედრო დამარცხების გამოცდილება. ეგვიპტეში მუშაობდა ჯგუფი საბჭოთა სამხედრო სპეციალისტებისა, რომლებიც პროფესიულ დახმარებას უწევდნენ გენერალური შტაბის სამმართველოებს, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობებსა და შტაბებს, სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებს, აწარმოებდნენ სამხედრო შენაერთების ინსპექტირებას. საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები ეხმარებოდნენ ოპერატიული და საბრძოლო მომზადების დაგეგმვასა და ორგანიზებაში, ეგვიპტელ ოფიცრებს უკითხავდნენ ლექციებს სამხედრო თეორიასა და პრაქტიკაში, მათვე შეიმუშავეს პროექტები წესდებების და სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა, რომლებიც ახდენდნენ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ყოველდღიური ცხოვრების რეგულირებას.

სსრ კავშირ - ეგვიპტის ეკონომიკური თანამშრომლობის უმსხვილესი პროექტი გახდა ასუანის კაშხლის აგება. მაღლივმა კაშხალმა გადაარჩინა ქვეყანა დამღუპველი გვალვების და წყალდიდობებისგან, შექმნა მტკნარი წყლის საიმედო რეზერვები. მშენებლობა 1960 წლის იანვარში დაიწყო და 1964 წელს დასრულდა. 1967 წელს პირველმა აგრეგატმა დაიწყო ელექტროდენის გამომუშავება. შუა და ქვედა ნილოსის დასახლებულმა პუნქტებმა და სხვადასხვა საწარმომ შეძლო ელექტროენერგიის გამოყენება. 1850 საბჭოთა სპეციალისტი, 28 ათასი ეგვიპტელი მუშა და ინჟინერი მონაწილეობდა ასუანის კაშხლის მშენებლობაში.

მოსკოვის გავლენა ეგვიპტიდან შემდგომ გავრცელდა სირიაზე, ლიბანსა და ალჟირზე, განსაკუთრებით, 1960-იან წლებში. საბჭოთა კავშირ-არაბეთის ურთიერთობამ 1970-ანი წლების დასაწყისისთვის შეიძინა თანამშრომლობის ისეთი მყარი ფორმები, როგორებიცაა:

1. პოლიტიკურ-დიპლომატიური კავშირი;

2. საბჭოთა შეიარაღებების მიწოდება და არმიის სწავლა-მომზადება;

3. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა ამ ქვეყნებში.

სსრ კავშირის თანამშრომლობას ეგვიპტესა და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან, რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა. ასე, საბჭოთა პოლიტიკაში მნიშვნელოვანი რჩებოდა გავლენა ფუნქციონერებისა სკკპ ცკ-დან, რომლებიც საჭიროდ თვლიდნენ, განევითარებინათ პარტიულ-პოლიტიკური კავშირები, „გამოეზარდათ“ საზოგადოებრივი განვითარების სოციალისტური მოდელები. პირიქით, „პრაგმატიკოსები“ საბჭოთა სამხედრო, დიპლომატიური და სადაზვერვო უწყებებიდან მო-

ითხოვდნენ სსრკ-ის კონკრეტული გეოპოლიტიკური და საგარეო-პოლიტიკური ინტერესების რეალიზებას ახლო აღმოსავლეთში.

სსრ კავშირის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო-საზღვაო სტრატეგიას. 1963-1964 წლებში ხმელთაშუა ზღვაში გამოჩნდა საბჭოთა სამხედრო ხომალდები. ისინი იქ რეგულარულ საფუძველზე იმყოფებოდნენ. 1968 წლისთვის ხომალდების ქვეჯგუ- ფი გარდაიქმნა ხმელთაშუა ზღვის ესკადრად. ზოგიერთი მაჩვენებლით საბჭოთა ესკადრა ჩამორჩებოდა აშშ-ის მეექვსე ფლოტს. მაგალითად, მის შემადგენლობაში არ იყო ავიამზიიდები, არ იყო დაცვაც სამხედრო-საჰაერო ძალების მხრიდან. პრობლემა იმაშიც იყო, რომ საბჭოთა ესკადრას, ამერიკულისაგან განსხვავებით, არ გააჩნდა ბაზები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და ის იძულებული იყო თან მთელი „აღალი ეზიდა“ - გემები სათბობით, გემები წყლით, სარემონტო სახელოსნოებით, კარჭაპები საბრძოლო მასალით. ყველაფერი ეს ამცირებდა საბჭოთა ესკადრის მანევრირების საშუალებას და ბრძოლისუნარიანობას.

საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდანს არ ცდილობდა, პირდაპირ მოეთხოვა მოლაპარაკებები-სას ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ხელმძღვანელებისგან შეექმნათ ბაზები სსრკ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის. საბჭოთა კავშირი ხომ ყველანაირად ცდილობდა, თავიდან აეცილებინა დასავლური, „იმპერიალისტური“ სცენარი - ბაზების აგება „მესამე სამყაროს“ დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიაზე. მაგრამ ეგვიპტის და სირიის დამარცხებამ 1967 წლის ივნისის ომში ფაქტობრივად შეუფასებელი დახმარება გაუწია სსრ კავშირს. ეგვიპტის ლიდერმა გ. ა. ნასერმა გადაწყვეტილება მიიღო, გამოეყო ალექსანდრია და პორტ-

საიდი საბჭოთა ხომალდებისთვის. ეგვიპტის ამ საპორტო ქალაქებში შეიქმნა საწყობები სათბობისა და სათადარიგო ნაწილებისთვის. ნასერის გადაწყვეტილება არ წარმოადგენდა ქველმოქმედების აქტს: ეგვიპტის ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო იმით, რომ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხმელთაშუა ზღვის ესკადრის ხომალდები რეალურად ყოფილიყვნენ იქ. ნასერის გარდაცვალების და ხელისუფლების სათავეში ახალი პრეზიდენტის, ანვარ სადათის მოსვლის დროისთვის სსრკ-ის სამხედრო ხომალდები იყენებდნენ მოსახერხებელ ნავსადგომებს და სადგომებს ალექსანდრიაში, პორტ-საიდსა და ეს-სალუმში, ოდნავ მოგვიანებით კი, დაიწყო მერსა-მატრუხის და ბერნისის ნავსადგომების შესაძლებლობების გამოყენებაც. სირიის ხელმძღვანელობამ ასევე გადაწყვიტა, დაეკმაყოფილებინა საბჭოთა მხარის სურვილი: ხმელთაშუა ზღვის ესკადრის განკარგულებაში გადაიცა პორტი ლატაკია. სსრკ-ის სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობებს უნდა დაემატოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაც. ეგვიპტეში გაშლილი იყო სამ-3 რაკეტების 18 ბატარეა, განლაგებული იყო გამანადგურებლები - მიგ-21 და მიგ-23 (80 ერთეული), აგრეთვე უახლესი გამანადგურებლები მიგ-25. საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა, ეგვიპტის არმიაში მყოფი პროფესიონალ სამხედრო მრჩეველთა ჩათვლით, თითქმის 20 ათას ადამიანს აღწევდა.

1960-იანი წლების დასასრულს მიეკუთვნება ინდოეთის ოკეანეში საბჭოთა სამხედრო ხომალდების მუდმივი ყოფნის დასაწყისი. წყნარი ოკეანეს ფლოტის ხომალდებმა იწყეს გამოჩენა სპარსეთის ყურეში, მოგადიშოში, მადრასში, ბომბეიში. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სამხედრო ხომალდების გამოჩენა ინდოეთის ოკეანის აკვატორიაში დროში დაემთხვა სპარსეთის

ყურედან, „სუეცის აღმოსავლეთით“-დან ინგლისის ძალების ევაკუაციის პროცესის დაწყებას. ახალი გეოსტრატეგიული პოზიციებისთვის ბრძოლაში სსრკ-მა შეძლო, მიეღო ხელსაყრელი სამხედრო-საზღვაო ბაზები ბერბერში (სომალი) და ადენში (სამხრეთ იემენი), სადაც სულ ცოტა ხნის წინ, ინგლისელები იყვნენ განლაგებული. ცოტათი უფრო გვიან სსრკ-მა და აშშ-მ ერთმანეთს ბაზები გაუცვალეს: ამერიკელებმა ბაზა მიიღეს სომალში, საბჭოთა ფლოტმა კი ეთიოპიაში. სსრკ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფნას ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის ოკეანეში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ გავითვალისწინებთ, რა როლს თამაშობდა საგარეო ვაჭრობასა და სსრკ-სა და აშშ-ს შორის სამხედრო-პოლიტიკურ მეტოქეობაში ბაბელმანდების სრუტე, სუეცის არხი, აგრეთვე ბოსფორის და დარდანელის სრუტეები.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის განვითარება აღმოსავლეთის ქვეყნებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აზიამ განიცადა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის არნახული აღმავლობა. ამის რამდენიმე მიზეზი იყო:

ა) ღერძის სახელმწიფოების - გერმანიის, იაპონიის, იტ-ალიის დამარცხება და, აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნების აგენტურის საქმიანობის შეწყვეტა აზიის კონტინენტზე, შორეულ აღმოსავლეთში კი - იაპონიის სამხედრო ოკუპაციის დასრულება.

ბ) ომის შედეგად დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ძლიერების შესუსტება. აშშ-ის ექსპანსია აღმოსავლეთისკენ მხოლოდ იწყებოდა.

გ) გავლენა კომუნისტური იდეებისა, აგრეთვე საბჭოთა ლოზუნგის - „ერების უფლების შესახებ თვითგამორკვევაზე“,

აღმოსავლეთში საბჭოთა პროპაგანდის ეფექტური ორგანიზაცია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აზიაში ორი ძირითადი ტენდენცია გააჩნდა - რევოლუციური და რეფორმისტული. ზოგიერთ ქვეყანაში თავისუფლებას მიაღწიეს რევოლუციური გზით, მაგალითად, ეგვიპტეში, ჩინეთში, ალჟირში, მაგრამ თურქეთში, ირანსა და ინდოეთში მოძრაობა მიდიოდა რეფორმების გზით, უცხოური კაპიტალის გავლენის შემცირებისათვის.

ანტიკოლონიურმა მოძრაობამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის და ესპანეთის პოზიციებს. პაკისტანი და ინდოეთი, ბირმა, ვიეტნამი, ალჟირი გახდნენ დამოუკიდებელი. 1960-იანი წლები გახდა აფრიკის დრო. მხოლოდ 1960 წელს დამოუკიდებელი გახდნენ: ნიგერია, სომალი, კონგო, კამერუნი, ტოგო, სპილოს ძვლის ნაპირი, ზედა ვოლტა, გაბონი. მავრიტანია, მალი, ნიგერი, სენეგალი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი. უფრო მოგვიანებით, თავისუფალი გახდნენ: კენია, უგანდა, სიერალეონე და აფრიკის ბევრი სხვა ტერიტორია.

მსოფლიო რუკაზე ომების შედეგად გაჩნდნენ სახელმწიფოები, როგორებიცაა ისრაელი პალესტინაში, ჩრდილოეთი და სამხრეთი ვიეტნამი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა, დემოკრატიული ჩინეთი, რომელიც სოციალიზმს აშენებს. საფრანგეთის ჯარებზე ალჟირელ პარტიზანთა გამარჯვების შედეგად შეიქმნა ალჟირის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, დამდგარი კაპიტალისტური განვითარების გზაზე.

ახალი სახელმწიფოები მიიღეს გაეროს წევრებად, ისინი გახდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილენი, სუბი-

ექტები. ყველა მათგანი შეეჯახა საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

1. საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა. რომელ დიდ სახელმწიფოზე აეღოთ ორიენტირი, ქვეყნების რომელ ჯგუფთან დაამყარონ პოლიტიკური ხასიათის კავშირები და შეთანხმებები?

2. ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნა და განმტკიცება: არმიის, ფლოტის, ავიაციის. აქ აუცილებელია სამხედრო სტრატეგიის, კადრების მომზადების, იარაღით და საბრძოლო ტექნიკით უზრუნველყოფის წყაროების ძიების საკითხების გადაჭრა. ვის მიმართონ?

3. მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, ბანკების, კომუნიკაციების განვითარება. ამ მიზნით, ახალგაზრდა სახელმწიფოს უნდა მოეწვია უცხოური ინვესტიციები, რჩევა ეკითხათ უცხოელ მრჩევლებისთვის, სხვა ქვეყნებში მოემზადებინა საკუთარი ეკონომიკისთვის საჭირო კადრები, დაედო ხელშეკრულებები ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და ა. შ.

4. თავისი ინტერესების დასაცავად, აუცილებლად მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოთა საკონტინენტო გაერთიანებაში.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ ისრაელი და თურქეთი. ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა 1948 წელს იმის შედეგად, რომ ევროპიდან აქ ჩამოვიდა ასიათასობით ებრაელი, რომლებიც გაექცნენ ნაცისტებს და დაქვემდებარებული იყვნენ სიონისტური პროპაგანდის ზემოქმედებას, შექმნის მეორე ფაქტორი იყო ებრაელთა საბანკო სახლების ფინანსური მხარდაჭერა, მესამე ფაქტორი - სიონისტური და ებრაული ორგანიზაციების ქსელი, გაბმული მთელ მსოფლიოში.

დიდი ბრიტანეთის, როგორც მანდატის მფლობელის საქმიანობის შეწყვეტამ, შეტაკებების დაწყებამ არაბ-ებრაელთა

შორის, ებრაელთა სახელმწიფოს შექმნამ, ებრაელთა ემიგრაციის მოზღვავებამ ისრაელის მთავრობა აიძულეს, სასწრაფოდ გადაეჭრა გადაუდებელი ოპერატიული საკითხები. არსებობის იმ საგანგებო პირობების რეჟიმმა, რომლებშიც აღმოჩნდა ისრაელი, იძულებულს ხდიდა მთავრობას დაეკავა, თუნდაც, ოფიციალურად, მიუმხრობლობის პოზიცია. ორივე უდიდესი სახელმწიფო - სსრკ-იც და აშშ-ც, ისრაელს არსებით სამხედრო-პოლიტიკურ და დიპლომატიურ დახმარებას უწევდნენ არაბულ სახელმწიფოებთან 1948-1949 წლების ომში. ომის შემდეგ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, დავიდ ბენ-გურიონმა, გამოყო სახელმწიფოს სამი ძირითადი ამოცანა: 1. გაიტანოს თავი არაბულ ქვეყნებთან ომისა და კონფრონტაციის პირობებში; 2. უზრუნველყოს ებრაელ იმიგრანტთა ინტეგრაციის პროცესი ისრაელის განვითარებად საზოგადოებაში. 3. მიაღწიოს ისრაელის ისეთ განვითარებას, რომელიც, დ. ბენ-გურიონის კონცეფციის თანახმად, გაატარებდა ცხოვრებაში ძველი აღქმის ვალდებულებას „სინათლე მიაწოდოს სხვა ხალხებს“. საგარეო პოლიტიკაში დ. ბენ-გურიონი მისდევდა პრინციპს, რომელიც შეიძლება გადმოიცეს სიტყვებით: „დააკაკუნე ნებისმიერ კარში“. 1956 წლის სუეცის კრიზისამდე, რომელმაც გამოიწვია ძალთა პოლარიზაცია არაბ-ისრაელის კონფლიქტში, ისრაელის მთავრობა უარყოფდა კატეგორიულ ორიენტაციას ერთ რომელიმე სახელმწიფოზე ან მათ ბლოკზე. მაგრამ უკვე 1953 წელს ურთიერთობები სსრ კავშირსა და ისრაელს შორის მკვეთრად გაუარესდა. ისრაელის მხარე ამტკიცებდა, რომ მოსკოვი მისგან მოითხოვდა უფრო სოციალისტური, პროსაბჭოთა პო-ზიციის დაკავებას, საბჭოთა მხარე კი თვლიდა, რომ ისრაელი ატარებს საკმაოდ აგრესიულ საგარეო პოლიტიკას და მეგობრულ ურთიერთობებს ავითარებს დასავლეთის ქვეყნებთან. ისრაელი სულ

უფრო მეტად უახლოვდებოდა საფრანგეთს, გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკას. არ შედიოდა რა ნატოში, ისრაელის ხელმძღვანელობა მხარს უჭერდა დასავლეთი ქვეყნების ყველა ანტისაბჭოთა ღონისძიებებს.

1953 წელს, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი გახდა დ. ეიზენჰაუერი, ისრაელი, №480 კანონის მიხედვით ზედმეტი სურსათის გაყიდვის შესახებ, ჩართული აღმოჩნდა ამერიკული დახმარების პროგრამაში. 1954-1955 წლებში ორ სახელმწიფოს მთავრობებს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ აშშ-ში გავრცელდებოდა ისრაელის „განვითარების სესხების“ ობლიგაციები, რომელთა გაყიდვამ 527 მლნ დოლარის მოგება მოიტანა. მთლიანად 1951-1956 წლებში ისრაელმა ამერიკის მთავრობის საჩუქრების, სუბსიდიების, სესხების სახით, მიიღო 400 ათას დოლარზე მეტი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 1950-იან წლებში, აშშ-ი ისრაელს ფულადი სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს აწვდიდა „საჩუქრების“ და დაუბრუნებელი სუბსიდიების სახით. ჯ. კენედის ადმინისტრაციის პერიოდში ამერიკა-ისრაელის ფინასური თანამშრომლობის უპირატესი ფორმა გახდა კრედიტები და ისრაელის „განვითარების სესხები“. იმ დროსვე პრეზიდენტ ჯონ კენედიმ ნება დართო ისრაელისთვის მიეყიდათ „ჰოკის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტები. ეს იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის შეიარაღებების მიწოდების სფეროში ამერიკის პოლიტიკის შესამჩნევი შემობრუნება. რამეთუ ესოდენ მაღალი კლასის შეიარაღებები მიეწოდებოდა უკვე ოფიციალურ საფუძველზე, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში. შემდეგ კი, აშშ-მ დაიწყო ვერტმფრენების, საარტილერიო ქვემეხების, ტანკების, ჯავშან-ტრანსპორტების მიწოდება. ორმხრივმა ურთიერთობებმა დაიწყეს სამხედრო-სტრატეგიული დაგეგმარების სფეროს

მოცვაც. აშშ-ისრაელის თანამშრომლობა მოიცავდა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებს. დასავლეთზე ორიენტაციამ განაპირობა ისრაელის ურთიერთობათა განვითარება საფრანგეთთან, გფრ-სა და აშშ-სთან სამხედრო სფეროში. ისრაელმა კარები „გაუღო“ დასავლეთელ ინვესტორებს ეკონომიკურ სფეროში და მიიღო კაპიტალდაბანდებათა წამახალისებელი ლიბერალური კანონები. მან უარი განაცხადა რეგიონულ კავშირებში შესვლაზე, რადგანაც მისი უშუალო მეზობლები - არაბეთის ქვეყნები - მისივე უბოროტეს მტრებს წარმოადგენდნენ.

მეორე მაგალითი - თურქეთი. ეს ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად ავითარებდა თანამშრომლობას დასავლეთ სამყაროსთან, რაც დაკავშირებული იყო სსრკ-ის მხრიდან თავდასხმის მუქარასთან, აგრეთვე საბჭოთა აგენტურის ძირგამომთხრელ მუშაობასთან სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ქურთებში. შესაბამისად, 1948-1949 წლებში ანკარამ ხელი მოაწერა ვაშინგტონთან შეთანხმებებს სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. თურქეთი ნატოში შევიდა 1951 წელს, ასევე, შევიდა მსოფლიო სავალუტო ფონდში, განვითარების და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკში და კრედიტებს იღებდა ექსპორტ-იმპორტის ბანკიდან. არაბულ ქვეყნების ლიგაში თურქეთი არ მონაწილეობდა, მაგრამ 1955 წელს იყო ინიციატორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის - ბაღდადის პაქტის შექმნისა. საგარეო-ეკონომიკურ სფეროში, როგორც უკვე ითქვა, ქვეყანა ფინანსურ დახმარებას იღებდა დასავლეთისგან. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ომისშემდგომ თურქეთს განიხილავდნენ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საიმედო მომწოდებელს. მაგრამ 1940-იანი წლების ბოლოს და 1950-იანი წლების პირველ ნახევარში, ანკარის მთავრობა უყურადღებოდ ტოვებდა

უძლიერეს დასავლურ და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალზე დაჟინებულ რეკომენდაციებს, მიემართა ფინანსური დახმარება აგრარული სექტორის განვითარებაზე. ანკარის ამგვარმა პოზიციამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ 1956 წლიდან რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკმა შეწყვიტა თურქეთისთვის კრედიტების გაცემა.

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში თურქეთმა დაიწყო ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპების აღება და მოდერნიზაცია განიცადა. წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორები გახდა: საკვანძო საზოგადოებრივი ინსტიტუტების რეფორმირება და ტრადიციული ისლამური წარმოდგენების გადაფასება; სახელმწიფოს მხრიდან განათლების სფეროს და სახალხო განათლების მხარდაჭერა; კაპიტალის დაგროვების მასშტაბების გაფართოება; ეროვნული საბანკო კაპიტალის ურთიერთობების გაძლიერება უცხოურ საფინანსო კაპიტალთან; საგადასახადო სისტემის სერიოზული მოდერნიზაცია და რიგი სხვა ფაქტორი.

მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდი (1939-1945 წლები) იქცა თავისებურ მომზადებად ანკარის რეგიონული პოლიტიკის აქტივიზაციისთვის. თურქეთის მთავრობა ცდილობდა, შეექმნა ეგრეთ წოდებული „მუსლიმური ბლოკი“, რომელიც გადაჭრიდა ამოცანებს „კომუნიზმის შეკავების“ და ახლო და შუა აღმოსავლეთში იმ ეროვნული მოძრაობების ჩახშობისა, რომლებიც შეუშლიდნენ ხელს დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკას. 1946 წელს ანკარაში ხელი მოეწერა ერაყ-თურქეთის პაქტს მეგობრობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას. ასევე, ერაყმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას დამნაშავეთა გაცემის შესახებ, რომელთა სიაში შეიყვანეს ქურთი მეამბოხეები და კომუნისტური

ორგანიზაციების აქტივისტები. იმავე 1946 წელს გაფორმდა თურქეთ-იორდანიის შეთანხმება. ტრანსი-ორდანიის მეფე აბდალა დათანხმდა მიერთებოდა თურქეთ-ერაყის კავშირს, რადგან მისი შეთანხმება თურქეთთან შეიცავდა ძალზე მომგებიან საიდუმლო სტატიას. ამ სტატიაში თურქეთი აღიარებდა „დიდი სირიის“ შექმნის აუცილებლობას და წმინდა მუსლიმურ ადგილებზე - მექასა და მედინაზე უფ-ლებებს ჰაშიმიტების გვარისა, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ მეფე აბდალაც და ერაყის მეფე ფეისალიც. „დიდი სირიის“ გეგმით, სირია და ლიბანი უნდა გაერთიანებულიყვნენ ტრანსიორდანიასთან და ახალ „მუსლიმურ ბლოკს“ მიერთებოდნენ, მაგრამ დამასკოში ეს წინადადება უარყვეს. 1947 წელს ერაყმა და ტრანსიორდანიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც დაასრულა ერაყ-თურქეთ-ტრანსიორდანიის „სამკუთხედის“ შექმნა. „მუსლიმური ბლოკის“ იდეამ წარუმატებლობა განიცადა, რადგან რიგ არაბულ ქვეყანაში წინა პლანზე გამოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტიიმპე-რიალისტური იდეები. გარდა ამისა, არაბული ქვეყნები და ირანი იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ თურქეთს ხელმძღვანელი როლი ეთამაშა ახალ კავშირში. 1946-1947 წლებში ხელ-მოწერილი შეთანხმებები კი ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა.

1950-1960-იან წლებში, დემოკრატიული პარტიის მმართველობისას, თურქეთი კვლავ აღმოჩნდა ცენტრში დასავლეთის ქვეყნების იმ ძალისხმევისა, რომელიც ანტისაბჭოთა ბლოკის ფორმირებაზე იყო მიმართული. ასე, 1951 წელს, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და თურქეთმა მიმართეს არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს წინადადებით, შეექმნათ „შუა აღმოსავლეთის“ სარდლობა. იდეა მდგომარეობდა ახლო აღმოსავლეთში რეპრესიული ფუნქციების მქონე ანტისაბჭოთა მი-

მართულების სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნაში. ნავარაუდევი იყო ამ ბლოკში არაბული ქვეყნების, ისრაელის და ირანის მოწვევა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, სავარაუდო მონაწილეებმა უარი თქვეს ბლოკში შესვლაზე. 1952 წლის სექტემბერში ნატოს საბჭომ გადაწყვიტა თურქეთის მიღება ნატოში. ანკარას მიეცა შესაძლებლობა, მიეღო სამხედრო-პოლიტიკური დახმარება ჩრდილოატლანტიკური ბლოკის არხებით. თურქეთი გახდა დასავლეთის თანამეგობრობის პარტნიორი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან დაპირისპირებაში.

თურქეთის დემოკრატიულმა პარტიამ შეძლო რეალიზება ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ ფ. დალესის იდეისა, რომელიც მდგომარეობდა „ჩრდილოეთ სარტყელის“ სახით ახლო აღმოსავლეთის ბლოკის ჩამოყალიბებაში. 1955 წლის ნოემბერში ბაღდადში, თურქეთის, ერაყის, ირანის, დიდი ბრიტანეთის და პაკისტანის პრემიერ-მინისტრთა თათბირზე ხელი მოეწერა ბაღდადის პაქტს. გარდა ამისა, დემოკრატ ა. მენდერესის მთავრობა ღიად უჭერდა მხარს დასავლეთის ქვეყნების ყველა აქციას ახლო აღმოსავლეთში, მაგალითად, 1956 წლის სამთა აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ და აშშ-ის 1958 წლის ინტერვენციას ლიბანში. 1960-იან წლებში, თურქეთი ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა ბლოკ სენტოს საქმიანობას.

ამრიგად, კაპიტალისტური დასავლეთის და სოციალისტური აღმოსავლეთის დაპირისპირებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე, განაპირობა მისი ინტეგრაცია დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ თანამეგობრობაში.

დასასრულს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აზიაში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდა ორი ძირითადი სოციალურ-

პოლიტიკური სისტემის ბლოკური დაპირისპირება. გავლენის ახალი სფეროებისთვის ბრძოლაში სსრ კავშირი და ამერიკა და მათი სატელიტები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური საშუალება. იდგნენ რა გლობალური ბირთვული ომის ზღურბლზე, სსრკ-ი და აშშ-ი გეგმავდნენ სამხედრო ძალის პროექტირებას დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ მომენტში გამხდარიყო დამოუკიდებლობისკენ ხალხთა ნებელობის დაცვის საგანი, ან გამხდარიყო სასიცოცხლო ინტერესების ზონა. რათა მიეღწიათ გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობისთვის, მობილიზებული იყო მნიშვნელოვანი ფინანსური, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები. დიდი სახელმწიფოების რეგიონული პოლიტიკის ჭარბი იდეოლოგიზაცია იწვევდა იმას, რომ ევროპის სახელმწიფოების ყოფნა აზიაში სერიოზულ წინააღმდეგობაში შედიოდა ამ კონტინენტის ქვეყნებისა და ხალხების ჭეშმარიტ ინტერესებთან.

აზიაში საერთაშორისო ურთიერთობათა მეორე კონსტანტა იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ხასიათის მისწრაფებები ამ კონტინენტის ხალხებისა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა არნახულ გაქანებას იძენს. ამან განაპირობა აზიის ქვეყნების არამარტო შიდა, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სპეციფიკა, არამედ უკიდურესად დაძაბული რიტმიც საერთაშორისო ურთიერთობათა. მათი განმასხვავებელი ნიშნები გახდა: პროგრესირებადი გამალებული შეიარაღება; ძველი, კოლონიამდელი და კოლონიის დროის სასაზღვრო, ეთნო-კონფესიური და სავაჭრო-ეკონომიკური კონფლიქტების გამწვავება; დიდი სახელმწიფოების ჩარევა აზიაში არსებული კონფლიქტების დარეგული-

რებაში; ფინანსური და სამხედრო დახმარების აღმოჩენის მსხვილმასშტაბიანი სახელ-მწიფო და კერძო პროგრამების, დასავლეთის და სოცი-ალისტური ბლოკების ქვეყნების კულტურის დაწესებულებე- ბის საქმიანობის განვითარება.

აზიის საერთაშორისო ურთიერთობებში აღნიშნული ტენდენციების მკაფიო გამოვლინებად იქცა კონფლიქტი არაბებსა და ისრაელს შორის, რომლის განვითარებამ არსებითი გავლენა მოახდინა როგორც დიდი სახელმწიფოების პოლიტიკაზე ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში, ისე მოცემული რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ ქცევაზე, რამაც, საბოლოო შედეგად, განაპირობა „ცივი ომის“ პერიოდის მოვლენათა თავისებურებები, გააძლიერა კონფრონტაციული მომენტები 1945-1970-იანი წლების მსოფლიო პოლიტიკურ კლიმატში.

არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის კონფლიქტის ესკალაცია 1948-1970 წლებში.

ამერიკის შეერთებული შტატები და პალესტინის პრობლემა 1940-იანი წლების მეორე ნახევარში. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში გაერო აქტიურად განიხილავდა პალესტინის პრობლემას. მისი არსი შემდეგი იყო: პალესტინის ებრაელებისა და არაბებისთვის თვითგამორკვევის და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლების მინიჭება. პრობლემას ამწვავებდა არსებობა ათი ათასობით ებრაელისა, რომლებიც დაზარალდნენ ნაცისტებისგან გასული ომის წლებში და თავმოყრილი იყვნენ გადაადგილებულთა მრავალ ბანაკში, ევროპაში რომ მდებარეობდა. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები პრინციპში მხარს უჭერდნენ ებრაელთა სახელმწიფოს შექმნას. აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთის მთავრობები ძლიერ ზეწოლას განიცდიდნენ სიონისტური ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც მიუთითებდნენ ებრაელთა ტანჯვაზე ომის წლებში და პალესტინაში მათთვის საიმედო თავშესაფრის შექმნის აუცილებლობაზე. სსრკ-ის ხელმძღვან-ელი ი. ბ. სტალინი თვლიდა, რომ ებრაელთა სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიძენდა მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში. გომინდანის მთავრობა, შემდეგ კი ჩინეთის კომუნისტური პარტიის მთავრობა იმ წლებში სავსებით იწონებდნენ პალესტინაში ებრაული და არაბული სახელმწიფოების შექმნას.

1947 წლის 29 ნოემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია №181 (II) პალესტინის მომავალის შესახებ. რეზოლუციის ძირითადი პუნქტები შემდეგი იყო:

1. ბრიტანეთის მანდატი პალესტინზე წყდება რაც შეიძლება სწრაფად, არაუგვიანეს 1948 წლის 1 აგვისტოსა;
2. მანდატის მქონე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები სწრაფად გადიან პალესტინიდან, გამოყვანა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 1948 წლის 1 აგვისტოსა;
3. დამოუკიდებელი არაბული და ებრაული სახელმწიფოები და განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმი ქალაქ იერუსალიმისთვის პალესტინაში შეიქმნება ორ თვეში იმის შემდეგ, რაც დასრულდება მანდატის მქონე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ევაკუაცია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 1948 წლის 1 ოქტომბრისა;
4. ქალაქი იერუსალიმი შეიქმნება როგორც ცალკეული ერთეული საგანგებო საერთაშორისო რეჟიმით და მას გაერთიანებული ერები მართავს;
5. ორი სახელმწიფო შექმნის ეკონომიკურ კავშირს. პალესტინის ეკონომიკური კავშირის მიზნები უნდა იყოს: საბაჟო კავშირი; ერთობლივი სავალუტო სისტემა; რკინიგზების, სახელმწიფოთაშორისი გზატკეცილების, საფოსტო, სატელეფონო

და სატელეგრაფო სამსახურების, აგრეთვე პორტებისა და აეროპორტების ფუნქციონირება საერთო ინტერესებში; ერ-თობლივი ეკონომიკური განვითარება, განსაკუთრებით ირი-გაციის, მიწე-ბის მელიორაციის, ნიადაგის დაცვის სფეროში; ორწყლისა და ენერგეტიკული პოტენციალის მისაწვდომობა ორივე სახელმწი-ფოსა და იერუსალიმისთვის.

შესაბამისად, რეზოლუცია ითვალისწინებდა ორეროვნულ არაბულ-ებრაული სახელმწიფოს თანდათანობით შექმნას, რო-მელიც გაერთიანებული იქნებოდა ეკონომიკური თანამშრომ-ლობით და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე პალესტინის რელიგიური ადგილების ერთობლივი კონტროლით. შესაძლოა, შექმნილ პირობებში ეს იყო პალესტინის პრობლემის გადა-წყვეტის ყველაზე გონივრული ვარიანტი, მაგრამ დაწყებულმა სამხედრო მოქმედებებმა და 1948 წლის მაისში ისრაელის სა-ხელმწიფოს გამოცხადებამ, ხელი შეუშალა 181 რეზოლუცი- ის განხორციელებას.

გადამწყვეტი როლი რეზოლუციის მიღებასა და ის-რაელის შექმნაში, შეასრულა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ეს სრუ-ლიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ი იყო, შესაძლოა, სსრ კავშირის თანაბრად, ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ამ სიტყვის სამხედრო-პოლიტი-კური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

1940-იანი წლების ბოლოს, აშშ-ის საგარეო-პოლიტიკურ კომპლექსში ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ დისკუსიას შეერთე-ბული შტატების ახლოაღმოსავლური სტრატეგიის და ტაქტიკის შესახებ.

აშშ-ის კონგრესი
პრეზიდენტი

დ. ნაილზი კ. კლიფორდი

სახელმწიფო დეპარტამენტი
ჯ. მარშალი

თავდაცვის სამინისტრო
ცსს
ალენ დალესი

სიონისტური და ებრაული ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლების დერეფნებში ლობირებენ

აღმასრულებელ უწყებათა პოზიცია (სახელმწიფო დეპა-რტამენტი, პენტაგონი და ცსს), მიუხედავად რიგი უწყებათა-შორისი უთანხმოებისა და წინააღმდეგობისა, წარმოსდგებოდა როგორც ერთიანი, და შემდეგში გამოიხატებოდა: აშშ-ი უნდა ყოფილიყო მზად სამხედრო ჩარევისთვის პალესტინის საქმეებ-ში არაბ-ებრაელთა ომის დაწყების შემთხვევაში, განსაკუთ-რებით, თუ სსრ კავშირი დაიწყებდა სამხედრო ინტერვენციას ამ რაიონში. პოლიტიკური თვალსაზრისით, აღნიშნავდნენ ისინი, ვინც აშშ-ის საგარეო-პოლიტიკურ სამინისტროებში ამგვარ დო-კუმენტებს ამუშავებდნენ, აუცილებელია გადაისინჯოს 181-ე რეზოლუცია, რადგან არაბული სახელმწიფოები კატეგორიუ-ლად ეწინააღმდეგებიან ებრაული სახელმწიფოს შექმნას, მით უმეტეს, წმინდა მიწაზე, სადაც შეიქმნება ერთი რელიგიის დომინირების მუქარა. აშშ-ს შეუძლია, სსრკ-ის მხრიდან ჩარე-ვის შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს ებრაელებს, მაგრამ არა არა-ბებთან ურთიერთობების გაფუჭების ხარჯზე, რომლებიც რიც-ხობრივად წარმოადგენენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის

მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას; არა არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობათა ხარჯზე, რომლებიც ნავთობის და სხვა სათბობის კოლოსალურ რესურსებს ფლობენ. ანალიტიკოსები აღნიშნავდნენ: თუკი აშშ-ი მხარს მხოლოდ ებრაელებს დაუჭერს, მაშინ არაბულმა რეჟიმებმა შეიძლება შეიცვალონ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია სსრ კავშირის სასარგებლოდ. გარდა ამისა, ებ-რაული სახელმწიფოს ცალმხრივმა მხარდაჭერამ შეიძლება ამერიკა აქციოს ამ ახალი სახელმწიფოს უსაფრთხოების მთავარ პასუხისმგებლად.

აშშ-ის აღმასრულებელი უწყებების მოხელეთა მიდრეკილებამ მხარი დაუჭირონ უპირველეს ყოვლისა, არაბულ მხარეს ან, როგორც არაბულ, ისე ებრაულს, გამოიწვია ამერიკულ პრესაში ტერმინ „არაბისტები“-ს შექმნა. ეს ტერმინი აღნიშნავდა სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს და ცსს-ს სწორედ იმ წარმომადგენლებს, რომლებიც არაბ-ებრაელთა შეტაკებების მიმართ საკითხში იდგნენ თანაბარი დაშორების პოზიციაზე.

თავის დროზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ე. სტეტინიუსი წერდა პრეზიდენტ ჰ. ტრუმენს, რომ „პალესტინის საკითხი არის კომპლექსური და მნიშვნელოვანი და შეიცავს პუნქტებს, რომლებიც ეხება არამარტო ევროპელ ებრაელებს. ეს არის ერთერთი ასპექტი რთული სიტუაციისა იმ რეგიონში, ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი რომაა აშშ-სთვის. ჩვენი შეხედულებით, ის უნდა განიხილებოდეს უდიდესი სიფრთხილით, ახლო აღმოსავლეთში ქვეყნის (აშშ-ს) გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით“. 1945 წლიდან სახელმწიფო დეპარტამენტი დაჟინებით სთავაზობდა პრეზიდენტს, თავი შეეკავებინა ევროპიდან პალესტინაში ებრაელთა ფართომასშტაბიანი იმიგრაციის მხარდაჭერისგან.

აშშ-ის საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა დოკუმენტები მოწმობენ მრავალ რეკომენდაციას, წამყვანი საგარეო-პოლიტიკური ექსპერტები რომ იძლეოდნენ. ასე, სახელმწიფო დეპარტამენტის ვეტერანი, ახლო აღმოსავლეთის ავტორიტეტული სპეციალისტი ლ. ჰენდერსონი სთავაზობდა, დაეწესებინათ აშშ-ის მეურვეობა პალესტინაზე. დასახელებული მიზნის მიღწევისთვის ლ. ჰენდერსონი სთავაზობდა შეთანხმებას ინგლისთან, საფრანგეთთან და სსრ კავშირთან.

პრეზიდენტის უახლოესი მრჩევლები, უპირველეს ყოვლისა, კ. კლიფორდი, ს. როზენმანი და დ. ნაილზი, სხვა აზრს გამოხატავდნენ. მრჩევლები მუშაობდნენ მჭიდრო კონტაქტში აშშ-ის ებრაულ და სიონისტურ ორგანიზაციებთან. მათ შეძლეს, დაერწმუნებინათ პრეზიდენტი, დაეკავა მომავალი ისრაელის სახელმწიფოს ერთმნიშვნელოვნად მხარდაჭერის პოზიცია. ისინი მიუთითებდნენ, რომ ამერიკის ებრაული თემები არჩევნებზე დისციპლინირებულად აძლევენ ხმას და მათ უდიდესი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ, რომ მოცემულ გარემოებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მომავალ, 1948 წლის არჩევნებზე. შესაბამისად, აუცილებელია პალესტინაში სიონისტური პროექტის მხარდაჭერა, თუნდაც ნავთობით მდიდარი არაბული ქვეყნების ხარჯზე. გარდა ამისა, მრჩევლები მიუთითებდნენ ებრაული სახელმწიფოს განსაკუთრებულ ღირებულებაზე იმ ქვეყნების რეგიონში, რომლებიც ტრადიციულად იყვნენ ბრიტანეთის გავლენის ქვეშ და უკვე განიცდიდნენ საბჭოთა დიპლომატების და მზვერავების შეღწევას.

აუცილებელია ამერიკის კონგრესის პოლიტიკური წონის გათვალისწინებაც. აშშ-ის სენატორები და კონგრესმენები იყვნენ ებრაული თემის ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა ლობისტური სტრუქტურების გუნუწყვეტელი მეურვეობის

ქვეშ. პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის მომენტისთვის აშშ-ის კონგრესის პოზიცია მთლიანობაში უფრო სიონისტების მხარეზე იყო, და მოცემული გარემოება თეთრი სახლის მეთაურს უნდა გაეთვალისწინებინა. ჰ. ტრუმენმა, რომელი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდა 1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტიკური გამარჯვების მოპოვების ინტერესებით, დაიჭირა თავისი მრჩევლების მხარი. ამრიგად, გადამწყვეტ მომენტში აშშ-მ უპირობო მხარდაჭერა აღმოუჩინა ისრაელის სახელმწიფოს.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. არაბ-ისრაელის 1948-1949 წლების ომი.

ისრაელის სახელმწიფო გამოცხადდა 1948 წლის 14 მაისს თელ-ავივში არაბების ცეცხლის ხმის ქვეშ. ახალი სახელმწიფო გაჩნდა არაბ-ებრაელთა ნამდვილი ომის და პალესტინაში ებრაელთა შეუწყვეტელი იმიგრაციის პირობებში.

ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებისთანავე აშშ-მ ის დეფაქტო აღიარა. უკვე 14 მაისს თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესას წარუდგინა პრეზიდენტ ჰ. ტრუმენის განცხადება: „მთავრობამ მიიღო ინფორმაცია, რომ პალესტინაში გამოცხადდა ებრაული სახელმწიფო და მისი დროებითი მთავრობა ითხოვს აღიარებას. შეერთებული შტატები აღიარებენ დროებით მთავრობას, როგორც დეფაქტო ხელისუფლებას ახალი სახელმწიფო - ისრაელისა“. საბჭოთა კავშირმა სამი დღის შემდეგ, 1948 წლის 17 მაისს აღიარა ისრაელი დე-ფაქტო და დე-იურე.

ისრაელის მთავრობას სათავეში ჩაუდგა დ. ბენ-გურიონი, ამბიციური სიონისტური პოლიტიკოსი, რომელსაც გამორჩეული სტრატეგიული ხედვა და ორიგინალური პოლიტიკური აზროვნება გააჩნდა. ის იყო ლიდერი მმართველი სიონისტური

სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, მაპაი-ს (ისრაელის მიწის მუშათა პარტია.

დ. ბენ-გურიონი მთელი რიგი წლების განმავლობაში ამუშავებდა საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას, რომელსაც აქამდე იყენებენ ისრაელის სახელმწიფო ლიდერები. მისი ძირითადი ელემენტები შემდეგია:

1. ისრაელი უნდა გახდეს სულიერ-რელიგიური ცენტრი და შეკრების ადგილი გაფანტული ებრაელობისა. დიასპორის კაპიტალი, პოლიტიკური გავლენა, პროფესიული კვალიფიკაცია, მეცნიერული მიღწევები, სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა დაყენებული უნდა იქნას ისრაელის სამსახურში.

2. ისრაელის სახელმწიფო გარემოცულია მტრული არაბული „ზღვით“, ამიტომ სახელმწიფო უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ხდება ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა:

ა) ისრაელის თავდაცვის არმიის საბრძოლო პოტენ-ციალის ზრდა;

ბ) მასობრივი ალია (ებრაელთა იმიგრაცია);

გ) ჰალუციმის (პიონერობის) სულისკვეთების პროპაგანდა;

დ) მეცნიერების შემცველი ინდუსტრიის განვითარება;

ე) სტრატეგიული ალიანსების და პერიფერიული კავშირების საგარეო პოლიტიკა.

ორ მტრულ ბანაკად მსოფლიოს გაყოფის პირობებში დ.

ბენ-გურიონი გულისხმობდა ისრაელის ურთიერთობას მსოფლიო თანამეგობრობის სამ სფეროსთან (იხ. სქემა). პირველ მიახლოებისას (1) ეს იყო ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის არაბული სამყარო, კონფრონტაციის „კედელი“, რომელიც გასარღვევი იყო ყველა არსებული საშუალების გამოყენებით. პრემიერ-მინისტრს სწამდა, რომ ისრაელს, ადრე თუ გვიან, მოუწევდა მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარება არა-

ბულ ქვეყნებთან. ამიტომ, აუცილებელი იყო არაბ მეზობლებთან ურთიერთობების მთელი სპექტრის შემუშავება. მეორე სფეროში (2) განლაგებული იყო ისრაელის ბუნებრივი მოკავშირეები - მუსლიმური თუ-რქეთი, ირანი, სუდანი და ნახევრად ქრისტიანული ეთიო-პია. დ. ბენ-გურიონი თვლიდა, რომ ამ ქვეყნებს ეშინიათ პანარაბიზმის და კომუნიზმისა, ამიტომ ისინი მიდრეკილი არიან ისრაელთან თანამშრომლობაზე. მესამე წრე (3) - ურთიერთობების განვითარება დასავლეთის ქვეყნებთან. სწორედ, დასავლეთის ქვეყნები გახდნენ ახალი სახელმწიფოს ფინანსური დახმარების და სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის ძირითადი წყარო. განსაკუთრებული ადგილი ეკავათ სოციალისტური ბლოკის ქვეყნებს, მტრულად რომ იყვნენ განწყობილი დასავლეთ თანამეგობრობისადმი. მაგ=-რამ სწორედ, ეს ქვეყნები, პირველ რიგში, სსრ კავშირი, გახდნენ ისრაელში მასობრივი ალიის (იმიგრაციის) წყარო. ამ მიზეზით, ისრაელის მთავრობა, 1967 წლამდე იყენებდა რა ოფიციალურ დიპლომატიურ ურთიერთობებს, შემდეგ კი დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერას, მოითხოვდა საბჭოთა ებრაელთა განსაკუთრებული უფლებების დადასტურებას ქვეყნის (სსრკ-ის) დატოვებაზე და ებრაული ემიგრაციის წახალისებას „მეწამულ მიწაზე“ დასახლებისთვის.



ისრაელის გადაქცევა ტექნოლოგიის შემუშავების და კულტურის სფეროში მიღწევების მსოფლიო ცენტრად. დ. ბენგურიონი ებრაელ მეცნიერთა იმიგრაციაში მნიშვნელოვან ინტელექტუალურ კაპიტალს ხედავდა, რომელსაც შეეძლო, ისრაელში ჩამოეყალიბებინა თავისებური „ინკუბატორი“, სადაც შეიმუშავებდნენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მხატვრულ ნიმუშებს, აუცილებელს კაცობრიობის ინდუსტრიული და კულტურული განვითარებისთვის.

დ. ბენ-გურიონის კონცეფცია ძალზე სიცოცხლისუნა-რიანი აღმოჩნდა, და მან უზრუნველყო არამარტო ებრაული სახელმწიფოს შენარჩუნება ახლო აღმოსავლეთში, არამედ შეუწყო ხელი კიდეც მისი აქტიური დიპლომატიის, აგრეთვე, მსოფლიო თანამეგობრობასთან და სხვადასხვა „ძალის ცენტრებთან“ თანამშრომლობის განვითარებას, დაეხმარა მშვიდობიანი პროცესის ტაქტიკის შემუშავებაში არაბულ სამყაროსთან ურთიერთობებში.

1948-1949 წლების არაბ-ისრაელის ომი დაიწყო ისრაელ-ის სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ. ტრანსიორდანიის, სირიის, ლიბანის, ეგვიპტის ჯარები შეიჭრნენ პალესტინის ტერიტორიაზე. ამასთან, ყოველ არაბულ ქვეყანას თავისი მიზანი ჰქონდა: ან მიეთვისებინა პალესტინის ტერიტორიის ნაწილი, ან შეეშალა ხელი მეზობლისთვის მოცემულ რეგიონში თავისი გავლენის გაძლიერებაში. ისრაელის ლიდერები ომის მსვლელობაში ცდილობდნენ, არამარტო მოეგერიებინათ არაბების თავდასხმა, არამედ დაეფიქსირებინათ კიდეც სახელმწიფო (თავისი) საზღვრები ყველაზე ფართო გეოგრაფიულ სივრცეში.

სამხედრო თვალსაზრისით, ისრაელის თავდაცვის არმია უკეთესად იყო მომზადებული, ვიდრე მათი არაბი მტრები. ებრაელთა არმიის რიგებში იბრძოდნენ ორგანიზაციების - „ჰა-

განა“, „პალმახი“- რაზმები, რომლებსაც გააჩნდათ პალესტინელთა და ბედუინთა ფორმირებების წინააღმდეგ პალესტინაში საბრძოლო მოქმედებების მრავალწლიანი გამოცდილება. გარდა ამისა, ისრაელის მხარეზე იბრძოდნენ წითელი არმიის ვეტერანები და ებრაელი მოხალისეები დასავლეთის ქვეყნებიდან. ისრაელის არმიის საბრძოლო სულისკვეთება უჩვეულოდ მაღალი იყო. აშშ-ი და სსრ კავშირი ფარულად ეხმარებოდნენ ისრაელს.

არაბთა არმიები რიცხობრივად აღემატებოდნენ ებრაელებს. მაგრამ ტაქტიკასა და წრთობის მხრივ, აშკარად ჩამორჩებოდნენ. არაბთა ჯარების შეტევითი ოპერაციები ხშირად შეუთანხმებელი იყო. მხოლოდ იორდანიის ემირ აბდალას არაბული ლეგიონი, რომლის ოფიცერთა შორის ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ, წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას.

1948 წლის 11 ივნისს, გაეროს სპეციალური წარმომადგენლის, შვედი გრაფის ბერნადოტის ძალისხმევით, მიაღწიეს დაზავებას ერთი თვის ვადით. ამ შესვენების დროს ისრაელმა შეძლო იარაღისა და საბრძოლო მასალების მიღება საზღვარგარეთიდან. შეიქმნა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საფუძვლები. უცხოეთიდან ჩამოვიდა მოხალისეთა ახალი რაზმები. 10 ივლისს განახლდა საბრძოლო მოქმედებები, რომლის მსვლელობისას მოხდა ძირეული გარდატეხა ისრაელის სასარგებლოდ. შემდგომი დაზავებები მყიფე აღმოჩნდა, გრაფი ბერნადოტი მოკლული იქნა ებრაელი ექსტრემისტის მიერ.

1949 წლის 19 იანვარს კუნძულ როდოსზე დაიწყო მო-ლაპარაკებები ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის რალფ ბანჩის, გაეროს უფლებამოსილი წარმომადგენლის, გრაფ ბერნადოტის ყოფილი მოადგილის თავმჯდომარეობით. პირველი შეთანხმება, ეგვიპტესთან, ხელმოწერილი იქნა 1949 წლის 24 თებერვალს,

23 მარტს ხელი მოეწერა შეთანხმებას ლიბანთან, 32 აპრილს - ტრანსიორდანიასთან. სირიასთან ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ 20 ივლისს. ერაყს საერთოდ არ მოუწერია ხელი რაიმე შეთანხმებაზე ისრაელთან. დაზავების შესახებ დოკუმენტების ხელმოწერის შედეგად ისრაელის სახელმწიფო იკავებდა პალესტინის მთელი იმ ტერიტორიის 80%-ს, რომელზეც ვრცელდებოდა ბრიტანეთის მანდატი. შეთანხმებები აფიქსირებდნენ ცეცხლის შეწყვეტას და მხარეთა ვალდებულებას არ დაარღვიონ სადემარკაციო ხაზი („მწვანე ხაზი“). სამშვიდობო ხელშეკრულება არ იყო ხელმოწერილი. ომმა გამოავლინა პალესტინის პრობლემის შემდეგი ელემენტები:

1. პალესტინელთა თვითგამორკვევის და სახელმწიფოს შექმნის საკითხი;

2. პალესტინელ ლტოლვილთა ბედი (900 ათასამდე ადამიანმა დატოვა პალესტინა), მათი სტატუსი;

3. ტერიტორიების და საზღვრების საკითხი. ეგვიპტემ დაიკავა ღაზას სექტორი, ტრანსიორდანიამ კი მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი, ტერიტორიები, რომლებიც გაეროს გენერალური ასამბლეის 181-ე რეზოლუციის მიხედვით პალესტინის სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდნენ. ისრაელმა მოახდინა გალილეის ნაწილის ოკუპაცია.

4. იერუსალიმის სტატუსი. იერუსალიმი არის მსოფლიოს უნიკალური ქალაქი, სადაც თავმოყრილია სამი რელიგიის - ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის - წმინდა ადგილები და წარმოიქმნება სხვადასხვა პრობლემა, გამოწვეული ადგილებში მორწმუნეთა მისვლით. არაბ-ისრაელის ომის შედეგად ქალაქის დასავლეთი ნაწილი დაიკავა ისრაელის არმიამ, აღმოსავლეთი ნაწილი კი, იორდანიის ჯარისკაცებმა გარკვეულ ეტაპად არაბ-ისრაელის კონფლიქტის ესკალა-ციაში იქცა 1950 წლის 25 მაი-

სის აშშ-ის, ბრიტანეთის და საფრანგეთის სამმხრივი შეთანხმება, რომელიც იყო შედეგი სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისა ლონდონში, სადაც განიხილებოდა კონკრეტული საკითხები, გავლენას რომ ახდენდნენ მსოფლიოზე და არაბული ქვეყნების და ისრაელის სტაბილურობაზე. კერძოდ, მინისტრებმა განიხილეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის შეიარაღებების და სამხედრო მასალების მიწოდების საკითხი და მიიღეს განცხადება, რომელიც, არსებითად, მნიშვნელოვნად ახალისებდა გამალებულ შეიარაღებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა განაცხადეს, რომ არაბულ ქვეყნებს და ისრაელს სჭირდებათ „შეიარაღებული ძალების გარკვეულ დონეზე შენარჩუნება მათი შინაგანი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კანონიერი თავდაცვისათვის და მთლიანად რეგიონის დაცვის საქმეში თავისი როლის შესრულებისთვის“. პროფესიულ დამკვი-რვებელ-საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტისთვის არ იქნებოდა ძნელი იმის მიხვედრა, რომ სიტყვები „რეგიონის დაცვა“ ნიშნავდა წინააღმდეგობის გაწევას სსრკ-ის და მისი მოკავშირეების ნებისმიერი ცდისთვის გაეზარდათ თავის გა-ვლენა ახლო აღმოსავლეთში. სამმა სახელმწიფომ განაცხადა, რომ არაბული ქვეყნების და ისრაელის ყველა მიმართვა მათთვის შეიარაღებების მიწოდების შესახებ იქნება განხილული სწორედ, რეგიონის დაცვის და თავდაცვის პრინციპების შუქზე. აშშ-ის, ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა ასევე განაცხადეს, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისგან მიღებულია იმის პირობა, რომ შეიარაღებების მიწოდება იქნება დაშვებული, თუ სახელმწიფო-მყიდველი არ აპირებს აგრესიის რაიმე აქტის მოწყობას რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამასთან, დასავლეთის სამმა სახელმწიფომ განაცხადა

„თავისი ღრმა დაინტერესების და თავისი სურვილის შესახებ დამყარდეს და შენარჩუნებული იქნეს რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა, აგრეთვე, რომ წინააღმდეგი არის ძალის გამოყენებისა ან ძალით მუქარისა რეგიონის სახელმწიფოების შორის“. რეალობამ აჩვენა, თუ რამდენად შორს იყო სახელმწიფოთა მიერ გაცხადებული განზრახვები ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების მიერ სამხედრო პოტენციალის მუდმივ ზრდისგან.

1956 წლის სუეცის კრიზისი. კონფლიქტის შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა 1956 წლის კრიზისი სუეცის არხის ზონაში. არაბ-ისრაელის ახალ ომს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

1. 1956 წლის 29 ივლისს ეგვიპტის ლიდერმა აბდელ ნასერმა განაცხადა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ. როგორც ცნობილია, კომპანიის მსხვილი აქციონერები იყვნენ ბრიტანეთის და საფრანგეთის მოქალაქეები (ინვესტორები, ბანკირები და ა. შ.). ამიტომ, ორი ქვეყნის მთავრობებმა გადაწყვიტეს, ძალით დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები. გენერალურმა შტაბებმა ლონდონსა და პარიზში დაიწყეს სამხედრო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „მუშკეტერი“.

გადაწყვეტილება ნაციონალიზაციის შესახებ ასახავდა ნასერის, როგორც პოლიტიკოსის შეხედულებათა რადიკალურ ევოლუციას. პრინციპული ნაციონალისტი ნასერი, ცდილობდა, შეერყია ბრიტანეთის გავლენა ეგვიპტეში, რათა განევითარებინა ეროვნული ეკონომიკა. 1955 წლამდე ეგვიპტე იყენებდა აშშ-ის ფინანსურ დახმარებას, მაგრამ მისი მიღების პირობები არ აწყობდა ეგვიპტის ხელმძღვანელობას. მაგალითად, ამერიკის კრედიტს ასუანის კაშხალის აშენებაზე ჰქონდა ეგვიპტისთვის წამგებიანი პირობები და წლიური საპროცენტო განაკვეთი. ამიტომ, ნასერმა მიიღო გადაწყვეტილება, მოენახა დაფინანსების

სხვა წყაროები და აიღო გეზი სოციალისტურ სახელმწიფოებთან კავშირების განვითარებაზე.

2. 1955 წელს ეგვიპტემ და ჩეხოსლოვაკიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. მისი მეშვეობით ეგვიპტის არმია ღებულობდა საბჭოთა წარმოების თანამედროვე იარაღს და საბრძოლო ტექნიკას. ამრიგად, ახლო აღმოსავლეთის რაიონში გაჩნდა ახალი ძალა, ეგვიპტე, რომელსაც მხარს სსრკ-ი უჭერდა. თავის წერილში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ გ. მოლეს სახელზე დ. ბენგურიონი აღნიშნავდა: „ეგვიპტის მმართველი, გაძლიერებული უახლესი შეიარაღებებით, თვითმფრინავებით, ბომბდამშენებით და ტანკებით, რომლებიც ჩეხებმა მიაწოდეს, მოცემულ მომენტს განიხილავს, როგორც შესაფერის დროს ისრაელის წინააღმდეგ ახალი კამპანიის დაწყებისთვის, აგზავნის რა შეიარაღებულ და მომზადებულ ბანდებს შიგ გულში ჩვენი ქვეყნისა. დაძაბულობა დიდია და არ შეიძლება მეტი ეგვიპტის მხრიდან მუქარის იგნორირება. მდგომარეობის გადარჩენის ერთადერთი იმედი არის არ მიეცეს მეტი ეგვიპტეს შესაძლებლობა სამხედრო-საჰაერო და სატანკო-ჯავშნიან ძალებში“ უპირატესობის შენარჩუნებისთვის“. ისრაელის მთავრობამ გადაწყვიტა, შეეჩერებინა ეგვიპტის გაძლიერების პროცესი მისთვის პრევენციული დარტყმის მიყენებით. ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის გაძლიერება გახდა ძირითადი მოტივი ისრაელის აქტიური მონაწილეობისა 1956 წლის ომში. კაიროს მხარდაჭერა სსრ კავშირის მხრიდან გახდა ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა კავშირ-ისრაელის ურთიერთობების გაუარესებისა, რომლებმაც 1950-იანი წლების შუახანებიდან 1967 წლამდე სუსტი, დუნე ხასიათი შეიძინეს.

3. ღაზის სექტორში, რომელიც ჯერ კიდევ 1948-1949 წლების ომში ოკუპირებული იქნა ეგვიპტის არმიის მიერ, განლაგებული იყო პალესტინელ პარტიზან-ფედაინთა ბანაკები. ფედაინები აწყობდნენ რეიდებს ისრაელის ტერიტორიაზე კომუნიკაციების, სამხედრო ობიექტების დანგრევის მიზნით, ისრაელის, ჯარისკაცების, ოფიცრებისას და მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობისთვის. გეგმავდა რა სამხედრო კამპანიას ეგვიპტის წინააღმდეგ, ისრაელის გენერალური შტაბი ვარაუდობდა პალესტინელი პარტიზანების ბაზების მოსპობას.

4. ისრაელის სამხედრო სარდლობის გეგმები ითვალისწინებდნენ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის, შარმაშეიხის ოკუპირებას სინას ნახევარკუნძულზე. მისი დაკარგვა შეუშლიდა ხელს ნასერს მომავალში მოეწყო სამხრეთ ისრაელში მდებარე პორტ ეილათის ბლოკადა. დ. ბენ-გურიონი ომის გეგმას ახასიათებდა, როგორც ფართომასშტაბიან ოპერაციას სინას უდაბნოს და ღაზას ზოლის ყველა მიმართულებით. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დ. ბენ-გურიონმა განაცხადა, რომ ომის მიზანს შეადგენს შემდეგი: დაიკავონ სინას ნახევარკუნძული და ღაზას სექტორი, მოახდინონ აკაბის ყურეს სანაპიროს ოკუპაცია, რათა „უზრუნველყოფილი იქნას ეილათში და ეილათიდან ნაოსნობის თავისუფლება წითელი ზღვისა და ინდოეთის ოკეანეს გავლით“. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ისრაელის მთავრობა, როგორც ჩანს, არ აყენებდა თავის ამოცანად სინას ნახევარკუნძულის და ღაზის სექტორის სამუდამო ოკუპირებას. 1956 წლის 28 ოქტომბერს, მთავრობის სხდომაზე დ. ბენ-გურიონმა განაცხადა: „არ ვიცი, როგორი იქნება სინას ბედი ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში. ჩვენ დაინტერესებული ვართ, უპირველეს ყოვლისა, ეილათის სანაპიროსა და ტირანის სრუტეებში. შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ შეეცდებიან გარ-

კვეული ძალები დაგვატოვებინონ სი-ნაი, თუ ჩვენ მოვახდენთ მის ოკუპირებას. არის აშშ-ი, რუსეთი, გაერო, არის ნერუ, არის აზია და აფრიკა, და ყველაზე მეტად შეშფოთებული ვარ აშშ-ით. ამერიკა ჩვენ გვაიძულებს, დავტოვოთ სინას ნახევარკუნძული. მაგრამ მთავარი საკითხი არის ნაოსნობის თავისუფლება... მთავარი არის ის, რომ ჩვენ რომც არ დავიპყროთ სანაპირო, უნდა გვქონდეს ნაოსნობის თავისუფლება“.

ამრიგად, ისრაელი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სხვადასხვა მიზეზის გამო, დაინტერესებული იყვნენ სამხედრო გზით დაემარცხებინათ ეგვიპტე და პოლიტიკურად, თუ არა ფიზიკურად, მოეცილებინათ თავიდან ნასერი.

1956 წლის 30 ოქტომბრის ღამეს ისრაელის ჯარები შეიჭრნენ ეგვიპტეში. 31 ოქტომბერს ინგლისმა და საფრანგეთ- მა დაიწყეს ეგვიპტის დაბომბვა და 5 ნოემბერს დესანტი გადასხეს პორტ-საიდის რაიონში. ისრაელის ჯარის წინსვლა ძალიან სწრაფი და წარმატებული იყო. ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის კოალიციის მოქმედებების შედეგად, სინას ნახევარკუნძული ოკუპირებული იქნა, შარმ-აშ-შეიხი დაკავებული, ფედაინთა ბაზები კი განადგურებული. მაგრამ აგრესორთა გამარჯვება სრული არ იყო. კონფლიქტში ჩაერივნენ აშშ-ი და სსრ კავშირი.

თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ფაქტობრივად დაუჭირა მხარი ქაიროს. მასში ნათქვამი იყო: „შეერთებული შტატები ამჟამინდელი და წინა ადმინისტრაციის დროს პირდებოდნენ, რომ დახმარებას გაუწევდნენ ნებისმიერი აგრესიის მსხვერპლს ახლო აღმოსავლეთში. ჩვენ თავის დაპირებას შევასრულებთ“. დ. ეიზენჰაუერის პოზიცია იმაში მდგომარეობდა, რომ არ დაეშვა ბრიტანეთის და საფრანგეთის გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში. სიონისტური ორგანიზაციების ზეწოლის მიუხედავად, დ. ეიზენჰაუერმა არ დაუჭირა მხარი

ისრაელს, თუმცა ომი მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების წინ. უფრო მეტი, აშშ-მ ზეწოლა მოახდინა დ. ბენ-გურიონის მთავრობაზე, დაპყრობილ ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების სასწრაფოდ გამოყვანის საკითხზე.

სსრ კავშირმა მკაცრად დაგმო აგრესია (აგრესია არის სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან რაიმე სხვა გზით, შეუთავსებლით გაეროს წესდებასთან (გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია). გაკეთდა ოფიციალური განცხადება, აგრეთვე მოახდინეს დემარშები დიპლომატიური არხებით ეგვიპტის დასაცავად. ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში გამოიძახა საგარეო საქმეთა მინისტრმაა. შელეპინმა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ცეცხლი და ჯარების წინსვლა არ შეწყდება, სსრკ-ი ბირთვულ სარაკეტო იარაღს გამოიყენებს.

1956 წლის 7 ნოემბერს სამხედრო მოქმედებები შეჩერდა. დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ჯარები ევაკუირებული იქნენ დეკემბერში, 1957 წლის მარტში კი ისრაელის ჯარებმა დატოვეს ეგვიპტის ტერიტორია და ღაზას სექტორი. მათ ადგილებზე, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შესაბამისად, განლაგდნენ გაეროს საგანგებო შეიარაღებული ძალები.

ომის შედეგები:

1. ნასერის პოლიტიკური რეჟიმი დარჩა;

2. სუეცის არხი დარჩა ეგვიპტის იურისდიქციაში;

3. განადგურდა ფედაინების ბაზები, მაგრამ არა პალესტინელ პარტიზანთა მოძრაობა;

4. საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა კონფლიქტის მონაწილე არაბების მხარეზე;

5. პალესტინის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

1967 წლის ივნისის ომი. 1967 წლის მაისში ვითარება ახლო აღმოსავლეთში სერიოზულად გამწვავდა. ორივე მხრიდან მრავალრიცხოვანი სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური პროვოკაციების შემდეგ, ეგვიპტის ლიდერმა, ნასერმა დახურა ტირანის სრუტეები, შესაბამისად, ისრაელის გასასვლელი წითელ ზღვასა და ინდოეთის ოკეანეში. ეგვიპტის, იორდანიის და ერაყის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთობლივი თავდაცვის შესახებ, რომელსაც ისრაელის მმართველ წრეებში აფასებდნენ, როგორც არაბული ქვეყნების მზადებას აგრესიისთვის ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამასთან ერთად, პალესტინელი პარტიზანები განაგრძნობბდნენ დივერსიულ აქტების ჩატარებას ისრაელის ყველა მეზობელი არაბული ქვეყნის ტერიტორიიდან. ისრაელი, თავის მხრივ, თავს უყრიდა ჯარს „მწვანე ხაზის“ საზღვრებზე, მისმა გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა ეგრეთ წოდებული „ელვისებური ომის“ გეგმა, რომელმაც ვაშინგტონის ფარული მხარდაჭერა ჰპოვა. პოლიტიკური კომენტატორები გად-მოსცემდნენ აშშ-ის პრეზიდენტ ლ. ჯონსონის სიტყვებს, რომლებიც მან უთხრა ისრაელის წარმომადგენლებს ვაშინგტონში: „თუ ყველაფერს სწრაფად გააკეთებთ, ჩვენ არ ჩავერევით“.

1967 წლის 5 ივნისს ისრაელის ავიაციამ უეცარი დარტყმა მიაყენა ადრე დაზვერილ მიზნებს ეგვიპტის სამხედრო აეროდრომებზე. ეგვიპტის თვითმფრინავების დიდი ნაწილი განადგურდა ომის პირველივე დღეს. ამიტომ, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები დაბრკოლების გარეშე ბატონობდნენ სინას ნახევარკუნძულის, ღაზის ზოლის, და, საკუთრივ, ეგვიპტის საჰაერო სივრცეში. იმავდროულად, ისრაელის არმიის სახმელეთო ნაწილები შეიჭრნენ ეგვიპტის, იორდანიის და სირიის ტე-

რიტორიაზე. 7 ივნისს აიღეს იერუსალიმი, 10 ივნისს დაიპყრეს სირიის ჰოლანის სიმაღლეები. სამხედრო მოქმედებები სულ ექვს დღეს გრძელდებოდა, რის გამოც ომს ეწოდა „ექვსდღიანი“. ომის მსვლელობისას ისრაელმა ხე- ლში ჩაიგდო:

ეგვიპტის - სინას ნახევარკუნძული, ღაზის სექტორი, სუეცის არხის ზონა; **იორდანიის** - მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი, რომელიც ისრაელის არმიისთვის უზრუნველყოფდა ეგრეთ წოდებულ „სტრატეგიულ სიღრმეს“, ასევე, აღმოსავლეთ იერუსალიმი; **სირიის** - დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ჰოლანის სიმაღლეები.

სწორედ „ექვსდღიანი ომის“ დროს გამოიჩინეს თავი სამხედრო მეთაურთა ასპარეზზე ისრაელის გენერლებმა, შემდგომში მნიშვნელოვანი როლი რომ შეასრულეს ამ სახელმწიფოს პოლიტიკასა და მთავრობაში: მოშე დაიანი (იმდროინდელი თავდაცვის მინისტრი, შემდგომ კი, მ. ბეგინის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრი), იცხაკ რაბინი (ისრაელის არმიის გენერალური შტაბის უფროსი და შემდგომ, ისრაელის პრემიერ-მინისტრი, აგრეთვე იორდანიასა და პალესტინასთან სამშვიდობო შეთანხმებების არქიტექტორი), იგალ ალონი, არიელ შარონი (მომავალი პრემიერ-მინისტრი) და სხვ.

სამხედრო გამარჯვებამ უზრუნველყო ისრაელისთვის უპირატესობა, რომლებსაც სამხედრო სპეციალისტები უწოდებენ „სტრატეგიულ სიღრმეს“, ესე იგი, ტერიტორიული სივრცე, რომელიც მტერმა აუცილებლად უნდა გადალახოს, სანამ არ მიაღწევს საკუთრივ ისრაელის ტერიტორიას. ისრაელის მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელები სწორედ რომ აფასებდნენ არაბულ ქვეყნებზე წართმეულ ტერიტორიებს, როგორც სტრატეგიულ სიდიდეს.

ორმა ბირთვულმა ზესახელმწიფომ კვლავ ნათლად გამოკვეთა თავისი პოზიცია. მაგრამ ამჟამად, ის განსხვავდებოდა 1956 წლის სუეცის კრიზისის დროის პოზიციისგან. აშშ-ი აშკარად დადგა ისრაელის მხარეზე, სსრ კავშირი კი არაბეთის ქვეყნების. კვლავ, როგორც 1956 წელს, სსრკ-ი დაემუქრა ისრაელს პირდაპირი ჩარევით, როდესაც ისრაელის ტანკებმა იმდენად წაიწიეს წინ, რომ იმყოფებოდნენ 30 კმ დამა-სკოდან. საბჭოთა მთავრობამ თავის 1967 წლის 10 ივნისის ნოტაში გააფრთხილა ისრაელის მთავრობა: "თუ ისრაელი დაუყონებლივ არ შეწყვეტს სამხედრო მოქმედებებს, საბჭოთა კავშირი, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად, ისრაელის მიმართ გამოიყენებს სანქციებს ყველა აქედან გამო-მდინარე შედეგებით". საბჭოთა სამხედრო ჩარევის მუქარამ აიძულა ისრაელის სარდლობა შეეჩერებინა თავისი ნაწილები, მიმართული სირიის დედაქალაქისკენ და განელაგებინა ისინი ჰოლანის სიმაღლეებზე. ომის კრიტიკულ მომენტში, 1967 წლის 10 ივნისს, როდესაც ეგვიპტის და სირიის მეგობრული რეჟიმების ბედი „ძაფზე ეკიდა", სსრკ-ის მთავრობამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან. ეს უფრო კონიუნქტურული გადაწყვეტილება იყო, მიმართული მოსკოვის პრესტიჟის ამაღლებაზე არაბულ სამყაროში. ასეც მოხდა. შესაძლებელია, ტაქტიკურად ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან მოსკოვმა ამოწურა ყველა შესაძლო მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალება, რათა შეეჩერებინა ისრაელის მიერ არაბული მიწების დაპყრობა. მაგრამ, თუ შევაფასებთ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას ისტორიულ პერსპექტივაში, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სსრ კავშირმა დაკარგა შესაძლებლობა, ყოფილიყო შუამავალი სამშვიდობო მოლაპარაკებებზე და უშუალო ზეგავლენა მოეხდინა ისრაელზე.

1967 წლის ომს ნეგატიური პოლიტიკური შედეგები ჰქონდა კონფლიქტის გადაჭრისთვის. ისრაელმა შთამბეჭდავი სამხედრო გამარჯვება მოიპოვა. ამასთან, პალესტინის პრობლემის ყველა შემადგენელმა ახალი თვისება შეიძინა. ასე, მაგალითად, ისრაელის ოკუპაციამ გამოიწვია ებრაული დასახლებების შექმნა პალესტინის დაპყრობილ ტერიტორიაზე. ებრაული დასახლებები, მათი არსებობა იქცნენ არაბ-ისრაელის საერთო პრობლემის შემადგენელ ელემენტად. ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების სერიოზული განხილვის მომენტისთვის, 1990-იან წლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაიზარდა ებრაელ-ახალმოსახლეთა მთელი თაობა, რომლისთვის მშობლიურ ადგილებს წარმოადგენდნენ ჰოლანის სიმაღლეები, მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი, ღაზას სექტორი და სინას ნახევარკუნძული. ეს იყო არა აბსტრაქტული, არამედ ძალზე ხელშესახები სამშობლო, რადგან დასახლებულებს უწევდათ ბრძოლა მტრულ არაბულ მოსახლეობასთან და ბრძოლა წყლისთვის; მათვე უნდა უზრუნველეყოთ ისრაელის სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციების უსაფრთხოება.

არაბულმა სამყარომ ძალზე მკვეთრი რეაგირება მოახ-დინა ომის შედეგებზე. 1967 წლის სექტემბერში, ქალაქ ხარ-თუმში შედგა სახელმწიფოთა მეთაურების სრულიად არაბე-თის კონფერენცია. მისი ძირითადი პოლიტიკური რეზოლუცია სამ „არას" აცხადებდა:

არა - ისრაელის აღიარებას!

არა - ისრაელთან მოლაპარაკებებს!

არა - მშვიდობას ისრაელთან!

არაბთა კონფრონტაციამ ისრაელთან აბსოლუტურ, უმაღლეს წერტილს მიაღწია. არაბული ქვეყნების ხელმძღვანელებმა ასევე მოილაპარაკეს ძალისხმევის კოორდინაციის შესახებ პოლიტი-

კურ, სამხედრო და დიპლომატიურ სფეროებში, რათა მიეღწიათ ისრაელის ძალების სასწრაფოდ გამოყვანისთვის დაპყრობილ ტერიტორიებიდან მიიღეს გადაწყვეტილება ნავთობმოპოვების, როგორც იარაღის, გამოყენების შესახებ ისრაელის და მის მხარდამჭერ ქვეყნების წინააღმდეგ ომში. შემდგომში „ნავთობის ემბარგომ“ თავისი როლი შეასრულა ახლო აღმოსავლეთში მომხდარ 1973 წლის ომში. ხართუმის რეზოლუცია აცხადებდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდის შექმნას, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნების მხარდაჭერისთვის, რომლებიც ისრაელის თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. საუდის არაბეთმა, ქუვეითის სახელმწიფომ და ლიბიის სამეფომ ვალ-დებულება აიღეს, ყოველწლიურად შეეტანათ ისრაელის აგ-რესიის შედეგების ლიკვიდაციის ფონდში შემდეგი ოდენობის თანხები: საუდის არაბეთი - 50 მლნ ფუნტი, ქუვეითი - 55 მლნ ფუნტი, ლიბია - 30 მლნ ფუნტი. ხართუმის თათბირის გადაწყვეტილებებს ისრაელის პროპაგანდა ხშირად იყენებდა როგორც მოწმობას არაბული ქვეყნების „აგრესიულობის“ და „დაუთმობლობისა“ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დარეგულირების საკითხში. აუცილებელია დაემატოს, რომ ხართუმის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეწყოთ არაბულ ქვეყნებში მდებარე უცხოური ბაზების ლიკვიდაცია. ეს გადაწყვეტილება ასევე მოწმობდა ღრმა უკმაყოფილებას და გულგატეხილობას, რამაც მოიცვა არაბეთის ქვეყნების ლიდერები დასავლეთის ქვეყნების მიერ 1967 წლის ომში აშკარად ისრაელის მხარდამჭერი პოზიციის დაკავების გამო.

პალესტინურმა ორგანიზაციებმა, თვით პალესტინაში და მის ფარგლებს გარეთ გაბნეულებმა, ასევე უკიდურესად მკვეთრი პოზიცია დაიკავეს. მათ მოახდინეს თავისი ძალისხმევის კოორდინაცია იმ პოლიტიკის ფარგლებში, რომელსაც ატარებდა

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (პგო). ეს ორგანიზაცია, თავისი არსებობის დასაწყისში რომ ჰგავდა ეგვიპტის მთავრობის მიერ მართვად სტრუქტურას, შექმნილი ქაიროს დახმარებით, დროთა განმავლობაში უფრო დამოუკიდებელი ორგანიზაცია გახდა, რომელიც საკუთრივ პალესტინის ინტერესებს იცავდა. 1968 წელს, ქაიროში ტარდებოდა პალესტინის ეროვნული საბჭოს - დევნილობაში მყოფი პარლამენტის - სხდომა, რომელმაც პალესტინის ეროვნული ქარტია მიიღო. ეს დოკუმენტი ტოტალურ ომს უცხადებდა ისრაელს, ამ უკანასკნელის განადგურებამდეც კი. შეიარაღებული ბრძოლა, რომელშიც პგო-ს ცენტრალური ადგილი ეკავა, გახდა პალესტინის განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი საშუალება. ქარტია განასახიერებდა პალესტინის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომელიც, ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, არაბული სახელმწიფოების მარცხით 1967 წლის ომში, ისრაელის სამხედრო გამარჯვებით, აგრეთვე პალესტინის მოსახლეობის შესვლით ებრაელთა მხრიდან ოკუპაციის პერიოდში. მეორე მხრივ, ეროვნული ძალების გამარჯვებებმა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში და პგო-ს მზარდმა მხარდაჭერამ სსრ კავშირის მხრიდან, განაპირობეს სამხედრო საშუალებების ცენტრალური ადგილი პალესტინელთა პოლიტიკაში, მიმართული რომ იყო პალესტინის პრობლემის გადაჭრაზე.

საერთაშორისო თანამეგობრობა შეეცადა ხელი შეეწყო კონფლიქტის მოგვარებისთვის. 1967 წლის 24 ნოემბერს, გაე-როს უშიშროების საბჭომ, ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, მიიღო რეზოლუცია № 242. ამ რეზოლუციის ტექსტში ჩადებული პრინციპები საკმაოდ უნივერსალური იყო, ამიტომაც იქცა ის 1970, 1980-იან და 1990-იან წლებში ჩატარებული არაბ-ისრაელის სამშვიდობო მოლაპარაკებების საფუძვლად. უნდა აღინიშნოს, რომ

უკიდურესმა, ექსტრემისტულმა ძალებმა არაბულ და ებრაულ პოლიტიკურ წრეებში არ მიიღეს ეს რეზოლუცია. №242 რეზოლუციამ დაპირისპირებულ მხარეებს შესთავაზა კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების შემდეგი პრინციპები:

1. ისრაელის შეიარაღებული ძალების გამოყვანა უკანასკნელი კონფლიქტისას ოკუპირებულ ტერიტორიებიდან.

2. ყველა მოთხოვნების ან მტრული განცხადებების შეწ-ყვეტა და რეგიონის ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემა და აღიარება, ისევე, როგორც მათი უფლებისა, იცხოვრონ მშვიდობიანად, უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებში, თავისუფლად ძალის გამოყენების მუქარისა ან აქტებისაგან;

3. ნაოსნობის თავისუფლების გარანტია რეგიონის საერთაშორისო წყლებში;

4. ლტოლვილთა პრობლემის სამართლიანი დარეგულირების მიღწევა;

5. რეგიონში მდებარე ყოველი სახელმწიფოს ტერიტო-რიული ხელშეუხებლობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარანტია იმ ზომების საშუალებით, რომლებიც დემილიტარიზებული ზონების შექმნას ითვალისწინებენ;

6. გაეროს გენერალური მდივანი ნიშნავს სპეციალურ წარმომადგენელს რეგიონში, რომელიც ჩამოვა ახლო აღმოსავლეთში, რათა კონფლიქტის მონაწილე-სახელმწიფოებთან დაამყაროს და ჰქონდეს კონტაქტები იმ მიზნით, რომ მიაღწიოს თანხმობას და ხელი შეუწყოს ძალისხმევას, მიმართულს სამართლიანი და საყოველთაოდ აღიარებული დარეგულირების მიღწევაზე.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია იყო ვარიანტი 1967 წლის საერთაშორისო კრიზისიდან გამოსვლისა, შეთან-

ხმებული დიდ სახელმწიფოებს შორის. ის შეიცავდა დებულებებს, მისაღებს არაბული და ებრაული მხარეებისთვის. ისრაელის ძალების გამოყვანა ოკუპირებულ ტერიტორიებიდან აკმაყოფილებდა ეგვიპტის, სირიის, იორდანიის და, გარკვეულწილად, პალესტინელთა ინტერესებს. პუნქტი „ტერიტორიულ მთლიანობაზე“ და რეგიონის ყოველი სახელმწიფოს უფლებაზე იცხოვროს „მშვიდობით, უსაფრთხო და საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში“, ყველაზე მეტად პასუხობდა ისრაელის ინტერესებს, რადგან იმ დროს არაბული ქვეყნები უარყოფდნენ მის უფლებას არსებობაზე. იმ კონკრეტულ პირობებში რეზოლუცია უფრო ებრაული სახელმწიფოს მხარეს იხრებოდა. კონფლიქტის მხარეებს ის წარმართავდა პირდაპირ მოლაპარაკებებისკენ, რომელსაც თელავივი ახლა უფრო მომგებიან სამხედრო-გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პოზიციებიდან წაიყვანდა. გარდა ამისა, რეზოლუცია 242-ს პალესტინელთა პრობლემა დაყავდა ლტოლვილთა პრობლემამდე, მაგრამ ის არაფერს ამბობდა თვითგამორკვევასა და არაბთა დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ. მიუხედავად ამისა, რეზოლუცია აღმოჩნდა ყველაზე წარმატებული გეგმა არაბ-ებრაელთა ურთიერთობების კომპლექსური დარეგულირებისა. 1990-იანი წლების დასაწყისისთვის კონფლიქტთან ასე თუ ისე დაკავშირებულმა პრაქტიკულად ყველა მხარემ აღიარა მისი დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა.

არაბ-ისრაელის კონფლიქტის დინამიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და 1970-იანი წლების დაწყებამდე, მოწმობდა სერიოზული წინააღმდეგობების ზრდას პლანეტის წამყვან სახელმწიფოებს შორის და მსოფლიო თანამეგობრობის უუნარობას უზრუნველყოს რეგიონული კონფლიქტის გრძელვადიანი დარეგულირება. კონფლიქტის ესკალაციას ორი ძირითადი ტენ-

დენცია ახასიათებდა. ერთი მხრივ, ეს იყო უკიდურესი გამწვავება არაბულ სამყაროსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობის მთელი კომპლექსისა, რომელშიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პალესტინური კომპონენტი. მეორე მხრივ, დაპირისპირებული ბლოკების დიდი სახელმწიფოების ჩარევა შუამავლობისა და დაშოშმინების მიზნით, არამარტო არ უწყობდა ხელს სადავო საკითხების გადაჭრას, არამედ ისეთი უკიდურესად საშიში და არაპროგნოზირებადი მოვლენა გამოიწვია, როგორიცაა კონფლიქტის პოლარიზაცია. ორი დაპირისპირებული მხარე თავისთავს აიგივებდა საბჭოთა და კაპიტალისტურ ბლოკთან. ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის დავის პრობლემათა მოუწესრიგებლობამ ისეთი ნეგატიური მოვლენები გამოიწვია, როგორებიცაა გამალებული შეიარაღება რეგიონულ დონეზე, საერთაშორისო ტერორიზმი, არსებობა პალესტინელ ლტოლვილთა უზარმაზარი მასისა, რომელმაც აავსო არამარტო არაბული, არამედ ევროპული სახელმწიფოების ტერიტორიები, და რიგი სხვა საკითხები. 1970-იანი წლების საერთაშორისო დაძაბულობის შენელებამ მხოლოდ მოკლე დროით უზრუნველყო მოჩვენებითი სტაბილურობა კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის, რეალურად კი ნიშნავდა კონფლიქტის სტაგნაციას საშიშ სტადიაში.

4. მახლობელი და შუა აღმოსავლეთი 1970-1990-იან წლებში.

მახლობელ და შუა აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ნიშნები 1970-1990 წლებში. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დიდი ბრიტანეთი წავიდა სპარსეთის ყურედან - ინგლისელთა ჯარები ევაკუირებული იქნენ, ომანმა (1970), ბაჰრეინმა, ყატარმა (1971) მიიღეს დამოუკიდებლობა, ე. წ. შეთანხმების ომანის შვიდი სამთავრო კი გაერთიანდა ფედერაციად - არაბთა გაერთიანებულ საემიროებად (აგს). კოლონიალიზმის ეპოქა დასრულდა.

და მაინც, მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობები შეიცავდნენ არამარტო აქ მდებარე ქვეყნებს შორის ურთიერთობებს (ზოგიერთ შემთხვევაში, არა იმდენადაც), არამედ დიდი სახელმწიფოების (აშშ-ი, სსრკ-ი), რეგიონს გარეთ მყოფ სხვა სახელმწიფოთა, პირველ რიგში, დასავლეთის, პოლიტიკასაც, რომელსაც ისინი ატარებდნენ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. უფრო მეტი, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდის, საერთო მსოფლიო მეურნეობის და ბაზრის ჩამოყალიბების (ე. წ. გლობალიზაციის) შესაბამისად, რეგიონი სულ უფრო ხშირად ხვდებოდა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე დასავლეთის ეკონომიკის დამოკიდებულების ზრდასთან, განსაკუთრებით, 1973 წლის კრიზისის შემდეგ და, პირიქით, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაზე მსოფლიოს ნავთობის ბაზრის მდგომარეობის და საერთო მსოფლიო ეკონომიკური პროცესების უკუ გავლენაზე.

ამრიგად, ახლო და შუა აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს:

1. ურთიერთობებს რეგიონის ქვეყნებს შორის;

2. გარე ძალების პოლიტიკას რეგიონში, რეგიონის ქვეყნებისა და რეგიონის გარე ძალების ურთიერთობებს;

3.რეგიონის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში, წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ შეფარდებას და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას მთლიანობაში.

მხედველობაში მისაღებია, რომ განხილვად პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტებად (აქტორებად) რეგიონში, სახელმწიფოების გარდა, აქტიურად მოქმედებდნენ სუბ- და ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურები: პირველ შემთხვევაში ეს შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ტერორისტული ჯგუფები, ეთნიკური და რელიგიური მოძრაობები და ა. შ., მეორეში კი, ისეთი სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებები, როგორებიც არის არაბულ სახელმწიფოთა ლიგა (ასლ), ორგანიზაცია ისლამური კონფერენცია (ოიკ), ნავთობმომპოვებელი ქვეყნების გაერთიანება, მიუმხრობლობის მოძრაობა, სპარსეთის ყურეს არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭო (სყასთს) და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეთო). თანაც, სუბეროვნული დონის მრავალი აქტორი, სრულიადაც შესაძლებელია, ინტერნაციონალიზაციას დაექვემდებაროს, რის მაგალითი შეიძლება იყოს „მუსლიმ ძმათა“ თავდაპირველად ეგვიპტური ორგანიზაციის გავრცელება რეგიონის სხვა ქვეყნებში, ქურთთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და სხვ.

რეგიონში მდებარე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შედარებით ერთიანი, შეთანხმებული პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკ-ი) და, მეტნაკლებად, სყასთს-ი. პირველის კორპორაციული სოლიდარობა მიიღწეოდა მის წევრთა სისხლხორცეული ეკონომიკური ინტერესებით და ნავთობის იმპორტიორთა სახით საერთო „მტრის“ არსებობით, მეორე კი შედგებოდა ახლო ინტერესების

მქონე სულიერად ახლო აბსოლუტური მონარქიული რეჟიმებისგან. ასლ-ი და ოიკ-ი იყო ამორფული ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად მოწოდებული იყვნენ ხაზი გაესვათ თავისი წევრების არაბულ (პირველ შემთხვევაში) და ისლამურ (მეორე შემთხვევაში) იდენტობისთვის და, შესაბამისად, ხელი შეეწყოთ არაბული და ისლამური სოლიდარობისთვის. მათ არ შეეძლოთ, შეეწყვიტათ კონფრონტაციაც კი თავის წევრებს შორის და, შედარებითი ერთსულოვნების იშვიათ შემთხვევებში, ღებულობდნენ დამგმობ რეზოლუციებს ისრაელის (პალესტინის ოკუპაციის გამო), ეგვიპტის (ისრაელთან კემპდევიდის გარიგების გამო) და საბჭოთა კავშირის (ავღანეთში ომის გამო) მისამართით.

რეგიონის ქვეყნებს ერთმანეთთან ძირითადად ჰქონდათ ორმხრივი და, იშვიათ შემთხვევაში, მრავალმხრივი კავშირები, როგორც წესი, არაფორმალურ და კონიუნქტურულ საფუძველზე.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთგავლენა დამახასიათებელია რეგიონის სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის, და რეგიონის ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ახლო და შუა აღმოსავლეთში (აშა) საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას. ცალკეული ქვეყნების შიდაპოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთმა მოვლენამ, ისეთმა, როგორიცაა ირანის 1979 წლის ისლამური რევოლუცია, უდიდესი რეზონანსი გამოიწვია რეგიონში და საკმაო გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ცივილიზაციური ფაქტორიც, თუმცა აღმოსავლეთის ისტორიის ე. წ. „კოლონიურმა პერიოდმა“ მოახდინა მისი ბუნებრივი განვითარების ძლიერი კორექტირება. თანამედროვე აღმოსავლეთი ძლიერად არის ინ-

ტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში, მაგრამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ აღმოსავლეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, ის ცივილიზაციური ფონი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების რეალიებს, მათი ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს და, ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობებს რეგიონში. აქ, აღმოსავლური პოლიტიკური სისტემის ტრადიციულ თავისებურებებთან, სოციალური პრაქტიკის დამახასიათებელი ელემენტების (სხვადასხვა პატრიარქალური არაფორმალური ურთიერთობები), ტრადიციული სამეურნეო წყობის (ისეთების, როგორც, მაგალითად, ბაზარია), კულტურისა და ეთნიკური თავისებურებების ერთად უნდა აღინიშნოს რელიგიის განსაკუთრებით შესამჩნევი როლი.

ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან აშა წარმოადგენს „ისლამური სამყაროს“ ტრადიციულ რეგიონს, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ახლო აღმოსავლეთი (პალესტინა) ასევე არის სამშობლო ქრისტიანობისა და იუდაიზმისაც. ამ უკანასკნელის მიმდევრები შეადგენენ ისრაელის მოსახლეობის უმრავლესობას, ქრისტიანები კი (ძირითადად, აღმოსავლეთის ეკლესიების) მოსახლეობის უმრავლესობას კვიპროსზე და მნიშვნელოვან რელიგიურ უმცირესობას აშა-ს მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ლიბანში (50 პროცენტამდე), სირიაში, იორდანიაში, თურქეთში, ეგვიპტესა და სხვ.; ირანში შემორჩენილია ზოროასტრიზმის მიმდევრები, იქიდანვე გავრცელდა მთელ მსოფლიოში სექტა „ბაჰას რჯული“, ქურთებს შორის არიან სინკრეტული კულტის მიმდევრები - იეზიდები.

ისლამში, გარდა ორი მსხვილი მიმდინარეობისა - სუნიზმი და შიიზმი - არის მრავალი დინება, სექტა, მიმართულება (განსაკუთრებით, შიიზმში), რადგან ისლამში არასოდეს არ ყოფილა ეკლესია, როგორც ინსტიტუტი და, შესაბამისად, ღვთისმეტყველების ერთიანი ტრადიცია. რელიგიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისლამური მისტიციზმის - სუფიზმის მიმდინარეობები. განხილვად პერიოდში განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ე. წ. „პოლიტიკურმა ისლამმა“ („ისლამიზმმა“) - ამნაირი სახელწოდება მიიღო ფართო წრეებში, განსაკუთრებით, დასავლეთში, სხვადასხვა ჯგუფის სოციალ-პოლიტიკურმა სწავლებებმა, რომლებიც ისლამს განიხილავდნენ, როგორც თავისი იდეოლოგიის ნაწილს (ან როგორც საკუთრივ, იდეოლოგიას). აშა-ში არსებული რელიგიურ-პოლიტიკური, კერძოდ, ისლამური ჯგუფების შესახებ საუბრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი უკიდურესად განსხვავებული ხასიათი და ფორმა, და არ არის საჭირო მათი მექანიკური გაერთიანება.

ეთნო-ეროვნული და რელიგიური სიჭრელე, სოციალ-ეკონომიკური წყობების მრავალფეროვნება, ისტორიული განვითარების, კულტურის და მენტალიტეტის თავისებურებები განსაზღვრავენ ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონის, „ისლამური სამყაროს“ შუაგულის, ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციათა მემკვიდრის თავისებურებას და შესაბამის გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებზე რეგიონში.

როგორც ცნობილია, აშა-ს რეგიონი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი არასტაბილურობით და კონფლიქტოგენ-ურობით. მრავალი სახელმწიფოთაშორისი, ეთნოსთაშორისი კონფლიქტის საფუძველი ჩადებული იყო ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. განხილვად პერიოდში გრძელდებოდა რეგიონზე აშშ-ი - სსრ კავშირის გლობალური დაპირისპირების გავრცელება (1991 წელს სსრკ-ის დაშლამდე), ისეც ვერ მოინ- ახა პალესტინის

საკითხის გადაჭრის გზა, უფრო მეტი, რეგიონმა კიდევ ერთი მასშტაბური არაბ-ისრაელის ომი გადაიტანა (1973 წლის ე. წ. „განკითხვის დღის ომი“), კონფლიქტი გავრცელდა ლიბანზე (1982 წელი), სადაც სამოქალაქო ომმაც იფეთქა. რიგი კონფლიქტები, მათ შორის ისეთებიც, XXI საუკუნის ზღურბლზეც რომ გრძელდებოდნენ, წარმოიშვნენ ან გამწვავდნენ სწორედ 1970 წლის შემდეგ: გარდა უკვე დასახელებული ლიბანის კრიზისისა, ეს არის კვიპროსის კონფლიქტი (1974 წლიდან), სამოქალაქო ომი ავღანეთში (1978 წლიდან), ირან-ერაყის ომი (1980-1988 წლები), ქუვეით-ერაყის კრიზისი (1990-1991 წლები და დღემდე), 1970-1990 წლებში პერიოდულად მწვავდებოდა ქურთთა პრობლემა, აგრეთვე სხვადასხვა ინტენსიურობის რიგი სხვა პრობლემაც.

რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ნახშირწყალბადის ნედლეულის რესურსები სულაც არ უწყობდნენ ხელს სტაბილურობას რეგიონში, რადგან მისკენ მიმართავდნენ მთელი მსოფლიოს და, განსაკუთრებით, აშშ-ის გაზრდილ ყურადღებას, რაც ყველაფრის გარდა, გამოიხატებოდა ამ უკანასკნელის მისწრაფებაში, განემტკიცებინა თავისი სამხედრო-პოლიტიკური ყოფნა რეგიონში მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ.

გლობალური ბიპოლარული დაპირისპირება აშა-ს რეგიონში 1970-1991 წლებში ძირითადად ვლინდებოდა ორი ზესახელმწიფოს ბრძოლაში, რომლის მიზანი იყო თავის მხარეზე, ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკსა თუ ალიანსში გადაეყვანათ რეგიონის ქვეყნები ან თავის გავლენის სფეროში შეენარჩუნებინათ ისინი. იდეოლოგიურ ასპექტში ეს ყოველ ბანაკში ვლინდებოდა ან ამა თუ იმ ქვეყნის ასოცირებაში ე. წ.

„თავისუფალ სამყაროსთან“ (აშშ-ის მოკავშირეები), ან მათ პოზიციონირებაში, შესაბამისად, როგორც „სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარების“, „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების“, ან „პროგრესული ანტიიმპერიალისტური სახელმწიფოების“ (სსრკ-ის მოკავშირეები). იდეოლოგიურ იმპერატივებად საწინააღმდეგო ბანაკისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ცხადდებოდა ანტიკომუნიზმი და ანტიიმპერიალიზმი.

ძალიან დამახასიათებელი მოვლენა იყო რეგიონში მიუმხრობლობის მოძრაობის პოზიციების სისუსტე, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა მისი წევრი იყო. ირანში 1979 წელს მომხდარ ისლამურ რევოლუციამდე, რომელმაც გამოაცხადა ლოზუნგი „არა დასავლეთი, არა აღმოსავლეთი, არამედ ისლამი“ და ამით გააცხადა ცივი ომის ორი ბანაკის, შემდეგ კი ე. წ. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ამერიკული ვერსიის „ისლამური ალტერნატივის“ ერთ-ერთი ვარიანტი, საკმაოდ იოლი იყო ბიპოლარულ სიბრტყეზე ამა თუ იმ ქვეყნის იდენტიფიცირება. აშშ-ის, ე. წ. „თავისუფალი სამყაროს ქვეყნებს“ მიეკუთვნებოდნენ თურქეთი, ირანი (1979 წლამდე), პაკისტანი, საუდის არაბეთი და ყველა სხვა არაბული მონარქიები, ეგვიპტე (ნასერის გარდაცვალების შემდეგ, 1970-იანი წლების დასაწყისიდან), ისრაელი; პროსაბჭოთა პოზიციები ეკავათ: სირიას, ერაყს, სამხრეთ იემენს (ისდრ), ავღანეთს (1978 წლიდან), ლიბიას, ალჟირს. სხვა ქვეყნები მიუმხრობლებად ითვლებოდნენ.

სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების მშენებლობაში უფ-რო წარმატებული იყო აშშ-ი, რომელმაც ჯერ კიდევ 1952 წელს ნატოში შეიყვანა თურქეთი და იმავე ქვეყანა, ირანსა და პაკის-

ტანთან ერთად, შეიყვანა სენტოში[2], თუმცა ეს უკანასკნელი აქტიურობით არ გამოირჩეოდა და დაიშალა 1979 წლის ისლამისტური რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა კავშირი შემოიფარგლებოდა მეგობრობასა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების ტიპის ორმხრივი შეთანხმებებით ერაყთან (1972 წელი) და სირიასთან (1980 წელი). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი სახელმწიფო-პატრონების და მათი რეგიონულ კლიენტ-ქვეყნების არაფორმალურ ურთიერთობებს, ყველაზე ნათლად რომ გამოჩნდა აშშ-ისრაელის მჭიდრო ურთიერთობებში.

თუმცა, რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში მათი ყოფნა ამა თუ იმ ბლოკში ყოველთვის არ განსაზღვრავდა მათივე ქცევას კონკრეტულ ვითარებაში. სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ რეჟიმებს შეეძლოთ, ზოგიერთ შემთხვევაში გაეტარებინათ ისეთი პოლიტიკა, რომელიც აწყობდა არა იმ ბლოკს, რომელსაც თითქოსდა მიეკუთვნებოდნენ ესენი, არამედ მოწინააღმდეგეს. ეს იმით აიხსნება, რომ რეგიონის სახელმწიფოები, თანდათან აძლიერებდნენ რა თავის დამოუკიდებლობას, ცდილობდნენ, გაეტარებინათ ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა და დიდი სახელმწიფო-პატრონები იძულებული იყვნენ, ანგარიში გაეწიათ ამისთვის. მეორე მხრივ, საუკუნებრივ აღმოსავლურ ტრადიციებზე დაფუძნებული ბევრი სახელმწიფოს მმართველი რეჟიმები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ყველაზე ნაკლებად ხელმძღვანელობდნენ რაღაც იდეოლოგიური იმპერატივებით, თუნდაც იმით, რომელსაც თითქოსდა იღებდნენ, გამომდინარე თავისი ორიენტაციიდან

[2] ბლოკში ასევე შედიოდნენ დიდი ბრიტანეთი, აშშ - როგორც მეთვალყურე, 1959 წლამდე -ასევე ერაყი (ამ დრომდე სენტო ცნობილი იყო, როგორც ბაღდადის პაქტი).

სსრკ-სა თუ აშშ-ზე, ატარებდნენ რა პოლიტიკას, დაფუძნებულს კონიუნქტურული სარგებლის მოსაზრებებზე, არც თუ ისე იშვიათად ეწეოდნენ რა აშკარა ვაჭრობას ზესახელმწიფოებთან. ამასთან დაკავშირებით, ძალზე საჩვენებელია ეგვიპტის მაგალითი: ანვარ სადათის რეჟიმმა (1970-1981 წლები) გაიარა ევოლუციის გზა აშკარა პროსაბჭოთადან აშკარა პროამერიკულამდე.

არის სხვა მაგალითებიც: საუდის არაბეთმა და რიგმა სხვა არაბულმა მონარქიებმა, მიუხედავად თავისი პროდასავლური ორიენტაციისა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნავთობის ემბარგოში ისრაელის დასავლეთელი მოკავშირეების წინააღმდეგ 1973-1974 წლებში და „ფასების რევოლუციაში“, რომელმაც ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია; ვაშინგტონის „სტრატეგიულმა მოკავშირე“ ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ აშშ-ის გავლენის დაბალანსების მიზნით, არაერთხელ გააკეთა მეგობრული ჟესტი საბჭოთა კავშირის მისამართით; ერაყმა 1980 წელს ისე დაიწყო ომი ირანის წინააღმდეგ, რომ არც უცდია კონსულტაციების გავლა თავის მოკავშირე სსრ კავშირთან.

სსრკ-ის და აშშ-ის პოლიტიკაში, რომელსაც ისინი ამ რეგიონში ატარებდნენ, აშკარა სამხედრო კომპონენტიც იყო. ამერიკას მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში განლაგებული ჰყავდა თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების მნიშვნელოვანი კონტინგენტები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაში და სპარსეთის ყურეში, არ ერიდებოდა რა მათ გამოყენებას, როგორც ზეწოლის ელემენტს თავისი ახლოაღმოსავლური პოლიტიკისა თურქეთთან შეთანხმების მიხედვით, რომელიც ხელმოწერილი იყო ჯერ კიდევ 1959 წელს. აშშ-ს განლაგებული ჰქონდა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები, მათ შორის სამხედრო-საჰაერო ბაზა ინჯირლიკში, ადანას მახლობ-

ლად. მას მსხვილი სამხედრო კონტინგენტები განლაგებული ჰყავდა საუდის არაბეთში, ქუვეითსა და სხვ. სპარსეთის ყურეში 1991 წლის ომის („ქარიშხალი უდაბნოში“) დროს და განაგრძნობენ იქ დისლოკაციას. თავისი სამხედრო არსებობა შეინარჩუნა ინგლისმაც (კვიპროსზე). ამერიკის და ნატოს რიგი სხვა წევრი-ქვეყნის ჯარებმა მონაწილეობა მიიღეს ლიბანის 1982 წლის მოვლენებში, ლიბიის დაბომბვაში (1986 წელი), ერ-აყთან ომში (1991). აშშ-ის და ე. წ. „მრავალეროვნული ძალებ- ბის“ სამხედრო ოპერაციას ერაყის წინააღმდეგ ქუვეითის 1990-1991 წლების კრიზისის დროს, განსაკუთრებული ადგილი უჭი-რავს. თავისთავად გამოიყოფა ამერიკის სამხედრო აქციაც - პირველად ასე მასობრივად და მასშტაბურად იყო გამოყენებული შეიარაღებების მაღალტექნოლოგიური სახეობების (თანამედროვე ავიაცია, სარაკეტო ტექნიკა და სხვ.) შესაძლებლობები. ხოლო კუვეითის კრიზისი - პირველი საჩვენებელი მაგალითი იყო რეგიონული კონფლიქტების „გლობალიზაციისა“ 1990-იანი წლების ახალ და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ამერიკული კონცეფციის რეალიზაციის პირობებში.

რომ არა საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში და მათი მონაწილეობა ამ ქვეყანაში 1979-1989 წლებში მიმდინარე ომში, საბჭოთა სამხედრო ყოფნა შეუდარებლად ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ამერიკელებისა. ავღანეთის ომი გახდა საბჭოთა ჯარების ყველაზე მსხვილი ოპერაცია მეორე მსოფლიო ომის დროიდან.

ორივე მხრიდან ფართოდ იყო გავრცელებული „მრჩევლების“ გაგზავნა ქვეყანა-კლიენტებში და აქტიური სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა მათთან.

რეგიონის ქვეყნებიდან სამხედრო აქტიურობით თავისი საზღვრების ფარგლებს გარეთ გამოირჩეოდნენ: ისრაელი (არაბ-ისრაელის კონფლიქტი, ინტერვენცია ლიბანში), თურქეთი

(კვიპროსი, ჩრდილოეთ ერაყი - ოპერაცია ქურთების წინააღმდეგ), სირია (ლიბანის ოკუპაცია), ირანი (შაჰის დროს ინტერვენცია ომანში, ისლამური რეჟიმის დროს - ლიბანში). ყველაზე მასშტაბური რეგიონული კონფლიქტები გახდა განუწყვეტელი არაბ-ისრაელის, სისხლისმღრელი ირან-ერაყის და დამანგრეველ-ტექნოგენური - ერაყ-ქუვეითის კრიზისი.

ეკონომიკის სფეროში აშა-ს რეგიონი ასევე გახდა მეტოქეობის არენა, მაგრამ უკვე არა აშშ-სა და სსრ კავშირს შორ- ის, არამედ მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ცენტრების - აშშ-ის, ევროპისა და იაპონიის ტრადიციულად ქცეული კონკურენციისა. მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში გახდა ნავთობზე ე. წ. „ფასების რევოლუცია“ და ნავთობის მსოფლიო ბაზრის გადანაწილება, რაც შედეგი იყო საერთაშორისო მონოპოლიებთან რეგიონის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ბრძოლისა. ნავთობისგან მიღებული შემოსავლის წყალობით, აშა გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ფინანსურ-ეკონომიკური ცენტრი. ნავთობმომპოვებელი ქვეყნების კავშირმა (ოპეკი), რომელშიც წამყვან როლს სპარსეთის ყურეს აუზ-ის და ჩრდილოეთ აფრიკის ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოები თამაშობდნენ, დაიწყო ნავთობის მსოფლიო ბაზრის გაკონტროლება.

სსრკ-ის მონაწილეობა ეკონომიკურ კონკურენციაში თავ-ისი ეკონომიკის სისუსტის და მისი არასაბაზრო ხასიათის გამო, შესამჩნევად ნაკლები იყო, მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი წარმატებით ავითარებდა ეკონომიკურ, განსაკუთრებით სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას თავის სატელიტებთან რეგიონში, უწევდა მათ ეკონომიკურ დახმარებას, ღებულობდა დაკვეთებს მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე,

მათ შორის, ისპაჰანის მეტალურგიულ კომბინატისა ირანში - ყველაზე მსხვილისა რეგიონში.

რუსეთი, განსაკუთრებით, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან[3], აქტიურად ცდილობს აღადგინოს და გააძლიეროს თავისი პოზიციები რეგიონში, ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რა სწორედ ეკონომიკურ მხარეს რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობისა. კერძოდ, რუსეთი ატარებს 1990 წელს ერაყის რეჟიმის მიმართ მიღებული საერთაშორისო სანქციების შესუსტების პოლიტიკას. მან პრინციპში შეძლო საკმაოდ მაღალ დონეზე შეენარჩუნებინა ურთიერთობები სსრ კავშირის ყოფილ „კლიენტებთან“ და მოკავშირეებთან, კერძოდ, სირიასთან, ასევე შეძლო არსებითი პროგრესისთვის მიეღწია ირანთან ურთიერთობებში, მაგრამ იმავდროულად, რუსეთი კავშირებს ავითარებს ოდეს საწინააღმდეგო ბანაკის ქვეყნებთანაც, მათ შორის, ისრაელთან.

ეკონომიკურ და ფინასურ დახმარებას, როგორც რეგიონში თავისი პოლიტიკის ინსტრუმენტს, აქტიურად იყენებდა აშშ-ი. ამერიკული დახმარების უდიდესი რეციპიენტები გახდნენ ისრაელი და ეგვიპტე. იღებდნენ რა უდიდეს შემოსავალს ნავთობისგან, ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით ქუვეითმა და საუდის არაბეთმა, ასევე დაიწყეს დახმარების გაწევა რეგიონის უღარიბეს ქვეყნებზე, როგორც ნავთობზე ფასის ზრდის კომპენსაციისა, აგრეთვე ნიშნად არაბული (ისლამური) სოლიდარობისა და პოლიტიკური მიზნებით. არაბთა შორის სოლიდარობის ხაზით დახმარების მიმღები გახდნენ ნავთობის იმპორტიორი არაბული ქვეყნები და „ფრონტისპირა“

[3] იმის შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ე. მ. პრიმაკოვი, აღმოსავლეთმცოდნე, „მრავალპოლუსიანი მსოფ-ლიოს“ კონცეფციის მომხრე.

სახელმწიფოები (იორდანია, ლიბანი, იემენის არაბული რესპუბლიკა, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სომალი, მაროკო და ა. შ., აგრეთვე პალესტინელები), ირან-ერაყის ომის დროს კი ერაყი.

სსრკ-ის დაშლამ 1991 წელს და ზესახელმწიფოების საყოველთაო მეტოქეობის შეწყვეტამ, დააყენეს საკითხი აშა-ს ადგილის შესახებ გლობალური კოორდინატების ახალ სისტემაში, და უფრო მეტი, საკითხი თვით ამ სისტემის ხასიათზე, ე. ი., „ახალ მსოფლიო წესრიგზე“, როგორი იქნება ის - მრავალპოლუსიანი თუ ერთპოლუსიანი?

1973 წლის ენერგეტიკული კრიზისი.ნავთობის აჟიოტაჟი ახლო და შუა აღმოსავლეთში და მისი შედეგები. მეოცე საუკუნის განმავლობაში ნავთობმა მტკიცედ დაიკავა წამყვანი ადგილი მთელი მსოფლიოს, განსაკუთრებით, დასავლეთის ინდუსტრიული სახელმწიფოების ენერგობალანსში, გამოაძევა რა აქედან ქვანახშირი და სხვა ნედლეული. გარდა ამისა, ნავთობი არის ნედლეული ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობისთვის, მისი გადამუშავების პროდუქტები კი - სათბობი სხვადასხვა სახის ტრანსპორტისთვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განვითარებულმა სახელმწიფოებმა ძირითადად დაიწყეს მოხმარება ნავთობისა, რომლის იმპორტს ახდენდნენ განვითარებადი ქვეყნებიდან, კერძოდ კი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, აგრეთვე, მექსიკიდან, ინდონეზიიდან, ნიგერიიდან, ვენესუელადან და სხვ.

იმპორტირებული ნავთობი იაფი ღირდა როგორც ბუნებრივი მიზეზებით (სარეწების ექპლუატაციის დაბალი ხარჯები, განსაკუთრებით საუდის არაბეთის საბადოებში - ნავთობის შემცველი შრეების ახლო მდებარეობა), ისე ფასების იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ატარებდა ე. წ. ნავთობის საერთაშორისო

კარტელი (ნსკ) - გაერთიანება შვიდი მსხვილი ამერიკული და ინგლის-ჰოლანდიის კორპორაცია, რომლებსაც აგრეთვე „შვიდ დას“ უწოდებდნენ. კარტელის კორპორაციებს ჰქონდათ მონოპოლია ნავთობის მსოფლიო ბაზარზე, რადგან საკონცესიო და ამგვარი შეთანხმებებით აკონტროლებდნენ ნავთობის მოპოვებას განვითარებად ქვეყნებში (ასევე აშშ-ში და სხვ.), მის გადამუშავებას და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადანაწილებას. ჰქონდათ რა ძირითადი მოგება ნავთობის გაყიდვასა და გადამუშავებიდან, კარტელის კორპორაციები არ იყვნენ დაინტერესებულნი, აემაღლებინათ საკუთრივ ნავთობის რენტა - მისი ფასის ის შემადგენელი, რომელიც მიდიოდა საკონცესიო, საგადასახადო და ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისთვის განკუთვნილ სხვა მოსაკრებლებზე. მეტიც, კარტელისთვის გარკვეულ დრომდე უფრო მომგებიანი იყო ნავთობზე დაბალი ფასები, როგორც კონკურენტებთან (ქვა-ნახშირის კომპანიები, ნავთობკომპანიები, რომლებიც კარტელში არ შედიოდნენ) ბრძოლის იარაღი და როგორც ინსტრუმენტი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, როგორც მრეწველობის სხვადასხვა დარგისთვის საჭირო ნედლეულის, წინსვლისა.

ბუნებრივია, რომ განვითარებადი ქვეყნები - ნავთობის ექსპორტიორები უკმაყოფილო იყვნენ ამ სიტუაციით და ცდილობდნენ, თავის ხელში აეღოთ კონტროლი ნავთობის ბაზარზე და შეეცვალათ ფასების პროპორციები. მაგრამ მათ კარგა ხანს ვერ შეძლეს ამის გაკეთება - აქ თავს იჩენდა განვითარებადი ქვეყნების საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა დასავლეთის ქვეყნებისგან და ეროვნული კადრების, როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიკურის არარსებობა. ძლიერი იყო დასავლეთის და ნსკ-ს კორპორაციების წინააღმდეგობაც ამგვარი ცდების მიმართ. ასე, ირანმა, სადაც ინგლის-ირანის ნავთობკომ-

პანიის (British Petroleum) სარეწები ნაციონალიზებული იყო ჯერ კიდევ 1951 წელს, ვერა და არა და ვერ მიიღო შესაძლებლობა დამოუკიდებლად განეკარგა თავი-სი ენერგორესურსები მსოფლიო ბაზარზე.

და მაინც, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა დაიწყეს ბრძოლა ნსკ-ს წინააღმდეგ თავისი უფლებებისთვის. ამისათვის, 1960 წელს შეიქმნა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკ-ი). ამჟამად ოპეკის საფუძველს წარმოადგენენ ახლო და შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები: საუდის არაბეთი, ქუვეითი, ირანი, ერაყი, ყატარი, არაბული ემირატების გაერთიანება, ალჟირი, ლიბია, მათ გარდა ორგანიზაციაში შედიან ვენესუელა, ინდონეზია, ნიგერია და სხვ. (სულ 13 სახელმწიფო). ორგანიზაციის ძირითადი მიზნები და საქმიანობის მიმართულებები გახდა: ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოების ხვედრითი წილის გაზრდა ნავთობმოპოვებიდან მიღებულ მოგებაში, ფასების ამაღლება ნავთობზე და ნავთობის კონცესიების ნაციონალიზაცია, მოგვიანებით კი, ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრის რეგულირება.

60-იანი წლების განმავლობაში ოპეკი კონსოლიდირებული გახდა როგორც ორგანიზაცია, მან დააგროვა გარკვეული გამოცდილება მონოპოლიებთან ბრძოლაში. ეროვნული ნავთობკომპანიების შექმნა, ტექნიკური სპეციალისტების და მმართველი კადრების მომზადება და ძალისხმევის კოოპერირება დასავლეთის ე. წ. „დამოუკიდებელ ნავთობკომპანიებთან“ (რომლებიც კარტელის წევრები არ იყვნენ) ნიადაგს ამზადებდა ნავთობით მსოფლიო ვაჭრობის სისტემის ტრანსფორმაციისთვის. 1973 წლისთვის ოპეკის ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით, ნავთობით მსოფლიო ვაჭრობის ადრინდელი სისტემა დაინგრა.

ალჟირის, ლიბიის და ერაყის რეჟიმებმა, რომლებსაც თანმიმდევრული ანტიიმპერიალისტური პოზიცია ეჭირათ, დაიწყეს ყველაზე რადიკალური ბრძოლა მონოპოლიებთან და 1970-1973 წლებში მოახდინეს საკონცესიო კომპანიების საკუთრების ნაციონალიზაცია, გაუზარდეს გადასახადები ნავთობის სექტორში მომუშავე უცხოურ კომპანიებს და გაზარდეს „მოსაკითხი ფასები“ ნავთობზე. მათ მაგალითს, ამა თუ იმ ფორმით, მიბაძეს ოპეკის სხვა სახელმწიფოებმა, 1980-იანი წლებისთვის ნავთობმოპოვება ყველა ქვეყანაში აღმოჩნდა სახელმწიფოების და ეროვნული ნავთობმომპოვებელი კომპანიების კონტროლქვეშ. იმავე პერიოდში (1970-1973) ოპეკის კონფერენციებზე გაიზარდა „მოსაკითხი ფასები“ ნავთობზე 1,8 დოლარიდან 3,63 დოლარამდე ერთი ბარელზე.

1973 წელს, ზემოაღნიშნულ ტენდენციებს დაემატა ნავთობის მოხმარების ზრდა, გამოწვეული დასავლეთსა და იაპონიაში ეკონომიკური გამოცოცხლებით, ოპეკის რიგ ქვეყანაში ნავთობმოპოვების შემცირება და, ბოლოს, ნავთობის ექსპორტიორი არაბული ქვეყნების ორგანიზაციაში (ოაპეკი)[4] გაერთიანებული სახელმწიფოების მიერ არაბ-ისრაელის ომთან (1973 წლის ოქტომბრის ომი ეგვიპტეს, სირიასა და ისრაელს შორის) დაკავშირებით შემოღებული ნავთობის ემბარგო აშშ-ის, ნიდერლანდების და დასავლეთის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ (დაიკეტა სუეცის არხი, რამაც გააძნელა ევროპის მომარაგება ახლო და შუა აღმოსავლეთის ნავთობით. დეკემბერში ოპეკ-ის კონფერენციამ ცალმხრივად გაზარდა ფასები ნავ-თობზე 12 დოლარამდე ბარელზე.

[4] ორგანიზაციის ინგლისურ სახელწოდებიდან - Orga-nisation of Petrol-Exporting Countries, ორგანიზაციის შტაბ-ბინა ვენაში მდებარეობს. მმართველი ორგანო არის მინისტრთა კონ-ფერენცია, რომელიც იკრიბება არანაკლებ ერთისა წელიწადში. ოპეკში, გარდა არაბული ქვეყნებისა, შედიოდნენ: ომანი, ბახ-რეინი, ტუნისი, სირია და ეკვადორი

მოხდა „ფასების რევოლუცია“ ნავთობის მსოფლიო ბაზარზე. ის გადავიდა ნავთობმომპოვებელ და ნავთობის ექსპორტიორი სახელმწიფოების კონტროლქვეშ, ნავთობის ბაზარი გახდა გამყიდველების და არა მყიდველების ბაზარი. ოპეკ-ი, რომელიც აკონტროლებდა ნავთობის მოპოვების 45-70 პროცენტს და მსოფლიო ბაზარზე მისი ექსპორტის 70-90 პროცენტს, გახდა ფასების მოკარნახე მონოპოლისტი.

ენერგეტიკულმა კრიზისმა, რომელიც გამოიხატა სათბობზე ფასების მკვეთრ ზრდასა და მის დეფიციტში, ძლიერი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას ევროპაში, იაპონიაში, ნაკლები - აშშ-ში, აგრეთვე განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ახდენდნენ ნავთობის იმპორტს. ამასთან, ნავთობის იმპორტიორ-ქვეყნების შიდა ბაზარზე ფასების მკვეთრ ზრდაში თავისი როლი შეასრულა ნსკ-ს კორპორაციების პოლიტიკამაც, რომლებიც შეგნებულად ზრდიდნენ ფასებს, რათა მოეხდინათ ნაციონალიზაციის მიერ მათთვის მიყენებული ზარალის კომპენსცია; ამცირებდნენ ნავთობის მოპოვებას აშშ-ში; ეწეოდნენ ნავთობით სპეკულაციას იმპორტიორ-სახელმწიფოთა შიდა ბაზარზე; იწვევდნენ პანიკას პუბლიკაციებით „ნავთობის შიმშილის“ შესახებ.

გარდა ოპეკ-ის ქვეყნების და სხვა სახელმწიფოებისა, რომლებიც ტრადიციულად ეწეოდნენ ნავთობის ექსპორტს, კრიზისმა მოგება მოუტანა სსრ კავშირსაც, რომელიც 1970-იან წლებში გახდა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი.

1974-1978 წლების შედარებითი სტაბილიზაციის შემდეგ, მსოფლიომ გადაიტანა ენერგეტიკული კრიზისის და ნავთობზე

ფასების ზრდის მორიგი ეტაპი 1979-1981 წლებში, დაკავშირებული ირანის ისლამურ რევოლუციასა და ირან-ერაყის ომის დაწყებასთან. ამ პერიოდში ფასებმა მაქსიმალურ დონეს მიაღწიეს - 38 დოლარს ბარელზე. 1982 წლიდან იწყება ნავთობზე მსოფლიო ფასების დაკლების ტენდენციის პერიოდი, გაზრდისკენ მერყეობით 1990 წელს (ერაყ-ქუვეითის კრიზისი) და 1990-იანი წლების დასასრულს (ნავთობმოპოვების შემცირება 1998 წლის აზიის ფინასური კრიზისის შემდეგ). მიუხედავად ამისა, მსოფლიო ფასები ნავთობზე, თუნდაც ინფლაციის ჩათვლით, არსებითად უფრო მაღალია, ვიდრე 1973 წლამდე, და ეს ფასი განისაზღვრება ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მიერ.

აშა-სთვის მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის მთავარი შედეგი გახდა ნავთობდოლარების მასობრივი შემოსვლა რეგიონში. 1973-1982 წლების განმავლობაში ფინანსური სახსრების ნაკადი დასავლეთის ქვეყნებიდან რეგიონში არსებითად აღემატებოდა უკუ ნაკადს, გადანაწილდა დამატებითი ღირებულების ნაწილი, რომელიც იქმნებოდა განვითარებულ ქვეყნებში მონოპოლიურად მაღალი ფასების ხარჯზე. პირობითად რომ ვთქვათ, ოპეკ-ს ქვეყნები ექსპლუატაციას უწევდნენ ნავთობის იმპორტიორ-სახელმწიფოების ეკონომიკებს.

ნავთობმომპოვებელმა სახელმწიფოებმა მიიღეს უზარმაზარი ფინანსური საშუალებები. დაიწყო ნავთობის ბუმი. ნავთობი და ნავთობდოლარები გახდა არამარტო რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების, არამედ მათი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტიც. ნავთობდოლარების ნაწილი წავიდა ეროვნული მრეწველობის, მათ შორის მანქანათმშენებლობის და სხვა ამნაირების შექმნაზე. ამ გზაზე განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის ქვეყნები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ გარკვეული სამრეწველო ბაზა: ალჟირი, ეგვიპტე, ირანი, ერაყი, სირია, ნაკ-

ლები დონით, საუდის არაბეთი და ყურეს ქვეყნები. ქუვეითი და ბაჰრეინი გახდნენ მსხვილი საფინანსო ცენტრები. სახსრების ნაწილი, რომელიც არ იქნა „გადახარშული“ ეროვნული ეკონომიკების მიერ, მიმართული იქნა მსოფლიოს საფინანსო ბაზრებზე. ნავთობის ექსპორტიორები იქცნენ უმსხვილეს ინვესტორებად, მათ შორის, დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებშიც. სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა თანამედროვე შეიარაღების შესყიდვაზე, ნავთობმომპოვებელი ქვეყნები რჩებიან ერთერთ მთავარ დამკვეთებად იარაღისა და საბრძოლო მასალების მსოფლიო ბაზარზე. უზარმაზარი სახსრები, განსაკუთრებით, არაბეთის მონარქიებში, დაიხარჯა ამბიციურ პროექტებზე, ფუფუნების საგნებზე მმართველი ოჯახებისა და არისტოკრატიისთვის. „ნავთობის შეიხების“ ფუფუნება გახდა საყოველთაოდ ცნობილი ამბავი. ნავთობიდან მიღებული უდიდესი შემოსავლების წყალობით, მცირედ დასახლებულ არაბულ მონარქიებში შესაძლებელი გახდა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი მასისთვის მიღწეული ყოფილიყო განვითარებული ქვეყნების თვალსაზრისითაც კი არნახული ცხოვრების დონე. ნავთობის ბუმის დაწ-ყების შემდეგ, სპარსეთის ყურეს ქვეყნებში დაიწყო მასობრი- ვი მიგრაცია სხვა არაბული ქვეყნებიდან, პაკისტანიდან, აფრ-იკიდან და ა. შ. იმიგრანტებმა შეადგინეს სამუშაო ძალის ძი-რითადი ნაწილი ყურეს ქვეყნების ეკონომიკებში, მათ შორ- ის, ნავთობის სარეწებზეც. ადგილობრივი მოსახლეობა კი მუშაობდა მმართველობის სფეროსა და ადმინისტრაციაში („თეთრი საყელოები“), ან ეწეოდა ტრადიციულ ცხოვრებას (მომთაბარე მესაქონლეობა), ღებულობდა რა უზარმაზარ თანხებს მხოლოდ იმიტომ, რომ იყო მონარქიის მოქალაქე (ქვეშევრდომი).

რეგიონის ქვეყნებისთვის ნავთობის ბუმის ნეგატიური შედეგი გახდა ის, რომ გაიზარდა რეგიონის ეკონომიკების დამოკიდებულება ნავთობის მსოფლიო ფასებზე. ნავთობის ექსპორტით დაკავებული ქვეყნების ბიუჯეტები მეტწილად ფორმირდებოდა ამ სფეროდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე, გადასახადებიდან და სხვა სფეროებიდან შემოსავლების საზიანოდ, რაც არაპროპორციულს ხდიდა რეგიონის ქვეყნების

ნავთობზე ფასების დინამიკა მსოფლიო ბაზარზე, 1970-1999



საფინანსო-საბიუჯეტო სისტემებს. ეკონომიკის ნავთობის სექტორი (ეროვნული ნავთობკომპანიები და მათი მომსახურე ინფრასტრუქტურა), როგორც წესი, ვითარდებოდა ეკონომიკის სხვა სექტორებისგან დამოუკიდებლად, რაც ასევე ქმნიდა სისტემურ გადახრას რეგიონის ქვეყნების ეკონომიკებში. უკანასკნელ პერიოდში რეგიონის ქვეყნები ცდილობენ, შეამცირონ თავისი დამოკიდებულება ნავთობდოლარებსა და ნავთობის მსოფლიო ფასებზე, მიისწრაფიან ეკონომიკის არასანავთობო

სფეროების განვითარებისკენ, ასევე ცდილობენ, განამტკიცონ საფინანსო დისციპლინა და გაზარდონ გადასახადების აკრეფის დონე არასანავთობო სფეროებში.

მეორე მხრივ, ენერგეტიკულმა კრიზისმა აჩვენა დასავლეთის ეკონომიკის დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე. აშა-ს რეგიონი, ნავთობის ფაქტორის წყალობით, იქცა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონად. ნავთობის ფაქტორი გახდა უმნიშვნელოვანესი კომპონენტი რეგიონში არსებული საერთაშორისო ურთიერთობებისა. პრაქტიკულად, ყველა მნიშვნელოვან მოვლენას გააჩნია თავისი „ნავთობშემადგენელი“. ეს შეეხება რეგიონულ კონფლიქტებსაც, რომელთაგან ბევრი იყო დაკავშირებული ან გამოწვეული ნავთობის შემცველი ტერიტორიებისთვის ბრძოლასთან (ირან-ერაყის ომი, ქუვეით-ერაყის კრიზისი, სასაზღვრო დავები სპარსეთის ყურეს შელფისთვის და სხვ.), ნავთობის ტრანსპორტირების საკითხთან (სუეცის არხზე, ორმუზის სრუტეში, სპარსეთის ყურეში და წითელ ზღვაზე ნაოსნობის თავისუფლების პრობლემები, სახმელეთო მილსადენების უსაფრთხოების და მიმართულების პრობლემა), ცდებთან, გავლენა მოეხდინათ ფასების მერყეობაზე ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე.

სწორედ, ნავთობის ფაქტორი იწვევს აშშ-ის, ევროპისა და იაპონიის გაზრდილ ყურადღებას აშა-ს რეგიონისადმი. თანაც, აქ არის არსებითი უთანხმოებები „პოსტინდუსტრიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ შემავალ თითქოსდა მოკავშირეებს შორის. აშშ-ი, რომელსაც გააჩნია საკმარისი საკუთარი რესურსები (და, პრინციპში, შეუძლია უარი თქვას ნავთობის იმპორტზე) და აკონტროლებს კანადის, და ნაკლები დონით, მექსიკის საბადოებს, მხოლოდ გარკვეულწილად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებზე და იყენებს აქაურ

ნავთობს, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტს, მათ შორის, თავის მოკავშირეებზე (ნატოს ბლოკიდან) ზეწოლისთვის. ევროპული ქვეყნები და იაპონია სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან აშა-ს ნავთობით. აქედან - მათი უფრო აწონილ-დაწონილი პოლიტიკა რეგიონში. ევროპელები და იაპონელები უფრო მეტად არიან დაინტერესებული ამ რეგიონის სტაბილურობაში, არაბ-ისრაელის კონფლიქტში მათ უკავიათ პოზიცია, რომელიც უფრო ახლოა არაბეთის პოზიციასთან, მათ არ დაუჭირეს მხარი ამერიკის სანქციებს ირანისა და ლიბიის წინააღმდეგ, ისინი მხარს უჭერენ ერაყის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გაუქმებას.

გარდა სხვა ყველაფრისა, ენერგეტიკულმა კრიზისმა ხელი შეუწყო დასავლეთის მიერ ნავთობის სხვა წყაროების (გარდა ოპეკ-ს ქვეყნებისა და ახლო აღმოსავლეთისა) ძებნას - საკუთარი საბადოების (დაიწყო ნავთობის მოპოვება ალიასკისა და კანადის ძნელად მისაწვდომ რაიონებში, ჩრდილოეთის ზღვის შელფზე), საბჭოთა (რუსეთის), ბოლო დროს კი კასპიის ნავთობიც (ამიერკავკასიის და შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან). კრიზისმა აქტუალური გახადა ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძიება და ატომური ენერგეტიკის განვითარება. მაგრამ, რადგან თვალსაწიერ პერსპექტივაში ნავთობი და აირი (რომლითაც ასევე მდიდარია აშა-ს რეგიონი) შეინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს მსოფლიო ენერგობალანსში, სპარსეთის ყურეს აუზი კი ისევ დარჩება მათი ერთ-ერთი მთავარი წყარო, აშა-ს მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით შენარჩუნებული იქნება.

ინდოეთ-პაკისტანის 1971 წლის ომი. ბანგლადეშის გამოყოფა პაკისტანისგან. პირველ საყოველთაო არჩევნებში, პაკისტანის ორივე ნაწილში რომ ჩატარდა, ქვეყნის დასავლეთში გაი-

მარჯვა პაკისტანის სახალხო პარტიამ, აღმოსავლეთში კი (აღმოსავლეთ ბენგალია) სახალხო ლიგამ (ავამი ლიგ), რომელიც მხარს უჭერდა პაკისტანისგან აღმოსავლეთ ბენგალიის გამოყოფას.

პაკისტანის სამხედრო ხელისუფლებამ უარი თქვა ფართო რეგიონული ავტონომიის მიცემაზე აღმოსავლეთ ბენგალიისთვის, რამაც გამოიწვია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის გაშლა აღმოსავლეთ პაკისტანში (პაკისტანის მმართველ წრეებში უმრავლესობას წარმოადგენდნენ დასავლეთ პაკისტანელები - 90 პროცენტს, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ბენგალიის მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დასავლეთ პაკისტანისა). 1971 წლის 26 მარტს გამოცხადდა ბანგლადეშის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ინდოეთმა მხარი დაუჭირა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას და 1971 წლის დეკემბერში მორიგ კონფლიქტში ჩაება პაკისტანთან. ინდოეთის ჯარების დარტყმების შედეგად, აღმოსავლეთ ბენგალიაში მყოფმა პაკისტანის ჯარებმა 1971 წლის 16 დეკემბერს გამოაცხადეს კაპიტულაცია.

1972 წლის ივლისში, ქ. სიმლაში (ინდოეთი) შედგა მოლაპარაკებები ინდოეთსა და პაკისტანს შორის და ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო ტყვეების გაცვლაზე, სავაჭრო კავშირების და სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენაზე. ასევე განიხილეს ქაშმირის გამო, ორ ქვეყანას შორის დავის დარეგულირების საკითხები. 1974 წელს პაკისტანმა აღიარა ბანგლადეშის დამოუკიდებლობა, 1976 წელს კი აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობები ინდოეთთან.

ამ მოვლენებს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აშა-ს რეგიონისთვის. პაკისტანი თავის საგარეო პოლიტიკაში სამ-

ხრეთ აზიისა და ინდოჩინეთის პრობლემებიდან თანდათან სულ უფრო მეტად გადადიოდა აქტიურ მონაწილეობაზე აშა-ს საერთაშორისო ურთიერთობებში, კერძოდ, არაბეთის ზღვის და სპარსეთის ყურის აუზებში. სწორედ აქედან, გარდა სხვასა, გამომდინარეობს პაკისტანის აქტიური მონაწილეობა ყველა მოვლენაში, რომელიც დაკავშირებული იყო ავღანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომთან (70-იანი წლების დასასრული - 90-იანი წლები), აქედანაა პაკისტანის რეგიონული კავშირებიც - უპირატესად სპარსეთის ყურის ქვეყნებთან და საუდის არაბეთთან, აგრეთვე ირანსა და თურქეთთან. უკანასკნელ დროს პაკისტანი სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც სუბიექტი აშა-ს რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობებისა, ვიდრე სამხრეთ აზიისა.

კვიპროსის კონფლიქტი. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში მდებარე კუნძულ კვიპროსზე, რომელიც 1878 – 1960 წლებში დიდ ბრიტანეთს ეკუთვნოდა, ორი ძირითადი ეთნიკური თემი ჩამოყალიბდა: ბერძენთა (78 პროცენტი) და თურქების (18 პროცენტი). 1959 წლის ლონდონ-ციურიხის შეთანხმებებმა კვიპროსისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, განსაზღვრეს კუნძულის შეზღუდული სუვერენიტეტი, ინგლისი, საბერძნეთი და თურქეთი გახდნენ კვიპროსის „დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და უსაფრთხოების“ გარანტები. საბერძნეთმა და თურქეთმა მიიღეს უფლება, იყოლიონ კუნძულზე თავისი სამხედრო კონტინგენტები. ინგლისმა შეინარჩუნა კონტროლი კვიპროსის ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც განლაგებული იყო ინგლისის მსხვილი სამხედრო ბაზები (აკროტირი და დეკელია).

იმავე შეთანხმებებით კვიპროსი ცხადდებოდა ორი თემის (ბერძნებისა და თურქების) სახელმწიფოდ, ამასთან თურქების-

თვის, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენდნენ, ინახებოდა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი და 24 ადგილი პარლამენტში, 80 წევრს რომ ითვლიდა. მაგრამ ამ შეთანხმებებმა ვერ ააცილა კუნძულს ეთნიკური უთანხმოებები, 1963 წელს ღია შეტაკებებში რომ გადაიზარდა. თურქების თემმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო პარლამენტის მუშაობაში, თემები გამოცალკევდნენ ერთმანეთისგან. 1964 წელს კუნძულზე გადმოსხეს გაეროს მშვიდობისმყოფელთა საჯარისო ნაწილები.

1974 წლის 15 ივლისს კვიპროსის პირველ პრეზიდენტ არქიეპისკოპოს მაკარიოსის მიმართ მტრულად განწყობილმა ძალებმა ათენის „შავი პოლკოვნიკების“ რეჟიმის და ბერძნული სამხედრო კონტინგენტის მხარდაჭერით მოახდინეს სამხედრო გადატრიალება და გამოაცხადეს გეზი “ენოზისზე“ (კვიპროსის შეერთება საბერძნეთთან). თავის მხრივ, თურქეთმა ივლისში, კონსტიტუციური წესრიგის დაცვის საბაბით, კუნძულზე გადმოსვა ჯარები და მოახდინა მისი ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპაცია (კვიპროსის მთელი ტერიტორიის 36,4 პროცენტის).

კვიპროსზე სამხედრო ავანტურის ჩაშლის შემდეგ, „შავი პოლკოვნიკების“ ხუნტა ათენში დაეცა (1974 წლის 23 ივლისი) და მაკარიოსი დეკემბერში დაბრუნდა კუნძულზე. მაგრამ ჩრდილოეთ კვიპროსი რჩებოდა ოკუპირებული თურქების მიერ, ბერძნულმა მოსახლეობამ დატოვა ეს ტერიტორია, ისევე, როგორც თურქმა-კვიპროსელებმა დატოვეს ტერიტორია, რომელსაც არ აკონტროლებდნენ თურქეთის სამხედროები. ბუფერულ ზონაში კვიპროსის ამ ორ ნაწილს შორის, განლაგდა გაეროს ჯარები. 1975 წელს კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში გამოცხადდა „კვიპროსის თურქული ფედერაციული“ სახელმწიფო, 1983 წელს კი დამოუკიდებელი „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“, რომელიც ფაქტობრივად მჭი-

დროდ არის ინტეგრირებული თურქეთთან (ვალუტად აქ თურქული ლირაა, არსებობს საბაჟო კავშირი თურქეთთან და სხვ.).

თავის მხრივ, კვიპროსის რესპუბლიკა ფაქტიურად ატარებს საბერძნეთთან დაახლოების პოლიტიკას, მათ შორის, თავდაცვის საკითხებშიც. კვიპროსის საკითხი სერიოზულად ართულებს ურთიერთობებს საბერძნეთსა და თურქეთს შორის. და ეს მაშინ, როდესაც ორივე ნატოს წევრია. გარდა კვიპროსისა, ამ ორ სახელმწიფოს შორის არის ასევე წინააღმდეგობები ეგეოსის ზღვაში, აგრეთვე, რიგ სხვა საკითხში. საბერძნეთი ფარულად ეხმარებოდა ქურთთა მოძრაობების წარმომადგენლებს, რომლებიც მხარს უჭერენ თურქეთის ქურთისტანის დამოუკიდებლობას. არც გაერო, არც რომელიმე სხვა ქვეყანა (გარდა თურქეთისა და 1993 წლიდან - აზერბაიჯანისა) არ აღიარებენ კუნძულზე არანაირ სახელმწიფოებსა და რეჟიმებს, გარდა კვიპროსის რესპუბლიკისა. გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციებში რეკომენდებული იყო, გაეყვანათ კუნძულიდან ყველა უცხოური ჯარები, შეეწყვიტათ უცხოელთა ჩარევა კვიპროსის საქმეებში, გადაეწყვიტათ სადავო საკითხები თემებს შორის მოლაპარაკებების გზით. ასეთ მოლაპარაკებებს, რომლებიც პერიოდულად იმართებოდა, ქმედითი შედეგები არ მოჰყოლია.

აშა-სთვის კვიპროსის კონფლიქტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ის სერიოზულ ზეგავლენას ახდენს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და თურქეთის - რეგიონის საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი მონაწილის - მთელ საგარეო პოლიტიკაზე. თურქეთმა ჯერ კიდევ 1987 წელს შეიტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, იგივე გააკეთა 1990 წელს კვიპროსმა. დიდწილად იმიტომ, რომ თურქეთის პოზიცია კვიპროსის მიმართ, ვერ პოულობს გაგებას ევროპაში, მისი ევროკავშირში

წევრობის საკითხი გაურკვეველი ვადით არის გადადებული. ამ დროს კი, კვიპროსის რესპუბლიკა ევროკავშირის ქვეყნების მიერ განიხილება როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული კანდიდატი ევროკავშირის გაფართოებისას (უკვე მიღებულია ამ კავშირში, მთარგმნელი).

ამიტომ თურქეთი ცდილობს მხარდაჭერა პოვოს თავის მეზობლებთან რეგიონში, იმედი აქვს რა ისლამური სოლიდარობისა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება თურქეთის ცდები გაატაროს უფრო გაწონასწორებული პოლიტიკა ევროპასთან ურთიერთობებში, ერთი მხრივ, და მუსლიმურ სამყაროსთან, მეორე.

არაბ-ისრაელის კონფლიქტი 1970-1990-იან წლებში. კემპდევიდის პროცესი და პალესტინის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის პრობლემები. 1967 წლის „ექვსდღიან“ ომში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მიერ გამოწვეული დაძაბულობა არ შემცირებულა. იმ მუდამ შეიძლება გადაზრდილიყო ახალ ფართომასშტაბიან ომში და საბოლოოდ გამოიწვია კიდეც ამნაირი 1973 წელს და მრავალი უფრო მცირე ლოკალური შეიარაღებული შეტაკებები ისრაელსა და არაბულ ქვეყნებსა და ისრაელსა და პალესტინელებს შორის.

არაბული ქვეყნები, განსაკუთრებით, ეგვიპტე და სირია, არ წყვეტდნენ ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ძალისმიერ განთავისუფლებაზე მიმართული რევანშისტული ჩანაფიქრების შემუშავებას. მაგრამ თავისი არმიების აშკარა სამხედრო სისუსტე ებრაულ ჯართან შედარებით, აჩერებდა ამ ქვეყნების მმართველ წრეებს ავანტურაში ჩაბმისგან; ძალზე მძიმე იყო ექვსდღიან ომში მიღებული გაკვეთილი. თავისი არმიების სამხედრო-ტექნიკური და პროფესიული ჩამორჩენილობის

პრობლემის გადაწყვეტას ნასერის ეგვიპტე და ასადის სირია ცდილობდნენ სსრ კავშირის დახმარებით. ამ ორ ქვეყანაში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა საბჭოთა შეიარაღება და ტექნიკა, საბჭოთა სპეციალისტები ასწავლიდნენ არაბ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მათ გამოყენებას, ასევე, როგორც საერთო-სამხედრო დისციპლინებს. განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს საბჭოთა სპეციალისტებმა ეგვიპტის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის და სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის, „დაუძლურებაზე ომის“ დროს კი სუეცის არხზე[5], ხშირად თვითონ მონაწილეობდნენ ისრაელის ავი-აციასთან ბრძოლაში თავისი არაბი კურსანტების ნაცვლად.

1972 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა ა. სადათმა უარი თქვა საბჭოთა სამხედროების მხრიდან შემდგომ მომსახურებაზე. პრინციპში, მხარეები არ გამორიცხავდნენ კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრასაც გაეროს შესაბამისი, №242 რეზო-ლუციის საფუძველზე ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლების და 1967 წლის 4 ივნისისთვის არსებულ საზღ-ვრებზე დაბრუნების შესახებ. საკუთრივ, 1967 წლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის არსი სამ პუნქტამდე დადის:

1. საკითხი ისრაელის მიერ 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიების (მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის (იუდეა და სამარია), ღაზის სექტორის, აღმოსავლეთ იერუსალიმის, ჰოლანის სიმაღლეების და სინას ნახევარკუნძულის) განთავისუფლების შესახებ;

[5] „ომი ძალის გამოცლაზე“, ასე ეწოდებოდა საბრძოლო მოქმედებებს ეგვიპტესა და ისრაელს შორის 1969-1970 წლებში (ურთიერთ საავიაციო დარტყმები და საარტილერიო ცეცხლის გახსნა). ცეცხლის შეწყვეტა მიღწეულია 1970 წლის აგვისტოში.

2. საკითხი ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის საზღვრების საბოლოოდ დადგენის შესახებ;

3. პალესტინელ ლტოლვილთა პრობლემა.

არსებობს არაბ-ისრაელის დაპირისპირების კიდევ რიგი ასპექტი (წყლის წყაროების მისაწვდომობის შესახებ და სხვ.), მაგრამ ისინი მეორადია ზემოჩამოთვლილებთან შედარებით. ისრაელი პრინციპში თანახმა იყო, დაებრუნებინა ოკუპირებული ტერიტორიები, ანუ, ის მთლიანობაში აღიარებდა გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე (1967 წელი) და 338-ე (1973 წელი) რეზოლუციებს, მაგრამ უარყოფდა 1967 წლის 4 ივნისისთვის არსებულ ხაზებზე დაბრუნებას, ანუ ითხოვდა საზღვრების შეცვლას და კიდევ რიგ პირობას აყენებდა.

თუ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ შედარებითი ერთიანობა არსებობს, როგორც კონფლიტის მონაწილე, ისე სხვა დაინტერესებული ქვეყნებსა და მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობაში, ორი დარჩენილი მუხლი მწვავე წინააღმდეგობებს წარმოშობს კონფლიქტის მონაწილეთა შორის. ეს პრობლემები ძალზე მწვავე იყო 1967 წლამდეც, საკუთრივ, სწორედ მათ გამოიწვიეს „ექვსდღიანი“ ომი. ისრაელიც და მისი მოწინააღმდეგენიც აქ უფრო მიდრეკილი არიან თავისი პოზიციების უკომპრომისო განმარტებისკენ, მსოფლიო თანამეგობრობა კი, იქნება ეს გაერო ან უკვე 1990-იან წლებში სამშვიდობო პროცესის მონაწილენი „კოსპონსორების“ (აშშ-ი და რუსეთი) სახით, ჯერ ვერ სთავაზობს მხარეებს მისაღებ კომპრომისულ ვარიანტებს. არაბული ქვეყნები და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (პგო) კიდევ დიდხანს არ იყვნენ მზად საერთოდ ეცნოთ ისრაელის უფლება არსებობაზე ნებისმიერ საზღვრებში. ვერ თანხმდებოდნენ მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმის საკითხზეც: არაები სულ უფრო მეტად იხრებოდნენ კონფ-

ლიქტის ყველა მონაწილის „ყოვლისმომცველ“ მოლაპარაკებებისკენ პრობლე-მების მთელ კომპლექსზე მესამე მხარეთა მონაწილეობით (არსებითად, საერთაშორისო კონფერენციისკენ), ისრაელი კი გამოდიოდა პირდაპირი მოლაპარაკებების მომხრედ ყოველმხარესთან, გარდა პალესტინელებისა. შეზღუდულ წრეზე საკითხებისა, რომლებიც ძირითადად დადიოდა თეზისამდე - „მშვიდობა ტერიტორიების ნაცვლად“ (საუბარი 1967 წელს ოკუპირებულ მიწებზე იყო).

გაეროს საშუამავლო მისიები (გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, შვედ გ. იარინგისა) სრული კრახით დამთავრდა, მხარეებს არც გადაუდგამთ ქმედითი ნაბიჯები ერთმანეთისკენ. ისრაელი განაგრძნობდა მის მიერ დაპყრობილი ყველა ტერიტორიის ოკუპირებას. პერიოდული შეიარაღებული შეტაკებები, რომლებიც „მოჰყვა“ ექვსდღიან ომს, შეიცვალა კონფლიქტის ახალი გამწვავებით. ეგვიპტემ და სირიამ, ბოლოს და ბოლოს, 1973 წლის ოქტომბრისთვის ჩათვალეს თავი საკმაოდ ძლიერად, რათა ეცადათ ძალით დაებრუნებინათ დაკარგული ტერიტორიები, ან უარეს შემთხვევაში, შეექმნათ თავისთვის მოლაპარაკებებზე უფრო მისაღები პირობები, ვიდრე მათ ჰქონდათ 1967 წლის ივნისში, განცდილი გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ.

1973 წლის 6 ოქტომბერს ისრაელის სამხედრო ნაწილები მოექცნენ ეგვიპტის ჯარის დარტყმის ქვეშ სუეცის არხის რაიონსა და სირიისა ჰოლანის სიმაღლეებზე. არაბ-ისრაელის მეოთხე ომმა მიიღო „განსჯის დღის ომის“[6] სახელწოდება. წინა

[6] 6 ოქტომბერს ისრაელში აღინიშნებოდა იუდეველთა მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაული იომკიპური (განსჯის დღე, ანუ საყოველთაო პატიების დღე)

სამთან შედარებით, ამ ომში არაბთა საბრძოლო სულისკვეთება უფრო მაღალი იყო. სირია-ეგვიპტის დარტყმა მოულოდნელი იყო ისრაელისთვის. პირველ ეტაპზე არაბებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: გადალახეს სუეცის არხი, გაარღვიეს ისრაელის თავდაცვა არხის აღმოსავლეთ ნაპირზე, სირიელებმა წაიწიეს ჰოლანის გასწვრივ. ისრაელმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა ცოცხალ ძალასა და ტექნიკაში. მიუხედავად ამისა, ებრაელებმა შეძლეს მდგომარეობის აღგენა და შეტევით მოქმედებებზე გადასვლა. 15 ოქტომბერს მათ შეძლეს გადასვლა სუეცის არხის დასავლეთ ნაპირზე დიდი მწარე ტბის რაიონში და ალყა შემოარტყეს აღმოსავლეთ ნაპირზე გადმოსულ ეგვიპტის მესამე არმიას. ისრაელმა ასევე შეძლო სირიის სამხედრო ნაწილების უკუგდება ჰოლანის სიმაღლეებზე და წაწევა დამასკოს მიმართულებით. მოვლენებში ჩართული იყვნენ აშშ-ი და სსრ კავშირი, რომლებმაც მოაწყვეს „საჰაერო ხიდები“ შეიარაღებების გადასროლისთვის, შესაბამისად, ისრაელის და არაბული ქვეყნებისთვის.

17 ოქტომბერს ოპეკის ქვეყნების მინისტრები შეთანხმდნენ, გამოეყენებინათ „ნავთობის იარაღი“ ისრაელის და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. მათ დაამტკიცეს ექსპორტის შემცირება და შესთავაზეს ემბარგო მტრული ქვეყნების მიმართ. ამ რეკომენდაციებს უმალვე გამოეხმაურნენ საუდის არაბეთი, ლიბია და ნავთობის ექსპორტიორი სხვა ქვეყნები. ემბარგო ამოქმედდა აშშ-ის, ნიდერლანდების და რიგი სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დიდმა სახელმწიფოებმა კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ერთმანეთთან პირდაპირი კონსულტაციები დაიწყეს, რისთვისაც 20-21 ოქტომბერს მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი. ამ კონსულტა-

ციების შემდეგ, გაეროს 22 ოქტომბერს მიიღო №338 რეზოლუცია, სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ფრონტის ეგვიპტის მონაკვეთზე ისინი გრძელდებოდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ისრაელმა და ეგვიპტემ ნოემბერში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 21 დეკემბერს ჟენევაში გაეროს ეგიდით და აშშ-ის და სსრკ-ის თანათავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის ინიციატივით მოწვეული სამშვიდობო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხზე. სირიამ, რომელიც მოითხოვდა მოლაპარაკებების დაწყებამდე ისრაელის ჯარების ევაკუაციას, უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე. დარჩა ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, აშშ-ი, სსრ კავშირი. პალესტინელთა მონაწილეობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო კონფერენციის მსვლელოლობაში. მაგრამ საერთაშორისო ფორუმის მუშაობა ხანმოკლე და, არსებითად, უშედეგო იყო.

1974 წლის 18 იანვარს, თუმცა კონფერენციის ფარგლებს გარეთ, ქაირო-სუეცის შოსეს 101-ე კილომეტრზე, მიაღწიეს ეგვიპტე-ისრაელის შეთანხმებაას სინას ნახევარკუნძულზე ჯარების დაშორიშორების შესახებ. ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა ისრაელის ძალების გაყვანას სინას ტერიტორიიდან მიტლას და გიდის უღელტეხილების დასავლეთით, იმ პირობით, რომ შეიკვეცებოდა ეგვიპტის არმიის ყოფნა სუეცის არხის ზონაში. ორ დაპირისპირებულ არმიას შორის განლაგდა გაეროს მშვიდობისმყოფელი ძალები. 1974 წლის 31 მაისს ისრაელმა ასევე მიაღწია შეთანხმებას სირიასთან ჯარების დაშორიშორების შესახებ, რომელშიც ასევე იყო გათვალისწინებული გაეროს ჯარების მონაწილეობა.

ჟენევის კონფერენციის მოწვევა წარმოადგენდა საბჭოთა დიპლომატიის დიდ წარმატებას, მაგრამ აშშ-ი და ისრაელი, რომლებსაც გააჩნდათ კონფლიქტის დარეგულირების საკუთარი კონცეფცია, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის კომპლექსური გადაჭრის საბჭოურ პრინციპს რომ უარყოფდა, შეგნებულად წავიდნენ მის ფაქტობრივ ჩაშლაზე. ამ დროს კი, აშშ-მ, სახელმწიფო მდივან ჰ. კისინჯერის სახით, 1973 წლის ომის შემდეგ გაშალა აქტიური დიპლომატიური საქმიანობა, მიმართული ნაწილობრივი შეთანხმებების მიღწევაზე ისრაელსა და არაბებს შორის. სერიამ კისინჯერის 1973-1975 წლების მოგზაურობებისა ქაიროს, თელ-ავივის, დამასკოს, ვაშინგტო-ნსა და სხვა დედაქალაქებს შორის, და ამ შეხვედრების დროს ჩატარებულმა მოლაპარაკებებმა მიიღეს „მაქოს დიპლომატიის“ (shuttle diplomacy) სახელწოდება. შეთანხმებები ჯარების დაშორიშორების შესახებ მეტწილად მისი ნაყოფი იყო. მაგრამ კისინჯერის ძალისხმევის კიდევ უფრო დიდი შედეგი იყო ეგვიპტის შემობრუნება ისრაელთან სეპარატული შეთანხმების მიღწევისკენ.

ა. სადათის რეჟიმი, რომელიც დაადგა აშშ-სთან დაახლოების, სსრ კავშირთან თანამშრომლობის და საერთო არაბული პოზიციის უარყოფის გზას, სრულიად ლოგიკურად მივიდა კონფლიქტის დარეგულირების ამერიკულ-ებრაული პოზიციის მიღებამდე. შეთანხმებას ჯარების დაშორიშორების შესახებ, მოჰყვა ახალი სეპარატული მოლაპარაკებები და ხელშეკრულებები, რასაც აქტიურად უწყობდა ხელს აშშ-ი. 1977 წელს ჯიმი კარტერის ამერიკის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ამ ქვეყნის დროებითმა შემობრუნებამ საყოველთაო შეთანხმების იდეისკენ უკვე ვერ ჰპოვა ვერც ისრაელის და ვერც ეგვიპტის მხარდაჭერა. 1977 წლის ნოემბერში მოხდა უპრეცედენტო მოვლენა - ა. სადათის ვიზიტი იერუსალიმში. მენახემ ბეგინი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი, საპასუხო ვიზიტით ჩავიდა ეგვიპტის ქალაქ ისმაილიაში.

1978 წლის სექტემბერში, ამერიკის დიპლომატიის ძალისხმევით შედგა ა. სადათის, ჯ. კარტერის და მ. ბეგინის სამმხრივი შეხვედრა კემპ-დევიდში (აშშ), სადაც ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს: „ჩარჩოები ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერისთვის“ და „ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის ჩარჩოები“. ისრაელმა და ეგვიპტემ კემპდევიდში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც დაასრულა ომის მდგომარეობა, 30 წლის განმავლობაში არსებული ამ ორ ქვეყანას შორის. კემპდევიდის შეთანხმებების შესაბამისად, ისრაელმა მთლიანად დაუბრუნა ეგვიპტეს სინას ნახევარკუნძული, ეგვიპტემ კი აღიარა ისრაელის უფლება არსებობაზე. ეგვიპტის უფლებები ჯარის ყოლაზე სინას ნახევარკუნძულზე, არსებითად იკვეცებოდა. ორმა სახელმწიფომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა ერთმანეთთან. კემპდევიდის შეთანხმებების ხელმოწერის გამო, ეგვიპტე გაირიცხა ისლამის კონფერენციის ორგანიზაციასა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგიდან (წევრობა, შესაბამისად, 1984 და 1989 წლებში აღდგა), ქვეყნის პრეზიდენტ ა. სადათს ეს ხელმოწერა სიცოცხლის ფასად დაუჯდა (ის მოკლეს შეთქმულებმა სამხედრო აღლუმის დროს, 1981 წლის 6 ოქტომბერს).

კემპ-დევიდის პროცესის მონაწილენი ვარაუდობდნენ, რომ „მშვიდობის ჩარჩოები“ წარმოადგენდა არაბ-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების უნივერსალურ ფორმას. მასში ნახსენები იყო გაეროს უშიშროების საბჭოს №242 და №338 რეზოლუციები და გაწერილი პალესტინის პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმი: ნავარაუდევი იყო მოსამზადებელ ღონისძიებათა მთელი სერია, შემდეგ, პალესტინის ტერიტორიაზე „დროებითი მმართველობის“ ორგანიზაცია - ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს ისრაელის, ეგვიპტის, იორდანიის, დასავლეთი ნაპირის და ღაზის სექტორის პალესტინელი მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლების მოლაპარაკების გზით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ტერიტორიების საბოლოო სტატუსი. მაგრამ ეს პროცესი არ განვითარდა: იორდანიამ უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე, პალესტინელთა წარმომადგენლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არც შექმნილა, ისრაელის მთავრობა (მემარჯვენეთა ბლოკ ლიკუდის), არსებითად ამუშავებდა ანექსიონისტურ ჩანაფიქრებს დაპყრობილი ტერიტორიების მიმართ და ცდილობდა, გამოეყენებინა მ. ბეგინის „ავტონომიზაციის“ გეგმა, როგორც საფარი ამგვარი ჩანაფიქრებისა. ასეთ მიდგომას მხარს სადათიც კი არ უჭერდა.

ისრაელი თავდაპირველად არ დგამდა რაიმე სერიოზულ ნაბიჯებს, მიმართულს 1967 წელს დაპყრობილი ტერიტორიების ინტეგრაციასა და მათ ათვისებაზე, განსხვავებით იმ ტერიტორიებისა, რაც მან ხელში ჩაიგდო 1948-1949 წლების ომში. ამ ტერიტორიებზე არ ვრცელდებოდა ისრაელის სამოქალაქო ადმინისტრაცია (ანექსირებული აღმოსავლეთ იერუსალიმის გარდა), აქ აგრძელებდა მოქმედებას ადგილობრივი კანონმდებლობა (იორდანიის - დასავლეთ ნაპირზე და ეგვიპტის - ღაზას სექტორში; ჰოლანის სიმაღლეებზე გავრცელებული იყო ისრაელის კანონმდებლობა, მაგრამ ისინი არ ჩაურთავთ ამ ქვეყნის შემადგენლობაში), ადგილობრივი ადმინისტრაცია და ა. შ.

მაგრამ, რადგან ოკუპაციის პერიოდი გაჭიანურდა (განსაკუთრებით, ღაზის სექტორის, მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის და ჰოლანის სიმაღლეების[7]), ტერიტორიები თანდათან სულ უფრო მეტად უკავშირდებოდა ისრაელს, განსაკუთრებით,

[7] ისრაელის კანონმდებლობა გავრცელებული იყო ჰოლანის სიმაღლეებზეც, მაგრამ ისრაელის შემადგენლობაში არც ისინი ჩაურთავთ.

ეკონომიკური თვალსაზრისით. ისრაელს უწევდა თავისთავზე აეღო ტერიტორიების სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების ნაწილი, პალესტინის ტერიტორიები და მათი მოსახლეობა კი დამოკიდებული გახდნენ ისრაელის ეკონომიკასა და ისრაელის ხელისუფლების პოლიტიკაზე. თანაც, საკმაოდ დიდი იყო ისრაელის ელიტის ნაწილის ცდუნება, მოეხდინა კონტროლირებადი, ისტორიულად (ბიბლიურად) ებრაული ტერიტორიების (იუდეა და სამარია) ანექსია.

მალე, განსაკუთრებით ეგვიპტისთვის სინას დაბრუნების შემდეგ, ისრაელის ხელისუფლებამ დაიწყო გასამხედროებული ებრაული დასახლებების აგება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 1984 წლის ბოლოსთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალმოსახლეთა რიცხვმა 48 ათას ადამიანს მიაღწია. თუ სინას ნახევარკუნძულიდან ისრაელის მთავრობამ შედარებით სწრაფად მოახერხა ახალმოსახლეთა ევაკუაცია, იუდეასა და სამარიაში ამის გაკეთება, თუნდაც სურვილისა და ძალის არებობის შემთხვევაში, გაცილებით უფრო რთულია, რადგან ბევრი დასახლება შექმნილია რელიგიურ იუდეველთა მიერ, ვისაც სწამთ, რომ უფლება აქვთ იცხოვრონ ამ მიწაზე და რომლებიც მზად არიან, დაიცვან ეს უფლება არამარტო არაბების, არამედ ისრაელის ხელისუფლებისგანაც.

1967 წლის შემდეგ, პალესტინელ არაბთა ეროვნული მოძრაობა თანდათან იცვლება, და გადადის ნაციონალისტურ-ანტიებრაულიდან ნამდვილ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ - ში. თუ აქამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა პირობითად საუბარი იმაზე, რომ პალესტინელებს აქვთ თავისი სახელმწიფო (იორდანია, რომლის მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ მდ. იორდანის დასავლეთ ნაპირზე მცხოვრები და სხვა პალესტინელები) და პალესტინური მოძრაობა მიზნად ისახავდა „ებრაელთა გადაყრას ხმელთაშუა ზღვაში“ და პალესტინური სახელმწიფოს შექმნას ებრაულის ნაცვლად, ახლა პირველ პლანზე დადგა მდ. იორდანის დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის განთავისუფლების და ამ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ამოცანა. თუმცა „ისრაელის მოსპობის“ ლოზუნგი კიდევ დიდხანს რჩებოდა ყველაზე ზომიერი არაბული წრეების დღის წესრიგში. ბრძოლა პალესტინის განთავისუფლებისთვის ითვლებოდა საერთოარაბულ, უფრო მეტი, საერთო ისლამურ ამოცანად. მთელი არაბული სამყარო უწევდა მატერიალურ და მორალურ დახმარებას პალესტინას, ამ უკანასკნელის მოთხოვნებს უჭერდა მხარს მსოფლიო თანამეგობრობაც. მიუხედავად ამისა, ცხადი გახდა, განსაკუთრებით კემპ-დევიდის შემდეგ, რომ ბრძოლა დასავლეთი ნაპირის და ღაზას განთავისუფლებისთვის, უპირველეს ყოვლისა, არის თვით პალესტინელთა საქმე.

არაბულ სახელმწიფოთა კონფერენციაზე რაბათში, 1974 ოქტომბერში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია აღიარეს პალესტინელი ხალხის უფლებათა ერთადერთ კანონინიერ გამომხატველად.

იმავე წლის ნოემბერში ეს გაერომაც აღიარა. აშშ-ი და ისრაელი დიდხანს არ აღიარებდნენ პგო-ს ამ ხარისხში, თვლიდნენ რა მას ტერორისტულ ორგანიზაციად, და ცდილობდნენ უფრო მოხერხებული პარტნიორების მოძებნას მოლაპარაკებებისთვის.

რიგი არაბული ქვეყნის დამოკიდებულება პალესტინელების მიმართ არ იყო მათდამი ისრაელის დამოკიდებულებაზე უკეთესი. ამის მაგალითი შეიძლება იყოს 1970 წლის ე. წ. „შავი სექტემბერი“ იორდანიაში. პგო-ს იქ მდებარე რაზმები შეეცადნენ, ჩამოეგდოთ მეფე ხუსეინი, მაგრამ ამ უკანასკნელმა შეძლო თავისი ხელისუფლების შენარჩუნება და სერიოზული

დარტყმის მიყენება პალესტინელთათვის, დამარცხდნენ იორდანიაში შემოჭრილი სირიის ჯარებიც. პალესტინელთა ფორმირებების ძირითადი ნაწილი გადავიდა ლიბანში. ლიბანში 1975 წელს იფეთქა სამოქალაქო ომმა. აქაური მემარჯვენე-ქრისტიანული ძალები კონფრონტაციაში შევიდნენ ჯერ პგო-ს[8], შემდეგ კი ლიბანელ მუსლიმთა რაზმებთან. კონფესიური პრინციპით ორ ბანაკად გაერთიანებული ლიბანის დაჯგუფებები ებრძოდნენ არამარტო საწინააღმდეგო ბანაკის დაჯგუფებებს, არამედ თავიანთ ერთმორწმუნეებსაც.

1982 წლის 3 ივნისს, ჯერ ექვსი კვირაც რომ არ იყო გასული სინადან ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ, დაძაბულობა ებრაელებსა და ლიბანის ტერიტორიაზე თავშეფარებულ პალესტინელებს შორის გაძლიერდა. ამას წინ უსწრებდა პალესტინელთა მხრიდან თავდასხმის ცდა ისრაელის ელჩზე, ლონდონში. 5 ივნისს მოვლენები გადაიზარდა არაბ-ისრაელის მეხუთე ომში, რომლის მსვლელობისას ისრაელი ბომბავდა ბეირუთსა და ლიბანის სამხრეთ რაიონებს, სადაც თავმოყრილი იყო პგო-ს ბოევიკთა რაზმები. ისრაელი ადრეც (მაგალითად, 1978 წელს) ატარებდა სამხედრო ოპერაციებს ლიბანში პალესტინელთა წინააღმდეგ, მაგრამ ამჯერად, ოპერაციამ ძალზე მასშტაბური ხასიათი მიიღო: კონფლიქტში, გარდა ისრაელისა და პალესტინელებისა, ჩართული აღმოჩნდნენ სირია, აშშ-ი, ირანი და სხვ. თავდაპირველად ოპერაცია იგეგმებოდა, როგორც შეზღუდული სამხედრო ოპერაცია ლიბანის სამხრეთში სახელწოდებით „მშვიდობა გალილეასთვის“ (ჩრდილოეთ ის-რაელისთვის), მაგრამ თავდაცვის მინისტრ არიელ შარონს უფრო ღრმა ჩანაფიქრები ჰქონდა - ლიბანიდან პალესტინელთა და სირიელთა სრულ გაძევების, ლიბანელ ქრისტიანებისგან ისრაელის მომხრე მთავრობის ჩამოყალიბების და მასთან კემპდევიდის მაგვარი შეთანხმების ხელმოწერის ჩათვლით.

14 ივნისისთვის ისრაელის არმიის სახმელეთო ნაწილები უფრო ღრმად შევიდნენ ლიბანში და ალყა შემოარტყეს ბეირუთს. ებრაელების მიერ მასირებული საარტილერიო ცეცხლის დაშენის და ლიბანელ მუსლიმთა ციტადელზე - დასავლეთ ბეირუთზე შეტევის შემდეგ პგო-მ 1982 წლის 1 სექტემბრისთვის გაიყვანა თავისი შეიარაღებული ფორმირებები ქალაქიდან ტუნისში. ბეირუთში შევიდნენ ეროვნებათშორისი ჯარები აშშ-ის მეთაურობით, მაგრამ მათ ომი არ გაუჩერებიათ, რადგან ლიბანიდან ყველა პალესტინელი მეომარი არ გასულა, 16 სექტემბერს ისრაელელებმა და მემარჯვენე-ქრისტიანულმა მილიციამ (ფალანგისტები) მოაწყვეს რეიდი პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში (საბრასა და შატილაში), რომლის დროს დაიღუპა ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე-პალესტინელი. ისრაელის ჯა-

[8] 1969 წლიდან პგო-ს სათავეში დგას იასირ არაფატი, პგო-ში შემავალი ერთ-ერთი მოძრაობის - ფათხი-ს (მოძრაობა პალესტინის ეროვნული განთავისუფლებისთვის) ლიდერი. გარდა ფათხი-სა, პგო-ში შედის კიდევ რიგი ჯგუფი, პალესტინის კომპარტიის ჩათვლით. 1980-ანი წლებიდან პალესტინის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყეს ისლამურმა რადიკალურმა ჯგუფებმა, რომლებიც არ არიან ფათხი-ს წევრები: ჰამასი (ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა) და ალ-ჯიჰად ალ-ისლამიია „(ისლამური ჯიჰადი“). მას შემდეგ, რაც 1990-ან წლებში პგო წავიდა ისრაელთან ურთიერთობების მშვიდობიან დარეგულირებაზე, სირიის მომხრე პალესტინელთა რიგმა ჯგუფმა შექმნა პალესტინის ეროვნული გადარჩენის ფრონტი. პალესტინის წინააღმდეგობის პრაქტიკულად ყველა ჯგუფს ჰყავს შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც ისრაელს ებრძვიან, მათი ნაწილი ჩამოყალიბდა სხვა არაბული ქვეყნების (იორდანია, ლიბანი) ტერიტორიაზე. პალესტინურ დაჯგუფებათა სამხედრო აქტიურობის გავრცელებული ფორმა არის ტერორისტული აქტები ებრაელთა წინააღმდეგ, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისე, საკუთრივ, ისრაელსა და მესამე ქვეყნებში. ხშირად, ტერორისტთა მსხვერპლი უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეები ხდებიან.

რებმა დასავლეთ ბეირუთი და ლიბანის ძირითადი ნაწილი 1985 წლის ივნისისთვის დატოვეს. ისრაელის კონტროლქვეშ დარჩა მხოლოდ მცირე ტერიტორია ლიბანის სამხრეთში (ე. წ. „უსაფრთხოების ზონა“). ისრაელის შეიარაღებული ძალები აქ ეყრდნობოდნენ სამხრეთ ლიბანის მარიონეტულ არმიას, შემდგარს ლიბანელ ქრისტიანებისგან. 2000 წლის 23/24 მაისის ღამეს საერთაშორისო მშვიდო-ბისმყოფელი ორგანიზაციების ზეწოლისა და თავისივე მოქალაქეების სურვილიდან გამომდინარე (მათ არ სურდათ ჯარისკაცების სიცოცხლე შეეწირათ სხვის ტერიტორიაზე სამხედროების ყოფნისთვის), ისრაელმა მთლიანად გაიყვანა თავისი ჯარები სამხრეთ ლიბანიდან, ეს ტერიტორია დაბრუნდა ლიბანის მთავრობის კონტროლქვეშ. 80-იანი წლების ბოლოს კვლავ გამოჩნდა რეალური პერსპექტივები გაჭიანურებული ახლოაღმოსავლური კონფლიქტიდან მშვიდობიანი გამოსვლისა. პალესტინელთა სახალხო აჯანყებამ (ინტიფადა, ქვების ომი), დაწყებულმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 1987 წლის დეკემბერში, აიძულა ისრაელის მთავრობა, მოეძებნა კომპრომისი. 1988 წლის 31 ივლისს იორდანიის მეფე ხუსეინმა განაცხადა თავისი ქვეყნის ადმინისტრაციული და სხვა კავშირების გაწყვეტიას შესახებ იორდანის დასავლეთ ნაპირთან, 1988 ნოემბერში გამოცხადდა პალესტინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. 1991 წლის სექტემბერში მოიწვიეს მადრიდის კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე. 1993 წლის სექ-ტემბერში აშშ-ის და რუსეთის შუამავლობით, ვაშინგტონში ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელიც კრიზისის დარეგულირების ახალ გზებს ხსნიდა. ამ დოკუმენტში ისრაელი თანხმობას იძლეოდა პალესტინის ეროვნული ავტონომიის (პეა) შექმნაზე (მაგრამ არა სახელმწიფოსი), პგო კი აღიარებდა ისრაელის უფლებას არსებობაზე. ვაშინგტონის დეკლარაციის შესაბამისად,

1994 წლის მაისში, ხელი მოეწერა შეთანხმებას მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში პალესტინური თვითმმართველობის თანდათანობით შემოღების შესახებ (ჯერ ღაზას სექტორში და ქალაქ არიქაში (იერიქონი) დასავლეთ ნაპირზე). დროის შემდგომ მონაკვეთში თანდათან ფართოვდებოდა ტერიტორია, რომელზეც დაიწყო პეა-ს იურისდიქციის განხორციელება. 1999 წლის მაისში, როდესაც ამოიწურა პეა-ს დროებითი სტატუსის ვადა, პალესტინელები შეეცადნენ, განმეორებით გამოეცხადებინათ თავისი დამოუკიდებლობა, მაგრამ იძულებული იყვნენ, უარი ეთქვათ ამ გადამჭრელ ნაბიჯზე მსოფლიო თანამეგობრობის ზეწოლის გამო.

წინააღმდეგობას ქმნის იერუსალიმის მომავალი სტატუსის და პალესტინის ტერიტორიის დარჩენილი ნაწილიდან ისრაელის ჯარების გამოყვანის საკითხები. ვითარებას ართულებს ექსტრემისტულ ელემენტთა გამოხდომები ორივე მხრიდან, გახშირებული ტერორისტული აქტები. და მაინც, არის საფუძველი ვარაუდისა, რომ უახლოეს მომავალში პალესტინის სტატუსის საკითხი გადაწყდება, როგორც ჩანს, ამ ტერიტორიისთვის ისრაელისგან სრული დამოუკიდებლობის მინი-ჭების სასარგებლოდ.

1990-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში მეტწილად ბატონობს იმის გაგება, რომ აუცილებელია ხიდების გადება კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის. არაბ-ისრაელის ომების მძიმე დიპლომატიური და პოლიტიკური მემკვიდრეობა ნელ-ნელა დაიძლევა. ისრაელი უკვე წავიდა სინას ნახევარკუნძულსა და სამხრეთ ლიბანიდან, აღიარა პალესტინის ავტონომია, ხელი მოაწერა მშვიდობიან შეთანხმებას იორდანიასთან. მიუხედა-

ვად ამისა, XX საუკუნის დასასრულისთვის არაბ-ისრაელის კონფლიქტი მთლიანობაში დაურეგულირებელი რჩებოდა.

ისლამური რევოლუცია ირანში (1979 წ.) და მისი გავლენა რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობებზე. არ შევშინდებით, ვთქვათ, რომ 1978-1979 წლების ისლამური რევოლუცია ირანში და ირანის ისლამური რესპუბლიკის გამოცხადება იქცა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად. გაისმა რა, როგორც ჭექა-ქუხილი ნათელ ცაზე, ისლამურმა რევოლუციამ აიძულა ყურადღება, ხანდახან ჰიპერ-ტროფირებული, მიექციათ ისეთ მოვლენებზე, როგორებიცაა „პოლიტიკური ისლამი“ და ე. წ. „ისლამიზმი“, დაიწყო ისლამური ფაქტორის აღქმა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა მნიშვნელოვანი შემადგენლისა. საკუთრივ რევოლუციას, გარდა შაჰის საწინააღმდეგო და სოციალურისა, ჰქონდა კიდევ ერთი - ანტიიმპერიალისტური (ანტინეოკოლონიალი-სტური და ა. შ.) მიმართულება, დასავლეთზე ირანის დამოკიდებულების შესაბამისი ფორმების და დასავლეთის მიერ მისი ექსპლუატაციის, ეკონომიკურ, კულტურულ, საინფორმაციო სფეროებში დასავლური ექსპანსიის წინააღმდეგ. განსაკ-უთრებული ადგილი რევოლუციურ მოძრაობაში დაიკავა ანტი-ამერიკანიზმმა, რაც, სხვასთან ერთად, გამოწვეული იყო იმით, რომ აშშ-მ თავისი პოლიტიკით 1945 წლიდან და, განსაკუთრებით, 1953 წლის გადატრიალების[1] შემდეგ, საშუალება მისცა ირანის საზოგადოებრივ აზრს, გაეიგივებინა ის შაჰის რეჟიმთან. თავდაპირველად, 60-იან წლებში, ისლამური რევოლუციის მომავალი ბელადი აიათოლა რუჰოლა ჰომე-ინი გამოდიოდა მკაცრი კრიტიკით რეფორმების

[1] მოსადეყის ნაციონალისტურ-დემოკრატიული მთავრობის გადაყენება ცსს-ს მონაწილეობით (ოპერაცია „აიაქსი“).

შაჰისეული პროგრამის, ე. წ. „თეთრი რევოლუციისა“, რომელიც ითვალი-სწინებდა აგრარულ რეფორმას, ქალებისთვის საარჩევნო უფლებების გაფართოებას და ა. შ. თანდათან მისი გამოსვლებ- ის რადიკალიზმი იზრდება, და რაც უფრო მეტად მათში ვლინდება ანტიიმპერიალისტური, ანტიამერიკული მოტივები „...ჩვენი მბრძანებელი აშშ-ი არ არის! ჩვენი მბრძანებელი ბრიტანეთი არ არის, ჩვენი მბრძანებელი ისრაელი არ არის, ჩვენი მბრძანებელი ღმერთია!“, მით უფრო დიდ რეზონანს იღებდნენ ისინი ირანის საზოგადოებაში.

ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ირანში, სანამ თურქეთსა და ერაყში გაასახლებდნენ (თვით ეს გამოსვლაც ერთ-ერთი მიზეზი გახდა ამ გასახლებისა), ჰომეინიმ დიპლომატიური იმუნიტეტის შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციის დებულებების გავრცელება ირანში მომუშავე ყველა ამერიკელ სპეციალისტზე, შეადარა ქვეყნის ოკუპაციას აშშ-ის მიერ და გამოხატა მსოფლიო რეალიების იმგვარი ხედვა, ირანში რომ აფორიზმად იქცა: „ამერიკა ინგლისზე უარესია, ინგლისი ამერიკაზე, საბჭოთა კავშირი კი ორივეზე უარესია. ყოველი მათგანი სხვაზე უარესია. მაგრამ დღეს ჩვენ საქმე ისეთ ბოროტ მოვლენასთან გვაქვს, როგორიც ამერიკაა“. ყველაფერი ეს ემატებოდა ირანულ საზოგადოებაში ტრადიციულად გავრცელებულ ქსენოფობიას, ნაციონალიზმსა და რელიგიურობას, და, ამგვარად, გარეშე ფაქტორის როლი ირანის რევოლუციაში მნიშვნელოვანი იყო.

რევოლუციის შემდეგ, მნიშვნელოვანი ადგილი იდეოლოგიაში ახალი რეჟიმისა, რომელსაც იმამი რ. ჰომეინი ჩაუდგა სათავეში, დაიკავეს საგარეო-პოლიტიკური მიმართულების მქონე ლოზუნგებმა: „არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი (ანუ სსრკ-ი), არამედ ისლამი“, მუსლიმური ქვეყნების ერთიანობის და სხვ., „ისლამური რევოლუციის ექსპორტის“ პოლიტიკამ კი

მნიშვნელოვანწილად შეცვალა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისლამური რეჟიმისთვის დამახასიათებელი დუალიზმი მისი საერო (ტექნოკრატიულის) და ისლამური (იდეოკრატიული) შემადგენლებისა, აისახებოდა საგარეო პოლიტიკაშიც: საგარეო საქმეთა სამინისტროს აწონილ-დაწონილი პოლიტიკისთვის შეიძლება ძირი გამოეთხარა რომელიმე რადიკალური „ისლამური“ ორგანოების თუ მოღვაწეების მოქმედებებს ან განცხადებებს, და, პირიქით, ამ უკანასკნელთა რადიკალიზმი შეიძლება, დეზავუირებული ყოფილიყო პირველის მიერ.

„რევოლუციის ექსპორტის“ კერძო შემთხვევა გახდა ირან-ერაყის ომი, დაწყებული ერაყის მიერ, მაგრამ ირანი ომობდა ისლამური რევოლუციის ლოზუნგების გამოყენებით და მისი მიზანი არა იმდენად თავდაცვა იყო, რამდენადაც ერაყში ირანის ანალოგიური რეჟიმის დამყარება. ცდილობდნენ ქმედითი მოქმედებების გამოყენებას, რათა მოეხდინათ რევოლუციის ექსპორტი სამოქალაქო ომით ალმოდებულ ლიბანში, სადაც ირანის დახმარებით შეიქმნა ორგანიზაცია სამხედრო-პოლიტიკური იხასიათისა - „ჰეზბოლა“. რევოლუციური მოძრაობის ინსპირირების ცდებს ადგილი ჰქონდა კიდევ რიგ არაბულ და მუსლიმურ ქვეყნებში, კერძოდ, ბაჰრეინში, სადაც არის შიიტების დიდი თემი. შეიქმნა სპეციალური ორგანოები, „ისლამური კომინტერნის“ როლს რომ ასრულებდნენ და რომელთა ამოცანა იყო „ექსპორტისთვის“ ხელისშეწყობა. რევოლუცია შაჰის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლებით დაიწყო 1978 წლის აგვისტოში და დასრულდა შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებით თეირანში 1979 წლის 9-11 თებერვალს. თვით ირანში რევოლუციური მოძრაობის ქრონ-ოლოგიას იწყებენ 1963 წლიდან (ე. წ. 15 „ჰორდადის აჯანყებიდან“).

დიდწილად, სწორედ მუქარამ ირანის მხრიდან ხელი შეუწყო 1981 წელს არაბული მონარქიების რეგიონული ორგანიზაციის - სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს (სყასთს) შექმნას, ანუ შექმნას ისლამური რევოლუციის, ისლამური და საერო ადგილობრივი ოპოზიციის, არაბული საერო რესპუბლიკური ნაციონალიზმის (ერაყის, სირიის, იემენის და სხვათა რეჟიმებით წარმოდგენილის) წინააღმდეგ მიმართული არაბული მონარქიების თავისებური „წმინდა კავშირისა“.

დიდწილად, სწორედ მუქარამ ირანის მხრიდან ხელი შეუწყო 1981 წელს არაბული მონარქიების რეგიონული ორგანიზაციის - სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს (სყასთს) შექმნას, ანუ შექმნას ისლამური რევოლუციის, ისლამური და საერო ადგილობრივი ოპოზიციის, არაბული საერო რესპუბლიკური ნაციონალიზმის (ერაყის, სირიის, იემენის და სხვათა რეჟიმებით წარმოდგენილის) წინააღმდეგ მიმართული არაბული მონარქიების თავისებური „წმინდა კავშირისა“.

ირანმა გაწყვიტა ყველა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დასავლეთთან. ურთიერთობები „დიდ ეშმაკთან“ (აშშ-ი) საერთოდ მტრულად იქცა. მტრობა ვაშინგტონის მიმართ გახდა რევოლუციის მთავარი სიმბოლო, თითქმის რელიგია. ანტიიმპერიალიზმმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ, ირანი ამ საფუძველზე დაუახლოვდა ლიბიას, სირიას და დასავლეთის წინააღმდეგ განწყობილ რიგ სხვა რეჟიმს, იქცა მიუმხრობლობის მოძრაობის აქტიურ მონაწილედ, სადაც, უნდა ითქვას, არც თუ იშვიათად ატარებდა პოლიტიკას „მიუმხრობლებთან მიუმხრობლობისა“. ირანი გახდა პალესტინის საკითხის ყველაზე

რადიკალური გადაწყვეტილების (ისრაელის საწინააღმდეგო თვალსაზრისით) თანმიმდევრული მომხრე.

იმავდროულად, რიგი მოვლენა, რომელმაც საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია, ფაქტობრივად იყო, პირველ რიგში, შედეგი ირანის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლისა. ინციდენტს, რომელიც დაკავშირებული იყო „იმამის კურსის მიმდევარ სტუდენტთა“ მიერ თეირანში 1979 წლის 4 ნოემბერს აშშ-ის საელჩოს ხელში ჩაგდებასთან და 444 დღის განმავლობაში ამერიკელი დიპლომატების მძევლებად დაკავებასთან, მოჰყვა მრავალი საერთაშორისო შედეგი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა ირანსა და აშშ-ს შორის. საერთაშორისო სამართლის დარღვევამ (ვენის 1961 წლის კონვენციის) დიპლომატიური მისიების და პერსონალის ხელშეუხებლობის ნაწილში გამოიწვია მკვეთრი გაკიცხვა მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან, მათ შორის, სსრკ-ის ჩათვლით. მაგრამ სსრკ-მ დაგმო აშშ-ის რეაქციაც ამ ფაქტზე, ჩათვალა რა ის არათანაზომიერად. აშშ-მ ირანის წინააღმდეგ გაატარა მთელი რიგი მკვეთრი დემარში, ცდილობდა რა, ზეწოლა მოეხდინა ისლამურ რეჟიმზე დიპლომატიური, ეკონომიკური (სანქციები) და ძალისმიერი მეთოდებით. სრული კრახით დამთავრდა ამერიკელთა ცდა, გაე-თავისუფლებინათ მძევლები ძალისმიერი გზით (ე. წ. „თაბასის ინციდენტი“), რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჯ. კარტერის მარცხი 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. ხანგრძლივი მოლაპარაკებები ირანსა და აშშ-ს შორის, კერძოდ, ალჟირის შუამავლობით, დასრულდა ყველა მძევლის განთავისუფლებით, მაგრამ ირანის მოთხოვნათა დიდი ნაწილი შეუსრულებელი დარჩა.

ამ მოვლენებმა ჰომეინის ინიციატივით, მიიღეს „მეორე ისლამური რევოლუციის“ სახელწოდება, მაგრამ სრულებითაც არა

მათი საერთაშორისო რეზონანსის გამო. საელჩოს ხელში ჩაგდების ფორმალური საბაბი იყო ის, რომ აშშ-მ არ გამოხატა სურვილი გადაეცა ირანის სასამართლოსთვის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, მაგრამ ფაქტობრივად ეს იყო შედეგი შიდაპოლიტიკური ბრძოლისა მ. ბაზარგანის დროებითი მთავრობის ბედის და ახალი, „ისლამური“ კონსტიტუციის ირგვლივ. შედეგად მთავრობა, რომელიც ისლამისტ რევოლუციონერებს ლიბერალურად მიაჩნდათ, დაეცა, და იმ პირობებში, როდესაც არსებობდა აშშ-ის თავდასხმის მუქარის და ან-ტიიმპერიალისტური ენთუზიაზმის მაკონსოლიდირებელი მოქმედება, 1979 წლის დეკემბრის რეფერენდუმზე მხარი დაუჭირეს ისლამური რესპუბლიკის პარტიის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციას, რომელიც შეიცავდა ჰომეინის კონცეფციის “ველაიათე ფაკიხის“ (ღვთისმეტყველის მმართველობის) საბაზისო პრინციპს და სხვა რევოლუციურ თეზისებს. შედეგად, ჰომეინიმ და მისმა თანამებრძოლებმა თავისას მიაღწიეს, გზადაგზა გაწყვიტეს რა ყველა კავშირი აშშ-სთან, გააფუჭეს ურთიერთობები დასავლეთის სხვა ქვეყნებთან და გააფუჭეს მსოფლიოს წარმოდგენა თავზე, ამასთან, დაკარგეს რა მნიშვნელოვანი ნაწილი ირანის იმ სიმდიდრისა, აშშ-ში რომ ინახებოდა.

1980-იანი წლების ერთ-ერთმა უმსხვილესმა საერთაშორისო სკანდალმა, ე. წ. ირანგეიტმა, დაკავშირებულმა ირანისთვის ამერიკული იარაღის საიდუმლო მიწოდებასთან, მსოფლიო რეზონანსი შეიძინა ასევე ქვეყანაში მიმდინარე იმ შიდაპო - პოლიტიკური ბრძოლის შედეგად, რომელიც მიდიოდა ჰომეინის მემკვიდრედ გამოცხადებული აიათოლა ხ. ა. მონთაზერის, ხოჯათ ოლ-ისლამ ა. რაფსანჯანის (მეჯლისის სპიკერის) და ხოჯათ ოლ-ისლამ ა. ხამენეის (პრეზიდენტის) დაჯგუფებებს შორის. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მონთაზერის

და ხამენეის კავშირს რაფსანჯანის წინააღმდეგ. მისი მოწინააღმდეგეთა აზრით, ცნობებს ისლამის მტრებთან მეჯლისის თავმჯდომარის კონტაქტების შესახებ უნდა მოეხდინა მისი სრული კომპრომეტაცია და ხელი შეეწყო პოლიტიკურ ასპარეზიდან მისი მოშორებისთვის. მაგრამ ეს ისტორია სხვანაირად დასრულდა და მთელმა სკანდალმაც დიდი რეზონანსი შეიძინა ირანის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით აშშ-ში.

ცნობილ ავტორ დ. მენაშრის (ისრაელი) აზრით, რ. ჰომეინის 1989 წლის ფეტვა, მიმართული ბრიტანელ მწერალ ს. რუშდის წინააღმდეგ წიგნ „სატანისტური ლექსები“-ს გამო, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია მსოფლიოში, ასევე იყო შედეგი შიდაპოლიტიკური ბრძოლისა, ამჯერად მონთაზერის და, შესაძლოა, რაფსანჯანის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ირანის 80-იანი წლების საგარეო პოლიტიკა მთლიანად იყო იდეოლოგიურად განპირობებული, არ იქნებოდა სწორი, მისი პრაგმატიზმის დაკნინება. თუმცა გამოკვეთილი აზრის იყო ლოზუნგი „არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი“, ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა რიტორიკას, ირანი ეხმარებოდა ავღანელ მუჯახედებს, მან მოახდინა ირან-საბჭოთა რუსეთის 1921 წლის შეთანხმების მე-5 და მე-6 მუხლების ცალმხრივი დენონსირება, მიუხედავად თეირანში მდებარე საბჭოთა მისიის წინააღმდეგ პროვოკაციებისა, მიუხედავად ირანელ მარქსისტთა წინააღმდეგ რეპრესიებისა, ირანი არ წავიდა ურთიერთობათა გაწყვეტასა და ღია კონფრონტაციაზე მეორე ზესახელმწიფოსთან. უფრო მეტი, ის ავითარებდა და განამტკიცებდა მასთან ურთიერთობებს. ირანმა ასევე შეინარჩუნა და რიგ შემთხვევაში განავითარა კიდეც ურთიერთობები რიგ ევროპულ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყანასთან, აგრეთვე იაპონიასთან და სხვ. შედარებით არცთუ ისე ცუდი

ურთიერთობები ირანს 80-იან წლებში ჩამოუყალიბდა რეგიონის ძირითად პროდასავლურ სახელ-მწიფოებთან - თურქეთსა და პაკისტანთან. კერძოდ, პაკისტანი წარმოადგენს ირანის ინტერესებს აშშ-ში.

ირან-ერაყის ომი 1988 წელს შეწყვიტა თვით ჰომეინიმ, რომელმაც რეალურად შეაფასა ქვეყანაში შექმნილი მძიმე სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის განწყობა და დათანხმდა გაეროს უშიშროების საბჭოს №598 რეზოლუციის მიღებას (ცეცხლის შეწყვეტის შესახებ).

გარდა ისლამური რევოლუციის იდეოლოგიისა, ირანის ფორმირებად საგარეო პოლიტიკაზე 80-იან წლებში გავლენას ახდენდა შემდეგი ფაქტორები:

-ერაყთან ომის დიპლომატიური უზრუნველყოფის აუცილებლობა (არ ყოფილიყო დაშვებული კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია არაბული და სხვა სახელმწიფოების მხრიდან, შეიარაღებებისა და სათადარიგო ნაწილების მოწოდების უზრუნველყოფა, მუშაობა გაეროში და ა. შ.);

-უსაფრთხოების სხვა საკითხები: ავღანელ ლტოლვილთა პრობლემები, აშშ-ის ყოფნა სპარსეთის ყურეში, ემიგრანტული დაჯგუფებების, ქურთი და სხვა სეპარატისტების ნეიტრალიზება და სხვ.;

-ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებები (ხელის შეწყობა საგარეო ვაჭრობის, ექსპორტის და იმპორტის ტრანზიტისთვის, ზღვაოსნობის უსაფრთხოების საკითხები და სხვ., მუშაობა ოპეკ-ს ფარგლებში, აშშ-ის სანქციებისთვის გვერდის ავლის ზომები);

-შიდა ფაქტორები: პოლიტიკური ბრძოლა, საზოგადოებრივი აზრი და ა. შ.;

-საგარეო პოლიტიკის ტრადიციული, ჯერ კიდევ შაჰის დროიდან დარჩენილი ორიენტირები; პრეტენზიები რეგიონული „ზესახელმწიფოს“ როლზე, ირანული ნაციონალიზმი, მისწრაფება ეთამაშა წინააღმდეგობებზე დიდ სახელმწიფოთა შორის - როგორც თავის დროზე თამაშობდა წინააღმდეგობებ-ზე რუსეთსა და ინგლისს შორის XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

90-იან წლებში, იმამ ჰომეინის გარდაცვალების შემდეგ, ირანის საგარეო პოლიტიკა, ერთი მხრივ, აგრძელებს 80-იანი წლების ტენდენციებს, მეორე მხრივ კი, მასში გამოჩნდა ახა- ლი მოტივები, რომლებიც მეტწილად განისაზღვრებოდა მისი შიდა სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით. საყოველთაოდ აღიარებულად ითვლება დუუმვირატ რაჰბარ ა. ჰამენეის, პრეზიდენტ ა. რაფსანჯანის (1989 – 1997 წლები, ორი ვადა) და მოქმედ პრეზიდენტ (1997 წლიდან) მ. ჰათამის საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრა, როგორც პრაგმატულის და ზომიერისა (1979-1989 წლების პერიოდთან შედარებით). ა. რაფსანჯანის მმართველობის ორი ვადა იყო ხანა ეკონომიკური რეკონსტსტრუქციისა, ხელისუფლება დაკავებული იყო სახალხო მეურნეობის ერაყთან ომისშემდგომი აღდგენით, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობათა განვითარების, პრივატიზაციის გატარების, ეკონომიკის არასანავთობო სექტორის განვითარების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით ეროვნული ეკონომიკის რეფორმირებით.

ირანი 90-იან წლებში, თავის საგარეო და რეგიონულ პოლიტიკაში „რევოლუციის ექსპორტის“ იდეებიდან თანდათან გადავიდა რეგიონული კოოპერაციის გზების ძიებისკენ. თანდათან უმჯობესდება მისი ურთიერთობები მეზობლებთან

სპარსეთის ყურეში, მათ შორის, საუდის არაბეთთანაც, რომლისადმი დამოკიდებულება ჰომეინის დროს თითქმის მტრული იყო. განმტკიცდა მისი ურთიერთობები ევროპულ ქვეყნებთან, რუსეთთან, რიგ განვითარებად ქვეყანასთან. ირანმა თანმიმდევრულად კონსტრუქციული პოზიცია დაიჭირა უმრავლეს რეგიონული კონფლიქტების მიმართ, რომელიც ხშირად ემთხვეოდა რუსეთის და გაეროს პოზიციებს: ერაყ-ქუვეითის კრიზისში, ავღანეთის საკითხში, ყარაბახის საკითხში, ტაჯიკეთის პრობლემის მიმართ, უფრო გვიან - კოსოვოს საკითხში და ა. შ. ამასთან, რელიგიური სოლიდაროზით ირანი ნაკლებად ხელმძღვანელობდა, ვიდრე ჯანსაღი აზრით.

კოოპერაცია რუსეთთან შუა აზიის, კავკასიის და რიგ საერთაშორისო საკითხთან დაკავშირებით, ისევე, როგორც ამ ორი ქვეყნის საერთო დაახლოება, წარმოადგენს მნიშვნელოვან შემობრუნებას ირანის 90-იანი წლების პოლიტიკაში.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შემორჩენილია ადრინდელი, რევოლუციური საგარეო პოლიტიკის „რელიქტები“ - ეს არის მკვეთრი ოპოზიციაც მახლობელ აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესისადმი, მხარდაჭერაც რიგი რევოლუციური მოძრაობებისა, მათ შორის, ჰეზბოლასი ლიბანში, და მჭიდრო კავშირების დამყარება „რევოლუციურ ისლამურ“ სუდანთან, იარაღის მიწოდება ბოსნიაში და სხვა. ეჭვის ქვეშაა თუ დამტკიცებულია ირანის კვალი 1990-ან წლებში მომხდარ რიგ ტერორისტულ აქტში: ბუენოს-აირესის ებრაელთა თემის ობიექტების აფეთქებები (1992 და 1994 წლებში), ე. წ. „მიკონოსის“ 1992 წლის ინციდენტი ბერლინში[1] და სხვები. 1993 წელს გაწყდა ურთიერთობე-

[1] 1997 წელს ევროკავშირის ქვეყნების ელჩები გაიწვიეს თეირანიდან იმის შემდეგ, რაც ქ. ბერლინის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელ-

ბი ირანსა და ალჟირს შორის - ამ უკანასკნელმა ბრალი დასდო ირანს იმაში, რომ ის მხარს უჭერს გადარჩენის ისლამურ ფრონტს, რომელიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწევა ალჟირის მთავრობის წინააღმდეგ.

იმის შემდეგ, რაც 1997 წლის 23 მაისს ირანის პრეზიდენტად აირჩიეს ხოჯათ ოლ-ისლამ სეიდ მოჰამად ხათამი - კლირიკოსი და ფილოსოფოსი, რომელსაც გააჩნია საერო და სასულიერო განათლება და ფლობს ინგლისურ, გერმანულ და არაბულ ენებს, ხანგრძლივად ცხოვრობდა ჰამბურგში, ტენდენციებმა, წინა წლებში რომ გამოვლინდნენ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, არამარტო მიიღეს შემდგომი განვითარება, არამედ თავისი კონცეპტუალური გაფორმებაც შეიძინეს. საუბარია „ისლამური სამოქალაქო საზოგადოების“ იდეასა და „ცივილიზაციების დიალოგის“ კონცეფციაზე, რომლებიც არამარტო საყვარელ თემებად იქცა მ. ხათამის გამოსვლებისა ირანსა თუ უცხოეთში, არამედ მისი ადმინისტრაციის და მისი მხარდამჭერი რეფორმისტების საბაზო იდეოლო-გიურ ორიენტირებადაც[1].

შიც აღიარებული იყო, რომ ირანის ხელისუფლება პასუხს აგებს ბერლინში, 1992 წელს, ქურთი-დისიდენტების მკვლელობაზე, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ ელჩები დაბრუნდნენ ირანში და „კრიტიკული დიალოგი“ ევროკავშირთან განახლდა. ქურთი-დისიდენტების მკვლელობაზე, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ ელჩები დაბრუნდნენ ირანში და „კრიტიკული დიალოგი“ ევროკავშირთან განახლდა

[1] ირანულ პოლიტიკაში მოქმედი ძალების კლასიფიკა-ციის საკითხი ძალზე რთულია. პირობითად შეიძლება გამოიყოს ე. წ. რეფორმისტები, მ. ხათამის მომხრეები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ ძალებს აერთიანებენ, დაწყებული მემარცხენე ისლამისტებიდან, მემარჯვენე ტექნოკრატებამ- დე, ძირითადად გაერთიანებულების 2 ჰორდადის ფრონტში, და ე. წ. კონსერვატორებს, რომლებიც ძირითადად დაჯ-გუფებული არიან მებრძოლ სასულიერო პირთა მემარჯვენე კლერიკალური ასოციაციის ირგვლივ

„ცივილიზაციათა დიალოგის“ კონცეფცია, ხათამის დიპლომატიის თავისებური „სავაჭრო მარკა“, გაცხადებული როგორც საგარეო-პოლიტიკური კურსის საფუძველი, სიმპათიას იწვევს და ხსნის შიშს, რომ ირანი მიისწრაფვის ესაუბროს არამუსლიმებს „ცივილიზაციათა შეტაკების“ შესახებ ს. ჰანტინგტონის წინასწარმეტყველების სულისკვეთებით.

„ცივილიზაციათა დიალოგი“ გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე არის კულტურათშორისი დიალოგი - კონცეფციის ძირითადი დებულებები შემდეგია: ყველა ადამიანისადმი პატივისცემა და მათი თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად იმისა, დიდ თუ მცირე ერებს ეკუთვნიან ისინი; კულტურული მრავალფეროვნების მიღება, როგორც კაცობრიობის პერმანენტული თვისებისა; პატივისცემა სხვა კულტურებში მიღებული ღირებულებებია და შეხედულებებისადმი; კულტურული მემკვიდრეობის და ღირებულებების დაცვის უფლება; უარის თქმა კულტურული დომინირების მიღწევის ცდებზე; გლობალური პრობლემების დაძლევის საერთო გზების ძებნა; საერთაშორისო სამართლის ნორმების პატივისცემა და უარის თქმა კონფრონტაციაზე და ა. შ. ხათამის არაერთხელ უსაუბრია ამაზე სხვადასხვა ტრიბუნებიდან: იკო-ს სესიებზეც, სპეციალურ სემინარებსა და კონფერენციებზეც, გაეროს გენერალურ ასამბლეაზეც, მათ შორის, „ათასწლეულის სამიტზეც“ 2000 წლის სექტემბერში. მისი ინიციატივით, 2001 წელი გაეროს ცივილიზაციათა დიალოგის წლად გამოაცხადა.

(ჯამე-ე რუხანიათ-ე მობარეზ) და რომელთანაც დაახლოებულია ქვეყნის ლიდერი ა. ჰამენეიც. მაგრამ მუდმივად არის გასათვალისწინებელი ყველა განსაზღვრების პირობითობა

„ცივილიზაციების დიალოგი“ გულისხმობს ირანის როლის ამაღლებასაც მსოფლიოში, როგორც ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის და მუსლიმური სამყაროს უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილისა. ამ სახით, ირანს სურვილი აქვს განავითაროს ურთიერთობები სხვა „ცივილიზაციებთან“ - იქნება ეს ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი და, რა თქმა უნდა, დასავლეთი, უფრო ზუსტად კი, ევროპა. ევროპულ ქვეყნებიდან ირანს ყველა წარმატებული ურთიერთობები აქვს საბერძნეთთან და იტალიასთან, ევროპული კულტურის ისტორიულ ცენტრებთან. ჰათამის ვიზიტი იტალიაში 1999 წელს იყო პირველი ისლამური რევოლუციის შემდეგ ვიზიტი ირანის სახელმწიფოს ხელმძღვანელისა დასავლეთ ქვეყანაში (რაფსანჯანი ევროპულ ქვეყნებიდან მხოლოდ საბჭოთა კავშირში იყო 1989 წელს). ამ ვიზიტის დროს, გარდა მოლაპარაკებებისა იტალიის ოფიციალურ პირებთან, შედგა შეხვედრები საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და სენსაციური შეხვედრა რომის პაპ იოანე პავლე მეორესთან.

2001 წლის მარტში შედგა ჰათამის 4-დღიანი ვიზიტი რუსეთში და მოლაპარაკებები მის პრეზიდენტ ვ. ვ. პუტინთან. დაახლოება ორ ქვეყანას შორის გრძელდება, თუმცა მათ შორის არის წინააღმდეგობებიც, კერძოდ, კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ირან-ერაყის 1980 – 1989 წლების ომი. როგორც უკვე ითქვა, ირან-ერაყის ომი წარმოადგენდა „ისლამური რევოლუციის ექსპორტის“ შესახებ ირანული დოქტრინის კერძო შემთხვევას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ასპექტია ამ ძალზე რთული საერთაშორისო კონფლიქტისა. ირან-ერაყის დაპირისპირებას მრავალი მიზეზი აქვს: ისტორიული, პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური. ეს არის კონფლიქტიც სპარსულ და არაბულ ნაციონა-

ლიზმებს, ასევე ისლამურ მესიანიზმსა და ბაასისტურ სოციალიზმს შორის, ეს არის ბრძოლაც ჰეგემონიისთვის სპარსეთის ყურის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან აუზში. ეს არის სუნიტურ-შიიტური წინააღმდეგობებიც[1], არის ერაყში შიიტური სიწმინდეების პრობლემაც (ნეჯეთი და ქერბელა).

თავის როლს თამაშობდა არაბული უმცირესობის არსებობაც ირანში, განსაკუთრებით ნავთობით მდიდარ ხუზესტანის პროვინციაში. არც თუ ისე მცირე მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთ ტერიტორიულ პრეტენზიებსაც. მესოპოტამია (ქტესიფონი) იყო ირანის უკანასკნელი ისლამამდელი დინასტიის - სასანიანთა ცენტრი. ირანის სახელმწიფოს აღმდგენი შიიტთა სეფიანთა დინასტია და მათი მემკვიდრეები XIX - XX საუკუნეებში ებრძოდნენ ოსმალეთის იმპერიას მესოპოტამიისთვის (ერაყისთვის). თავისუფლების მოპოვების მომენტიდან (1922 წელი), ერაყი არაერთხელ და სხვადასხვა ფორმით აყენებდა პრეტენზიას ირანის პროვინცია ხუზესტანზე, რომელიც ერაყის წყაროებში მხოლოდ არაბეთად იწოდებოდა. არც თუ ისე უმნიშვნელო იყო სუბიექტური მომენტიც, კერძოდ, იმამ ჰომეინის ანტიპათიური დამოკიდებულება ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინისადმი, დაკავშირებული იმასთან, რომ ამ უკანასკნელმა 1978 წელს შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის მოთხოვნით გააძევა ჰომეინი ერაყიდან.

ომის უშუალო მიზეზი იყო ორი ქვეყნის დავა საზღვრის გამო, კერძოდ, მისი იმ მონაკვეთისა, რომელიც მდინარე შატელ-

[1] ერაყში მოსახლეობის 60 პროცენტამდე შიიტია, მაგრამ ხელისუფლება ეკუთვნის სუნიტური უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც სეკულარისტულ პოლიტიკას ატარებდნენ

არაბზე[1] გადის. სპარსეთსა და თურქეთს შორის 1947 და 1913 წლების ხელშეკრულებებს, ისევე, როგორც შემდგომ შეთანხმებებს ირანსა და ერაყს შორის (1937 წელი), საზღვარი გაჰყავდათ მდინარის მარცხენა (აღმოსავლეთ) ნაპირზე, გარდა მონაკვეთებისა ქალაქ ჰორემ-შეჰრთან და ქალაქ აბადანთან. ამგვარად, ტოვებდნენ რა ირანის სუვერენიტეტის ქვეშ აკვატორიას მდინარისა, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო არტერიას, მათ შორის, ნავთობის ექსპორტისთვის. რადგან ასეთი მდგომარეობა არ იყო მომგებიანი ირანისთვის, აგრეთვე იმიტომ, რომ შეთანხმებები საზღვრის შესახებ ხელმოწერილი იქნა ირანისთვის არახელსაყრელ პირობებში, მათ შორის, ინგლისის ზეწოლითაც. თეირანი არაერთხელ გამოვიდა მოთხოვნით, გადაესინჯათ შეთანხმებები საზღვრის შესახებ და მოითხოვდა მის გაყვანას მდინარეებზე საზღვრების გაყვანის ჩამოყალიბებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ანუ, ფარვატერზე ან ტალვეგზე (უდიდესი სიღრმეების ხაზზე).

ურთიერთობები ქვეყნებს შორის მკვეთრად დაიძაბა ერაყის 1959 წლის რევოლუციის და ამ ქვეყნის სენტოდან გამოსვლის შემდეგ. 1969 წლის აპრილში ირანმა მოახდინა 1937 წლის შეთანხმების ცალმხრივი დენონსაცია, როგორც კოლონიალისტურის და იმპერიალისტურისა. ორმხრივ ურთიერთობებში გამწვავდა არამარტო სასაზღვრო, არამედ სხვა პრობლემებიც. ირანის მიმართ ერაყის პრეტენზიებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მოთხოვნამ, შეეწყვიტა თეირანს დახმარების გაწევა ქურთ მეამბოხეებისთვის ერაყში. ერაყმა კი, თავის მხრივ, თავშესაფარი მისცა ირანის ოპოზიციას, კერძოდ, 1964 წლიდან ნეჯეთში ცხოვრობდა ირანიდან გასახლებული აიათოლა რ. ჰომეინი. რომელიც იქედან ავრცელებდა შაჰის საწინააღმდეგო მოწოდებებს.

[1] სპარსული სახელი - არვანდრუდი, შექმნილია ტიგროსის და ევფრატის შერწყმით.

1971 წლის ნოემბერში, ყურედან ბრიტანული ჯარების გასვლის შემდეგ, ირანმა ხელში ჩაიგდო სპარსეთის ყურეში მდებარე სამთავროების - შარჯას და რას ელ-ჰაიმის საკუთრებაში არსებული სამი კუნძული: აბუ მუსა, დიდი და პატარა ტომბები. ამ კუნძულებს ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები უჭირავთ ორმუზის სრუტის შესასვლელთან. ერაყმა პროტესტის ნიშნად, გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ირანთან. ეს გაკეთდა არა იმდენად არაბული სოლიდარობის გამო, რამდენადაც იმის შიშით, რომ ირანს, რომელმაც ხელში ჩაიგდო კონტროლი ამ კუნძულებზე, ნებისმიერ მომენტში შეუძლია ორმუზის სრუტის დაკეტვა.

ალჟირის მეშვეობით ერაყი, დაუძლურებული ქურთ მეამბოხეებთან ბრძოლით, 1973 წლის ოქტომბერში წავიდა ირანთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე. ალჟირში, 1975 წლის მარტში, ოპეკ-ის სამიტზე, შედგა ირანის შახ მოჰამედ რეზას და ერაყის რევოლუციური სარდლობის თავმჯდომარის სადამ ხუსეინის შეხვედრა. შეთანხმდნენ ორ ქვეყანას შორის უთანხმოების დარეგულირების შესახებ, მათ შორის, აღიარეს, რომ საზღვარი მდინარე შათ ელ-არაბზე გადის ტალვეგის ხაზზე. იმავე წლის ივლისში ბაღდადში ხელი მოეწერა შეთანხმებას საზღვრებსა და კეთილმეზობლურ ურთიერთობების შესახებ. ირანი დათანხმდა შეეწყვიტა დახმარება ქურთი მეამბოხეებისთვის და მოეხდინა ერაყის ტერირიული დანაკარგების კომპენსაცია სახმელეთო საზღვრის უბანზე ნავთხანე-ნავთშახის რაიონში. გამოცხადდა, რომ შეთანხმების ყველა ნაწილი ურთიერთდაკავშირებულია.

ერაყი იძულებული გახდა, წასულიყო 1975 წლის შეთანხმებაზე და ამიტომ აღიქვა ირანის 1978-1979 წლების მოვლენები, როგორც საბაბი შეთანხმების ძალის გამოყენებით გადასინჯვისთვის. გამოიყენა რა ირანის არმიის დასუსტება, გამოწვეული რევოლუციითა და წმენდებით, აგრეთვე, როგორც საბაბი, რევოლუციური რიტორიკა თეირანისა, რომელიც ცდილობდა ისლამური რევოლუციის გავრცელებას მთელ ისლამურ სამყაროში და, უპირველეს ყოვლისა, ერაყში; და გამოაცხადა, რომ ირანმა დაარღვია 1975 წლის შეთანხმება და ჩაიდინა „224 აგრესიული აქტი“, ერაყმა 1980 წლის 18 სექტემბერს მოახდინა 1975 წლის შეთანხმების დენონსირება და ასევე მოითხოვა ირანისგან აბუ მუსას, დიდი და პატარა ტომბის კუნძულების გათავისუფლება.

22 სექტემბერს ერაყმა სამხედრო მოქმედებები დაიწყო. დაიწყო ომი, რომელიც იქცა მუქარად ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონისთვის და მთელი მსოფლიოს აღელვების წყაროდ. 1980 წლის სექტემბერ-ნოემბერში ერაყის არმიამ რიგ წარმატებას მიაღწია, ოკუპირებული იქნა ხუზისტანის პროვინციის ნაწილი და სხვა ტერიტორიები, ქალაქები ჰორემშეჰრი, კასრ-ე შირინი, მეჰრანი, ალყა შემოარტყეს აბადანსა და აჰვ-აზს. 1980 დეკემბერში ომმა პოზიციური ხასიათი მიიღო. 1982 წლის მარტიდან იწყება ირანის შეტევა, მაისში გაათავისუფლეს ჰორემშეჰრი, საბრძოლო მოქმედებებმა გადაინაცვლა ერაყის ტერიტორიაზე, მაგრამ კვლავ პოზიციურ ხასიათს იღებენ. 1986-1987 წლებში ირანმა დიდი დანაკარგების ფასად, ხელში ჩაიგდო ბასრას მახლობლად მდებარე ნახევარკუნძული ფაო და რიგი სხვა ტერიტორია ერაყში. ამავე დროს იწყება ე. წ. „ქალაქების ომი“ (მასირებული ურთიერთ ავიათავდა-სხმები) და „ტანკერების ომი“ (დარტყმები მოწინააღმდეგის და მისდამი ლოიალური

ქვეყნების ნავთობის მზიდავ გემებ-ზე). 1988 წლის იანვრიდან აგვისტომდე ერაყის ჯარმა რიგი დამარცხება მიაყენა მტერს და დაატოვებინა მას დაკავებუ- ლი ტერიტორიები.

1988 წლის ივლისში იმამ ჰომეინიმ ცნო გაეროს უშიშროების საბჭოს 1987 წლის №598 რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ (ერაყმა ის უფრო ადრე ცნო). 20 აგვისტოს ხელი მოეწერა, 25 აგვისტოს კი ძალაში შევიდა დაზავება, მაგრამ არცერთი მხარე არ თვლიდა თავს დამარცხებულად. 1990 წლის ოქტომბერში, უკვე ერაყ-ქუვეითის კრიზისის დაწყების შემდეგ, ერაყი თანხმდება დაბრუნებას ალჟირის 1975 წლის შეთანხმებასა და ტალვეგის ხაზზე საზღვრის გაყვანაზე, ასევე, მან გაიყვანა თავისი ჯარები ირანის იმ ტერიტორიიდან, რომელიც ჯერ კიდევ მისი კონტროლის ქვეშ იყო, ამასთან, აღიარა და შეასრულა ირანის რიგი სხვა მოთხოვნა. გაიცვალა სამხედრო ტყვეები და აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. ომში დაღუპულთა რაოდენობა 600 ათას - 1 მილიონ ადამიანს აღწევდა თითოეულ მხრიდან.

ამ უმსხვილეს რეგიონულ კონფლიქტს საერთაშორისო ასპექტი გააჩნდა. თუმცა დიდი სახელმწიფოებიც, დასავლეთის და ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიც ფორმალურად ნეიტრალიტეტს იცავდნენ, კონფლიქტმა თავიდანვე დაიწყო ინტერნაციონალური ხასიათის მიღება. სპარსეთის ყურეს არაბული მონარქიები, შეწუხებულები ისლამური რევოლუციის გავრცელების პერსპექტივით და მთლიანობაში ირანის ჰეგემონიით, ფარულად უჭერდნენ მხარს ერაყს, ძირითადად, ფინანსებით. განსაკუთრებით გამოიყოფოდა საუდის არაბეთი, რომლის ურთიერთობები ირანთან ძალზე დაძაბული იყო 80-იან წლებში. „ტანკერების ომის“ დროს, ირანმა არაერთხელ მოაწყო თავდასხმა საუდის არაბეთისა და ქუვეითის გემებზე, 1984

წელს კი ამ უკანასკნელის ტერიტორიას დაუშინა რაკეტები. აშკარა ანტიირანული პოზიცია დაიკავა ეგვიპტემ. თავის მხრივ, არაბულ ქვეყნებიდან სირია, ლიბია და სამხრეთ იემენი მხარს ირანს უჭერდნენ, ისლამურ რეჟიმს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა სირიასთან. თურქეთი, ალჟირი და პაკისტანი ცდილობდნენ შუამავლობას ერაყსა და ირანს შორის. გაერო და ოიკ-ი მოუწოდებდნენ შეეწყვიტათ ცეცხლი.

რეგიონში, და, კერძოდ, სპარსეთის ყურეში, კონფლიქტის მთელი პერიოდის განმავლობაში, იმყოფებოდნენ აშშ-ის და ნატოს სხვა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები. გარდა ყველაფრისა, „ტანკერების ომის“ დროს ისინი იცავდნენ ქუვეითისა და საუდის არაბეთის ტანკერებს. მთლიანობაში, აშშ-ი და ნატო უფრო ერაყის მხარეს იხრებოდნენ, მაგრამ უკვე მაშინ იდებოდა საფუძვლები ამ ორი ქვეყნის მიმართ იმ პოლიტიკის გატარებისა, რომელმაც 90-იანი წლების მეორე ნახევარში, პრეზიდენტ კლინტონის დროს, მიიღო სახელწოდება „ორმაგი შეკავების პოლიტიკისა“ (dual containment).

სსრ კავშირს ომის დროს ნეიტრალური პოზიცია ეკავა, ის ორივე მხარეს მოუწოდებდა, შეეწყვიტათ ომი და გაერთიანებულიყვნენ „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ. ომის დაწყებისთანავე, სსრკ-მ შეწყვიტა იარაღის მიწოდება ერაყისთვის, მაგრამ 1982 წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ ბრძოლები გადავიდა ერაყის ტერიტორიაზე და ირანში ანტი-საბჭოთა აქციები მოეწყო, განაახლა ეს პრაქტიკა. ამასთან, საბჭოთა შეიარაღება, ძირითადად, სირიის გავლით, მიეწოდებოდა ირანსაც.

მიუხედავად ომის შეწყვეტისა, ურთიერთობები ირანსა და ერაყს შორის საკმაოდ რთული რჩება, და, თუმცა ერაყმა 1991 წელს მძიმე მარცხი განიცადა („ბრძოლაში უდაბნოში“), ძალზე

შესაძლებელია, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული წინააღმდეგობათა კომპლექსი გახდება ახალი კონფლიქტის საფუძველი.

1978-2000 წლების ომი ავღანეთში. 1973 წელს ავღანეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება და მონარქია ჩამოაგდეს. ავღანეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, ძალაუფლება კი ხელში აიღო მეფის ნათესავმა და ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მ. დაუდმა. 1978 წლის აპრილში მოხდა ახალი სამხედრო გადატრიალება („აპრილის რევოლუცია“), დაუდის რეჟიმი განდევნეს და ძალაუფლება გადავიდა პროსაბჭოთა ორიენტაციის მქონე ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის (ასდპ) ხელში, რომლის ხელმძღვანელობამ რიგი გარდაქმნები წამოიწყო ამ ჩამორჩენილ, ნახევრად პატრიარქალურ ქვეყანაში.

მაგრამ ასდპ-ს „სოციალისტურმა“ გარდაქმნებმა გამოიწვია სახალხო უკმაყოფილების ზრდა და არსებულ რეჟიმთან შეიარაღებული ბრძოლა, რომელსაც მხარს უჭერდნენ გარე ძალები: პაკისტანი, საუდის არაბეთი, ნაკლები დონით ისლამური ირანი, აგრეთვე აშშ-ი და სხვ. ასდპ-ს რეჟიმს ძალზე ასუსტებდა ასევე შიდა ბრძოლა მტრულ ფრაქციებს - „ხალკ-ს“ და „ფარჩამს“ შორის. რეჟიმი დაღუპვის პირას იყო. ასდპ-ს რეჟიმი ძირითად დახმარებას სამხედრო-ტექნიკურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ღებულობდა სსრ კავშირისგან, რომელსაც, უნდა აღინიშნოს, ადრე ძალზე მჭიდრო კავშირები ჰქონდა. მეფის ხელისუფლებასთანაც და დაუდის რეჟიმთანაც. 1978 წლის დეკემბერში დაიდო სსრკ-აღანეთის შეთანხმება მეგობრობის, კეთილმეზობლობის და თანამშრომლობის შესახებ, 1979 წლის 27 დეკემბერს კი სსრ კავშირმა, „ავღანეთის მხარის არაერთი მოთხოვნის“, დასახელებული შეთანხმების და გაეროს წესდების 51 მუხლის დამოწმებით, ავღანეთის ტერიტორიაზე შეიყვანა თავისი ჯარების „შეზღუდული კონტინ-

გენტი“ (40-ე არმია) და დაიწყო მონაწილეობა შეიარაღებული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში ასდპ-ს მთავრობის მხარეზე.

საკითხი იმის შესახებ, თუ რით იყო მოტივირებული საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ავღანეთში ჯარების შეყვანის შესახებ, მკვლევართათვის დღემდე რჩება ღია და სადისკუსიო. გაურკვეველია, საბჭოთა ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო იოლ გამარჯვებასა და თავის სიმართლეში ე. წ. „ბრეჟნევის დოქტრინის“ და ჩეხოსლოვაკიის 1968 წლის მოვლენების გამოცდილების საფუძველზე, თუ თვლიდა, რომ ასდპ-ს რეჟიმის დაცემის შედეგები უფრო საშიში იქნებოდა, ვიდრე ომი მისი შენარჩუნებისთვის, თუ რაღაც კიდევ სხვა გარემოებების გამო მიიღეს ეს გადაწყვეტილება, რომელმაც გამოიწვია საბჭოთა არმიის ყველაზე მსხვილი სამხედრო ოპერაციის ჩატარება 1945 წლიდან და მისი ნაწილების 9-წლიანი ყოფნა ავღანეთში.

უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება ჯარების შეყვანის და თვით ჯარების შეყვანა დროში დაემთხვა აშშ-ირანის ურთიერთობათა მკვეთრ გამწვავებას, დაკავშირებულს ირანში ამერიკელი მძევლების კრიზისთან, და არაბეთის ზღვის და სპარსეთის ყურეს აუზში ამერიკელთა სამხედრო ძალის გაზრდასთან. საკმაოდ დაძაბული იყო ამ პერიოდში აშშ-სსრკ-ის ურთიერთობებიც. 1979 წლის ნოემბრისთვის წარუმატებლად დასრულდა საბჭოთა-ამერიკული მოლაპარაკებები ევროპაში საშუალო მანძილის რაკეტების შესახებ. აშშ-მ უარყო საბჭოთა წინადადებები, ისევე, როგორც მისი მოსაზრებები, მიმართული ინდოეთის ოკეანეში სამხედრო ყოფნის შეზღუდვაზე. 1979 წლის დეკემბერში მიიღეს გადაწყვეტილება ევროპაში ფრთოსანი რაკეტების განლაგების შესახებ. 1978-1979 წლები ასევე იყო

პერიოდი სსრკ-ის წინააღმდეგ აშშ-ჩინეთის დაახლოებისა, პერიოდი აშშ-ის მიერ საბჭოთა კავშირში „ადამიანის უფლებების“ მდგომარეობის მკვეთრი კრიტიკისა, აგრეთვე ხანა ამერიკის სხვა მტრული მოქმედებებისა. აშშ-ის გარკვეული წრეები შეგნებულად ცდილობდნენ სსრკ-ის პროვოცირებას აგრესიულ მოქმედებებზე, მათ შორის, ავღანეთშიც.

შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები საბჭოთა ჯარების შეყვანას ავღანეთში პროპაგანდისტული მიზნებით ხატავდნენ, როგორც სსრკ-ის ცდებს განეხორციელებინა რუსი მეფეების თითქოსდა საუკუნოვანი ოცნება ინდოეთში გასვლისა, გადაეკეტა დასავლეთისთვის ნავთობის მიწოდება სპარსეთის ყურედან და სხვ. თავის მიმართვაში ამერიკელებისადმი პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა 1980 წლის 23 იანვარს აღნიშნა: „ნებისმიერი გარე ძალის ცდა, დაამყაროს კონტროლი სპარსეთის ყურეზე, განიხილება, როგორც თავდასხმა შეერთებული შტატების ცხოვრებისეულ ინტერესებზე და მოგერიებული იქნება ყველა საჭირო საშუალებით, სამხედრო ძალის ჩათვლით“. კარტერმა განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარები „იმყოფებიან 300 მილის მანძილზე ინდოეთის ოკეანედან და მიუოლოვდნენ ორმუზის სრუტეს... საბჭოთა კავშირი ახლა ცდილობს, განამტკიცოს თავისი სტრატეგიული მდგომარეობა, რაც სერიოზული მუქარის ქვეშ აყენებს ახლოაღმოსავლური ნავთობის თავისუფალ ტრანსპორტირებას“. რ. რეიგანმა, რომელმაც კარტერი შეცვალა 1981 წელს, კიდევ უფრო რადიკალური პოზიცია დაიკავა, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ისე ავღანეთის საკითხის მიმართ.

თავისი ჯარების შეყვანამ სსრკ-ის ავტორიტეტს დიდი დარტყმა მიაყენა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ეს აქტი დაგმო დასავლეთის ყველა ქვეყანამ, მიუმხრობელი სახ-

ელმწიფოების უმრავლესობამ, საბჭოთა კავშირის მოკავშირეებმაც კი ენთუზიაზმის გარეშე აღიქვეს ის. კერძოდ, ეს აისახა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტში. აშშ-მ აღნიშნული მოვლენები გამოიყენა, რათა აემაღლებინა თავისი ავტორიტეტი მუსლიმი ხალხების თვალში და მათში გამოეწვია სიძულვილი სსრკ-ის მიმართ, წარემართა მუსლიმურ სამყაროში არსებული ექსტრემისტული რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რითაც შეძლებდა, დაეცვა თავი და თავისი მოკავშირეები ირანის 1979 წლის ცდის განმეორებისგან.

მდგომარეობას ამძიმებდა ის, რომ ჯარების შეყვანისას, საბჭოთა სპეცსამსახურების დახმარებით, ჩამოაგდეს ხ. ამინი, ავღანეთის პრეზიდენტი და ხელისუფლებაში საბჭოთა ჯარების ხიშტებზე მოვიდა ბ. კარმალი, „ფარჩამის“ ფრაქციის ლიდერი. ეს გარემოება საშუალებას აძლევდა სსრკ-ის და ასდპ-ს მოწინააღმდეგეებს შეეფასებინათ ავღანური რეჟიმი, როგორც აშკარად მარიონეტული. ავღანეთი, რომელიც XX საუკუნის მანძილზე ტრადიციულად ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებდა, აღმოჩნდა სსრკ-ის გავლენის სფეროში. საბრძოლო მოქმედებების ესკალაციამ გამოიწვია ავღანელი ლტოლვილების ნაკადი ირანსა და პაკისტანში. იქვე იყო დაფუძნებული შეიარაღებული ოპოზიცია („რვის“ ალიანსი ირანში და „შვიდის“ ალიანსი პაკისტანში). ავღანელ შეურიგებელ ოპოზიციონერთა (მოჯაჰედების) მთავარი ცენტრი გახდა პაკისტანი, ქ. პეშავარი. თავად პაკისტანი, აშშ-თან, საუდის არაბეთთან, არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, ჩინეთთან და სხვა სახელმწიფოებთან ერთად ქმედით მატერიალურ და სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას უწევდა მოჯაჰედებს, და ხშირად ერეოდა ავღანეთის საშინაო საქმეებში. 1980-იანი წლების ბოლოს მოჯაჰედებისთვის გაწეული ფინანსური დახმარების მოცულობა ყოველწლიურად აღწევდა 600 მლნ აშშ-ს დოლარს.

დიდხანს უშედეგო რჩებოდა ავღანეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის გზების ძებნის ცდები. 1982 წლიდან მიმდინარეობდა არაპირდაპირი მოლაპარაკებები (გაეროს გენერალური მდივნის, პ. დე კუელიარის და მისი სპეციალური წარმომადგენლის დ. კორდოვესის შუამდგომლობით) ავღანეთის, სსრკ-ის, პაკისტანის და აშშ-ის შორის. საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ 1982 წლის ბოლოს სკკპ-ს გენერალური მდივნის, ი. ვ. ანდროპოვის პირით გამოხატა ავღანეთიდან თავისი ჯარების გამოყვანის სურვილი, „თუ პაკისტანი შეწყვეტდა ოპოზიციის მხარდაჭერას“. მხოლოდ 1988 წელს, ავღანეთის საქმეებში ყოველგვარი უცხოური ჩარევის შეწყვეტის საფუძველზე, ავღანეთსა და პაკისტანს შორის, სსრკ-ის, აშშ-ის და გაეროს შუამდგომლობით, დაიდო ჟენევის შეთანხმებები კონფლიქტის დარეგულირების შესახებ. 1989 წლის 15 თებერვალს საბჭოთა არმიის უკანასკნელმა ნაწილებმა დატოვეს ავღანეთი.

საბჭოთა ჯარების წასვლა ფაქტობრივად იძულებითი იყო.

მათ შორის, ქვეყნის შიდა პრობლემების გამოც. იმაში, რომ ავღანელი მოჯაჰედები 9 წლის განმავლობაში შედარებით წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს არმიას, საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მათთვის დასავლური შეიარაღებების მიწოდებამ და მატერიალურმა დახმარებამ აშშ-ის და ისლამური სახელმწიფოების მხრიდან, საბჭოთა ჯარების მოუმზადებლობამ პარტიზანული ომისთვის მთიან პირობებში, ქვეყნის და ავღანელების მენტალიტეტის არცოდნამ და ამასთან დაკავშირებულმა საბჭოთა სარდლობის შეცდომებმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი სამხედრო დამარცხება საბჭოთა ჯარს ავღანეთში არ განუცდია.

თუმცა პაკისტანი და აშშ-ი არ აპირებდნენ მოჯაჰედებისთვის დახმარების შეწყვეტას, ასდპ-ს რეჟიმი, რომელსაც 1986 წლიდან სათავეში ნაჯიბულა ედგა, წინასწარმეტყველების საპირისპიროდ, წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას მოჯაჰედებს. და მხოლოდ 1992 წლის გაზაფხულზე, როდესაც სსრ კავშირის დაშლის გამო დახმარება ჩრდილოეთიდან სრულიად ამოიწურა, ნაჯიბულას რეჟიმი დაეცა, ხელისუფლება ჩაიგდეს მოჯაჰედებმა. ყოფილმა საველე მეთაურებმა გაიყვეს თანამდებობები მთავრობაში, ქვეყანას კი ეწოდა ავღანეთის ისლამური სახელმწიფო. მაგრამ ყოფილ მოკავშირეებს შორის თითქმის უცბადვე დაიწყო კონფლიქტები და ბრძოლა ხელისუფლებისთვის, რაც ახალ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ავღანეთი ფაქტობრივად დაიშალა რიგ დამოუკიდებელ ტერიტორიად.

1994 წელს ავღანეთის სცენაზე გამოჩნდა ახალი მოთამაშე - თალიბანის მოძრაობა, დაფუძნებული ყოფილი ავღანელი ემიგრანტების - პაკისტანის მედრესეთა მოსწავლეების (თალიბების) მიერ, შექმნილი პაკისტანის საერთოსაჯარისო დაზვერვის ISI-ის ცდებით და აშშ-ის და საუდის არაბეთის დახმარებით.

პაკისტანის ხელმძღვანელობა, უჭერდა რა მხარს თალიბებს, იმედოვნებდა, რომ ეს მოძრაობა, დააწესებდა ავღანეთზე კონტროლს, გაატარებდა პაკისტანისადმი ლოიალურ პოლიტიკას, მიანიჭებდა მას უპირატესობებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, აგრეთვე კანონიერად ცნობდა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარს, გავლებულს ე. წ. დიურანდის ხაზზე[1].

[1] დიურანდის ხაზი - ავღანეთ-პაკისტანის საზღვარი ფუშტუნთა ტომების განსახლების რაიონში. გაყვანილია ინგლის-ავღანეთის ომების შემდეგ, ავღანეთის ემირსა და ინგლისელ გენერალ მ. დიურანდის მისიას შორის

საუდის არაბეთის მმართველი წრეები იმედოვნებდნენ, რომ თალიბებზე თავისი ფინანსური და იდეოლოგიური გავლენის მეშვეობით ისინი საკუთარ პოლიტიკურ გავლენასაც გაავრცელებდნენ ავღანეთზე. ორივე ეს ქვეყანა, ასევე აშშ-ი, იმედოვნებდა, რომ ერთიანი ავღანეთი თალიბების[2] კონტროლქვეშ ხელსაყრელი მარშრუტი იქნებოდა ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ექსპანსიისთვის შუა აზიაში, რომლის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ძალზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდგომარეობა უჭირავთ ევრაზიის ცენტრში, ამასთანავე, ისინი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, ნავთობით და აირით. რადგან შუა აზიის რესპუბლიკებს არ გააჩნიათ გასასვლელი ღია ზღვისკენ, რეგიონში გავლენისთვის ბრძოლაში ძალზე დიდ

1893 წლის ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ნაწილი ფუშტუნებისა, ანუ საკუთრივ, ეთნიკურ ავღანელთა, რომლებიც ცხოვრობდნენ სულეიმანის მთების რაიონში, აღმოჩნდა ჯერ ბრიტანული ინდოეთის, შემდეგ კი პაკისტანის ქვეშევრდომები. პაკისტანის დამოუკიდებლობის გა-მოცხადების შემდეგ, დაიწყო ამ სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთის სასაზღვრო პროვინციის ფუშტუნი მოსახლეობის მოძრაობა დამოუკიდებელი ფუშტუნისტანის შექმნის ან ავღანეთთან შეერთებისთვის. 1949 წლიდან, ავღანეთის სხვადასხვა რეჟიმებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ არ ცნობენ „დიურანდის ხაზს“.

[2] პაკისტანის მედრესეები, რომლებშიც რელიგიურ განათლებას ღებულობდა „თალიბანის“ ბევრი წევრი, მათ შორის მისი ხელმძღვანელებიც, ფინანსდებოდა საუდის არაბეთის მიერ და ხშირად, მათ სათავეშიც საუდის არაბეთიდან ჩამოსული ღვთისმეტყველები იდგნენ ან ეს სკოლები ამ ქვეყნის საღვთისმეტყველო სკოლების გავლენის ქვეშ იყვნენ. ამიტომაც „თალიბანის“ იდეოლოგიას ხშირად, „ვაჰაბიზმს“ უწოდებენ, ისევე, როგორც საუდის არაბეთში გაბატონებულ სუნიტური ისლამის კონსერვატულ-ფუნდამენტალისტურ ვარიაციას. თალიბებმა გამოაცხადეს „ავღანეთის ისლამური ემირატი“.

მნიშვნელობას იძენენ რეგიონში მისვლის მარშრუტები, განსაკუთრებით, ნავთობის და აირის მარშრუტები ირანის და რუსეთის გავლით ითვლება „მიუღებლად“ (აშშ-თვის) პოლიტიკური მოტივებით, ამიტომ რჩება ორი ვარიანტი: თურქეთი-კავკასია-კასპიის რაიონი და პაკისტან-ავღანეთი. ავღანეთის გავლით თურქმენული აირის ტრანსპორტირების პროექტის დამუშავება დაიწყეს ამერიკულმა კომპანია „იუნოკალმა“ და აშშ - საუდის არაბეთის „დელტამ“.

თალიბებმა, გამოაცხადეს რა თავისთავი „ჭეშმარიტი ისლამის“ ადეპტებად, დაიწყეს ომი ყველა სხვა ავღანური დაჯგუფების წინააღმდეგ და მოკლე ხანში მიაღწიეს წარმატებებს: 1995 წელს აიღეს ყანდაგარი, რომელიც ამ მოძრაობის ცენტრი გახდა, 1996 წელს კი აიღეს ქაბული. ორი წლის განმავლობაში თალიბების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი მაზარი-შარიფი, მაგრამ 1998 წელს ისიც დაეცა. 2000 წლისთვის თალიბებმა კონტროლი დაამყარეს ქვეყნის ტერიტორიის 90%-ზე. ყანდაგარი დარჩა მოძრაობის პოლიტიკურ ცენტრად და თალიბების ხელმძღვანელობის რეზიდენციად, მათ შორის მათი ლიდერის, მულა ომარისა, რომელსაც ჰქონდა ტიტული „ამირ ალ-მუ მინინისა“, ქაბულში კი განლაგდა „სამოქალაქო“ მთავრობა, რომელიც, თუმცაღა, მთლიანად შედგება თალიბების - სუნიტი სასულიერო პირებისგან: მოლების, ახუნდებისა და მაულანებისგან. მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თალიბებმა გამოაცხადეს „ავღანეთის ისლამური ემირატი“.

ამ დროს კი, მსოფლიო თანამეგობრობამ (გარდა პაკისტანის, საუდის არაბეთის და არაბთა გაერთიანებული ემირატებისა) არ ცნო თალიბების რეჟიმი. თალიბების პოლიტიკა, მიმართული „ჭეშმარიტი ისლამის“ დანერგვაზე, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, რელიგიური და ეროვნული უმცირესობების

მიმართ რეპრესიებზე, მათი დამოკიდებულება ქალების სტატუსისადმი და თალიბების საშინაო პოლიტიკის ბევრი სხვა ასპექტი გაოცებას და გაკიცხვას იწვევენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. აგრესიული საგარეო-პოლიტიკური რიტორიკა, თავისი ტერიტორიის დათმობა საერთაშორისო ტერორისტებისთვის[1], ხელის შეწყობა ნარკოტრაფიკისთვის და, ამასთან ერთად, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის აშკარა არაფრად ჩაგდება[2] თალიბების მოკავშირეებსაც აიძულებს სიფრთხილით მოეპყრან მათ. აშშ-ი არ წავიდა თალიბების, როგორც ავღანეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, აღიარებაზე და მათთან ურთიერთობების განვითარებაზე, უფრო მეტი, მათ სარაკეტო დარტყმა მიაყენეს თალიბების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას, იმ რაიონს, სადაც სავარაუდოდ იყო საერთაშორისო ტერორისტის უ. ბენ ლადენის ბაზა.

ირანი, ინდოეთი, რუსეთი, შუა აზიის რესპუბლიკები განაგრძნობენ მხარდაჭერას მოჯაჰედების ე. წ. „ჩრდილოეთი ალიანსისა“ (რომელსაც ხელმძღვანელობენ ახმად შახ მასუდი და ბ. რაბანი), რომლებიც 1998 წლის შემდეგ გამაგრდნენ ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში (ბადახშანი, თახარი და სხვ.). რიგ რაიონში (ბამიანი, ბადგისი და სხვ.) გრძელდებოდა პარტიზანული ბრძოლა თალიბების წინააღმდეგ.

---

[1] კერძოდ, თალიბების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თავშესაფარს პოულობდნენ საუდის არაბეთის მკვიდრი მილიონერ-ტერორისტი უსამა ბენ ლადენი, რომელსაც ბრალი ედებოდა 1999 წელს კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოების აფეთქებების მოწყობაში, უზბეკეთის ისლამური მოძრაობის ლიდერი ჯ. ნამანგანი, რომლის რაზმები იჭრებოდნენ ფერგანის დაბლობში 1999 წელს, ვლინდებოდა თალიბების კონტაქტები ჩეჩენ სეპარატისტებთან და სხვა რადიკალურ მოძრაობებთან.

[2] როგორც, მაგალითად, ბამიანში ბუდისტების ძეგლების დანგრევის შემთხვევაში, რომლებიც იუნესკოს დაცვის ქვეშ იმყოფებოდა.

5. აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ძირითად მოთამაშეებად მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესის - წყნარი ოკეანეს - რეგიონის საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე სრული საფუძვლიდ ითვლებოდნენ აშშ-ი, სსრ კავშირი, იაპონია და ჩინეთი. ამ ოთხი მხარის ინტერესთა დაპირისპირება გახდა მრავალრიცხოვანი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნის, რეგიონულ ოპონენტებთან და აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონის სხვა ქვეყნების მიმართ თავისი პოზიციების მრავალჯერ შეცვლის მიზეზი. სამამულო ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა სსრკ-ის როლს ამ რეგიონში, ასევე ბევრი იყო ნათქვამი აშშ-ის როლზე და ცოტათი ნაკლები ყურადღება ექცეოდა ამ პროცესში ჩართულ ორ სხვა სახელმწიფოს - ჩინეთსა და იაპონიას.

ყოველმხრივი თანამშრომლობა სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის ეფუძნებოდა შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, დადებულს ორ ქვეყანას შორის 1950-იანი წლების დასაწყისში. განმსაზღვრელი დოკუმენტი იყო 1950 წლის 14 თებერვალს ხელმოწერილი „შეთანხმება მეგობრობის, კავშირის და ურთიერთდახმარების შესახებ“. ამ შეთანხმების მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 30 წლით, შესაძლო შემდგომი მისი გაგრძელებით. მოცემული დოკუმენტის საფუძველზე ხელი მოეწერა შეთანხმებებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისთვის ყველა უფლების დაბრუნებას ჩინეთ-ჩანჩუნის რკინიგზაზე, სამხედრო-საზღვაო ბაზებზე ლიუიშუნსა (პორტ-არტური) და დალიანში (დალნი), არაუგვიანეს, 1952 წლის დასასრულისა თვის.

ჩინეთმა მიიღო მსხვილი შეღავათიანი კრედიტი. შექმნილი იყო ოთხი შერეული საზოგადოება: სამოქალაქო ავიაციის საზოგადოება, ნავთობის და ფერადი ლითონების მოპოვების საზოგადოებები, გემების აგების და რემონტის საზოგადოება (დალიანში). ეს გარემოება განმსაზღვრელი იყო ჩინეთის ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. 1956 და 1958 წლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას ჩინეთში 102 სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში ხელშეწყობის შესახებ. სსრკ-ი ხელს უწყობდა ჩინეთში ბირთვული ფიზიკის ჩამოყალიბებას. სსრ კავშირ-ჩინეთის ვაჭრობაზე მოდიოდა სსრკ-ის სავაჭრო ბრუნვის 20 პროცენტი და ჩინეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობის 50 პროცენტი. მთლიანობაში, 50-იან წლებში საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა ჩინეთში 250-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმოს და სხვა ობიექტების აგებაში, მისცა რა ამ ქვეყანას თითქმის 2 მილიარდი მანეთის კრედიტები. სსრ კავშირმა ხელი შეუწყო საავიაციო, ელექტრონული, საავტომობილო და მრეწველობის სხვა საკვანძო დარგების განვითარებას. ჩინეთში მუშაობდა 10 ათასზე მეტი საბჭოთა სპეციალისტი, სსრკ-ში 10 ათასზე მეტმა ჩინელმა მიიღო უმაღლესი განათლება, ჩინეთ-სსრ კავშირის თანამშრომლობამ ჩინეთის ეკონომიკა თვისობრივად ახალ დონეზე გაიყვანა.

მაგრამ უთანხმოებები ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის გახდა საფუძველი მთელ რიგ სამეურნეო და პოლიტიკ- ურ საკითხში ჩინეთ-სსრკ-ს თანამშრომლობის ეფექტურობა- ში ეჭვის შეტანისთვის. კერძოდ, ჩინური მხარე ზუსტად 1952 წლის ბოლომდე თვლიდა, რომ შეთანხმება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის ერთობლივი მართვის შესახებ მოქმედებდა მათი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ, თუმცა, მოგვიანებით, ჩინეთის ექსპერტებმა აღიარეს, რომ მათ ქვეყანას იმ დროს არ

ჰქონდა ამ გზის დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობა და რომ სსრკ-ჩინეთის თანამშრომლობამ სარკინიგზო მიმოსვლის სფეროში სარგებლობა მოუტანა ჩინეთს. 60-იან წლებში ჩინეთში ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა ჩინეთს თავს მოახვია თავისი სამხედრო-საზღვაო ბაზები ლიუშუნსა და დალიანში, თუმცა კარგად იცოდნენ ის ფაქტი, რომ შეთანხმება ბაზების შესახებ ხელმოწერილი იყო ჩინეთის თხოვნით შორეულ აღმოსავლეთში და მთლიანად აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში რთული საერთაშორისო ვითარების გამო. გარკვეული უთანხმოებები გამოიწვია ჩინეთის ტერიტორიაზე ოთხი ზემოაღნიშნული ერთობლივი საზოგადოებების შექმნამაც. სსრკ-ის უმაღლეს ხელმძვანელობას ეს-მოდა, რომ ჩინეთის მხარემ გარკვეული კორექტივები შეიტანა თავის თავდაპირველ პოზიციაში, რითაც გააცხადა თავისი სურვილის არქონა ეთანამშრომლა ამ მიმართებით და აღიქვა სტალინის წინადადება საზოგადოებების შექმნის შესახებ, როგორც მოქმედება, რომლის მიზანი იყო ჩინეთის ტერიტორიის და მისი დამოუკიდებლობის ხელყოფა.

ერთმანეთს დასცილდა ორი ქვეყნის პოლიტიკური კურსის ხაზებიც. წარმოიშვა უთანხმოებები თანამედროვე ეპოქის შეფასებაშიც, აშშ-ის პოლიტიკისადმი მიდგომაში, ურთიერთობებში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ფარგლებში, საერთაშორისო არენაზე კონფლიქტებისადმი მიდგომაში, სოციალისტური მშენებლობის საკითხების და მთლიანად ორმხრივი ურთიერთობების პრობლემებისადმი. შეუძლებელი იყო ამ ფაქტორებს უარყოფითად არ ემოქმედა სსრ კავშირის და ჩინეთის ორმხრივ ურთიერთობებზე, რის შედეგად ყველა საბჭოთა სპეციალისტი გამოწვეული იქნა ჩინეთიდან. აღნიშნული გარემოებები გახდა იმის მიზეზი, რომ დაიწყო პეკინის ურთიერთობები იაპონია, აშშ-ი და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

50-იან წლებში ძალზე სწრაფად ვითარდებოდა ჩინეთის კონტაქტები სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან. 1950-1956 წლებში ამ ქვეყნებთან ჩინეთის ვაჭრობის მოცულობა დაახლოებით 20-ჯერ გაიზარდა. მათ წილზე მოვიდა ჩინეთის 205-მდე საგარეო სავაჭრო ბრუნი. მაგრამ ჩინეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა გაციებასთან ერთად, ეს კონტაქტები შეიკვეცა. კაპიტალისტურ ქვეყნებთან კონტაქტები კი, პირიქით, ვითარდებოდა.

ეყრდნობოდა რა თავის ადამიანურ და ნედლეულ რესურსებს, მნიშვნელოვანწილად სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების შედეგად, ჩინეთი, ტრადიციულად რომ ითვლებოდა სსრკ-ს უმცროს ძმად, გახდა ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე არამარტო აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში. თავისი არსებობის უკვე საწყის ეტაპზე, ჩინეთმა შეძლო, გაერღვია ამერიკული ბლოკადა სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში. 1949-1950 წლებში მან დაამყარა დიპლომატიური კავშირები ბირმასთან, ინდოეთთან, პაკისტანთან, ცეილონთან, ავღანეთთან, ინდონეზიასთან.

მიუხედავად ამისა, ჩინეთის ურთიერთობებში რეგიონის ზოგიერთ ქვეყანასთან რჩებოდა გარკვეული დაძაბულობა. ასე, ინდოეთთან წარმოიშვა კონფრონტაცია ტერიტორიულ საკითხებში ჰიმალაის სახელმწიფოთა და ტიბეტის გამო. დასაზუსტებელი იყო ჩინეთ-ბირმას საზღვარი. გარკვეულ უნდობლობას ჩინეთის მიმართ ამჟღავნებდნენ ინდონეზიაში. ტაილანდმა და ფილიპინებმა საერთოდ უარი განაცხადეს ჩინეთის ახალი მთავრობის აღიარებაზე. აშშ-მ შეძლო აზია-წყნარი ოკეანეს სახელმწიფოთა ჯგუფის ჩართვა სამხედრო ბლოკებში (სეატო, ანზიუსი და სხვ.), რომლებიც მნიშვნელო-ვანწილად მიმართული იყო ჩინეთის წინააღმდეგ.

1953 წელს კორეაში დაზავების ხელმოწერამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ჩინეთზე. ამ ქვეყნისადმი ნდობის გაძლიერებას აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში, ხელი შეუწყო 1954 წლის ჟენევის კონფერენციამ კორეისა და ინდოჩინეთის საკითხებზე. ჩინეთის დელეგაციამ აქ დიდი მოქნილობა გამოავლინა, რამაც გაადვილა იმ შეთანხმებების მიღწევა, რომლებმაც ბოლო დაუდეს ინდოჩინეთის რვაწლიან ომს. ჩინეთის დიპლომატიის ძალისხმევა მიმართული იყო იმაზე, რომ თავიდან აეცილებინა აშშ-სთან პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია და უზრუნველეყო თავისი სამხრეთი საზ-ღვრების უსაფრთხოება, რადგან დაძაბულობის კერა კორეის ნახევარკუნძულზე ჯერ არ იყო ჩამქრალი და ჩინეთს არ სურდა ჩაბმა ახალ კონფლიქტში. მისთვის წარმატებული იყო 1955 წლის ბანდუნგის კონფერენცია. ფორუმზე, რომელშიც მონაწილეობდა 29 სახელმწიფო, ჩინეთის წარმომადგენელი გამოვიდა მოწოდებებით, ებრძოლათ კოლონიალიზმის საბოლოოდ მოსპობისთვის, ატომური მუქარის წინააღმდეგ. ის არწმუნებდა რეგიონის ახალგაზრდა სახელმწიფოებს, რომ ჩინეთს არ აქვს მათდამი ტერიტორიული და სხვა პრეტენზიები, რომ იგი მხარს უჭერს გათავისუფლებული ხალხების მჭიდრო ურთიერთობებს. ბანდუნგის შემდეგ, ჩინეთმა გამო-აცოცხლა თავისი კონტაქტები ინდონეზიასთან, ბირმასთან, ცეილონთან, პაკისტანთან, კავშირები დაამყარა ეგვიპტესთან, სირიასთან, ერაყთან, იემენთან და რიგ სხვა სახელმწიფოსთან. ჩინეთის პოპულარობის ზრდას ხელს უწყობდა მისი ეკონომიკური მიღწევები, რომლებიც გამოიყურებოდა, როგორც ნიმუში ჩამორჩენილობის დაძლევისა აზიის და აფრიკის ქვეყნების მიერ.

1960 წლის 31 მაისს ჩინეთმა დადო შეთანხმება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობის, თანამშრომლო-

ბის და ურთიერთდახმარების შესახებ, 1961 წლის ივლისში - კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და 1970 წლის მარტში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ამ ქვეყნებთან ხელი მოეწერა რიგ შეთანხმებასაც სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში.

თავისი საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ჩინეთი იყენებს საშუალებათა ფართო დიაპაზონს. მიმართავს სავაჭრო-ეკონომიკურ ზემოქმედებას, ფსონს დებს თავისი საქონლის კონკურენტუნარიანობაზე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის (საა) ქვეყნებში. ჩინეთი უცვლელად ინარჩუნებდა მნიშვნელოვან აქტიურ სალდოს ამ რეგიონის ქვეყნებთან ვაჭრობაში, რაც ხელს უწყობდა მნიშვნელოვანი სავალუტო სახსრების შემოდინებას საკუთარ ეკონომიკაში. საა-ს ქვეყნები, ჰონკონგთან ერთად, გამოდის ჩინეთისთვის, როგორც კონვერტირებადი ვალუტის ერთ-ერთი უმსხვილესი წყარო.

ასე, ჩინეთმა ასეანის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად, მარტო 1984 წელს მიიღო 600 მილიონი დოლარი, მაშინ, როდესაც ჰონკონგმა უზრუნველყო იგი 950 მილიონი დოლარის შემოსავლით, 1976 წელს კი 2 მლრდ დოლარის შემოსავლით. ჩინეთ-სინგაპურის ვაჭრობა გაიზარდა 166,6 მლნ დოლარიდან 1966 წელში, 318,2 მლნ დოლარამდე - 1975 წელს. 1971-1972 წლებში სინგაპურთან ჩინეთის აქტიური ვაჭრობის სალდომ შეადგინა დაახლოებით, 120 მლნ დოლარი საშუალოდ წელიწადში. 1973-1975 წლებში მისი საშუალოწლიური მოცულობა გაიზარდა თითქმის 200 მლნ დოლარამდე. მალაიზიას ჩინეთთან ვაჭრობაში ასევე დი-დი უარყოფითი სალდო ჰქონდა. 1973 წლიდან 1975 წლამდე მან მოახდინა ჩინეთიდან 491,8 მლნ დოლარის საქონლის იმპორტი, მისმა ექსპორტმა კი ამ ქვეყანაში მხოლოდ 218 მლნ დოლარი შეად-

გინა. 1971-1979 წლებში ჩინეთის სავალუტო შემოსავლებმა მალაიზიასა და სინგაპურიდან, არასავაჭრო ოპრაციების გადასახადების ჩათვლის გარეშე, 1,1 მლნ დოლარი შეადგინა, განუხრელად იზრდებოდა ჩინეთსა და ფილიპინებს შორის ვაჭრობის მოცულობა, განსაკუთრებით, 1975 წელს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ. ფილიპინების ექსპორტი ჩინეთში 1974 წლიდან 1976 წლამდე გაიზარდა 13,3 მლნ დოლარიდან 38,2 მლნ დოლარამდე. იმპორტი კი ჩინეთიდან ამ პერიოდში, შესაბამისად გაიზარდა 23,9 მლნ დოლარიდან 53,7 მლნ დოლარამდე.

ჩინეთის საგარეო-პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში სპეციფიკურ როლს ასრულებდნენ საა-ში მცხოვრები ეთნიკური ჩინელები. 1975 წლის ბოლოსთვის მათი რიცხვი 21,9 მილიონ ადამიანს აღწევდა. ინდონეზიასა და ლაოსში ისინი მოსახლეობის 3 პროცენტს შეადგენდნენ, ვიეტნამში 4 პროცენტს, კამპუჩიაში 10 პროცენტს, ტაილანდში 18 პროცენტს, მალაიზიაში 34,1 პროცენტს, სინგაპურში 72,8 პროცენტზე მეტს, ჰონკონგსა და მაკაოში - 98 პროცენტს. ჩინურ დიასპორას ძალზე სოლიდური ეკონომიკური პოზიციები უჭირავს საბანკო საქმეში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, ტრანსპორტზე, ამ ქვეყნების მომსახურების სფეროში.

1964 წელს საზღვარგარეთელ ჩინელთა თემების კაპიალდა-ბანდებები საა-ში 6 მლრდ დოლარად ფასდებოდა. ტაილანდში ყველა 347 ბანკი ნაწილობრივ ან მთლიანად ადგილობრივ ჩინელთა ხელში იყო. დამახასიათებელ მაგალითს ბანგკონგის ბანკი წარმოადგენს, რომლის აქციათა 10 პროცენტი ეკუთვნის მთავრობას, 55 პროცენტს კი აკონტროლებდა ხინ სოპონპანიჩი, ჩინური წარმოშობის ტაილანდელი, რომელსაც ამ ბანკის პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ამ ბანკმა 1969 წლიდან 1973 წლამდე

პერიოდში გააორმაგა თავისი კაპიტალი, რომელმაც 500 მლნ დოლარი შეადგინა. ჩინელი ემიგრანტები აკონტროლებდნენ ქვეყანაში საცალო ვაჭრობის 72 პროცენტს. მათ ხელში იყო ბრინჯის საწმენდი ყველა საამქრო, რაც საშუალებას აძლევდა ფაქტიურად დაედგინათ ფასები ბრი-ნჯზე. ფილიპინებში 180 ათასი ჩინელის ხელში იყო მთელი საცალო ვაჭრობა. 100 უმსხვილეს კომერციულ კორპორაციიდან 18 ეთნიკური ჩინელების იყო.

ჩინეთის დიასპორა აკონტროლებს ინდონეზიის ეკონომიკის დაახლოებით 70 პროცენტს. ჩინური მოსახლეობის მაქსიმალური კონცენტრაციის რაიონებში ინდონეზიის მთავრობა ატარებდა ფართო პროგრამას, მიმართულს ჩინური თემის სეზღუდვაზე. ვარაუდობდნენ, რომ 1974 წლის 1 აპრილიდან, ამ რაიონებში სურსათის 9 ძირითადი სახეობით ვაჭრობა აღმოჩნდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელში. გადაწყვეტილი იყო, შეეწყვიტათ ჩინურ ენაზე გამომავალი ერთადერთი გაზეთის გამოშვება, სკოლებში ერთობლივი სწავლება გადაეყვანათ ინდონეზიურ ენაზე, აეკრძალათ ჩინური ფილმებისა და თეატრალური წარმოდგენების ჩვენება.

მალაიზიაში ადგილობრივ ჩინელებს ეკუთვნოდა ქვეყანაში არსებული კაუჩუკის პლანტაციების უმეტესობა. მათვე ეჭირათ ძირითადი პოზიციები საბანკო საქმეში, ვაჭრობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, კალას მოპოვებაში. მათ ხელში მთლიანად იყო შიდა ვაჭრობა: ოფიციალური მონაცემებით, 60-იან წლებში ჩინელებზე მოდიოდა მთელი საცალო ვაჭრობის 82 პროცენტი. მალაიზიის 400 წამყვან სამრეწველო კომპანიიდან 350 ეკუთვნოდა ჩინელებს. მათვე ეკუთვნოდა მთელი სააქციონერო კაპიტალის 22,8 პროცენტი, მალაელებს კი, რომლებიც

შეადგენდნენ მოსახლეობის 50 პროცენტს, მხოლოდ 1,5 პროცენტი.

სინგაპურის ეკონომიკა ასევე მთლიანად იყო ადგილობრივი ჩინური დიასპორის კონტროლქვეშ.

პოლიტიკური გეზი ჩინელთა მრავალრიცხოვანი თემების მიმართ მჭიდროდაა დაკავშირებული საა-ში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მიზნებთან და ამოცანებთან. 1949 წლიდან 1975 წლამდე ამ პოლიტიკაში შესამჩნე- ვი რყევები ხდებოდა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა საერთო სტრატეგიული ხაზი: ჩინური უმცირესობების ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების ყოველმხრივი გაძლიერება იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობენ და მათი გადაქცევა ჩინური ექსპანსიის ქმედით იარაღად.

აშშ-სთან ურთიერთობების ნორმალიზება იყო პეკინის ერთერთი პრიორიტეტული ამოცანა. მისწრაფება აზიაში სსრკ-ს წინააღმდეგ ყველაზე ქმედითუნარიანი საპირწონეს უზრუნველყოფისკენ, შეესაბამებოდა ჩინეთის ტრადიციულ ტაქტიკას - ბლოკში შესულიყო „მეორეხარისხოვან“ მოწინააღმდე-გესთან, როგორადაც მოცემულ შემთხვევაში თვლიდა აშშ-ს პეკინი, „ნომერ პირველი მტრის”, როგორადაც სსრკ-ს გულისხმობდა, წინააღმდეგ. რადგან აშშ-ი იყო სსრკ-ის მთავარი მოწინააღმდეგე მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე, ჩინეთისა და შეერთებული შტატების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, კერძოდ, ორივე ქვეყანას სურდა ხელი შეეშალა სსრ კავშირის გავლენის გაძლიერებისთვის ინდოჩინეთსა და აზიის სხვა რაიონებში. ამასთან, აშშ-სთან სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირება ჩინეთს აძლევდა საშუალებას გამოეთავისუფლებინა მნიშვნელოვანი რესურსები და გადაეჯგუფებინა შეიარაღებული ძალები, მათი კონცენტრაციით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პირველ წლებში პეკინში აშშ-ის პრეზიდენტ რ. ნიქსონის ვიზიტის შემდეგ, რომელიც შედგა 1972 წელს, ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის სწრაფად იზრდებოდა. ჩინეთი აშშ-ში ყიდულობდა მარცვლეულს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. 1973 წელს ხორბლის, ბამბის, სოიოს და სიმინდის მიწოდებამ შეადგინა ჩინეთში აშშ-ის მთელი ექსპორტის 80 პროცენტი. ჩინეთის სავაჭრო პარტნიორთა სიაში აშშ-ს ამ პერიოდში ეკავა მეორე ადგილი იაპონიის შემდეგ. ამასთან, დისპროპორცია ექსპორტსა და იმპორტს შორის 1973 წელს შეადგენდა 11:1-ზე, 1974 წელს კი 7:1-ზე აშშ-ის სასარგებლოდ. ჩინეთის ვაჭრობა აშშ-სთან 1972-1976 წლებში დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

წელი	მიმოქცევა (მლრდ დოლარი)	ექსპორტი (მლრდ დოლარი)	იმპორტი (მლრდ დოლარი)
1972	95,9	32,4	63,5
1973	803,6	63,9	739,7
1974	933,8	114,7	819,1
1975	462	158,4	303,6
1976	337,2	201,6	135,6

აშშ-დან ჩინეთის იმპორტის საგნებს შეადგენდა არამარტო მისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, არამედ კომპლექტური სამრეწველო მოწყობილობაც. 1972 წელს ხელი მოეწერა კონტრაქტებს, რომელთა შესაბამისად, ჩინეთს მიეწოდებოდა 10 სამოქალაქო თვითმფრინავი „ბოინგ-707“ (150 მლნ დოლარის), მოწყობილობა სასუქების ქარხნებისა და სამთომადნო მრეწველობისთვის, აგრეთვე სატელევიზიო კავშირის სისტემები და მაღალი სიზუსტით გამმზომი აპარატურა. ჩი-

ნეთიდან კი აშშ-ს ძირითადად მიეწოდებოდა ჯაგარი, დარიჩინი, სამხატვრო რეწვის ნაკეთობები, ხალიჩები, ქსოვილები, ფაიფური, ზღვის პროდუქტები.

იაპონიის საგარეო პოლიტიკაში ურთიერთობებს აშშ-სთან უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა მთელ ომისშემდგომ პერიოდში. იაპონია-ამერიკის კავშირის განმტკიცება და განვითარება მუდმივად განიხილებოდა როგორც ქვაკუთხედი, ყველა მთავრობის მიერ, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ ომისშემდგომ წლებში.

ნობუსუკე კისიმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ტანძან ისიბასის მთავრობაში, დაადასტურა, რომ "იაპონია-ამერიკის თანამშრომლობა არის იაპონიის საგარეო პოლიტიკის ფუძეთა ფუძე. ის ეყრდნობა იაპონიისა და შეერთებული შტატების ინტერესებისა და მიზნების ფართო ერთიანობას როგორც პოლიტიკასა და ეკონომიკაში, ისე თავდაცვის სფეროში". იაპონია-აშშ-ის ურთიერთობების განვითარებაში შეიძლება რამდენიმე მკაფიოდ გამოკვეთილი პერიოდის გამოყოფა.

პირველი მოიცავს ამერიკის მიერ იაპონიის ოკუპაციის წლებს (1945-1951). ეს იყო პერიოდი, აშშ-ის ყოველმხრივი მმართველობისა იაპონიაში. შექმნილი ვითარება ვაშინგტონმა იმისთვის გამოიყენა, რომ ღრმა ფესვები გაედგა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში. მჭიდრო კავშირების დამყარება აშშ-ის და იაპონიის მონოპოლიებს შორის, იაპონიის მრეწველობის ორიენტაცია ამერიკულ ბაზარზე, სხვადასხვა რეფორმების გატარება, სახელმწიფო ინსტიტუტების მოწყობა ამერიკულ ყაიდაზე, სახელმწიფო აპარატის უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე პროამერიკულად განწყობილი მოღვაწეების დანიშვნა, და ბოლოს, იაპონიის მმართველი ელიტის თვალში ამერიკის ძლიერებისა და დიდებისადმი, როგორც მიბაძვის ნიმუშისად-

მი, მოწიწების ატმოსფეროს შექმნა - ყველაფერი ეს ხელს უწყობდა შეერთებული შტატების მიერ იაპონიის ეკონომიკასა და პოლიტიკაში მყარი პოზიციების განმტკიცებას. შემდგომი პერიოდი იაპონია-აშშ-ის ურთიერთობათა განვითარებაში იწყება 1951 წლის სექტემბერში სან-ფრანცისკოს სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერიდან და ქრონოლოგიურად მიდის 1960 წლის ივნისამდე, როდესაც ძალაში შევიდა უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულება იაპონიასა და აშშ-ს შორის.

სან-ფრანცისკოს მშვიდობიანმა შეთანხმებამ, ხელმოწერილმა 1951 წლის 8 სექტემბერს და ძალაში შესულმა 1952 წლის 28 აპრილს, ბოლო დაუდო საოკუპაციო სტატუსს და სახელმწიფო ხელისუფლება მთელი სისრულით გადაეცა იაპონიის მთავრობას. მაგრამ იაპონიის სახელმწიფო სუვერენიტეტი იმგვარად განხორციელდა, რომ აშშ-მ დაიტოვა ყველა უპირატესობა და პრივილეგიები, რომლებიც მიღებული ჰქონდა ოკუპაციის წლებში. სან-ფრანცისკოს სამშვიდობო შეთანხმებასთან ერთად ხელი მოეწერა უსაფრთხოების პაქტს, სამხედრო შეთანხმებას, რომელმაც აშშ-ს უფლება მისცა, შეექმნა იაპონიის ტერიტორიაზე შეუზღუდავი რაოდენობის სამხედრო ბაზები და ჰყოლოდა ჯარების შეუზღუდავი კონტინ-გენტები. უსაფრთხოების პაქტის დებულებები დაზუსტებული, გაფართოებული და დამატებული იქნა 1952 წლის 28 თებერვალს ხელმოწერილი ადმინისტრაციული შეთანხმებით, რომელიც არეგულირებდა მის გამოყენებას, 1954 წლის 8 მარტის შეთანხმებით, ურთიერთ უსაფრთხოების სფეროში დახმარების შესახებ და 1956 წლის 22 მარტს ხელმოწერილი შეთანხმებით თავდაცვითი ხასიათის პატენტების და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

ეკონომიკური კავშირების სფეროში ძირითადი დოკუმენტი გახდა 1953 წელის 2 აპრილს ხელმოწერილი და 1954 წლის 30

ოქტომბერს ძალაში შესული შეთანხმება მეგობრობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ.

ყველა ამ შეთანხმებამ და ხელშეკრულებამ შეადგინა იურიდიული საფუძველი აშშ-სა და იაპონიას შორის ომისშემდგომ წლებში ჩამოყალიბებული უმჭიდროვესი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირისა. შეერთებული შტატები ამ კავშირის საშუალებით ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ იაპონიაზე კონტროლის ძირითადი ბერკეტები, აემაღლებინათ მისი როლი აზიაში არსებულ თავის სამხედრო-სტრატეგიულ სისტემაში, როგორც სამხედრო-სამრეწველო და ოპერატიული ბაზისა, გამოეყენებინათ როგორც ჩინეთის საპირწონე და ფორპოსტი საა-ს ქვეყნებზე სრული კონტროლის დამყარებისთვის.

იაპონია-ამერიკის ურთიერთობათა მესამე პერიოდი იწყება 1960 წლის იანვარში უსაფრთხოების შესახებ ახალი შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. ეს შეთანხმება უკვე არ ავალებდა ამერიკელებს საპოლიციო ფუნქციებს და შეზღუდული იყო დროში - მისი მოქმედების ვადა შემოიფარგლებოდა ათი წლით, განსხვავებით 1951 წლის უსაფრთხოების უვადო პაქტისა.

ეს პერიოდი ხასიათდებოდა არსებითი ცვლილებებით ძალთა შეფარდებაში (და უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაში) აშშ-სა და იაპონიას შორის, რამაც გამოიწვია იაპონია-ამერიკის კავშირის თანდათანობითი ტრანსფორმაცია. თავისი იურიდიული ფორმის არსებითად შეცვლის გარეშე, ახალი შინაარსის შეძენა. იაპონიის მთავრობამ, ქვეყნის მზარდ სიძლიერეზე დაყრდნობით, არამარტო უზრუნველყო თავისთვის თანასწორუფლებიანობის მაღალი დონე, არამედ დაიწყო აშშ-სადმი პრეტენზიების წაყენებაც იმ საკითხებში, რომლებიც განსაკუთრებით ეხებოდა მის ინტერესებს. რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, აქ უნდა ითქვას, რომ ცვლილებებმა ძალთა შეფარდებაში მნიშვნელოვნად აამაღლეს იაპონიის რო-ლი და მნიშვნელობა აშშ-ის პოლიტიკაში, როგორც უმნიშ-ვნელოვანესი მოკავშირისა ამ უკანასკნელის მიზნების მიღ-წევაში.

სხვადასხვაგვარი შეთანხმებისა და ხელშეკრულების დამატებით, სადავო საკითხების განხილვის, პოზიციების შეთანხმების და იმ გადაწყვეტილებების მისაღებად, ორივე მხარეს რომ წაადგებოდა საკითხთა ფართო წრეში, ყველაზე მაღალ დონეზე შეიქმნა ორმხრივი კომიტეტების განშტოებული აპარატი.

სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ იაპონიას საშუალება მისცა გადასულიყო თავისი ომისშემდგომი კურსიდან - „იაპონია-აშშ-ის თანამშრომლობა არის იაპონიის საგარეო პო-ლიტიკის ფუძეთა ფუძე“, ახალი დოქტრინის ფორმულაზე: „პოლიტიკური როლის შესაბამისობა ეკონომიკურ სიძლიერებასთან“ და ახალი პოზიციის ჩამოყალიბებაზე - „იაპონიას მეტი არ შეუძლია ისე, როგორც ადრე იყო, ცალმხრივად იყოს დამოკიდებული შეერთებულ შტატებზე - სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიმართებაში... ჩვენ უნდა გავაღრმავოდ შეერთებული შტატების ჩვენეული გაგება პოზიციიდან, რომელიც მაქსიმალურად დაახლოებული იქნება თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პოზიციასთან“.

საერთაშორისო ვითარება, რომელიც ყალიბდებოდა აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში ომისშემდგომ პერიოდში, მოითხოვდა, რომ რეგიონის პოლიტიკურ არენაზე ყოფილიყო მეტი, ვიდრე ორი ზესახელმწიფო - აშშ-ი და სსრკ. ისინი იძულებული იყვნენ ეძებათ რეგიონის ქვეყნებს შორის ერთგული მოკავშირეები და თავისი პოლიტიკური ხაზის გამტარებლები.

საბჭოთა კავშირმა ასეთი მოკავშირე ჩინეთის სახით პოვა. სსრკ-ს და ჩინეთის ათწლიანმა მჭიდრო თანამშრომლობამ ეკონომიკის ყველა სფეროში - მრეწველობასა და ენერგეტიკაში,

სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, მეცნიერებისა და განათლების სფეროში შესაძლებლობა მისცა ჩინეთს გამხდარიყო მსოფლიო პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაწილე. ამ თანამშრომლობას უპირატესად იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა, ძალზე ხშირად ის შორს იყო ეკონომიკურ მიზანდასახულობისგან და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ იყო განმტკიცებული საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ყოფნით ჩინეთის ტერიტორიაზე. ამ გარემოებებმა ჩინეთს საშუალება მისცეს შეეცვალა თავისი პოლიტიკური კურსი და არ მიექცია ყურადღება მოსკოვისთვის გადაწყვეტილებების მიღებისას.

აშშ-მ არჩევანი იაპონიაზე გააკეთა. ამ არჩევანზე გავლენა მოახდინა აშშ-სთვის ხელსაყრელმა ვითარებამ, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. სსრკ-სგან განსხვავებით, აშშ-მ ფსონი გააკეთა იაპონიაზე, ამასთან, აქტიურად უწყობდა ხელს მის ეკონომიკურ განვითარებას. თანამშრომლობის ასეთმა სქემამ საშუალება მისცა აშშ-ს გაეკონტროლებინა იაპონიის საგარეო და საშინაო მდგომარეობა და გამოეყენებინა ეს ქვეყანა, როგორც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში თავისი პოლიტიკის გატარების ყველაზე ქმედითუნარიანი ინსტრუმენტი, ასევე გავლენა მოეხდინა იმ ვითარებაზე, რომელიც ყალიბდებოდა საა-ს რეგიონის ქვეყნებში და ხელი შეეშალა საბჭოთა კავშირის გავლენის განმტკიცებისთვის ამ რეგიონში.

თავი 2. საერთაშორისო ურთიერთობები 1990-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში

1. ახალი მსოფლიო წესრიგი

საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე აშკარაა დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკის კორპორაციული ხასიათი. აშშ-ის და მისი მოკავშირეების ბევრი ოფიციალური დოკუმენტის, ასევე უკანასკნელი წლების არაფორმალური საგარეო-პოლიტიკური დისკუსიების მასალების ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ შეერთებული შტატების მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა ახლაც და თვალსაწიერ მომავალშიც მიმართულია (და იქნება მიმართული) იმაზე, რომ განამტკიცოს ყველა რგოლი საერთაშორისო უსაფრთხოების საკმაოდ რთული სტრუქტურისა, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად დასავლეთის მოქმედებათა ერთიანობას. ამასთან, ვაშინგტონი უკიდურესად მნიშვნელოვნად თვლის თავისი წამყვანი როლის განმტკიცებას, ნატოს და სხვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების გაძლიერებას, გაეროს დამორჩილებას ნატოსადმი კოლექტიური უსაფრთხოების პოლიტიკის პრაქტიკულად გატარებისას, ნატოს, გაეროს, ეუთოს დახმარებით სხვადასხვა ანტი-დასავლური ძალების შეჩერებას.

აშშ-ის მმართველი წრეები როგორც საერთაშორისო ურთიერთობების კატეგორიულ იმპერატივს აღიქვამენ ეფექტურ რეალიზაციას, გაფართოებადი კოალიციის C411 ცნობილი ფორმულისა (Command Control, Comunications, Computers, Intelligence), რუსულად კი - K4PI (სარდლობა, კონტროლი, კომუნიკაციები, კომპიუტერები, დაზვერვა).

ეს ძლიერ აღელვებს ნატოსაც, რომელმაც არსებითად შეცვალა თავისი ფუნქციები, გამომდინარე დროსა და საერთაშორისო საქმეებში, გლობალურ ეკონომიკაში, მსოფლიო პოლიტიკასა და იდეოლოგიაში შექმნილი კონიუნქტურიდან.

რუსეთი, ნატო და უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ევროპაში. მრავალპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში თავდაცვის სფეროში მასობრივი განადგურების იარაღის (მგი) გავრცელებაზე ნატოს რეაგირების ხელმძღვანელობის ყოვლისმომმომცველი პრინციპები შეიცავენ:

- ჩრდილოატლანტიკური კავშირის ერთიანობის უზრუნველყოფას მოკავშირეთა იმ სამხედრო მომზადებაში ფართო მონაწილეობის გაგრძელების საშუალებით, რომელიც ტარდება ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური (ბბქ) იარაღის გავრცელების მუქარის პირობებში;

- მხარდაჭერას თავისუფლებისა და ნებისმიერი პოტენციური მოწინააღმდეგისთვის იმის დემონსტრირებისა, რომ შეუძლებელია ჩრდილოატლანტიკური კავშირის იძულება ბბქ-იარაღის გამოყენების ან გამოყენების მუქარის დახმარებით;

- როგორც მოკავშირეების, ისე კოალიციაშიპარტნიორთა დარწმუნება იმაში, რომ ჩრდილოატლანტიკურ კავშირს უნარი შესწევს ეფექტური რეაგირება მოახდინოს ბბქ-იარაღის გამოყენების მუქარაზე, ან დაიცვას თავი მისი გამოყენებით თავდასხმისას;

- უზრუნველყოფას კონსულტაციების ჩატარების მოქნილი და ეფექტური პროცედურებისა, მეთოდებისა იმ კრიზისების უსწრაფესად გადაჭრის მიზნით, რომლებაც შეიძლება გამოიწვიონ ბბქ-იარაღის გავრცელება, მისი გამოყენების მუქარა, ან გამოყენება;

- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის შევსება იმ სამხედრო შესაძლებლობათა შეხამებით, რომელიც უზრუნველყოფს ბბქ-იარაღის (გაუვრცელებლობას) მისი შეძენი სტიმულების შემცირებით და მასზე ფასის ამაღლებით;

- ბირთვული შეკავების შევსება თავდაცვითი და მოქნილი რეაგირების მქონე ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების პოტენციალების შეხამებით დაზვერვის და თვალთვალის ეფექტურ საშუალებებთან, რომლებიც თავის ერთიანობაში გააღიერებენ ჩრდილოატლანტიკური კავშირის საერთო პოტენციალს, მიმართულს მგი-ს გავრცელების შედეგად წარმოქმნილი მუქარების შეკავებაზე, კრიზისებისა და კონფლიქტების პერიოდში;

- დაბალანსებას პოტენციალების ერთიანობისა, ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღის ჩათვლით, რათა უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხოება ბბქ-იარაღის ამა თუ იმ გამავრცელებლის წინააღმდეგ, ამ მგი-ს სამხედრო უპირატესობების გაუვნებელყოფის და მისი გამოყენების შემთხვევაში გამანადგურებელი საპასუხო დარტყმის პერსპექტივის შექმნით;

- გამომდინარე ჩრდილოატლანტიკური კავშირის მიზნე-ბის მიღწევაში მათი წვლილის თვალსაზრისიდან;

- კონფლიქტებში ჩარევას მათი გადაწყვეტის მიზნით, სამხედრო ოპერაციების ტემპებისა და მიმართულების და ნებისმიერი კონფლიქტის ყველა სტადიაზე გაბატონებული მდგომარეობის დაკავების უნარის ჩათვლით;

- პოტენციალების მოდიფიკაციას, გამომდინარე მუქარების ხასიათის ზომის ცვლილებიდან, ძირითადი ყურადღების მიქცევით არსებულ პირობებზე და ვითარების, უპირველეს ყოვლისა, რეგიონულის, ხანმოკლე განვითარების შესაძლო ტენ-

დენციებზე და საჭიროების შემთხვევაში მომავალში უფრო ეფექტური სისტემების განლაგების სხვადასხვა შესაძლებლობის შენარჩუნებით;

- ძირითადი ყურადღების მიქცევას სისტემების მობილურობაზე იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბბქ-ს იარაღის გავრცელების მუქარას ექნება უპირატესად, რეგიონული ხასიათი, და რომ ნატოს შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოიყენონ ოპერაციების ჩატარებისთვის ამ ორგანიზაციის მოქმედების ფარგლებს გარეთ;

- ბბქ-ს იარაღთან დაკავშირებული კონცეფციების ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკური კავშირის თავდაცვით დაგეგმარებას და სტანდარტიზაციის პროცესებში.

ნატოს მოქმედებების ლოგიკა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის ფარგლებში, და მთლიანად ნატოს გაფართოება სრულად შეესაბამება განახლებულ გეოსტრატეგიას, რომელსაც ახორციელებს დასავლეთი აშშ-ს ეგიდით.

„ნატოს გაფართოება, - ხაზგასმულია ჩრდილოატლანტი-კური კავშირის ექსპერტების მიერ 1995 წლის სექტემბერში მომზადებულ სპეციალურ გამოკვლევაში - ხელს შეუწყობს ევროატლანტიკურ რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას შემდეგი საშუალებებით:

- ხელს შეუწყობს და მხარს დაუჭერს დემოკრატიულ რეფორმებს, შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო და დემოკრატიული კონტროლის ჩათვლით;

- ხელი შეუწყოს კავშირის ახალ-წევრ ქვეყნებში თანამშრომლობის ახალი ფორმებისა და უნარების განვითარებას, კონსულტაციების ჩატარებას და კონსენსუსის მიღწევას, რაც დამახასიათებელია მოკავშირეთა შორის ამჟამად არსებული ურთიერთობებისთვის.

- განავითაროს კეთილმეზობლური ურთიერთობები, სასარგებლო ევროატლანტიკური რეგიონის ყველა ქვეყნისთვის, როგორც ნატოს წევრების, ისე სხვებისა.

- გააძლიეროს ერთობლივი თავდაცვა და გაავრცელოს მისი უპირატესობანი, აგრეთვე გაზარდოს თავდაცვითი დაგეგმარების და სამხედრო ბიუჯეტის ტრანსპარენტულობა და ამგვარად, შეამციროს არასტაბილურობის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული, თუ თავდაცვისადმი მიდგომა იქნება განპირობებული მხოლოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს ინტერესებით.

- გაძლიერდეს მისწრაფება ევროპაში ინტეგრაციისა და თანამშრომლობისადმი, რომელიც დაფუძნებული იქნება ერთიან დემოკრატიულ ფასეულობებზე და ამგვარად შეაკავებს საპირისპირო ტენდენციებს დეზინტეგრაციისა ეთნიკური თუ ტერიტორიული ნიშნებით.

- გააძლიეროს კავშირის უნარი ხელი შეუწყოს ევროპულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას, მათ შორის, მშვიდობისმყოფელ საქმიანობას ეუთოს დავალებით და მშვიდობისმყოფელ ოპერაციებს გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით, აგრეთვე საქმიანობის სხვა, ახალი სახეობების მეშვეობით.

- გააძლიეროს და გააფართოვოს ტრანსატლანტიკური პარტნიორობა. კავშირის გაფართოება იწარმოებს ვაშინგტონის შეთანხმებასთან ახალი წევრი-ქვეყნების მიერთებით. ის უნდა:

- ეთანხმებოდეს გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებს, ხელს უწყობდეს მათ შემდგომ განვითარებას, აძლევდეს კავშირის ყველა წევრს და ამ ქვეყნების ხალხებს თავისუფლების, საერთო მემკვიდრეობის და ცივილიზაციის ღირებულებების გარანტიას დემოკრატიის პრინციპების, პიროვნების თავისუფლების და კანონის უზენაესობის საფუძველზე.

- მკაცრად შეესაბამებოდეს ვაშინგტონის შეთანხმების მე-10 მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ „მხარეებს შეუძლიათ, საყოველთაო თანხმობით, შესთავაზოს ევროპის ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელსაც უნარი გააჩნია განავითაროს წინამდებარე შეთანხმების პრინციპები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში, მიუერთდეს წინამდებარე შეთანხმებას ...“.

- გამოდიოდეს იქიდან, რომ ახალ წევრებს უნდა ჰქონდეთ ყველა უფლება და მათ უნდა აიღონ თავისთავზე ყველა ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობენ ვაშინგტონის შეთანხმებიდან.

- გააძლიერონ კავშირის ერთიანობა და ქმედითუნარიანობა, ხელი შეუწყონ მისი პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას ერთობლივი თავდაცვის ძირითადი ფუნქციების, მშვიდობისმყოფელი ოპერაციების და საქმიანობის სხვა ახალი სახეობების განხორციელებისთვის.

- გახდნენ ნაწილი უსაფრთხოების საერთოევროპული სტრუქტურისა, დაფუძნებულის ჭეშმარიტ თანამშრომლობაზე მთელ ევროპაში.

- აწმყოსა და მომავალში ყურადღება მიაქციონ როლის მნიშვნელობას მბრ-ის და პვმ-სა, რომელთა საქმიანობა მიმართულია დაინტერესებული პარტნიორების მომზადებაზე მათი მონაწილეობის მეშვეობით იმ მუშაობაში, რომელიც მიმართულია ნატოში მათ მომავალ წევრობასთან დაკავშირებული უპირატესობის გამოყენებასა და ვალდებულებების შესრულებაზე. აგრეთვე იყოს საშუალებად ურთიერთობების განმტკიცებისა იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ აპირებენ კავშირში შესვლას საერთოდ ან ახლო მომავალში, ხელი შეუწყოს ნატოს ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას „მშვიდობისთვის პარ-ტნიორობის“ პროგრამაში,

რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ნატოს გაფართოების ევოლუციურ პროცესში.

- შეავსოს ევროკავშირის გაფართოების პარალელური პროცესი, რომელიც ასევე ხელს უწყობს აღმოსავლეთში ახალი დემოკრატიების უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

ახალმა წევრებმა, კავშირში მათი შესვლის მომენტში, ისევე, როგორც ვაშინგტონის შეთანხმების ყველა ამჟამინდელმა მონაწილემ, თავისთავზე უნდა აიღოს შემდეგი ვალდებულებები:

- გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა კოლექტიური თავდაცვისთვის და მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის, მშვიდობიანი საშუალებებით მოაწესრიგონ საერთაშორისო დავები, რომლებშიც შეიძლება ჩართული აღმოჩნდეს, იმგვარად, რომ მშვიდობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა არ აღმოჩნდეს ძალის მუქარის ქვეშ, აგრეთვე თავი შეიკავონ ნებისმიერი ხერხით ძალის გამოყენების მუქარისგან.

- ხელი შეუწყონ მშვიდობიანი და მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას საკუთარი თავისუფალი ინსტიტუტების გამოყენების მეშვეობით, ასევე, იმ პრინციპების უკეთეს გაგებას, რომლებზეც ეს ინსტიტუტები დაფუძნებული იყო, აგრეთვე სტაბილურობის და გაფურჩქვნის საუკეთესო პირობების შექმნას.

- მხარი დაუჭიროს კავშირის ქმედითუნარიანობას მოკავშირეებთან საერთო უსაფრთხოების მიზნების მიღწევის და ამოცანების გადაჭრის უზრუნველყოფის პროცესში როლების, პოტენციური საფრთხეების, ვალდებულებების, ხარჯებისა და უპირატესობების განაწილების გზით“.

ახორციელებენ რა თავისი გავლენის სფეროს გაფართოების ესოდენ გრანდიოზულ პროექტებს და ეფექტურად ზრდიან ზეეროვნულ ორგანიზაციულ სიძლიერეს, ნატო და აშშ-ს

მმართველი წრეები ცდილობენ მიაღწიონ პლანეტაზე ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, იდეოლოგიური და საზოგადოებრივი პროცესების მართვის ნამდვილად ყოვლისმომცველ სტანდარტიზაციას. ამასთან, საერთაშორისო უსაფრთხოების საკუთრივ სამხედრო ასპექტები იძენენ ადრინდელზე უფრო არსებით მნიშვნელობას.

ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი-ქვეყნები უკვე კარგა ხანია მიხვდნენ, რომ მრავალეროვნული ფორმირებების შემადგენლობაში შეიარაღებული ძალების ეფექტური მოქმედებისთვის აუცილებელია, რათა ჰქონდეთ საერთო დოქტრინები და პრინციპები, აგრეთვე ახალი პირობებისადმი შეიარაღების სხვადასხვა სისტემის ადაპტაციის მაქსიმალური დონე. მაღალი ოპერატიული შეთავსებადობის მისაღწევად, ნატო მრავალი წლის განმავლობაში, დიდ ძალისხმევას ატანდა სამოკავშირეო შეთანხმებების ხელმოწერასა და შესრულებას. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან პარტნიორობის და თანამშრომლობის ურთიერთობების დამყარების შედეგად ამ ძალისხმევის მასშტაბები გაიზარდა. ამჟამად, როდესაც დაგროვებულია გამოცდილება, მიღებული ნატოში შემავალი ქვეყნების შეიარაღებული ძალების სხვადასხვა მშვიდობისმყოფელ ოპერაციებში ჩართვის შედეგად და როცა ნატო უახლოვდება თავისი გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფინალურ სტადიას, საკითხი ნატოს და მისი პარტნიორ-ქვეყნების ურთიერთობების გადასვლისა თანამშრომლობიდან ოპერატიულ თავსებადობაზე, გადამწყვეტი ხდება.

ნატოში ოპერატიული თავსებადობა განისაზღვრება, როგორც „სისტემების, ქვედანაყოფების და ძალების უნარი მოემსახუროს სხვა სისტემებს, ქვედანაყოფებსა და ძალებს და გამოიყენოს მათი მომსახურება გაცვლის იმ წესით, რომლის დროს მხარეები ღებულობენ ერთობლივი ეფექტური მოქმედებების შესაძლებლობას“.

ჩრდილოატლანტიკური კავშირი თავისი არსებობის მთელ მანძილზე იმისკენ მიისწრაფვის, რომ მისი სამხედრო საქმიანობა სრულად პასუხობდეს მოცემულ განსაზღვრებას. მაგრამ XX საუკუნის 90-იანი წლების ახალი პარტნიორობის პირობებში დაიწყო კორექტირება ნატოს წევრი ქვეყნების ძალისხმევის თვით პრინციპისა და აკუმულირებისა. ამასთან დაკავშირებით, ნატოს მთავარსარდალმა, ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა და ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა საჭიროდ ჩათვალეს შეეტანათ წინადადება იმის შესახებ, რომ პარტნიორებთან მიმართებით ოპერატიულ თავსებადობას აუცილებლად უნდა მოეცვა შემდეგი:

- ნატოს დოქტრინების, პროცედურებისა და პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების მიერ, რომლებსაც უნარი გააჩნიათ, ეფექტურად იმუშაონ კონკრეტულ ოპერაციებზე ნატოსა და მის მიერ მართვად ორგანიზაციებში.

- ნატოს მოწყობილობასთან თავსებადი მოწყობილობის ადაპტაცია ან დაცვა.

- შტატში მყოფი ოფიცრების შერჩევა და მათ მიერ ნატოს დოქტრინებისა და პროცედურების შესწავლა იმ მიზნით, რათა შესაძლებელი გახდეს სპეციალისტების დანიშვნა საშტატო თანამდებობებზე ნატოში, ან მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ჯარების მართვის ცენტრებში ან იმ ეროვნულ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია ნატოს საქმიანობასთან „მშვიდობისთვის პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში.

ამიტომ ერთ-ერთი მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტნიორების მიერ ნატოსთან სამხედრო სფეროში იმ ურთიერთობათა გაფართოება და განვითარება, რომლებიც მოწოდებულია მშვიდობის შენარჩუნებასა და სამძებრო-სამაშველო თუ ჰუმანიტარული ოპერაციების შესრულებაზე მიმართული მისიების პოტენციური შესაძლებლობების გაფართოებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ პმვ-ს მეორე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პარტნიორების მიერ გრძელვადიან საფუძველზე იმ ძალების შექმნა და გაძლიერება, რომლებსაც ექნებათ ნატოს წევრ-ქვეყნების ძალებთან ერთობლივი ოპერაციების ჩატარების გაზრდილი უნარი. ორივე ეს ამოცანა მჭიდროდ არის დაკავშირებული ოპერატიული თავსებადობის უზრუნველყოფის ამოცანასთან.

- თავისი საქმიანობის მასშტაბების ზრდის შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკურ ბლოკს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მომავალშიც განავითაროს პმვ (პპპვმ) პროგრამის (რომელსაც თავის მიზნად აქვს ნატოს წევრი-ქვეყნების და პარტნიორ-ქვეყნების ოპერატიული თავსებადობის და ტრანსპარენტობის დონის ამაღლება) დაგეგმარების და შემოწმების პროცესის გაფართოების და გაღრმავების გზით. ზრდის რა პარტნიორობის მასშტაბებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სამოქალაქო და სამხედრო სფეროებში, ოპერატიული თავსებადობა, თავდაცვითი პოლიტიკა და სამხედრო დაგეგმარება, ჩრდილოატლანტიკური კავშირი წარმოქმნის იმის წანამძღვრებს, რათა შეიქმნას დასავლეთის თავისებური ტოტალური სამხედრო ძალა, რომელიც გულისხმობს „დარჩენილი“ (არადასავლურ სამყაროზე) „პირდაპირი მოქმედების“ სფეროს გაფართოების უნივერსალურ სქემას, მთელი პლანეტის საბოლოოდ დამორჩილებისთვის. ამასთან დაკავშირებით, 1996 წლის 17 დეკემბრის ნატოს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტის და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის

ერთობლივი სხდომის (მინისტრთა დონეზე) დასკვნითმა კომუნიკემ ბრიუსელში დააფიქსირა საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის შემდეგი პრინციპები:

1. ჩრდილოატლანტიკური ბლოკის უმაღლეს დონეზე შეხვედრის მოლოდინში, რომელიც უნდა შედგეს მადრიდში 1977 წლის 8 და 9 ივლისს, ჩატარებულია დიდი სამუშაო, მიმართული კავშირის სამხედრო სტრუქტურების ადაპტირებაზე ნატოს ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესის ჩარჩოებში. ჩრდილოატლანტიკური კავშირის მთელი კოლექტიური თავდაცვითი პოტენციალი აუცილებელი იქნება ევროპული უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. ეს პოტენციალი ემსახურება ნატოს ამოცანების მთელი სპექტრის შესრულებას, მათ შორის ყველა მოკავშირის, კავშირის ფარგლებში უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში ევროპული კომპონენტის განვითარების მხარდა-ჭერისთვის. ის, კერძოდ, ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი იქნება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სტაბილიზაციის უზრუ-ნველმყოფი ძალების წარმატებისთვის და, შესაბამისად, ყო-ფილ იუგოსლავიაში, ოპერაცია „ჯოინტ ენდევორის“ ჩარჩო-ბში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისთვის.

2. ჩრდილოატლანტიკური კავშირი მზად არის, შემდგომაც უზრუნველყოს თავისი ინდივიდუალური და კოლექტიური სამხედრო პოტენციალების ეფექტური ურთიერთკავშირი. ისინი არსებითად იქნენ რეორგანიზებული და ორიენტაცია შეცვლილი იმ სტრატეგიული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ წარმოიშვა.

3. ნატოს ძალები სათანადოდ უნდა იყოს დაკომპლექტებული კავშირის მისიათა მთელი სპექტრის გათვალისწინებით.

კავშირის სამხედრო დაგეგმარების სისტემა ცენტრალურ როლს თამაშობს ამ მიზნების მიღწევაში. ის იმ მიზნით იცვლება, რომ დარჩეს კავშირის სამხედრო დაგეგმარების კოორდინაციის ეფექტურ მექანიზმად, რის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება სამხედრო დაგეგმარების ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული პროცესი იმ ძალებისა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით, რომლებიც აუცილებელია კავშირის მისიების მთელი სპექტრის შესრულებისთვის, მათ შორის, ზესის ხელმძღვანელობითაც.

4. თავდაცვის სფეროში ნატოს ძალისხმევის რეგულარული გადახედვის ფარგლებში განხილულია თავდაცვის ეროვნული გეგმები 1977-2001 და შემდგომი წლებისა და მიღებულია 5-წლიანი გეგმა, მიმართული ნატოს სამხედრო გეგმების ადაპტირების გაგრძელებაზე თავდაცვის სფეროში ახალი სიტუაციის შესაბამისად. ნატოს ძალების სტრუქტურა, რომელსაც გააჩნია უნარი, სრულად უზრუნველყოს კავშირის ყველა იმ ძირითადი მისიის შესრულება, რაც მიმართულია პოტენციური მოწინააღმდეგის შეკავებასა და კოლექტიურ თავდაცვაზე, ახლა კარგად არის მორგებული კრიზისების დარეგულირებასა და მშვიდობის შესანარჩუნებელი ოპერაციების ჩატარებაზე და, ამგვარად, პარტნიორებთან თანამშრომლობაზე. ძალების მოდერნიზაციის გეგმები მთლიანობაში აკმაყოფილებენ კავშირის მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, საბიუჯეტო შეზღუდვები აფერხებენ მათ შესრულებას. შეიარაღებული ძალების დაგეგმარების პროცესი მოითხოვს, კერძოდ, შემდგომ ყურადღებას ისეთ მნიშვნელოვან სფეროებისადმი, გაუმჯობესებას რომ საჭიროებენ: სწრა-ფად გაშლის უნარის მქონე სარდლობის, მართვის და კომუნიკაციების სისტემები; სტრატეგიული მობილურობა; ხან-გრძლივი მოქმედებების უნარი; ჰაერსაწინააღმ-

დეგო თავდაც-ვის სისტემა, განლაგებული ხმელეთზე; სტრატეგიული დაკ-ვირვების და დაზვერვის სისტემები.

5. გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას კავშირის მისიების მთელი სპექტრის შესრულების უნარი, ნატოს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტის და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის ერთობლივ სხდომაზე 1966 წლის ივნისში, ხაზი გაესვა იმას, რომ მნიშვნელოვანია განვითარდეს დაპირისპირების შესაძლებლობები ისეთი მუქარის მიმართ, რომელიც წარმოიშობა ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის და მათი მიზანთან მიტანის საშუალებების გავრცელების შედეგად. ნატოს ხელმძღვანელებმა გააცხადეს შემდეგი: მათ ესმით, რომ შეიარაღებული ძალების ახალი მიზნები იმგვარად უნდა იქნას განსაზღვრული, რომ შესაძლებელი იყოს ამ მუქარებისადმი დაპირისპირება კავშირის არსებული პროცედურების ჩარჩოებში. დღეს ნატოს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტის და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფმა მხარი დაუჭირეს შეიარაღებული ძალების ამ დამატებით მიზნებს. გარდა ამისა, მათ გასცეს განკარგულებები, რომლებიც შეეხება იმ საფრთხეებთან ბრძოლის შემდგომ მუშაობას, მასობრივი დაზიანების იარაღის გავრცელებასთან რომ არის დაკავშირებული. ეს სამუშაო შესრულებული იქნება შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან დაკავშირებული ოპერაციების დაგეგმარების პროცესის ფარგლებში.

6. კავშირის ბირთვული ძალები განაგრძნობენ უნიკალური და მთავარი როლის თამაშს მის სტრატეგიაში. მათი მთავარი მიზანი პოლიტიკურია: შეინარჩუნონ მშვიდობა და თაავიდან აიცილონ დაძალების მეთოდების გამოყენების ცდები. მისასალმებელია აქცენტის შემცირება ბირთვულ შეიარაღებებზე. გამოიხატული კავშირის ბირთვული ძალების მნიშვნელოვან შეკ-

ვეცასა და მათი საბრძოლო მზადყოფნის დონის დაქვეითებაში, თანდათან რომ ხორციელდებოდა 1991 წლიდან. კავშირის ბირთვული ძალები არ არის დამიზნებული არცერთ ქვეყანაზე. ნატო ადასტურებს, რომ კავშირისთვის გადაცემული აშშ-ის ბირთვული ძალების არსებობა ევროპაში რჩება კავშირის ევროპელი და ჩრდილოამერიკელი მოკავშირეების ძალზე მნიშვნელოვან და მდგრად პოლიტიკურ და სამხედრო დამაკავშირებელ რგოლად. ამასთან, გამოხატულია გადაწყვეტილება, უზრუნველყოფილი იქნას ბირთვული ძალების მდგომარეობის შესაბამისობა უსაფრთხოების და საიმედოობის ყველაზე მაღალ ნორმებთან.

7. კმაყოფილებით აღიქმება შეერთებული შტატების ცნობა იმის შესახებ, რომ მათსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით შემდგომ პროგრესის მიღწევის შესახებ. ამ კონტექსტში ნატო მოუწოდებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სწრაფად მოახდინოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებები-2 (სშშ-2) რატიფიცირება და გამოხატავს სრულ მხარდაჭერას ძალისხმევისა, მიმართულის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სტრატეგიული სისტემების და სამხედრო მოქმედებების თეატრის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შესახებ ორმხრივი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებაზე.

8. იმ პერიოდში, როდესაც ნატომ მნიშვნელოვნად შეკვეცა თავისი ბირთვული ძალები, რუსეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ყველა ტიპის ტაქტიკური ბირთვული შეიარაღებების დიდ რაოდენობას. ჩრდილოატლანტიკური კავშირი მოუწოდებს რუსეთს, დაასრულოს იმ შეიარაღებების შეკვეცა, რომლებზეც გაცხადებული იყო 1991 - 1992 წლებში და შემდგომ გადასინჯოს ტაქტიკური ბირთვული შეიარაღებების მარაგი იმ მიზნით, რომ

მოახდინოს მათი შემდგომი მნიშვნელოვანი შეკვეცა. ნატო მიესალმება დახმარებას, რომელიც ამ კავშირის რამდენიმე ქვეყანამ გასწია რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ყაზახეთში მასობრივი დაზიანების იარაღის უსაფრთხო დემონტაჟის უზრუნველყოფისთვის და მოუწოდებს ყველა თავის მოკავშირეს გამოძებნონ დამატებითი შესაძლებლობები აღნიშნულ საქმეში თავისი წვლილის შესატანად.

9. ნატო მიესალმება ლისაბონის 1992 წლის ოქმის შესაბამისად, ბელორუსიიდან ბირთვული ქობინების გატანის დასრულებას. კავშირი მიესალმება მუშაობის დასრულებას ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვის შესახებ შეთანხმებაზე, რომელსაც უნივერსალური ხასიათი გააჩნია, რომელიც ექვემდებარება შემოწმებას და უზრუნველყოფს ნამდვილად ნულოვან დონეს და მოუწოდებს ყველა ქვეყანას მოახდინოს რატიფიცირება ამ შეთანხმებისა, რამეთუ ძალაში შესვლის შემდეგ ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ბირთვული შეიარაღებების გავრცელების თავიდან აცილებაში. აღსანიშნავია მნიშვნელობა ბირთვული შეიარაღებებისთვის საჭირო გახლეჩადი მასალების წარმოების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებისა.

მთლიანობაში ცხადია, რომ ნატოს და დასავლეთის გეოპოლიტიკური კონცეფციები საკმაოდ ღრმად არის დამუშავებული. თუმცა, ცხადია სერიოზული განსხვავებებიც მოცემული ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტების ტექსტებსა და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ჭეშმარიტ განზრახვებს შორის, გაზარდოს თავისი ძლიერება ნებისმიერი პირობითი მტრის წინააღმდეგ სამხედრო ძალის ფართომასშტაბიანი გამოყენების გზით. ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოების სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული ნები-

სმიერ მუქარისადმი ჩრდილოატლანტიკური კავშირის დაპირისპირებისა მომავალი სცენარები, შემუშავებული ნატოს სტრატეგების მიერ, ძალზე ხშირად ოპტიმისტური ჩანს, მაგრამ ნატოს გამარჯვების აუცილებელ პირობად ითვლება კოლექტივიზმი საერთაშორისო უსაფრთხოების საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისას.

სრულიად აშკარაა, რომ ნატოს საქმიანობა, რომელიც ხორციელდება აშშ-ის ხელმძღვანელობით, სქემით „თანამშრომლობა - გაფართოება - ადაპტაცია“, გათვლილია მთლიანად დასავლეთის ძალების მაქსიმალურ კონსოლიდაციაზე. თუ ასე გავიგებთ ევროპის თანამეგობრობის დემოკრატიული ქვეყნების, ნატოს გაფართოების ახალ პარადიგმას, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქმე შეიძლება მივიდეს ცივილიზაციების პირდაპირ შეჯახებამდე, რაზეც აფრთხილებს კიდეც თავის ნაშრომებში ს. ხანტინგტონი.

ძალა, თავის კონკრეტულ გამოყენებაში, ძალზე საშიშია, მაგრამ დასავლეთი მას მაქსიმალურად იყენებს თავის თანამედროვე გეოსტრატეგიაში, ასრულებს რა მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბებას და დებს საფუძვლებს საერთაშორისო უსაფრთხოების ისეთი არქიტექტურისა, რომელიც იძლევა პლანეტაზე ერების ტექნოლოგიური განვითარების გრძელვადიანი უპირატესობის გარანტიას. რა რჩება განახლებად რუსეთს? ემზადოს სხვადასხვა კონტრმოქმედებიდებისთვის, ეძებოს მოკავშირეები მთლიანად დასავლეთისადმი გონივრულ და ეფექტურ დაპირისპირებაში, სხვა შემთხვევაში, საერთაშორისო ვითარება რეგიონულ და გლობალურ მასშტაბებში არსებითად გაუარესდება.

რუსეთის ამჟამინდელი უმაღლესი ხელმძღვანელები არც თუ ისე იშვიათად წარმოსთქვამენ სწორ სიტყვებს. მაგალითად,

რუსეთის პრეზიდენტის მიმართვაში ფედერალური კრე-ბისადმი ხაზგასმული იყო: „ევროპულ მიმართულებაზე 1997 წლისთვის რუსეთის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების მთავარ პრობლემად დარჩება ნატოს სავარაუდო გაფართოება აღმოსავლეთისკენ. დასტურდება რუსეთის უკვე არაერთხელ გაცხადებული მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ამ გეგმების მიმართ. ისინი ეწინააღმდეგებიან რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს, იმუქრებიან ევროპის ახალი გახლეჩით. დაქვეითდება არსებული საერთოევროპული პოლიტიკური ორგანიზაციების მნიშვნელობა.

გამოსავალი ამჟამინდელი რთული სიტუაციიდან არის. დაიწყო სერიოზული საუბარი ნატოსთან ურთიერთობათა მთელ კომპლექსზე. რუსეთი მომხრეა ურთიერთ უსაფრთხოების მტკიცე გარანტიებისა, მათ შორის, ბირთვულ სფეროში, კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებების მიღების საიმედო მექანიზმის შექმნისა. ყველა ამ შეთანხმებას უნდა მიეცეს მკაფიო სამართლებრივი ფორმა. მომწიფდა აუცილებლობაც, ახალ პოლიტიკურ რეალობასთან ადაპტირდეს შეთანხმება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების შესახებ.

ყველა ამ პრობლემაზე იყო და იქნება საფუძვლიანი საუბარი ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებთან, აშშ-ის პრეზიდენტთან. ყველაფერს გავაკეთებ, რათა მომავალი შეხვედრების მსვლელობისას სერიოზულ შეთანხმებებს მივაღწიო ხანგრძლივი თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის სფეროში.

შეგახსენებთ: რუსეთის გარეშე, მით უმეტეს, მის საწინააღმდეგოდ, ევროპაში ჯერ ვერავინ შეძლო და ვერ შეძლებს შექმნას უსაფრთხოების ეფექტური სისტემა“.

თუმცა მოცემული კონსტატაციები არ იქნა განმტკიცებული რაიმეთი რუსეთის ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან.

რუსეთის კანონმდებლების რეაქციაც დასავლეთის სტრატეგიულ ნოვაციებზე სიტყვებზე მთლიანობაში ასევე გარეგნულად განრისხებული, სინამდვილეში კი არაფრის მაქნისი და საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო.

ოფიციალურად, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს პოზიცია ნატოს გაფართოების პროცესის მიმართ ღიად გაცხადდა 1996 წლის 17 ოქტომბერს მოსკოვში აშშ-ის თავდაცვის მინისტრ უ. პერის ჩამოსვლის დროს. ის თავის გამოსვლაში გამოკვეთა ლ. ი. როხლინმა, სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ თავის შეხვედრებისას ნატოს ხელმძღვანელებთან, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლე-ბთან, სენატორებთან და კონგრესმენებთან, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლებთან და სხვა საზოგადოებრივ მოღვაწეებთან ის ხშირად ხვდებოდა შეხედულებებს, რომლებსაც ძნელია უწოდო მეგობრული. ლ. ი. როხლინმა მოიყვანა პრეზიდენტ კლინტონის ერთ-ერთი მრჩევლის განცხადება, რომელმაც შესაძლებლად ჩათვალა, ხაზი გაესვა შემდეგისთვის: ნატო მიდის აღმოსავლეთისკენ, რათა რუსეთი აწი არასოდეს იყოს ევროპაში, აშშ-ი კი არასოდეს წავიდეს იქედან.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სპეციალურად აღნიშნა, რომ ბალტიისპირეთის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში განლაგებულ ტაქტიკურ ბირთვულ საშუალებებს თავისუფლად შეუძლიათ, მიაღწიონ რუსეთის მრავალ სტრატეგიულ ობიექტამდე, ფრთოსანი რაკეტები კი, გაშვებული საფრონტო ბომბდამშენებიდან, ძალზე

იოლად გაანადგურებენ სამიზნეებს მოსკოვის მახლობლ- ად. ამგვარად, ნატოს ტაქტიკური საშუალებები მათ წინაშე დასმული ამოცანების არსის მიხედვით, სწრაფად გადაიქცე-ვიან სტრატეგიულ საშუალებებად, რაც სერიოზულად დაარ-ღვევს მსოფლიოს ბირთვულ ბალანსს.

ლ. ი. როხლინმა მაშინ გამოთქვა იმის ეჭვი, რომ ეკონომიკურად დასუსტებულ რუსეთს შეეძლება შეასრულოს სშშ-2-ის შეთანხმება, რადგან მის მიერ გათვალისწინებული ბირთვული შეიარაღებების ერთი ტიპის მკვეთრი შემცირება და სხვების გაზრდა, რუსეთისგან უდიდეს მატერიალურ დანა-არჯებს მოითხოვს.

უფრო მომგებიანად რუსეთისთვის მან ჩათვალა სშშ-2-ს შეთანხმებაზე უარის თქმის და შეთანხმება სშშ-3-ზე გადასვლის ვარიანტი, რომელშიც გათვალისწინებულია თანაბარი ეკონომიკური დანახარჯების პირობები და უზრუნველყოფილია თანაბარი უსაფრთხოება ბირთვული შეიარაღებების შეკვეცისას.

თავისი გამოსვლის დასასრულს ლ. ი. როხლინმა შესთავაზა, მკაცრად დაეკავშირებინათ ერთმანეთთან სშშ-2-ს შეთანხმების რატიფიცირება და აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებული ეროვნული უსაფრთხოების საკვანძო საკითხების გადაწყვეტა რუსეთის ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ნატოს გაფართოების წინააღმდეგ პროტესტებმა გამოიწვია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში „ანტი-ნატოს“ კომისიის ჩამოყალიბება, რომლის ლიდერებად წარმოსდგნენ ს. ნ. ბაბურინი, ტ. ხ. გდლიანი, ა. ნ. ჩილინგაროვი, ნ. ვ. კრიველსკაია. სულ ახალ გაერთიანებაში შევიდა სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენელი 260 ადამიანი.

თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებად კომისიამ გამოაცხადა:

- აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოების პროტესტთან დაკავშირებული მასალების განზოგადება და ანალიზი;

- სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური და რეგიონული ორგანოებისგან იმ ინფორმაციული მასალების გამოთხოვა, რომლებიც საჭირო იქნება კომისიის საქმიანობისთვის;

- ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი პრესკონფერენციების ჩატარება.

მის ძალისხმევას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროში მხარი დაუჭირა გეოპოლიტიკის კომიტეტის ბევრმა წარმომადგენელმა, განსაკუთრებით, ა. მიტროფანოვმა, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა „კანონმდებლობით განესაზღვრათ ნატო, როგორც რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი“.

გარდა ამისა, ა. მიტროფანოვმა წამოაყენა იდეა შექმნილიყო ღერძი „ბერლინი - მოსკოვი-ტოკიო“ და ბლოკი „რუსეთი - ჩინეთი - ინდოეთი“, როგორც სტრუქტურები, რომლებსაც შეეძლებოდათ, დაპირისპირებოდნენ ნატოს. ამასთან, ჩინეთთან და ინდოეთთან რუსეთის დაახლოების იდეას, იმ პირობებში, როდესაც ალიანსში ახალ წევრებს ღებულობდნენ, აყენებდნენ სხვა კანონმდებლებიც, ოპოზიციურად განწყობილნი ბ. ნ. ელცინის მიმართ. შესაძლებელია, რომ სწორედ, სახელმწიფო სათათბიროში არსებული ამ განწყობის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერალურმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უკვე 1997 წლის გაზაფხულზე გამოხატა მოსაზრება, რომ საჭიროა ზოგიერთი კონკრეტული მოქმედება ამ მიმართულებით. რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა განაცხადა, კერძოდ, რომ „ჩვენ უფრო აქტიურად უნდა განვავითაროთ თანამშრომლობა დსთ-ს ქვეყ-

ნებთან, ჩინე-თსა და ინდოეთთან“. ამის დასადასტურებლად, მოსკოვში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ძიან ძემინის 1997 წლის 22-26 აპრილის ვიზიტის დროს, ხელი მოეწერა დეკლარაციას მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შესახებ. რა თქმა უნდა, ამ აქციას დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა, რამეთუ საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე მნიშვნელოვანი იყო სწორედ აშშ-ის „ცოტათი დაშინება“ ჩინეთთან დაახლოებით, შიდაპოლიტიკურ სცენაზე კი მოხერხებული პოპულისტური მაგალითით დაწყნარება ოპოზიციისა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად იყო განწყობილი ნატოს გაფართოების გეგმებისადმი.

თუმცა, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი ლიბერალური შეხედულებებიც ნატოს გაფართოებაზე. ასეთებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო სათათბიროს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ ს. სულაკშინის აზრი. მან განაცხადა: „რუსეთმა, რომელსაც აქვს უფლება ჰქონდეს თავისი აზრი, უნდა იცხოვროს იმათთან, ვინც მას განგებამ არგუნა მეზობლებად. ანუ, უნდა განვავითაროთ ურთიერთობები იმ ნატოსთან, რომელიც რეალურად არსებობს. და უფრო უკეთესი, თუ ასეთი განვითარება გამოიწვევს გაფართოებას ჩვენი კონტაქტებისა, მასთან ერთად კი რუსეთის შესაძლებლობებისა გავლენა მოახდინოს მის ნატოელ პარტნიორებზე. ნატოსთან პოლ-იტიკური პარტნიორობის გაფართოებისას ჩვენ უმალვე უნდა გავაგებინოთ თავის პარტნიორებს ბრიუსელიდან, რომ უსაფრთხოება ევროპაში შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც იქნება მიღებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ვალდებულებები არამარტო თავდაუსხმელობის, არამედ ურთიერთდახმარების შესახებ იმ შემ-

თხვევაში, თუ ორგანიზაციის ესა თუ ის წევრი-ქვეყანა გახდება თავდასხმის ობიექტი. ამის ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ ნატოს ღრმა მოდერნიზაცია, რომელიც ნიშნავს ორგანიზაციის სამხედრო ბლოკიდან გადაქცევას მომავალი მშვიდობისმყოფელი ევროატლანტიკური ორგანიზაციის ბირთვად, და რუსეთი მზად არის, გახდეს ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი მონაწილე“.

დასახელებულმა კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არ არის თანხვედრაში და შეუთავსებელია რუსეთის და ნატოს ბევრი სტანდარტი და ნორმატივი, დაკავშირებული ქვეყნების ეკონომიკასა და შეიარაღებების ბაზრის განვითარებასთან. ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას ის ხედავდა რუსეთისა და ნატოს ურთიერთობის გზაზე ჯებირების მოხსნ- აში, ამ შემთხვევაში, მიყვებოდა რა საფრანგეთის გამოცდი-ლებას და სრულად ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ნატოში მიღებულ სტანდარტებთან ეროვნული არსენალების ადაპტაციის პროცესი და მათი უნიფიცირება უნდა ხორციელდებოდეს ურთიერთ საფუძველზე, ასევე ურთიერთ დათმობებისა და კონკრეტული სისტემების ტაქტიკურ-ტექნიკური უპირატესობების გათვალისწინებით შესანარჩუნე-ბელი ტიპაჟის რაციონალური შერჩევისა.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირო პრაქტიკულად ერთხმად გამოვიდა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ. აზრთა სხვაობა გამოიკვეთა მხოლოდ რუსეთის შესაძლო საპასუხო მოქმედებების შერჩევისას - ნატოს ნებისმიერი აქციის სრული მიუღებლობით დაწყებული, თანამშრომლობის და შექმნილი ვითარებიდან ურთიერთმომგებიანი გამოსავლის ძებნის წინადადებებით და ალიანსის წევრებად „მეორე რიგის“

ქვეყნების მიღებისადმი დაპირისპირების ცდებით დამთავრებული.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რუსეთის პარლამენტის მიერ იმ დოკუმენტების მიღება, რომლებიც დაკავშირებული იყო ნატოს გაფართოების საკითხთან: სახელმწიფო სათათბიროს 1997 წლის 25 ოქტომბრის მიმართ- ვა “ნატოს გაფართოების გეგმებთან დაკავშირებით“, სახელ-მწიფო სათათბიროს 1997 წლის 12 მარტის განცხადება „რუ-სეთსა და ნატოს შორის მოლაპარაკებების შესახებ“, 1997 წლის 14 მარტის „მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბ. ნ. ელცინისადმი აშშ-ის პრეზიდენტ ბ. კლინტონთან მის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით“, 1997 წლის 24 აპრილის მიმართვა „ნატოს წევრ-სახელმწიფოების პარლამენტარებისადმი“ და სახელმწიფო სათათბიროს 1997 წლის 23 მაისის გა-ნცხადება „რუსეთის ფედერაციას და ნატოს შორის ურთი-ერთობათა შესახებ“.

მათი შესწავლა გვაჩვენებს, რომ რუსეთის კანონმდებლებს განსაკუთრებით აღელვებდათ ის ფაქტი, რომ „ნატოს გაფართოება გარდაუვლად გამოიწვევს კონტინენტის ყველა სახელმწიფოს (ნატოს ამჟამინდელი წევრების, ამ ორგანიზაციაში შესვლის კანდიდატების და, ბუნებრივია, რუსეთის) სამხედრო ხარჯების ზრდას. ეს კი ნიშნავს, რომ შესაძლოა, ჩვენს ქვეყანას მოუწიოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რიგი პროგრამის გაუქმება“.

ამრიგად, რუსეთის დაპირისპირება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისადმი უკავშირდებოდა არამარტო სშშ-2-ის შეთანხმების რატიფიცირების ბლოკირებას, არამედ ეკონომიკის რეფორმირების ზოგიერთი პროგრამის გაუქმებასაც.

კანონმდებლები სპეციალურად აღნიშნავდნენ, რომ „სახელმწიფო სათათბირო მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის პრე-

ზიდენტის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის პოზიციას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს - ნებისმიერ შეთანხმე ბას რუსეთის ფედერაციასა და ნატოს შორის უნდა ჰქონდეს სავალ-დებულო ხასიათი, ის უნდა შეიცავდეს რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ნამდვილ გარანტიებს და უზრუნველყოფდეს რუსეთის სრულუფლებიან მონაწილეობას ევროპაში სტაბილუ-რობის შენარჩუნების პრინციპულ საკითხებზე გადაწყვეტი-ლებების მიღებაში.“

სამწუხაროდ, მათი პოზიცია სწორედ, რომ არაფერს ნიშ-ნავდა. რუსეთის ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლე-ბა სრული სვლით მიდიოდა რუსეთის ფედერაციასა და ჩრდი-ლოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციას შორის ურთიერ-თობების, თანამშრომლობის და უსაფრთხოების შესახებ ფუძე-მდებლური აქტის ხელმოწერისკენ. 1997 წლის 27 მაისს პარიზში რუსეთის პრეზიდენტმა და ნატოს წევრ-სახელმწიფოების მე-თაურებმა ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტს - აქტს რუსეთის ფე-დერაციასა და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანი-ზაციას (რუსეთსა და ნატოს შორის) ურთიერთობების, თანა-მშრომლობის და უსაფრთხოების შესახებ. ბ. ნ. ელცინის აზრით, რუსეთსა და ნატოს შორის მოლაპარაკებების შედეგად, მიღწე-ულია აწონილ-დაწონილი, დაბალანსებული შეთანხმება, რად-გან მიღებული გადაწყვეტილებები „იცავენ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფოს უსაფრ-თხოებას“. აქტი რუსეთის ფედერაციასა და ჩრდილოატლა-ნტიკური შეთანხმების ორგა-ნიზაციას შორის ურთიერთობების, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ შეიცავს ოთხ ბლოკს:

პირველი ბლოკი - პრინციპები, იმ ძირითადი დებულებების წრე, რომელთა ერთგული არიან მხარეები დოკუმენტის ხელ-მოწერისას:

- ტრანსპარენტულობის საფუძველზე განვითარება მყარი, სტაბილური, საიმედო, თანასწორუფლებიანი პარტნიორობის და თანამშრომლობისა ევროატლანტიკურ რეგიონში უსაფრთ-ხოებისა და სტაბილურობ ის განმტკიცების მიზნით;

- იმ ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი როლის აღიარება, რომელსაც დემოკრატია, პოლიტიკური პლურალიზმი, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო თავისუფ-ლებების პატივისცემა, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის განვითა-რება თამაშობს საერთო გაფურჩქვნის და საყოველთაო უსაფრთ-ხოების განვითარებაში;

- უარის თქმა ერთმანეთის ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს, მისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლი-ტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის ან ძალის მუქა-რის გამოყენებაზე ნებისმიერი სახით, რომელიც ეწინააღმდე-გება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ჰელსინკის დასკვნითი აქტის დეკლარაციაში მოტანილ პრინცი-პებს, რომლებითაც თავიანთ ურთიერთობებში ხელმძღვანე-ლობენ სახელმწიფო მონაწილეები;

- პატივისცემა ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, და-მოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე მათი უფლებისა აირჩიონ საკუთარი უსაფრთხოების, სა-ზღვრების ხელუხლებლობის და თვითგამორკვევაზე ხალხე-ბის უფლების უზრუნველყოფის გზების არჩევისა, როგორც ეს არის დამკვიდრებული ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინცი-პების დეკლარაციასა და ეუთოს სხვა დოკუმენტებში;

- ურთიერთ ტრანსპარენტულობა თავდაცვითი პოლიტიკის და სამხედრო დოქტრინების შემუშავებასა და განხორციელე-ბაში;

- მშვიდობიანი საშუალებებით კონფლიქტების შეწყვეტა და დავების მოწესრიგება, გაერთიანებული ერების ორგანი-ზაციის და ეუთოს პრინციპების შესაბამისად;

- ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარდაჭერა მშვიდობის-მყოფელი ოპერაციებისა, რომლებიც ხორციელდება გაერთიანე-ბული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ხელმძღვა-ნელობით, ან ეუთოს პასუხისმგებლობით.

მეორე ბლოკი - „კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მექანიზმი. ნატო-რუსეთის მუდმივმა ერთობლივმა საბჭომ“ დაასაბუთა აუცილებლობა ნატო-რუსეთის მუდმივი ერთობ-ლივი საბჭოსი, რომელმაც უნდა განახორციელოს საქმიანობის სამი კონკრეტული სახეობა:

- კონსულტაციების ჩატარება წინამდებარე აქტის მესამე ნაკვეთის თემებზე და ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ საკითხზე, ან უსაფრთხოებაზე, რომელიც განსაზღვრულია ურთიერთ-შეთანხმებით;

- ამ კონსულტაციების საფუძველზე შემუშავება ერთობლივი ინიციატივებისა, რომლებზეც ნატო და რუსეთი მოილაპარა-კებენ, გააკეთონ პარალელური ოფიციალური განცხადებები ან იმოქმედონ პარალელურად;

- მოლაპარაკებების მსვლელობისას, კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება და ერ-თობლივი მოქმედებების განხორციელება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თანასწორუფლებიან საფუძველზე მონაწილეობის მიღების ჩათვლით ერთობლივი ოპერაციების დაგეგმვასა და მომზადებაში, მათ შორის, მშვიდობისმყოფელი ოპერაციებისა გაეროს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობით ან ეუთოს პა-სუხისმგებლობით.

მესამე ბლოკში - „კონსულტაციებისა და თანამშრომლობის სფერო“ - მოყვანილია კომპლექსი იმ თემებისა, რომლებზეც მხა-რეები შეთანხმდნენ ჩაატარონ ერთობლივი კონსულტაციები, მათ შორის:

- ურთიერთ საინტერესო საკითხები, რომლებიც მიეკუთვ-ნება უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ევროატლანტიკურ რეგიონში;

- რუსეთის მონაწილეობა ევროატლანტიკური პარტნიორო-ბის საბჭოსა და პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“;

- მთელი სპექტრი ბირთვულ უსაფრთხოებასთან დაკავშირე-ბული საკითხებისა;

- შესაძლო თანამშრომლობა ტაქტიკური რაკეტსაწინააღ-მდეგო თავდაცვის სფეროში;

- საჭიროებისამებრ, ურთიერთ გაცვლა ბირთვული იარაღის საკითხებში, რუსეთისა და ნატოს სტრატეგიისა და დოქტრინე-ბის ჩათვლით;

- ბრძოლა ტერორიზმთან და ნარკოტიკების უკანონო მიმოქ-ცევასთან;

- საზოგადოების მიერ უკეთესი გაგება რუსეთსა და ნატოს შორის განვითარებადი ურთიერთობებისა, მოსკოვში ნატოს დოკუმენტაციის ცენტრის ან საინფორმაციო ბიუროს გახსნის ჩათვლით.

უკანასკნელი, **მეოთხე ბლოკი** - „სამხედრო-პოლიტიკური საკითხები“ - ეხებოდა ალიანსის ახალი წევრების ტერიტო-რიაზე ბირთვული იარაღის არგანთავსების პრობლემას და გა-მოხატავდა ნატოს წევრი-სახელმწიფოების სურვილს, არ ჰქო-ნოდათ განზრახვა, გეგმები ან მიზეზები გაეშალათ ბირთვუ-ლი იარაღი ახალი წევრების ტერიტორიაზე და არ შეეცვალათ

ნებისმიერი ასპექტი ნატოს ბირთვული ძალების აგებისა ან ნატოს ბირთვული პოლიტიკა ამ მომენტში და მომავალში.

მთლიანობაში დოკუმენტი საკმაოდ ბუნდოვანი აღმოჩნდა თავისი ძირითადი დებულებების მიხედვით. მისმა მიღებამ ფაქტიურად განამტკიცა მთლიანობაში დასავლეთის პრიორიტეტული პოზიციები ახალი მსოფლიო წესრიგის ყველა სტრუქტურაში, არ მისცა რა რუსეთს არავითარი ახალი შანსი საერთაშორის საქმეებში რაიმე გარღვევისა.

რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობების, თანამშრომლობის და უსაფრთხოების შესახებ ფუძემდებლური აქტის ხელმოწერამ რამდენადმე შეამცირა სიმწვავე მასობრივი ინრმაციის საშუალებებში მიმდინარე დისკუსიისა, რომელიც დაკავშირებული იყო ჩრდილოატლანტიკური ბლოკის გაფართოებასთან. მაგრამ ეს პრობლემა პრიორიტეტული დარჩა საერთაშორისო პოლიტიკაში, მისცა რა სერიოზული დამაფიქრებელი ინფორმაცია საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე არქიტექტურის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე. მაგრამ მნიშვნელოვანი დარჩა მაინც ის ფაქტი, რომ რუსეთის გარეშე, თუნდაც დასუსტებულის, შეუძლებელია დიდ პოლიტიკაში ფონს გასვლა. ეს, თავის მხრივ, უნდა ახსოვდეს რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებმაც, სამწუხაროდ, ვერ ისწავლეს თითოეული თავისი ნაბიჯის ჰარმონიზაცია თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების სკალასთან. ამ უკანასკნელს, რა თქმა უნდა, შესწევს უნარი, თვალსაწიერ მომავალში დაიბრუნოს დიდი სახელმწიფოს თვისებები, თუ რუსეთის მმართველი ელიტა დადგება რეალიზმის პოზიციებზე საერთაშორისო დიპლომატიაში.

სწორედ ძლიერი, და არა ჩიხში მოქცეული და უძლური განახლებადი რუსეთი უნდა ინტეგრირებდეს, როგორც თანასწორი, პლანეტის ხალხთა კოლექტიური უსაფრთხოების ყოვლისმომცველ სისტემაში მომავალი ათასწლეულის მოსახვევში.

სხვა არაფერია შესაძლებელი. ჯანსაღი აზრის გონიერებამ და ლოგიკამ აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ, როგორც ეს ყოველთვის იყო ისტორიაში, რომელიც სავსეა ტრაგედიებით, წინააღმდეგობებით და თავგანწირული ბრძოლით სიკეთისა ბოროტებასთან.

2. რუსეთი საერთაშორისო-პოლიტიკური კოორდინატების თანამედროვე სისტემაში

მეოცე საუკუნის დასასრული მნიშვნელოვანწილად შეიძლება იყოს რუსეთის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის შედეგების შეჯამების დრო. დასრულდა რუსეთ-სსრკ-ის, როგორც ზესახელმწიფოს გაფურჩქვნის ციკლი. სრულდება ჩვენი სახელმწიფოს პოსტსაბჭოური განვითარების პირველი ათი წელი. უკვე შეიძლება ვცადოთ შიდა პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების გამოყოფა. მსოფლიო სისტემის კონტურებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა. იმის გასაგებად, თუ საით მიჰყავს მოვლენებს ჩვენი ქვეყანა, აუცილებელია მისი არსებული მდგომარეობის გაგება და იმ ძირითადი ტენდენციების გამოყოფა, რომლებიც გავლენას ახდენენ ადგილზე, რაც უჭირავს ან მომავალში შეიძლება დაიჭიროს რუსეთმა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

შიდა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. უმნიშვნელოვანეს შიდა ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე,

ჩვენ მივაკუთვნეთ სახელმწიფო, რიგი არაფორმალური ფაქტორი, ცნობილი კრებსითი სახელწოდებით „ორგანიზებული დანაშაული“ და ე. წ. საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები.

სავსებით ბუნებრივია, რომ სახელმწიფო არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შიდა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური როლის განხილვისას, აუცილებლად მიგვაჩნია, დავიწყოთ ანალიზით ამ სახელმწიფოს ბუნების და იმისა, თუ როგორ მოქმედებს ეს ბუნება საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე. განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ იცვლებო- და რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური როლი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში და რა შედეგები მოყვა ამ პროცესს. სახელმწიფო არის უმნიშვნელოვანესი შიდა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე, არა უკანასკნელ რიგში იმის გამო, რომ სწორედ ის უნდა იყოს უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი და გამტარებელი.

ამიტომ, შევეცდებით, განვიხილოთ, თუ როგორ უმკლავდება რუსეთის სახელმწიფო ამ როლს. სამხედრო პოლიტიკა და პოლიტიკა შეიარაღების ექსპორტის სფეროში (მიუხედავად ფრაგმენტულობისა, რომელზეც ჩვენ შემდგომ ვიტყვით), ასევე უნდა იყოს სახელმწიფოს პრეროგატივა.

„სუსტი სახელმწიფო“, როგორც საგარეო-პოლიტიკური პროცესის მოქმედი პირი. უკანასკნელ წლებში ბევრი იყო ნათქვამი რუსეთის სახელმწიფოს სისუსტეზე. პოლიტიკური სპექტრის თითქმის ყველა ნაწილის წარმომადგენელი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, ფართოდ იყენებს რუსეთის სახელმწიფოებრიობის დაცემის და მსოფლიო სისტემაში რუსეთის მიერ ღირსეული ადგილის დაკარგვის თემას. ამასთან სთავაზობენ

სახელმწიფოს განმტკიცების, სხვადასხვა კრიზისიდან გამოსვლის, საერთაშორისო არენაზე რუსეთის სახელმწიფო ინტერესების დაცვის უამრავ მარტივ რეცეპტს. მაგრამ ყველა ეს წინადადება მხოლოდ ლოზუნგს წარმოადგენს. სამამულო პოლიტიკურ მეცნიერებაში და მოქმედ პოლიტიკოსთა გარემოში არ ყოფილა წარმატებული ცდები, გაეანალიზებინათ სიღრმისეული მიზეზები იმისა, თუ რატომ წარმოიშვა ჭეშმარიტად ახალი ტიპის სახელმწიფო - „სუსტი“ სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ ვხედავდით 1990-იან წლებში.

რუსეთის ამჟამინდელი სახელმწიფოს, საზოგადოების და ეკონომიკის სისუსტე გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ელცინის მთავრობის პრობლემები, რომლებზეც ჩვეულებრივად მიანიშნებენ მისი პოლიტიკური ოპონენტები. ეს სისუსტე მართლაც წარმოადგენს სისტემურ მოვლენას. ზოგიერთი პრობლემა დროთა განმავლობაში შეიძლება თავისთავად გადაწყდეს, მაგრამ საეჭვოა, ელცინის ადმინისტრაციას შეეძლოს რაიმეს გაკეთება მისი გადაწყვეტისთვის. რუსეთის პრობლემები იმდენად ღრმაა, რომ არ შეიძლება გადაჭრილი იქნას ნებისმიერი მთავრობის მიერ. რუსეთში გარდამავალი პერიოდის განმასხვავებელი ნიშანი გახდა (და ახლაც არის) პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ავტონომია. როდესაც ძველი რეჟიმის ინსტიტუციონალური სტრუქტურა დაიშალა, პოლიტიკურმა ელიტამ თავისი ძალისხმევა წარმართა ეკონომიკურ რეფორმაზე, რომელიც ღია ძარცვაში გადაიზარდა, იმ დროს, როდესაც პოლიტიკის ბევრ სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა მეორეხარისხოვან საქმედ ითვლებოდა. რუსეთი გახდა კვაზი-სახელმწიფო, რომელსაც ფორმალურად გააჩნდა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ არ ჰქონდა პოლიტიკური ნება, ინსტიტუციური უნარი და ორგანიზებული ხელისუფლება სამოქალაქო

უფლებების დაცვისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის.

გარდამავალმა პერიოდმა რუსეთის ელიტას მისცა უიშვიათესი საშუალება, გამოეყენებინა ხელისუფლება, რომელიც არ იყო შეზღუდული რომელიმე გამყარებული პოლიტიკური ინსტიტუტებისა ან კანონების მიერ. ამის შედეგი გახდა რუსეთის „სუსტი“ სახელმწიფო, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტების მთელი განვითარება დამოკიდებული იყო მხოლ- ოდ ელიტების „კაპრიზზე“. დამყარდა ეკონომიკური მოდე- ლი, ცნობილი როგორც „ოლიგარქიული კაპიტალიზმი“. ნორმალური სახელმწიფო მშენებლობის არარსებობის პირობებში რუსეთის პოლიტიკურმა ელიტებმა შექმნეს სისტემა პარალელური სახელისუფლო სტრუქტურებისა - თავისებური „ჩრდილოვანი“ სახელმწიფო, - რომლის ძირითადი მახასიათებელი იყო სამთავრობო ელიტების და კერძო სექტორის ელიტების შერწყმა კორუფციის მეშვეობით. ასეთი შერწყმის შედეგი არის ნორმალური (უფრო სწორედ, „დასავლეთის დემოკრატიებისთვის“ ტრადიციული) პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარების შეჩერება, წარმოების პროცესის დამუხრუჭება, მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან უარის თქმა კანონიერ ეკონომიკურ საქმიანობაზე და პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობაზე. რუსეთში სახელმწიფო მშენებლობა დღემდე ორიენტირებულია პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებაში პათოლოგიების შენარჩუნება-განვითარებაზე და არა მათ აღმოფხვრაზე.

თუმცა ფორმალურად, სახელმწიფოს შესაძლებლობები დიდი არ არის, სახელმწიფოს სისუსტე იცვლება საკუთრივ პოლიტიკურ ელიტაში კონტაქტების ქსელით. ამ ელიტის მიზანი არის არა საზოგადოებრივი განვითარება, არამედ საკუთარი თავის გადარჩენა და სწრაფი ფინანსური სარგებლის მიღება.

ამაში რუსეთის მმართველი ელიტის უნებლიე მოკავშირედ გამოდიან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ახალისებენ, პირველ რიგში, ეკონომიკურ სტაბილიზაციას და არა საზოგადოებრივ განვითარებას. ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის სტრატეგია, რომელსაც ისინი მხარს უჭერენ, სრულიად აწყობს რუსეთის მმართველ ელიტასაც, რადგანაც აძლევს მას საშუალებას გვერდი აუაროს იმ სუსტ ინსტიტუციურ შემაკავებლებსაც კი, რომლებიც ფორმალურად არსებობენ. მორიგ კრიზისთან ბრძოლის საგანგებო პირობებში ყოველთვის შეიძლება დაივიწყო ნორმალური სა-ხელმწიფოს მშენებლობა. შესაძლოა, ამიტომაც კრიზისებმა (სამთავრობო, ეკონომიკურმა, ფინანსურმა და სხვ.) მუდმივი ხასიათი შეიძინეს თანამედროვე რუსეთში.

საგარეო-პოლიტიკურ სფეროში ამგვარი ტიპის სახელმწიფოს არსებობის შედეგი არის ქვეყნის ეროვნული ინტე-რესების მუდმივი იგნორირება. ითვლება, რომ ეროვნული ინტერესების დაცვა არის ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობის მიზანი. უკანასკნელი ათწლეულის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორია უარყოფს ამ აქსიომას. იმის მიზეზები, თუ რატომ ენაცვლება რუსეთში ეროვნულ ინტერესებს, როგორც ძირითად ორიენტირს სუსტი ქვეყნის მიერ საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, იდეოლოგიზირებული დებულებები, სწრაფვა ადვილად მისაღწევ წარმატებებისკენ და წინასაარჩევნო ბრძოლის მოსაზრებები, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილება იდეალში უნდა აიგოს ორი შემადგენელი ნაწილის ბაზაზე: მკაფიოდ განსაზღვრულ ეროვნულ ინტერესსა და სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის უნარზე. შესაბამისად, საგარეო-პოლიტიკური მიზნები

იყოფა იმათზე, რომელთა მიღწევა შესაძლებელია, და იმათზე, რომელთა მიღწევა სახელმწიფოს სურს. სამწუხაროდ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პირველი ტიპის მიზნები დღემდე აირევა მეორესთან. ამგვარ ვითარებას რამდენიმე მიზეზი აქვს.

პირველი მიზეზი - პოპულისტური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. როგორც გამოცდილება აჩვენებს, საგარეო პოლიტიკა არის ელიტის და არა ფართო მასების ინტერესთა სფერო. მაგრამ არსებობს სფერო, რომელშიც საგარეო პოლიტიკის „ელიტური ხასიათი“ ადგილს უთმობს მასობრივ პოლიტიკას. ეს ეროვნული პრესტიჟია. პრესტიჟის დაქვეითებას გარდაუვლად გადააქვს საგარეო პოლიტიკა ელიტის ინტერესთა სფეროდან ამომრჩეველთა ფართო მასების ინტერესთა სფეროში. მოსკოვში მიმდინარე ბრძოლა თავისთავის გადარჩენისთვის ნებისმიერი ხელმძღვანელისთვის ძალიან ძნელს (თუმცა მაინც შესაძლებელს) ხდის რუსეთის ხანგრძლივი ეროვნული ინტერესების დაცვაზე მიმართული პრაგმატული კურსის გატარებას. ამგვარი კურსის გატარება მთავრობას დაუცველს ხდის პოლიტიკური ოპონენტების წინაშე, რომლებსაც სურთ, გამოიყენონ ემოციურად შეფერილი საკითხები (მაგალითად, საკითხი ნატოს გაფართოების, იუგოსლავიის კრიზისის და სხვ.), მიუხედავად იმისა, თუ რა ზემოქმედებას ახდენენ ისინი რუსეთზე ხანგრძლივ პერსპექტივაში. „სუსტი“ სახელმწიფოს არსებობის პირობებში კი პოპულისტური მოტივების ზეწოლა რუსეთის ელიტის საგარეო-პოლიტიკური მიდრეკილების შემუშავების პროცესზე პირდაპირ და საკმაოდ სწრაფად ტრანსფორმირდება კონკრეტულ საგრეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებად, რომლებიც ნაკლებადაა დაკავშირებული ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან.

მეორე მიზეზი მდგომარეობს უყურადღებობაში ან არასაკმარის შემუშავებაში ორი „დონის“ ინტერესების ურთიერთქმედების საკითხისადმი. პატივისცემას იმსახურებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სპეციალისტებს 1995-1996 წლების ცდა, დაედგინათ სახელმწიფო ინტერესებისგან განსხვავებული ინტერესების არსებობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესების იმ იერარქიაში, რომელსაც ისინი სთავაზობდნენ და რომელიც შედგებოდა პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებისგან, უბრალოდ არ დარჩა ადგილი რეგიონის ინტერესებისთვის, რომლებსაც სახელმწიფო (ცენტრთან გაიგივებული) არც თუ ისე ყოველთვის ადეკვატურად წარმოადგენს და იცავს. საერთოდ, რეგიონების ინტერესების არსებობას აღიარებენ იმ ნაწილში, რომელიც ეხება „ცენტრისა და რეგიონის ინტერესების ოპტიმალურ შეფარდებას“ (შეფარდებაზე ლაპარაკით, ამ თეზისის ავტორებმა უნებლიედ აღიარეს იმის შესაძლებლობა, რომ ეს ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს). გარდა ამისა, თვით ცდა, მაგალითად, იმისა, რომ შემოღებული იქნეს ცნება პიროვნების ინტერესისა, როგორც ორიენტირისა პრაქტიკული პოლიტიკის გატარებისას, საკმაოდ არათანმიმდევრულად გამოიყურება. ერთი მხრივ, რუსეთის უმაღლეს ეროვნულ ინტერესად ასახელებდნენ ადამიანის განვითარების, მისი ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონის მყარი ზრდის უზრუნველყოფას. მეორე მხრივ, აღინიშნებოდა, რომ როგორც საერთო ინტერესი არსებობს ყოველმხრივი განმტკიცება სახელმწიფოსი, როგორც მაორგანიზებელი საწყისისა, მოწოდებულის უზრუნველყოს ტერიტორიული მთლიანობა და გარე უსაფრთხოება. ამასთან, ამ უსაფრთხოების მიმართ შესაძლო მუქარების სპექტრი იმდენად ფართო და განუსაზღვრელია, რომ სახელმწიფოს განმტკიცება ხდება არამარტო „საერ-

თო“, არამედ მთავარი ინტერესიც. ამრიგად, სწორედ, ცენტრის ინტერესები, ფაქტობრივად რომ ემთხვევიან მოსკოვის ელიტების (და არა რეგიონების, პიროვნების ან საზოგადოების), უთანასწორდებიან ეროვნულ ინტერესებს. სხვა ინტერესების არსებობა კი გამოდის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მუქარა ამ „მთავარი“ ინტერესისა. ამასთან, არის მოლოდინი, რომ არსებობამ რეგიონული ინტერესებისა, რომლებიც არ ემთხვევიან ცენტრის ინტერესებს, უნდა გამოიწვიოს რეგიონული სეპარატიზმი, რომელსაც რატომღაც აყენებენ ერთ რიგში ნაციონალიზმთან და ახსენებენ ჩეჩნეთის კონფლიქტთან ერთად (რომელსაც ცოტა რამ საერთო აქვს ტრადიციულ რეგიონულ სეპარატიზმთან). ამასობაში კი, ურთიერთობები ამ ინტერესებს შორის გაცილებით უფრო რთულია. უეჭველია, რომ ამჟამად ცენტრალური ხელისუფლება რუსეთში უფრო სუსტია, ვიდრე ოდესმე იყო 1917 წლის შემდგომ პერიოდში. მაგრამ ცენტრი იყენებს რეგიონებზე გავლენის შენარჩუნების საკმაოდ საინტერესო სტრატეგიას. ჭეშმარიტად ფედერაციული (ან კონფედერაციული) სისტემის ფორმირების პროცესის ნაცვლად, თუნდაც საბჭოთა ეპოქის ყალბი ფედერაციის საფუძველზე, ურთიერთობები ცენტრსა და რეგიონებს შორის იქცევა არასტაბილურ სფეროდ, რომელშიც პოლიტიკური და პირადი შეთანხმებები არასტაბილური ურთიერთობების კომპლექსს ქმნის მოსკოვსა და ადგილობრივ მმართველებს შორის. საერთო მახასიათებლებად იქცა ფორმალური ინსტიტუტების შეცვლა პირადი კავშირებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფუნქციათა უმეტესობის „პრივატიზება“, ცალკეულ პირთა შენაძენების დაცვისთვის კერძო შეიარაღებული ფორმირებების ჭარბი რაოდენობა, კორუფცია. რუსეთის რეგიონული პოლიტიკოსები, რომლის უმრავლესობის მომავალი უკვე დიდი ხანია რაც დაუპირისპირდა მათი

ქვეყნის მომავალს, თავისი პოზიციების შეუვალობას უზრუნველყოფენ რეგიონულ დონეზე მანევრისთვის საჭირო სივრცის გაფართოებით. ეს უზრუნველყოფს, როგორც შეფარდებით დამოუკიდებლობას ცენტრისგან, ისე ახალი შესაძლებლობების გამოჩენასაც, რომელსაც ადგილობრივ ეკონომიკებს აძლევს მსოფლიო ბაზარი. წარმოიშვა მთელი კლასი ადგილობრივი პოლიტიკოსებისა, რომელთა პოლიტიკური გადარჩენა დამოკიდებულია ან მათ უნარზე წინ აღუდგნენ ცენტრის ზოგ შემთხვევაში მძარცველურ პოლიტიკას, ან ამ ცენტრთან ორმხრივ სასარგებლო შეთანხმების მიღწევაზე. სახელმწიფო მოწყობა, დაფუძნებული ორმხრივ პრინციპებზე (მაგალითად, საკონსტიტუციო) ადგილს უთმობს უამრავ პირად კავშირებს, შეთანხმებებს ცენტრალურ და რეგიონულ ელიტებს შორის. თუ ამგვარ პირობებში შესაძლებელი გახდება კიდეც გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევა, ამის ფასი იქნება საზოგადოება დაუძლეველი განსხვავებებით სხვადასხვა რეგიონის მდგომარეობაში, რომელიც გამოხატავს ამ რეგიონების პოლიტიკური ელიტების წარმატებულობის სხვადასხვა დონეს.

ამრიგად, რეგიონული ელიტის ინტერესების თანმიმდევრული გათვალისწინება რუსეთში იცვლება ფედერალურ ცენტრსა და რეგიონების ხელმძღვანელებს (რომლებიც ხშირად რეგიონული ელიტების ინტერესებსაც არ წარმოადგენენ) შორის შეთანხმებების მიღწევის პროცესით. პერსპექტივაში, სწორედ ამას და არა რეგიონული ინტერესების არსებობას და ტრანსფორმაციას კონკრეტულ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებად, შეუძლია გამოიწვიოს ქვეყნის ფრაგმენტაცია. ამასთანავე, შეთანხმებები რეგიონების ხელმძღვანელებთან შეიძლ- ება არ იყოს ხანგრძლივი. საბოლოო შედეგად კი კრიზისმა ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობებში შეიძლება გამოიწვიოს

პოტენციურად საშიში სიმბიოზი რეგიონულ ხელისუფლებებსა და რეგიონებში განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს შორის. ამგვარი მაგალითები უკვე არის. 1992 წელს სახალინის გუბერნატორი ვ. ფიოდოროვი და შეიარაღებული ძალები გაერთიანდნენ თავის ძალისხმევაში, რათა არ დაეშვათ იაპონიასთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენა კურილიის კუნძულების დათმობის ხარჯზე. სწორედ, ამ კოალიციის წინააღმდეგობამ გამოიწვია რუსეთის ცენტრალური მთავრობის პოზიციების გადასინჯვა. ამ პრეცედენტმა აჩვენა ცენტრის უუნაროობა, გააკონტროლოს რეგიონული ხელისუფლებები და შეიარაღებული ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ღიად და დაუსჯელად შექმნან ცენტრის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური კოალიციები.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი მთავრობა იძულებულია აირჩიოს ის ინტერესები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ხშირად წინააღმდეგობრივი ინტერესებიდან, რომლებიც ან წარმოადგენენ უმრავლესობის ინტერესებს, ან რომლებსაც მხარს უჭერენ ის ძალები, მოცემული მთავრობის დასაყრდენს რომ წარმოადგენენ. ეს ინტერესები ცხადდება კიდეც ეროვნულ ან სახელმწიფო ინტერესებად (რაც რეალობაში სულაც არ არის ერთი და იგივე). ამჟამად, მოსახლეობის უმრავლესობა ბევრს ამ ინტერესთაგან არ იზიარებს. თანაც, უმრავლესობაზე ლაპარაკისას, მხედველობაში მიღებულია როგორც ის, რომ ეს ინტერესები უცხოა ქვეყნის სოციალურ ჯგუფთა უმრავლესობისთვის, ასევე ის, რომ ცენტრის ინტერესები უცხოა ან ეწინააღმდეგებიან კიდეც რეგიონთა ინტერესებს. არსებობს იმის ალბათობა, რომ არსებული ვითარება თანდათან შეიცვლება. მოსკოვის ოლქის ვიწრო ჩარჩოები უკვე უახლოეს მომავალში ვერ დააკმაყოფილებენ მმართველ ელიტას. მათი ინტერესების სფერო გარდაუვლად უნდა გადაადგილდეს მოსკოვის ფარგლებში სოციალური და ფინანსური სიკეთეების გადანაწილებიდან (მათ შორის კრიმინალური ხასიათის), ქვეყნის მასშტაბებში გადანაწილებისაკენ. გარდა ამისა, თუ „სუსტ სახელმწიფოს“ უკვე არ შეეძლება, დაიცვას არამარტო ეროვნული, არამედ ელიტარული ინტერესებიც, მმართველი წრეები უნდა დაინტერესდნენ უფრო ფართო მხარდაჭერის პოვნაში. იმ შემთხვევაში კი, თუ ქვეყნის სახელმწიფო ინტერესები არ იქნება მოყვანილი უფრო მჭიდრო შეფარდებაში ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებთან, შეიძლება მოხდეს ელიტის შეცვლა.

მესამე მიზეზი „მიღწევადი“ და „სასურველი“ საგარეო-პოლიტიკური მიზნების შერევისა - ეს არის თვით რუსეთში ძლიერი გამაერთიანებელი საწყისის არარსებობა. უკანასკნელ ხანამდე ამგვარი გამაერთიანებელი ძალა სოციალიზმი იყო, რის ნაცვლად მოვიდა დასავლური ლიბერალიზმი, რომელიც თავისთავად არ აქცევს სახელმწიფოს კოჰერენტულ გაერთიანებად. დასავლეთში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ადმიანების გამაერთიანებელ იდეად იქცა “საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კონცეფცია. სახელმწიფო იყო ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი. ის იძლეოდა ფინანსურ შეღავათებს, უზრუნველყოფდა სოციალურ უსაფრთხოებას, არეგულირებდა ეკონომიკურ ცხოვრებას. მაგრამ 1980-იანი წლებისთვის ამგვარი მდგომარეობა საერთაშორისო ინტეგრაციასთან სულ უფრო ღრმა წინააღმდეგობაში შევიდა და დღეისთვის უკვე არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი. „საბაზრო დემოკრატიის“ კონცეფცია, რომლის იმპლანტირებას ცდილობენ რუსეთის ნიადაგზე, უკვე დასავლეთშიც კი არ შეიძლება იყოს გამაერთიანებელი იდეა. ბუნებრივია, რომ რუსეთშიც სოციალისტური ფასეულობების უბრალო შეცვლა „საბაზრო დემოკრატიის“

ღირებულებებით („საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ჩათვლით), არ შეიძლება იყოს პრობლემის გადაჭრის საშუალება. რამდენიმე წლის წინ წამოწყებული ცდები სახელმწიფო იდეოლოგიის „ჩამოყალიბებისა“, არ გამოსულა იმ ადამიანების „კაბინეტური მსჯელობის“ ფარგლებს გარეთ, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ამ იდეოლოგიის შექმნა. გამაერთიანებელი იდეის არარსებობა „სუსტი“ სახელმწიფოს არსებობასთან შეხამებული, იწვევს რუსეთის საზოგადოებაში ბატონობას განსაკუთრებული პოლიტიკური კულტურისა, რომელიც ხასიათდება სახელმწიფოსადმი უნდობლობით, პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკურ განვითარებაში სურვილის უქონლობით, ყველაზე აქტიური და კვალიფიცირებული ადამიანების ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლით. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში თვით ჩამოყალიბება ეროვნული ინტერესებისა იქცევა გადაუჭრელ ამოცანად. შესაძლებელია, რომ ამჟამად ერთადერთ გამაერთიანებელ იდეად წარმოსდგება ნაციონალიზმი. მაგრამ ნაციონალიზმი თავის ექსტრემალურ გამოვლინებაში ფართო მასების ყურადღებას მიაპყრობს საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს, ეს კი, როგორც უკვე აღინიშნებოდა, არ უწყობს ხელს პრაგმატული საგარეო პოლიტიკის გატარებას.

გვესახება, რომ სწორედ ფაქტორთა ეს სამი ჯგუფი, შეხამებული „სუსტი სახელმწიფოს“ არსებობასთან, წარმოსდგება საბოლოო შედეგად, მიზეზებად ქვეყნის ეროვნული ინტერესების მუდმივი იგნორირების და მსოფლიო არენაზე მისი მდგომარეობის მუდმივი გაუარესებისა.

1990-იან წლების რუსეთის საგარეო პოლიტიკის ეტაპები. განვიხილოთ, თუ როგორ უმკლავდებოდა რუსეთის სახელმწიფო თავის საგარეო-პოლიტიკურ როლს და როგორ იცვლებოდა ეს როლი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. პირობითობის გარკვეული დოზით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის განვითარება 1990-იან წლებში შეიძლება ორ ძირითად ეტაპად დაიყოს.

პირველ ეტაპზე, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რუსეთის რიგი საგარეო-პოლიტიკური მოღვაწე (მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი) თვლიდა, რომ ძირითად საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაცია და რუსეთს შეუძლია მისი დაძლევა მხოლოდ დასავლეთის გავლენის ქვეშ მყოფ საერთაშორისო სისტემაში ეკონომიკური და დიპლომატიური ინტეგრაციის მეშვეობით. 1992 წელს კოზირევი მიიჩნევდა, რომ რუსეთს მხოლოდ დასავლეთთან თანამშრომლობის მეშვეობით და მისი დახმარებით შეუძლია მიიღოს ზესახელმწიფოს სტატუსი.

მაგრამ ამგვარი პოლიტიკა მოკლე ხანში გახდა კრიტიკის საგანი იმათ მხრიდან, ვინც თვლიდა, რომ რუსეთს თავისი უსაფრთხოების საკითხებში და საერთაშორისო თანამეგობრობაში სათანადო ადგილის დაკავებაში შეუძლია მხოლოდ თავისთავის იმედი ჰქონდეს. მოცემული ჯგუფი ამტკიცებდა, რომ რუსეთის პოლიტიკა უსაფრთხოების სფეროში ორიენტირებული უნდა იყოს რუსეთის ცხოვრებისეული ინტერესების დაცვაზე (განსაკუთრებით „ახლო საზღვარგარეთში“) და არა ინტეგრაციაზე დასავლეთის მიერ კონტროლირებად საერთაშორისო სისტემაში. 1993 წლის ოქტომბერში სამხედროების მიერ გაწეული მხარდაჭერის საპასუხოდ, ელცინი ამ მიმართულების მიმართ რიგ დათმობაზე წავიდა (იმის ჩათვლით, რომ უსაფრთხოების სფეროში იქნა მიღებული პოლიტიკა, დაფუძნებული „რუსეთის ცხოვრებისეულ ინტერესებზე“), რაც შეიძლება ჩაითვალოს მეორე ეტაპის დასაწყისად რუსეთის საგარეო პოლიტიკის განვითარებაში. ჩვეულებრივად ამ ეტაპს უკავშირებენ ე.

მ. პრიმაკოვის საქმიანობას საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ამ ეტაპის განხილვისას, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ არსებობდა მასზე გადასვლის რიგი სუბიექტური მიზეზი (მაგალითად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ზეწოლა). მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის რიგი სრულიად ობიექტური წანამძღვარიც. რუსეთის ლიბერალებიც კი სულ უფრო გულგატეხილი რჩებოდნენ იმის გამო, რასაც ისინი თვლიდნენ დასავლეთისგან მიღებულ საკმაოდ საბრალო „საჩუქრად“ მასთან რუსეთის პარტნიორობისთვის. რუსეთის პატრიოტიზმი კვლავ გამოვლინდა პოლიტიკურ ძალად. საერთო სურვილი, აღედგინათ რუსული გავლენა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ლაპარაკობს თავისთავზე. ამ ყველაფრის შედეგად, რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები (როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში, ისე პრეზიდენტის გარემოცვაში) მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ დიდი სახელმწიფოს სტატუსი არ შეიძლება იქნეს მიღწეული დასავლეთთან პარტნიორობის შედეგად, რუსეთმა ახალი პოლიტიკა უნდა გაატაროს. ამ პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები იყო გავლენის გაზრდა „ახლო საზღვარგარეთში“, მოკავშირეების ძებნა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში და დაბრუნება „ინტერესთა სფეროს“ ტრადიციულ პრინციპისკენ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყველა საუბრისა რუსეთის ჩარევის შესახებ მეზობლების საშინაო საქმეებში, რუსეთის ჩართულობა ამ პრობლემებში არ იყო ცალმხრივი აქტი. ბევრ სახელმწიფოს (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს) კავკასიასა და შუა აზიაში სერიოზული სიძნელეები გააჩნია საკუთარი სუვერენიტეტის დამყარებაში და ისინი თვითონ მიმართავენ რუსეთს დახმარებისთვის. ეს აისახება რიგ ხელშეკრულებაში

რუსეთის სამხედრო ნაწილების განლაგების შესახებ „ახლო საზღვარგარეთის“ რიგი ქვეყნის ტერიტორიაზე და დსთ-ს ქვეყნების მზარდ ინტერესში მოინახოს ახალი ფორმები პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობისაც კი.

„ინტერესთა სფეროს“ რუსეთის პოლიტიკაში შემდეგი დებულებები შედიოდა: ბაზების შექმნა. 1994 წლის ნოემბერში სათათბიროთ მოახდინა რატიფიცირება რამდენიმე ხელშეკრულებისა ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ბაზირების შესახებ. ერთ-ერთი შეთანხმება ეხებოდა ბელორუსიის ტერიტორიაზე დროებით მყოფ რუსეთის სამხედრო ნაწილების სტატუსს, მეორე - რუსეთისა და უზბეკეთის შეიარაღებული ძალების ერთობლივ მომარაგებას, მესამე - რუსეთის სამხედრო ნაგებობების გამოყენებას ყაზახეთში.

უკვე მიღწეული შეთანხმებების მოქნილი განმარტება. 1994 წლის ნოემბერში რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გ. კონდრატიევმა ეჭვის ქვეშ დააყენა მოლდავეთთან ხელმოწერილი შეთანხმების შესრულება ჯარების გამოყვანის შესახებ. ამ დროს მოლდავეთი მოითხოვდა ჯარების გამოყვანას სამი წლის ვადაში. კონდრატიევმა განაცხადა, რომ ვადების დაცვის მოთხოვნა აბსურდია და რუსეთის ოფიცრებმა უბრალოდ უნდა დაივიწყონ შეთანხმება ჯარების გამოყვანის შესახებ და გაანაგრძნონ იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც მათ რუსეთის სახელმწიფომ დააკისრა.

ერთობლივი უსაფრთხოება. მიღებული იქნა თანამშრომლობის გეგმები დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის და ერთიანი „სამხედრო-სტრატეგიული“ სივრცის ფორმირების, საზღვრების ერთობლივი დაცვის, მშვიდობის შენარჩუნებაზე მიმართული ერთობლივი ოპერაციების, დსთ-ს სწრაფი რეაგი-

რების ძალების ჩამოყალიბების და იარაღის წარმოების სფეროებში.

ბელორუსიასთან მოლაპარაკებების დაწყება გაერთიანების შესახებ. დაიწყო მოლაპარაკებები საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ.

რუსეთის უეჭველი პირველობა დსთ-ში. ტრადიციულად ითვლება, რომ 1993 წლიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკაში უპირატესობა გადავიდა პოლიტიკური რეალიზმის პარადიგმისკენ. გვესახება, რომ ეს არც თუ ისე მართალია. რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფო არის რაციონალური და მონოლითური მოქმედი პირი საერთაშორისო ურთიერთობებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ: რუსეთის სახელმწიფოს ძნელია უწოდო მონოლითური, არსებობს აზრთა ფართო სპექტრი ისეთ საბაზო ცნებაზეც კი, როგორიცაა „ნაციონალური ინტერესი“, ხშირია წინააღმდეგობა ბევრ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა და ლოგიკას შორის, ძნელია დაეთანხმო იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში რეალიზმმა უპირატესობა მოიპოვა.

სისტემურ დონეზე რუსეთის დაქვეითება და მის მიერ თავისი ტრადიციული ადგილის დაკარგვა მსოფლიო სისტემაში, ორ გზას უტოვებს მას: დაპირისპირება სისტემის უძლიერეს წევრებთან ან მათთან შესვლა სამოკავშირეო ურთიერთობებში. შესაძლო ჰეგემონისადმი დაპირისპირების და მის წინააღმდეგ საპირწონეების შექმნა საკმაოდ ძნელად რეალიზებად ვარიანტს წარმოადგენს. ამისათვის საჭიროა გარკვეული ძალოვანი საშუალებები და საკმაო რაოდენობის სახელმწიფოები, რომლებსაც მსგავსი ინტერესები ექნებათ და რომლებიც მზად იქნებიან მათი დაცვის მიზნით, შევიდნენ სამოკავშირეო ურთიერთობებში. სუსტი სახელმწიფოები კი, რომლებიც რეალიზმის ლოგიკის

შესაბამისად მოქმედებენ, უფრო ხშირად შედიან სამოკავშირეო ურთიერთობებში უძლიერეს სახელმწიფოსთან, ვიდრე უქმნიან მას საპირწონეს. ამიტომ, რეალიზმის პარადიგმის ფარგლებში, რუსეთისთვის, სწორედ, ასეთი სუსტი სახელმწიფოსთვის, ლოგიკური იქნებოდა დროებითი უარის თქმა „ცივი ომის“ პერიოდის კონფრონტაციულ პოლიტიკაზე. ამასვე უწყობს ხელს რუსეთის ამჟამინდელი დამოკიდებულება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებზე მატერიალურ დახმარების საკითხებში და დიდ სახელმწიფოს სტატუსის თუნდაც შენარჩუნებაში. რუსეთის რეალური საგარეო პოლიტიკა კი მნიშვნელოვანწილად ეწინააღმდეგება მოლოდინს, რომელიც გამომდინარეობს ძალთა ცვალებად გლობალურ შეფარდებიდან. გვესახება, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, შიდაპოლიტიკური ბრძოლით (რომლის მიზეზებზე უკვე გვქონდა საუბარი ზევით).

რუსეთის საგარეო პოლიტიკის სისუსტის გამოვლინების მწვერვალად კი შეიძლება ჩაითვალოს პერიოდი, დაკავშირებული ი. ივანოვის საქმიანობასთან საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არასწორი იქნება უკანასკნელი პერიოდის ყველა წარუმატებლობის დაკავშირება საგარეო საქმეთა მინისტრთან. უბრალოდ, შედეგები ყველა იმ ნეგატიური ტენდენციისა, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი, რაოდენობრივ განზომილებიდან ხარისხობრივში გადავიდა.

იგორ ივანოვის პირველი დიდი წარუმატებლობა საგ-არეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გახდა მოხსენება საგარეო საქმეთა სამინისტროს 1998 წლის მიღწევების შესახებ. დიპლომატიური წლის ერთ-ერთ მთავარ შედეგად ივანოვმა დაასახელა ის, რომ შესაძლებელი იქნა აშშ-სთან „ფრონტალური კონფრონტაციის“

თავიდან აცილება. ივანოვის სიტყვებით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიღწევა იყო მრავალმხრივი კონსულტაციების ჩატარება. მაგრამ მიღწევად ჩათვლილი ამ კონსულტაციების უმრავლესობამ არანაირი შედეგი არ მოიტანა.

მიუხედავად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტებისა ერაყის დაბომბვის წინააღმდეგ, ოპერაცია „მე-ლია უდაბნოში“ მაინც დაიწყო. რუსეთის ელჩები დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში იქნენ გამოწვეულნი „კონსულტაციებისთვის“. ამ ზომას არანაირი გავლენა არ მოუხდენია ამ ქვეყნების პოზიციაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ელჩები დაბრუნდნენ. შედეგი - დაბომბვებს ხელი ვერ შეუშალეს, ურთიერთობები დასავლეთის ქვეყნებთან კი - გაფუჭდა. იგივე ისტორია განმეორდა იუგოსლავიის შემთხვევაშიც.

არ ხერხდება ცხოვრებაში წარმატებით გატარება რუსეთის საგარეო პოლიტიკის იმ დებულებებისა, რომლებიც დაკავშირებულია დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცებასთან. უზბეკეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ უკვე განაცხადეს დსთ-ს სამხედრო ორგანიზაციიდან გამოსვლის შესახებ და იწყებენ მოლაპარაკებებს ნატოს ქვეყნებთან თავის ტერიტორიებზე ნატოს სამხედრო ბაზების განლაგების საკითხზე.

ერთადერთი საგარეო-პოლიტიკური წარმატებაც კი, უკრაინასთან ურთიერობების გარკვეული განმტკიცება, არის შედეგი არა სახელმწიფო საგარეო-პოლიტიკური დაგეგმარები- სა, არამედ პარტიათა შორის შეთანხმებებისა. 1999 წლის 3 მარტს, უკრაინის პარლამენტმა ხმა მისცა შესვლას დსთ-ს საპარლამენტაშორისო ასამბლეაში (სპა), რომელშიც შედის 10 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. 3 მარტამდე უკრაინის წარმომადგენლები ესწრებოდნენ ასამბლეის სხდომებს, როგორც დამკვირვებლები. სპა-ს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა

რესპუბლიკების კანონმდებლობების ჰარმონიზაცია. პრინციპში, ეს არის ლოგიკური ნაბიჯი რეინტეფაციის გზაზე. კრავჩუკისა და კუჩმას პრეზიდენტობისას, უკრაინა ტრადიციულად ზღუდავდა თავის მონაწილეობას დსთ-ში. ამჟამინდელი შესვლა სპა-ში შესაძლებელი გახდა მხოლოდ უკრაინელი კომუნისტების და დამოუკიდებელი პარლამენტარების ზეწოლის შედეგად. უკრაინელი კომუნის-ტები, რომლებიც აკონტროლებენ პარლამენტში ადგილების თითქმის ნახევარს და თითქმის ყველა საკვანძო კომიტეტს, ეწინააღმდეგებიან მთავრობის პრო-დასავლურ პოზიციას. ალექსანდრე ტკაჩენკომ, გლეხთა მემარცხენე პარტიის ხელმძღვანელმა, თავის ვიზიტისას მოსკოვში დაარწმუნა რუსეთის კომუნისტები, უარი ეთქვათ ოპოზიციაზე რუსეთ-უკრაინის 1997 წლის ხელშეკრულებისადმი, რომელშიც რუსეთმა აღიარა უკრაინის სახელმწიფო საზღვრები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამჟამინდელი ვითარება შესამჩნევად განსხვავდება 1990-იანი წლების დასაწყისის სიტუაციისგან. დასავლეთის ქვეყნებიც კი სულ უფრო მეტად შეწუხებული არიან რუსეთში შექმნილი მდგომარეობით. იმპიჩმენტის პროცესის დასრულების შემდეგ, თავის პირველ გამოსვლაში საგარეო-პოლიტიკური საკითხების შესახებ, კლინტონმა რუსეთს უწოდა ყველაზე დიდი საგარეო-პოლიტიკური პრობლემა შეერთებული შტატებისთვის.

ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთმა ამოწურა ამგვარი კრიზისების მართვის ტრადიციული ინსტრუმენტების უმრავლესობა. შესაძლებელი იყო 1998 წლის აგვისტოში მომხდარი მანეთის მოშლის პროგნოზირება, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ. პრეზიდენტი ელცინი და რადიკალური რეფორმატორები დისკრედიტირებული იქნენ. პრეზიდენტი პრაქტიკულად, სრულ უმოქმედობაში შევიდა. შეჩერდა

შემდგომი პრივატიზაცია და საფინანსო რეფორმები. პრემიერ-მინისტრმა პრიმაკოვმა არ შექმნა ქვეყნის შემდგომი განვითარების სტიმულები, არჩია რა კონსერვაცია არსებული სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობებისა და ბალანსი მმართველი ელიტის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის. მაგრამ ასეთი მიდგომა ემთხვევა რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის აზრს, რომლებიც სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას ეძებდნენ. პრიმაკოვს არაფერი გაუკეთებია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისთვის. მთელი საბანკო სისტემა ფიქციად იქცა. ბანკების უმრავლესობა ჯერ კიდევ იმიტომ არსებობს, რომ ეკუთვნის მთავრობასთან დაახლოებულ პირებს. ვაჭრობის დიდი ნაწილი ხორციელდება ბარტერული გარიგებების ხარჯზე.

რა თქმა უნდა, რუსეთის დაშლამდე საკმაოდ შორსაა. უფრო შესაძლებელია მდგომარეობა, ის არ იქნება არც გაერთიანებული, არც დანაწევრებული. არავის ექნება კონტროლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ორგანიზებული დანაშაული, ბანკირები, ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირებები დომინირებული ძალა იქნება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.

რუსეთს უკვე ჰქონდა საქმე ამგვარ საფრთხესთან 1990-იანი წლების დასაწყისში. ამჯერად ვითარებას ართულებს საგარეო დახმარების არარსებობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი დათანხმდა 1998 წლის აგვისტოში გამოეყო რუსეთისთვის 20 მილიარდი დოლარი მანეთის მხარდასაჭერად. შედეგად, ამ ფულის მეტი ნაწილი აღმოჩნდა საბანკო ანგარიშებზე შვეიცარიაში, კვიპროსსა და წყნარი ოკეანეს სამხრეთ კუნძულებზე. რეალური რეფორმების არარსებობისას, საკმაოდ პრობლემურია შემდგომი კრედიტების გამოყოფა. დამატებით არასტაბილურობას მომავალი არჩევნებიც ქმნიან. რუსეთის ამჟამინდელი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა კი სულ უფრო მეტად ემსგავსება გზას არსაით. იმ ადამიანებში, რომლებიც სახელმწიფო დონეზე აგებენ პასუხს საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე, „დიადი ჩანაფიქრების“ ადგილს იკავებს ტაქტიკური იდეები, თუნდაც, არც თუ ისე ცუდები (მაგალითად, ვაჭრობა ნატოს გაფართოების საკითხთან დაკავშირებით ან პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში).

სიტუაცია რთულდება იმის გამოც, რომ არ არსებობს ჭეშმარიტად ალტერნატიული საგარეო-პოლიტიკური კონცე-ფციები. 1996 წლის 4 ივნისს, ა. პოდბერიოზკინმა, იმ დროს ზიუგანოვის მრჩეველმა, შესთავაზა რუსეთის საგრეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. მის თანახმად, რუსეთმა უნდა შეასრულოს შეიარაღების კონტროლის მხოლოდ ის შეთანხმებები, რომლებიც განამტკიცებენ თვით რუსეთის უსაფრთხოებას (და მოახდინოს იმ შეთანხმებების მოდერნიზება, რომლებიც ამას არ აკეთებენ), დათმობები სამხედრო სფეროში უნდა გაკეთდეს მხოლოდ მეორე მხრიდან პრაქტიკული საპასუხო ნაბიჯების შემთხვევაში, რუსეთის შეიარაღებების ექსპორტი უნდა იყოს დამოკიდებული ქვეყანა-რეციპიენტების ქცევაზე საერთაშორისო არენაზე. ყველა ეს დებულება სავსებით შეეძლო დაეწერა იმდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ პრიმაკოვსაც. ამრიგად, საფუძველი, რო-გორც ელცინის გარემოცვის, ისე ოპოზიციური კომუნისტური ძალების მიერ საგარეო პოლიტიკის შემუშავებისთვის, ერთი და იგივე იყო. თუ არ ჩავთვლით წინასაარჩევნო რიტორიკას, აღმოჩნდება, რომ ორ ბანაკს შორის რეალური განსხვავება საგარეო პოლიტიკის საკითხებში არც თუ ისე დიდი იყო.

1990-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ეტაპების შედეგების შეჯამებისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ ყოველ ეტაპთან ერთად რუსეთის სახელმწიფოს საგარეოპო-

ლიტიკური როლის დაქვეითება სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. საერთო ტენდენცია, რომელიც მკაფიოდ გამოვლინდა 1990-იან წლებში - ქვეყნის მიერ თავისი საერთაშორისიო სტატუსის თანდათანობით დაკარგვა, მკაფიო მოქმედებების და საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების შეცვლა საგარეო გამოწვევებზე რეაგირების ქაოტური პროცესით, პარადიგმების არათანმიმდევრული შეცვლა, რაც ასახავდა არა იმდენად ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, რამდენადაც შიდაპოლიტიკურ პრობლემებს.

პოლიტიკა უსაფრთხოების სფეროში. უსაფრთხოების საგნის განსაზღვრებაზე საუბრისას შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი მიდგომა მისდამი. პირველი მიდგომა - ეროვნული უსაფრთხოება - გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოს ძირითადი ინტერესების დაცვას. რადგან ძირითად ინტერესს წარმოადგენს სახელმწიფოს (შემდგომი) არსებობა, ძირითად ინსტრუმენტად გამოიყენება სამხედრო ძალა ან მისი გამოყენების მუქარა. მეორე მიდგომა - ე. წ. საერთაშორისო უსაფრთხოება - უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოების ურთიერთკავშირს სხვების უსაფრთხოებასთან. ამასთან, მეტი ყურადღება ექცევა შეიარაღებული ძალის კოლექტიურ გამოყენებას, აგრეთვე საერთაშორისო ინსტიტუტებსა და რეჟიმებს. მესამე მიდგომა - რეგიონული უსაფრთხოება - პრინციპში ძლიერ არ განსხვავდება მეორისგან. ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენს დებულება, რომ უსაფრთხოების ყველაზე ეფექტური სისტემებია ისინი, რომლებიც ვითარდებიან კონკრეტული რეონების ფარგლებში. და ბოლოს, მეოთხე მიმართულება - გლობალური უსაფრთხოება - შეიცავს არამარტო უსაფრთხოების მხოლოდ სუფთა სამხედრო ასპექტებს, არამედ მო-

ქალაქეთა უფლებების, გარემოს, ეკონომიკური განვითარე- ბის დაცვასაც.

შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ აისახება ყველა ეს მიდგომა რუსეთის პირობებში. ოფიციალური განსაზღვრება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა, როგორც განხორციელებადს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ყველა სფეროში საქმიანობის ერთიანი ჩანაფიქრით, მიმართულს იმაზე, რომ იქნეს გამოვლენილი, დაბლოკილი, ნეიტრალიზებული ყველა სახის მუქარა პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისთვის, ჩვენის აზრით, არის აბსტრაქტული. ხდება უსაფრთხოების სხვადასხვა კონცეპტუალური მიმართულების (მაგალითად, პირველისა და მეოთხის) დაუსაბუთებელი არევა ერთმანეთში. გარდა ამისა, არ არის ბოლომდე გაგებული, თუ რა არის „მუქარა“, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოებრივ ჩარევას (თუმცა ავტორებმა მოიყვანეს საკმაოდ გრძელი და სულაც არა ამომწურავი სია ამგვარი მუქარებისა). თუ კი გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროები რუსეთში ტრადიციულად საკმაოდ მრავალი იყო, გასაგები გახდება, რომ მოცემული განსაზღვრება პრაქტიკულად შეიცავს ადამიანის ცხოველქმედების ყველა სფეროს. ერთი მხრივ, ეს შეიძლება გამართლებულიც იყოს. მაგალითად, დემოგრაფიული, სოციალური ან ეკონომიკური პრობლემების ჩართვა ეროვნული უსაფრთხოების მუქარების რიცხვში მთავრობას აძლევს დამატებით უფლებამოსილებას ამ პრობლემათა გადაჭრისთვის. მეორე მხრივ, ეს იწვევს ბალანსის მოშლას პიროვნების დაცვასა და სახელმწიფოს დაცვას შორის.

განვიხილოთ, თუ როგორ ვლინდება ბალანსის ამგვარი მოშლა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ამჟამინდელ ვერსიაში. ერთი მხრივ, რუსეთის უმაღლეს ეროვ-

ნულ ინტერესად იწოდება ადამიანის განვითარების, მისი ცხოვრების დონის და კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფა. მეორე მხრივ, აღინიშნება არსებობა საერთო ინტერესის სახით, სახელმწიფოს, როგორც ორგანიზებული საწყისის, მოწოდებულის, უზრუნველყოს ტერიტორიული მთლიანობა და საგარეო უსაფრთხოება, ყოველმხრივი განმტკიცების იდეა. ამასთან, შესაძლო მუქარების სპექტრი იმდენად ფართო და გაურკვეველია, რომ სახელმწიფოს გაძლიერება იქცევა არამარტო „საერთო“, არამედ მთავარ ინტერესადაც, მნიშვნელოვანწილად ცვლის რა პიროვნების დაცვას.

ამრიგად, უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის შემუშავების და გატარებისას, ჩვენის აზრით, აუცილებელია იმის ნათელი წარმოდგენა, თუ რომელს, ზემოთ ჩამოთვლილებისგან, მიეკუთვნება ეს პოლიტიკა. გვესახება, რომ რუსეთისთვის, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ მხოლოდ ყალიბდება, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია, საგარეო მუქარების სპექტრი კი (განსაკუთრებით, სამხრეთსა და აღმოსავლეთში) საკმაოდ ფართოა, ყველაზე გამართლებულად გვესახება „ეროვნული უსაფრთხოფრთხოების“ მიდგომა. ერთი მხრივ, ეს მიდგომა იძლევა გარეშე მუქარებისადმი წარმატებით დაპირისპირების საშუალებას. მეორე მხრივ, ის მკაფიოდ ზღუდავს სახელმწიფოს კომპეტენციას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისადმი მუქარებით და არ აძლევს მას უფლებამოსილებას უსაფუძვლო ჩარევისთვის იმ სფეროებში, რომლებიც უნდა რეგულირდებოდეს საბაზრო მექანიზმებით, ან წარმოადგენენ სფეროს, სადაც „მომწესრიგებლად“ წარმოსდგება სამოქალაქო საზოგადოება.

შემდეგი საკვანძო საკითხი, რომელიც წარმოიშვება ეროვნული უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის გამომუშავებისა

და განხორციელებისას - ეს არის საკითხი, თუ, საკუთრივ, რას იცავს ეს პოლიტიკა. ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩვენ შევეჯახეთ რიგ გაურკვევლობას ამ სფეროში. შევეცადოთ, აღვნიშნოთ თუნდაც ძირითადი მათგანი.

უ. უოლესის სამართლიანი შენიშვნის მიხედვით, „სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს იმ სახის გარეშე, რომელიც მის მთავრობას და მის მოქალაქეებს განასხვავებს მეზობლებისგან. იგი აღნიშნავს, თუ რა წვლილი შეიტანეს ცივილიზაციასა და საერთაშორისო წესრიგში“. ამ ფაქტის შეგნების ასახვად შეიძლება იყოს თუნდაც პრეზიდენტის ფრაზა მიმართვიდან ეროვნულ უსაფრთხოებაზე, რომ რუსეთის სამ ძირითად გრძელვადიან ინტერესთაგან ერთ-ერთი არის „ეროვნული კულტურის შენარჩუნება და განვითარება“. ამას- თან დაკავშირებით დგება საკითხი - როგორ განვასხვავოთ კულტურული ნორმების ბუნებრივი ევოლუცია გარედან თავსმოხვეულ და პოტენციურად საშიშ ცვლილებებისგან? ამ სფეროში ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს ორ პრო-ბლემას.

პირველი, იმ ფაქტს, რომ რუსეთის თვითიდენტიფიცირების პროცესი მხოლოდ იწყება. არ არის ბოლომდე გაგებუ- ლი, თუ რა არის ეროვნული კულტურა, როდესაც რუსეთში ჩვენ შეიძლება ვნახოთ სუბკულტურების მთელი კომპლექსი, თანაც არა მხოლოდ ეთნიკურების, არამედ ასაკობრივების, სოციალურების და ა. შ. როგორც აჩვენა ბოლო დროის წინასაარჩევნო კამპანიებმა, ჩვენ ვერ ვნახავთ რუსეთში „პოზიტიურ“ და კოჰერენტულ იდეოლოგიებს, რომელსაც შეუძლია გახდეს ამჟამინდელი დეიდეოლოგიზაციის ალტერნატივა. კომუნისტების ლოზუნგებიც და ნაციონალისტების პროგრამის ძირითადი დებულებებიც კი ფოკუსირებულია, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ეროვნული დამცირების თემაზე. ის დებულებები კი, რომ-

ლებსაც ამჟამინდელი რეჟიმი სთა-ვაზობს როგორც ეროვნული ღირებულებების სისტემას, და რომელიც შეიძლება იქცეს „რუსეთის მცხოვრებთა ცხოვრე-ბისეულ ორიენტირად, მათ თანამედროვე მსოფლმხედველობად“, საკმაოდ აბსტრაქტულად გამოიყურება.

მეორე, და გაცილებით უფრო ძნელად გადასაჭრელი პრობლემა ცვლილებებია, რომლებიც რუსეთში გარედან შემოდის. თანაც, ფართოდ გავრცელებული შეხედულებისგან განსხვავებით, ეს პრობლემა არ არის გამორჩეულად რუსეთის. მთელ მსოფლიოში ხდება გლობალური გემოვნებების და ტექნოლოგიის დაჩქარებული ჰომოგენიზაცია. ამიტომ ბევრ ქვეყანაში უსაფრთხოების პოლიტიკამ გადაინაცვლა ცხოვრების არსებული წესის შენარჩუნებიდან ცხოვრების სასურველი წესის მიღწევისკენ. ამ ტენდენციის საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ხდება ყოველი ერის უნიკალური თავისებურებების იგნორირება. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული არასტაბილურობა, წარმოქმნილი საზოგადოების ძირითადი სტრუქტურების დაშლით, გარედან შემოტანილი ცვლილებები უნდა იქნას ინტეგრირებული ღირებულებათა არსებულ სისტემასთან, არსებულ ტრადიციებთან ურთიერთობის, გეოპოლიტიკური შესაძლებლობების და შეზღუდვების, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებზე განსხვავებული ზემოქმედების გათვალისწინებით.

შემდგომი გაურკვევლობა შეიძლება გამოიხატოს, როგორც „ტერიტორიის ან მოსახლეობის დაცვა“. ცნობილია, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფაში. სახელმწიფოს ამ ფუნქციასთან დაკავშირებულია გაურკვევლობის კიდევ ერთი

უმსხვილესი წყარო - განსხვავება სახელმწიფოს დაცვასა და ერის დაცვას შორის. უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისას, დგება საკითხი: ჩვენ ტერიტორია უნდა დავიცვათ, თუ მოსახლეობა. ეს საკითხი ტრადიციულად წყდებოდა (და არა მხოლოდ სსრ კავშირში) ტერიტორიის დაცვის სასარგებლოდ. მაგრამ მცირე ხანია, რაც მოსახლეობის დაცვის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა არ გადაქცეულა ერთადერთ მიზნად. ეს ცვლილება დაკავშირებულია ბრძოლის ზრდასთან იმ ავტონომიისთვის, რომელიც თავისუფალია „ცივი ომის“ მიერ გამოწვეული შეზღუდვებისგან. გაურკვევლობა რუსეთისთვის იზრდება იმიტომაც, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ბევრი რუსი აღმოჩნდა რუსეთის ამჟამინდელი ტერიტორიის ფარგლებს მიღმა. ეს წარმოშობს მთელ რიგ პრობლემას, რომლებიც დღესაც გადაუჭრელი რჩება. დაცვის ობიექტს რუსეთის ტერიტორია, თუ მოსახლეობა წარმოადგენს? თუ საუბარი ტერიტორიის დაცვაზეა, მაშინ, მთელი რიგი ტერიტორიული დავების გათვალისწინებით, აუცილებელია გაირკვეს ამ ტერიტორიის საზღვრები. თუკი საუბარი მიდის მოსახლეობის დაცვაზე, მაშინ უნდა გადაწყდეს, წარმოადგენენ თუ არა რუსეთის ფარგლებს გარე არსებული რუსების „უმცირესობები“ იმ მოსახლეობას, რომელსაც აქვს უფლება პრეტენზია განა-ცხადოს დაცვაზე რუსეთის სახელმწიფოს მხრიდან.

გაურკვევლობის მეორე წყარო არის კონსენსუსის არარსებობა იმ საკითხზე, თუ რა ტიპის სუვერენიტეტი უნდა დაიცვას პოლიტიკამ ეროვნული უსაფრთხოების სფეროში. უნდა დაიცვას ე. წ. ნეგატიური სუვერენიტეტი, ანუ თავისუფლება გარეშე ჩარევისგან, თუ პოზიტიური სუვერენიტეტი, ანუ საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თავისუფ-

ლება? დგება საკითხი - უნდა მიისწრაფოდეს თუ არა პოლიტიკა უსაფრთხოების სფეროში ორივეს მაქსიმიზაციისკენ. ტრადიციულად, ძირითადი ყურადღება ექცეოდა ნეგატიურ სუვერენიტეტს. მაგრამ „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, ყურადღება სულ უფრო მეტად პოზიტიურისკენ იხრება. დღეს მხოლოდ ნეგატიური სუვეენიტეტის დაცვა შეიძლება არ იყოს საკმარისი. პოზიტიური სუვერენიტეტის დასაცავად კი არც რესურსები არის, არც გამოცდილება.

შემდეგი დილემა, რომელიც წარმოიშობა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის შემუშავების და გატარებისას, არის არჩევანი სტაბილურობისა და სამართლიანობის დაცვას შორის. ექსტრეტრემალურ პირობებში სტაბილურობის დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი რეპრესიები. ამავე დროს, სამართლიანობისთვის ხელშეწყობამ შეიძლება გამოიწვიოს არაკონტროლირებადი ქაოსი. დასავლეთში უკანასკნელ დროს სულ უფრო მეტად იხრებიან სამართლიანობის, როგორც უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის საბოლოო მიზნის დაცვისკენ (სხვა არის საკითხი, თუ როგორ გაიგება პრაქტიკულად ეს სამართლიანობა). რუსეთის პირობებში კი, რომელიც არც თუ ისე კარგ გარემოცვაში იმყოფება და დატვირთულია საშინაო პრობლემებით, აუცილებელია გონივრული ბალანსის მოძიება ამ ორ უკიდურესობას შორის.

ყველა ეს საკითხი რუსეთში ჯერ კიდევ შორს არის გადაჭრისგან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამჟამად რუსეთში არ არსებობს ეროვნული უსაფრთხოების რაიმე რაციონალური სტრატეგია ან თუნდაც კონსენსუსი მის მიმართ. პოლიტიკური უთანხმოებები ხელს უშლიან მთლიანი საგარეო პოლიტიკის შემუშავებას და აძლიერებენ ფრაგმენტაციას ინსტიტუტებისა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მისი შემუშავებისთვის. განვიხი-

ლოთ, თუ როგორ აისახება ყველა ეს პრობლემა კონკრეტულ დოკუმენტებში.

თუმცა, 1997 წლის 17 დეკემბერს მიიღეს რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ის თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც დოკუმენტი, რომლის მიმართ ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლო შეთანხმებამდე მისვლა. ამიტომ კონცეფციას გააჩნია ჩვეულებრივი ნაკლოვანებები, რომლებიც ახასიათებენ კოლექტიურად შედგენილ დოკუმენტებს. ყოველმა უწყებამ დატოვა კონცეფციაში თავის კვალი, დაწყებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩართული სიფრთხილით ჩეჩნეთის ტიპის ლოკალური კონფლიქტის გამო, დამთავრებული მუქარით ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში და ინტერნეტზე კონტროლის არარსებობით, რომელიც ჩართული იყო სამთავრობო კავშირის და ინფორმაციის ფედერალური სააგენტოს მიერ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაციონალიზმის და ადგილუფროსობის ზრდას თვით რუსეთის ფედერაციაში, რომლებიც აღწერილია როგორც ეთნიკური ეგოტიზმი, ეთნოცენტრიზმი და შოვინიზმი და რომლებიც მხარდაჭერას პოულობენ რიგი დაუსახელებელი უცხოური სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან. ეს ასახავდა ზეწოლას უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის დირექტორის ნ. კოვალიოვის და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ა. კულიკოვის მხრიდან, რომლებიც რუსეთის ფედერაციის დეზინტეგრაციის მუქარას იყენებდნენ თავიანთი ორგანიზაციების უფლებამოსილების გაფართოებისთვის.

კონცეფციაში აღნიშნულია ეროვნული უსაფრთხოების შემდეგი პრიორიტეტები:

- ეკონომიკური განვითარება, მეცნიერებისა და ტექნო-ლოგიების განვითარებისთვის ფინანსური და მატერიალური რესურსების კონცენტრაციის ჩათვლით;

- პოლიტიკური სტაბილურობა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის დავების გადაწყვეტა;

- მართლწესრიგის დამყარება;

- ეთნიკათშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება სოციალური შეთანხმების და „რუსული ეროვნული ღირებულებების“ საფუძველზე;

- სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება უსაფრთხოების სფეროში, გაეროს უშიშროების საბჭოს როლის გაზრდა;

- სამხედრო რეფორმა და ბირთვული შეკავების შენარჩუნება;

- ინფორმაციული უსაფრთხოების ინსტრუმენტების განვითარება;

- რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრების დაცვა.

ეს ჩამონათვალი დიდწილად ამორფულია. გარდა ამისა, 1997 წლის კონცეფციის ბევრი დებულება ურთიერთგამომრიცხავია. მაგალითად, კონცეფცია, გარე სამყაროსთან რუსეთის ურთიერთობების განხილვისას, აცხადებს, რომ რუსეთს არ ჰყავს მტრები და ის დაინტერესებულია გააფართოვოს და გააღრმავოს საერთაშორისო თანამშრომლობა (როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო). იმავე დროს, ნატოს გაფართოება ითვლება მიუღებლად რუსეთისთვის და წარმოადგენს მისი ეროვნული უსაფრთხოების მუქარას. მოწოდებები ეკონომიკური თანამშრომლობისკენ არცთუ ისე ეხამება მოწოდებებს შეიზღუდოს უცხოური საბანკო და სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა.

რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ბევრ რამეში წარმოადგენს რეალური საქმიანობის შემცვლელს. ის აჩვენებს, რომ რუსეთში საგარეო პოლიტიკის და

უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის მიღების პროცესი წინანდელივით არის სხვადასხვა ორგანიზაციის ხელში, რომლებიც საკუთარ ინტერესებს ლობირებენ. უფრო მეტი, განსხვავებით ბევრ სხვა ქვეყნისგან, სადაც ეს ფაქტორი გავლენას ახდენს მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებების გატარებაზე ცხოვრებაში, რუსეთში ის მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული ფუძემდებლური გადაწყვეტილებების მიღების სტადიაზე, სწორედ, ამის ამსახველია მრავალი წინააღმდეგობა, რომელსაც კონცეფცია შეიცავს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია გამოყოფს რეგიონალიზმსა და სეპარატიზმს, როგორც საფრთხეს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობისთვის. ამ პირობებში შეიძლება პოტენციურად საშიში იყოს სამხედრო ოლქების ნავარაუდევი გარდაქმნა საკმაოდ ავტონომიურ წარმონაქმნებად. არ შეიძლება დავიწყება ადგილობრივი სამხედრო მეთაურების დამოუკიდებლობის და ცენტრთან დაპირისპირებაში ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებასთან მათი კავშირის საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი ტრადიციის არსებობისა.

ძირითადი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს უსაფრთხოების სფეროში რუსეთის პოლიტიკის ანალიზის შედეგად, იმაში მდგომარეობს, რომ ამ სფეროში არ არის არც კონცეპტუალური სიცხადე და არც ამ პოლიტიკის შემუშავების და გატარების შრომისუნარიანი მექანიზმი. გარდამავალ პერიოდში ყოფნისას (თანაც ეს გადასვლა მდგომარეობს როგორც რუსეთის საზოგადოების და ეკონომიკის გარდამავალ ხასიათში, ისე მსოფლიო სისტემის ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლაში) ამგვარი სიტუაცია აშკარად წამგებიანია ქვეყნისთვის. გამოსავალი კი აქედან, ჩამოყალიბებული სისტემის შენარჩუნებისას, უბრალოდ შეიძლება არც იყოს.

სამხედრო პოლიტიკა და სამხედრო რეფორმების ცდები. საგარეო პოლიტიკის დაგეგმარების და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის შემუშავების სისტემის კრიზისს ასახავს სიტუაციაც, ჩამოყალიბებული შეიარაღებულ ძალებში. ამასთან, საუბარია როგორც შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაზე, ისე ამ ძალების რეფორმირების წარუმატებელ ცდებზე.

რუსეთის თავდაცვის პირველ მინისტრ პ. გრაჩოვს, მიუხედავად სკანდალებისა, რომლებიც დაკავშირებული იყო კორუფციასთან და სამხედრო წრეებში არასაკმარის ავტორიტეტთან, პრეზიდენტის მხარდაჭერის წყალობით ოთხი წლის განმავლობაში ეჭირა თავისი თანამდებობა. მის მინისტრობისას არმია დაქვეითების მდგომარეობიდან კრიზისში გადავიდა. 1966 წლის არჩევნების შემდეგ, თავდაცვის მინისტრად დაინიშნა ი. როდიონოვი, ეროვნული უსაფრთხოების დარგში მრჩევლად კი - ა. ლებედი. მაგრამ მოკლე ხანში უსაფრთხოების საბჭოს უფლებამოსილებათა დიდი ნაწილი გადავიდა ახლად შექმნილი თავდაცვის საბჭოს ხელში. მისი ხელმძღვანელი კი ი. ბატურინი იყო. ამის კვალად ლებედი გადადგა. ი. როდიონოვს კი, მიუხედავად ჯარში მისი შედარებითი პოპულარობისა და პროფესიული თვისებებისა, არ ჰქონდა პრეზიდენტის და მისი მოქალაქე მრჩევლების მხარდაჭერა ისეთ საკითხებში, როგორებიც იყო სამხედრო-სადესანტო ჯარების შეკვეცა, გენერალური შტაბის უფროს სემიონოვის გადაყენება და, რაც ყველაზე მთავარია, ცდებში, უზრუნველეყო ადეკვატური დაფინანსება შეიარაღებული ძალებისა, რომლის შედეგად, უნდა შექმნილიყო უფრო ეფექტური და ზომით უფრო მცირე არმია. თანამდებობაზე 11 თვის ყოფნის შემდეგ, ის გადააყენეს თავდაცვის მინისტრის თანამდებობი-დან რეფორმის ჩაშლისთვის, თუმცა, საერთო ჯამში, ამაში ბრალი პრეზიდენტის იყო.

როდიონოვი და გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ვ. სამსონოვი გადააყენეს, რადგან მათ არ დაიწყეს არმიის რიცხოვნობის შეკვეცა და მისი მოდერნიზაციის ჩატარება ამისთვის საჭირო თანხების არარსებობის პირობებში. მათვე უარი თქვეს სამხედრო მოსამსახურეთა დემობილიზაციაზეც ამ უკანასკნელთათვის სათანადო კომპენსაციის გამოყოფის გარეშე. ეს ადამიანები ეწინააღმდეგებოდნენ ტენდენციას, რომელმაც საბოლოო ჯამში გაიმარჯვა და გამოიწვია რუსეთის თავდაცვისუნარიანობის უფრო მეტი დაქვეითება. როდიონოვის და სამსონოვის ოპონენტები, ბატურინის და ჩუბაისის სახით, გამოდიოდნენ მრავალრიცხოვანი საუწყებო სპეციალიზებული ფორმირებების დაშლის და შინაგან საქმეთა სამინისტროს როლის შესუსტების წინააღმდეგ. თუმცაღა ისინი მიისწრაფოდნენ კულიკოვის (შინაგან საქმეთა მინისტრის, რედ.) გადაყენებისკენ, მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობა, როგორც მათი საკუთარი ძალოვანი ინსტრუმენტისა. „სამხედრო მშენებლობის“ ამ ეტაპის შეფასებისას, შეიძლება ითქვას, რომ აპარატის ვიწრო ინტერესებმა გაიმარჯვეს აუცილებლობაზე, მიეღოთ გადაწყვეტილებები, მიმართული არმიის ჭეშმარიტ რეფორმირებაზე.

თანაც საქმის ამგვარი ვიარების მიზეზები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. წარმატება რეფორმების იმ ცდებისა, რომლებსაც როდიონოვის მიმდევრები ატარებენ, წინანდელივით დამოკიდებულია პრეზიდენტზე და პოზიტიური ცვლილებები ამ სფეროში არ არის მოსალოდნელი. არ შეიძლება სამხედრო რეფორმის პრობლემების გადაწყვეტა მთლიანად საზოგადოების პრობლემებისგან იზოლირებულად.

ამჟამად, რუსეთის შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში ყველაზე პრობლემური სფეროებია შეიარაღება, პირადი

შემადგენლობა, საბრძოლო მზადყოფნა, სამხედრო დოქტრინა. კავშირის დაშლის მომენტისთვის, სამხედრო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო სასაზღვრო სამხედრო ოლქებში და აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ხელში. შეიარაღების თანამედროვე სახეობები ამჟამად შეადგენენ მხოლოდ: ჯავშანტექნიკის 40 პროცენტამდე; რაკეტების მიწა-ჰაერი და საარტილერიო სისტემების 30 პროცენტს და მხოლოდ 2 პროცენტს ვერტმფრენებისა. ახალი შეიარაღებების შეძენა რუსეთის არმიისთვის დაუშვებელ მოცულობამდე შეიკვეცა. ამგვარი პრობლემები თავიდან ვერც სტრატეგიულმა სისტემებმა აიცილეს. რუსეთის საკონტინენტთაშორისო რაკეტების ყველაზე მცირე 60 პროცენტს უკვე გაუვიდა სამსახურის დადგენილი ვადა. არსებული წყალქვეშა რაკეტმზიდების ნახევარი (და მათი რაკეტების 75 პროცენტი) უკვე 2005 წლისთვის უნდა შეიცვალოს. პრობლემები არსებობს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებითაც. მათ შორის, ვისი გა-წვევაც შესაძლებელი ხდება, მხოლოდ ნახევარს აქვს დას-რულებული საშუალო განათლება, მეხუთედს - აქვს პრობლემები, დაკავშირებული ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან, 15 პროცენტს გადახრები აქვს სამედიცინო თვალსაზრისით, 5 პროცენტს კი სისხლის სამართალთან დაკავშირებული წარსული აქვს. ოფიცერთა კორპუსის ხარისხიც განიცდის სერიოზულ გამოცდებს ექვემდებარება. ახალგაზრდა ოფიცერთა 50 პროცენტი ტოვებს სამხედრო სამსახურს მისი დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში (ამასთან, მსმენელთა 40 პროცენტი ტოვებს სამხედრო სასწავლებელს მის დამთავრებამდე). სამხედრო-საზღვაო ფლოტი, როგორც ჩანს, წარმოადგენს შეიარაღებული ძალების ყველაზე წარმატებულ ნაწილს თავისი საბრძოლო

მომზადების თვალსაზრისით. ეს მიღწეული იქნა საბრძოლო ნაწილების რაოდენობის არსებითი შემცირების და ზღვასა და ოკეანეში ყოფნის ხანგრძლივობის შემცირების ხარჯზე.

ჯარების იმ სახეობებში, რომლებიც არ გახდნენ შეკვეცის საგანი, საქმე გაცილებით უარესად არის. სამხედრო საჰაერო ძალებში ზებგერითი თვითმფრინავის პილოტის ფრენის საშუალო წლიური ვადა 5-8 საათს შეადგენს (აუცილებელი 150-200-ის ნაცვლად), შორეული მანძილის ავიაციაში - 15-20 საათს, სამხედრო-სატრანსპორტოში კი 50-ს.

სახმელეთო ჯარებში საბრძოლო ნაწილების მაქსიმალური რაოდენობის შენარჩუნების სურვილმა მათი მნიშვნელოვანი დონით შესუსტება გამოიწვია. მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხვი არა ბრძოლისუნარიანი ნაწილებისა, სამხედრო სწავლებების (მანევრების) კი შემცირდა.

მაგრამ ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემას, რომელიც ხელს უშლის შეიარაღებული ძალების რეფორმირებას, არის გაურკვევლობები, ჩადებული არსებულ სამხედრო დოქტრინაში.

რუსეთში ტრადიციულად განასხვავებენ სამხედრო რეფორმასა და შეიარაღებული ძალების რეფორმას. პირველი წარმოადგენს ყოვლისმომცველ პროცესს, მაშინ, როდესაც მეორე მხოლოდ მისი ნაწილია. სამხედრო რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის მიზნების, მსოფლიო სისტემაში მისი ადგილის, მისი უსაფრთხოებისთვის მუქარების (საშინაოსი და საგარეოსი) არსებობის ხელახალ გააზრებას. უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში პოლიტიკის საერთო მოხაზულობა განისაზღვრება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით. თავის მხრივ კი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს საფუძველს სამხედრო დოქტრინისა, რომელიც გამოდის შეიარაღებული ძალების რეფორმის საფუძვლად (რაც თვით წარმოად-

გენს შეირაღებული ძალების რეფორმის საფუძველს). დოქტრინის პოლიტიკური სექცია უნდა აღნიშნავდეს სამხედრო მუქარების წყაროებს, სახელმწიფოს მიდგომას შეიარაღებული კონფლიქტებისა და შეიარაღებული ძალების და გასამხედროებული ფორმირებების გამოყენებისადმი, სახელმწიფოს პოლიტიკას მასობრივი განადგურების იარაღისადმი, სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს, სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ამოცანებს. დოქტრინის სამხედრო ნაწილს საქმე აქვს შეიარაღებული ძალების გამოყენების ძირითად პრინციპებთან, შეიარაღებული ძალების ამოცანებთან და ამ ძალების მართვის ორგანიზაციასთან, შეიარაღებული ძალების განვითარების პრინციპებთან, ამ შეიარაღებული ძალების შენარჩუნებისა და მხარდაჭერის სამხედრო-ტექნიკურ და ეკონომიკურ ბაზასთან, სამხედრო უსაფრთხოების მიღწევის მეთოდებთან. თეორიულად საქმე სწორედ, ასე უნდა იყოს. რუსეთში კი ურთიერთქმედება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, სამხედრო დოქტრინასა და შეიარაღებული ძალების რეფორმირებას შორის შორსაა ზემოთ აღწერილისგან.

თავისი შექმნის დროიდანვე რუსეთის შეიარაღებულ ძალებს არ გააჩნდათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისია - დაიცვას რუსეთის თუ მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრები? მოახდინოს თავისი ძალისხმევის კონცენტრირება მაღალტექნოლოგიურ და მაღალინტენსიურ სამხედრო მოქმედებებზე თუ ჩაატაროს ომისგან განსხვავებული ოპერაციები? როგორი უნდა იყოს ურთიერთობები დსთ-ს სხვა ქვეყნების სამხედროებთან და სხვა სახელმწიფოების არმიებთან (ყოფილ მოწინააღმდეგეთა ჩათვლით)? გააჩნიათ თუ არა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს რაიმე როლი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში? ამ კითხვებზე გაცემულ პასუხებზეა დამოკიდებული შეიარაღებული ძალების სტრუქტურა, მიმართულებები მათი მომზადების და შეიარაღებისა, რომლებსაც საჭიროებენ. თუ არ ჩავთვლით 1993 წლის სამხედრო დოქტრინას, რომელიც არ ამოქმედებულა, ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ უცდია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რესურსები და იყო დემორალიზაციის ვითარება, სამხედრო ხელმძღვანელობამ კონცენტრაცია მოახდინა საუბრებზე სამხედრო რეფორმის შესახებ, მაშინ, როდესაც არაფერს აკეთებდა ამ რეფორმის გასატარებლად. გეზი აიღეს ძველი საბჭოთა არმიის შენარჩუნებაზე, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბებში, იმ იმედით, რომ მომავალში ზემოთაღნიშნული საკითხები გადაწყდება და შესაძლებელი იქნება ფიქრი ნამდვილ სამხედრო რეფორმაზე.

მიუხედავად შეიარაღებული ძალების რეფორმირებისთვის მთლიანობაში ხელსაყრელი გარე პირობების არსებობისა, ვითარებას იდეალურს ვერ უწოდებ. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც უსწრაფეს გადაწყვეტას ითხოვს, არის ლოკალური და რეგიონული შეიარაღებული კონფლიქტების პრობლემა. ამგვარი კონფლიქტებისთვის არ გამოიყენება ბირთვული შეიარაღებების შემაკავებელი ფუნქცია. დღემდე არ უცდიათ, შეემუშავებინათ ქმედითუნარიანი კონცეფცია ამგვარ კონფლიქტებში მონაწილეობისა (არაფერი რომ ვთქვათ მათთვის ჯარების მომზადების ცდებზე). თუ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია აღიარებს, რომ მომავალში ძირითადი ტიპი იმ კონფლიქტებისა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ შეიარაღებული ძალები, იქნება საქართველოს, ჩეჩნეთის, ან ტაჯიკეთის ტიპის კონფლიქტები, ამგვარი კონცეფციის არარსებობა სერიო-

ზულ გარღვევას წარმოადგენს. რუსეთი ჩართული რჩება მრავალ გაჭიანურებულ „მშვიდობის მყოფელ“ ოპერაციაში. ამასთან, ეს ჩართულობა ყველაზე ხშირად ხდება რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩართულობის ფორმით. ამ პირობებში, რუსეთის კონტინგენტის ჩართულობა იუგოსლავიის კონფლიქტში, მისი პროპაგანდისტული მიზიდულობის მიუხედავად, ასევე არ უწყობს ხელს შეიარაღებული ძალების რეფორმირების პირობების შექმნას. მრავალი ამგვარი ოპერაციის სიმძიმის ატანა შეუძლებელი ხდება როგორც პოლიტიკური, ასე, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამასთან, შეუძლებელია ნებისმიერი სამხედრო რეფორმა, როდესაც სამხედრო ნაწილების ესოდენ დიდი რაოდენობა მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებებში.

მიუხედავად განცხადებებისა, რომ რუსეთი ინარჩუნებს ბირთვული ზესახელმწიფოს სტატუსს, თვით რუსეთში ცოტა ვინმე თუ განიხილავს საკუთარ ქვეყანას როგორც ზესახელმწიფოს, სამხედრო პარიტეტი კი აშშ-სთან მნიშვნელოვანწილად ითვლება წარსულის გადმონაშთად. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაც კი, მიღებული 1997 წლის დეკემბერში, ამოდის იქიდან, რომ რუსეთი არა გლობალური ზესასახელმწიფოა, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, რეგიონული ინტერესების მქონე დიდი სახელმწიფო. იმ პირობებში, როდესაც რუსეთმა დაკარგა თავისი საერთაშორისო სტატუსი და მას გააჩნია სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, ძირითად ამოცანას წარმოადგენს არა აშშ-სთან სამხედრო პარიტეტის შენარჩუნება, არამედ სტრატეგიული სტაბილურობის მიღწევა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთს ნაკლებად აწუხებს სამხედრო სფეროში აშშ-სთან რაოდენობრივი თანასწორობის მიღწევა, და გაცილებით მეტად, შეძენა უნარისა შეაკავოს მუქარების ფართო სპექტრი.

1993 წელს მხარი დაუჭირეს რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის ძირითად დებულებებს. მათში რუსეთის მიმართ არსებული გარე მუქარების შორის ძირითადებად აღიარებული იყო „ლოკალური ომები და შეიარაღებული კონფლიქტები“ და არა ნატო და აშშ-ი. ეს დადასტურებული იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გზავნილშიც, რომელიც ეძღვნებოდა ეროვნულ უსაფრთხოებას. 1997 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში შინაური და ლოკალური კონფლიქტები აღნიშნული იყო, როგორც ძირითადი მუქარა სახელმწიფოსთვის.

რუსეთის მიერ თავისი სტრატეგიული შესაძლებლობის გადასინჯვის მნიშვნელოვანი მიზეზები იყო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის გარშემო მიმდინარე ცვლილებების ფონზე. ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები ნამდვილად არ არის საუკეთესო მდგომარეობაში. მიუხედავად მზარდი პრობლემებისა, არ ყოფილა მათი რეფორმირების ქმედითი ცდები. არ უნდა ველოდოთ შეიარაღებული ძალების ეფექტურ რეფორმირებას უახლოეს მომავალშიც (ამის ძირითად მიზეზებზე უკვე ითქვა ზემოთ). თუ გავითვალისწინებთ ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების არასაკმარის საბრძოლო მზადყოფნას, ცხადი იქნება, რომ უახლოეს მომავალში, ძირითადი შემაკავებელი ფაქტორი რუსეთისთვის იქნება მისი ბირთვული შეიარაღება.

ბრძოლისუნარიანი არმიის არარსებობისას, რუსეთს უბრალოდ არ რჩება სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ გამოიყენოს ბირთვული იარაღის შემაკავებელი ფუნქცია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შეხედულებებში ბირთვული შეიარაღების როლზე არსებობს წინააღმდეგობათა კომპლექსი, სამხედრო სტრატეგიის ეს ნაწილი ყველაზე უფრო დამუშავებულია. ამას-

თან, მათი ევოლუცია „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, არ იყო ესოდენ რევოლუციური, კრიზისი კი ამ სფეროში - ისე სწრაფად განვითარებადი, როგორც ჩვეუ-ლებრივი შეიარაღების გამოყენების სფეროში.

უნდა აღინიშნოს. რომ ჯერ კიდევ არსებობს ბირთვული შეიარაღებების შემაკავებელი ფუნქციის გამოყენების გარკვეული მატერიალური შესაძლებლობები. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების რუსეთის არსენალი ითვლის დაახლოებით 6600 სტრატეგიულ საბრძოლო ქობინს, მოთავსებულს 1500 რაკეტასა და ბომბდამშენზე. ამ საბრძოლო ქობინების ჯამური სიმძლავრე დაახლოებით 2700 მეგავატს შეადგენს. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები ითვლიან 100 ათას ადამიანს, ორგანიზებულებს 5 სარაკეტო არმიად. საერთო ჯამში მათ შეიარაღებაზე არის 3500-მდე ქობინს. სისტემათა უმრავლესობა მოძველებულია. ამასთან, შორეული აღმოსავლეთის სარაკეტო ველები (დროვიანაია, ოლიანაია, სვობოდნი) ხასიათდებიან სახსრების მუდმივი უკმარისობით, მძიმე პირობებით, მზარდი დამნაშავეობით. ხმელეთზე განლაგებულ სტრატეგიულ ძალებს ემატება რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის 34 წყალქვეშა ნავი რომლებსაც მთლიანობაში 540 რაკეტა აქვთ. არსებული კიდევ 11 ნავი არ არის ბოლომდე ბრძოლისუნარიანი, მაგრამ ისინი ისევე, როგორც ადრე, მიიღება მხედველობაში შეიარაღების შეკვეცის შესახებ მოლაპარაკებებისას. ამის დამატებით, შორეულ ავიაციას ჰყავს 66 ბომბდამშენი - 6 თანამედროვე ТУ-160 და 60 ცალი ТУ-95 სხვადასხვა მოდიფიკაციისა. დაბალია ამ ძალების ბრძოლისუნარიანობა საკმაოდ დაბალია. ზოგიერთი მონაცემით, ТУ-95-ს მთელი პარკის 79 პროცენტამდე საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

თავდაცვის მინისტრ სერგეევის ენთუზიაზმს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მიმართ კრემლში გაგებით შეხვდნენ, რამეთუ ეს წარმოადგენს ხერხს, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება თითქოსდა მცირე ხარჯებით შენარჩუნდეს გლობალური სამხედრო სახელმწიფოს სტატუსი. მაგრამ სტრატეგიულ ძალებზე კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს რუსეთის სამხედრო შესაძლებლობებს.

1998 წლის 6 ოქტომბერს ვიცე-პრემიერად დანიშნულმა ი. მასლიუკოვმა პრეს-კონფერენციაზე მოუწოდა, გაეზარდათ ხარჯები სტრატეგიულ ძალებზე. მან განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს РС-12М«Тополь-М»-ს რაკეტების წარმოების და მისი გამოშვების (25-დან წელიწადში 35-45-მდე 2000 წლისთვის) გაზრდის დაფინანსება. იგეგმებოდა ასევე საზღვაო სტრატეგიული ძალების მშენებლობა. „ტოპოლი“ არის ბუნებრივი არჩევანი იმისათვის, რომ გახდეს რუსეთის მომავალი სარაკეტო ძალების საფუძველი, რადგან განსხვავებით СС-24-ს („მოლოდეც“-ი), რომლებიც სარკინიგზო პლატ-ფორმებზე თავსდება, და შახტებში განლაგებულ „ვოევოდების“-გან (СС-18-5,) “ტოპოლები“ თავიდანვე იქმნებოდა როგორც ერთადერთი ქობინის მქონე რაკეტები. შეთანხმება სშშ-2 (СНВ-2) რუსეთს ავალდებულებს 2003 წლის 31 დეკემბრამდე განააქტიუროს МИРВ-ების მქონე ყველა რაკეტა. გარდა ამისა, „ტოპოლი“ შემუშავებული იყო მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის მიერ და იწარმოება ვოტკინსკში, მაშინ, როდესაც „ვოევოდა“ და „მოლოდეცი“ შემუშავებული იყო სათანადო საკონსტრუქტორო ბიუროს (СКБ-586) მიერ დნეპროპეტროვსკში და იწარმოებოდა უკრაინის ქარხნებში. წინამორბედისგან განსხვავებით, „ტოპოლ-მ“-ი შეიძლება განლაგდეს როგორც შახტებში, ისე მობილურ მატარებლებზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თავდაცვის სამინისტრო ყოველწლიურად რეალურად ღებულობდა დაახლოებით მხოლოდ 60 პროცენტს ბიუჯეტში ჩადებული დაფინანსებისა, დასაშვებია ვარაუდი, რომ სტრატეგიული ძალების განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ჩვეულებრივი შეიარაღების შეკვეცის ხარჯზე.

სამხედრო ხარჯების შეკვეცის პირობებშიც კი რუსეთის ბირთვული ძალები დაფინანსებას პირველ რიგში იღებდა. ეს განსაკუთრებით სამართლიანია სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებისთვის და ასევე სხვა ფორმირებებისთვის (ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების ჩათვლით). სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ფლოტიც ხშირად იყენებდნენ სახსრებს, გამოყოფილს ბირთვული ძალებისთვის, სხვა ნაწილების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ცხოვრებაში გატარდება სერგეევის იდეა ყველა ბირთვული ძალების ერთი სარდლობის ქვეშ გაერთიანების შესახებ, ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები არსებითად ნაკლებ დაფინანსებას მიიღებენ. ბუნებრივია, რომ ეს იწვევს წინააღმდეგობას არმიაში. საპროტესტო ქცევის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება იყოს განცხადებები გადადგომის შესახებ, რომლებითაც მიმართეს შესაბამის უწყებას ადრეული შეტყობინების სისტემების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. სოკოლოვმა და მისმა სამმა მოადგილემ. 1999 წლის იანვარში მათ ამნაირად გამოხატეს თავისი პროტესტი ახალი რაკეტების „ტოპოლ-მ“-ის განთავსების გეგმების წინააღმდეგ.

თუმცა შინაგანი ძალები განიცდიან კიდეც აღმავლობის ხანას, შედეგად რუსეთს არ ექნება ძალები რათა მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტში, რომელსაც ადგილი უჭირავს მცირე ინტენსიურობის კონფლიქტსა და სრულმასშტაბიან ბირთვულ

ომს შორის. ბირთვული ზღუდე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი გახდება, „მოქნილი რეაგირება“ დაკარგავს თავის მოქნილობას. ბირთვული შეიარაღებები ვერ იქნება ბრძოლის-უნარიანი არმიის სრულფასოვანი შემცვლელი. ამასობაში კი ძალიან ხშირად ივიწყებენ იმ შეზღუდვებს, რომლებიც თან ახლავს ბირთვული შეიარაღების გამოყენებას. ისინი ცხადდება ყველა სამხედრო პრობლემის გადაჭრის და ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ლამის უნივერსალურ ხერხად. ამასთან, შეკავების ბირთვული ძალების დაჩქარებული განვითარება ნავარაუდევია, მოხდეს ჩვეულებრივი შეიარაღების ხარჯზე. თუ ამასთან, გავითვალისწინებთ პრობლემებსაც (უმეტესწილად, პოლიტიკურებს და არა სამხედრო-ტექნიკურებს), რომლებიც წარმოიშვებიან ბირთვული შეიარაღების მართვის სისტემების ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, ცხადი გახდება, რომ სახელმწიფოს უკვე არ შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოება გარე მუქარებისგან სამხედრო საშუალებების გამოყენების გზით. გარდა ამისა, თვით მონოპოლია რუსეთის სახელმწიფოსი სამხედრო ძალის გამოყენებაზე (როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ) ეროზიას ექვემდებარება.

ბუნებრივი შედეგი იმისა, რომ რუსეთში არის „სუსტი სახელმწიფო“, უუნარო ეფექტურად შეასრულოს თავისი ფუნქციები ქვეყანაში, თუ საერთაშორისო არენაზე, არის ქვეყანაში არსებობა განსაკუთრებული პოლიტიკური კულტურისა, რომელიც ხასიათდება უნდობლობით სახელმწიფოს შესაძლებლობის მიმართ უზრუნველყოს საზოგადოებრივი განვითარება, არის ასევე, ყველაზე აქტიური ადამიანების გადასვლა ჩრდილოვან სექტორში. ეს ქმნის ორგანიზებული დამნაშავეობის გავლენის განმტკიცების პირობებს. ამასთან, თვით ცნება ორგანი-

ზებული დამნაშავეობისა ამნაირი სახელმწიფოს და პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყანაში განსხვავებული იქნება ასეთისაგან სხვა ქვეყნებში.

ინტერპოლის განმარტებით, ორგანიზებული დამნაშავეობა წარმოადგენს „კორპორაციული სტრუქტურის მქონე ნებისმიერ ჯგუფს, რომლის მთავარი ამოცანაა ფულის მიღება უკანონო საქმიანობის მეშვეობით“. გვესახება, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს განმარტება რამდენადმე უფრო ფართო უნდა იყოს. რასთანაა ეს დაკავშირებული?

პირველი, ოპერაციების მასშტაბები უპრეცედენტოა. ზოგიერთი მონაცემით, 1997 წელს რუსეთის ეკონომიკის 40-50 პროცენტს აკონტროლებდა ორგანიზებული დამნაშავეობა. რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობის ყოველწლიური ინვესტიციები კი, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში 2,5 მილიარდ ფუნტს აღწევდა.

მეორე, ამჟამინდელი ორგანიზებული დამნაშავეობის გენეზისს ასევე არ გააჩნია ანალოგი სხვა ქვეყნებში. რუსეთის არსებული ორგანიზებული დამნაშავეობა თავის ისტორიას სსრ კავშირის არსებობის ბოლო დღეებიდან ითვლის. უკვე 1991 წელს პრობლემა იმდენად სერიოზული გახდა, რომ განიხილებოდა სუკ-ის სპეციალურ სხდომაზე. რესურსების ნაკლებობის გამო პრობლემა იმ დროს ვერ გადაწყდა. 1992 წელს 2600 მიაღწია ორგანიზებული დამნაშავე დაჯგუფებების რაოდენობამ, რომელთაგან სამართალდამცველმა ორგანოებმა მხოლოდ 56 დაჯგუფების მოსპობა შეძლეს. თავისი განვითარების უკვე ადრეულ ეტაპებზე ორგანიზებულმა დამნაშავე დაჯგუფებებმა მნიშვნელოვანწილად შეძლეს უზრუნველეყოთ თავისი კონტროლი საკუთრების, ფერადი ლითონების და ნავთობის ბაზრებზე. რუსეთის ბიზნესმენთა დაახლოებით 40 პროცენტს ესა

თუ ის კავშირები აქვს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. 500-მდე ჯგუფმა შეძლო კავშირების დამყარება სახელმწიფო მოსამსახურეებთან, რომლებიც პირდაპირ დახმარებას უწევდნენ მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში. 1993 წლისთვის ამნაირ დაჯგუფებათა რაოდენობამ 3000 მიაღწია. არსებულ ჯგუფთა უმრავლესობა ემორჩილებოდა ერთ-ერთს იმ 150-200 თანამეგობრობისგან, რომლებიც ორგა-ნიზებული იყო ეთნიკური ან ადგილმდებარეობის პრინციპით, ან მათი სპეციალიზაციის მიხედვით (მაგალითად, კომპიუტერული დამნაშავეობა ან სამხედროთა დამნაშავეობა).

მესამე, რუსეთის ორგანიზებულ დამნაშავეობას უნიკალური სტრუქტურა გააჩნია. ის არ არის, მაგალითად, იტალიის მაფიის მაგვარი ერთიანი კრიმინალური ქსელი, უფრო მეტად წარმოადგენს დაჯგუფებათა საკმაოდ ამორფულ და დინამიურად განვითარებად ნაკრებს, ქალაქის ბანდებით დაწყებული, დამთავრებული განვითარებული კომერციული საწარმოებით, რომლებიც თავის საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბებით ახორციელებენ. 1997 წლის იანვრისთვის რუსეთში ითვლიდნენ 4 ათასამდე ბანდიტურ დაჯგუფებას, რომელთა ერთი მეათედი ახორციელებდა ოპერაციებს საერთაშორისო მასშტაბით. რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობა წარმატებით იყენებს ქვეყანაში უპირატესად არსებულ ხელისუფლებისადმი უნდობლობის პოლიტიკურ კულტურას. შედეგად, ორგანიზებული დამნაშავეობა გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ასპექტზე. ბანდიტურ დაჯგუფებებს შორის 1990-1994 წლებში მიმდინარე ომებმა მოახდინეს რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობის კონსოლიდაცია. 1995 წლიდან შემცირდა დამნაშავეთა დაჯგუფებების საერთო რაოდენობა. მაგრამ ეს შემცირება ასა-

ხავს არა სამართალდამცავი ორგანოე-ბის წარმატებებს, არამედ უფრო მსხვილი დაჯგუფებების მიერ ნაკლებად კონკურენტუნარიანი დაჯგუფებების დამორჩილებას. საქმეების წარმოებას კანონის ფარგლებს გარეთ აღიარებენ რუსეთის უცხოელი პარტნიორებიც. 1993 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რუსეთში მომუშავე აშშ-ის ფირმათა 80 პროცენტმა ერთხელ მაინც დაარღვია დებულებები აშშ-ის 1977 წლის კანონისა უცხოური კორუფციული პრაქტიკის შესახებ, იხდიდა რა ქრთამს და ჰქონდა საქმეები ორგანიზებულ დამნაშავეობასთან.

მეოთხე, რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობის მოქმედებების მეთოდები რუსეთის ფარგლებს გარეთ ასევე მნიშვნელოვანწილად წარმოადგენენ უნიკალურ მოვლენას. რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობა უცხოეთში სამი ძირითადი ფორმით მოქმედებს: ხისტი შეღწევა პირდაპირი ინფილტრაციის გზით; რბილი შეღწევა ეკონომიკური საქმიანობის გამოყენებით; სხვა კრიმინალურ ქსელებთან სტრატეგიული ალიანსების გამოყენება. ხისტი შეღწევა ყველაზე მეტად შეინიშნება ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში, ისრაელსა და აშშ-ის ზოგიერთ ნაწილში. რბილი შეღწევა ნაკლებად შესამჩნევია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა, კვიპროსი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. მაგრამ მისი მასშტაბები გაცილებით უფრო ფართოა. გარდა ამისა, საკმაოდ რთულია, განასხვავო ასეთი საქმიანობა კანონიერ საინვესტიციო პრაქტიკასა და საფინანსო ოპერაციებისგან. სტრატეგიული ალიანსები შეიცავენ დაზავებას სიცილიურ მაფიასთან, რაც რუსეთის დაჯგუფებებს აძლევს ჩრდილოეთ ევროპაში თავისუფალი მოქმედების საშუალებას, აგრეთვე თანამშრომლობა კოლუმბიის ნარკოკარტელებთან. მაგრამ ევროპაში რუსეთის და იტალიის დაჯგუფებები ერთმანეთთან კონკურირებენ. არსებობს ასევე შორეულ აღმოსავლეთში კონფლიქტის გამწვავების საშუალება ჩინურ ტრიადებთან და იაპონურ იაკუძასთან.

სხვა ქვეყნებში არსებული დამნაშავეობისაგან რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობის მთავარი განსხვავება მის სოციალურ-ეკონომიკურ როლში მდგომარეობს. ორგანიზებული დამნაშავეობა რუსეთში არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოების შემცვლელი. სრულიად დასაშვებია, რომ „სუსტი სახელმწიფოს“ პირობებში ის წარმოადგენს ერთადერთ სოციალურ აგენტს, რომელსაც უნარი შესწევს, უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარება და მისცეს მოქალაქეებს ის მომსახურება, რომელსაც ტრადიციულად სახელმწიფო იძლევა. ბუნებრივია, რომ ამგვარი წარმონაქმნი ხელისუფლების ვაკუუმის პირობებში ვერ შეზღუდავს თავისი საქმიანობის სფეროს მხოლოდ თავისი ბაზირების ქვეყნის ტერიტორიით. ორგანიზებულ დამნაშავეობას აქვს საგარეო-პოლიტიკური ინტერესები, აქვს მათი დაცვის შესაძლებლობები, ასევე, ამისთვის საჭირო პოლიტიკური ნება. მეორე ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს არაფორმალური სტრუქტურების საკმაოდ ეფექტურ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, წარმოადგენს ის, რომ არც თუ ისე იშვიათად, მოსახლეობის ძირითადი მასის ინტერესები (მათ შორის, საგარეო-პოლიტიკური) უფრო მეტად ემთხვევა არაფორმალური სტრუქტურების ინტერესებს, ვიდრე ეგრეთწოდებულ სახელ-მწიფო ინტერესებს (ანუ, მოსკოვის პოლიტიკური ელიტის ვიწრო ჯგუფის ინტერესებს).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ორგანიზებული დამნაშავეობის გავლენის გაზრდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. თანაც, თუ ამჟამად ეს გავლენა უპირატესად ხორციელდება კორუმპირებული სახელმწიფო მოღვაწეების მეშვეობით, მომავალში, სახელმწიფოს შემდგომი დასუსტების

და არაფორმალური სტრუქტურების ლეგიტიმაციის შესაბამისად, მოსალოდნელია ორგანიზებული დამნაშავეობის პირდაპირი გავლენის გაზრდა იმაზე, თუ რა ადგილს დაიჭერს რუსეთი მსოფლიო სისტემაში. რუსეთის სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის ერთად, რომელსაც მსოფლიოში სულ უფრო ნაკლებად გაუწევენ ანგარიშს, მოსალოდნელია გამოჩენა „პარალელური საგარეო პოლიტიკისა“, რომელიც ჩამოყალიბდება და ცხოვრებაში ეფექტურად გატარდება ეგრეთ წოდებული ორგანიზებული დამნაშავეობრივი ორგანიზაციების მიერ რუსეთის სახელმწიფოს რაიმე მო-ნაწილეობის გარეშე. ამასთან, ეს „პარალელური საგარეო პოლიტიკა“ რაც არ უნდა პარადოქსული იყოს ეს, შეიძლება გაცილებით უფრო მისაღები იყოს როგორც ქვეყნის მოსახლეობის, ისე სხვა ქვეყნებისთვისაც.

.....

იმ შიდა ფაქტორების განხილვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ამჟამინდელი სახელმწიფო უუნაროა, ეფექტურად შეასრულოს არამარტო შიდაპოლიტიკური ფუნქციები, არამ- ედ უზრუნველყოს ქვეყნის ინტერესების დაცვაც საერთაშო-რისო არენაზე. ამგვარი მდგომარეობის შენარჩუნების პირო-ბებში რუსეთი წინასწარ განწირულია თავისი საერთაშორისო სტატუსის სრულ დაკარგვაზე (და ეს მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია ბირთვული იარაღი), სრულ და საბოლოო გადაადგილებაზე მსოფლიო სისტემის პერიფერიაზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს რუსეთის პოლიტიკაში ახალი მოქმედი პირების გამოჩენაც (პირველ რიგში, ორგანიზებული დამნაშავეობა და საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები), რომლებიც დროთა განმავლობაში გარდაუვლად უნდა მივიდნენ იმის გაგებამდე, რომ აუცილებელია საკუთარი საგარეო-პოლიტიკური ინტერესების პირდაპირი,

მკაფიო გაგება და მათი ინტერესების და-ცვის მექანიზმის შექმნა. ამასთან, სრულიად შესაძლებელია, რომ ეს მოქმედი პირები შემდგომში შეეცდებიან, არ დაუკავშირონ თავისი ბედი რუსეთის „სუსტ“ სახელმწიფოს, არამედ თავისთავზე აიღებენ მისი ფუნქციის ნაწილს, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სფეროშიც. ჯერ ძნელია ერთმნიშვნელოვნად შეაფასო ამგვარი ტენდენცია. აშკარაა ერთი - თუ ამჟამინდელი სისტემის შემდგომი შენარჩუნება შეუძლებელია, საგარეო-პოლიტიკური ფუნქციების ამგვარი გადასვლა ერთი ტიპის მოქმედი პირებისგან მეორე ტიპის მოქმედ პირებზე, არ შეიძლება მხოლოდ ნეგატიურად შეფასდეს. ის შეიცავს არამარტო სრულიად გასაგებ მუქარას, არამედ მთელ რიგ შესაძლებლობებსაც (ამასთან, არამარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც), დაკავშირებულს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შემუშავების და გატარების უფრო სტაბილურ სისტემასთან და რუსეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ჯგუფების ინტერესთა უფრო ადეკვატურ ასახვასთან.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის რეგიონუ- ლი მიმართულებები. მომავალში რუსეთის სტრატეგიული წონის ძირითადი განმსაზღვრელი არის რუსეთის ეკონომი- კის ცვლილებათა დინამიკა. მეორე ფაქტორია - შეძლებს თუ არა რუსეთი ამა თუ იმ ხარისხით შექმნას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახელმწიფოს ფედერაცია თუ კონფედერაცია. ამაზე იქნება დამოკიდებული არამარტო რაოდენობა რუსეთისთვის ხელმისაწვდომი რესურსებისა (დემოგრაფიული, ნედლეული და სხვ.), არამედ საკუთრივ, რუსეთის თვითიდენტიფიკაციაც. განსაზღვრავს თუ არა რუსეთი თავისთავს როგორც ჩვეულებრივი ეროვნული სახელმწიფო, თუ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უპირატესობა ამა თუ იმ ფორმაში

ექნება იმპერიულ ტრადიციებს. აქედან გამომდინარეობს ეგრეთ წოდებულ ახლო საზღვარგარეთთან ურთიერთობის მნიშვნელობა. რაც შეეხება „შორეულ“ საზღვარგარეთს - რუსეთის პოლიტიკა მის მიმართ ხასიათდება მისწრაფებით, შეინარჩუნოს (ან შეიძინოს) დიდი სახელმწიფოს ატრიბუტები. ამ მისწრაფების დიდი ნაწილი კი დადის ველიკოდერჟავულ რიტორიკამდე და არ ივსება რეალური აზრით. იმავე დროს, საგარეო პოლიტიკაში არის ეგრეთ წოდებული ეკონომიკური ოპორტუნიზმის ელემენტებიც, ანუ მისწრაფება თითქმის ნებისმიერი ფასით სარგებლის მიღებისა. სრულიად შეუთავსებელი ორიენტაციის ამგვარი ნარევი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვილაპარაკოთ რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, როგორც რაღაც პროგნოზირებადზე. ძნელია გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთებაც კი რუსეთის პოლიტიკის შესახებ საერთაშორისო სისტემის ისეთი საკვანძო მოქმედი პირების მიმართ, როგორებიცაა აშშ-ი, დასავლეთ ევროპა, ჩინეთი, იაპონია ან ირანი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის რეგიონული მიმართულებების განხილვისას ამნაირ მცირე მოცულობის ნაშრომში, შესაძლებლად მიგვაჩნია გამარტივების გარკვეული დონით გამოიყოს ორი ძირითადი მიმართულება - „დასავლური“ და „აღმოსავლური.“ რა თქმა უნდა, არსებობს მრავალი ქვეყანა, რომელიც არცერთ ამ „მიმართულებაში“ არ ხვდება. მაგრამ გვესახება, რომ რუსეთის ურთიერთობა ჩინეთთან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ლათინურ ამერიკასთან, აშშ-სთან ურთიერთობა კი უფრო პრიორიტეტული, ვიდრე მთელ რიგ აფრიკულ ქვეყნებთან. მიგვაჩნია, რომ ჩინეთთან ურთიერთობა უახლოეს ათ წელიწადს იქნება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გარე ფაქტორი, რომელიც გავლენას მოახდენს მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებზე და იმაზე, თუ რა ადგილს დაიჭერს

რუსეთი ახალი ათასწლეულის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

„აღმოსავლური“ მიმართულება. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ევროპა, შემდეგ კი აშშ-ი იყვნენ ძალის მსოფლიო ცენტრები. ამჟამად, შესაძლოა, უეჭველი ფაქტია, რომ სუსტდება დასავლეთის დომინირება. ყველაზე დინამიურად განვითარებადი ეკონომიკები მდებარეობს აზიაში. აზიის დინამიურ განვითარებასთან შედარებით, ევროპა იმყოფება შეფარდებითი დაცემის ხანგრძლივ პერიოდში. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი (აწრ) დღევანდლამდე ხასიათდებოდა ეკონომიკური ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებლებით, რომლემნბიც, მიუხედავად კრიზისისა, კიდევ ორ ათწლეულს შენარჩუნდება. ჩინეთს, იაპონიასა და ინდოეთს თავისუფლად შეუძლიათ, გახდნენ ძალის ალტერნატიულ ცენტრებად, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. აზია-წყნარი ოკეანეს ტექნოლოგიური განვითარებაც საკმაოდ შთამბეჭდავია. ამიტომ, დამდეგ საუკუნეში სწორედ, ამ რეგიონში იქნება ყველაზე დიდი კონცენტრაცია ეკონომიკური ძლიერებისა.

მეორე მხრივ, რეგიონის თითქმის ყველა ძირითადი ქვეყანა ღრმა ტრანსფორმაციის მდგომარეობაშია. არის გადაუჭრელი სასაზღვრო საკითხებიც, რეგიონული გამალებული შეიარაღებაც. ამიტომ, შესაძლოა, რეგიონში ადგილი ჰქონდეს პოლიტიკურ და სამხედრო არასტაბილურობას, გამოწვეულს როგორც საშინაო მიზეზებით, ისე ცვლადი საგარეო პირობებით და ახალი ტექნოლოგიების გაჩენით. ამ პირობებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის „აღმოსავლური“ მიმართულება იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას იმ თვალსაზრისით, თუ რა ადგილს დაიჭერს ქვეყანა ახალი ათასწლეულის მსოფლიო სისტემაში.

უკანასკნელ დროს საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების დიდ ყურადღებას იქცევს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ჩინეთთან. სპეციალისტები მას ძალზე განსხვავებულად აფასებენ. ისინი აგებენ ამ ურთიერთობის ყველანაირ მოდელებს, შეყავთ რა ჩინეთი სრულიად განსხვავებულ გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სქემებშიც კი. სამწუხაროდ, ამგვარი სქემების ავტორები რუსეთის პოლიტიკას ჩინეთის მიმართ ყველაზე ხშირად აყენებენ მისი დიპლომატიის სხვა მიმართულებებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში, მაგალითად, ამერიკულისა თუ დასავლეთევროპულისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად შესაძლებელია, რომ ახალ ათასწლეულში საქმე სწორედ, პირდაპირ საწინააღმდეგოდ იქნება: უახლოესი ტენდენციები რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებში განსაზღვრავენ რუსეთის საერთო საგარეო-პოლიტიკურ კურსს. ამიტომაც რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის სწორედ ობიექტური და მიუკერძოებული ანალიზი უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი ეროვნული დიპლომატიის სხვა რეგიონული მიმართულებების შემუშავებისთვის.

რუსეთ-ჩინეთის ურთიერობების განხილვისას მიზანშეწონილია გამოიყოს სამი საკვანძო ელემენტი:

-რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობათა ჩართულობა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გლობალურ სისტემაში,

-ჩინეთის ინტერესები და მათი დაცვის რეალური უნარი,

-საკუთრივ რუსეთის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ.

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გლობალური სისტემის ცვლილებები. საერთაშორისო სისტემამ განიცადა მრავალრიცხოვანი ცვლილება, რომელიც შეეხო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ყველა სფეროს. ჩინეთთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სამი ცვლი-

ლება. „ცივი ომის“ დროის კონფლიქტმა დაკარგა თავისი იდეოლოგიური ღერძი. შედეგად შესუსტდა ევროპაში მეტნაკლებად მსხვილი შეიარაღებული კონფლიქტის გაჩენის შესაძლებლობა. მაგრამ იდეოლოგიის ადგილი სხვა მიზეზებმა დაიკავა, რამაც შეცვალა მისი გეოგრაფია.

ეკონომიკის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში იმდენად გაიზარდა, რომ დღეს ის სულ უფრო და უფრო მეტად განსაზღვრავს ეროვნულ ინტერესებს, ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული კონფლიქტები სულ უფრო ხშირად ჩნდება და ისინი სულ უფრო სერიოზული ხდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განვითარებულ ქვეყანათა უმრავლესობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თავისი ხვედრითი წილის გაზრდას მსოფლიო ვაჭრობაში, ვიდრე კონტროლს ტერიტორიაზე, მათი მთავრობები კი მზარდ ინტერესს იჩენენ ეკონომიკური საკითხებისადმი. გაჩნდა კიდეც საერთაშორისო კრიზისის ახალი ტიპი. მაგალითად, 1994 წლის დეკემბერში, თეთრმა სახლმა, გამოიყენა რა ამერიკულ კორპორაცია „რეიტეონ“-ის ინტერესებში ძლიერი ძალოვანი ზეწოლა, აჯობა საფრანგეთს შეთანხმების დადებისას ბრაზილიაში ტროპიკული ტყეებისა და საჰაერო ტრანსპორტის მართვის შესახებ (საერთო ღირებულებით - ერთ მილიარდ დოლარამდე).

მსოფლიო ეკონომიკის ცენტრი სრულიად ცხადად გადადის ატლანტიკასა და ევროპიდან აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში, აძლევს რა ჩინეთს შანსს, დაიკავოს ღირსეული ადგილი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემაში. ასეთ პირობებში ინტეგრაცია უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკისა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიისა, წარმოსდგება ბუნებრივ პასუხად დროის გამოწვევაზე და ასახვას პოვებს დებატებში, რომლებიც

ჩინეთში მიდის ოცდამეერთე საუკუნ-ეში ეროვნული სტრატეგიის პრობლემებს ირგვლივ.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკა და ურთიერთობა რუსეთის მიმართ. ჩინეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება ოთხი ფაქტორით:

1. ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობა;
2. მზარდი ნაციონალიზმი;
3. გარემოცვაში ცვლილებები;
4. ჩინეთის ეკონომიკის მოთხოვნები.

ჩინეთის იმპერია საუკუნეების მანძილზე რჩებოდა დიდ და თვითკმაყოფად სახელმწიფოდ. მისი ქვეშევრდომები თავის ქვეყანას თვლიდნენ სამყაროს ცენტრად, ან შუალედურ სამეფოდ, გარე სამყაროს მოსახლეობას კი არაცივილიზებულ ბარბაროსებად. ამ შეხედულებამ წარმოშვა იდეა და პრაქტიკა „ერთი ჯგუფი ბარბაროსების გამოყენებისა მეორე ჯგუფი ბარბაროსების გაკონტროლებისთვის“. გარდა ამისა, ჩინეთის საგარეო პოლიტიკა ოდითგანვე მიმართული იყო იზოლაციონიზმისკენ და უცხოური გავლენისადმი გახსნილობის წინააღმდეგ. ეს ისტორიული ფონი გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ არ ცხრებოდა 1990-იან წლებში ეროვნული დიპლომატიის გენერალური მიმართულების ჩამოყალიბებისას დავები იზოლაციონიზმის აპოლოგეტებსა და მსოფლიო საქმეებში უფრო მეტად ჩართულობის მომხრეებს შორის.

მეორე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, არის ნაციონალიზმი, ახალი დროის ისტორიის შედეგი. უცხოურმა ბატონობამ, რომელიც XIX საუკუნიდან მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე არსებობდა, წარმოშვა ჩინური ნაციონალიზმი მისი უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანით - ქვეყნის

ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით და მისი კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნებით. ასეთი ტერიტორიების სია ვრცელია, ასე რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა სამხედრო აქციიდან მხოლოდ ომს კორეაში და 1979 წლის შეჭრას ვიეტნამში პეკინი თვლის უცხოურ მიწებზე წარმოებულად. დანარჩენ 13 შემთხვევას ის მიაკუთვნებს ოპერაციებს, მიმართულს „უკანონოდ ოკუპირებული“ თავისი ტერიტორიების განთავისუფლებაზე. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ფართოდ გავრცელებული არასწორი აზრის საპირისპიროდ, თითქოს რუსეთი ყოველთვის წინ აღუდგებოდა დასავლეთის ქვეყნების კოლონიალიზმს, ჩინეთის მიმართ ის მოქმედებდა როგორც ერთ-ერთი მათგანი.

რუსეთ-ჩინეთის საზღვრის დემარკაცია დაიწყო დაახლოებით 300 წლის წინ. ნერჩინსკის 1689 წლის და კიახტის 1727 წლის შეთანხმებებმა განსაზღვრეს საზღვარი ორ ქვეყანას შორის, დაწყებული ბაიკალის ტბის სამხრეთ ნაწილიდან, დამთავრებული ოხოტსკის ზღვით. ამ შეთანხმებების მიხედვით, ჩინეთის ტერიტორიას მიეკუთვნებოდა მდინარე ამურის აუზის მიწები და მონღოლეთი. ჩინეთის ტერიტორიის ამგვარი აღიარება გრძელდებოდა 1689 წლიდან 1858 წლამდე. 1858 წელს, გამოიყენა რა მანჯურიელთა დინასტიის სისუსტე, რუსეთმა აიგუნის შეთანხმებით მიიღო მდინარე ამურის მარცხენა ნაპირის მიწები. 1860 წელს პეკინის შეთანხმებით მან მიიღო მთელი ტრანსუსურიის რეგიონი. 1881 წლის პეტერბურგის ხელშეკრულებით რუსეთს შეუერთდა დამატებითი ტერიტორიები. 1911 წელს, მანჯურიის დინასტიის დაცემასთან დაკავშირებით, მონღოლეთი გახდა რუსეთის პროტექტორატი, 1924 წელს კი ის იქცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკად.

შესაძლოა, რომ საგარეო პოლიტიკის ჩინური მიმართულება იყო ერთადერთი მაგალითი რუსეთის წარმატებული საგარეო პოლიტიკისა. მის მიერ შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის გათავისება ხდებოდა ჩინეთის იმპერიის დასუსტების პერიოდში სხვა დიდი სახელმწიფოების თანხმობითა და დახმარებით. თვითონ რუსეთი, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ჩინეთთან მჭიდროდ დაახლოების მომხრენი, იშვიათად ეწეოდა საბრძოლო მოქმედებებს ან ოფიციალურად გამოცხადებულ ომებს, თუმცა ეს სულაც არ მოწმობს ჰარმონიას ორი იმპერიის ურთიერთობებში და, მითუმეტეს, ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. შორეული აღმოსავლეთის დამორჩილება 1848-1894 წლებში შესაძლებელი გახდა პირდაპირი ჩარევის შედეგად, ჩინეთის სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მისი დაშლის პირობებში. შეიძლება კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად „ეთიკური“ იყო ამგვარი ქცევა, მაგრამ რუსეთმა მიიღო ბუნებრივი რესურსებით ძალიან მდიდარი ტერიტორიები, ჩინეთის მუქარა კი თავიდან აიცილა. ამიტომ ახლა, როდესაც ჩვენი აღმოსავლელი მეზობლის ძლიერება იზრდება, რუსეთის კი მცირდება, კანონზომიერია მოლოდინი, რომ „ისტორიული უსამართლობის“ გამოსწორებისას საეჭვოა, ჩინეთმა დაიწყოს არსებითი განსხვავების ძებნა იმ ტერიტორიების შორის, რომლებიც მას რუსეთმა წაართვა და იმ ტერიტორიებს შორის, რომლებიც წაართვეს სხვა კოლონიურმა სახელმწიფოებმა.

ნაციონალისტურ საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინას შეიძლება სერიოზული საშინაო შედეგები მოყვეს. რიჩარდ ბერნსტაინმა და როს მუნრომ, ავტორებმა გახმაურებული წიგნისა „მომავალი კონფლიქტი ჩინეთთან,“ გამოთქვეს აზრი, რომ, ჩინეთის ტრანსფორმაციის შედეგად იქ თავისუფლად შეიძლება,

ჩამოყალიბდეს ფაშისტური რეჟიმი. როგორც ბერნსტაინი და მუნრო თვლიან, იმის გამო, რომ დემოკრატიულ ძალებს უნარი არ გააჩნიათ, გავლენა მოახდინონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე, მოსახლეობა დემოკრატიას აღიქვამს როგორც უცხოურ სიახლეს, შეუთავსებელს ტრადიციულ ჩინურ ღირებულებებთან. ამასთანავე, ფაშიზმი აწყობს ჩინეთის კომუნისტებს, რომლებიც ცდილობენ, თავისი იდეოლოგია შეუთავსონ ნაციონალიზმს. თუ მოვლენები მართლაც ამ მიმართულებით განვითარდება, მათი მნიშვნელობა რუსეთისთვის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, უდიდესი აღმოჩნდება - კერძოდ, იმიტომ, რომ გარდამავალი პერიოდის დასრულების ამგვარი მოდელი შეიძლება გაითავისონ ჩვენმა შიდა ანტიდემოკრატიულმა ძალებმა.

სსრ კავშირის დაშლამ მოხსნა ჩინეთთან დაპირისპირების როგორც იდეოლოგიური მიზეზები, ისე მიზეზები, დაკავშირებული ძალასთან. კომუნისტური იდეოლოგია (ჩვენს ქვეყანაში) წარსულს მიეცა და ჩინეთის ლიდერობა კომუნისტურ სამყაროში არავისთვის არ არის სადავო. რუსეთის ეკონომიკა და მისი არმიის ბრძოლისუნარიანობა არ უტოვებენ საფუძველს ლაპარაკს სერიოზული მუქარის შესახებ ჩინეთის მიმართ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩინეთის გარემოცვაში, პირველად 1949 წლიდან, არ არსებობს რაიმენაირი მუქარა ამ უკანასკნელისთვის. ქიშპობამ სახელმწიფოთა შორის სამხედრო სფეროდან უკვე გადაინაცვლა ეკონომიკურ-ტექნოლოგიურში, რაც პეკინის წინაშე რიგ სერიოზულ პრობლემას აყენებს. ჩინელი სტრატეგები ახლა ეროვნული პოლიტიკის ორ ძირითად ვარიანტს განიხილავენ, რომლებსაც შეიძლება პირობითად ეწოდოს „კომპლექსური ეროვნული ძლიერება“ და „დიდი სტრატეგია“.

პირველი კონცეფციის მომხრეები ამოდიან იქიდან, რომ ჩინეთის ძლიერების ზრდის წინაპირობა უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარება, რომელსაც, საბოლოო ჯამში, უნდა დაემორჩილოს ყველა სხვა ამოცანა, მათ შორის სამხედრო. თუმცა, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა ნავარაუდევია ყველა საშუალებით, სამხედროს ჩათვლით.

„დიდი სტრატეგიის“ მომხრეები თვლიან, რომ ჩინეთს წინ აქვს რთული ადაპტაცია დიდი სახელმწიფოს ახალ როლთან. გლობალური (და არა რეგიონული) ამოცანები მოითხოვენ შესაბამის გლობალურ სტრატეგიასაც, აგებულს ეროვნული ინტერესების აქტიურ დაცვაზე, და არა გარე გამოწვევებზე გაკეთებულ პასიურ რეაგირებაზე.

საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის ოფიციალურ საფუძვლად გამოდის „კომპლექსური ეროვნული ძლიერება“, მაგრამ არც „დიდ სტრატეგიას“ ივიწყებენ, რადგან ორივე კონცეფცია უფრო ავსებს, ვიდრე გამორიცხავს ერთმანეთს. ჩინეთის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია აზრი, რომ სწორედ, სამხედრო ძალა წარმოადგენს „კომპლექსური ეროვნული ძლიერების“ ყველაზე მნივნელოვან კომპონენტს, რომლის გარეშე ჩინეთი ვერ შეძლებს „ვერც წარმატებით მოახდინოს, როგორც დიდმა სახელმწიფომ, თავისთავის ეროვნული იდენტურობის პროეცირება, ვერც უფრო მნიშვნელოვანი როლის თამაშს მსოფლიო საქმეებში“. იმის რწმენა, რომ სწორედ, სამხედრო ძლიერება ანიჭებს ქვეყანას სათანადო სტატუსს, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მაღალტექნოლოგიური შეიარაღებების შესყიდვის გაფართოებას.

ჩინეთის გარშემო უსწრაფესად იცვლება ძალთა შეფარდების კონფიგურაციები. როგორც აღნიშნავდა საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთი ცნობილი დასავლელი თეორეტიკოსი - რობერტ გილპინი, ჩვენს დღეებში „საერთაშორისო სის-ტემის ძველი მდგომარეობის შენარჩუნების ფასი ტრადიცი-ულად დომინირებად სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოთა ჯგუფისთვის იზრდება. ახლადაღმოცენებული ძალისათვის კი ხარჯები სისტემის შეცვლაზე მცირდება“. ჩინეთის მსგავსი სახელმწიფოსთვის ეს ნიშნავს საკუთარი მზარდი ძალის გამოყენებას „ისტორიის შეცდომების“ (მათ შორის ტერიტორიული) გასწორებისთვის, რაც სრულიად ბუნებრივია. ერთადერთ შემზღუდავებად გამოდიან მისი რეალური სამხედრო შესაძლებლობები და პოლიტიკური დანაკარგების გათვა-ლისწინების აუცილებლობა.

ამგვარი დებულებები აისახება სამხედრო დაგეგმარებაზეც. უკანასკნელ დროს ჩინელი სტრატეგები ძირითად ყურადღებას უთმობენ უკვე არა მომზადებას ჰიპოთეტური გლობალური სამხედრო კონფლიქტისთვის, არამედ მშენებლობას თანამედროვე შეიარაღებული ძალებისა, რომლებსაც ექნებათ უნარი შეაჩერონ მსხვილმასშტაბიანი შეიარაღებული კონფლი- ქტი და გარანტირებულად გაიმარჯვონ მცირე თუ საშუალო ომებში. გაჩნდა „პერიფერიული თავდაცვის“ დოქტრინა, გათ-ვლილი შეზღუდულ, მაგრამ ეფექტურ სამხედრო ოპერაციებზე იმ რეგიონებში, რომლებიც ეკვრის ჩინეთის ტერიტორიას. ჩინეთის არმიისგან ის მოითხოვს მომზადებას შეტევითი ოპერაციებისთვის, მიმართულების მტრის განადგურებაზე იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს თვით ჩინეთიდან გარკვეულ მანძილზე. ამგვარი დოქტრინის გამოყენება რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობასთან მიმართებით იქნებოდა სხვა არაფერი, თუ არა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული საზღვრის თანდათანობით გადასინჯვა, შედეგად რიგი ლოკალური კონფლიქტებისა, რომლებიც არ გადაიზრდებოდა დიდ ომში. ტერიტორიის გაფართოების ამგვარი მეთოდები ახალი არ არის. დასავლეთში ტერიტო-

რიის გაზრდას მცირე ნაწილებით უწოდებენ „სალიამის ტაქტიკას“.

უკანასკნელ წლებში იცვლება ჩინეთის საგარეო პოლიტიკის გეოგრაფიული ორიენტაციაც. ქვეყნის ხელმძღვანელები მიდრეკილი არიან უარის თქმაზე ადრინდელ გეოპოლიტიკურ პრეტენზიებზე, თუ სანაცვლოდ შეიძენენ აზიის დომინირებადი რეგიონული სახელმწიფოს როლს.

დღეს ჩინეთი აზიისთვის იმავე პრობლემას წარმოადგენს, რასაც გერმანია ევროპისთვის XX საუკუნის დასაწყისში. ეს უზარმაზარი ქვეყანა, რომელთან შედარებით ყველა მეზობელი კარლიკებად მოჩანს, უზარმაზარი სამხედრო მანქანითა და ავტორიტარული მთავრობით, დემოკრატიის ხანგრძლივი ტრადიციების გარეშე და ღრმა გრძნობით ისტორიული უსამართლობისა, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ევროპამ, ბოლოს და ბოლოს მოახდინა გერმანიის ინტეგრირება, მაგრამ მხოლოდ ამ ქვეყნის სრული დაშლის შემდეგ. აზია ცდილობს ისეთი სახის მიღებას, თითქოს ჩინეთის ინტეგრირება შესაძლებელია კონფლიქტის გარეშე. მაგრამ ამის შანსი ძალზე მცირეა და ანალიტიკოსთა მხოლოდ მცირე რაოდენობას ეჭვება, რომ ჩინეთს განზრახული აქვს თავისი ეკონომიკური ძლიერების გადაქცევა სამხედრო ძალად და პოლიტიკურ ზეგავლენად.

უკვე ამჟამად ჩინეთი აყენებს ტერიტორიულ პრეტენზიებს სპრატლის და პარსელის კუნძულებზე. ეს არის ნაწილი მისი სტრატეგიისა, მიმართულის აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში აშშ-ის გავლენის დასუსტებაზე იმ მოქმედებების გამოყენებით, რომლებიც აგრესიულებია, მაგრამ არ იწვევენ ამერიკის საპასუხო რეაქციას.

როგორც აღნიშნული იყო აშშ-ის სენატის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის გამოკვლევაში „ჩინეთის სახალხო

რესპუბლიკის ზოგიერთი სამხედრო შესაძლებლობა“, თუმცა ამ ქვეყნის საბოლოო მიზნები გაურკვეველი რჩება, „ჩინეთი, როგორც ფორმირებადი დიდი სახელმწიფო, შესაძლოა, ზრდის თავის სამხედრო ძლიერებას იმ ზღვრამდე, როდესაც შეეძლება რეგიონში წინ აღუდგეს და დაამარცხოს ნებისმიერი პოტენციური მოწინააღმდეგე ჩვეულებრივი შეიარაღების დახმარებით და შეაკავოს ნებისმიერი გლობალური მუქარა ჩინეთის სახელმწიფოს მისამართით“.

ჩინელი ექსპერტები, რომელთა აზრს პეკინში უმაღლეს დონეზე ითვალისწინებენ, ცოტა ხნის წინ მივიდნენ დასკვნამდე, რომ „ჩინეთ-აშშ-ის შეზღუდული ომი ადრე თუ გვიან მოხდება“ და ეს აზრი განმსაზღვრელი იქნება ჩინეთის სტრატეგიული და სამხედრო საქმიანობისთვის თვალსაწიერ მომავალში. ეს დებულება ასახულია დოკუმენტში, რომელიც მომზადებულია 1997 წლის 22 მარტს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთავარი სამმართველოს და სახელმწიფო მთავარი სამმართველოსთვის ცენტრალური პოლიტიკური კვლევითი ცენტრის, სახელმწიფო საბჭოს პოლიტიკური კვლევითი ცენტრის, თავდაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროების ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დოკუმენტის მიხედვით, „შემდგომი 10-20 წლის განმავლობაში, ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობები იქნება ნარევი უთანხმოების და განმუხტვისა, თანამშრომლობის, ანტაგონიზმის, გამოწვევების და ანტიგამოწვევებისა, ამასთან, ყოველს ამ მახასიათებლიდან გარკვეულ დროს ექნება უპირატესობა“. ჩინელ სპეციალისტებს სჯერათ, რომ ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობა იქნება ამგვარი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ადმინისტრაცია იქნება აშშ-ში. მის პოლიტიკაში ჩინეთის მიმართ დომინანტური იქნება ტაივანის საკითხის ექსპლუატაცია, მიმართული ჩინეთის განვითარების შეჩერებაზე. „შეერთებული

შტატები, დასავლეთის ან საერთაშორისო ორგანიზაციების კონტროლის პირო-ბებში, გააგრძელებენ ძირგამომთხრელ მუშაობას, ინფილტრაციას და წაქეზებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებული სოციალური სისტემის წინააღმდეგ, მისი მშვიდობიანი ევოლუციის მიღწევის მიზნით. აშშ-ი ასევე მოახდენს დასავლეთის სტრატეგიის კორექციას საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩინეთში პოლიტიკური და სოციალური ვითარების გათვალისწინებით.

ჩინეთი ასევე აქცევს ყურადღებას არასტაბილურობას მახლობელი აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელ ზონებში, როგორც ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობების დროებითი გაუმჯობესების გასაღებს. "აშშ-ი, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ნავთობთან დაკავშირებული (თავისი) სტრატეგიული ინტერესები მახლობელ აღმოსავლეთში და გააუარესოს ურთიერთობები, ერთი მხრივ, ირანსა და ერაყს, და მეორე მხრივ, ჩინეთს შორის, აშშ-ი დროებით გააუმჯობესებს თავის ურთიერთობებს ჩინეთთან, რათა კონცენტრირდეს თავის ურთიერთობებზე ირანთან და მახლობელი აღმოსავლე- თის სხვა ქვეყნებთან".

„ჩინეთის გამგებლობაში ჰონკონგისა და მაკაოს დაბრუნების შემდეგ ტაივანის საკითხი დაახლოებით 2010 წლისთვის გარდაუვლად გახდება მთავარი ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში. თუ აშშ-ი ძალას გამოიყენებს ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევისთვის, ეს უკანასკნელი იძულებული იქნება იბრძოლოს აგრესიის წინააღმდეგ, რაც გამოიწვევს შეზღუდულ ომს ჩინეთ-აშშ-ს შორის".

ჩინეთს რომ სურვილი ჰქონდეს კიდეც, შეინარჩუნოს ნორმალური ურთიერთობები აშშ-სთან (განსაკუთრებით, ეკონომიკური თანამშრომლობა), ასეთი ურთიერთობები ვერ მობრუნდება). „არცერთი ამ ორ ქვეყნიდან არ არის დამოკიდებული

მეორეზე თავისთავის გადარჩენის საქმეში". უფრო მეტი, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, „ჩინეთი წარმოადგენს აშშ-ის მთავარ პოლიტიკურ მეტოქეს საუკუნეების მიჯნაზე". ამიტომ, აღნიშნულია მოხსენებაში, ჩინეთი უნდა ემზადებოდეს დაპყრობითი ომისთვის, ნებისმიერი საბაბით გაჩაღებულის აშშ-ის მიერ.

ჩინეთის პრეტენზიებს ლიდერობაზე ამლიერებს მისი როლის განმტკიცებაც აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში. 1997 წლის თებერვლის ბოლოს ტოკიოში ჩატარდა ენერგეტიკული კრიზისისადმი მიძღვნილი დახურული სიმპოზიუმი. ტოკიომ რეგიონის წამყვან სახელმწიფოებს შესთავაზა ხელი მოეწერათ „აზია-წყნარი ოკეანეს მრავალმხრივი ენერგეტიკული შეთანხმებისთვის", რათა ერთობლივად დაეცვათ ენერგეტიკული რესურსების ხელმისაწვდომობა. მანვე დააყენა წინადადება, რომ ჩინეთი ყოფილიყო ნებისმიერი რეგიონული შეთანხმების სპეციალური მონაწილე და, ფაქტობრივად, ლიდერი. იაპონიის მიერ ჩინეთისგან ენერგორესურსების შემოდინების საკითხში თავისი დამოკიდებულების ამნაირი თვითგამოცხადება არსებითად წარმოადგენს ჩინეთის ჰეგემონიის აღიარებას. როგორც პეკინში მიიჩნევენ, საქმეთა ამგვარი მდგომარეობა იაპონიის კვალად უნდა აღიარონ რეგიონის სხვა სამხედრო ძალებმაც.

ჩინეთში თვლიან, რომ აშშ-ის მთავარი მიზანი არის თავიდან აიცილოს ადგილობრივ ძალებზე დაფუძნებული რეგიონული სტრატეგიულ-ეკონომიკური სისტემის შექმნა, ანუ ჩინეთის ჰეგემონია.

რა თქმა უნდა, აშშ-ის სამხედრო შესაძლებლობები მთელი თავით აღემატება ჩინეთისას. მაგრამ ჩვეულებრივი სამხედრო ძალის პროექცია არ არის ახალი სტრატეგიული ბალანსების განმსაზღვრელი აზიაში, სამხრეთ აზიასა და ინდოეთის ოკეა-

ნეში. ეს ბალანსები განისაზღვრება პოლიტიკური პროექციით, რომელსაც მხარს უჭერს სათანადო სამხედრო-სტრატეგიული სიმბოლოები და ეკონომიკური შესაძლებლობები. ჩინეთის ამჟამინდელი უნარი - ზემოქმედება მოახდინოს იაპონიაზე, მდგომარეობს არა პეკინის უნარში შეძლოს სამხედრო-საზღვაო ან სამხედრო-საჰაერო ძალის პროექცია იმ მიზნით, რომ მოახდინოს იაპონიის იზოლაცია. ამ უკანასკნელის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები გაცილებით უკეთესადაა აღჭურვილი და გაცილებით უფრო ბრძოლისუნარიანებია, ვიდრე ჩინეთის: იაპონიის წყალქვეშა ნავები ყველაზე უხმაუროა მსოფლიოში, წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო იაპონიის იარაღი მთელი თავით სჯობს ჩინეთისას, ამ უკანასკნელის ადგილობრივი თავდაცვის შედარებაც კი არ შეიძლება იაპონიის შესაბამის სისტემასთან. ამიტომ სტრატეგიული შეკავება და ძალის პროეცირება, რეგიონში ამჟამად რომ მუშაობენ, ყველაზე კარგადაა წარმოდგენილი ბირთვული იარაღის რეალური (ჩინეთი) და ჰიპოთეტური (ინდოეთი, პაკისტანი, ირანი) ფლობით. ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური შეკავება შეუძლებელია, მინიმუმ, სამხრეთ კორეის, იაპონიის, აშშ-ის და რუსეთის თანამშრომლობის გარეშე. ცხადია, რომ შეიძლება, ველოდოთ პრევენციულ ზეწოლას ჩინეთის მხრიდან ამ ჯგუფის ყველაზე სუსტ ქვეყნებზე.

გვესახება, რომ უკვე ჩამოთვლილი სამხედრო-პოლიტიკური მიზეზები საკმაოდ წონადია, რათა არსებობდეს ჩინეთის ტერიტორიული ექსპანსიის შიში. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური მიზეზებიც. განსაკუთრებით გამოვყოფ ორ მათგანს.

ჩინეთის განვითარებადი ეკონომიკის მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნილება ენერგომატარებლებზე. ამჟამად, ენერგიის

მოხმარება ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს. იაპონიის შესაბამისი მაჩვენებელი 20-ჯერ, აშშ-ის კი 30-ჯერ უფრო მეტია. ცხადია, რომ ჩინეთის ეკონომიკის შემდგომ მოდერნიზაციას მოყვება ენერგომოხმარების სწრაფი ზრდა. უახლოეს მომავალში ის რომც არ ავიდეს აშშ-ის ან იაპონიის დონეზე, მაინც იქნება ამჟამინდელზე მთელი თავით მაღლა.

ნავთობის შიდა მარაგის ამოწურვა. ჯერ კიდევ ათი წლის წინ ჩინეთი აწარმოებდა მოპოვებული ნავთობის თითქმის მეოთხედის ექსპორტს, ახლა კი მის იმპორტიორად იქცა. ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლა სამი ხერხით არის შესაძლებელი. პირველი - გაზრდა საკუთარი ენერგორესურსების მოპოვება-გამოყენებისა. ნავთობის ჩრდილო-აღმოსავლეთის საბადოები თანდათან იწურება, მაგრამ ჩინეთს გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ნავთობის საბადოები მდინარე ტარიმის აუზში, რუსეთთან საზღვრის მახლობლად. ზოგიერთი ექსპერტი ადარებს კიდეც მათ საუდის არაბეთის მარაგს, მაგრამ სხვადასხვა სირთულის გამო საკუთარი საბადოები ამჟამად იძლევა ჩინეთის ნავთობმოპოვების მთელი მოცულობის მხოლოდ 7 პროცენტს. ამიტომ, ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტა შიდა რესურსების ხარჯზე მხოლოდ გრძლვადიან პერსპექტივაშია შესაძლებელი, უახლოეს მომავალში კი მათი დამუშავება-მოპოვება საეჭვოა იყოს რეალური.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სინძიანი განლაგებულია სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე. პეკინს სურს, მოახდინოს კონსოლიდაცია თავისი კონტროლისა მთელი აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ნავთობისა და აირის რესურსებზე და მოუწოდა, შეექმნათ ნავთობის პანაზიური კონტინენტური ხიდი, როგორც გასაღები მომავალში აღმოსავლეთ აზიის ენერგო-

რესურსებით მომარაგებისა. მასში შევა „ნავთობის და აირსადენები, რომლებიც აკავშირებენ ჩინეთს, ცენტრალურ აზიას, რუსეთს, მახლობელ აღმოსავლეთს, აგრეთვე სამხრეთ კორეას და იაპონიას“. ჩინეთი მიისწრაფვის უიღურთა სეპარატიზმის ჩახშობისკენ, რათა უზრუნველყოს ნავთობის პან-აზიური კონტინენტური ხიდის ამ კრიტიკული სეგმენტის გრძელვადიანი უსაფრთხოება. სინძიანის ნავთობის და აირის მზარდი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს ჩინეთის მომავალი ენერგეტიკული ბაზრის და რეგიონული ჰეგემონიის ჩანაფიქრისა. ბუნებრივია, რომ ქვეყნის ამ რაიონის უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი ყველა შესაძლო ხერხით.

ენერგორესურსების დეფიციტის შერბილების მეორე ხერხი შეიძლება გამხდარიყო ფსონი ჩინეთის სამხრეთით მდებარე ნავთობის და აირის საბადოებზე. ის უკვე იწყებს შექმნას მძლავრი ფლოტისა, რომელსაც ექნება სამხრეთ ჩინეთის და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებზე და ინდოეთის ოკეანეში ძალის პროეცირების უნარი. საბოლოო ჯამში, მეტწილად ენერგეტიკული პრობლემით აიხსნება ჩინეთის ტერიტორიული პრეტენზიები სამხრეთ მეზობლებისადმი და კონტინენტური შელფის ათვისების დაწყების ცდები. ჩინეთის მისწრაფებების გადართვას სამხრეთისკენ, კონტინენტიდან ზღვის სივრცეებზე, ხელი შეუწყო რუსეთთან სასაზღვრო დავის ნაწილობრივმა გადაწყვეტამაც. რადგან პეკინის სტრატეგია მდგომარეობს ჩინეთის ირგვლივ სამხედრო-საზღვაო დაცვის პერიმეტრის თანდათანობით გაფართოებაში, არც თუ ისე დი-დი დროის შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნე- ბის ასოციაციის (ასეანის) წევრთა ბევრი საზღვაო გზა მოხდება ჩინეთის კონტროლქვეშ.

თუმცა ჩინეთის ენერგეტიკული პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა საეჭვოა, ხანგრძლივი აღმოჩნდეს, რადგან გარდაუვლად გამოიწვევს აშშ-სთან სერიოზულ კონფლიქტს, რომლის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტისთვის პეკინი კიდევ დიდხანს არ იქნება მზად. მძლავრი თანამედროვე ფლოტის (განსაკუთრებით, ავიამზიდების) არარსებობა ზღუდავს ჩინეთის ძალისმიერი გადაწყვეტილებების შესაძლებლობებს სამხრეთის მიმართულებით. უსაფუძვლოა ვარაუდი, რომ უახლოეს ათწლეულებში ჩინეთი შესძლებს, შექმნას სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელსაც შეეძლება, მეტოქეობა გაუწიოს ამერიკულს. ამასთან, ჩინეთს არ შეუძლია ამ სფეროში თავისი დემოგრაფიული უპირატესობის გამოყენება, ესოდენ მნიშვნელოვანი სახმელეთო ძალების მშენებლობისას.

ამიტომ, ჩინელი სტრატეგები უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტად იხრებიან მესამე გადაწყვეტილებისკენ - თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ რუსეთის ენერგომატარებლები. შეღწევა შეიძლება დაიწყოს სუფთა ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. მაგრამ როგორც ისტორია აჩვენებს, გაძლიერების გზაზე მდგარი სახელმწიფოები ადრე თუ გვიან იწყებენ თავისი სამეურნეო ინტერესების განმტკიცებას ძალით. ცხადია, რომ სათბობ-ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრის „რუსული ვარიანტი“ პეკინის ხელმძღვანელთა შეხედულებით ფლობს ზოგიერთ უპირატესობას. რუსეთის შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში ჩინეთის როგორც მშვიდობიან, ისე ძალისმიერ შეღწევას, ხელს უწყობს რუსეთის ამჟამინდელი სისუსტე. ჩვენს ქვეყანას, ჩინელთა შეფასებით, სჭირდება არანაკლებ ათი წლისა, რათა აღადგინოს თავისი ეკონომიკა და დაიწყოს რაღაც საფრთხის წარმოდგენა ჩინეთისთვის.

შორეული აღმოსავლეთი შეადგენს რუსეთის ტერიტორიის 36,4 პროცენტს, მაშინ, როდესაც მისი მოსახლეობა - ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5,4 პროცენტს. ეს არის ბუნებრივი წიაღისეულით მდიდარი და ცენტრისგან შორს მდებარე რეგიონი. რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მეზობ-ლად განლაგებული ჩინური პროვინციების მოსახლეობა კი 74 მლნ ადამიანს ითვლის. პერსპექტივაში, დემოგრაფიული ზეწოლა და მოთხოვნილება ნაყოფიერ მიწაზე, ბუნებრივ წიაღისეულსა და ენერგიაზე შეიძლება, იქცეს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის ექსპანსიის საკმაოდ წონად მიზეზად. ორი სახელმწიფოს ინტერესების პოტენციური შეჯახების მეორე სფეროს წარმოადგენს შუა აზია. ყაზახეთს, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს ჩინეთთან საერთო საზღვარი გააჩნიათ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღიარებული. ამ ქვეყნებში არსებულ სასარგებლო წიაღისეულთან შეხამებით ეს აქცევს მათ სტრატეგიული ინტერესების ზონად ჩინეთისთვის. იმავდროულად, 1992 წლის 15 მაისის ხელმოწერილი შეთანხმება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ რუსეთს ხდის ამ რესპუბლიკების გარანტად.

უკანასკნელ დროს ჩინეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი გავლენა შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე სრულიად განსხვავებულ სფეროებში - კულტურული და ეკონომიკურით დაწყებული, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებით დამთავრებული. ასე, 1997 წლის 11 ივნისს, ყაზახეთში ჩინეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტის შემდეგ, გაცხადდა, რომ პეკინი მიაწვდის ასტანას საპატრულო კატერებს კასპიის ზღვაზე გამოსაყენებლად და ჩინური ენის კურსებს გახსნის ყაზახ ოფიცერთათვის. ჩინეთის აქტიური პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში თავის შედეგებს იძლევა: ყა-ზახეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის

მთავრობებმა პირობა დადეს, რომ არ მისცემდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს უიღურ სეპარატისტებს. ამ რეგიონში ჩინეთის გავლენის ზრდამ უკვე შესამჩნევად შეუზღუდა რუსეთს „მანევრის ველი“, შექმნა რა მოსკოვზე ზეწოლის ბერკეტები.

ცენტრალური აზიის რესპუბლიკებზე რუსეთის კონტროლის შესუსტება და შუა აზიაში ბუნებრივი წიაღისეულის, განსაკუთრებით ნავთობისა და აირის მნიშვნელოვანი მარაგის არსებობა ნიშნავს, რომ ჩინეთს აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინტერესები შუა აზიაში. 1997 წელს ჩინეთის სათბობის ეროვნულმა კორპორაციამ შეიძინა ყაზახეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიის (აქტობუმ-უნაიგაზი) 60 პროცენტი. ხელი მოეწერა კონტრაქტს აქტიუბინსკთან მდებარე ნავთობისა და აირის ველების ათვისება-გამოყენებასა და ორი მილსადენის (აღმოსავლეთ ჩინეთსა და ირანში) გაყვანაზე. ყაზახეთის ნავთობ-აირის მრეწველობაში ჩინეთის ინვესტიციებმა 1997 წელს ჯამში 9,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ყველაფერი ეს იწვევს ყაზახეთის ნავთობისა და აირის ექსპორტზე რუსეთის გავლენის დასუსტებას და პერსპექტივაში შეიძლება, გამოიწვიოს კონფლიქტები რუსეთსა და ჩინეთს შორის.

რუსეთის ზოგიერთი მეზობელი (მაგალითად, შუა აზიის კონსერვატიული რეჟიმები) მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებს რუსეთთან, სხვები დაკავშირებულია მასთან ისტორიითა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით. ეს რუსეთს საშუალებას აძლევდა რეგიონში ჰქონოდა გავლენა, რომელიც მის რეალურ ძალას აღემატებოდა. მაგრამ ამჟამად ამ გავლენას რეალურად ცოტა რამეღა განამტკიცებს. როდესაც ის ეჯახება რეალურ სამხედრო ძალას (როგორც ჩეჩნეთში), იშლება.

სრულიად შესაძლებელია, რომ მომავალში რუსეთის მიმართ

ჩინეთის პოლიტიკის გრძელვადიან დომინანტად გახდება ექსპანსია, თანაც არამარტო ტერიტორიული, არამედ ეკონომიკური, დემოგრაფიული და ინფორმაციული. მაგრამ ამჟამად, ორი ქვეყნის თანამშრომლობა გაფურჩქვნის ხანაშია.

რუსეთის ახალი აღმოსავლური პოლიტიკის ცენტრალურ რგოლს შეადგენს ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. 1996 წლის დეკემბერში ჩინეთის პრემიერ-მინისტრი ლი პენი ვიზიტით იმყოფებოდა მოსკოვში, 1997 წლის აპრილში მას მოყვა პრეზიდენტი ზიან ზემინი და საგარეო საქმეთა მინისტრი. ამ დროისთვის რუსეთში უკვე დაიწყო საუბარი „სტრატეგიულ პარტნიორობაზე“, რომელიც განიხილებოდა აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოების საპირწონედ. რუსეთიც და ჩინეთიც ხაზს უსვამდნენ, რომ მხარს უჭერენ მრავალპოლუსიანი სამყაროს არსებობას და უპირისპირდებიან მსოფლიო სისტემაში აშშ-ის დომინირებას.

პრეზიდენტი ელცინი ჩინეთში იმყოფებოდა 1992 წლის დეკემბერში, 1996 წლის აპრილში, 1997 წლის ნოემბერში. ჩინეთის პრეზიდენტი ზიან ზემინი კი მოსკოვში ვიზიტით 1994 წლის სექტემბერში, 1995 წლის მაისში, 1997 წლის აპრილში იყო. გამოიკვეთა ურთიერთგაგება მრავალპოლუსიანი მსოფლიოს საკითხში. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ორივე ქვეყნის პოზიცია გაეროში კოორდინირებული გახდა. რუსეთმა ფორმალურად დაუჭირა მხარი ჩინეთის პოზიციას ტაივანისა და ტიბეტის მიმართ. ტაივანის გამო კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში, ამან პოტენციურად შეუძლია საქმე აშშ-ის და რუსეთს შორის კონფლიქტამდე მიიყვანოს. ჩინეთმა მხარი დაუჭირა რუსეთს ნატოს გაფართოების და იუგოსლავიის საკითხებში.

როგორ შეიძლება აიხსნას ჩინეთის ამჟამინდელი გეზი ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობაზე? პირველი, ასეთი პოლიტიკა

საშუალებას აძლევს მას, გაიუმჯობესოს თავისი პოზიცია შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებებზე. ჰენრი კისინჯერის აზრით, მოსკოვის დახმარებით ჩინეთს შეეძლება მოშალოს ნიქსონის ადმინისტრაციის უდიდესი მიღწევა, რომელიც მდგომარეობდა ისეთი საგარეო-პოლიტიკური კონფიგურაციის შექმნაში, რომლის დროს ჩინეთის ურთიერთობა აშშ-სთან გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე სსრ კავშირთან. ამჯერად, ჩინელებს შორის არსებობს შეხედულება, თითქოს ვაშინგტონი ცვლის მიმართულებას, გადადის რა „შეკავების“ პოლიტიკაზე და ისინი იქითკენ იხრებიან, რომ გამოიყენონ რუსეთთან დაახლოება, როგორც ამერიკელებზე ზეწოლის ხერხი. ჩანს, რომ ეს იწყებს თავის მოქმედებას. რუსეთ-ჩინეთის უმაღლეს ხელისუფალთა შეხვედრისას 1996 წელს ელცინმა ხელი მოაწერა კომუნიკეს, რომელშიც დაგმობილი იყო „ჰეგემონია“, ანუ აშშ-ის უპირატესობა აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში.

მეორე, მოსკოვის ამჟამინდელ მისწრაფებას, ნებისმიერ ფასად მიაღწიოს სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარებას ჩინეთთან, ეს უკანასკნელი იყენებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებზე ზეწოლისთვის. ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ანალიტიკოსის მსჯელობა, თითქოს ჩინეთმა უკანასკნელ წლებში თავისი სახელმწიფო საზღვრების გასწვრივ შექმნა საიმედო მეგობრული გარემოცვა და შეძლო უმრავლეს მეზობელ ქვეყანაში, ჩაექრო შიში პეკინის მუქარისადმი, ნაკლებად სარწმუნოა. საეჭვოა, რომ ფილიპინები, სამხრეთ კორეა, იაპონია და ვიეტნამი დაეთანხმონ იმ აზრს, რომ შედიან ჩინეთის მეგობრულ გარემოცვაში. უფრო მეტი, ამ სახელმწიფოების სამხედრო დაგეგმარების ოფიციალური დოკუმენტები მეტნაკლებად მკაფიოდ მიანიშნებენ პეკინზე, როგორც მათი ეროვნული უსაფრთხოების მუქარის მთავარ წყაროზე. ისინი ამჯობინებენ,

დაუპირისპირდნენ ამ მუქარას არა შეიარაღებული ძალების ზრდით (რადგან გამალებული შეიარაღება ის სფეროა, სადაც ძნელია ჩინეთის დამარცხება), არამედ მისი „შებოჭვით“ სავაჭრო, ეკონომიკური, კულტუ-რული და სხვ. შეთანხმებებით, რეგიონულ ორგანიზაციებში მისი ჩართვით. სწორედ, იქ ცდილობს პეკინი თავისი პოზიციების განმტკიცებას და ამ მიზნისათვის რუსეთს იყენებს. თუმცაღა ათწლეულების განმავლობაში ჩინეთი გამოდიოდა აზიურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მომხრედ, ეს მნიშვნელოვანწილად იყო ცარიელი რიტორიკა. ინტეგრაციის პროცესი ჩინეთზე გვერდის ავლით მიდიოდა. ასეანი ჩინეთის მონაწილეობის გარეშე ვითარდებოდა. ასეანის ზოგიერთ მონაწილეს მჭიდრო კავშირები ჰქონდა აშშ-სთან, რაც არც თუ ისე აწყობდა ჩინეთს. არსებითი ცვლილებები, როგორც შედეგი ეკონომიკური კრიზისისა, მოხდა 1998 წელს. აზიის ქვეყნების მთავრობები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ თითქმის აჯობეს დასავლეთის ქვეყნებს ეკონომიკურ განვითარებაში, რომ მათ ნახეს აზიური ავტორიტარიზმის და დასავლური ეკონომიკური თავისუფლების შეთავსების გზა. ძნელი იყო ეროვნული ვალუტების დაცემის ახსნა. ერთ-ერთი პოპულარული ახსნა დაკავშირებული იყო შეთქმულების თეორიის ერთ-ერთ ვარიანტთან. ამ პირობებში ჩინეთი, თუმცა არც ცდილობდა ღიად გამოეყენებინა მეზობლების ანტიდასავლური განწყობები, იმავე დროს არაფერს აკეთებდა, იმისთვის, რომ უარეყო დასავლ-ეთის მიმართ ბრალდებები აზიის ქვეყნების წინააღმდეგ შეთქმულებაში. ამასთან, ვითარებაში, როდესაც მოხდა მეზობელთა ვალუტების დევალვაცია, ჩინეთმა შეინარჩუნა საკუთარი ვალუტის კურსი. ეს დაფასებული იქნა სამხრეთ აზიის ქვეყნების, აშშ-სა და ევროპის მიერ,

რომლებსაც არც თუ უსაფუძვლოდ ეშინოდათ დევალვაციის ახალი ბრუნის.

1996 წლის სამიტის კვალად რუსეთმა და ჩინეთმა წამოაყენეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოების ახალი იდეა. რადგან ამ რეგიონში რუსეთის პოზიციები სუსტია, განცხადების საფუძვლად, როგორც ჩანს, ჩადებული იყო ჩინეთის წინადადებები და ინტერესები, მოსკოვი კი ფაქტობრივად, დაეთანხმა პეკინში შემუშავებულ დოკუმენტს.

მესამე, აშშ-ი ცდილობს, შეზღუდოს ჩინეთის სამხედრო შესაძლებლობები, ამიტომ ამ უკანასკნელის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისთვის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიის ექსპორტი რუსეთიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამასთან, ზოგიერთი მოსკოველი პოლიტი-კოსის მოლოდინის საპირისპიროდ, სამხედრო მიწოდებები სულაც არ წარმოქმნიან ჩვენი აღმოსავლელი მეზობლის ცალმხრივ დამოკიდებულებას. უფრო პირიქით, ამ საექსპორტო პროგრამებზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რაც, საჭიროებისას, რუსეთის მთავრობაზე ზეწოლის კიდევ ერთ შესაძლებლობას ქმნის.

ჩინეთისთვის „სტრატეგიული პარტნიორობა“ გაცილებით ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე რუსეთისთვის. გარდა ამისა, სწორედ ჩინეთი განსაზღვრავს პარტნიორობის პირობებს. მაშინ, როდესაც ჩინეთს არცთუ ისე აწუხებს ნატოს გაფართოება, სამხედრო ალიანსის შექმნის ყველა ცდა უარყოფილი რჩება. სამხედრო თანამშრომლობის ძირითად შინაარს წარმოადგენს რუსული შეიარაღებების და სამხედრო ტექნოლოგიების მიყიდვა ჩინეთისთვის.

რა თქმა უნდა, რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობას მთელი რიგი დადებითი მომენტი გააჩნია. შესაძლოა, მხოლოდ ამ ორ

ქვეყანას ძალუძს ერთობლივი ძალისხმევით შეარბილოს ჩრდილოეთ კორეის პოზიცია. ორივე ქვეყანა ასევე იზიარებს ცენტრალურ აზიაში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებაზე კონტროლის დაწესების საერთო მიზანს. თანამშრომლობა ასევე ხელს უწყობს სასაზღვრო დავების გადაჭრას. 1996 წლის იანვარში ჩინეთმა, რუსეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა და ტაჯიკეთმა გაცვალეს რუკები მათზე დატანებული სახელმწიფოთაშორისი საზღვრებით, რამაც საფუძველი შეუქმნა იმ ტერიტორიული კონფლიქტების გადაჭრას, რომელთა ისტორია ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან იწყება. ამის შემდეგ, ხუთმა სახელმწიფომ 1997 წლის აპრილში ხელი მოაწერეს შეთანხმებას უსაფრთხოების შესახებ, რომელიც განამტკიცებდა სახელმწიფოთაშორის საზღვრებს და ავალდებულებდა მხარეებს შეეზღუდათ თავისი სამხედრო ძალები საზღვრიდან 100 კმ ზონაში 3800 ტანკით რუსეთისთვის და 3900 ტანკით ჩინეთისთვის.

1984 წელს სსრკ-ჩინეთის ვაჭრობას აფასებდნენ 370 მლნ დოლარით. 1991 წლისთვის ვაჭრობის მოცულობამ 3,9 მლრდ დოლარი შეადგინა. 1996 წელს რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობამ გადააჭარბა სსრკ-ის დროინდელს და 6,8 მლრდ დოლარს მიაღწია. ქვეყნის ცენტრალურ რაიონებიდან შორეული აღმოსავლეთის იზოლაციის გამო, ეს უკანასკნელი სულ უფრო მეტად იღებს ორიენტაციას მის მოსაზღვრე ჩინეთის პროვინციებთან ვაჭრობაზე. 1993 წელს ვაჭრობამ ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებსა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს შორის ორმხრივი ვაჭრობის მთელი მოცულობის 80 პროცენტი შეადგინა.

მაგრამ ასეთ თანამშრომლობას მთელი რიგი პრობლემაც გააჩნია. თუმცა რუსეთის პოლიტიკის ეგრეთ წოდებული ნაციონალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები შეიძლება

კმაყოფილნი იყვნენ მოსკოვ-პეკინის ღერძის ფორმირებით, როგორც პასუხისა ნატოს გაფართოებაზე, ისინი შეიძლება არ იყვნენ მზად, ამის საპასუხოდ წავიდნენ დათმობებზე 4300 კმ სიგრძის საზღვარზე. თუმცა, რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობა 1996-2000 წლებში უნდა გაიზარდოს თითქმის სამჯერ (7 მილიარდ დოლარიდან 20 მილიარდამდე), ჩინეთის ვაჭრობა რუსეთთან შეადგენს მთელი ჩინეთის ვაჭრობის მხოლოდ 6-7 პროცენტს და 8-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ჩინეთ-აშშ-ის ვაჭრობა. გარდა ამისა, ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1993 წელს ვაჭრობა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებსა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს შორის შეადგენდა მთელი ჩინეთ-რუსეთის ვაჭრობის 80 პროცენტს, მომავალში ამას შეი-ძლება მოყვეს სერიოზული პოლიტიკური შედეგები და გამოიწვიოს რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ორიენტირება მეზობლების მიმართულებით. რაოდენობა იმ ჩინელთა, რომლებიც 1991 წლიდან დღემდე შემოვიდნენ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, სხვადასხვა მონაცემით, შეადგენს 200 ათასიდან ერთ მილიონამდე ადამიანს. ეთნიკური ჩინელები შეადგენენ რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის დაახლოლოებით 4 პროცენტს. ისინი კონცენტრირებული არიან ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში, ბლაგოვეშჩენსკსა და დაბებში, სადაც ხანდახან აღემატებიან კიდეც რიცხოვნობით რუსებს. დისკრიმინაციის და დეპორტაციის მუქარის გამო, ბევრი მათგანი იძულებულია, იმუშაოს ჩინურ დანაშაულებრივ ჯგუფებზე, რომელთაგან ყველაზე ორგანიზებულია ექვსი ჩინური ტრიადის ქვედანაყოფები. 1994 წლამდე ეს დანაშაულებრივი დაჯგუფებები დაკავებული მხოლოდ საკუთრივ ჩინელებით იყო. ამ წლიდან კი, მიაღწიე რა გარკვეულ სიძლიერეს, მათ დაიწყეს ჩარევა რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი საწარმოების მუშაობაში. იმის შემდეგ, რაც ჰონკონგი დაბრუნდა ჩინეთის კონტროლქვეშ, ტრიადების საქმიანი შესაძლებლობები

კიდევ უფრო გაფართოვდა, რამაც მისცა მათ საშუალება განემტკიცებინათ თავისი ყოფნა რუსეთში. რუსეთი დანაშაულებრივ დაჯგუფებებს აძლევს ახალ ბაზრებს, ფულის გათეთრების, ნარკოტიკების ტრანსპორტირებისა და იატაკქვეშა საამქროებში სუროგატული საქონლის წარმოების შესაძლებლობებს თავის ტერიტორიაზე. ძლიერდება იაპონური და ჩრდილო-კორეული დანაშაულებრივი დაჯგუფებების გავლენაც. ასეთ პირობებში ტრადიციული რუსული დანაშაულებრივი დაჯგუფებები შორეულ აღმოსავლეთში უკვე ვერ წარმართავენ მთელ თავის ძალისხმევას ცენტრალური რუსეთის დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ. რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ორგანიზებული დამნაშავეობის უფრო ახალგაზრდა წარმომადგენლები ირჩევენ თანამშრომლობას ტრიადებთან და იაკუძასთან. ამგვარი განხეთქილება რუსეთის ორგანიზებულ დამნაშავეობაში შორეულ აღმოსავლეთში პერსპექტივაში წარმოადგენს დამატებითი არასტაბილურობის წყაროს.

რუსეთის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ. რუსეთის წინ ორი პრობლემა დგას: მომავალი უსაფრთხოება აშშ-ის მიერ მართული დასავლეთისადმი და მზარდი რადიკალიზმი და შოვინიზმი აღმოსავლეთიდან (ძირითადად, ტრანსაზიური ღერძიდან, სადაც დომინირებენ ჩინეთი და ირანი). თუ გავითვალისწინებთ ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მდგომარეობას, ცხადი იქნება, რომ რუსეთს არ შეუძლია ერთდროული ბრძოლა ორივე მუქარის წინააღმდეგ. ყველაზე შორსმხედველი რუსი სტრატეგები აღმოსავლეთიდან მუქარას განიხილავენ, როგორც უფრო სერიოზულს. აღმოსავლეთი, ისტორიულად მტრულად განწყობილი დასავლეთსა და რუსეთისადმი, იძენს თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებს და განწირულია აღმავლობაზე.

იმავდროულად, კლინტონის ადმინისტრაცია, საპირისპიროდ გორბაჩოვსა და ბუშს შორის 1990 წლის შეთანხმებისა იმის შესახებ, რომ ნატო არ მიიღებს თავის შემადგენლობაში ვარშავის შეთანხმების ყოფილ წევრებს (აღმოსავლეთ გერმანიის გარდა), გამოდის ნატოს გაფართოების მომხრედ. ამგვარი სტრატეგიული ზეწოლა აიძულებს რუსეთს, მთელ თავის შეიარაღებულ ძალებს თავი ქვეყნის დასავლეთ რეგიონში მოუყაროს.

გამომდინარე თავისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან, რუსეთი იქნება ერთ-ერთი პირველი მიზანი აღმავლობის გზა-ზე მდგარი აღმოსავლეთისთვის, ისევე, როგორც თავისი ისტორიის მანძილზე იყო ობიექტი მონღოლებისა და თურქების შემოსევებისა. მაგრამ ამჟამად, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, რუსეთს არ შეუძლია მზადება აღმოსავლეთიდან მომდინარე მუქარის მოგერიებისთვის, თუმცა მისი სამხედრო ელიტა ეროვნული უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტები დარწმუნებული არიან ამგვარი მომზადების აუცილებლობაში. ის იძულებულია, გაურიგდეს აღმოსავლეთს და სანაცვლოდ მიიღოს შესაძლებლობა, მოახდინოს თავისი ძალების კონცენტრირება დასავლეთის ზეწოლისადმი დაპირისპირებისთვის.

იმავდროულად, რუსეთში იზრდება იმის შეგნება, რომ აშშ- ი არის ნატოს ანტირუსული პოზიციის წყარო. კრემლში მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ძალისმიერ ზეწოლას და აშშ-ის მოწყვლადობის დემონსტრაციას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ვაშინგტონზე. ამიტომ, კლინტონის ადმინისტრაციის შეკავების ერთადერთი გზა არის ზიანის მიყენება აშშ-ის სტრატეგიული მდგომარეობისთვის. ამის ძირითადი ინსტრუმენტი არის რუსეთის მხარდაჭერა ჩინეთის, ირანის და მისი რადიკალური მოკავშირეებისა მათ დაპირისპირებაში აშშ-სთან. ამგვარი მხარდაჭერის ძირითადი სახეობა არის მათთვის სამხედრო ტექნო-

ლოგიებისა და შეიარაღებების გადაცემა. ადრე თუ გვიან, თუ ეს პროცესი გაგრძელდება, რუსეთმა უნდა აიღოს თავისთავზე ლიდერობა. მაგრამ, თუ რად გადაიქცევა ეს ლიდერობა, არ არის ნათელი.

არ არსებობს ილუზია ჩინური შოვინიზმისა და რადიკალური ისლამის საბოლოო მიზნების მიმართ. ცხადია, როგორც კი ჩინეთი მიხვდება, რომ ძალუძს მიაღწიოს ჰეგემონიას, მისი შეჩერება შეუძლებელი იქნება. გასაგებია, რომ უკვე დაგვიანებულია ჩინეთის ზრდის შეჩერება. მუსლიმური აღმოსავლეთი ასევე ჩქარა მივა აფეთქებამდე, რომელიც მეტწილად მიმართული იქნება დასავლეთისკენ (მაგრამ არამარტო იქით). ჩინეთის შეჩერება შეუძლებელი იქნება, როგორც კი ის დარწმუნდება, რომ შეუძლია მიაღწიოს ჰეგემონიას და გადარჩეს აშშ-სთან კონფრონტაციაში. მნიშვნელოვანია, რომ როგორც რუსეთის, ისე ჩინეთის მკვლევარები თვლიან 2010-2015 წლებს გარდატეხის პერიოდად. ჩინეთის აღმავლობა შეიძლება ასატანი იყოს მანამდე, სანამ რუსეთის საკუთარი ცხოვრებისეული ინტერესები არ აღმოჩნდება მუქარის ქვეშ. მაგრამ ეს აღმავლობა აუცილებლად გადაიზრდება ჩინეთ-აშშ-ის ომში, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს ისლამური ქვეყნები და რომელიც ამგვარად გადაიზრდება მსოფლიო ომში. იმ პირობებში, როდესაც ბრძოლების უმრავლესობა მოხდება რუსეთის საზღვრებთან, ეს უკანასკნელი უბრალოდ ვერ შეძლებს დისტანცირებას კონფლიქტისგან. მასში მონაწილეობის შემთხვევაში კი, როგორც საგარეო-პოლიტიკურ, ისე სამხედრო სფეროებში ამჟამინდელი ტენდენციების შემდგომი განვითარების შემთხვევაში, რუსეთი აშკარად განწირული იქნება დამარცხებისთვის.

ამჟამად შესაძლებელია კიდევ მოვლენათა მიმართულების შეცვლა. რუსეთის მხარდაჭერის და ნატოს მხრიდან მუქარის

მოხსნის შემთხვევაში რუსეთს შეუძლია კიდევ შეუერთდეს აღმოსავლეთის შეკავებას. რანდი-ს ექსპერტები არ გამორიცხავენ სცენარს, რომლის მიხედვით აშშ-ი და დასავლეთ ევროპა მხარს დაუჭერენ მათ მეგობარ რუსეთს (შესაძლოა, ყაზახეთი და ცენტრალური აზიის სხვა რესპუბლიკები) ჩინეთთან დაპირისპირებაში. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული რუსეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევა და მასზე უსაფრთხოების გარანტიის გაცემაც ნატოს მხრიდან. მაგრამ ამჟამად მოვლენები სწორედ რომ საპირისპიროდ ვითარდება. რატომ ხდება ეს? გარდა გარე მიზეზებისა, რომლებიც დაკავშირებულია აშშ-ის არასაკმაოდ გააზრებულ პოზიციასთან, არის კიდევ მთელი რიგი სუბიექტური მიზეზი, რომლებიც ჩინეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკის შემუშავების თვით სისტემაში იმალებიან.

რუსეთის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით. საზოგადოებრივი აზრის (და ცალკეული პირების პოზიციისაც კი), ბიუროკრატიული ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებებით. საზოგადოებრივი აზრი ძალზე უმნიშვნელო როლს თამაშობს. თუ აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოების საკითხი კიდევ რაღაცნაირად შეეხო რუსეთის მოსახლეობას, რუსების ურთიერთობები ჩინეთთან აინტერესებს თითქმის მხოლოდ შორეული აღმოსავლეთის ოლქების მოსახლეობას და ისიც, უმთავრესად, იმიგრანტების შემოდინების გამო.

უკანასკნელი წლების მოვლენებმა აჩვენა, რომ რუსეთის პოლიტიკას ყველაზე ხშირად განსაზღვრავს ბიუროკრატიის ინტერესები: ჩინეთის შემთხვევაში - სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის. ამასთან, ხშირად ივიწყებენ, რომ თავისთავად შეიარაღების მიწოდება არ ქმნის სტაბილური პოლიტიკური ურთიერ-

თობების საფუძველს. ამიტომ აუცილებელია სხვა გზების ძიება ჩინეთთან გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის მშენებლობისთვის.

ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე სულ უფრო შესამჩნევად ზემოქმედებს რუსეთის და დსთ-ს ქვეყნების სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი გავლენა წარმოადგენს ბიუროკრატიული პოლიტიკის კიდევ ერთ დამახასიათებელ მაგალითს. რუსეთი ფაქ-ტობრივად წავიდა ენერგორესურსებით მდიდარი თავისი რ-გიონების გახსნაზე ჩინეთის შეღწევისათვის. 1997 წლის 25 ივნისს მიაღწიეს შეთანხმებას ირკუტსკის ოლქში აირის საბადოების დამუშავებისა და მონღოლეთისა და ჩინეთის გავლით სამხრეთ კორეაში აირსადენის მშენებლობის შესახებ. ბორის ნემცოვმა (იმ დროს ვიცე-პრემიერმა) აღნიშნა, რომ თანამშრომლობა ენერგომატარებლებთან დაკავშირებულ პროექტებში, წარმოადგენს საკვანძო კომპონენტს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებისა. პეკინში ვიზიტისას, ვიქტორ ჩერნომირდინმა ხელი მოაწერა (ლი პენთან ერთად) შეთანხმებას ჩინეთისთვის ციმბირის გაზისა და ნავთობის მიწოდების შესახებ. ნავარაუდევია კიდეც სარკინიგზო გზებზე ერთიანი სტანდარტების შემოღება ზოგიერთ საზღვრისპირა რაიონში. ჩინეთის სათბობის ეროვნულმა კორპორაციამ მოიგო ტენდერი აქტიუბინსკთან მდებარე ნავთობის საბადოების 60 პროცენტის დამუშავებაზე, დაამარცხა რა აშშ-ის კომპანიები - „ტექსაკო“ და „ამოკო,“ აგრეთვე, რუსეთის „იუჟნი მოსტ“-ი.

იმავე დროს ჩინეთში ინვესტირებისას რუსეთი ეჯახება გარკვეულ სიძნელეებს. მაგალითად 1997 წელს ჰიდროელსადგურ „სამი ხეობის“ მშენებლობის პროექტის რეალიზაციისას (მშენებლობას ეწევა კონსორციუმი, შემდგარი „ენერგომაშექსპორტის,“ „ელექტროსილის,“ „ჰიდროპროექტის,“ „ტექნოექსპორტის,“ „ტრანსმაშის,“ „ტრაქტოროექსპორტის“-გან), არ დაეთანხმა რუსეთის მიერ შეთავაზებულ ფასებს რუსულ მოწყობილობაზე. თუმცა, 1997 წლის 21 მაისს ხელი მოეწერა შეთანხმებას ძიანსუს პროვინციაში ატომური ელსადგურის პროექტირებაში დახმარების გაწევის შესახებ. მაგრამ ბირთვული ენერგეტიკა, შესაძლოა, ერთადერთი სფეროა, სადაც ჩინეთი უშვებს რუსეთის საწარმოებს. მნიშვნელოვანწილად ეს აიხსნება იმით, რომ მას არ შეუძლია მონახოს მოწყობილობის და ტექნოლოგიის ალტერნატიული მიმწოდებლები. ჩინეთის მხარე აშკარად იყენებს რუსეთს, რათა ხვრელი გამონახოს იმ რეჟიმებში, რომლებიც ზღუდავენ მათი ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო ზრდას (რეჟიმი კონტროლისა ბირთვულ და სარაკეტო ტექნოლოგიებზე, მაღალტექნოლოგიური შეიარაღებების და სამხედრო ტექნოლოგიების ექსპორტის შეზღუდვაზე).

შორეული აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოების პოზიცია არ აიოლებს რუსეთის ინტერესების დაცვას. ჯერ კიდევ 1996 წელს იაპონიის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში ჩინეთი, რუსეთთან ერთად, ფიგურირებდა როგორც მისი ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მუქარა. ახლა ტოკიომ გამოაცხადა თავის მზადყოფნაზე, მონაწილეობა მიიღოს ყაზახეთიდან ჩინეთში მიმავალი ნავთობისა და აირსადენების მშენებლობაში. იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკი დააფინანსებს 15 პროექტს ყაზახეთში 6 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულებით. უფრო მეტი, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კაძუო ოგურამ 1997 წლის 4 ივნისს განაცხადა, რომ თუ რუსეთს „დიდ შვიდეულში“ მიიღებენ, მაშინ ტოკიო მოითხოვს მასში ჩინეთის მიღებასაც, რომლის ეკონომიკა ორჯერ აღემატება რუსეთისას.

ჩინეთიც, აშშ-ი და იაპონიაც სულ უფრო მეტად იხრებიან იმისკენ, რომ მხარი დაუჭირონ რუსეთის მიღებას ოპეკში. იაპონიის პოზიცია დაკავშირებულია ამავე ქვეყნის კომპანიებთან, რომლებიც მიისწრაფვიან, მიაღწიონ მიწვდომობას რუსეთის ნავთობსა და აირთან. გარდა ამისა, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდილობს გამოიყენოს "რუსული ბანქოს კარტა" ჩინეთთან ურთიერთობებში. ჩინეთი მხარს უჭერს რუსეთს „სტრატეგიული პარტნიორობის" ჩარჩოებში, რომელზეც ესოდენ ბევრს ლაპარაკობდნენ უკანასკნელ წლებში. აშშ-ის პოზიცია ეფუძნება მისწრაფებას მოახდინოს დემონსტრირება თავისი მეგობრული განზრახვებისა და იმისა, რომ არ არის აუცილებელი ჩინეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა.

რუსეთ-ჩინეთის პოლიტიკის შემუშავების პროცესში ბიუროკრატიული ინტერესების უპირატესობის ყველაზე საშიში მხარეა მისი მონაწილეების უპასუხისმგებლობა. ოპერატიული დოქტრინა არამოქნილი და სქემატური გახდა. ბოლომდე ის არ ესმის გადაწყვეტილების მიღების არცერთ მონაწილეს, რომლებიც დაინტერესებული არიან მხოლოდ მაქსიმალური მოგების სწრაფ მიღებაში.

რუსეთის ეროვნული ინტერესები ჩინეთთან ურთიერთობაში ბუნდოვნადაა განსაზღვრული. პრობლემის პერსპექტიული ხედვის არარსებობა ახასიათებს პოლიტიკური სპექტრის ყველა ნაწილს. სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები აკეთებენ პრიმიტიულ და არაფრის მომთხოვნ განცხადებებს, რომ აუცილებელია შორეული აღმოსავლეთის რეგიონების უფრო მჭიდრო დაკავშირება ცენტრთან. ჩვენი თანამემამულე ლიბერალები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში რუსეთის ერო-ვნული უსაფრთხოების გარე

მუქარები უკვე არააქტუალურია. სწორედ, აქედან გამომდინარეობს კიდეც უგუნური კურსის მიმართულება.

რუსეთის ამჟამინდელი საგარეო-პოლიტიკური აზროვნების ნაციონალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა მთელი ყურადღება გაამახვილეს ნატოს გაფართოებაზე, როგორც ყველაზე დიდ მუქარაზე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. გამომდინარე აქედან, ისინი აგებენ „დასავლური ქვეყნების" მხრიდან ზეწოლისადმი რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი დაპირისპირების სქემებს. ამასობაში კი, ობიექტური დამკვირვებლისთვის ცხადია, რომ რუსეთს ჩინეთისადმი შიშის გაცილებით მეტი საფუძველი აქვს. ყველა წინანდელი ცდა ჩინეთთან ალიანსის შექმნისა ძვირადღირებული და მოკლევადიანი იყო, და არ არის რაიმე განსაკუთრებული საფუძველი, ვიფიქროთ, თითქოს ამგვარი პოლიტიკა ამჟამად უფრო წარმატებული აღმოჩნდება. უფრო მეტი, გრძელვადიან პერსპექტივაში დასავლეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება ჩინეთს უფრო მეტს პირდება, ვიდრე ნებისმიერი მისი კავშირი რუსეთთან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შეერთებულ შტატებშიც, როგორც აღნიშნა მაიკლ პირლ-ბერიმ, ჩინეთის სპეციალისტმა და რეიგანის და ბუშის ადმ-ინისტრაციების დროინდელმა უფროსმა სამხედრო მოხელემ, „1992 წლიდან ჩინეთის დიპლომატიამ წარმატებას მიაღწია საგარეო პოლიტიკის სპეციალისტების დაშინებაში ჩინე-თის მუქარის საჯარო ხსენებით".

ჩინეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკის რეაქტიული ხასიათი და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა შემდგომი განვითარების პერსპექტიული შეფასების არარსებობა იმითაც აიხსნება, რომ სამამულო პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა ნაწილის წარმომადგენლები ახდენდნენ შესაბამისი საგარეო-პოლიტიკური შეხედულებების ხელოვნურ კულტივირებას.

1990-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო პროცესებზე რუსეთის გავლენის შესუსტება უკვე აშკარა გახდა, მმართველი რეჟიმის ლეგიტიმურობა კი რამდენადმე პრობლემური. ამიტომაც, როგორც სახელისუფლო პარტიის, ისე ოპოზიციის პოლიტიკური გადარჩენის ბუნებრივი სტრატეგია აიგებოდა ორ ძირითად ელემენტზე:

- პოტენციური მტრებისადმი დაპირისპირების გადაწყვეტილების დემონსტრირება. ყველაზე მეტად ამ როლისთვის გამოდგებოდა დასავლეთი, მის მიერ ჩაფიქრებული ნატოს გაფართოების გეგმით. მუქარა, რომლადაც ის შეიძლება ქცე-ულიყო ჩვენი ქვეყნისთვის, იყო შორეული და გამოხატული გაურკვეველ სამხედრო ტერმინებში, რის გამოც რუსეთის ანალიტიკოსები იყენებენ ევფემიზმს „პოტენციური მუქარა“, რომელიც ნიშნავს, რომ საეჭვოა ის მატერიალიზებული იქნას და, ყოველ შემთხვევაში, არ დააყენებს ეჭვქვეშ რუსეთის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს არსებობას. დასავლეთისადმი რიტორიკულ დაპირისპირებას კი, პოლიტიკოსებს რომ აძლევს საშუალებას ქულები დააგროვონ საშინაო ბატალიებში, მათივე აზრით, არ შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს რუსეთს.

-მოკავშირეთა ძებნა პოტენციური მუქარებისადმი დაპირისპირებისთვის. საჭირო იყო მოკავშირეები, ძლიერები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მიმართებით. დასაწისში შეეცადნენ გადაეწყვიტათ ეს ამოცანა დსთ-ს შიდა კავშირების განმტკიცების ხარჯზე, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ მასში შემავალი სახელმწიფოები ან არასაკმაოდ ძლიერია, ან არ არიან დაინტერესებული რუსეთთან საერთო საგარეო-პოლიტიკური ინიციატივებით. მაშინ მოსკოვმა თავისი ყურადღება მიაპყრო ჩინეთს, რომელიც ზოგიერთმა პოლიტიკოსმა აიყვანა „ერთადერთი და ყველაზე საიმედო“ მოკავშირის რანგში დასავლეთთან

დაპირისპირების პირობებში. თუ ჩინეთთან თანამშრომლობა არ ჯდებოდა სასურველ სქემაში, ცდილობდნენ ეს არ შეემჩნიათ, ხანდახან კი ერთობლივ ანტიდასავლურ აქციად საერთოდ ასაღებდნენ ჩინეთის საგარეო-პოლიტიკურ აქციებს, მიმართულს საკუთარი ინტერესების დაცვაზე.

დასაწყისში საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ეს ორი ელემენტი მხოლოდ მითებს წარმოადგენდა, რომლების ინსტრუმენტირებას საგარეო-პოლიტიკური საზოგადოება ახდენდა თავის შიდაპოლიტიკურ მიზნებში. მაგრამ დროთა განმავლობაში დაიწყო მათი აღქმა, როგორც ობიექტური რეალობისა. ელიტა, მის მიერვე შექმნილ ხაფანგში აღმოჩნდა და უარის თქმა დასავლეთთან კონფრონტაციასა და ჩინეთთან თანამშრომლობაზე კინაღამ ანომალიად წარმოსდგა. კონცეფციებს, რომლებიც უპირატესობას აძლევენ დასავლეთთან თანამშრომლობას, სულ უფრო რეალური ჩინური მუქარის შესაკავებლად, უკვე უჭირს გავლენა მოახდინონ რუსეთის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე. ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესები იქცა შიდაპოლიტიკური ბრძოლის მსხვერპლად.

ახლა ამერიკის სტრატეგიული ანალიტიკოსები განიხილავენ იმას, თუ რა შედეგებს მოუტანს დასავლეთს ჩინეთ-რუსეთის გრძელვადიანი თანამშრომლობა. ს. ბლანკი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი შესაძლებლობა მდგომარეობს იმ სტრატეგიული პარტნიორობის წარმოქმნაში, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაემუქროს აშშ-ის ინტერესებს. მეორე შესაძლებლობა კი შეიძლება იყოს კრემლის საშიში დამოკიდებულება ჩინეთის მიერ რუსეთის იარაღის შესყიდვაზე, რომელიც შეიძლება დაემუქროს რუსეთის უსაფრთხოებას.

ჩინეთთან თანამშრომლობის (ან „სტრატეგიული პარტნიორობის“ პოლიტიკისაც კი) გატარებისას ცოტა ვინმე უფიქ-

რდება იმას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთისთვის შეიძლება გაცილებით უფრო ღირებული პარტნიორი აღმოჩნდეს იაპონია. ამასთან, არსებობს იმედი, რომ იაპონია დაინტერესებულია რუსეთით, როგორც რეგიონში ჩინეთის დომინირების საპირწონეთი.

ამერიკელებისა და დასავლეთ ევროპელებისაგან განსხვავებით, იაპონიას იმავე დონით არ შეხებია „ცივი ომის“ დამთავრება. მიუხედავად რუსეთის მიერ გადადგმული კეთილი ნების ნაბიჯებისა, როგორიც შემდგომ წლებში იყო, მაგალითად, რუსეთის ყველა სამხედრო ნაწილის გამოყვანა კურილიის ერთერთ კუნძულიდან, იაპონიის პოლიტიკაში განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა. გარკვეული შემობრუნების წერტილი გახდა რუსეთის ტანკერ „ნახოდკა“-ს ავარია და რუსეთის მხარის მანამდე არნახული მზადყოფნა ეთანამშრომლა შედეგების ლიკვიდაციაში. არაფორმალურმა შეხვედრამ კი პრეზიდენტ ელცინსა და იაპონიის პრემიერ-მინისტრ ხასიმოტოს შორის, წარმოშვა გეგმა ხელი მოეწერათ ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანი შეთანხმებისთვის ჯერ კიდევ 2000 წლამდე. რა მიზეზებმა გამოიწვია რუსეთისადმი იაპონიის პოლიტიკის დათბობა? ჯერ ერთი, იაპონიის კომ-პანიები ეძებენ სარფიან კონტრაქტებს, დაკავშირებულს მრეწველობის ნავთობისა და აირის დარგებთან. მეორე, იაპონია მართლაც მზად არის ჩინეთთან ურთიერთობაში გამოიყენოს „რუსეთის კარტა“. მაგრამ რუსეთის პოლიტიკოსები სწორედ ამ სფეროში არ აძლევენ თავის იაპონელ პარტნიორებს იმედის რაიმე საბაბს.

რუსეთის პოლიტიკის ამჟამინდელმა არქიტექტორებმა უარი უნდა თქვან ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებზე და დაფიქრდნენ იმაზე, თუ საით მიჰყავს ქვეყანა მოვლენებს. მაგრამ ძნელია ობიექტურობის შენარჩუნება, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიიღო შიდაპოლიტიკური ბრძოლის ესოდენ ძლიერი გავლენის პირობებში. ამასთან, ამ ადამიანების გონ-ებაში „დიადი ჩანაფიქრების“ ადგილი უჭირავთ ტაქტიკურ იდეებს, თუნდაც, არც თუ ისე ცუდს (მაგალითად, ვაჭრობა ნატოს გაფართოების საკითხზე და პოლიტიკა მახლობელ აღ-მოსავლეთში).

დასავლეთი მიმართულება. მსოფლიოს სხვა რეგიონებ- თან შედარებით, სადაც ცალკეული ქვეყნების სწრაფი ეკონო-მიკური ზრდა ან მოსახლეობის ჭარბი გამრავლება და, მისგან გამომდინარე, ეკონომიკური პრობლემები არასტაბილურობას უწყობენ ხელს, ევროპა ხასიათდება შეფარდებითი დემოგრაფიული და ეკონომიკური სტაბილურობით. მოსახლეობა ზოგიერთი ქვეყნისა, მაგალითად, გერმანიის და იტალიის, შემცირდება აბსოლუტური მაჩვენებლით. სხვა სახელმწიფოების კი გაიზრდება. ვარაუდობენ, რომ რუსეთის მოსახლეობა 2015 წელს გახდება 153 მლნ ადამიანი, თუმცა ამჟამად ის 149 მლნ-ს შეადგენს. მაგრამ იმავე დროს ცენტრალური აზიის და კავკასიის 8 სახელმწიფოს მოსახლეობა გაიზრდება 72 მილიონიდან 96 მილიონამდე. ევროპის მოსახლეობა მთლია-ნობაში შემცირდება მეზობელ რეგიონებთან შედარებით. ამჟამად ის შეადგენს 730 მილიონ ადამიანს, ანუ მსოფლიოს 5,7 მილიარდი მოსახლის 12,8 პროცენტს. 2015 წლისთვის ევროპის მოსახლეობამ უნდა მიაღწიოს 744 მილიონს, და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობამ 7,4 მილიარდი ადამიანი უნდა შეადგინოს. 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის პროცენტი ევროპაში უნდა გაიზარდოს. სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა რაოდენობის შემცირება კი ნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნები, რუსეთის ჩათვლით, უფრო სუსტი იქნება სამხედრო თვალსაზრისით, ვიდრე ბევრი არაევროპული სახელმწიფო.

იმავე დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა თავისი სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემს ზენაციონალურ ორგანოებს, შეიმჩნევა ტენდენციებიც, მიმართული უფრო მეტ ფრაგმენტაციაზე (რეგიონულ, ეთნიკურ, რელიგიურზე) ეროვნულ დონეზე. დასავლეთ ევროპაში ყველაზე ნათელ მაგალითებად გამოდგება ბელგია, ესპანეთი, იტალია. ცენტრალურ ევროპაში, სამი ეთნიკურად ჰომოგენური ქვეყნის (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხია) გამოკლებით, ყველა ქვეყანაა ამა თუ იმ დონით მოცული ამგვარი ფრაგმენტაციით. იგივე ითქმის ყოფილ საბჭოთა კავშირზეც.

მიუხედავად დასავლეთ ევროპის და აშშ-ის სიახლოვი- სა, შეხედულებები პარტნიორზე და მოლოდინი თანამშრო-მლობისგან ამჟამად დრამატულ ცვლილებებს განიცდიან. ევ-როპის მნიშვნელობა აშშ-ის პოლიტიკაში მნიშვნელოვნად შემ-ცირდა, რაც გამოწვეულია საბჭოთა მუქარის გაქრობით. და-სავლეთ ევროპას უკვე არავინ ემუქრება გარედან. ამასთანავე, ინტერესი ევროპის მიმართ შემცირდა არამარტო როგორც პარტნიორისადმი საერთაშორისო კრიზისების გადაჭრაში, არამედ როგორც სავაჭრო პარტნიორის მიმართაც.

კომუნიზმის კრახის შემდეგ უდიდესი მუქარა ევროპელთა (განსაკუთრებით, კონტინენტის ცენტრალური ნაწილის) უსაფრთხოებისთვის გამომდინარეობს არა გარედან, არამედ ქვეყნების შიდაეკონომიკური არასტაბილურობისგან. ნატომ, რომელიც აღიარებდა უსაფრთხოების სოციოეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობას, გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ტრანსატლანტიკური ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ყველა ამ ცვლილების შედეგად, როგორც ევროპა, ისე აშშ-ი განიცდიან იდენტურობის კრიზისს და მიმართულების გრძნობის არქონას. მათ სულ უფრო მეტად უჭირთ ურთიერთ ნაბიჯებ-

ბის წინასწარ განჭვრეტა, განსაკუთრებით იმ ცვლილებების გათვალისწინებით, ადგილი რომ ჰქონდათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, აგრეთვე უსაფრთხოების საკითხებში.

თვით ევროპაში სუპრაეროვნული პოლიტიკური კვანძე- ბი ერთმანეთში გადახლართულია სოციალურ და ეთნიკურ ხაზებად დანაწილებით. სულ უფრო ნაკლებადაა გასაგები, სად იწყება და სად მთავრდება ევროპა. ეთნიკური უმნცირესობების არსებობა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ბევრ ნაწილში წარმოქმნის სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების პოტენციალს. განსაკუთრებით სახიფათოა შემთხვევები, როდესაც „უმცირესობები“დახმარებისთვის მიმართავენ ქვეყნებს, რომლებშიც ისინი უმრავლესობაში არიან.

არასტაბილურობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, იუგოსლავიაში საბრძოლო მოქმედებების განახლების ჩათვლით, შეუძლია გავლენა მოახდინოს დასავლეთ ევროპაზე და შექმნას ლტოლვილთა ნაკადები, რომელთა გაკონტროლება საკმაოდ ძნელი იქნება. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს ზოგიერთ გარე ძალას (რუსეთი ან ირანი) მოახდინონ არაპირდაპირი გავლენა დასავლეთ ევროპაზე.

დასავლეთ ევროპაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ ლტოლვილთა ნაკადებსაც ჩრდილოეთ აფრიკიდან, რომლებიც წინაღობებს უქმნიან ენერგომატარებლების შესვლას მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრებზე, ან ჩრდილოეთაფრიკული წარმოშობის საერთაშორისო ტერორიზმსაც. გავლენას ახდენს ისიც, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ბევრ არა-სტაბილურ სახელმწიფოს გააჩნია მასობრივი განადგურების იარაღი და დანიშნულების ადგილზე მისი მიტანის საშუალებები, დასავლეთ ევროპის

ტერიტორიის ნაწილზე დარტყმის მიყენების შესაძლებლობას რომ იძლევიან.

ევროპის აღმოსავლეთში ფრაგმენტაციის და დასავლეთში კონსოლიდაციის პროცესები პარალელურად მიდიან და მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ყველაზე ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს 1991 წლის დასასრული. დეკემბერში, მაასტრიხტში ევროკავშირის 12 ქვეყნის ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შესახებ. რამდენიმე კვირით ადრე, ბელორუსიის, უკრაინის და რუსეთის ხელმძღვანელებმა დაანგრიეს საბჭოთა კავშირი. მაგრამ უკვე 1992-1993 წლებში ეს ტენდენციები შემობრუნდა საპირისპიროდ. დასავლეთში კავშირი რიგ პრობლემას შეეჯახა (მათ შორის, თვით შეთანხმების რატიფიცირებას). აღმოსავლეთში კი შეიქმნა წანამძღვრები ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგი-ერთი რესპუბლიკის რეინტეგრაციისთვის.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც ეჯახება ევროკავშირი, არის მისი გაფართოება. პრინციპული გადაწყვეტილება კავშირის გაფართოების აუცილებლობის შესახებ მიიღეს უმაღლეს დონეზე შეხვედრაზე კოპენჰაგენში, რომელზეც ევროსაბჭომ გადაწყვიტა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ის ქვეყნები, რომლებსაც უნარი აღმოაჩნდებათ შეასრულონ ვალდებულებანი, მათ რომ ეკისრებათ ევროკავშირის წევრობით, აგრეთვე შეასრულონ გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები, მიღებული იქნებიან ევროკავშირში. გადაწყვეტილებას, რომლის შესაბამისად ევროკავშირში მიღება შესთავაზეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოს (ყოფილი საბჭოთა კავშირის ბალტიისპირა რესპუბლიკების ჩათვლით) და უარი

უთხრეს რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს (ისევე, როგორც თურქეთს), ექნება გრძელვადიანი შედეგები. პრინციპში ეს ნიშნავს, რომ ევროპა ვითარდება ძალის ორი ცენტრის მიმართულებით - ევროკავშირის დასავლეთში და რუსეთის - აღმოსავლეთში. და ეს მაშინ, როდესაც თურქეთი ევროკავშირთან ასოციაციის საკმაოდ საინტერესო პოზიციაში, რუსეთთან თანაარსებობის და მახლობელ აღმოსავლეთთან ისტორიული და რელიგიური კავშირების მდგომარეობაში არის.

დასავლეთ ევროპის და რუსეთის ურთიერთობების განხილვისას ძალიან ხშირად ივიწყებენ ამ პროცესის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა რუსეთის ენერგომატარებლების მიწოდება. ევროპის ენერგეტიკული სექტორის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი ტენდენცია. პირველი, ბევრი დასავლეთ-ევროპული ქვეყნის და-მოკიდებულება ენერგომატარებლების იმპორტზე ადერინდე-ლივით იზრდება. მეორე, რუსეთის ენერგოსისტემა და ცენტრალური და დასავლეთ-ევროპული ქვეყნების ენერგოსისტემები სულ უფრო მეტად ინტეგრირდებიან. მესამე, ბირთვული ენერგიის როლი ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე შესამჩნევად დაეცა.

მეორე ფაქტორი, რომელიც რამდენიმე უკანასკნელი წლის განმავლობაში გავლენას ახდენდა დასავლეთთან რუსეთის ურთიერთობებზე - არის ნატოს გაფართოება და მისი თანმხლები პროცესები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნატოს გაფართოების საკითში აშშ-ის ადმინისტრაცია მუდმივად იგნორირებას უკეთებდა სიფრთხილისა და წინდახედულობის მოთხოვნებს და მოქმედებდა საკითხების საკმაო განხილვის გარეშე. 1994 წლიდან მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა ნაკარნახევი იყო შიდაპოლიტიკური მიზეზებით. ამის დასამტკიცებლად ყოფილ სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი ერთ-ერთ თავის

საგაზეთო სტატიაში აღნიშნავდა, რომ 1997 წლამდე პრეზიდენტ კლინტონის ერთადერთი საჯარო გამოსვლა ნატოს გაფართოების საკითხზე იყო მისი სიტყვა, წარმოთქმული დეტროიტში პოლონური წარმოშობის ამერიკელთა კრებაზე 1996 წლის საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობისას.

თუმცაღა პრიმაკოვი ნატოს გაფართოებას უწოდებდა უდიდეს შეცდომას „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მისი პოლიტიკა ეყრდნობოდა იმის გაგებას, რომ რუსეთს არ შეუძლია ხელის შეშლა ამ პროცესისთვის. პრიმაკოვი მიისწრაფოდა მიეღწია ნატოსთან შეთანხმებისთვის ამ უკანასკნელის ინფრასტრუქტურის (C^{3}1-ს ჩათვლით) არგანლაგების შესახებ რუსეთის საზღვრებთან, იმავდროულად აცხადებდა, რომ რუსეთი არ არის ნატოს პოლიტიკური სტრუქტურების აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოების წინააღმდეგ. იყო გამოთქმული სურვილი გადაესინჯათ OBE-ს შეთანხმება, რომელიც ხელს უშლიდა ნატოს ძალების განლაგებას ცენტრალურ ევროპაში. პრიმაკოვმა მისაღები გაფართოების ხაზი გაიყვანა ყოფილი სსრ კავშირის საზღვრებზე.

ოპოზიცია ნატოს გაფართოებისადმი რუსეთის დაწესებულებებიდან ყველაზე მეტად გამოვლინდა სახელმწიფო სათათბიროში. 1996 წლის ოქტომბერში სათათბიროს მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით გაფართოება გამოიწვევს საერთაშორისო კრიზისს. სათათბიროს სპიკერი გ. სელეზნიოვი არაერთხელ გამოვიდა გაფრთხილებით, რომ ნატოს გაფართოების შემთხვევაში სათათბირო არ მოახდენს CHB-2 შეთანხმების რატიფიცირებას. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ პრეზიდენტების - ელცინის და კლინტონის - მიღწეულ შეთანხმებას CHB-3-ზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ, ამგვარი მუქარა რამდენადმე საეჭვოდ ჩანს. იავლინსკის მსგავსი ლიბერალი

პარლამენტარებიც კი გამოდიან გაფართოების წინააღმდეგ, თუმცა მათი მოტივები უფრო შიდაპოლიტიკური ხასიათისაა. იავლინსკის სიტყვებით, რუსეთში ბევრი ხედავს ნატოს გაფართოებაში მუქარას თავისი ქვეყნისთვის და ამართლებს დასავლეთზე ორიენტირებული რეფორმების შეზღუდვას და თავდაცვაზე ხარჯების ზრდას.

ამასთან, სამხედრო თვალსაზრისით გაფართოება არ წარმოადგენს იმდენად დიდ მუქარას (თუნდაც იმ ახალი და გაცილებით უფრო რეალური მუქარების მთელ სპექტრთან შედარებით, რომლებსაც ეჯახება რუსეთი). აშშ-ის თავდაცვის მინისტრი უ. პერი ასახელებდა ბალტიისპირა სახელმწიფოების (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების) სამხედრო შესაძლებლობის ნაკლებობას, როგორც მთავარ დაბრკოლებას მათი ნატოში შესვლისა პირველ რიგებში. განსაკუთრებით შესამჩნევია მათი სისუსტე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა. მათ პრაქტიკულად არ აქვთ მობილობა. სამივე რესპუბლიკაში შეიარაღებული ძალების საფუძველს შეადგენს ეროვნული გვარდია. მაგრამ ეჭვის ქვეშ რჩება ამ ქვედანაყოფების მიერ თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების ჩატარებისთვის საკმაო მომზადების მიღების შესაძლებლობები. ესტონეთში თავდაცვის სამინისტრო 2005 წლისთვის გეგმავს აიყვანოს ეროვნული გვარდიის შემადგენლობის რიცხოვნობა (მობილიზაციისთვის მზად მყოფი) 42 ათას ადამიანამდე. ეს მიღწეული იქნება სარეზერვო ფორმირებებში ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების ჩარიცხვით (ყოველწლიურად 3 ათასის, ნებაყოფლობის საფუძველზე). ლიტვას უკვე ამჟამად ჰყავს 35 ათას ადამიანისგან შემდგარი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მზად არიან მობილიზაციისთვის. მაგრამ ეს შენაერთები არასაკმარისად ნასწავლი და ორგანიზებულია. ლატვიაში პრობლემები ყველაზე მწვავეა. თავის

ვალდებულებას ასრულებს სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა 20 პროცენტზე ნაკლები. ამასთან, დაფინანსების დონე მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე ესტონეთსა და ლიტვაში. ნატოში ცენტრალური ევროპის სამი სახელმწიფოს მიღების პროცესი თავის პირველ სტადიაზეა. ათეული წლები გაივლის, სანამ ეს სახელმწიფოები გახდებიან ნატოს ნამდვილი წევრები.

მანამდე კი რუსეთი და ნატო კამათობენ იმაზე, აძლევს თუ არა ფუძემდებლური აქტი მოსკოვს ვეტოს უფლებას ალიანს- ის საქმეებთან დაკავშირებით. ნატოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შეთავაზებული ორმხრივი საბჭო არის ცალკე ორგანო, რომელსაც საქმე აქვს ერთობლივ პრობლემებთან და არა ნატოს საშინაო საკითხებთან.

შემდეგი საკითხი, მოულოდნელად რომ გახდა მნიშვნელოვანი, არის რუსეთის პოლიტიკა ბალკანეთში. აქ, რიგი მიზე-ზის გამო, რომლებიც მოყვანილია ჩვენი ნაშრომის პირველ თავში, რუსეთის პოლიტიკა არის საკმაოდ არათანმიმდევრული და არ ემთხვევა ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებს. ბალკანეთს საკმაოდ მცირე სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია რუსეთისთვის. საბჭოთა კავშირის ძლიერების გაფურჩქვნის ხანაშიც კი სსრკ-ის სამხედრო ყოფნა ამ რეგიონში უმნიშვნელო იყო. ახლა კი ბალკანეთში წარმოიშვა შესაძლებლობები, რომელთა დაკარგვა არ შეიძლება. რატომ არის რუსეთი დაინტერესებული ამ რეგიონით? ყოფილ პრემიერ-მინისტრ პრიმაკოვს და ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ ი. ივანოვს სჯეროდათ, რომ რუსეთის გრძელვადიანი მიზანი მდგომარეობს შემდეგში - დიპლომატიური საშუალებებით შენარჩუნოს მისი, როგორც ზესახელმწიფოს სტატუსი. ბალკანეთი ამჟამად წარმოადგენს ერთადერთ რეგიონს, სადაც რუსეთსა და დასავლეთ ქვეყნებს შორის არსებობს პირდაპირი აზრთა სხვაობა. თუმცა რუსეთი ეჭვის ქვეშ აყენებს მსოფლიოს სხვა კუთხეებში (მაგალითად, ერაყში) დასავლეთის ქვეყნების მოქმედებების მიზანშეწონილობას, მისი გავლენა იქ საკმაოდ შეზღუდულია. დასავლეთთან ნებისმიერ კონფრონტაციაში რუსეთი გარდაუვლად დამარცხდება. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა 1998 წლის აგვისტოს საფინანსო კრიზისის შემდეგ. ბალკანეთში რუსეთს გააჩნია როგორც შესაბამისი საგარეო-პოლიტიკური ინსტრუმენტები, ისე თავისი გავლენის გატრებისთვის ხელშემწყობი გარემო.

აქ ისევე, როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკის ბევრ ფუნქციურ და რეგიონულ მიმართულებაში, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნულ ფაქტორს. პრიმაკოვს ბალკანეთი აინტერესებდა. ივანოვი არის სპეციალისტი ისეთ საკითხებში, როგორიცაა ევროპული უსაფრთხოება, ნატოს გაფართოება, იუგოსლავიაში განიარაღება (ეს ყველაფერი წაროადგენს რუსე-თის ბალკანური პოლიტიკის ნაწილებს). ის იყო რუსეთის წარმომადგენელი ეგრეთწოდებულ საკონტაქტო ჯგუფში ძირი-თადი სახელმწიფოებისა, რომლებიც ცდილობდნენ ბალკანეთ-ის კონფლიქტის გადაჭრას. ადმირალი ი. ზუბაკოვი, საკონ-სულო სამსახურის უფროსი, და რ. მარკარიანი, პრიმაკოვის აპ-არატის უფროსი, ასევე ინტერესდებოდნენ ბალკანეთის პრო-ბლემებით.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ევროპულ მიმართულებაზე საუბრისას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყველა ლაპარაკისა რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს, წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ, ცვლილებები ევროპაში რუსეთის მდგომარეობაში, დაკავშირებული გერმანიის გაერთიანებასთან, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან გასვლასთან, ევროკავშირის გაფართოებასა და მასში ავსტრიის, ფინეთისა და შვედეთის ჩართვასთან, არ იყო იმაზე გათვლილი, რომ შეესუსტებინათ რუსეთის სტრატეგიული პოზიციები. უფრო შესაძლებელია, რომ ეს ცვლილებები თვითონ იყო შედეგი და არა მიზეზი რუსეთის დასუსტებისა. მაგრამ ეს ცვლილებები უკვე

ისტორიის საკუთრებად იქცა. და როგორც ამ ცვლილებათა შედეგი - რუსეთის საგარეო პოლიტიკის ევროპული მიმართულების როლი მუდმივ დაქვეითებაზეა განწირული.

შესაძლებელია, რომ მთელ „დასავლეთ მიმართულებიდან“ რუსეთისთვის უპირატესი მნიშვნელობა ექნება ურთიერთობას აშშ-სთან. ყველაზე უფრო მეტადაა დასაშვები, რომ შეერთებული შტატები საკმაოდ ღრმად იქნება ჩართული მსოფლიო საქმეებში ახალი საუკუნის პირველ წლებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პერიოდულად ჩნდება იზოლაციონიზმის განწყობა, აშშ-ს უბრალოდ არა აქვს სხვა არჩევანი, გარდა გლობალური ჩართულობისა. თვით მოცულობა ამერიკის ეკონომიკისა, მისი სავაჭრო, პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო კავშირები სხვა ქვეყნებთან და არასახელმწიფო გაერთიანებებთან აიძულებენ ამის გაკეთებას. ამერიკის ჩამოცილებამ კი მის ამჟამინდელ ლიდერის ფუნქციებისგან შეიძლება საკმაოდ ნეგატიური შედეგები მოუტანოს მთელ მსოფლიო ეკონომიკას. მას მოყვება გლობალური დაპირისპირება იმის გასარკვევად, თუ ვინ შეავსებს ვაკუუმს, შექმნილს აშშ-ის წასვლით. ამგვარი დაპირისპირება აუცილებლად გამოიწვევს არასტაბილურობას.

უკანასკნელ დროს საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ, რომ შეერთებული შტატები იქცა მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოდ, რომ მისი ძალის ჰეგემონია არის მსოფლიოს არასტაბილურობის წყარო, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანი არის შექმნა მრავალპოლუსიანი მსოფლიო სისტემისა, რომელიც თითქოსდა ერთადერთი მისცემს ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობას ღირსეული ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ურთიერთობებში.

გვესახება, რომ ამგვარი მსჯელობის ლოგიკა მნიშვნელოვანწილად არასწორია. ჯერ ერთი, მრავალპოლუსიანობამ ამ-

ჟამინდელ პირობებში რუსეთს შეიძლება გაცილებით მეტი მუქარა მოუტანოს, ვიდრე მოკლევადიანი სარგებელი. მეცხრამეტე საუკუნის ევროპაშიც კი, მრავალპოლუსიანობის გაფურჩქვნის ხანაში, როდესაც „ევროპის კონცერტი“ მოქმედებდა, ომები დიდ სახელმწიფოებს შორის რეგულარული მოვლენა იყო. ყოველ ათ წელიწადში ხდებოდა სხვადასხვა ინტენსიურობის და მასშტაბის კონფლიქტები. წარმატება კი ევროკავშირისა, რომელიც ბევრს მოჰყავს როგორც მაგალითი უსაფრთხოების მრავალპოლუსიანი რეგიონული სისტემისა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ აშშ-ის ჰეგემონიის წყალობით.

მიუხედავად ყველა საუბრისა იმაზე, რომ მსოფლიო საზოგადოება დაიღალა აშშ-ის „ლიდერობის გამო“, არცერთ წამყვან სახელმწიფოს არ შეაქვს წვლილი ჭეშმარიტი მრავალპოლუსიანობის შექმნაში. არცერთ ქვეყანას არ გამოუხატავს მზადყოფნა გაენაწილებინა ვალდებულება - გლობაბალური წესრიგის დაცვისა და საერთაშორისო კრიზისების მართვის სფეროში. დასავლეთევროპული ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობზე საუბრისას, უნდა იქნას აღიარებული, რომ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში ისინი სულ უფრო დიდი დონით არიან დამოკიდებული აშშ-ზე. მომავალში კი დასავლეთ-ევროპული ქვეყნების შესაძლებლობა, შეიტანონ თავისი წვლილი ყურეში ომის ტიპის ოპერაციებსა თუ მშვიდობის შენარჩუნებაზე მიმართულ ოპერაციებში, კიდევ უფრო შემცირდება. აქამდე არცერთმა ქვეყანამ (აშშ-სგან განსხვავებით) არ გამოხატა მზადყოფნა გაეღო მოკლევადიანი მსხვერპლი, რათა დაეცვა გრძელვადიანი ინტერესი, მიმართული მსოფლიო წესრიგის დაცვაზე. ამჟამად მხოლოდ ჩინეთი ცდილობს გაზარდოს სამხედრო ხარჯები, რათა უფრო დიდი როლი შეასრულოს საერთაშორისო ურთიერთობებში (არაფერი რომ არ ითქვას იმაზე, რომ ჩინეთის შეიარაღებული ძალების ზრდა არც თუ ისე სრუ-

ლად თავსდება საყოველთაოდ მიღებულ წარმოდგენებში აზია - წყნარი ოკეანის რეგიონში სტაბილურობის დაცვაზე).

ქვეყნებს, რომლებიც ნამდვილად დაინტერესებულია მრავალპოლუსიანობით და რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა ღირსეული როლი ითამაშონ მსოფლიო სისტემაში, კი არ უნდა შეეკვეცა სამხედრო ბიუჯეტები, არამედ არსებითად გაეზარდა ისინი. მაგრამ არავის (და აქ რუსეთი არ არის გამონაკლისი) არ შეუძლია და არ სურს იხადოს ფასი „უჰეგემონო მსოფლიოსთვის“. უფრო მეტი, დაბრუნება მრავალპოლუსიანობისკენ ახლა იქცეოდა ბრძოლად ევროპაში ლიდერობისთვის რუსეთს, გერმანიას, საფრანგეთსა და, შესაძლოა, ინგლისს შორის. მოვლენათა ამგვარი განვითარება „მესამე სამყაროს“ ქვეყნებშიც გარდაუვლად გამოიწვევდა ახალ მეტოქეობას გავლენის სფეროებისთვის.

მესამე, ძალიან ხშირად მოწოდებები - უარი ითქვას ამერიკის ჰეგემონიაზე - დაკავშირებულია ან შიდაპოლიტიკურ მოსაზრებებთან, ან მოკლევადიანი პროპაგანდისტული წარმატების მიღების სურვილთან. პოლიტიკა, რომელსაც ახლა ატარებენ რუსეთი და საფრანგეთი, მასთან სოლიდარული მთელ რიგ საკითხში, იმაზეა მიმართული, რომ „თანაბარი ხმა“ ჰქონდეთ აშშ-სთან ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო საკითხების გადაჭრაში, მაგრამ ისე, რომ თავისთავზე არ აიღონ არანაირი პასუხისმგებლობა და ხარჯები (ფინანსური, ადამიანური, პოლიტიკური და სხვა), რომლებიც ჩვეულებრივად ასოცირდება დიდ სახელმწიფოს სტატუსთან. ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტაქტიკაა - საკუთარი პოლიტიკური პრესტიჟის ამაღლება აშშ-ის მიმართ ოპოზიციის გამოვლენის ხარჯზე, და იმავდროულად, იმ უნიკალური სტრატეგიული სტაბილური სიტუაციის გამოყენება, რომელიც შესაძლებელი გახდა აშკარა ჰეგემონის არსებობის წყალობით. შედეგად, ეს ქვეყნები ართ-

მევენ აშშ-ს მისი ჰეგემონის სტატუსის რაღაც ნაწილს. მაგრამ ამის ფასი არის მორიგი მუქარის წარმოქმნა იმ მსოფლიო სისტემის მისამართით, რომლის სტაბილურობაზე არიან დამოკიდებული თვით ეს სახელმწიფოები, მაგრამ რომლის დაცვა მათ არ ძალუძთ. მათ არ გააჩნიათ ერაყის ან ბალკანეთის პრობლემების გადაჭრის საშუალებები. მათი ძლიერება მხოლოდ იმისთვის არის საკმარისი, რომ ხელი შეუშალონ ამ პრობლემების გადაჭრას შეერთებული შტატების მიერ.

მეოთხე, მხოლოდ ორი ფაქტორი აკავებს რუსეთის რიგ მეზობელს (სამხრეთსა და აღმოსავლეთში) დასუსტებულ რუსეთზე თავდასხმისგან - ბირთვული იარაღის არსებობა და, საერთოდ, რუსეთისთვის სასარგებლო აშშ-ის კვაზიჰეგემონია. ბირთვული იარაღის შემაკავებელი ფუნქციის შეზღუდვებზე უკვე ითქვა სამხედრო პოლიტიკისადმი მიძღვნილ თავში. ამიტომ, ამჟამად სწორედ აშშ-ის ჰეგემონია ობიექტურად არის ყველაზე საიმედო და იაფი შემაკავებელი ფაქტორი რუსეთის მეზობლებისთვის.

ამრიგად, სრულიად შესაძლებელია, რომ დასუსტებული რუსეთისთვის აშშ-ის ჰეგემონია შეიძლება სასარგებლოც კი იყოს, თუ ამ უკანასკნელს ექნება დროის საკმაოდ მკაფიო ჩარჩოები. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ რუსეთის დიპლომატია წინასწარ უნდა იყოს მზად იმ გამოწვევებისთვის, რომლებსაც წარადგენს ის სისტემა, ადრე თუ გვიან რომ მოვა ამჟამინდელი ამერიკის დომინირების ნაცვლად. ეს უკანასკნელი სამუდამო ვერ იქნება.

გარდა ამისა, რუსეთს ამჟამად უბრალოდ არ გააჩნია იმის რესურსები (ფინანსური, სამხედრო, პოლიტიკური, კულტურული და იდეოლოგიური), რომ ნამდვილად დაუპირისპირდეს შეერთებულ შტატებს ან უბრალოდ, მის გარეშე შეასრულოს მასტაბილიზებელი ფუნქცია მსოფლიო სისტემაში. ამრი-

გად, მიუხედავად იმისა, განვიხილავთ ჩვენ დასავლეთის ქვეყნებს როგორც მუქარას, თუ არა, საეჭვოა იყოს კონფრონტაცია მათთან. ნებისმიერი კონფლიქტი დასავლეთთან, რომელსაც აშშ-ი ხელმძღვანელობს, რუსეთისთვის, მისი ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ცალსახად წამგებიანი იქნება. გარდა ამისა, მან შეიძლება გამოიწვიოს მისი სხვა (და ხშირად უფრო რეალური) მოწინააღმდეგების მხრიდან უფრო აქტიური მოქმედებები მოსკოვის წინააღმდეგ.

.....

ძირითადი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს რუსეთის 1990-ანი წლების საგარეო პოლიტიკის რეგიონული მიმართულებების ანალიზისას, იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ „აღმოსავლური“ მიმართულება იქნება გადამწყვეტი ახალი ათასწლეულის დასაწყისში. ბუნებრივია, რომ საკვანძო იქნება ურთიერთობა ჩინეთთან. სწორედ ეს ურთიერთობა გვიქადის ყველაზე დიდ მუქარებს. მასვე შეუძლია შეგვთავაზოს უამრავი ახალი შესაძლებლობაც, რომელთა რეალიზაცია ჩინეთსა და რუსეთს შორის ორმხრივ ურთიერთობებში ამჟამად არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში უბრალოდ შეუძლებელია. ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ამ ურთიერთობათა პრიორიტეტულობა და „პირველადობა“. როგორც წესი, აღმოსავლეთი მიმართულების რეგიონული პოლიტიკის ყველა სქემა აიგება გამომდინარე იქიდან, თუ როგორ მდგომარეობაშია ურთიერთობები აშშ-სა და ნატოსთან და გამომდინარე შიდაპოლიტიკური ფაქტორების გავლენიდან. ანუ, ეს ურთიერთობები მეორადი ხდება. გარდა ამისა, დასავლეთი მიმართულების პოლიტიკაც არის არათანმიმდევრული და არ ითვალისწინებს რუსეთის რეალურ შესაძლებლობებს გავლენა მოახდინოს მოვლენათა მსვლელობაზე. და, რაც ყველაზე საშიშია, ეს პოლიტიკა სულ უფრო მეტად

ექვემდებარება იდეოლოგიის და თვით რუსეთში წინასაარჩევნო ბრძოლის მოსაზრებების გავლენას. პრინციპში, ამგვარი ტენდენციები სხვადასხვა დროს იყო დამახასიათებელი მრავალი ქვეყნისთვის. რუსეთი კი იმით გამოირჩევა, რომ მას არ შეუძ- ლია მისცეს თავს ამის უფლება, გამომდინარე ქვეყნის შიდა სისუსტისა და მსოფლიო არენაზე მისი პოზიციების არამდგრადობიდან, აგრეთვე მისი მოუმზადებლობიდან ებრძოლოს მუქარებს რეალურებს, და არა ჰიპოთეტურებს), რომლებსაც ის ასე თუ ისე შეეჯახება უახლოეს ათწლეულში.

....

იმ ძირითადი ფაქტორების განხილვის შემდეგ, რომლებიც გავლენას ახდენდნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, შეიძლება შემდეგი ძირითადი ტენდენციების გამოყოფა: სახელმწიფოს უკვე არ შეუძლია უზრუნველყოს ისეთი საგარეო პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რომელიც უპასუხებდა მოსახლეობის რამდენადმე ფართო ფენების ინტერესებს. ქვეყნის მოქალაქეები, როგორც ეს იყო რუსეთის ისტორიის დიდი ნაწილის განმავლობაში, გაცილებით მეტად ზარალდებოდნენ საკუთარი სახელმწიფოსგან, ვიდრე ნებისმიერი საგარეო მუქარისგან გან. ამასთან, თუ ვილაპარაკებთ რეალურ საგარეო მუქარებზე, რომლებსაც რუსეთი შეიძლება შეეჯახოს უახლოეს ათწლეულებში, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამინდელ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს მათგან დაცვა. მას არ გააჩნია ამისათვის საჭირო არც მატერიალური რესურსები, არც პოლიტიკური ნება, არც საკუთარი ისტორიული მისიის შეგნება. მას ასევე, სულ უფრო ნაკლები დონით შეუძლია უზრუნველყოს რუსეთის ბიზნესის რამდენადმე მნიშვნელოვანი ფენების ინტერესების დაცვა. თუმცა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ წამყვანი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები მანიპულირებენ სახელმწიფოთი, პოლიტიკურ

ელიტას, მისი ამჟამინდელი ავტონომიის პირობებში, არ შეუძლია უზრუნველყოს თუნდაც იმ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების გრძელვადიანი ინტერესების შესრულება, რომლებსაც ეს მიზნები ამა თუ იმ დონით გააჩნიათ. არცერთ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიო სისტემაში რუსეთის ადგილზე, იქნება ეს უშუალოდ საგარეო პოლიტიკა, სამხედრო პოლიტიკა, პოლიტიკა შეიარაღების ექსპორტის სფეროში, არ გვიხდება ლაპარაკი რაიმე მნიშვნელოვან წარმატებაზე. 1990-იანი წლების რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ეტაპების ზედაპირული გადახედვაც კი ადასტურებს ამ თეზისს.

ამასთან, არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ ამჟამად არსებულ პოლიტიკურ ძალებიდან რომელიმეს შეუძლია ამ ტენდენციის შეცვლა. რამეთუ სისტემურია რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური როლის კრიზისი და ის ვერ გაქრება არსებული რეჟიმის პირობებში. რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური როლის მოშლის ტენდენცია მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული მსოფლიოში მიმდინარე ობიექტურ პროცესებთან. ძირითადი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ უახლოეს დროში არ შეიძლება მოხდეს რაიმე სერიოზული ცვლილებები. ამჟამინდელი ვითარების სტაბი-ლურობა თავისთავად დამღუპველია.

თუ არ მოხდება რაიმე ცვლილება, რუსეთი განწირულია იმაზე, რომ ეტაპობრივად კარგავდეს თავისი სუვერენიტეტის ნარჩენებს და მუდამ მსხვერპლად გაიღებდეს საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას. ის გახდება ობიექტი მუდმივი თავდასხმებისა, როგორც მეზობელი სახელმწიფოების, ისე არასახელმწიფოებრივი გაერთიანებების მხრიდან. შიდა სეპარატიზმი ისულდგმულებს გარეშე დახმარებით. ასეთ შემთხვევაში ქვეყანას უბრალოდ არ ექნება მომავალი.

ამ პირობებში მოსალოდნელია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირების სხვა (სახელმწიფოსთან კავშირში არ მყოფი) შინაგანი ფაქტორების მნიშვნელობის ამაღლება. საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ეგრეთ წოდებულ ორგანიზებულ დანაშაულსა და საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებზეა. სწორედ ამ ორი ფაქტორის მიჯნაზე შეიძლება გაჩნდეს ახალი ძალა (ის არ უნდა შეგვეშალოს „ახალ ძალასთან“), რომელსაც ექნება უკანასკნელი წლების ნეგატიური ტენდენციების გარდატეხის უნარი. საეჭვოა, რომ ეს შესაძლებელი გახდეს ამჟამინდელი რეჟიმის არსებობის პირობებში, რომელიც, შესაბამისად წარსულში უნდა წავიდეს.

საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესში წამყვანი როლის ამგვარ გადასვლას სახელმწიფოსგან სხვა მოქმედ პირებზე, ხელს უწყობს მთელი რიგი გარეშე ფაქტორი. საინფორმაციო რევოლუცია მოძველებულად აქცევს სახელისუფლო უფლებამოსილების (მათ შორის, საგარეოპოლიტიკურის) განხორციელების ძველ წესს. მასობრივი განადგურებს იარაღის გავრცელება რუსეთის წინაშე აყენებს პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების ამჟამინდელ სისტემას უბრალოდ არ შეუძლია. საერთაშორისო ინსტიტუტების ცვლადი როლი შესაძლებლად აქცევს ახალი მოქმედი პირების უშუალო მონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთქმედებაში. მსოფლიო არენაზე გასვლა ისეთი ქვეყნების და არასახელმწიფო გაერთიანებებისა, რომლებიც ადრე მსოფლიო პოლიტიკის პერიფერიაზე იყვნენ, ასევე ხელს უწყობს რუსეთის სახელმწიფოს ტრადიციული საგარეო-პოლიტიკური როლის ძირის მოთხრას.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი რეგიონული მიმართულების განხილვა ასევე მოწმობს ღრმა კრიზისს საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების იმ სისტემისა,

რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი რეალური (და არა წარმოსახვითი) მუქარა, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან რუსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მომავალს. თანაც, ამჟამინდელ რუსეთს საეჭვოა, შეეძლოს რაიმე რეალურის დაპირისპირება ამ მუქარებისადმი.

რუსეთის, როგორც ქვეყნის, სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებით სხვა ყოფილ დიდ სახელმწიფოსგან, მას უბრალოდ არ შეუძლია თავისთავს მისცეს მსოფლიო პოლიტიკის პერიფერიაზე ნელი და უმტკივნეულო გადასვლის უფლება. თვით სახელმწიფოს საზღვრებს, მის ისტორიულ მემკვიდრეობას, პოტენციალს საქმე მიჰყავს იმისკენ, რომ ქვეყნის მომავალი არა არის გარანტირებული თავისთა-ვად. ეს მომავალი უნდა იქნას მიღწეული გარე მუქარასთან ბრძოლაში. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, სწორედ გარე მუქარას შეუძლია გახდეს რუსეთის საზოგადოების კონსოლიდაციის საფუძველი. მომავლის ამ მიღწევის ალტერნატივა კი, ამჟამინდელი სისტემის არსებობის გარძელებისას, არის რუსეთის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტის გაქრობა მთელი რიგი შიდა კონფლიქტების და გა-რე ძალებთან შეტაკებების შედეგად.

ბოლოსიტყვაობა
საერთაშორისო ურთიერთობები XXI საუკუნეში: ახალი მოქმედი პირები, ინსტიტუტები და პროცესები

ახალი ტენდენციები, რომლებიც მხედველობაშია მისაღები, როდესაც ვცდილობთ XXI საუკუნის მსოფლიო სისტემის კონტურების წარმოდგენას, საკმაოდ მრავალფეროვანია. მაგრამ ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ გამოგვეყო სამი ფაქტორი, ჩვენის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს არის საინფორმაციო რევოლუცია, რომელიც იწვევს სახელმწიფოს როლის შეცვლას საერთაშორისო ურთიერთობებში და კონფლიქტის ახალ ფორმებს, მასობრივი განადგურების იარაღის ძალზე სწრაფ გავრცელებას და რიგ გლობალურ პრობლემას. ამასთან, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს არა მოცემული ფაქტორები, არამედ ის, თუ რამდენად არის მზად დღევანდელი რუსეთი მათთან ადაპტირებისთვის.

საინფორმაციო რევოლუცია ასახავს კომპიუტიზირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესს და ამასთან დაკავშირებულ ინოვაციებს ორგანიზაციის და მართვის თეორიაში. გიგანტური ცვლილებები ხდება ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, დამუშავების და გადაცემის გზებში, იმაში, როგორ დაიგეგმოს ორგანიზაცია ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაზრდილი მოცულობების უპირატესობების გამოსაყენებლად. ინფორმაცია ხდება სტრატეგიული რესურსი, ისეთივე ღირებული და გავლენიანი პოსტინ-დუსტრიულ ერაში, როგორიც იყო კაპიტალი და სამუშაო ძალა სამრეწველო ერაში.

საინფორმაციო რევოლუცია, გავრცელებული შეცდომის საპირისპიროდ, არ მდგომარეობს მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გავრცელებაში. ის ასევე ნიშნავს ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობების გავრცელებას. ტექნოლოგია ადამიანებს მხოლოდ აძლევს ინსტრუმენტებს საქმიანობის გარკვეული სახეობებისთვის და ეხმარება მათ განხორციე-ლებაში. მაგრამ თავისთავად ის არაფერს არ აკეთებს.

ინფორმაციის ოთხი მახასიათებელი საკმაოდ იოლ საქმედ აქცევს მის ფართო გავრცელებას:

- რესურსებისადმი მომთხოვნელობის არარსებობა;

- ტრანსპორტირების სიოლე;

- შეღწევადობა (მიუხედავად ყველა ცდისა შეაჩერონ შეღწევა);

- აუცილებლობა, გაუნაწილო ინფორმაცია სხვას

- ძალიან ხშირად ინფორმაციის სხვისთვის მიწოდება მომგებიანია.

საინფორმაციო რევოლუციის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს იერარქიული სტრუქტურების როლის შესუსტება. საინფორმაციო რევოლუცია სტრუქტურების როლს ორი პროცესის შედეგად ასუსტებს. ინფორმაციის შედარებით სიღარიბიდან მის სიუხვეზე გადასვლა ინდივიდებს საშუალებას აძლევს გვერდი აუარონ იერარქიებს, რომლებიც აკონტროლებენ ან ზღუდავენ ინფორმაციას. ინფორმაციის დამუშავებაში ორგანიზაციის ალტერნატიული ფორმები უფრო ეფექტური აღმოჩნდნენ, ვიდრე იერარქიები. ინფორმაციულად ინტენსიურ საწარმოებში იერარქიული ორგანიზაციები შეიძლება არაკონკურენტუნარიანი იყოს. გარდა ამისა, ინფორმაციული ტექნოლოგიების შემთხვევაში, მოცულობა საზოგადოებრივი და ტექნიკური ცოდნისა, საჭირო რომ არის საინფორმაციო სისტემის

შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვის, საკმაოდ დიდია, ისევე, როგორც ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ ტექნოლოგიების გამოყენება კი უკი-დურესად ინდივიდუალურია.

არამარტო კავშირგაბმულობის ელექტრონული საშუალებები, არამედ მთლიანად მასობრივი ინფორმაციის წყაროები გადავიდნენ უფრო სპეციალიზირებულ ლოკალურ ბაზრებზე. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ტელეარხების რაოდენობის გაზრდა, ან ათასობით ონლაინ სადისკუსიო ჯგუფების გავრცელება. ამ გადასვლამ უფრო ვიწრო ჯგუფებზე, გააუმჯობესა კომუნიკაციის ხარისხი. მაგრამ, იგივე მოვლენა უფრო ფრაგმენტულს ხდის სამოქალაქო საზოგადოებას. შედეგად, მოქალაქეებს სულ უფრო ნაკლები საერთო კულტურული გამოცდილება აქვთ, რაც ამცირებს მათ უნარს გაერთიანდნენ და ერთობლივად იმუშაონ, როგორც პოლიტიკურმა საზოგადოებამ.

პოლიტიკურ ცხოვრებაში (მათ შორის, საერთაშორისო) მოქალაქეთა გაზრდილი მონაწილეობის შედეგები საკმაოდ დიდია. ბაზარი უნდა იქნას რეფორმირებული, რათა შეეძლოს შესთავაზოს ყოველ მათგანს მისაწვდომობა ამ შედეგების ნაყოფთან. მმართველობა დეცენტრალიზებული უნდა იყოს, რომ შესაძლებელი გახადოს მეტი მისაწვდომობა გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. საზოგადოებას მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს ეროვნულ და გლობალურ პრობლემებზე.

შეიძლება გამოიყოს, ყველაზე მცირე, ხუთი საფუძველი ადამიანებზე ორიენტირებული მსოფლიო წესრიგისა.

1. ადამიანის უსაფრთხოების ახალი კონცეფციები.

2. მდგრადი განვითარების ახალი მოდელები. მათი მიზანია ინვესტირება ადამიანურ პოტენციალში და ისეთი გარემოს შექმნა, შესაძლებელს რომ გახდის ადამიანის უნარების სრულად გამოყენებას.

3. ახალი პარტნიორობა სახელმწიფოს და ბაზრებს შორის.

4. ეროვნული და გლობალური მართვის ახალი მოდელები. მათი მიზანია - ადამიანთა მოთხოვნილებების გაზრდის დაკმაყოფილება ეროვნული სახელმწიფოს თანდათანობით დაცემის ფონზე.

5. საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმები. ისინი ფოკუსირებული უნდა იყოს ადამიანის საჭიროებაზე და არა ეროვნული სახელმწიფოს უპირატეს სურვილებზე.

საინფორმაციო რევოლუციის შედეგად იცვლება სახელმწიფოს როლი. იცვლება შეფარდება საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო და არასახელმწიფო მოქმედ პირებს შორის.

არსებობს ორი ჯგუფი იმ მიზეზებისა, რომლებიც საინფორმაციო რევოლუციის შედეგად, იწვევენ სახელმწიფოს საერთაშორისო როლის ცვლილებას. ჯერ ერთი, სულ უფრო ძნელი ხდება მმართველობის ტრადიციული მექანიზმების (საგადახადო გაწერა, ლიცენზირება და ა. შ.) გამოყენება, რადგან საინფორმაციო რევოლუცია შესაძლებელს ხდის მთავრობის კონტროლის ფარგლებს გარე მოქმედებას. მეორე, სახელისუფლო უფლებამოსილების განაწილება იცვლება იმასთან ერთად, როგორც საინფორმაციო რევოლუციის შედეგად ეროვნულ, ზეეროვნულ და ტრანსეროვნულ დონეზე იზრდება ახალი არასახელმწიფო მოქმედ პირთა გავლენა. მთავრობები ჯერ მხოლოდ ეძებენ მექანიზმებს, რომლებიც მათ ამგვარ ცვლილებებთან ადაპტაციის საშუალებას მისცემენ. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანას შეუძლია აირჩიოს ამგვარი ადაპტაციის სხვადასხვა გზები. მაგალითად, აშშ-ის მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ საინფორმაციო რევოლუცია გარდაუვალია. ამასთან, აუცილებელია მისი შედეგების სრულად გამოყენება. დასავლეთ ევროპაში

უფრო მეტად შეწუხებულნი არიან საინფორმაციო რევოლუციის ეკონომიკური სიკეთეების მიღებით არსებული კულტურული და საზოგადოებრივი ღირებულებების შენარჩუნების პირობებში. აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონში საინფორმაციო რევოლუციის ღირებულებას ხედავენ, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური შენაძენის თვალსაზრისით. ძირითადი პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ცდილობენ ამ რეგიონის ქვეყნები, მდგომარეობს იმაში, რომ არ დარჩნენ საინფორმაციო რევოლუციის შედეგად წაგებულთა რიცხვში. მახლობელი აღმოსავლეთის მმართველი ელიტა, თუმცა სარგებლობს საინფორმაციო რევოლუციის შედეგებით, უპირველეს ყოვლისა, შეწუხებულია მოსახლეობაზე თავისი შესაძლო გავლენით.

იმ დროს, როდესაც ინსტიტუტები (განსაკუთრებით, დიდები) ტრადიციულად იერარქიული პრინციპებით აიგებოდა და ცდილობდნენ დამოუკიდებლად ემოქმედათ, რამდენიმე ორგანიზაციიდან აწყობილი ქსელები შედგება ერთმანეთში დაკავშირებული და ერთობლივად მოქმედი ორგანიზაციების, ან ინსტიტუტების ნაწილებისგან. საინფორმაციო რევოლუცია ხელს უწყობს ამგვარი ქსელების გაზრდას, რადგან ის შესაძლებლობას აძლევს განცალკევებით მოქმედ პირებს, დაამყარონ კავშირები, ჩაატარონ კონსულტაციები, მოახდინონ საქმიანობის კოორდინაცია და იმოქმედონ უდიდეს მანძილზე უფრო დიდ და უფრო ხარისხიანი ინფორმაციის საფუძველზე, ვიდრე მანამდე.

შეიძლება შეიქმნას სახელმწიფოს ახალი მოდელი. ყველაზე მეტად დასაშვებია, რომ ის წრფივი იყოს, ძალას პოულობდეს თავის უნარში მოახდინოს საქმიანობის კოორდინაცია და იმოქმედოს არასახელმწიფოებრივ აქტორებთან ერთად. პიტერ დრაკერის აზრით, ამ მოდელის ფარგლებში, წარმატება კაპიტალიზმის შემდგომ პერიოდში, მოითხოვს სახელმწიფოს, განსხვავე-

ბულს მეოცე საუკუნის მეგასახელმწიფოსგან, რომელმაც გაითავისა მრავალი სოციალური, ეკონომიკ- ური და სამხედრო ვალდებულება.

სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სახელისუფლო უფლებამოსილების ეფექტურ გამოყენებასთან. არსებობს სამი შეხედულება ხელისუფლებაზე. ზოგიერთი თვლის მას მატერიალურ, ზოგიერთი - ორგანიზაციულ (ან სისტემურ), ზოგიერთი - არამატერიალურ სიდიდედ.

ყველაზე გავრცელებულია შეხედულება ხელისუფლებაზე - განიხილო ის რესურსებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მოქმედ პირების დაძალების, მათზე კონტროლის და გავლენის დამყარებისთვის. ჩვეულებრივად, ეს არის ნივთიერი მატე-რიალური რესურსები და შესაძლებლობები, როგორებიცაა, მა-გალითად, ნავთობი, იარაღი, სამრეწველო პოტენციალი ან ცოცხალი ძალა. მაგრამ ის შეიძლება ნაკლებად ნივთიერებითიც იყოს, ისეთი, როგორიცაა სალიკვიდო საფინანსო აქტივების, თანამდებობის ან ლეგიტიმური ხელისუფლების ინსტრუმენტის ფლობა. უფრო აკადემიური მნიშვნელობით ეს შეხედულება წარმოდგენილია სამხედრო, სამრეწველო და დემოგრაფიული ფაქტორებისგან შემდგარი კომპოზიტური შესაძლებლობების ფართოდ გავრცელებული ინდექსით.

მეორე მიმართულება განიხილავს იმას, თუ როგორ არის ორგანიზებული ერი ან სხვა მოქმედი პირი, მის განკარგულებაში არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებისთვის. ეს შეხედულება ყურადღებას იმას აქცევს, რომ ხელისუფლება არის წარმოებული საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურისა და ნაყოფიერებისგან, მის სარესურსო ბაზაზე

დამოკიდებულების გარეშე. ამიტომ იმ ქვეყანასაც კი, რომელსაც არ გააჩნია მდიდარი ბუნებრივი რესურსები (მაგალითად, იაპონია), შეეძლო მეოცე საუკუნეში გამხდარიყო პირველხარისხოვანი სახელმწიფო. ამასთან, დღეს აქტიურად ვითარდება ორგანიზაციის ახალი ფორმა, მრავალ ინსტიტუტისგან შემდგარი ქსელები, რომლებსაც არ გააჩნიათ დიდ რაოდენობით მატერიალური რესურსები და სახელმწიფოებრიობა. მათ სულ უფრო ხშირად იყენებენ სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა აქტორები.

მესამე მიმართულება ხელისუფლებას განიხილავს, როგორც არამატერიალურ სიდიდეს, დამოკიდებულს ფსიქოლოგიურ, კულტურულ და სხვა სტრუქტურებზე. მისი მაგალითი შეიძლება იყოს ნაციონალიზმი ან სხვა იდეოლოგია, რომლებიც წარმოადგენს ძალის წყაროს.

ეროვნული სახელმწიფოები სულ უფრო მეტად კარგავენ თავის ხელისუფლებას, რადგან ინფორმაცია მისაწვდომი ხდება იმათთვის, ვინც ცხოვრობს როგორც მათ ტერიტორიებზე, ისე მათი საზღვრების ფარგლებს გარეთ. დარჩენილი დიდი სახელმწიფოები, უფრო მეტად დაიწყებენ მეტოქეობას არასახელმწიფო მოქმედ პირებთან, რომლებიც ხელისუფლებას ღებულობენ ინფორმაციის მისაწვდომობის საშუალებით. იერარქიული სტრუქტურები ხდება ინფორმაციის სიუხვის მსხვერპლი, და ეს მაშინ, როდესაც ქსელები ამ პირობებში იფურჩქნებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც ეროვნული სუვერენიტეტი ეჭვის ქვეშ დგება. სიახლე იმაშია, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები (უპირველეს ყოვლისა, ინტერნეტი) იძლევიან სრულიად ახალი შინაარსის ინფორმაციისადმი განაწილებული მიწვდომობის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც,

რომ ფორმალური სუვერენიტეტი (მთავრობის ფორმალური უფროსობა ტერიტორიაზე) სულაც არ ირღვევა საინფორმაციო რევოლუციის შედეგად. ეჭვის ქვეშ დგება ეგრეთ წოდებული ოპერაციული სუვერენიტეტი, ანუ მთავრობის უნარი, განახორციელოს ეფექტური კონტროლი თავისი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში.

რადგან სახელმწიფოეები უფრო კომპაქტურია, ვიდრე, მაგალითად, იმპერიები, მათ გაცილებით ნაკლები სივრცე აქვთ შეცდომებისთვის. მომავალში წარმატებით არსებობისთვის, მათ უნდა შეიგნონ, რომ ინფორმაციის და ძალის ბუნება, აგრეთვე მათ შორის ურთიერთობა, ძალზე სწრაფად შეიძლება იცვლებოდეს. პოლ ბრაკენი აღნიშნავს, რომ სამხედრო რევოლუციის გამოყენებისთვის არმია უნდა გადავიდეს მომავალი ომის დაკავშირებულ, ლოგიკურ და კარგად შემუშავებულ ხედვიდან ცხოველქმედ საოპერაციო კონცეფციებზე, რომლებიც შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება გამოიყენოს ომის შემთხვევაში. მაგრამ ამ საოპერაციო კონცეფციების რეალიზება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მოხდება პრაქტიკული და არსებითი ორგანიზაციული ტრანსფორმაციები ან ადაპტაციები, რომლებმაც შეიძლება მოახდინონ ოპტიმიზაცია შეიარაღებული ძალების უნარისა, გამოიყენონ ეს ახალი კონცეფციები. სახელმწიფოებმა, რომლებიც ეძიებენ სტრატეგიულ უპირატესობას ტექნოლოგიური უპირატესობის მეშვეობით, უნდა მოახდინონ არსებითი ორგანიზაციული გარდაქმნები. დღეს სახელმწიფოები მიდიან ტექნოლოგიურ უპირატესობიდან სტრატეგიულამდე, ორგანიზაციული უპი-რატესობის მიღწევის გზით.

საინფორმაციო რევოლუციასთანაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქსელური ფორმების გავრცელებაც. საზოგადოების ორგანიზაციის და განვითარების ოთხი

ფორმა არის - ტომები, ინსტიტუტები, ბაზრები და ქსელები. ყოველ ტიპს შეესაბამება საკუთარი ინფორმაციული კულტურა და ინფორმაციის ტიპები. ტომების შემთხვევაში ყველაზე ღირებული ინფორმაცია არის ინფორმაცია ტომობრივი კავშირების შესახებ. ინსტიტუტების შემთხვევაში - ინფორმაცია იერარქიის მიზეზებზე. ბაზრის შემთხვევაში - ინფორმაცია გაცვლის შესაძლებლობებზე. ქსელების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია ერთობლივი მუშაობის უნარის შესახებ. ყოველი ეპოქის ინფორმაციული კულტურა მკვიდრდებოდა სოციალიზაციის, განათლების, კანონების და დასჯის შესრულების მეშვეობით.

საინფორმაციო ეპოქამ ხელი შეუწყო ორ უმნიშვნელოვან- ეს ტენდენციას ორგანიზაციების განვითარებაში: მცირე ჯგუფების გავლენის ზრდას, აგრეთვე ორგანიზაციის ქსელური ფორმების განვითარებას. ორი ტენდენცია გავლენას ახდენს ერთმანეთზე, რადგან მცირე ჯგუფების ქსელები უფრო მეტ გავლენას იძენენ, ვიდრე ადრე ჰქონდათ.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ქსელების ის ტიპი, რომელსაც „ყველაარხიანი ქსელები“ ჰქვია და რომელშიც ქსელის განცალკევებული მცირე წევრები კონსულტაციების, კოორდინაციისა და ერთობლივი მოქმედებებისთვის, როგ- ორც წესი, უკავშირდებიან ერთმანეთს არაიერარქული ხერ- ხით, უდიდეს მანძილებზე, უკეთესი და უფრო იოლად გა-დასაცემი ინფორმაციის საფუძველზე, ვიდრე აქამდე.

ორგანიზაციის ქსელური ფორმების განვითარება უკვე გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. მაგალითად, სახელმწიფოს დონეზე ეს ტენდენცია ხელს უწყობს უწყებათაშორისი მექანიზმების ფორმირებას იმ რთული პოლიტიკური საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ბევრი უწყების იურისდიქციას შეე-

ხება. ბაზრის სფეროში, ამ ტენდენციამ ხელი შეუწყო იაპონური ქეირეცუს და მისნაირი გავრცელებული გლობა-ბალური საწარმოების გავრცელებას.

სამოქალაქო საზოგადოების მოქმედი პირები უდიდეს უპირატესობას ღებულობენ ქსელური ფორმების გავრცელებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ბოლო დრომდე ერთმანეთისგან იზოლირებულად მოქმედებდნენ, ახლა გაერთიანებას იწყებენ. ეს ტენდენცია ყველაზე აშკარად ვლინდება მთელ პოლიტიკურ სპექტრში მცირე არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალორგანიზაციულ ქსელებში. უფრო მოსალოდნელია, გრძელვადიან პერსპექტივაში, რომ სამოქალაქო საზოგადოება სხვა სფეროებზე უფრო მეტად განმტკიცდება. ბუნებრივია, ასევე, რომ საზოგადობრივი ორგანიზააციის ქსელური ფორმის განვითარება სახელმწიფოებზეც ახდენს გავლენას.

მეორე მხრივ, ქსელების განვითარება ახალ კონფლიქტებს წარმოშობს. ძალა გადადის მცირე გაერთიანებებისკენ, როგორც წესი, არასახელმწიფო მოქმედ პირებთან, რომლებსაც გაცილებით უფრო იოლად შეუძლიათ ქსელებად გაერთიანება, ვიდრე ტრადიციულ სახელმწიფოებს. არამარტო სამოქალაქო საზოგადოება, არამედ ისეთი ჯგუფებიც, როგორიცაა ტერორისტები და დამნაშავეები, სარგებელს პოულობენ ქსელური ფორმების განვითარებისგან. ამასთანავე, იერარქიებს ძალიან უჭირთ დაპირისპირება ქსელურ ფორმებთან. ქსელებთან ბრძოლისთვის საჭიროა ქსელები. იმავდროულად, თანამედროვე სახელმწიფოს ბევრ ინსტიტუტს (მაგალითად, შეიარაღებულ ძალებს) არ შეუძლიათ იერარქიების გარეშე.

ჩეჩნების ბრძოლა რუსეთის ფედერალური ძალების წინააღმდეგ აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია მეამბოხეთა ქსელურად ორგანიზებულ ძალებს, შემდგარს 15-20 ადამიანის რიცხ-

ოვნობის ბანდებისგან, დაუპირისპირდეს თანამედროვე არმიას. ეს მაგალითი, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ქსელური პრინციპით ორგანიზებულ ძალებს შეუძლიათ ბრძოლა არამარტო პარტიზანულ ომში, არამედ საშუალო და მაღალი ინტენსიურობის კონფლიქტშიც. ქსელური პრინციპით ორგანიზებული მოწინააღმდეგის გამოჩენა სვამს საკითხს - წარმოადგენს თუ არა თანამედროვე შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები ყველაზე გამოსადეგ სტრუქტურას ამგვარ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებისთვის.

იერარქიები არ არის დრომოჭმული სტრუქტურა. მაგრამ ისინი უნდა შეეგუონ ახალ პირობებს. აუცილებელია ორგანიზაციის იერარქიული და ქსელური ფორმების შეხამება, რაც თავისთავად წარმოადგენს ურთულეს ამოცანას. ზოგიერთ სფეროში ქსელურმა ორგანიზაციამ შეიძლება შეცვალოს იერარქიული. სხვებში შეიძლება გამოჩნდეს იერარქიის ახალი სახეობები, უკეთესად მისადაგებული საინფორმაციო ეპოქასთან. მესამე სფეროებში საუკეთესო გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს ორგანიზაციის ორი ფორმის ჰიბრიდები.

უნდა განსხვავდეს ერთმანეთისგან „ორგანიზაციათა ქსელები“ და „ქსელური ორგანიზაციები“. „ორგანიზაციათა ქსელი“ შედგება მრავალ აქტორისგან, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციას, ვისი ურთიერთობები არ არის იერარქიული. „ქსელური ორგანიზაცია“ არის ფორმალური ორგანიზაცია (მაგალითად, კორპორაცია), რომლის შიდა სტრუქტურა ინარჩუნებს თავის საფუძველში იერარქიას, მაგრამ იღებს, ასევე, ქსელურ ფორმებს.

საყოველთაოდ მიღებული შეხედულება ძალაზე ამოდის იქიდან, რომ ძალა, განსაკუთრებით, სახელმწიფო ხელისუფლება, დაკავშირებულია კონტროლთან. ესე იგი, ხელისუფ-

ფლების გაზრდა ნიშნავს კონტროლის გაზრდას. მაგრამ ეს სტანდარტული ვარაუდი მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. ხანდახან ძალა შეიძლება გაიზარდოს მაჰარმონიზებელი დეკონტროლირების მეშვეობით. ხანდახან, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერსპექტივაში, ახალი მსხვილი სისტემის აღმოცენებისას, ეს სისტემა საუკეთესოდ ფუნქციონირებს, თუ მას შეუძლია ფუნქციონირება საკუთარი წესებით. ამის მაგალითია ბაზრების ზრდა ევროპაში XVI – XVIII საუკუნეებში. იმ დროის აბსოლუტისტური სახელმწიფოები მიეჩვია ეკონომიკური და სხვა საქმიანობის კონტროლს. ცდებმა, გაეგრძელებინათ ამ მიდგომის გამოყენება შემდგომშიც, გამოიწვია მერკანტილიზმის აღმოცენება.

დღეს მსოფლიო არის სხვა სისტემური ცვლილების ზღურბლზე. ჩვენს დროს ეს არის ორგანიზაციის ქსელური ფორმის ზრდა, მისი თანმხლები გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა არასახელმწიფო მოქმედი პირებისა, აგრეთვე საინფორმაციო რევოლუციის შედეგები. ეს სისტემური ცვლილება შეიძლება აღმოჩნდეს ინფორმაციული სტრატეგიის, როგორც დიდი სტრატეგიის ნაწილის აღმოცენების კატალიზატორი. იმავე დროს, სახელმწიფოთა უმრავლესობა (თუ ყველა არა) მოქმედებს არასახელმწიფო მოქმედ პირთა ახალი თაობის მიმართ თავისი ხელისუფლების დაცვის მიმართულებით. გარკვეულწილად, ქსელების ერის განთიადი ოცდამეერთე საუკუნის ზღურბლზე, არის ფენომენი, რომელიც ჰგავს ბაზრისერის განვითარებას მეთვრამეტე საუკუნეში. ბევრი სახელმწიფო მიისწრაფვის იქითკენ, რომ გააგრძელოს ძლიერი სახელმწიფო კონტროლის პერიოდი, პერიოდი „საინფორმაციო მერკანტელიზმისა“. სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც XVIII საუკუნეში, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია კონტროლთან, თუმცა

გრძელვადიანმა ტენდენციებმა უნდა აიძულონ წამყვანი სახელმწიფოები, გადავიდნენ ორგანიზაციის ქსელურ ფორმებზე და უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე სამოქალაქო საზოგადოების აგენტებთან.

საინფორმაციო რევოლუცია იწვევს საერთაშორისო კონფლიქტების ახალი ფორმების გაჩენას. თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობა სულ უფრო მეტად განიცდის მოთხოვნილებას მონაწილეობდეას მოვლენებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ცხოვრებაზე. ამ მოთხოვნილების რეალიზაცია შეიცავს, როგორც საფრთხეებს, ისე შესაძლებლობებს. მათ შეიძლება გამოიწვიონ ანარქია, ეთნიკური ძალადობა ან სოციალური დეზინტეგრაცია. მეორე მხრივ, შესაბამისი ეროვნული და გლობალური ჩარჩოების არსებობისას, ის შეიძლება გახდეს ახალი, უფრო სამართლიანი საზოგადოების შექმნის ინოვაციის წყარო.

როგორც აღნიშნულია, გაეროს განვითარების პროგრამის მოხსენებაში, უკანასკნელ წლებში გაჩნდა უამრავი ახალი შესაძლებლობა. პირველად „ცივი ომის“ დაწყებიდან, შემცირდა გლობალური სამხედრო ხარჯები, დასრულდა „ცივი ომი“ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, იდეოლოგიური და-პირისპირება შეიცვალა უფრო პრაგმატული პარტნიორობით საბაზრო ეფექტურობასა და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას შორის. ადამიანები იქცევიან ეროვნული და გლობალური დიალოგების ცენტრად.

კონფლიქტების შესაძლო ფორმების განხილვისას, არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ სამხედრო აზრი შედგება ერთიანობისგან - თეორიების, მიდგომების, შეხედულებებისა და პარადიგმებისა, რომლებიც კონკრეტულ ეპოქას, საზოგადოებას ან პირს ეკუთვნიან. სამხედრო თეორია დაკავშირებულია ისტორიულ დაკვირვებასთან და ორგანიზაციის, სტრატეგიის, ტაქ-

ტიკის, ტაქტიკისა და პროცედურების სისტემატურ შესწავლასთან, დაწყებული ანტიკურობიდან, დღემდე. ის არის განათლების საშუალება როგორც სამხედროების, ისე პოლიტიკოსთათვის. ასევე, იძლევა საფუძველს, რათა შემუშავდეს დოქტრინა, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის საერთო ფილოსოფიას და პრაქტიკას რეალურ სამყაროში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის (ან საბრძოლო მოქმედებების, ან სხვა საშუალებების მეშვეობით). მოკლედ რომ ითქვას - დოქტრინა არის საყოველთაოდ მიღებული კანონი.

როგორც წერდნენ ალვინ და ხეიდი ტოფლერები, თავის გახმაურებულ ნაშრომში, „ომი და ანტიომი“, „ომის წარმოების გზა ასახავს კეთილდღეობის გაძლიერების მეთოდებს, ანტიომის წარმოების გზა კი - უნდა ასახავდეს ომის წარმოების გზებს.“ შესაბამისად, ომების ისტორია შეიძლება დაიყოს სამ დიდ პერიოდად (ან ავტორთა ტერმინოლოგიით, ტალღებად), რომლებიც შეესაბამება კაცობრიობის ცივილიზაციათა განვითარების ისტორიას: აგრარულ, სამრეწველო და საინფორმაციო. ტოფლერების მოდელის შესაბამისად, მომავალმა ომებმა მესამე ტალღის ცივილიზაციებისთვის უნდა მიიღოს საინფორმაციო ომების ფორმა. ხშირად ფიქრობენ, რომ საინფორმაციო ომი - ეს არის ომი, დაფუძნებული კავშირგაბმულობის სრულყოფილ სისტემებზე, კოსმოსთან მისაწვდომობასა და რეალურ დროში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან.

ფაქტობრივად კი, ტექნოლოგიური სიახლეების უბრალო გამოყენება - არის ძველი საბრძოლო მოქმედებების წარმოების ახალი გზა. ეს არის საინფორმაციო ეპოქის ომი და არა საინფორმაციო ომი. ბრძოლა ინფორმაციისთვის განსხვავდება ბრძოლისაგან ტერიტორიებისა და ბუნებრივი წიაღისეულისთვის. საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები და სახელმწიფოებიც კი, რომლებიც ინფორმაციისთვის იბრძვიან, მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება იმათგან, ვინც მატერიალური რესურსებისთვის იბრძოდა. თვითონ ინფორმაციის ბუნება გავლენას უნდა ახდენდეს მთავრობის პოლიტიკაზე, დაადგინოს შეზღუდვები სახელმწიფო სუვერენიტეტზე. საინფორმაციო საშუალებების მუდმივი სრულყოფა და დაცვა წარმოადგენს „მესამე ტალღის“ საზოგადოებების გადარჩენის წინაპირობას.

უძველეს დროიდან მტრები ომებს აწარმოებდნენ ხუთ განზომილებაში - პოლიტიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, ოპერატიულ და მომარაგების სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული ძლიერების ოთხ ელემენტთან - პოლიტიკურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სამხედრო და ეკონომიკურთან. იგნორირებამ ერთი მათგანისაც კი, შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული დამარცხება. პოლიტიკური განზომილება შედგება პოლიტიკური მიზნებისა და პოლიტიკის, როგორც პროცესისგან. პოლიტიკური მიზნები ყოველთვის წარმართავდნენ ომებს, თუმცა არა ყოველთვის ბოლომდე თანმიმდევრულად. სოციალური განზომილება - ადამიანების შეხედულებები და ვალდებულებები - ასევე მნიშვნელოვანი რჩება. ტექნოლოგია ზემოქმედებს ყოველ განზომილებასა და ომის ყველა დონეზე. ის ურთიერთობს კულტურასა და მოვლენებთან და დროსა და სივრცეში, და ზემოქმედებას ახდენს კონფლიქტის ხანგრძლივობაზე, ბუნებასა და შედეგებზე. ოპერატიული განზომილება დაკავშირებულია ომის წარმოებასთან. ის ძირითადად შედგება ბრძოლის ველზე დომინირების და ბრძოლაზე მტრის ნების მოშლის ცდებისგან.

საინფორმაციოსწინა ეპოქის უკანასკნელი დომინირებადი ოპერატიული კონცეფცია იყო კონცეფცია თანმიმდევრული ოპერაციებისა, როდესაც ბრძოლაში თანდათან შეჰყავდათ (ეშე-

ლონებათ) სულ ახალ-ახალი რეზერვები, და გამარჯვება დამოკიდებული იყო ამ რეზერვების არსებობასა და მათი გამოყენების მომენტის სისწორეზე. მაგრამ უკვე 1980-იანი წლების შუახანებისთვის, ბრძოლის ველის მთელ სიგრძეზე დარტყმის ერთდროულად მიყენების უნარმა, თანმიმდევრული ოპერაციები მოძველებულად აქცია.

საბრძოლო მოქმედებები მომავალში ჩართავენ თავისთავში მრავალ ამოცანას და უამრავ ერთროულ მოქმედებას, წარმოებულს უდიდეს ტერიტორიებზე. საინფორმაციო ტექნლოგიები, რომლებიც ჩნდება, იძლევა მძლავრ შესაძლებლობებს გადაწყვეტილებების მიმღები პირისთვის, მაგრამ მათვე გააჩნიათ უამრავი შეზღუდვა. ამასთან, ისინი მოწყვლადია. ინჟინერიის თვალსაზრისით, მართვის და კონტროლის სისტემების ყოველი ახალი თაობა უფრო რთულია, ვიდრე წინანდელები. თუმცა, მომხმარებლები აღიარებენ და იღებენ ამ სირთულეს, ისინი მოითხოვენ მოწყობილობებს, რომელთა გამოყენება იოლია.

ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლუციამ სამხედრო საქმეში აუცილებელი გახადა საინფორმაციო განზომილების განხილვაც. მაგრამ ჩვენ არ უნდა განვიხილოთ ინფორმაცია, როგორც ფიზიკური განზომილება (როგორც ტერიტორია, ჰაერი ან ზღვა). საინფორმაციო უპირატესობა არ მუშაობს ისევე, როგორც უპირატესობა ჰაერში. საბრძოლო მოქმედებების წარმოება ახალ პირობებში მოითხოვს სრულიად ახალ პარადიგმასაც. მისი ძირითადი დებულებები შეიძლება დაყვანილი იქნას შემდეგამდე:

-სისტემის ყოველი კომპონენტი როლს თამაშობს შედეგის განსაზღვრაში;

-პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი მოვლენები თანაარსებობენ და ურთიერთობენ, იწვევენ რა კომპლექსური

ქსელების შექმნას, უამრავი რაოდენობის ცვლადი სიდიდეებით, რომლებიც შეუძლებელს ხდიან შედეგის პროგნოზს;

-მცირე ცვლილებას შესვლის სისტემაში, შეუძლია გამოიწვიოს არაპროპორციულად დიდი ცვლილებები შედეგებში;

-სისტემებს - ცალკეულ პირებს, არმიას, ბიუროკრატიას- გააჩნიათ თვითგართულებისკენ ევოლუციის ტენდენცია;

-კომპლექსურ სისტემებს გამოწვევებთან შეხვედრისას, შეუძლიათ თვითრეორგანიზაცია.

ამგვარი პარადიგმის ფარგლებში მეტოქეობას (ან საბრძოლო მოქმედებებს), შესაძლოა, ყველაზე მეტად შეუძლია მიიღოს ფორმა საინფორმაციო ომისა, რომელიც ნიშნავს კონფლიქტს, დაკავშირებულს ინფორმაციასთან სტრატეგიულ დონეზე, სახელმწიფოებს ან საზოგადოებებს შორის. ის შეიძლება შეიცავდეს დიპლომატიას, პროპაგანდას და ფსიქოლოგიურ კამპანიებს, პოლიტიკურ და კულტურულ ძირგამომთხრელ მუშაობას, ყალბი მონაცემების მიწოდებას მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ წყაროებში, შეღწევას საინფორმაციო ქსელებსა და მონაცემთა ბაზებში, ოპოზიციური ან დისიდენტური მოძრაობების წინ წაწევას კომპიუტერული ქსელების მეშვეობით. მთავარ მიზნებს წარმოადგენს ის საზოგადოებრივი და ეკონომიკური სფეროები, რომლებიც საკმაოდ იოლად მისაწვდომია. საინფორმაციო ომი შეიძლება აწარმოოს მთავრობამ, იმ უკანონო ჯგუფებსა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ჩართულია ტერორიზმში, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასა ან ნარკოტიკების გავრცელებაში. ან პირიქით, ის შეიძლება წარმოებდეს კონკრეტული მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ ინ ჯგუფებისა და მოძრაობების მიმდევრების მიერ, რომლებიც დაკავშირებულებია გარემოს, ან სამოქალაქო უფლებების, რელიგიური თავისუფლებების დაცვის საკითხებთან.

ზოგიერთი მოძრაობა, თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, სულ უფრო მეტად იყენებს ტრანსსაზღვრული ქსელებისა და კოა-ლიციების ორგანიზაციას, და ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნოლოგიებს. ეს სავსებით შეიძლება აღმოჩნდეს ახალი იდეოლოგიური კონფლიქტის სცენა, რომლის მთავარი მახასიათებელი იქნება საინფორმაციო ომი.

საინფორმაციო ომის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს აუცილებლობა, იცოდე მტრის სისტემის არქიტექტურა და პარამეტრები. მხარე, რომელსაც უკეთ ესმის მტრის მოტივაცია, სტრუქტურა და მიზნები, უკეთესად არის მომზადებული კონფლიქტისთვის. მტრის კულტურის გაგება და მის საზოგადოებაში საინფორმაციო ქსელების გამოყენება მნიშვნელოვანი რჩება.

გლობალური საინფორმაციო ომი კომპიუტერული დამნაშავეობისგან იმით განსხვავდება, რომ გულისხმობს მტრულ მოქმედებებს მოწინააღმდეგის მხრიდან - იქნება ის კერძო პირი, კონკურენტი ორგანიზაცია თუ მტრული სახელმწიფო - ჰეგემონიისთვის ბრძოლაში ბაზარზე თუ პოლიტიკურ არენაზე. უ. შვარტაუ, ავტორი წიგნისა „საინფორმაციო ომი: ქაოსი ელექტრონულ სუპერჰაივეიზე“, ინფორმაციულ ომს განსაზღვრავს, როგორც „ელექტრონულ კონფლიქტს, რომელშიც ინფორმაცია არის სტრატეგიული აქტივი, ღირსი დაპყრობის ან მოსპობისა“.

შესაძლებელია, რომ საინფორმაციო ომებთან ყველაზე ახლოს მივიდა ომი ყურეში. მაგრამ, მიუხედავად მიკროპროცესული ტექნიკის საკმაოდ ფართო გამოყენებისა, ეს ომი მაინც არ იყო მთლიანად საინფორმაციო. აქ საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენებოდა მხოლოდ, როგორც ჩვეულებრივი შეიარაღებების „ძალის გამაძლიერებელი“.

მაგრამ საინფორმაციო ომი უფრო ფართოა, ვიდრე უბრალო სამხედრო განზომილება. ის გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე

საბრძოლო მოქმედებები მართვის და კონტროლის სფეროში. საინფორმაციო ომის მიზნების ნაკრები, ძირითადად არ იქნება სამხედრო მიიზნების ერთიანობა. ფართო პერსპექტივაში, საინფორმაციო ომი ბევრ განზომილებაში წარმოეს, წარმოადგენს რა სახელმწიფო სტრატეგიას, რომელიც საქმეში რთავს ეროვნული ძლიერების ყველა ბერკეტს, სტრატეგიულ დონეზე უპირატესობის შექმნისთვის. ის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ომის თანამედროვე ინსტრუმენტების ეფექტურობის გაზრდისთვის. ის წარმოადგენს მოქმედებებს, აუცილებელს იმისთვის, რომ მოხდეს პარალიზება მოწინააღმდეგის არამარტო სამხედრო მართვის და კონტროლის სისტემებისა, არამედ პოლიტიკური და ფინანსურისაც.

უკვე ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს საინფორმაციო ომის რამდენიმე ძირითადი ნიშანი.

ჯერ ერთი, საინფორმაციო ომის წარმოება საკმაოდ იაფია. ტრადიციული სამხედრო ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, ინფორმაციული ტექნოლოგიები არ ითხოვენ ესოდენ დიდ კაპიტალდაბანდებებს და აუცილებელ სახელმწიფო მხარდაჭერას. კომპიუტერების ექსპერტების და ქსელების მისაწვდომობის არსებობა, შეიძლება იყოს ერთადერთი წინაპირობა „საინფორმაციო იარაღის შექმნის და გამოყენებისა“.

წარსულში ომისთვის საჭირო იყო სახელმწიფოს ყველა რესურსი. ახლა ნებისმიერს, შედარებით იაფი მოწყობილობით და ტექნიკური ცოდნის მცირე ოდენობით, შეუძლია მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული ზარალის მიყენება. საინფორმაციო შეტევისთვის აუცილებელი ტექნიკური შესაძლებლობები იმდენად უმნიშვნელოა, თვით შეტევის ობიექტის - ინფორმაციის ღირებულებასთან შედარებით, რომ მუქარა საკმაოდ

რეალურია. მაგალითად, 1994 წლის დასაწყისში 16 წლის ბრიტანელმა ხაკერმა და მეორე ბოროტმოქმედმა, რომლის ეროვნულობა დაუდგენელი დარჩა, შეაღწიეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო ლაბორატორიის საინფორმაციო სისტემაში რომში, ნიუ ჯერსიში. გენერალური საანგარიშო სამმმართველოს ცნობით, ბოროტმზრახველებს, თავისი შეღწევის შემდეგ, შეეძლოთ დაეკოპირებინათ კრიტიკული ინფორმაცია და შეეტიათ სხვა სახელმწიფო სააგენტოების სისტემებზე, გოდარში, ნასას ცენტრის, რაიტ პატერსონის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის, ზოგიერთი თავდაცვითი სფეროს მეწარმეების, აგრეთვე, კერძო სექტორის ორგანიზა-ციების ჩათვლით. უსაფრთხოების გაერთიანებულმა კომისი- ამ დაახასიათა აშშ-ის მოწყვლადობა საინფორმაციო ომის მიმართ, როგორც „უსაფრთხოების სფეროში ამ ათწლედის და, შესაძლებელია, შემდგომი საუკუნის მთავარი გამოწვევა“. ზოგიერთი ამბობს, რომ საინფორმაციო ომი უკვე წარმოებს.

მეორე, იშლება ტრადიციული განსხვავება საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს შორის, ისევე, როგორც სამხედრო მოქმედებებსა და დანაშაულებრივ ქცევას შორის. იშლება აღიარებული სახელმწიფოთაშორისი საზღვრები.

მესამე, ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფო- ები, ყველაზე მოწყვლადი არიან საინფორმაციო შეტევების წინაშე. მაგალითად, შეერთებული შტატები არის საინფორმაციო სფეროში ყველაზე განვითარებული და, იმავდროულად, ყველაზე მოწყვლადი ქვეყანა. რუსეთში ინფორმაციული მოწყვლადობის პრობლემები წარმოიშვა შედარებით ცოტა ხნის წინ, რისი შედეგიცაა, მათი გადაჭრის გამოცდილების არარსებობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ „საბრძოლო მოქმედებებს“ ინფორმაციის სფეროში შეიძლება ბევრი ფრონტი ჰქონ-

დეს. საინფორმაციო ომის ცნება უკვე არ შემოიფარგლება სუფთა სამხედრო სფეროთი. საინფორმაციო ომი შეიძლება ემუქრებოდეს, მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკას. თუმცა ბანკები ცდილობენ საიდუმლოდ შეინახონ თავის საინფორმაციო სისტემებში არასანქციონირებული შეჭრის ფაქტები, კომპიუტერული უსაფრთხოების დარგის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ყოველწლიუ რად ევროპასა და ამერიკაში ადგილი აქვს ბანკების კომპიუტერებში შეღწევის დაახლოებით 36 შემთხვევას თითოეულ შემთხვევაში 1 მლნ დოლარზე მეტის ქურდობით. რეალურად კი, ამგვარი ფაქტების შეფასება რუსეთისთვის საერთოდ შეუძლებელია.

შეტევები შეიძლება მოხდეს ფიზიკურ, ლოგიკურ და სემანტიკურ დონეებზე. ფიზიკურ დონეზე ხდება სააპარატო საშუალებების ფიზიკური განადგურება. ლოგიკურ დონეზე შეტევის ობიექტი არის პროგრამული პროდუქტები. სემანტიკურ დონეზე შეტევის მიზანი არის გავლენა იმ ნდობაზე, რომელსაც მომხმარებლები იჩენენ საინფორმაციო სისტემებისა და ქსელებისადმი, რათა გავლენა მოახდინონ იქ არსებული ინფორმაციის მათეულ შეფასებაზე. ეს ტიპი არის კიდევ ერთი ნაირსახეობა იმისა, რასაც ეწოდება ფსიქოლოგიური ოპერაციები.

ასევე, არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ ომების რევოლუციურობა განისაზღვრება არა რევოლუციური შეიარაღებით, ისევე, როგორც ომი სტატუს-კვოსათვის არ განისაზღვრება ძველი იარაღით. ომი შეცვალა არა ახალი იარაღის გამოგონებამ, არამედ დიდმა ცვლილებებმა ყოველდღიურ ცხოვრებაში - ხალხის ცხოვრებაში საზოგადოებაში. ყოველდღიური ცხოვრების ახალი საგნები - სწორედ ესენია ის, რამაც მოიტანა რევოლუცია სამხედრო საქმეში. რევოლუციური ომი არის იდენ-

ტობის შეგნება, ამიტომ შემდეგი მოწინააღწინააღმდეგე არის არა დიდი ქვეყანა, ჩინეთის ტიპის, და არა მცირე, დინამიურად განვითარებადი, სინგაპურის ტიპისა. შემდეგი მოწინააღმდეგე, როგორც ადგილი რუკაზე, ამჟამად არ არსებობს, ის ჯერ უნდა შეიქმნას. მასთან ერთად წარმოიქმნება მისი თვითშეგნება. ჰოლანდია მხოლოდ მაშინ იქცა მუქარად ჰაბსბურგების ესპანეთისთვის, როდესაც ის ჰოლანდია გახდა. იარაღის უპირატესობა არ არის მუქარა, ეს უბრალოდ გამარჯვების ხერხია. ამიტომ, ყოველი ჰეგემონური სახელმწიფო სტატუსკვო, რომელიც სტაბილურობისკენ მიისწრაწრაფვის, უნდა ეძებდეს შემდეგ მოწინააღმდეგეს იმ საზოგადოებებში, რომლებიც იბრძვიან პოლიტიკური თავისუფლებისთვის, ან იმ მოძრაობებში, რომლებიც უარყოფენ არსებული მსოფლიო წესრიგის ლეგიტიმურობას.

საინფორმაციო ომის ყველაზე ფართო და განზოგადებუ- ლი განსაზღვრების შესაბამისად (რომელიც რ. შაფრანსკიმ მისცა), საინფორმაციო ომი წარმოადგენს საინფორმაციო იარაღის გამოყენებას, მოწინააღმდეგის ცოდნისა და წარმოდგენების სისტემებზე ზემოქმედებისთვის. ამ შემთხვევაში, პრიმიტიული ტიპის საზოგადოებებიც კი შეიძლება გახდეს ობიექტი, ამგვარი ომის ზემოქმედებისთვის. თუ ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში საინფორმაციო იარაღი შეიძლება გამოყენებული იქნას ტელეკომუნიკაციური სისტემების წინააღმდეგ, პრიმიტიულ საზოგადოებებში ის შეიძლება მიმართული იქნას ტოტემებზე ან ტაბუს სისტემებზე.

თუმცა, არსებობს ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ოპერაციების დაახლოების ტენდენციები (ორივეს საბოლოო მიზანი, არის ადამიანის გონება), არის განსხვავებებიც. ფსიქოლოგიური ოპერაციები ზემოქმედებენ საინფორმაციო სივრცის იმ

სეგმენტზე, რომელიც ადამიანთან დაახლოებულია (მის საკუთარ კომუნიკაციურ გარემოზე). ფსიქოლოგიური ოპერაციები მიმართულია იმაზე, რომ შექმნან კონკრეტული კომუნიკაციური გარემო მათთვის საინტერესო ობიექტის ირგვლივ ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ინფორმაციული კონტექსტების შეცვლის დახმარებით. საინფორმაციო ოპერაციებისთვის უფრო დამახასიათებლად უნდა იქნას აღიარებული ორიენტაცია ყველასთვის საერთო კომუნიკაციურ გარემოზე. მათი მიზანია კონტროლი მთლიანად საინფორმაციო სივრცეზე.

გლობალიზაციამ, ლიბერალიზაციამ ყოფილ ავტორიტარულ სახელმწიფოებში, საინფორმაციო რევოლუციამ, გავლენა მოახდინეს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და მუქარის ბუნებაზე თანამედროვე მსოფლიოში.

ამის ყველაზე მკაფიო გამოვლინებას, წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ასიმეტრიული მუქარის მნიშვნელობის გაზრდა. თავის ყველაზე საერთო სახით, ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებები ცდილობენ გამოიყენონ ერთი მხარის შედარებითი უპირატესობები, მეორე მხარის შედარებითი მოწყვლადობის წინააღმდეგ. ასიმეტრიული მუქარა გულისხმობს, რომ ერთი მხარე უუნაროა (საკუთარი რესურსების უკმარისობის ან მოწინააღმდეგის ძალის გამო) ჩვეულებრივი გზით დაუპირისპირდეს ოპონენტს იმ საშუალებების გამოყენებით, რაც მას აქვს. ამიტომ, ეს მხარე ირჩევს ასიმეტრიულ მიდგომას. ამრიგად, ასიმეტრიული შეტევები იყენებენ მოწიწინააღმდეგის მოწყვლადობას. ამასთან, ცდილობენ შეიმუშაონ სტრატეგია, რომელიც ძირეულად ცვლის თვით ბრძოლის ველს.

სტრატეგიულ დონეზე ცდილობენ გამოიყენონ სამოქალაქო მოსახლეობის შიში და დაასუსტონ დემოკრატიული პროცესის

საზოგადოებრივი მხარდაჭერა, ძირი გამოუთხარონ მთავრობას ან მოახდინონ არსებული ალიანსების კომპრომეტირება. ტაქტიკურ დონეზე ამოცანა არის - აიძულო მოწინააღმდეგე შეცვალოს თავისი კურსი ან ტაქტიკა. მეორე მიზანი შეიძლება იყოს შეტევის ჩატარება, რომლის უკუკდება მოწინააღმდეგისთვის იქნება ძნელი და რთული. მუქარები, დაკავშირებული ტერორიზმთან, კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციასთან, მშვიდობის შენარჩუნებაზე მიმართულ ოპერაციებთან, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიებთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, წარმოადგენენ მაგალითებს, უფრო ძლიერი მოწინააღმდეგისადმი მი დაპირისპირების ასიმეტრიული მიდგომისა.

დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ ასიმეტრიულ მუქარებს იყენებენ მხოლოდ დასავლეთის ოპონენტები, არა საკმაოდ ძლიერები ბრძოლის ნებისმიერ სხვა სახეობაში, უარყოფს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების სერია, რომელშიც ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებები განიხილება, როგორც გასაღები დასავლეთთან მომავალი კონფლიქტებისა (სამხედრო თუ სხვა). აღიარა რა, რომ არ შეუძლია შეედაროს დასავლეთს ჩვეულებრივ ან ბირთვულ შეიარაღებებში, ჩინეთის სახალხო არმიამ დაიწყო საინფორმაციო ომის ტექნოლოგიების განვითარება, ვირუსების ჩათვლით, მოწინააღმდეგის საინფორმაციო და მმართველობის ინფრასტრუქტურის ნეიტრალიზაციისა თუ დასუსტებისთვის. ცხადდება, რომ შესაძლებელია მტრის ერის ჩაგდება პანიკასა და პოლიტიკურ კრიზისში.

ამრიგად, ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების სამუშაო განსაზღვრება შემდეგია - ის არის ცდა, მოწინააღმდეგის მოწყვლადობის გამოყენებით, შემოევლოს ან ძირი გამოეთხაროს მის

ძლიერ მხარეებს იმ მეთოდებით, რომლებიც განსხვავდება მოწინააღმდეგის ჩვეულებრივი მოქმედებისგან.

ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების ინსტრუმენტე- ბია მასობრივი განადგურების იარაღის, ბალისტიკური ან ფრთიანი რაკეტების, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, საბრძოლო მოქმედებების გადატანა ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების მოქმედებებისთვის მოუხერხებელ გარემოში (ქალაქსა თუ ჯუნგლებში).

2000 წლის დასაწყისში გფბ-ს დირექტორმა ლ. ფრიმ განაცხადა, რომ აშშ-ში კიბერშეტევების რიცხვი ერთი წლის განმავლობაში გაორმაგდა. ასევე, არსებობს მუქარა, რომ უცხოეთში აშშ-ის ინტერვენციის შემთხვევაში, მოწინააღმდეგეს შეუძლია გამოიყენოს საინფორმაციო იარაღი სტრატეგიულად სამოქალაქო საზოგადოების ძირის გამოსათხრელად. ეგრეთწოდებულ კიბერომს შეუძლია შეანელოს მთავრობაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. თუმცა დამწყები ხაკერები კი იღებენ დიდ ნაწილს ამგვარი „განთქმულობის“- სა, ნამდვილ მუქარას წარმოადგენენ მხოლოდ პროფესიონალები, ან „კიბერდაქირავებულები“. ეს ტერმინი ჩვეულებრივად აღნიშნავს ღია ბაზარზე მოქმედ კარგად მომზადებულ ადამიანებს, გამოსულებს სახელმწიფო სააგენტოებიდან თუ კომერციული საინფორმაციო სამსახურებიდან. კოლუმბიის ნარკოკარტელები ასეთ სპეციალისტებს ქირაობდნენ კავშირგაბმულობის სრულყოფილი სისტემის შექმნისთვის. ამსტერდამის კრიმინალური დაჯგუფებები იყენებდნენ მათ პოლიციის კავშირგაბმულობის დარღვევის და მისი საინფორმაციო სისტემის დაზიანებისთვის. ასეთი პროფესიონალები, დამწყებ ხაკერებისგან განსხვავებით, საკმაოდ მობილურებია და წარმატებით თანამშრომლობენ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან. ამასთან, რუსეთისა და აღმოსავ-

ლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო სტრუქტურები ბაზარს საკმაო რაოდენობით ამგვარ სპეციალისტებს აწვდიან.

კონფლიქტების ახალი ფორმების გაგებისთვის სასარგებლო ინსტრუმენტებს წარმოადგენენ ქსელური ომისა და კიბერომის კონცეფციები. თუმცა ქსელურიც და კიბერომებიც დაკავშირებული არიან საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, უფრო ღრმა დონეზე ისინი წარმოადგენენ ცოდნისთვის ომის ფორმებს - ვინ იცის, რა, როდის, სად და რატომ, და რამდენად უსაფრთხოა საზოგადოება ან შეიარაღებული ძალები თავისთავზე და მოწინააღმდეგეზე ცოდნის მიმართ.

ქსელური ომი ნიშნავს კონფლიქტს, დაკავშირებულს ინფორმაციასთან, სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს შორის. ეს ომი ნიშნავს ცდებს, დაარღვიონ, დააზიანონ ან მოდიფიცირება უყონ იმას, რაც მიზნის მოსახლეობამ იცის ან ფიქრობს თავისთავზე და გარე მსოფლიოზე. ქსელური ომი შეიძლება იყოს მიმათული ელიტურ ან საზოგადოებრივ აზრზე, ან ორივეზე. მან შეიძლება გამოიყენოს სახალხო დიპლომატია, ფსიქოლოგიური და პროპაგანდისტული კამპანიები, პოლიტიკური და კულტურული ძირგამომთხრელი მოქმედება, სიცრუე ან ხელის შეშლა მასობრივი ინფორმაციის წყაროების მუშაობისთვის, შეღწევა კომპიუტერულ ქსელებსა და მონაცემთა ბაზებში, აგრეთვე მხარდაჭერის აღმოჩენა ოპოზიციური მოძრაობებისთვის კომპიუტერულ ქსელებში. თავის საფუძველში, ქსელური ომი იყენებს არასამხედრო საშუალებებს, თუმცა, ხანდახან შეიძლება გამონაკლისიც იყოს.

არასახელმწიფო აქტორები შეიძლება იყონ ან არ იყოს დაკავშირებული ერებთან. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი შეიძლება ორგანიზებული იყოს ტრანსეროვნულ ქსელებსა და კოალიციებში. ქსელური ომის ერთ-ერთი ტიპი შეიძლება წარმოებდეს

არასახელმწიფო მოქმედ პირებს შორის, მაშინ, როდესაც მთავრობა მანევრირებს, რათა აირიდოს თანმდევი ზარალი და, შესაძლოა, მხარი დაუჭიროს კონფლიქტის ამა თუ იმ მხარეს. ზოგიერთი მოძრაობა სულ უფრო მეტად ორგანიზდება ტრანსაზღვრულ ქსელებსა და კოალიციებში, და უფრო მეტად იდენტიფირცირდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასთან (მათ შორის, გლობალური სამოქალაქო საზოგადოების), ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოებთან. ამასთან, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ისინი იყენებენ თავისი მოქმედებების მხარდაჭერისთვის. დროთა განმავლობაში ის შეიძლება გახდეს ახალი იდეოლოგიური კონფლიქტის საფუძველი.

კიბერომი ნიშნავს სამხედრო ოპერაციების მზადებას ან მათ ჩატარებას, ინფორმაციასთან დაკავშირებული პრინციპების შესაბამისად. ეს ნიშნავს გახლეჩას და დაშლას საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემებისა, რომლებიც ფართო გაგებით სამხედრო კულტურასაც კი შეიცავენ, რომლებსაც მოწინააღმდეგე ეყრდნობა. ეს ნიშნავს ცდას, იცოდე მოწინააღმდეგეზე ყველაფერი, მაშინ, როდესაც მან არაფერი იცის შენზე. ეს ნიშნავს, შექმნა ინფორმაციისა და ცოდნის თავის სასარგებლო ბალანსი, განსაკუთრებით, თუ ძალთა ბალანსი მოწინააღმდების მხარისკენ არის.

ორივე კონცეფცია (კიბერომი და ქსელური ომი) ასახავს ორ ფაქტს. პირველი - კონფლიქტი სულ უფრო მეტად იქნება დაკავშირებული ინფორმაციასა და კავშირგაბმულობასთან, მეორე - საინფორმაციო რევოლუცია ხელს უწყობს და აძლიერებს ორგანიზაციის ქსელურ ფორმას და, იმავდროულად, უფრო ძნელს ხდის იერეარქიული ფორმების საქმიანობას.

ტერმინი, ქსელური ომი, ნიშნავს აღმოცენებად სახეობას საზოგადოებრივ დონეზე კონფლიქტის (და დანაშაულის) წარმოე-

ბა-ჩადენისა, რომელიც შეიცავს სამხედროსთან ახლო მდგარ ზომებს, და, რომელშიც მოწინააღმდეგები იყენებენ ორგანიზაციის, დოქტრინის, სტრატეგიის და კომუნიკაციების ქსელურ ფორმებს. ეს ქსელური ომი განსხვავდება კონფლიქტისა და დანაშაულების ტრადიციული სახეობებისგან, რომლებშიც მოწინააღმდეგები ირჩევენ იერარქიული ორგანიზაციის, დოქტრინების, სტრატეგიების გამოყენებას. ამის მაგალითი შეიძლება იყოს მასობრივი ლენინისტური მოძრაობების გამოყენება. ქსელური ომი არის ჰამასის და არა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოქმედებების ტიპი. საზოგადოებრივი კონფლიქტის და დამნაშავეობის მთელი სპექტრის მანძილზე, მოქმედი პირები ვითარდებიან ქსელური ომის მიმართულებით. ეს შეიცავს ნაცნობ მოწინააღმდეგებს, რომლებიც ახდენს თავისი სტრუქტურებისა და სტრატეგიის მოდიფიცირებას, რათა გამოიყენოს ორგანიზაციის ქსელური ფორმების უპირატესობა (მაგალითად, ტრანსეროვნული ტერორისტული ჯგუფები, პირები, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღს ავრცელებენ შავი ბაზრის მეშვეობით, ფუნდამენტალისტური და ეთნონაციონალური მოძრაობები, ინტელექტუალური საკუთრების პირატები, კონტრაბანდისტები). მაგრამ ამის გარდა, ქსელური ომის სპექტრი შეიძლება შეიცავდეს ახალ თაობას რევოლუციონერებისა და აქტივისტებისა, რომლებიც მხარს უჭერენ ახლაღა აღმოცენებად პოსტინდუსტრიულ იდეოლოგიებს. ზოგიერთ შემთხვევაში იდენტურობა შეიძლება გადა-ადგილდეს ეროვნულ სახელმწიფოდან გლობალური სამო-ქალაქო საზოგადოების ტრანსეროვნულ დონეზე. მოქმედ პირთა ახალი ტიპი, ბევრი მათგანი, თუ უმრავლესობა არა, არასახელმწიფო აქტორებს წარმოადგენს. ზოგიერთი შეიძლება სახელმწიფოს აგენტი იყოს, ზოგიერთს თვითონ შეუძლია გადაქციოს სახელმწიფო თავის აგენტად.

ქსელური ომის მოქმედი პირი ერთდროულად შეიძლება იყოს სუბეროვნუ- ლიც და ტრანსეროვნულიც.

თვით ტერმინი „ქსელური ომი“ ხაზს უსვამს, რომ საინფორმაციო რევოლუცია უფრო მეტად დაკავშირებულია ორგანიზაციულ მოწყობასთან, ვიდრე ტექნოლოგიურ განვითარებასთან. ეს ტექნოლოგია ხელს უწყობს იმათ, ვინც დაეუფლა ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს.

ქსელური ომის არქიტიპური აქტორი შედგება ურთიერთდაკავშირებული, განაწილებული კვანძების (ან აქტიურიობის ცენტრების) ქსელისგან. ეს კვანძები შეიძლება იყოს პირები, ჯგუფები, ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციები, ან ჯგუფებისა და ორგანიზაციების ნაწილები.

ფაქტები მოწმობს, რომ ძნელადშესასრულებელი ამოცანა არის არამარტო საინფორმაციო ომისგან თავდაცვა. ამ სფეროში მუქარების შეკავების ეფექტური გეგმის შემუშავებაც კი შეიძლება თითქმის შეუძლებელი არმოჩნდეს. შესაძლო საინფორმაციო მუქარების შეკავების ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ თავდამსხმელი შეიძლება ანონიმური იყოს. მეორე პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საინფორმაციო შეტევის წყაროს იდენტიფიცირების შემთხვევაშიც კი, შეიძლება საკმაოდ ძნელი იყოს საპასუხო დარტყმის ეფექტური გზის შემუშავება (ზღურბლის პრობლემა). შემდეგი საკითხი - ვინ აგებს პასუხს საინფორმაციო ომზე? ახალი მუქარის გამოჩენაზე წარსულში ყველაზე ხშირი პასუხი იყო ახალი ორგანიზაციების შექმნა. მომავალში ოპტიმალურ პასუხებს შეიძლება მიეკუთვნოს ძველი ორგანიზაციების მოდიფიცირებაც.

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ბირთვული იარაღის გაჩენამ, შესაძლებელი გახადა შექმნა შეკავების სისტემისა, რომელიც უძრუნველყოფ-

და მშვიდობას „ცივი ომის“ პერიოდში. ბრძოლა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან, შესაძლებელია, იყო ყველაზე კლასიკური მაგალითი სსრკ-სა და აშშ-ს შორის თანამშრომლობისა. ზომების ეს კომპლექსი უზრუნველყოფდა ძალთა წონასწორობის მთელი სისტემის ცვლილებათა პროგნოზირებას და სტაბილურობას. ახლა ვითარება ძალზე სწრაფად იცვლება.

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა და ახალი მიზნების მქონე მოწინააღმდეგეების გამოჩენამ (როგორც დასავლეთის, ისე რუსეთისთვის), გამოიწვიეს მოძველება მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკისა, რომემმლიც გამოიყენებოდა „ცივი ომის“ წლებში. “ცივი ომის“ დასრულებამ გამოიწვია შემცირება მუქარების ერთი ჯგუფისა, მაგრამ გაზარდა მუქარები მეორე ჯგუფისა. ძალთა ჩვეულებრივი ბალანსი და ბირთვული შეკავება, რომლებიც მშვიდობას უზრუნველყოფდნენ 50 წლის განმავლობაში, უთმობენ ადგილს ვითარებას, როდესაც მასობრივი განადგურების იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს იმ ძალების ხელში, ვინც უფრო მოტივირებულია გამოიყენოს ის და ნაკლებად რაციონალურია ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. თვითონ მუქარების სპექტრი, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ახლა მასობრივი განადგურების იარაღის ფლობასთან მივიდნენ არამხოლოდბირთვული იარაღის ოფიციალური მფლობელები, არამედ ქვეყნებიც, რომლებიც ტრადიციულად არ აცხადებდნენ თავისთავს ამგვარი იარაღის მფლობელებად, ასევე, ერაყის, ლიბიის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ტიპის სახელმწიფოები. ამჟამად, ამგვარი იარაღის პოტენციური მფლობელები, თავისთავში შეიცავენ ძალის რეგიონულ ცენტრებს, რელიგიურ, ეთნიკურ და ნაციონალისტურ ჯგუფებს, ტერორისტებს, კრიმინალურ ორგანიზაციებს და სხვა არასახელმწიფო გაერთიანებებს.

მეორე ახალი პრობლემა არის ის, რომ აშშ-იც და რუსეთიც, შეიძლება აღმოჩნდნენ მუქარის ქვეშ სულაც არამოწინავე ტექნოლოგიების მხრიდან. მოძველებული ტექნოლოგია, ზოგიერთ შემთხვევაში 40-50 წლის წინანდელი, შეიძლება წარმოადგენდეს მუქარას. მაგალითად, შორეული მოქმედების ბალისტიკური რაკეტების პირველი თაობები. მათი წარმოების ტექნოლოგია უკვე მოძველდა, ამიტომ საკმაოდ ხელმისაწვდომია, მაგრამ ისინი შეიძლება ადრინდელივით მუქარას წარმოადგენდნენ უფრო მოწინავე ქვეყნებისთვის.

სარაკეტო იარაღის გავრცელებას ხელს უწყობს რიგი ფაქტორი:

1. საკმაოდ ხელმისაწვდომია მოქმედების შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტების ტექნოლოგია.

2. საკმაოდ იოლია სრულიად განსხვავებულ ქვეყნებში იმ ცოდნის მიღება, რომელიც დაკავშირებულია მოქმედების შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტების წარმოებასთან.

3. მსოფლიო ბაზარზე ხელმისაწვდომია მოქმედების შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტების წარმოებასთან დაკავშირებული კომპონენტები და პროგრამული უზრუნველყოფა;

4.არის სპეციალისტებიც, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ განვითარებად ქვეყნებს ამგვარი შეიარაღების წარმოებაში.

პაკისტანის და ინდოეთის შესვლა ბირთვული იარაღის ოფიციალურ მფლობელთა სიაში, არის იმის ნათელი მაგალითი, რომ ბირვული იარაღი ხელმისაწვდომი ხდება იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ამ იარაღის შემაკავებელი ფუნქციის გამოყენების ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია. ამ ქვეყნების პოლიტიკური სისტემები, საკმაოდ არასტაბილურია,

მათ მიერ საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების რაციონალურობის კრიტერიუმები კი არსებითად განსხვავდებიან იმათგან, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ის ხუთი ქვეყანა, აქამდე რომ წარმოადგენდა ამგვარი იარაღის ერთადერთ ოფიციალურ მფლობელს. ამასთან დაკავშირებით, ყველაზე მეტ შიშს იწვევს ეგრეთწოდებული „ისლამური ბომბის“ და ამგვარი იარაღის ადგილამდე გადატანის საშუალებათა შექმნის შესაძლებლობა.

პაკისტანის მიერ ჩატარებულ ბირთვული იარაღის გამოცდებში ბევრი ისლამისტი სწორედ „ისლამური ბომბის“ შექმნას ხედავს. თუმცა, პაკისტანის ამჟამინდელი მთავრობა გაცილებით უფრო ძლიერად არის დაინტერესებული, მის მიმართ აშშ-ის მიერ შემოღებული სანქციების მოხსნაში, ვიდრე ისლამისტებთან თანამშრომლობის გაღრმავებაში, არავინ შეიძლება იყოს დაზღვეული იმისგან, რომ პაკისტანში ხელისუფლება შეიძლება გადავიდეს უფრო თანმიმდევრული ისლამისტების ხელში.

თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის მიერ სსრკ-გან მემკვიდრეობით მიღებულ არსენალს, აგრეთვე ქვეყნის ამჟამინდელ საერთაშორისო სტატუსს, უეჭველი ხდება, რომ რუსეთი არის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტი ბირთვული შეიარაღებების გაუვრცელებლობის სისტემაში. ამჟამინდელი ვითარება, რუსეთის მონაწილეობით ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმში, ხასიათდება გარკვეული გაორებით. ერთი მხრივ, მისი ხელისუფლების ერთგულება გაუვრცელებლობის რეჟიმისადმი, დეკლარირებულია რუსეთის საგარეო-პოლიტიკური დაგეგმარების მთელ რიგ დოკუ-მენტში. მეორე მხრივ, ამჟამინდელი ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში, რთული ურთიერთობები ცენტრალურ მთავრობასა და სულ უფრო მეტად პრივატიზებულ სამრეწველო სექ-ტორს შორის, ასევე, არასაკმარისად სრულყოფილი კონტრო- ლი ექსპორტზე, იწვევს რიგი საეჭვო გარიგების გაჩენას იმ ქვეყნებთან, რომლებიც შეიძლება მიისწრაფოდნენ საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნისკენ.

იგივე აშშ-ი, არ არიან ყოველთვის თანმიმდევრულები მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის თავის პოლიტიკაში. როგორც განაცხადა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა: „უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვაწუხებს რუსეთის თანამშრომლობა ირანთან. ჩვენ, ადრინდელივით, იმის წინააღმდეგი ვართ, რომ რუსეთი დაეხმაროს ირანს ამ ქვეყანაში ბირთვული რეაქტორის აგებაში. სინამდვილეში, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ირანთან ნებისმიერი თანამშრომლობისა ამ სფეროში“. აშკარაა, რომ ამგვარი პოზიციის მიზეზი არამარტო იმის შიშია, რომ ირანი გახდება ბირთვული იარაღის მფლობელი. ეს პოზიცია მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ზეწოლით ისრაელის მხრიდან, რაც თავის მხრივ, არის შედეგი შიდაპოლიტიკური ბრძოლისა ისრაელში.

ისრაელის ხელმძღვანელობამ უკანასკნელ წლებში მოახდინა ირანის დემონიზირება. შედეგად დაიწყო ამ უკანასკნელის ჩათვლა მთავარ მუქარად ისრაელის უსაფრთხოებისთვის, რადგან ის ქმნის მასობრივი განადგურების იარაღს, ასევე, დანიშნულების ადგილამდე მისი მიტანის საშუალებებს, ბალისტიკური რაკეტების ჩათვლით. თავდაცვითი დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ეს არგუმენტი გამოიყენეს შესაბამისი თავდაცვითი პროგრამების დაფინანსების გაზრდისთვის.

დასაწყისში მოსადი მიუთითებდა იმის შესაძლებლობაზე, რომ ირანს 2000 წელს უკვე ექნებოდა ბირთვული იარაღი. ახლა ეს თარიღი გადაიწია 2010 წლისთვის. მაშინ, რატომ დაიწყო კამპანია იმ ფირმების წინააღმდეგ, რომლებიც თანამ-

შრომლობენ ირანთან? ბევრი მიუთითებს ისრაელის პარტია ბალივზე, რომელიც ძირითადად შედგება რუსეთიდან ჩამოსულ პირთაგან. ეს პარტია მიისწრაფვის რუსეთიდან იმიგრაციის გაფართოებისკენ (ისრაელში თავისი მხარდაჭერის ბაზის გაფართოებისათვის). პარტიის ლიდერმა ნ. შჩარანსკიმ, მოსკოვში თავისი ვიზიტის დროს, გააფრთხილა რუსეთის მთავრობა, რომ ირანთან თანამშრომლობის გაგრძელების შემთხვევაში, ადგილი ექნება აშშ-ის სანქციებს, რუსეთიდან ებრაელების იმიგრაციის გაზრდის შემთხვევაში კი შჩარანსკი შეწვეტს თავის კამპანიას. თუმცა, თვით აშშ-ში იზრდება წინააღმდეგობა ისრაელის კამპანიისადმი. ა. გორიც კი, რომელიც არის "ისრაელის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი", იწყებს წინააღმდეგობის გაწევას ისრაელის ზეწოლისადმი. მან განუცხადა შჩარანსკის, რომ ამერიკის ინტერესი არის პრეზიდენტ ელცინის მხარდაჭერა და იმ ზომიერების ნიშნების გამოყენება, რომლებიც ვლინდება ირანში. რუსეთ-ირანის სამხედრო თანამშრომლობისადმი მკვეთრი ზომების მიღებას კი შეუძლია ძირი გამოუთხაროს ამ ინტერესებს.

თავის მხრივ, ისრაელმა, რუსეთის სპეციალისტების მიერ ირანისთვის ბირთვული ტექნოლოგიების გადაცემის გაგრძელების გამო, შეაჩერა თავისი სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან. ისრაელის თავდაცვის მინისტრ ი. მორდეხაის ვიზიტისას აშშ-ში, მან განუცხადა პრეზიდენტ კლინტონს, რომ მათი მონაცემების მიხედვით რუსეთის ექსპერტები ეხმარებოდნენ ირანს მისი რაკეტების „შიხაბ-3" და „შიხაბ-4"- ის, აგრეთვე რაკეტა SS 400-ს (მოქმედების რადიუსი - 3600 კმ) შემუშავებაში. ებრაელთა აზრით, ეს რაკეტა ბრძოლისუნარიანი გახდება 2002 წლისთვის, 2007 წლისთვის კი ბირთვული ქობინების გადატანაც შეეძლება.

ბუნებრივია, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი პარტნიორების ამგვარი პოლიტიკა არ უწყობს ხელს ამ სფეროში რუსეთის კონსტრუქციულ პოზიციას. ატომური ელსადგურის აშენების შესახებ, რუსეთსა და ირანს შორის შეთანხმების შესაბამისად, 1999 წლის თებერვალში რუსეთში ჩამოვიდა 40 ირანელი ტექნიკოსი, რომლებმაც უნდა გაიარონ 13-თვიანი მომზადება ატომურ ელსადგურზე მუშაობისთვის. 800-მილიონიანი კონტრაქტის შესაბამისად, რუსეთმა ბუშერში უნდა ააგოს ატომური ელსადგური. გარდა ამისა, 2004 წლისთვის 4 მილიარდ დოლარად უნდა აიგოს კიდევ სამი რეაქტორი.

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების მიერ, 1996 წლის ბოლოს მიღებული ინფორმაციის მიხედვით, რუსეთის რამდენიმე თავდაცვითი ორგანიზაცია გადასცემდა ირანს ტექნოლოგიებს რაკეტების "CC-4"-ს წარმოებისთვის.

ირანთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ზოგიერთი რუსი მომხრე მის აუცილებლობას ხსნის, როგორც რეაქციას ნატოს გაფართოებაზე. ასეთ პირობებში, რუსეთი იძულებულია, ეძებოს მოკავშირეები არამარტო დასავლეთში, არამედ სამხრეთსა და აღმოსავლეთშიც. ამგვარი მიდგომის მომხრეები, არ განიხილავენ ირანის რაკეტებს, როგორც მუქარას რუსეთის ტერიტორიისთვის. ამის ნაცვლად, ისინი ყურადღებას მიაპყრობენ სინამდვილეში არსებულ დამთხვევას ორი ქვეყნის ინტერესებისა, ბევრ სფეროში. მეორე მხრივ, ირანის მიერ ბალისტიკური რაკეტების ფლობამ, ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის აზრით, უნდა გადაატანიოს აშშ-ის ყურადღება ცენტრალურ ევროპიდან მახლობელ აღმოსავლეთზე.

არსებობს პიროვნული ფაქტორიც. რუსეთი ნამდვილად ეძებს სტრატეგიულ პარტნიორებს. ე. პრიმაკოვის ახლოაღმო-

სავლური გამოცდილების, მის მიერ რეგიონის ცოდნის გათვალისწინებით, ირანი შეიძლება იყოს რუსეთის მოკავშირე აშშ-სთან დაპირისპირების შემთხვევაში.

შეჯამებისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, უეჭველია ზიანს აყენებს რუსეთის სტრატეგიულ პოზიციებს. ამიტომ, მისი ინტერესები ობიექტურად ემთხვევა დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობის და აშშ-ის ინტერესებს. მაგრამ რიგი სუბიექტური მიზეზი (როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის, არ აძლევს რუსეთს საშუალებ, არამარტო ებრძოლოს ამ ახალ მუქარას, არამედ ემზადებოდეს სამყაროსთვის, სადაც მასობრივი განადგურების იარაღი გაცილებით უფრო ფართოდ იქნება გავრცელებული, ვიდრე „ცივი ომის“ წლებში იყო.

გლობალური ცვლილებები. შესაძლებელია, გამოიყოს ორი გლობალური ტენდენცია, უკვე რომ აისახება ამჟამინდელი მსოფლიო სისტემის კონტურებსა და რუსეთის ადგილზე მასში.

პირველი ტენდენცია - მსოფლიო სისტემის ძველი ორპოლუსიანი სისტემის დაშლა. მიუხედავად ყველანაირი აზრთა სხვაობისა იმ ცვლილებების ბუნებაზე, მიმართულებასა და შედეგებზე, რომლებიც მსოფლიო სისტემამ განიცადა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ცოტა ვინმე აყენებს ეჭვის ქვეშ იმ დებულების ჭეშმარიტებას, რომ მსოფლიო მრავალპოლუსიანი ხდება. მაგრამ როდესაც საუბარი იწყება პოლუსების რაოდენობაზე, იმაზე, თუ რომელი ქვეყნები (ან ქვეყნების ჯგუფები) შეიძლება პრეტენზიას აცხადებდნენ იმაზე, რომ ამ პოლუსებად ყოფილიყვნენ, აზრები, წინანდელივით, მკვეთრად განსხვავდება. გარდა ამისა, არსებობს შეხედულება, რომ მსოფლიო სისტემა ამჟამად ფუნქციონირებს სხვადასხვა დონესა და სხვადასხვა განზომილებაში. ამასთან, ზოგიერთი სახელმწიფო შეიძლება

იყოს „პოლუსი“ სამხედრო თვალსაზრისით, სხვები - ეკონომიკური და ა. შ. ამჟამინდელი მსოფლიო სისტემა ძალზე ცვალებადი, არამყარია. კონტროლი ასეთ სისტემაზე, მიუხედავად ყველა საუბრისა მომავალ ერთპოლუსიანობასა და აშშ-ის ჰეგემონიაზე, ძალზე გაძნელებულია, რადგან საკმაოდ დიდია შემთხვევითი დაუგეგმავი მოვლენე-ბის შესაძლებლობა.

ამგვარი გარდამავალი პერიოდი მსოფლიო პოლიტიკის ერთ სისტემიდან მეორეზე, შეიცავს როგორც მუქარებს, ისე ახალ შესაძლებლობებს. მუქარას წარმოადგენს ძველი კონფლიქტების განახლება (მაგალითად, ეთნიკურ ნიადაგზე) და ახლების წარმოქმნა. შესაძლებლობები იმაში მდგომარეობს, რომ გარდამავალი პერიოდი რუსეთს აძლევს იშვიათ შესაძლებლობას ხელახლა გაიაზროს თავისი როლი მსოფლიო სისტემაში და და შეიძინოს ახალი მოკავშირეები ამ როლის შესრულებისთვის.

მეორე ცვლილება - გავლენის გადანაწილება დასავლეთის ქვეყნებიდან „მსოფლიო სისტემის (ყოფილი) განუვითარებული პერიფერიის მხარისკენ“. ბ. ბუზანის გამოთქმით, „ცივი ომი“ იყო „ფინალური აქტი გაცილებით უფრო გრძელი პიესისა - დასავლეთის აღმასვლისა და დაცემისა“.

დასავლეთის დომინირების ერა დასასრულთან მივიდა მეოცე საუკუნეში. დასავლეთის დაცემამ ორი სტადია გაიარა. ორი მსოფლიო ომმა და ომებსშორის პერიოდმა („ევროპის სამოქალაქო ომი“) დარტყმა მიაყენეს ევროპული სახელ-მწიფოების სამხედრო და ეკონომიკურ ძლიერებას, მოშალეს მითი ევროპის უპირატესობის შესახებ და გზა მისცეს დეკოლონიზაციის პროცესს. დეკოლონიზაციის პროცესი გაგრძელდა „ცივი ომის“ პერიოდში. 1994 წლის არჩევნები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შეიძლება განხილული იქნას როგორც დეკოლონიზაციის პროცესის უკანასკნელი სტადია. „ცივმა ომმა“ ასევე

ძირი გამოუთხარა ყველა წამყვანი დასავლური იდეოლოგიის სიცოცხლისუნარიანობას. თუმცაღა მარქსიზმი ინარჩუნებს გარკვეულ თეორიულ მიმზიდველობას, მან, „როგორც ხელმძღვანელობამ მოქმედებისთვის“ თუ არ ამოწურა საბოლოოდ თავისთავი, ღრმა კრიზისშია შესული. კაპიტალიზმი ითვლება მასობრივი წარმოების ორგანიზაციის ყველაზე ეფექტურ ხერხად. მაგრამ გადაადგილებამ პოსტმატერიალისტურ ღირებულებებისკენ ხაზი გაუსვა უარყოფით მხარეებს ლიბერალიზმის, როგორც საზოგადოების მაორგანიზებელი იდეოლოგიისა. გარდა ამისა, და ეს შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს, „ცივი ომის“ დროს მოხდა გავრცელება სახელმწიფოებრიობის, ინდუსტრიალიზაციის და, როგორც შედეგი, თანამედროვე შეიარაღებებისა მსოფლიო სისტემის არადასავლურ ნაწილებში. ამან წაართვა დასავლეთს ის უპირატესობები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს კიდეც მისი ძლიერი აღმაფრენა უკანანასკნელი 400 წლის განმავლობაში.

მესამე ტენდენცია, რომელიც უკვე ახლო მომავალში თავის კვალს დაატყობს, როგორც სამხედრო დაგეგმარებას, ისე საგარეო პოლიტიკას, არის თანამედროვე სამყაროს ურბანიზაციის მზარდი დონე. თუ ჯერ კიდევ 1960-ან წლებში პოპულარული იყო გლობალური სოფლის კონცეფცია, ახლა მას ცვლის გლობალური ქალაქის კონცეფცია. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, მრავალი ფაქტორის ზეგავლენით, მილიონობით ადამიანი გადასახლდა საქალაქო ცენტრებში. გაეროს გათვლების მიხედვით, ქალაქის მოსახლეობა მთელი მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში ყოველდღიურად იზრდება 150 ათასი ადამიანით. ამასთან, ყველაზე დიდი ზრდა შეინიშნება აფრიკის ქვეყნებასა და აზიაში. 2025 წლისთვის, დედამიწის მოსახლეობის ყველაზე ნაკლები, 60 პროცენტი იცხოვრებს ქალაქის რაიონებში.

ეს აუცილებლად იწვევს ახალ ტაქტიკას, სპეციალურად გათვლილს, საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის ქალაქებში. 1990-1991 წლების ომმა ყურეში აჩვენა სატანკო-ჯავშნოსანი შენაერთების ეფექტურობა ღია ადგილზე. იმავე დროს, თანამედროვე მსოფლიოსთვის უფრო ტიპიურია ოპერაციები, ჩატარებული სომალისა და ბოსნიაში. მოუმზადებლობა საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის მნიშვნელოვანწილად გახდა წყარო პრობლემებისა, რომლებიც წარმოიქმნენ ისრაელის ჯარისკაცთა ლიბანში 1982 წლის შეჭრის დროს, ან რუსეთის არმიის, გროზნოში ბრძოლებისას.

.....

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობების განხილვის შემდეგ, უნდა იქნას აღიარებული, რომ სახელმწიფოს უკვე არ შეუძლია დამოუკიდებლად შეიმუშაოს და გაატაროს ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც პასუხობს მოსახლეობის რამდენადმე. ფართო ფენების ინტერესებს.

საგარეო პოლიტიკის შემუშავების და გატარების პროცესში, წამყვანი როლის ამგვარ გადასვლას სახელმწიფოსგან სხვა მოქმედ პირებზე, ხელს უწყობს რიგი გარეშე ფაქტორებისა. საინფორმაციო რევოლუცია მოძველებულად აქცევს სახელმწიფოს მიერ სახელისუფლო უფლებამოსილების (მათ შორის, საგარეო-პოლიტიკურისაც) განხორციელებას. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, აყენებს მსოფლიოს ყამყვან სახელმწიფოთა წინაშე პრობლემებს, რომლების გადაწყვეტა საგარეო პოლიტიკის შემუშავების და გატარების ამჟამინდელ სისტემას უბრალოდ არ შეუძლია. საერთაშორისო ინსტიტუტების ცვალებადი როლი, შესაძლებელს ხდის ახალი მოქმედი

პირების უშუალო მონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთობებში. მსოფლიო არენაზე იმ ქვეყნებისა და არასახელმწიფო გაერთიანებების გამოსვლა, რომლებიც ადრე მსოფლიო პოლიტიკის პერიფერიაზე იყვნენ, ასევე ხელს უწყობს დაკნინებას სახელმწიფოს ტრადიციული საგარეო-პოლიტიკური როლისა.

ბიბლიოგრაფია

Аветян А.С. Русско-германские дипломатические отношения накануне Первой мировой войны. 1910-1914. М., 1985. Азбука права ЕС. М., 1994.

Александр I, Наполеон и Балканы / Отв. ред. В.Н. Виноградов. М, 1997. Андреев А.Р. Гений Франции, или Жизнь кардинала Ришелье. М, 1999. Античная Греция: проблемы развития полиса. В 2-х т. М, 1983.

Антюхина-Московченко В.И. Третья республика во Франции, 1870-1918. М., 1986. Антюхина-Московченко В.И. Шарль де Голль и Советский Союз. М., 1990. Арабаджян З.А. Иран: противостояние империям (1918—1941). М., 1996.

Арон Р. Мир и война между народами. М., 2000.

Барановский В.Г. Западная Европа: военно-политическая интеграция. М, 1988.

Барышников Н.И., Барышников В.Н., Федоров В.Г. Финляндия во Второй мировой войне. Л., 1989.

Барышников В.Н. От прохладного мира к зимней войне. Восточная политика Финляндии в 1930-е годы. СПб., 1997.

Безыменский Л.А. Гитлер и Сталин перед схваткой. М.,2000.

Безыменский Л.А. Тайный фронт против второго фронта. М., 1987.

Белецкий В.Н. Потсдам. 1945. История и современность. 2-е изд., перераб. и доп. М., 1987.

Белов Е.А. Россия и Китай в начале XX века. Русско-китайские противоречия в 1911—1915 гг. М, 1997.

Бжезинский З. Великая шахматная доска. М, 1998.

Белоусова З.С. Франция и европейская безопасность. 1929—1939. М., 1976.

Бобылев В.С. Внешняя политика России эпохи Петра I. М., 1990.

Богатуров А.Д. Великие державы на Тихом океане. История и теория международных отношений в Восточной Азии после Второй мировой войны. 1945-1995. М., 1997.

Болховитинов Н.Н. Россия и война США за независимость (1775-1783 гг.). М., 1976.

Болховитинов Н.Н. Россия открывает Америку. 1732-1799. М., 1991.

Болховитинов Н.Н. Русско-американские отношения и продажа Аляски. 1834-1867. М., 1990.

Борисов А.Ю. СССР и США: союзники в годы войны. 1941-1945. М., 1983.

Борисов Ю.В. Дипломатия Людовика XIV. М., 1991.

Борисов Ю.В. Шарль Морис Талейран. М., 1989.

Бугашев СИ. Уильям Питт Старший: политическая биография. СПб., 1998.

Буллок А. Гитлер и Сталин: жизнь и власть. Сравнительные жизнеописания: Пер. с англ В 2 т М., 1994.

Валлерстайн И. Анализ мировых систем и ситуация в современном мире. СПб., 2001.

Васюков В.С. Внешняя политика России накануне Февральской революции. 1916 - февраль 1917 г. М, 1989.

Век Екатерины II: Дела балканские / Отв. ред. В.Н.Виноградов. М., 2000.

Век Екатерины II: Россия и Балканы / Отв. ред.

И.И.Лещиловская. М., 1998.

Великая французская революция и Россия / Ред. А.А.Адо и В.Г.Сироткин. М., 1989.

Виноградов В.Н. Британский лев на Босфоре. М., 1991.

Виноградов В.Н. Великобритания и Балканы: от Венского конгресса до Крымской войны. М, 1985.

Виноградов В.Н. Русско-турецкая война 1877-1878 гг. и освобождение Болгарии. М., 1978.

Виноградов К.Б. Боснийский кризис 1908-1909 гг. Л., 1964.

Возгрин В.Е. Россия и европейские страны в годы Северной войны. Л., 1986.

Восточный вопрос во внешней политике России (конец XVIII – начало XX вв.). М, 1970.

Гаврюшкин А.В. Граф Никита Панин: из истории русской дипломатии XVIII в. М., 1989.

Гаджиев К.С. Введение в геополитику. М., 1999.

Галенович Ю.М. Рубеж перед стартом: Китайская проблема для России и США на пороге XXI в. М., 1999.

Галкин А.А. Германский фашизм. М., 1989.

Гвишиани Л.А. Советская Россия и США (1917-1920гг.). М., 1970.

Гершов З.М. Вудро Вильсон. М., 1983.

Гиренко Ю.С. Сталин—Тито. М., 1991.

Головко В.А., Станчев М.Г., Чернявский Г.И. Между Моск-вой и Западом. Дипломатическая деятельностьХ.Г.Раковского. Харьков, 1994.

Горлов С.А. Совершенно секретно: Москва-Берлин, 1920-1933. Военно-политические отношения между СССР и Германией. М., 1999.

Готовил ли Сталин наступательную войну против Гитлера? Незапланированная дискуссия. Сборник материалов / Под ред. Г.А.Бордюгова. Сост. В.А.Невежин. М., 1995.

Готлиб В.В. Тайная дипломатия во время Первой мировой войны: Пер. с англ. М., 1960.

Гриневский О. А. Прокофий Возницын, или Мир с турками: Документальная повесть. Из истории русской дипломатии.М., 1992.

Гриневский О. А. Тайна Великого посольства Петра: дипломатический детектив. СПб., 1995.

Даме Х.Г. Франсиско Франко: солдат и глава государства: Пер. с нем. Ростов-на Дону, 1999.

Дандамаев М.А. Политическая история Ахеменидской дер-жавы. М., 1985.

Данилевский Н.Я. Россия и Европа. Взгляд на культурные и политические отношения славянского мира к германо- романскому. 6-е изд. СПб., 1995.

Дармштеттер П. История раздела Африки (1870—1918гг.): Пер. с нем. М., 1925.

Дашичев В.И. Банкротство стратегии германского фашизма. В 2-х т. М., 1973.

Десятилетие сотрудничества (1988-1998): Европейский союз и Россия в перспективе. СПб., 1999.

Джордан В.М. Великобритания, Франция и германская проблема в 1918-1939 гг. Анализ англо-французских отношений в период создания и проведения в жизнь Версальского договора: Пер. с англ. М., 1945.

Другая война. 1939-1945 / Под ред. Ю.Н. Афанасьева. М., 1996.

Европа между миром и войной. 1918-1939 гг. М., 1992.

Европейская интеграция. М., 1996.

Европейская интеграция, большая гуманистическая Европа и культура. М., 1998.

Европейский Союз. М., 1994.

Европейский союз на рубеже веков. М, 2000.

Европейский союз и Содружество Независимых Государств. М., 1998.

Егорова Н.И. Изоляционизм и европейская политика США. 1933-1941. М., 1995.

Емец В.А. Очерки внешней политики России в период Первой мировой войны. Взаимоотношения с союзниками по вопросам ведения войны. М., 1977.

Ерофеев Н.А. Английский колониализм в середине XIX в. М., 1977.

Ерофеев Н.А. Империя создавалась так... Английский колониализм в XVIII в. М., 1964.

Жан К., Савона П. Геоэкономика. М., 1997.

Загладин Н.В. История успехов и неудач советской дип-ломатии. М., 1990.

Земсков И.Н. Дипломатическая история второго фронта в Ев-ропе. М„ 1982.

Зимняя война. 1939-1940. В 2-х кн. / Отв. ред. О.А. Ржеше-вский, О. Вехвиляйнен. М., 1998.

Золотухин М.Ю. Россия, западноевропейские державы и Ос-манская империя в период международных кризисов на Бал-канах (1885-1888 гг.). М., 1996.

Зотова М.В. Россия в системе международных отношений XIX в. М., 1996.

Иванов А.Г. Агрессоры и умиротворители: Гитлер, Муссолини и британская дипломатия. М., 1993.

Иванов Л.Н. Морская политика и дипломатия империалис-тических держав. (Между Первой и Второй мировыми войнами). М., 1964.

Иванов Р.Ф. Дипломатия Авраама Линкольна. М,, 1987.

Ивонина Л.И. Дипломатия и революция. (Две Английские революции и европейская политика XVII в.). Смоленск, 1998.

Ивонина Л.И., Прокопьев А.Ю. Дипломатия Тридцатилетней войны: Учебное пособие. Смоленск, 1996.

Игнатьев А.В. Англо-русские отношения накануне Первой мировой войны. М., 1983.

Игнатьев А.В. Внешняя политика России в 1905-1907 гг. М., 1989.

Игнатьев А.В. С.Ю. Витте — дипломат. М., 1989.

Идеи европеизма во второй половине XX века. М., 2000.

Илюхина Р.М. Лига Наций. 1919—1934. М., 1982.

Индукаева Н.С. От войны к миру. Политика США в германском вопросе в 1918—1921 гг. Томск, 1977.

Индукаева Н.С. Политика США в отношении Германии в 1922—1925 гг. Томск, 1986.

Исраэлян В.Л. Дипломатия в годы войны (1941—1945 гг.). М.,1985.

Исраэлян В.Л., Кутаков Л.Н. Дипломатия агрессоров. М., 1967.

История Востока: В 6 т./ Гл. редкол.: М.С. Капица (пред.) и др. Т. 1—2. Восток в древности. Средние века. М., 1995

История внешней политики России, конец XV—XVII в.(От сверже-ния ордынского ига до Северной войны) / Сахаров А.Н. и др. М., 1999.

История внешней политики и дипломатии США. 1775—1867. М., 1994.

История внешней политики и дипломатии США. 1867—1918 / Отв. ред. Г.П.Куропятник. М., 1997.

История Древнего Рима. М., 1994.

История Древней Греции. М., 1997.

История Европы. Т.I. М., 1992.

История Европы с древнейших времен до наших дней: В 8 т. / Гл. редкол.: А.О. Чубарьян. Т.2. Средневековая Европа / Редкол.: Гутнова Е.В., Удальцова З.В. (отв. ред.) и др. М., 1992

История Европы с древнейших времен до наших дней: В 8 т. / Гл. редкол.: А.О. Чубарьян. Т.3. От Средневековья к Новому времени (конец ХУ - первая половина XVII в.)/ Редкол.: Мильская Л.Т., Рутенбург В.И. (отв. ред.) и др. М., 1993.

История Европы: С древнейших времен до наших дней. В 8 т. Т.4. Европа нового времени (XVII-XVII1 века). М.,1994.

История Латинской Америки. 70-е годы XIX века - 1918 год. М., 1993.

История Латинской Америки. Доколумбова эпоха - 70-е годы XIX века. М., 1991.

История Первой мировой войны. 1914-1918. В 2 т. М., 1975.

История войны на Тихом океане: Пер. с япон. В 5 т. М., 1957-1958.

История Второй мировой войны 1939-1945 гг. В 12 т. М., 1973-1982.

Италия. М., 1983.

Канцлер А.М. Горчаков. 200 лет со дня рождения. М., 1998.

Кессельбреннер ГЛ. Известные дипломаты России. От Посольской избы до Коллегии иностранных дел. М., 1999.

Каткова З.Д. Внешняя политика гоминьдановского правительства Китая в период антияпонской войны (1937-1945).М., 1978.

Каткова З.Д. Китай и державы. 1927-1937. М., 1995.

Кессельбреннер Г.Л. Светлейший князь: К 200-летию со дня рождения А.М. Горчакова, 1798-1883 / Отв. ред. А.В. Тор-кунов. М., 1998.

Киняпина Н.С. Балканы и проливы во внешней политике России в конце XIX века (1878-1898). М., 1994.

Киняпина Н.С. Внешняя политика России первой половины XIX в.: Учебное пособие. М., 1963.

Киняпина Н.С. Внешняя политика России. Вторая поло-винаXIXв. : Учебное пособие. М., 1974.

Киняпина Н.С. Блиев М.М., Дегоев В.В. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России (вторая половина XVIII в.— 80-е годы XIX в.). М., 1974.

Киссинджер Г. Дипломатия: Пер. с англ. М., 1997.

Киссельгоф И.С. История Франции в годы Второй мировой войны: Учебное пособие. М., 1975. Киссинджер Г. Дипломатия: Пер. с англ. М., 1997.

Кожевников В.В. Русско-японские отношения в XVIII-XIX веках: Учебное пособие. Владивосток, 1997.

Козьменко В.М., Протопопов А.С. История международных отношений и внешней политики России: Учебное пособие.XIX век. М., 1998.

Климовский Д.С. Германия и Польша в локарнской системе европейских отношений. (Из истории зарождения Второй мировой войны). Минск, 1975.

Колобов О.А., Корнилов А.А., Сергунин А.А. Документальная история арабо-израильского конфликта. Н. Новгород,1991.

Колобов О.А., Корнилов А.А., Рыхтик М.И., Цхай И.В. Проблемы войны и мира в XX в.: Хрестоматия. Т. I. Н. Новгород, 1996.

Колобов О.А., Корнилов А.А., Шамин И.В. Проблемы войны и мира в XX в.: Хрестоматия. Т.2. Н. Новгород, 1997.

Колобов О.А., Балуев Д.Г., Кабешев Д.В., Рыхтик М.И., Хохлышева О.О. Запад: новые измерения национальной и между-народной безопасности. Н. Новгород, 1997.

Колобов О.А. Международные отношения: Избранные труды. Н. Новгород, 1998.

Коммунистический интернационал: Краткий исторический очерк. М., 1969.

Конкурентная политика Европейского союза. М., 1995.

Конт Ф. Революция и дипломатия: Документальная повесть о Х. Раковском: Пер. с фр. М., 1991.

Корнилов А.А. Между войной и миром. Н.Новгород, 1993.

Корсунский А.Р., Понтер Р. Упадок и гибель Западной Римс-кой империи и возникновение германских королевств. М., 1984.

Кошкин А.А. Крах стратегии "спелой хурмы". Военная поли-тика Японии в отношении СССР, 1931-1945 гг. М., 1989.

Крылов С.Б. История создания Организации Объединенных Наций. М., 1960.

Кузнецов В.С. Внешняя политика Китая в 1928-1937 гг. В 2 ч. М., 1992.

Кутаков Л.Н. История советско-японских дипломатических отно-шений. М., 1962.

Лаврова Т.В. Черноморские проливы: Исторический очерк, Ростов-на-Дону, 1997.

Лазарев М.С. Империализм и курдский вопрос (1917-1923). М., 1989.

Латинская Америка в международных отношениях XX века. В 2-х т. М., 1988.

Лебедева Н.С. Безоговорочная капитуляция агрессоров: Из истории Второй мировой войны. М, 1989.

Дедовский А.М. СССР и Сталин в судьбах Китая. М., 1999.

Лунев СИ. Дипломатия в Южной Азии. М., 1997.

Людвиг Э. Бисмарк: Биография: Пер. с нем. М., 1999.

Людвиг Э. Последний Гогенцоллерн. М., 1991.

Малафеев К.А. Европейская политика и дипломатия Франции в 1933-1939 гг.: Учебное пособие. Рязань, 1994.

Малов В.Н. Ж.-Б.Кольбер: Абсолютистская бюрократия и французское общество. М., 1991.

Маяк И.Л. Взаимоотношения Рима и италийцев в Ш-П вв. до н.э. М., 1971.

Малафеев К.А. Луи Барту — политик и дипломат. М., 1988.

Мальков В.Л. "Манхэттенский проект". Разведка и дипломатия. М., 1995.

Малые страны Европы. М., 1983.

Манфред А.З. Наполеон Бонапарт. 5-е изд. М., 1989.

Манфред А.З. Образование русско-французского союза. М., 1975.

Масаев М.В. Присоединение Крыма к России. Симферополь, 1997.

Международные отношения и страны Центральной и Юго-Восточной Европы накануне Второй мировой войны (сентябрь 1939-август 1940). М., 1990.

Международные отношения и страны Центральной и Юго-Восточной Европы в период фашистской агрессии на Балканах и подготовки нападения на СССР (сентябрь 1940-июнь 1941). М., 1992.

Международные отношения на Дальнем Востоке. В 2 кн. Кн. 2. 1917-1945 гг. М., 1973.

Международные отношения: Социологические подходы. М., 1998.

Международные отношения на Балканах. 1815-1830 гг. /Отв. ред. В.Н.Виноградов, М., 1983.

Международные отношения на Балканах. 1830-1856 гг. / Отв. ред. В.Н. Виноградов. М., 1990.

Международные отношения на Балканах. 1856-1878 гг. /Отв. ред. В.Н. Виноградов. М., 1986.

Международные отношения на Дальнем Востоке. В 2 кн. Книга 1. С конца XVI в. до 1917 г. М., 1973.

Международные отношения: социологические подходы / Под ред. П.А. Цыганкова. М., 1998.

Мельников Ю.М. От Гуама к Потсдаму: Очерки американской дипломатии. М., 1974.

Мельтюхов М.И. Канун Великой Отечественной войны: дис-куссия продолжается. М., 1999.

Мельтюхов М.И. Канун Великой Отечественной войны: дис-куссия продолжается. М., 1999.

Мельтюхов М.И. Упущенный шанс Сталина. Советский Союз и борьба за Европу: 1939-1941. (Документы, факты, суждения). М., 2000.

Мировицкая Р.А. Китайская государственность и советская политика в Китае. Годы тихоокеанской войны: 1941-1945.М.,1999.

Мировицкая Р.А. Советский Союз в стратегии Гоминьдан» (20—30-е годы). М., 1990.

Михутина И.В. Польско-советская война, 1919-1920 гг. М., 1994.

Михутина И.В. Советско-польские отношения, 1931-1935. М., 1977.

Можейко И.В, "Западный ветер - ясная погода": Юго-Восточная Азия во Второй мировой войне. М„ 1984.

Молчанов НИ. Дипломатия Петра I. М., 1974.

Молчанов Н. И. Генерал де Голль. 3-е изд. М., 1988.

Мюнхен - преддверие войны: Исторические очерки / Отв. ред. В.К.Волков. М., 1988.

Мясников В.С. Договорными статьями утвердили. Дип-ломатическая история русско-китайской границы. М., 1996.

Мазуров И.В. Японский фашизм. М., 1996.

Максимычсв И Ф. Дипломатия мира против дипломатии войны: Очерк советско-германских дипломатических отношений в 1933-1939 годах. М., 1981.

Наджафов Д.Г, Нейтралитет США. 1935—1941. М., 1990.

Наленч Д., Наленч Т. Юэеф Пилсудский: Пер. с польск. М., 1990.

На пути к европейскому единству. М., 1994.

На путях к Югославии: за и против: Очерки истории национальных идеологий балканских народов. Конец XVIII —начало XX вв. М., 1997.

Нарочницкпя Л.И. Россия и отмена нейтрализации Черного моря 1856-1871 гг. М., 1989.

Невежин В. А. Синдром наступательной войны. Советская пропаганда в преддверии "священных бос»". 1939-1941 гг. М., 1997.

Некрасов Г. А. Роль России в европейской и международной политике 1725-1756 гг. М., 1984.

Некрич А.М. 1941, 22 июня. 2-е изд., доп. и перераб. М., 1995.

Немировский А.И. История раннего Рима и Италии. Воронеж, 1962.

Нечай Ф.М. Рим и италики. Минск, 1963.

Никитина И. А, Захват бурских республик Англией. 1889-1902. М., 1970.

Никифоров Л.Н. Внешняя политика России в последние годы Северной войны. Ништадтский мир. М., I939.

Никонов. Очерки европейской политики Германии в 1924-1929 гг. (от плана Дауэса к плану Юнга). М., 1977.

Новая постиндустриальная волна на Западе. М., 1999.

Новиков М.И. СССР, Коминтерн и гражданская война в Ис-пании, 1936-1939 гг. В 2 ч. Ярославль, I996.

Объединение Европы и Советский Союз. 1919-1932: Мате-риалы международного коллоквиума. М., 1999.

Оганесян И.О. Политика империалистических держав на Арабском Востоке в годы Второй мироиой войны (1939-1945 гг.). Ереван, 1980.

О'Коннор Э. Георгий Чичерин и советская внешняя политика. 1918-1930 гг.: Пер. с англ. М., 1991.

Орлик О.Н. Россия в международных отношениях, 1815-1829 гг. От Венского конгресса до Андрианопольского мира.М., 1998.

Открытие внутреннего рынка. М.,1995.

От Мюнхена до Токийского залива. Взгляд с Запада на трагические страницы истории Второй мировой войны / Сост. Е.А. Трояновская. М., 1991.

От Хельсинки до Будапешта. История СБСЕ/ОБСЕ в документах 1973 — 1994. Т.2. М., 1996.

Павлов Е.И. Гражданская война в Испании 1936-1939 гг. Отношение и влияние стран Европыи США на начало, ход и итоги войны. Екатеринбург, 1998.

Пайпс Р. Русская революция: Пер. с англ. В 2 ч. М., 1994.

Панарин А.С . Искушение глобализмом. М., 2000.

Парсаданова В.С. Советско-польские отношения в годы Великой Отечественной войны, 1941 —1945. М., 1982.

Парфенов И.Д. Колониальная экспансия Великобритании в последней трети XIX века. (Движущие силы, формы, методы). М., 1991.

Первая мировая война и проблемы политического переуст-ройства в Центральной и Юго -Восточной Европе. М., 1991.

Первая мировая война. Дискуссионные проблемы истории. М., 1994.

Первая мировая война. Пролог XX века /Отв. ред. В.Л.Маль-ков. М., 1998.

Перов Б.М. Эдуард Эррио: Политическая биография. Самара, 1996.

Персии М.А. Застенчивая интервенция. О советском вторже-нии в Иран и Бухару в 1920-1921 гг. 2 -е изд. М., 1999.

Печатное В.О. Гамильтон и Джефферсон. М., 1984 .

Писарев Ю.А. Великие державы и Балканы накануне Первой мировой войны. М., 1985.

Писарев Ю.А. Сербия на Голгофе и политика великих держав. 1916 г. М., 1993.

Писарев Ю. А. Тайны Первой мировой войны. Россия и Сербия в 1914 —1915 гг. М., 1990.

Повестка дня для российско-американских отношений. М., 1999.

Пожарская С. П. Тайная дипломатия Мадрида (Внешняя политика Испании в годы Второй мировой войны). М., 1971.

Поздеева Л.В. Англо-американские отношения в годы Второй мировой войны: 1939 -1941. М., 1964.

Поздеева Л.В. Англо-американские отношения в годы Второй мировой войны: 1941 -1945. М.,1969.

Политический кризис 1939 г. и страны Центральной и Юго - Восточной Европы. М., 1989.

Политическая наука: новые направления. Часть 5. Между-народные отношения. М., 1999.

Польша и Европа в XVIII веке. Международные и внутрен- ние факторы разделов Речи Посполитой / Отв. ред. Б.В.Носов. М., 1999.

Постиндустриальный мир и Россия. М., 2001.

Поцхверия Б.М. Турция между двумя мировыми войнами: Очерки внешней политики. М.,1992.

Практика глобализации: игры и правила новой эпохи / Под ред. М.Г. Делягина. М., 2000.

Предвоенный кризис 1939 года в документах / Отв. ред. З.С. Белоусова. М., 1992.

Престон П. Франко: Биография: Пер. с англ. М., 1999.

Прицкер Д.П. Жорж Клемансо: Политическая биография. М., 1983.

Протопопов А.С. СССР, Лига Наций и ООН. М., 1968.

Проэктор Д.М. Фашизм: путь агрессии и гибели / Отв. ред. А.М. Самсонов. 2-е изд., доп. М., 1989.

Развитие интеграционных процессов в Европе и Россия. М., 1997.

Рамоне И. Геополитика хаоса. М., 2001.

Регион в составе федерации: политика, экономика, право. Н.Новгород, 1999.

Ридли Д. Муссолини: Пер. с англ. М., 1999.

Роббинс К. Ч рчилль: Пер. с англ. М., 1997.

Роговин В.З. Мировая революция и мировая война. М., 1998.

Розалиев Ю.Н. Мустафа Кемаль Ататюрк: Очерк жизни и деятельности. М., 1995.

Розанов Г.Л. Сталин и Гитлер: Документальный очерк советско-германских дипломатических отношений. 1939-1941 гг. М., 1989.

Роль ключевых стран в межд ународных отношениях в 1990-е гг. М., 1995.

Россия, Средиземноморье, Южная Европа. М.,1995.

Российская дипломатия в портретах. М., 1992.

Россия и Франция: XVIII-X X века. М., 1995.

Россия и черноморские проливы (X VIII—XX столетия)/ Отв. ред. А.В.Игнатьев,Л.Н.Нежинс-кий. М., 1999.

Россия и Германия в годы войны и мира (1941-1945). М, 1995.

Россия и Германия. Вып. 1. М., 1998.

Россия и Италия. Вып. 3. XX век. М., 1998.

Россия и Франция: X VIII—XX века. М., 1995.

Рыбаченок И.С. Союз с Францией во внешней политике России в конце XIX в. М., 1993.

СахаровЛ. И. Дипломатия Древней Руси: IX - первая половина X в. М., 1980.

Сахаров Л. II. Дипломатия Святослава. 2-е изд., доп. М., 1991.

Сахаров Л. II. Александр I. М., 1998 .

Сахаров Л .II. Война и дипломатия: 1939-1945. М., 1995.

Севостьянов Г. Н. Дипломатическая история войны на Тихом океане. От Перл-Харбора до Каира (1941-1943). М., 1969.

Севостьянов Г. Н. Европейский кризис и позиция США. 1938 -1939. М., 1992.

Севостьянов Г.Н. Политика великих держав на Дальнем Вос-токе накануне Второй мировой войны М., 1961 .

Севостьянов Г.Н., Уткин А.И. США и Франция в годы войны 1939 - 1945. Из истории взаимоотношений. М., 1974.

Семиряга М. И. Тайны сталинской дипломатии. 1939-1941. М., 1992.

Сергеев Е. Ю. Политика Великобритании и Германии на Дальнем Востоке 1897-1903 гг. М .,……

СероваО.В. Горчаков, Кавур и объединение Италии. М., 1997.

Серова О.В. От Тройственного союза к Антанте. Итальянская политика и дипломатия в концеXIX - начале XX века. М., 1983.

СероваО.В. Италия и антигитлеровская коалиция, 1943-1945. М., 1973.

Федералистское будущее Европы: от Европейского сообщества до Европейского союза. М., 1998.

Сидоров А. К. Внешняя политика Советской России на Дальнем Востоке (1917-1922гг.). М., 1997.

Сиполс В. Я. Дипломатичская борьба накануне Второй мировой войны. 1933 -1939 гг. М .,……

Сиполс В. Я. Тайны дипломатические. Канун Великой Отечествен-ной. 1939 -1941. М., 1997.

Сиполс В. Я. Великая Победа и дипломатия . 1941-1945. М., 2000 .

СиротинИ. Г. Дуэль двух дипломатий. Россия и Франция в 1801-1812 гг. М., 1966.

Сказкин С.Д. Конец австро-русско-германского союза. М., 1974.

Слонимский В.Н. Пакт о нейтралитете между СССР и Японией: дипломатическая история, 1941- 1949 г. М., 1995.

Слонимский В.Н. Ялтинская конференция и проблема "северных территорий". Современное документальное переос-мысление. М., 1996.

Смирной Л. И. Зайцев Е.Б. Суд в Токио. 3-е изд., исправл. М., 1984.

Советская внешняя политика в ретроспективе, 1917-1991. М., 1993.

Современные международные отношения: Учебник. М., 2000.

Соколов А. К. Навстречу друг другу: Россия и Англия в XVI-XVIII вв. Ярославль, 1992.

Сорокин К.Э. Геополитика современности и геостратегия России. М., 1995.

Северный Кавказ в русско-иранских и русско-турецких взаи-моотно-шениях в …… М., 1991.

Сравнительный регионализм: Россия - СНГ-Запад. Н.Новгород, 1997.

Станиславская А.М. Русско-английские отношения и проблемы Средиземноморья (1798-1807). М., 1962.

Строгецкий В. М. Полис и империя в классической Греции. Н. Новгород, 1991.

США и ……. Перспективы взаимоотношений на рубеже веков. М., 2000.

Тарле В. Е. Екатерина II и ее дипломатия. В 2 ч. М., 1945.

Тарле В. Е. Крымская война. В 2 т. 2-е изд., испр. и доп. М., 1950.

Тарле Е.В. Наполеон. М., 1957.

Тарле Е.В. Очерки истории колониальной политики западноевро-пейских государств (конецXV- начало XIX вв.). М.,Л. 1965.

Тарле Е.В. Талейран. М., 1992.

Тейлор А. Борьба за господство в Европе. 1848-1918: ……..

Толанд Д. Адольф Гитлер: Пер. с англ. В 2 т. М., 1993.

Топорнин Б.Н. Европейское право. М.,1988.

Трубайчук А.Ф. 1939 год: к истории советско-германского сговора. Киев, 1994.

Трухановский В.Г. Антони Иден. 2-еизд., перераб. и доп. М, 1983.

Трухановский В.Г. Внешняя политика Англии в период Второй мировой войны (1939-1945).М., 1965.

Трухановский В.Г. Уинстон Черчилль. 4-е изд., доп, М., 1991.

Трухановский В.Г. Бенджамин Дизраэли, или История одной неве-роятной карьеры. М.,1993.

Туполев Б.М. Германский империализм в борьбе за "место под солн-цем". Германская экспансия на Ближнем Востоке, в Восточной Африке и в районе Индийского океана в конце XIX— начале XX вв. М., 1991.

1939 год. Уроки истории / Отв. ред. О.А.Ржешевский, М.,1990.

Тюлар Ж. Наполеон, или Миф о "спасителе": Пер. с фр. М, 1996.

У истоков "социалистического содружества": СССР и восточноевропейские страны в 1944-1949 гг. / Отв. ред. Л.Я. Гиби-анский. М., 1995.

Улунян А.А. Россия и освобождение Болгарии от османского ига, 1877-1878. М., 1994.

Уткин А.И. Американская стратегия для XXI в. М., 2000.

Уткин А.И. Дипломатия Вудро Вильсона. М., 1989.

Уткин А.И. Рузвельт. М.,2000.

Уткин А.И. Теодор Рузвельт: Политический портрет. Сверд-ловск, 1989.

Утченко С.Л. Кризис и падение Римской республики. М, 1965.

Федерализм и региональные отношения (Опыт России и Западной Европы). М., 1999.

Федеративная Республика Германии. М., 1983.

Федосова Е.И. Польский вопрос во внешней политике Первой империи во Франции. М., 1980.

Фельштинский Ю.Г. Крушение мировой революции. Брестский мир. Октябрь 1917-ноябрь1918 гг. М, 1992.

Фест И. Гитлер. Биография: Пер. с нем. В 3 т. Пермь, 1993.

Фляйшхауэр И. Пакт. Гитлер, Сталин и инициатива германской дипломатии. 1938-1939: Пер. с нем. М., 1990.

Франция. М., 1983.

Фуше М. Европейская республика. Исторические и геогра-фические контуры. М., 1999.

Хайцман В.М. СССР и проблема разоружения (Между Первой и Второй мировыми войнами). М., 1959.

Хартли Т. Основы права Европейского сообщества. М., 1998.

Хейфец А.Н. Советская дипломатия и народы Востока.1921-1927. М., 1968.

Хейфец А.Н. Советская Россия и сопредельные страны Востока в годы гражданской войны (1918-1920). М., 1964.

Хибберт К. Бенито Муссолини: Биография: Пер. с англ. М., 1996.

Хильгрубер А., Берглар П. Выдающиеся политики. Отго фон Бисмарк. Меттерних: Пер. с нем. Ростов-на Дону, 1998,

Ходнев А.С. Международная организация в ожидании приговора? Лига Наций в мировой политике, 1919-1946. Ярославль, 1995.

Холловей Д. Сталин и бомба. Советский Союз и атомная энергия, 1939-1953 гг.: Пер. с англ. М., 1999.

Хормач И.А. Отношения между Советским государством и Италией, 1917-1924 гг. М., 1993.

Хормач И.А. СССР-Италия.1924-1939 гг. Дипломатические и экономические отношения. М., 1995.

Хохлышева О.О. Практикум по истории международных отношений. Т. 1-3. Н. Новгород, 1999.

Хохлышева О.О. Разоружение, безопасность, миротвор-чество: глобальный масштаб.Н. Новгород, 2000.

Хохлышева О.О. Проблемы войны и мира в XX в.: Хрес-томатия. Т. 4. Часть 1-2. Нижний Новгород, 2000. Цыганков П.А. Международные отношения. М., 1996.

Чевтаев А.Г. Политика Великобритании в Средиземноморье в годы Второй мировой войны (1939-1943 ГГ.). Свердловск, 1988.

Челышев И.А. СССР-Франция: трудные годы 1938-1941. М., 1999.

Чепелкин М.А. Российская дипломатия и итальянский вопрос, 1856-1861. М., 1995.

Черевко К.Е. Зарождение русско-японских отношений, XVII-XIX века. М., 1999.

Черкасов П.П. Двуглавый орел и королевские лилии. Ста-новление русско-французских отношений в XVIII веке, 1700-1775. М., 1995.

Черкасов П. П. Кардинал Ришелье. М., 1991.

Чубинский В. В. Бисмарк: Биография. М., 1997.

Шацилло В.К. Расчет и безрассудство: германо-американские отношения в 1898-1917 гг. М., 199..

Шейнис З.С. Максим Максимович Литвинов: революционер, дипломат, человек. М., 1989.

Шеремет В.И. Босфор, Россия и Турция в эпоху Первой мировой войны. М., 1995.

Шеремет В.И. Империя в огне. Сто лет войн и реформ Блистательной Порты на Балканах и Ближнем Востоке. М., 1994.

Ширер У. Взлет и падение третьего рейха. В 2 т.: Пер. с англ. М., 1992.

Ширер У. Крах нацистской империи: Пер. с англ. М., 1999.

Шишкин Н.А. Цена признания. СССР и страны Запада в поисках компромисса (1924-1929 гг.). СПб., I99I.

Шнеерсон Л.М. На перепутье европейской политики. Австро-русско-германские отношения. Минск,1984.

Юнгблюд В.Т. Эра Рузвельта: дипломаты и дипломатия. СПб., 1996.

Язькова А.А, Малая Актанта в европейской политике, 1918-1925 гг. М., 1974.

Яковлев Н.Н. Европа накануне Семилетней войны. М., 1997.

Яковлев Н.Н. США и Англия во Второй мировой войне. М., 1961.

Яковлев Н. Франклин Рузвельт: человек и политик. Новое прочтение. М., 1981.

Япония в поисках новых рубежей. М., 1998.

შინაარსი

ნაწილი 1. ძველი დროის, შუა საუკუნეების და ჩვენი დროის დიპლომატია

შესავალი 3

თავი 1. ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთის და რომის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის თავისებურებები 5

1. ძველი აღმოსავლეთი 5
2. საბერძნეთი 14
3. რომი 30

თავი 2. საბერძნეთის და რომის შუა საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობათა თავისებურებები შუა საუკუნეებში 61

1. ბარბაროსული სახელმწიფოები და ბიზანტია 61
2. არაბების დიპლომატია 70
3. კიევის რუსეთის საგარეო პოლიტიკა (IX-XIII საუკუნეები) 71
4. ნოვგოროდის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თავისებურებები (1136-1471 წწ.) 89
5. რუსეთის და ევროპის დიპლომატია ფეოდალური დაქუცმაცების ხანაში 100
6. რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობები XVI საუკუნეში 104

თავი 3. მსოფლიო სახელმწიფოთა შესაძლებლობების დინამიკა ახალ დროში 108

1. XVII-XVIII საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მონაწილეები და მსოფლიო ასპარეზზე მათი ქცევის სპეციფიკა 108
2. რევოლუციური და ნაპოლეონის ომები (1792-1815 წწ.) 136
3. საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა 150
4. პოლონეთის საკითხი XIX საუკუნის ევროპის დიპლომატიაში 158

5. აღმოსავლეთის საკითხი წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკაში XIX საუკუნეში. პალესტინა, როგორც წამყვანი ევროპული სახელმწიფოების დაპირისპირების კვანძი 168
6. აღმოსავლეთის საკითხის გამწვავება და რუსეთის პოლიტიკის აქტივიზაცია 176
7. საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა XIX საუკუნის 30-იან - 70-იანი წლების დასაწყისში 189
8. ვითარების შეცვლა საერთაშორისო არენაზე. დიდ სახელმწიფოთა ბლოკების შექმნა. სამთა (ოთხთა) კავშირი 208
9. ბრიტანეთ-გერმანიის წინააღმდეგობათა განვითარება 1904-1907 წლებში. ანტანტის შექმნა 213
10. ორი მტრული ბლოკის პოლიტიკა ბალკანეთში. ბალკანეთის ომები 226
11. საერთაშორისო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის წინ და მისი მსვლელობისას 233

ნაწილი 2. ომის და მშვიდობის საკვანძო პრობლემები XX საუკუნის პირველ ნახევარში და სახელმწიფოთაშორის და გლობალურ დონეზე მათი გადაწყვეტის ვარიანტები

შესავალი 244

თავი 1. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა 246
1. ევროპის ქვეყნების და აშშ-ის პოზიცია მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხებზე 246
2. საერთაშორისო ურთიერთობათა ომისშემდგომი სისტემის ფორმირება. პარიზის მშვიდობიანი კონფერენცია და ვერსალის ზავი 251
3. საერთაშორისო ურთიერთობები შორეულ აღმოსავლეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ვაშინგტონის კონფერენცია 271
4. რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში 1920-იანი წლების. რსფსრ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნიშნები 1918-1921 წლებში. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან 283

5. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არაოფიციალური მიმართულება 20-იანი წლების დასაწყისში 295
6. ვითარების შეცვლა საერთასორისო არენაზე 1922-1923 წლებში. გენუის კონფერენცია 300
7. ჰააგის კონფერენცია 311
8. მოსკოვის კონფერენცია შეიარაღებების შეკვეცის საკითხებზე 317
9. ლოზანას კონფერენცია 318

თავი 2. 20-იანი წლების შუახანების და 30-იანი წლების დასაწყისის საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციფიკა 330
1. რეპარაციების საკითხი ომის შუა პერიოდში 330
2. უსაფრთხოების ევროპული სისტემის უზრუნველყოფის პრობლემები ორი მსოფლიო ომის შუა პერიოდში. საგარანტიო პაქტების სისტემის ფორმირება 341
3. უსაფრთხოების ევროპული სისტემის ევოლუცია 1930-იანი წლების პერიოდში 361
4. საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკური კრიზისის პერიოდში (20-იანი წლების დასასრული - 30-იანი წლების დასაწყისი). საერთაშორისო ურთიერთობათა ვერსალის სისტემის გადასინჯვის ცდები 367
5. საერთაშორისო ურთიერთობები 1930-იან წლებში. ვერსალის სისტემის დემონტაჟი 378
6. საბჭოთა კავშირი ვერსალის სისტემის რევიზიის პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში 401

თავი 3. დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის წლებში (1939 – 1943 წწ.) 407
1. ურთიერთობები სსრკ-სა და დასავლეთის ქვეყნებს შორის 1939 წელს 407
2. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობები 1930-იანი წლების ბოლოს. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი 412

3. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის არაოფიციალური მიმართულების ევოლუცია 1933-1940 წლებში 422
4. საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის წლებში 427

ნაწილი 3. საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნის მეორე ნახევარში

შესავალი 438
თავი 1. ბიპოლარული სამყარო 442
1. ბიპოლარული მსოფლიოს საწყისი პერიოდის ზოგადი დახასიათება 442
2. ევროპული ინტეგრაცია 474
3. საერთაშორისო ურთიერთობები აზიაში (1945-1960-იანი წლები) 502
4. მახლობელი და შუა აღმოსავლეთი 1970-1990-იან წლებში 563
5. აზია-წყნარი ოკეანეს რეგიონი 632

თავი 2. საერთაშორისო ურთიერთობები 1990-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში 647
1. ახალი მსოფლიო წესრიგი 647
2. რუსეთი საერთაშორისო-პოლიტიკური კოორდინატების თანამედროვე სისტემაში 675

ბოლოსიტყვაობა. საერთაშორისო ურთიერთობები XXI საუკუნეში: ახალი მოქმედი პირები, ინსტიტუტები და პროცესები 779

ბიბლიოგრაფია 819

საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია

დამხმარე სახელმძღვანელო, ტომი 1

განვითარების ძირითადი ტენდენციების დახასიათება

აკადემიკოს **ო. ა. კოლობოვის** საერთო რედაქციით

რუსულიდან თარგმნა:
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა,
რევაზ დიასამიძემ

სამეცნიერო რედაქტორი:
ირაკლი გორგილაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი,
ირაკლი მანველიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ლიტერატურული რედაქტორი:
მანანა თავდგირიძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ნიჟნი ნოვგოროდი
2002